მიხეილ ზანდუკელი

თხზულებანი

III

ახალი ქართული დიფერაფეცია

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1978

8 Г 1
899.962.1.09
ზ 276

მიხეილ ზანდუკელის თხზულებათა III ტომში ორი მონოგრაფიაა გაერთიანებული: I — „ხალხსნური მიმართულება ქართულ ლიტერატურაში“, რომელიც თავის დროს სამჯერ გამოიცა „ახალი ქართული ლიტერატურის“ III ტომის სახით, II — „ვაჟა ფშაველა“, რომელიც 1953 წელს გამოქვეყნდა.

ტექსტები იბეჭდება უმნიშვნელო ცვლილებებით.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, მასწავლებლებისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

სარედაქციო კოლეგია

პროკლე კეკელიძე (მთავარი რედაქტორი),

გრიგოლ კიკნაძე

ნოდარ ტაბიძე

ჯუმბერ ჭუმბურიძე

სოლომონ ხუციშვილი

მესამე ტომის რედაქტორი ჯუმბერ ჭუმბურიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978

3 $\frac{70202}{М\ 608\ (06) — 78}$ 50 — 78

ხალხოსნური მიმართულება ქართულ ლიტერატურაში

წინასიტყვაობა პირველი გამოცემისათვის

„ახალი ქართული ლიტერატურის“ III ტომი მიზნად ისახავს 1934 წელს ამავე სახელწოდებით გამოსული ჩვენი შრომის II ტომის ბუნებრივი გაგრძელება მისცეს მკითხველს, რათა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების მეორე პერიოდი მას ძირითად ხაზებში წარმოუდგინოს.

ამ მიზნით წინამდებარე ტომში დასამუშავებლად გათვალისწინებულია შემდეგი ლიტერატურული მოვლენები: 1) ხალხოსნური მიმართულება და მისი წარმომადგენელნი ქართულ ლიტერატურაში; 2) ფეოდალურ-კონსერვატორული ლიტერატურა — გადაგვარებული რომანტიზმი და მისი წარმომადგენელნი და 3) „მთის პოეზია“ (ამ ტერმინით პირობით აღვნიშნავთ ე. წ. მთის პოეტების შემოქმედებას) და მისი წარმომადგენელნი.

როგორც ჩვენი შრომის „ახალი ქართული ლიტერატურის“ მეორე ტომში გვქონდა აღნიშნული, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების მეორე პერიოდის (1845—1890 წწ.) მანძილზე კაპიტალიზმის განვითარებისა და მით გამოწვეული სოციალური ცვლილებების საფუძველზე საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამი ძირითადი მოქმედი სოციალური ფენა ჩნდება და ქართულ ლიტერატურაშიც საკმარისად თვალსაჩინოდ მეღავნდება მათი შესაბამისი სამი ლიტერატურული სტილი.

1. ერთი მოქმედი ფენაა საშუალო შეძლებისა და გაღარიბების გზაზე დამდგარი მემამულეები და მათი ახალგაზრდა მოწინავე ნაწილი. ამ ფენამ იგრძნო ახალი ცხოვრების მძლავრი მოწოლა; იგრძნო ძველი ყოფის ნიადაგის მაგარი რყევა; განიცადა შიში, რომ თავადაზნაურობა, როგორც კლასი, ახალი ეკონომიური ფაქტორის (კაპიტალიზმის) განვითარების გამო, წაილეკება, დაიღუპება; რწმუნდება, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ბრძოლა უკვე შეუძლებელია, მასთან შეთანხმება საჭიროა და ამიტომ ცდილობს შეეგუოს მას. ამ მსოფლმხედველობის გამომსახველნი არიან ე. წ. თერგდალეულთა სახელით ცნობილი მწერლები, რომელთაც გაითვალისწინეს კაპიტალი-

ზმის განვითარების აუცილებლობა და მასთან შეზრდის ნაკლები მტკივნეული გზის გამონახვას შეეცადნენ. მხოლოდ ამ გარემოებით შეგვიძლია ავხსნათ, რომ თერგდალეულები ლიტერატურასა და კრიტიკა-პუბლიცისტიკაში გამოდიან რეალიზმის უტილიტარული ტენდენციებით.

ჟანრის მხრით თერგდალეულნი ავითარებენ: კომედიას, სატირას, სოციალურ მოთხრობას, ისტორიულ პოემას, იგავ-არაკს, ფელეტონს.

ამ მიმართულებას ქართულ ლიტერატურაში იწყებენ გ. ერისთავი, მ. თუმანიშვილი, ლ. არდაზიანი, 60-იანი წლებიდან კი ავითარებენ ე. წ. თერგდალეულნი, რომელთა შორის მალე სხვადასხვაობა იჩენს თავს. ესენი არიან: ილ. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გ. წერეთელი, რაფ. ერისთავი, გ. ჭალადიდელი; პუბლიცისტიკაში: ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ვ. თულაშვილი, დავ. ყიფიანი და სხვანი.

2. კაპიტალიზმის განვითარება თანდათან მედგრად არღვევს ბატონყმურ ბორკილებს. გლეხი თანდათან ითავისუფლებს თავს ბატონყმობის უღლისაგან; აწყობს აჯანყებებს, რომელთაც, თუმცა ხშირად სტიქიური ხასიათი ჰქონდათ, მაგრამ გლეხთა რეფორმის გატარებისათვის კი გადამწყვეტი როლი ითამაშეს. ამ ამოძრავებული გლეხობის განწყობილების გამომხატველია ე. წ. „რაზნოჩინეცი“.

50-იანი წლების მიწურულში სამწერლო ასპარეზზე გამოდის ხალხის წრიდან გამოსული „რაზნოჩინეცი“ დან. ჭონქაძე, რომელიც ხალხის სულიერ განწყობილებასა და მისი ცხოვრების სინამდვილეს, მის ბატონყმობასთან შეურიგებელ ბრძოლასა და ადამიანური ცხოვრების დაუშრეტელ ნდომას რეალურ ფერებში გვიხატავს „სურამის ციხეში“.

დან. ჭონქაძის სახით ქართულ ლიტერატურაში ასე მძლავრად პირველად იჭრება ხალხი და მისი შემოქმედება. ამ მიმართულების გამგრძელებელი XIX საუკუნის მეორე ნახევარში წვრილბურჟუაზიული ხალხოსნური მწერლობაა (მ. ასათიანი, ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, ზაქ. გულისაშვილი და სხვანი) და წვრილბურჟუაზიული ხელოსნური მსოფლმხედველობის გამომხატველნი, ხოლო პუბლიცისტიკაში: ნ. ინაშვილი, ანტ. ფურცელაძე, ნ. ხიზანაშვილი, სტ. ჭრელაშვილი და სხვანი. გლეხი და მისი გაჭირვებული მდგომარეობა, გლეხზე ზრუნვა, მომავალი ცხოვრებისათვის მისი მომზადება — აი ძირითადი საკითხები ამ მწერლებისა. დან. ჭონქაძე და მისი გამღრმავებელნი — ხალხოსანი მწერლები ჩვენს ლიტერატურაში ობიექტურად გამომხატველნი არიან კაპიტალიზმის ამერიკული გზით განვითარებისა.

ეს მწერლები ლიტერატურაში ავითარებენ წვრილბურჟუაზიულ რეალიზმს, ხოლო ჟანრის მხრით ძირითადად — სოციალურ რომანს ან მოთხრობას, ნარკვევს, ავტობიოგრაფიულ მოთხრობას.

70—80-იან წლებში ქართული ლიტერატურის განვითარებაში თავს იჩენენ ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და სხვანი.

ეს მწერლები ქართულ ლიტერატურაში უახლოვდებიან ხალხოსანი მწერლების მიმართულებას და ძირითადად ავითარებენ რეალიზმს. ესენი მთის პირობებში შექმნილი წვრილბურჟუაზიული-გლეხური მსოფლმხედველობის ამსახველნი არიან. ამ მიმართულებას, ზოგიერთი თავისებურების გამო, პირობით ვუწოდებთ მთის პოეზიას.

ჟანრის მხრით ესენი ძირითადად ავითარებენ: მოთხრობას, პოემას, სიმღერას.

3. თავადაზნაურობის მეორე ნაწილი (მსხვილი მემამულეები) განაგრძობს ძველი მსოფლმხედველობის, წყობისა და ტრადიციების უპირატესობის აღიარებას; გრძნობს ეკონომიურ რღვევას, ნიადაგგამოცლილობას; ძველს ეჯაჯგურება; ფერცვლილი ცხოვრების მოთხოვნილებებს ალღოს ვეღარ უღებს, წარსულის ლანდებში მძიმე ტკივილებით დასცურავს. ეს მწერლები ძირითადში ავითარებენ რომანტიულ მოტივებს და რომანტიულ სტილს, ამასთანავე ისინი საგრძნობლად ამჟღავნებენ სინამდვილესთან მისვლის სურვილს. მაგრამ სინამდვილის სწორ გაგებას ვერ ახერხებენ, რადგანაც სათანადო ალღო აღარა აქვთ. მათი ლიტერატურული სტილი მაჩვენებელია რომანტიზმის სტილის დაშლისა, გადაგვარებისა, რომელსაც რეალიზმის ნიშნებიც ახასიათებს. ესენი არიან — ალ. ორბელიანი, ვახტ. ორბელიანი, მამია გურიელი, დ. ერისთავი, გრ. აბაშიძე და სხვანი.

ჟანრის მხრით ესენი ლიტერატურაში ავითარებენ: ელეგიას, რომანტიულ პოემას, პატრიოტულ დრამას, ოდას.

აღნიშნული სამი სოციალური ფენის ლიტერატურული მიმართულებისაგან პირველი, ე. წ. თერგდალეულთა ლიტერატურული მოღვაწეობა, ხასიათი და მნიშვნელობა „ახალი ქართული ლიტერატურის“ II ტომში განვიხილეთ. დანარჩენ ორ თანაარსებულ ლიტერატურულ მიმართულებათა განხილვა განზრახული გვქონდა მკითხველისათვის წინამდებარე წიგნში მოგვეცა.

მაგრამ, ვინაიდან წიგნის მოცულობა ძალიან გაიზარდა, გადავწყვიტეთ ჩვენი შრომის მესამე ტომი გაგვეყო ორ დამოუკიდებელ ნაწილად.

პირველ, წინამდებარე ნაწილში მკითხველს ვაძლევთ ზევით აღნიშნულ თანამიმდევრობის მიხედვით შემდეგ სპეციალურ თავს: „ხალხოსნური მიმართულება და მისი წარმომადგენელნი ქართულ ლიტერატურაში“. დანარჩენი თავები კი შევა შემდეგ ტომში, რომლის დაბეჭდვაც უახლოეს მომავალში გვაქვს განზრახული.

1935 წ.
4 ივნისი

მ. ზ.

ნაწილი პირველი

ხალხოსნური მიმართულება ქართულ ლიტერატურაში

ხალხოსნები და მათი მისწრაფებანი

I

XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, რაც ჩვენი შრომის „ახალი ქართული ლიტერატურის" წინა ტომებშიც ფართოდა გვაქვს განმარტებული, მეტად თავისებურად მიიმართებოდა. მისი ეკონომიური, სოციალური და კულტურული ინტერესი XIX საუკუნის დასაწყისიდანვე „გაევროპიელებისაკენ" მძლავრად მიტრიალდა და ახალ ცხოვრებას დაეწაფა. ისტორიამ საქართველოს ახალი გზა რუსეთს დაუკავშირა. კაპიტალიზმის განვითარებით ამოძრავებული რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას დარღვეული, ჯერ კიდევ ფეოდალური საქართველოც გაჰყვა. საქართველომ რუსეთთან ერთად იწყო ძველის გამოგლოვება, ახლის ძიება. ისტორიულ ცხოვრებას განვითარების აჩქარებული ტემპი განსაკუთრებით დაეტყო რუსეთში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების შემდეგ. ამ გარემოებამ ძველი ფეოდალური ყოფის განადგურების საკითხი საბედისწეროდ დააყენა. სამრეწველო კაპიტალიზმის ამოქმედებამ საქართველოსაც მძლავრად ჩასჭიდა თავისი ხელი და რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო კალაპოტისაკენ ძალუმად გაიტაცა. ახალ საფეხურზე აყვანილმა ახალი ეკონომიური ფაქტორის განვითარებამ ძველი ფეოდალური საქართველოს დასუსტებული ორგანიზმი ადვილად დაიმორჩილა. მწვავედ დაისვა საკითხი განვითარების ახალი გზის გამონახვისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი შინაარსის ძიებისა. ამ ნიადაგზე ჩნდება გაბატონებულ კლასში

მოწინააღმდეგე შიდა ფენები, იწყება ძველსა და ახალ თაობებს შორის შეურიგებელი ბრძოლა, ე. წ. „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა, ამ ნიადაგზე გაიშალა თერგდალეულთა საგულისხმიერო მოღვაწეობა.[1]

ამ საკითხის გამწვავებას და გაღრმავებას ვხედავთ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, რაც საქართველოში, შედარებით რუსეთთან, ცოტა მოგვიანებით (1864—1867 წწ.) გატარდა.

ამ რეფორმამ გლეხკაცობას არამც თუ სასურველი მდგომარეობა არ შეუქმნა, არამედ მათი ცხოვრების პირობები პირველ ხანებში საგრძნობლად დაამძიმა კიდეც. საგლეხო რეფორმამ გლეხებს მრავალ შემთხვევაში ჩამოართვა მიწები, რომლებიც აქამდე მათ ხმარებაში იყო და მით უფრო გაამწვავა მათსა და მემამულეთა შორის ურთიერთობა. რეფორმის შემდეგ მთელი თავისი ცხოვრების სიმძიმით გლეხი დარჩა კაბალურ დამოკიდებულებაში მემამულისაგან.

ცნობილია, რომ „დიდმა რეფორმებმა“ იმედი გაუცრუეს არა მარტო გლეხებს, არამედ აგრეთვე საზოგადოების მოწინავე ნაწილს. მთავრობის მიერ დეკლარირებული გლეხკაცთა და ერობათა თვითმმართველობა, თავისუფალი ბეჭდვა და დამოუკიდებელი სასამართლო ფიქცია აღმოჩნდა. „დიდმა რეფორმებმა“ ოდნავაც კი ვერ შეძლო საზოგადოებაში აღძრული თვითმოქმედების სურვილის დაკმაყოფილება.

ხსენებული რეფორმის გატარებას საფუძვლად ედვა კაპიტალისტური ურთიერთობის თავისუფალი განვითარებისათვის რუსეთში ფართოდ კარის გაღება. მაგრამ, ვინაიდან, ერთი მხრით, თავადაზნაურული და ბიუროკრატიული მმართველობა, რომელიც ჯერ კიდევ განაგრძობდა თავადაზნაურობაზე დაყრდნობას, მძლავრი აღმოჩნდა, ხოლო, მეორე მხრით, ბურჟუაზია — სუსტი, რადგანაც რუსეთში შექმნილი სოციალური პირობების გამო, ეკონომიურად განადგურებული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი — გლეხკაცობა შინაგანი ბაზრის შესაქმნელად გამოუსადეგარი იყო, რადგანაც მოთხოვნილებას სიღარიბის გამო ვერ დაიკმაყოფილებდა, ეს გარემოება შინაგანი ბაზრის გაფართოებას აყოვნებდა. ამას გარდა, დიდი იყო უცხო კომერციის კონკურენცია, რომლის მოწესრიგებაც მთავრობას ძალიან უძნელდებოდა. სავაჭრო-სამრეწველო წამოწყებათა გარეშეც ჰქონდა კაპიტალს ფართო ასპარეზი თავისი გამოყენებისა: კუსტარული და შინამრეწველური წარმოების საშუალებით ზარალის ნაკლები შიში ჰქონდა და დიდ მოგებასაც ჩვეულებრივ ყოველთვის იღებდა. ამით აიხსნება, რომ რუსეთის ბურჟუაზია არ ცდილობდა ფართო და რადიკალური ეკონომიური რეფორმის გატარებასა და მით პოლიტიკურ ძალაუფლებაზე გავლენის ხელში ჩაგდებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუ-

---

[1] დაწვრილებით იხ. მ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II.

სეთში მაინც მძლავრად ვითარდებოდა კაპიტალიზმი; ბურჟუაზიის სახით რუსეთის ბიუროკრატიულმა მმართველობამ ახალი მძლავრი დასაყრდენი გაიჩინა.

ამრიგად, ე. წ. „დიდი რეფორმები", თუმცა უძლური და უბადრუკი გამოდგა, მაგრამ ხალხისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა (ქვეყნის კაპიტალიზმის გზით განვითარება და მასთან დაკავშირებული ღრმა სოციალურ-ეკონომიური ცვლილებები უდავო ფაქტი გახდა). აქედან თანდათან უფრო ღრმავდება ის უფსკრული, რომელიც ახალსა და ძველ ქვეყანას შუა გაჩნდა. თანდათან უფრო მწვავდება და გარკვეულ ხასიათს იღებს მჩაგვრელსა და დაჩაგრულს შორის წინააღმდეგობა.

ბატონყმობის გადავარდნის გარდა, ჩვენი ქვეყნის კაპიტალიზაციის სწრაფ განვითარებას ხელი შეუწყო კიდევ შემდეგმა გარემოებამ: რკინიგზის გაყვანამ, ნავთის დამუშავებამ, ტყიბულისა და ჭიათურის შავი ქვის წარმოების დაწყებამ, ფაბრიკა-ქარხნების დაარსებამ როგორც თბილისის, ისე ქუთაისის გუბერნიებში. ყველა ეს მოვლენა, რასაკვირველია, გამოწვეულია რუსეთის სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებით, რომელიც თანდათან შინაურ ბაზარს იპყრობდა და დამორჩილებულ პროვინციაზე დიდ ეკონომიურ გავლენას ახდენდა. ამ ნიადაგზე ჩნდება საქართველოში აღებ-მიცემობის თვალსაჩინო ზრდა. ამ გარემოებას კი მოჰყვა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური რღვევის გართულება. საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ჩნდება ახალი ფორმაციები, ხდება ახალი სოციალური გადანაცვლება. თვით გლეხობაში შეიმჩნევა მეტად თვალსაჩინო და თავისი შედეგებით მეტად საგულისხმო შინაგანი დაჯგუფებანი: დარღვეული გლეხკაცის მეურნეობა და ბიუროკრატიულ-პოლიტიკური სახელმწიფოებრივი აპარატი ხელს უწყობდა გლეხობის დიფერენციაციას. 70-იანი წლების დასაწყისშივე გლეხებს შორის ჩნდება: შეძლებული („კულაკი"), საშუალო შეძლების („მეურნე გლეხი") და უმიწაწყლო გლეხი (ღატაკი — სოფლის პროლეტარი).

აღნიშნულ მოვლენას ვლ. ლენინი თავის ცნობილ შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" ასე ასაბუთებს: „კაპიტალისტურ წარმოებაში შინაური ბაზრის შექმნის საფუძველს წარმოადგენს პროცესი წვრილ მიწათმოქმედთა დარღვევისა — სასოფლო-სამეურნეო მეწარმეებად და მუშებად. თითქმის ყოველი თხზულება რუსეთის გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ რეფორმების შემდგომ ხანაში აღნიშნავს ეგრეთწოდებულ გლეხობის „დიფერენციაციას".

ლენინი, რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში ამ მდგომარეობის დაწვრილებით შესწავლის შემდგომ მიდის ასეთ დასკვნამდე: „შეძლე-

ბული გლეხობა ბევრად უფრო უზრუნველყოფილია ინვენტარით, ვიდრე ღარიბი და საშუალო გლეხობაც კი ...სავსებით ბუნებრივია, რომ შეძლებულ გლეხობას მიწათმოქმედების ტექნიკაც საშუალოზე გაცილებით უფრო მაღალი აქვს (მეურნეობის უფრო მეტი ოდენობა, უფრო ბევრი ინვენტარი, მეტი თავისუფალი ფული და სხვ.), სახელდობრ: შეძლებული გლეხები „თესენ უფრო ჩქარა, უკეთესად სარგებლობენ ხელსაყრელი ამინდებით, უფრო ტენიან მიწაში ჰყრიან თესლს". თავის დროზე იღებენ პურს; გამოზიდვის ერთდროულად ლეწავენ მას და სხვ. ბუნებრივია აგრეთვე, რომ მიწათმოქმედების პროდუქტთა წარმოების ხარჯი კლებულობს (პროდუქტის ერთეულზე) იმდენად, რამდენადაც მატულობს მეურნეობის ოდენობა... გლეხობის უმაღლესი ჯგუფის დასახასიათებლად საჭიროა დავუმატოთ კიდევ დაქირავებული შრომის მნიშვნელოვნად გამოყენება... გადავდივართ დაბალ ჯგუფზე. ეს ჯგუფი შესდგება არამთესველ და მცირემთესველ მეურნეთაგან; ისინი „ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან თავიანთი სამეურნეო მდგომარეობით... როგორც ერთნი, ისე მეორენი ან მოჯამაგირეებად მსახურობენ თანასოფლელებთან, ანდა გარეშე, უმეტეს ნაწილად იმავე სამიწათმოქმედო სამუშაოს ეწევიან... დგებიან სოფლის პროლეტარიატის რიგებში... სოფლის პროლეტარიატი თავის სამუშაო ძალის გაყიდვასთან ერთად შემოსავალს იღებს თავისი სანადელო მიწის იჯარით გაცემით... ამასთან სოფლის პროლეტარიატის ნადელებს უმთავრესად გლეხური ბურჟუაზია იღებს იჯარით... „სანადელო მიწა ახლა გადაქცეულია ფართო სპეკულაციის საგნად სამხრეთ რუსეთის გლეხობის ცხოვრებაში. მიწაში იღებენ სესხს თამასუქის გაცემით... მიწა იცემა იჯარით ან იყიდება ერთი წლით, ორი წლით და უფრო მეტი ვადით... ამრიგად, გლეხური ბურჟუაზია ამავე დროს სავაჭრო და სავახშო კაპიტალის წარმომადგენელიც არის"[2].

აი, სწორედ, სოციალური რღვევისა და ძვრების ამ საფუძველზე გლეხკაცობაში რუსეთში ჩნდება ის რთული იდეოლოგიური დიფერენციაცია, რომელიც 70—80-იან წლებში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზეც სიცხადით გამომჟღავნდა.

2

რა გზით უნდა წავიდეს ჩვენი ცხოვრება მომავლისაკენ? როგორი გზით უნდა დაიწყოს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა, რომ გაძვალტყავებული ხალხის მასები გაძლიერდნენ? ეს საკითხები მთელი სიმძიმითა და სიმწვავით წამოიჭრა 60—80-იანი წლების სა-

---

[2] ვ. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ., ტ. 3, 1948, გვ. 69 — 75.

ზოგადოების მოწინავე მოაზროვნე ნაწილის წინაშე და დაუყოვნებლივ მოითხოვა რადიკალურად ვადაჭრა.

ამავე საკითხების გაგებამ და გადაწყვეტამ გამოაჩინა დიფერენციაცია ჩვენი მოაზროვნე საზოგადოების რიგებშიც. განსხვავება მათ შორის იმდენად დიდია და არსებითი, რომ ისინი ცალ-ცალკე იკრიბებიან, თავ-თავიანთ ორგანოს აარსებენ და ცხოველ პრინციპულ კამათსაც აწარმოებენ ერთმანეთში.

70-იანი წლებისათვის ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში შემდეგ მთავარ დაჯგუფებებთან გვაქვს საქმე. ერთი ნაწილი ქართველი ინტელიგენციისა, ე. წ. თერგდალეულნი — ილია ჭავჭავაძე, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, აკ. წერეთელი, გრ. თარხან-მოურავი, პ. უმიკაშვილი და სხვანი თავს იყრიან „დროება“—„კრებულის“ გარშემო. მართალია, ზემოაღნიშნული საკითხების გაგება-გადაწყვეტაში მათ შორისაც არის სხვაობა, — ზოგი მარჯვნივ იწევს, ზოგი მარცხნივ, მაგრამ ესენი, როგორც ნიკო ნიკოლაძე გვიმოწმებს, მაინც თითქოს ერთ საერთო პოზიციაზე იდგნენ: „განა ამ სტრიქონების დამწერი, — ახასიათებს ხსენებული თაობის მუშაობას ნიკო ნიკოლაძე, — ყველაფერში ეთანხმება გ. წერეთელს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს ან ს. მესხს? ან განა ესენი ყველაფერში ეთანხმებიან იმას? არა. ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვაზე ჩვენ სხვადასხვა აზრისანი ვართ. მაგრამ ჩვენ საზოგადო მიზანი ყველას ერთი და იგივე გვაქვს და უნდა გვქონდეს. ამ საზოგადო მიზანს ჩვენ ყველანი, ჩვენი ძალისა და ცოდნის მიხედვით, ერთგულად ვემსახურებით“[3].

რა თქმა უნდა, უდავოა, რომ „დროება“—„კრებულის“ თანამშრომელთ, მიუხედავად ინდივიდუალური მსოფლმხედველობის სხვადასხვაობისა, საერთო მიზანიც ჰქონდათ. და ეს მიზანი იყო — ეროვნული საკითხის მოგვარება. „მხოლოდ 1860 წლიდან, — წერს გ. მაიაშვილი, — ჩანს მოძრაობის ნიშნები ჩვენის მიძინებული ქვეყნისა... ეს მოძრაობა იყო ხალხში ახალი ეკონომიური პირობების შეტანის პასუხად. აზრმა გაიღვიძა, სამშობლოსათვის მოღვაწენი გამოვიდნენ საზოგადო ასპარეზზედ, საზოგადო საჭიროებამ მოითხოვა მათი გამოსვლა... მე უარს არა ვყოფ მათს გავლენას ჩვენი ქვეყნის საქმეების მიმდინარეობაზედ. არა, იმათ მისცეს მიმართულება და სახე მოძრაობას... მათის მოღვაწეობის წყალობით, მათის დაუღალავის და კეთილშობილურის მუშაობის მეოხებით მოძრაობას ფერი დაედო, მაგრამ... გაკვადნიერდები და ვიტყვი, რომ, ცოტა არ იყოს, იმათვე მოქმედების

---

[3] ნ. ს კ ა ნ დ ე ლ ი (ნ. ნიკოლაძე), ახალი ახალგაზრდობა, „კრებული“, 1873 წ. № 1.

წყალობით მოძრაობამ მიიღო ერთგვარი ხასიათი, მეტისმეტი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, — კულტურული და მხოლოდ მცირედ ხალხოსნური"[4].

უნდა ითქვას, რომ „დროება"—„კრებულის" თანამშრომლებმა, მართლაც, ეროვნულ საკითხს მიაქციეს განსაკუთრებული ყურადღება, და უფრო ეროვნულ-კულტურული მუშაობისაკენ მიმართეს თავიანთი ძალები. თერგდალეულთა მოღვაწეობის ასეთი შეფასება ჩანს „დროების" რედაქტორის ს. მესხის მიერ „დროების" ათი წლის (1876 წ.) თავზე წარმოთქმულ სიტყვებშიც: „ძალიან კარგათ მესმის, — მიმართავს დამსწრე საზოგადოებას ს. მესხი, — რომ კერძოდ მე-კი არ მიცხადებთ ამ თანაგრძნობასა, არამედ უცხადებთ იმ დროშას, რომლის ქვეშ დღეს ყველანი შეკრებილნი ვართ აქ. ეს დროშა მარტო ერთს გაზეთს, ან რომელსამე მიმართულებას ანუ თაობას-კი არ წარმოადგენს! ამ დროშაზე არ აწერია არც ბატონი, არც გლეხი, არც ახალი და არც ძველი თაობა, — ეს არის დროშა ქართულის ლიტერატურისა (ე. ი. ქართული აზროვნებისა, ქართული ეროვნული საქმისა. — მ. ზ.). შესაძლებელია, — და არა თუ შესაძლებელი, უეჭველიცაა, რომ ზოგს თქვენგანს არ აკმაყოფილებს „დროება" და იმის მიმართულება! ზოგი თქვენგანი ახალს მოდგმას, ახალს თაობას ეკუთვნის და ზოგი ძველსა. მაგრამ, როდესაც ჩვენს საზოგადო ქართულს ლიტერატურაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინ ამგვარი გარჩევა აღარ უნდა იყოს, მაშინ ჩვენ ერთის მიწის შვილნი, ენისა და ლიტერატურის მოყვარენი ვართ"[5].

თერგდალეულების მოღვაწეობა, მიუხედავად მათი შინაგანი სხვადასხვაობისა, ხანდახან მათ მიერ თვით რადიკალური იდეების წამოყენებაც კი, რომელთაც ხშირად განყენებული ხასიათი ჰქონდათ, ჩვეულებრივ ეროვნულ-კულტურული მიმართულების საქმიანობაში ითქვიფებოდა. ესენი ასოციაციებისა და ამხანაგობების თეორიებითაც ხშირად სარგებლობდნენ ეროვნულ-კულტურული განვითარების მიზნით, რათა ხალხში ფართოდ გაეტანათ გაგება ეკონომიური ცხოვრების გაძლიერებისა და გზის გაფართოების აუცილებლობისა.

„იცხოვრეთ ძმურად, თანხმობით, ნუ იქონიებთ ერთმანეთ შორის შურსა და უკმაყოფილებას და მტერი, ხუთჯერ თქვენზე ძლიერიც რომ იყოს, ვერ მოგერევათ თქვენ" — აი სასიქადულო და სანუკველი ოცნება თერგდალეულთათვის, აი ჩვეულებრივი ლოზუნგი, რომელსაც ისინი ყოველთვის აყენებდნენ. და ს. მესხიც ამ აზრს ასე განმარტავს—

---

[4] გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, წერილი ჩვენ საზოგადო მოღვაწეთა მიმართ, „იმერია", 1882 წ., №№ VII—VIII, გვ. 116.

[5] ს. მ ე ს ხ ი, ნაწერები, ტ. I, გვ. 345.

„რა კარგი იქნებოდა, რომ ეს ბრძნული სიტყვები მუდამ გვახსოვდეს ჩვენ და დარიგებისა თანახმად ვიქცეოდეთ! რა კარგი იქნება, რომ ჩვენ ერთმანეთში უფრო მეტი თანხმობა და ძმური სიყვარული გვქონდეს“[6].

თერგდალეულნი, როგორც ჩვენი შრომის მეორე ტომში დაწვრილებით გვაქვს განმარტებული, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ეროვნულ-კულტურულ მუშაობაში ჩაებნენ. ისინი დარჩნენ რადიკალ-დემოკრატებად. ისინი გატაცებულნი იყვნენ ევროპის ქვეყნების მდგომარეობით, რომელიც, წარმოებისა და მრეწველობის განვითარების გამო, ჩქარი ტემპით მიდიოდა წინ. ამიტომ თერგდალეულნი ცდილობდნენ ევროპის ცხოვრებისათვის თვალყური ედევნებინათ. ისინი ცდილობდნენ გაეცნოთ, მკითხველისათვის აეხსნათ და მიეთითებინათ მისი ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებებზე. ამით ისინი ერთგვარ აგიტაციას ეწეოდნენ ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში მათი გადმონერგვის სასარგებლოდ. ისინი საქართველოს „გაევროპიელების“ გზას უწყობდნენ ხელს, როგორც ამას არაერთხელ აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძეც.

1866 წლიდან თერგდალეულებს აღარ ახასიათებთ სოციალურ საკითხებში ის ბრძოლის ჟინი, რომელსაც ისინი 1861—1864 წლებში ამჟღავნებდნენ ბატონყმობის წინააღმდეგ. განსაკუთრებული ენერგიითა და ყურადღებით თერგდალეულები, როგორც ტიპიური განმანათლებლები, ბრძოლას აგრძელებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ქვეყნის კულტურული აღორძინების ფრონტზე, რაც მათ სიკვდილამდე არ შეუნელებიათ. ეს აშკარავდება 80-იანი წლებისათვის, როდესაც „დროება“ და „ივერია“ ერთმანეთს ხელს უწვდიან და, ბოლოს, შეერთდებიან კიდეც.

70-იანი წლებისათვის, როდესაც წინააღმდეგობა მემამულეთა და გლეხთა შორის მწვავდება, კლასთა შორის ბრძოლა დარაზმულობას თხოულობს, თერგდალეულთა საზოგადოებრივი ცხოვრების თანდათანობითი წინმსვლელობის სურვილები არ აკმაყოფილებს ჩვენი ინტელიგენციის ერთ ფრთას, შეიძლება უფრო მცირეს, მაგრამ უფრო რადიკალურად განწყობილს. სწორედ 70-იანი წლების უღელტეხილზე (1869 წელს) ამ ჯგუფმა დააარსა ჟურნალი „მნათობი“.

თავის მოწინავე წერილში ჟურნ. „მნათობის“ რედაქცია აცხადებს, რომ „საქართველოს მოამბის“ შემდეგ ქართველ საზოგადოებას ჯერ კიდევ არა აქვს დამაკმაყოფილებელი ჟურნალი, რომლის საშუალებითაც შეეძლოს ფართოდ გაიტანოს ხალხში მისთვის სასარგებლო იდეები.

---

[6] ს. მ ე ს ხ ი. ნაწერები, ტ. I, გვ. 5.

„მნათობი“, თითქოს „დროება“ — „კრებულთან“ დაპირისპირების სახით, თავის დევიზად აცხადებს ხალხთან დაახლოებას, ხალხისა და მის გათვითცნობიერების სამსახურს. „ჩვენი დრო, — აცხადებს ნ. ინაშვილი საპროგრამო წერილში, — არის კრიტიკული დრო; ჩვენ ვცხოვრობთ ძველსა და ახალს შუა. ძველი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, მაგრამ ახალი გზა კი ჯერ არ გაგვიკვლევია. ჩვენ უნდა ვეცადოთ გავუნათლოთ ხალხს მსვლელობის გზა გონებითი, ზნეობითი და ნივთიერებითი წარმატებისათვის... ამისათვის არის კიდეც საჭირო ჟურნალი, რომ იმან შეიყვანოს ხალხი თავის ცნობაში, ახსნას და შეიმუშაოს ის კითხვანი, რომელნიც ყველაზე მომეტებულად შეეხებიან ხალხის ცხოვრებას, მის კეთილდღეობას და სხვა“[7].

მართლაც, „მნათობის“ გარშემო შემოკრებილი იყო იმ დროისათვის რადიკალურად, უფრო თავისუფლად მოაზროვნე ნაწილი ქართველი საზოგადოებისა, სახელდობრ: ნ. ინაშვილი, მ. ქიქოძე, ან. ფურცელაძე, დიმ. ჯანაშვილი და სხვანი. ჟურნალ „მნათობს“ წერილებიდან აშკარად ჩანს, რომ მას არა მარტო მძლავრი სურვილი აქვს ხალხთან ახლო მივიდეს, არამედ გარკვეულიცა აქვს საშუალებანი, როგორ უნდა ემსახუროს მის ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეს, რა საშუალებით შეიძლება ასწიოს ხალხის კულტურული დონე.

„ბუნების მეცნიერების ნაწილში, — წერს ნ. ინაშვილი რედაქციის სახელით, — ისეთი სტატიები იქნებიან დაბეჭდილნი, რომელნიც შეიცავენ თავისში კაცის სხეულის აგებულებისა და მისი შინაგანი ცხოვრების აღწერას. ამავე ნაწილში იქნება ბუნების მოვლენების აღწერა, მათი მიზეზები, მნიშვნელობა, ხალხზედ გავლენა და საზოგადოდ იმგვარი სტატიები, რომელნიც ამოფხვრიან ხალხში ცრუ და ამაო მორწმუნებას. აქვე დავბეჭდავთ გიგიენურ სტატიებს, ანუ იმგვარ სტატიებს, რომელთაც საგნათ ექნებათ კაცის კარგამყოფობა და ხანგრძლივი სიცოცხლე: აგრეთვე ყმაწვილების მოვლა და გაფრთხილება... სხვადასხვა საგნის შესახები სტატიების ნაწილში ისეთს სტატიებს დავბეჭდავთ, რომელთაც საგნათ ექნებათ: ჩვენი ცხოვრების აწმყო მდგომარეობა და მიმართულება მისი გაუმჯობესებისათვის საჭირო მოთხოვნილებანი“[8]. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალ „მნათობში“ ამ მიმართულებით იწერება სტატიების მთელი რიგი.

„მნათობისა“ და „დროება“—„კრებულის“ მიმართულებათა შორის განსხვავება აშკარაა და თვალსაჩინო, თუმცა იდეოლოგიური მხრით მათ შორის გამიჯვნა ჯერ კიდევ არ არის გარკვეული. „მნათო-

---

[7] „მ ნ ა თ ო ბ ი“. 1869 წ., № 2, გვ. 5.
[8] „მ ნ ა თ ო ბ ი“, 1869 წ., № 1.

ბის“ თანამშრომელთა მსოფლმხედველობა ჯერ კიდევ მერყეევია, არ არის სათანადოდ გარკვეული თავის ახალ გზაში და მიმართულებაში. „დროება“—„კრებულის“ მიმართულება და თანამშრომელთა ბანაკი უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე „მნათობისა“. „მნათობის“ გამოცემა მალე შეწყდა, მისი საგრძნობი ნაწილი „დროება“—„კრებულის“ მიმართულებაში გაითქვიფა, ᲐᲘუხედავად ნ. ინაშვილის განცხადებისა, რომ „მნათობის რედაქცია თავის ჩასახვიდან აქამომდე ᲰᲒრძნობს ძალიან უხერხულ გარემოებას, მაგრამ მაინც მტკიცედ არის თავის საქმეზედ, ერთი ორის სულით მახინჯის აზრი და წინააღმდეგობა ისე შეიმუსრება იმის სიმტკიცეზედ, როგორც ზვირთები შეიმუსრებიან ხოლმე კლდეზედ“[9].

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „მნათობის“ დაწყებული საქმე: ხალხთან ახლო მისვლა, მისი აწმყო ცხოვრებისათვის ზრუნვა, ხალხის კულტურული და ეკონომიური ცხოვრების გაცნობა-შესწავლა და მისი მომავლის მოწყობა უფრო გარკვეულ მსოფლმხედველობაში და მიმართულებაში ყალიბდება 80-იანი წლების დასაწყისშიეე.

გიორგი მაიაშვილი, ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი 70—80-იან წლების მოწინავე ახალთაობისა, თავაზიანობით, მაგრამ გამიჯვნის გარკვეული მიზნით, ასე მიმართავს „დროება“ — „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ თანამშრომლებს: „თქვენი მოქმედება, ბატონებო, ძლიერ პატივსაცემია, თქვენი ღვაწლი ყველასათვის ცხადია, ჩვენცთანავუგრძნობთ მას. მაგრამ ამასთანავე ჩვენის მხრით დიდი უზრდელობა იქნებოდა თქვენის წმინდა განზრახვათა წინაშე დაგვემალა თქვენთვის, რომ ის კითხვები და საგნები, რომელთაც თქვენ ეხლა სულითა და გულით მისცემიხართ, ჩვენ უსაჭიროეს და არსებით საგნებათ არ მიგვაჩნია: ღაღადება სკოლებში ქართული ენის შემოღებაზედ, სახალხო სკოლების დაფუძნებაზედ, ქართულის თეატრის გამართვაზედ, სასარგებლო წიგნების გამოცემაზედ, ჩვენის ენის განვითარებასა და გამშვენიერებაზედ და სხვადასხვა. და ყოველივე ესენი ძლიერ საჭირონი და თანაგრძნობის ღირსნი საგნები არიან. მაგრამ ამ საგანზედ გაჩერება, მათ გარშემო ტრიალი და მასთანვე კმაყოფილებით ძახილი, რომ მხოლოდ ამაებზედ არის დამყარებული ჩვენი ქვეყნის ბედნიერებაო, იმასა ნიშნავს, რომ თქვენ მოქმედების პროგრამაᲐ ჯერ კიდევ არა გქონიათ შემუშავებული და მტკიცე ნიადაგზე დამყარებული. ეს მიუტევებელი ცოდვა გახლავთ თქვენთვის. არც ერთ წრეს ხალხის ბელადთა, რომელსაც კი სურს შეიქმნეს ᲰᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ გამომეტყველი და წარმომადგენელი. თვის ქვეყნის ინტერესებისა, არ ექნება მომავალი, თუ რომ იგი განზრახ ან გაუგებრობით უქცევს გზას ეკონომიური საგნების ახსნას და გადაწყვე-

---

[9] „მ ნ ა თ ო ბ ი“, 1869 წ., № 2, გვ. 5—6.

ტას, რომლების გამოსარკვევადაც იბრძვის ეხლა ყველა თანამედროვე პარტიები, მთელი კაცობრიობა"[10].

გ. მაიაშვილი კარგად იცნობს „ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა" მოქმედებასა და მიმართულებას, იცის, რომ იმათ მოქმედებაშიცაა ჩაქსოვილი კაცობრიობის ახლანდელი ბრძოლის, საქმიანობის საჭირბოროტო საკითხები. მაგრამ მან ისიც კარგად იცის, რომ ამ საკითხთა გადაწყვეტას მათ თავი ვერ გაართვეს. გ. მაიაშვილი ცდილობს თერგდალეულთ უჩვენოს მოღვაწეობის ჭეშმარიტი დასაყრდენი ბაზა, რომელსაც მათ ვერ მიაგნეს. „არ შეიძლება, — მიმართავს თერგდალეულთ გ. მაიაშვილი, — რეფორმა მოახდინო რომელისამე საზოგადოების ცხოვრების ნაწილისა, თუ იგი უცნობია და გამოურკვეველი. ამისათვის არის საჭირო სვინდისიერი და ყოველმხრივი შესწავლა ხალხის ეკონომიურის ცხოვრების ყოველ მხარეთა. მხოლოდ ამგვარ შესწავლაზე დამყარებით შეიძლება დაასკვნა ესა თუ ის დიდი აზრი, გამოიკვლიო ხელმძღვანელი პრინციპი და გზის მაჩვენებელი ნათელი ჭეშმარიტი, რომლის შემწეობით შესაძლებელი იქნება მოიპოვოს კაცმა ზომანი და ღონისძიებანი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, დამაშვრალ და ტანჯულ მშრომელთა გაჭირვების და უილაჯობის ცრემლების მოსაწმენდათ. მართლაც, ვიცით განა ცოტა მაინც წესიერად ეხლანდელი მდგომარეობა ხალხისა? შეგვიძლიან ვუჩვენოთ უახლოესი მიზეზნი ხალხის წუხილისა, გაჭირვებისა და გაღარიბებისა? მეტისმეტად უსასოობაა ჩვენში შესახებ ამგვარ წყაროთა და მასალათა"[11].

გ. მაიაშვილი თავის იმ დროისათვის მეტად საგულისხმიერო სტატიაში, გამონახავს რა მომავალი ცხოვრების მშენებლობისათვის ახალს, დასაყრდენ ნიადაგს, საჭიროდ თვლის დაწვრილებით იქნას შესწავლილი ჩვენი ხალხის ეკონომიური ცხოვრება და მისი ზნე-ჩვეულებანი: ხალხის — გლეხობის ოჯახური და საზოგადოებრივი (თემური) ცხოვრება, მის წევრთა იურიდიული მდგომარეობა და უფლება. ამისათვის ის იძლევა „შემოქმედების პროგრამასაც", რომელსაც უმთავრესად გლეხის, ვაჭრის, ამქრისა და ბოგანო პროლეტარიატის ეკონომიური საკითხების გამორკვევის ხასიათი აქვს. უნდა კი აღინიშნოს, რომ ხსენებულ წერილში დებულებები კონკრეტულობით არ არის წამოყენებული. გ. მაიაშვილი თავის ცნობილ სტატიას ათავებს მისთვისა და მის თანამოაზრეთათვის ასეთი დამახასიათებელი მოწოდებით: „შევაწყოთ და შევუთანხმოთ ჩვენი ნაწერების ხასიათი და მიმართულება ხალხის ინტერესებს და მოთხოვნილებათა, ვისწავლოთ და განვვითარდეთ ხალხ-

---

[10] გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ, „იერია", 1882 წ., №№ VII—VIII, გვ. 99—100.

[11] ი ქ ვ ე. გვ. 101—102.

თან ერთად, მასთან ერთადვე შევიმუშავოთ საზოგადოებრივი იდეალები, რომელნიც მხოლოდ ხალხის მიერ მიიღებენ უაღრეს ძალას და შეიძლებენ ყოველგვარ ბრძოლისა და დევნის ატანას"[12].

აი სწორედ ეს „ხალხოსნური" მიმართულებაა საფუძველი იმ ახალგაზრდა ჯგუფისა, რომელმაც 80-იანი წლების დასაწყისშივე თავი შემოიკრიბა ჟურნალ „იმედის" გარშემო და მოინდომა მათგან გამიჯვნა. „მათი (ე. ი. აზნაურული პერიოდის[13] (1860—1881) მწერლობისა. — მ. ზ.) დიდი ნაკლულევანება,—წერს „იმედის" ერთი ბურჯთაგანი სტ. ჭრელაშვილი „იმედის" საპროგრამო წერილში, — იმაში მდგომარეობს, რომ თავიანთ ნიჭიერებასთან და სწავლასთან სრულებით ავიწყდებოდათ დროება, გარემოება და ადგილი... მთელი ხალხი სწყდებოდა შიმშილითა და უმოსავლობითა, ამ დროს ჩვენი მწერლები გაცხარებული ბაასობდნენ ტიერზე და გიზოზედ; ხალხს ავიწროებდა და სტანჯავდა ათასნაირი გაცხარებული უსამართლობა მოსამართლეებისაგან, — მწერლები აღტაცებულნი მოგვითხრობდნენ ლუიბლანზე, როშფორებზე და გამბეტაებზე; ხალხი იწვებოდა და იდაგებოდა უთვალავი ხარჯისა და ბეგარისაგან, — მწერლები კი ბოკლისა და დარვინის თეორიების მეტს ვერას პოულობდნენ სალაპარაკოდ; ხალხს უჭირდა დაწყებითი სწავლის მიღება, ჩვენ მწერლებს კი სრულებით დავიწყებოდათ ესა და ელაპარაკებოდნენ ქართველს მკითხველებს მეცნიერებისა და ცხოვრების უკანასკნელ სიტყვებზე"[14].

სწორედ ამ ჯგუფისაგან გამიჯვნა და მასთან წინააღმდეგობა გამოაცხადა „იმედის" ჯგუფმა. დაიწყო ბრძოლა „იმედსა" და „ივერია"-„დროებას" შორის.

„დროების" ფურცლებზე თერგდალეულთა აზრსა და დამოკიდებულებას ახალი ჯგუფისა და მისი ჟურნალისადმი აკაკი წერეთელი ასე გამოხატავს: „ამ დღეებში ჟურნალი „იმედი" გამოხოხორიკდა, და მართლა, რომ ხოხორიკივით არც თავი ეტყობა და არც ბოლო! რაღაც ნამორია გამოუკოპიტებელი, და მისი ხუროები კი იძახიან ეს არის ჩვენი ქვეყნის ბედისწერაო! დღემდის არც მწერლობა ყოფილა, არც მწიგნობრობა და არც ახალგაზრდობაო! ჩვენა ვართ და ჩვენი ნაბადი გამთენებული ღამისო, რადგანაც მისთანა ხელობას ვადგევართ, რომელსაც არც ნიჭი ეჭირვება და არც სწავლა-ხელოვნებაო!...

---

[12] გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი. წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეობა მიმართ, „ივერია", 1882 წ., №№ VII—VIII, გვ. 123.

[13] ეს ტერმინი ეკუთვნის სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ს, ნახმარი აქვს სტატიაში, „ქართული მწერლობა" („იმედი", 1881 წ., № II, სადაც XIX საუკ. ქართული ლიტერატურის ისტორიას ის ყოფს სამ პერიოდად — თ ა ვ ა დ უ რ ი, ა ზ ნ ა ურ უ ლ ი და ხ ა ლ ხ უ რ ი (ხალხოსნური).

[14] სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მწერლობა, „იმედი", 1881 წ., № 1, გვ. 97.

იმე! იმე! იმე! რა ხელობაა იმისთანა, რომელსაც არაფერი არ ეპირვება? უთუოთ ლობიოს ჭამაა!.., და მართლაც, ამ მუშებს ეტყობათ, რომ ლობიოს ოსტატები უნდა იყვნენ. გაბერილან ლობიოთი, ჩაუვლიათ ერთმანეთისათვის ხელი, ერთმანეთს ყურს უგდებენ და აღტაცებაში მოდიან... რაებს არ ამბობენ?!

„არ გახლავარ:თ მდიდრის შვილი,
არც თავადი-, აზნაური-"ო!

ამას ისეთის დატრაბახებით იძახიან, თითქო რამე ღირსება იყოს. თურმე მათის აზრით, ვისაც ან თავადი ჰყოლია წინაპარი და ან აზნაური, მომაკვდინებელი ცოდვა ჰქონია დღეს და მხოლოდ მღვდლის შვილობა საკვირველი რამ ყოფილა, და არც გვცოდნია!.. დახეთ, დღემდის კი ჩვენს თვალში დიაკვნობას მაინცდამაინც დიდი ფასი არა ჰქონია რა და არც რამე გაგვიგონია მათზე შესამჩნევი, გარდა ამ ლექსისა:

„დიაკვანო-, კერასა,
თავი გიგავს ძერასა,
ეი თვალი კი დაუდგა
მაგ შენ კითხვა-წერასა!"[15]

ცხადია, „დროება—ივერიელებს" „იმედის" გამოსვლა არაფრად ეჭაშნიკათ. ცხადია, პირველთ უნდათ მეორეთა მნიშვნელობა და ძალა მკითხველის თვალში დააკნინონ. „დროება-ივერიელთა" ამგვარი სულიერი განწყობილება იქიდანაც ჩანს, რომ ისინი მიმართავენ უღირსი, დამამცირებელი სახელების გამონახვასაც კი. აშკარაა, ბრძოლას ღრმა სოციალური და იდეური საფუძველი აქვს, რასაც არც ერთი მხარე არ მალავს.

აკაკი წერეთელს „იმედის" რედაქტორი მიხ. გურგენიძე ახალი ჯგუფის სახელით საკმარისად მახვილ პასუხს აძლევს: „რატომ უკვირს უფ. აკაკის, — გესლიანი კილოთი წერს მიხ. გურგენიძე, — რომ „მღვდლის შვილები" — „დიაკვნები" სალიტერატურო ასპარეზზე გამოსულან? ეს ხომ უეჭველად ასე უნდა ყოფილიყო. მაშ ვის შეეძლო აკაკისა და მის ამხანაგების ანდერძის აგება! ყოველივე წესის აგება მხოლოდ მღვდელ-დიაკვნებს შეუძლიანთ, და ბედის წერამაც საქმე ისე მოიყვანა, რომ „იმედში", — რომლის დანიშნულებაც არის დასთრგუნოს ყოველგვარი გონებითი, ზნეობითი და მოქმედებითი მახინჯობა, მაშასადამე, მწერლობისაც,—მიიღებენ მონაწილეობას „დროება"—„ივერიისაგან" მოძულებული დიაკვნები"[16].

---

[15] ა კ ა კ ი, ცხელ-ცხელი ამბები. „დროება", 1881 წ., № 44.

[16] მიხ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე, ერთი ჩვენი მწერლობის სენი, „იმედი", 1881 წ., № II, გვ. 100.

ჟურნალ „იმედში“ მოხდა პირველად ჯგუფობრივი გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე ჩვენი „რაზნოჩინეცისა“. ესენი იყვნენ: მიხ. ასათიანი, მიხ. გურგენიძე, სტ. ჭრელაშვილი, ნიკო ხიზანაშვილი, გ. ჭრელაშვილი, გრ. ყიფშიძე, შაქრო (ზ. გულისაშვილი) და მრავალი სხვა. „რაზნოჩინეცები“ „დიაკვნის“ შვილები იყვნენ. „იმედის“ თანამშრომლები თავიანთ ვინაობას და სოციალურ მდგომარეობას რაღაც დაკმაყოფილებისა და თითქოს უპირატესობის გრძნობითაც აშკარად ამჟღავნებენ ჟურნალის პირველსავე ნომერში[17].

არ გახლავართ მდიდრის შვილი,
არც თავადი, აზნაური,
ამის მეტად ჯერედ ხელში
არც მჭერია მე ჩონგური!..
მამა მყვანდა მიწის მუშა,
დედას მე არ მოესწრებივარ!..
დაბრიყვებას, სისაწყლესა
თვის უბეში გაუზრდივარ[18].

და ამ „უენომ დაბრიყვებულმა“, სისაწყლეში გამოზრდილმა მიწის მუშის შვილმა, ტანჯვასა და კვნესაში შეიგნო ჭეშმარიტება და გაემიჯნა იმათ, ვისაც გულით უნდათ „თვალმარგალიტი, ჩინ-აპელატი, მაზედ დადგმული ბედნიერება“. ის იქით არ მიისწრაფვის, რადგანაც, სადაც შეძლებულნი გრძნობენ თავს ბედნიერად, იქ მათი „სული ამოიხრჩობა“. ეს თაობა თერგდალეულებისაგან თავის განსხვავებას როგორც სოციალურს, ისე ფსიქოლოგიურსაც კარგადა გრძნობს. აი რასა წერს ახალი თაობის მისწრაფებათა გამომხატველი „სტუდენტი“ პეტერბურგიდან:

ის ჭია, რაიც თერგის ნაპირზედ
ილიას „მგზავრსა“ გულს უღირღნიდა,
ეხლა სრულიად მე არ მაწუხებს,
ის დრო ჩემთვისა მანდვე წავიდა.

მე ეს კითხვები კარგა ხანია
დამიძლევია, გამომიხსნია!..
ჩემ გულის ბოლმა, თქვენთან საკითხი,
სიტყვა სრულებით სხვანაირია;

---

[17] ჟურნალი „ი მ ე დ ი ს“ გამოცემა ჯგუფს ნდომებია 1879 წლიდან, მაგრამ ვერ მოუხერხებია. როგორც მიხ. გურგენიძის წერილიდან („ერთი ჩვენი მწერლობის სენი“) ირკვევა, ეს მდგომარეობა გამოწვეული იყო ჟურნალის ნებართვის ძალიან დაგვიანებით. მრავალი სტატია, დაბეჭდილი შემდეგ „იმედში“, როგორც წერილების თარიღები გვიჩვენებს, ეკუთვნის 1879 წ. უნდა ვიფიქროთ, რომ ჟურნ. „იმედის“ ჯგუფის მუშაობა დაწყებულა ადრე, არა უგვიანეს 1878 წლისა.

[18] მიხ. ა ს ა თ ი ა ნ ი, შიკრიკი, „იმედი“, 1881 წ., № 1.

მექნება ნება ლაპარაკისა?
ხალხთან საუბრათ მე მიმიშვებენ?
სწორე სიტყვასა სამართლიანსა
განა მისთვისა მათქმევინებენ?[19]

ასეთია რეალური მისწრაფებანი ახალი თაობისა, რომელიც ლამობს გზა ჩამოართვას წინათაობას, თერგდალეულთ და ცხოვრებას ჩაუდგეს სათავეში. მართალია, „იმედის“ გარშემო შემოკრებილ ახალთაობას „არც ხანში შესული და არც მოხუცებული არა სძაგდა განუსაზღვრელი სიძულვილით, ძლიერ ბევრს იმათში პატივსაცა სცემდა“, მაგრამ სწამდა (და ამას ცხოვრების საერთო მსვლელობაც უმტკიცებდა), „რომ საქმის სიყვარული, საქმით გატაცება დავიწყებამდის, საქმის დაწყება და ბოლომდის გატანა შეუძლიან ახალგაზრდობას, ოღონდ-კი იმან მოიწადინოს“[20]. ამიტომ მ. იმედაშვილი (მ. ასათიანი) აღტაცებით მოუწოდებს პეტერბურგელ სტუდენტებს:

სამკალი გვაქვს მეტად დიდი,
მომკლები კი არ გვიჩანან...
. . . . . .
ვისაც გერჯით, მართლა, გული,
სამუშაოდ მოდით აქა!..
წინ დაგხვდებით, შამოგძახებთ:
გამარჯობა და ბარაქა!
კარგ ნაგლეგებთან წაპოღლეთ
ტარიანი მჭრელი ცელი:
ყანას ნარი მორევია
არ დაგაჭრათ რომ მან ხელი![21]

მართლაც, უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში ჩვენი ცხოვრების ყანის სამკალად გამოვიდა ეს თაობა, რომელიც კარგად იცნობდა ჩვენ ცხოვრებაში მორეულ ნარ-ეკალს, კარგად იცნობდა მისი წარმოშობის მიზეზს. ტანჯული ხალხის ცხოვრების წიაღიდან გამოსვლა, მისი პიროებების ზედმიწევნით ცოდნა, სურვილი ცხოვრების ასპარეზზე შეჭრისა, ხალხის ახალი უკეთესი ცხოვრების გზის გაკაფვაში გატაცებით ჩაბმა — აი რა ახასიათებდა ქართველი ხალხოსნების მოწინავე ნაწილს (გ. მაიაშვილს, სტ. ჭრელაშვილს, ნ. ხიზანიშვილს და სხვათ).

ჩვენი ხალხოსნები სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე აღნიშნავდნენ, რომ ისინი სამოქმედო სარბიელზე ახალი მიმართულებების, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი გზის გამონახვისათვის გამოდიან. ჟურნალ „იმედის“ გარშემო შემოკრებილი ხალხოსანთა ჯგუ-

---

[19] მიხ. ასათიანი, შიკრიკი, „იმედი“, 1881 წ., № 2, გვ. 54.
[20] მისივე, შიკრიკი, „იმედი“, 1881 წ., № 2, გვ. 55.
[21] მისივე, შიკრიკი, „იმედი“, 1881 წ., № 1, გვ. 56—58.

ფი თავის ორგანოს ფურცლებზე არაერთხელ აღნიშნავს, რომ ის ახალი ცხოვრების მქადაგებელია, ცხოვრების ახალი ფორმების მაძიებელია. ეს ჯგუფი ამაში ხედავს ერთ-ერთ მთავარ განსხვავებას თავისსა და „ივერია“ — „დროებას“ შორის. მაგალითისათვის: 1881 წელს თბილისში მოწყობილმა არქეოლოგიურმა ყრილობამ ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და მათ წარმომადგენელთადმი სათანადო ყურადღება არ გამოიჩინა. „იმედი“ ამ შემთხვევაშიც სარგებლობს და აი რასა წერს: „ახალ ჟურნალსა და გაზეთს — „იმედსა“ და „შრომას“ თავი დავანებოთ, თუ გნებავთ, რადგანაც ესენი მაინც და მაინც ძველს მაგდენათ არა სწყალობენ და ქადაგებენ, რომ საქმე სისხლშია და არა ძვალშიო, სიცოცხლეში და არა სიკვდილშიო, აწმყო მომავალში და არა წარსულშიო; მაგრამ „დროებამ“ და ივერიამ“ რაღა დაუშავეს იმათ, რომ ჩირადაც არ ჩააგდეს. ნუთუ ამ ჟურნალ-გაზეთის თანამშრომლები, რომლებიც იმდენად „ყოველივე ძველის“ თაყვანისმცემლები არიან, რომ სურთ კიდეც ხელი მიაფარონ მას და დაიხსნან ის ახალი თაობის ავი თვალისა და ენისაგან, ღირსნი არ იყვნენ არხეოლოგებისაგან კეთილ მოხსენებისა?!“ ეს წერილი, ვინმე ეკალაძისა, მთავრდება ლექსით, რომელშიც აშკარადაა გამოთქმული „იმედის“ ახლისკენ მისწრაფება: „მათ (ე. ი. ახალ თაობას, მოწინავე ნაწილს. — მ. ზ.) ვეძახით ამ უსტარით.

ვიწვევთ ყველას დაგვეხმაროთ,
ვდევნოთ იგინი ისარით,
მით მომავლისკენ გზა ვკაფოთ“[22].

ჟურნალ „იმედის“ თანამშრომლებს კარგად ესმით, რომ „ახალი ჩვეულება, რომელმაც უნდა განაგდოს ძველი, ვერ მოთავსდება ძველ ჭურჭელში“. ეს გარემოება აუცილებლივ იწვევს ბრძოლას ძველსა და ახალს შორის. „იმედის“ თანამშრომლებს კარგად ესმით, რომ „ეს ბრძოლაც არ არის ადვილი საქმე, როდესაც, მაგის გარდა, — წერს სტ. ჭრელაშვილი, — საბრძოლი ბევრი სხვა რამა გვაქვს. მაგალითად, ლუკმა-პურის შოვნა, კაცური ღირსების დაცვა და სხვანი“[23]. რაზნოჩინეცი ხალხოსანისათვის ეს აზრები უდავოდ დამახასიათებელია.

3

ქართველი ხალხოსნები, ეჭვგარეშეა, რუსი ხალხოსნების იდეოლოგიის დიდი და უშუალო გავლენის ქვეშ აღიზარდნენ და განვითარდნენ.

---

[22] ეკალაძე, ისარ., „იმედი“, 1881 წ., № 9, გვ. 34—37.

[23] სტ. ჭრელაშვილი, მამულისშვილი, „იმედი“, 1881 წ., № 10—11—12, გვ. 74.

როგორც სხვადასხვა ცნობით ვრწმუნდებით, მათ 70-იანი წლების ნახევრიდან რუსეთის ხალხოსნურ ორგანიზაციებთან გარკვეული კავშირი ჰქონდათ. „გამოდიოდნენ რა იმ დებულებიდან,—წერს შ. დავითაშვილი,—რომ საქართველო მჭიდროთ არის დაკავშირებული რუსეთთან და რომ ქართველი ხალხის ხსნა სავსებით დამოკიდებულია რუსეთის სახელმწიფოებრივი წესწყობილების დამხობაზე (მეფის რეჟიმისაგან დაჩაგრული რუსეთის ხალხის განთავისუფლებისათვის), ქართველი რევოლუციონერები ფიქრობდნენ, რომ, ემსახურებიან რა რუსეთის რევოლუციის საქმეს ცენტრში, ამით ისინი ემსახურებიან ქართველი ხალხის ინტერესებსაც“[24].

რუსი ხალხოსნების მოძრაობითა და მოქმედებით გატაცებულნი ჩვენი ხალხოსნებიც ცდილობენ ხალხში გასვლას. 70-იანი წლების დასაწყისში ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ადგილი აქვს ხალხში სიარულის დასაწყისს. ეს სიარული ზოგან, შეიძლება ითქვას, ორგანიზაციულია. „ტფილისში მე კვლავ შევუდექი, — წერს შ. დავითაშვილი, — რევოლუციური ლიტერატურის გავრცელებას, ხოლო საასწავლებლების დახურვის დროს ზაფხულზე გადავწყვიტე „ხალხში გასვლა“.

„წავედი ქ. გორში აუარებელი არალეგალური ლიტერატურით და ვესტუმრე მასწავლებელ სოფრომ მგალობლიშვილს, რომელმაც გამაცნო მათე კერესელიძე და ივანე ხიმშიაშვილი. რამდენიმე დღის შემდეგ გავსწიე საზოგადოდ ქართლის სოფლებში, მაგრამ საზაფხულო თვეების უდიდესი ნაწილი დავყავი სოფ. ტყვიავში“.

„ტყვიავში მოვიდნენ მშობლებთან ტფილისიდან კოლია ფავლენიშვილი და პეტერბურგიდან სტუდენტი რომან ფავლენიშვილი, რომელსაც მოჰყვა თავისი ამხანაგი გიგო გაბაევი (მედიკი). სტუმართმოყვარეობით სახელგანთქმულ ფავლენიშვილებს ესტუმრნენ აგრეთვე სოფრომ მგალობლიშვილი, ვანო ხიმშიაშვილი, ანტონ ფურცელაძე, დავით ფურცელაძე, ილიკო მაჭავარიანი, ვასო დეკანოზოვი (რევოლუციონური ბროშურების მთარგმნელი) და სხვანი“.

„დაარსდა პატარა რევოლუციონური წრე ადგილობრივი მღვდელის — ვასო სამადოვის აქტიური მონაწილეობით. წრეს მიემხრნენ ადგილობრივი წვრილი მემამულენიც — მიხეილ და ლუარსაბ ერისთავები, დები — კესო და ნატო გაბუნიები და ბაბო კორინთელი (ბოლოს ქართული სცენის არტისტები). რევოლუციონური ლიტერატურა ხელიდან ხელში გადადიოდა, რევოლუციური სიტყვები და სიმღერები თავისუფლად გაისმოდა“.

„როგორც ტყვიავის, ისე სხვა სოფლების გლეხობაში რევოლუ-

---

[24] შ. დ ა ვ ი დ ო ვ ი, მოგონებანი, „რევოლუციის მატიანე“, 1923 წ., № 3, გვ. 204.

ციური აზრი იწვევდა ცოცხალ ინტერესს, მაგრამ მათ ვერ წამოაყენეს აქტიური მომუშავენი: გლეხები მეტისმეტად დატვირთულნი იყვნენ მუშაობით საარსებო პირისათვის"[25].

დასახელებულ პირთა გარდა, შ. დავითაშვილი და სხვები ასახელებენ კიდევ მრავალთ, რომლებიც ამ დროს გატაცებულნი იყვნენ ხალხში რევოლუციონური მოძრაობის გაღვივებით. ისინივე გვაძლევენ ცნობებს ამ ადგილობრივი ორგანიზაციების კავშირის შესახებ რუსეთის ანალოგიურ რევოლუციონურ ორგანიზაციასთან. როგორც იმ პერიოდის მოღვაწეთა მოგონებანი გვაუწყებს, ისინი ცდილობდნენ არ ჩამორჩენილიყვნენ რუსი ხალხოსნების მოძრაობას.

1876 წელს შემოდგომის გასულს საქართველოში მოხდა მრავალი გაჩხრეკა (ეს, ალბათ, დაკავშირებული იყო რუსეთში მომხდარ გლეხთა აჯანყებებთან და რუსეთის „რევოლუციონერთა" მიმართ მიღებულ რეპრესიებთან). „ამ გაჩხრეკას მოჰყვა მრავალი რევოლუციონერის დატუსაღება: ტფილისში დაატუსაღეს — ეგნატე იოსელიანი და სტამბის მეპატრონე არსენ კალანდაძე. გორში — ვასო დეკანოზოვი, სოფ. მერეთში — დ. ფურცელაძე, სოფ. ტყვიავში — მღვდელი ვასო სამადოვი, სოფ. ქვიშხეთში — მიხ. ყიფიანი. ქუთაისში — ვარლამ გაბიჩვაძე და პოლიეევქტ კვიცარიძე და სხვანი."[26].

ამ პირველმა რევოლუციურმა ორგანიზაციამ გორში გაშალა მოღვაწეობა[27]. იქ ის უფრო კულტურულ მოღვაწეობას მისდევდა: წარმოდგენების გამართვას ხალხისათვის, კითხვა-საუბრების მოწყობას. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორგანიზაცია ხალხში რევოლუციური ჟინის გაძლიერებასაც ცდილობდა.

1878 წლის გაზაფხულზე მთავრობა კიდევ დაესხა თავს ამ ჯგუფს. ორენბურგის გუბერნიაში გადაასახლა ეგნატე იოსელიანი და მიხ. ყიფიანი, „ზოგიერთი ამხანაგი, — გადმოგვცემს შ. დავითაშვილი, — და, სხვათა შორის, სოფ. მგალობლიშვილი და ვანო ხიმშიევი დატუსაღებულ იქნენ განუსაზღვრელი ვადით". ვასო დეკანოზიშვილი და რომან ფავლენიშვილი ციხეში დასნეულდნენ ჭლექით და მალე დაიღუპნენ.

ამის შემდეგ რევოლუციონერთა რიგები თანდათან დიდდება, რევოლუციონური მოძრაობა თანდათან ღრმავდება და ჩვენ ხალხოსნების მოღვაწეობაც თავის კეთილ კვალს ტოვებდა დიადი საქმის, ხალხის განთავისუფლებისა და ბედნიერების მოპოვების მიღწევაში. ხალხის მასების გაღვიძებაში, თვით ხალხის მასების ამ დიადი საქმის

---

[25] შ. დ ა ვ ი დ ო ვ ი, მოგონებანი, „რევოლუციის მატიანე", 1923 წ., № 3, გვ. 201.

[26] ი ქ ვ ე.

[27] ანალოგიური ორგანიზაციები მოქმედებდნენ სხვა ადგილებშიც: თბილისში, ქუთაისში, თელავში, ოზურგეთში, სამეგრელოში (�мотри სოფ. მგალობლიშვილის მოგონება).

გამარჯვების პროცესში ჩაბმით. ამაშიც ჩვენი ხალხოსნები რუსებისაგან იღებენ მაგალითს.

60—70-იან წლებში რუსი ინტელიგენცია (ხალხოსნები) მასიურად დაიძრა ხალხისაკენ, დაიწყო გლეხის ქოხში შესვლა, მისი ახლო გაცნობა, ინტელიგენციის ცხოვრების გასადავება, გლეხის ცხოვრების მიბაძვა. რუსი ინტელიგენციის მამოძრავებელი დევიზი იყო: ყველაფერი გასწიროს, თავის თავიც კი ხალხის საკეთილდღეოდ, ხალხის თემობრივი წყობილება შეინახოს და გარდაქმნას ის კომუნად (ფურიესებურ ფალანსტერად). მაგრამ, როგორც ვლ. ლენინი სამართლიანად განმარტავს, — ისინი „პრაქტიკულად დარწმუნდნენ გლეხის კომუნისტურ ინსტიქტებზე წარმოდგენის გულუბრყვილობაში“.[28]

ხალხოსანთა მოღვაწეობა, რევოლუციური მოძრაობის ისტორიის განვითარების თვალსაზრისით ერთი საუკეთესო და საინტერესო ფურცელთაგანია როგორც რუსი, ისე ჩვენი ხალხის გამათავისუფლებელი მოძრაობისა, მიუხედავად ხალხოსნების მოღვაწეობის მრავალი შეცდომისა.

4

სანამდე თვით ხალხოსნურ მიმართულებაზე ქართულ ლიტერატურაში და მათ წარმომადგენლებზე საუბარს შევუდგებოდეთ, მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ ერთ საგულასხმიერო მოვლენას. ზევით აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ხალხოსნობა რუსული ხალხოსნობის დიდი გავლენის ქვეშ განვითარდა. გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩვენი ხალხოსანი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ხშირად შეუცნობლადაც კი მიდიოდნენ იმ გზით, რომელსაც რუსული ხალხოსნური ჟურნალ-გაზეთების საშუალებით გაეცნობოდნენ ხოლმე. მაგრამ, მიუხედავად ასეთი მჭიდრო ურთიერთობისა და გავლენისა, ჩვენი ხალხოსნები თავისებურებას მაინც გამახვილებულად ამჟღავნებენ. მათ შორის არის განსხვავება და განსხვავება, უნდა ითქვას, თვალსაჩინო. როდესაც ხალხოსნების მოღვაწეობის შეფასება გვიხდება, ჩვენ აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ ხალხოსანთა მსოფლმხედველობის ორმაგი ბუნება, რომელიც მათ, როგორც ვლ. ლენინი განმარტავს, ახასიათებს: „ის (ე. ი. ხალხოსანი. — მ. ზ.), — წერს ლენინი, — პროგრესულია, რამდენადაც ზოგად-დემოკრატიულ მოთხოვნებს აყენებს, ე. ი. ებრძვის საშუალოსაუკუნეობრივი ეპოქისა და ბატონყმობის ყოველივე ნაშთს; ის რეაქციულია, რამდენადაც იბრძვის თავისი, როგორც წვრილი ბურჟუაზიის, მდგომარეობის შესანარჩუნებლად და ცდილობს შეაჩეროს, უკან მოაბრუნოს ქვეყნის საერთო განვითარება ბურჟუაზიული მიმართულებით“[29].

[28] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, რანი არიან „ხალხის მეგობრები“, თხზ., ტ. I, 1948. გვ. 325.
[29] ი ქ ვ ე. გვ. 340.

ხალხოსნები, უდავოდ, წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის გამომხატველნი იყვნენ; ისინი ცდილობდნენ სხვადასხვა პროგრესული საშუალებით გაეუმჯობესებინათ ხალხის მეურნეობა და სრულებით ვერ ამჩნევდნენ, რომ არსებულ საწარმოო ძალთა ურთიერთობაში ყველა ეს საშუალება უფრო ღრმად მოახდენდა პროლეტარიზაციის პროცესს. ხალხოსნები, ამბობს ლენინი თავის შრომაში „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი“, ვერ ამჩნევდნენ კაპიტალიზმის პროგრესულ მნიშვნელობას, ვერ ხედავდნენ, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ დაარღვია საზოგადოების ცხოვრების ძველი პირობები; მწარმოებელს მისცა საშუალება თავისი ბედი საკუთარ ხელში დაეჭირა; ისინი ვერ ამჩნევდნენ, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ დაარღვია ძველი ზღუდეები — გვარის, ოჯახის, ტერიტორიალური თემისა და წარმოშვა მრავალმხრივი განვითარების შესაძლებლობა, რომელმაც ასე წასწია წინ დასავლეთი ევროპა.

გამომდინარეობს რა ასეთი განწყობილებიდან, რუსი ხალხოსნების უმეტესი ნაწილი რუსეთს და მისი განვითარების გზას უპირისპირებს დასავლეთ ევროპას, აღნიშნავს რუსეთის სხვაობას, მის უპირატესობას დასავლეთ ევროპასთან შედარებით; ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმი რუსეთში წარმოადგენს „შემთხვევითს“ მოვლენას, რომ იგი ვერ განვითარდება რუსეთში, და რომ რუსეთმა დასავლეთ ევროპისაგან არაფერი არ უნდა გადმოიღოს, რადგანაც, რუსი ხალხოსნების შეხედულებით, დასავლეთ ევროპა უკვე ძალა გამოლეულია, იხრწნება. რუსი ხალხოსნების რწმენით, რუსეთი უნდა წავიდეს არა დასავლეთ ევროპის (ბურჟუაზიული), არამედ თავისი ისტორიული გზით, რომ მან შეძლოს ნამდვილი წინმსვლელობის გზა გამონახოს.[30]

ჩვენი ხალხოსნები, რა თქმა უნდა, იტოვებენ რუსი ხალხოსნების ამგვარ ორმაგ ბუნებას, მაგრამ მათსავით მტრულად არ უყურებენ დასავლეთ ევროპას. პირიქით, ქართველი ხალხოსნები ცდილობენ მისი ცხოვრების გაკვეთილებით ისარგებლონ. „ჩვენ, — წერს სტ. ჭრელაშვილი „იმედის“ საპროგრამო წერილში, — არც ევროპულ მეცნიერებაზედ და ცხოვრებაზედ ავიღებთ ხელსა, რადგან მხოლოდ მასში ვხედავთ კაცობრიობის გაუმჯობესების და მაღლა აწევის ძალას. მხოლოდ ამაზე გვაქვს დამყარებული იმედი ჩვენი ძაღლუმადური ცხოვრების განათლებისა და ამაღლებისა“[31].

---

[30] ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ასეთი შეხედულებისა, რუსი ხალხოსნების მსოფლმხედველობა არ არის გამომუშავებული ევროპის გავლენის გარეშე. ისინი გარკვეულად განიცდიან ევროპის უტოპიური სოციალიზმისა და იდეალისტური ფილოსოფიის გავლენას.

[31] სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მწერლობა, „იმედი“, 1881 წ., № 1, გვ. 100.

მაგრამ ახალი ცხოვრების აგების საფუძვლად ჩვენი ხალხოსნებიც თხოულობენ თვით ჩვენი ხალხის, გლეხობის ცხოვრების სინამდვილისა და მოთხოვნილების დადებას. „არ შეიძლება, — წერს გ. მაიაშვილი, — რეფორმა მოახდინო რომელიმე საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილისა, თუ იგი უცნობია და გამოურკვეველი, ამისათვის არის საჭირო სვინდისიერი ყოველმხრივი შესწავლა ხალხის ეკონომიური ცხოვრების ყოველმხარეთა. მხოლოდ ამგვარ შესწავლაზე დამყარებით შეიძლება დაასკვნა ესა თუ ის დედა-აზრი, გამოიკვლიო ხელმძღვანელი პრინციპი და გზის მაჩვენებელი ნათელი ჭეშმარიტება, რომლის შემწეობით შესაძლებელი იქნება მოიპოვოს კაცმა ზომანი და ღონისძიებანი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, და მაშვრალ დატანჯულ მშრომელთა გაჭირვების და უილაჯობის ცრემლების მოსაწმენდათ. მართლაც, ვიცით განა ცოტად მაინც წესიერად ეხლანდელი მდგომარეობა ხალხისა? შეგვიძლიან ვუჩვენოთ უახლოესნი მიზეზნი ხალხის წუხილისა, გაჭირვებისა და გაღარიბებისა? მეტის-მეტი უსასოებაა ჩვენში შესახებ ამგვარ წყაროთა და მასალათა“[32].

გ. მაიაშვილის ეს შენიშვნა, როგორც სტატიის სათაურიდანაცა ჩანს, დაწერილია ჩვენი მოღვაწეების მიმართ, რომელნიც ხშირად ოცნებებში დანავარდობდნენ, ხოლო ფაქტიურად, ერთი მხრით, მათ სურვილებსა, ხოლო მეორე მხრით, სინამდვილესა და შესაძლებლობას შორის დიდი და გარდაუვალი უფსკრული არსებობდა.

ასეთსავე აზრს გამოთქვამს „იმედის“ მეორე თანამშრომელი გრ. ყიფშიძეც. მისი სამართლიანი აზრით, ჩვენი მოწინავე ახალგაზრდობა ისეთი არ არის როგორიც უნდა იყოს; მას ან სწავლა-განათლება აკლია და მეცნიერების იარაღით არ არის შეჭურვილი, ან, თუ აქვს განათლება, იგი ისე ვრცელი და ფილოსოფიურია, რომ სრულიად ვერ გამოუყენებია ხალხისა და ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის. „საჭიროა, — წერს ის, — ჩვენი ქვეყნის შესწავლა და დამყარება ისტორიული, ეთნოგრაფიული და ეკონომიური მეცნიერებისა ჩვენში. ესევე არის პირდაპირი მოვალეობა იმ ახალგაზრდობისა, რომელიც უმაღლეს განათლებას იღებს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში“[33].

რუსი ხალხოსნების ერთი დამახასიათებელი თვისება კიდევ ის იყო, რომ ისინი უარყოფითად უყურებდნენ კაპიტალისტურ წყობილებას, რომელმაც წარმოშვა პროლეტარიზაცია საშინელი ტანჯვითა და მწუხარებით. „ნაროდნიკი თეორიაში, — წერს ვლ. ლენინი, — სწორედ

---

[32] გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ, „ივერია“, 1882 წ., № 9, გვ. 101—102.

[33] გრ. ყ ი ფ შ ი ძ ე, თავიდან თუ ბოლოდან (შენიშვნა ჩვენი სტუდენტობის მიმართულებაზედ), „იმედი“, 1881 წ., № 5, გვ. 105.

ისეთივე იანუსია, რომელიც ერთი სახით წარსულისაკენ იცქირება, მეორეთი კი — მომავლისაკენ, როგორც ცხოვრებაში იანუსია წვრილი მწარმოებელი, რომელიც ერთი სახით წარსულისაკენ იყურება, სურს რა გაამაგროს თავისი წვრილი მეურნეობა, არაფერი იცის და არც სურს იცოდეს საერთო ეკონომიურ წყობილებაზე და იმაზე, რომ აუცილებელია ანგარიშის გაწევა გამგე კლასისათვის, — ხოლო მეორე სახით, — იცქირება მომავლისაკენ, მტრულად განწყობილი მისი გამაღატაკებელი კაპიტალიზმის წინააღმდეგ"[34].

რუსი ხალხოსნების მიზანი იყო, ხალხი წაეყვანათ განვითარების ისეთი გზით, რომ კაპიტალისტური სტადია თავიდან აეცილებინათ. ასეთმა შეხედულებამ წარმოშვა კულტი თემობრივი წყობილებისა, რომლის საფუძვლების განვითარება, ხალხოსნების რწმენით, ხალხს საშუალებას მისცემდა უშუალოდ სოციალიზმში გადასულიყო.

ჩვენი ხალხოსანი მწერლების მსოფლმხედველობაში თემობრივი წყობილების კულტს მნიშვნელოვანი ადგილი არ უჭირავს (გამონაკლისს მხოლოდ ყაზბეგი[35] შეადგენს, რაც აიხსნება ჩვენი მთის თავისებურებებით, რომელმაც თემური წყობილება თითქმის XX საუკუნის კარამდე მოიტანა). ამით აიხსნება, რომ მათ კაპიტალიზაციისადმი ისეთი მტრული დამოკიდებულება არ ეტყობათ, როგორც რუს ხალხოსნებს. ისინი თითქოს კაპიტალის ძალას ურიგდებიან. „დღეს ყველა თვალხილულისათვის, — წერს „იმედის" თანამშრომელი დ. აბდუშელიშვილი, — ცხადია, რომ მეცნიერებით დაიარაღებული კაპიტალი, რომელმაც ხალხს ხელიდან გამოაცალა მიწა და ხელფეხის მეტი არა დაუგდო რა, დღეს თუ ხვალ ჩვენც გვესტუმრება, და აბა რას გვირჩევს ჩვენი ლიტერატურა? ხმასაც არ იღებს. ყურსაც არ ანძრევს... თითქოს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან იწერებიან სიღარიბეს და სიღატაკეს გლეხისას, რომელიც ღმერთს თაყვანსა სცემს, თუ კი დღიური ლუკმა-პური არ შემოაკლდა, ტანზე ძველი შალის ჩოხა და ფეხზე ქალამანი მაინც არ შემოაცვდა... ყოველივე ეს კარგად ვიცით და კარგად ვხედავთ, რომ, მებატონის გადასახადს გარდა, ჩვენ გლეხს საზოგადო და სახელმწიფო გადასახადიც არ აკლია; მაგრამ ჩვენი ახლანდელი ლიტერატურა, ნაცვლად იმისა, რომ... გლეხის ნამდვილი ეკონომიური მდგომარეობა დაენახვებინა, გვარწმუნებს, რომ ჩვეულებრივი გლეხი ბევრად უფრო მდიდრათა ცხოვრობს, ვინემ გგონიათო"[36].

---

[31] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი, თხზ., ტ. 1, გვ. 610.

[35] ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში საკმარისად იგრძნობა ხალხოსნური მიმართულების მოტივები, მაგრამ მათ შემოქმედებაში ეს მოტივები არაა წარყვანი. ამიტომ წინამდებარე გამოკვლევაში, რომელშიც ხალხოსან მწერლების სპეციალური განხილვა-შეფასებაა მოცემული. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა არ არიან განხილულნი.

[36] დ. ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ბიბლიოგრაფია, „იმედი", 1881 წ., № 1, გვ. 105.

აშკარაა, არა მარტო დ. აბდუშელიშვილი, არამედ მთელი ის ჯგუფი ხალხოსნებისა, რომელიც „იმედის“ გარშემო მუშაობდა, იღებს კაპიტალიზაციის პროცესს, როგორც ფაქტს და ცდილობს ალღო აუღოს ცხოვრების ახალ მიმდინარეობას, თუმცა, რა თქმა უნდა, სათანადოდ ვერ აფასებს კაპიტალიზმის ისტორიულ მნიშვნელობას.

„იმედის“ ერთ-ერთი საუკეთესო თანამშრომელთაგანი და ქართული ხალხოსნების ერთ-ერთი ნიჭიერი გამომხატველი სტ. ჭრელაშვილი ჟურნალ „იმედის“ შემდეგ ნომერში, თითქოს დ. აბდუშელიშვილის აღნიშნული წერილის საპასუხოდ, არჩევს ლ. არდაზიანის რომანს „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს“ და შემდეგ საგულისხმიერო შეხედულებას გამოთქვამს: „ერთი სიტყვით, — წერს ის, — მეჯღანუაშვილი და კიდევ მეჯღანუაშვილი. ეს არის თავი და ბოლო ჩვენი ცხოვრების ბორბლისა. ეს ამშვენებს და აძლევს სპეტაკ ფერს დღევანდელ ჩვენს უფერულებას. ყველანი გულწრფელად ვიტყვით, რომ უამისოთ ჩვენ ჩალათაც არ ვეღირებოდით. ამიტომაც მეჯღანუაშვილს შეუძლია ამაყად და გულდაგულ შეჰყუროს ქვეყანას, რომლის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს დაუთმოს ყველგან უპირველესი ადგილი... რომ მოკლეთა ვსთქვათ, მეჯღანუაშვილი გახლავთ ყველაფერში მოწინავე პირი ჩვენი ცხოვრებისა, ნამდვილი იდეალი, მთელი ხალხისა“

„რის წყალობით დაუჭერია, — განაგრძობს აზრის განმარტებას სტ. ჭრელაშვილი, — ჩვენს გმირს ასეთი მაღალი ადგილი, რით გამხდარა ასეთ მოწინავე პირად? ჯერ პირველად იმითი, რომ იმას ზურგზე აკრამს ვეებერთელა ტოპრაკი, პირამდის გაჭედილი თითქმის ერთი მილიონი თეთრი ფულით; მეორე კიდევ იმიტომ არის იგი ძვირფასი, რომ ეს ამოდენა ფული იმას უშოვნია თავის საკუთარი ოფლით, თავის მეცადინეობით“[37].

სტ. ჭრელაშვილიც აშკარად ხედავს და რწმუნდება, რომ ეს მოვლენა ჩვენი ცხოვრების ბუნებრივი და აუცილებელი გზაა, ეს მოვლენა „ჩვენი ცხოვრების ნამდვილი ყვავილია“. „საქმე არც სოლომონის პიროვნებაზეა, — წერს კატეგორიული ტონით სტ. ჭრელაშვილი, — ის არ იქნება, სხვა იქნება... საქმე თითონ იმ საზოგადოებაზეა, იმ ცხოვრებაზეა, სადაც ამისთანა პირები თამამად დაიარებიან, სადაც ცხოვრება თითონ გვიჩვენებს მათზე და თავმომწონეთ გვეუბნება: „აჰათ, ესე არს ძვალი ძვალთა ჩემთაგან და ხორცი ხორცთა ჩემთაგან! ამაშია ჩემი დიდება და სასოება. ეს არის ჩემი ძალა და ღონეობა, ვის შეგიძლიათ ხმა გაგვცეთ ან სოლომონებს, ან მე. სოლომონი გავამდიდრე, ავაყვავე... მაგივრად ათასი სოლომონისთანა ობოლი შემოვანარცხე და ვინაცვლე“.

---

[37] სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი, „იმედი“, 1891 წ., № 2, გვ. 59—60.

სტ. ჭრელაშვილი იმავე წერილში ცოტა ქვევით უფრო გარკვევით აღნიშნავს მეჯღანუაშვილთა წარმოშობის აუცილებლობას: „მეჯღანუაშვილი კი არა, თვით უცუდესი ქვეყნის გამომწუწნავი რომ ერთ დღეზე ამოაგდოთ დედამიწის ზურგიდან, მაინც ხვალე თქვენი გაშტერებული თვალები დაინახავენ, რომ იმათი ადგილები სხვებს დაუჭერიათ, მათ სკამზე სხვები გამოჭიმულან, იმიტომ, რომ... ყველა ჩვენთაგანში ცხოვრების უარაქათობამ ღრმად ჩანერგა ფულის მოყვარეობა... ყველას ფული მიგვაჩნია უღონიერეს იარაღად ნეტარების და სიამის მოსაპოვებლად“.

მეჯღანუაშვილს და გაფულიანებას სტ. ჭრელაშვილი რომ უარყოფითად არ უყურებს, რომ მეჯღანუაშვილებსა და დაბალ ხალხს შორის ერთგვარ ნათესაობასაც კი ხედავს, ამას ის იქვე გამოთქვამს: „ისა (ე. ი. მეჯღანუაშვილი. — მ. ზ.) და ათასი იმისთანა სუყველა უბრალო დაბალ ჩამომავლობისანი არიან, მათ მამა-პაპებს ჩვენსავით შავი სისხლი უდუღდათ ძარღვებში“.

ავტორს თითქოს მეჯღანუაშვილის უხეშობის გამართლებაც უნდა. ამ თვისების განვითარების მიზეზებს მის გარშემო აუტანელ ცხოვრებაში ხედავს: „ცხოვრებამ, — წერს იქვე სტ. ჭრელაშვილი, — ქვეყნის ეკონომიურმა მდგომარეობამ გაუჭირა იმას (მეჯღანუაშვილს) საქმე იქამდის, რომ მარტო ტალახში დაინახა მან სიცოცხლის წყარო“[38].

ასეთი შეხედულებით აიხსნება, რომ „იმედის“ თანამშრომლები დიდ ყურადღებას აქცევენ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას. აკი „იმედის“ თანამშრომლებს ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობისათვის საჭიროდ მიაჩნიათ ბაზრის გაჩენა. „ხეირიანად მეურნეობის წაყვანა, — წერს ვინმე *** — რამდენადაც პატრონის ცოდნაზე, იმდენად ხეირიან მაზანდაზედაც და ნაწარმოების გასაღებაზედ არის დამოკიდებული“. ამიტომ, მისი შეხედულებით, საჭიროა სასოფლო ბაზარი: „ერთი უმთავრესი მუწუკი,—ამბობს ის, — ჩვენი მეურნულ ცხოვრებისა არის ისეთი ადგილის უქონლობა, საცა ყოველ მემამულეს შეეძლოს ჭირნახულის რიგიანად გასაღება“[39].

ამ აზრს უფრო გარკვევით ავითარებს ნ. ხ — ი. (ნ. ხიზანიშვილი), „ივერიის“ ეკონომისტს რომ აკრიტიკებს: „ჩვენ ვამტკიცებთ მხოლოდ იმ აზრს, — წერს იგი, — რომ ეკონომიურ ცხოვრებაში მიწის მუშაობა თანდათან ნელ-ნელა ჰკარგავს უწინდელ თავის დიდს მნიშვნელობას და საპატიო ნაწილს მფლობელობისას უნებლიედ უთმობს სხვა ეკონომიურ ფაქტორებს. მაგ., ქართულ მრეწველობას, ვაჭრობას და

---

[38] სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი, „იმედი“, 1981 წ. № 3—4, გვ. 25—26.

[39] *** რამდენიმე სიტყვა ჩვენს მეურნეობაზე, „იმედი“, 1881 წ., № 1, გვ. 59—60.

სხვა. ამას ცხადად ამტკიცებს ეკონომიური ისტორია"[40]. ცხადია, ჩვენი ხალხოსნები ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას იღებენ, მაგრამ, ისიც უდავოა, რომ ისინი სათანადოდ ვერ აფასებენ კაპიტალიზმის განვითარების დადებით მხარეებს და ვერ ითვალისწინებენ მის ისტორიულ როლს. ამიტომაა, რომ ისინი ხშირად კაპიტალიზმის უარყოფით მხარეებს გამახვილებულად და ცალმხრივად ასახავენ თავიანთ შემოქმედებაში.

მაგრამ მაინც ქართველი ხალხოსნების ასეთი შეხედულებაც კი კაპიტალიზმის განვითარებაზე მათი მოღვაწეობის პროგრესულ მიმართულებას უფრო აღრმავებდა და ხალხოსნობის რეაქციონურ ბუნებას, რომელიც, ვლ. ლენინის სიტყვით, გლეხკაცს ამაგრებს მიწას და წარმოების ძველ საშუალებებს... „მტრულად განწყობილი მისი (გლეხის. — მ. ზ.) გამაღატაკებელი კაპიტალიზმის წინააღმდეგ"[41] — ასუსტებდა.

რუს ხალხოსნებთან შედარებით, ჩვენი ხალხოსნების მსოფლმხედველობა განსხვავდება ეროვნული საკითხის გადაჭრითაც. მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მეტად უმწეოდ მოჩანს. „მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო. მეფის რუსეთის მრავალრიცხოვანი არარუსი ხალხები სრულიად უუფლებონი იყვნენ, განუწყვეტლივ განიცდიდნენ ყოველგვარ დამცირებასა და შეურაცხყოფას. მეფის მთავრობა აჩვევდა რუს მოსახლეობას ისე ეცქირა ნაციონალური ოლქების მკვიდრი ხალხებისათვის, როგორც დაბალი რასისათვის, ოფიციალურად უწოდებდა მათ „ინოროდცებს", ნერგავდა ზიზღს და სიძულვილს მათდამი. მეფის მთავრობა შეგნებულად აღვივებდა ნაციონალურ შუღლს, ამხედრებდა ერთ ხალხს მეორის წინააღმდეგ. აწყობდა ებრაელთა დარბევებს, თათარ-სომეხთა ხოცვა-ყლეტას ამიერკავკასიაში".

ქართველი თავადაზნაურობის საგრძნობი ნაწილი, ეკონომიურად დარღვეული, რუსეთის მთავრობის მიერ ადვილად შეიქმნა მოსყიდული. მან თავდავიწყებით დაიწყო აცოცება ჩინოვნიკურ და ბიუროკრატიულ კიბეზე, მისი უმრავლესობა ცხოვრებას ისე უყურებდა, როგორც სოფრომ მგალობლიშვილის მიერ დახატული გმირი ღეჭიაშვილი. „ბევრი ადამიანი ასეა, — გადაუშლის ღეჭიაშვილი ცოლს თავისებურ ცხოვრების ფილოსოფიას, — ბევრი მიხვდება ცხოვრებაში: ზოგან ქიმუნჯს წაგკრავენ, ზოგან წკიპურტს, იქნება სახრეც მოგხვდეს, მაგრამ აწინდელ ცხოვრებას მაინც არ უნდა ჩამორჩე. უნდა იწიო მა-

---

[40] ნ. ხიზანიშვილი, ევერიის ეკონომისტი, „იმედი", 1882 წ., № 9—10, გვ. 82.

[41] ვ. ლენინი, ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი, თ.ხზ., ტ. 1, გვ. 611.

ღლა-მაღლა და ახვიდე სამსახურის ზემო საფეხურზე"[42]. ასეთი იყო ქართული საზოგადოების პრივილეგიური ნაწილის მდგომარეობა.

ხალხი კი, თუმცა, თითქოს, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, უფლებამინიჭებული იყო, მაგრამ სიღატაკე, უკულტურობა მას თავს მაღლა ვერ აღებინებდა. ქვეყნის პოლიტიკური შევიწროებაც საშინელ უღლად აწვებოდა.

ამ გარემოებას არ შეიძლებოდა ჩვენს ხალხოსნებზე თავისი მწვავე დაღი არ დაესვა; არ შეიძლებოდა მას ნაციონალური საკითხი არ ჩაემატებინა და მტკიცედ არ ჩაეწერა მათ მსოფლმხედველობაში. „დღეს, ვინც უყურებს ჩვენს ცხოვრებას, — წერს სტ. ჭრელაშვილი, — ქართველი კაცი თუ უცხო ქვეყნელი, ყველას უკვირთ, რომ მთელი ჩვენი სამშობლოს შინაგანი, თუ გარეგანი არსების აქტი ხდება სხვა ქვეყნების ხელით: — ვაჭრობა გინდა — სხვის ხელშია, გამგეობა ჩვენი ბედისა — სულაც არ გვეკითხება ჩვენა, მისვლა-მოსვლაში სხვას შევყურებთ. ერთი სიტყვით, დაგვწოლია კისერზედ ცხრათავიანი დევი და ყოველ ჩვენ საქმეს იგი ასრულებს, რასაკვირველია, ჩვენდა საზარალებლად. იგი სუნთქავს ჩვენს მაგივრად, იგი ფიქრობს ჩვენი ტვინის საფიქრებელზედა და სხვანი. ეს დევი გახლავთ ჩვენი დაწყევლილი ბედი, ჩვენი ცხოვრების გარემოებანი"[43].

სწორედ ამ გარემოებამ მისცა ნიჭიერ ხალხოსან მწერალს სოფ. მგალობლიშვილს მასალა ასეთი გესლითა და დაუნდობლობით დაეხატა ჩინ-მენდლებისათვის გამყიდველი ქართველი ინტელიგენტი ღეჭიაშვილის სახით მოთხრობაში „წითელი სარჩული".

სოფ. მგალობლიშვილი აპოლოს პირით ღეჭიაშვილებს, რომელთაც სამშობლოს სალაროში ხელუკუღმა თავიანთი წვლილი შეჰქონდათ, აი რას ეტყვის: „ისტორიის კვლევა სხვა არის, კაცური კაცობა კიდევ სხვაა, შუა დიდი ზღვარი უდევთ, რად გვინდა შენი ისტორიკოსობა, თუ დღევანდელ დღეს პირნათლად არ ემსახურები, თუ შენ ახალთაობას ჩაჰკლავ, ენას მოჰკლავ, ენას მოგლეჯ და წმინდათა წმინდას შეუგინებ"[44].

ასეთია შეხედულება ჩვენი ხალხოსნებისა. ეროვნული გრძნობა მათში უდაოდ მძლავრია.

მაგრამ დაბრმავებული პატრიოტიზმი, შოვინიზმი მათთვის უცხოა, და ეს იმიტომ, რომ ხალხოსნები თვით ცხოვრების წიაღიდან არიან გამოსულნი, მათ გამოიარეს ხალხის ცხოვრების სიდუხჭირე, განიცადეს ხალხის ტკივილი. ამ გარემოებამ მათი ფიქრი და მისწრაფება ცხო-

---

[42] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, წითელი სარჩული, თხ., ტ. II, 1926 წ., გვ. 48.

[43] სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ძვირფასი მზარე ჩვენი წარსული ცხოვრებისა, „იმედი", 1882 წ., № 7—8, გვ. 38—39.

[44] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, წითელი სარჩული, 1926 წ., გვ. 61.

ვრების სინამდვილეს მიაჯაჭვა და მათ მიმართულებას რეალური ხასიათი მისცა. საუკეთესო რეალისტ მწერლებად გლეხის ცხოვრების, სინამდვილის მკვეთრი და სწორი ჩვენების მიხედვით, ჩვენს ლიტერატურაში (ასეა რუსეთშიც) ხალხოსნებიც უნდა ჩაითვალონ.

ხალხოსნებს, რა თქმა უნდა, თავისებური გაგებით, უკრიტიკოდ, ხალხის ინტერესების გარეშე არც ერთი დებულება არა აქვთ წამოყენებული, არც პატრიოტული, მამულიშვილური გრძნობა უნდათ აღნიშნულ პირობებს გარეშე. მათ არ მოსწონთ გადაჭარბებული, უსაფუძვლო ლაპარაკი ქართველი საზოგადოების გზადაფანტული წევრებისა, რომელთა პატრიოტობა პირადი სარგებლობისა და სახელის მოხვეჭის მიზნისათვის უნდათ. ამ პატრიოტებს, ხალხოსნების შეხედულებით, ნამდვილი არსი ამ გრძნობისა არა აქვთ შეთვისებული და გათვალისწინებული. „ვინც კერძო საქმეს ადგა, — გესლიანად წერს სტ. ჭრელაშვილი, — და აკეთებს რასმე სამშობლოს სახელით, იმას შეუძლია ერთი თვალის დახამხამებაზე უდიდესი სახელი დაიმსახუროს მამულის მხსნელებ შუა, და, ვისაც განსაზღვრული სახელი არა აქვს, ან არ შეუძლიან, არც ის არის სამუდამოდ იმედმიხდილი, რომ მამულისადმი არ მიუძღოდეს რაიმე ღვაწლი: იმას ნება აქვს მინიჭებული, რომ თავისი მდიდარი სუფრიდან თითო-ოროლა ნაღირღნი ლუკმა, რომელიც ძაღლს უნდა რგებოდა, გადაუგდოს საწყალ ლაზარე-საქართველოს, ან თუ ფული ვერ გაუმეტებია, აქოს და ადიდოს ჩვენი პატრიოტები, სადაც კი შეხვდება, თეატრში უყვიროს ჩვენ აქტიორებს და მეტადრე აქტრისებს „ბრავო“ და „ბისი“, შეერთებული ხმამაღლა ტაშის კვრასთან, და მეტიც საჭირო არ არის, მისი სახელიც პანთეონში გამოიჭიმება. ამიტომაც ვხედავთ, რომ ჩვენი პატრიოტების რაზმს შეადგენს ჩვენი თავადაზნაურობა. გლეხობა ამ მაიმუნობას ვერც გაიგებს და არც მონაწილეობას მიიღებს, იმას უჩვენე ნამდვილი საქმე და ჭკვიანი აზრი. მაშინ სრულებით სხვა მოთხოვნილებებს წაუყენებენ იმათ, ვინც მოინდომებდა ნამდვილ პატრიოტებში ფეხის შედგმას, მაშინ თვითონ ეროვნული კითხვები სხვა ნიადაგზე აშენდებოდნენ“[45].

ამიტომ ქართველ ხალხოსნებს, რათა ცრუ პატრიოტების ყვირილს ფასი დაუკარგონ, პატრიოტულ გრძნობაზე ლაპარაკი ზედმეტადაც კი შიაჩნიათ; „თითქოს ქვეყანაზე, — გესლიანი კილოთი წერს სტ. ჭრელაშვილი, — გარდა ათასში ერთი მახინჯისა, მოიძებნებოდეს საღი კაცი, რომელსაც ან თავისი სამშობლო არ უყვარდეს და მისი ენა... თითქო (ვისმე) შეეძლოს, რომ წაგვართვას, გამოგვწუწნოს ისა, რაც ჩვენს სხეულს შეუთვისებია და ბუნებად გადაუქცევია“[46].

---

[45] სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, მამულის შვილი, „იმედი“, 1881 წ., № 10, 11—12, გვ. 94.

[46] მ ი ს ი ვ ე. ქართული მწერლობა, „იმედი“, 1881 წ., № 1, გვ. 92.

ქართველი ხალხოსნების შეხედულებით ეროვნული გრძნობა ჩვეულებრივი, ბუნებრივი გრძნობაა საღი ადამიანისათვის და ამ ეროვნული გრძნობის ღირებულება, მათი გაგებით, იმდენადაა ღირსების მატარებელი, რამდენადაც ის ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება. „ერთი და ივიე მამულის შვილნი, — წერს სტ. ჭრელაშვილი, — განირჩევიან ერთმანეთისაგან არა მამულის სიყვარულით, არამედ იმითი, თუ რომელი მათგანი მომეტებულ სამსახურს გაუწევს თავის სამშობლოს. მაშასადამე, — დაასკვნის ავტორი, — ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა გამოვიკვლიოთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა. მისი ისტორიული მიდრეკილებანი, ტრადიციები. მისი ჩვეულებანი, მატერიალური გარემოებანი, მისი ავი და კარგი, მოკეთე და მტერი, ერთი სიტყვით, მთელი მისი ავან-ჩავანი. რომ ამით წარმოდგენილი გვქონდეს მისი ფიზიონომია, და შეძლებისდაგვარად, მივცეთ მას ხელი, ვაჩვენოთ მას გაუმჯობესების საღსარი და შეუდგეთ იმ გზას, რომელიც დააყენებს წარმატებისაკენ“[47].

აქაც გარკვეულად და მძლავრად გვესმის ხალხის საკეთილდღეოდ მთელი ენერგიის მიმართვის აუცილებლობა, რომელიც წითელი ზოლივითაა გატარებული ჩვენ ხალხოსნურ ლიტერატურაში და რომელიც ყოველ სფეროში თავისებურ გეზს აძლევდა მას.

ხალხოსნები არა მარტო ასეთ კულტურულ მიზანსა და დანიშნულებას უყენებენ ეროვნულ გრძნობასა და პატრიოტს, არამედ ისინი უფრო მეტის გარკვევით და, იმ დროისათვის გაბედულად, გამოთქვამენ თავიანთ ეროვნულ სურვილებს. „ყოველ ისტორიულს და კულტურულს ერს, —წერს ნ. ხიზანაშვილი, — ბუნებრივი უფლება აქვს თავისუფალი და ეროვნული სახის პირის დაცვის... ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ დედაზრის დასაღვევად არც ერთი მტერი კაცობრიობისა და ცალკე ხალხის წარმატებისა ვერ წარმოადგენს არა რაიმე შესაწყნარებელ საბუთს, გარდა რომელიმე პოლიტიკური მოსაზრებისა, და ეს უკანასკნელი ხომ მეცნიერებაზე არ არის დამყარებული. მას ხომ დროებითი მნიშვნელობა აქვს“[48].

ჩვენი ხალხოსნები, როგორც ცხოვრების დუღილში გამოსულნი, აწმყოსი და მომავლის შვილები არიან. მთელი მათი გულისყური აწმყოს გაუმჯობესებისა და უკეთესი მომავლის გამოჭედვისაკენაა მიმართული. ამიტომ ვერ ეგუებიან იმ პატრიოტებს, რომელთათვისაც „დიდება ივერიისა“ წარსულში იყო დამარხული და წარსულის დიდებით

---

[47] სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, მამულის შვილი, „ივერია“, 1881 წ., № 10—11—12, გვ. 17.

[48] ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, მცირედი რაიმე ჩვენს „მამულისშვილობაზე“, „ივერია“, 1882 წ., № 11—12, გვ. 51.

თავი დიდად მოჰქონდათ და კმაყოფილების ალერსით ითვრებოდნენ. „არ შეიძლება, —წერს ნიკო ხიზანაშვილი, — წარსული აღიარებული იქნას ცხოვრების დასაბამად და დასაწყისად, რადგანაც ეს წინააღმდეგი იქნებოდა საზოგადო წარმატების კანონისა... ეს უკანასკნელი (ბედნიერი მომავალი) უნდა იყოს მიზანი ხალხისათვის მოღვაწე პირთა. ამისათვის საჭიროა წინ ცქერა და არა უკან ხედვა, გოდვა და ტირილი კი არა წარსულზედ, მხიარული სიმღერა კეთილ მომავალზედ... თუ აწმყო შავითა და ბნელით მოცულია, ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ წარსული ელვარებდა წმინდა ნათელით: თუ კიდევ აწმყო ქვევით სდგას წარსულზე, აქედან ის დასკვნა არ გამოდის, რომ წარსული უნდა შეადგენდეს ჩვენს „წმინდათა-წმინდასა“[49].

ჩვენს ხალხოსნებს ეროვნული გაგებაც არა აქვთ ვიწრო პატრიოტული, რომელსაც კაცი ხშირად შოვინიზმამდე მიჰყავს: მომეტებულად აყვარებს თავისას ყველაფერს, ხოლო სხვისას გულგრილად აყურებინებს.

„იმედის“ თანამშრომელნი ხერხიანად სარგებლობენ ეროვნული გრძნობის განმარტებით, რომ თავიანთი რადიკალურ-რევოლუციურ-დემოკრატიული მისწრაფებანი გამოთქვან და მკითხველის მასებში გაიტანონ: „მე, როგორც ნამდვილი პატრიოტი (!), — გაკვირვებული და აღშფოთებული მოკამათის ტონით მიმართავს პატრიოტებს ტატალა[50], — უნდა მიყვარდეს ჩემი სახელმწიფოისა ყველაფერი და ყველაფერში უნდა იგულისხმებოდეს მთელი ის უწესობაც, რომელიც ხდება გარეშე ჩემისა: მიყვარს ის სახრჩობელა, რომელმაც მოუსპო დღენი მშვენიერ ახალგაზრდას... მიყვარს ის უშველებელი ციხეებიც, რომლებშიაც აგერ სული ხდებათ იმოტელა ხალხს ბრალიანს და უბრალოს სამართლის მოლოდინითა და განუსაზღვრელი უსაქმურობითა. მიყვარს აგრეთვე ისა, რომ ჩვენში გამართლებას იპოვის ფულით, გინდა უშველებელი დამნაშავე იყოს... უნდა მეჯავრებოდეს, — განაგრძობს ტატალა თავის პოლიტიკურ-სოციალურ მსოფლმხედველობის გადაშლას, — ხალხთა თვითმპყრობელობის აზრი, რომელიც ქადაგებს, რომ ხალხი... არა ჰგავს ცხვრის ფარას, ანუ ცხენის ჯოგს, ამიტომ იმას უნდა ჰქონდეს სრული უფლება თავისი ბედ-იღბლის მომართვისა სურვილისამებრ თვისაო“[51].

მძლავრად და ხერხიანადაა გაშლილი „იმედის“ ჯგუფის რადიკალური შეხედულებანი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენაზე.

---

[49] ნ-ო ხ-ი, მცირედი რაიმე ჩვენს „მამულისშვილობაზე“, „ივერია“, 1882 წ., № 11—12, გვ. 53.

[50] ტ ა ტ ა ლ ა, როგორც ირკვევა სტ. ჭრელაშვილის დის, ეკატერინე ალასანიას მოწმობით, სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს ფ ს ე ვ დ ო ნ ი მ ი ა.

[51] ტ ა ტ ა ლ ა, პოლიტიკა, „იმედი“, 1881 წ., № 2, გვ. 157—159.

თავის შეხედულებათა მეტი სიმკვეთრით გამოტანის მიზნით, ტატალა გაბედულად ხსნის თავისი აზრების ფრჩხილებს: „რათ უნდა მეჯავრებოდეს, — კითხულობს ტატალა და თვითონვე არაორაზროვნად უპასუხებს, — რათა და იმათა, რომ... ხალხი ჩვენს თვალში მართლა და მარტო ცხვრის ფარაა, რომელსაც ჰკრეჭენ მოხერხებული მწყემსები... ვემტერებოდე იმ აზრს, რომელიც თხოულობს შემდეგ სამართლიან წესიერებას: რადგანაც ყოველი სარჩო მოიპოვება მხოლოდ შრომით, რადგანაც ყოველი ნივთი გაკეთებულია მხოლოდ მუშის ხელით, ამიტომ ყველაფერი უნდა შეადგენდეს იმის საკუთრებას, ვისაც ის გაუკეთებია. მანამდის ასეთ გვარად არ იცვლის ყველაფერი ფერს, მანამ უბედურება კაცობრიობისა კი არ იკლებს, დღითი დღე იმატებს... მე, როგორც ნამდვილმა პატრიოტმა, უნდა ყოველი ღონისძიება ვიხმარო ამ აზრის დანერგვისათვის... იმიტომ, რომ ჩვენი სარჩოს მოპოვება ცარცვა-გლეჯაზეა აშენებული და ზემოდ მოყვანილი საშიში აზრი ჩვენ მიწა-წყალზე არ დაბადებულა“[52].

აშკარაა, ხალხოსნებს ეროვნული საკითხი მჭიდროდა აქვთ დაკავშირებული ხალხის მასების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა მოვლენის რადიკალურ გადაჭრასთან.

ჩვენი ხალხოსნები ეროვნულ შეხედულებას არამც თუ ვიწროდ არა ფარგლავენ, პირიქით, მათი ღრმა რწმენით, რაც ბევრი ჭკუა შეერთდება ერთად, რაც უფრო დიდად ეყვარება ყველას ერთმანეთი, მით უფრო ბევრი საქმე გაკეთდება, მით უფრო მომეტებული დღეგრძელობა ჩამოვარდება კაცობრიობაში... „ვისაც მართლა თავისი ხალხი უყვარს, — წერს ტატალა, — იმას იმავე სიყვარულით უნდა უყვარდეს მთელი ქვეყნიერებაც, რადგან მისი ხალხისათვის საჭიროა ქვეყნიერების დახმარება და ქვეყნიერებისათვის კიდევ იმისი ხალხისა. აი, ნამდვილი პატრიოტობაც და მამულის სიყვარულიც ეს არის“[53].

ცხადია, ჩვენი ხალხოსნების შეხედულებაში ეროვნული გრძნობა ფართო ფარგლებში იშლება. ცხადია, ამ მხრივ, ჩვენ ხალხოსნებს შედარებით წინა თაობებთან, ეროვნული საკითხის გადაწყვეტა ახალ ეტაპზე აყავთ. ერის წინმსვლელობა დაკავშირებული აქვთ კაცობრიობის, სხვა ქვეყნების განვითარებასთან. აკი ისინი პრაქტიკულ მოღვაწეობაშიც ფართო გეზს ატარებენ — როგორც გადმოგვცემს შ. დავითაშვილი, ეს ერთ-ერთი პრაქტიკული მოღვაწე ქართველი ხალხოსანი. ჩვენი ხალხოსნების ადგილობრივი რევოლუციური ჯგუფი, მიზნად ისახავდა მოემზადებინა „მთელი კავკასიის მოსახლეობა, განურჩევლად

---

[52] ტ ა ტ ა ლ ა, პოლიტიკა, „იმედი“, 1881 წ., № 2, გვ. 159—160.

[53] ი ქ ვ ე, გვ. 161.

ეროვნებისა, საერთო აჯანყებისათვის იმ მომენტში, როდესაც შიდა რუსეთში დაკრავდა ბრძოლის საათი"[54].

ყველა აღნიშნულიდან უდავოა, რომ ჩვენი ხალხოსნებისათვის ეროვნულ საკითხსა და გრძნობას, მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობით გამახვილებულს, არ დაუკარგავს სიმწვავე და სიმკვეთრე. ეროვნული საკითხი ჩვენი ხალხოსნებისათვის მტკივნეული და საჭირბოროტო საკითხია, მაგრამ ეს საკითხი ისე ძირითადად არ იპყრობს მთელ მათ შემოქმედებით ნიჭსა და უნარს, როგორც ამას თერგდალეულთა მოღვაწეობაში აქვს ადგილი.

ხალხოსნებმა პრიორიტეტი ხალხის (გლეხობის) სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის მოგვარების საკითხს მიანიჭეს და ამ საკითხის გადაჭრა დაუდვეს საფუძვლად მომავალ ქვეყანას, სადაც ადამიანური ცხოვრება უნდა დამყარებულიყო (მ. ასათიანი, ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, შაქრო, ტატალა, ნ. ხიზანიშვილი და სხვანი). ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ხალხოსნების მოღვაწეობა, შედარებით რუსი ხალხოსნების მოღვაწეობასთან, ნაკლებ რევოლუციონურია, უფრო მკრთალია. ქართველი ხალხოსნები ხშირად რუსების მიმდევარნი არიან თემის გადაჭრაშიც და სხვა სტილური ნიშნების გამოყენებაშიც. მაგრამ თავისებურებასა და ორიგინალობას, რასაკვირველია, ისინი მაინც ინარჩუნებენ და ამჟღავნებენ.

5

80-იან წლებისათვის ქართველი ხალხოსნები პოლიტიკაში გულუბრყვილო ოცნების მიმყოლნი აღარ არიან, პოლიტიკაშიც სიფხიზლეს იჩენენ, ყოველსავე მოვლენას ზომავენ ხალხისა და კაცობრიობის კეთილდღეობის თვალსაზრისით. ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენი ხალხოსნები, „იმედის" გარშემო რომ იყრიდნენ თავს, თითქმის ყველა რაზნოჩინეცია. როდესაც ეცნობით „იმედს", გაკვირვებთ მისი თანამშრომლების აზრის გამოთქმის სითამამე და გაბედულობა. ამ გაბედულობასა და სითამამესთან ერთად ჟურნალ „იმედი"-ს თანამშრომელთა შორის ბევრია საკმარისად დაჯილდოვებული პუბლიცისტური ნიჭითა და პოეტური ალღოთი. ამიტომ „იმედი" საზოგადოებრივ საჭირბოროტო მოვლენებს, ამა თუ იმ საკითხს შეძლებისდაგვარად ხალხის მასების საკეთილდღეოდ აშუქებს და წყვეტს.

იგივე ტატალა თავის პოლიტიკურ მიმოხილვაში არჩევს ომისა და მისი მნიშვნელობის საკითხს და საკმარისად თამამად გამოთქვამს

---

[54] შ. დ ა ვ ი ღ ო ვ ი, მოგონებანი, „რევოლუციის მატიანე", 1923 წ., № 3.

სწორს, მოწინავე დემოკრატიულ შეხედულებებს[55]: „კაცი რომ ღრმად იყურებოდეს ქვეყნიერების ცხოვრებაში და არ ჰქონდეს გარშემო გასართობი, სწორედ რომ ჭკუაზე უნდა შესცდეს: რანაირი სისაძაგლე გინდა, რომ იქ არ ტრიალებდეს. მაგრამ ამაზე უშველებელი და წარშოუდგენელი სისაძაგლე კი არ იქნება, როგორიც არის საზოგადოდ ომიანობა, კაცთა ჟლეტვა და მუსვრა, მეორე ისიც... დამყარებული სამხედრო მეცნიერებაზე"[56].

ტატალა გაბედულადა და გონებამახვილობით აღნიშნავს კაცის მკვლელობის წინააღმდეგობას ადამიანის ბუნებასთან და ხალხის ეკონომიური ცხოვრების ინტერესებთან და ბოლოს დაასკვნის: „კიდევ ჯანი გავარდნოდა, რომ ომიანობას მარტო ხალხის დროებითი გამუსვრა და ხანგრძლივი ეკონომიური სიჯანდაგე მოსდევდეს, — ძნელი ის არის, რომ ამ უშველებელ ვაი-ვაგლახთან ერთი ისეთი თვისება სჭირს, რომელიც ყოველ სხვა ზარალს აღემატება და ყველაზე ძლიერ სწევს უკან მთელი კაცობრიობის გონებითა და ზნეობით ამაღლებას... ეს თვისება არის ხალხთა შორის სიძულვილი, ნაციონალური მტრობა, ისეთი ჭირი, რომელსაც ცალი და ბადალი არ გამოუჩნდება ქვეყნის უბედურებაში და რომელიც სრული შედეგია ომიანობისა"[57]. აქედანაც ცხადია რადიკალური აზროვნება და ინტერნაციონალური ტენდენციები ჩვენი ხალხოსნებისა.

ამასთან ერთად „იმედს" და მის თანამშრომლებს რევოლუციონური მოძრაობის ჟინიც ახასიათებთ. თუმცა „იმედი" და მისი თანამშრომელნი ძირითადში კულტურტრეგერი ხალხოსნების მიმართულების გამტარებლები არიან, მაგრამ ისინი აგრეთვე მიზნად ისახავდნენ ხალხში რევოლუციონური იდეების გაღვივებას. არც ერთ მოვლენას, რომელიც მათ შესაძლებლობას აძლევდა ხალხის საკეთილდღეო მისწრაფებანი ცხოვრებაში გამოეტანათ, არ ტოვებდნენ უპასუხოდ და აღუნიშნავად. ცენზურა, რომელიც რუსეთის გამათავისუფლებელ საზოგადოებრივ აზროვნებას რკინის ბრჭყალებში ხუთავდა, ლამობდა თავისუფალი აზრი ძირშივე მოესპო, არავითარი გასაქანი არ მიეცა, აქ ჩვენში თითქოს დაუდევრობას იჩენდა[58]. მაგ., მიხ. გურგენიძე, „იმედის" რედაქტორი,

---

[55] საცენზურო კომიტეტის არქივიც მკვეთრმეტყველურად ადასტურებს ჩვენს ამ შეხედულებას. „იმედს" გამოსვლის მანძილზე (1881—1883 წწ.) მისი თანამშრომლების მრავალი წერილი აქვს კომიტეტს „შეჩერებული". მათ შორის ტ ა ტ ა ლ ა ს ი ყველაზე მეტია.

[56] ტ ა ტ ა ლ ა, პოლიტიკა, „იმედი", 1881 წ., № 2, გვ. 143.

[57] ი ქ ვ ე, გვ. 157.

[58] ეს გარემოება, რა თქმა უნდა, აიხსნება არა იმით, რომ ხელისუფლება ცენზურის საქმიანობას საქართველოში აუსტებდა. არა. ცენზურას ყურადღება საქართველოში განსაკუთრებით გამახვილებული ჰქონდა ეროვნული საკითხის მიმართ. ამის ნარდა, ალეგორიისა, ქარაგმებისა, გადაკრულისა და იგავის გამოყენება, რაც დამახასიათებელი შეიქნა ქართული ლიტერატურისათვის XIX საუკუნეში, ცენზორს თვალს უხვევდა.

მოგვითხრობს ალექსანდრე მეორის მოკვლის ამბავს, მის მზადებას, ე. ი. რევოლუციური მოძრაობის პროცესს და აგრეთვე ახალი იმპერატორის ალექსანდრე III მუქარას. ყველა ამას, რასაკვირველია, აგიტაციის მიზანი აქვს. მაგრამ მიხ. გურგენიძე ისეთ ეპიურ ფორმას აძლევს, რომ მის საწინააღმდეგოდ, ალბათ, ვერაფრის თქმა ვერ მოახერხეს. თავის წერილს ის იგავის ხერხიანობით შემდეგნაირად ამთავრებს: „რუსეთის ლიტერატურა კი, ჩვეულებრივ, ან უცხადებს რევოლუციონერებს თავის უკმაყოფილებას, ან კიდევ ურჩევს სამეფო სასახლე მოსკოვში გადასახლდეს. როდემდის უნდა ვატყუოთ ასე ან სხვა, ან ჩვენი თავი. ამგვარი საშუალებები ბევრი დაიხარჯა, მაგრამ ყველა ამაო გამოდგა. რევოლუციონერები მაინც თავისას არ იშლიან. ვერც ამ საშუალებამ, რომელსაც აქამდის მართებლობა ხმარობდა რევოლუციონერთა მოსასპობად, გააწყო რამე. როგორც ვხედავთ, დრო არის გაიღვიძოს ლიტერატურამ, გამოიფშვნიტოს თვალები და შეუდგეს თავის წმინდა მოვალეობას — ამ შემაძრწუნებელი მიზეზის გამოკვლევას და იმის ძირში ამომფხვრელი საშუალებების ჩვენებას!“[59] აქ, რა თქმა უნდა, გურგენიძე იყენებს გადაკრულ, იგავურ ხერხს.

ქართველი ხალხოსნები და მათი ორგანო „იმედი“ იმ დროისათვის, რასაკვირველია, რამდენადაც მათი წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობა მათ ამის შესაძლებლობას აძლევდა, ცდილობენ საკმარისად ღრმად და სერიოზულად გაერკვნენ საჭირბოროტო სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებში. და უნდა ითქვას, მათ იმ დროისათვის საკმარისად რადიკალური გაგება აქვთ რევოლუციური მოძრაობის მოვლენებისა და მათი გამომწვევი მიზეზებისა[60]. ამას მშვენივრად ამყღავნებს ჟურნალ „იმედის“ თანამშრომელთა და სხვა ხალხოსანთა სტატიები. სანიმუშოდ მოვიყვანთ ციტატას სტ. ჭრელაშვილის პოლემიკიდან „ივერიასთან“.

სტ. ჭრელაშვილი „ივერიის“ თანამშრომლებს უკიჟინებს, რომ, მათი აზრით, „აქამდის გამოგდებული შეგირდები იყვნენ არეულობის უსტაბაშებად ტოლსტოის მეოხებით, ეხლა კიდევ ჩინოვნიკების ტყუილა ცილისწამებამ, სიცრუემ და გარყვნილობამ მოიგონა ვიღაც სოციალისტები, მართებლობის წინააღმდეგნი, რომლებიც ტყუილუბრალოდ დაღუპეს ციმბირში. თავი არ უნდა ამისთანა სიბრძნის გამოთქმას?!. — შხამიანად შენიშნავს სტ. ჭრელაშვილი, — მე იქნება მომეტებული ზიზღით ვუყურებდე საზოგადოდ ყოველგვარ ბიუროკრატიას, ვიდრე გ. თ-მ-ი, მაგრამ საქმე აქ ჩვენს გრძნობაზე კი არ არის,

---

[59] მიხ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე, შინაური მიმოხილვა. „იმედი“, 1881 წ., № 2. გვ. 142.

[60] რასაკვირველია, ხალხოსნებს აქ ვიხილავთ იმ დროს საქართველოში არსებულ სხვა სოციალურ ჯგუფებთან შედარებით.

საქმე იმაშია, თუ რამდენად ჩინოვნიკობაა პირველი და უკანასკნელი მიზეზი არეულობისა... რუსეთის ახლანდელი მოძრაობა, — განაგრძობს ის, — თითო რამე წვრილმანით არ აიხსნება: ამ მოძრაობას აქვს თავისი ნიადაგი, სადაც მას გაუდგამს ფესვები და იკვებება ათასნაირი ნაყოფიერი საზრდოთი. ჩვენ იმასა ვკითხულობთ, თუ ვინ ამზადებს ასე უხვად ამ საზრდოს?.. ტოლსტოი დიდი დამნაშავეა ამ საქმეში, მაგრამ ისიც ვიკითხოთ, ტოლსტოესა ჰქონდა ამოდენა შეძლება, რომ მარტო თვითონ ეკვებნა ეს უშველებელი ვეშაპი — რევოლუცია? შეუძლებელია, რომ ერთმა კაცმა, ისიც სწავლა-განათლების სისტემით, მოახდინოს „სოციალური არეულობა“... უმანკო ანგელოზები რომ ყოფილიყვნენ ჩვენი ჩინოვნიკები, რუსეთი სრულებით დაწყნარებული იქნებოდა? რევოლუციონერები აღარ გაჩნდებოდნენ?.. ჩინოვნიკობასაც ბევრი დანაშაული აქვს ამ მოძრაობაში, იმანაც კაი საზრდო მისცა რევოლუციონერებს... მაგრამ მარტო ჩინოვნიკებს არ შეუძლიათ ამოტელა მოძრაობის აღძვრა, სოციალური არეულობის მარტო თავის ჯიბიდან მოტანა... თუ მართლა არ შეიძლება ამ საგანზე ლაპარაკი, — მკვახედ შენიშნავს სტ. ჭრელაშვილი, — მაშინ რათ ლაპარაკობთ? და თუ შეიძლება კიდე და ამნაირად არა, ჩემო ბატონო. ეს მართლა ბავშვური ლიტერატურაა, როგორც სამართლიანად გაწყენინათ დ. აბდუშელიშვილმა“[61].

მართალია, ჩინოვნიკების უკუღმართი და უსინდისო საქციელი გაკიცხვისა და დაგმობის ერთ მთავარ საგნად და მოვლენად გადაიქცა ხალხოსანი მწერლებისათვის — ნიკო ლომოურის, სოფ. მგალობლიშვილის, შაქროსი და სხვათათვის, მაგრამ ისინი, თითოეული ცალკე და ყველა ერთად კარგად ხედავდა, რომ ჩინოვნიკობა, როგორც ასეთი, არაფერ შუაშია. მათ კარგად ესმოდათ, რომ საერთო ხელსაყრელი მდგომარეობაა საჭირო და მაშინ ჩინოვნიკები თავიანთი მოვალეობის ჭეშმარიტი შემსრულებელნი იქნებიან. „ჩვენ ვხედავთ, — წერს ტატალა, — სხვა სახელმწიფოებს..., სადაც ხალხს ვეღარ უყურებენ მგლის თვალებით, სადაც თითონ ხალხი ნებას არ აძლევს თავის დაჩაგვრისას, სადაც პოლიტიკა ძალაუნებურად ემსახურება ხალხის პირდაპირ მოთხოვნილებათა, სადაც ზრუნავენ მთელი სახელმწიფოს ამაღლებას, განათლებას, სადაც ჩინოვნიკები ბატონებათ კი არ მიაჩნიათ, არამედ ხალხის წყნარ მოსამსახურებად ითვლებიან“[62].

ცხადია და მკაფიო ხალხოსნების მისწრაფება (ყოველ შემთხვევაში სუბიექტურად მაინც) — ცხოვრების მთლიანი გარდაქმნა ახალ საფუძვლებზე. უმთავრესი, რაც მათ ყურადღებას იპყრობს, არის ხალხის

---

[61] სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ბიბლიოგრაფია („ივერიის“ IV ნომერი), „იმედი“, 1881 წ., № 3—4, გვ. 61—63.

[62] ა რ ა დ ე ლ ი, პოლიტიკა, „იმედი“, 1881 წ., № 7—8, გვ. 162.

ცხოვრების ეკონომიური მოუწესრიგებლობა. ამიტომ მათ პირველ რიგში ხალხის ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესების პრობლემა აქვთ დასახული. ხალხის მდგომარეობის ეკონომიური უზრუნველყოფა, ხალხოსნების შეხედულებით, ძირითადი საწინდარია ხალხის ბედნიერებისა და ადამიანური ცხოვრების პირობების მოპოვებისა.

პრაქტიკულმა მოღვაწეობამ ისინი მალე დაარწმუნა, რომ სოციალურ-ეკონომიური კეთილდღეობის მოპოვებისათვის ხალხი უნდა შეეცადოს პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებას.

1878 წლიდან ამ მიმართულებით მომხდარი გარდატეხა რუსი ხალხოსნების მსოფლმხედველობასა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში, უდავოდ, ჩვენ ხალხოსნებზეც თავის დიდ გავლენას ახდენს. „ამჟამად, — წერს არადელი, — თითქმის მთელ ევროპაში მცნებათ არის აღიარებული... და ცხოვრებაში განხორციელებული ერთი აუცილებელი პირობათაგანი საზოგადოებრივი ცხოვრების კანონიერი, სამართლიანი და მართებული მიმდინარეობისათვის. ეს პირობა გახლავთ თვით ხალხის, ერის მიერ მონაწილეობის მიღება საზოგადო, სახელმწიფოებრივ საქმეთა მსვლელობაში. ხალხი თუ ერი დას-დასებად, თემებად თუ რგოლებად დაყოფილი, ირჩევს თავის წარმომადგენლებს... ეს წარმომადგენელნი ხალხის აზრისა და გრძნობისა, მოთხოვნილებათა და სურვილთა ერთად შეკრებილნი, შეადგენენ ერთ უზენაეს სახელმწიფო დაწესებულებას, ხელმწიფობითი აგებულების მთავარ ორგანოს“[63].

აქ აშკარადაა გამოთქმული რესპუბლიკური მიმართულება ქართველი ხალხოსნებისა: ძალა-უფლება უნდა ხალხის ხელში იყოს; სახელმწიფოსა და ხალხის ცხოვრების სრულუფლებიანი გამგებელი თვით ხალხი უნდა იყოს.

მაგრამ ხალხოსნები მარტო პოლიტიკური თავისუფლებით არ კმაყოფილდებიან. ისინი სოციალიზმისაკენ მიისწრაფვიან და ასეთ შეხედულებას ააშკარავებენ „იმედის“ ფურცლებზე.

ჩვენი ხალხოსნები, რასაკვირველია, აქაც იმავე პოზიციაზე დგანან, როგორზეც რუსი ხალხოსნები, რომელთა შესახებ ლენინი ამბობს, რომ ისინი მხოლოდ სუბიექტურად იყვნენ სოციალისტები. ამ თეორიას (ე. ი. ხალხოსნობას), ამბობს ლენინი, — „სწამდა... ერთი მხრით, თეორიული დამუშავება, დამამტკიცებელი ფაქტები რუსეთის ცხოვრებიდან და, მეორე მხრით, გამოცდილება ისეთი პოლიტიკური პროგრამის გამოყენებაში, რომელიც გლეხის ამ ნავარაუდევ თვისებებს დაეყრდნობოდა... მაგრამ ამ მასალამ, რაც უმთავრესად მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი ს ფორმას შეეხებოდა, სრულიად დაჩრდილა მკვლევარებისათვის სოფლის ეკონომიკა“[64].

---

[63] ტ ა ტ ა ლ ა, პოლიტიკის მაგიერ, „იმედი“, 1881 წ., № 1, გვ. 151.

[64] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, რანი არიან „ხალხის მეგობრები“, თხზ., ტ. I, გვ. 323—324.

ზოგიერთ შემთხვევაში ქართველი ხალხოსნები ცდილობდნენ უფრო თვალღიათ შეეხედათ ამ მოვლენისათვის, მაგრამ ესენიც სოციალისტები იყვნენ მხოლოდ სუბიექტური განწყობილებით.

„ბურჟუამ თავისუფლების ძალით, — წერს ნიკო ხიზანიშვილი, — ტყავი გააძრო მუშა ხალხს. თუ რა შეუძლიან მარტო პოლიტიკურ თავისუფლებას, სჩანს იმ ფაქტიდან, რომ დიდი რევოლუციის შემდეგ ბურჟუა სულ ლიბერალობს, სულ თავისუფლებას ღაღადებს, სულ ეწინააღმდეგება სახელმწიფო მზრუნველობას და არა მარტო პოლიტიკურ სფეროში, არამედ ეკონომიურშიც... ნაყოფი ამ ღაღადებისა იშვა, მას ყველა ჰხედავს, იგი ბევრს მოსვენებას არ აძლევს, მისი მრავალთ ეშინიანთ. ეს ნაყოფი არის ბურჟუას უკანონო შვილი, რომელიც ითხოვს უფლებასა და რომელიც ქვეყანაზედ გააჩინა მუდამ ჟამს თავისუფლების ღაღადებამ და ამ თავისუფლების ძალით მეტად თავისუფლად დაბალი ხალხის ყვლეფამ, გლეჯამ. ამ ნორჩ არსებას ჰქვიან სახელად სოციალიზმი“[65].

ვინ უნდა იყოს, ხალხოსნების რწმენითა და განჭვრეტით, ამ მომავლის, ხალხის ბედნიერების — სოციალიზმის დამყარების ბურჯად? ვინ უნდა შეძლოს გაკვლევა უმადური ცხოვრების ნარ-ეკლიანი გზისა? ვინ უნდა შეიყვანოს ხალხი აღთქმის ქვეყანაში? ვისი შემწეობით უნდა მოხდეს სოციალიზმის განხორციელება? ვის გამოიყვანს სამოქმედო ასპარეზზე მომავალი?

აი საკითხები, რომლებიც ამ დროს არა მარტო ქართველ საზოგადოებას, არამედ მთელ კაცობრიობას გადასაწყვეტად წინ ედგა.

ჩვენი ხალხოსნები ამ საკითხებს წყვეტდნენ ისე, როგორც რუსი ხალხოსნები. „მაინც უნდა ითქვას, — წერს ნიკო ხიზანაშვილი, — რომ ჩვენში მომავალი გლეხკაცობას განავითარებს. დაბალი წოდება უნდა შეიქმნას კეთილ ცხოვრების ბურჯად. ამას გრძნობს ყველა, ამას ღაღადებს თვით ჩვენი მწერლობაც“. და არა მარტო გლეხკაცი უნდა შეიქმნეს მომავლის ბურჯად, არამედ თვით გლეხკაცის ცხოვრება და მისი წყობილება უნდა დაედვას საფუძვლად მომავლის შენებას. „საჭიროა, — განაგრძობს ნიკო ხიზანაშვილი, — ჩვენი გლეხკაცობის წარსული უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა, საჭიროა მით უფრო, რომ მხოლოდ ამ შესწავლის შემდეგ შევიტყობთ, თუ რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი მწერლობა, რა მიმართულება უნდა მიეცეს ჩვენ შეერთებულ ღვაწლს“[66].

---

[65] ნ ი კ ო ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საუუძველი სახალხო განათლებისა, „იმედი“, 1881 წ., № 9. 10. ვვ. 35.

[66] მ ი ს ი ვ ე. უფლება და კანონი ძველ საქართველოში, „იმედი“, 1882 წ., № 11—12, გვ. 25.

უნდა აღინიშნოს, რომ ხალხოსნები 80-იანი წლების დასაწყისიდან-ვე არა მარტო გლეხის მდგომარეობითა და მისი გაუმჯობესებით არიან დაინტერესებულნი, არამედ აგრეთვე მუშის მდგომარეობითაც. მუშებთან მჭიდრო კავშირის დაჭერას ცდილობენ (მაგ., შაქრო. იხ. ქვევით). უნდა ითქვას, რომ მუშა და ხელოსანი მათ ხშირად გაიგივებული ჰყავთ. მუშის ისტორიულ როლს ვერ ითვალისწინებენ. ცნობილია, რომ ამ დროს ხალხოსნები ცდილობდნენ ურთიერთობა ხელოსნებთანაც დაემყარებინათ.

1883 წ. ჟურნალ „იმედის" იანვრის ნომერში რედაქცია მკითხველთა საყურადღებოდ აცხადებს: „თებერვლის წიგნიდან „იმედში" დაიწყება ბეჭდვა ვრცელი სტატიისა — „მუშა ხალხი საქართველოში". ეს სტატია მნიშვნელობას არ არის მოკლებული, რადგანაც ჯერ-ჯერობით ჩვენს მწერლობაში შესახებ მუშა ხალხისა თითქმის არაფერი არ არის ნათქვამი".

ასეთი წინასწარი განცხადება იმის მაჩვენებელია, რომ „იმედი" ამ ახალ საკითხს — მუშის მდგომარეობას უტრიალებს და მის მოწესრიგებას დიდ მნიშვნელობას აძლევს.

აღნიშნული წერილის ავტორი — ი. ა-ძე მწუხარებას გამოთქვამს, რომ „საქართველოს ისტორიულ წერილებში არ მოიპოვება არც ერთი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ ვრცელდებოდა ჩვენში ხელოსნობა, ანუ მუშა ხალხი როდის რა გვარ მდგომარეობაში იყო?" მას სურს ეს ნაკლი შეავსოს. მკითხველს მიუთითებს, რომ ევროპაში ამ მოვლენას დიდ ყურადღებას აქცევენ და ცდილობენ გაჭირვებულ მოძმეთა — მუშათა ცხოვრება გააუმჯობესონ. „ჩვენში კი — წერს ის, — სადაც მუშა ხალხის სიღარიბე, სამწუხაროდ დღე-დღეობით მატულობს, ყურს არვინ ათხოვებს. თითქოს არვის შეეხებოდეს... თუ დავაკვირდებით და გავიცნობთ, ჩვენშიაც შევნიშნავთ იმგვარ სურათს, რომელნიც ევროპაში ფრიად ხშირნი არიან, ჩვენსაც დღე-დღეობით თითო-ოროლა ოჯახებს იმსხვერპლებს ხოლმე სიღარიბე"[67].

ავტორი აღნიშნავს, რომ მუშის უგულებელყოფა მწერლობის ერთ-ერთი დიდი ნაკლია. ის ერთგვარი გულისწყრომით აცხადებს „თითქოს ამ კითხვებს კი კავშირი არა ჰქონდეთ ეროვნების აღორძინებაშიო"[68].

ი. ა-ძეს, როგორც თითქმის ყველა ხელობაში გამოცდილს, როგორც თვითონვე წერს, შეუძლია მკითხველს მიაწოდოს ცნობები მუშის შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ „ამ ბოლო დროს საქართველოს ყველა ქალაქებში, განსაკუთრებით ქ. თბილისში, ერთობ გამრავლდა ხელოსანი მუშა ხალხი", რომელთა მუშაობის პირობები ერთობ მძი-

---

[67] ი. ა-ძე, მუშა ხალხი საქართველოში, „იმედი", 1883 წ., № 2, გვ. 35.
[68] ი ქ ვ ე, გვ. 37.

მეა. ხშირად, — გადმოგვცემს ავტორი, — როდესაც კი მათთან მივსულვარ და მისაუბრია, შემოუჩივლიათ თავიანთ ავადმყოფობაზედ და ათასნაირ სხვადასხვა სატკივრებზე. განსაკუთრებით მცირეწლოვან შაგირდებს და სუსტის აგებულობისას ხომ მეტის, განუზომელის შრომისაგან გული უცრუვდებათ, ხშირად ხელობასაც სტოვებენ და მით ვერ სარგებლობენ". სამწუხაროდ, ი. ა-ძის წერილი დაუმთავრებელია. მაგრამ, ცხადია, ავტორს სურვილი აქვს წერილი ხელოსნების შევიწროებული მდგომარეობა აგვიწეროს, ხაზი გაუსვას მათი მოღვაწეობის მნიშვნელობას და მათზე ზრუნვის აუცილებლობას.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ავტორი ვერ ხედავს მუშის ნამდვილ სახეს და მის ისტორიულ როლს. და ეს დამახასიათებელია არა მარტო ავტორისათვის, არამედ, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, საერთოდ ხალხოსნებისათვის.

მუშის შესახებ ამგვარ შეხედულებას ამ დროს, რა თქმა უნდა, სხვა ხალხოსნებიც აყენებენ, მაგრამ ძირითადად მათი საზრუნავი მაინც გლეხი რჩებოდა. თითქოს გვერდს უხვევდნენ სოციალურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებას, რომელიც ურყევი ფაქტი იყო, ქვეყნის კაპიტალიზაციით გამოწვეული. ამაში იყო ხალხოსნების მსოფლმხედველობის სისუსტე და მისი დარღვევის მიზეზი. მიუხედავად იმისა, რომ ხალხოსნები გულწრფელნი იყვნენ თავიანთ ზრახვებში და მოღვაწეობაში ხალხის საკეთილდღეოდ, რამდენადაც ისინი ცალმხრივი იყვნენ — ეყრდნობოდნენ გლეხობას, ვერ ითვალისწინებდნენ მუშის ისტორიულ როლს და კაპიტალიზმის განვითარების მნიშვნელობას — „აფერხებდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ინიციატივისა და აქტივობის განვითარებას. ნაროდნიკები ხელს უშლიდნენ მუშათა კლასს შეეგნო თავისი ხელმძღვანელი როლი რევოლუციაში და აფერხებდნენ მუშათა კლასის დამოუკიდებელი პარტიის შექმნას"[69].

გლეხკაცის ცხოვრების შეფასებაში „იმედის" თანამშრომელნი არ იზიარებდნენ „დროება" — „ივერიის" მიერ ჩვენი ხალხის წარსული ცხოვრების განდიდებას, გაიდეალებას, ერთგვარი ქება-დიდების შესხმას. ასეთი გზა „იმედს" ისტორიის დამახინჯებად მიაჩნია. მისი სამართლიანი შეხედულებით, ეს არც საჭიროა და არც სარგებლობა მოაქვს მას. „ჩვენ, — აცხადებს ნიკო ხიზანაშვილი, — ვიწყებთ მით, რომ ვამბობთ: ჩვენი გლეხი იურიდიულად იყო ყოველ მხრივ დაჩაგრული არსება"[70].

გლეხი, რომელიც, ხალხოსნების შეხედულებით, მომავლის ბუ-

---

[69] საკ. კომ. პ. (ბ) ისტორია, 1948 წ., გვ. 15.

[70] ნ. ხიზანაშვილი, უფლება და კანონი ძველ საქართველოში, „იმედი", 1882 წ., № 11, 12.

რჯად უნდა შეიქმნას, ყოველთვის დაჩაგრული იყო. ახლაც, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც, დაჩაგრული დარჩა. მართალია, ამ აქტის შემდეგ თითქოს, მან პირადი (პიროვნული) თავისუფლება მოიპოვა, თითქოს ის ადამიანად იქნა აღიარებული და ცნობილი, მაგრამ უფლებას ხომ მოპოვება, შენახვა და დაცვა უნდა. ამას კი ეკონომიურად გამაგრებული წელი ესაჭიროება, რაც გლეხს ყოველთვის და ყველგან აკლდა. ამიტომ მონობის უღელი კვლავინდებურად მძიმედ ედგა მას კისერზე.

სოფ. მგალობლიშვილი ასე გვიხატავს გლეხკაცის მდგომარეობას ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ: „რაც დღე გადიოდა, სოფელი უკან-უკან მიდიოდა, ღარიბ-ღატაკდებოდა; ვისიც ოჯახში ხალხი მრავალი იყო, იმას კიდევ არა უშავდა რა; ვინც მარტოხელი იყო, მისი საქმე მთლად დაღუპული იყო; სული გაუნთავისუფლდა ხალხს, ხორცი კი ბატონს დარჩა; სულის ძალა ჯანის სინამდვილეზეა დამყარებული, თუ ხორცი უძლურია, სულიც უძალოა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხალხის სულიც ბრჭყალებში ჩაიჭირეს და მისი სულის თავისუფლება გალიაში ჩამწყვდეულ ბულბულის ყოფაში ჩავარდა, ყოველ მხრივ შეეზღუდა თავისუფლება; საითაც კი გაიწევდა, მაგარ კედელს აწყდებოდა, როგორც გალიაში ჩიტი — ბულბული“[71].

ამ დაჩაგრული არსების ვინაობისა და მისწრაფებათა გამოსამჟღავნებლად, მისი ინტერესების დასაცავად სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდნენ ჩვენი ხალხოსნები — „რაზნოჩინცები“. აკი ისინი თავიანთი ორგანოს „იმედის“ პირველი ნომრის პირველივე წერილით გვაცნობენ თავიანთ სულიერ განწყობილებას: „ის კაცი (ე. ი. ტეტიკაშვილი — ხალხის შვილი — მ. ზ.), — წერს მიხ. ასათიანი, — მართლა ბედისაგან ძლიერ დატანჯული ვინმეა და თუ მართლა მოახერხა როგორმე და ჩამოვიდა აქა, ბევრს ყურადღების ღირსს და თავზარის დამცემს ამბავს გიამბობთ“[72].

აკი გიორგი ჭრელაშვილი, „იმედის“ ერთ-ერთი თანამშრომელი, ამ ხალხის სახელით აღფრთოვანებით მიმართავს „იმედის“ ჯგუფს:

ყველა მოგვღვარძლა უსამართლობამ...
მხსნელად ვამოჩნდი... მაშ აჰა ხელი!
შეღავათს, ძმობას, პატიოსნებას
ეხლა კი მტკიცედ შენგან მოველი.
ჭინასწარ მთქმელად, გინდ იყო ერთი,
ნუ შეშინდები — ახსენე ღმერთი!

ბევრი ისურვებს შენსა დაჩაგვრას...
მაგრამ დაუხვდი, — ვერ დაგძლევს ავი,

---

[71] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ჯორ-ზაქარა, თხზ., ტ. II, 1926 წ., გვ. 155.
[72] მიხ. ა ს ა თ ი ა ნ ი, შიკრიკი, „იმედი“, 1881 წ., № 1, გვ. 7.

იყავ ტანჯულთა მომხრე, ერთგული,
სიმართლეს დაბლა დაუკარ თავი!
წინასწარ...

ხალხს ჩააგონე სიტყვა მართალი,
მაღალ აზრს მიეც გზა რიგიანი,—
გულში ჰკარ მტერსა მწვეტი ისარი
და იყავ მუდამ პატიოსანი!
წინასწარ...[73]

ამგვარი განწყობილებით გამოდის „იმედის“ მთელი ჯგუფი, ხალხის წიაღიდან გამოსული მოღვაწეთა გუნდი, ხალხის ცხოვრების კარგი მცოდნე და, მართლაც, გამოაქვს საზოგადოებაში ბევრი ყურადღების ღირსი და თავზარდამცემი ამბავი ტანჯული ხალხის ცხოვრებისა. სწორედ ამ ჯგუფმა დაისახა მიზნად საზოგადოებისათვის გაეცნო ამ ხალხის მძიმე მდგომარეობა: მისი კულტურულად დაქვეითება, მისი ეკონომიური უილაჯობა, მისი სულიერი ტკივილები — თუ რა ღუპავს და რა ნთქავს მას, რა ანადგურებს მის სიცოცხლეს. ამასთან ერთად ეს ჯგუფი შეეცადა ეჩვენებინა ხალხის ბუნებისა და ცხოვრების დადებითი მხარეებიც, რომელთაც შეუნახეს და არ მოუსპეს მას (ხალხს) ცხოველმყოფელი ძალა. შეეცადა ხალხის ცხოვრებისაგან ხშირად შეეიწროებულ და გატეხილ გულში ღრმად ჩაეხედა და ამოეკითხა მისი მისწრაფებანი.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ხალხოსნები, მიუხედავად მათი ორმაგი ბუნებისა — რეაქციონურ-პროგრესულისა, გატაცებით წავიდნენ აღებული გზით და მტკიცედ შეებრძოლნენ დაბრკოლებებს არჩეულ ნარეკლიან გზაზე.

ჩვენი ხალხოსნების მოღვაწეობა მხატვრულ ლიტერატურაში ძირითადში ერთი მთავარი კულტურტრეგერული მოღვაწეობის გზით გაიშალა (ჟურნალ „იმედის“ თანამშრომელთა უმრავლესობაც კულტურტრეგერული მიმართულებით განვითარდა, ამიტომ ჟურნალ „იმედს“ ამ მიმართულების გარკვეული ბეჭედი აზის). მართალია, ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ხალხოსან მწერალთა შორის გვხვდებიან რევოლუციური მიმართულების გამომხატველნიც — მაგ., სოფ. მგალობლიშვილი, მაგრამ არც ეს არის ტიპიური რევოლუციონერი ხალხოსანი (მისი შემოქმედების პირველი პერიოდი უხვადაა მატარებელი კულტურტრეგერული ელემენტებისა). ჩვენი ხალხოსანი მწერლობისათვის: მიხ. ასათიანის, ნიკო ლომოურის, შაქროს (ზაქარია გულისაშვილის), ანტ. ფურცელაძის და სხვათათვის ძირითადი კულტურტრე-

[73] გიორგი ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ლექსი, „იმედი“, 1881, წ., № 2.

გერული მიმართულებაა, თუმცა მათთვის უცხო არ იყო რევოლუციური მოტივებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთშიც კი ხალხოსანი მწერლების უმეტეს ნაწილში (შეიძლება ითქვას, ჩვენში თითქმის ყველაში) ორივე ეს მიმართულება ერთმანეთში მჭიდროდ იკვანძებოდა. უმეტესი მათგანისათვის გზა კულტურტრეგერული მოღვაწეობისა ეკონომიურად და კულტურულად დაცემული და დაკნინებული ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის მთავარი და უფრო დამახასიათებელი შეიქმნა. მათი მიზანი იყო ხალხის ცხოვრებასთან ახლო მისვლა, შესწავლა და აღნიშვნა-ასახვა მისი ცხოვრების იმ თვისებათა და მოვლენათა, რომელნიც გაუმაძღარ წურბელასავით მოჰკიდებიან ხალხის ორგანიზმს და უსპობენ მას გაჯანსაღების საშუალებას. ეს „ხალხის მოკეთეები“ აგრეთვე ცდილობდნენ გამოეძებნათ და დაეინახვებინათ ის საშუალებანი, რომელნიც საჭირონი იყვნენ მისი ცხოვრების გამოფხიზლებისათვის, ამოქმედებისათვის, გადახალისებისათვის.

აკი ამ მიზნით გატაცებული ჩვენი ხალხოსნების ჯერ მცირე, შემდეგ კი კარგა მოზრდილი ჯგუფი 70—80 წლების უღელტეხილზე გადის ხალხში, როგორც თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით, ისე თავისი ლიტერატურული შემოქმედებით, ყველასათვის და უპირველესად მშრომელ გლეხთათვის ახალი ადამიანური ცხოვრების მქადაგებლად.

ხალხოსანთა ტიპიურ სულისკვეთებას, მისწრაფებას, და მათ გამომწვევ მიზეზებს ნიკო ლომოური მშვენივრად გვიხატავს თავის მოთხრობაში „გიგო ღრუბელაშვილი“.

გიგო ღრუბელაშვილი ტიპია გატაცებული ხალხოსნისა, რომლის ფიქრი და გონება ხალხის ბედს გადაჰკვანძია და მის ჭირისუფლად შექმნილა. „მას წარმოუდგა, — გადმოგვცემს ღრუბელაშვილის სულისკვეთებას ავტორი, — საცოდავი ქოხმახები, რომლებშიაც მცხოვრებნი ამ სოფლებისა წვითა და დაგვით ათრევდნენ თავიანთი სიცოცხლის მწარე დღეებსა. ის ცხადად ხედავდა გლეხკაცის განუზომელ სიღარიბეს, მის დავრდომილებას, მისი აზრისა, გრძნობისა და გონების დაუძლურებას. ხედავდა მის გამუდმებულ მძიმე ჯაფასა, რომლისაგან იგი ჯანითა და აგებულებით სუსტდებოდა, წრიოკდებოდა და ვადაშენების საზარელ უფსკრულს უახლოვდებოდა. შემდეგ მას გადაეშალა წინ საზიზღარი სურათი იმ ავაზაკთა კრებისა, რომელნიც მთელი თავიანთი მეცადინეობით ხელს უწყობენ მუშა კაცის უბედურებასა, მის დაჩაგვრას და მიწასთან გასწორებასა. ბოლოს მას წარმოუდგა ის შავბნელი გარემოებანი, რომელთაც დაბადეს ქვეყნად, ერთის მხრივ, ეხლანდელი მშიერ-მწყურვალი გლეხკაცი, ხოლო, მეორეს მხრივ, მისი ოფლისა და სისხლის მსმელი, მისი მჭამელა ორფეხა ნადირი...

„არა, არა — დაიძახა გიგომ ხმამაღლა, — საქმე ძლიერ ცუდათ მი-

დის. ასე რომ გაგრძელდეს კიდევ ოციოდე წელიწადს, ხალხი სრულიად დაეცემა, სასოებას დაჰკარგავს; სიღარიბე და უსამართლობა სამუდამოთ ბოლოს მოუღებენ მას. დაე, რაც მოსახდენია მოხდეს. მე უნდა მოვეშველო ხალხსა, ძმურად გვერდში ამოვუდგე და მის ფეხზე წამოყენებას შევწირო მთელი ჩემი სიცოცხლე!"[74]

ამ ნაწყვეტში და მთლიანად ხსენებულ ნაწარმოებში ნიკო ლომოური მეტად მკვეთრად იძლევა არა მარტო ჩვენი ხალხოსნური მიმართულების გამომწვევ მიზეზს, მის მიზანსა და სამოქმედო გეგმასა, არამედ საერთოდ ხალხოსნებისასაც. ხალხოსანთა ამ დეკლარაციას თავისუფლად ხელს მოაწერდნენ არა მარტო ქართველი, არამედ რუსი ხალხოსნებიც.

აი ასეთი მიზნისა და გეგმის განხორციელებისათვის ხალხოსნებმა გამოიყენეს „ხალხში სიარულიც", ჟურნალიც და მხატვრული შემოქმედებაც, განსაკუთრებით 70—80-იან წლებში.

1883 წლიდან რუსეთში და მასთან დაკავშირებით საქართველოშიც თანდათან იწყება ხალხოსნური იდეოლოგიისა და ორგანიზაციების დეკადანსი. ეს დაკავშირებულია ალექსანდრე III მეფობაში გაძლიერებულ რეაქციასთან. მაგრამ ხალხოსანთა მიმართულების დეკადანსი ძირითადში გამოწვეულია კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებით. კაპიტალიზმის განვითარების ნიადაგზე გართულებულ სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებას ხალხოსნებმა სათანადოდ ვეღარ აართვეს ალღო.

80-იანი წლებიდან რუსეთში (90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში) განვითარდა ახალი იდეოლოგია (მარქსიზმი), რომელმაც კაპიტალისტური განვითარების საფუძველზე შექმნილი სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ბუნების სწორი გაგება შეძლო და თავისი მსოფლმხედველობის შესაფერი სამოქმედო პროგრამის გამომუშავებას შეუდგა.

ხალხოსნური მიმართულება და ორგანიზაციები როგორც რუსეთში, ისე საქართველოში იძულებული შეიქმნა თანდათან მარქსისტული მიმართულებისა და ორგანიზაციებისათვის დაეთმო სამოღვაწეო ასპარეზი. მარქსიზმისა და ახალი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარებას აბრკოლებდა ხალხოსნების მოქმედება, რომელიც ამ დროს გავრცელებული იყო გლეხობასა და რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენციაში. მარქსიზმი რუსეთში შეიძლება განმტკიცებულიყო ხალხოსნურ მიმართულებასთან ბრძოლის გზით.

80-იანი წლების დასაწყისშივე გ. პლეხანოვმა დააარსა მარქსისტული ჯგუფი „შრომის განთავისუფლებისა" და პირველმა დაიწყო ხალხოსნების მცდარი შეხედულებებისა და მოქმედების გზის მხილება,

---

[74] ნიკო ლ ო მ ო უ რ ი, გიგო ღრუბელაშვილი, 1925 წ., გვ. 138—139.

რაც საბოლოოდ დაამთავრა ვლ. ლენინმა. მათ თავიანთ მთელ რიგ შრომებში ამხილეს, რომ ხალხოსნები ვერ ითვალისწინებენ რუსეთის მტკიცედ დადგომას კაპიტალიზმის გზაზე და რომ არავითარ ძალას არ ძალუძს ის ამ გზას ააცდინოს. ხალხოსნები განაგრძობდნენ მტკიცებას, რომ კაპიტალიზმი რუსეთში შემთხვევითი მოვლენაა, რომ ის რუსეთში ვერ განვითარდება და პროლეტარიატიც ვერ გაიზრდება. გამომდინარეობენ რა ამ მოსაზრებიდან, ხალხოსნები მთავარ წამყვან რევოლუციურ ძალად თვლიდნენ გლეხობას, ინტელიგენციის ხელმძღვანელობით, და გლეხურ თემს, რომელშიც ისინი ხედავდნენ სოციალიზმის ჩანასახს და არა მუშათა კლასს, პროლეტარიატს, რომლის გარეშეც ისინი ლამობდნენ სოციალიზმის მიღწევას.

ვლ. ლენინი და გ. პლეხანოვი, იღებდნენ რა მხედველობაში რუსეთის სინამდვილეს, მასში კაპიტალიზმის ძლევამოსილებით განვითარებას, ამტკიცებდნენ: რევოლუციონერები იმას კი არ უნდა ცდილობდნენ, რომ შეაჩერონ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება, არამედ უნდა მიიღონ კაპიტალიზმი, როგორც შესრულებული ფაქტი და გარკვეულად დაეყრდნონ იმ მძლავრ რევოლუციურ ძალას, რომელსაც წარმოშობს კაპიტალიზმის განვითარება, — მუშათა კლასს — პროლეტარიატს; ხელი შეუწყონ მასში კლასობრივი შეგნების გაღვივებას, მის დარაზმვას და დაეხმარონ მას შექმნას თავისი პარტია.

ამ ბრძოლაში, როგორც „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის“ მოკლე კურსი გვასწავლის, მარქსისტები ემყარებოდნენ შემდეგ სწორ მოსაზრებებს: „...პროლეტარიატი, როგორც კლასი, წლითიწლობით იზრდება, პოლიტიკურად ვითარდება, მსხვილ წარმოებებში შრომის პირობების გამო ადვილად შეიძლება ორგანიზებულ იქნას და ყველაზე რევოლუციურია თავისი პროლეტარული მდგომარეობის გამო, ვინაიდან რევოლუციაში იგი არაფერს დაჰკარგავს, გარდა თავისი ბორკილებისა.“

სულ სხვაა გლეხობის საქმე.

გლეხობა, „...მიუხედავად მისი მრავალრიცხოვნებისა, წარმოადგენს ისეთ მშრომელ კლასს, რომელიც დაკავშირებულია მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილ ფორმასთან, — წვრილ წარმოებასთან, რის გამო მას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს დიდი მომავალი.

გლეხობა არა თუ არ იზრდება, როგორც კლასი, არამედ, პირიქით, წლითიწლობით იყოფა ბურჟუაზიად (კულაკები) და ღარიბებად (პროლეტარები, ნახევრად პროლეტარები), ამასთან იგი უფრო ძნელი დასარაზმავია თავისი დაქსაქსულობის გამო და უფრო ნაკლები ხალისით,

ვიდრე პროლეტარიატი, ებმება რევოლუციურ მოძრაობაში თავისი წვრილმესაკუთრული მდგომარეობის გამო...“[75]

ამასთან ერთად, დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად, მარქსისტები ხალხოსნებს უმტკიცებდნენ, რომ მათ ისტორიაზე არა აქვთ სწორი წარმოდგენა, რომ ისინი იდეალისტები არიან, რომ „საზოგადოების განვითარებას საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს არა გამოჩენილ პიროვნებათა სურვილები და იდეები, არამედ საზოგადოების არსებობის მატერიალურ პირობათა განვითარება, იმ მატერიალური დოვლათის წარმატების საშუალებათა ცვლილებები, რაც აუცილებელია საზოგადოების არსებობისათვის... იდეები კი არ განსაზღვრავენ ადამიანთა საზოგადოებრივ-ეკონომიურ მდგომარეობას, არამედ ადამიანთა საზოგადოებრივ-ეკონომიური მდგომარეობა განსაზღვრავს მათ იდეებს. გამოჩენილი პიროვნებები შეიძლება იქცნენ არარაობად, თუ მათი იდეები და სურვილები ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ-ეკონომიურ განვითარებას, ეწინააღმდეგება მოწინავე კლასის მოთხოვნილებებს, და პირიქით, — გამოჩენილი ადამიანები შეიძლება გახდნენ მართლა გამოჩენილ პიროვნებად, თუ მათი იდეები და სურვილები სწორედ გამოხატავენ საზოგადოების ეკონომიური განვითარების მოთხოვნილებებს, მოწინავე კლასის მოთხოვნილებებს.

ნაროდნიკების მტკიცებას იმის შესახებ, რომ მასა ბრბოა, რომ მხოლოდ გმირები ქმნიან ისტორიას და ბრბოს აქცევენ ხალხად, მარქსისტები უპასუხებდნენ: „გმირები კი არა ჰქმნიან ისტორიას, არამედ, ისტორია ჰქმნის გმირებს; მაშასადამე, — გმირები კი არ ჰქმნიან ხალხს, არამედ ხალხი ჰქმნის გმირებს და ხალხს მიჰყავს წინ ისტორია“[76].

ასეთი მარცხიანი კატეგორიის გმირებად მარქსისტები თვლიდნენ (და სინამდვილეშიც ასე აღმოჩნდა) ხალხოსნებს. ამიტომაც 80-იანი წლებიდან იწყო ხალხოსნურმა მიმართულებამ სწრაფი რღვევა, რაც ქართველი ხალხოსნებისათვისაც დამახასიათებელი და აუცილებელი შეიქმნა.

90-იანი წლებისათვის ხალხოსნური მიმართულება საქართველოში საბოლოოდ დაიშალა: ხალხოსნების ერთი ნაწილი (უმეტესი) წავიდა „ივერია“ — „მოამბის“ ჯგუფისაკენ, ნაწილიც „კვალში“ მომუშავე ახალ — „მესამე დასთან“ — ლეგალურ მარქსიზმთან მივიდა.

---

[75] საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, მოკლე კურსი, 1948 წ., გვ. 18.

[76] ი ქ ე ე, გვ. 19—20.

ხალხოსნების მხატვრული შემოქმედება

ხალხოსნების მოღვაწეობა, როგორც ორგანიზებული მიმართულების გამოხატულება, სისრულითა და სიმახვილით გაიშალა ალექსანდრე II მეფობაში რეაქციის გაძლიერების დროიდან (1866 წ. კარაკოზოვის გასროლის შემდეგ). აქედან რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება და აზროვნება უფრო გამახვილებული წინააღმდეგობით განვითარდა: თანდათან საგრძნობი და თვალსაჩინო სისწრაფით ძლიერდება, როგორც მთავრობის მხრით რეაქცია, თეთრი ტერორი, აგრეთვე მოწინავე საზოგადოების რევოლუციური მოძრაობა, ტერორი, რომელსაც ხალხოსნები 70-იან წლებში აწარმოებდნენ.

საშინელი რეაქციის პერიოდში ხალხოსნებმა თავისი მიზნების განსახორციელებლად საჭირო და სასარგებლო იარაღად მიიჩნიეს მწერლობა და, კერძოდ, მხატვრული შემოქმედება.

ჩვენი ხალხოსნები მწერლობის მნიშვნელობისა და დანიშნულების გაგებაში პირმშო შვილები არიან რუსეთის 60—70-იანი წლების საზოგადოებრივი აზროვნებისა. ისინი ადამიანის მოღვაწეობას, მეცნიერებას, ხელოვნებას და, კერძოდ, ლიტერატურას უტილიტარულ მიზნებს უსახავენ. ლიტერატურა, ხალხოსნების შეხედულებით, იარაღია, რომლითაც ისინი უნდა ებრძოდნენ ძველ, დრომოჭმული ცხოვრების პირობებს, ახალი ცხოვრების ყველა შემაფერხებელ მოვლენას. ხალხოსნების შეხედულებით, ლიტერატურა მათ უნდა დაეხმაროს ახალი ცხოვრების გზის გაკვალვაში. „ეძიეთ ახალი იდეალები კაცობრიობის ბრძოლაში თავისუფლებისათვის... აი აქ უნდა იყოს ახლანდელი ხელმძღვანელი აზრი ,ხელოვნებისათვის“ — ამბობს ა. გერცენი. და თითქოს ის ერთგვარ ბიძგს აძლევს იმ შეხედულებას, რომელიც 60-იანი წლებიდან საფუძვლად დაედო რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილის აზროვნებას. სწორედ ამ მისწრაფებათა საფუძველზე, რასაკვირველია, უფრო რადიკალურზე, გაიშალა ნ. ჩერნიშევსკის თეორიული შეხედულებანი ხელოვნებაზე („Эстетические отношения искусства к действительности“). ამ საფუძველზე 60-იანი წლების საუკეთესო მოღვაწეებმა: ნ. დობროლიუბოვმა, დ. პისარევმა, ნ. ნეკრასოვმა, ს.

ტიკოვ-შჩედრინმა და სხვებმა განავითარეს თავისი შინაარსიანი და იდეური მოღვაწეობა.

მწერლის მოღვაწეობას ნ. ნეკრასოვი, ლიტერატურაში ხალხოსნური მიმართულების ერთ-ერთი საუკეთესო გამომხატველი, ასე განმარტავს:

Служи не славе. не искусству,
Для блага ближнего живи,
Свой гений подчиняя чувству
Всеобнимающей любви.

როგორც დავინახეთ (იხ. ჩვენი „ახალი ქართული ლიტერატურა", ტ. II), უტილიტარული შეხედულება პოეტურ შემოქმედებაზე ქართულ ლიტერატურაში პირველად თერგდალეულებმა შემოიტანეს. თერგდალეულნიც შეეცადნენ თავიანთი პოეტური ნიჭი გამოეყენებინათ მოძმის საკეთილდღეოდ, რომ მათ ჩონგურს ორხმოვნად ეჟღერა: მათ ჩონგური მისთვის უნდათ, „რომ დაჩაგრულს მის სიმღერით თვალს ცრემლები ეშრობოდეს, და მჩაგვრელს კი გულში ძგერით ისარივით ესობოდეს"[1].

რასაკვირველია, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ იდეოლოგიურად ჩვენ თერგდალეულებსა და 60-იანი წლების რუს მოღვაწეთა (ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვსა და მათთანებს) შორის მსგავსებასთან ერთად არის ძირითადი განსხვავებაც.

უტილიტარული შეხედულება თერგდალეულ მწერალთა შემოქმედებაში თავისი ძალით, შემბორკავი ხასიათითა და შედეგებით ისეთი თვალსაჩინო არ იყო, როგორც ხალხოსან მწერალთა მოღვაწეობაში. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ეს მოვლენა შეიძლება აიხსნებოდეს შემდეგი გარემოებით: 1) თერგდალეული მწერლები წარმოშობით დარღვეული თავადაზნაურობის კლასებიდან გამოდიან. ეს ჯგუფი ამ კლასის რღვევის პროცესში შინადაჯგუფების ერთ-ერთი სახეა, რომელიც ძველის დამცველ კონსერვატორულ ნაწილს თუმცა ეწინააღმდეგება, მაგრამ მისი კლასობრივი ბუნებისაგან სავსებით მაინც ვერ თავისუფლდება. ჯერ კიდევ ცხოვრების ასპარეზზე ძალა-უფლების მქონე, თუმცა ძალიან დაძაბუნებული კლასი, თავადაზნაურობა თავისი ესთეტიზაციის მიდრეკილებით თერგდალეულებზეც, რასაკვირველია, ავრცელებდა თავის სუსტს, მაგრამ მაინც გავლენას. 2) თერგდალეულთა წარმომადგენელნი ლიტერატურაში — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი დიდი პოეტური ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი. მიუხედავად იმისა, რომ სარგებლიანობისა და აზრის უპირატესობის პრინციპი ჟღინთავს ილიასა და აკაკის შემოქმედებას, მათი შემოქმედება მაინც მძლავრი და ფა-

[1] აკაკი წ ე რ ე თ ე ლ ი, ჩონგური, თხზ., ტ. I, 1950, გვ. 208.

რთო მხატვრული სახეების საშუალებით იშლება მკითხველის წინ. ეს ორი გარემოება ანელებს იმ უტილიტარიზმს, რომელიც მათ პოეტურ მოღვაწეობაშიც მთავარი მამოძრავებელი ძალაა.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ რამდენიმე ნაწყვეტი:

ერთ ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წალად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ,
ერთგულად ვეჭიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი...
. . . . . .
შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?..
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?
. . . . . .
მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,
ჩემის ქაცობის გულის დუღილის,
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან.
შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს...
აქ მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი[2].

ი. ჭავჭავაძის ეს ლექსი თითქმის მთლიანად მხოლოდ სარგებლიანობის პრინციპზეა აგებული. პოეტს მიზნადა აქვს გამოხატოს მასში პროტესტი გლეხკაცის დაბეჩავებული მდგომარეობის წინააღმდეგ და მისი დაუძლეველი ნდომა ადამიანური ცხოვრებისა. ამ ლექსში ყოველი სიტყვა, ყოველი სახე წინასწარ განზრახული მიზნითა და აზრითაა გამოწვეული. მაგრამ პოეტის დიდმა მხატვრულმა ინტუიციამ ინდივიდუალური პოეტური გასაქანით გაანელა და დაიცვა თავისი შემოქმედება უტილიტარიზმის უკიდურესობისაგან. ასეთი მხატვრული სახეობითაა აღბეჭდილი ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“, „განდეგილი“, „კაცია ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“ და სხვა[2].

მართალია, ილია ჭავჭავაძე, აზრისა და სარგებლიანობისადმი სამსახურით გატაცებული, ხანდახან ამძიმებს თავის პოეტურ შემოქმედებას; ალაგ-ალაგ მის შემოქმედებას ნაძალადევობაც კი ემჩნევა (მხოლოდ ლექსს კი), მაგრამ დიდი ნიჭი პოეტისა თავს ართმევს უტილიტარული შეხედულებით გამოწვეულ ტენდენციას, პოეტური ილუზიის ქვეყანა-

---

[2] ილია ჭავჭავაძე, გუთნის დედა, თხზ., 1957 წ., გვ. 11.

[3] იხ. მიხ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II. 1954 წ., გვ. 245—336.

ში აყავს მკითხველი, თუმცა კი მიწას არასოდეს არც თვითონ შორდება და არც მკითხველს აშორებს. ეს, რასაკვირველია, მაჩვენებელია ილიაზე ეპოქის დიდი გავლენისა, რაც მის შემოქმედებაში ბუნებრივადაა შესისხლხორცებული.

ესევე უნდა ითქვას აკაკი წერეთელზედაც. მასში პოეტური ცეცხლი და აღმაფრენა უდავოდ ძლიერია; ენა და ლექსი მისი მკვირცხლია და მსუბუქი, რითმა მდიდარი, რიტმი ანაკადებული.

ამაღლდით, გრძნობავ, ჭონჭბავ...
ასცილდით მზეს და მთვარესა...
შეუკავშირდით ვარსკვლავებს,
მოციმციმ-მოელვარესა.

შეიტყვეთ საიდუმლობა
ზეციურ ტკბილი ხმებისა
და შეისწავლეთ კანონი
იმათი შეთანხმებისა.

მე მაშინ მხოლოდ გავბედავ,
ხელი შევახო ჩონგურსა
და მწარე ზარი ამ ქვეყნის
შევრთო იმ ქვეყნის ზევსურსა.

რომ მეც გალობით, გედივით,
დავაგდო ქვეყნის საზღვარი,
ჩავდნე ჩემსავე ჰანგებში
და გავქრე როგორც ლამპარი[4].

მგოსანს იმისათვის უნდა პოეტური აღმაფრენა, იმისთვის ეტრფის მას, რომ ასცილდეს მზესა და მთვარეს, შეუკავშირდეს ვარსკვლავებს, რომ შეიტყოს საიდუმლოება „ზეციურ ტკბილი ხმებისა“, შეისწავლოს კანონი „იმათი შეთანხმებისა“. ყველა ეს აკაკი წერეთელს მისთვის უნდა, რომ მაშინ მან აიღოს ჩონგური „და მწარე ზარი ამ ქვეყნისა შეუერთოს იმ ქვეყნის ზევსურსა...“ ცხადია, პოეტი მარტო ტკბილ ხმათათვის არ აყოლებს თავისი ჩონგურის სიმებს.

საკმარისია მოვიგონოთ აკაკის „სულიკო“, „თავო ჩემო“, აღმართ-აღმართ“ და მრავალი სხვა მისი ლირიკული და ეპიკური ნაწარმოები, რომ ზემოგამოთქმული აზრის ჭეშმარიტებაში დავრწმუნდეთ.

თუ თერგდალეულ მწერალთა საუკეთესო წარმომადგენლებმა მაინც თავი დააღწიეს მათ მიერვე წამოყენებული უტილიტარიზმის უკიდურესობას და მხატვრებადაც (დიდ მხატვრებადაც, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი დიდი მნიშვნელობა და მიმზიდველობა) შეიქმნენ ჩვენს ლიტერატურაში, ამისივე თქმა არ შეგვიძლია ხალხოსანი მწერლების შესახებ. მათ შემოქმედებაში უტილიტარიზმმა უფრო მძლავრად გაიდგა ფესვი.

ეს გარემოება ძირითადში აიხსნება შემდეგით: ხალხოსნების უმეტესი ნაწილი თავისი სოციალური წარმოშობით „რაზნოჩინეცია“, ხალხის ცხოვრების ნაცარტუტაში, სიღარიბესა და დაჩაგრულობაში აღზრდილი და გამოვლილი. მან, მუდამ ადამიანური ცხოვრების წრის გარეთ მყოფმა, დამცირებულმა, სხვისი ნასუფრალით მცხოვრებმა, ახალი

---

[4] აკაკი წ ე რ ე თ ე ლ ი, ნათელა, 1940 წ.

ცხოვრების პირობებით გამოფხიზლებულმა მოინდომა ცხოვრება. ამისათვის მან ყველაფერი უკუაგდო, რაც უშუალოდ ასეთი ცხოვრების მოპოვებას არ ემსახურებოდა. ამგვარმა სულიერმა განწყობილებამ ჩვენი „რაზნოჩინეცი“ — ხალხოსანი გადააგდო უკიდურეს უტილიტარიზმში. ეს უკიდურესობა ყველას ერთად და ყოველს მათგანს ცალ-ცალკე მძლავრად ამჩნევია.

ხალხოსნების შეხედულებით, „მწერლობა არის ექიმობა მთელი ხალხის ავადმყოფობისა, როგორც მედიცინა კაცის ავადმყოფობისა“[5].

ჟურნალი „იმედიც“ მთლიანად ასეთი შეხედულებით არის გაჟღენთილი და ცდილობს ცხოვრებაში ურყევად გაატაროს ის. „ყოველი მწერლობის დანიშნულება, — წერს „იმედის“ საპროგრამო წერილში სტ. ჭრელაშვილი — იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ იგი თვალებგაფაციცებული ჩაიყურებოდეს ცხოვრებაში, სულგანაბული ყურს უგდებდეს იმის ჩარხის ტრიალს, ეფარებოდეს და ესარჩლებოდეს ყველა საკეთილო ფეხის გადადგმას, დაუღალავად ებრძოდეს და წიხლსა კრავდეს ყოველ სიბოროტეს და მავნე შეცთომილებას. მწერლობა, რომელიც დაუძინებლივ არა წინამძღვრობს ასეთი შეხედულებით თავის მოვალეობაზე, არის უმნიშვნელო, ფუჭი და ჭიანი“[6].

ასეთსავე შეხედულებას გამოთქვამენ ჟურნალ „იმედის“ სხვა თანამშრომელნიც, რომელთა შეხედულებით ლიტერატურა ხალხის კეთილდღეობის, სარგებლობის მომტანი საშუალებაა. „მწერლობამ, — წერს „იმედის“ რედაქტორი მიხ. გურგენიძე, — უნდა გაუსწოროს ხალხს ხასიათი, უჩვენოს მას მისი ნაკლოვანებები და მათგან განმათავისუფლებელი საშუალებები“[7].

ასეთივე აზრი გამოთქვა ქართველი ხალხოსნების ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა გ. მაიაშვილმა, რომელიც, გაუგებარია, რატომ გამოვიდა მეტად საგულისხმიერო, შეიძლება ითქვას ჩვენ ხალხოსანთა საპროგრამო სტატიით „ივერიაში“ და არა „იმედში“. ეს გარემოება მით უფრო გვაკვირვებს, რომ გ. მაიაშვილი ამ სტატიაში — „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“, თუმცა რბილსა და მორიდებულს, მაგრამ მაინც კრიტიკას უკეთებს „ივერიის“ და „დროების“ მესვეურთა მოღვაწეობას. „ლიტერატურა, — წერს ის — უნდა შეიქმნეს უპირველეს ყოვლისა სახალხო ლიტერატურად, უკეთუ გვსურს, რომ მას ჰქონდეს გავლენა, ძლიერება, ფასი და მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის საქმეების და საგნების გადაწყვეტის დროს. მხო-

---

[5] სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მწერლობა, „იმედი“, 1881 წ., № 1, გვ. 99.

[6] ი ქ ვ ი, გვ. 84.

[7] მიხ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე, ერთი ჩვენი მწერლობის სენი, „იმედი“, 1881 წ., № 2, გვ. 89.

ლოდ ეს მაშინ მოხდება, როცა ლიტერატურა ერთად ერთს ნამდვილს გზას და ჭეშმარიტს მიმართულებას დაადგება, როცა იგი მიიღებს პატივდებაში ხალხის სურვილს და, რაც უფრო პირველია, დაიცავს მის ინტერესებს, ე. ი. ლიტერატურის მიერ ხშირად და უმთავრესად წამოყენებული იქნება საასპარეზოდ ხალხის გულის მომგები საგნები ეკონომიური და საზოგადოებრივი საქმეების"[8].

ასეთს გარკვეულსა და, შეიძლება ითქვას, განსაზღვრულს დანიშნულებასა და მიზანს უყენებენ ხალხოსნები მხატვრულ ლიტერატურას. და მართლაც, ლიტერატურა და თავიანთი ლიტერატურული ნიჭი ხალხოსნებმა გამოიყენეს, როგორც ბრძოლის საშუალება, რათა შეეტანათ სხივი და ნდომა ცოდნისა, განათლებისა, წინმსვლელობისა, ადამიანური ცხოვრების უფლებების მოპოვებისა წყვდიადით მოცული, დაჩაგრული, დამონებული ხალხის მოდუნებულ და ჩამორჩენილ ცხოვრებაში. ხალხოსან მწერალთა შემოქმედება ბუნებრივი გაგრძელება იყო მათი პრაქტიკული და იდეოლოგიური ბრძოლისა და მოქმედებისა.

ნიკო ლომოური, თავის მოთხრობაში „გიგო ღრუბელაშვილი", ხალხოსნებისათვის მეტად დამახასიათებელ შეხედულებას ჩაურთავს.

გიგო ღრუბელაშვილს მწერალი აღტაცებით ათქმევინებს ახალგაზრდა ქალისადმი შემდეგს (რასაკვირველია თავის აზრს): „წეღან ბუნების სიმშვენიერემ დაატკბო მთელი ჩემი არსება. მაშინ მზად ვიყავი: ეს სიმშვენიერე ღვთაების გამოხატულებად მეღიარებინა და მისთვის მოწიწებით თაყვანი მეცა. მაგრამ ამ დროს ჩემმა მრავალმოწყალე ბედის ვარსკვლავმა გამომიშუქა, საჩქაროზე თვალები აშიხილა და მითხრა: რაც უნდა დახატული იყოს უსულდგმულო ბუნება, მაინც სულიერი მშვენება მასზე დაშორებით მაღლა იდგება. და აი ახლა თქვენ წინ ვდგევარ და ხმამაღლა ვიძახი: თაყვანისცემა შეშვენის მხოლოდ იმ მშვენიერებას, რომელშიაც დამკვიდრებულია სული ცხოველი"[9].

ასე უყურებდნენ ხელოვნებას და, კერძოდ, ლიტერატურას ხალხოსნები როგორც საქართველოში, ისე რუსეთშიც. სინამდვილეშიც ასეთი გამოყენება ჰქონდა პოეზიას მათ მოღვაწეობაში. რასაც ხალხოსნები, როგორც ჩვენში, ისე რუსეთში, პუბლიცისტური და პრაქტიკული მოღვაწეობის შემწეობით ვერ ახერხებდნენ, იმის შევსებასა და განმტკიცებას ცდილობდნენ მხატვრული შემოქმედების დახმარებით.

ხალხოსნების ამგვარმა სულიერმა განწყობილებამ და მხატვრულ შემოქმედებაზე, საერთოდ ხელოვნებაზე უტილიტარულმა შეხედულებამ თავისებური დაღი დაასვა მათ ლიტერატურულ მოღვაწეობას.

---

[8] გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, წერილი ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ, „ივერია", 1882 წ., № 9, გვ. 24.

[9] ნიკო ლ ო მ ო უ რ ი, გიგო ღრუბელაშვილი.

მხატვრული ლიტერატურა 60-იანი წლებიდან (რუსეთში უფრო ადრეც) შეუსისხლხორცდა პუბლიცისტიკას — ჟურნალისტიკას. მწერალი გამოდიოდა, როგორც საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, მკვლევარი, მოთხრობის პარალელურად ვითარდებოდა ფელეტონი, ფიზიოლოგიური ნარკვევი, საჟურნალო „შენაერთები" („смеси"), რომლებიც მკითხველს მხატვრულ ფორმებში აწვდიდა დროის შესაფერ მეცნიერულ, ეკონომიურ, ტექნიკურ, საყოფაცხოვრებო ცნობებს. აქ ხდება თავისებური შეზრდა პუბლიცისტიკისა ხელოვნებასთან და არა თანაარსებობა მწერლობის ორი სახისა.

ხალხოსანი მწერლები მხატვრულ ლიტერატურაში ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრების „შეუფერავი" ამსახველები არიან. გატაცებულნი ხალხის კეთილდღეობის იდეით, თავიანთ მხატვრულ შემოქმედებას ისინი ხშირად ისე უდგებიან, როგორც პუბლიცისტები. მხატვრული სახეები მათ შემოქმედებაში ხშირად ახსნა-განმარტებით არის დაძენძილი (სოფ. მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, ანტ. ფურცელაძე, შაქრო და სხვანი).

ეს გარემოება, რასაკვირველია, ხალხოსან მწერალთა შემოქმედებას მხატვრულობის მხრით ადარებს. მათი შემოქმედების ეს თვისება გამოწვეულია მით, რომ ხალხოსანი მწერლების თხზულებებში მოქალაქეობრივი ინტერესი სჭარბობს მხატვრულს. ეს კიდევ აიხსნება მით, რომ თვით ავტორი უშუალოდ ჩაბმულია ცხოვრების მდინარებაში, უშუალო მონაწილეა ცხოვრების პროცესისა, ის უპირველესად დაინტერესებულია გაერკვიოს თვითონ და მკითხველსაც გაურკვიოს ესა თუ ის საზოგადოებრივი მოვლენა. ამიტომაა, რომ ხალხოსანი მწერლის პოეტური ასახვა შერეულია სოციალური ხასიათის პუბლიცისტურ მსჯელობაში. ხალხოსან მწერალში მოაზროვნე ხშირად ჩრდილავს მხატვარს. ხალხოსანი მწერლის შემოქმედებაში მხატვრული სახეები კი არ ირევიან, არამედ უფრო ხალხის ცხოვრების მტკივნეული საკითხები.

ამ გარემოებამ გამოიწვია მათ შემოქმედებაში მხატვრობის მხრით დაუმუშავებლობა: მშვენიერი მაღალი პოეტური ნიჭითა და აღმაფრენით შესრულებულ ადგილებთან ერთად გვხვდება მეტად მოსაწყენი პუბლიცისტური ხასიათის მსჯელობა, რომელიც მდარე პოეტური სახეებითაა შეხამებული. ხალხოსანი მწერლისათვის ფორმა, ნაწარმოების გარეგნული მხარე, მეორეხარისხოვანია, მთავარია შინაარსი. ისინი არ ცდილობენ ენა დახვეწონ, ნაწარმოებში მოცემული მხატვრული სახეები ლამაზ ლიტერატურულ ფორმაში ჩამოაყალიბონ. მათ შემოქმედებას მხატვრობის მხრივ დაუდევრობა ეტყობა. ეს მოვლენა ხალხოსანი მწერლების შემოქმედებაში მეტად საგრძნობია. ასეთსავე მოვლენას ვხედავთ რუსეთის ლიტერატურის ისტორიაშიც. ხა-

ლხოსანი მწერლები იქაც შემოქმედების პოეტური მხრისადმი ერთგვარ დაუდევრობას იჩენენ (გლ. უსპენსკი, ზლატოვრატსკი და სხვები). ამ გარემოებას ხშირად დიდი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ხალხოსანი მწერალი მეორეხარისხოვან მწერალთა ბანაკში გადაჰყავს — ფორმისა და საერთოდ მხატვრული სტილური ნიშნების დაუმუშავებლობის გამო. ხალხოსანი მწერლების შემოქმედება მხატვრული მთლიანობის მხრით მოისუსტებს. ცალკეული დეტალი და უმნიშვნელო სახეები ხშირად არაბუნებრივადაა გაზრდილი, მართალია, ძირითად იდეას ამახვილებს, მაგრამ მხატვრულად აკნინებს.

ეს აიხსნება ნაწილობრივ მაინც მწერალთა სოციალური მდგომარეობით. ისინი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ხალხის ცხოვრების დუხჭირში გამოსული, ხალხის შვილები იყვნენ. მათი გაღვიძებული შემოქმედების უდიდესი და უმტკივნეულესი სურვილი, ნდომა და მისწრაფება გამოიხატებოდა შემდეგ საკითხებში: როგორ უნდა მოტრიალდეს ცხოვრების ჩარხი, რომ ხალხმა ადამიანური ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნილებანი მაინც დაიკმაყოფილოს? და ხალხოსანი მწერლები, ხალხის ცხოვრების ჭირ-ვარამის ახლო მცოდნენი, უნდობლობითა და მტრულის თვალით უყურებდნენ ყველა მას, რაც ამ ჭირ-ვარამთან ბრძოლაში ცხოვრებას უშუალოდ არ ემსახურებოდა. აქედან წარმოდგა მათი სურვილი: მხატვრულ აღმაფრენასაც ხალხის ცხოვრების ჭირ-ვარამით გაჭედილი ლაგამი ამოსდონ, რეალური ცხოვრების დუღილის გარეშე მოქმედი ოცნების დაუსრულებელ სრბოლას არ მიჰყვნენ, რადგანაც უკანასკნელს მწერალი რეალური ცხოვრების რკალს იქით გადაჰყავს.

ხალხოსანი მწერლები მიწის შვილები არიან, ისინი მთელი არსებით მიჯაჭვულნი არიან ცხოვრების ვაი-ვაგლახსა და მისგან გამათავისუფლებელ მისწრაფებას. მათ თავიანთი ჩანგი ხალხის გასაღვიძებელ, ასამოქმედებელ, დასარაზმავ მძლავრ საყვირად გადააქციეს; მათ, ცხოვრების ნაცარ-ტუტსა და ღველფში გამოვლილთ, ყოველგვარი მორთულობისა და ხელოვნების უცნობთ და მტერთ, უნდა შეექმნათ და სინამდვილეში შექმნეს კიდეც ლიტერატურული მიმართულება, რომელშიაც ხალხის შვილის სტიქიური ბუნების აღფრთოვანებითა და გატაცებით, მართალია, ზოგიერთ კონსერვატორულ მისწრაფებასთან ერთად, მძლავრადაა ჩაწნული ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მფლობელი მოწინავე მოქალაქეობრივი მისწრაფებანი. ხალხოსან მწერალთა მისწრაფებაში ერთი რამ აშკარაა: შერიგება არსებულთან შეუძლებელია, დამცირებული კაცობრიობის გათავისუფლებისათვის ბრძოლა აუცილებელია.

ხალხოსანთა მოღვაწეობის სწორედ ამ მეორე მხარეში — პროგრესულ-დემოკრატიულ მოქმედებაში — არის მათი ისტორიული მნი-

შვნელობა. ამაშივეა ხალხოსნური ლიტერატურის ძალა და ღირებულებაც.

ხალხოსანმა მწერლებმა მხატვრული ლიტერატურის საშუალებით შოახერხეს ფართო მასებში გაეტანათ ის, რის გატანაც მათ სხვა გზით ვერ შეძლეს და ვერც შეძლებდნენ იმ მძიმე ობიექტურ პირობებში, რომლებშიც მათ მოუხდათ ცხოვრება და მოღვაწეობა.

ამიტომ გასაგებია ხალხოსანთა მხატვრული შემოქმედების სხვა სტილური ნიშნებიც. ხალხოსნებს არ აკმაყოფილებს სინამდვილის ფოტოგრაფიული აღწერა. ისინი მოითხოვენ ცხოვრების ღრმა შესწავლას (თუმცა მათ ცხოვრების განვითარების ნამდვილი გეზი ვერ გაიგეს) და ამ შესწავლიდან მხატვრული დასკვნების გამოტანას განზოგადებული სახით. ხალხოსნები ცდილობენ მკითხველს მისცენ ცხოვრების კონკრეტული გამოკვლევა. მისდამი კრიტიკული დამოკიდებულება (ასეთებია რუსი ხალხოსნები: გლ. უსპენსკი, ზლატოვრატსკი და სხვ. ასეთები არიან ქართველებიც — ნიკო ლომოური, შაქრო, სოფ. მგალობლიშვილი და სხვანი).

ხალხოსნების უმრავლესობას ახასიათებს დიდი მხატვრული ძალა და უნარი ინდივიდუალური ხასიათების მოცემისა (მიხ. ასათიანი — „მე და ონისიმე", შაქრო—„განთიადი", „მარტიაანთ პაპა", სოფ. მგალობლიშვილი — „ჯორ-ზაქარა", „და შეჰფიცეს..."). მაგრამ მასთან ერთად ეს ინდივიდუალური სახეები განზოგადებულ ხასიათსაც ატარებენ.

ხალხოსნები, გატაცებულნი მოქალაქეობრიობით, იდეურობით, ხშირად თავიანთ შემოქმედებაში ავტობიოგრაფიულ ხასიათს იძლევიან (შაქრო — „განთიადი", ანტ. ფურცელაძე — „სამის თავგადასავალი", „ვაი მართალთა", ეკ. გაბაშვილი — „ფრთებდაგლეჯილი" და სხვ.).

ამასთანაა დაკავშირებული ხალხოსნების შემოქმედების ზოგიერთი ჟანრიც — მემუარი, დღიური (სოფ. მგალობლიშვილი — „წარსულიდან", შაქრო — „განთიადი", ეკ. გაბაშვილი — „ეფროს დღიური" და სხვანი).

ამით აიხსნება, რომ ხალხოსანი მწერლების განწყობილება მოვლენის აღწერაში, სურათის განვითარებაში ძალუმად იჭრება, ზოგჯერ ტენდენციურობას იჩენს მოვლენის შეფასება-თანაგრძნობასა და სიძულვილში.

ხალხოსანი მწერლებისთვის ეს ჟანრი — მემუარი, მოგონება ჩვეულებრივი მოგონება კი არ არის ცხოვრებიდან განდგომილი მოღვაწისა, არამედ ცოცხალი გამოხატულებაა საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხისადმი მათი დამოკიდებულებისა. ხალხოსნები მოგონებას მიმართავდნენ, რადგანაც გულუბრყვილო გადმოცემის

მიღმა მკითხველს აგრძნობინებენ საზოგადოებრივი მოვლენებით გამოწვეულ ტკივილებს. მაგრამ აქაც, ამ ინტიმურ გადმოცემაში ხალხოსან მწერლებს მოვლენის განზოგადების სურვილი არა სტოვებდათ (მიხ. ასათიანი — „მე და ონისიმე," სოფ. მგალობლიშვილი — „წარსულიდან" და სხვანი).

გარდა მოგონებისა, ხალხოსნები თავიანთ შემოქმედებაში იყენებდნენ კიდევ შემდეგ ჟანრებს: სოციალურ მოთხრობას (ნიკო ლომოური, სოფ. მგალობლიშვილი, ეკ. გაბაშვილი, ანტ. ფურცელაძე და სხვანი), მოგზაურობა-ნარკვევს (შაქრო, მიხ. ასათიანი), საყოფაცხოვრებო ლექსებს (ნიკო ლომოური, ი. დავითაშვილი, ანტ. ფურცელაძე), ლექს-სიმღერას რევოლუციურ-დემოკრატიული განწყობილებით (მიხ. ასათიანი, ი. დავითაშვილი, ანტ. ფურცელაძე). ხალხოსანი მწერლები ამჟღავნებენ ხალხის მდგომარეობის კარგ ცოდნას და გულწრფელ მისწრაფებას აღებული საჭირბოროტო მღელვარე თემები ხალხის საკეთილდღეოდ გადაწყვიტონ. და თუ ისინი ამ საკითხების სწორ გადაწყვეტას ხანდახან ვერ იძლევიან, ამისი მიზეზი მათი წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ორმაგ ბუნებაშია — კონსერვატორულ-პროგრესულში. სუბიექტურად კი მათი განწყობილება, უდავოდ გულწრფელად ხალხის საკეთილდღეოა.

ხალხოსანი მწერლების მხატვრული შემოქმედების ავტობიოგრაფიულობით აიხსნება მათი შემდეგი ძირითადი სტილური ნიშანიც: ხალხოსანთა იდეურობით დატვირთულ მხატვრული შემოქმედების ცენტრალური სახეა მთავარი მოქმედი პირი — გმირი. ეს გმირი, ჩვეულებრივ, მოცემულია როგორც ნიმუში იდეალური მოღვაწისა, რომელიც ხასიათდება საზოგადოებრივი ტკივილებითა და მისადმი თავდავიწყებითი სამსახურით. ავტობიოგრაფიულნი, სუბიექტურნი არიან ხალხოსან მწერალთა შემოქმედებაში ხალხში მოსიარულენი, ე. წ. ერთობის ან ახალი კაცები (შაქრო — სიმნო, პოლე, სოფ. მგალობლიშვილი — ილიკო მშველიძე, მიხ. ასათიანი — ონისიმე, ეკ. გაბაშვილი — ნინო ნაკვთიაშვილი, ანტ. ფურცელაძე — სვიმონ ბადლაძე, ბესარიონ ვარგისაშვილი და სხვანი).

ეს მოვლენა შემდეგით შეიძლება აიხსნას: ხალხოსნებმა, მიუხედავად ხალხში და ხალხისათვის გმირული მოღვაწეობისა, მაინც ვერ შეძლეს ხალხთან მჭიდრო კავშირის გაბმა. ვლ. ლენინი ამბობს: „ხალხოსნების თეორია არსებითად არ იყო რევოლუციური თეორია და მათ ვერ მოახერხეს თავიანთი მოძრაობა დაეკავშირებინათ რევოლუციური, კაპიტალისტური საზოგადოების შიგნით არსებულ კლასობრივ ბრძოლასთან". ამიტომ მათ ასე წინ წამოსწიეს „გმირი". მწერალი-რევოლუციონერის ხალხის მოძრაობისაგან ამ გათიშვაში, ამ მარტოობაშია მიზეზები, რომ ხალხოსანი მწერალი იდეურ-აგიტაციურ მისწრაფებებს

ანსახიერებს თავისი განვლილი პირადი ცხოვრების გზის გამოხატვით, ვინაიდან მისთვის საზოგადოებრივი განვითარების სხვა გზა არც არსებობდა.

ხალხოსნების მხატვრულ შემოქმედებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეღენთავდა იდეურობა, — გლეხის მიუღებელი აწმყო ცხოვრების ასახვა და მისი უკეთესი მომავლისათვის გადაუდებელი ბრძოლა. ყველა და ყველაფერი ხალხოსან მწერლებს, როგორც დავინახეთ, ამისათვის ჰქონდათ გამოყენებული.

ხალხოსან მწერალთა მხატვრული შემოქმედების საერთო თავისებურ სტილურ ნიშნებში უნდა აღინიშნოს კიდევ ბუნების—პეიზაჟის გამოყენება. ბუნება ხალხოსან მწერლებს გამოყენებული აქვთ არა როგორც მზერის საგანი, არამედ, როგორც ფონი, რომელზედაც იშლება გლეხკაცის ყოველდღიური მძიმე შრომა. ბუნება გააზრებულია გლეხის მთლიან ცხოვრებაში, მისტიკისა და ესთეტიზაციის გარეშე. ბუნების აღწერაში ხშირად გამოყენებული აქვთ ეთნოგრაფიული მასალა (ნიკო ლომოური, შაქრო, სოფ. მგალობლიშვილი და სხვანი).

ამას გარდა, ხალხოსანმა მწერლებმა ლიტერატურული ენა მეტად გაახალხურეს. ენის გახალხურების ისტორია ჩვენს ლიტერატურაში გ. ერისთავიდან იწყება. 60-იანი წლების მოღვაწეებმა, უდავოდ, ამ დიდ საქმეში თავიანთი დიდი წვლილი შეიტანეს. ხალხოსნებს ამ მიმართულებითაც თავისებურება ახასიათებთ. მათ ლიტერატურაში განამტკიცეს ჩვეულებრივი, შეუფერავი ხალხური დიალექტი თავისი მაგარი, კორძიანი აღნაგობით და გამოთქმებით. ხალხოსნების ენა შეეფერებოდა ამოცანებს რევოლუციური დემოკრატიისა, რომელიც იღვიძებდა და თავისას მოითხოვდა. მათ შემოქმედებაში არ არის ხელოვნურობა. გლეხკაცი, მშრომელი არ ლაპარაკობს დახვეწილი, სტილიზებული ენით, როგორც ეს წინა პერიოდის მწერლებს და თვით თერგდალეულთაც სჩვეოდათ. ხალხოსანთა პოეტური ქმედება მძიმე ცხოვრების პირობებში ამეტყველდა გლეხური ენით. ესეც მათი შემოქმედების ერთ-ერთი თავისებური და დამახასიათებელი მხარეა.

ამასთან დაკავშირებით, ხალხოსნები ქმნიან ლიტერატურას, როგორც საშუალებას თავიანთი მისწრაფების პოპულარიზაცია-აგიტაციისათვის. ისინი ლიტერატურის დანიშნულებას ხედავენ ხალხის გონებრივ და ზნეობრივ გაფხიზლება-გათვითცნობიერებაში. ამიტომ ცდილობენ ისეთი ენითა და სტილით წერონ, რომ მათი ლიტერატურა მასებისათვის ადვილად გასაგები გახდეს. ყველა ზემოაღნიშნული სტილური ნიშანი სწორედ ამ მიზანდასახულობით აიხსნება.

გარდა აღნიშნულისა, ხალხოსნები ამავე მიზნისათვის თავიანთი შემოქმედების გასადავებას შემდეგი მომენტებით ცდილობენ. გმირს — მოქმედ პირს, რომელიც ხალხოსანთა შემოქმედებაში ცენტრალურ

როლს თამაშობს, მკითხველისათვის რომ ადვილი გასაგები გახდეს, ავტორი ისეთ სახელს აძლევს, რომ მკითხველმა სწრაფად აითვისოს გმირის ბუნება და მისდამი მწერლის დამოკიდებულებაც, მაგ., ეშმაკურაშვილი, ბღუნძელაშვილი („ღამის მეხრე ცეცო"), მაია ღარიბაშვილი („დედა მაია"), არაშენდაშვილი („ალი"), ყლაპიაშვილი, ხმამაღალაშვილი („ბედი უბედურთა"), თავბრუაძე („კონა"), ლუარსაბ ცხონებაშვილი, ვერა მაცდურაშვილი („ლუარსაბმა ცოლი შეირთო") და სხვა მრავალი..

ვინაიდან ცენზურული პირობები ხალხოსნების პოეტურ შემოქმედებას თავიანთი ზრახვების გატანისათვის გასაქანს არ აძლევდა, ისინი იძულებულნი იყვნენ მიემართათ სიმბოლოსა და ალეგორიისათვის. მაგ., ნიკო ლომოური („გიგო ღრუბელაშვილი", „ყოველის მხრიდან"). მართალია, ეს ალეგორიები და სიმბოლოები ხშირად პოეტური თვალსაზრისით უხეშია, მეტად გამჭვირვალეა, სუსტია, მაგრამ, სამაგიეროდ სწორია, მწერლის აზრს ადვილად ეუბნება მკითხველს და ხალხოსნებიც ხომ უმთავრესად ამით იყვნენ დაინტერესებულნი.

ამითვე უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ ხალხოსანი მწერლების შემოქმედება კომპოზიციურად მარტივია, მწერალი არ ცდილობს მკითხველის ფანტაზია და ათვისებითი ალღო რთული ტეხილი მიმართულებით აამოძრაოს. არა, ის პირდაპირ მიდის და, როგორც კარგი პედაგოგი, ცდილობს თავისი განცდები მარტივად, სწორად და უშუალოდ გააგებინოს მკითხველს და განაცდევინოს.

ასეთივეა მათი ნაწარმოებების სიუჟეტური განვითარება. ხალხოსანი მწერალი თავს არ იმტვრევს მასზე, რომ კვანძის შეკვრა, მისი განვითარება და გახსნა, რაღაც არაჩვეულებრივი მიმართულებით განავითაროს. არა. ის პირდაპირი, მარტივი ხერხებით მიდის. მას მხედველობაში ყოველთვის თავისი მასიური მკითხველი ჰყავს. ის იძლევა სინამდვილის უშუალო გადმოცემას ისე, როგორც თვით ხედავს, განიცდის და უნდა მკითხველსაც განაცდევინოს.

ხალხოსანი მწერლების ასეთ დამოკიდებულებას მოხდენილად და ზედმიწევნით სწორად გამოხატავს შაქრო თავის მოთხრობის „ბედნიერი კუნჭულის" დასასრულში: „...ესე, მკითხველო, მგონი ჯავრობ — რაზე დავწერე ამტენი — მერე დაულაგებლივ — აუკონავიო... რა ვქნათ, ბიძია, მე გასართობათ არცა ვწერ, ვწერ იმას, რაც ვნახე — ვწერ იმას, რასაც ყოველ ნაბიჯზე ნახავ ჩვენ სოფელში. ეხლა შენი და ჩემი ვალია შევაერთოთ ეს ამოდენა ხალა-ბალა და დასკვნა გამოვიყვანოთ"...

ასეთია საერთო მიმართულება და ძირითადი სტილური ნიშნები ხალხოსნური ლიტერატურისა, რომელმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანა და საგრძნობი კვალი დატოვა ქართული ლიტერატურის საგანძუ-

რში. ამ დებულებათა დადასტურებას მოგვცემს შემდეგ ნაწილში მოცემული ხალხოსან მწერალთა შემოქმედების კონკრეტული მასალის განხილვა.

აქ კი უნდა ითქვას, რომ ხალხოსან მწერალთა შემოქმედება, რომელმაც ჩვენი ცხოვრების მეტად საგულისხმიერო ეტაპზე გაჭირვებული მასების ცხოვრების უტყუარი სახე დაგვიხატა, წარმოადგენს დიდ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელშიც, ვლ. ლენინის სიტყვით, „არის, რაც წარსულს არ გადაცემია, რაც მომავალს ეკუთვნის. ამ მემკვიდრეობას იღებს და მას ამუშავებს პროლეტარიატი“.

დიახ, ხალხოსანი მწერლების კულტურული მემკვიდრეობის ათვისება უნდა მოხდეს კრიტიკულად. ჩვენ, როგორც ზევითაც გვქონდა აღნიშნული, ხალხოსნები უნდა შევაფასოთ არა დღევანდელის, არამედ იმ ისტორიული პირობების თვალსაზრისით, რომლებშიაც ხდებოდა მათი მოღვაწეობის გაშლა. მოიხსნას ის, რაც შეცდომა იყო, შეუფერებელი, ნაკლოვანი და მიუღებელი, გამახვილდეს დადებითი, რაც თავის დროზე უკეთეს მომავალს უმზადებდა ნიადაგს, რაც ამ კულტურული მემკვიდრეობიდან დღესაც ჩვენთვის გამოსადეგი და მისაღები იქნება და უნდა გამოვიყენოთ. მეტად საგულისხმიეროა ვლ. ლენინის მიერ ხალხოსნების ამ მხრითაც შეფასება.

„ნაროდნიკული პროგრამის უარყოფა მთლიანად, — წერს ვლ. ლენინი, — განურჩევლად, აბსოლუტურად უმართებულო იქნებოდა. ამ პროგრამაში მკაცრად უნდა გავარჩიოთ მისი რეაქციული და პროგრესული მხარეები. ნაროდნიკობა რეაქციულია, რამდენადაც იგი გვთავაზობს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც გლეხს ამაგრებენ მიწაზე და წარმოების ისეთ ძველ წესებზე, როგორიცაა „ნადელების“ განუსხვისებლობა და სხვა, რამდენადაც მას სურს შეაფერხოს ფულადი მეურნეობის განვითარება, რამდენადაც ის მოელის არა ნაწილობრივ გაუმჯობესებებს, არამედ გზის გამოცვლას „საზოგადოებისაგან“ და ბიუროკრატიის წარმომადგენლების ზეგავლენისაგან... ნაროდნიკული პროგრამის ასეთ პუნქტებს, რა თქმა უნდა, აუცილებლად ომი უნდა გამოეცხადოს. მაგრამ ნაროდნიკებს მოეპოვებათ სხვა პუნქტებიც, რომლებიც შეეხებიან თვითმმართველობას, „ხალხში“ ცოდნის თავისუფლად და ფართოდ გავრცელებას, „სახალხო“ (ე. ი. წვრილი) მეურნეობის „ამაღლებას“ იაფი კრედიტებით, ტექნიკის გაუმჯობესებით, გასაღების საქმის მოწესრიგებით და სხვ. და სხვ... ეს ღონისძიებები კი არ შეაჩერებენ, არამედ დააჩქარებენ რუსეთის ეკონომიურ განვითარებას კაპიტალისტური გზით, დააჩქარებენ შინაური ბაზრის შექმნას, დააჩქარებენ ტექნიკისა და მანქანური ინდუსტრიის ზრდას მშრომელის მდგომარეობის გაუმჯობესებით და მის მოთხოვნილებათა დონის ამა-

ღლებით, დააჩქარებენ და გააადვილებენ მის დამოუკიდებელ აზროვნებასა და მოქმედებას... მარქსისტებმა, მათი პროგრამის მთელი რეაქციული ნიშნების უკუგდების შემდეგ, არათუ უნდა მიიღონ საერთო-დემოკრატიული პუნქტები, არამედ კიდევაც უნდა გაატარონ ისინი ცხოვრებაში უფრო ზუსტად, ღრმად და გაფართოებულად. რაც უფრო გადაჭრით გატარდება ასეთი რეფორმები რუსეთში, რაც უფრო აამაღლებენ მშრომელთა მასების საარსებო დონეს, — მით უფრო მკვეთრად და წმინდად იჩენს თავს რუსეთის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი და ძირითადი (უკვე ახლა) სოციალური წინააღმდეგობა. მარქსისტები არათუ არ „სწყვეტენ დემოკრატიულ ძაფს“ თუ მიმდინარეობას, როგორც მათ ცილს სწამებს ბ-ნი ვ. ვ., — არამედ პირიქით, მათ სწადიათ ამ მიმდინარეობის განვითარება და გაძლიერება. სწადიათ მისი დაახლოება ცხოვრებასთან, სწადიათ აიღონ ის „ძაფი“, რომელსაც „საზოგადოება“ და „ინტელიგენცია“ ხელიდან უშვებს“[10].

ვლ. ლენინის ეს დებულება ხალხოსნური მიმართულების მკვლევარისათვის ჩვენშიაც, რა თქმა უნდა, აუცილებლივ სახელმძღვანელოა.

---

[10] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში, თხზ., ტ. 1, გვ. 611—613.

ნაწილი მეორე

ხალხოსანი მწერლები და მათი შემოქმედება

მიხეილ იოსების ძე ასათიანი

1849 — 1879

I

ლიტერატურის ისტორიისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო დიდი მოაზროვნეებისა და მწერლების მოღვაწეობის შესწავლას, არამედ ეგრეთ წოდებულ მეორეხარისხოვან მუშაკთა საქმიანობის გათვალისწინებასაც. ხშირად მეორეხარისხოვანი, ე. წ. პატარა მწერალი, თუ პატარა საზოგადო მოღვაწე, მეტად მკვეთრად ამჟღავნებს თავის ეპოქას, თავის წრეს, მის მოთხოვნილებასა და კულტურულ დონეს. ამიტომ, როდესაც სერიოზულად ისმება საკითხი ლიტერატურის ისტორიისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების შესწავლის შესახებ, ამ „მეორე ნომრის“ მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობის შესწავლაც აუცილებელ მოთხოვნილებად ხდება.

ერთ-ერთ ასეთ მუშაკად ჩვენი XIX საუკუნის საზოგადოებრივი მოღვაწეობისა მოჩანს მიხეილ იოსების ძე ასათიანი, რომლის ნიჭსა და შესაძლებლობას სათანადოდ გამოჩენისა და გაშლის საშუალება არ მიეცა.

მიხ. ასათიანი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის 70-იანი წლების შეორე ნახევარში. ეს ის დროა, როდესაც რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხალხოსნურმა მოძრაობამ ღრმად გაიდგა ფესვი, მოედვა მასებს და სახელმწიფოებრივ წყობასაც რყევა დაუწყო. ამ დროს ჩვენშიც საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე, ცნობილი და გარკვეუ-

ლი ეკონომიური და მასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური პირობების გამო, მასობრივად გამოდის „რაზნოჩინეცი“, ჩვენში „დიაკვნის თუ მღვდლის შვილად“ წოდებული, ხარბად ეწაფება საზოგადოებრივ ცხოვრებას და მასში განმტკიცებას ლამობს.

მიხ. ასათიანიც ამ წრის ღვიძლი წარმომადგენელია, ისიც სოფლის უღარიბესი მღვდლის შვილია.

მიხ. ასათიანის მამამ, იოსებ ასათიანმა, სასულიერო სემინარიაში კურსის დამთავრების შემდეგ, ხელმოკლეობის გამო, მიუხედავად დიდი სურვილისა, სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო. შეირთო ცოლად სიდონია ზირაქიშვილი და სოფლად, მძიმე პირობებში დაიწყო ცხოვრება. მიუხედავად ეკონომიურად მძიმე მდგომარეობისა, იოსები ყოფილა მუდამ მხიარული, გულკეთილი, შრომის მოყვარე და გაჭირვებულის შემბრალებელი. „ის, — გვიხასიათებს იოსებ მღვდელს ეკატერინე ასათიანისა,[1] — როგორც კეთილი მწყემსი უვლიდა თავის ყოვლად შეუგნებელ და მეტად ცრუმორწმუნე მრევლსა. გადასახადებისაგან განთავისუფლებული ჰყავდა თავადებისაგან გატყავებული გლეხები“.

თვითონ მიხ. ასათიანი ავტობიოგრაფიულ მხატვრულ ნაწარმოებში „მე და ონისიმე“ თანაგრძნობითა და პატივისცემით გვიხატავს თავისი მამის მოქმედებას: „ონისიმეს (უნდა ვიგულისხმოთ თვითონ ავტორი, მიხეილ ასათიანი — მ. ზ.) მამა, — აღნიშნულია რომანში, — როგორც მოგახსენებთ, ღარიბი მღვდელი იყო. მე თვითონ ვნახე იგი ძველ დაკონკებულს ანაფორაში, დაჭმუჭნულს და დაგლეჯილს შლიაპაში, როცა მან უკანასკნელად ჩამოიყვანა თბილისში თავისი ონისიმე. მეტად ღარიბი... მეტი მისაზიდველი და საყვარელი კაცი იყო ეს ზაქარია ასათიანი (იგულისხმება მ. ასათიანის მამა იოსებ ასათიანი). შეხედამდა მას კაცი თუ არა, მაშინვე მიხვდებოდა, რომ მის გულში არავითარ ხინჯსა, ბოროტებას არ შეუძლიან თავის შეფარებაო... მრევლის ხალხი, სადაც იგი მღვდლობდა, თურმე ღვთის კაცს ეძახოდა მასა და ეხლაც კურთხევით იხსენიებს მის სახელს... ის კი არავინ იცოდა, რომ სამრევლოდან იმდენსაც ვერა რჩებოდა ეს მღვდელი, რომ თავისი შინაურობა ერჩინა, როგორც რიგი იყო წლითი წლობამდე, და ხშირად უნაფქვობისაგანაც შეწუხებული იყო...“[2]

აი ამისთანა ღარიბი მღვდლის ოჯახში 1849 წელს სიღნაღის მაზ-

---

[1] ეკატერინე ასათიანისა, მიხ. ასათიანის მეუღლეა, თედორე ჭრელაშვილის ქალი, ცნობილი პუბლიცისტი-ხალხოსნის სტეფანე ჭრელაშვილის და. ეკატერინე ასათიანისა მონაწილეობას იღებდა ჩვენს მწერლობაში, ჟურნ. „იმედში“, შემდეგ ჟურნ. „ნაკადულში“. მას აქვს მოთხრობები როგორც საკუთარი, ორიგინალური, ისე ნათარგმნიც.

[2] მიხ. ასათიანი, მე და ონისიმე, ჟურ. „იმედი“, 1881 წ., № V, გვ. 14—15.

რის სოფ. ბაკურციხეში[3] დაიბადა მიხ. ასათიანი. მიხეილს სწავლა დაუწყებინა მამამ. მან შვილი მალე მოამზადა და სიღნაღის სამოქალაქო სკოლაში შეიყვანა. ეს სკოლა მიხ. ასათიანს ღაუმთავრებია 1861 წ., რის შემდეგაც ის მამას გადმოუყვანია თბილისის სასულიერო სასწავლებელში. ეს სასწავლებელი მას დაუსრულებია 1865 წ. და იმავე წელს, სწავლაში წარმატების გამო, მიხეილი თბილისის სასულიერო სემინარიაში სახელმწიფო ხარჯზე მიუღიათ.

როცა მიხეილი სემინარიის მესამე კლასში იყო, მას მამა გარდაეცვალა. დარჩა საშინელ სიღარიბეში: დედა, გასათხოვარი ქალითა და პატარა ვაჟიშვილით.

აქედანვე იგრძნო მიხეილმა პასუხისმგებლობა ოჯახისადმი და ამასთან ერთად ცხოვრების სიმუხთლე და სიმკაცრე. მის წინაშე მთელი სიმძიმით დაისვა საკითხი — რა გზა უნდა აირჩიოს მან ამიერიდან? სასწავლებლისათვის თავის დანებება მას არ უნდოდა, ცოდნის შეძენის სურვილი მასში დიდი იყო. არა და ოჯახი მისგან მზრუნველობას თხოულობდა. მალე სემინარიაში საქმისმწარმოებლის ადგილი გათავისუფლდა[4]. მიხეილი იძულებული გახდა ემუშავა ამ თანამდებობაზე, რაც მას აძლევდა თვეში 5 მანეთს და საკუთრად ცხოვრების შესაძლებლობას. ამით კი მას შეეძლო ოჯახისათვის დიდი დახმარება გაეწია.

მართლაც, მან თავისი უმცროსი ძმა თბილისში გადმოიყვანა და დაუწყო სასწავლებლისათვის მზადება. დაც მალე კურსდამთავრებულ სემინარიელზე გაათხოვა. ამის შემდეგ მან გადაწყვიტა კარგად ესწავლა, რომ აკადემიაში, ან უნივერსიტეტში შესულიყო. „მე კიდევ მეცადინეობას ერთი ორად ვუმატე — გადმოგვცემს მიხეილის მოგონებას მისი მეუღლე ეკატერინე ასათიანისა, — მინდოდა უსათუოდ აკადემიაში, ან უნივერსიტეტში შევსულიყავი. თუმცა ვიცოდი, რომ მთავრობა უკანასკნელ კურსებზე გეზათ მიყურებდა. ასეც მოხდა. მე უკეთესი მოწაფე ვიყავი და მასთან ულარიბესი, მაგრამ ორი სხვა სრულებით ბეჩავი და დაქვეითებული მოწაფე წარადგინეს“.

როგორც ჩანს, მიხ. ასათიანისათვის ეს პერიოდი მეტად მძიმე ყოფილა. ამ პერიოდის განცდებს თვითონაც საკმარისი დაწვრილებითა და სითბოთი აგვიწერს თავის ზემოხსენებულ ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „მე და ონისიმე“. „ძნელი იყო ონისიმესათვის იმ დროს

---

[3] ეს ცნობა ავიღე საქ. სახ. ცენტრარქივის თ ბ ი ლ ი ს ი ს ს ა ს უ ლ ი ე რ ო ს ე მ ი ნ ა რ ი ი ს 1870 წ. არქივიდან, სადაც დაცულია მ ი ხ ე ი ლ ა ს ა ს ა თ ი ა ნ ი ს სემინარიის დამთავრების შესახებ მიწერილობა (свидетельство), მოკლე ბიოგრაფიული ცნობებითა და საგნებში წარმატების ნიშნებით. ეკ. ასათიანის ცნობით კი მიხ. ასათიანი დაიბადა სოფ. ვ ე ჯ ი ნ ში (გურჯაანის მახლობლად).

[4] სემინარიაში, ჩვეულებრივ, საქმისმწარმოებლისა და ფერშლის მოვალეობას უფროსი კლასის მოწაფეები ასრულებდნენ მცირე ჯამაგირისა და მცირე შეღავათის მიღებით.

მამის სიკვდილი, საყვარელი მამისა, ძნელი უფრო იმით, რომ ეხლა ნორჩ თავზედ უნდა დასწოლოდა მთელი ოჯახის პატრონობა, წვრილ-ფეხობაზე ზრუნვა. ზაქარია მღვდელს არა დაუტოვებია რა თავის ცოლ-შვილისათვის, გარდა ერთი პატარა მამაპაპეული ვენახისა და მართალი, ღვთისნიერი, კაცის სახელისა"...[5]

იქვე დაწვრილებით გადმოცემულია ის შევიწროება, რომელიც მისმა ქვრივმა დედამ მღვდელ-ბლაღოჩინებისაგან განიცადა და რამაც ონისიმეს (ე. ი. ავტორს) ბევრი მწარე ტანჯვა მიაყენა. „აი ამ დროს იყო რომ ონისიმემ უკლო მეცადინეობასა და სწავლას. უკლო უფრო იმის გამო, რომ მწერლად შევიდა სემინარიის სამმართველოში".

მიხ. ასათიანი ამავე ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში ადასტურებს იმასაც, რომ მან მალე დაც გაათხოვა კურსდამთავრებულ სემინარიელ-ზე, რომელმაც „ონისიმეს გამოუცხადა, რომ შინაურებზედ შენ ახლა ჯავრი ნუღარა გექნება რა, ყველას მე ვუპატრონებ და აბა, ვინძლო, შენ იმდენი იმეცადინო, რომ აკადემიაში წახვიდეო"[6].

დის გათხოვებისა და მასთან ერთად ოჯახის დაბინავების შემდეგ მიხეილს დამახასიათებელი ბეჯითობით დაუწყია სწავლა და 1870 წლის გაზაფხულზე დაუმთავრებია თბილისის სასულიერო სემინარია.

1870 წლის 13 ივნისის თარიღით მიხეილს სემინარიაში კურსის დამთავრების შესახებ მიღებული აქვს მოწმობა, რომელშიაც ყველა საგანში საუკეთესო ნიშნებთან ერთად (ყოველ საგანში ოთხიანი ან ხუთიანი ნიშანი აქვს—თერთმეტ საგანში მიღებული აქვს 51¹/₄) ასეთი დახასიათებაცაა ჩაწერილი: „Михаил Асатиани от роду 21 года в Тифлисской Духовной Семинарии слушал предметы во всех трех классах при способностях отличных, прилежании очень ревностном и поведении очень хорошем"[7] (ყოფაქცევის შესახებ ჯერ დაწერილია отличном, მაგრამ წაშლილია და ზევიდან ჩაწერილია очень хорошем). ყოფაქცევაში ნიშნის დაკლება, ალბათ გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 1870 წელს სემინარიის პანსიონში მოწაფეებმა აჯანყება მოაწყეს. ამ აჯანყების ერთი მთავარი მონაწილეთაგანი იყო მიხ. ასათიანი.

აი ამის შესახებ რა მენიშვნას უკეთებს ჟურნალ „იმედის" რედაქტორი მიხ. გურგენიძე მიხეილ ასათიანის სიკვდილის შემდეგ დაბეჭდილი მისი მოთხრობის „მე და ონისიმე" XI თავს[8]: „რედაქციას, —წერს მიხ. გურგენიძე,—მეტად სამწუხაროთ მიაჩნია, რომ აქ აკლია ამ

---

[5] მიხ. ასათიანი, მე და ონისიმე, „იმედი", 1881 წ., № V, გვ. 17.
[6] მიხ. ასათიანი, მე და ონისიმე, „იმედი", 1882 წ., № 1, გვ. 3.
[7] საქ. სახ. ცენტრარქივი, Архив Тифлисской Духовной Семинарии за 1870 г.
[8] ჟურნალი „იმედი", 1832 წ., № 1, გვ. 28—29.

წარჩინებულ მოთხრობას: რამდენიმე თავი, რომელიც განსვენებულს ავტორს თეთრათა ჰქონდა გადაწერილი და წაეკითხა კიდეც ბევრ თავის კეთილ მყოფთათვის. აქამდე ამიტომ ვაგვიანებდით ამ გაგრძელების დაბეჭვდას, რომ იმედი გვქონდა მის ნაწერებში გამოგვენახა სადმე აღნიშნული ადგილები. მაგრამ მეცადინეობა უქმი გამოდგა. თვითონ ეს გაგრძელება მხოლოდ შავად დაწერილიღა ვიპოვნეთ და მაინც ვბეჭდავთ, რადგან ეს შავიც ცხადად გვიჩვენებს, თუ რა (?) შესაძლოა თვითონ ჩვენი ცხოვრების აღწერა, რამოტელა სიმშვენიერე, ლაზათი და აზრი მოიპოვება ჩვენ გარშემო. თუ კი კაცს აქვს ნიჭი, რომ თვალები გამოიყენოს დასანახავად და ყური — გასაგონად. უნდა განვუცხადოთ მკითხველსა, რომ დაკარგულ ადგილებში განსვენებულ მ. ასათიანს, მართლა შესანიშნავათა ჰქონდა გამოხატული სემინარიაში უკანასკნელი ორი წელიწადი ონისიმეს გახსნილობისა, ხასიათის გამაგრებისა, ზნეობითი იდეალების გამორკვევისა. იქამდე მიიყვანა ავტორმა ონისიმე, მანამ სამართლიანობისა და პატიოსნების დაცვისათვის ონისიმემ ითავა მთელი სემინარიის აჯანყება უსინდისო და უსამართლო მასწავლებელ-მოხელეებთა წინააღმდეგ. აქ იყო ხელოვნურად და უტყუარად აღწერილი ამბავი...[9], რომელიც მოხდა მგონი 1871 წელს[10] და, რომელშიაც თ ვ ი თ ო ნ ა ვ ტ ო რ მ ა მ ი ი ღ ო უ მ თ ა ვ რ ე ს ი მონაწილეობა[11]. აღწერილი იყო ის უშვერი საქციელი, რომელსაც იმოტელა შაგირდების თვალწინ იჩენდნენ მაშინდელი, რექტორ-ინსპექტორ-ეკონომ-მასწავლებლები. შიმშილით და უწმინდურებით... და მათზე გადახდილი ფული ვინ იცის საითა ჰქრებოდა მოთავეების წყალობით. ვინც გაბედავდა და ხმას ამოიღებდა, მაშინათვე ამოუქოლავდნენ სემინარიის კარებსა და გააგდებდნენ. ამისთანა საშინელი შევიწროების დროს, რამდენიმე გამბედავი მასწავლებლის თაოსნობით მოხდა იშვიათი შეთქმულება სემინარიელებისა — გადასწყვიტეს ისე ეცემნათ მოხელეთათვის, რომ სადაც თავისი დაეკვეხნათ, იქ არც სემინარიელები დავიწყებოდათ. მაგრამ მაბეზღარებმა შეატყობინეს რექტორსა და შუალამისას, როდესაც ერთი თვალის დახამხამებაზედ თითქმის სამასამდის მოსწავლე გამოიფინა ზემოთა ბალკონზედ და შეიქმნა უცებ საშინელი ყვირილი: „პური გვშიან, პური გვშიან“, იმ იმედით, რომ ამ ხმაურობაზე გარედ გამოვლენ მოხელეებიო, ესენი არ გამოვიდნენ. მაშინ „ბუნტოვჩიკებმა“ მხოლოდ ესღა მოახერხეს, რომ დაუწყეს რექტორის ფანჯრებს სროლა და რამდენიმე შუშაც ჩალეწეს“...[12]

---

[9] ჟურნალის რედაქტორის შენიშვნაშიც მრავალწერტილია. აქ. ცხადია, ცენზორის მიერაა ტექსტი ამოღებული.

[10] მიხ. გურგენიძე აქ ცდება, უნდა იყოს 1870 წ., რადგანაც 1871 წ. მიხ. ასათიანი სემინარიაში აღარ სწავლობდა.

[11] ხაზი ჩვენია.

[12] დედანშიაც აქ მრავალწერტილია.

ამონაწერი საგრძნობლად გრძელი გამოვიდა, მაგრამ მოყვანილი ცნობა მრავალმხრივაა დამახასიათებელი და საგულისხმიერო. ჯერ ერთი მით, რომ ეს ამონაწერი ახასიათებს იმ დროის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებსა და მასწავლებელ-აღმზრდელთა ურთიერთობას. მოსწავლეთა უკმაყოფილო სულიერ განწყობილებას, მათ აღშფოთებასა და გამბედაობას, რასაც იმ დროს საზოგადოებრივი ცხოვრების მდგომარეობის გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. და უფრო კი მით, რომ მიხ. ასათიანის ხასიათსა და როლს ამ მოსწავლეთა მოძრაობაში ერთგვარად ამჟღავნებს. ამიტომაა, რომ მიხ. ასათიანი, როცა მოიგონებდა იმ მომენტს, ამბობდა: „მინდოდა უსათუოდ აკადემიაში, ან უნივერსიტეტში შევსულიყავი. თუმცა ვიცოდი, რომ მთავრობა უკანასკნელ კურსებზე გეზათ მიყურებდაო“.

ამასვე ადასტურებს მიხ. ასათიანის ავტობიოგრაფიული მოთხრობა „მე და ონისიმე“. როდესაც ონისიმეს დიდგულაძის ნათესავი დაიბარებს და ურჩევს: „წადი აკადემიაში, შეასრულე კურსი. მოდი იქიდან და მაშინ იზრუნე მოძმისათვის და მამულისათვის. დასასრულ ამას გეტყვი, — განაგრძობს დიდგულაძის ნათესავი, — მე როგორც შემიტყვია, შენ შენიშნული ყოფილხარ რექტორისაგან და მაშინ იმედი ნუ გექნება, რომ მალე მიიღებდე მღვდლობასა. მე ეს თვით შემიტყვია ნამდვილი წყაროდგანაო“[13].

საინტერესოა გავერკვიოთ, რატომ შემოაქვს ავტორს ახალგაზრდა სემინარიელების სურვილი მღვდლის გზის არჩევის შესახებ და როგორ ეხატება მას მღვდლის მოღვაწეობის დანიშნულება? შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ აქ მღვდელი ერთგვარი ნიღაბია ავტორისათვის, რომ მან მოქალაქის საზოგადოებრივი დანიშნულება გაარკვიოს ისე, როგორც ეს მას ეხატება ახალი მსოფლმხედველობის თანახმად. და მეორე მხრით, პატიოსანი მღვდლის დახატვით უფრო გაამახვილოს სამღვდელოების უარყოფითი მხარეები, რასაც ავტორი ასე დაუნდობლად და მოურიდებლად ასახავს.

მართლაც, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი „მე და ონისიმე“-ში ხერხიანად გადაგვიშლის საღ, აზრიან ცხოვრებას მოწყურებულ ახალგაზრდა სემინარიელებს პიროვნებისა და ცოცხალი აზრის მომსპობ სემინარიის პირობებში. ცნობილია, რომ როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც, სასულიერო სემინარიაში, მთავრობის სურვილების წინააღმდეგ, ადამიანის გამათახსირებელ სემინარიის პირობებში, როგორც წინააღმდეგობა, მძლავრად გაღვივდა არსებულის უარყოფა და საღი, ადამიანური ცხოვრების მოპოების აუცილებლობის შეგნება. რუსეთში ამ დროს აზრთმფლობელნი არიან სემინარიელები: ჩერნიშევსკი, დობ-

---

[13] მიხ. ასათიანი, მე და ონისიმე. „იმედი“. 1882 წ., № 1, გვ. 31—32.

როლიუბოვი და სხვანი, საქართველოში სემინარიელები: სტ. ჭრელაშვილი, დ. კეზელი, ნ. ხიზანაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური, მიხ. ასათიანი და სხვანი. შემდეგში „მესამე დასელების“ უმრავლესობაც ხომ სემინარიიდან გამოვიდა.

თბილისის სემინარიელთა ცხოვრების ეს მხარეც მიხ. ასათიანს თავის მოთხრობაში საგრძნობლად მკვეთრი ფერადებითა და ემოციით აქვს მოცემული: „საცა კი ორი და სამი სემინარიელი თავს მოიყრიდა, აუცილებლად აგვიტყდებოდა გაჩაღებული ბაასი. ბაასობა, რომელსაც ვეძახოდით „სპორსა“, იმ დროს მეტად გაძლიერებული იყო ჩვენში სხვა და სხვა მაღალ კითხვებზე. მოდი და თუ შეგიტყვია რამ ამ საგანზედ, ან წაგიკითხნია, ნუ დაეჯაჯგურები ორთავე ხელით, რომ გამოიყენო და მოწინააღმდეგემ არ „გაგჯოროს“, როგორც ვიტყოდით ხოლმე მაშინ დამარცხებულზედ“[14].

მაგრამ მარტო ბაასით არ კმაყოფილდებოდნენ ეს დაინტერესებული ახალგაზრდები. როგორც ჩანს, და უნდა ვიფიქროთ, მათ თავიანთ თავზე დიდი მუშაობა უნდა ჩაეტარებინათ. ამ მიზნისათვის თავიანთი ბიბლიოთეკაც კი შეუდგენიათ — ყოველ წლის დასაწყისში კაცის თავზე თითო მანეთს თურმე შეკრებდნენ და ასე ამდიდრებდნენ თავიანთ ბიბლიოთეკას. „მივადექით, — გადმოგვცემს მიხ. ასათიანი, — ამ წიგნების კითხვას და ისე დავიხვიპენით მათგან ცოდნით, რომ ზოგიერთ მასწავლებელთაგანს ეშინოდა ჩვენთან პირში შემობმისა“[15].

მოთხრობის გმირნიც გაშმაგებით არიან ჩაბმულნი სემინარიელთა ამ მუშაობაში. „ონისიმემ, — მოგვითხრობს ავტორი, — ისე შეითვისა ყოველივე წაკითხული და გაგონილი, რომ, როდესაც ის დაიწყებდა ლაპარაკს, კაცს ეგონებოდა ყველაფერი იმას თითონ სცოდნია, თითონ უნახავს, თითონ გამოუცდია, გამოუგვრძნია და არა წიგნებიდან შეუძენია“[16].

ამის გარდა, ავტორი კიდევ ერთს გარემოებას უსვამს ხაზს. სახელდობრ: ონისიმეს, როგორც ბევრს სხვასაც, ჩვეულება ჰქონია რვეულში ეწერა თავის განცდები, მისწრაფებანი, ან ამოეწერა გამოჩენილ პირთა სახელმძღვანელო აზრები. დამახასიათებელია მოსწავლეთა ამ ჯგუფისათვის ის ქართული წარწერა, რომელიც ავტორის გადმოცემით, ამ რვეულებს ჰქონდა: „ამ ქვეყანაზედ მარტო ერთი ადგილია ყველასათვის სასურველი — ადგილი პატიოსანი კაცისა, რომელიც ახალგაზრდობაშივე არ ეცდება მასზედ მოიკეცოს, იგი დარჩება საბოლოოდ ან რეგვენად, ანუ ავაზაკად“. აქაც ეპოქის გავლენა მოჩანს, ადამიანის ღირებულება ფასდებოდა მისი ზნეობის მიხედვით.

---

[14] მ ი ხ. ა ს ა თ ი ა ნ ი, მე და ონისიმე, „იმედი“, 1882 წ., № 1, გვ. 6—7.
[15] ი ქ ვ ე, გვ. 5.
[16] ი ქ ვ ე, გვ. 7.

ცნობილია, რომ 70-იანი წლების სემინარიელები თანამშრომლობდნენ მაშინდელ ჩვენ პერიოდულ გამოცემებში ზოგი თარგმანებით, ზოგიც ორიგინალური ნაწარმოებითა და კორესპონდენციებით (მაგ., ნ. ლომოური, სოფ. მგალობლიშვილი და სხვანი). მიხ. ასათიანი გვიმოწმებს, რომ შიგნით სემინარიაშიც ხელიდან ხელში გადადიოდა რამდენიმე ხელნაწერი რვეული სემინარიელების ლექსებისა. მაგრამ ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ხელნაწერ ჟურნალს „ხმა უდაბნოდგან"[17], რომელშიაც, ავტორის მოწმობით, „გამოხეთქა სემინარიელთ ტვინის ძალამ".

ცხადია, ასეთი განწყობილების ახალგაზრდობა გატაცებით დაუწყებდა თვალყურის დევნებას იმ აფორიაქებულ, ატეხილ ცხოვრების ნაკადს, რომელიც 60—70-იან წლებში მძლავრ ქარტეხილსავით იჭრებოდა რუსეთის დახავსებულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აქედან ჩვენ ცხოვრებასაც ახალი გზით მიმართვის შესაძლებლობას უხსნიდა.

სემინარიელთა ეს წრე ხარბად იყო დაწაფებული მაშინდელი საზოგადოების აზრთა მფლობელთა თხზულებებს (ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი), იმ დროის რუსეთის მოწინავე ჟურნალ-გაზეთები მათთვის აღმზრდელ წყაროდ გადაიქცა. ამას მოწმობენ იმ პერიოდის სემინარიელები. ამას მოწმობს ნ. ლომოური თავის მოგონებაში[18], ამას მოწმობს მიხ. ასათიანი თავის ხსენებულ მოთხრობაში „მე და ონისიმე" და სხვანი.

აშკარაა, 70-იანი წლების ხალხოსნურ მოღვაწეობას „ხალხში სიარულის" იდეას, ასეთი გატაცებითა და დიდი მსხვერპლის განწირვით რომ ტარდებოდა რუსეთში, თბილისის სემინარიის წყვდიადით მოცულ ჯურღმულშიც შეუშუქებია, საუკეთესო ნაწილი სემინარიელებისა გაუტაცნია. კეთილი მოქმედებისათვის აღტყინებული ახალგაზრდა გული მძიმედ დაუკოდია, გარემოს დანახვისათვის მათი თვალი გაუდიდებია, ყური საზოგადოებრივი მაჯისცემის გაგონებისათვის გაუმახვილებია; გაჭირვებული, ჩამორჩენილი, დაბრიყვებული ძმის საშველად მომზადებისა და სათანადო მოქმედების ასპარეზის გამონახვის ტკივილებს მათ ტვინსა და გულში ღრმად დაუბუდებია.

ხალხის ბედნიერების მოპოვებისათვის აღფრთოვანებული ონისიმე მოწიწებით ემზადება სამოღვაწეოდ. მოუთმენლად ელის კურსის დამთავრებას. ცოდვად მიაჩნია უმაღლეს სასწავლებელშიც კი შესვლა. მისი გაგებით, დაბრიყვებული ძმის დაბეჩავებული ცხოვრება დაუყოვნებლივ ითხოვს მის პრაქტიკულ მოქმედებას. და

---

[17] უდაბნოდ იგულისხმება კარჩაკეტილი, საღ ინტერესს, ცხოველმყოფელ ძალას მოკლებული სასულიერო სემინარიის ცხოვრება.

[18] ნ. ლ ო მ ო უ რ მ ა ეს მოგონება წაიკითხა 1915 წელს აკაკი წერეთლის ხსოვნის აღსა ნიშნავ სამგლოვიარო საჯარო სხდომაზე ქ. თბილისში.

ონისიმეც, როგორც ეს დამახასიათებელი იყო 70-იან წლებში რუსეთშიც, მაღალი თეორიებითა და იდეური მისწრაფებებით გატაცებული, პიროვნების მნიშვნელობის გაზვიადებული წარმოდგენით იმედიანად ლამობს, რაც შეიძლება მალე გადაეშვას გამძვინვარებული ცხოვრების წუმპეში, რათა გაწმინდოს იგი და დაჩაგრული ძმა განადგურებისაგან იხსნას.

ავტორი ონისიმეს აი როგორ ალაპარაკებს: „ვისაც ცოტა არის მაინც ადამიანის ფერი გვაქს და კაცობრიობის სიყვარულში თავსა ვდებთ, უნდა შევდგეთ მღვდლათა და გაუხდეთ ხალხს ნამდვილი მამა, მოძღვარი, მწყემსი. ჩვენში სამწყსო დიდია და ამ სამწყსოს ჩვენსკენაც აქვს თვალები მოქცეული. მიგველის, რომ აი ეს არის გამოვლენ, მომეპატრონებიან, მწყემსობას გამიწევენო. ჩვენ კი ამას ყურადღებას არც კი ვაქცევთ და მივრბივართ აქეთ-იქით... და ამ დიდ და უპირველეს ჩვენს თანამდებობას კი უტოვებთ ნაბოლავარა, ყარტალ-ყურტალა პირთა, რომელთაგანაც ვერა კეთილსა და სამაგალითო საქმეს ვერა ხედავს ხალხი...“[19]

მიხ. ასათიანმა კარგად იცის ჩვენი სოფლის ჩამორჩენილობა; კარგად იცის, რომ ის დავიწყებული, აბუჩად აგდებული, შეძლებულთა და მოხელეთა ბოროტი თვითნებობის თარეშის ქვეყანაა. ავტორი კარგადა ხედავს საზოგადოებრივ მოღვაწეთა ძალთა სიმცირეს, მათ საჭიროებას და ახალგაზრდა გატაცებულ ონისიმეს ასე ალაპარაკებს: „ეხლაც არავის შეუძლია იმდენი კეთილის დათესა, მეტადრე სოფელ ალაგას, როგორც მღვდელს, რომლისთვისაც ხალხს შეურჩენია, აქნობამდის კიდევ წინანდელი სახელი „მოძღვარი“. მაგრამ ჩვენი მოძღვრები, საუბედუროთ, კარგა ხანია ვეღარ მოძღვრობენ. ძლიერ დაბლა ჩამოჰკრეს მათ თავი, დაეცნენ ხალხის თვალში... ხალხმაც ამოითვალისწუნა იგინი... რათ ემდურიან ჩვენი მღვდლები ხალხს? განა აქვთ საბუთი ამისათვის? სრულიადაც არა... რა კეთილსა და სასარგებლო გზაზედ აყენებენ იგინი იმათ, რომელნიც მათ უწოდებენ ამ დიდ მნიშვნელობიან სახელს „მოძღვარო“? აბა იგინი, როგორც მწყემსნი, განა მწყსობენ ერსა, იხსნიან, იფარებენ იმ ბოროტებისაგან, უსამართლობისაგან, რომელნიც ესე მოდუნებულნი არიან ჩვენში? არა მგონია“... აქ ბევრ სხვა საყვედურს ამბობს ავტორი მღვდლებისადმი, კიდევ ბევრი საყვედურის თქმა უნდა მათდამი, ბევრი მათი ნაკლის აღნიშვნა, მაგრამ ალბათ, ცენზორის ბრჭყალების გამო, აზრს წყვეტს. თუმცა მღვდლების უარყოფითი მოღვაწეობის შთაბეჭდილება რომ უფრო გააღრმაოს მკითხველში, ის მოჩერხებულად შემდეგს ჩაურთავს: „ვინ იცის,

---

[19] მიხ. ასათიანი, მე და ონისიმე, „ომედი“, 1882 წ., № 1, გვ. 12—15.

რაები არ ჩამოეთვალა მღვდლების საქციელიდგან, რომ მე სიტყვა არ გამეწყვეტინებინა“.

ამრიგად, მიხ. ასათიანისათვის სემინარიის უკანასკნელ კლასშივე მომავალი მოღვაწეობის გზა ვარკვეულია — უანგარო, ხალხის ერთგული მასწავლებლის ეკლიანი ასპარეზი მისთვის მიმზიდველი ძალითაა აღჭურვილი და ისიც შეგნებულად მიდის ამ გზისაკენ.

„ვიცხოვროთ ისე, როგორც ხალხი ცხოვრობს..., — ურყევად და იმედიანად ამბობს ონისიმე, — ხალხი ღარიბია — ჩვენც გამოვცადოთ, რა გემოსია ეს სიღარიბე. სხვა რამ მწუხარება და ვაება დაადგება — ავიტანოთ ჩვენც მასთან ესეები. და თუ იმას ვიზამთ, რომ წამოვახედებთ და წელში გავმართავთ ჩვენს სამწყსოს, ხომ ჩვენც შეღავათი მოგვეცემა ამითა. ჩვენ უნდა ვიყვნეთ ხალხის ნამდვილი მამა, თანამოძმე, მისი ჭირისა და სიხარულის გამყოფი, მისი უბედურებისა და ბედნიერების თანამოაზრე, რომ ნამდვილად:

მისი წყლული გვაჩნდეს წყლულად,
გვეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დაგვედაგოს მტკიცეთ გული.

აი მხოლოდ მაშინ გაგვიცნობს ჩვენ ხალხი და მიგვიღებს თავისათ“...[20]

ეს ხომ ჩვეულებრივი და დამახასიათებელი მისწრაფებაა რუსი და ჩვენი ხალხოსნებისა, რომელნიც (განსაკუთრებით კი რუსეთში) დიდი გატაცებით გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე გლეხკაცისათვის, დაბეჩავებული ხალხისათვის ბედნიერების მოპოვების მიზნით. მკითხველი მწვავეთა გრძნობს ავტორის ტკივილებს, გრძნობს, თუ ავტორის ჭკუაგონებას გარემო-მდგომარეობა რამდენად აუწონ-დაუწონია, სანამდის ის გარკვეულ გზას და გადაწყვეტილებას დაადგებოდა. მიხ. ასათიანის მოთხრობა „მე და ონისიმე“ ტიპიური დამახასიათებელი ჟანრია — ავტობიოგრაფიული მოთხრობა — ხალხოსანი მწერლებისათვის. ხალხოსანი მწერლები გამოდიოდნენ თავისი პირადი განცდებიდან, მათ განზოგადოებულ ტიპიურობაში აჰყავდათ პირადი ცხოვრება.

მიხ. ასათიანი კარგად იცნობს ცხოვრების სინამდვილეს, ზედმიწევნით იცნობს ხალხს, მის გაჭირვებულ მდგომარეობასა და მის სულისკვეთებასაც. იცის რა სტკივა ხალხს, რას თხოულობს, რას ელის ის ნამდვილი კეთილის მსურველისაგან. ამიტომ ავტორი ონისიმეს დახატვაში კიდევ ერთ საგულისხმიერო და ეპოქისათვის, ხალხოსნებისათვის დამახასიათებელ ხაზს გვაძლევს. ონისიმესათვის ისიც აშკარაა,

[20] მიხ. ასათიანი, მე და ონისიმე, „იმედი“, 1882 წ., № 1, გვ. 13.

რომ მარტო სურვილი და სიტყვა, თუნდაც ძალიან კეთილი და ბრძნული, ამგვარი მოღვაწეობისათვის საკმარისი არ არის, მან კარგად იცის, რომ ხალხმა საქმეში უნდა დაინახოს, განიცადოს ნათქვამის სარგებლობა. ამიტომ საქმე და სიტყვა ერთი უნდა იყოს. ამას კი წინასწარ მომზადება ესაჭიროება. ონისიმეც ემზადება ასეთი მოღვაწეობისათვის, და რადგანაც ონისიმე, სხვა გზის უქონლობის გამო, მღვდლის სახით აპირებს პრაქტიკულ ცხოვრებაში ჩაბმას, აი როგორ ეხატება მას თავისი მოვალეობა: „მღვდელს არა გამოადგება რა სოფელში ისე, როგორც პატარათი მაინც ექიმობის ცოდნა. მღვდლისათვის საჭიროა ისტორიის ცოდნაცა. ხალხს ძლიერ უყვარს, როცა მას ძველებურ ამბავს ეუბნებიან. მღვდლისთვის აგრეთვე საჭიროა მეურნეობაში პატარა მაინც დახელოვნება, რომ ხალხს ასწავლოს ამაშიაც რამ. ამისათვის ონისიმემ მიაქცია თავისი ყურადღება ამ საგნების შესწავლასა — ამათში მარტო პედაღოღიას გვასწავლიდნენ, დანარჩენი სულ ჩვენთავად დავიწყეთ სწავლაო“[21], — დასძენს ავტორი.

ესეც ხომ დამახასიათებელია ხალხოსნების კულტურული, იდეური მოღვაწეობისა. ახალგაზრდა ონისიმეს ჰგონია, რომ ის შეძლებს გაწმინდოს ცხოვრების წუმპე, რომელშიც აღვირახსნილად ხალხის მტრები და მათთან მღვდლებიც ბატონობენ.

ასეთი მღვდლების სახედ ავტორს ტიტია ჰყავს გამოყვანილი.

ავტორმა კარგად იცის, რომ ცხოვრებამ ბევრი აღფრთოვანებული მოღვაწე დაამარცხა. ავტორს ამ დამარცხების მიზეზიც გამოუძებნია— ესაა ცხოვრების სინამდვილის არცოდნა, მისდამი გულგრილი დამოკიდებულება, ნაკლები გამძლეობა. ონისიმეს ეს ყველაფერი კარგად გაუთვალისწინებია. ის ენერგიულად თხოულობს, რომ ცხოვრებას კაცმა ღია თვალით შეხედოს. კარგად იცის მან, რომ ცხოვრება ადვილად დაგვამარცხებს, ადვილად ჩაგვითრევს თავის მორევში, „თუ ეხლავე არ წარმოვიდგინეთ, რომ ჩვენი გზა და კვალი, რომელთაც ეხლა ვირჩევთ, ნარითა და ეკლით იქნება მოდებული და არა ია ვარდის ფოთლებით მოფენილი“[22]. და ისიც ურყევად და შეგნებულად აპირებს ამ სარბიელზე შედგომას.

მიხ. ასათიანის ცხოვრება არ წარიმართა მღვდლის მოღვაწეობის გზით. აჯანყებაში მონაწილეობის გამო, ადმინისტრაციის უნდობლობამ და ოჯახის დაბინავებამ ახალგაზრდა მიხეილს გეზი შეაცვლევინა. მან ამჯობინა უმაღლეს სასწავლებელში შესულიყო, კურსი შეესრულებინა და დაბრუნების შემდეგ ეზრუნა მოძმისათვის.

---

[21] მ ი ხ. ა ს ა თ ი ა ნ ი, მე და ონისიმე, „იმედი“, 1882 წ., № 1, გვ. 13.
[22] ი ქ ვ ე.

კურსის დამთავრებისას, როგორც მოსალოდნელი იყო, სასულიერო ადმინისტრაციას აკადემიაში გასაგზავნად სრულიად უღირსი პირნი დაუნიშნავს. აი თვით მიხეილ ასათიანი რა ცნობას იძლევა მოთხრობაში „მე და ონისიმე“: აკადემიაში წასვლაზე „პირველმა და მეორემ უარი განაცხადეს, რადგანაც იგინი საუნივერსიტეტოთ ემზადებოდნენ, მესამეს წილი არ არგუნეს...[23] ჩემზედაც გადახტნენ, გულდიდაძეზედაც“[24].

მიხ. ასათიანის მტკიცე ხასიათი არც ამ გარემოებას შეუშინებია. საქართველოს ცენტრარქივში, თბილისის სასულიერო სემინარიის 1870 წ. საქმეებში დაცულია თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობის სახელზე მიხ. ასათიანის მიერ 1870 წელს 2 ივნისს შეტანილი განცხადება, სადაც ნათქვამია: „Имея намерение в нынешнем году поступить в Академию и, считая себя подготовленным к принятию в оную, всепокорнейше прошу Правление Семинарии оказать мне такую милость в денежном пособии, какую оно оказало ученику высшего же отделения Николаю Татиеву, а документы, необходимые для поступления, всенижайше прошу заранее отправить, как это требуется существующими постановлениями“.

არქივიდან არა ჩანს რა ბედი ეწია ამ განცხადებას, მისცა თუ არა სემინარიის მართველობამ მიხ. ასათიანს დახმარება.

იმავე 1870 წელს 13 ივნისს მიხ. ასათიანს თბილისის სასულიერო სემინარიის მართველობისათვის შემდეგი ხელწერილი მიუცია:

„Я нижеподписавшийся ученик высшего отделения Тифлисской Духовной Семинарии Михаил Асатиани, даю сию подписку Правлению оной же Семинарии в том, что а) отправляюсь в Казанскую Академию на свой счет, б) что, явившись в Академию прежде допущения моего к экзамену, представлю в Правление Академии на первоначальную экипировку следуемые 34 р. 28 коп., в) что, в случае не выдержания экзаменов в Академии на свой же счет возвращусь на свою родину, г) что по принятии в Академию буду во всем подчиняться Академическим правилам и довольствоваться доставляемым Академией содержанием и д) что я по окончании Академи-

---

[23] საქ. სახ. ცენტრარქივში თბილისის სასულიერო სემინარიის 1870 წ. საქმეებში დაცულია სემინარიის უკანასკნელი კურსის მსმენელთა საგამოცდო უწყება და, მართლაც, მიხ. ასათიანი წარმატებით მესამეა: პირველი მექანაროვი (55), მეორე ჭეიშვილი (53) და მესამე მიხ. ასათიანი (51 1/4).

[24] მიხ. ა ს ა თ ი ა ნ ი, მე და ონისიმე, „იმედი“, 1882 წ., № 1, გვ. 33.

ческого курса, обязываюсь служить духовному ведомству не менее четырех лет и там, где укажет Духовное начальство"[25].

მიხ. ასათიანი შეუპოვრად მიემგზავრება რუსეთში უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად სულ მცირედი თანხით, რომელიც მას ბიძამა და სიძემ მისცეს. „ჩემი იმედი აღსრულდა, — გადმოგვცემს მიხ. ასათიანი თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში, — ერთმა მომცა ხუთი, მეორემ ოთხი თუმანი, იქნება მომეტებულიც მოეცათ, რომ ქესატად არა ყოფილიყვნენ იმ დროსა, როგორც თითონ მოიჩივლეს. ესრეთ საგზაოდ შემიდგა მე ცხრა თუმანი, რაც იმ დროს მე ცხრა მილიონად მიმაჩნდა"[26].

იმავე 1870 წელს მიხ. ასათიანმა წარმატებით ჩააბარა ყაზანის აკადემიაში გამოცდები და ჩაირიცხა კიდეც. იქ ის ბეჯითად მეცადინეობდა.

ამ პერიოდის სულიერ განწყობილებას და თავის საზოგადოებრივი ღირებულების გაგებას მიხ. ასათიანი მშვენივრად გვიშლის იმავე ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში: „ოცნებას უფრო იქით მივყავდი. ჩემს თვალწინ დგებოდა ის სიცოცხლით სავსე და იმედიანი ახალგაზრდობა, რომელშიც მე უნდა შევსულიყავ, მეჩვენებოდა, რომ ის ახალგაზრდობა ელტვოდა ახალ მიზანს, გაღუებული ღვთიური ცეცხლით სავსე იყო მისი გული და დღედაღამ ეძებდა, ამზადებდა იმ...[27], რომელსაც შეუძლიან ვაებისა და ჭირის შემცირება ქვეყნიერებაზედ და ლხინის მომატება დაჩაგრულ ადამიანისათვის. დაუცხრომლად ფიქრობდა იგი ბოროტების მოსპობაზედ, უმეცრების დაბლა დაცემაზედ, სამართლისა და ჭეშმარიტების მოფენაზე....[28] მე სიცოცხლეს მიმატებს ასეთ ცხოვრებაში ჩავარდნა, ბედნიერად ვგრძნობ ჩემ თავსა, ედემის შუა გულში მგონია ჩემი თავი. ვიწერები წერილებს სემინარიაში, ვიწვევ ყველას იქით, ამ სიტკბოების ტაძრისაკენ და უკვდავის წყაროს დასაწაფებლად... ამასაც არ მაჯერებს ოცნება... მას უფრო იქით მივყევარ. წარმომიდგა, რომ აი კურსიც შევასრულე და გამსებული გულით ვბრუნდები მე ჩემი ქვეყნისაკენ... მეხატება ისიც, როგორი სიხარულით მეგებებიან ჩემი ნაცნობები, ამხანაგები, როგორ ხელს მიმართავენ, თავისკენ მივყევარ მე ჩვენ პატიოსან მუშას და დაწინაურებულ ახალგაზრდობას. მეც თამამათ ვართმევ ყველას ხელს, სწორედ ვუყურებ თვალებში თითოეულს მათგანს, რადგანაც ვხედავ, რომ

---

[25] საქართ. ცენტრარქივი, Архив Тифлисской Духовной Семинарии за 1870 г.

[26] მიხ. ასათიანი, მე და ონისიმე, „იმედი", 1882 წ., № 11, გვ. 11.

[27] დედანშიაც მრავალწერტილია. ალბათ, აქაც ცენზურის ხელმა ამოიღო შესაფერი აზრი.

[28] დედანშიაც მრავალწერტილია.

მეცნიერების ჩაჩქანი მხურავს,
ტანზედ მაცვია მისი აბჯარი;
მარტო რაშს ვუცდი, თორემ ხელთა მაქვს
ფარ-ხმალ, ისარიც მეტად მაგარი..."[29]

1874 წელს აკადემიის კურსის დამთავრების შემდეგ მიხ. ასათიანი დაბრუნდა საქართველოში ვალდებულების მოსახდელად. ამავე წელს ის დანიშნულ იქნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად.

მიხ. ასათიანი 1874 წელს აკადემიის კურსდამთავრებული, ცოდნით, ნიჭით, უნარით, ენერგიითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის გატაცებული მისწრაფებით იწყებს ნარ-ეკლიან გზაზე პატიოსან მოღვაწეობას. მას, როგორც ირკვევა, განზრახვა ჰქონდა თავისი ცხოვრების გზა ფართოდ და მისთვის დამახასიათებელი სიმკვეთრით აეწერა ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „მე და ონისიმე", მაგრამ, სამწუხაროდ, მისი მოულოდნელი სიკვდილისა, მისი არქივის დაზიანებისა და ბოლოს დაკარგვის გამო, ამ მოთხრობის მხოლოდ პირველი ნაწილის აღდგენა მოხერხდა.

მიხ. გურგენიძე ჟურნალ „იმედის" 1882 წ. № 11-ში ასათიანის მოთხრობის „მე და ონისიმე"-ს დასასრულს ასეთ შენიშვნას უკეთებს: „ამით თავდება პირველი ნაწილი ამ მოთხრობისა. მეორე ნაწილში განსვენებულ ავტორს სურდა გამოეხატნა ჩვენებური ახალგაზრდობის ცხოვრება რუსეთში, მისი ტანჯვითა და სიხარულითა, მისი მოქმედებითა და წადილებით. მეტადრე შესანიშნავი და ძვირფასი რამ არის თვითონ გიორგის წერილები სამშობლოში მეგობრებთან. მესამე ნაწილით ავტორს უნდოდა აეწერა უიმედო, უფერული და დაცემული მდგომარეობა სამღვდელოებისა, სადაც ონისიმემ წამოჰყო თავი, — ისა თუ რამდენი ცუდი თვისებანი არიან აღზრდილნი ამ წოდებაში, როგორ პირსა აქვს მათ შორის პატივი და დიდება, რას ჩაიდენენ ბლაღოჩინები, როგორა სდევნიან ნამუსიან და ნასწავლ ამხანაგებს და ათასი „ღონისძიებით", ენის ლაქლაქითა ჰღუპავენ მათ, რომ ასეთი პირნი არ გადაუდგებოდნენ ხოლმე გზაში და არ უშლიდნენ ქვეყნის გაძარცვასა და გარყვნას. ამ დასში, რასაკვირველია, ყველაზედ ძლიერ ხვდებოდა იმ არხიმაშენიკს, რომელიც დაუძინებელი მოსისხლე მტერი იყო ავტორისა, ამ თავგანწირული და პატიოსნებით სავსე მოქმედი კაცისა და რომელზედაც განსვენებულ მიხ. ასათიანს დარჩა ლექსი. ასეთი დასაწყისით:

ღრიალაზე სახლი მიდგა,
ვარ ცნობილი ბლაღოჩინი,

[29] მიხ. ასათიანი, მე და ონისიმე, „იმედი", 1882 წ., № 11, გვ. 29—30.

ყველგან ვამბობ: მე გახლავართ
იმერეთის თეალის ჩინი".

„უნდოდა აღეწერა, — განაგრძობს მიხ. გურგენიძე, — ის ჯოჯოხეთი, რომელსაც შემოახვევენ ხოლმე თავზედ პატიოსან მოქმედ კაცს ათასი კლიაუზნიკები და მაშენიკები. უნდოდა დაეხატა ის ტრაგიკული სურათი, რომელშიაც თითონ ავტორი ჩავარდა სასწავლებლის ზედამხედველობით. უნდოდა თავზე ლაფი დაესხა გაზეთი „დროების" ბრიყვი, უგუნური და დამნაშაური მიდგომილობისათვის ასათიანის მტრებისადმი, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა და ამაებიდგან დარჩა მხოლოდ შენიშვნები, თითო-ოროლა ადგილები".

მიხ. გურგენიძის მოყვანილი შენიშვნა ჩვენთვის საგულისხმიეროა არა მარტო იმით, რომ მიხ. ასათიანის დაკარგული ხელნაწერის მოთხრობის შინაარსსა და მიმართულებას გვაცნობს, არამედ აგრეთვე იმითიც, რომ იძლევა პრესაში დახასიათებას მიხ. ასათიანის „თავგანწირულ და პატიოსნებით სავსე" მოღვაწეობისას, რომელმაც ავტორს ბევრი სიმწარე, უსიამოვნება მიაყენა და, ბოლოს, რომლის მსხვერპლადაც ის შეიქმნა 1879 წ. 19 დეკემბერს.

მიხ. ასათიანს სასულიერო სემინარიის ზედამხედველობა, როგორც თანამედროვეთა ჩვენებიდან ირკვევა, დიდ ენერგიასა და დროს ართმევდა. ისიც ყოველნაირად ცდილობდა დავალებულ საქმეს წარმატებით გაძღოლოდა. მან ოთხი წლის განმავლობაში საგრძნობლად გამოასწორა მისდამი რწმუნებული სასწავლებელი.

არის ცნობები, რომ მიხ. ასათიანი სასულიერო სასწავლებელში, გარდა სამღვდელოების შვილებისა, გლეხებისასაც იღებდა. ამის გამო მას ხშირად უსიამოვნებაც ხვდებოდა უპასუხისმგებლო და ინტრიგით გატაცებული მღვდლებისაგან. აი რა ცნობას გვაძლევს ეკ. ასათიანისა: — „სასწავლებელში რამდენიმე ვაკანსია იყო მღვდლის ობლებისათვის. ეს ობლები კი არსად ამოჩნდნენ, მიხაკომ (ასე ეძახდნენ მიხ. ასათიანს ოჯახში. — მ. ზ.) ოთხი გლეხის შვილი მიიღო კარგი გადასახადით. ყმაწვილები ძლიერ კარგად სწავლობდნენ და ძლიერ სუფთად იყვნენ ჩაცმულები. ეპისკოპოსთან ეჩივლათ მიხაკოს უკანონო მოქმედებაზე. ეპისკოპოსიც იბარებს მიხაკოს და ეკითხება: „მართლა გლეხის შვილები დაუშვი სკოლაში ობოლი მღვდლის შვილების მაგიერ?" — დიახ, მე მივიღე გლეხის შვილები, იმიტომ, რომ ობოლი მღვდლის შვილები არ აღმოჩნდნენ, — მიუგო მიხაკომ. — მერე შენ ეგ ნება ვინ მოგცა მღვდლების ხარჯზე გლეხის ბიჭები მიიღო?

— ეგ სიცრუეა. ისინი მე მივიღე სრულ თავიანთ ორკეც ხარჯზე. გარდა ამისა, უნდა მოგახსენოთ, თუ თქვენ მაგრე შემბოჭავთ, მე დღესვე თავს ვანებებ თანამდებობასო".

ეპისკოპოსი გაბრიელი მიხ. ასათიანს ყოველთვის სიფრთხილითა და პატივისცემით ეპყრობოდა თურმე და ასეთს საჩივრებს ყურად-

ღებას არ აქცევდა. პირიქით, უფრო მეტ პატივისცემასა და ნდობას უცხადებდა.

ამ დროს მიხ. ასათიანისათვის ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორს ეთხოვა მთლიანად მასთან გადასვლა გიმნაზიაში გეოგრაფიის მასწავლებლად. მაგრამ მიხ. ასათიანი თბილისისაკენ მიიწევდა, ქუთაისში ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის გახსნა აყოვნებდა, ამიტომ უარი ეთქვა გიმნაზიაში გადასვლაზე. „ერთი ქალების სკოლაც გავხსნა და მაშინ წავიდეთ ჩვენ ყოვლად მშვენიერ თბილისშიო“, ეუბნებოდა ის თურმე თავის მეუღლეს ეკატერინეს.

ქალთა ეპარქიალური სასწავლებლისათვის მიხ. ასათიანს შენობა უკვე ეშოვა. სკოლის საქმეების გამო თბილისში ჩამოსულიყო. სწორედ ამ დროს იპოხონდრიკ მასწავლებელს ღვინიაშვილს თედო ჟორდანიასაგან შოწერილი წერილი დაკარგოდა. ამ გარემოებას ის ძალიან შეეშფოთებინა. — „ღვინიაშვილი, — გადმოგვცემს ეკატერინე ასათიანისა, — გაფოთებული, გიჟური თვალებით მე მომვარდა. მე შევფიცე, რომ არ მენახა არც იმისი და არც სხვისი წერილი. ის გროზდოვთან (მიხეილის თანაშემწესთან) ავარდნილიყო. იმას ეთქვა „მგონია, თქვენ სახელზე წერილი იყოვო“. ეძებნათ ორივეს, მაგრამ ვერ ეპოვნათ. ღვინიაშვილს შუბლზე ხელი მიედო და მაღალის ხმით დაეყვირა: „მიხეილ ასათიანი აიღებდაო“.

მიხ. ასათიანი თბილისიდან რომ დაბრუნებულა, გაუგია ეს ამბავი, ძალიან გაკვირვებია, დაუნიშნავს ამხანაგური გამოძიება. ღვინიაშვილი გამოძიებაზე თურმე შეიარაღებული მისულა. მასწავლებლებს ყველას ღვინიაშვილი გაუმტყუნებიათ, მიხეილ ასათიანი კი გაუმართლებიათ. ღვინიაშვილს ასეთი მდგომარეობა რომ დაუნახავს, ამოუღია ექვსი ტყვიით გატენილი რევოლვერი, უსროლია მიხ. ასათიანისათვის გულში, მერე დანით თვალები გამოუთხრია და გაქცევა დაუპირებია. ღვინიაშვილი მოსწავლეებს ქვის სროლით შეუჩერებიათ, ძალიან უცემიათ და პოლიციისათვის გადაუციათ. შემდეგ ღვინიაშვილი თავის საქციელს თურმე საშინლად ნანობდა; მან ცხოვრების უკანასკნელი 15 წელი თბილისის სულით ავადმყოფთა სახლში გაატარა და იქვე გარდაიცვალა.

აი, ამ ინტრიგებით შექმნილი ტრაგედია აქვს მხედველობაში მიხ. გურგენიძეს თავის შენიშვნაში მიხ. ასათიანის დაუმთავრებელ მოთხრობას „მე და ონისიმეს“ რომ უკეთებს.

მძიმე პირობებში მოუხდა მიხ. ასათიანს პრაქტიკული ცხოვრების წარმოება, მაგრამ ის მაინც იმედიანად უყურებდა მომავალს. „პატარა რამ იყო ეს იმედი,—ამბობს თვითონ ასათიანი,—მაგრამ მაინც იგი იყო ჩემი მანუგეშებელი, ის მიბრუნებდა სიცოცხლეს. არ ვიცი რა დაემართებოდა ადამიანს ამ ქვეყნიერებაზედ, რომ ეს ცხოველმყოფელი იმედი

მას თან არ დაჰყოლოდა! რა უნდა ყოფილიყო კაცისათვის უიმედო სიცოცხლე? განა შესაძლებელი იქნებოდა მაშინ ხელის განძრევა, რაიმე კეთილისაკენ ლტოლვა?"[30] მიხ. ასათიანი თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში ხალხოსნების იდეებით მოძრაობდა.

2

მძიმე, არაჩვეულებრივი ბედი ეწვია მიხ. ასათიანის პოეტურ შემოქმედებასაც. ადამიანის ცხოვრებაც ხომ თავისებური კანონზომიერებისა და ჰარმონიის შემცველია! როგორც ირკვევა, მიხ. ასათიანს ბევრი უწერია. ვფიქრობთ, მისი პოეტური ნიჭი სემინარიაშივე გამომჟღავნდა. ხელნაწერი ლექსთა კრებულები, რომლებიც სემინარიაში ხელიდან ხელში გადადიოდა და განსაკუთრებით კი ჟურნალი „ხმა უდაბნოდან", რომელშიც, მიხ. ასათიანის თქმით, „გამოხეთქა სემინარიელთ ტვინის ძალამ", თვით მიხ. ასათიანის ნამოქმედარსაც, ალბათ, შეიცავდა. ბევრთათვის ცნობილი ყოფილა მცხეთის ქალთა სასწავლებლის ზეიმზე მიხეილის მიერ (როცა ის ჯერ კიდევ სემინარიელი იყო) წარმოთქმული ექსპრომტი სათაურით „ქართველ ქალებს"[31]. „მიხაკომ, — გადმოგვცემს ეკატ. ასათიანისა, — დიდებული ხოტბა შეასხა სასწავლებელს, გამოსთქვა დიდი იმედი იქ აღზრდილ ქალებზედ... იმავე დღეს ექსპრომტად დაწერილი ლექსი ჩვენც გადმოგვცა. სათავე ამ ლექსისა არის „ქართველ ქალებს", რომელიც ჩვენ დავისწავლეთ და ვმღეროდით თავისუფალ დროს".

მაგრამ სერიოზული სამწერლო მუშაობა მას დაუწყია 1876 წლიდან: სემინარიისა და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან მოთხრობა „მე და ონისიმე," სადღეისო მღელვარე საკითხებზე წერილები „შიკრიკი" (თავისებური ჟანრია), მოქალაქეობრივი მოტივებით დატვირთული ლექსები და პოემები.

როგორც მიხ. გურგენიძე, ეკატ. ასათიანისა და მრავალი სხვა ადასტურებს, მიხ. ასათიანს სიკვდილის შემდეგ აუარებელი ხელნაწერი დარჩა, მაგრამ, მცირე ნაწილის გარდა, სრულიად დაღუპულა. მიხ. ასათიანის მოულოდნელი და ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ ცოლი ავად გამხდარა და ყველაფერი უპატრონოდ დარჩენილა. შემდეგ ეკატ. ასათიანისა გადასახლებულა თავის სოფელში (მაღარო, ყოფილი სიღნაღის მაზრა). ბარგი თბილისიდან გაუგზავნია ურმით. ურემი იორში გასვლის დროს მდინარეს გადაუბრუნებია და ხელნაწერები სხვა ბარგთან ერთად წყალს წაუღია.

---

[30] მიხ. ასათიანი, მე და ონისიმე, „იმედი", 1882 წ., № 11, გვ. 30—31.

[31] შესაძლებელია ეს ის ლექსია, რომელიც ავტორს შემდეგში შეტანილი აქვს ამავე სათაურით თავის „შიკრიკში", „იმედი", 1881 წ., № 11.

მიხ. ასათიანი ცენტრშია ხალხოსნური მიმართულების იმ წრისა, რომელიც ქუთაისში მოღვაწეობდა და თავის ორგანოს „იმედის“ გამოსაცემად ემზადებოდა. მასთან უშუალოდ დაკავშირებული იყვნენ: მიხ. გურგენიძე, ანდრო ბენაშვილი, დათა ჩიმაკაძე, სპირ. მატარაძე, ალ. გაბაშვილი, მ. პეტრიაშვილი და სხვანი. როგორც ეკატ. ასათიანისა მოწმობს: — „ტფილისიდან მიხეილს მასალები მოსდიოდა სტ. ჭრელაშვილისაგან, უთურგაულისაგან და მესამის გვარი დამავიწყდა, იმისაგან. სხვები სულ ქუთაისელები იყვნენ. უფრო ხშირად ჩვენსა იკრიბებოდნენ, ხანდახან ან. ბენაშვილთან და დათა ჩიმაკაძესთან“-ო.

მიხ. ასათიანს „იმედის“ გამოსაცემად არა მარტო პრაქტიკული მუშაობა უწარმოებია, არამედ ლიტერატურულიც. როგორც 1881 წ. ჟურნალ „იმედში“ მიხ. ასათიანის დაბეჭდილი ნაწერების თარიღებიდანა ჩანს, მას მასალები „იმედისათვის“ ჯერ კიდევ 1879 წლისათვის დაუმზადებია. მაგ., მისი „შიკრიკი“ განზრახული ყოფილა ჟურნალ „იმედის“ მოწინავე, საპროგრამო წერილად. მართლაც, „იმედმა“ თავისი მოღვაწეობის ასპარეზი მიხ. ასათიანის „შიკრიკით“ გახსნა. „შიკრიკი“ „იმედის“ პირველ ნომერშია მოთავსებული მოწინავე წერილის დანიშნულებით. ამ ნაწარმოებს ჟურნალ „იმედის“ რედაქტორი მიხ. გურგენიძეც შესაფერ საგულისხმიერო შენიშვნას უკეთებს: განსვენებულს, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს, მიხეილ იოსების ძეს ასათიანს, რომელსაც ეკუთვნის ჩვენი ჟურნალის დაარსების აზრი, შემდეგ იმის ძოკვლისა, დარჩა ბევრი ხელნაწერები, თხზულებები თუ ლექსათ, თუ ისე. ეს იმის თხზულებები მისმა მეუღლემ, ქვრივმა ეკატერინე ასათიანისამ გადმოგვცა ჩვენ და დაიბეჭდებიან ჩვენს ჟურნალში. ამ იანვრის წიგნში იბეჭდებიან „შიკრიკი“, პოემა („მტკვრის ბაასი რიონთან“. — მ. ზ.) და „ოსეფას ანდერძი“.

ამრიგად, დასტურდება, რომ მიხ. ასათიანს ბევრი ნაწერი ჰქონია, მაგრამ არ უბეჭდია. როგორც ჩანს, შესაფერ ორგანოს დაარსებას უცდიდა. ასეთი ორგანოს („იმედის“) დაარსების ინიციატორად და აქტიურ მონაწილედ მიხ. ასათიანის სილუეტი ენთუზიასტური განწყობილებით გამოიყურება. მისი შემოქმედების მცირედი ნაწილი სწორედ განზრახული ჟურნალის — „იმედის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, ისიც მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ.

მაგრამ მიხ. ასათიანის შემოქმედების ეს გადარჩენილი ნაწილიც გარკვეულად ამჟღავნებს, რომ ის ქართველ ხალხოსანთა ტიპიური წარმომადგენელია როგორც აზროვნებისა, ისე ლიტერატურული შემოქმედების სტილური ნიშნების მიხედვით. შეიძლება ითქვას, რომ მიხ. ასათიანი ჩვენს მწერლობაში ხალხოსნური ლიტერატურული მიმართულების ერთი ფუძემდებელთაგანია, რომ ის ჩვენს ლიტერატურაში

პირველი იწყებს აშკარა იდეურ და სოციალურ გამიჯვნას წინა თაობებისაგან.

მიხ. ასათიანი „იმედის“ დამფუძნებელი ჯგუფის სოციალურ ვინაობას მ. ტეტიკაშვილის (ეს მ. ასათიანის ერთ-ერთი ფსევდონიმია. — მ. ზ.) პირით აი როგორ აცნობს მკითხველს:

არ გახლავარ მდიდრის შვილი,
არც თავადი, აზნაური,
ამის მეტად ჯერეთ ხელში
არც მჭერია მე ჩონგური...

მამა მყავდა მიწის მუშა,
დედას მე არ მოვსწრებივარ...

დაბრიყვებას, სისაწყლესა
თვ'ს უბეში გაუზრდივარ!...

ვი'�აც ვსთხოვე ხელის მოწვდა:
წადი იქი, რეგვენოო,
სოფლის ლხინში არ გაქვს წილი,
უნდა იყო უენოო!..[32]

და ამ „უენომ“, დაბრიყვებულმა, სისაწყლეში გამოზრდილმა, მიწის მუშის შვილმა ტანჯვასა და კვნესაში შეიგნო თავისი მდგომარეობის ტრაგიკულობა, მასში გამონახა ჭეშმარიტება და ნამდვილი, სამართლიანი ცხოვრების აუცილებლობა თავის მამოძრავებელ რწმენად გადაიქცია.

მიხ. ასათიანი „რაზნოჩინეცს“ ასე ახასიათებს:

მე აღვიზარდე ჭიქა-ქუხილს ქვეშ,
გამომიგრძვნია ბევრი ვაება,
და ამ ვაების ქვეშ იგრძნო სულმა
თვისი სიმტკიცე და მომწიფება.

ტანჯვით და კვნესით მე მიპოვნია
კაცურ ღირსების ჩემში შეგნება,

ლამის თენებით, სულის შფოთებით
მე გამიცვნია ჭეშმარიტება.

ძნელად შევიგნე ჭეშმარიტება,
ძვირად ვიყიდე პატიოსნება—
რაც ტანჯვას კვნესით მე მოვისყიდე,
მის უარყოფა განა იქნება?![33]

აქ ტონი, ენა ტიპიური რევოლუციური ხალხოსნისაა, ასეთი გატაცებით რომ იბრძოდა 70-იან წლებში.

ამიტომ, მიხ. ასათიანის რწმენით, ახალი თაობა უნდა მტკიცედ გაემიჯნოს წინა თაობას, რადგანაც მას სულ სხვა მისწრაფება, ცხოვრების სულ სხვა გაგება, სხვა ეთიკა და ესთეტიკა გააჩნია. ამიტომ „რჩევა-დარიგება“ სხვებისა, გამოიცვალოს ცხოვრება, ვინაიდან „მაგეთი თავითა და გულით“ (როგორიც ახალ თაობას აქვს) ამ ქვეყანაში არ გამოდგება, დაიტანჯება, შეხვდება „ვაი-ვაგლახს, უბედურებას“, — მიხ. ასათიანს, როგორც ამ ახალი თაობის ძლიერი განწყობილების მატარებელს, არც იზიდავს და არც აშინებს. მას, პირიქით, ამით არჩეული გზის სისწორის შეგნება უფრო ულრმავდება, მრჩეველთადმი ზიზღიანი სიბრალული დაებადება და შეუპოვრად ასე მიმართავს მათ:

---

[32] მიხ. ასათიანი, შიკრიკი, „იმედი“, 1881 წ., № 1, გვ. 3—4.
[33] მიხ. ასათიანი, შეუპოვარი, „იმედი“, 1881 წ., № 4, გვ. 61.

ნუ სწუხართ ჩემთვის, გული იმშვიდეთ,
არ მინდა თქვენი მე თანაგრძნობა;
თქვენი სიტყვებით და თქვენი რჩევით
ჩემი გამოცვლა არ შეიძლება.

ვერ ვუღალატებ მე ჩემსა ფარსკვლავს,
ჩემი სიმტკიცე არ მოიხრება;
მინამ ცოცხალ ვარ, ჩემი მიზნისკენ
გულადათ არ სვლა არ შეიძლება.

ნუ გეგონებათ, თუ ჩემი აზრი
დაბრკოლებაებს შეუშინდება
და ბოლომდისა თავს არ გაატანს,
განსაცდელისა წინა შედრკება...

. . . . . .

ეძებეთ, ვისაც გულით გინდოდეთ
ამ ქვეყანაზედ ტკბილი ცხოვრება,
თვალ-მარგალიტი, ჩინ-აპელატი,
მაზედ დადგმული, ბედნიერება.

არ ვარ შობილი ამაებისთვის,
არც შემიძლიან თქვენთან ცხოვრება:
სადაც თქვენა გრძნობთ თავს ბედნიერად,
იქ ჩემი სული ამოიხრჩობა.

ვერ ვურიგდები თქვენს მოქმედებას,
არც შემიძლიან თქვენთან ლხინობა
მძაგს თქვენი საქმე, თქვენი ხადილი,
თქვენი სიამე, თქვენი დიდება!..[34]

აქ ისმის ნიღილისტური დამოკიდებულება ძველი ეთიკისა და ესთეტიკისადმი.

მიხ. ასათიანი ემიჯნება არა მარტო დარღვეულ, დრომოჭმულ სოციალურ ფენებს, არამედ თერგდალეულებსაც. თერგდალეულთაგან, გარდა სოციალური და იდეური განსხვავებისა, მიხ. ასათიანის გაგებით, ახალ თაობას ასხვავებს ფსიქოლოგიური მომენტებიც. მიხ. ასათიანის შეხედულებით, ჟურნალი „იმედის“ გარშემო იკრიბება ის მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუდენტობა, რომელსაც ბევრჯელ შიმშილით კუჭი ეწვოდა, სციოდა, მაგრამ ამას ის არაფრად აგდებდა, არც კი იმჩნევდა, ოღონდ პირნათლად შერჩენოდა თავის თავს. ეს ის ახალგაზრდობა იყო, რომელსაც ხალხის კვნესა ღამით ძილს უფრთხობდა, დღისით მოსვენებას არ აძლევდა, რომელიც სისხლის ოფლს მარად შუბლზე იწურავდა და ფუჭ ოცნებას არ ეძლეოდა. მწერალი აქ ხაზს უსვამს იმ დროის არსებით გარემოებას, რომ ახალი თაობა, სამოღვაწეო და სამწერლო ასპარეზზე გამოდის უტილიტარულ-რეალისტური მსოფლმხედველობით. ყველაფერი — მეცნიერებაც, ხელოვნებაც, ლიტერატურაც საჭიროა იმდენად, რამდენადაც ყველა ეს მას მიეშველება მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში. ამ უტილიტარიზმმა აიძულა ხალხოსანი მწერლები და, კერძოდ, მიხ. ასათიანიც მხატვრულ შემოქმედებაში ფორმისათვის თითქმის არავითარი ყურადღება არ მიექციათ. ნაწარმოების სტილურად დახვეწა მათ არ ახასიათებდათ. მათთვის მთავარი და არსებითი იყო იდეის, მისწრაფების გატანა, მკითხველში იდეური გატაცების გამოწვევა, მკითხველის მოქალაქეობრივი აღზრდა ამიტომ ხალხოსან მწერალთა შემოქმედება ხშირად პუბლიცისტიკის ხასიათს ატარებს. ასეთი ხასიათისაა მიხ. ასათიანის შემოქმედებაც.

---

[34] მიხ. ასათიანი, შეუპოვარი, „იმედი“, 1881 წ., № 6, გვ. 60—61.

მიხ. ასათიანის დაკვირვებითა და გაგებით, 70-იანი წლების ქართველი სტუდენტი საზოგადოებრივ მისწრაფებათა თვალსაზრისითაც განსხვავდება 60-იანი წლების სტუდენტისაგან — თერგდალეულისაგან. რაზნოჩინეცი — სტუდენტი თერგდალეულ სტუდენტს ამ მხრითაც ემიჯნება. მიხ. ასათიანი თავის „შიკრიკში“ აი რას მოაწერინებს „იმედისადმი“ „პეტერბურღელ“ სტუდენტს:

ის ჟია, რაიც თერვის ნაპირზედ
ოლიას „მგზავრსა“ გულს უღირღნიდა,
ეხლა სრულიად მე არ მაწუხებს,
ის დრო ჩემთვისა მანდვე წავიდა:

— „რა უნდ წავეღო მე ჩემს ქვეყანას?
„გაიგებს იგი ჩემსა ენასა?
„მიმიღებს, როგორც თავის ღვიძლ შვილსა?
„და თვით საქმითაც ვიზამ რასმესაჰ!“

მე ეს კითხვები კარგა ხანია
დამიძლეია, გამომიხსნია...
ჩემ გულის ბოლმა, თქვენთან საკითხი
სიტყვა სრულებით სხვანაირია:

მეკნება ნება ლაპარაკისა?
ხალხთან საუბრად მე მიმიშვებენ?
სწორე სიტყვასა, სამართლიანსა
განა მე მისთვის მათქმევინებენ?[35]

აქ მიხ. ასათიანის შემოქმედებას დაღი აზის რუსეთის ხალხოსნების 70-იანი წლების მეორე ნახევრის გარდატეხისა — პოლიტიკური საკითხების წინ წამოწევით რომ აღნიშნეს 1878 წლიდან.

მიხ. ასათიანი კარგად იცნობს გაჭირვებული ხალხის ცხოვრებას. მას თვითონ აქვს ეს უსიხარულო ცხოვრება გამოვლილი, — ის კარგად იცნობს ტეტიკაშვილს. მან კარგად იცის, „რომ ის კაცი, მართლა ბედისაგან ძლიერ დატანჯული ვინმეა და, თუ, მართლა, მოახერხა როგორმე და ჩამოვიდა აქა, ბევრს ყურადღების ღირსსა და თავზარდამცემ ამბავს გიამბობთ“.

მიხ. ასათიანი და „იმედის“ გარშემო შემოკრებილი ჯგუფი გამომხატველნი არიან ამ ტეტიკაშვილების დაჩაგრული, უუფლებო ცხოვრებისა, ცხოვრებაზე გაბატონების გაშმაგებული ნდომისა. „იმედის“ ჯგუფის გამახვილებული გულისყური ტეტიკაშვილებისაკენაა მიმართული. და მიხ. ასათიანიც, როგორც ტეტიკაშვილებისათვის, აგრეთვე სხვებისათვის, რომელნიც კი მოინდომებენ ჟურნალ „იმედის“ ჯგუფის გაცნობას და მასთან მუშაობას, ამ ჯგუფის სახელით, ასეთ „მოწვევას“ აქვეყნებს:

უანგაროთ გამოვსდივართ
მოქმედების ასპარეზზედ,
გვინდა წაიდა სიყვარული
გავავრცელოთ ქვეყანაზედ...

თუმც ნორჩი ვართ, მაგრამ მკლავი
გვაქვს მაგარი, მოუხრელი,
ვაი იმას, ვინც ზტრად გვიმზერს: —
არ დარჩება ზოუა.ხრელი!..

პატიოსან მუშას ყველგან
ფასი მიეცეთ, ავამაღლოთ,
ენა დიდნი, საქმე მრუდნი
გაესდენოთ და გავაწყალოთ

[35] მიხ. ა ს ა თ ი ა ნ ი, შიკრიკი, „ბარათი პეტერბურღიდან“, „იმედი“, 1881 წ., № 11, გვ. 54—55.

საწყალსა და უნუგეშოს
ხელი მივცეთ, ავაყენოთ,
ძლიერი და უღონონი
სწორე გზაზე დავაყენოთ.

ვისაც მოგწონთ ჩვენი საქმე,
მოდით აქეთ!.. ვაძლევთ ხელსა:
„იმედისა“ სამეფოში
ადგილს მოგცემთ, სასახლესა!..[36]

მიხ. ასათიანის ეს მოწოდება განსხვავდება წინა თაობის მოწოდებისაგან თავისი რადიკალური, დემოკრატიული ხასიათითა და მიმართულებით. ცნობილია, რომ ქართული, მოწინავე საზოგადოების სოციალური შემადგენლობა 70-იანი წლებიდან თვალსაჩინოდ შეიცვალა. თუ 60-იან წლებში მოქმედებდნენ თერგდალეულნი, დარღვეული თავადაზნაურობიდან გამოსული ლიბერალური ინტელიგენცია, ახლა, განსაკუთრებით 70-იანი წლების მიწურულში, 80-იანი წლებისათვის სამოღვაწეო ასპარეზზე მასობრივად გამოვიდნენ „დიაკვნის შვილები“ — „რაზნოჩინცები“, ლიტერატორი — საზოგადო მოღვაწენი, რომელთაც თვალსაჩინო როლის თამაშობა დაიწყეს ცხოვრების ასპარეზზე. მთელი მოძრაობა ე. წ. „საზოგადოებრივი გაღვიძების“ პერიოდისა, როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, რომელიც, როგორც ლენინი განმარტავს, თუ ერთი მხრით, სუბიექტურ განზრახვათა წინააღმდეგ, ფეოდალთა და მსხვილი ბურჟუაზიის წისქვილს ასხამდა წყალს, მეორე მხრით, საგრძნობლად ამყღავნებდა გლეხკაცთა, წვრილ ხელოსანთა და მშრომელთა რევოლუციონურ განწყობილებას. ამ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის რიგებს ამ დროს უმთავრესად შეადგენდნენ — მასწავლებლები (უმთავრესად, რასაკვირველია, სახალხო მასწავლებლები), სტუდენტები და მოსწავლეები (განსაკუთრებით კი სემინარიელები). ამით აიხსნება, რომ მიხ. ასათიანის თქმით, „იმედის“ გარშემო შემოკრებილ ახალთაობას, მართალია, „არც ხანში შესული და არც მოხუცებული არა სძაგდა განუსაზღვრელი სიძულვილით, ძლიერ ბევრს იმათში პატივსა სცემდა“, მაგრამ სწამდა (და ამას ცხოვრების საერთო მსვლელობაც უმტკიცებდა), „რომ საქმის საყვარული, საქმით გატაცება დავიწყებამდის, საქმის დაწყება და ბოლომდის გატანა შეუძლიან ახალგაზრდობას, ოღონდ კი იმან მოიწადინოს“. ამიტომაა, რომ მ. იმედაშვილი (ესეც მიხ. ასათიანის ფსევდონიმია) მთელი ჯგუფის სახელით აღტაცებით მოუწოდებს პეტერბურგელ სტუდენტობას (ამით, რასაკვირველია, საერთოდ ქართველ სტუდენტობას):

სამკალი გვაქვს მეტად დიდი,
მომკლები კი არ გვიჩანან,
თუმც მოსულან ორიოდნი,
გულხელ-დაკრეფილნი დგანან!

ავდრიან დღის ეშინიანთ,
უცდიან მზის გამოსვლასა!..
ამ ლოდინში დროც წაუვათ,
წაახდენენ მთლად ყანასა.

[36] მიხ. ა ს ა თ ი ა ნ ი, შიკრიკი, „მოწვევა“, „იმედი“, 1881 წ., № 1, გვ. 7—8.

ჟისაც ვერჯით, მართლა, გული
სამუშაოთ, მოდით აქა!..
წინ დაგეხედებით, შემოგძახებთ:
გამარჯობა და ბარაქა!

ყარგ ნამგლებიან წამოიღეთ
ტარიანი მჭრელი ცელი;
ყანას ნარა მოჰრეკია,
არ დაგაჭრათ რომ მან ხელი!

ვინც რომ განზე გადაგვიდგეს,
ერთად დავსცეთ მას თავზარი:
სადაც საქმეს ველტვით ძმურად,
განა გვიდგნობს კლიტე-ყარი?!..[37]

უდავოა, რომ მიხ. ასათიანის არა მარტო აღნიშნული ნაწარმოები, არამედ ყველა ერთად და ყოველი ცალ-ცალკე საკმარისი სიმძლავრით ამჟღავნებს 70-იანი წლების მეორე ნახევრის საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯისცემას.

მკითხველი აშკარად გრძნობს, რომ მიხ. ასათიანის გულისყური მიმართულია საზოგადოებრივი ძალების გამრავლებისა და დარაზმვისაკენ. მისი ღრმა და ურყევი შეგნებით, საზოგადოებრივ ასპარეზზე საშოღვაწეოდ უნდა გამოვიდეს არა მარტო მამაკაცი, არამედ ქალიც. ეს საკითხი მკვეთრად დააყენა რუსეთში 1863 წელს თავის რომანში „Что делать?" ნ. ჩერნიშევსკიმ. მართალია ქალის საკითხი მიხ. ასათიანზე ადრე სხვებმაც წამოაყენეს ჩვენს ლიტერატურაში (მაგალითად, ნ. ინაშვილმა, ეკატ. ღვინიაშვილმა ჟურნალ „მნათობში", ს. მესხმა და სხვებმა „დროებაში"), მაგრამ ქალის საზოგადოებრივი დანიშნულება და როლი მიხ. ასათიანს არა მარტო პირადად მისთვის, არამედ მთელი ეპოქისათვის და ხალხოსნური მიმართულებისათვის დამახასიათებელი სიმკვეთრით, რადიკალობითა და ენთუზიაზმით აქვს განვითარებული. ქალთა ემანსიპაციის საკითხი ხომ ეპოქის მტკივნეული საკითხი იყო და მიხ. ასათიანსაც ეპოქის ეს ტკივილი მწვავედ უგრძვნია.

ჯერ კიდევ სემინარიელის სკამზე გაჯანსაღებულ მომავალზე მეოცნებე ონისიმე ქალის უარყოფით მხარეებს ხსნის დროითა და გარემოებით. „დროებამ, — გატაცებით განმარტავს ონისიმე, — მარტო მუქთაობას, პრანჭვა-გრეხიობას, ჩაცმა-დახურვას, ლეშათ-მოშვებას და უღირსს ტრფობას მიაჩვია ჩვენი ქალი... მაგრამ... მაგათთვის ადგილი მუშა ახალგაზრდის სახლში არ არის, ეგენი მიემსგავსებიან ძველი დროების ხელთ-უყარა და ენა მრავალა ქალებს"[38].

ამიტომ ონისიმე ქალს აფასებს არა მისი გარეგნობით, არა ქრთამმზითვით, არამედ მით, თუ „მათგან ამორჩეულ ქალებს მათი აზრისა და განზრახულობის გაგება და გაზიარება, მათი ნამდვილი მეუღლეობა შეუძლიათ თუ არა. ონისიმეს ღრმად სწამს, რომ განსახორციელებლად ახალი მისწრაფებისა, უკეთესი მომავლისაკენ ასეთი დაჟინებით რომ

---

[37] მიხ. ა ს ა თ ი ა ნ ი. შიკრიკი, „პასუხი სტუდენტებს", „იმედი", 1881 წ., № 11, გვ. 56—57.

[38] მიხ. ა ს ა თ ი ა ნ ი, მე და ონისიმე. „იმედი", 1882 წ., № 1, გვ. 20.

იწვევს, გვერდში უნდა მოიყენონ „მკლავ-მაგარა, ტვინ-გაურყვნელი ქალები, რომლებიც ნამდვილ მეუღლეობას გაგვიწევდნენ. თუ გავაკეთებთ რასმე, მხოლოდ მათი დახმარებით და გამხნევებითო“[39].

ონისიმეს შეხედულება ქალზე (და ეს ხომ თვით ავტორის შეხედულებაა) გამომხატველია ხალხოსნური მიმართულებისა, რომელმაც რუსეთში 60-იანი წლებიდან ქალებიც მასობრივად გამოიწვია საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე სამოღვაწეოდ. გამათავისუფლებელი მოძრაობის ასპარეზზე ამ დროიდან რუსმა ქალმა, დიდი მსხვერპლის გაღებით, დამსახურებული წვლილი შეიტანა.

აი, როგორ ეხატება ჩვენს ახალგაზრდა მწერალ-მოღვაწეს ქალის როლი საზოგადოებრივ საქმიანობაში: „ონისიმეს ცოლი, — გადმოგვცემს ავტორი, — უნდა ყოფილიყო ნამდვილ მის მეუღლედ, მას უნდა გაეყო ონისიმესთან ყოველივე მისი ჭირიცა და სიხარულიცა, იგი უნდა ყოფილიყო სოფლის დედაკაცობაში ისეთივე მოქმედი, საქმის მტრიალებელი, გავლენიანი, როგორიც იქნებოდა თვით ონისიმე გლეხკაცობაში. გლეხკაცის მოდრეკა და მორჯულება მაგრე ადვილი საქმე არ არის, იტყოდა ხოლმე ონისიმე; მაგრამ გლეხის დედაკაცს კი ყველაფერს მალეც გააგებინებ, შეაგონებ და გააკეთებინებ კიდეცა, თუ შენი ლაპარაკი იმის სასიკეთო იქნებაო. აი, ამიტომაც დაუმატებდა ხოლმე ყოველთვის — განათლებული და ენერგიული ქალი უფრო ბევრი რამის გაკეთებას შეიძლებს ჩვენში, ვიდრე მამაკაციო. არავის არ შეეძლო ის აზრი დაეღვია მისთვის, რომ თუ დედაკაცმაც ხელები არ გაანძრია, მამაკაცი უმისოთ მარტო ვერას გახდებაო. ადვილად შესაძლებელი იყო, რომ ვისმეს სიცოცხლეზედ ხელი აეღებინებინა იმისათვის და ამ რწმენაზედ უარს ვერავინ ათქმევინებდა — ისე ღრმათა ჰქონდა იგი გამჯდარი ძვალსა და რბილში“[40].

მოთხრობაში „მე და ონისიმე“ მრავალი საბუთითაა დამტკიცებული ქალთა ემანსიპაციის არა მარტო მიზანშეწონილობა, არამედ აუცილებლობაც. რომ ყურადღება გაამახვილოს ქალთა თანასწორობის იდეაზე და მკითხველს ამ საკითხის ხასიათი შეაცნობინოს, ავტორი ონისიმეს აღფრთოვანებით აღსავსე აზრებს ქალის შესახებ ყველა მის ამხანაგსაც მიაღებინებს და ბოლოს დაამთავრებს ლირიკული წამოძახებით: „ვინ იცოდა, რომ სემინარიის კედლებს შუა ასეთი ძალუმი მომხრე ეზრდებოდათ ჩვენს ქალებსო“.

ამით აიხსნება, რომ მიხ. ასათიანს და მის თანამოაზრეებს ეს საკითხი არა მარტო სემინარიაში სწავლის დროს აინტერესებდათ, არამედ საერთოდ. ეს შემდეგიდან მტკიცდება: მიხ. ასათიანი, როცა მომავალი

---

[39] მიხ. ასათიანი, მე და ონისიმე, „იმედი“, 1882 წ., № 1, გვ. 21—22.
[40] იქვე, გვ. 22.

ჟურნალის „იმედის“ საპროგრამო წერილს ამზადებდა, იქ ქალთა საკითხს და ქალს ახლად დარაზმულ მოღვაწეთა რიგებში საპატიო ადგილს უთმობდა. „დაუღალავი იმედაშვილი, — ვკითხულობთ „შიკრიკში“, — იმდენს მელაპარაკა, იმოტელა მაგალითები მომიყვანა ქალის მნიშვნელობაზე კაცობრიობის წარსულში, იმ სიმაღლეზე დააყენა დღევანდელი თავგანწირული ბრძოლა რუსეთის ქალებისა ხალხის ბედნიერების ასპარეზზედ, რომ სულ პირში ბურთი დამიცო, გამაჩუმა და მტვრად აქცია ჩემი იჭვიანობა ამ საგანზედ“.

მიხ. ასათიანი „იმედის“ ჯგუფის სახელითა და დავალებით, როგორც ეს აღნიშნულია მის „შიკრიკში“ ტეტიკაშვილებისადმი (ე. ი. მშრომელი, დაბრიყვებული, ახლად გაღვიძებული ხალხისადმი) მიმართვაში, ქართველ სტუდენტებთან ერთად სამუშაოდ ქართველ ქალებსაც იწვევს და ასე მიმართავს მათ:

ქვენგან თხოულობს სამშობლო მხარე
მხურვალის გულით საქმის შეცვლასა,
ახალი სწავლის, მეცნიერების
ჩვენში მოტანას, გავრცელებასა.

უძლურ ქართველის მოღონივრებას,
მის ბრმა თვალების გახილვასა,
დახავსებული და დაცემული
ჩვენი ცხოვრების განახლებასა;

ნამდვილ მამულის შვილების აღზრდას,
ახალ თაობის გამხნევებასა,
მაღალი მიზნით და სიყვარულით
ჩვენს მოქმედების ერთად შეკვრასა[41].

აქაც მიხ. ასათიანი ტიპიური ხალხოსანია.

მიხ. ასათიანს ხალხოსანი მწერლების შემოქმედების სხვა სტილური ნიშნებიც ახასიათებს. ცნობილია, რომ ხალხოსნური მსოფლმხედველობა კაპიტალიზმის განვითარებას ვერ ეგუებოდა, მას უარყოფითად უყურებდა. კაპიტალიზაციას, ხალხოსნების დაკვირვებით, მშრომელი ხალხისათვის, როგორც გაჭირვებული სოციალური ფენებისათვის, მხოლოდ უბედურება მოაქვს. მშრომელი ხალხის საშინელი ექსპლუატაციის საგნად ხდება.

ასეთი შეხედულება, თუმცა არა ისე ძალუმად, როგორც რუს ხალხოსნებს, მაგრამ ზოგიერთ ჩვენს ხალხოსანსაც ახასიათებდა. ჩვენი ხალხოსნები განსაკუთრებით უარყოფით დამოკიდებულებას იჩენენ ჩარჩი ვაჭრისადმი.

ასეთივე დამოკიდებულება მიხ. ასათიანს გამოთქმული აქვს ლექსში „ოსეფას ანდერძი“. ჩარჩი ოსეფა სიკვდილის წინ მოიწვევს თავის შვილებს და ასეთ ანდერძს დაუტოვებს:

„თქვენ იოცხლეთ... ემე ქენით...
ყაირათი გასწიეთ
და ჩემს საცხოვნებლათაც
გთხოვთ, რომ ესე მოიქცეთ.

მე ხომ, შვილო, თქვენ იცით
ხალხი მისთვის მლანძღავდა,
რომ თუმანი თვეშია
ოთხ აბაზსა მიგებდა.

[41] მიხ. ა ს ა თ ი ა ნ ა, შიკრიკი, „ქართველ ქალებს“. „იმედი“, 1881 წ., № 11, გვ. 52.

თუ გინდათ სიკვდილს შემდეგ
ვინმემ მითხრას ცხონება,
თქვენ ნურავის ნუ მისცემთ
თუმანს მანეთ ნაკლება...

მაშინ მაინც მეტყვიან:
ისევ ცხონდეს ოსეფა—
ის ასე არ გვღვარცლავდა,
იცოდა შებრალება".

ოსეფას ანალოგიური ტიპი, ხალხის ზურგზე მონავარდე პარაზიტი, თითქმის ყველა ხალხოსან მწერალს აქვს დახატული: ნიკო ლომოურს, ს. მგალობლიშვილს, შაქროს და სხვათა.

მიხ. ასათიანის შემოქმედებას ახასიათებს ეროვნული მოტივიც. მაგრამ ეროვნული მოტივი მიხ. ასათიანის შემოქმედებაში, როგორც საერთოდ ხალხოსან მწერალთა შემოქმედებაში, განსხვავდება თერგდალეულების გაგებისაგან.

მიხ. ასათიანი გრძნობს ახალი თაობის განსხვავებას ძველი თაობისაგან, ის ითვალისწინებს, რომ ძველმა თაობამ ფეოდალური ქიშპობით, დავიდარაბით, მტრობით, უპასუხისმგებლობით დაღუპა ქართველი ხალხი. თერგდალეულთა მიერ ისტორიიდან გამოტანილი რჩევა — ნუ განცალკევდებიან, შეერთდნენ, იყვნენ ერთად, რადგანაც, თუ დღეს ერთი ცუდ ყოფაშია, ხვალ ეს მწარე დღე მეორესაც დაადგება — მიხ. ასათიანს განსახიერებული აქვს პოემაში „მტკვრის ბაასი რიონთან". „მო, შევაზავოთ შენს ჭაბუკ სისხლსა, — ეუბნება მტკვარი რიონს, — მოხუცისა ჭკვა, გამოცდილება, ერთადაც დავხვდეთ, მამაცათ შევხვდეთ, რაც რომ წინ გველის და გვემუქრება!"[42] მაგრამ რიონი ამ რჩევასაც არ მიიღებს. თავის სიამოვნებისათვის რიონი გაექანება სულ სხვა, თავისთვის საბედისწერო მიმართულებით და დაიღუპება ისე, როგორც მარტოდ, დაუხმარებლად დარჩენილი მტკვარი.

მტკვრის რიონთან საუბარში პოეტს ალეგორიულად აქვს აწერილი ფეოდალური საქართველოს რღვევა. საქართველოს ცალ-ცალკე კუთხეების აქეთ-იქით წევა, შინაგანი ქიშპობა-მტრობა, დაუდევრობა, რამაც ერთობა და მშვიდი სახელმწიფოებრივი ცხოვრება ქართველ ხალხს ვერ შეაქმნევინა. ამ ფეოდალური რღვევის წიაღში, „როდესაც მტკვარი და რიონი (ე. ი. სხვადასხვა ფეოდალური კუთხეები) ერთმანეთს ახლო ვერ უდგებოდნენ. თუმცა უჭირდათ მათ ერთმანეთი, მაგრამ ერთობას ვერ ახერხებდნენ... და... სრულიად იმედ-მიხდილნი მუხთალ თავის ბედს ემდურებოდნენ" —

ეი ამ დროსა ჩვილ სურამელა
და ჩხირიმელა რჩევას აწყობდნენ,
ქეჩორის მთაზედ ერთად ამდგარნი,
თითქოს რალაცას იმედოვნებდნენ...

ეს ჩვენი ლეკვნი დიდთა ლომთანი,
ბაღლა ასულნი, შორსა სვერეტავდნენ
და მომავალსა, თითქოს სპეტაკსა,
დარწმუნებული წინა ხედავდნენ...

---

[42] მიხ. ა ს ა თ ი ა ნ ი, მტკვრის ბაასი რიონთან, „იმედი", 1882 წ., № 1, გვ. 27.

ამ მომავალსა, მეტად შორს მყოფსა
აქეთკენ სწევდნენ, იახლოებდნენ
და თვის სიხარულს, თვის გულის პასუხს
იმედაშვილსაც უზიარებდნენ...

სურამულასი და ჩხირიმელას სახით მიხ. ასათიანს ეხატება ის ახალი თაობა, რომელიც დაბალი ფენებიდან გამოდიოდა და სპეტაკი მომავლისაკენ, მძიმე პირობებში, შეუპოვრადა და იმედიანად გზასა ჰკაფავდა.

ამ მომავლის ასპარეზზე მოღვაწის სახეც მიხ. ასათიანისათვის აშკარაა და ნათელი.

მომავალი ცხოვრების, მოქალაქის საპის დასახატავად მიხ. ასათიანი მიმართავს კონტრასტებს, რომ იგი მკითხველს უფრო მკვეთრად ჩაეჭედოს შეგნებაში. ფუფუნებაში აღზრდილს და უპრინციპო პოზიორ მოღვაწეს მიხ. ასათიანი „ახალ მოდის ექიმში“ უპირისპირებს ახალი მსოფლმხედველობის, ხალხის მოკეთის, მტკიცე პრინციპის მქონეს.

ზერელე, მყვირალა, მოლიბერალო საზოგადო მოღვაწეების უზნეო საქციელის დაგმობისათვის ხსენებულ ნაწარმოებში მიხ. ასათიანი არ ზოგავს არც გესლს, არც რისხვასა და არც ბოღმას. ეს ვაჟბატონნი იწონებენ და მისდევენ იმას, რასაც უნდა თრგუნვიდნენ და, პირიქით, თრგუნავენ იმას, რასაც უნდა იწონებდნენ. ამ ნაწარმოებშიც საკმარისად მუქ ფერებშია მოცემული მიხ. ასათიანის ხალხოსნური მსოფლმხედველობა და მისწრაფებანი.

დიდ კაცთა სახლში, ბალს და ვეჩერში,
სადაც აჭრელებს თვალს მორთულობა,
სადაც რომ პირველს ადგილს იკავებს
ფორმა, მოდები, ჭრთლად გარეგნობა,—
იქ მე მარადის მაღალ იდეის
ლიტონი სიტყვით ყმა ვარ ერთგული
და, რა თქმა უნდა, რომ ძრიელაც ვარ
გახარებული, გახარებული!..
მაგრამ რასაც იქ გატაცებაში
ვიტყვი, რომ შემდეგ ვალად დავიდო,
და ცხოვრებაში, ამ მუხთალ ხალხში,
სიტყვა მარადის საქმეთ ვაქციო,
რომ მართლა, რაღაც იდეისათვის
შევინიშროვო თავისუფლება,
თქვენ თვით იფიქრეთ, ეს სიტუტუცე
რას ეგვანება, რას ეგვანება!..

ავტორი სასტიკად ჰკიცხავს იმ დროის ლიბერალურად განწყობილ ახალთაობაში გავრცელებულ მოვლენას, რომ სიტყვა და საქმე ჩვეულებრივ ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა, რომ მაღალი იდეა მხოლოდ

სიტყვის მასალა იყო, საქმე კი მუდამ მრუდედ რჩებოდა და ამაში ის ახალთაობა უხერხულობას სრულიადაც არა გრძნობდა.

მიხ. ასათიანი ამ პოემაში დაუნდობელი დაცინვით აღნიშნავს, რომ ეს ლიბერალი დაბრიყვებულ გლეხზე იწყებს ბრტყელ ლაპარაკს მაშინ, როცა „შამპანსკ — ბორდოთია შეხურებული", ხოლო თუ გლეხი მოიწადინებს თავის უფლების გამოყენებას და ამის გამო მას პირში შეებმის, მაშინ ის მას პასუხის ღირსადაც არ გახდის.

ეს ვაუბატონი სწავლითა და თანამდებობით საზოგადოებაში მიღებული კაცია. თავის სწავლასა და თანამდებობას ის უყურებს მხოლოდ პირადი სარგებლიანობის თვალსაზრისით, როგორც პირადი კეთილდღეობის წყაროს. სადაც გამორჩენა მეტია, ისიც სიხარულით იქ მიდის.

როდესაცა მყავს მე მოსარჩენათ
ენეინა მეტად განაზებული,
გაფუფუნებულ თივთიკში მწოლი
ატლას ბაბთებში გამოხვეული,—
მაშინ არ ვზარობ ხშირად მის ნახვას,
ყურთსმენათაც ვარ გადაქცეული...
    და რა თქმა უნდა, რომ გულითაც ვარ
    გახარებული, გიხარებული!..
მაგრამ, როდესაც შუა ღამის ქამს,
თავხედი ვინმე ზარს მიჩხარუნებს
და არ მეხსნება... მთხოვს წავყვე თანა,
შველა რამ მივცე ქვრივ-ობრის შვილებს,
რომ ჯოხით ის არ მოვაჯრენინო...
რომ აღვუსრულო რაც ენებება...
    ხომ მით თავს გავლენ კვლავაც ისინი!..
    რას ეგვანება, რას ეგვანება!..

ან კიდევ:

როდესაც შრომა პაციენტისგან
მაქვს ერთი ათათ დაფასებული,
როცა მასა აქვს ყოველ მისვლისთვის
ხუთ-ათ თუმნობით გადადებული,
ერთი სიტყვითა, როცა მე მისგან
ჯიბე მექნება გამოვსებული,
    რაღა თქმა უნდა, გულით ვიქნები
    გახარებული, გახარებული!..
მაგრამ, როდესაც თუნდ რომ გლახასაც
სამადლოთ ხელის მიუწვდა სჭირდება,—
როს უსასყიდლოთ ვინმე თხოულობს
ავადმყოფს მივცე ჭირიდგან შვება,—
    რომ მე ამ გიჟურ გზასა დავადგე...
    თავს მივაყენო მით შეწუხება...
    რომ მუქთათ ხალხსა რჩენა დაუწყო —
    რას ეგვანება, რას ეგვანება!..

აქ სრული და მკვეთრი დაპირისპირებაა ორი სხვადასხვა თაობის მსოფლმხედველობისა, მათი სხვადასხვა ეთიკისა. პირველი ეგოისტურ, ცხოველურ სურვილებში იხრჩობა, პირად კეთილდღეობაში პოულობს დაკმაყოფილებას, სიხარულს, ცხოვრების აზრს; ამ თვალსაზრისითაც აფასებს ადამიანის დანიშნულებასა და მის საზოგადოებრივ ღირებულებას; მეორე კი, პირიქით, საერთო ცხოვრების წინ წაწევაში, დავრდომილისა და დაჩაგრულის უანგარო დახმარებაში. და ეს წინააღმდეგობა ხალხოსნებმა ხომ იმ დროისათვის არაჩვეულებრივი სიმკვეთრით გამოიტანეს, განსაკუთრებით კი 60—70-იან წლებში.

მაგრამ მიხ. ასათიანის ეს ნაწარმოები საინტერესოა არა მარტო აღნიშნული დაპირისპირებით, არამედ კიდევ ერთი მეტად საგულისხმიერო ხაზითაც. მოხერხებული „საზოგადო მოღვაწე" საზოგადოებრივ ასპარეზზე რომ შეიქმნის სასარგებლო მდგომარეობას, როცა ის თავის პირად კეთილცხოვრებას უზრუნველყოფს, მიანებებს თავს ცოდნის შეძენას, თავს არ იწუხებს იყოს ახალი აღმოჩენების კურსში, რომ მეცნიერულმა შეიარაღებამ, ამაღლებამ უფრო ნაყოფიერი გახადოს მისი პრაქტიკული მოღვაწეობა. და ეს ხდება იმიტომ, რომ მას არ გააჩნია საზოგადოებრივი მამოძრავებელი იმპულსი. მიხ. ასათიანი თავის „ახალ მოდის ექიმში" ამ გარემოებასაც შხამიანად გადაჰკრავს:

ავადმყოფს ვარჩენ როგორც მომხვდება...
ძველი წამლობა მაქვს მიღებული...
და რა დამიშლის, რომ გულით ვიყო
გახარებული, გახარებული!..
და რომ წიგნებით სტოლი აკავსო,
ყური ვადევნო ახალ სწავლასა ...
რომ ჩავეულრმავდე მეცნიერებას...
პირს შევაფურთხო ზარმაცობასა...
ნება თქვენია, ამას ვერ ვიზამ!..
მე ეხლა ეს არ შემეფერება...
რომ ბავშვისავით წიგნს გვერდს მოუჯდე!
რას ეგვანება, რას ეგვანება!..

უდავოა, რომ მიხ. ასათიანის ეს ნაწარმოები საგულისხმიერო პამფლეტია, ნიჭიერი სატირაა. ამ ნაწარმოებში, გარდა გაჩინოვნიკებული ადამიანის მსოფლმხედველობისა და მოქმედების გაკიცხვისა, იმ დროს პრივილეგიური კლასების უშინაარსო, პარაზიტული ცხოვრების მკვეთრი ჩვენებისა და იმ დროისათვის მოწინავე, საღი აზროვნების დაკინებით წინ წამოწევისა, მკვეთრად მოჩანს ავტორის ახალი შინაარსიანი, სამართლიანი ცხოვრების მოლოდინით გამოწვეული აღფრთოვანებული სულიერი განწყობილება.

ასეთია შინაარსი, ხასიათი და მიმართულება მიხ. ასათიანის შემოქმედებისა.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მიხ. ასათიანი მოღვაწეობდა და წერდა 70-იან წლებში, ქართველ ხალხოსან მწერალთა პოეტური შემოქმედება კი 80-იანი წლების დასაწყისიდან გაიშალა, მაშინ შესაძლებელია ხალხოსნური მიმართულების დამწყებად ჩვენს ლიტერატურაში მიხ. ასათიანი მივიჩნიოთ. ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში მიხ. ასათიანმა პირველმა გამოხატა 70-იან წლებში თაობათა შორის როგორც სოციალური, ისე ფსიქოლოგიურ-იდეური წინააღმდეგობა („შიკრიკი"). მან პირველმა მოგვცა ხალხოსნის, სინდის და ინტერეს გაღვიძებული ინტელიგენტის სახე, რომელიც მშრომელი ხალხის ცხოვრებასთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული და მისი გაუმჯობესების დაუღალავი უანგარო მუშაკია („შეუპოვარი", „მე და ონისიმე"). მან პირველმა გარკვეულად მიგვითითა, რომ მომავლის პატიოსანი მჭედელი ღარიბი ხალხის ქოხიდან უნდა გამოვიდეს („მე და ონისიმე", „შეუპოვარი"). მავნე საგრძნობი სიმკვეთრით მოგვცა ახალი ტიპის (საჭირო ინტელიგენტის) მოღვაწის სულისკვეთება გადაგვარებულ ინტელიგენტის შეხედულებებთან დაპირისპირებით („ახალ მოდის ექიმი"). მანვე პირველმა დაიწყო ჩვენს ლიტერატურაში სასულიერო სემინარიაში გამეფებული დამახინჯებული სისტემის დაუნდობელი გამომზეურება („მე და ონისიმე"). მან მძლავრად გაშალა არა მარტო ცალკეული მღვდლების ზნედაცემულობა, არამედ მთლიანად სამღვდელოების, როგორც სოციალური კასტისა თუ ფენის, მოქმედების მიუღებლობა, სიმახინჯე და უზნეო თვითნებობა („მე და ონისიმე"). მის შემოქმედებაში აშკარად ისმის ახალი ცხოვრების მოპოვებისათვის დარაზმული ბრძოლისა და მოქმედების აუცილებლობა („შიკრიკი", „შეუპოვარი", „მე და ონისიმე", „გაზაფხული").

მიხ. ასათიანის შემოქმედებაში აღძრული ყველა საკითხი ძირითად თემად გადაიქცა ქართველი ხალხოსანი მწერლების შემოქმედებისათვის, რომელიც 80-იანი წლებიდან გაიშალა.

მიხ. ასათიანმა პირველმა შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში ავტობიოგრაფიული რომანი თუ მოთხრობა („მე და ონისიმე"), მანვე გამოიყენა დამახასიათებელი ჟანრი, თავისებური ფელეტონი („შიკრიკი").

მიხ. ასათიანი წინამორბედ-თანამედროვედ (თუ შეიძლება ასე ითქვას) მოჩანს ნ. ლომოურის, ს. მგალობლიშვილის, შაქროსი (ზ. გულისაშვილის) და სხვათა.

მიხ. ასათიანს ახასიათებს როგორც სოფლის, ისე ქალაქის ცხოვრებისა, მცხოვრებთა და მათი ენის კარგი ცოდნა. როგორც ჩანს, მას ბევრი უფიქრია, ბევრი განუცდია, ბევრი გარკვეული და სწორი დასკვნა გამოუტანია და დავაჟკაცებულს გაუმზადებია მოძმეთადმი მტკიცე მოწოდება ახალი ცხოვრებისაკენ:

ნუ გვეშინიან მუხთალის ბედის,
რომელიც სდევნის „ჩვენ ჯერის“ ხალხსა,
ამ ბედს, ეტყობა, ფეხს ვერ აუქცევს,
ვინც მომავლისთვის ამზადებს თავსა...[43]

მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა აღარ დააცალა მას ნიჭისა და მოქმედების შესაფერი გაშლა. მისი მოღვაწეობა დასაწყისშივე იქნა მოკვეთილი. მან, შეიძლება ითქვას, ვერც კი მოასწრო კალმის ხეირიანად ხელში გამართვა.

ყველა ზემოაღნიშნული უტყუარი საბუთია ვიფიქროთ, რომ მიხ. ასათიანის მეტად ნაადრევი, მოულოდნელი სიკვდილით ქართულმა მწერლობამ დაკარგა ენერგიული და ნიჭიერი მუშაკი.

---

[43] მიხ. ა ს ა თ ი ა ნ ი, გაზაფხული, „იმედი“, 1881 წ., № 5, გვ. 52.

ნიკოლოზ იოსების ძე ლომოური

1852—1915

1

ნიკო ლომოური ქართული ლიტერატურის განვითარებაში თვალსაჩინო ფიგურაა. ის, როგორც პოეტური შემოქმედებით, ისე პრაქტიკული მოღვაწეობით, ტიპიური გამომხატველია ხალხოსნური მიმართულებისა.

ნიკო ლომოური ლიტერატურულ მუშაობას იწყებს 70-იან წლებში, ჯერ კიდევ თბილისის სემინარიაში სწავლის დროს გაზეთ „დროებაში" ათავსებს კორესპონდენციებს სემინარიელის ფსევდონიმით, ხოლო ჟურნალ „მნათობში" ლექსებს თავის გვარისა და სახელის მოწერით.

ნიკო ლომოურის მოღვაწეობის დაკვირვებით შესწავლა ააშკარავებს, რომ მის შემოქმედებას დასაწყისიდანვე იდეურობა ემჩნევა, მწერლის შემოქმედებასთან ახლო მისვლა მკითხველს უმალ აგრძნობინებს, რომ მის კალამს თავიდანვე მუშაობის გარკვეული გზა ურყევად აურჩევია — ის „ხალხის მოკეთეა", მისი მოღვაწეობის მამოძრავებელი მისწრაფებაა ხალხის მასების ცხოვრების დაუღალავ გუშაგად გადაიქცეს.

ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკი მწერალი 1871 წლიდან ჟურნალ „მნათობში" ათავსებს მთელ რიგ, თუმცა, ფორმის მხრით, მეტად გაუმართავ ლექსებს, სადაც გაჭირვებული ხალხის — გლეხების მდგომარეობაზე კვნესის პოეტი.

ისმინე მონა — მოიდრიკე [illegible]ასწრაფოთ თავი
და შეუშ[illegible]ირე შენი ზურგი ცხელ მათრახებსა;
ია[illegible]ულო, ვით წესია, თქვენ დაუშინეთ,
ცხარე მათრახი წეს დამრღვეველ თქვენს ეოძმეებსა.
და ამნაირად — კერძი ღვთისა — ჩუმად და მდუმრად
იდრეკავს ზურგსა — ზეცის შვილი — პირუტყვის გვარად.
ისმის სასტიკი ამის ზურგზედ მათრახის ცემა,
გალურჯებული კანი მისი ზედი-ზედ სკდება,

და წმინდა სისხლი, რომელიცა კაცთ დასაცველად
უნდა იღვაროს — ეხლა სრულად იღვრება ფუჭად[1].

ხალხის ასეთი მდგომარეობა მწერალს ყრმობიდანვე სულს უხუთავს, გონებას უმღვრევს, მასში იწვევს მწარე ფიქრთა გროვას, გულს ულრღნის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის სევდას არ იკარებს, იმედი უკეთესი მომავლისა არ შორდება და წინ ძალუმად მიაქანებს. ჭაბუკი პოეტი თავის ამგვარ განცდებს ასე გადმოგვცემს:

ისევ შენ და ისევ შენ,
ჩემო წინა მორბედო...
გამაშხნევე ძაბუნი,
მომავალის იმედო.

ოდეს სულში შემოდის
სასოწარკვეთილება,
მყისვე შენ მეელინები,
მყისვე სულიც მშვიდდება[2].

მაგრამ ნიკო ლომოურის სამწერლო მოღვაწეობის ნამდვილი მიმართულების გამონახვისა და გამომჟღავნების მიჯნად შეიძლება მივიჩნიოთ 1879 წელი, როდესაც მან, როგორც გავრცელებული გადმოცემა მოგვითხრობს, აკაკი წერეთლის რჩევით, ლექსების წერისადმი ყურადღება შეანელა და მოთხრობის წერას მიჰყო ხელი. ამის შედეგი იყო ნ. ლომოურის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები „ალი", რომელიც მან ჯერ კიდევ კიევის სასულიერო აკადემიაში სტუდენტობის დროს, 1879 წელს დაწერა. ამ ნაწარმოებში არსებითად გამოირკვა ნიკო ლომოურის პოეტური კრედოცა და მისი შემოქმედების დამახასიათებელი ჟანრიცა და სხვა სტილური ნიშნებიც.

ნიკო ლომოური მოთხრობა „ალით" გარკვეულად დადგა ხალხოსან მწერალთა პოზიციაზე და, შეიძლება ითქვას, სიკვდილამდე მან, მიუხედავად ხალხოსნური მიმართულების დეკადანსისა და შემდეგ მისი, როგორც პოლიტიკური მიმართულების, ყოველ შემთხვევაში საქართველოში მაინც, თუ გაქრობისა არა, ძალიან შესუსტებისა მაინც, ხალხოსნური მიმართულების დამახასიათებელი ნიშნები ბოლომდე ურყევად შეინარჩუნა.

ვინ არის ნიკო ლომოური? რა სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ პირობებში აღიზარდა და ცხოვრობდა ის?

ნიკო ლომოური შიდა ქართლის პატარა სოფელ არბოს გლეხის შვილია. მამამისი წარმოშობით გლეხი, იმავე სოფლის ღარიბი მღვდელი იყო. ნიკო ლომოურის მამის ეკონომიურად გაჭირვებულ მდგომარეობას აუარესებდა დიდი წვრილ-შვილიანი ოჯახის გაძღოლა. ამიტომ მთელი ოჯახი დიდიან-პატარიანად ისევე იყო სოფლის ცხოვრებაში (მის ყოველდღიურ მუშაობაში) ჩაბმული, როგორც ჩვეულებრივი გლეხის ოჯახი.

---

[1] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ბარბაუდამ, „მნათობი", 1872 წ., № 89.

[2] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, იმედს (სიმღერა ფიქრის შემდეგ), „მნათობი", 1871 წ., № 6.

სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი ნიკო ლომოურს ბავშვობიდანვე ახლო, ზედმიწევნით გაეცნო სოფელი, მისი ზნე-ჩვეულება, მისი ბუნება, კარგი და ავი, მისი მცხოვრებნი თავისი ჭმუნვითა და სიხარულითა, რაც შემდეგში მის შემოქმედებაში ასე ძალუმად აღიბეჭდა.

ნიკოლოზ იოსების ძე ლომოური დაიბადა 1852 წელს. მამამისი კარგად გრძნობდა სწავლის საჭიროებას, მაგრამ ძლივს მოახერხა უფროსი შვილის სკოლაში მიცემა და მისი გაძღოლა. დანარჩენებისათვის კი ასეთივე სათანადო მზრუნველობის გაწევა გაუძნელდა.

ნიკო ლომოურის სწავლა-აღზრდის ხელმძღვანელობა უფროსმა ძმამ იკისრა. ამ გარემოებით აიხსნება, რომ ნიკო ლომოური შედარებით მოგვიანებით შევიდა სასწავლებელში და თბილისის სასულიერო სემინარიაც გვიან, 1875 წელს, 23 წლისამ, დაასრულა.

სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ ნიკო ლომოური შევიდა კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც მან 1879 წელს დაამთავრა. ამავე წელს ის მიწვეული იქნა ახლად გახსნილ თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში გამგედ, მაგრამ, სასწავლებლის დამხმარე კომიტეტთან კონფლიქტის გამო, მალე იძულებული გახდა სკოლისათვის თავი დაენებებინა. როგორც ირკვევა 1880 წელს მიხ. ასათიანის გარდაცვალების შემდეგ, ნიკო ლომოურის კანდიდატურა წამოყენებული იქნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანამდებობაზე, მაგრამ ქუთაისის სამღვდელოებამ ხსენებულ თანამდებობაზე თედო ჟორდანია ირჩია. ამის შემდეგ ნიკო ლომოური გადასახლდა ქ. გორში, დაიწყო იქ ქართული ენის მასწავლებლობა და ამ მეტად წყნარ, იმ დროში მეტად უმადურ, მძიმე და საპასუხისმგებლო პოსტზე დარჩა სიკვდილამდე (1915 წ.) ფხიზელ და ერთგულ დარაჯად.

იქვე შეირთო ცოლად სოფიო ალექსი ხუდადოვის ასული, ცნობილი მოღვაწის ნიკო ხუდადოვის და.

ნიკო ლომოური სწავლობდა როგორც თბილისის სასულიერო სემინარიაში, ისე რუსეთში მეტად საგულისხმიერო პერიოდში —70-იან წლებში. ესაა ხალხოსნების მოღვაწეობის განვითარების უმწვერვალესი მომენტი. სწორედ ამ პერიოდში ხალხოსნები ფართოდა და ენერგიულად მოედვნენ მთელ რუსეთს, ყველგან, ცხოვრების ყველა სფეროში ცდილობენ შეიჭრან, აამოძრაონ, აამოქმედონ დაგუბებული, თუ ერთ წერტილზე გაყინული, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრება და გარდაქმნან მისი წყობა ხალხისათვის ბედნიერების გამშლელ საფუძვლებზე. ისინი ცდილობენ აზრთა მფლობელნი შეიქმნენ არა მარტო ფართო მდაბიო მასებისა (გლეხობისა), არამედ მოწინავე ინტელიგენციისა და მოსწავლე ახალგაზრდობისა.

ხალხოსნობა ამ პერიოდში მამოძრავებელი ნერვი იყო რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც პროგრესულ ელემენტებისათვის,

ისე კონსერვატორულისათვის. თუ ერთი ნაწილი, — პროგრესული, ამ მიმართულების გაღრმავებაში ამახვილებდა თავის ნიჭს, უნარს, ცოდნას, ენერგიას, მეორე, პირიქით, მის შევიწროება-განადგურებაში ცდილობდა თავისი დანიშნულების პოვნას.

ნიკო ლომოური, მისთვის დამახასიათებელი სიმტკიცითა და პირდაპირობით, ჩაება ამ მიმართულებაში. ხალხოსნურ მისწრაფებათა გაყოლა მისთვის ნამდვილი დაკმაყოფილების წყაროდ გადაიქცა. ნიკო ლომოური თავის განცდებს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოთხრობა „გიგო ღრუბელაშვილში“ ასე გადმოგვცემს (გიგო ღრუბელაშვილი, ყოველ ეჭვს გარეშეა, ავტობიოგრაფიული სახეა): „ჯერ მზე არ იყო ამოსული, როდესაც ერთი ქვიტკირის სახლიდან გამოვიდა გარედ ფერმკრთალი, ცოტა გამხდარი მარილიანი სახის ახალგაზრდა კაცი. მას ეცვა უბრალო, იაფფასიანი ბლუზა, თავზე ეხურა ყვითელი ჩალის განიერი შლიაპა... ხელში კარგა მოზრდილი ძვირფას ყდიანი წიგნი ეჭირა... სულით და გულით უნდოდა შეხვედროდა ვისმე, ძმურად გადახვეოდა, მეგობრულად გადაეკოცნა“...

ბუნების სილამაზითა და ჭაბუკური სიცოცხლის და მოქმედების წყურვილით აღგზნებული გიგო ღრუბელაშვილი ოცნების სწრაფ მონავარდე ტალღებს სიამოვნებით გაჰყვება. „ორიოდე თვის შემდეგ,— გატაცებული ლაპარაკობს გიგო, — მაღალ სასწავლებელში შევყობ თავსა, ვემთხვევი სწავლა-მეცნიერების დიდებულ ტახტსა... მე იქ შევისწავლი სამკურნალო მეცნიერებას და თანაც გულდადებით ვიკითხავ პედაგოგიურ თხზულებათა. საჭიროა ცოდნა აგრეთვე სამართლის კანონებისა, რომ მათის დახმარებით გლეხკაცი აღარავის არ დავაჩაგვრინო. შევისწავლი ყველა ამას, მოვალ ჩვენს სოფელში, გავხსნი შკოლას და ვასწავლი დიდებსაც და პატარებსაცა. თავისუფალ დროს ვივლი სოფლიდან სოფლად და სადაც კი შევხვდები ღარიბ ავადმყოფსა, უსათუოდ ვუწამლებ. ეჭვი არ უნდა, მალე სხვებიც დაადგებიან ჩემს გზასა და ოცი, ორმოცი წლის ამგვარი მოღვაწეობით ხალხის მდგომარეობას, თუ სრულიად არა, ბევრნაირად მაინც გავაუმჯობესებთ. მერმე შეიძლება რაიმე დიდმა შემთხვევამ აწინდელი საერთო ვითარება ძირიან-ფესვიანად შესძრას, შეარყიოს. მაშინ ჩვენც გავიბერტყავთ მშვიდობიანობის მტვერსა და თავგანწირული მამულის შვილებად გამოვალთ ბრძოლის ველზე. აბა მობრძანდით მაშინ მტარვალებო და თქვენის ცოცხალი თავით დაგვიდექით წინა, გიჩვენებთ მაშინ თქვენ სეირსა, თქვე შეჩვენებულებო, თქვენა“...[3]

რა იწვევს ნიკო ლომოურში და მისთანებში ასეთ ზრახვებს?

---

[3] ნიკო ლ ო მ ო ურ ი, გიგო ღრუბელაშვილი, 1926 წ., გვ. 139, აქ და შემდეგ მითითებულია ეს გამოცემა.

უნდა ითქვას, რომ ამის მიზეზებს ჩვენი მწერალი ბავშვობიდანვე ძალიან კარგად იცნობს. ეს არის ხალხის გაწრიოკებული, დაუჯერებელ მძიმე მდგომარეობამდე დასული გლეხობის ყოფა, სადაც იშლებოდა ზღვარი ადამიანსა და პირუტყვთა ცხოვრებას შორის. ამ ადამიანებისადმი ხელისუფლება საარაკო დაუდევრობასა და ძალმომრეობას იჩენდა. აქაა კვანძი, რომელიც „ხალხის მოკეთეთა“ მძიმე ტრაგედიას ქმნიდა, რომელიც მასთან ერთად არ აჩერებდა მოაზროვნე ადამიანს არსებული მდგომარეობის დონეზე, მასში წინმსვლელობის დაუძლეველ სურვილსა და დაუშრეტელ ენერგიას აჩენდა. ამ მდგომარეობაშია მოცემული ხალხსნების მისწრაფებების დასაბამი.

ნიკო ლომოური აი როგორ აგვიწერს ამგვარ განცდას: გიგო ღრუბელაშვილი ფიქრთა გრეხილიდან თანდათან სინამდვილეში გადმოვა, „ჯერ მისმა საკუთარმა პაწია სამშობლომ და შემდეგ მრავალმა სხვადასხვა სოფლებმა დინჯად, აუჩქარებლივ ჩამოუარეს წინ მის გონების თვალსა. მას წარმოუდგა საცოდავი ქოხმახები, რომლებშიაც მცხოვრებნი ამ სოფლებისა წვა და დაგვით ათრევდნენ თავიანთ სიცოცხლის მწარე დღეებსა. ის ცხადად ხედავდა გლეხკაცის განუზომელ სიღარიბესა, მის დავრდომილებას, მისი აზრისა, გრძნობის და გონების დაუძლურებას. ხედავდა მის გამუდმებულ მძიმე ჯაფასა, რომლისგან იგი ჯანითა და აგებულებით სუსტდებოდა, წრიოკდებოდა და გადაშენების საზარელ უფსკრულს უახლოვდებოდა. შემდეგ მას გადაეშალა წინ საზიზღარი სურათი იმ ავაზაკთა კრებისა, რომელნიც მთელი თავიანთ მეცადინეობით ხელს უწყობენ მუშაკაცის უბედურებასა, მის დაჩაგვრას და მიწასთან გასწორებას. ბოლოს, მას წარმოუდგა ის შავბნელი გარემოებანი, რომელთაც დაჰბადეს ქვეყნად, ერთის მხრივ, ეხლანდელი მშიერ-მწყურვალი გლეხკაცი, ხოლო, მეორეს მხრივ, მისი ოფლისა და სისხლის მსმელი, მისი მჭამელი ორფეხა ნადირი...

— არა, არა, — დაიძახა გიგომ ხმამაღლა: საქმე ძლიერ ცუდად მიდის. ასე რომ გაგრძელდეს კიდევ ოცეოდე წელიწადს, ხალხი სრულიად დაეცემა, სასოებას დაჰკარგავს: სიღარიბე და უსამართლობა სამუდამოდ ბოლოს მოუღებენ მას. დაე, რაც მოსახდენია, მოხდეს. მე უნდა მივეშველო ხალხსა, ძმურად გვერდში ამოვუდგე და მის ფეხზე წამოყენებას შევწირო მთელი ჩემი სიცოცხლე“. გიგო ღრუბელაშვილის პრაქტიკული მოღვაწეობის გეზი და გეგმაც აი ამ გარემოებისაგანაა დამოკიდებული, მდაბიო ხალხის მასების ცხოვრებასთან მჭიდროდ გადაჯაჭვული და მისი გაუმჯობესების გარშემო ამუშავებული.

თვითონ გიგო ღრუბელაშვილი, როდესაც თვალს გადაავლებს კარგად ნაცნობი გლეხობის გამოუვალ მძიმე პირობებში დაგუბებულ ცხოვრებას, თავისი მოღვაწეობის გეგმას ასე აცნობს ახალგაზრდა უცნობ ქალს: „მე მინდა სოფლად დავსახლდე. სოფელი შეწუხე-

ბულია გაუნათლებლობით, სხვადასხვა სნეულებით და ორფეხა წურბელა ნადირებით. სკოლითა და ადვილად გასაგები ლექციებით შევებრძოლები პირველთა; სამკურნალო მეცნიერებით შევასუსტებ მეორეთა; სამართლის ცოდნით, პურის მაღაზიებით, საზოგადო დეპოების დაარსებით და სხვა, გარემოებაზე დამოკიდებულ, მოქმედებით წინ დავუდგები მესამეთ. იმედი მაქვს, ერთი მეც ბევრ რასმე გავაკეთებ, მაგრამ ისიც კი მტკიცედა მწამს, რომ მე მარტოკა არასოდეს არ დავრჩები დიდხანსა: მალე სხვებიც მომეშველებიან"...[4]

და ეს ხომ ჩვეულებრივი გეგმაა ხალხოსნებისა, მათი მრწამსი, გატაცება და მომავლისაკენ დამახასიათებელი იმედიანი გაცქერა. ესაა გეგმა „ხალხში გასვლის", ხალხის ჭირისა და ლხინის მოზიარედ გადაქცევისა. გიგო ღრუბელაშვილიც ურყევი გატაცებით აკი მოზიარედ გახდება სოფლისა, რომელსაც, მართლაც, სჭირდება მისი შველა, სადაც ხოლერა საშინელი მძვინვარებით ჟლეტს მის ისედაც დაბეჩავებულ, გაჩანაგებულ მცხოვრებთ.

ნიკო ლომოური სოფლისა და მის მცხოვრებლების ტიპიურ მდგომარეობას გადაშლის გიგო ღრუბელაშვილისა და მისი თანამგზაური ახალგაზრდა ქალის წინ. „პირველად, — გადმოგვცემს ავტორი, — მათ დაინახეს საბძლები და ოთხ ბოძზე შეყუტული ცარიელი ძარები და შემდეგ თვით საცოდავი ქოხმახებიცა, რომლებშიაც, ვითომდა, ცხოვრობდნენ აქაური გლეხები. კაცს ეგონებოდა ეს ქოხები განგებ აურ-დაურევიათ, განზრახ დაუდგამთ ასე უსწორ-მასწორადაო... თითქოს ეს არის ვიღაცას წიხლი ჩაუკრავს და გულ-ღვიძლი ჩაუყრევინებიაო, ამ გვარ შთაბეჭდილებას ახდენდა დანარჩენი ქოხმახებიც".

„სადგომის შემდეგ თქვენ ყურადღებას მიიქცევდა უსათუოდ მათ წინ დიდრონ ზვინებად დაყრილი საქონლის პატივი, რომელსაც როგორც მუდამ, ისე ახლა, შემოხვეოდნენ შინაური ფრინველები, ფეხნისკარტით სთხრიდნენ, სჩიჩქნიდნენ და აქეთ-იქით აღიავებდნენ. ზოგიერთ ამგვარ ადგილებზე წვიმის წყალი შეტბორებულიყო და შიგ ჩამპალი პატივისაგან საზიზღარი მოშავო ფერი მიეღო. ამ წუმპეებს ზემოდან დაჰყურებდა მკათათვის გაუხარებელი მზე და მთელ სოფელში იდგა საზარელი სუნი, რომლისგან ჩვენს ნაცნობ ახალგაზრდებს ჯერ ორღობეშივე ეკმინდებოდათ სული. სახლების წინ შემოწნული ბაკები, კარ-მიდამო და სოფლის დახლაკნული გზები აგრეთვე ნაგვითა და სხვადასხვა გვარის უსუფთაობით იყვნენ მოფენილნი. ამასთანავე საითკენაც კი უნდა მიეხედა ადამიანს ამ სოფელში ყველგან შენიშნავდა საშინელს სიღატაკეს... ყოველივე ეს სოფლის ნაპირშივე ბოხჩასავით გადაეშალათ ჩვენს ახალგაზრდებს"[5].

---

[4] ნიკო ლ ო მ ო უ რ ი, გიგო ღრუბელაშვილი, გვ. 141.

[5] • ქ ვ ე, გვ. 145—146.

ესაა ცოცხალი, შეუფერავი, გულის შემზარავი სურათი ჩვენი სოფლისა ძველად, რომლის მცხოვრებნი გლეხნი სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ მხოლოდ ექსპლოატაციის საგნად, სარგებლობისა და საზოგადოების წყაროდ იყვნენ გამოყენებულნი. გლეხის მუდმივი „ტვინის წოვა“, ყველას — მცირედი „ძალა-უფლების“ მქონის მხრითაც კი, მუდმივი ჩაგვრა, დევნა საერთო ცხოვრების სუფრიდან, მართლაც რომ გლეხკაცობას და მით ქვეყნის ცხოვრებას რაღაც თავზარდამცემი უფსკრულის წინაშე აყენებდა. ხალხის, ქვეყნის წინმსვლელობისა და სიცოცხლის საკითხი ნისლში ეხვეოდა, საღად მოაზროვნის ტვინსა და გულს კოშმარსავით აწვებოდა და გასაქანს არ აძლევდა.

ნიკო ლომოურს, როგორც ხალხოსან მწერალს, უნდა ხალხის ცხოვრების ეს მხარე მკვეთრად წარმოუდგინოს მკითხველს, რათა მისი გულიც ისევე დასეროს, ააღელვოს, ააშფოთოს და მასში თანაზიარი შეიძინოს.

გლეხთა ცხოვრების ეკონომიურად შევიწროვებული მძიმე სურათები უხვადაა ჩაქსოვილი მის შემოქმედებაში საერთოდ და, კერძოდ, „გიგო ღრუბელაშვილში“.

სანიმუშოდ მოვიყვანთ კიდევ ერთ სურათს ხალხის თავმინებებული, უპატრონოდ დატოვებული, დაბეგრილი ცხოვრებისა. თითქოს სახელმწიფო თავისი აპარატითა და კულტურული ცხოვრების ყოველივე მიღწევით იმიტომ არსებობს, რომ გლეხთა შრომით, წვითა და დაგვით შეძენილი დოვლათით ისარგებლოს, თვითონ კი მასზე არ იზრუნოს.

გიგო ღრუბელაშვილმა თავის თანამგზავრ ახალგაზრდა ქალთან ერთად გულმოდგინებით მოინდომა სოფლის შველა, მისთვის დახმარების გაწევა. ხედავს სოფელს ხოლერა მუსრავს, სოფელი საშინელ მდგომარეობაშია და კაცი არ არის მისი მშველელი. ისინი გადადიან სახლიდან სახლში, უბნიდან უბანში და ყველგან ერთიმეორეზე თავბრუდამხვევი მდგომარეობაა. „ხვრელის მსგავსი ბნელი დერეფანი,—აგვიწერს ავტორი,—ფეხების ფრატუნით და ხელების ცაცუნით ჩაიარეს და მიაწვნენ დარბაზის მძიმე კარებსა. დამაყრუებელი გაბმული ჭრიალით ნელ-ნელა გაიღო ეს კარი და ჩვენი ყმაწვილები გულის ფანცქალით შევიდნენ შიგნითა. კერის ახლო, დედა-ბოძთან მათ დაინახეს ორი მიწაზედ გაშოტვილი, გაშეშებული ადამიანი. ერთსა ეცვა კაცურად, მეორეს ქალურად, ორივენი ახალგაზრდები იყვნენ. საზარელი სუნი, რომელიც აქა ტრიალებდა, ცხადი ნიშანი იყო, რომ ესენი სამი-ოთხი დღის გარდაცვალებულნი იყვნენ. ლეში მათი უკვე იხრწნებოდა. კაცი პირქვე ეგდო, ქალი გულაღმა და თავი ცოტა მაღლა ჰქონდა წამოწეული. ტუჩებს ხრწნა დაეწყოთ, ზევით-ქვევით აწეულ-დაწეულიყვნენ და დახრჭენილი კბილები თავ-ზარ დამცემი სიცილით გამოიყურებოდნენ. ამ სანახავმა თავზე თმები აუბურძგნა ჩვენს ახალგაზრდებს. ფერმიხდილნი

იდგნენ ერთ ადგილას და მუნჯებივით გასცქეროდნენ უსულდგმულო ლეშის ჯოჯოხეთურ ღრეჭასა... მაგრამ ამ დროს დარბაზში მოხდა ისეთი ამბავი... უცებ ამ გლოვისა და მწუხარების სამფლობელოში, ამ ძლევამოსილ სიკვდილის შავბნელ სამეფოში გაისმა ხმა, მაღალი, გატაცებული ხარხარი, კისკისი. ამ ხმამ ისეთი გავლენა მოახდინა ჩვენს ახალგაზრდობაზე, თითქო ამოღებული ხანჯალი ჩაეკრა ვისმე მათთვის გულში. ერთი შეჰკივლეს და თავ-ზარ დაცემულნი გამოცვივდნენ კარზედა. იმავე წამს დარბაზიდან გამოვარდა სრულიად დედიშობილა, თმა-გაბურძგნული მოხუცებული დედაკაცი, ვენახის ეკლიან ღობეზე შეხტა და წეღანდებური კისკისით გადაერია ვაზებსა"[6]. მართლაც, ტანჯვის გოლგოთაა!

ამგვარი ერთიმეორეზე შემზარავი სურათები გადაიშალა ამ ყმაწვილების თვალწინ. არა მარტო ამ ახალგაზრდა მგზავრებს, არამედ მკითხველსაც თავზარსა სცემს, გულს უღრღნის, გონებას უშფოთებს, თვალებს სისხლის ცრემლით სწვავს და უმღვრევს სოფლის ამ უტყუარი სურათის დანახვა. საზოგადო უბედურება მძიმე ლოდსავით აწვება არა მარტო ამის მნახველ ახალგაზრდა მგზავრებს, არამედ მკითხველსაც. ჩვენება ამ ცხოვრებისა ნიკო ლომოურის მიერ, მართლაც, ისეთი მძლავრია, მძიმეა, რომ დღესაც კი, როცა ეს მოგონება შავბნელი წარსულის უფსკრულსა აქვს ჩაბარებული, დამშვიდებით მისი წაკითხვა შეუძლებელია. ნიკო ლომოურს, როგორც ხალხოსან მწერალს, ასეთი ჩვენებით უნდა მკითხველის გულიც ასევე ააღელვოს, ააშფოთოს და მით თანაზიარი შეიძინოს. ესეც ხომ სტილური ნიშანი იყო ხალხოსნებისათვის.

მწერალიც ვერ წყნარდება ხილულით, მისდევს ახალგაზრდა ხალხის მოკეთეთა გრძნობების მოძრაობას და მათთან ერთად სოფლის ცხოვრების საერთო ალეგორიული სურათი წარმოუდგება მის შეშფოთებულ თვალსა და ყურსა, გულსა და გონებას: „მას თვალწინ ედგა დიდი, უზარმაზარი საფლავი, რომელსაც ყოვლის მხრიდან შემოხვეოდნენ სხვადასხვა ხორცშესხმული ბოროტებანი: უსამართლობა, მტარვალობა, ძარცვა-გლეჯა. ამათის ბრძანებით ათასობით მოჰყავთ დამხდარ-დაყვითლებული, ჯაფისაგან წელში გამწყდარი ხალხი, შეუბრალებლად ჰყრიდნენ ამ საფლავში და საზიზღარის სიცილ ხარხარით ცოცხლებსავე აყრიდნენ ზემოდან მიწასა. ირგვლივ ისმოდა საშინელი კვნესა, გმინვა, წყევლა, შეჩვენება"[7].

მკითხველი, როდესაც ცხოვრების ასეთ ცოცხალ პანორამას თვალწინ გაიტარებს, ავტორთანა და განადგურებულ, დაბრიყვებულ, დაბეჩავე-

---

[6] ნიკო ლ ო მ ო უ რ ი, გიგო ღრუბელაშვილი, გვ. 151—152

[7] • ქ ვ ე, გვ. 152--153.

ბულ მოხუცთან ერთად წამოიყვირებს: „მყრალია, უსამართლოა სოფელი!“ ან „ქვეყანა საზიზღარია, ბუდეა ბოროტებისა!“ აი აქ, ხალხის ამ მდგომარეობაშია ნიკო ლომოურის შემოქმედების სოციალური საფუძვლები, აქაა მისი დასაბამი, აქედან ჰკრეფს ის თავისი შემოქმედების მასალასაც.

2

ნიკო ლომოური, როგორც დაკვირვებული, ხალხის ამგვარი ცხოვრებით მძიმედ დასევდიანებული მწერალი-მოქალაქე, ცდილობს ხალხის ცხოვრების ძირში ჩაიხედოს, გამოარკვიოს — რაა მიზეზი მისი ასეთი გამანადგურებელი მდგომარეობისა. ამის მიზეზი, მისი შეხედულებით, ორგვარია: ერთი მიზეზი თვით გლეხშია, თვით გლეხია მისი უშუალო მატარებელი, ის კონსერვატორია, ებღაუჭება ძველ ზნე-ჩვეულებას, ადათს, რომელიც უფრო ანადგურებს ისედაც დაბეჩავებულ მის ცხოვრებას.

გლეხკაცობის ჩამორჩენილობაზე აღმოცენებული და გაძლიერებული ცრუმორწმუნეობა აიძულებდა გლეხს ჩაბღაუჭებოდა მავნე ჩვეულებებს, როგორიცაა: ხატობა, ნათლობა, ქელეხი და სხვა მრავალი ამგვარი („ალი“, „ქაჯანა“ და სხვა).

მეორე კატეგორიის მიზეზი გლეხის გარემოა. გლეხს წურბელასავით მოკიდებული ჰყავს მემამულე, ჩარჩი, ვაჭარი, სახელმწიფოებრივი ადმინისტრაცია — მაზრის უფროსით, მოსამართლით დაწყებული და სოფლის მამასახლის-გზირით გათავებული („ქრისტიანი ლეკები“, „ბედი უბედურია“, „წუთისოფელი“, „გიგო ღრუბელაშვილი“, „ყოველის მხრიდან“ და სხვა).

ხალხოსანმა მწერლებმა როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც ლიტერატურა, პოეტური შემოქმედება გამოიყენეს, როგორც მძლავრი იარაღი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, „ხალხის აქიმობისათვის“, რასაც ისინი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, არა ერთხელ ამბობდნენ, არა მარტო პუბლიცისტურ და კრიტიკულ წერილებში, არამედ მხატვრულ შემოქმედებაშიც. ლიტერატურის, განსაკუთრებით კი მხატვრული ლიტერატურის, საშუალებით მათ ენერგიულად დაუწყეს ბრძოლა ხალხის ცხოვრების მავნე მხარეებს. ხალხის გამოფხიზლება, მისი აღზრდა, მისი ფეხზე დაყენება, რომ ის შეგნებულად ჩაბმულიყო თავისი ცხოვრების გაჯანსაღებისა და გაუმჯობესების საქმეში — აი ძირითადი მიზანი, რომლისკენაც ხალხოსნები ასეთი გატაცებით მიისწრაფოდნენ.

უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხის ისედაც უნუგეშო ეკონომიურ მდგომარეობას საბოლოოდ ანიავებდა და განადგურების ნიადაგზე აყე-

ნებდა ხალხის მეტად დაბალი კულტურული დონე. ეს გარემოება პოხიერ ნიადაგს ქმნიდა ხალხის შეგნებაში ცრუმორწმუნეობისა და გაიძვერა მკითხავების ძალის რწმენის განმტკიცებისათვის. ეს მოვლენა ერთი უსაშინლესი სენთაგანი იყო გლეხობის ცხოვრებაში. ცრუმორწმუნეობა დაუნდობლად ძარცვავდა ისედაც დაცემულ და გაღატაკებულ გლეხის ოჯახს.

ხალხოსნები კარგად გრძნობდნენ, რომ ბედნიერების მოპოვებისათვის, ხალხის წინსვლისათვის საჭიროა ამ სენისაგან გათავისუფლება. ამიტომ მათ ამ სენის აქიმობასაც ერთგულად მოჰკიდეს ხელი.

ნიკო ლომოური ერთი საუკეთესო წარმომადგენელია ქართულ ლიტერატურაში. ქართველი გლეხობის ამ მავნე თვისებასთან ბრძოლისა მხატვრული შემოქმედების საშუალებით. მან, როგორც სარკეში, მკვეთრად ასახა, სხვა მხარეებთან ერთად, ეს მავნე თვისებებიც.

ნიკო ლომოურმა როგორც ნიჭიერმა, ფხიზელმა ექიმმა და პედაგოგმა დაანახვა ხალხს, როგორ უსაფუძვლოა ცრუმორწმუნეობა, როგორი გზით იჭრება ის ბავშვობიდანვე გლეხის შეგნებაში და მავნებელი შედეგები მოაქვს მას ხალხისათვის. ხალხოსნების ერთ-ერთი მისწრაფება ხომ იყო სახალხო ლიტერატურის შექმნა და გავრცელება. მწერალმა თავისი ამგვარი შეხედულება მეტად მკვეთრად გადაშალა მოთხრობებში „ალი“ და „ქაჯანა“.

ხალხში გავრცელებული ცრუმორწმუნეობა წარუშლელ დაღს ასვამს გლეხს ბავშვობიდან. ბავშვობიდანვე გაუნათლებლობის გამო ცრუმორწმუნეობა თავისი არაბუნებრივი ძალებით: ეშმაკით, ალით, ქაჯით და სხვა ავი თუ კეთილი სულებით ავსებს მის შეგნებას. თუ როგორ იზრდება გლეხი ამ თქმულებათა ზეგავლენით, როგორ უმზადდება ფსიქოლოგიურად მას ნიადაგი ავი სულების რწმენის მისაღებად, ნიკო ლომოური მშვენივრად, შეიძლება ითქვას, დიდად ნიჭიერი მკვლევარი-პედაგოგის უნარით გვიხატავს მოთხრობაში „ალი“ და „ქაჯანა“.

„გააბეს ალზე ლაპარაკი, — მოგვითხრობს სიმონა, — და თითო რამე ალის ამბავი თითქმის ყველამა სთქვა... სიცილი, ხუმრობა ამ დროს სრულიად გაქრა, მათი ალაგი ხშირმა პირჯვრის წერამ და წმინდის გიორგის სახელის მოწოდებამ დაიჭირა. ხალხი არა ხუმრობდა! ამან ძალიან, ძალიან შემაფიქრიანა. ველარც ვახშამი ვჭამე ხეირიანად და მთელი ღამეც მამლის ყივილამდე არ დამძინებია. ვფიქრობდი ალზე. თვალწინ მეხატებოდა ტყე, ამის შუა ალაგას, ვითომ მოჩანდა პატარა, ანკარა, მოჩქრიალე მდინარე, რომელშიაც ერთს მოფარებულ ალაგას, დიდ-თმა გაშლილი იჯდა მშვენიერი მზეთუნახავი ქალი — ალი. ალი თავის ჟუჟუნა შავი თვალებით იცქირებოდა აქეთ-იქით. უნდა დაინახოს ვინმე ადამიანი, მივარდეს და დაახრჩოს... ამგვარი წარმოდგე-

ნანი მეხვეოდნენ გარშემო მთელი ის ღამე. პირველი მამლის ყივილის შემდეგ ჩამეძინა, მაგრამ ვაი ამ ჩაძინებას! სიზმარში ვნახე ალი და გულგახეთქილმა გავაჭყიტე თვალები. ტყე და ალი ახლა ერთმანეთთან მკვეთრად შეთვისებულ საგნად გარდაიქცნენ ჩემთვის. ერთის ნახვა მენატრებოდა, მეორესი მეშინოდა"[8].

ასეთი გაღიზიანებული, დაშინებული ფსიქოლოგიითა და ფანტაზიით მეორე დღეს სიმონა ტყეში წაიყვანეს. დატოვეს ის მარტო. მამაბიძები ცოტა მოშორებით შეშის მზადებას შეუდგნენ. ალზე ლპარაკით აფორიაქებულ სიმონას ფანტაზიას, ტყეში მარტო დატოვებულს, შორს ცულის კაკუნისა, მისი ტყეში გამოძახილისა და მდინარის რაკრაკის გავლენით მოჭრილი კუნძი წყალში ალად მოეჩვენება. შეშინებული სიმონა ისტერიულ ყვირილს დაიწყებს. უფროსებიც, ასეთსავე ატმოსფეროში აღზრდილნი, დაიჯერებენ. ალის საბრძანებლის ძირიანად აღმოფხვრის მიზნით კუნძის ჭრას დაიწყებენ. კუნძის მოჭრის დროს ერთ ძმას ცულის პირი ტარიდან გაუვარდება, სიმონას მამას მოხვდება თავში და მოჰკლავს. შეშის მაგივრად არაშენდაანი შინ უფროსს ძმას მკვდარს მიიტანენ. მთელი სოფელი ამ შემთხვევას ალის მოქმედებით ახსნის. ყველას და განსაკუთრებით კი არაშენდაანთ დიდ ოჯახს ეს გარემოება შიშის ზარს დასცემს.

აიწეწა არაშენდაანთ ოჯახი სულიერადაც და ეკონომიურადაც. ერთი უბედურება მეორეს მოჰყვა. აფორიაქებული, ბნელი და შეშინებული გლეხის გონება ადვილად უხსნის კარს მოსულ უბედურებათ, ის წინააღმდეგობის უნარს კარგავს. „დავმარხეთ მამა ჩემი, — მოგვითხრობს დაობლებული, უცნაური მოვლენით თავზარდაცემული სიმონა, — მაგრამ ამის შემდეგაც არ ჩამოგვეხსნა ის წყეული ალი. ჯერ სასაფლაოზე ენახათ ის ვიღაც მგზავრებს. შემდეგ გავარდა ხმა, — ვითომც მამაჩემი ალს ამოეღოს საფლავიდან და წაეღოს ტყეში. ეს ამბები ჩვენ შეგვატყობინა ზაქარია დიაკვანმა და გვირჩია, რომ მიცვალებულის სულისათვის გვეწირვინებინა, საფლავი გვეკურთხებინა და შემდეგ საზოგადო წირვა გადაგვეხადა. ყველა ესენი სრულიად აღასრულეს ჩვენებმა"[9].

მაგრამ ვერც ამ გარემოებამ უშველა. ხალხში ღრმადაა გადგმული ცრუმორწმუნეობის ფესვები, მასთან ბრძოლა არც ისე ადვილია. ხშირად მასთან ბრძოლაში თვით ოფიციალური სარწმუნოებაც კი უძლურია. არაშენდაანთ და სოფელს ვერც საფლავის კურთხევამ, ვერც მღვდლის წირვამ და ვერც საზოგადო წირვამ უშველა. უბედურება ხომ უარესად არომევს უკულტურო ხალხს აზრს! ასე დაემართა არაშენდაანთ ოჯახს და მთელ სოფელს.

---

[8] ნიკო ლომოური, ალი, თხზ., ტ. I, 1963 წ., გვ. 33.

[9] • ქ ვ ე, გვ. 17.

ხალხის ასეთი მდგომარეობით, ჩვეულებრივ, სარგებლობდნენ სოფლის მტაცებელნი, სოფლის მტრები, რომელთა რიცხვი ყოველთვის დიდი იყო. არაშენდაანთ ასეთი აფორიაქებული მდგომარეობით სურს ისარგებლოს აზნაურმა დიაკვანმა ზაქარიამ. ის ოცნებობს არაშენდაანთ სახლ-კარი და ნაფუზარი ხელთ იგდოს. ამიტომ არაშენდაანი უნდა მკვიდრი ბინიდან როგორმე აჰყაროს. იწყება ზაქარია დიაკვანის კლასობრივი ბუნების გამოვლინება. მან უნდა ისარგებლოს არაშენდაანთ უბედურებით. ის არავითარ საშუალებას არ ერიდება.

ერთხელ გათენებისას არაშენდაანთ დარბაზში შუა ბანიდან ვეებერთელა ქვა ჩაუვარდათ და რახა-რუხით დაეცა საკიდელსა და კერასა. არაშენდაანთ თავზარი დაეცათ. როცა ერთ-ერთმა ძმამ შესძახა: „ვინა ხარ, ვინა, შე ოჯახ და სახლ-კარ დაქცეულო?“ — იქიდან გარჩევით და ქალური ხმით მოისმა: „მე ვარ ალი, გამოგზავნილი წმინდის გიორგისაგან... აიყარენით, აიყარენით, თორემ სულ ერთიანად ამოგხოცავთო“[10].

წარმოსადგენია, რა შიშის ზარი უნდა დასცემოდა მთელს ოჯახს! არაშენდაანთ ასეთი მდგომარეობის გაძლიერებისათვის ზაქარია დიაკვანი დაზარალებულთა ოჯახში ალის გამოცხადებას სოფელში ხერხიანად მოფენს. ეს შემთხვევა მეორე დღეს, სანამდის არაშენდაანი იტყოდნენ რასმე, მთელმა სოფელმა თურმე იცოდა. დაზარალებულმა ოჯახმა და მთელმა სოფელმაც გადაწყვიტეს, რომ ალი ახლა არაშენდაანთ სახლში ეწვია.

მთელ სოფელს ეს ხმა საშინელის სისწრაფით მოედვა. ცრუმორწმუნე სოფელში ზღაპრის მაგვარი მითქმა-მოთქმა გაჩნდა. არაშენდაანთ ოჯახის უბედურების მიზეზად ხალხის შეუგნებელმა ფანტაზიამ რა თქმა უნდა, არა ზაქარიას გავლენის გარეშე, ოჯახის მოხუცი დიასახლისი, სიმონას დიდედა მაია დასახა. რას არ იგონებდა სოფელი საწყალი მოხუცის დამოკიდებულებაზე ავ სულებთან!.. ზოგი ამბობდა, რომ მაია თანაზიარად გაუხდია ალს შვილების ამოწყვეტაშიო, ზოგიც — მაია კუდიანიაო. „ბევრი ამგვარი და ბევრიც ამაზე უარესები ისმოდა იმ დღესვე... ამ უკანასკნელს ახლო აღარავინ ეკარებოდა. მიმავალი რომ დაენახათ, გარბოდნენ იმისაგან, როგორც გიჟისა, ან საოფლიანი ავადმყოფისაგან“[11].

ამ საშინელმა ხმებმა და სოფლის ასეთმა დამოკიდებულებამ საწყალი დედაბერი გამოუთქმელ სატანჯველში ჩააგდო. იმ ღამესვე რაღაც ცახცახმა აიტანა. საშინელ სიცხეში და ალის მოახლოების ბოდვაში მეორე დღესვე სული განუტევა. ალმა იმსხვერპლა არა მარტო ორი

---

[10] ნიკო ლომოური, ალი, გვ. 18.
[11] იქვე.

წევრი, არამედ, შეიძლება ითქვას, არაშენდაანთ ოჯახი მთლიანად. არაშენდაანი ალის შიშით გადასახლდნენ იმავე სოფელში სხვა ადგილზე. ახალმა, გამოუშრობელმა და დაუმთავრებელმა სახლმა ისინი გააცივა. შეუდგათ ოჯახში რაღაც ავადმყოფობა. სიცხეში ავადმყოფებს ალი მუდამ თანსდევდა და შიშის ზარსა სცემდა ყველას. ასეთ მდგომარეობაში მალე გარდაიცვალა სიმონას ერთი ბიძა, მეორე გაგიჟდა. მესამე კი, ზაქარია დიაკვნისაგან გაბრიყვებული (მკითხავის დახმარებით), ალის შიშით, მთელი ოჯახით გადასახლდა ყარაიაზე. აქ ის თითქმის სრულებით ამოწყდა. მისი ორი ობლად დარჩენილი შვილი ქალაქში ქუჩა-ქუჩა დარბის. ცრუმორწმუნეობის გამო ასე განადგურდა დიდი, კარგად გაკეთებული, ოდესღაც ბედნიერი არაშენდაანთ ოჯახი. ასეთ მძიმე მაჯლაჯუნასავით აწევს ცრუმორწმუნეობა ხალხს. და ნიკო ლომოურსაც დამაჯერებლად, აშკარად დაჰყავს თავის მკითხველამდე ცრუმორწმუნეობის უნიადაგობა და მავნებლობა.

ცრუმორწმუნეობა, როგორც ერთი უდიდესი სენი ხალხის ცხოვრებისა, ნიკო ლომოურს მეორე მოთხრობაშიც („ქაჯანაში") აქვს დახატული. ავი სულების რწმენამ თითქმის განადგურებამდე მიიყვანა კიკოლას ოჯახი. დაამუნჯა მისი საყვარელი ნიჭიერი სიმონა. ამ გარემოებამ დააღონა კიკოლა და მწუხარებაში გაახვია მთელი მისი სახლობა. მხოლოდ ბავშვების გონებამახვილიანმა ცელქობამ დაუბრუნა სიმონას მეტყველების უნარი და სიცოცხლის ხალისი. ეს მოთხრობები ავტორს მართლაც დიდი პედაგოგიური ალღოთი აქვს დაწერილი. მდაბიო მკითხველს მეტად თვალსაჩინოდ, რეალურ ფერებში აჩვენებს ცრუმორწმუნეობის წყაროს — ხალხის ჩამორჩენილობას. ესეც დამახასიათებელი სტილური ნიშანია ხალხოსანთა მხატვრული შემოქმედებისა.

ხალხის გაჭირვებული, ხშირად გამოუვალი მდგომარეობა, განსაკუთრებით უბედურ შემთხვევებში—ავადმყოფობა იქნება, სიკვდილი, საქონლის ჭირი, თუ სხვა რამე ამგვარი,—ჩვეულებრივ ხსნასა და შველას ეძებს არა ექიმის დახმარებაში, განათლების მონაპოვრების გამოყენებაში, ჰიგიენურად ცხოვრების მოწყობაში, არამედ მკითხავის რჩევა-დარიგებაში. მკითხავი, ცხოვრებით გაბრუებული, უილაჯო გლეხკაცისათვის, უბედურების ტალკვესია. ამიტომ მკითხავისათვის ღატაკ გლეხს ფულიც მოენახება და დროც. მკითხავიც თავის ცბიერებით, გაიძვერობით, დაუნდობელ ძარცვა-გლეჯვით ტყავს აძრობს ისედაც „ყოველი მხრიდან" გამწარებულ გლეხს.

ხალხის ცრუმორწმუნეობითა და მკითხავისადმი ასეთი ნდობით სარგებლობს ისედაც ხელებგახსნილი ხალხის მტერი „სოფლის წურბელა" და კავშირს იჭერს მკითხავთან ხალხის საზარალოდ. მკითხავი, როდესაც ცბიერებით ვერ მოახერხებს საქმის ვითარების გაგებას, მიიშველიებს ღმერთისა და ხატების ძალას, მათი განრისხებით ხსნის გლეხის უბე-

დურებას, რაც ისედაც შეშინებულ გლეხკაცობაში აძლიერებს არაბუნებრივი ძალების შიშს. განრისხებული წმინდანების გულის მოსაგებად (რაც გაუნათლებელ გლეხს მეტად სწამს) ხატებთან სალოცავად გზავნის ხოლმე გლეხს და მის ისედაც დაცარიელებულ ოჯახს ზედმეტი, ხშირად აუტანელი, ხარჯებით ანიავებს.

ესეც ხომ ერთი უდიდესი იარაღთაგანი იყო, რომელსაც ხალხოსნებმა ბრძოლა გამოუცხადეს, როგორც საქმით, ისე სიტყვით.

ასევე სარგებლობს მკითხავებით ზაქარია დიაკვანი. ვერა და ვერ მოახერხა მან არაშენდაანთ საბოლოოდ აყრა და მათი სახლკარისა და ნაფუძრის ხელში ჩაგდება. ცნობილია, გლეხისათვის შიში ალის მავნე ძალისა და რისხვისა დიდია, ძნელია გამკლავება ალის მუქარისა — „თუ არ აიყრებით და არ გადასახლდებით, სუყველას გაგწყვეტთო“. მართალია, სული ტკბილია, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ გლეხობისათვის არა ნაკლებ ტკბილია მიწა, რომელსაც ის გამუდმებით ანთხევს თავის სისხლსა და ძალას. ძნელია მამაპაპით გაკეთებული საბუდარიდან აყრა და ცხრა მთას იქით გადავარდნა.

გლეხი თავისი განსაზღვრული სამეურნეო ცხოვრების პირობების გამო შინ მოკალათებულია. ნახევრად მშიერი და ნახევრად ტიტველი ცხოვრების შენარჩუნებაც კი მისთვის იმდენად ძნელია, რომ აღარა რჩება დრო სხვა რისთვისმე ფიქრისა და ზრუნვისა. ეს გარემოება მეტად ვიწროდ ჰფარგლავს მის მსოფლმხედველობას, გასაქანს არ აძლევს. მას ეშინია, რომ ხმელი ლუკმა პურიც არ დაკარგოს და პრიმიტიული ინსტინქტით ებღაუჭება ძველს, თუნდაც მავნე ჩვეულებებს, სულიერი და მატერიალური ხასიათის ტრადიციებს. ეს გარემოება მას საშინელ კონსერვატორად ჰქმნის. აი რატომაა, რომ ასე ძნელია მისთვის დაანებოს თავი მამაპაპურ ჩვეულებას, გაწყვიტოს მასთან კავშირი, დატოვოს მამაპაპური ქოხი. ასეთი ნაბიჯის გადადგმას გლეხი გაბედავს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ცხოვრება სრულებით გაანიავებს და ხელცარიელს დასვამს, როგორც არაშენდაანთ დათუას დაემართა.

დათუას მდგომარეობით ისარგებლა ზაქარია დიაკვანმა. მეტად დამაჯერებლად, დიდი სისადავითა და ბუნებრივობით ააშკარავებს ნ. ლომოური იმ ვერაგულ საშუალებებს, რომელთაც მიმართავს აზნაური დიაკვანი ზაქარია. განადგურებული დათუა რომ შეაცდინოს, ზაქარიამ შეურჩია დრო. ერთხელ, როდესაც ჯანგამოცლილი დათუა გაპარტახებული ოჯახის წინ იჯდა და მძიმე, გამოურკვეველ ფიქრს მისცემოდა, მას ვერ მოენახა ამ ფიქრის ვერც თავი და ვერც ბოლო, ზაქარია დიაკვანი მას თავზე წაადგა და „ფლიდური ჯავრიანის კილოთი“ უთხრა: „რა ამბავია, კაცო, თქვენს თავს? ვფიქრობ და ვერა მომიფიქრებია რა: რა არი და როგორ არი თქვენი საქმე?“ დაღონებული დათუა შესტირებს მეზობელს ოჯახის დაღუპვას და ამის მიზეზს ალის ბოროტ

ძალას მიაწერს. „ჩვენი უბედურება ალის გამოჩენიდამ იწყო, — ეუბნება ზაქარია დიაკვანს დათუა, — ი წყეული ახლა უჩინარადა გვდევნის!“ ზაქარია დიაკვანსაც ეს უნდოდა, შეუბრალებლად სარგებლობს დათუას ასეთი სულიერი განცდით და ურჩევს მას მკითხავს მიმართოს, სოფელ ეშმაკეულში რომ ცხოვრობს. დათუამ, დიაკვანი ზაქარიას რჩევით, მკითხავთან ცოლის გაგზავნა გადაწყვიტა. დიაკვანი დაბრუნდა შინ, ფაცა-ფუცით შეკაზმა ცხენი და კარგა ხშირს ბინდისას დაადგა სოფელ ეშმაკეულისაკენ მიმავალ გზას.

მეორე დღეს დათუას ცოლიც გაუდგება მკითხავის გზას. მკითხავის ეზოში ხალხი ზიმზიმებს. ზაქარია დიაკვნისაგან განდობილი მკითხავი თვითონ გამოიძახებს არაშენდაანთ დათუას ცოლს. ეს გარემოება ყველას, და განსაკუთრებით დათუას ცოლს გააოცებს. შემდეგ ამისა მკითხავი არაშენდაანთ ოჯახის თავგადასავალსაც დაწვრილებით მოუყვება. უწინასწარმეტყველებს გადასახლების აუცილებლობასა და ახალ ადგილზე კეთილ ბედს. ეს საკმარისია, რომ გაუნათლებელი გლეხის გონება მკითხავს მთლიანად დაეპყრო.

დათუა უძლურია დიაკვან ზაქარიას მიერ დაგებულ მახეს თავი დააღწიოს. მძიმე, უკუღმართი ცხოვრებისა და ალის დევნისაგან გატანჯული დათუა, მოწყურებული თუნდაც ნახევრად მშიერ და ტიტველ, მაგრამ დამშვიდებულ ცხოვრებას, საშინელ სულიერ ტკივილებში, გადაწყვეტს ცოლშვილით გადასახლდეს. დათუა გადასახლდება უკეთესი ცხოვრების მცირე იმედით, მაგრამ სახელმწიფოს უზრუნველობა მას იქაც მალე გაუცრუებს ამ უკანასკნელ იმედს. ნ. ლომოური აქაც სარგებლობს შემთხვევით, რომ სახელმწიფობრივი წყობილების მიერ ხალხის ცხოვრებისადმი გულგრილი დამოკიდებულება გვიჩვენოს.

ასეთია მავნე გავლენა და შედეგი ხალხზე მკითხავთან დამოკიდებულებისა. ასეთია ის სოციალური მახე, რომელშიც გლეხი ასე გულუბრყვილოდ იხლართება და იღუპება. ასეთია მისი ჩამორჩენილობა, რითაც ასე დაუნდობლად სარგებლობენ მისი მტრები.

3

ხალხის ცხოვრების დამქვეითებელ და მისი ფიზიკურად და მატერიალურად გამანადგურებელ მავნე ჩვეულებების კატეგორიას ეკუთვნის ხალხისათვის საზარალო პატრიარქალური ტრადიციები — ხატობა, ნათლობა, ქელეხი და ა. შ. მკითხავის „რეცეპტი“, რასაკვირველია, ავადმყოფს ვერ არჩენდა, გლეხს თავზე ვალს ახვევდა და ხშირად სიკვდილს უფრო უახლოვებდა.

მიცვალებულს დასაფლავება უნდა, და გლეხმა, აქვს თუ არა აქვს (რა თქმა უნდა, მას ფული არასოდეს არა ჰქონდა), ქელეხი უნდა გა-

დაიხადოს. ეს არის შემდეგი და გლეხის ძვალსა და რბილში მაგრად გამჯდარი დიდი სენი, რომელიც გლეხკაცობას მუამელასავით ღრღნიდა და მის გადარჩენილ ძალას საბოლოოდ სრუტავდა.

ჩვენ ხალხს ამ დრომოჭმული ტრადიციების — ნათლობის, ქორწილის, ხატობის, ქელეხის — შენახვა უმძიმეს ტვირთად აწვა კისერზე. ჟურნალ „იმედის" თანამშრომელნი, რომელნიც გამოდიან ხალხის ცხოვრებაში ჭეშმარიტი, მისი საკეთილდღეო აზრების შესატანად, და ჟურნალიც ამ მიზნისათვის უნდათ გამოიყენონ, ჟურნალის პირველივე ნომრიდან ცხოვრების ამ მოვლენას სასტიკად შეებრძოლნენ. „ქართველი ხალხის სიღარიბის მიზეზები,—წერს მ. გურგენიძე,—ბევრი არიან, მაგრამ ზოგზედ ლაპარაკი არ შეიძლება, ზოგზედ უდროვოა, ზოგზედ კიდევ ძალიან საჩოთიროა. ჩვენ ამ დროებით შეგვიძლიან და გვინდა ვილაპარაკოთ მხოლოდ ერთს მიზეზზედ, რომლის მოსპობას შეუძლიან ქართველი ხალხი სიღარიბიდან სიმდიდრისაკენ გამოაბრუნოს. ეს მიზეზი არის უთავბოლო, უზომო, შეუსაბამო, ტყუილი ხარჯი ნათლობაზედ, ქორწილზედ, დღეობაზედ და მკვდრის დამარხვაზედ. თვით დაბადებიდან კაცისა სიკვდილამდინ იმის ცხოვრება ისე არის დაყენებული ჩვენ ქვეყანაში, რომ თითქო ეს ცხოვრება დამღუპავი ჩვეულებისათვის არის გაჩენილი"[12].

მართლაც, საიდან უნდა ჰქონოდა იმდენი შეძლება ჩვენს „ყოველი მხრიდან" შევიწროებულს, გაძვალტყავებულ გლეხკაცს, რომ ეს ხარჯი გაეწია! ის იძულებული იყო მიემართა ჩარჩ-მევახშისათვის, რომელიც უსინდისოდ სარგებლობდა გლეხის გაჭირვებული მდგომარეობით და დაუზოგველად ტყავს აძრობდა (ერთსა და იმავე ვალში ხშირად ორჯერაც და, შეიძლება, მეტჯერაც კი) ისედაც დაბეჩავებული გლეხის ოჯახს. „ის, — წერს მ. გურგენიძე, — ვინც (რომელიც იხდის ნათლობას, ქორწილს, ქელეხს. — მ. ზ.) იღებს ვალს, თვეში თუმანზე ათშაურიდან მანეთამდის სარგებელს იწერს... ნათლობა გათავდა, თამაშობაც ბევრი იყო, სმაც და ჭამაც, მაგრამ ვალს კი გადახდა უნდა და ხშირად ამგვარი მხსნელები გამოეთხოვებიან ხოლმე ან თავის საზრდოს მიმცემ მიწას, ან ვენახს, ან ბეღელს, ან ცხენს, ან კამეჩს, ან სხვას, ან კიდევ თვით სახლს"[13].

ამ მოვლენასაც შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს ხალხოსნებმა და, კერძოდ, ნიკო ლომოურმაც. ეს მოვლენაც ნიკო ლომოურის შემოქმედებაში დიდი სიმკვეთრითაა ასახული. მოთხრობა „ალი" ნიჭიერად გადაშლის გლეხის ამ დრომოჭმული პატრიარქალური ჩვეულებებით და მათი შედეგებით შექმნილ სიმწარეს. ერთხელ ხალხით,

---

12 მიხ. გ ურ გ ე ნ ი ძ ე, ერთი ჩვენი სიღარიბის მიზეზი „იმედი", 1881 წ., № 1, გვ. 66.

13 ი ქ ვ ე, გვ. 67—68.

დოვლათითა და სიამოვნებით სავსე არაშენდაანთ ოჯახის ხვედრი, ტიპიური იყო ჩვენი სოფლის ცხოვრებისათვის. თუ არაშენდაანთ დიდი, მაძღარი ოჯახი ასე დაიღუპება, რა უნდა მოუვიდეს ჩვეულებრივ ღარიბი გლეხის ოჯახს! ასეთია მწერლის აზრი, ასეთია მისი წუხილი.

„დავმარხეთ მამაჩემი, — მოგვითხრობს სიმონა, — მაგრამ ამის შემდეგაც არ ჩამოგვხსნია ის წყეული ალი... გავარდა ხმა—ვითომც მამაჩემი ალს ამოეღოს საფლავიდან და წაეღოს ტყეში. ეს ამბავი ჩვენ შეგვატყობინა ზაქარია დიაკვანმა და გვირჩია, რომ მიცვალებულის სულისათვის გვეწირვინებინა, საფლავი გვეკურთხებინა და შემდეგ საზოგადო წირვა გადაგვეხადა. ყველა ესენი სრულად აღასრულეს ჩვენებმა; მაგრამ ვაი ამ აღსრულებას! ამან საშინელი დაღი დაასვა მთლად ჩვენს ოჯახს და მის მომავალ ბედს. აქამომდე უვალო ოჯახს ამ წირვებისა და კურთხევის მეოხებით ათ თუმანზე მეტი ვალი დაგვედო. ეს ვალი შემდეგ გადიდდა, გარდაიქცა ორმოცათ, სამოც თუმნათ. გავხდით ჩვენ დედა-ბუდიანათ ერთი ურიის მონებათ და ყმებათ“[14].

აი მწარე სინამდვილე, ასე ღიად და შეუფერავად, მაღალი და დიდი მოქალაქეობრივი შეგნებით მოცემული!

ვინ იყო ეს ურია, რომლის მონად და ყმად გადაიქცა არაშენდაანთ უვალო, ძირმაგარი ოჯახიც კი? იქნება ამგვარი უბედურება გლეხისათვის მოულოდნელია? იქნება ეს გამოუცდელობით მოსდის მას?

საქმეც ისაა, რომ გლეხს ყველაფერი საშიშროება კარგადა აქვს გამოცდილი არა მარტო სხვებზე, არამედ თავისთავზედაც, მაგრამ მავნე ჩვეულებები — ქელეხი, ხატობა, ქორწილი, ნათლობა და სხვა მისთვის ისეთ მოთხოვნილებათაა გადაქცეული, რომ ის თვალღია მიდის ამ უბედურებისაკენ.

ნიკო ლომოურიც ამ გარემოებას უსვამს ხაზს. „ყველამ კარგად ვიცოდით, — გადმოგვცემს სიმონა, — მისი(ხახამ გაბრიელას. — მ. ზ.) უღმერთობა; ყველას გაგვეგონა, თუ სამი ლიტრა მარილის ფასი ხუთ წელიწადს როგორ გარდუქცია ოცდაათ თუმნად ერთ გლეხსა! შემდეგ უჩივლა, წაართვა ვენახი, ნაფუძარი და ღვთის ამარა გაუშვა მათი საცოდავი პატრონი. ვიცოდით ყველა ესენი და კიდევ ბევრი სხვა რამე, მაგრამ რა გვექნა?.. გაჭირვების დროს მაინც ისევ მას მივმართავდით ხოლმე, რადგანაც კარგად ვხედავდით, რომ მის მეტი გზა ჩვენს ბედობაზე სხვა არ იყო გაჩენილი. მივმართეთ კიდეც, როდესაც გაჭირვება დაგვადგა! ათი თუმანი თავნი ვალი ხუთი წლის განმავლობაში სამოც თუმნად გაგვიხდა. დაგვაწერინა სამოცი თუმნის ახალი თამასუქი და შემდეგ წაგვიჭირა ყელში“...[15] და ბოლოს განა ხახამ გაბრიელამ არ დაამთავრა არაშენდაანთ ოჯახის სრული დამხობა?

---

[14] ნიკო ლ ო მ ო უ რ ი, ალი, 1963 წ., გვ. 17.

[15] ი ქ ვ ე. გვ. 46.

განა ასეთივე მყვლეფავები არ არიან არუთინა და შამოელი („ყოველის მხრიდან!“)? ესენიც დროს ურჩევენ გლეხს გაჭირვებისას „დაეხმარონ“ ფულით, „ხელი გაუმართონ“, ხოლო მოსავლის მოკრეფისას „თავიანთი თეთრი აბაზები“ გაინაღდონ.

ნიკო ლომოური, როგორც პედაგოგი, მკვლევარი, მხატვარი, რაც ასე დამახასიათებელი იყო ხალხოსნებისათვის, მშვენივრად, ძალდაუტანებლივ, ბუნებრივ ფერებში ამახვილებს ამ სოფლის წურბელების დაუოკებელ მადას. ანდრიას მორჩილ პასუხზე: „გავლეწავ, შვილოსან, და ჩემი ფეხით მოგიტან ფულსაცა და პურსაცაო“, არუთინა მისთვის დამახასიათებელი უკმაყოფილო კილოთი დაიღრიალებს: „არა, ძმაოჯან, არა!.. შენი არწყული და მოტანილი რა თავში ვიხლი. როცა კალო შეაბა, შემატყობინე, მე მოვალ, ჩანახსა და ტომარას მოვიტან და სულ წმინდად კალოზე ჩამაბარე“. აღელვებული ანდრია არუთინას ასეთი უხეში და უსამართლო მოთხოვნილებით. ინსტინქტიურად უკმაყოფილების კილოთი ეტყვის: „რას ამბობ კაცო? მე შენი ჩანახით როდისა ვარ გარიგებული? ექვს აბაზათ კოდი პური მოგცე და ისიც შენი უძირო ჩანახითა! ღმერთი აღარ არის შენში?!“[16]

ანდრია ხედავს არუთინას უსინდისობას, კარგად ხედავს მის უადამიანობას, მაგრამ რა ძალა აქვს! მისი სული არუთინას ხელშია და ანდრიაც იძულებულია დათანხმდეს. ასეთია უტყუარი სურათი ხალხის ცხოვრებისა.

მარტო ჩარჩი მევახშე არ აზის ზურგზე გლეხს. მისთვის ასეთივე პარაზიტია მღვდელიც. ნ. ლომოურის გაგებით, ერთ მხარეზეა გლეხი — მეორეზე ყველა: მემამულე, ჩარჩ-ვაჭარი, მღვდელი, ადმინისტრაცია — ყველა გლეხის მტერია.

ანდრიას ვალის განაღდებას მოთხოვს მღვდელიც, რომლისგანაც ის დავალიანდა ამავე უბედური შემთხვევის გამო.

— „აბა, შვილო, — მიმართავს შენდობის მისაღებად მისულ ანდრიას მღვდელი, — რას ამბობ? განა დრო არ არის, რომ ი შენი შვილის სამკვდრო მომცე?.. აგერ წელიწადი სრულდება, ანდრია, და შენ კი ჯერაც არა მოგიცია რა“[17].

მღვდელიც კი იმასა ცდილობს, გლეხი რაც შეიძლება მეტად გაყვლიფოს, საწირავის გადასახადის სარგებელში ერთი ბურვაკი მაინც ააგლიჯოს. გლეხიც იძულებულია მისცეს.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბეჩავ გლეხს ბედი ხშირად უმტყუნებს ხოლმე. მის შრომას ბუნების სტიქია აქარწყლებს: წამოუშენს ნიაღვარი და სეტყვა და მის ჭირნახულს, დიდი წვითა და დაგვით მოვ-

---

[16] ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი, ყოველის მხრიდან, 1963 წ., გვ. 199.
[17] ი ქ ვ ე, გვ. 341.

ლილს, სწორედ აღების წინ, გაანადგურებს ხოლმე. მაშინ მდგომარეობა გლეხისა პირდაპირ გამოუვალია. მან აღარ იცის რა ქნას, რით გამოკვებოს ცოლშვილი, ან რით გაუსწორდეს „ყოველის მხრიდან“ მოსეულ მეამელებს. აი სწორედ ამ მომენტით სარგებლობს მევახშეც და ადმინისტრაციის დახმარებით გლეხკაცს ცარიელზე სვამს, უფრო ასუსტებს, რომ უფრო ადვილად დაიმორჩილოს. ასეთ პირობებში ის გლეხს ვალში აუწერდა ხოლმე უძრავ ქონებასაც კი.

განა ასე არ მოიქცა ხახამ გაბრიელა არაშენდაანთ მიმართ?

არაშენდაანთ ოჯახი ალის გაჩენისა და მასზე მოყოლილ უბედურებათა შემდეგ ვეღარა და ვეღარ ამოვიდა ხახამ გაბრიელას ვალიდან. თითქმის მთელი შემოსავალი არაშენდაანთი გაბრიელას ათი თუმნის ვალში მიდიოდა. მაინც ვერა და ვერ გადაწყვიტეს მისი ვალი. ბევრი ლანძღვა-გინება და მუქარა მიიღო არაშენდაანთ ოჯახმა გაბრიელასაგან. დასასრულს, ერთ კვირა დღეს მამასახლისმა დაუძახა დათუას საყდრის კარებთან გასულიყო. დათუა მაშინვე ადგა და წავიდა. გავიდა კარგა ხანი. დერეფნიდან მოესმათ რამდენიმე კაცის ხმა და ლაპარაკი. ცოტა ხანს უკან გაიღო კარები, დარბაზში შემოვიდა დათუა; მას შემოჰყვნენ მამასახლისი, ორი მისი თანაშემწე, ხახამ გაბრიელა და ერთი ვიღაც რუსულად ჩაცმული, სასამართლოს ბოქაული. „ათასი წელიწადი რომ ვიცოცხლო,— აგვიწერს სიმონა, — ვგონებ მაინც არ დამავიწყდეს ბიძაჩემი დათუას მაშინდელი სახის გამომეტყველება! სახისა კი არა მარტო, მთლად მისი არსების მდგომარეობა. ამ ნახევარ დღეს ის, ოცდათუთხმეტი წლის კაცი, სამოცი წლის მოხუცს დამსგავსებოდა. წელში საცოდავად მოკაკულს, გაყვითლებულს, თვალებ მიცვივნულს, დამპალ ხესავით გაქონდა ძანძარი. წინაპირველად ის თითქოს ვერაფერს ხედავდა: იჩერჩეტა, იჩერჩეტა და კინაღამ კერას გადააწყდა. დედაჩემმა მათ შემოსვლის დროს ერთი ღრმად ამოიკვნესა და მიჯდა თაროსთან“[18]. საწყალი, თავბრუ დასხმული დათუა ცოლის ხმამ ღა გამოარკვია. მიიხედ-მოიხედა და დაგლეჯილი დათვივით შეღრიალა: „ვენახი გაგვიყიდეს, ვენახი, ვენახი... ვაი ცოლო და შვილო. ნაფუძარი გაგვ“... — ამის გაგონებამ მთელი ოჯახის წევრებში ერთი საშინელი ტირილი და წიოკი აღძრა. „კაცს ეგონებოდა, ამ ხალხს ცხედარი უდევთ წინაო“. აი გლეხკაცის ცხოვრების უტყუარი სურათი კაპიტალიზმის განვითარების პირობებში.

ასეთი მწარეა შედეგი უილაჯო გლეხისათვის ნათლობა-ქორწილისა და წირვა-ხატობისა, რომელსაც გლეხის დედა-ბუდიანად მევახშის ყმად გახდომა მოსდევს.

აქ, მევახშეთა გლეხებისადმი დამოკიდებულების დახატვაში მეღავ-

---

[18] ნიკო ლომოური, ალი, გვ. 30.

ნდება ნიკო ლომოურის უარყოფითი დამოკიდებულება კაპიტალიზაციისადმი, რომელიც გლეხობას უფრო საშინელ ეკონომიურ პირობებში აგდებდა.

ამას გარდა, მოთხრობებით „ალი“, „ყოველის მხრიდან“ და სხვა ნიკო ლომოური ქართულ ლიტერატურაში ავითარებს ახალ ჟანრს, სოციოლოგიურ ნარკვევს, რომელიც დამახასიათებელი ჟანრი იყო არა მარტო ქართველი ხალხოსნებისათვის, არამედ რუსებისათვისაც.

სოციოლოგიური ნარკვევით ხალხოსნები და, კერძოდ, ნიკო ლომოური ახერხებდნენ გლეხის შევიწროებული მდგომარეობის მკვეთრ გამოაშკარავებას.

მარტო მღვდლები და სისხლის მწოვი ჩარჩები არ ავიწროებდნენ დაბეგრილ გლეხს, მარტო ესენი არ სარგებლობდნენ მისი უილაჯობითა და დაბეჩავებით.

გლეხს არა ნაკლებ ავიწროებენ ადმინისტრაცია — ხელისუფლების სხვადასხვა რანგის მოხელეები. დაწყებული მოსამართლე—მაზრის უფროსით და გათავებული სოფლის მამასახლისით—გზირით.

სახელმწიფო მოხელეები, რომელთა დანიშნულება ხალხის კეთილდღეობისა და მისი ცხოვრების პირობების უზრუნველყოფის სამსახური უნდა ყოფილიყო, თითქო სპეციალურად ისედაც დაჩაგრული გლეხის შესავიწროებლად იყვნენ მოვლინებულნი. სამსახურისა და თავის მოვალეობის აღსრულებას ისინი ისე უყურებდნენ, როგორც თავისი პირადი კეთილდღეობის განმტკიცების საშუალებას, ისედაც გაძვალტყავებული გლეხის ზურგზე და ხარჯზე. ესენიც, მწერლის გაგებით, გლეხთა მტრის ბანაკში აქტიურად მოღვაწეობენ.

ნიკო ლომოურის გულისყური და მხატვრული აპერცეპციაც გლეხის ცხოვრების ამ მხარესაც გაფაციცებით აკვირდება, შემაძრწუნებელ სურათს ყოველ ნაბიჯზე ხედავს და ხმას იმაღლებს ამ თვითნებობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ. მისი „ალი“, „ქრისტიანი ლეკები“, „ყოველის მხრიდან“ ფარდას ხდის ადმინისტრაციის მიერ გლეხობის უდიერ შევიწროებას.

განა სასამართლო არ არის, რომ ხახამ გაბრიელას ლაგამს არ ამოსდებს და არაშენდაანთ ვენახს, ნაფუძარს ათ თუმანში ჩარჩ გაბრიელას დაუნარჩუნებს? განა სასამართლოს ბოქაული და მამასახლისი არა ცდილობენ არაშენდაანთ ისედაც დაზარალებულ ოჯახს უკანონოდ წაგლიჯონ თორმეტი მანეთი, ვითომც და სასამართლოს ბოქაულის გასამრჯელო და ამ გადასახადში ფურკამეჩი გაიგდონ? ამ ძალმომრეობისაგან არაშენდაანთ მხოლოდ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი სიმონას დედის გაბოროტებაღა იხსნის.

ადმინისტრაციის ძალმომრეობის სურათი მთელი აღშფოთებითაა გადაშლილი ნ. ლომოურის მოთხრობაში „ქრისტიანი ლეკები“.

პატარა სოფელ ნიკრეულაში ყველაზე ღარიბად და ხელმოკლედ ცხოვრობს სვიმონა ლუკაშვილი — „მარტოხელა კაცი, წვრილი შვილისა და მცირე მამულის პატრონი. მართალია, ის ჯერ კიდევ ყმაწვილი ბიჭია, მაგრამ როგორღაც მოხუცი, დაძაბუნებული კაცივით გამოიყურება: სიარულის დროს მუდამ მიწაზე დაიცქირება, თითქოს დაუკარგავს რამე და იმის ძებნაშია გართულიო“[19].

სვიმონას გარეგნული შეხედულებაც კი, მის გაღატაკებულ სახლშიაც რომ არ შევიდეთ და მისი მშიერ-ტიტველი ცოლშვილიც რომ არ გავიცნოთ, საშინელი დაბეჩავებულის შთაბეჭდილებასა ტოვებს. „თქვენი კი არ ვიცი, მკითხველო, — სვიმონას მეტად სხარტსა და სწორ დახასიათებას გვაძლევს ავტორი, — და მე კი, როცა სვიმონა ლუკაშვილს წარმოვიდგენ ხოლმე, მაშინათვე თვალწინ ამეყუდება უზარმაზარი სურათი ასთავიანი დევისა, რომლის ტლანქ წიხლებქვეშ მიწაზე განართხული გდია სვიმონა; დევი სჭეჭყავს მას, ჰქელავს უსულდგმულო ნაბადივითა. სვიმონა მაინც არ კვდება, ცოცხალია, მაგრამ ვაი ამისთანა სიცოცხლეს“[20].

ასეთი თვალსაჩინო, ბევრის მეტყველი, ჭკითხველზე შთაბეჭდილების მომხდენი ალეგორიები დამახასიათებელი იყო საერთოდ ხალხისანი მწერლობისათვის და, კერძოდ, ნიკო ლომოურისათვისაც. ამგვარ ალეგორიებს ნიკო ლომოური ხშირად მიმართავს თავის შემოქმედებაში („გიგო ღრუბელაშვილი“, „ყოველის მხრიდან“ და სხვები).

სვიმონა ლუკაშვილის ამ დახასიათებაში ნიკო ლომოური მთელი მშრომელი გლეხობის დახასიათებას იძლევა, რომელიც გაჭირვების უღელქვეშ იზნიქებოდა და სიცოცხლეს მაინც ებრძოდა, ეჭიდებოდა.

ღარიბი სვიმონა ლუკაშვილის ოჯახიც ახალწელიწად ღამეს მხიარულ გუნებაზეა. გამუდმებული შევიწროებული ცხოვრებით შენახული და დამზადებული ხორაგით უნდა ახალ წელს დახვდეს, რომ სიღარიბე აღარ „დაეკვებოს“, იქნება ამით მაინც გაჭირვებას თავი როგორმე დაღწიოს. ესაა —„წყალ წაღებული ხავსს ეკიდებოდაო“.

სვიმონას სიმამრიც სწვევია. გამხიარულებული ოჯახი სამზადისშია. მოულოდნელად სვიმონას გარედან გზირის ხმა მოესმა, რომელმაც შეატყობინა: მამასახლისი მოვიდა, ცუდ გუნებაზეა და შენ გიბარებსო. სვიმონას გუნება მწარედ შეეცვალა. იცნობს მამასახლისს და იცის, რა არის მისი „ცუდი გუნება“. „ეგ პირის კომლ ამოსახუთი, — თქვა მან,— მე ვიცი ხეირს არ დამაყრის. იმ დღეს ი ხუთი მანეთი რომ ემართა ი კაცსა, ის ფული ამირთვა და გასამჯელოში ნახევარი მთხოვა. მე როგორც იყო, ხელთ ვიგდე ფული და ერთი მანეთის მეტი არ მივეცი,

---

[19] ნიკო ლ ო მ ო უ რ ი. ქრისტიანი ლეკები. 1963 წ.. გვ. 132.

[20] ი ქ ვ ე, გვ. 183.

გიჟი მოზვერივით დამიბრიალა თვალები და მითხრა: დაიცა, შვილოსან, ჩამივარდები როდისმე ხელში და მე გიჩვენებ მაშინ სეირსაო"[21]. თქვა ეს სვიმონამ მწუხარებით და თავის გაქნევით გაჰყვა გზირსა.

ასეთია ლოგიკა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი წყობისა: დაბალი თანამდებობის პატრონი ჰბაძავს უფროსს, ის კიდევ თავის უფროსს პირადი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გლეხთა შევიწროებაში. ასეა ცხოვრება მოწყობილი. ამას ებრძვის ხალხის მოკეთე მწერალი ნიკო ლომოური.

სვიმონას წინათგრძნობა გამართლდა. გზირი ზურაბა ლექსოშვილის სახლის წინ სვიმონამ დაინახა ოთხი ცხენოსანი: მამასახლისი და სამი მხლებელი ჩაფარი. ჩვეულების თანახმად, რომელ სოფელსაც კი მამასახლისი თავის მხლებლებით ერთად მისვლით „გააბედნიერებდა", ის სოფელი ვალდებული იყო გამასპინძლებოდა ამ დაუპატიჟებელ სტუმრებსაც და მათ ცხენებსაც. მამასახლისმა მოისურვა სვიმონასათვის თავის ძალა ეჩვენებინა. როდესაც სვიმონა მამასახლისს მძიმე თავის დაკვრით მიესალმა, მან ბრძანებით უთხრა მას: „წაიყვანე ემ წამში ეს ოთხივე ცხენი, თბილ ბოსელში დააბი და ქერი და ბზე არ მოაკლო".

სვიმონამ თავი ძირს ჩაღუნა, ვგონებ სრულიად უგრძნობლად ქედი მოიხარა; თავი, კისერი ძალზე მოიჩეჩა, შემდეგ ერთი ნაბიჯი უკან გადადგა და დაღრეჯით წარმოსთქვა:

— „ერთი ნამცეცი ბოსელი მაქვს, ჩემი საქონელიც ძლივს ეტევა, არც ქერი მაქვს, ღმერთმა ხომ იცის... ამიტომ გთხოვ, მამასახლისო, სხვასთან ვისთანმე დააბმევინო შენი ცხენები.

— შენები გამორეკე ბოსლიდამ და იმათი ადგილი მიეცი ჩვენ ცხენებს... ქერსაც მალე გაშოვნინებენ ჩემი ჩაფრები.

— შე დალოცვილო-და, რო გამოვრეკო ამ თოვლსა და სიცივეში, ხომ სულ ერთიანათ გამიწყდება ისედაც შიმშილისაგან დალასლასებული საქონელი. და აბა, მაშინ რაღა შავი ქვით და ნაცარი ცხელით გავცე პასუხი ან ღმერთსა და ან ხემწიფესა.

მამასახლისმა წარბი შეიკრა, გრძელ წვერზე დიდკაცურად ჩამოისვა ხელი და მრისხანებით შესძახა:

— ჩაფრებო, აბა ერთი კარგა გაბერტყეთ ეგა"[22].

მამასახლისის ბრძანება მისმა ერთგულმა ჩაფრებმა პირნათლად შეასრულეს. „სამნივე მისცვივდნენ სვიმონასა და შეუბრალებლად დაუწყეს ცემა-ტყეპა ბეჩავსა", „რომელიც ამ დროს ხან გველივით იხლაკნებოდა, ხან ძირსა ცუცქდებოდა, თითქო კინტოურსა თამაშობსო, ხანაც ფეხებს აქეთ-იქით იქნევდა და ჯამბაზივით ხტოდა". სვიმონას ეს

---

[21] ნიკო ლ ო მ ო უ რ ი, ქრისტიანი ლეკები, ტ. 187.
[22] ◦ ქ ვ ე, გვ. 128.

მდგომარეობა მის ჯალათებს ამხიარულებდა. ის ცოცხალ-მკვდარი ჩაფრებს ძლივს გააგდებინეს.

მწერალი დაუნდობლად აშიშვლებს სინამდვილეს.

განთავისუფლებულმა სვიმონამ მწუხარებითა და აჩქარებით გასწია შინისაკენ. სახლში რომ მივიდა, ცოლშვილს გამოვლილი უბედურება ქვითინით გადასცა. მთელი ოჯახი რაღაც გამოურკვეველ მწუხარებას მიეცა, თუმცა ამგვარი მოვლენა მათთვის არაჩვეულებრივი არ იყო.

მამასახლისმა ბეჩავ სვიმონას ეს არ აკმარა. დათეთქვილმა, შეურაცხყოფილმა სვიმონამ ვერც კი მოახერხა თავსდატეხილ მდგომარეობაში გარკვევა, რომ კარი გაიღო და მის სახლში შევიდა მამასახლისის მიერ გაგზავნილი ორი ჩაფარი. დაუპატიჟებელმა სტუმრებმა მოურიდებლივ, ცინიკურად მიმართეს სვიმონას: „აბა, მამასახლისისათვის ვახშამი მზად არის თუ არაო?“ მოსთხოვეს ინდაურები. უილაჯო სვიმონამ მიუთითა საახალწლო სამზადისზე და უთხრა წაეღოთ, ხოლო ინდაურებზე, რადგანაც არა ჰყავდა, უარი განაცხადა. ჩაფრებმა ყველაფერი წაიღეს, რაც ღირებული დაინახეს. სვიმონაც თან წაიყვანეს (ალბათ, მამასახლისისაგან ასე იყვნენ დარიგებულნი). მიიყვანეს ის მამასახლისთან და მოახსენეს, რომ სვიმონა ლუკაშვილმა ინდაური არ მოგვცაო. განრისხებული მამასახლისი წამოვარდა და შეჰყვირა: „ჩქარა თოკი“. როდესაც თოკი მოუტანეს, მრისხანედ დაიძახა: „მოიყვანეთ ეგ ღორი, ეგ ლობიოჭამია ტეტია და მაგრა მიაკარით ბოძზე“... ჩაფრებმა მყის შეასრულეს მამასახლისის სურვილი. სვიმონა მაგრად მიაკრეს თოკით ბოძზე. მამასახლისი არ დაკმაყოფილდა, „თავი ძირსა აქვს დაღუნული მაგ ღორსა, — ბრძანა მან,—აუკარით თავიც მაღლა: მე მინდა რომ ჩემ წინ გამოჭიმული იდგეს სალდათივით“. ყველა ეს დაუყოვნებლივ იქნა სისრულეში მოყვანილი.

საზარელი სანახავი იყო დამცირებული, შეურაცხყოფილი, უფლებააყრილი საბრალო სვიმონა: „ფერმიხდილი, უძრავად გაშეშებული, — აგვიწერს ავტორი, — ის უფრო ბოძზე აკრულ უსულდგმულო ცხედარსა ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ ადამიანსა. თოკმოჭერილ მკლავებიდან სისხლი ძირს დაშვებულ ხელებში ჩამოჰგუბებოდა, ამის გამო განზე გაპარჭყული თითები რუმბებივით დაბერილიყვნენ და ორთავე ხელები ნახშირივით დაშავებოდა. ასეთ მდგომარეობაში სვიმონამ ორი-სამი საათი გაატარა და კიდევ, შესაძლებელია, დიდი ხანი იქნებოდა, რომ შეუბრალებელი, ბეჩავი სვიმონა გზირს არ შეეცოდებინა და ცრემლითა და ვედრებით არ გაეთავისუფლებინა ის ჯალათების ხელიდან.

დაოსებული, გამწარებული და გაწბილებული სვიმონა ცოცხალ-მკვდარი დაუბრუნდა თავის დაწიოკებულ ოჯახს.

სვიმონა სრულებით უძლურია დაიცვას თავისი თავი, თავისი ოჯახი განადგურებისაგან. ავტორი, სვიმონას მდგომარეობა რომ უფრო

გასაგები გახადოს, მეტად მკვეთრს და თვალსაჩინო შედარებას მიმართავს: „მე მინახავს, — წერს უბედურთა მდგომარეობის ხილვით შეძრწუნებული მწერალი, — ძროხა, რომელიც დასაკლავად მიყავდათ. ის თითქოს ცხადადა გრძნობდა თავის მომავალ უბედურებას... საცოდავის ხმით ზმუოდა, ფეხები უკანა რჩებოდა, მთვრალი კაცივით ბარბაცებდა. სწორედ იმ ძროხასა ჰგავდა იმ წამში ჩვენი საბრალო სვიმონა“.

ასეთი მარტივი შედარებით მწერალი გლეხის მდგომარეობას ზუსტად გამოხატავს. ეს ხალხოსნების პოეტური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი იყო.

4

ნიკო ლომოური გლეხთა ამგვარი შევიწროებული მდგომარეობის დახატვით ხერხიანად სარგებლობს, რომ ამ ფონზე უფრო მკვეთრად გამოაჩინოს გლეხთა სურვილი დამოუკიდებელი ცხოვრებისა, მისი არსებულთან შეურიგებელი განწყობილება. მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ლომოური უდავოდ ტიპიური კულტურტრეგერი ხალხოსანია, გლეხთა რევოლუციონური სულიერი განწყობილების გამომჟღავნებასა და ჩვენებას თითქოს გაურბის კიდეც, მაინც მას, როგორც ხალხის — გლეხთა ცხოვრების კარგ მცოდნეს, მის მესაიდუმლეს, არ შეუძლია გლეხთა მდგომარეობის ეს მხარეც მთელი სიმწვავით და სისწორით არ გამოაჩინოს.

უწყალოდ ნაცემი „ჩალურჯებულ-ჩასისხლიანებული“ სვიმონა ლუკაშვილი მეორე დღეს ლოგინიდან ვეღარ წამოდგა.

მწერალმა, რომ უფრო გაამახვილოს გლეხთა შევიწროებული მდგომარეობის დახატვა, უზადოდ შეურაცხყოფილ, უილაჯო სვიმონას ბოდვის სახით გადმოანთხევინებს ცხოვრების უსამართლობით გამოწვეულ და დაგუბებულ ბოღმას: „სწყევლიდა სულიერსა და უსულოს, დიდსა და პატარასა, შემაძრწუნებელი სიტყვებით ლანძღავდა თავის მშობელს, თავის შავბნელ გაჩენის დღესა... ავადმყოფი მძინარე სვიმონასაგან ესმოდათ ისეთი სიტყვები, რომლების მსგავსსაც კი ფხიზელი და კარგად მყოფი სვიმონა ფიქრადაც კი ვერ გაიტარებდა“. ასეთს მდგომარეობაში სვიმონას განცდის დახატვა მკითხველის შთაბეჭდილებას კი არ ანელებს; არამედ უფრო აძლიერებს, ამძიმებს, გლეხის დაბეჩავებული მდგომარეობისა და შინაგანი, დაფარული წინააღმდეგობის შთაბეჭდილებას ამახვილებს. მკითხველის თანაგრძნობას სვიმონასადმი უფრო აღრმავებს და ავტორის სურვილიც ხომ ესაა.

შეშინებულმა სვიმონას ცოლმა დაუძახა მეზობლებს, გიორგი დალაქს. უკანასკნელმა სვიმონას წურბელები მოჰკიდა. დაბეჟილი სხეულიდან დაგუბებული სისხლი გამოუშვა და მომაკვდავი სვიმონა სიცოცხლეს დაუბრუნა.

„ყოველი მხრიდან“ შევიწროებულ გლეხობას ამ ძალმომრეობის ნახვით მრავალი ამგვარი გამოვლილი „უღმერთო მოქმედებანი“ მოაგონდა, ბოღმა მოაწვა და ბოლოს ერთხმად გადაწყვიტა მამასახლისზე საჩივრის მირთმევა.

მწარე სინამდვილის კარგმა მცოდნე მწერალმა კარგად იცის, რომ ამგვარ საჩივარს ძალმომრეობის ქვეყანაში გასავალი არა აქვს. ეს გზა ხალხის მიერ არა ერთხელაა ნაცადი, მაგრამ გამკითხავი არავინაა. მშვიდი, კანონის გზა უკანონო ქვეყანაში არ გადის, „კანონი“ ძალმომრეთათვის მხოლოდ ფარია. ეს კარგად განიცადა და გაიგო კიდეც ხალხის გულის მესაიდუმლე პოეტმა. ნიკო ლომოურიც იმ დასკვნამდის მიდის, რომ ძალას ძალა უნდა დაუპირისპირდეს. გლეხებიც ამ გზას უნდა დაადგნენ.

ამგვარ შეხედულებას ნიკო ლომოური ზემოხსენებულ მოთხრობაში გიორგი დალაქის პირით გამოხატავს: „რამ დაგაქალაჩუნათ ასრე, თქვე საცოდავებო, თქვენა! რომ იძახით ვიჩივლოთ, მერე რას მოელით მაგ საჩივრიდან?.. შარშან არ იყო, რომ იჩივლეთ, რა ხეირს შეეყარენით?.. ტურა მოიშორეთ და მის სამაგიეროდ მგელს ჩაუცვივდით პირშია... ახლა ამ მგელსაც უნდა უჩივლოთ... აი ეს დღე ხიშანი იყოს და დაინახავთ, რაც მოგივათ მერმისა... მგლის ნაცვლად ახლა დათუნიას წამოისვამთ კისერზედა... ბიჭო, თქვე უგუნურებო, როგორ ვერ შეიტყვეთ, რომ ტურებსა და მგლებს კბილების ჩამტვრევა უნდათ და არა საჩივრების გაბმა. წუხელი რომ ე მარტოხელი ბიჭი ბოძზე მიაბა და კინაღამ ჭიასავით გასრისა ფეხითა, სად იყავით თქვენა?.. რატომ არ მოუცვივდით და თავი და პირი ზედ არ დააჩეჩქვეთ იმ ავაზაკსა იმასა?.. შარშანდელი ტურასთვის რომ ჭკვა გესწავლებინათ, წლევანდელი მგელი ესრე როდიღა მოიქცეოდა“[23].

გიორგი დალაქის სიტყვები ყველა დამსწრეთ გულში მოხვდებათ. გიორგის ყველა მწუხარებით დაეთანხმება, რომ მართლაც ისინი დაბეჩავებულნი და დაქალაჩუნებულნი არიან. ხალხის მიმართვა გიორგისადმი—„გამოცდილი, ჭკვიანი კაცი ხარ, გიორგი, და აბა ერთი გვითხარი... რამ დაგვცა და დაგვაქალაჩუნა ასე უღმერთოთ“, — მძიმე ლოდსავით აწვება ყველას: გიორგის, იქ დამსწრე გლეხებს, თვითონ მწერალს და მკითხველსაც. მკითხველი გრძნობს, რომ შევიწროებული ხალხის გულში ბოღმის, შურისძიებისა და უნდობლობის ზღვაა დაგუბებული, მაგრამ არც გლეხთათვის და არც მწერლისათვის ბრძოლის გზა ჯერ არ არის გარკვეული.

მმართველობისადმი გლეხობის ასეთი უნდობლობა, რწმენა, რომ მასთან ხალხი სამართალს ვერ იპოვის, რომ გლეხობაზე მთავრობა არა

---

[23] ნ. ლ ო მ ო ურ ი, ქრისტიანი ლეკები, გვ. 196.

ზრუნავდა, როგორც მოწინააღმდეგე კლასის ინტერესების დამცველი, ნიკო ლომოური გვიხატავს აგრეთვე მოთხრობაში „ყოველის მხრიდან“.

შევჩერდებით ამ მოთხრობაზე, რადგანაც ამით ზოგიერთი ლიტერატორის გაგებით, ავტორი ვითომც ქადაგებდეს მამაშვილურ დამოკიდებულებას ბატონსა და გლეხს შორის, კლასთა შორის შეთანხმებასა და შერიგებას. ვფიქრობთ, ეს მართებული არ არის. ნ. ლომოური, როგორც წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის ამსახველი, რასაკვირველია, სათანადოდ ვერ ამახვილებს კლასთა შორის წინააღმდეგობას. ის, როგორც ხალხოსანი, ვერ ხედავს კაპიტალიზმის განვითარების დადებით მხარეებს და უარყოფითად უყურებს მას, მაგრამ მაინც შერიგების და თანამშრომლობის პოზიციას ის არსად არ ავითარებს. მიუხედავად იმისა, რომ ნ. ლომოური ილია ჭავჭავაძის დიდ გავლენასაც განიცდის, ამ მხრივ ის ილიასაგან უდავოდ არსებითად განსხვავდება, თითქოს უპირისპირდება კიდეც.

დავუბრუნდეთ მოთხრობას „ყოველის მხრიდან“.

დაისეტყვა სოფელი მოსავლის აღების წინ. განადგურდა გლეხკაცთა ჯაფითა და ოფლით ნაზარდი ჭირნახული. სოფელი, დილას სავსე, მიმზიდველი თავისი დამატკბობელი სიუხვითა, სამხრობისას გასახრწნელად გამზადებულ ლეშს წააგავდა. ადამიანი ამ სურათით გამოწვეულ სასოწარკვეთილებას „წელში ოთხად მოეკაკვა და წყევლა კრულვას უგზავნიდა ცასაცა და ქვეყანასაც, თავის გაჩენის დღესაც“...

გუშინ თუ შრომა და მისი ნაყოფი დაისეტყვა, „დღეს იგვემებოდა, შემოქმედი ამ შრომისა, წყარო და საფუძველი მისი“. ბუნების ასეთი ღალატით თავზარდაცემული გლეხები ჩუმად იკრიბებოდნენ. ისინი, უილაჯონი, რაღაც ჯადოსნურ ჩიხში იყვნენ მომწყვდეულნი.

ასეთი გარინდებული მდგომარეობიდან გლეხობას გამოიყვანს ამავე სოფელში მცხოვრები აზნაური იასე, რომელიც მათ თანაგრძნობის კილოთი ასე მიმართავს: „გამარჯვებათ, ძმებო, შვილებო, მეზობლებო... რას გაჩუმებულხართ, რას ჩაგიქინდრიათ უხეიროდ თავები? რა იყო, რა მოხდა ისეთი, რაც მრავალჯერ არ გვენახოს და არ გამოგვეცადოს? „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსა“-ო... უთქვამს ჩვენს მამა-პაპას. ქვეყანა დიდია, ღმერთი მაღალია, ხელმწიფე მრავალმოწყალე! მხნედ იყავით და გაძლიერდებითო, გვეუბნება მაცხოვარი. წლის სარჩო დაგვეღუპა, მაგრამ მერე რაა? შიმშილი ვინ მომკვდარა საქრისტიანოში, რომ ჩვენ დავიხოცნეთ! შარშანდელი ჭირნახული მაქვს კიდევა. ზოგსაც სხვადასხვა სოფლებში შევიგროვებთ. ახლა თქვენცა გყავთ იმ სხვა სოფლებში ნათესავები, ნათელმირონები... იმათგან ხელს მოინაცვლებთ... გამხნევდით, შვილო, ნუ გეშინიათ, იქონიეთ მუდამ

ღვთისა და თქვენი მარჯვენის იმედი და მაშინ არა გაგიჭირდებათ რა...“[24]

მოხუცი აზნაურის ნუგეში, შესაძლებელია ამ მომენტში გულთბილი, რაღაც დისონანსად გაისმის.

იქნება ეს სახე ავტორს მართლაც იმიტომ შემოაქვს, რომ „მამაშვილური დამოკიდებულებისა და შეთანხმების იდეა“ გაატაროს?

ამას აუცილებლივ კვლევა და ჩხრეკა სჭირია და ჩვენც ვეცდებით ამ საკითხის გაშლას ნ. ლომოურის შემოქმედების მიხედვით.

მოხუცი აზნაურის რჩევა-დარიგება გლეხებს მძიმე ბურანიდან თითქოს გამოაფხიზლებს. მაგრამ მალევე აღმოჩნდება, რომ გლეხის გულში მემამულემაც, ღმერთმაც, ხელმწიფემაც დიდი ხანია ნდობა დაკარგეს. ხალხი მწარე გამოცდილებით დარწმუნებულია, რომ მათი იმედი მხოლოდ მათივე მარჯვენაა, ყველა დანარჩენის იმედი ტყუილია.

ვფიქრობთ, ავტორს აზნაური იასეს სახე და მისი რჩევა იმ მიზნითა აქვს შემოტანილი, რომ კლასობრივი სხვაობა მათ შორის დაგვანახოს და მწერლისათვის დამახასიათებელ რბილ ტონებში გვაჩვენოს, რომ გლეხთა შემბრალებელი და დამხმარებელი არც ღმერთია, არც ხელმწიფე და არც მემამულე-მებატონე. ამისი საბუთები შემდეგია:

აზნაური იასეს სიტყვებმა გლეხობა აალაპარაკა. დაიწყეს მათ საუბარი თავიანთ შექმნილ მდგომარეობაზე. გამოარკვიეს, რომ ყველაზე მძიმედ მათ სახელმწიფო გადასახადი აწევთ. რამდენიმე გლეხი თხოულობდა მთავრობასთან არზის დაწერას. უმრავლესობა ამისი წინააღმდეგი იყო: „მოვლენ და რომ დაინახავენ, რომ არა გვაბადიარა თავს დაგვანებებენ და უკანვე წავლენო“. მაგრამ ბოლოს მაინც უმცირესობამ გაიმარჯვა, დააწერინეს არზა, მოაწერეს ხელი და მაზრის უფროსთან გაგზავნეს.

ნიკო ლომოურს ჰსურს საბოლოოდ ნიადაგი გამოაცალოს გლეხთა მცირე ნაწილის ნდობასაც, ვითომც შეძლებულთ, ხელმწიფეს — მის მმართველ აპარატს, შეუძლიათ გაიგონ გლეხთა გაჭირვება და მათზე ზრუნვა.

არზის საპასუხოდ მოვიდა ბოქაული, თავისი თვალით ნახა დასეტყვილი სოფლის უნუგეშო მდგომარეობა. თავისი შეხედულებაც მიართვა უფროსებს. ამ გარემოებამ სოფლის ურწმუნო თომაებზედაც კი მოახდინა გავლენა. სოფელს რაღაც იმედი მიეცა. მაგრამ ჯიუტი, სინამდვილის კარგი მცოდნე ავტორი ამ იმედსაც გააცრუებს. სოფელს მთავრობისაგან საბოლოოდ მოუვიდა შემდეგი პასუხი: „გამოეცხადოს ამა და ამ დასეტყვილი სოფლის მცხოვრებელ გლეხებს, რომ მათ ეძლევათ ნება წარმოადგინონ წელსა სახელმწიფოს ხარჯის მხოლოდ ნახევა-

[24] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ყოველის მხრიდან, გვ. 370.

რი, ხოლო მეორე ნახევარი შემოიტანონ მერმის მაშინდელ ხარჯთან ერთად"[25].

რაღაც მწარე დაცინვა მოისმის დაბეჩავებულ, ეკონომიურად გაწრიოკებულ ხალხისადმი მთავრობის ამ პასუხში. ნიკო ლომოურს ამგვარი ფინალით სურს მკითხველს და თვით გლეხს, რომლისთვისაც ის წერდა, ჩააწვეთოს, რომ გლეხი შველას ამ ხალხისა და დაწესებულებებისაგან ტყუილად ელის. მწერალს თითქოს ეშინიან, რომ ვაი თუ მკითხველმა ვერ გაიგოს მისი აზრი და ასეთს განმარტებას გვაძლევს: „როდესაც ეს პასუხი ხალხს გამოეცხადა, ურწმუნო უმრავლესობამ თავის ქნევით და მწარის ღიმილით შეხედა არზის მომხრე მეზობლებს, რომელნიც თავჩაქინდრულნი იდგნენ და ისე იცქირებოდნენ აქეთ-იქით, თითქო, ვერ მიმხვდარიყვნენ ამ პასუხის შინაარსს"[26].

კლასობრივ შუღლსა და შეურიგებლობას ნიკო ლომოური უფრო გამახვილებულად მოთხრობა „ბედი უბედურთა"-ში გვიჩვენებს. მეტად საგულისხმიეროა, რომ ეს მოთხრობა ნიკო ლომოურს დაწერილი აქვს 80-იანი წლების დასაწყისში[27]. ეს გარემოება მით არის საინტერესო, რომ ამ მოთხრობაში გატარებული შეხედულება ავტორისათვის, ჩანს, თავიდანვე დამახასიათებელი და ბუნებრივი იყო, ეს განწყობილება ავტორისა 900-იანი წლების გლეხთა რევოლუციონური მოძრაობის გავლენის გარეშეა მოცემული. ამასთან ერთად, საგულისხმიეროა, რომ ავტორი საკმარისად საღი, წინასწარი განჭვრეტით გვიხატავს გლეხთა ცხოვრებას, როდესაც გაღატაკებულმა, ძალმომრეობით შევიწროებულმა, უმიწაწყლო სოფელმაც მაგრად ჩაავლო ხელი გამათავისუფლებელ მოძრაობას, დაიწყო მზადება უკეთესი მომავლის მოპოვებისა და შეხვედრისათვის, თავისში გააღვივა რევოლუციური განწყობილება.

ნიკო ლომოური გლეხთა მოძრაობას, მათი წინააღმდეგობის განვითარებას მიწის ნაკლებობის ნიადაგზე შლის. გლეხს არა აქვს საკმარისი მიწა, რომლის დამუშავებამაც ის დღე-დღეულად მაინც გამოიყვანოს. თვით სოფლის გარეგნულ აღწერას მწერალი ისე იძლევა, რომ მკითხველს მოთხრობის დედააზრის კურსში უმალ აყენებს.

„სოფ. გორიძირას, — გადმოგვცემს ავტორი, — უჭირავს ძლიერ პაწაწინა ალაგი, თუმცა მასში ას კომლამდის გლეხობა და სამიოდ კომლი თავადაზნაური ცხოვრობენ. თუ შინაურულად არ იცით ამ სოფლის გარემოება, მის მცხოვრებთა რიცხვის გამოცნობაში თქვენი თვალი უსა-

---

[25] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ყოველის ჴხრიდან, გგ. 372.

[26] ი ბ ი ვ ე.

[27] მოთხრობა „ბედი უბედურთა" ზაქ. ჭ ჭ ი ნ ა ძ ი ს მიერ მ ე ო რ ე დ ვა-ბოცემულია ქ. თბილისში 1889 წელს. ამ ნაწარმოების პირველ ვამოცემად ზ. ჭიჭინაძემ ჩათვალა ჟურნ. „ივერიის" ტექსტი, დაბეჭდილი 1880 წ., (№ 1).

თუოდ მოსტყუვდება. არც იქნება ეს საკვირველი. აქაურს გლეხკაცთ ისე მიუსხავთ და მიუკრუნჩხავთ ერთმანეთზე თავიანთი ღრმადჩათხრილი მიწური სახლები, რომ გეგონებათ ოციოდ მოსახლეობაზედ მეტი არ იქნებაო"[28].

აქ თითქოს შემთხვევით მოცემულ ხაზებში თვალსაჩინოდ გვეხატება სოფლის კლასობრივი ურთიერთობა — სოფელში ცხოვრობდა „ას კომლამდის გლეხობა და სამიოდ კომლი თავადაზნაური". აი ნამდვილი შეფარდება: ასიოდ კომლი გლეხი მუშაობს სამიოდ კომლ თავადაზნაურისათვის. ამაშია გლეხთა გაჭირვების მთავარი მიზეზი. ეს არის მთავარი ტკივილი ნ. ლომოურისაც.

მწერალს სურს მკითხველს გააგებინოს მიზეზი გლეხის ხშირად არაჰიგიენურ პირობებში ცხოვრებისა. მკითხველს უნდა აჩვენოს, რომ ამაში გლეხი კი არაა დამნაშავე, არამედ მისი ცხოვრების მძიმე პირობები. ავტორის შეკითხვაზე — რად ცხოვრობენ გლეხები „ასე ერთი ერთმანეთზე მიმსხდარნი?" — გლეხობა ასე უპასუხებს: „რა ვქნათ, შენი ჭირიმე, ჩვენ რო განზედ დავდგეთ, სახნავ სათესი მინდორი სულ დაგვიპატარავდება. ჯერ ეხლაც არა გვყოფნის მამული და აბა, შენი კვნესამე, სოფელიც რომ გაგვეჭიმ-გამოგვეჭიმა, რიღათი გვეცხოვრა".

მიწის სიმწირე და სიმცირე, უჯიათობა და უმეცრება გლეხს უათკეცებს ცხოვრების მძიმე პირობებს. ავტორი, ამ გაჭირვებასთან შეჩვეული, მაგრამ მაინც შეურიგებელი, აგვიწერს გორიძირის მცხოვრებთა ეკონომიურ შევიწროებასა და ისედაც მცირე მოსავლის განადგურებას სარწყავი წყლის უქონლობის გამო. ესეც ჩვეულებრივი მოვლენა იყო ჩვენი ჩამორჩენილი სოფლის ცხოვრებაში!

უწყლობამ გორიძირას მცხოვრები გლეხობა მეტად შეაწუხა. სიმინდი, ვენახები მოურწყავად ეღუპებათ. წყალს რიყელები, ადგილობრივ მცხოვრებ თავადაზნაურთა ბრძანებით, გორიძირელებს არ ანებებენ, ჭირნახული ფუჭდება, გლეხობას საზრდო ხელიდან ეცლება. გორიძირელები ორწყალს შუა ვარდებიან—მებატონის განრისხება თუ შიმშილი? შიმშილი სძლევს და გორიძირელებიც გადაწყვეტენ, თუ ნებით არა, ძალით გადმოუგდონ სარწყავი რუ.

გორიძირელებმა გადაწყვიტეს სოფლის შეკრება და საერთო ძალით საშუალების გამონახვა. სოფელ გორიძირას მოკიდებული აქვს „ერთობის ძალა", სოფლის ერთობას სათავეში უდგანან—ღარიბი აზნაური ინტელიგენტი ვანო მხიარულიძე და გლეხები: გიგო სოსიაშვილი და სოლომანა ფარცხაძე.

ნიკო ლომოურის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ნიუანსებითაა მოცემული გამწვავებული კლასობრივი ურთიერთობა სოფლად.

---

[28] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ბედი უბედურთა, 1963 წ., გვ. 69.

შეკრებილმა გლეხობამ გაგზავნა კაცები თავადებისა და აზნაურების მოსაწვევად საერთო საქმეზე. მაგრამ ზოგი შინ არ დახვდა (ხატობაში წაბრძანებულიყვნენ საქეიფოდ—განმარტავს ავტორი) და ზოგმაც იუკადრისა გლეხობასთან შეკრებაზე მისვლა. „თავად კონა ხმამაღალაშვილს სიცილად არ ჰყოფნიდა გლეხებთან თავისი მიწვევა. მას ეს მიწვევა თავისი თავადიშვილობის შეურაცხყოფად მიეღო და გაგზავნილი ბიჭი სულ მათრახების ცემით გამოეგდო“[29].

მაგრამ გლეხობაც ხომ აღარ არის ძველი, დამონებული, რომელიც ყოველგვარ ძალმომრეობას ქედმოდრეკით იღებს კისერზე. აღარ იყო ის დრო, „როდესაც კაცებს ჭამდნენ და ხმას ვერავინ იღებდა“. გამათავისუფლებელი მოძრაობის სიო ამ დროს ჩვენ სოფელშიც ჰქრის და ადამიანური ცხოვრების საჭიროებას გლეხობაშიც თანდათან აღრმავებს. გლეხობამაც შეიგნო, რომ უკეთესი ცხოვრების მოპოვებისათვის წინააღმდეგობას წინააღმდეგობით უნდა დახვდეს.

ამიტომაა, რომ გიგო სოლომანთან ერთად ვანოს დასტურით მოითხოვს კონა ხმამაღალაშვილს სახლი შეუკრან, აჩვენონ მას სოფლის ძალა და ურჩობა. სოფელი სტიქიურად ირაზმება თავდაცვის მიზნით (უწყლობა გვალვის დროს სოფლისათვის შიმშილით სიკვდილის აჩრდილია); ის იძულებულია ბატონის წინააღმდეგაც მოიხმაროს ძალა, წყალი (ნაწილი მაინც) გადაუგდოს თავისაში. ამ მოთხრობაში საოცრადაა განჭვრეტილი დაახლოებით ოცი, ოცდახუთი წლით ადრე 900-იანი წლების პერიოდის სოციალური ვითარება.

ნიკო ლომოურმა რომ უფრო გააღრმავოს კლასობრივი სხვაობა და აჩვენოს მათ შორის შეურიგებლობა, შემდეგ ხერხს მიმართავს: გლეხები ცდილობენ მებატონესთან წყნარის, შებრალებისა და შთაგონების გზით მოაგვარონ საქმე. მაგრამ სოლომანას კრძალვით მოხსენებაზე: „ჩვენ ჩვენი წილი რუ გამოუშვით აქეთკენ, თქვენი წილი თქვენვე მოგართვით, შენი ჭირიმე“, — ხმამაღალაშვილები და ყლაპიაშვილები ძალით მოინდომებენ აშალონ გლეხების მიერ გადმოგდებული რუ. გლეხები მხოლოდ მაშინღა გამოიღებენ ხელს, დაერევიან, თავადაზნაურთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გაუმართავენ და მათ თავ-პირ დამსხვრეულთ დაიფრენენ.

ნიკო ლომოური ამ მოთხრობაში (გვ. 97—99) მართლაც რეალურ ფერებში და ხაზებში გვაძლევს გლეხის გაუბედავ ბუნებას. მაგრამ ამასთან ერთად მკვეთრსავე ფერებში გვიხატავს იმასაც, რომ ეს ხალხი იღვიძებს, წამოდგომას ლამობს. ახლა მან დაინახა თავისი კლასობრივი მტერი — მემამულე-თავადაზნაურები — ხმამაღალაშვილები, ყლაპიაშვილები და სხვანი. აღარ დევნის თავის მოკეთეებს, „ერთობის ხალხს“,

---

[29] ნიკო ლ ო მ ო უ რ ი, ბედი უბედურთა, გვ. 91.

„ახალთაობის კაცებს“—გიგოს, ვანოს და სხვათა. მიუხედავად მოწინააღმდეგის პრივილეგიებისა, მათი ძალაუფლების მქონეებთან ნათესაური კავშირისა, გლეხობა ბედავს საწინააღმდეგოდ ხელის გამოღებას, მსხვერპლსაც კი არ უშინდება. ამ საერთო მოქმედებაში ერთობის პირის გამტეხთ თავიანთი წრიდან გლეხები სასტიკად ეკიდებიან.

ასე მძლავრად მოედვა სოფელს ერთობის ძალა. ასე გამწვავდა სოფლად კლასობრივი უთანასწორობა. ნ. ლომოურიც ამას საკმარისად კარგად ხედავს.

ნიკო ლომოურს თვალსაჩინოდ, გამახვილებულად აქვს წარმოდგენილი და ასახული კლასობრივი უთანხმოება და ბრძოლის სიმწვავე. ამის საბუთს ესევე მოთხრობა — „ბედი უბედურთა“ მკაფიოდ გვაძლევს.

გლეხთა და თავადაზნაურთა შორის მწვავე შეტაკების შემდეგ მათ შორის უთანხმოება და ბრძოლა გარკვეული, კლასობრივად გამახვილებული მიმართულებით ღრმავდება. თავადაზნაურობა — კონა ხმამაღალაშვილი და სხვანი ცდილობენ გლეხთა ერთობის პირი როგორმე გატეხონ, ცდილობენ ერთობის შიგნით შექმნან უკმაყოფილონი, გადმოიბირონ გლეხები, გამოიყენონ ისინი ერთობის კაცების დასჯისათვის და ხელი შეუწყონ პოლიციურ-ბიუროკრატიულ სახელმწიფოს გლეხობა დაარბიოს, ააწიოკოს, შეავიწროვოს, დასაჯოს „სხვათა ჭკუის სასწავლებლად“, რათა ძირშივე აღმოფხვრას გამათავისუფლებელი მოძრაობა.

ნიკო ლომოური საკმარისად მკაფიოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ თავადაზნაურობა რეაქციის სიმაგრე იყო და ერთგულად ემსახურებოდა ბიუროკრატიულ მთავრობას ძველი წყობილების შენარჩუნებაში, გამათავისუფლებელ მოძრაობასთან ბრძოლის საქმეში.

აი რას გაანდობს კონა ხმამაღალაშვილი მასთან შეკრებილ თავადაზნაურებსა და გადაბირებულ გლეხებს: „მე მონდობილი მაქვს მთელი ე ჩვენი მხარე. აქ მე თვალყური უნდა ვადევნო — ვინ რა წინააღმდეგობას იტყვის, ანუ ჩაიდენს. მერე უნდა დავასმინო... მე ეგ ვანო (ვანო მხიარულიძე—ღარიბი აზნაური — განათლებული, ერთობის მოთავე გორიძირაში. — მ. ზ.) ბევრ რამეში მყავს დაჭერილი, აქამდინ ვითმინე და ახლა კი მოთმენა აღარ შემიძლიან. ჩემ გარდა სხვებიც არიან დანიშნული, იმათ რომ გაიგონ მაგის საქციელები და დაასმინონ, მე მაშინ საყვედურს მივიღებ და მოვაკლდები ჩემს ეხლანდელ ალაგსაც... ამასთანავე საქმე გააჭირა მაგ შეჩვენებულმა. მე დღესვე ქალაქს წავალ და მალე მტერი მე მომიკვდეს, მალე მე ეგ მოგაშოროთ თქვენა“[30].

მწერალი გულის ტკივილითა და დაუზოგველი შხამით გვიხატავს

---

[30] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ბედი უბედურთა, გვ. 110.

თავად კონა ხმამაღალაშვილს, რომელიც რამდენიმე გლეხს გადაიბირებს, რათა შური იძიოს ვანო მხიარულიძისა და გიგო სოსიაშვილისა, როგორც გლეხთა მოძრაობის მეთაურებისა. ნათესაური კავშირის საშუალებით ძალაუფლების მქონეებთან კონა ორივეს დააჭერინებს: ვანო მხიარულიძე ციხეში დასნეულდება. მძიმე ავადმყოფს ძმის თავდების ქვეშ გამოუშვებენ და მალე გარდაიცვლება, ხოლო გიგო სოსიაშვილს ციმბირში უკრავენ თავს.

მაგრამ კონა ხმამაღალაშვილი ამით არა კმაყოფილდება. მას უნდა შურისძიება გააღრმავოს და გიგოს განიავებული ოჯახი, მოხუცი დედა და წვრილი ცოლ-შვილი უფრო შეავიწროვოს. როდესაც გიგოს დაწიოკებული ოჯახი შეიტყობს მის ციმბირში გაგზავნას, საშინელი ვაი-ვაგლახი შეუდგება. კონა და მის მიერ გადაბირებული გლეხები სწორედ ამავე მომენტში მოინდომებენ გიგოს სამაგიერო გადაუხადონ და მის ოხრად დატოვებულ ოჯახს ძროხა დაუკლან. ავტორი გულშემზარავად გვიხატავს ამ ორი მოწინააღმდეგე ძალის დაჯახებას, მოხუც ბაბალესა და მთელი ოჯახის შეძრწუნებასა და გლოვას, ძროხის დაკვლით გამოწვეულს, ძალაუფლების მქონეთა შურისძიებასა და ზეიმს რეაქციის ხანაში.

ცხადია, ავტორი, მიუხედავად წვრილბურჟუაზიული კლასობრივი შეგნების გაურკვევლობისა, მაინც გულის სიღრმეში გრძნობს ამ კლასთა, თუ წოდებათა შეურიგებლობას და საგრძნობი სიმკვეთრით ამჟღავნებს მათ შორის, მართლაც, „ჩატეხილ ხიდს“.

ნიკო ლომოურის ფსიქოიდეოლოგიის გარკვევისათვის, მის თერგდალეულებთან დაპირისპირებისათვის, საკმარისად საგულისხმიერო მასალას იძლევა მისი რომანი „წუთისოფელი“. ეს რომანი აკინძულია სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების გარდამავალ პერიოდში განვითარებულ თავადაზნაურთა ფსიქოლოგიის გაშლის ქარგაზე.

რომანი „წუთისოფელი“ ორი კატეგორიის თავადაზნაურთა ფსიქოლოგიას იძლევა, ცხოვრების კაპიტალისტური განვითარების პროცესში ფეოდალური მეურნეობისა და კულტურის სწრაფი რღვევის პროცესში თავადაზნაურთა წოდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჰკარგავს ნიადაგს, კნინდება და გადაგვარდება.

ერთი ნაწილი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩა ეკონომიური დოვლათი (რასაკვირველია, მამულის სახით) — თ. თორნიკე ბადრიძე, მისი შვილი გედეონი, კნ. რუსუდანი, თ. თეიმურაზ ნაზირიშვილი, მისი კნეინა თეკლე და ქალი ბერტა (წინათ მართა), ესენი განაგრძობენ ფეოდალური ტრადიციებით ცხოვრებას, ვერა გრძნობენ ოჯახის უკან დახევას, ვერ ამჩნევენ ნიადაგის რღვევას. მათ თანდათან ნებისყოფა უჩლუნგდებათ და დაკნინებისა და გადაგვარების გზას ადგებიან. რომანში ამ-

გვარი ტიპის გამახვილებულად გამომხატველნი არიან გედეონ ბადრიძე და ბერტა ნაზირიშვილი.

თავადაზნაურთა მეორე ნაწილია — ხელმოკლე მემამულენი, რომელნიც, ქვეყნის კაპიტალიზაციის გამო, მალე გაღატაკდნენ. ისინი მალე დარწმუნდნენ თავიანთ ეკონომიურ უილაჯობაში, შეშინებულისა და განწირულის სურვილით დაუწყეს ახალ ცხოვრებას პოტინი. უილაჯო, უგზო-უკვლოდ შეშინებულ თაგვებსავით აქეთ-იქით გარბოდნენ, არც იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ცხოვრებისათვის მოუმზადებელნი, საშინელ მორალურ განურჩევლობას იჩენდნენ, თავის გადარჩენის მიზნით, არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ. ასეთია რომანში „წუთისოფელი“ აზნაური მიხეილ მჟაუნაშვილი.

რომანი „წუთისოფლის“ ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა მიხეილ მჟაუნაშვილია. ამ ხასიათის გაშლით ავტორი ლამობს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ფართოდ დახატვას. და უნდა ითქვას, გზადაგზა არა ერთი საინტერესო და მტკივნეული საკითხია აღძრული: ფეოდალურ ოჯახებში მიღებული და გაბატონებული აღზრდის სისტემა, ცხოვრებისა და პირადი სიამოვნების მიღების მიზნით კაცის მოკვლა, გლეხთა მუდმივი აწიოკება და სხვ.

მიხეილ მჟაუნაშვილის ცხოვრების გზა ჩვეულებრივი იყო გაკოტრებული პრივილეგიური კლასის წარმომადგენლისათვის, რომელმაც იგრძნო ნიადაგის რღვევა, ეკონომიური დოვლათის დაკარგვა, მისი ხელახლად შეძენის აუცილებლობა და ამ შეძენაში დაკარგვა ადამიანის ღირსების გაგებისა.

მეტად დამახასიათებელია და ავტორის მათდამი დამოკიდებულების გამომხატველი ის ამორალური აღზრდის სამი მცნება, რომელსაც ბაადურ მჟაუნაშვილი თავის პირმშოს, მიხეილ მჟაუნაშვილს ექვსი წლიდან ჩააწვეთებდა.

ბაადური მიიყვანდა ხოლმე შვილს კედელზე ჩამოკიდებულ სამ სურათთან და მამობრივის დარიგებით შემდეგნაირ განმარტებას აძლევდა: „აი შვილო, ე რო ჭიდაობენ, ეს ერთი ყარამან გმირია, მეორე ბაყბაყმდევი. ხედამ, ყარამანს როგორ დაუძლევია მდევი?.. გმირია, გმირი ყარამანი! აბა, ჩემო ბიჭიკო, ვინძლო შენც ყარამანი გამოხვიდე! ჩემმა წუწკმა ბიძაშვილებმა მამულიც წამართვეს და თითონვე კინაღამ ცემითაც მომკლეს... შენი ჭირიმე, ბიჭიკო, ერთი იმათი ჯავრი ამომყარე?“

ახლა მიიყვანდა მეორე სურათთან: „აი ესა, შვილო, თევზ-ქალაა: წელ ქვემოთ თევზია, წელზემოდ ქალი. ზღვაში დაცურავს და ვინც ამას დაიჭერს, ოქროს მადნებს იპოვნის... მე ვფიქრობ, ეს თევზ-ქალა მართალი არ უნდა იყოს. ჩემის აზრით, ეს ყველაფერი იგავია: თევზ-ქალა ნამდვილად ნიშნავს ფულსა. ფულიც ხომ თევზივით დაცურაობს აქეთ-იქით და ამასთანავე ქალივით დაუყენებელი, გაუტანელია. ეცადე,

ბიჭიკო, რომ ეს მუდრეგი თევზ-ქალა მაგრად დაბღუჯო ორივე ხელებით: ეცადე ბლომად იშოვნო ფულები! უმამულო აზნაურიშვილი გინდ ყოფილა ქვეყანაზე, გინდ არა! არც არა ჩემს მამა-პაპას დაუტოვებია რამე ჩემთვის და ვერც არას მე დაგინარჩუნებ, შენ უნდა გვასახელო, ჩემო პაწია; შენ უნდა აამაღლო ოჯახი, გვარი. უნდა შეიძინო ადგილ-მამული, სიმდიდრე".

ახლა მესამე სურათთან მიიყვანდა: „აქ ახალგაზრდა ქალ-ვაჟი იყო დახატული. ესენი ერთმანეთს ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ... და ისეთ ნაირად ისხდნენ, რომ მართებულს ოჯახში ამ სურათს კედელზე კი არა, ტახტს ქვეშაც არავინ დააყენებდა. ბაადურს კი ყველაზე მომეტებულად ეს სურათი მოსწონდა... სიცილით დაუდებდა ხოლმე თითს თავის მემკვიდრეს და ეუბნებოდა: „შეხე ერთი ამ პლუტებს, როგორ ჩაკვრიან და ჩაჰგრეხიან ერთმანეთს! ბიჭო, მიხეილ! დააცქერდი, რა ეშხიანი და მარილიანი გოგოა, წყეულ! როცა ულვაშები გადიგრიხო, შენც აგრე გაუსვი გოგოებს ხელი! მამაშენსაც ამისთანა საქმეებში არა უშავდა რა, მაგრამ შენ უნდა აჯობო მამას. ხომ გაგიგონია: „ის ურჩევნია მამულსაო"[31].

ესღა დარჩენია ეკონომიურად გაღატაკებულსა და მორალურად დაკნინებულ თავადაზნაურობას: ფიზიკური ძალა, სხვისი დაჩაგვრა, ახალ ცხოვრებაში სიამოვნების მომცემი საშუალება — ფული და ბედნიერების მომნიჭებელი ვნებიანი ეშხი — ტრფობა. აქეთკენ მიუთითებს ბაადურ მჟაუნაშვილი შვილს.

მაგრამ როგორ, რა საშუალებით შეიძლება „დარღვეულ ცხოვრებაში" ყველა ამ „ბედნიერების" მოხვეჭა? ამის გარკვევა კი ბაადურს არ შეუძლია. ის არც ფიქრობს ამაზე. ის თვითონ ფერცვლილი ცხოვრებით გზა-კვალ არეული, კალაპოტიდან ამოვარდნილია. ბავშვიც ამ მიმართულებით იზრდებოდა — თვითნება, ჯიუტი, დაუდეგარი, სადავე მიშვებული, ეგოისტი, შეუბრალებელი.

დრო მიდიოდა. მიხეილი სწავლის ასაკში შედიოდა. ბაადური კი, მიუხედავად იმისა, რომ მან ახალ დროში სწავლის აუცილებლობა პირადი კეთილდღეობისათვის კარგად იგრძნო, „ყურს არ იბერტყავდა". მაშინ დედამ ითავა მიხეილის სასწავლებელში მიცემა. დიდი თხოვნით მოახერხა სახელმწიფო ხარჯზე შვილის სასწავლებელში მიღება. მაგრამ, დახე უბედურებას! მიხეილ მჟაუნაშვილი გიმნაზიაში არ გამოდგა. ორი წლის შემდეგ „სრული უნიჭობის გამო" ის სასწავლებლიდან დაითხოვეს. მიხეილის დედა მაინც არ შედრკა, ახლა შვილი სამხედრო სასწავლებელში მიაღებინა, მაგრამ ორი წლის შემდეგ იქიდანაც იმავე მიზეზის გამო დაითხოვეს. და ამგვარად დედამ მიხეილს ყველა ტიპის სა-

---

[31] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, წუთისოფელი, 1963 წ., გვ. 227,

სწავლებელი მოატარა, ხოლო მიხეილი ამავე მიზეზების გამო არსად არ გამოდგა, თუმცა სწავლის სურვილი ჰქონდა.

ამ გარემოებამ მიხეილი ძალიან დააღონა და ბედის მომდურავად გახადა. მაგრამ, როგორც მწერალიც შენიშნავს, ყოველთვის და ყველაფერში ბედი ასეთი უწყალო არ იყო მისდამი. „სწავლაში ხომ უნიჭო იყო, — გადმოგვცემს ავტორი, — მაგრამ სხვადასხვა ეშმაკობასა და ცუღლუტობაში მას ტოლი არ ჰყავდა; როდესაც ამხანაგებს მოუნდებოდათ რაიმე ავკაცობის ჩადენა, მაშინათვე მიხაკოს მიჰმართავდნენ ხოლმე, და თუ ეს იკისრებდა წინამძღოლობას, საქმე უსათუოდ კარგად გათავდებოდა... არც სკოლებში ხეტიალმა ჩაუარა სუმთლად ტყუილ-უბრალოდ ჩვენს გმირს! მათში მყოფობის დროს მან ისწავლა საკმაოდ ლამაზი რუსული წერა. ეს იყო ერთად ერთი ცოდნა, რომელიც კი გამოიტანა სკოლიდან“[32].

აი ამ ზნეობრივი და გონებრივი მარაგით ეკონომიურად დაკნინებულმა, შიმშილისა, წყურვილისა და სიცივისაგან მეტად შევიწროებულმა, მიხეილ მჟაუნაშვილმა გაიკვლია ცხოვრების გზა.

მწერალი მეტად მუქ ფერებში ხატავს მიხეილ მჟაუნაშვილის ცხოვრების გზას, კეთილ ნოტარიუსთან შემთხვევით მოხვედრის დღიდან სიკვდილამდე. დამახასიათებელ ტონებშია მოცემული, თუ როგორი ვერაგობით გადაუხადა მიხეილ მჟაუნაშვილმა თავის კეთილისმყოფელ ნოტარიუსს; როგორი სისწრაფით, ერთგულებითა და „ნაყოფიერებით“ სწავლობდა და იხსომებდა რუსულ კანონებს და განსაკუთრებით მათ პრაქტიკულ გამოყენებას; როგორი ხარბი ანგარიშიანობით ექცეოდა პროვინციის ქალაქისა და მის მიდამოების მცხოვრებთ, როგორ სარგებლობდა ის ყველას სისუსტით, როგორ იხრებოდა ძალა-უფლების მქონეთა წინაშე, რა ხრიკებს არ მიმართავდა მათი გულის მოგების მიზნით.

მისი ცხოვრება, პირადი, თუ საზოგადოებრივი, მთლად სიყალბეზე და უხეშ ანგარიანობაზე იყო აგებული, დაწყებული ყოვლად პატიოსანი ნოტარიუსით, ნიკოლა კალატოზის ქვრივი მაშინკათი და გათავებული მისი გედეონისა და ეთერისადმი დამოკიდებულებით. ყველგან და ყველასთან ის, ანგარებით დაბრმავებული, ყალბი გრძნობით ზომავს ცხოვრებასა და შეუდრეკელი ენერგიითა და გაქნილ-ფარისევლობით მიდის თავისი ბინძური ზრახვების განხორციელებისაკენ — შეიძინოს ქონება, დატკბეს ცხოვრებით, არ მოერიდოს არავითარ საშუალებას.

გზადაგზა ნიკო ლომოურს თავისი რომანის მხატვრულ ტილოზე ხერხიანად შემოაქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებული

---

[32] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, წუთისოფელ.., გვ 208.

უარყოფითი მოვლენები: გაუტანლობა, მატყუარობა, ღარიბისა, დაჩაგრულისა და სუსტის თვალნათლივ გაძარცვა და სხვა. მწერალი ამ საზოგადოების მკვეთრ და უტყუარ დახასიათებას იძლევა გაქნილი, მედიდური „აბლაკატის“ „მოღვაწეობასთან“ დაკავშირებით.

მიხეილ მჟაუნაშვილი, „საგმირო საქმეების“ გამო პროვინციის ქალაქიდან იძულებით გამოქცეული, თავის კეთილმყოფელ ძველ ხელმძღვანელთან, დიდი ქალაქის ადვოკატთან დაბრუნდა. მან დაუფარავად უამბო მას თავისი თავგადასავალი და სთხოვა ერთი წელი კიდევ გაეტარებინებინა მისი მფარველი კალთის ქვეშ. ეს საზოგადოებაში სახელმოხვეჭილი ვექილი მჟაუნაშვილს (ალბათ, როგორც მისთვის გამოსადეგ კაცს) დიდი სიამოვნებით მიიღებს და ასეთ დარიგებას მისცემს: „დიდის სიამოვნებით, მხოლოდ ჯერ-ჯეროპით შინ უნდა იმუშაო. ეჭვი არ უნდა, გაზეთებში დაბეჭდავენ შენს თავგადასავალს, ამიტომ არსად არ უნდა გამოჩნდე. ორიოდე თვის შემდეგ ყველას შარშანდელი თოვლივით მიავიწყდები... მერმე კი თამამად გამოხვალ კარზე და აერევი საზოგადოებაში, სადაც ისე უნდა დაიჭირო თავი, თითქოს ბუზიც კი არავის აუფრენია შენთვისა... ყოჩაღად იყავი! მთელი ჩვენი საზოგადოება სულ დიდრონ-დიდრონი არამზადებით არის სავსე! შენი ამბავი მათ საქციელთან ბავშვის ტიკტიკად გამოჩნდება. მაშ ვისი უნდა შეგრცხვეს? ვის უნდა ჩაუღუნო თავი? ნუ შეუშინდები იმ ვაჟბატონებსაც, რომელნიც პატიოსნებაზე, სინდისზე და სხვა ამგვარ რამე-რუმეებზე ხმამაღლა ჩხავიან. იცოდე, რომ ყველაზე დიდი და გაქნილი არამზადები ესენი არიან! უნდა ერთი რამ კარგად დაიხსომო. რამდენადაც ცუდი იქნება შენგან ჩადენილი საქმე, იმდენადვე უნდა სითამამე, გამბედაობას მოუმატო. ზოგჯერ ურცხვობას გმირულ თვისებად რაცხავს ხალხი. ესე მოიქეცი და მაშინ დაინახამ, რაც მოხდება. ნუ გეშინია, ისე დაგატრიალებ, როგორც სოფლის დედაბერმა ჯარა“[33].

აქ, ეჭვს გარეშეა, გამოსჭვივის ნიკო ლომოურის, როგორც ხალხოსანის უარყოფითი შეხედულება კაპიტალიზირებული ქალაქისა და მასში გაბატონებული საზოგადოების მიმართ, სადაც ფულის ტრიალმა გახრწნა, დააკნინა ადამიანი, დაუკარგა ზნეობრივი სიმაღლე და სიმტკიცე.

წარმოსადგენია როგორ დაგეშილ ნადირსავით გადაეშვებოდა ხელმძღვანელისაგან ზურგგამაგრებული მიხეილ მჟაუნაშვილი ისედაც მძიმე ცხოვრების პირობებით დაბეჩავებულ ხალხში. მაგრამ დიდ ქალაქში მყვლეფავთა რაზმი ისედაც დიდი და დახელოვნებული იყო. „თითქმის ყველამ, — როგორც ავტორი გვაუწყებს, — მასზედ არა ნაკლებ იცოდა ყოველგვარი კანონიერი ხრიკები და გაძრომ-გამოძრომა“.

---

[33] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, წუთისოფელი, გვ. 234—235.

ამიტომ მიხეილ მჟაუნაშვილმა იქ ვერ იხეირა. სამი თვის შემდეგ მან გადაწყვიტა ისევ პროვინციის წყნარი ბუდე მოენახა. ნასწავლი ხრიკები მას იქ უფრო გამოადგებოდა და სანუკვარ მიზანს — მამულისა და ქონების შეძენას, იქიდან უფრო ადვილად მიაღწევდა.

ასეთი ქალაქიც მან მალე გამონახა, გადასახლდა კიდეც. იქ ადვილად გაშალა ფრთა მისმა „ნიშმა“ და „მხნეობამ“. მალე მოახერხა მჟაუნაშვილმა დიდი ქონების შეძენა.

მჟაუნაშვილი კვლავ ავიდა ბედნიერების ზენიტში. ყოვლად უზნეო საქციელით დაინარჩუნა ნიკოლა კალატოზის ქვრივის ქონება, მოახერხა თავად თონიკე ბადრიძის „ერთგულ“ ძმად და მოსამსახურედ გახდომა, რათა მისი სუსტი ხასიათით ესარგებლა, მისი ქონება ხელთ ეგდო და ეთერის გულიც როგორმე მოეგო.

მჟაუნაშვილმა ტკბილი, ალერსიანი მოქარგული ენით მოინადირა თონიკეს გული, დაიმსახურა ნდობა, რაც შემდეგ ვერაგულად გამოიყენა: ყალბ ქაღალდებზე ხელი მოაწერინა. ის შორს იყურებოდა, გზას მეტად წინდახედულად კირწყლავდა.

ასეთივე გზით მჟაუნაშვილმა დაიმსახურა ნდობა თონიკეს შვილის გედეონისა. როცა გედეონი მამის სიკვდილის შემდეგ მამიდა რუსუდანთან ერთად საზღვარგარეთ მიემგზავრება, მაშინ მჟაუნაშვილი რჩება დამოუკიდებელ გამგებლად ბადრიძეების დიდი მამულ-დედულისა.

მწერალი მკვეთრ ფერებში აგვიწერს მჟაუნაშვილის მხეცურ დამოკიდებულებას გლეხებისადმი გედეონ ბადრიძესთან მოურაობის დროს. გლეხკაცობამ, რომელიც არც წინათ ყოფილა როდისმე დაჩვეული ნებიერ ცხოვრებას, ადამიანურ მოპყრობას, ამჟამად მწარედ იგრძნო ძალა ღონიერი მარჯვენისა, მტარვალი, შეუბრალებელი ხელისა. რამდენჯერმე სცადეს წინააღმდეგობა, მაგრამ ყოველი ასეთი ურჩობა მეტისმეტად ძვირად უჯდებოდათ: როგორც მჟაუნაშვილისაგან, ისე ხელისუფლებისაგანაც. ამასთან სასამართლოებში ბევრს ხარჯავდნენ. ამის გამო გლეხთა უმრავლესობა დამორჩილდა. „მოიკაკვა წელში... მათ ცხადად დაინახეს, რომ ყოველი მათგანის დაღუპვას ადვილად მოახერხებდა სულზე ხელაღებული მოურავი. ჯავრი და ვარამი ჩაიხვიეს გულში და ყოველის უარის უთქმელად იწყეს მორჩილება მისი. ამგვარად საქმის დაყენებამ ჯეროვანი ნაყოფი გამოიღო: შემოსავალმა ერთი-ორად, ერთი-სამად იმატა. სადაც წინათ ცალ გროშის დანაფასებსაც ვერ იღებდა, იქ ეხლა შემოსავლის წყაროებმა იწყეს დენა“...[34]

თ. ბადრიძისას მოურაობის დროს ამგვარი მოღვაწეობით ივსებოდა მიხეილ მჟაუნაშვილის ჯიბე, თუმცა ამ ჯიბის ზრდას ხალხის ცრემლი, წყევლა და შეჩვენება განუწყვეტლივ მისდევდა უკან.

ეს გამწვავებული მდგომარეობა მჟაუნაშვილსა და გლეხთა შორის

---

[34] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, წუთისოფელი, გვ. 306—307.

უფრო გამწვავდა, როდესაც მჟაუნაშვილი შეიქნა თ. გედეონ ბადრიძის მთელი მამულ-დედულის ბატონ-პატრონად.

„როდესაც გლეხებმა, — აგვიწერს ნიკო ლომოური, — მჟაუნაშვილი და მისი წყეული ჩაჩნები ხელახლად დაინახეს, მთელ სოფელში ერთი საშინელი ვაი-ვაგლახი დატრიალდა. ხალხი ისე. გლოვობდა ამ ამბავს, როგორც უწინდელ დროში გლოვობდნენ ხოლმე მტრის შემოსევას და ქვეყნის აკლებას"[35].

მოთმინებიდან გამოსულმა გლეხობამაც გადაწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ გაქნილი მჟაუნაშვილი ყოველთვის იმარჯვებდა. გლეხები დარწმუნდნენ, რომ პირდაპირობით „გაოსტატებულ აბლაკატთან და მის თვალსისხლიან, კაციჭამია ჩაჩნებთან" ვერას გააწყობდნენ. ამიტომ მიმართეს მალულ მოქმედებას: ჩუმად ცეცხლს უკიდებდნენ ტყესა, ღამღამობით უძოვებდნენ სიმინდსა და ყანებს, უჩეხავდნენ ვაზს. ყოველივე ეს მიხეილ მჟაუნაშვილს, რასაკვირველია, აცოფებდა. სამი-ოთხი გლეხი ჩაამწყვდევინა სატუსაღოში; ეზოსა და ზვრის სიახლოვეს მცხოვრებნი „ძალმომრეობით აჰყარა, მოუშალა მამა-პაპური კერა, დაუსხა ცეცხლზე წყალი".

მწერალი ხაზგასმით აგვიწერს, რომ რაც დრო გადიოდა, ურთიერთობა მჟაუნაშვილსა და გლეხთა შორის უფრო ღრმავდებოდა: ამას შედეგად მოჰყვა გლეხობის მოთმინებიდან გამოსვლა და გლეხთა ერთი წრის გადაწყვეტილება — მჟაუნაშვილი სოფლისათვის მოეშორებინათ. ამ მიზნით სამი ახალგაზრდა გლეხი ჩაუჯდა გზაზე მიმავალ მჟაუნაშვილს, ერთმა მათგანმა ტყვიით დასჭრა და შემდეგ, როცა შეშინებული ჩაჩანი გაექცათ და შეამჩნიეს, რომ მჟაუნაშვილი კიდევ ცოცხალი იყო, კომბლებით იქამდის სცემეს თავსა და პირში, სანამდის „სისხლი, ძვლები, თმა, ტვინი ერთმანეთში არეულ-აზელილი არ შეესხათ სახეზე".

ასეთია გამწვავებული ურთიერთობა ბატონსა თუ ნაბატონარსა, მის მოურავსა, მემამულესა, ერთი მხრით, და მეორე მხრით, გლეხკაცთა შორის და ავტორის სიმპათიებიც, რა თქმა უნდა, გლეხთა მხარეზეა.

ნიკო ლომოურის შემოქმედებიდან მთლიანად და, კერძოდ, რომანიდან „წუთისოფელი" უდავოდ უარყოფითად გამოიყურებიან მეორე კატეგორიის თავადაზნაურთა სახეებიც: მაგალითად, თავ. ზურაბი, კნ. რუსუდანი, თონიკე ბადრიძე, თეიმურაზ ნაზარიშვილი ცოლით, განსაკუთრებით მისი ასული მართა (შემდეგში ბერტა). ხოლო ყველაზე გამახვილებულად მოცემულია დაჩიავებული განათლებული თავ. გედეონ ბადრიძე. ყველა ესენი, მართალია, შედარებით მიხეილ მჟაუნაშვილთან ნაკლებ ბოროტნი არიან, მაგრამ მეტად უხერხემლო, უნიადაგო, უიალქნონი. ყველა ესენი დაჭიანებულან, დაკნინებულან, დაუ-

[35] ნ. ლ ო მ ო უ ო ი, წუთისოფელი. გვ. 331.

კარგავთ ცხოვრების გზა და მიმართულება, არ გააჩნიათ ცოცხალი აზრი და მისწრაფება.

ავტორს გედეონის დახატვით, მისი ეთერისადმი სიყვარულის გაშლითა და შემდეგ მისი ქორწინებით კნიაგინა ბერტაზე, გარკვეულად სურს ხაზი გაუსვას კლასობრივს, არა მარტო ფსიქოლოგიურს, არამედ ფიზიკურ დიდ განსხვავებას: ერთი მხრით, საღი, მახვილი და მძლავრი გრძნობებისა და ნიჭის მქონე ეთერი, დაბალი წრიდან გამოსული, „გლეხუჭას გომბიო“, როგორც თვითონ ეთერიც ამბობს, და, მეორე მხრით, თავ. გედეონ ბადრიძე და კნ. ბერტა — მოდუნებული ნებისყოფით, ზერელე და ყალბი გრძნობებით, ავადმყოფი დაძაბუნებული ორგანიზმით.

გედეონის სახით ნიკო ლომოური გვაძლევს სახეს იმ მეოცნებე, უნიადაგო, უძარღვო თავადისა, რომელიც ცხოვრებისეულ მასალას წიგნებიდან კითხულობდა, სიტყვით მისი დამცველი იყო, საქმით კი, რაღაც საცოდავი კაცუნა, ან როგორც მიხეილ მჟაუნაშვილი მოხდენილად ამბობს: „უხასიათო ქალაჩუნა თავადუშკა“. გედეონს მჟაუნაშვილი იბრიყვებს, ატყუებს, ძარცვავს, ის ვერაფერს ვერ ხვდება, მადლობელიც კი რჩება, მამიდა რუსუდანი და განსაკუთრებით მეუღლე ბერტა ყოველ ნაბიჯზე მის თავმოყვარეობას თელავენ, მას კი არა აქვს უნარი თავი დაიცვას, წინააღმდეგობა გაუწიოს. ყველას ეთელვინება, როგორც უილაჯო უსუსური ბავშვი. მწარე და ღირსეულ დაცინვას იწვევს გედეონის უბადრუკი, ლაჩრული წინააღმდეგობა, მისი ცოლის უტაქტობითა და უსაფუძვლო კაპრიზებით გამოწვეული.

ამ საკითხისა და ავტორის შეხედულების გამოჩენისათვის მეტად საგულისხმიეროა დიალოგი გედეონსა და ეთერს შორის, როცა შეყვარებული გედეონი მზადაა ეთერს თავისი გრძნობა ფიანდაზად გაუშალოს, პირდება ყველა და ყველაფერი დაძლიოს, ეთერი შეირთოს და ბედნიერება მისცეს მას.

— „ამ საქმეს ეგრე ადვილად ნუ უცქერი, საყვარელო! — ეუბნება ეთერი გედეონს, — წოდებრივ განსხვავებას, ზნესა და ჩვეულებას დიდი, დიდი მნიშვნელობა აქვს... გლეხებსა და თავადებს შორის მთელი უფსკრულია გათხრილი, მთელი უზარ-მაზარი მთებია აყუდებული“.

— „მართალია, მაგრამ ჩვენს დროში, — ეუბნება გედეონი ეთერს, — მაგათ როდი ღა აქვთ ეგრე რიგათ დიდი მნიშვნელობა. ყოვლად შემძლებელი სიყვარული ამოავსებს იმ უფსკრულს, ყოვლად ძლიერი განათლება შემუსრავს იმ მთებსა და ჩვენ შუა, ჩემო ძვირფასო თვალის ჩინო, დამყარდება ხელისგულივით სწორე ვაკე, რომელზედაც თავისუფლად გადავხედავთ ერთმანეთს“.

— „ეგ ლამაზი სიტყვებია, ჩემო გედეონ, მაგრამ მათი განხორციელება კი ჯერ არ მინახავს და არც გამიგონია! პირიქით, არ შემხვედრია

არსად ისეთი განათლებული თავადიც კი, რომელიც თავის შთამომავლობას გულში მაინც დიდ მნიშვნელობას არ აწერდეს, არ ამპარტავნობდეს მამა-პაპით, თუნდა რომ ამ მამა-პაპას მოძმეთ შეწუხებისა, ქვეყნის რბევისა, მამულისა და სარწმუნოების ღალატის მეტი არა ჩაედინოს რა. ამჟამად შენს გულში, ჩემო გედეონ, წოდებრივი გრძნობა გვერდზეა მიგდებული, სიყვარულის მადლის ქვეშ არის მოქცეული, შემდეგ კი, როცა სიყვარულის მღელვარება განელდება, ის გრძნობა კვალად ამოძვრება ზემოთ, დაგავიწყებს აწინდელ ლამაზ სიტყვებს და მათ მაგივრად წარბშეჭმუხვნილს გაბრძანებინებს: ჰეი, კალატოზის ქალო, გლეხის გომბიო, მოიტა ჩქარა ტასტი და წყალი, ხელპირი მინდა დავიბანო!"

— „...ყოველივე ეგ მე სრულიად არ შემეხება, მალე დაგიმტკიცებ, ჩემო ღმერთო, რომ სრულიად ტყუილად აზვიადებ ი რაღაც წოდებრივი გრძნობაა, იმის ძალასა და მნიშვნელობასა... გლეხი და თავადი ერთი და იგივე დედმამის შვილები არიან. დიდი ენით გამოუთქმელი ვნება მოგვიტანა ერთი ერის რამდენსამე ნაწილად დაგლეჯამ. დროა ახლა კი შევიგნოთ ეს ვნება! დროა დავუბრუნდეთ მას, რაც ღვთისაგან გვქონდა მონიჭებული და ზიზღით გავდევნოთ ის, რაც ბოროტმა ეშმაკმა ჩამოსთესა ჩვენში... ჩვენ ორივენი ნასწავლები ვართ; საერთო სამეგობრო ბევრი, ძლიერ ბევრი რამ არის ჩვენს შორის და, მაშასადამე, ჩვენი ცოლ-ქმრობა ბუნებრივიც იქნება და სასურველიცა".

ეს ადგილი მეტად დამახასიათებელია და საგულისხმიერო, როგორც რომანის დედააზრის გაგებისათვის, ისე ნიკო ლომოურის მსოფლმხედველობის გარკვევისათვის.

შემდეგ მოვლენებზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება: ყოველ ეჭვს გარეშეა ნიკო ლომოური აქ თავის დამოკიდებულებას ააშკარავებს წოდებათა შორის „ჩატეხილი ხიდის" საკითხის შესახებ. ეს საკითხი თერგდალეულებმა, და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძემ მტკივნეულად წამოაყენეს. წოდებათა შორის მორიგება და ძმობა-ერთობა მათ შესაძლებლად მიაჩნდათ. თერგდალეულთ და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძეს შესაძლებლად მიაჩნდათ „ჩატეხილი ხიდის" გამთლიანება სწავლისა, განათლებისა და ამ გზით შეგნების მიღების საშუალებით.

მართალია, თერგდალეული მწერლები XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მწერლებზე, კერძოდ, ნიკო ლომოურზეც, დიდ გავლენას ახდენდნენ, მაგრამ ამ საკითხში ნიკო ლომოურს, როგორც საერთოდ სხვა ხალხოსან მწერლებსაც, თავისი პოზიცია აქვს. „წუთისოფელში" ნიკო ლომოური ილია ჭავჭავაძის საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას. მართალია, ილია ჭავჭავაძესაც მაინც და მაინც დიდ დადებით მოვლენად არ მიაჩნია არჩილი („ოთარაანთ ქვრივი"), ილია არჩილს ბევრჯერ აჩოქებს ცხოვრების წინ, მაგრამ მასში მაინც ხედავს მოაზროვნე ადამიანს,

რომელსაც შეუგნია თავისი სუსტი მხარეები, მომავლისაკენ იყურება და ამიტომ, ავტორის რწმენით, მას და მისთანებს (როცა ისინი გამრავლდებიან) შეუძლიათ „ჩატეხილი ხიდის“ გამთელება, წოდებათა შორის განსხვავების მოსპობა.

ნიკო ლომოური კი ილიას ამ აზრს არ იზიარებს. მისი რწმენით (და ამ რწმენას ნიკო ლომოური, ეჭვს გარეშეა, ეთერის პირით გამოხატავს), თავადაზნაურობაში ვერც სწავლა, ვერც კეთილი სურვილები, ვერც ყოვლისშემძლებელი სიყვარულის გრძნობა ვერ დაარღვევს იმ ზღუდეებს, რომლებიც წოდებათა სხვაობას ისტორიულად შეუქმნია.

ილიას არჩილის მაგვარი ტიპი ნიკო ლომოურს განსახიერებული ჰყავს გედეონის სახით. ამ უკანასკნელს ეს ზღუდეები მხოლოდ სიტყვით დაუნგრევია, დიდს იმედებს აღუთქვამს ეთერს. ჰპირდება დაამსხვრიოს და დასწვას ყოველივე წინააღმდეგობა, რომელსაც კი წოდებრივი სხვაობის ყოფა წარმოადგენს, მაგრამ საკმარისია პირველივე მცირედი დაბრკოლება—იქნება ეს გაელენა მედიდური მამიდა რუსუდანისა, თუ მცირედი კაპრიზიც კი ბერტასი, რომ გედეონი სრულიად დაიბნეს, დაივიწყოს სიტყვაც, აღთქმაც, მოვალეობაც. ამიტომ, მწერლის რწმენით, გედეონს ლამაზი სიტყვის, აღთქმისა და მოვალეობის შიგნებაც შეუძლია მხოლოდ აშლილი მადლიანი გრძნობის — სიყვარულის დროს, რომელიც მასში ესოდენ სუსტია და უკვალო.

გედეონი სამარცხვინოდაა დამცირებული ეთერის წინაშე. ეთერს, „გლეხუჭას გომბიოს“ აქვს საღი ალღო, გარემოს გაგების მკვეთრი უნარი, მან ცხოვრება იცის, ადვილად აფასებს ამ ვაჟბატონებს. რომელნიც წოდებრივ ნაჭუჭში, წოდებრივ ქედმაღლობასა და ანგარიბაში იხრჩობიან. იცის კარგად, რომ ამ ვაჟბატონებმა არ იციან (და არც შეუძლიათ მათ) მორალური თამასუქების განაღდება. წინდაწინვე აფრთხილებს ეთერი გედეონს და ყველაფერი ისე ხდება, როგორც ეთერი განსჭვრეტს.

ნიკო ლომოური, როგორც აღვნიშნეთ, ეთერის პირით თავის შეხედულებასა და დამოკიდებულებას ამჟღავნებს. გედეონის დამარცხებით ეთერის წინაშე ნიკო ლომოური ამცირებს აგრეთვე ილია ჭავჭავაძის არჩილისებურ ტიპებს. დიახ, სიტყვა, სურვილი ამ დაჩიავებული კაცუნებისა ერთია, საქმე კი მეორე. სიტყვით ბევრის შემძლებელნი, საქმეში უხერხემლონი, უბადრუკნი და საბრალონი არიან.

არა მარტო გონებრივად და ზნეობრივად გადაგვარების გზაზე არიან დამდგარნი: გედეონი, ბერტა, მჟაუნაშვილი და ბრწყინვალე წოდების სხვა წარმომადგენელნი, არამედ, ნიკო ლომოურის ღრმა რწმენით, ისინი ფიზიკურადაც სრულ განადგურების გზაზე დგანან.

რა გასხივოსნებულ ფერებში იძლევა მწერალი ეთერის ბუნების სი-

უხვეს, გარეგნულ სილამაზეს, მიმზიდველობას, მარილიან სახეს, გონებისა და ემოციების სიმკვეთრეს, სისაღეს! სამაგიეროდ, როგორ უარყოფითი, პათოლოგიურია ბერტა!

შურისძიება ეთერისა არა მარტო კნ. ბერტასადმი და მიხეილ მჟაუნაშვილისადმი, არამედ თვით გედეონისადმი მწარე, შხამიანი დაცინვაა თვით მწერლისა, მისი ბოღმითა და შეურიგებლობით აღსავსე გულისაც, ცხოვრების მოუწესრიგებლობით, წოდებრივი უთანასწორობით შექმნილ და გაკრეტინების გზაზე დამდგარ მაღალი წოდების წარმომადგენლების მიმართ.

ეთერმა ვერ (უფრო არ) შეძლო ასე ადვილად გრძნობით ვაჭრობა, როგორც გედეონმა, მიხეილ მჟაუნაშვილმა, კნ. ბერტამ და სხვებმა. ცხოვრების უკუღმართობამ გაბზარა ეთერი, შეიძლება მორალურად დასცა, დაასნეულა და მასთან ერთად უფრო მეტად აამხედრა და ააღელვა ამ ცხოვრების პატრონთ წინააღმდეგ. ის შურს იძიებს მჟაუნაშვილისადმი (ღალატობს მას, როგორც ცოლი, მეგობრობასა და ერთგულებას არ უწევს), კნეინა ბერტასადმი და თვით გედეონისადმიც, რომელიც მას მოძებნის მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითონ დასჭირდება ეთერი.

ეთერის ნერვულ-ისტერიული დაცინვა, რომელიც გზა გამრუდებული ადამიანის გულის სიღრმიდანაა ამოზიდული, მწერლის გულის ნადებიცაა.

„ააა, გამარჯვებათ კნიაზო! — შეუკავებელი ბოღმისა და შურისძიების კილოთი შეხვდება ეთერი გაჭირვების გამო მასთან მისულ გედეონს, — როგორა ბრძანდება თქვენი ბრწყინვალება? როგორ სუფევს თქვენი კალმით ნახატი, კეკლუცი და მშვენიერი კნეინა? გავიგე მისი ავადმყოფობა და ვფიცავ მის ლამაზ თვალებს და დატკრუცულ ლოყებს ძლიერ, ძლიერ მეწყინა. მის დიდებულ წინაპართა წმინდა საფლავებს გეფიცებით, რომ მწყურიან ნახვა მისი, მაგრამ გლეხის გომბიო გახლავართ და ვაი თუ არ მიკადროს... იმ დღეს შემთხვევით ვნახე თქვენი ჭკუა-გონებით სავსე შვილები, ვაჟს ყურები გავუზომე და ხა, ხა, ხა, ხა, სიგრძე თითო ყურისა სწორედ სამი გოჯი გამოვიდა. მშვენიერი იყო იმავე თქვენი ვაჟის ქვემოთა ტუჩი, დამპალ-დაწყლულებული დორბლისა და ფურთხისაგან. ქალი ცოტათი თქვენა გგავთ კნიაზო, მაგრამ მეტად სამწუხარო ამბავი შევიტყე მის შესახებ: ბნედა მოსდის ხოლმეო!.. სწორედ სულში ჩასაძრომი გვრიტები ყოფილან, ენაცვალოთ იმათ თავიანთი მაოალხარისხოვანი დედა!.. გახსომთ, კნიაზო, ერთხელ, როდესღაც რომ იძახოდით, ვინა სთქვა რომ ქვეყნიერებაზე ბედნიერება არ არისო?.. გლეხუჭას გომბიოს ხვევნა-კოცნას რომელი თავადიშვილი ჩათვლის ბედნიერებად?.. ბედნიერი აი ეხლა ბრძანდებით, თქვენო ბრწყინვალებავ! მშვენიერი და დიდად განათლებული მეუღლე,

მარგალიტი, ნიჭიერი შვილები... მამიდა თქვენი რუსუდანის სახელსა ვფიცავ, სწორედ რომ მოსალოცი ქმარი და მამა ბრძანდებით. მაშ მომილოცავს!"[36]

ოღონდაც შემაძრწუნებელია ეს ისტერიული, გესლიანი სიცილ-ხარხარი ეთერისა, რომლის ცხოვრების გზა გაამრუდა წოდებათა სხვაობით შექმნილმა ტრადიციის ძალამ. მწვავედ ხვდება მკითხველის გულს და გონებას ეთერის მოშხამული და გაწამებული გულიდან ისტერიული ამონაკვნესი — „ოხ, რა კარგი იქნებოდა, რომ მეც იმათსავით (ე. ი. გედეონის ცოლშვილსავით — მ. ზ.) ტვინი არ მედოს თავში, რომ მეც იმათსავით არაფერს ვგრძნობდე, არაფერი მესმოდეს! ისინი კი არ არიან უბედურნი, უბედური მე ვარ, მე, თქვე წყეულებო, თქვე შეჩვენებულებო"...[37]

აზრი ავტორისა მკითხველისათვის აშკარაა: გვარიშვილობის ცხრაკლიტულით ისეა ჩაკეტილი და დახავსებული საზოგადოებრივი ცხოვრება, ფუფუნებაში აღზრდილნი, პრივილეგიური კლასის წარმომადგენელნი ისეთი თვალაბნეულნი, მოდუნებულნი, „დაქალაჩუნებულნი" არიან, რომ წიგნი და იქიდან ამოკითხული მაღალი აზრების გავლენა მათ გარდაქმნას ვერ შესძლებს. იღუპებიან თვითონაც და ღუპავენ სხვებსაც.

ნიკო ლომოურის რწმენით, — საჭიროა სხვა, ახალი საფუძველი, რომელიც ძირიან-ფესვიანად შეარყევს ცხოვრებას და კაცს გარდაქმნის საღი, ბედნიერი ცხოვრების გასაგებად და მისაღებად. ამ ახალის მკაფიოდ ჩვენება კი ავტორს უჭირს და მოქმედების ფარდასაც აქ უშვებს.

ნიკო ლომოურის რწმენით, ახალი გზა გლეხთა საბედნიეროდ უნდა გაკაფოს თვით გლეხობამ, რომელსაც უნდა უხელმძღვანელოს „ხალხში მოსიარულემ", „ხალხის მოკეთემ", იქნება ეს ნასწავლი ინტელიგენტი გლეხი — „რაზნოჩინეცი" (გიგო ღრუბელაშვილი, სანდრო), თუ მათ მიერ გამოფხიზლებული შეგნებული მებრძოლი გლეხი (გიგო სოსიაშვილი, სოლომონ ფარცხაძე), ან ღარიბი, ნასწავლი, ხელმოკლე აზნაური — „მონანიე აზნაური", რომელიც შეგნებულად დადგება გლეხთა ინტერესების საფუძველზე (ვანო მხიარულიძე).

აი, ამ სოციალურ ფენას, ამ ელემენტს ეყრდნობა ნიკო ლომოური. მისი მისწრაფებაა მემამულისა, ვაჭრისა და სახელმწიფოს მმართველთა ხელში დაბეგრილი მშრომელი ხალხი — გლეხობა გამოაფხიზლოს, ფეხზე დააყენოს, დარაზმოს და ბედნიერი სამართლიანი მომავლისაკენ ფართო გზა გაჭრას.

5

წოდებათა შორის „ ჩატეხილმა ხიდმა", მისმა უარყოფითმა გავლენამ გლეხობაში გამოიმუშავა უნდობლობა სხვა წოდებისა და სოცია-

---

36 ნ. ლ ო მ ო უ რ ი, წუთისოფელი, გვ. 328.

37 ი ქ ვ ე.

ლური მდგომარეობის წარმომადგენელთადმი. გლეხს არა სწამს მათი კეთილი საქმისა — „ჩემო რაავო?!“ ასეთი შეხედულებაა მის შეგნებაში ჩაჭედილი. ამ ფსიქოლოგიური მდგომარეობით აიხსნება ის გარემოება, რომ გლეხობა ხშირად უნდობლობით ხვდებოდა იმათაც კი, ვინც მათ საკეთილდღეოდ იყო გამოსული სამოქმედო ასპარეზზე.

ხალხსნებს, როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც, ხალხის ბედნიერებისათვის თავდავიწყებით მუშაობაში, სწორედ გლეხთა ამ უნდობლობამ აღმოუჩინა დიდი დაბრკოლება.

ნიკო ლომოურიც კარგად ამჩნევს ქართველი გლეხის ამ თვისებასაც და მთელ რიგ ნაწარმოებში ხატავს მას.

როდესაც გიგო ღრუბელაშვილი და მისი თანამგზავრი ქალი ცდილობენ დაავადებულ სოფელში დედაბერს აუხსნან, რომ წუნწუხებმა და საშინელმა უსუფთაობამ იცის ხოლერის გაჩენა, დედაბერი მათ უნდობლად შეხედავს, მწარედ გაიღიმებს და უკმეხად ეტყვის: „თუ ამისაგან არის, მაშ შარშან და იმაზე წინაც რატომ არ იყო ხოლერა. ეს უსუფთაობა ხომ მაშინაც აქ იყო?.. დედაკაცმა გიგოს აღარ დააცალა აეხსნა, გატრიალდა და უკნიდან ბუზღუნით მოაძახა: „ნეტა ერთი რას დაეხეტებით, მასხარაობთ, ამ მეორედ მოსვლის დროს ვისა სცალიან თქვენთვისა“[38].

ასეთივეა უნდობლობა ხოლერით დაავადებული გლეხისა, რომელსაც გიგო ღრუბელაშვილი და მისი თანამგზავრი ქალი მიეხმარებიან, ცდილობენ, დაამხნევონ, ტკივილი შეუმსუბუქონ. მოსულიერებული გლეხი მათ რომ შენიშნავს და მათ თანაგრძნობით სავსე სიტყვებს რომ მოისმენს, უნდობლობის ღიმილი გადაეკვრის სახეზე და ახალგაზრდას დაცინვით ეტყვის: „ჰეი, როგორ გაგილესია ეგ ენა და! ღმერთია შენი თავდები, შენ ან ადუკატი იქნები, ან მწერალი“. ვერაფრით ვერ დაარწმუნის ახალგაზრდებმა გლეხი, რომ ისინი მისი გულწრფელი მოკეთეები იყვნენ.

ასე ორმადაა ჩაფარდნილი უნდობლობის თესლი გლეხის გულში და შეგნებაში. ამის მიზეზი ისაა, რომ საუკუნეებით გლეხი მებატონისა და შემდეგ ბიუროკრატიული ადმინისტრაციის ხელში გამუდმებით დაცინვის, ექსპლოატაციის საგნად იყო გადაქცეული. ამიტომაა, რომ მათთან მართალი გულით მისული ადამიანი მათ ვერ წარმოუდგენიათ. მაგრამ დრო გადიოდა. ერთობის იდეა ურწმუნო გლეხის გულშიაც იკაფავდა გზას.

გლეხის მობრუნებაში უსათუოდ დიდი როლი ითამაშა „რაზნოჩინეცმა“, რომელიც არა პრივილეგიური კლასის წიაღიდან იყო გამოსული, ცხოვრებას კარგად იცნობდა და გლეხთან მისვლაც უფრო უშუალოდ შეეძლო.

---

[38] ნიკო ლ ო მ ო უ რ ი, გიგო ღრუბელაშვილი, 1927 წ., გვ. 147.

ეს თემა ნიკო ლომოურისათვის მტკივნეულია. მან რეალურ ხაზებში მოგვცა ხალხის „მოკეთის სახე“ (გიგო ღრუბელაშვილი, სანდრო).

მაგრამ „რაზნოჩინეცთან“ ერთად ნიკო ლომოურის მხატვრულ ყურადღებას არ გამოეპარა საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელი სხვა ელემენტებიც, რომლებიც 70-იანი წლების რუსეთის ცხოვრებაში მეტად თვალსაჩინო იყო. ეს იყო „მონანიე აზნაური“, რომელიც ახალი ცხოვრების პირობების გავლენით გამახვილებული სინდისის ქენჯნით გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე და ცდილობს ხალხის კეთილდღეობას შესწიროს თავი.

„მონანიე აზნაურის“ სახე ჩვენს ლიტერატურაში ყველაზე მკაფიოდ დახატა ეკ. გაბაშვილმა (ქვევით ამ მოვლენაზე დაწვრილებით გვექნება საუბარი). ამ მოვლენას ყურადღება მიაქციეს სხვა ხალხოსანმა მწერლებმაც და მათ შორის ნიკო ლომოურმაც.

„მონანიე აზნაურის“ სურათი ნიკო ლომოურმა მოგვცა ვანო მხიარულიძის სახით („ბედი უბედურთა“).

ვანო განათლებული აზნაურია. სწავლის მიღების შემდეგ ის სოფელს დაუბრუნდა. გლეხებთან დაიჭირა მჭიდრო, მეგობრული და კეთილმეზობლური კავშირი. ვანო ამ გზით შეუდგა გლეხების მომზადებას, დარაზმვას მომავალი, უკეთესი ცხოვრების მოპოვებისა და მიღებისათვის. ის გლეხებთანაა არა მარტო ლხინში, არამედ ჭირშიც.

როდესაც სოფ. გორისძირის მცხოვრებთ („ბედი უბედურთა“) შიმშილის შიშმა გადააწყვეტინა სარწყავი წყლის ძალით გადმოგდება და ნიჩბებითა და კომბლებით შეიარაღებული სოფელი წავიდა ადგილობრივ თავადაზნაურებთან საბრძოლველად, ვანო მხიარულიძე ამ მომენტშიც გლეხებთანაა. შეურაცხყოფილი ხმამაღალაანი და ყლაპიაშვილები, შეიარაღებულნი გლეხებს რომ დაერევიან, ვანო მათ წინ გადაუდგება ოა შესძახებს: „ხანჯალი რომ იშიშვლე, ბატონყმობის დრო ხომ არ გგონია ეხლა!.. ეს დრო ის დრო ნუღარ გგონიათ, როდესაც კაცებსა სჯამდით და ხმას ვერავინა გცემდათ“, და გლეხებთან ერთად დაუშინს თავადაზნაურებს.

ვანო ხალხთან არა მარტო ამ დროსაა, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ვანოს მიზანია ხალხი გამოაფხიზლოს, ასწავლოს, გონება გაუხსნას, დარაზმოს. ვანო ხედავს, რა კოშმარსავით აწვება ხალხს ცრუმორწმუნეობა და თვით რელიგია. თავის საუბარში ის ხერხიანად აქსოვს ანტირელიგიურ განწყობილებას. როცა ვანოს თავდადებული საქციელით აოტაცებაში მოსული გიგო შესძახებს: „შენი ჭირიმე, ვანო, შენი. საწყალი კაცი გებრალება, ღმერთი იქნება შენი შემწეცა“, ის ღიმილითა და გავლენის მომხდენი კილოთი ხალხის გასაგონად ეტყვის: „ღმერთი კი არა, ხატი არ გინდა. მე ჩემს სინდისს ვაკმაყოფილებ.

ღმერთთან რა დავა მაქვს. ღმერთს მღვდლები, ბერები და მოლოზნებიც ეყოფიან“.

ან კიდევ: როდესაც გამარჯვებული გორიძირელები შეჯგუფდნენ და ნელი ნაბიჯით გამოსწიეს სოფლისაკენ, ვანომ ამოიღო ჯიბიდან სალამური, დაუკრა და ნაღვლიანის ხმით დასძახა:

ყველგან, სადაც გლეხი ცხოვრობს,
სუფევს ტანჯვა და ვაება;
ყველა გლეხის ოფლში ცურავს,
ყველა მისი სისხლით ძღება.

მაშ ჩვენც ხელი გავიქნიოთ,
ხელი მუდამ მოცარული:
სიკვდილითა თუ სიცოცხლით
მტერთ მიუწყოთ საწყაული.

მუშა კაცის ოფლმა, ცრემლმა
მთლად ქვეყანა დაალბესა,
ისა შრომობს და სხვა ხარობს,
დახე ქვეყნის სიმრუდესა!

ლაჩარია იგი კაცი,
ვინც ლოგინში მუქთად კვდება...
საყვარლისა ტანჯვას ხედავს,
მღვდლებისაგან იჯიჯგნება.

ყოველი მხრიდან შევიწროებული გლეხები ვანოში თავის მოძმეს ხედავენ და მადლიერი გრძნობით, მწუხარებით აღსავსენი ასე მიმართავენ მას: „ათასში ერთი თუ გამოერევა ღვთისნიერი კაცი და შეგვიბრალებს ჩვენ, თორემ სხვანი სულ ჩვენ დაჩაგვრასა და მტრობაში არიან...“ ამაზე ვანო მხნედ და იმედიანად ეტყვის: „ფიქრი არ არის! დადგება ისეთი დრო, როდესაც თქვენ ერთი ორად გადაუხდით თქვენს მტრებს. ჯერ ერთი ეს სკოლა წავიყვანოთ კარგად, მერმე შევაგროვოთ ფული და ბანკი გავხსნათ, ბანკის სარგებლობით გავხსნათ დეპო. დეპოს მოგებით ჩვენი სკოლიდან შეგირდები გავგზავნოთ ხოლმე სხვადასხვა სკოლებში, მომეტებულად სამხედრო სკოლებში, რომ იქ თოფიარაღის ხმარება თვით ისწავლონ კარგად და მერე გვასწავლონ ჩვენცა... მაშინ“...[39] აქაც აშკარადაა ნიკო ლომოურის ხალხოსნური მსოფლმხედველობა გამომჟღავნებული. ხალხში სიარული, მათთან უშუალოდ მისვლა, მისი სწავლება, მისი ეკონომიური და კულტურული დონის აწევა. ამის გარდა, როგორც მოყვანილ ნაწყვეტებში, ისე სხვაგანაც არა ერთგან, ნიკო ლომოური მომავალში გულისხმობს რომ ძალას ძალა დაუპირდაპირდეს და ისე გათავისუფლდეს მშრომელი ხალხი.

6

ნიკო ლომოური, როგორც ჩვენი სხვა ხალხოსნებიც, რუსი ხალხოსნებისაგან მსოფლმხედველობას მთლიანად არ (თუ ვერ) იღებს. ქართველ ხალხოსან მწერლებში (მცირე გამონაკლისის გარდა) კულტი თემისა („община“) ისე არ გავრცელდა, როგორც ეს რუს ხალხოსნებს

[39] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ბედ- უბედურთა, გვ. 105.

ახასიათებდა. ეს აიხსნება საქართველოსა და რუსეთში ამ დროისათვის მიწისმფლობელობის განსხვავებული ხასიათით. მაშინ, როდესაც რუსეთში 70-იან წლებში, ჯერ კიდევ საკმარისად საგრძნობი იყო თემური მიწათმფლობელობის ძალა, საქართველოში ამ დროს, ბარში მაინც, თემური წყობილება უკვე თითქმის სრულიად დარღვეული იყო. კაპიტალისტურმა პროცესმა ის სწრაფად გაანადგურა. საქართველოში, შედარებით რუსეთთან, წვრილი მესაკუთრეობა უფრო გავრცელებული იყო. რაკი ობიექტი — თემი აღარ არსებობდა, ამიტომ ჩვენი ხალხოსნებისათვის ეს თემაც არ იყო მიმზიდველი.

მაგრამ, რადგანაც რუსი ხალხოსნები ქართველ ხალხოსნებზე დიდ გავლენას ახდენდნენ, ხოლო მათში თემით გატაცება მეტად დიდი იყო, ამიტომ ზოგიერთმა ქართველმა ხალხოსანმაც და, კერძოდ, ნიკო ლომოურმაც ხარკი მისცა ამ გატაცებას. ნ. ლომოურმა თემის იდეალიზაცია მოგვცა მოთხრობაში „ბერუა ქრისტესიაშვილი“.

ამ მოთხრობაში ნიკო ლომოური აიდეალებს ძველ, პატრიარქალურ ოჯახს, რომელშიც უფროსის აზრიანი ხელმძღვანელობით შეთანხმებულად ცხოვრობს ოჯახის 22 წევრი. ყველაფერი ამ ოჯახში წესზეა, ყოველ წევრს თავისი საქმე აქვს მიჩნეული, უსაქმოდ არც ერთი არ არის დატოვებული, ყველა კმაყოფილია, სიამოვნება კრთის ყველას სახეზე, არა მარტო დასვენების დროს, არამედ მუშაობის პროცესშიც მათ ისეთი მხიარულება აქვთ, კაცს ეგონება წვეულებაა.

ასეთია ბერუა ქრისტესიაშვილის ოჯახი, რომლის მწყობრმა მუშაობამ მიიზიდა და გააოცა მწერლის ყურადღება. ცნობისმოყვარეობით გატაცებულ ავტორს ბერუა ქრისტესიაშვილი აი როგორ აცნობს თავისი ოჯახის წევრებს და ოჯახის მდგომარეობას:

— „აი ეს მარცხნივ რო მოხუცებული მიზის, ეს არის... ჩემი ჯალაბი, ჩემი ხორეშანი, მთელი ოჯახის დიდი მოამაგე, ჭირსა და ლხინში ჩემი ერთგული მეგობარი. მე და ამან რო ჯვარი დავიწერეთ, თითქმის არა გვებადა რა, მაგრამ ამისმა დედაკაცობამ, დაუღალავმა მხნეობამ და მოწაღმართეობამ მალე ოჯახი გამიჩინა და ამ ოჯახში დოვლათს მკვიდრი საძირკველი ჩაუგდო. ამ ბოლო დროს, საწყალი ცოტა დამიყრუვდა, მაგრამ მაინც ყოჩაღია: ჯერ კიდევ კარგად მოსძლებს... ორმოცამდე ფუტკრის ძირი გვყავს და ამითი მოვლა-შენახვა მარტო ამას აბარია...

აი ე გვერდზე რო გიზის, ეგ ჩემი უფროსი შვილია. მუშაობაში მე და ეგ დიდხანს ვჯიბრობდით ერთმანეთსა, მაგრამ ამ ბოლო დროს კი მაჯობა, ძალზე დამრია ხელი. დღეს მაგაზე მოუღალავი და მარჯვე მუშა მთელს ამ მხარეში არ მოიპოვება, მეტ სახელად „მიწის მგელს“ ეძახიან. ნამდვილი სახელი კი ზურაბაა.

ჩემი ჯალაბის ქვევით რო ქალი ზის, ეს ესმა, მიწის მგლის ცოლია...

ჩინებული დედაკაცია... მოსაქმე ადამიანი. პურის ცხობა და სადილ-ვახშამის კეთება ამას აქვს ჩაბარებული.

გვერდზე რო ქალი უზის, ის ჩვენი ქეთევანია, ჩვენი მარდი, ყოჩაღი ქეთევანი, ისე ტრიალებს ოჯახში, როგორც კაი ჯარა. რაცკი აქ ჩოხა-შარვალი გვაცვია, სულ მაგის ხელით არის მოქსოვილ-შეკერილი. გარდა ამისა, არის ხელოსან-მასწავლებელი ე ჩვენი გოგოებისა; ასწავლის წერა-კითხვასა, ჭრასა და კერვასა, წინდა პაჭიჭებისა და ქისების ქსოვას.

ქეთოს პირდაპირ რომ კაცი ზის, ის ჩემი მეორე შვილია. ზაქარია ჰქვიან სახელად... ეგ არის სანაქებო ხელოსანი. მაგის გათლილი გუთნით რო მთელი ხმელეთი გადააბრუნო, გუთანი მაინც უზიანო დარჩება. მაგის დადგმული ურემი ორპირსა და კავკავში ორას ფუთ ბარგს გადაიტანს და გადმოიტანს. ამასთანავე განთქმული ფალავანია და თოფიარაღის ხმარებაც ჩინებული იცის...

ზაქარიას გვერდზე რო სამი ბიჭი ჩამწკრივებულან, ისინი ე ჩემი ზურაბის ბიჭები არიან; იმათთან რომ ოთხი ბიჭი ზის, ისინი ზაქარიას შვილები არიან. ამათში ორი ცხვარს უვლის, ორი საქონელსა, ერთი ღორებს დასდევს და დანარჩენი ორიც შინ წაღმართობენ, უფროსებს ეშველებიან...

ბიჭების პირდაპირ რო გოგოები გამოჭიმულან, იმათში სამი ერთი ძმისაა, სამიც მეორესი; უფროს გოგოებს შინაური ფრინველების მოვლა აბარიათ...

აი სულ ბოლოში რო პაწია გოგონა კუნტია, ის ჩემი საკუთარი შვილია, ჩემი ეშმაკი და კუდიანი მარიკაა!.. ერთი გათხოვილი ქალი მყავდა, — დაღონებით უთხრა ავტორს ბერუამ, — ამის მუცელს გადაჰყვა საწყალი. ბავშვი მაშინვე მე წამოვიყვანე და მას აქეთ აქ იზრდება.

გარდა ყველა ამათი, ორი პაწია ჩიტუნა გოგო-ბიჭები აკვანში ბრძანდებიან. ესე, ჩემო ბატონო. ვინც კი ვინ არიან აქა ყველანი ჩვენი—მე და ხორეშანის შვილები და შვილიშვილები არიან. სულ ოცდაორი სული ვართ. ძველად ესეთი ოჯახები ხშირი ყოფილა თურმე"[40].

ამ მოთხრობაში ნიკო ლომოური, ცხადია, ძველის ერთგვარ იდეალიზაციას იძლევა. მაგ., ბერუას აზრით, სოფლის ძველი ექიმები უფრო უკეთესები იყვნენ, ვიდრე ახლანდელი „დოხტურები". ისინი ხალხთან უფრო ახლოს იყვნენ და მას მეტი დაკვირვებითა და სიყვარულითაც ეკიდებოდნენ. „ახლანდელი დოხტურები, — ამბობს ბერუა, — სწორედ ნაჩალნიკებს ჰგვანან." ავადმყოფებს არ აკვირდებინ, უცხო ენაზე ელაპარაკებიან, შეუსაბამო რჩევა-დარიგებას აძლევენ ავად-

---

[40] ა. ლ ო მ ო უ რ ი, ბერუა ქრისტესიაშვილი, 1963 წ., გვ. 372.

მყოფს. დარეჯანა ექიმი კი, ბერუას დასაბუთებით, თუმცა ყველას კარგად იცნობდა, მაგრამ სანამ ავადმყოფს ყველაფერს დაწვრილებით არ გამოჰკითხავდა და ავადმყოფს კარგად არ დააკვირდებოდა, რჩევას არ მისცემდა.

ბერუაში მძლავრად ზის აგრეთვე რელიგიური გრძნობა, მღვდლებისადმი პატივისცემა და მათი შენახვის დიდი სურვილი.

ბერუას ოჯახის ცხოვრებას ავტორი თუმცა ასეთი მიმზიდველი ფერებით ხატავს, მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ბერუას პატრიარქალურ შეხედულებებს ყველას იზიარებდეს. აქა-იქ მოთხრობაში მწერალი ჩაურთავს, რომ ბერუას პრაქტიკული ფილოსოფია ყოველთვის არ არის მისაღები არც მისთვის და არც ბერუას შვილებისათვის.

უფროსი შვილები ვერა ბედავენ მამის მცდარი შეხედულებანი ამხილონ, სამაგიეროდ ბერუას უმცროსი შვილი დათიკა კი, რომელიც ქალაქში ნამყოფია, ეუბნება: „პატარაობისას დიდ რამედ მიმაჩნდა, მამაჩემო, ეგ შენი უებარი წამალი (შიში და მონური მორჩილება, სახრე და მუშტი ურჩისადმი კარგი საშუალებაა), ახლა კი, ჩემი ჭკუით, ბევრი არაფერია“... ბერუას სწყინს ასეთი მხილება და ის, რომ დაცინვით ჭკუას ასწავლის მას ქალაქში ნამყოფი შვილი, რადგანაც მან მასზე მეტი იცის. „ისე რომ, — მკვახედ უპასუხებს დათიკა, — შიშითა და მონური მორჩილებით, სახრითა და მუშტით არაფერი გაკეთდება საფუძვლიანათა. ესეთი საქმე ტალახით აშენებულ კედლებსა ჰგავს. სანამ ან წიხლს არავინა ჰკრავს, ან წვიმა-ქარიშხალი არ დაჰკრავს, მანამ იდგება, მაგრამ საკმარისია რაიმე შემთხვევა დაატყდეს თავსა და ეს ჩვენი კედელიც მაშინვე გადაინგრევა...“

— „მიჰქარამ, დაუყვირა გაჯავრებით მოხუცებულმა, მაშ რადა დგას ესე მაგრად ჩემგან აშენებული კედელი, თუ ის კედელი ტალახით არის აშენებული?

— იმიტომ, რომ მაგ შენი კედლისათვის წიხლის კვრა ჯერ ვერავის გაუბედავს... და ვერ გაუბედავს იმიტომა, რომ ყველანი ამ ოჯახში შიშ ქვეშ ვიმყოფებით“...

ასეთმა თავხედმა პასუხმა ბერუა მეტად გააბრაზა და შეიძლებოდა დათიკასთვისაც ეჩვენებინა თავისი სუსხი, რომ ამ დროს სოფლის გზირი არ მისულიყო ბერუასთან და დაწერილი ქაღალდის ფურცელი არ გადაეწოდებინა. გაკვირვებულ მოხუცს აუხსნეს, რომ მას „სუდში“ იბარებენ. ბერუას ფერი ეცვალა, უარი განაცხადა „სუდში“ წასვლაზე, რადგანაც მას მისი არაფერი გაეგება რა. ამავე მიზეზით უარი განაცხადა მისმა ორმა უფროსმა შვილმა.

ამ გამოურკვეველ მდგომარეობიდან მათ მხოლოდ დათიკა გამოიყვანს. მხოლოდ დათიკას ესმის, რომ აქ ფიზიკური ძალით ფონს ვერ ვერ გავლენ. მან აუხსნა მამასა და ძმებს, რომ რაკი მემამულეებს საქმე

„კანონით“ დაუწყიათ, იმათაც კანონს უნდა მიმართონ. „კანონს — კანონი“, „სტატიას—სტატია“ უნდა დაუპირისპირონ. ამიტომ ურჩია მიემართათ მისი ნაცნობი ვექილისათვის (რომელთანაც დათიკა რამდენსამე წელს ცხოვრობდა ქალაქში). დათიკას თქმით, ამ ვექილს ბევრი ამისთანა საქმე საბოლოოდ მოუგია სასამართლოს წესით.

დათიკას ეს რჩევა ბერუასა და მის შვილებსაც ჭკუაში დაუჯდათ. ამ გარემოებამ შეარიგა მამა შვილთან, რომელსაც თვით ბერუას ოჯახში ჰყავს მომხრეები. აქ წყდება მოთხრობა.

კითხვა — საითაა ავტორის სიმპათიები — ბერუასკენ თუ დათიკასკენ, დაჟინებით თხოულობს გადაწყვეტას.

ჩვენი გაგებით, ავტორის შეხედულება, როგორც დამახასიათებელი იყო ხალხოსნებისათვის, აქაც გაურკვეველია, მერყეევია. ეჭვს გარეშეა, მას მოსწონს ბერუას ოჯახის დაწყობილება, თავისი პატრიარქალური ზნე-ჩვეულებით. თანაუგრძნობს ბერუას ძველი, დადებითი მხარეების უპირატესობის აღიარებაში ახალთან შედარებით: ძველი მეზობლური ურთიერთობა, ძველი ექიმი, მხიარულება, ცეკვა და სხვა. ეს მოგონებები მასაც ბერუასთან ერთად სიამოვნებას განაცდევინებს. შესაძლებელია, მწერალი ძველ, საღ ჩვეულებებს უპირისპირებს შესაბამ ახალს (მაგ., ექიმს) და უნდა გააკრიტიკოს ახალი მახინჯი მოვლენები. მაგრამ მოთხრობაში ცხადადაა გამომჟღავნებული, რომ ცხოვრება შეიცვალა და ბერუას ძველი ზნეჩვეულებანი, ძველი ყოფა და მოვლენების გაგება აღარ გამოდგება. ახალი დრო დადგა, ის უკვე ძალაში შევიდა და ამ დროსთან შეგუება საჭიროა. ფიზიკური ძალა—„ვაჟკაცობა“ კი აღარ სჭრის ახლა, არამედ „კანონს—კანონი“, „სტატიას—სტატია“ უნდა დაუპირისპირდეს.

ამიტომაც გაიბზარა ბერუას მაგრად ნაშენი ოჯახის კედლები. დათიკაც ამ ახალი ცხოვრების შემომტანია ამ ძველ პატრიარქალურ ოჯახში. ეს გავლენა ქალაქიდან მოდის. ქალაქის ცხოვრების გავლენა არღვევს პატრიარქალურ სოფელს. თვითონ ბერუაც ამბობს: „ასეთი დიდი ოჯახები მგონი აღარსად აღარ მოიპოვებაო“. მწერალი აღნიშნავს ფაქტს: ძველი პატრიარქალური ოჯახი გაიბზარა, შეიძლება გრძნობით ის ამას სწუხდეს და ეს ასეც არის, მაგრამ გონებით ის რწმუნდება, რომ ეს აუცილებელია და დათიკას არ ექცევა უარყოფითად. დათიკას იღებს, როგორც აუცილებელ მოვლენას.

ამაშია თავისებურება არა მარტო ნიკო ლომოურის მსოფლმხედველობისა და შემოქმედებისა, არამედ საერთოდ ჩვენი ხალხოსანი მწერლებისა.

7

ნიკო ლომოურს, როგორც დავინახეთ, ახასიათებს წარსულის იდე-

ალიზაციაც. წარსულის იდეალიზაცია ლომოურის შემოქმედებაში დაკავშირებულია უფრო ეროვნულ მოტივთან, ასეა მოთხრობებში „წინაპართა აჩრდილნი“, „ხერხი სჯობია ღონესა“, და თუ გნებავთ „ბერუა ქრისტესიაშვილშიც“. ესეც ერთგვარი განმასხვავებელი ნიშანია ქართველი ხალხოსნებისა რუსი ხალხოსნებისაგან. ამ უკანასკნელთ ძველი თემური წყობილების იდეალიზაცია დაკავშირებული ჰქონდათ მხოლოდ სოციალურ საკითხთან.

ამ მხრივ ქართველ ხალხოსნებს 60-იანი წლების ქართველ მოღვაწეთა — ე. წ. თერგდალეულების დიდი გავლენა ემჩნევათ.

საქართველოს ძველი დიდება, ყიჟინა მამულის დასაცავად, მამულისათვის თავდადება ნიკო ლომოურსაც უდავოდ ძალიან იზიდავს, სამშობლოსადმი სიყვარული, ერთგულება, საქართველოს ეროვნული და პოლიტიკური მთლიანობა, გაძლიერება და ამ გრძნობის მკითხველში გამოწვევა ნიკო ლომოურსაც ერთ-ერთ თავის მოვალეობად მიაჩნდა, განსაკუთრებით როდესაც ის გადადის გაზ. „ივერიაში“ და ჟურნ. „მოამბეში“.

ნიკო ლომოური, როდესაც თვალს გადაავლებს წარსულს, გმირების ნაამაგარს გადახედავს, რწმუნდება მათს სიდიადეში. ნიკო ლომოურიც ეროვნული გრძნობის სიმაღლესა და სიმტკიცეს უფრო დაბალ ფენებში ხედავს, ვიდრე ქედმაღალ, ზვიად ფეოდალებში. ეს მისთვის, როგორც ხალხოსანი მწერლისათვის უფრო ბუნებრივია.

ამის მშვენიერი ნიმუშია მისი მოთხრობა „წინაპართა აჩრდილნი“. გაბრიელ ბოსტაშვილის და მისი მშობლების სახით ნიკო ლომოური გვაჩვენებს იმ დიდ ეროვნულ გრძნობას, რომელმაც ქართველი ხალხი დასაბამიდან მტერთან ბრძოლაში ამყოფა: ხმალ-ხანჯალი ქარქაშში არ ჩააგებინა, თოფი მხრიდან არ ჩამოაღებინა და თავისი კერა დიდი მსხვერპლის გაწირვით. შეანარჩუნებინა.

გაბრიელ ბოსტაშვილი და მისი მშობლები გიორგი და თინათინი საერთო საქვეყნო საქმეს, კერძოდ მეფე ერეკლეს, როგორც საქართველოს მთლიანობის გამომხატველ ძალას, უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე თავის პირად სიცოცხლეს და ერთადერთი შვილის გადარჩენასაც კი.

„წინაპართა აჩრდილში“ ასახულია ქართველთა ბრძოლა ლეკებთან. მეფე ერეკლეს მცირე ჯარი ჰყავს. ლეკებმა გზა გადაუჭრეს. ის იძულებულია დაიხიოს. ჯარს დააბანაკებს მიუვალ ადგილებში, ხოლო თვითონ რამდენიმე კაცით სიღნაღისაკენ გასწევს ახალი ჯარის შესაკრებად, რომ მეორე დღეს მიეშველოს და საერთო ძალით ლეკებს ბრძოლა გაუმართოს. მიისწრაფვის ერეკლე მეფე სიღნაღისაკენ, უნდა ჩქარა ჩავიდეს, შეკრიბოს ჯარი და დროზე დაეხმაროს ჯარს, მხლებლები ვერ მიჰყვნენ მას, ჩამორჩნენ, უცბად გავარდა ტყვია. ერეკლეს ცხენი წაექცა, გარშემო მტერია, მდგომარეობა მეტად სახიფათოა, მიიხედ-მოიხედა ერეკ-

ლემ, შენიშნა ერთი ქიზიყელი თავადიშვილი, რომელიც იქვე ახლო მიაჭენებდა ცხენს. ერეკლე გადაუდგა მას წინ და შესძახა:

— თავადო, მე ცხენი მომიკვდა და უნდა შენი ცხენი დამითმო.

თავადიშვილი მსწრაფლ მიიჭრა მეფესთან და მოახსენა:

— მობრძანდით, ბატონო, შემომიჯექით და ორივენი გავიქცეთ.

— ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და ვინც შენ უკან შემოგიჯდეს, ისიცა, დამეკარგე აქედან...

— ბატონო, აი ცხენი... შებრძანდით, შენი ჭირიმე, და უშველეთ თავსა, — მოესმა ერეკლეს მეორე მხრიდან.

მეფე საჩქაროზე შეხტა ამ ცხენზე და შემდეგ მიუბრუნდა მის პატრონს:

— აბა, ჩქარა შემომიჯექ შენც უკან.

— არა, შენი ჭირიმე, ცხენი ვერ შესძლებს ორი კაცის ჭენებასა.

— ბევრს ნუღარ ლაპარაკობ. აგერ ისმის ლეკების ღრიანცელი... ჩქარა შემომიჯექ, თორემ მოგკვლენ...

— თუნდაც რომ მომკლან, არა უშავს რა, შენი ჭირიმე, ჩემისთანებს ქართველი დედა წელიწადში ათასს შობავს... თქვენ გადაირჩინეთ თავი, ბატონო...

მოისმა ლეკების ხმაურობა... დახანება აღარ შეიძლებოდა. მეფემ შემოჰკრა ცხენს მათრახი, მაგრამ იმავე წამს შეჩერდა და შემოსძახა ცხენის პატრონსა: „მითხარ ვინა ხარ, სადაური ხარ?"

— ქვემო მაჩხანელი, გლეხი, გაბრიელა ბოსტაშვილი გახლავარ, შენი ჭირიმე"[41].

ასეთივეა დამოკიდებულება გაბრიელას მშობლებისა ერეკლესადმი. გამახვილებული გრძნობითა აქვს მწერალს დახატული გიორგისა და თინათინის სიყვარული ერეკლესადმი, რომელნიც, როგორც მათი შვილი გაბრიელი, ერეკლეს აფასებენ, ეთაყვანებიან არა როგორც მეფეს, არამედ როგორც მებრძოლ გმირს, რომელიც ხალხის მეგობარია და ხალხს თავისუფლებას უნარჩუნებს თავისი მადლიანი და გამჭრიახი ნიჭითა და უნარით.

თუმცა, ამასთან ერთად, ნიკო ლომოურსაც ახასიათებს დახატოს ძველი საქართველო, სადაც ყველა მისი სოციალური ფენა სამშობლოს დაცვის საკითხში მტერთან ბრძოლის დროს გაერთიანებულია. მაგ., „ხერხი სჯობიან ღონესა". ესეც თერგდალეული მწერლების გავლენითაა გამოწვეული, რაც ნ. ლომოურში გამომჟღავნდა ხალხოსნების დეკადანსის პერიოდში.

---

[41] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, წინაპართა აჩრდილნი, 1963 წ., გვ. 355.

ხალხოსანი მწერლები, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ ნაწარმოების ფორმალური მხარეების დახვეწას. ნაწარმოების გარეგნული მხარე, სილამაზე მათთვის მეორეხარისხოვანი იყო. ისინი იდეური მებრძოლნი იყვნენ დუხჭირი ცხოვრების ხანაში. უშუალოდ ჩაბმულნი ცხოვრების ახალ საფუძვლებზე გარდაქმნის თუ მოწესრიგების საქმეში, მწერლობას ისინი უყურებდნენ, როგორც საბრძოლველ ან „სააქიმო“ იარაღს და ამიტომ მწერლობის, განსაკუთრებით მხატვრული შემოქმედების, საშუალებით ლამობდნენ გამოეტანათ ხალხის გამოსაფხიზლებელი, აღმზრდელი იდეები და მისწრაფებანი. ეს გარემოება ხალხოსან მწერლებს ხშირად უტილიტარიზმის უკიდურესობაში აგდებდა.

ამგვარი უტილიტარიზმისაგან ნიკო ლომოურიც არ არის თავისუფალი. პირიქით ხელოვნებას, ლიტერატურულ შემოქმედებას ისიც სხვა ხალხოსნებსათვის სარგებლიანობის თვალით უყურებდა. როდესაც სილამაზეზე ჩამოვარდებოდა ხოლმე ლაპარაკი, ნიკო ლომოური ჩვეულებრივ შემდეგი გამოთქმით გამოხატავდა ხოლმე თავის დამოკიდებულებას მისდამი: „რის მაქნისია ბუნების სიმშვენიერე, თუ ადამიანის გულსა და სულში აღზნებული ცეცხლი არ ანთია, თუ ნამდვილი მშრომელი ადამიანის არსება ისე დატანჯულა და იტანჯება, რომ დამიწებული გვამის მდგომარეობა მისთვის სანატრელი გამხდარა“. ამით აიხსნება, რომ ნიკო ლომოურიც ნაწარმოების ფორმის დახვეწას ხშირად შეგნებულად გაურბოდა.

მაგრამ პოეტურმა ალღომ, რომელიც ნიკო ლომოურში, უდავოდ, საკმარისად მძლავრი იყო, გადალახა ეს ზღუდეები.

ნიკო ლომოურის შემოქმედება ბრწყინავს წმინდა ძარღვიანი ქართული (უფრო კი ქართლური) სიტყვით; მხატვრული, მკითხველის ადვილად დამატყვევებელი მაღალი ემოციით, მშვენიერი მძლავრი პოეტური შედარებებით, მკვეთრი ეპითეტებით. სოფლისა და გლეხკაცის ცხოვრების ზედმიწევნით მცოდნე ავტორი დიდ ოსტატობას იჩენს სოფლის პეიზაჟის აღწერაში. დამახასიათებელი ის არის, რომ პეიზაჟის აღწერა განშორებული კი არ არის სოფლისა და გლეხის ყოველდღიურ ცხოვრებას, არამედ ამ პეიზაჟის სილამაზეც განჭვრეტილია გლეხკაცის ყოველდღიურ მუშაობასთან დაკავშირებით. ყველაფერი იმდენადაა მწერლის მიერ მიღებული და გაპოეტურებული, რამდენადაც მშრომელი ხალხის ყოველდღიური ცხოვრების ბედნიერებას თუ უბედურებას უფრო მძლავრად აღბეჭდავს მკითხველის შეგნებაში. „ტრედის ფრად იყო ნანათი, როდესაც მე და ბიძაჩემი ანდრია შინიდან კარზე გამოვედით. ჩვენი დარბაზი იდგა სოფლის განაპირას, რომ-

ლის შემდეგაც იწყებოდა თვალგადაუწვდენელი სახნავ-სათესი მინდორი. გავაღეთ თუ არა კარები, მინდვრის წმინდა გრილმა, ათასნაირად შეზავებულმა ჰაერმა დაგვიტკბო მთელი არსება. აღმოსავლეთის მთებიდან მზის შუქი ვარდის ფრად ამოჩნდა და მოკრთალებულ ლაჟვარდ ცას ღამის შავ ფარდას აცლიდა. ერთის მხრიდან მოჰქროდა მინდვრის ნიავი და თან მოჰქონდა რაღაც საიდუმლო ჩურჩული-შრიალი უკვე შეუვითლებულ ყანებისა, ხოლო მეორეს მხრივ, იქვე ჩვენ თვალწინ, პატარა გიჟ-მაჟ მდინარეს გაჰქონდა მხიარული ჩქრიალი და თანაც მარდის, ცელქურის ჩქაფა-ჩქუფით მიათამაშებდა ქვემოდ თავის ანკარა ტალღებსა"..

ან კიდევ:

„ჩემ წინ იყო გადაშლილი თვალგადაუწვდენელი ტრიალი მინდორი, რომლის ნაპირები შორს, შორს ლაჟვარდ ცის დასავალს და ტყით შემოსილ მაღალ მთების კალთებს უერთდებოდა. ზედ შუა მინდორზე მარდათ გარბოდა პატარა მდინარე; მისი მოჩქრიალე ანკარა წყალი მზის ნათელ სხივებზე სარკესავით ელვარებდა. მის ზურმუხტის ფერს ნაპირებიდან მრავალი პატარ-პატარა ნაკადულები მხიარულად მიწანწკარებდნენ აქეთ-იქით და უხვადა რწყამდნენ მთელი მინდვრის შავსა და ღონიერ ნიადაგს. ამ გარემოებას და გლეხკაცის დაუღალავ მარჯვენას ეს ამოდენა არე-მარე ერთ დიდ, რაღაც საოცნებო, წალკოტად გადაექცია. ყველგან, საითკენაც კი უნდა გაგეხედათ, დაინახავდით ერთგულად შემუშავებულ სხვადასხვა გვარს მოსავლით სავსე მინდორსა, რომელიც დაყოფილი იყო უთვალავ სწორე და მოგრძო ოთხკუთხიან უჯრებათ, სახნავ-სათეს მიწებათ. ამ მიწებში ეთესა: პური, ქერი, სიმინდი, ლობიო, დიკა, ასლი, მუხუდო, შვრია, ფეტვი, უგრეხელი და სხვ. რადგან ყველა ეს ჭირნახული ერთსა და იმავე დროს არ შემოდის და ამ ჟამადაც არ იყო ერთნაირად გამხმარი, ამის გამო სხვადასხვა ნაირად იყო აჭრელებული, სხვადასხვა ფერად ტურფად ჰყვავოდა მთელი მინდორი!.. იგი წარმოადგენდა ერთ დიდებულ სურათს ადამიანისა და ბუნების ძალთა შეერთებულ მოქმედებისას".

დიაღაც, დიდებული, დიდშინაარსიანი და მშვენიერ ფერებსა და ხაზებში ჩამოსხმული გრანდიოზული ქანდაკებაა, თუ მხატვრული ტილო ოსტატის მცოდნე ხელით გამოყვანილი და მკითხველის თვალწინ ცოცხლად დასახული. ძარღვიანი სიტყვა, მკვეთრი ბგერა, მძლავრი ეპითეტი, მიმზიდველი მეტაფორა, დამაჯერებელი განსახიერება, მომხიბლავი სისადავე, მტკივნეული თემა, მაღალი ემოცია ნიჭიერადაა ერთმანეთს შექსოვილი, გამთლიანებული და ფართო სივრცეში გაშლილი შესაბამი ანტურაჟით: მკითხველს ამ სურათის ჩვენებით ავტორი იტაცებს, ატყვევებს. ამ გარემოში მომუშავე გლეხი მიმზიდველი

ხდება. ასეთი ადგილები ნიკო ლომოურის შემოქმედებაში უხვადაა მიმობნეული.

გარდა ზემოაღნიშნული სტილური ნიშნებისა, ნიკო ლომოურის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია თემის აქტუალობა. მწერალი წერს იმ საკითხების, თუ მოვლენების გარშემო, რომლის გადაჭრაც ცხოვრებას, ეპოქას სტანჯავს, აინტერესებს. მწერალმა ზედმიწევნით იცის გლეხის გაჭირვებული, მიწის მუშის სავალალო მდგომარეობა, მისი ავლა-დიდება, მისი ძალა და სისუსტე, მისი სიხარული და მწუხარება და ყველა ამას ისეთი სისადავითა, სისწორითა და მიმზიდველობით ხატავს, პოეტურ ნიჭს ისეთი სიუხვით აფრქვევს, რომ ვინც მას ახლო გაიცნობს, ნიკო ლომოურის დიდი პოეტური აღმაფრენა მისთვის აშკარა და უდავო გახდება.

ნიკო ლომოურის იდეური გატაცება, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ხშირად პოეტურ ალეგორიებსა და სიმბოლოებში პოულობს გამოსავალს. ეს ნაწილობრივ აიხსნება ცენზურული პირობებით, ხოლო ნაწილობრივ — მწერლის სურვილით. ტენდენცია, რომელიც მისთვის აუცილებელია შეანელოს, არ გაამახვილოს და მოთხრობა თუ რომანი პუბლიცისტურ ნაწარმოებად არ გადააქციოს. მაგ., „გიგო ღრუბელაშვილში“ ადმინისტრაცია — ღორების, მგლებისა და მელიას სახით; მომავლისაკენ ძახილი, მომავლის იმედი, იმისათვის მზადება და დარაზმვა — ხალიჩაზე მჯდარი მანდილოსანი ანთებული ლამპრით.

მაგრამ ამ ალეგორიებშიც ტენდენცია ხშირად გამჭვირვალეა. მწერალი თავს ვეღარ იკავებს და ხშირად თავის იდეების გაშლას იძლევა მოწოდებისა და ლოზუნგების სახით, რათა ამ გზით აზრი მკითხველამდე უფრო დაიყვანოს. მაგ., „მოვა დრო, როდესაც ეს პატარა ლამპარი ერთ დიდ მზედ გადაიქცევა. იგი მოჰფენს მაშინ მთელს დედა-მიწის ზურგს თავის ცხოველმყოფელ სინათლესა. და მაშინ გაჰქრება ყოველი სახსენებელი მხეცთა და ნადირთა და დამყარდება ქვეყნად მეუფება სიმართლისა, ძმობისა, სიყვარულისა... იარე ჩემთან, იარე ხშირად და შეიმსე იმ ძლიერებით, რომელსაც ანიჭებს ყოველ თავის ერთგულ მუშაკს მადლი ამ ლამპრის სინათლისა და მაშინ ვეღარავინ ვერ დაგიდგება წინა. ყველას და ყველაფერს დასძლევ, შენს მიზანს მიაღწევ“...

მართალია, ეს შეუკავებელი ტენდენცია, რომელიც ხანდახან თავს იჩენს ხოლმე ნიკო ლომოურის შემოქმედებაში, მის პოეტურ შემოქმედებას თავისებურ ბეჭედს ასვამს, მხატვრულ შთაბეჭდილებას, მართალია, თუ არა ბღალავს, ყოველ შემთხვევაში საგრძნობლად ბზარავს მაინც, მაგრამ ეს ეპოქის ცოდვაა (თუ ეს ცოდვაა) და მწერალიც, თავისი ეპოქის შვილი, ამას ვერ გაექცა. თვით ამ ტენდენციის გამომჟღავ-

ნებით ნიკო ლომოური ეპოქას, მის მაჯის ცემას სხვა სტილურ ნიშ-ნებთან ერთად მეტი სისრულით სახავს.

ნიკო ლომოურის პოეტურმა სტილურმა თავისებურებამ მისი ზო-გიერთი ნაწარმოები „ალი“, „ქაჯანა“, „პაწია მეგობრები“, „ყოველის მხრიდან“ გადააქცია ბავშვთა საყვარელ საკითხავ წიგნად. ამ ნაწარმოე-ბებმა, როგორც ნიკო ლომოურის ბევრმა სხვა მოთხრობამ, დღესაც არ დაჰკარგა თავის არც აქტუალური და არც პოეტური ღირებულება. ისი-ნი დღესაც ხალისით იკითხება.

ზაქარია მიხეილის ძე გულისაშვილი (ზაქრო)
1857—1918

1

ზაქარია გულისაშვილი ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ზაქროს ფსევდონიმით არის ცნობილი. იგი ეკუთვნის იმავე ხალხოსან მწერალთა პლეადას, რომელიც 70-იანი წლებიდან გამოვიდა ჩვენი მწერლობის ასპარეზზე.

ზაქ. გულისაშვილი ენერგიულად ემსახურებოდა ხალხოსნურ იდეებს როგორც პრაქტიკული მოღვაწეობით (ხალხში გასვლით ამ ცნების ფართო გაგებით), ისე კალმით. საუკეთესო ნაწილი ზაქ. გულისაშვილის მხატვრული შემოქმედებისა და პრაქტიკული საქმიანობაც სწორედ 70—90-იან წლებში გამომჟღავნდა.

როდესაც მის პრაქტიკულ მოღვაწეობასა და მხატვრულ შემოქმედებას ვეცნობით, მასში თვალსაჩინოდ მოჩანს ორი პერიოდი: 80-იანი და 900-იანი წლები. პირველ პერიოდში (ე. ი. 1878—1890 წწ.) ზაქარია გულისაშვილის თხზულებები იბეჭდებოდა ზაქროს ფსევდონიმით. მეორე პერიოდში (900-იანი წწ.) — მწერალი აწერს თავის გვარს — ზ. გულისაშვილი.

900-იანი წლებიდან ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეში საგრძნობლად აჩქარებული ტემპით ვითარდებოდა მშრომელთა, როგორც მუშათა, ისე გლეხთა, გამათავისუფლებელი მოძრაობა. მიუხედავად ამისა, მწერალი მაინც პირველ პერიოდში (ე. ი. 80-იან წლებში), სწორედ მაშინ, როდესაც ერთობის ხმასა და თესლს ჯერ კიდევ გაუტეხელი ნიადაგი ხვდებოდა, უფრო გატაცებული, ენერგიული, ნაყოფიერი და მკვეთრი მოღვაწეა ხალხის ბედნიერების მოპოვების ასპარეზზე, ვიდრე 900-იან წლებში. მეორე პერიოდში მწერალი ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევებსღა იძლევა, რომელთაც პირველი პერიოდის სიმახვილე დაკარგული აქვთ. ამ გარემოებას, რასაკვირველია, თავისი მიზეზები აქვს: ზაქარია გულისაშვილი ტიპიური კულტურტრეგერი ხალხოსანია; მას რევოლუციონურ განწყობილებამდის ასვლა უჭირდა. მასთან ერთად, ისიც უნდა იქნას მხედველობაში მიღებული, რომ 90-

იანი წლებიდან ხალხოსნობა (საქართველოში მაინც) კატასტროფიულ დეკადანსს განიცდის. ზაქ. გულისაშვილში ამ ხანიდან დეკადენტობამ სწრაფადა და მკვეთრად იჩინა თავი.

ზაქარია მიხეილის ძე გულისაშვილი დაიბადა 1857 წელს სოფ. ჯიმითში (გარე კახეთი), დედის ოჯახში (მისი დედა — ანასტასია შეძლებული გლეხის მიხეილ ტურაშვილის ქალი იყო). მამა ზაქარიასი, მიხეილ გულისაშვილი, მღვდლად იყო სოფ. საგარეჯოში. ისიც შეძლებული გლეხის ოჯახის შვილი იყო.

ზაქარია თავდაპირველად სასწავლებლად მიაბარეს ს. გომბორის პირველდაწყებით სასწავლებელში (უფრო რუსული ენის შესასწავლად, რადგანაც ს. გომბორში რუსი მოსახლეობა არის). შემდგომ ის გადავიდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო ამის დამთავრების შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში.

ცნობილია, რომ თბილისის სემინარიაში სწავლების დახავსებულ მეთოდებთან ერთად, თავიდანვე გამეფებული იყო მეტად სასტიკი პოლიციური რეჟიმი. იმ დროს სემინარიაში ინსპექტორად იყო კუვშინსკი, რომელიც მოსწავლეთა და, კერძოდ, ერ. გულისაშვილის დახასიათებით,[1] იყო „კაცი ნადირის მსგავსი, მტერი თავისუფლებისა, რომელიც მოსწავლეებში ყოველივე ადამიანურს ჰკლავდა“.

ამ დროს სემინარიის რეჟიმს აი როგორ აგვიწერს შ. დავითაშვილი: „სემინარიაში ინსპექტორად დაინიშნა ივ. კუვშინსკი, ყოველგვარი თავისუფალი აზრის საშინელი და სასტიკი მტერი... ინსპექტორს ორი თანაშემწე მისცეს. შემოიღეს დაბეზღება და ჯაშუშობა. გახშირდა მოსწავლეებზე მოულოდნელი თავდასხმა და ჩხრეკა“[2].

თბილისის სასულიერო სემინარიაში შესვლის პირველი დღიდანვე ზაქარია გულისაშვილი მოხვდა სემინარიის რეჟიმის უკმაყოფილო მოსწავლეთა ჯგუფში. აი როგორ ცნობას ვკითხულობთ შ. დავითაშვილის ხსენებულ მოგონებაში: „1875 წელს სემინარიის საერთო საცხოვრებელ ბინაში მიმიღეს სახელმწიფო ხარჯზე და ამ გულშემხუთავმა ამბებმა (კუვშინსკის ინსპექტორად დანიშვნამ. — მ. ზ.) იქ მომისწრო. ჩემი რწმენა—სოფლმხედველობის გარდაქმნაც სწორედ აქ მოხდა. ერთხელ როგორღაც ხელში ჩამივარდა აკრძალული წიგნაკი „ცბიერი მექანიკა“, რუსულად ამ წიგნს „Хитрая механика“ ჰქვია. არ მახსოვს, დანამდვილებით ვინ მომცა, ვფიქრობ მომცემი ან მოსე ჯანაშვილი, ან პოლიეკტ კვიცარიძე, ან შაქრო გულისაშვილი — ამ სამში ეროი რომელიმე იყო უეჭველია“[3].

---

[1] სხვათა შორის, ამ კ უ ვ შ ი ნ ს კ ი ს ზაქ. გულისაშვილიც იხსენიებს სემინარიის შავბნელი ცხოვრების დახატვის დროს „გ ა ნ თ ი ა დ შ ი“.

[2] შ ი ო დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, 1933 წ., გვ. 17.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 17—18.

შალე სემინარიაში მოხდა აჯანყება, რომელშიც, ამხანაგების გადმოცემით, ზაქარია გულისაშვილმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო. ამის შემდეგ იგი იძულებული შეიქმნა სემინარიისათვის თავი დაენებებინა.

სემინარიიდან გამოსვლის შემდეგ ზაქარია გულისაშვილი დაუახლოვდა ხალხოსნურ მიმართულებას, გავიდა ხალხში, როგორც სოფლის სკოლის მასწავლებელი და ერთ აქტიურ თანამშრომლად გადაიქცა ხალხოსანთა პერიოდული ორგანოს „იმედისა".

ზაქარია გულისაშვილი მასწავლებლობდა ქართლისა და კახეთის სოფლებში: მეტეხში, პატარძეულში, კაკაბეთში, რუისპირში და საგარეჯოში. სოფლის მასწავლებლობის დროს ხალხოსნური იდეებით გატაცებულმა ზაქ. გულისაშვილმა, როგორც განვითარებულმა[4] და ენერგიულმა კაცმა, დიდი უნარი გამოიჩინა მუშაობაში. ის ასწავლიდა არა მარტო ბავშვებს, არამედ მოზრდილთათვისაც გახსნა საღამოს სკოლა. ამასთან ერთად გონივრულ საუბრებს აწარმოებდა გლეხობაში. მართავდა კითხვებს და დგამდა წარმოდგენებს გლეხთავე მონაწილეობით. არაერთხელ შეეცადა გლეხთათვის კლუბის მოწყობას. მას ხშირად უხდებოდა გლეხობის გამოქომაგება და ამ ნიადაგზე ადმინისტრაციასთან გამუდმებული შებმა, წინააღმდეგობის გაწევა.

ეს იყო მიზეზი, რომ ზაქ. გულისაშვილს მთავრობა ერთ ადგილზე ბევრ ხანს არ აყენებდა. სოფ. მეტეხიდან ურჩი, შეურიგებელი მასწავლებელი მოხსნა და მაზრიდანაც სრულიად მოიშორა. „კაი ხნის უადგილოდ ხეტიალის შემდეგ, — გადმოგვცემს ზაქ. გულისაშვილის ამხანაგი ალექსი მიქელაძე, — მან მოახერხა თავის სოფელ საგარეჯოში მასწავლებლად მოწყობა, სადაც დაჰყო ჯერ მასწავლებლად და შემდეგ ორკლასიანი სკოლის გამგედ".

80—90-იან წლებში საქართველოში აქა-იქ პროვინციაში დაიწყეს ე. წ. „დეპოების" გახსნა, კახეთში — მაჩხაანში — დ. მაჩხანელის ხელმძღვანელობით. სოფ. საგარეჯოში „დეპო" დააარსა იმ სოფლის მასწავლებელმა ალ. ცხვედაძემ. ეს უკანასკნელი ცნობილი იყო თავისი გატაცებული მოღვაწეობით, როგორც სკოლაში, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე. ალ. ცხვედაძეს სიკვდილმა არ დააცალა უფრო მეტად განვითარებინა თავისი საყვარელი საქმე — „დეპო". იგი გარდაიცვალა და მისი ადგილი დაიჭირა ზაქ. გულისაშვილმა.

---

[4] ზაქ. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი რომ მართლა თავისი დროისათვის საგრძნობლად განვითარებული და მოწინავე ინტელიგენტი იყო, ჩანს ამისი მხატვრული შემოქმედებიდანაც. მის ლმირებს, რომელთა სახით, ეჭვს გარეშეა, თავის თავს და თავის ამხანაგების ცხოვრებას გვაძლევს, ბევრი აქვთ წაკითხული ფილოსოფიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, პედაგოგიკაში, ისტორიაში. მაგ., მარქსი, ლასალი, დიურინგი, ჰეგელი, სპინოზა, კანტი, შელინგი, დეკარტე, რობერტ ოუენი, ფლეროვსკი, სპენსერი, რუსო, პესტალოცი, ამოს კომენსკი, დისტერვეგი და სხვანი.

მაგრამ ზაქ. გულისაშვილი „დეპოთი“ ვერ კმაყოფილდება. მისი ფიქრი და სურვილი ხალხის მომავალი ბედნიერებისაკენ იყურებოდა. ამ ნიადაგზე სკოლების დირექციასთან მუდამ მოურიგებლობა ჰქონდა. დირექციას ის მუდამ ეჭვის ქვეშ ჰყავდა.

შრომა-ჯაფითა, უფრო კი სკოლის მმართველთან უსიამოვნებით მოღლილი, დაწვრილშვილებული ზაქ. გულისაშვილი იძულებული შეიქნა განშორებოდა საყვარელ საქმეს და 1897 წლიდან მღვდლად შემდგარიყო.

აქ მთავრდება ზაქ. გულისაშვილის ცხოვრების პირველი პერიოდი და შეიძლება ითქვას, აქვე თავდება (შეიძლება ცოტა ადრეც) პირველი პერიოდი მისი მხატვრული მოღვაწეობისა.

ზაქ. გულისაშვილი მღვდლობდა სოფ. აწყურში, საგარეჯოში, გომარეთში (ბორჩალოს მაზრა). გომარეთში ცხოვრებამ, უფრო კი მეცხვარეების ცხოვრებამ მთაზე (თრიალეთზე) ზაქ. გულისაშვილის კალამს მდიდარი მასალა მისცა. აქედან მან გაზეთ „ივერიაში“ 1902—1903 წლებში მოათავსა მთელი რიგი კორესპონდენციები — ნარკვევები. მაგ.: „ლანდი“, „თრიალეთზე“ (ნამდვილი და ფანტაზია), „დიდებული ფიტარეთის ტაძარი“, „სარდარბულახი“, „ლექსი პროზად“, „დავკარგე ყოველისფერი“.

1906 წელს ზაქ. გულისაშვილი გადმოვიდა ქ. თბილისში მღვდლად, ჯერ სანთლის ქარხანაში, ხოლო აქედან თბილისშივე წმ. მარინეს ეკლესიის (ავლაბარში) წინამძღვრად.

ზაქ. გულისაშვილი გარდაიცვალა 1913 წ. 25 იანვარს, დასაფლავებულია ქ. თბილისში წმ. მარინეს ეკლესიის სასაფლაოზე.

თბილისში მღვდლობის დროსაც ზაქ. გულისაშვილი განაგრძობდა მწერლობას. უმთავრესად ამ მეორე პერიოდის ცხოვრების დაკვირვების შედეგია მისი პოეტური შემოქმედება. თავის ნარკვევებს, შთაბეჭდილებებს ის დროდადრო სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში ათავსებდა. მაგ.: „ხეობის ალი“ („სავაჭრო გზა“, 1908 წ., № 13); „მტერი“ (ნანახი) („ჩვენი დროება“, 1912 წ., №31); „ქიზიყის მოურავნი თავადი ანდრონიკაშვილები და უკანა მხარი“ („ჩვენი დროება“, 1913 წ., №13) და სხვა.

2

ზაქ. გულისაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ორ პერიოდად იყოფა. 80-იანი და 900-იანი წლები. შეიძლება ასეთი დანაწილებაც: პირველი პერიოდი—სოფლის მასწავლებლობისა და მეორე პერიოდი — მღვდლობისა.

ამ გარეგნულ განსხვავებას დიდი გავლენა მოუხდენია მწერლის შემოქმედების ხასიათზე და მიმართულებაზე.

ზაქ. გულისაშვილის მოღვაწეობის პირველი პერიოდი გამომხატველია გლეხის ცხოვრების, მისი ყოველდღიური გაჭირვების, მისი ფიქრისა აწმყოსა და მომავალზე. ყოველდღიური ცხოვრებიდან მიღებული ტკივილები, იმედი — მისწრაფება უკეთესი მომავლისაკენ თავისებურ დაღს ასვამს არა მარტო მწერლის პრაქტიკულ ცხოვრებას, არამედ მის მხატვრულ შემოქმედებასაც.

ზაქ. გულისაშვილი, როგორც ხალხოსანი მწერალი, გამომხატველია გლეხის ცხოვრების რეალური გარემოცვისა. მისთვის, როგორც ხალხოსანი მწერლისათვის, გამოსავალი წერტილია ხალხი, გლეხობა, მისი აწმყო და მომავალი. ის, როგორც ხალხოსანი, მტკივნეულად განიცდის გლეხის მძიმე, აუტანელ ეკონომიურ, კულტურულ და უფლებრივ მდგომარეობას.

ზაქ. გულისაშვილი, როგორც ხალხის ცხოვრებასთან დაახლოებული, მისი სინამდვილის ზედმიწევნით მცოდნე, მთელ რიგ ნაწარმოებებში გვაძლევს მისი ცხოვრების უადამიანო პირობების ცოცხალ სურათს.

მწერალს „რაღაც ფონგაუსვლელი, განუსაზღვრავი და გაშმაგებული სევდა“ აწვება, როცა უკვირდება გარემო ცხოვრებას, სადაც საცოდაობის მეტს არაფერს ხედავს, „სადაც, — როგორც თვითონ მწერალი განმარტავს, — უკანონობას, კაცობრიობის დამხობას, მუშტისა და მათრახის ძალას დრო-ვითარებით ჩანერგილი მძლავრი მეფობა ჰქონიათ. იქ მცხოვრებ ჩემ მეზობლებს შუა-შუა დახეთქილი ხელებით და გარუჯული კისრით დღესაც კაცებად არა სთვლიდნენ და ყველას საკიდურ პირუტყვად მიაჩნდათ, იმ ქმნილებათ, რომელიც უსწორ-მასწორობის დაწყებიდანვე თხუთმეტჯერ ნაკლებ დაფასდა, ვიდრე მისი ბატონის ფეხის თითი და რომლის ფასი თოთხმეტი თუმანი იყო ვახტანგის კანონით!“[5]

აი, ეს გლეხი, რომელიც მასაზრდოებელი იყო სახელმწიფოსი, გაცილებით ნაკლებ ყურადღებას, თანაგრძნობას, მზრუნველობას იწვევდა, ვიდრე საქონელი.

განა საქონელზე მეტ გაჭირვებას, შევიწროებასა და ანგარიშგაუწევლობას არ იტანს მარტიაანთ პაპა? განა მისი ცხოვრება ტიპიური არ იყო უფლებააყრილ გლეხთათვის?

მარტიაანთ პაპას გულსაკლავი მძიმე ცხოვრება უტყუარი მატიანეა დაბრიყვებული გლეხის ჩვეულებრივი ცხოვრებისა. მწერალს მწარე ფიქრები ერევა, ბუნება ემღვრევა, როცა უკვირდება გლეხკაცის ცხოვრებაში გამეფებულ უკუღმართ ანგარიშს და ჭკუიდან გადა-

---

[5] შ ა ქ რ ო, მარტიაანთ პაპა, ჟურნ. „იმედი“, 1881 წ., № 2, გვ. 4.

სარეე შედეგებს. მწერალი ხედავს და ყველას ადვილად შეუძლია დარწმუნდეს, რომ გლეხს ყველა ავიწროებს: მემამულეც, მღვდელიც, მამასახლისიც, გზირიც, ბოქაულიც, მაზრის უფროსიც, მოსამართლეც... ყველა სარგებლობს მით, რომ გლეხს არავინ მოუსმენდა, არავინ გაუგებდა, თანაგრძნობას მისდამი არავინ გამოიჩენდა.

ზაქარია გულისაშვილი გლეხთა ცხოვრებიდან დამახასიათებელი სურათების გაშლის დროს ვეღარ ითმენს აუტანელ სანახაობას და ხშირად სურათის აღწერას წყვეტს ლირიკული ადგილების ჩართვით. „ყველა.იქ მყოფ სულდგმულს მისძინებოდათ და საბრალო ქოხებიდან დამაშვრალ გლეხობის კვნესა ისმოდა. ცოცხლები საფლავებში კვნესიანო, მწარედ გაიფიქრებდით თქვენ“...[6] ან კიდევ მწერალი გლეხის მდგომარეობაზე მსჯელობას მისი ცხოვრების მწარე სინამდვილის ნახვის შემდეგ შეძრწუნებული, ასე დააჯამებს: „იწვა (გლეხი.—მ. ზ.), იდგა, იშრომა, მკო, თესა, ხნა, ბარა, სარა, რწყო, იხადა სახელმწიფო ხარჯი, სწია ბეგარა, იშორა ვალი ათასნაირი მღლეტელებისა, „პრაოჭიკს“ და ჩაფრებსაც კი ვალი ლოყების და ზურგის მიშვერით უხადა და აი ახლა მოკვდა, რომ დალპეს, მიწად და ორთქლად იქცეს, იმ ორთქლმა წვიმით იმისვე სოფლის ყანაზე იწვიმოს, რომ კაი პური ააღებინოს ქვეყნისათვის“...[7] და სხვა მრავალი ამგვარი ადგილებია მწერლის შემოქმედებაში. შემოქმედების ეს ხერხი მწერლისათვის დამახასიათებელია.

ზაქ. გულისაშვილმა მშვენივრად იცის ხალხის ცხოვრება. მისი ცხოვრების ყოველი კუნჭული ბევრჯერ აქვს ნანახი და აწონილ-გაზომილი. გლეხის ცხოვრებას ის მარტო თვალით კი არ იღებს, არამედ ყურითაც. მის გულს მძიმედ ხვდება სამუშაოზე მყოფი გლეხის საცოდავი ღიღინი:

> შავო, შაებნელო ივანე, ვერ ამოუხველ სევდასა,
> კლდეში ჩაჰჩეხე ურემი, კაცი ვერ გადიხედამსა...

მწერალს კარგად ესმის ამ ღიღინის მძიმე სევდის კილო; კარგადა აქვს გაგებული ის მიზეზები, რაც ამ სიმღერის სევდიან ხასიათს ქმნის.

მწერალი გლეხის სიმღერის ნაღვლიან კილოს ასეთ განმარტებას დაურთავს: „შავი და ბნელია გლეხის სიცოცხლე, ეს ცხადათა სჩანს იმათ სიმღერებში. ფხიზელ გლეხს ეს ლიტონი ჭეშმარიტება თავის ბედკრულს ცხოვრებისა ცხადად ეხატება. თვალწინ ელანდებიან: იასაულები, მოვალეები, მწერლის და მოხელეების ოინები, შინ ცოლ-შვილის სიტიტვლე, ფქვილის გოდრის სიცალიერე, საკომლის გატანა და ვინ იცის რა არა. ეს იმას გონებას უბურავს, იმიტომ თავს იხრჩობს მოყვანილ მჟავე ნუნუაში, თუ შეჰხვდა, ან თუ აქვს“...[8]

---

[6] შ ა ქ რ ო, მარტიანთ პაპა, ჟურნ. „იმედი“, 1881 წ., № 2, ვ. 15.

[7] ი ქ ვ ე.

[8] მ ი ს ი ვ ე, მეტიეე-; გვ. 17.

ზაქ. გულისაშვილი ითვალისწინებს (ალბათ, საწინააღმდეგოდ იმ დროის ბევრი მოაზროვნისა), რომ გლეხის მოვალეობა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ სრულიად არ შეიცვალა. ის კვლავინდებურად დარჩენილია „უღმერთო შრომის კერძად“, „ის, დღითი დღე, — აგვიწერს ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ გლეხის მდგომარეობას ზაქ. გულისაშვილი, — უარუთქმელად ეწევა ბეგარას, აძლევს სახელმწიფო გადასახადს. ამაების შესრულება ჰფხვნის მის გულიდან ყოველსავე სხვა მოვალეობას... ის მარტო კითხულობს: „რამდენი შემომაწერეთ?“ „რა არის ჩემზე საკომლო?“ გლეხი მარტო თავის საცოდავ სიცოცხლეში ჩაყურჭუმალავებული, თავის ნიჭს სხვაზედ არაზედ იჩენს. იმის მაგიერ საზოგადო საქმეებს აკეთებენ სოფლის ყლაპია მოხელეები“...[9]

ზაქ. გულისაშვილის, როგორც სხვა ხალხოსნების, გაგებით ერთ მხარეზეა უწყალოდ დაბეგრილი გლეხი—მეორეზე — მისი მტრები: მემამულე თავადი, მევახშე, მღვდელი, გზირი, მამასახლისი, მაზრის ბოქაული, უფროსი თუ მოსამართლე — მთლიანად სახელმწიფოებრივი აპარატი.

მეტივე ბაციკას ცხოვრება ტიპიური სურათია გლეხის ექსპლოატაციისა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ პერიოდში.

ბაციკა ჯერ ისევ პატარა იყო, როცა მამა მოუკვდა. იმან მას დაუტოვა ერთი დანგრეული ქოხი, ერთი ვენახი, ისიც დაგირავებული არტემა ჩარჩთან, დაჩაჩანაკებული ბებერი დედა და მოვალე „კნიაზი“ ივანე. მწერალი ამ ახალგაზრდის ცხოვრების მძიმე ჭაპანს ასე ახასიათებს: ბაციკა თვრამეტი წლისა იყო, რომ კნიაზმა წელიწადში სამ თუმნად თავის ვალში აიყვანა. სულ ათი თუმანი იყო და სამი თუმანი სარგებელი უნდა ეძლია. მაშ გადაწყვეტის იმედი ჯერ-ჯერობით ბაციკას სულაც არ უნდა ჰქონოდა. არტემას ათ თუმნის სარგებელში მიჰქონდა ბაციკას ვენახის ღვინო და თავნი საუკუნოდ კისერზე ეჭდია. ბაციკას დედა ეჯდა ჯარას და აბზრიალებდა, ათასში ერთხელ სხვას სამუშაოდ გაჰყვებოდა და შინ ერთ ორიოდე გამომცხვარ პურს მოიტანდა, ჯაფის ფასსა; იჯდა ასველებდა ხმელ პურს წყლით, ჰღეჭდა და აზუზუნებდა ჯარას. თითონ ბაციკასაც მოჯამაგირეობაში შავი დღე ედგა. ხომ გაგიგონიათ: „მოჯამაგირის დღესაო არ დაელევა კვნესაო“. მეტადრე კნეინა ექცეოდა ჩვენს ბაციკას ცუდათ. იმის სახარების ფურცლებში ეწერა — „ჩუღურეთი და კუკია სულ ერთ ალაგას კუნტია, მოჯამაგირის საგძალი არის გამხმარი კუტიაო“, მალ-მალეც წამოროშავდა ხოლმე ამას და, ხმელა პურს გარდა, არას მიაკარებდა ხოლმე ბაციკას“[10].

---

[9] შ ა ქ რ ო, მეტივე. გვ. 18.

[10] ი ქ ვ ე, გვ. 19—20.

ეს მართლაც ცოცხალი, უტყუარი სურათია გლეხის მდგომარეობისა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც. მას ყოველი მხრიდან მისევია კლასობრივი მტერი, ის კი უძლურია მათთან ბრძოლაში. სახელმწიფო თავის აპარატით, რომელიც გლეხის შრომითა და ოფლით იკვებება, უდიერად, გაუფრთხილებლად ეპყრობა, სასტიკად ჩაგრავს და ტუქსავს მას.

ზაქარია გულისაშვილის შემოქმედებისათვის, როგორც საერთოდ ხალხოსან მწერლებისათვის, ძირითადი ჟანრია სოციოლოგიური, ანუ როგორც 60—70-იან წლებში ეძახდნენ ფიზიოლოგიური მოთხრობა, რომანი თუ ნარკვევი, სადაც ავტორი არა მარტო მხატვარია, არამედ სოციოლოგი, პუბლიცისტი.

ზაქ. გულისაშვილის შემოქმედებაში დიდი სინამდვილითაა ასახული თუ როგორაა გლეხობა გადაქცეული დამცირებისა და ექსპლოატაციის საგნად მოსამართლის, „ნაჩალნიკის“, „პრისტავის“, „დესეტნიკის“, მამასახლისის, გზირისა და სხვა მოხელეთა ხელში.

ბაციკა და მისი დედა დღედაღამ შრომობენ, წელებზე ფეხს იდგამენ, ყველაფერს მოკლებული არიან, მაგრამ მაინც ვალიდან ვერ ამოვიდნენ. ვენახის შემოსავალიც და მათი შრომაც კნიაზ ივანესა და ჩარჩ არტემას მიჰქონდათ, მაგრამ მათი ვალი ისევ ისე, როგორც ზღაპრული ცხრათავიანი დევი, რომელსაც თავს სჭრიან, მაგრამ თავი მაინც ისევ ებმის, უცვლელი რჩებოდა. გლეხი მრავალგზის დაჩაგრულია. ყველა სარგებლობს მისი დაბეჩავებით, ჩამორჩენილობით. მისი გზა ყოველი მხრით დახშულია.

გაქალაქებულმა მეზობელმა ბაციკას ურჩია არტემასთვის ეჩივლნა და ვალიდან თავი დაეღწია. მრჩევლებმა ბაციკას მიასწავლა სანთლიკუდასთან, რომელიც „არძას“ დაუწერს და, თუ გაჭირდა, „სინადშიც“ კი მისწერს „ლეპორტს“.

ცხოვრება მოწყურებულ ბაციკას იმედი მიეცემა. ეს უცხო გაუგებარი სიტყვები — „არძა“, „სინადი“, „ლეპორტი“ ლურსმანსავით ჩაუჯდა ილაჯგაწყვეტილ გონებაში. ბაციკა სანთლიკუდას, როგორც წყალწაღებული ხავსს, ისე მოეკიდა. ან რა ქნას უილაჯომ! მიდიან ბაციკა და მისი მოხუცი დედა „არძით“ „ნაჩალნიკთან“ ბედის საცდელად. „მოვიდნენ „ნაჩალნიკთან“,—გადმოგვცემს ავტორი, — იქ ერთ ოთახში დააყენეს, სადაც ბლომად იყვნენ გლეხები. ზოგს ძირს ეძინა, ზოგი სკამზედ სთვლემდა, ცუდი სუნი იდგა. ყველას უბიდგან „არძები“ უჩანდათ. დიდხანს ელოდნენ ჩვენებიც და სხვებიც „ნაჩალნიკს“, მაგრამ არავინ გამოდიოდა. ბაციკას და მის დედას შიმშილით მუცლები ეწოდათ, მაგრამ რა ჰქონდათ საჭმელად? აი ძლივს დაიძახეს „მოდისო“, ბაციკა ფეხზე წამოდგა, შეჰხედა და გამოვიდა ერთი მაღალი, წითელ შალვარა, ხელში ვერცხლის წკეპლით, კაცი. ხელებზე თეთრ ხელთათ-

მანებს იცვამდა... ყველამ არძები გაუწოდეს: ბაციკას დედასაც თეთრი ქაღალდი ეჭირა გაწვდილ ხელში, და ხელი სიბერისაგან და შიშისაგან საშინლად უცახცახებდა. „ნაჩალნიკმა“ ერთი ზიზღით გადმოხედა გვერდზედ მოჩივრებს —„პრიდუ“, დაიძახა, ხელები გაასავსავა და ჩაჯდა ეტლში. ყველამ საშინლად ამოიოხრეს. ბაციკა კი გაჩენის დღეს იგინებოდა... შიმშილმა შეაღონა ჩვენი მოჩივრები. ბოლოს თითქმის დაღამდა. ბაციკას შიმშილით გული უღონდებოდა... აი „ნაჩალნიკი“ გარედან შემოვიდა, ბაციკას დედას ჩამოართვა—„არძა“, დახედა და გადაუგდო უკანვე. ბაციკას თითქოს გული შეუღონდა. იმისმა ბებერმა დედამ კიდევ რაღაც დაიწრიპინა—„ნელზია“, დაუყვირა რიხით „ნაჩალნიკმა“, ამის შემდეგ საწყლებს თითონაც არ ესმოდათ, როგორ გამოვიდნენ კარზედ“...[11]

მდგომარეობა ტიპიურია. ხალხური ენით და უშუალობით არის დახატული სცენა. ასეთს დამოკიდებულებას იჩენდნენ გლეხისადმი ეს უფროსნი, სახელმწიფოს ცხოვრების მომწესრიგებელნი.

მოთმინება დაკარგული, როცა ვერსად და ვერავისთან სამართალი ვერ გამონახა, ძალმომრეობით სასოწარკვეთილებამდე მიყვანილი ბაციკა, თავის ვენახზე დაპატრონებულ არტემას რომ ნახავს, თვითონვე შექმნის სამართალს. „მივარდა არტემას, გადმოაგდო (საწნახლის) ბაქანიდგან და საშინელის ძალით ჩააზილა წიხლი ღიპიან მუცელში“, არტემას პირიდან სისხლი ამოუვიდა. უმალ გაჩნდნენ მოხელეები. ბაციკა ნაცვალსაც ეძგერა და ჯაჭვი ჩამოაწყვიტა. ეს საკმარისი იყო, რომ ბაციკა სასტიკად დაესაჯათ. შეუდგინეს „ლეპორტი“, შეკრეს და საღამოზევე შეკრული ბაციკა გაგზავნეს ქ. გ—ში.

საწყალ ბაციკას ყველამ აგებინა პასუხი ამ გვარი დანაშაულობისათვის. წითელშალვარა „ნაჩალნიკიდან“ დაწყებული და გათავებული „დესიატნიკით“ ყველამ გაროზგა, რადგანაც მათი კოდექსით გლეხის დასჯა მხოლოდ ცემა და ხარჯების გადახდევინებაა. „დიდხანს ვიჯექი „ღოშპიტალში“-ო, იტყოდა ხოლმე ბაციკა, რომ მოვრჩი, იქიდან მუჯლუგუნის ცემით „სალდასტებმა“ ციხეში გადმომიყვანესო. ციხიდანაც მუჯლუგუნის ცემით რამდენჯერმე მიმიყვანეს „მირონის სუდში“-ო. ზოგს გზაზედ ვებრალებოდი და ზოგი კი, უფრო მდიდრები იტყოდნენ ხოლმე — „ახია, მაგ რაზბონიკზეო“[12].

მკვეთრი სურათია უბედურთა, დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა მდგომარეობისა: მწერალი ახერხებს კლასობრივი განსხვავების მოცემასაც; ერთს ნაწილს — ღარიბებს, ბაციკა ებრალებოდა, მდიდრები კი ბაციკას შევიწროებით კმაყოფილებას გრძნობდნენ, რადგანაც ურჩობის გამომჩენი გლეხი „რაზბონიკი“ იყო.

---

[11] შ ა ქ რ ო, მეტიკე, გვ. 22.

[12] ი ქ ე ე, გვ. 24.

ზაქ. გულისაშვილი გლეხის შევიწროებას, კლასობრივ დამოკიდებულებას საგრძნობი სიმკვეთრით გვიხატავს მთელ რიგ მოთხრობებში. მართალია, ზაქარია გულისაშვილი, როგორც ხალხოსანი მწერალი, წვრილბურჟუაზიული ფსიქოიდეოლოგიის გამომმჟღავნებელი, ყოველთვის სათანადოდ ვერ ამხილებს კლასობრივ წინააღმდეგობას, მაგრამ მკითხველი მწერლის შემოქმედებაში მაინც გარკვეულადა ხედავს ხალხის მდგომარეობით გამოწვეულ აჯანყებას.

ზაქ. გულისაშვილის შემოქმედებაში ცხოვრების მოუწესრიგებლობის წინააღმდეგ საბრძოლო კილო არა მარტო ავტორისაგან, არამედ მოქმედი პირებისაგანაც — დაჩაგრული გლეხებისაგანაც ისმის.

ავტორი, რომ უფრო გამახვილებულად აგრძნობინოს მკითხველს გლეხის ბედკრული მდგომარეობა, მის თავზე გადატანილი კლასობრივი უსამართლობა და შევიწროება, დაბეჩავებულ ბაციკას ავადმყოფობის დროს თავის (ე. ი. ღარიბი გლეხობის) ბოღმას გადმოანთხევინებს: „ე, მიყვარს ჩვენი ცელქი თეძამი, დიდი ხნისაა, ბევრიც იცის, ბევრიც უნახავს... რამდენ გულსაკლავ ამბებს გვეტყვის უწინდელს და ეხლანდელს!? ბევრჯელ გამოვარდნილა ბატონის სახლიდან ბატონისაგანვე ნამუსშერცხვენილი მოახლე და უღვრია შენ პირებზედ მწარე ცრემლები... რამდენჯერ მოუბანია შენი წყლით ბატონისაგან ან მისი მოურავისაგან ნაცემ ყმას სისხლიანი თავ-პირი! თითონ ბატონის სახლიდგან რამდენი კვნესა და ავი ამბები გსმენია?! ეხლანდელი იასაულებისაგან გლეხების დაწიოკების ხმაც ხომ გსმენია? ჩინოვნიკებისაგან მათრახის შლაპა-შლუპის ხმა; გლეხისაგან ბედის წყევლა, როდესაც წასულა ის სიმართლის საპოვნელად სასამართლოში, დაბრუნებულა, ჩამომჯდარა დაღონებული შენ ნაპირებზე ხმელა პურის წყალში ამოსასველებლად! ეჰ, რამდენი სხვა... ახ, ნეტავი ლაპარაკი შეგეძლოს, უთხრა სხვას“...

ეს მძიმე და უკუღმართი ცხოვრების ოდისეა ხომ საერთო იყო უფლებააყრილი გლეხისათვის არა მარტო ბატონყმობის დროს, არამედ კიდევ კარგა ხანს მისი გადავარდნის შემდეგ. ამას ებრძვის დაუნდობლად ხალხის მდგომარეობით აღშფოთებული ზ. გულისაშვილი.

არანაკლები მუქი ფერებით აგვიწერს მწერალი ჩარჩი ვაჭრის მიერ გლეხის შევიწროებას. შოთხრობაში „ბედნიერი კუნჭული“ ავტორი ცდილობს ყლაპია ჩარჩ-ვაჭრის სახის გაშიშვლებას: მრავალ მხრივ გვიხატავს მის გაუმაძღარ ბუნებას, მორალურ განურჩევლობას, ფულის ხელში ჩაგდებისათვის საშუალებათა განურჩევლობას. გამახვილებულადაა გამომჟღავნებული ვაჭრის კლასობრივი ბუნება, განსაკუთრებით გლეხისადმი დამოკიდებულებაში.

მგზავრობისას (მგზავრობა ზაქ. გულისაშვილს გამოყენებული აქვს,

როგორც მისთვის დამახასიათებელი პოეტური შემოქმედების ჟანრი— ხერხი, რომ უბედურთა, გაჭირვებულთა, უფლებააყრილ გლეხთა ქვეყანა მრავალმხრივ დაგვანახოს. ესეც ხალხოსანი მწერლებისათვის დამახასიათებელი იყო) ავტორი შეხვდება გამდიდრებულ ვაჭარს—არტემ იაგორიჩს. ამ უკანასკნელს ავტორი ეუბნება, რომ სოფლად, გაზაფხულზე, რასაკვირველია, უკეთესია, მაგრამ ცუდი დროა—კალიაობაა, „გარშემო გლეხის წიოკობაა". არტემ იაგორიჩი კი დიდი კმაყოფილების განცდით უპასუხებს: „ვა, მერე მე რა. გლეხები რომ დაწიოკდნენ უფრო კარგი არ არის? ან გინდ შენ კალიაობა შენ ცუდი დრო ggონია? როგორ არა! ერთი შიმშილი მოვიდეს —გლეხებს, თავადებს მაშინ გაუჭირდებათ—ჩემთან მოვლენ, მეც მთელი „ბედნიერი კუნჭული" ყმად დამრჩება, თორემ გლეხი გაძაღლდა, თუ ძლიერ არ უჭირს—დუქანში აღარ მოდის".

ასეთია იმ ინტერესთა წინააღმდეგობა ვაჭარსა და გლეხს შორის, რომელსაც გამახვილებულად ხედავს და გვაძლევს კიდეც ზაქ. გულისაშვილი თავის შემოქმედებაში. ამ მხრივ ის უფრო მეტ სიმტკიცეს იჩენს, ვიდრე სხვა ხალხოსანი მწერლები. თუმცა, რასაკვირველია, ისიც თავისუფალი არ არის წვრილბურჟუაზიული მერყეობისაგან.

განა ასეთსავე სიმძიმით არ აწვებიან სოფ. პ-ის მცხოვრებ გლეხებს: ვაჭარი კარაპეტა. რომელიც საიდანღაც გადმოსახლდა, გაინათლია მრავალი გლეხი და წურბელასავით მოეკიდა მთელ სოფელს და გასუქდა, გაკეთდა; აზნაური გიგო, რომელიც ჯერ უბრალო მომაკვდავი იყო, როცა მილიციაში შევიდა, მაგრამ იქიდან „გაქნილი სალახანა" დაბრუნდა და თავისი „მხნეობით" მთელი გლეხობის სარჩო „თავის ეზოსკენ მიუკეთა" და ბატონად გაუჩნდა სოფელს. ფულის საშუალებით კეთილშობილებაც კი შეიძინა და უფრო გაბედულად დაუწყო სოფელს ყვლეფა. სოფ. პ-ის გლეხებს მესამე მჭამელიც ჰყავდათ — ეს პეტრე გლეხია, რომლის „ბედიც და სიმდიდრის წყაროც დუქანი იყო". „ამ დუქნის წყალობით იმან სუფთა სახლი დაიდგა, ვენახებს ამ დუქნის ნისიებში აკეთებინებდა გლეხებს. გირაო ვენახებიც ამ დუქნის წყალობით ჰქონდა"[13].

ზაქ. გულისაშვილი კარგად ამჩნევს, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ თვით გლეხთა შორის შექმნა შინაგანი ფენები, შინაგანი კლასობრივი წინააღმდეგობა. გლეხები გაიყვნენ შეძლებულებად, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ — „კულაკებად" და ღარიბებად. მათ შორის თანდათან მწვავდებოდა კლასობრივი ურთიერთობა.

ამგვარმა შევიწროებამ ხალხის მასები ხშირად დაამონა. შეძლებულთა ხელში ხალხი გადააქცია საკრეჭ ცხვრად. მაგრამ, ასეთმა ბოროტებამ

---

[13] შ ა ქ რ ო, ორიოდე სურათი მოთხრობიდან, ჟურ. „ივერია", 1879 წ., № 3.

წინააღმდეგობაც განავითარა. ზაქ. გულისაშვილს ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში (მოთხრობაში „ორიოდე სურათი მოთხრობიდან“) ეხატება გაჭირვება-შეურაცხყოფაში გამოფხიზლებული გლეხი, რომელიც თავის კლასობრივ მტრებს ურჩობას სტიქიურად კი არ უწევს, როგორც ბაციკა („მეტივე“), არამედ უფრო შეგნებულად.

სოფ. პ-ის მცხოვრებ გლეხებს ეს სამი გმირი—ვაჭარი კარაპეტა. მეოდუქნე გლეხი პეტრე და აზნაური გიგო სოფლის მყვლეფელი — საშინელ პირობებს უქმნიდა. ავტორი ტკივილით აღნიშნავს, რომ გლეხები ვერ ერკვეოდნენ და ეს სამივე მოკეთეებად მიაჩნდათ. „ეს ყვლეფა, — გადმოგვცემს მწერალი, — ყველაზედ კარგად ახალგაზრდა გლეხს ილიკოს ესმოდა. ამიტომ მათ (კარაპეტას, გიგოს და პეტრეს. — მ. ზ.), მეტადრე გიგოს, ილიკო ძლიერ ეჯავრებოდათ. გიგო ხშირად ეტყოდა ხოლმე ილიკოს:

— შენთვის იყავ, თორემ მატლს ჩაიხვევო.

მაგრამ ილიკო არ ემორჩილებოდა და ხალხს პირდაპირ იმათ ყველაფერს უმჟღავნებდა...

— ჰე, შვილო, ე, ცხვრის პარსვა ხომ გინახავთ. დაამწყვდევენ ცხვრებს შემოღობილ ბაკში, მერე შევლენ მპარსავები დასაჭერად... ცხვრები სულ მირბიან კუნჭულში და მპარსავი რომ მიუახლოვდება, ისინი მარტო ფეხებს აბაკუნებენ. კაციც სტაცებს რომელსამე ხელს და გამოათრევს. მერე რო წააქცევს და პარსვას დაუწყებს, თუმცა ფეხგაკრული არ არის, მაინც აღარ ინძრევა. მარტო ხვნეშის საწყალი დიდი მწუხარების მგრძნობი. გაპარსავენ და რო გაუშვებენ, გახუზული გარბის, ვითომ აქ არაფერი ამბავიაო... ასე დაპარსეს მთელი ფარა. დარჩა ცოტაღა, მაშინ მპარსავი დასაჭერად რომ შევა, განა მირბიან, არა. ის ტიალები თვითონვე მისცვივიან მპარსველს: დამიჭირეო... ჩვენ სულ წმინდად ცხვრები ვართ. ვიცით, რომ გიგოც და სხვებიც ცხვრებსავით გვპარსავენ, სულ გვინდა გავიქცეთ. მაგრამ იქვე ფეხებს ვაბაკუნებთ. როცა გვიჭერენ გასაპარსავათ, ჯერ კი ფეხებს ვიქნევთ და რომ გვპარსავენ, მაშინ ფეხებზე გვკიდია, პარსვაზედ აღარც კი ვფიქრობთ: ასე, დღეს პაპასა ჰპარსავენ, ხვალ სხვას გაპარსავენ და მერე, ვინც დავრჩებით, თვითონვე მივალთ ცხვრებივით გასაპარსავად“...[14]

საკმარისად მკვეთრადაა მოცემული ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება ხალხის მპარსავებისადმი. მკვეთრია და სწორი მოყვანილი შედარება. ხალხსნებისათვის დამახასიათებელი სტილური ნიშანი იყო ამგვარი შედარება-ალეგორიები და გლეხისათვისაც გასაგები.

ზაქ. გულისაშვილი ხშირად უბრუნდება თავის შემოქმედებაში ამ მოვლენის ასახვას. ის, როგორც ხალხოსანი მწერალი, ვერ ერკვევა ვაჭ-

---

[14] ზ ა ქ რ ო, ორიოდე სურათი მოთხრობიდან. ჟურ. „ივერია“, 1879 წ., № 3.

რობის განვითარების მნიშვნელობაში. მას ვაჭრობის (კაპიტალიზაციის) განვითარება ეხატება, როგორც ხალხის შემავიწროებელი, მისი გამაწრიოკებელი მოვლენა (განსაკუთრებით ჩარჩის სახით). საერთოდ ხალხოსნები, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ვლ. ლენინი, ვერ ამჩნევდნენ კაპიტალიზმის პროგრესულ მნიშვნელობას, ვერ ხედავდნენ, რომ „კაპიტალიზმის პროგრესული მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან დაარღვია ადამიანის ცხოვრების ძველი ვიწრო პირობები, რომლებიც გონებას აჩლუნგებდნენ და საშუალებას არ აძლევდნენ მწარმოებლებს თვითონვე გასძღოლოდნენ თავიანთ ბედს. საგაჭრო ურთიერთობისა და მსოფლიო გაცვლა-გამოცვლის უდიდესმა განვითარებამ, მოსახლეობის უზარმაზარი მასების მუდმივმა გადასვლა-გადმოსვლამ გასწყვიტა გვარის, ოჯახის, ტერიტორიალური თემის ძველის-ძველი დროიდან არსებული კავშირი და შეჰქმნა განვითარების ის სხვადასხვაობა, „ნიჭთა სხვადასხვაობა, საზოგადოებრივი ურთიერთობის მრავალგვარობა“, რაც ასეთ დიდ როლს თამაშობს დასავლეთ ევროპის უახლეს ისტორიაში. რუსეთში ამ პროცესმა სრული სიძლიერით იჩინა თავი რეფორმისშემდგომ ხანაში, როცა შრომის ძველი ფორმები უდიდესი სისწრაფით ირღვეოდა და პირველი ადგილი დაიკავა სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვამ“[15].

აი, ამიტომაა, რომ ყველა ხალხოსანი მწერალი, და, კერძოდ ზაქ. გულისაშვილი, ასე ჩაჰკირკიტებს ამ მოვლენას, ასე ცდილობს მისი უარყოფითი მხარეების წინ წამოწევას. მასში იგი მტერს ხედავს.

სოფ. აცხაში ვაჭარი არტემა ადგილობრივი თავადაზნაურობის დაკნინებით, დაძაბუნებითა და გლეხობის შევიწროებით გადიდკაცებულა და ხერხიანად ცდილობს ფართოდ გაწმინდოს გზა ყველა „არამზადისაგან“, რომელიც მას ხელს უშლის გლეხთა გაპარსვის საქმეში. სოფ. აცხას სკოლის მასწავლებლით უკმაყოფილოა არტემა, რადგანაც მასწავლებელი გლეხკაცობას ექომაგება, აფხიზლებს, პირდაპირ ეუბნება: „ისწავლეთ წიგნი-ანგარიში, რომ მდიდრებმა აღარ გაგძარცვონ“. მასწავლებელი ხალხს არიგებს, და არტემას მოწმობას აღარ აძლევენ, რომ მას პატენტი აეღო. არტემაც, რასაკვირველია, მასწავლებელს მტრობს, „ნაჩალნიკთან“ აბეზღებს. მასწავლებლის საქციელს არტემა „ბუნტს“ ეძახის და „ბუნტი“ კი მისთვის არ არის ხელსაყრელი, ისე როგორც „ნაჩალნიკისათვისაც“. არტემა და „ნაჩალნიკი“, მწერლის გაგებით, კლასობრივად ნათესავები არიან, მათ საერთო მისწრაფება და ენა აქვთ.

გლეხთა გამოქომაგება მიუღებლად მიაჩნია სოფ. აცხას მცხოვრებ

---

[15] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში, თხზ., ტ. I, 1949, გვ. 497—498.

აზნაურსაც: „რაც ბატონყმობა გადავარდა, — მწუხარებით ამბობს იქაური აზნაური, — მოჯამაგირეს ვეღარ ვშოვობთ. გლეხი კაცი, რაკი თავზე ხელს მოისვამს და გაჭირვებას ამოუვა, აღარც მუშად, აღარც მოჯამაგირედ, აღარც სამეზობლოდ ის აღარ მოგიდგება — მუშაობს თავისთვის და მერე ისე, რომ წელებზე ფეხს იდგამს. შენი მტერი, იმიტომ როგორი ცუდი დღე დგება ჩვენი კეთილშობილებისათვის. აბა, მუშაობა ხომ ჩვენ არ შეგვფერის და მამულები ვის დავამუშავებინოთ? ჩვენ სული ხო იქიდგან გვიდგას, კიდევ კარგი, თუ მოხერხებული კაცი ხარ, თორემ უხერხოთ და უშაროთ ეხლა კეთილშობილი ვერ იცხოვრებს. აი მე ვენახები შიგ შუა სოფელში მაქვს და არა ვღობავ: შემოვა გლეხის ხარი, დავატყვევებ და, მანამ ერთი დღე არ მიშველის, არ მივცემ, ხბო შემოვა—ისე უზამ, სხვა და ისე... მიწებიც ღვთით მაგრე კაი ალაგს მაქვს და მაგით მივდივარ იოლათ. თან კიდევ ხალხს ვაშინებ—ძალით ჩხუბს აუტეხ, თუ დავატყე რომ ამაყი გლეხია, სუდში მევე უჩივლებ და, ხო იცი, გლეხი სამართალში რა არის? ცამდის მართალი რომ იყოს, მე მოუგებ და ისე მოვრწვთნი, მოვარბილებ, რომ ჩემს მზეს ფიცულობდეს“...[16] ასეთი საზიზღარი, უზნეო, ანტისაზოგადოებრივი აღსარებით აცხელ აზნაურს თავიც მოაქვს. ვაჟკაცობადა ხერხიანობად მიაჩნია თავისი ასეთი მოქმედება.

ასეთივე ცინიკურია ჩარჩი არტემას აღსარება, თუ თავმოწონებით თავისი ავტობიოგრაფიის მბობა. „შენთან რა დავმალო, — კმაყოფილებით ეუბნება არტემა ავტორს, — და მე ეს ოცი წელია, რაც ყარაბაღიდგან მოველ კუნჭულში. როგორც გინდა თქვი, ნიფხავი არ მეცო. ერთი ყისინის ჩოხაში გახვეული, რვა ხარი მოვიყვანე გასასყიდათ. ს. აცხაში დავყიდე და იღბალიც იქ ვიპოვე. ეჰ, ღმერთი მართლაც კაცს არ დაჰკარგავს. მე ისეთი გონება და შნო მაქვს, რომ ყველგან ბედს ვიპოვიდი“[17].

სოფ. აცხაში არტემა მალე დაუახლოვდა თავად თალიაძეს. არტემამ თავისი მოთაფლული ენითა და მლიქვნელი ხასიათით მალე დაიმსახურა როგორც თავადის, ისე მისი კნეინას ყურადღება და ნდობა. მიიღო მოურაობა. დაიწყო გლეხების დაბეზღება თავადთან. ტყავი გააძრო გლეხობას. გაძარცვა ისინი. გასუქდა არტემა და სთხოვა თავადს დაეთხოვა ის მოურავის თანამდებობიდან, რადგანაც სოფ. აცხაში დუქნის გახსნას აპირებდა. თავადი თალიაძე თვითონვე დაეხმარა არტემას დუქნის გახსნაში. „ისეთი ვაჭრობა მქონდა, რომ ქონიანი ფართუკის გარეცხასაც ვეღარ ვახერხებდი. სულადი, კვერცხები, ქათმები ისე შემოდიოდა,

---

[16] შ ა ქ რ ო, ბედნიერი კუნჭული, გვ. 17.
[17] ი ქ ვ ე, გვ. 12—13.

როგორც ბზე და მალეც მთელი სოფლის ვენახები დავიგირავე ნელ ნელა... და ახლა ისე მომიმართა ღმერთმა ხელი, რომ მთელი უეზდის ვენახები, მიწები მე მაქვს დაგირავებული. ოცი დუქანი მექნება, ქ. გ—ში სახლები,—ესეც სახლი. მარტო ღვინო და პურს წელიწადში ხუთასი თუმნისას ვყიდი!"[18] ასეთი იყო ჩვეულებრივი გზა ჩარჩთა გამდიდრებისა და გადიდკაცებისა.

ზაქარია გულისაშვილს, როგორც ხალხოსან მწერალს, გლეხის მდგომარეობის გაგება-დახატვაში კიდევ შემდეგი ნიუანსი ახასიათებს: მისი აზრით, გლეხკაცის ასეთი აუტანელი მდგომარეობა მარტო აწმყოში კი არ არის, არამედ ასევე იყო წარსულშიც.

მწერალს გლეხის მდგომარეობა წარსულშიც მძიმე და გაუზარელ ფერებში ეხატება. მისი შეხედულებით, გლეხკაცი დასაბამიდან უადამიანო პირობებში იყო ჩაყენებული. მებატონე მას დაუზოგველად ავიწროებდა, იყენებდა, ანადგურებდა, წარსულის მოგონებანი მძიმე ლოდად აწევს გლეხის ტვინს, მეხსიერებას, გულს.

მეტად მკვეთრია გლეხის მდგომარეობის აღწერა აზმეიფარაშვილის ნაამბობში. „უწინდელი, ძრიელ დიდი ხნისა — მამით-პაპიდგან გადმოცემული ვიცი... რომ გლეხს შავი დღე ედგა თავის ბატონის ხელში! უფრო მაშინ, როცა ბატონს საომარი აღარავისთან ჰქონდა და შინ ეგდო მცონარსაებრ, ამით მე იმათ საფლავში წიხლის დარტყმა კი არ მინდა, არა... თუმცა გლეხებს კი სულ წაქცეულებს გვახრჩობდნენ... როცა ბატონი უსაქმოდ იყო ხოლმე, აბა მაშინ ისმოდა ი ჯოჯოხეთზე უარესი მოსაგონი სიტყვები: „ავბუმბლოთ" თუ „ავკარკლოთ": ბატონი დადიოდა ხოლმე ლაზებით, გაშინაურებული ლეკებით ყმების კარდაკარ, შაუარდებოდათ მათ სახლში. თანამხლებლები დაიძახებდნენ: „ავბუმბლოთ" თუ „ავკარკლოთ". და თუ ბატონი ეტყოდათ „აბუმბლეთო", ერთ ორიოდ-სამიოდ დედაკაცსა, თუ კაცს შეჰკრამდნენ და გაგზავნიდნენ გასაყიდად და თუ იტყოდა „აკარკლეთო", მაშინ მთელ ოჯახს აიკლებდნენ და ხალხს ხელფეხ შეკრულს გაგზავნიდნენ ახალციხისაკენ გასასყიდად... ჩემს მოსწრებაშიაც მაგრე გახლდათ: თუ ერთი თვე გავიდოდა, რომ ბატონს ან არ ეომნა, ან არ ეჩხუბნა, არ ედავლავნა, თავის ხორცს იგლეჯდა და ყმებს ხომ... ის უსაქმობა, მოუსვენრობა, შხამიანი სისხლი აკი არც ეხლა ასვენებთ! ყმებიც იმასთან ომებში, სისხლის ღვრაში იყვნენ გაქეზებულნი და ომი ერჩივნათ ისე ჯდომას და ბატონისაგან აკლებას"[19]. გლეხი აზმეიფარაშვილი ჩამოთვლის ბატონისაგან შიყენებულ არა ერთ უდიერ მოპყრობას გლეხისადმი. მოთხრობა მკითხველზე ტოვებს მძიმე მოგონებათა განუწყვეტელი გრეხილის შთაბეჭდილებას.

[18] შ ა ქ რ ო, ბედნიერი კენჭული, გვ. 14.

[19] ი ქ ვ ე, გვ. 21—23.

ამიტომ არა მარტო გლეხკაცებს, არამედ თვით ავტორსაც და მის მკითხველსაც ეს ძველი მოგონებები, როგორც კოშმარი, ისე აწვება.

ძველი ახალში გადმოდის. ურთიერთობა გლეხსა და გაბატონებულ ფენათა შორის სჭრის შას თვალს, უყურებს სმენას, უღონებს გულს და, თითქოს კინოს ლენტზე, მწერალი ისეთი სისწრაფით გაატარებს მკითხველის წინ წინააღმდეგობით სავსე სოფლის ცხოვრებას, სადაც წარსული და აწმყო ერთს ძლიერ მძიმე სურათში იგრიხება, „აი, მიდგება თვალწინ, — აგვიწერს მწერალი, — საზარელი სურათი: მხარბეჭიანი გლეხი ვეებარა თავლაში შფოთავს, არ ჰმორჩილდება... იქაურობას გააქვს ბრაგაბრუგი, ბატონი კი ჩიბუხით პირში ყვირის: „წააქციეთ!“ აგერ დასძლიეს... გააქვს შხუილი შხეპლებს... დგება სისხლის გუბე და ზედ ხორცის ნაგლეჯები ტივტივობენ... მაგრამ გმირი ხმას არ იღებს... ათასში ერთხელ თუ ამოიკვნესებს!.. აგერ, ბოლო კვნესა, და ის როზგ ქვეშა სულსა ლევს... იქვე ბატონის სახლში... კნეინები არაკრაკებენ „სულო, ვაი ბოროტო! ვინ მოგ“... და სხვა. რო გაათავებენ, ატყდება საშინელი ღრიანცელი—ტაშის კვრა და ისევ თავიდგან გაისმის საამური ხმა „სულო, ვაი ბოროტო“... აი უცებ სიჩუმე... კარზე ჭილობებწაფარებული, დარუმბებული ცემისაგან ურმით გლეხი — ზედ ბუზების ბზუილი — უცებ დიამბეგის ხმა: „დაჰკათო“ და ის ჯოჯოხეთის ზმუილით სულს სტრუნავს—ათავებს სიცოცხლეს... მერე კი შეუწყვეტლივ მღერა „სულო ბოროტოსი“, ხარხარი, სიცილი... ისმის აგრეთვე „აბუმბლე“, „აკარკლეც“ ისმის ამ ვაი-ვაგლახში... აქვე ერევა ხმა არტემასი, ქიტესასი, პრისტავისა, აზნაურისა,—„გაჭირვება გლეხს, უიმისოთ მაგას უღელში ვერ შევაბამთ, ჩვენთვის ვერ ვამუშავებთ!...“ ჯოჯოხეთშია, ის ოსტატია, რომელიც მაგ გლეხებს ამაგრებს. გაუმარჯოს კალიაობას, გაჭირვებას, უმეცრებას!!. ისმის ბრაგიბრუგი, ამათი დარევა“...[20]

დიახაც, გულ'შემზარავი სურათია! და ეს ხომ ყოველდღიური სინამდვილე იყო გლეხის ცხოვრებისათვის, არა მარტო ბატონყმობის დროს, არამედ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ კიდევ კარგა ხანს. ის უშუალობა და ემოციონალობა, რომლითაც ავტორი ხედავს და აღწერს, უდავოდ, მკითხველზეც გადადის. მწერალი მოვლენების დანატვაში, როგორც ჩვეულებრივ ხალხოსანი მწერლები, უხვად სარგებლობს პუბლიცისტური მეთოდით.

საგულისხმიეროა ზაქ. გულისაშვილის დამოკიდებულება წარსულისადმი. ცნობილია რომ წარსულის იდეალიზაციას ერთგვარი დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ე. წ. რომანტიკული მიმართულების მწერლების მიერ, როგორც რომანტიზმის განვითარების — ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ისე რომანტიზმის გადაგვარების დროის მწერ-

---

[20] შ ა ქ რ ო, ბედნიერი კუნძული, გვ. 25—26.

ლების — ვახ. ორბელიანის, ბარბარე ჯორჯაძის, მამია გურიელისა და სხვათა მიერ.

წარსულის იდეალიზაცია, მართალია, განსხვავებული გაგებით, ვიდრე რომანტიკოს მწერლებს, ახასიათებდა თერგდალეულ მწერლებსაც — ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, რაფ. ერისთავს და სხვათა.

ხალხოსნები ვერ ეგუებოდნენ წარსულის იდეალიზაციას. მათი აზრით ეს ისტორიული ფაქტების დამახინჯებაა. მათი შეხედულებით, ეს არც საჭიროა და სარგებლობაც არ მოაქვს. ასეთ შეხედულებას ხალხოსნები თავიანთი ორგანო „იმედში“ ხაზგასმით აღნიშნავენ, „ჩვენ ვიწყებთ ‘შით, — აცხადებს ნიკო ხიზანაშვილი, — რომ ვამბობთ: ჩვენი გლეხი იურიდიულად იყო ყოველ მხრივ დაჩაგრული არსება“[21].

ამ მიმართულებით „იმედის“ ერთ-ერთი თანამშრომელი 1881 წ. № 9-ში გარკვეულად აღნიშნავს, რომ „იმედის“ თანამშრომელნი წინააღმდეგ „დროება“—„ივერიის“ თანამშრომელთა მაინც და მაინც ძველს მაგდენად არა სწყალობენ და ქადაგებენ, რომ „საქმე სისხლშია და არა ძვალში, სიცოცხლეში და არა სიკვდილში, აწმყო მომავალში და არა წარსულშიო“.

ეს საკითხი ჩანს, ზაქ. გულისაშვილისათვისაც არსებითი ყოფილა, ამიტომ ის ამ საკითხს არაერთხელ უტრიალებს თავის მხატვრულ შემოქმედებაში. გესლისაგან არა თავისუფალი კილოთი ზაქ. გულისაშვილი გადმოგვცემს წარსულის დახასიათებას: „მთლად ჩვენი საქართველო „მშვენიერიაო“, „ბედნიერიაო“... ჩაგვძახიან ყურში თითქმის ყველა წიგნები ქართულ ენაზედ, თუ ლექსები... არაფერი არ არის აქ საკვირველი თქვენმა მზემ. ქართველები ეხლაც ხომ ბედნიერები ვართ და წარსულ „ნეტარ“ დროს ხომ ბედნიერზე ბედნიერი ვიყავით... ოდეს ბატონი „ყმას უბით ინახავდა“, ესარჩლებოდა, რადგან საკუთარი მისი ნივთი იყო, თავის „უძვირფასეს სამკაულით“—„ქორწინების პირველ ღამით“, როდესაც „უსწორ-მასწორ“ ძალებმა ისე შეკუმშეს ქართველთ ცხოვრება, რომ ის ლაზათიანად მოათავსეს ვახტანგის კანონებში. ჰო, ბედნიერი იყო ჩვენი ქვეყანა უწინ, და მიტომ უკუ უნდა ვძვრეთ მე-18, მე-17... და კიდევ უკანა საუკუნეების ხვრელებში, რომ ბედნიერზე ბედნიერები დავრჩეთ, როგორც მაშინ... გაუმარჯოს ისევ აბჯრის, რახტის ჟღერას, თოფის ქუხილს, ბატონყმობას!..“[22]

აქედანაც საკმარისად კარგად მოჩანს ზაქ. გულისაშვილი, როგორც თავისი ეპოქის (70—80-იანი წლების) შვილი, მისი საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემის გამომხატველი, როგორც ტიპური ხალხო-

---

[21] ნიკო ხიზანაშვილი, უფლება და კანონი ძველ საქართველოში, „იმედი“, 1882 წ., № 11—12.

[22] შ ა ქ რ ო, ბედნიერი კუნჭული.

სანი, — მხატვრულ შემოქმედებაშიც სოციალური ცხოვრების მკვლევარი, პუბლიცისტი—მხატვარი. მწერალი არავითარ საშუალებას არ ერიდება, ოღონდ მკითხველის ყურადღება გაამახვილოს გლეხის გაჭირვებულ-შეკიწროებულ ცხოვრების გარშემო აღძრას მისდამი სიმპათია, მისი ცხოვრების გაუმჯობესების სურვილი.

4

ზაქ. გულისაშვილი კარგად ხედავს, რომ ბატონყმობის გადავარდნამ გლეხკაცობა ვერ იხსნა გაჭირვებისა და უუფლებობისაგან. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, მწერლის შეხედულებით, გლეხკაცის ყოფამ რღვევა დაიწყო. თვით გლეხთა შიგნით ხდება დიფერენციაცია. ერთი ნაწილი ვერ უძლებს ქვეყნის კაპიტალიზაციით შექმნილ პირობებს და გაღატაკების გზაზე დგება. ეს ნაწილი ექსპლოატაციის საგნად გადაიქცა არა მარტო მემამულისა და სხვა „ყოველი მხრიდან“ მისეული მტრის, არამედ ხშირად თავისავე მოძმის ხელშიც. მეორე, მცირე ნაწილი გლეხობისა, ამ გაჭირვებულ მდგომარეობას თანდათან აძვრენს თავს შრომით, გაიძვერობით, მისდევს ვაჭრობას, უახლოვდება ექსპლოატატორებს, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ — კულაკდება. ეს ნაწილი ღატაკ გლეხობასთან კლასობრივ კავშირს თანდათან ჰკარგავს და მალე მოწინააღმდეგედაც გამოდის.

ეს მეტად საგულისხმიერო მოვლენა ზაქ. გულისაშვილის მიერ შეუმჩნეველი არ რჩება. „ჰე, ბატონო, ეხლა რაღა მაგონდება, როცა, როგორც ყველა მეტივეს, მეც ერთი ორასიოდე თუმანი ხმელი ფული მაქვს შინ. ჰე, ეხლა აღარ მაგონდება ჩემი სისაწყლე... ჰო, შენი ჭირიმე, მაძღარს მშიერი აღარ მახსოვდა მეტიობაში... რაკი გავმდიდრდი, ღორის ხასიათი მომეცა. ნამდვილი ღორი გავხდი, რომ მდომებოდა გაჭირვებაში ვისთვისმე შველა, ღორი კაცი შიგნიდან მეუბნებოდა: „რას შვრები, რა შენი საქმეაო“[23].

მეორე მოთხრობაში „ბედნიერი კუნჭული“ ზაქ. გულისაშვილი უფრო მეტი სიცხადით გვიხატავს გაკულაკებული გლეხის ბუნებას. „მეც, — ეუბნება ავტორს თავის თავგადასავალს ქიტესა გლეხი, — გლეხი გახლდით, მიწის მხვნელი, დილიდან საღამომდის თავჩაღუნული პირუტყვივით ვმუშაობდი, ძილშიც ძვალრბილი მტკიოდა — თქვენისთანა კაცების მეშინოდა — ეხლა „ჭკუით“, ხერხით დავიწყე — ვეაჭრობ — ღამეც არხეინად მძინავს და ისეც არხეინად ვარ, — მერე ვხედავ, რომ პრისტავები ჩემთვის უფრო სარფაა — გლეხს რომ საქმეს უპირვებენ — ჩემთვის სარფაა... ხო იცი, თუ არ გაუპირდა, არც სას-

[23] შ ა ქ რ ო, მეტივე.

ყიდლათ მოვა, არც ფულის სასესხებლადა... მაშ, მე რა, რომ გლეხებს პრისტავმა ტყავი აძროს — ააშენოს მისი ოჯახი!"[24]

ზაქ. გულისაშვილი კარგად ხედავს ამ მოვლენის დიდ მნიშვნელობას, ახალ სოციალურ დაჯგუფებას და ახალ ურთიერთობას გლეხთა შორის. სოფელში გაჩნდნენ ღარიბები, ღატაკები, ერთი მხრით, და თავი ანუ „წინა კაცები", მეორე მხრით. ამ უკანასკნელთ ჩაუგდიათ ხელში სოფლის ცხოვრება— სახლ-კარიც, სახნავიც, სათიბიც. მათ ჰყავთ ხარი და კამეჩი, მათ შეუძლიათ ხვნა, თესვა, მკა, გალეწვა. ისინი ივსებიან. სახელმწიფო გადასახადებში კი უნდა უსათუოდ გაუთანასწორდნენ ღარიბებს—ერთნაირად გაიწერონ და ამას ახერხებენ იმიტომ, რომ სოფლის თავ-კაცებს ძალა აქვთ, მამასახლისიც, ბოქაულიც, მაზრის უფროსიც მათკენაა. ესენი გადაიქცნენ სოფლის ბატონ-პატრონად. „გალოს (ღარიბი გლეხი. — მ. ზ.) სოფელში 12 ამორჩეული ანაწილებს კომლზე სახელმწიფო ფულს. ამათ ამორჩევაზე არც გალო და არც სხვა ჯურა ხალხი სოფლის ყაყანს არ დასწრებიან. ეხლა კი სოფლის კანცელარიის შიგნიდან ჩაკეტილ კარებს ბუზივით ასევიან და ცდილობენ თავიანთ ბედ-იღბლის განაჩენს ყური მოჰკრან. კანცელარიიდან კი მოისმის სოფლის სვავის ყროყინი:

— მეე, შვილო, შავიწერ ეხრა თუმანს, მაგრამ შენც გვერდში მოგიყენებ! არ შეგიძლიან? აი დარდი! შაიძელ რა!

— შავიძლო? — უყვიროდა მოპასუხე — ი, გირავნობა რო გიწყვია ორმოცი საპალნისა, გამიყავ და შავიძლებ. ორი გუთნეული რო გყავ, ერთი მე მამე, ხვნით გავძღე და, ბატონი ხარ, ხარჯშიც შენთან ამომიყავ თავი!..

აი, მოისმა მწერლის მიერ ამოძახილი „გალოც".

— ეგ ზიდავს თავის საკომლოს, — შეჰყვირეს გამწერთ ლანძღვისაგან გამოლეული ხმით. — ეყო მაგდენი სხვაზე აკიდება, — დინჯად დაუმატა ვიღამაც.

— ნუ აიკიდებ, რომ კუდა ვირს და იმას სახელმწიფო გზაზე დღიურ ქვის მტვრევით სული ამოხდათ წლევანდლამდის, რომ ცოლ-შვილში ლუკმა მჭადი შეიტანოს, — უპასუხა ამაზე დაცინვით მწერალმა.

—წელსა?! წელს ხომ მოუვიდა, შვილო?! — შეჰყვირეს სვავებმა ჩხუბის ხმით, — მაშ ყველას წინა კაცები გზიდავთ რაღა?!

მწერალმა ხმა გაკმინდა. თავბრუდახვეული დაბრუნდა გალო"[25]. როგორც ბევრი სხვა იმის ჯურა კაცი, გამგონე თავის განაჩენისა ფეხაკრეფითა და ლანძღვა-კრულვით შორდებოდა წყეულ კარებს.

ასეთია გამწვავებული ურთიერთობა გლეხთა შიგნითაც. მეტად წრიოკდება შეუძლებელი გლეხობა.

---

[24] ზ ა ქ რ ო. ბედნიერი კუნჭული.

[25] მ ი ს ი ვ ე, გლეხი გალო, სოფლის ტაბარუკა, „დროება", 1882 წ., № 233.

საგულისხმიეროა, რომ ზაქ. გულისაშვილი, შედარებით სხვა ჩვენ ხალხოსან მწერლებთან, მეტ ყურადღებას იჩენს ე. წ. საერთო მიწისმფლობელობისადმი. თავის ნარკვევში „მგზავრის შენიშვნა (საინგილოსა და ქიზიყზედ)“ მწერალი აღნიშნავს, რომ „გარე კახეთში, ქიზიყში, ქართველთაც ჰქონდათ საერთო მიწისმფლობელობა ფართო და მარტივი“ (ჰქონდათ, რადგანაც საერთო მიწისმფლობელობა XIX საუკუნის მიწურულში უკვე, შეიძლება ითქვას, სრულად დარღვეული იყო).

ზაქ. გულისაშვილი ხსენებულ ნარკვევში ამ ცნობას შემდეგ შენიშვნას უკეთებს: „ჯერ არავის არა უთქვამს რა ამგვარ ჩვენ საერთო მიწისმფლობელობაზე ქიზიყში თუ გარე კახეთში, სადაც სოფლებ შორისაც არ არის დაყოფილი სახნავ-სათესი... ხნავ, საცა ვინდა და რამდენიც გინდა. მარტო არ უნდა მოხნა სხვის ნასიმინდარი. რადაო? რომ ჰკითხო ხალხს — გიპასუხებენ: ნასიმინდარი ვენახივით არის; მთელი წელი შიგ თოხს ატრიალებს პატრონი და როგორ მოჰხნავს სხვა... ბევრი, ბევრი რამ წმინდა ადათები არსებობენ ჩვენს ხალხურ სამართალში, რაზედაც ჩვენდა სამარცხვინოდ თვალყური არ გვიჭირავს, თუმცა საშიშია, რომ მალე მტარვალი დრო იმსხვერპლავს მათაც...“

ამ ადათის კარგ, სასარგებლო მხარეებს შლის ზაქ. გულისაშვილი ამავე ნაწარმოებში. ასეთი ადათი თუ ჩვეულება, მწერლის დაკვირვებით, ყველაზე კარგად ყოფილა დაცული საინგილოში, სადაც, მწერლის შენიშვნით, „უკიდურესი მდიდარ ღარიბობა არ არსებობს. მიზეზი ამისი, — განმარტავს ავტორი, — სხვაც არის, მაგრამ უპირატესი კი ი მეტად შესანიშნავი მიწისმფლობელობის სისტემა გახლავთ“.

მწერალი ამ ჩვეულებით თუ ადათით გაკეთებულ და შენახულ სოფელს ერთგვარი სიმპათიით ასე აგვიწერს: „ინგილოები მომეტებულად რიგზე არიან დასახლებულნი: სახლები გზის აქეთ და იქითა ნაპირებს მისდევენ გაყოლებით. ყველას აქვს სათემო მამულიდან მოჭრილი მშვენიერი ვაკე გზა. ეზოს იქით სავენახე: ამ უკანასკნელს მისდევს ხილის ბაღი. მერე სათიბი, სათიბს შემდეგ ისევ სათემო მიწები იწყება, სადაც ყოველი ჯამაათი ირჩევს საჩალთუკე მიწებს და ანაწილებს კომლობრივ. აგრეთვე ყოველ წელს იქვე ირჩევენ საპურე მიწებს და ჰყოფენ. საბოსტნეც ყოველ წელს ირჩევა და იყოფა ოჯახობის რაოდენობის მიხედვით, საბოსტნეს ნახვაა მეტადრე სასიამოვნო. აი, შედიხართ, ვსთქვათ, სოფ. ყორღანში, თქვენ გხვდებათ ყორღანელების ბოსტნები ერთად მოხნული, მერე განაწილებული. მიჯნები, რომელზედაც დათესილია სიმინდი. ყველას ბოსტანში უთესია ნესვი და საზამთრო. საზოგადოებას საბოსტნეს თავში დაურჭვია უშველებელი ხეები და ზედ გაუმართავს საყარაულო. ყოველი ოჯახი თავის წილში სწყვეტს სამყოფ საზამთროს და ნესვს“[26].

[26] შ ა ქ რ ო, მგზავრის შენიშვნა, ჟურნ. „ივერია“, 1882 წ., № 11.

ზაქ. გულისაშვილი მიწისმფლობელობის ასეთი გონიერი ადათით ხსნის ინგილოთა სოფლების დოვლათიან ცხოვრებას. მწერალი წერს, რომ ეს ადათი თანდათან იბზარება, ირღვევა, საერთო მიწისმფლობელობის უპირატესობის აღიარებასთან ერთად, მწერალი იჩენს საინგილოს ყოფა-ცხოვრების ძალიან კარგ ცოდნას და ეთნოგრაფიულ მასალებს ხერხიანად ურთავს მოთხრობა-ნარკვევში. ესეც ხომ დამახასიათებელი იყო ხალხოსანი მწერლებისათვის!

5

მწერლის მიერ დახატული გლეხობის ცხოვრების გაცნობის შემდეგ მწერალთან ერთად მკითხველიც მტკივნეულად გრძნობს: ხალხს შველა, ხსნა ესაჭიროება. ვის, ან რას შეუძლია ამ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება?

ეს მღელვარე კითხვები ჩვეულებრივ დგებოდა ხალხოსნების წინაშე. ზაქარია გულისაშვილის წინაშე მთელი სიმწვავით დგება ეს კითხვები. როგორც ეს კულტურტრეგერი ხალხოსნისათვის იყო დამახასიათებელი, ზაქ. გულისაშვილიც გამოსავალს ხალხის ცხოვრების კულტურული დონის ამაღლებაში ხედავს. მისი შეხედულებით, ეს გარემოება გააადვილებდა ხალხის — გლეხობის დარაზმვას მისი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად.

ამ მიზნისათვის კი ისეთ დუხჭირ პირობებში, რომელშიც ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდათ ხალხოსნებსა და, კერძოდ, ზაქ. გულისაშვილს, ყველაზე გამოსაყენებელი იყო სკოლა, სოფლის სკოლა და მასში მომუშავე მასწავლებელი.

ზაქარია გულისაშვილი კარგად ითვალისწინებს სკოლის, განსაკუთრებით სოფლის სკოლისა და მასწავლებლის დიდ მნიშვნელობას ხალხის აღთქმის ქვეყნისაკენ შეგნებული მსვლელობის აჩქარების საქმეში. ამიტომ ის ხშირად, ძალიან ხშირად უბრუნდება ამ საკითხს. ზაქ. გულისაშვილიც ხომ ერთ-ერთი პრაქტიკული მოღვაწე იყო ამ ასპარეზზე! მთავრობა მას, მიზეზის აუხსნელად, დაუნდობლად ერთი სოფლიდან მეორეში ამწესებდა, ვინაიდან მის პრაქტიკულ მოღვაწეობას უნდობლობით ეკიდებოდა.

ზაქ. გულისაშვილმა კარგად იცოდა გლეხის ცხოვრება. თვითონაც ხომ ამ ფენიდან იყო გამოსული. სამსახურის დროს უფრო შეგნებულად და ახლო მივიდა მასთან, უფრო ახლო შეისწავლა გლეხის ცხოვრება, სკოლისა და მასში მთავრობის მიერ დანიშნული მასწავლებლების „საქმენი საარაკონი“. ამით აიხსნება, რომ მწერალი საკმარისი სიმკვეთრით იძლევა კრიტიკას არა მარტო ამ მასწავლებელთა უარყოფითი მოღვაწეობისას, არამედ მთავრობის სახალხო განათლების პოლიტიკისას. „ამ

ორ სოფლიდან (საინგილოში. — Ძ. Წ.),—აგვიწერს ავტორი,—დაუწყია მაინც „ცივილიზაციის“ შეტანა მთავრობას: უშველებელის გალავნით გამოპრანჭულან აქ ნაიბთა სასახლეები: იმათ პირის ფარეშად გვერდზე მშვენიერ გალავნით და სასახლით სკოლაც ამართულა... მაშ სკოლა არ არის ცივილიზაციის შეტანა? ნამეტნავათ კაკის სკოლა, სადაც უბადრუკ რუსს, სამოქალაქო სასწავლებლიდან გამოგდებულს, თიონეთიდან მეტისმეტი განათლების მომხრეობისათვის გამოპანჩურებულს, აქ ეძლევა საკმაო ფულები, რომ ინგილონი გაანათლოს ნაიბთა ზედ დამატებით... ეს გახლავთ ღვაწლი ინსპექტორის ლიხაჩევისა, რომლის ოინებს თაბახები მოუნდება ასაწერად... სხვათა შორის, არ ვიცი რა მოსაზრებით, ეს ბატონი მასწავლებელს მამასახლისებს უქვემდებარებს, ქართულს სრულებით სდევნის სკოლებიდან და რუსს უგზავნის მასწავლებლად უშველებელს და ყველა ᲫᲛᲡᲞᲝᲑ ვაების შემდეგაც ქართულად მოუბარს ინგილოებს“[27].

ამ კუთხის მოსახლეობის გაცნობა საგულისხმიერო უარყოფით მხარეებს დაანახვებს მწერალს ხელისუფლების ხალხისადმი დამოკიდებულების მიმართულებით. მთავრობა არა ზრუნავს ხალხზე. უყურადღებოდაა დატოვებული მასები. ყველა სარგებლობს ხალხის დაბეჩავებული მდგომარეობით. ხალხის ცხოვრების მახინჯი პირობების გამო შფოთავს მწერალი. „უმეცრობას, — გესლიანად წერს ᲬᲐᲥ. გულისაშვილი, —ეტყობა ებრძვიან გულაკელები, რადგან მეჩეთები და სკოლები ბლომადა აქვთ... ᲰᲔ, მართლა არ იფიქრო, მკითხველო, რომ ვითომ აქ სკოლის საქმეს რაიმე ფესვი ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ გამდგარი. მაᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲗ მეჩეთები სკოლებითურთ უფრო ამახინჯებენ ხალხის ცხოვრებას ბ-ნ ლიხაჩოვის სკოლებთან ერთად“...[28]

საგულისხმიეროა, რომ ᲬᲐᲥ. გულისაშვილი სასტიკი წინააღმდეგია სკოლების ეკლესიებისადმი დამორჩილებისა: „სკოლები და მეჩეთები საშინელ რელიგიურ წრთვნის კალაპოტში სამყოფველად არსებობენ ამ უშველებელ სოფელში...“ ასეთი დამოკიდებულებაც სკოლებისადმი ტიპიური იყო ხალხოსნებისათვის.

ამ გარემოებებმა ნარითა და ეკლით მოკირწყლეს სოფლის სკოლის მასწავლებლის ისედაც მძიმე და რთული მოღვაწეობის გზა. ხშირი იყო მოვლენა, როდესაც ასეთ პირობებში სოფელში მისული იდეური მასწავლებელიც კი მალე იმედგაცრუებული, გულგატეხილი ხელებს ᲰᲐᲛᲝᲧᲠᲘᲓᲐ და აღებულ გზასა და მიზანს გადაუხვევდა ხოლმე („დავკარგე ყოველისფერი“—მასწავლებელი). დიდი ზნეობრივი და იდეური ძალა იყო საჭირო, რომ მასწავლებელი მალე ლაᲰᲠᲣᲚᲐᲓ არ გაქცეოდა ამ თუმცა მეტად პატიოსან, მაგრამ მეტად მძიმე და უმადურ ასპარეზს.

---

[27] Ш о Ქ р о, მგზავრის შენიშვნა.

[28] о Ქ ᲗᲔ.

ზაქ. გულისაშვილიც ხომ ახლო იცნობს სოფლის ამ პირობებს! ის ხომ კარგად იცნობს და მწვავედაც განიცდის არა მარტო სოფლის სკოლის მასწავლებლის მოღვაწეობის უხეშ შევიწროებას, არამედ ამასთანავე სოფლის სკოლის სასწავლო პროგრამის სულის ინტერესებთან შეუფერებლობას, შეუთანხმებლობას და აგრეთვე მის მეტად შეზღუდულ ხასიათს — შინაარსსს. ზაქ. გულისაშვილი თავის მრავალჯერ გადატანილ ტკივილებს ასე გამოხატავს მასწავლებლის პირით: „რა უნდა გამოვიდეს სოფლის სკოლიდან შაგირდი? — მე დარწმუნებული ვარ, რომ ან სოფლის ყლაპია მოხელე და ან არა უფრო სალახანა სოფლის მწერალი, ან ჩარჩი მედუქნე, ქვეყნის მძარცვავი“[29].

სოფლის ცხოვრება, მწერლის სწორი დაკვირვებით, ისეა მოწყობილი, რომ ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ყველას და თვითონ გლეხსაც „ცრცვნა“. „აი მეც, — ერთგვარი გულისწყრომით, სოფლის ცხოვრების სიმახინჯის დაუძლეველი განცდით გადმოგვცემს მასწავლებელი,— თავის სასარგებლოდ უფრო „ყლაპია“ გლეხები მხმარობენ: მაწერინებენ კანდრახტებს, პირობებს, ვექსილებს და სხვა. საწყალი დულულა გლეხი ძლიერ არის დაშინებული — ისე, რომ ვერ მეკარება, არც მენდობა. ჩვენ ხასიათებით, თუ სხვა გარემოებებით, უფრო მათ მძარცველებს ვგევართ, ვინემ გლეხის მომხრეებს — დაჩვეული არ არის შველას და იმიტომ თვითონ ებრძვის თავის ბედისწერას—ავად თუ კარგად“.

ამიტომ მასწავლებელს, რომელიც შეგნებულად მიდიოდა ამ ეკლიან ასპარეზზე, — და ასეთები იყვნენ ხალხოსნები, — ასეთივე შეგნებით იყო გასული ამ სარბიელზე თვით ზაქ. გულისაშვილიც, — უნდა გამოეჩინა ხასიათის დიდი სიმტკიცე, დიდი გამძლეობა, რომ არსებული წყობილების მარწუხებს უმალ არ დაემსხვრია ის. ნამდვილ ხალხის მასწავლებელს გამუდმებით უხდებოდა წინააღმდეგობის გაწევა ხალხის მტრებთან — მემამულესთან, ვაჭართან, ადმინისტრაციის სხვადასხვა წარმომადგენლებთან, რომელნიც გლეხკაცობას ყორნებსავით დასტრიალებდნენ.

აი რას ეუბნება გასალახანებული ბოქაული ავტორს, რომელიც მოგზაურობის დროს ესტუმრა თავის მეგობარ სოფლის მასწავლებელს: „შენ ი ოსტატთან იყავ? ჰო, რა კაცთან ყოფილხარ?! ერთი მებუნტე, თავის ქერქში დაუდგომელი! ხალხს ეუბნება პრისტავს, თუ სხვა ჩინოვნიკს, ზღვნებს ნუ აძლევთო, ცემა არავის შეუძლიან და ნუ ეცემინებითო... თუ გცემოთ ვისმე მამასახლისმა, აქტი შეუდგინეთ და ნაჩალნიკთან გაგზავნეთო“[30].

სოფლის მასწავლებლის ასეთი მოღვაწეობა, რასაკვირველია, უფრო

---

[29] შ ა ქ რ ო, ბედნიერი კუნჭული, გვ. 19.

[30] ი ქ ვ ე, გვ. 27.

ახელებდა ყლაპია მოხელეებს და გამწვავებული მდგომარეობა გლეხსა და ადმინისტრაციას შორის მასწავლებლის წინააღმდეგაც მიიმართებოდა ხოლმე.

მარტო ბიუროკრატიული სახელმწიფოს მოხელენი კი არ არიან ამხედრებულნი ოსტატის ხალხისადმი გამოქომაგებით. ასეთსავე მტრულ დამოკიდებულებას მის მიმართ იჩენს ადგილობრივი მებატონეც, რომლის ურყევი რწმენით გლეხისათვის წიგნი არ არის საჭირო. მებატონეს ტვინში მაგრად აქვს ჩამჯდარი შიში გლეხის გაღვიძებისა, ამიტომ ჯიუტად გაიძახის: „რო ისწავლონ რამე (გლეხებმა. —მ. ზ.) კისერზე წამოგვახტებიანო. ეგ (მასწავლებელი.—მ. ზ.) კი დამდგარა და, პატარებს ჯანი გავარდეს, დიდებსაც ასწავლის. გლეხს თავს უყადრებს და ამიტომ ჩვენც ძაღლად არ გვაგდებენო“[31]... ამგვარსავე საჩივარს ოსტატზე აცხადებს აქციზის „ჩინოვნიკიც“. ყველა, გარდა დაჩაგრული გლეხკაცობისა, ამ მასწავლებლის წინააღმდეგაა ამხედრებული.

სინამდვილის ნახვითა და განაგონით შეძრწუნებული ავტორი აი როგორ გაფრთხილების წერილს წერს თავის მეგობარს სოფლის მასწავლებელს: „მეგობარო! მე როგორც შევიტყვე გარემოებიდან, შენ აცხაში არ გედგომება და თუ არ გინდა... ხელებშეკრული ვიზიტით „ნაჩალნიკთან“ მოგიყვანონ... უნდა აიბარგო მანდედგან. პროვინციაში სიმართლე წინააღმდეგი ნივთია. თუ გნებავს, სადალაქო გააღე ზედ წარწერით: „აქ ჰკრეჭენ, ჰპარსავენ და სისხლს უშვებენ“, მაშინ ტკბილი, ტკბილი იქნება შენი ცხოვრება... რას იზამ? თუ უსწავლელებს სცემენ — ნასწავლებს უფრო“...[32] მაგრამ ყველაზე საგულისხმიერო ავტორის ბოლოში მინაწერია: „ესეც გაიხსენე, რომ შკოლით შენდებოდეს ქვეყანა, ორმოც წელში მთელი ქვეყანა გაბედნიერდებოდა... ჯერ ცხოვრება — მერე შკოლა! ჯერ ეკონომიური რიგიანი წყობა და მერე მორალური“...[33]

ჩანს, ზაქ. გულისაშვილი არ იფარგლება მასწავლებლის ვიწრო მოქმედების ასპარეზით. მას ჰსურს ცხოვრების ფართო, მრავალმხრივი გარდაქმნა: „ჯერ ცხოვრება — მერე შკოლა. ჯერ ეკონომიური რიგიანი წყობა და მერე მორალური“. დიახ, ეს მართალი გაგება იყო, და ეს გზა თხოულობდა დიდს გატაცებას, უნარს, მსხვერპლს. ხალხოსნებმაც სცადეს მოღვაწეობა ამ მიმართულებით და, მიუხედავად მოღვაწეობის ზოგიერთი მცდარი დებულებისა, ბევრი, მართლაც, პირდაპირისა და კეთილშობილურის გაგებით, „საქმენი საგმირონი“ გააკეთეს „ხალხში სიარულით“.

---

[31] შ ა ქ რ ო, ბედნიერი კუნჭული, გვ. 27—28..
[32] ი ქ ვ ე, გვ. 28.
[33] ი ქ ვ ე.

„ხალხში სიარული“, როგორც ზემოაღნიშნულიდან აშკარავდება, ჩვენ ხალხოსნებსაც იტაცებდა. ისინიც გავიდნენ ხალხში, ხან „ხალხის მოკეთის“, ხან „ერთობის კაცის“ სახელით. ზაქ. გულისაშვილის მხატვრული შემოქმედების გაცნობა (რასაკვირველია, განსაკუთრებით მხედველობაში გვაქვს მწერლის მოღვაწეობის პირველი პერიოდი) მკითხველს მკვეთრად აგრძნობინებს ავტორის გატაცებას ხალხში გასვლისა და უშუალოდ მასთან მოღვაწეობის იდეით.

როგორც ზევით დავინახეთ, ზაქ. გულისაშვილსაც, სხვა ხალხოსან-ბელეტრისტების მსგავსად, ახასიათებს ხალხში გასულის, ხალხისათვის უკეთესი მომავლის, თუნდაც დიდი მსხვერპლის გაწირვით, მოპოვების სურვილით გატაცებული ადამიანის სახის დახატვა.

ხალხოსანი მწერლებისათვის წერის ასეთი მანერაც დამახასიათებელი იყო. ამ მხატვრული სახის („ხალხის მოკეთის“) დახატვაში ხალხოსნები თავის „მე“-ს ასახიერებდნენ. ისინი ვრცელ შესავალში აღნიშნავდნენ ხოლმე იმ მოვლენებს, რომლებიც აიძულებდა მათ ხელში კალამი აეღოთ. შეთხზულ სახეში ისინი ჭარბად აწნავდნენ ავტობიოგრაფიულ ელემენტს. ნაწარმოების მთავარ მოქმედ პირს თავისი პირადი განცხადებისა და მისწრაფებების მატარებლად სახავდნენ

ამით აიხსნება, რომ ხალხოსანი მწერლები, და კერძოდ ზაქ. გულისაშვილი, ხშირად არღვევენ მოთხრობის გადმოცემის ჩარჩოებს და მოქმედი პირის საშუალებით მკითხველთან საუბრობენ, მას ეკამათებიან, უმტკიცებენ, არწმუნებენ, გზას უჩვენებენ. ამიტომაა მათ შემოქმედებაში, და კერძოდ ზაქ. გულისაშვილის შემოქმედებაში, მხატვრული კანონზომიერება ხშირად დარღვეული: ზოგი ნაწილი ზედმეტად გადიდებულია, ზოგი შემცირებული; ხან მხატვრული სახეა დიდი ემოციონალობით მოცემული, ხანაც მწვავე ბოღმით, აღშფოთებით, შურისძიებითა და ზიზღით სავსე პოლემიკა-პროპაგანდაა გაშლილი. ამიტომაა, რომ ხალხოსნების შემოქმედება, და ზაქ. გულისაშვილისა კერძოდ, თავისებური შერწყმაა მხატვრული შემოქმედებისა პუბლიცისტურთან.

ეს თვისება დამახასიათებელია ზაქ. გულისაშვილისათვისაც. მისი გმირები ხშირად მისი პირადი ტკივილების, მოქმედების, მისწრაფებების მატარებელი არიან.

ზაქ. გულისაშვილი ამგვარი ხალხოსნის სახეს გვაძლევს „მეტივეში“ ჩაღოლაძის სახით; სხვადასხვა ნაწარმოებში, სადაც მწერალი თვით ლაპარაკობს და მოქმედებს. ამ გმირის, როგორც სხვათა, ავტობიოგრაფიულ ხასიათს ადასტურებს მწერლის ბიოგრაფია, მისი მოღვაწეობა,

ყველაზე სრულად ამ ახალი ჯურის ადამიანის სახეს ზაქ. გულისაშვილი იძლევა რომანში „განთიადი“ — სიმნოსა და პოლე ჯაფოიძის სახით.

ვიდრე სიმნოსა და პოლე ჯაფოიძის გაცნობას შევუდგებოდეთ, გაკვრით მაინც უნდა შევჩერდეთ თბილისის სასულიერო სემინარიის რეჟიმზე, რომლის უარყოფითი და ბავშვთა დამახინჯებული სწავლა-აღზრდის სისტემა მუქ ფერებში აქვს მოცემული ჩვენს მწერალს. ზაქ. გულისაშვილი ბურსის დახატვაში, ალბათ, რუსი მწერლის ნ. პომიალოვსკის ერთგვარ გავლენას განიცდის.

მწერლის დახატვით მოსწავლეები სემინარიის რეჟიმით გონებრივადაც და ზნეობრივადაც გადაგვარების გზას ადგებოდნენ. „ბურსაში სწავლა კი არა, — აგვიწერს ავტორი,—ტანჯვა იყო. აქ მასწავლებლები გაკვეთილებს არასოდეს არ ხსნიდნენ. მარტო კარანდაშით უნიშნავდნენ —„აქედან აქამდის“. მეორე დღეს ეს შეგირდს ზეპირად „ცენზორთან“, — უფროს ამხანაგებთან, უნდა ეთქო და, თუ ერთი სიტყვა შეეშლებოდა, „ცენზორი“ წიგნში იცქირებოდა და მაშინვე „არ იცის“ დანიშნავდა დავთარში. „ცენზორი“ შენივე ამხანაგთაგანი იყო. ამ თანამდებობას დიდობაზედ უფრო აძლევდნენ და არა სწავლაზედ. მეორე დღეს მასწავლებელი საბუთს არ ვიცისას ჰკითხავდა დავთარში ასე ჩაწერილებს, თუ ვერას იტყოდა საბუთათ — „ჰაერშიო“ შესძახებდა და შენივე ამხანაგები აგწევდნენ თავსა და ფეხებში, თანაც დაგიშენდნენ როზგს. თუ ჰაერში არა, დაჩოქებას, სახაზავის დარტყმას, თმის დაგლეჯას ან კუკუს მაინც კერ გადაურჩებოდი, და თუ გამართლება გინდოდა, ზეპირათ „აქედან აქამდის“ უსუნთქებლივ უნდა გეთქვა“...[34]

მასწავლებლის მიერ როზგის ხმარება მოსწავლეებშიაც მუშტისა და კრივის კულტს ავითარებდა. სწავლების სისტემა მოსწავლეებში ხალისსა და ინტერესს ჰკლავდა. ბურსის ცხოვრების სინამდვილე, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთიერთობა უხვ საანეგდოტო მასალას იძლეოდა და ხალხისანი მწერლებიც, რომელნიც სწავლასა და მასწავლებელს დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ, დაუნდობელ კრიტიკას აწარმოებდნენ მახინჯი აღზრდის სისტემის წინააღმდეგ... „შვიდი წელი სწავლობდა ასე აბრია,—მოგვითხრობს მწერალი, — და ისევ მეორეში იყო. ახლა კი მოუვიდა ბედნიერება გამოგდებისა. ერთხელ მასწავლებლის შემოსვლის წინ, მეორე და მეოთხე კლასებს შუა გაიმართა კრივი, აქ აბრიამ ბევრს გაუტეხა ცხვირი ვეებერა მუშტით. მაგრამ უცებ მოასწრო სასწავლებლის ინსპექტორმა, რომელიც თითონ ბურსაში გაიზარდა და იყო კრივის მოყვარე. არც კი შეიქაქანა ინსპექტორმა და ერთ წამს გაიძრო სერთუკი, შლიაპა ძირს დადო და გაუსო მოჩხუბრებს. ვისაც

[34] ზ. ... „განთიადი, „იმედი“. 1882 წ., № 5. გვ. 53.

კი მოხვდებოდა მისი მუშტი, ის ძირს ვარდებოდა. დაცემული კიდევ ზევით შეხედვის უმალ სცნობდა უფროსს და კისრის მტვრევით მირბოდა კლასისაკენ... ასე დაფანტა თითქმის ყველანი, მაგრამ აი მივარდა ეხლა აბრიას და გაუშალა საშინელი სილა. აბრიას ამხანაგი ეგონა. ზევით არც კი შეიხედა და დაუშინა საშინელი მუშტი ინსპექტორს და ღრიალებდა: ჰაი, აბა მოდი! ჰოი, შენი ჭირიმე! ინსპექტორი თავისას სცდილობდა, მაგრამ რომ შეწუხდა, მოიკრიბა ყოველი ძალა და ერთი სილა შიგ თვალებში დასთხლიშა და მიაძახა: „ვა, ზეით აიხედე, შე ყურუმსაღო, შენა და!“ ამ თქმაზე აბრიამ თვალები შეაჭყიტა ინსპექტორს და რომ იცნო, მოკურცხლა. ინსპექტორმა არ აპატივა ეს და გამორიცხა“[35].

ასეთია ჩვეულებრივი ცხოვრება ბურსაში, ასე იყო რუსეთში, რის მშვენიერ სურათს გვაძლევს ნ. პომიალოვსკი თავის „Очерки бурсы“-ში, ასე იყო, იქიდან გადმოტანილი, საქართველოშიც. ასეთს ფერებში ხატავს ზაქ. გულისაშვილი ამ ცხოვრებას. ასეთსავე ფერებში ხატავს ბურსას მეორე ხალხოსანი მწერალი სოფ. მგალობლიშვილიც თავის მხატვრულ მოგონებებში „წარსულიდან“.

ასეთი სწავლა-აღზრდის პირობები, როგორსაც მკვეთრად გვიხატავს მწერალი, მოსწავლეებს არაფერს მატებდა არც ზნეობრივად და არც გონებრივად. სემინარიის ხელმძღვანელნი მოსწავლეებს ხშირად გამორიცხავდნენ ხოლმე სასწავლებლიდან. ეს ახალგაზრდები იძულებულ-ხდებოდნენ ცხოვრებაში ნაკლები წინააღმდეგობის გზით წასულიყვნენ ან დიაკვნის, ან მღვდლის, ან სხვა ამგვარი მოხელის თანამდებობაზე, როგორც, მაგალ., დიაკვანი ტვლეპია და სხვანი.

მაგრამ ამ დუხჭირი რეჟიმის გავლენა თუ ხშირად არა, ხანდახან მაინც საწინააღმდეგო შედეგებსაც იძლეოდა. ნიჭიერსა და მაგარი ნებისყოფის შეგირდებს ეს ცხოვრება საწინააღმდეგო აზრებსა და მიმართულებას უღვიძებდა. ეს ნაწილი ხარბად ეწაფებოდა ახალი ცხოვრების მოახლოებით დაბერილ გამათავისუფლებელ მოძრაობას. ხარბადვე დაეწაფა ის რუსეთის მოწინავე საზოგადოების აზროვნებას. ახალი ცხოვრების მოახლოების სიო ღრმად მოედვა სემინარიის მოსწავლეთა ამ ვიწრო წრეს, ძალუმად გაიტაცა და ახალი ძიების გზაზე დიდი გატაცებით დააყენა.

ამ ჯგუფის მისწრაფებათა პოეტურ განსახიერებას ზაქ. გულისაშვილი გვაძლევს ხალხში მოსიარულეთა დახატვით და განსაკუთრებით კი პოლე ჯაფოიძისა და სიმნოს სახით რომანში „განთიადი“. ვფიქრობთ, სიმნოს სახით მწერალი იძლევა ავტობიოგრაფიულ სახეს. სიმნოს მოღვაწეობა დეტალებშიაც კი მოგვაგონებს ზაქ. გულისაშვილის მოღვაწეობას მასწავლებლობის დროს სოფ. პატარძეულში.

[35] შ ა ქ რ ო, განთიადი, „იმედი“, 1882 წ., № 5, გვ. 53—54.

მწერლის ღრმა რწმენით, „დროება რასაც მოიტანს, იმას კაცი ძირიანად ვერ ამოიღებს“. ამიტომ, იმის დაფასებით, სემინარიის ხელმძღვანელნი, რომელთა შორის, მისივე მოწმობით, „იეზუიტები ჩამოერივნენ“, ვერ გაუმკლავდნენ ახალი დროების სიოს. „ამ დროს,—გადმოგვცემს ზაქ. გულისაშვილი, — უნდა გენახათ პოლე, გონება გახსნილი და ღირსებიანი ხასიათისა, როგორ ცხარედ ლაპარაკობდა სემინარიის ბალკონზედ ბელინსკის საზღვარგარეთ დაწერილ უკანასკნელ წერილზედ გოგოლის ბატონებისაკენ მიმხრობაზედ და მის მისტიციზმზედ...[36] უნდა გენახათ სიმნო, გიგა და სხვები, რა გატაცებით კითხულობდნენ ნ. დობროლუბოვს, დ. პისარევს, როგორ გაგიჟებით დაეძებდნენ ხოლმე „სოვრემენიკს“, „რუსკოე სლოვოს“ ნომრებს და სხვა გამოჩენილ რუსულ ნაწერებს... უცენზურო ხელთნაწერები რუსული გამოჩენილი მწერლებისა ვარდებოდნენ მათ ხელში და ესენიც ცხარედ სჯიდნენ ყველა ამაებზე ერთად მოყრილნი ბურსის ოთახში. აი გაიმართებოდა ხოლმე მათ შორის ცხარე ბაასი საერთო მიწის მფლობელობაზედ, რომელიც იყო იმ დროს ახლანდელივით ცხარე კითხვა... გათენებამდის გრძელდებოდა. ამაყად მოსაგონი დრო იქნება ეს ყველა მათგანისათვის— არც ჩვენ „კრებულ“—„მნათობის“ სტრიქონებს აგდებდნენ ისინი დაუღეჭავად“[37]

აქ მშვენიერი ცოცხალი ფურცელია მოცემული ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. სემინარიაში ძველი რეჟიმის დროს გაბატონებული რიტორიკა, ღვთისმეტყველება და სხვა ამგვარი სქოლასტიკური დისციპლინები და მათზე ვარჯიშობანი ახალმა ხანამ, მწერლის შოწმობით, „მაღალი მატერიებიდგან დაბალზე და უფრო სასარგებლოზედ“ ჩამოიყვანა.

სემინარიელთა ამ ჯგუფის დახატვით ზაქ. გულისაშვილი, ეჭვს გარეშეა, საკმარისად ღია ფერებში იძლევა რევოლუციური მოძრაობის დასაწყისს ჩვენს ცხოვრებაში და ამ რევოლუციონერთა პირველი კადრების სახეებს: „პოლე, — გვაცნობს ავტორი ერთ-ერთ მონაწილეს. ამ წრისას, — ხასიათიანი და თანაც გულკეთილი ახალგაზრდა იყო. მისი ცეცხლივით თვალები, დალაგებითი და მოჭრითი სიტყვა-პასუხი, დაუფერობა და უფროსის სისაძაგლის ცხვირწინ გაკილვა, ამხანაგების ინტერესების სულით და გულით დაცვა—შიშსა ჰბადებდნენ სემინარიის ძალების დამამხობ საზიზღარ იეზუიტ ინსპექტორის გულში და აგრეთვე სხვა საზიზღარ მასწავლებლებში“.

ერთხელ, როდესაც ისტორიის მასწავლებლის ქცევამ პოლე მოთმინებიდან გამოიყვანა, წამოდგა ის კლასში და მასწავლებელს უთხრა:

---

[36] ავტორს მხედველობაში აქვს ალბათ ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი ს 1847 წ. ნ. გ ო გ ო ლ ი ს ა დ მ ი მიწერილი ცნობილი წერილი «Письмо к Гоголю», გამოწვეული გოგოლის წიგნით «Выбранные места из переписки с друзьями».

[37] შ ა ქ რ ო, განთიადი, „ომედი“. 1882 წ., № 5. გვ. 55—57.

„როგორც თქვენ გვასწავლით, ეს კაცთ სწავლება კი არა, ძაღლების წვრთნაა!“ შეიკრიბა სემინარიის სინედრიონი, დაჰკითხეს პოლესაც. „პოლემ, — გადმოგვცემს მწერალი, — დინჯათ და დალაგებით დაუმტკიცა, რომ სისულელეა მეფეების ცხოვრება, ომიანობა, რომელიმე მეფის და მის საყვარლების ოინების სწავლა ისტორიაში და მერე მათი დაბადების, სიკვდილის და ომიანობების დაწყობა-გათავების რიცხვების შესწავლაო“. პოლემ მოუყვანა დასამტკიცებლად მეცნიერების ციტატები, მაგრამ ინსპექტორმა წაუკითხა სინოდის პროგრამა სემინარიის შესახებ—„შეასწავლეთ მტკიცედ და ხრონოლოგიურად ილოვაისკის ისტორია“.

მშვენიერადაა მოცემული ამ თითქოს მშრალ ცნობათა დაპირისპირებაში ორი მსოფლმხედველობის გარდაუვალი წინააღმდეგობა. ამიტომ პედაგოგთა „უბედურმა თავმა გადაწყვიტა, რომ მათ წინ მდგომი შაგირდი ხელმწიფისა და საზოგადოების წინააღმდეგიაო“. დაისვა საკითხი პოლეს გამორიცხვის შესახებ. კარგადაა გაპაიბრუებული იმ დროის როგორც პედაგოგიური საბჭო და სწავლა-აღზრდის მესვეურნი, ისე სწავლა-აღზრდის მთელი სისტემა. „ზოგნი ამბობდნენ,—მოხდენილი ირონიითა და საკმარისი ღვარძლით წერს ავტორი, — რომ ეგ შაგირდი, რომელსაც გაკვეთილის მაგიერ უკითხნია უღმრთო ბოკლი, სპენსერი და სხვები, ეხლავ უნდა ჟანდარმის პოლკოვნიკს გადავცეთო; ზოგი გამორიცხვას პროკურორზე მიწერით ამბობდა, ზოგი რას და ზოგი რას... გათავდა იმით, რომ, რადგან საშიშოა მთავრობამ სასწავლებლის მმართველობას საყვედური არ მისცესო, იმიტომ არ კი გამოვრიცხოთ, პოლე ჯაფოიძე კარში აღარ გაუშვათ და სემინარიის კედლებში განუშორებელ ზედამხედველობის ქვეშ ვიყოლიოთო“[38]. დიახაც, დამახასიათებელი ფურცელია სემინარიის ცხოვრებისა, მის მესვეურთა და საერთოდ იმ დროის გაჩინოვნიკებული საზოგადოების მოღვაწეობიდან ასეთი უშუალობით გადმოცემული!

მაგრამ სემინარიის ნიადაგშერყეულმა ადმინისტრაციამ მაინც ვერ შეძლო ჟანდარმერიის დაუხმარებლად ამ „საშიში“ მოვლენის აღკვეთა, მით უმეტეს, რომ სემინარიის ადმინისტრაციას ცირკულარი ცირკულარზე მოსდიოდა რაღაც „იდეების“ გავრცელების შესახებ. მიუთითებდნენ, რომ „ეს იდეები წიგნშია და, თუ თქვენ ვერას გახდებით, ჟანდარმის სამმართველოს გამოუცხადეთო“.

ცირკულარის ამ სასტიკმა გაფრთხილებამ და იმან, რომ პოლეს შეამჩნიეს აკრძალული წიგნების კითხვა, აიძულა სემინარიის ადმინისტრაცია მიემართა სადაც ჯერ არს: „ცოტა ხანს უკან,—აგვიწერს ზაქ. გულისაშვილი, — აიმსო კიდეც სემინარია ჟანდარმებით. პოლკოვნიკი ამათი, ქართველთაგანი, ბალკონზე გამწარებული უყვიროდა სემინარი-

[38] შ ა ქ რ ო, განთიადი, „იმედი“, 1892 წ., № 5, გვ. 58—59.

ელებს: „რას შვრებით, ყმაწვილებო, მთელი საქართველო დაიღუპება, რას შვრებით!..“ მშვენივრად და ძალდაუტანებლადაა მოცემული ამ ქართველი ჟანდარმის, პოლკოვნიკის სახით გაჩინოვნიკებული, ნიადაგ-მორღვეული ქართველი, რომელიც „ქედდრეკილი, უშფოთველი, ქვე-მძრომელი, რიგიანი, წესიერი, ყოვლად მთმენი, ვით ჯორ-ცხენი, სა-ხედნი და ღონიერი, თვალაბმული და თავაკრული“ ერთგულად ემსა-ხურებოდა რუსეთის ბიუროკრატიას.

სემინარიაში არაფერი აღმოჩნდა. მაგრამ ახალ სიოს მაინც კი გრძნობდნენ ახალი დროის მტერნი. ამიტომ პოლე სასწავლებლიდან გამორიცხეს, დაატუსაღეს. მაგრამ სემინარიელთა ვიწრო წრეში ახალ-მა იდეებმა მაგრად გაიდგა ფესვი.

საგულისხმოა კიდევ ერთი შტრიხი.

ზაქ. გულისაშვილის გაგებით, ახალი ცხოვრების მაძიებელნი წამოზ-ვირთდნენ ღარიბი ფენებიდან. და ეს ბუნებრივიცაა. ისინი კარგად იც-ნობდნენ ამ ცხოვრების სიდუხჭირეს და მეტი უშუალობითა და სიმტკი-ცით წინაღუდგებოდნენ ხოლმე.

ზაქ. გულისაშვილი მკითხველის ყურადღებას აქცევს იმ გარემოე-ბას, რომ ამ ახალი თაობის შეგნებაში ვერც ეკონომიური გაჭირვება, ვერც უუფლებობა, ვერც ციხე და ვერც დევნა გამათავისუფლებელი მოძრაობისადმი მისწრაფებას არამც თუ ვერ აკრობს, არამედ ვერც კი ანელებს. ისინი სიმტკიცით ებრძვიან ცხოვრების უკუღმართ პირობებს, გმირულად დგანან თავიანთი იდეების სამსახურის სადარაჯოზე.

პოლე ჯაფოიძე ციხიდან გამოუშვეს, მაგრამ სასწავლებელში მაინც აღარ მიიღეს. მას საცხოვრებელი საოჩო არ გააჩნდა. ამხანაგებმა სე-მინარიაში შეუგროვეს მას შვიდი თუმანი; „აქედან პოლემ,—გადმოგვ-ცემს მწერალი, —იყიდა საკაზმო იარაღები და მიჰყო ხელი მეკაზმობას. თავნი უნდა უკვდავად ყოფილიყო და შემოსავლით უნდა ეცხოვრნა პოლეს. არ გასულა ამის შემდეგ ნახევარი წელიწადი, რომ სემინარიი-დან გამოაგდეს პოლეს ამხანაგი—სოლო, რომელიც პოლეზე უფრო ულუკმაპურო და საწყალი იყო, იმიტომ პოლემ მას დაუთმო მეკაზ-მობა; თითონ კი დაიჭირა პატარა ოთახი, იყიდა ნიჩაფი, ბარი, წერაქვი და დილაადრიან მიდიოდა ნათლუხში, სადაც ქალაქიდან გატანილ და-ხოცილ ძაღლებს სამუდამოდ ასაფლავებდა... პოლეს დღეში ექვს აბაზს აძლევდნენ... საღამოთი მოდიოდა პოლე შინ, კითხულობდა და წერდა შუა ღამემდის, ან მიდიოდა ნაცნობებთან საბაასოთ, აზრების გასაზი-არებლად... მოეღებოდა ხოლმე ძაღლების მარხვასაც ბოლო და პოლე სამუშაოთ მირზოევის ქარხანაში მიდიოდა“[39].

ასეთია ეკლიანი, მსხვერპლით სავსე გზა ამ ახალგაზრდა მოღვაწე-თა. მაგრამ, მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, პოლეს წრე თანდა-

[39] შ ა ქ რ ო, „ანთიდი“, „ომელი“, 1882 წ., № 5, გვ. 60.

თან დიდდება. მისი ღარიბი ოთახი ძალუმად იზიდავს ახალი დროით ნაისრალ ახალგაზრდობას. ტიპიურია პოლეს ოთახის აღწერა, მდიდარ მასალას იძლევა ამ ფანატიკოსთა ცხოვრების გაგებისათვის. „ოთახში იდგა ორი ძველი კრაოტი. ერთ მათგანზე იწვა პირქვე ახალგაზრდა, რომლის შავი და ელვარე გრძელი თმები საამურად იყვნენ გადაყრილ-გადმოყრილნი მხრებზე, კუნჭულში ელაგა ნიჩაბი, ბარი, წერაქვი. იქვე იყო დაყრილი მეწაღის იარაღი დაზგითურთ. ფანჯარასთან კი თავსდებოდა ძველი სტოლი, რომელზედაც აკოკოლავებული იყო ბლომად წიგნები; ფანჯრებიც ამავე საგნებით იყვნენ დაჭერილნი“[40].

აი, ამ პოლესთან მიიყვანა ერთმა ასოთამწყობმა ზაქ. გულისაშვილის რომანის „განთიადის“ გმირი სიმნო.

ესეც ახალი და მეტად საგულისხმიერო შტრიხია ზაქ. გულისაშვილის მიერ ქართულ ლიტერატურაში შემოტანილი. მყარდება ხალხის „მოკეთის“ კავშირი მუშებთან, რაც ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში 70—80-იან წლებში შთანასახში იყო. ავტორი ამით, უდავოდ, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ტენდენციას იძლევა, თუმცა, რასაკვირველია, როგორც ხალხოსანი, სათანადოდ ვერ ავლენს და ვერც აფასებს ამ მოვლენას.

სიმნო პოლეს შესჩივლებს, რომ მას დიდი სურვილი აქვს სემინარიის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელოს, მაგრამ მშობლები არა თანხმდებიან, მოითხოვენ, რომ ის მღვდლად წავიდეს. მას ეს არ უნდა და გადაწყვიტა პოლესთან მისვლა.

ფრთებჩამოყრილ, უიმედობის ბრჭყალგაკრულ სიმნოს პოლე ასე მიმართავს: „მაინც გეტყვი, სიმნო, რომ აქაც ვიშოვით ნამდვილ საქმეს, მარტო დაცქერება უნდა. რაც შეეხება სწავლისადმი ლტოლვილებას, ეგ არა გვხვდება მე და შენ ხვედრათ, რადგან ეს ქვეყანა ასეა მომართული — ვიბრძოლოთ იმისათვის მაინც, რომ შემდეგ ამ საქმეში შეღავათი მიეცეს ჩვენისთანა ბიჭებს...“ პოლემ სიმნო გააცნო მასთან მცხოვრებ სტუდენტს. მალე გაიმართა მათ შორის საუბარი. „სტუდენტი, — გადმოგვცემს ავტორი, — უღვთოთ სძრახავდა აწმყო მდგომარეობას. სიმნო არამც თუ სთანხმდებოდა, არამედ ამ ორი თვის ნახულს სოფლის ფაქტებს იგონებდა მისი აზრების საბუთებად; მაგრამ გაცხარებით შველის გზას იკითხავდა“[41].

დამახასიათებელია ის დიდი წყურვილი სწავლისა—კითხვისა, რომელიც ამ პირველ რევოლუციონერებს ჰქონდათ, რათა ცხოვრების მიერ წამოყენებული საჭირბოროტო კითხვებისათვის თავი აერთვათ, მიზანშეწონილად გადაეწყვიტათ. საგულისხმიეროა, რომ ეს წრე დაწა-

---

[40] ზ ა ქ რ ო, განთიადი, „იმედი“, 1882 წ., № 5, გვ. 61.

[41] ი ქ ვ ე.

ფებულია იმ დროის მოწინავე ეკონომისტების მოძღვრებას. ისინი იცნობენ: მარქსს, ლასალს, დიურინგს და სხვათა. როდესაც სიმნო დაჟინებით კითხულობდა შველის გზას—„ლასალი, მარქსი, დიურინგი, რობესპიერი ისმოდა ამ უკანასკნელი კითხვის პასუხად სტუდენტის პირიდგანო“, — გვეუბნება ავტორი.

საგულისხმიეროა აგრეთვე პასუხიც, რომელსაც სტუდენტს აძლევს პოლე: „ეგ შორეული ლამპარია... ახლო! ახლო! გაიძახოდა ისა“... დამახასიათებელია ხალხოსანთათვის ამ წრფელი ენთუზიასტების კამათის დასრულება—„ხალხში გასვლა, მისი მიდრეკა შორეულ ლამპრისაკენ იყო ომეღა ამ ლაპარაკისა, რომელიც გათავდა მარტო გათენებისას“.

ასეთია უშუალო სურათი ჩვენი პირველ რევოლუციონერთა ბუდისა. ასე დაბუმბულდა, ფრთა შეისხა ხალხის მოკეთის სიყვარულმა და გაიტაცა მრავალი „ხალხში სასიარულოდ“. ამ მოღვაწეობაში ისინი, მართლაც, რევოლუციონერები იყვნენ.

ზაქ. გულისაშვილის შემოქმედება და, კერძოდ, რომანი „განთიადი“ მშვენიერი ნიმუშია ავტობიოგრაფიული რომანისა, ხალხოსან მწერლებს რომ ასე ახასიათებდა. ამგვარ რომანებში ხალხოსანი მწერლები, როგორც ზაქ. გულისაშვილი, იძლეოდნენ რევოლუციური გზის სურათს. ხალხოსნები, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ლენინი, ემყარებოდნენ თეორიას, რომელიც არსებითად არ იყო რევოლუციური. ისინი ვერ ახერხებდნენ თავიანთი მოძრაობა დაეკავშირებინათ რევოლუციური, კაპიტალისტური საზოგადოების შიგნით არსებული კლასობრივი ბრძოლისათვის; ამიტომ ისინი ყურადღების ცენტრში აყენებდნენ „გმირს“. ხალხოსანი მწერლის ხალხის მოძრაობისაგან მოწყვეტაში, მის მარტოობაშია იმისი მიზეზი, რომ ის (ხალხოსანი მწერალი) სააგიტაციო მისწრაფებას აწარმოებს თავისი რევოლუციური მოღვაწეობის აღწერაში, თავისი მსოფლმხედველობის და მოქმედების განვითარების ეტაპის ჩვენებით, ვინაიდან სხვა რევოლუციური გზა, მას ეგონა, რომ არ იყო.

ეს სტილური ნიშანი ხალხოსანი მწერლების მხატვრული შემოქმედებისა ქართულ ლიტერატურაში ყველაზე მკვეთრად ზაქ. გულისაშვილის შემოქმედებაში აისახა.

7

სიმნო მალე გადიყრის სოფლის ცხოვრებიდან მიღებულ ბურუსს, მალე გაერკვევა პოლესა და სტუდენტთან პირველსავე შეყრისას მიღებულ დიდ შთაბეჭდილებებში. ენერგიულად დაეწაფება თავისი დროის დიდ მოაზროვნეთა მოძღვრებას. უშუალოდ შეისწავლის მათ. ყველა წაკითხულს სიმნო პოლეს უზიარებდა. მათ შორის ყოველ ღამე იმარ-

თებოდა ცხარე ბიასი. ასე ერკვევოდნენ ისინი მტკივნეულ საკითხებში, ემზადებოდნენ პრაქტიკულ მოღვაწეობისათვის.

ეს ახალგაზრდები ყველაზე ნაკლებ თავიანთ თავზე და პირად კეთილღეობაზე ზრუნავდნენ. „ზამთრის სუსხიან დილას, — აგვიწერს ავტორი, —როცა ფუფუნების შვილთ ჯერეთ ეძინათ ხოლმე თბილისში, ხშირად სიცივის მიერ ძალდატანებული სიმნო და პოლე გამოდიოდნენ ერევნის მოედანზედ, იკიდებდნენ შეშას ზურგზედ, რადგან მუშის ფული არ მოეპოვებოდათ და მიჰქონდათ შინ“[42]. ესეც ჩვეულებრივი იყო ამათი მსგავსი ადამიანებისათვის, გაჭირვება-შევიწროებაში მტკიცდებოდა მათი ნებისყოფა და მისწრაფება.

სამაგიეროდ სიმნო და პოლე ერთგულად, დაუზარებლივ დადიოდნენ ახალგაზრდების კრებებზე, სადაც სიამოვნებით ისმენდნენ წრფელი გულით გამოთქმულ ახალგაზრდების მოწინავე აზრებს. ისინი ხშირად წრის მოთავეებთან შედიოდნენ კამათში და მათ ბევრშიაც ითანხმებდნენ. ბევრი საგულისხმიერო აზრი შემუშავდა პოლესა და სიმნოს თავში, ბევრი „მკაცრი წამი ედგა მათ გახურებულ ტვინს — ყველა მოიხარშა, ყველა გადახალისდა“, — როგორც მწერალი ამბობს. მაგრამ მოულოდნელად ახალგაზრდების რიცხვი შემცირდა. ისინი დაატუსაღეს. მალე პოლეც იქ მოემწყვდა. დარჩა ეულად სიმნო. აქ მკვეთრად იგრძნობა ალექსანდრე II მოკვლის შემდეგ ალექსანდრე III მეფობის შავი რეაქციის მწვავე სუსხი, პირველ რიგში არალეგალური პოლიტიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული.

სიმნო გრძნობს თავის თავში ძალას. გრძნობს საზოგადოებრივი მუშაობის საჭიროებას. გრძნობს მოძმისადმი სამსახურის ვალდებულებას. მის წინაშე მწვავედ ისმება საკითხი: რაში უნდა მოეხმარებინა მას თავისი ძალღონე? „ხანგრძლივ ფიქრთა შემუშავებამ,—გადმოგვცემს ზაქ. გულისაშვილი, — იმას განუცხოველა წადილი ხალხში გასვლისა, მისი ავან-ჩავანის გაგებისა, მისი იარების გამოკვლევისა და აქედგან ცდა იმ მალამოების ძალისა, რომლებითაც ის აღიჭურვა თეორეტიკულად. დღითი დღე ეს მოსაზრება მის გონებაში ფართოვდებოდა და ამ უკანასკნელმა მიაღწია იქამდე, რომ იმან ერთ დღეს გაშმაგებულად გადასწყვიტა სოფლის მასწავლებლად წასვლა... მაგრამ იმას მასწავლებლობა ისე არ ეყურებოდა, როგორც უმეტესობას. მისი აზრით, ეს უდიდესი ხელობათაგანი იყო, მეტადრე როცა ხალხის და მასთან დაახლოების აზრს ზედ უმატებდა. მასწავლებელიც უნდა ზნეობითაც მტკიცე, დაბალ ხალხისათვისაც თავგამოდებული, ტვინის ძალა ხომ საკმაო და პატივსაცემი უნდა ჰქონოდა... ამაებში წვრთნა მან თავისი თავი წინათაც, მაგრამ თითონ ხელობაც უნდა შეესწავლა. ამიტომ დაიწყო კითხვა

---

[42] შ ა ქ რ ო, განთიადი, „იმედი“, 1882 წ., № 6, გვ. 22.

სპენსერის, რუსოსი, პესტალოცის, ამოს კომენსკისა; დიტეხსა და დისტერვეგს—„სულ ტყავი გააძრო“, როგორც სემინარიელები იტყვიან ხოლმე“...[43]

ზედმიწევნით სრული გაგებაა მოცული ხალხოსნების შეხედულებისა მასწავლებლის მოვალეობის შესახებ. მართლაც, ასეთი გაგებულებით მიდიოდნენ ისინი და გმირულ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ სოფლის მასწავლებლის ნარ-ეკლიან გზაზე ხალხის გაღვიძების, გათვითცნობიერებისა და დარაზმვის მიზნით. განსაკუთრებით ეს ითქმის 70-იანი წლების ხალხოსნების მოღვაწეობის შესახებ.

სიმნომაც აი ეს გზა აირჩია. გამწესდა სოფ. მტკვრისპირის სკოლის მასწავლებლად. მისი გონება სავსე იყო ახალი მოვალეობის ასრულების, ხალხთა დაახლოების, მათი ბედისა და უბედობის გაზიარების სურვილით. სიმნო, რაც მეტად უახლოვდებოდა გლეხკაცობას, მათ ყოველდღიურ ცხოვრებას, მით მისი გადაწყვეტილება უფრო მტკიცდებოდა. ის ცდილობდა „ეზრუნა ამათ (გლეხობის) კეთილდღეობისათვის, რითაც კი შეეძლო გადაეხადა ოფლით და სისხლით დავალება გლეხთა მიერ თუ მის მამა-პაპაზე, თუ თითონ ნასზედ და აემაღლებინა ისინი გონებით თუ ზნეობით“.

სინდისის ქენჯნა, უმცროსი ძმის დახმარების ვალდებულება, რომელიც მონანიე აზნაურიდან გადაადო „რაზნოჩინეცსაც,“ საკმარისი ნეუანსითაა ზაქ. გულისაშვილის ნაწარმოებშიც მოცემული.

სოფ. მტკვრისპირას მისვლისთანავე სიმნო დარწმუნდა გლეხთა ბედ-უბედობაში. დარწმუნდა, რომ გლეხკაცობა დაბეჩავებულია, შეშინებულია. „ლაბა-ხარივით დაჭკვიანებულია“ ჩაგვრისაგან. „სიმნო,—ავტორის მოწმობით,—რწმუნდება იმ აზრის სიმართლეში, რომ სადაც ჩვენი ძლევამოსილი მეფის და თავადაზნაურობის ბედნიერი თვალი ხშირად ვერ ჰხვდებოდა, იქ უფრო კარგად ეცხოვრებოდათ გლეხებს, სინამ იქ, სადაც მათი თვალი დაუღალავად ზრუნავდა „მამულის ბედნიერებაზედ“[44]. ეს ადგილებიც დამახასიათებელია ზაქ. გულისაშვილისათვის, როგორც ხალხოსნისათვის, რომელიც ბატონყმობის ნაშთებსაც ვერ ურიგდება, თხოულობს ძირიან-ფესვიანად მის აღმოფხვრას. გლეხნი სიმნოს თუმცა მორიდებით შეხვდნენ, მაგრამ ჩვეულებრივი უნდობლობით. მასწავლებელს, ან, როგორც ისინი ეძახდნენ, „უჩიტელს“, უარყოფითად უყურებდნენ. „ეგღა გვაკლია, აქ უნდა იცხოვროს და ბიჭებს ასწავლოსო“, გაიძახოდნენ გლეხები. მასწავლებელი სოფელს იმდენად საშიშ პირად მიაჩნდა, რომ დედაკაცები „უჩიტლით“ აშინებდნენ ბავშვებს: „გაჩუმდი, თორემ, აგერ უჩიტელი შეგჭამსო“ და სხვა.

---

[43] შ ა ქ რ ო, განთიადი, „იმედი“, 1882 წ., № 6, გვ. 23 | 24.

[44] ი ქ ვ ე, გვ. 27.

მაგრამ სიმნოს პატიოსნებამ გლეხებში მისდამი ნდობა აღძრა და მალე დიდძალი შეგირდობა შემოიკრიბა მის გარშემო. სიმნოს მოპყრობამ, განსაკუთრებით სწავლის დროს, მთელი სოფლის ყურადღება მიიპყრო. სკოლის ფანჯარა-კარები კაცთ-დედაკაცების ჯგუფით იყო ხოლმე დაბნელებული. „ყველა საქმეში დასაკითხავად, ბარათის გასაჯღაბნად წამდაუწუმ მიდიოდნენ მასთან გლეხები. ცოტახანს შემდეგ სოფელში მას ყველა „ჩვენს სიმნოს“ ეძახდა“.

როცა დაზამთრდა და გლეხობა თავისებურ დასვენებას მიეცა, სიმნომ სკოლა მოზრდილთათვისაც გამართა... „მხარბეჭიანი ბიჭები, — გადმოგვცემს მწერალი, — პატარების დათხოვნის უმალვე, სადილის ჭამასაც კი არ აცლიდნენ სიმნოს და შედიოდნენ მის სახლში, ზოგს თერმომეტრი ეჭირა, ზოგს გლობუსი, ზოგს სასწორი, ზოგს საკენი და უხსნიდნენ ერთმანეთს სიმნოს გამოსვლამდის.

„გავათავე სადილი, აბა ახლა ვისაქმოთ, კაცებო,“ — დაუძახებდა სიმნო და ორმოცამდის ახალგაზრდა დასხდებოდნენ სტოლზედ და სიმნო გამართავდა მათში ლაპარაკს სხვადასხვა საგნებზედ“[45]. ასეთი იყო დაუშრეტელი ენერგია ავტორისა პრაქტიკულ მოღვაწეობაში გლეხებთან. ასეთივე იყო მოწინავე ხალხოსნების ცხოვრება სწორედ 70—80-იან წლებში.

მაგრამ მასწავლებლის როლით არა კმაყოფილდება ხალხის ბედნიერებით გატაცებული სიმნო. ხალხს სხვა მხრივაც უნდა შველა და სიმნოც ვალდებულად თვლის თავი არ დაზოგოს. ყოველი მხრით შევიწროებულ გლეხკაცობას შრომა, ზედმეტი ჯაფა, ცხოვრების ცუდი ჰიგიენური პირობები ფიზიკურად აწრიოკებდა. ხალხი იღუპებოდა მკითხავებისა და ექიმბაშების ხელში, ხშირად სრულებით უპატრონოდ. და სიმნოც ცდილობს ხალხს ამ მიმართულებითაც დაეხმაროს. თვითონაც იცის, რომ ამ მხრით ცოტას მცოდნეა, მაგრამ დახმარების აღმოჩენა მაინც საჭიროა. ისიც სწავლობს, მკურნალობს უსასყიდლოდ, ხალისითა და სიყვარულით ეხმარება დიდსა და პატარას. „საბრალო ხალხში შორს გავარდა სიმნო ჯანაოზ—ექიმის ხმა. ავადმყოფის ჭირისუფალნი შორიდგან და ახლოდგან მოსვენებას არ აძლევდნენ სიმნოს“.

მაგრამ ხალხის გაჭირვებული ცხოვრება დაუშრეტელია, იგი სიმნოსაგან დაჟინებით თხოულობს დახმარებას. ხალხმა იცნო მოკეთე, გადაუხსნა თავისი გული და, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი, შველასა სთხოვდა.

სიმნო გლეხის ჭირისუფლად ხდება. ისიც აღარ კმაყოფილდება მასწავლებლობისა და ექიმის მოღვაწეობით. ხალხს ყოველ ნაბიჯზე ჩაგრავდნენ, ცემდნენ ჩაფრები თუ ბოქაულ-მამასახლისი. გლეხები მი-

---

[45] შ ა ქ რ ო, განთიადი, „იმედი“, 1882 წ., № 5, გვ. 29.

მართავდნენ ხოლმე სიმნოს: „ბატონო სიმნო მიშველე, მომკლეს ცემითო“ და სიმნოც დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა წაექომაგებოდა ხოლმე. ამიტომ სიმნოს ეს წვრილი მოხელეები აბეზღებდნენ მაზრის უფროსთან, რომელიც სიმნოს მოქმედებას სიბრაზით უყურებდა.

სიმნო იძულებული იყო გლეხის დაცვა ხშირად სასამართლოშიც გადაეტანა. გლეხებს, როგორც უფლებააყრილებს, ყველა ჩაგრავდა. „სიმნო ჯერ არზებით და გარედგან შველოდა და, თუ საქმე გაჭირდებოდა, ვექილობას თვითონ იკისრებდა ხოლმე. ამიტომაც „ადუკანტობასა“ და კანონების შესწავლასაც შეუდგა ის“[46].

თავგამოდებული იბრძვის სიმნო ხალხისათვის. კრიჭაში უდგა ხალხის მტრებს, არ უნდა დააჩაგვრინოს ხალხი. მაგრამ, რა ქნას მან, როცა ქვეყანა ძალმომრეთა ხელშია! სიმნოს მოქმედებით გაბრაზებული იყვნენ მოხელეები და მემამულენი. მწერლის დახასიათებით, „მაზრაში ყველა სიმნოზე ათითებდა, როგორც რაღაც საფრთხეზე და ხალხის მომხრეზე“.

ხალხის ბედნიერი მომავლით გატაცებული სიმნო არაფრად აგდებდა ასეთ დამოკიდებულებას, რადგანაც ხალხს ის ძლიერ უყვარდა და ხალხი მას ენდობოდა. ამიტომ სიმნო განუწყვეტლივ მუშაობდა. სკოლის საქმეს მან განსაკუთრებით საფუძვლიანად მოჰკიდა ხელი. ზოგს შეაწირვინა, ზოგი წარმოდგენებიდან ააკრეფინა, შეაგროვა ამ მიზნით ორმოციოდე თუმანი. შემდეგ შეკრიბა მტკვრისპირელები და დაიწყო მათთან სკოლის შენობის აშენების შესახებ სჯა.

მეტად საგულისხმიეროა და ხალხოსანისათვის დამახასიათებელი სიმნოს განმარტება ხალხის მიერ აშენებული სკოლის მნიშვნელობისა: „ეს სახლი იქნება ყველაზე დიდი საგანძო სოფლისათვის, აქ თქვენ შვილებს ფეხ-შიშველა გამოგზავნით, არვინ დასძრახავს, რადგან თავის მამა-პაპის სახლში მოვლენ ისინი — აქ ისინი შეიტყობენ იმას, თუ როგორ უნდა მოუარონ თავიანთ საცოდავ ცხოვრებას დიდობაში, თქვენთვისაც გულხალვათი სახლი იქნება ის. იქ თამამად იმუსაიფებთ თქვენს ტკივილებზედ და საჭიროებაზედ. იქ დააწყობთ თუ საქვეყნო, თუ საშვილიშვილოს თადარიგებს... ვეცადოთ მაშ, ძმებო, ასეთი ძვირფასი თავშესაფარი დაუდგათ თქვენ თავსაც და თქვენ შვილებსაც... აი, შე ორმოცი თუმანი გიშოვეთ, თქვენ მარტო მასალის მოზიდვა დაგჭირდებათ, დაათავა სიმნომ“.

სიმნოს სიტყვებში ვგრძნობთ რაღაც სიახლეს, დიად ძალას, მომავლისაკენ საღსა და იმედიან მზერას! ხალხი გაჰყვა ამ მოკეთეს. სიმნოს ენთუზიაზმი გადამდები აღმოჩნდა. გაღვიძებულმა ხალხმა შეძლო დაბრკოლებათა დაძლევა და შუა სოფელში ენკენისთვისათვის დადგა სკოლის მშვენიერი შენობა, ფიცრული გალავნით, ალაყაფის კარებით. სი-

---

[46] შ ა ქ რ ო, განთიადი, „იმედი“, 1882 წ., № 6, ვვ. 31.

მნომ იქ ახლოვე იშოვა ორი დღის საბალე მიწა, ეზოშიც ხეხილები ჩარგო და მომავალში მშვენიერ მყუდრო სასოფლო სკოლად უნდა გადაექცია ესა. ამას გარდა, სიმნო ფიქრობდა ბანკის, შემნახველ-გამსესხებელი საზოგადოების დაარსებას, რაც მისი შეხედულებით, „ხალხს ერთმანეთს გააცნობდა, საზოგადო ინტერესს გაუჩენდა და მათთვის ახალი დროის საბჭო შეიქმნებოდა“.

სოფლის სკოლისა და, კერძოდ, საკვირაო სკოლის ფართო დანიშნულებას სიმნომ თავისი დაუღალავი შრომით მკვეთრი საფუძველი ჩაუყარა. ახალი ცხოვრებისა და ყოფის, ახალი ფორმების გატანაზე ზრუნვას სიმნო, ე. ი. თვით ავტორი, რომელიც ხალხოსანთა იდეების მკვეთრ გამტარებელ-გამომხატველად მოჩანს.

ზაქ. გულისაშვილის მხატრული შემოქმედების გაცნობა მკითხველში გარკვეულ შთაბეჭდილებას იწვევს: ავტორი სარგებლობს მხატვრული შემოქმედებით, რომ ახალ-ახალი იდეები გამოიტანოს საზოგადოებაში. ის ხშირად ნაწარმოებს სტილურად არა ხვეწავს. მის შემოქმედებაში ფორმას იდეა ჩრდილავს. მაგრამ სიუჟეტის განვითარება, აღწერის უშუალობა და ემოციონალობა ანელებს მწერლის ტენდენციით გამოწვეულ სქემატურობის შთაბეჭდილებას.

დაუღალავად დადის სიმნო ხალხში, მის ყოველდღიურ ცხოვრებაში იჭრება; საჭიროებისამებრ შესაფერ საუბრებს აწარმოებს მასთან, რათა მისი კულტურული დონე ასწიოს, მისი გონება გაათავისუფლოს სხვადასხვა მავნე ჩვეულებისაგან. განსაკუთრებით კი სიმნო ებრძვის ცრუმორწმუნეობას („განთიადი“, გვ. 34—36).

ხალხის მტრებსაც არ ეძინათ. სიმნოს ასეთს მოღვაწეობას ისინი მტრულად აფასებდნენ. ისინიც მოქმედებდნენ სიმნოს საწინააღმდეგოდ. სიმნოს წინააღმდეგ განსაკუთრებით მაშინ გააფთრეს ბრძოლა, როცა სიმნოს მოღვაწეობამ საფუძვლიანად გაშალა ფრთა, გაიდგა ფესვი, გლეხთა ნდობა დაიმსახურა და ახლო მომავალში უკეთესი ნაყოფი უნდა გამოეღო. სწორედ ამ დროს სიმნოს მოსდის შემდეგი ხასიათის ბრძანება:

„მოწყალეო ხელმწიფეო!

.რადგან სკოლის მასწავლებლის შუა და მაზრის პატრონების შუა სკოლის ინტერესებისათვის უნდა სუფევდეს სრული თანხმობა და განწყობილება, და რადგან ამ უკანასკნელს მოვალეობას თქვენ ვერ ასრულებთ, ამიტომ გაუწყებთ, რომ თქვენ ღღეიდგან აღარ ირიცხებით მტკვრისპირის სოფლის მასწავლებლად.

დირექტორი N, საქმის მწ. N.“[47]

[47] შ ა ქ რ ო, განთიადი, „იმედი“, 1882 წ., № 6, გვ. 38.

აი, ჩვეულებრივი ხვედრი ხალხისნისა, რომელიც ასეთი შეგნებითა და თავდავიწყებით იღწოდა ხალხის ბედნიერებისათვის, თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის მოსახდელად.

ბევრ უკეღმართობას გამოვლილი მწერალი, ერთგვარი იმედიანობითა და სიამოვნებით ამჟღავნებს, რომ ხალხიც ასეთს თავდადებულს გაუგებს და აფასებს, ხალხის გულიც გადაეჯაჭვა ამ ერთობის კაცის გულს, ის გაიხადა თავის მესაიდუმლედ.

ზწარედ დააღონა სიმნო აღნიშნული ბრძანების მიღებამ. მაგრამ იცის, რომ ის უძლურია ამ ბრძანების გაბათილებაში. მას არ შეუძლია დარჩეს ნაამაგდარ, საყვარელ ადგილზე, დაახლოებულ გლეხკაცებთან. არც გლეხები უნდა ჩააბას ამ უშედეგო ბრძოლაში. მან იცის, რომ ამას შესაძლებელია უფრო მეტი რეპრესიები მოჰყვეს. ამიტომ დაღონებულ გლეხებს, რომელთაც უნდათ დანარჩენებს შეატყობინონ სიმნოს გადაყვანა და მოათხოვნინონ სიმნოს დატოვება, არ ურჩევს და ამასღა ეტყვის: „მარტო ეს კი ჩემი ანდერძი იქნება და ვიცი შეასრულებთ—ვინც გინდა მასწავლებელი მოგივიდეთ, ისევე იარეთ დიდებმა და პატარებმა სკოლაში და იმის სახლში, როგორც ჩემთან, ყველაში იმას ლაეკითხენით და შვილებს ნუ გაუშვებთ უსწავლელებს, შვილებს... თუ ურიგო ვინმე გამოგიგზავნეს... სხვა მოითხოვეთ“[18].

სიმნო და მისი მეგობარი გლეხები თვალცრემლიანნი გაშორდნენ ერთმანეთს.

აი, ჩვეულებრივი ეკლიანი გზა ხალხში მოსიარულისა! ასეთი იყო ცხოვრების გზა თვით ზაქ. გულისაშვილისაც, რომელიც, ხალხსნური იდეებით გატაცებული, დიდი სიყვარულითა და დაუზოგველი ენერგიით მოღვაწეობდა ოც წელიწადზე მეტს სოფლის სკოლის მასწავლებლის თანამდებობაზე; ერთგულად ცდილობდა ხალხის ყამირი გული გაეხსნა და მისი ბედნიერი მომავლის თესლი პატიოსანი ხელით ამ ხნულში უხვად გაეტანა. ბევრი ვაი-ვაგლახი გადახდა ზაქ. გულისაშვილსაც ამ მოღვაწეობაში. ბევრჯერ მოგლიჯა მთავრობამ ის საყვარელ საქმეს, მჭიდროდ შეკავშირებულ ხალხს და უხეშად დაანგრია მისგან დიდი მეცადინეობითა და მსხვერპლით შექმნილი კულტურული კერა.

ზაქ. გულისაშვილი უსწორო ბრძოლით დაქანცული, იძულებული გახდა მღვდლად წასულიყო, მაგრამ სრულიად არც იქ მოიღუნა. ის, თუმცა, რა თქმა უნდა, მკრთალად, მაგრამ მაინც აგრძელებს თავის საქმეს, მისი მხატვრული აპერცეპცია კვლავ გლეხკაცის, მისი მდგომარეობის გარშემოა, მისი კეთილდღეობითაა დაინტერესებული, თუმცა პირველი პერიოდის სიმახვილე და გაქანება აღარ აქვს.

---

[18] შ ა ქ რ ო განთიად“, „იმედი“, 1882 წ., № 6, კვ. 10.

ზაქარია გულისაშვილის შემოქმედებისათვის, როგორც საერთოდ სხვა ხალხოსანი მწერლებისათვის, დამახასიათებელია იდეურობით დატვირთვა. ის ცდილობს წინ წამოსწიოს, და საკმარისად გამახვილებულადაც, ეპოქის მოწინავე მისწრაფებანი, ამ მიზნით ის სარგებლობს ზევით აღნიშნული მხატვრული ხერხებით, ცდილობს ფარდა ახადოს სინამდვილეს, მკითხველი უშუალოდ შეიყვანოს სინამდვილეში, დაანახოს ტკივილი ეპოქისა, აუძრას მოქალაქეობრივი გრძნობები. ამიტომ ზაქ. გულისაშვილში, როგორც საერთოდ ხალხოსნებში, მხატვარი იჩრდილება, პუბლიცისტი სძლევს. ხშირად შემოქმედება, როგორც თვითონ გულისაშვილიც ამბობს, „დაულაგებელია, აუკონავია". ჩვენი მწერალი თვითონვე შემდეგით ხსნის ამ გარემოებას: „ესე, მკითხველო, მგონი ჰკავრობ, რაზე დავწერე ამდენი, მერე დაულაგებლივ, აუკონავი!... რა ვქნათ, ბიძია, მე გასართობად 'არცა ვწერ. ვწერ იმას, რაც ვნახე, ვწერ იმას, რასაც ყოველ ნაბიჯზე ნახავ ჩვენ სოფელში. ეხლა შენი და ჩემი ვალია შევაერთოთ ეს ამოდენა ხალა-ბალა და დასკვნა გამოვიყვანოთ"[49]...

და მართლაც, ერთი უდიდესი დამსახურება ხალხოსან მწერლებისა და, კერძოდ, ზაქ. გულისაშვილისა ხომ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათ თავიანთი მხატვრული შემოქმედების საშუალებით გამოააშკარავეს ჩვენი ცხოვრების უმტკივნეულესი იარები, გლეხკაცის უფლებაყრილი მდგომარეობა, მისი დაუშრეტელი წყურვილი სიცოცხლისა, ცხოვრებისა, ხალხის ცხოვრებისა და ენის სრული დაცვით, უმეტნაკლებოდ გადმოგვცეს ამ წუთისოფლის უსამართლობა, რომელიც ზაქ. გულისაშვილისავე წინასწარმეტყველებით, „მოვა დრო, როდესაც კეთილ კაცებს ისეთივე სიცრუე ეგონებათ, როგორც ჩვენ არაკები ასთავიან დევებზე"...[50]

ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზაქ. გულისაშვილის შემოქმედება, მიუხედავად იმისა, რომ მწერალი თითქმის მხოლოდ სოფელსა და მის მცხოვრებ გლეხს მისჩერებია, თითქმის ვერ ამჩნევს და არ უნდა შეამჩნიოს მუშის მდგომარეობა და მისი ისტორიული როლი. ის მაინც წარმოადგენს ისეთ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელშიც არის ის, რაც წარსულს არ გადასცემია, რაც მომავალს ეკუთვნის[51].

---

[49] შ ა ქ რ ო, ბედნიერი კუნჭული, გვ. 29.

[50] შ ა ქ რ ო, ორიოდე სურათი მოთხრობიდან.

[51] შ ა ქ რ ო ს (ზაქარია გულისაშვილის) შემოქმედების სრული გამოცემა, სამწუხაროდ ჯერ არ მოგვეპოვება. ის დღემდის გაფანტულია ქართულ პერიოდულ გამოცემებში. მწერლის ნაწერების უდიდესი ნაწილი შეკრებილი და საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი ჰქონდა გ. ლ ე ო ნ ი ძ ე ს, რომელმაც 'ერთი ეგზემპლარი მათხოვა. ამით მან გამიადვილა მწერლის შემოქმედებაზე მუშაობა, 1953 წელს გამოვიდა ზაქ. გულისაშვილის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული ვ. ლეონიძის რედაქტორობით.

სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი

1851—1925

ქართველ ხალხისან-მწერალთა რიგში სოფრომ მგალობლიშვილს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ისიც, როგორც ხალხისანთა უმრავლესობა, „რაზნოჩინეცია"—ქართლის სოფლის დირბის მღვდლის ზაქარიას შვილია, დაიბადა იგი 1851 წელს. მწერალს თავისი ავტობიოგრაფიული ცნობები საკმარისად მკაფიოდ აქვს მოცემული მხატვრულ მოგონებებში „წარსულიდან".

ათი წლის სოფ. მგალობლიშვილი მშობლებმა მისცეს გორის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ ის გადმოიყვანეს თბილისის სასულიერო სემინარიაში. მწერალს კარგად აქვს ასახული სემინარიის სწავლისა და აღზრდის მეტად მახინჯი სისტემა იმავე ნაწარმოებში „წარსულიდან". მუქ ფერებში არიან მოცემულნი „აღმზრდელი მასწავლებლები" ყეყეჩას, ქიშმიშას, ბურნუთის კოლოფის, ინსპექტორი-ისიხის და სხვათა სახით; და ასეთი აღზრდით გზიდან გადავარდნილი, გონებადაბნეული მოწაფეები —თხისტვინა, თხუნელა, ყვინჩილა და სხვანი.

სემინარიის დამთავრების შემდეგ სოფ. მგალობლიშვილი გამწესდა გორში მასწავლებლად სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ დაანება მასწავლებლობას თავი და ფოთში ეპარქიის კანცელარიის საქმეთა მმართველის თანამდებობაზე მსახურობდა. 1905 წლიდან ის გადმოვიდა ქ. თბილისში, საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიაში (კონსისტორიაში), მაგიდის უფროსად. სოფ. მგალობლიშვილი გარდაიცვალა ქ. თბილისში 1925 წ.

სოფ. მგალობლიშვილი სამწერლო ასპარეზზე 70-იანი წლების დასაწყისიდანვე გამოდის. ჯერ კიდევ სემინარიის მოსწავლე სოფრომი თვალყურს ადევნებს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემას, მის ჟურნალისტიკას. მონაწილეობას იღებს გაზეთ „დროებაში" კორესპონდენციების მიწოდებით. პრაქტიკულადაც, როგორც მისი თანამედროვეები გვიდასტურებენ, 1872 წლიდან ჩაბმულა ხალ-

ხოსნურ მოძრაობაში[1], რაც საქართველოში, მართალია, სუსტად, მაგრამ მაინც თანდათან ვითარდებოდა.

სოფ. მგალობლიშვილმა სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო გაზეთ „დროებაში“, ხოლო ჟურნალ „იმედის“ გამოსვლიდან იქ გადავიდა. როდესაც „იმედი“ დაიხურა (1883 წ.) და ხალხოსნური მიმართულება დაშლის გზაზე დადგა, სოფ. მგალობლიშვილი თანამშრომლობს სხვადასხვა ქართულ პერიოდულ გამოცემებში („ივერია“, „ნობათი“, „მოამბე“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვა).

სოფ. მგალობლიშვილის პოეტური მოღვაწეობა შეიძლება ორ პერიოდად გავყოთ: 70—90-იანი წლები და 900-იანი წლები.

პირველ პერიოდში სოფ. მგალობლიშვილის ლიტერატურული მიმართულება კულტურტრეგერული ხალხოსნების გამომხატველია. ამ პერიოდში მან დაწერა „დედა მაია“, „ღამის მეხრე ცეცო“, „ცვრევაზე“, „დიდ ზალაში“, „დემეტრეს სახლობა“, „მეველე“, „გმირისეულის ქალი“, „წარსულიდან“ და სხვა.

მეორე პერიოდში (900-იანი წლებიდან), მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ხალხოსნური მიმართულება უკვე დარღვეულია, სოფ. მგალობლიშვილი რჩება ხალხოსნურ პოზიციაზე და რევოლუციონური ხალხოსნების განწყობილებას ამჟღავნებს. ეს გარემოება, ალბათ, აიხსნება 900-ანი წლებიდან მშრომელთა დარაზმვითა და მათი რევოლუციონური მოღვაწეობის გაძლიერებით. მწერალმა იგრძნო ახალი ცხოვრების ძალა, იგრძნო „აღთქმის ქვეყნის“ მოახლოება და, როგორც ხალხოსანი, ახლაც მტკიცედ იცავდა დაჩაგრულ ხალხს—გლეხობას. მან ნათლად გაითვალისწინა, რომ უკეთესი, თავისუფალი და კმაყოფილი ცხოვრების მოპოვებისათვის აუცილებელია შეგნებული, დარაზმული და თავდადებული ბრძოლა.

მეორე პერიოდში სოფ. მგალობლიშვილს დაწერილი აქვს: „წითელი სარჩული“, „ჯორ-ზაქარა“, „საფლავში ჩამომძახე“, „და შეჰფიცეს“... და სხვა.

პირველ პერიოდში სოფ. მგალობლიშვილი, როგორც კულტურტრეგერი ხალხოსანი (ჟურნალი „იმედიც“, რომლის თანამშრომელიც 80-იანი წლების დასაწყისში სოფ. მგალობლიშვილი იყო, ხომ კულტურტრეგერულ გზას ადგა!), ცდილობს მხატვრული შემოქმედება გამოიყენოს, როგორც იარაღი ხალხის ცხოვრების „აქიმობისათვის“, გაიტანოს ფართო მკითხველ მასებში გლეხის მძიმე, ხშირად პირუტყვის მდგომარეობისაგან გამოურჩეველი პირობები.

ბატონყმობის გადავარდნამ გლეხთა მდგომარეობა ვერ გამოასწორა. პირადი თავისუფლება რას უშველიდა, როცა ეკონომიურად გლეხი ისევ

---

[1] შ ი ო დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, 1933 წ

დამოკიდებული იყო მემამულისაგან, რომელიც ფაქტიურად ბატონის უფლებებით განაგრძობდა სარგებლობას. გლეხი თავის კარმიდამოს რომ გასცილდებოდა, ყველგან მემამულის — ნაბატონარის მამულს ხვდებოდა და ეალდებული იყო ყველაფერში ფული ან ღალა ეხადა. ამგვარი მდგომარეობა გლეხს მძიმე პირობებში აყენებდა. ამაზე წერდა ჟურნალი „იმედიც“.

„იმედისათვის“ ჩვეულებრივია შემდეგი ცნობა: „თითქმის ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან იწერებიან სიღარიბეს და სიღატაკეს ჩვენი გლეხებისას, რომელიც ღმერთს თაყვანსა სცემს, თუ კი დღიური ლუკმაპური არ შემოაკლდა, ტანზე ძველი შალის ჩოხა და ფეხზე ქალამანი მაინც არ შემოაცვდა“[2].

გლეხი, ხალხი შველას თხოულობდა. ხალხოსნებსაც, ცნობილია, როგორ მტკივნეულად ესმოდათ ხალხის ძახილი. მხატვრული შემოქმედება მათ ხომ გადააქციეს თავიანთი მისწრაფებების გამომჟღავნების, ტანჯული ხალხის ცხოვრების მკვეთრად გადაშლისა და მკითხველთა ფართო მასებში მათდამი თანაგრძნობის გამომწვევ საშუალებად. ხალხოსან მწერალთა პოეტური შემოქმედება ხომ სააგიტაციო ლიტერატურად გადაიქცა.

სოფ. მგალობლიშვილი თავის თხზულებებში ცოცხალ სურათს გვაძლევს ჩვენი გლეხის ცხოვრების ეკონომიურად გაღატაკებისა. მისი მოთხრობა „დედა მაია“ გლეხის ტანჯული ცხოვრების ჩვეულებრივი ოდისეაა.

ქვრივ მაია ღარიბაშვილს ვაი-ვაგლახით, წვითა და დაგვით, ქვრივობრობით ორი ვაჟიშვილი გამოუზრდია: სოლომანა—27 წლისა და სანდალა —17-სა. დედა-შვილნი წელზე ფეხს იდგამენ, გამგელებულნი მუშაობენ, ებრძვიან ცხოვრებას ლუკმა-პურისათვის, დღე და ღამე მათთვის შრომაშია გაერთიანებული, ახლა 17 წლის სანდალა გუთანზე ღამის მეხრედ მისდევს, მაგრამ მაინც ვერა და ვერ იქნა, წელი ვერ გაისწორეს, სიღატაკესა და შევიწროებას ვერ ამოუვიდნენ. ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ სოლომანას ცოლი შერთოს და ჯაფისაგან გატეხილ მაიას ოჯახში დამხმარე გვერდში ამოუყენონ. ოჯახის ფეხზე დაყენების ოცნებით გატაცებულნი მაია და მისი შვილები გულგაუტეხლად, გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ.

მაგრამ ხომ არც გლეხის ენერგია და ორგანიზმია დაუშრეტელი ზღვა. სანდალა ღამის მეხრეობაში გაცივდა. ერთ დილას რომ ადგა, „წელი ვეღარ აიტანა, ტანში საშინლად შეაზმორა, ცხვირში წაუჭირა და ხელფეხი შეუმცივნა. სანდალა მიჰხვდა, რომ რაღაც უბედურებაა

---

[2] დ. აბდუშელიშვილი, ბიბლიოგრაფია, „იმედი“, 1882 წ., № 1, გვ. 105.

მის თავს, სახლშიც დააპირა წასვლა, მაგრამ ვერ უღალატა გუთანს. დაეძალა თავს". სანდალა შეეცადა სულ სხვა ფიქრებისათვის გაეტანებინა თავი, რომ ავადმყოფობა დაევიწყებინა. ებრძვის თავის თავს სანდალა, მაგრამ ავადმყოფობამ უმატა, ვეღარ დასძლია მას და ვიშვიშით ბედისაგან დაჩაგრული წაფრატუნდა სახლში. სანდალას გულს მხოლოდ ის უღელვებს და უწუხებს, რომ ამ ავადმყოფობის გამო ერთი დღის ალო დააკლდება. სანდალამ ძლივს მიაღწია სახლს. და, აი, შინ რა დახვდა მას: „შინ, — აგვიწერს სოფ. მგალობლიშვილი, — სულიერი არსება არ მოიპოვება, რომ სანდალას მოუაროს. შევა სახლში, კვნესით უძახის დედას... იმედგადაწყვეტილი დერეფანში მზის გულზე, რომელიც დერეფნის ბანში სვეტად ჩამომდგარა, წაეგდება. გდია სანდალა ცარიელ მიწაზე უქვეშაგებოდ, მაზარაში გახვეული; სახრე მაგრა დაბღუჯული და გულში მიხუტული უჭირავს. ამ დერეფანში შინაურ პირუტყვის ბაკის კარია გამოღებული, საიდანაც გამოდის საშინელი დამახრჩობელი სუნი. დერეფანშივე აქა-იქ, თითქო განგებ ამოუთხრიათო, საქონლის ფეხისაგან ამოჩიჩქნილია ორმოები, შიგ ჩაგუბებულია საქონლის შარდი და ქათმებისაგან ნეხვია ჩაყრილი; ეს ორმოები ბაყაყის ბუდის ფერია. მთელს დერეფანში ქათმებისა და გოჭებისაგან გაქექილი და მოღავებულია ნეხვი და ამ ნეხვს ზედ ზაფხულის მწვავე მზის სხივები ადგია; ადუღებს გუბეებს, აყროლებს ნეხვს და ადენს შესაზარ სუნს. ამ სიმყრალეს სიხარულით ეხვევიან, დასტრიალებენ ცელქი ბუზები, დაბერილან წუმპის წოვნით და ფირუზის ფერი დასდებიათ, სწორედ ის ფერი, რა ფერიც თითონ წუმპეა. ბუზის ხრომ მიაგნო სანდალას, დაუწყო იმას წოვნა, მწარე კბენა და თავბედი აწყევლინა"[3].

დიახაც, ცოცხალი, შეუფერავი სურათია ჩვენი გლეხკაცის ცხოვრების პირობებისა! გდია ასეთ პირობებში ავადმყოფი სანდალა უპატრონოდ, გულგაღეღილი, ქარს გულმიშვერილი. ელის დაღამებას, რომ საიდანმე დედა გამოჩნდეს. საღამოს ჟამს მოდის მუშაობით ჯანგამოცლილი, წელში გაწყვეტილი მისი დედა მაია. ასეთი მოულოდნელი უბედურების დანახვა მაიას ათას ერთიერთმანეთზე უარესად მტკივნეულ ფიქრს აუძრავს თავში და აუდუღებს ისედაც სიცხისა და ჯაფისაგან ადუღებულ ტვინს. მაიას ყველაზე მეტად ის გარემოება აღელვებს, რომ შვილი ცუდ — მკისა და კალოობის — დროს გაუხდა ავად.

დაქანცული, უილაჯო მაია მეზობელს მიატანს, გაიგოს და სთხოვოს რაიმე წამალი.

მეზობლების მდგომარეობა, თუმცა გაკვრითაა აწერილი, მაგრამ მოცემული რამდენიმე შტრიხი, ცხადად გვაგრძნობინებს, რომ ისეთივე უნუგეშოა, როგორც ღარიბაშვილებისა.

---

[3] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, დედა მაია, თხზ., ტ. I, 1926 წ., გვ. 5—6. აქ და კველგან ეს: გამოცემაა მითითებული.

მწერალი ცოცხლად გვიშლის გლეხკაცთა ანალოგიურ გაჭირვებულ ცხოვრებას, როცა მაიას წამლისა და რჩევა-დარიგების საძებნელად თავის უბანში გაატარებს. ბევრი შეწუხებული საუბრისა და რჩევის შემდეგ მაია ძლივ-ძლივობით იშოვის ერთ კვნიწს შაბს და წამოიღებს შვილის საწამლებლად. ამასობაში კი სანდალას ჭირი, მიწაზე უსახურავოდ გდებით, უფრო და უფრო უძნელდება, ტანში უფრო უჯდება.

რა ქნას! მაია უღონობისა და ხელმოკლეობის გამო იძულებული გახდა წამლისათვის თვითონ წასულიყო და „კვდარი კაცისათვის“ თავი დაენებებინა.

მაიამ მოტანის უმალ მოამზადა შაბწყალი და ალერსით მიმართა თავის შვილს—საჩლში შესულიყო წამლის მისაღებად. „ააყენებს და კრუსუნით შეიყვანს. დარბაზში აგია ჭილობის ნაგლეჯი, იმაზე გადაფენილია გაცვეთილი ფარდაგი, მაიას მზითვისა. სახურავად მოუტანა საბანი, ისეთი ჭუჭყიანი და გაჭვარტლიანებული, რომ კაცი ვერ მიხვდებოდა პირველში რა ფერისა უნდა ყოფილიყო... მაია თვით მოუდგამს ხის მუთაქას-სასთუმალს, ზედ ჩოხას გადააფარებს“.

ცოცხალი სურათია ხალხის ცხოვრებიდან ამოღებული და ნამდვილი ფერადებით გადმოტანილი მხატვრულ ტილოზე! რამდენი გაჭირვება, რამდენი მოულოდნელი და მოსალოდნელი უბედურება აქვს გლეხს თავს დატეხილი! მაგრამ მას ხშირად უბედურებით გამოწვეული მწარე ფიქრი ჩააქინდრინებს თავს და უმალ ახალი უბედურება და გაჭირვება ხელში სახრეს, ან ბარ-თოხს ააღებინებს და მუშაობაზე დააყენებს, როგორც „ყოველი მხრიდან“ დაბეჩავებულს სანდალას ძმას სოლომანას.

ასეა! გლეხკაცი თავაუღებლივ, ხშირად ანგარიშმიუცემლადაც კი პირუტყვსავით დაჰყურებდა მიწას, რადგანაც „ზეცა წაართვეს ძალით“ და გულში მუდამქამს იკლავდა „კაცური გრძნობის დუღილს“.

უილაჯო გლეხისათვის გაჭირვების ტალკვესია ღმერთი და ცრუმორწმუნეობა, რომლებიც განსაკუთრებით უწყობს ხელს მისი ძალ-ღონისა და ოჯახის დაკნინებას, ხშირად განადგურებას. ამ გარემოებას ჩვეულებრივ ამჟღავნებენ ხალხოსანი მწერლები, როგორც პოეტური შემოქმედების საშუალებით, ისე პუბლიცისტური წერილებით. ამ მავნებელი მოვლენის შესახებ არა ერთი მახვილი წერილი დაიწერა ჟურნალ „იმედში“. ცნობილია ნიკო ლომოური თავის „ალით“, „ქაჯანათი“. ამასვე დიდ ყურადღებას აქცევს სოფ. მგალობლიშვილის მხატვრული აპერცეფცია.

ბეჩავ მაიას ვერ უპოვნია მიზეზი, თუ რამ მიიყვანა სიკვდილის პირს მისი ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე სანდალა. აზრდაბნეული, იმედდაკარგული მაია, რადგანაც სოფლური საშუალებანი ვერასა შეელოდნენ, თავზე მოულოდნელად დატეხილი უბედურების მიზეზს უღონო სასოებით ეძებს. მაია გადაწყვეტს, რომ იმისი შვილი უთუოდ და

უთუოდ რომელიმე ხატის—წმინდანის მიზეზით არის ავად, რომ გაიგოს, რომელმა ხატმა დაჰმიზეზა მის სანდალას, როგორც სხვა მისი მეზობლები, მაია მკითხავს გამონახავს. მკითხავი მათთვის უკანასკნელი მისამართი ღონისძიებაა. მკითხავის მოგონებაზე მაიას სახე გაუბრწყინდა, დარდები გადაეყარა.

მაიამ მოინდომა ჯერ შინაური მკითხავით, ფთილების ჩამომსხმელით გასულიყო იოლად. მაგრამ ფთილების ჩამოსხმამ მაიას უბედურებას ვერაფერი უშველა. სანდალას მდგომარეობა თანდათან უფრო გაუარესდა. მაია ხედავს დაუძლეველი უბედურების საფრთხეს, გრძნობს უსახსრობას, უძლურებას. მეზობლების რჩევასაც არაფერი სიკეთე არ მოაქვს. მაიასათვის, როგორც ამგვარ მდგომარეობაში სხვა მის მეზობლებისათვისაც, ერთი გზაა — მკითხავს უნდა მიმართოს.

მეზობელმა ფეფელამ მაიას ზერტელ მკითხავთან მიასწავლა. მაიას მთელი არსება მკითხავისაკენ, როგორც ერთადერთ მხსნელისაკენ, იწევს. მაგრამ არ იცის, როგორ მოახერხოს: არც ურემი აქვს და აღარც გამყოლი ჰყავს. უფროს შვილსაც ვერ მოაცდენს, ზაფხულის დღეა, ჭირნახული კარზე აქვს მომდგარი, მას პატრონობა უნდა.

მაია გავა სოფელში. მალე იშოვის მკითხავთან თანამგზავრად თავისავით უბედურს დარეჯანს. რის ვაი-ვაგლახით ისესხებენ ისინი მკითხავისათვის ფულს და გაემგზავრებიან. „ვაი, ჩემი ბრალი, ამოიკვნესებს მაია, სახლში რომ დაბრუნდება. — სიყრმით დაბადებიდანვე კი ვერა გავიხარე რა და! ჩემი დღენი, მე უბედური დღისამა, წვა და დაგვაში გავატარე. რა ვარსკვლავზე ვარ დაბადებული?“[4]

ეს კვნესა ხომ ჩვეულებრივი კვნესაა გლეხის დედაკაცისა, რომლის თავზე, წისქვილის ბორბლის გარდა, თითქმის სუყველაფერი დატრიალებულა!

უილაჯო მაია—„უღირსს შვილს“, მომაკვდავ სანდალას, უპატრონოდ დატოვებს. წავა მკითხავთან, ბევრ ტანჯვასა და ვაი-ვაგლახს გამოივლის გზაში. გაჭირვებით ნასესხებ ფულს მკითხავს მისცემს, თვითონ და საქონელიც მოცდება, ხოლო მისი შვილი სანდალა საშინელ ტანჯვაში, მოუვლელი (წყლის მიმწოდებელი, ხმის გამცემიც კი არა ჰყავს), სანამდის დედა დაბრუნდება, გარდაიცვლება. ასეთია მავნე მნიშვნელობა მკითხავისა ჩვენი ხალხის ისედაც შავდღიან ცხოვრებაში. და ხალხოსნებიც, კერძოდ სოფ. მგალობლიშვილიც, ამიტომ ასე მედგრად იბრძოდნენ ხალხის ამ მავნე ტრადიციის მოსასპობად.

ამგვარად მძიმეა ღარიბი გლეხის ცხოვრების პირობები სოფელში, რომელსაც ხალხოსნები ასეთი თავგამოდებით ჩაჰკირკიტებენ და რომლის უტყუარ-ცოცხალ სურათს გვაძლევენ თავიანთ შემოქმედებაში.

---

[4] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, დედა მაია, თხზ., ტ. I, გვ. 26.

განა ასეთივე ჯოჯოხეთი არ არის დემეტრესა და მისი ოჯახის ცხოვრება („დემეტრეს სახლობა“)? განა ასეთმა აუტანელმა სიღარიბემ არ მოსტეხა და მოაბერა დემეტრე, უდროოდ არ დააჭკნო მისი „მშვენიერი ვაჟკაცური სახე“ და „ჩაუფერფლა თვალები“ მას? განა დამცირებულმა მდგომარეობამ არ შეაძრწუნა ჯაფისაგან მოღალული, ოჯახის გაუკუღმართებით სასოწარკვეთილებამდის მისული დემეტრეს ცოლი ნენე? განა დამცირებულის მდგომარეობამ არ მიიყვანა ყველაფერწართმეული ნენე კაცის კვლამდე?

დემეტრე გაჭირვებამ აიძულა ბავშვობიდანვე სოფელს მოსცილებოდა. უფროსმა ძმებმა 8—9 წლის ბიჭი წაიყვანეს ქ. გორში, მისცეს ხარაზს შეგირდად, რადგანაც სოფლის გაჭირვებული ცხოვრება გლეხს ბედს აწყევლინებდა. დემეტრე ხარაზს სახლშიც ემსახურებოდა და დუქანშიც. დემეტრეს სახით სოფ. მგალობლიშვილი ნიჭიერად გვიხატავს სოფლის ცხოვრებას გაქცეული, ახალი ცხოვრების მაძიებელი გლეხის ბიჭის ხვედრს, კაპიტალიზირებული ქალაქის მძიმე პირობებში მოხვედრილს და მისგან გაჭეჭყილს, ასეთი იყო ხომ საერთოდ ხალხსნების შეხედულება! „ამ დღეს (დემეტრე — მ. ზ.),— აგვიწერს სოფ. მგალობლიშვილი, — კბილით ჯღანს ეწეოდა და ფინაჩობდა; ორი წელიწადი იყო გორში აღასთან, პატარა დემეტრეს სულ ცეცხლის ალში ატარებდნენ; მუდამ დაგლეჯილ-დაფლეთილი დადიოდა, საცოდავს ვირივით ამუშავებდნენ და ვირივითვე სცემდნენ, მაგრამ თავმოყვარეობის ნიშნად ვირიც ტლინკებს გაისვრის ხოლმე: ერთხელ აღამ ჩვეულებრივზე გარდამეტებით გაამათრახა ჩვენი დემეტრე; იმანაც დაჰკრა ფეხი, შემოდგომაზე ხილის ურმებს გაჰყვა და ტფილისის ქალაქში თავი ამოჰყო კი“.

„ტფილისში დემეტრე ჯერ ხელზე მოსამსახურეობდა, ბოლოს ქალაქის ბიჭებში გაეჩვია და გაკინტოვდა, გაიმართა კარგი ლაზათიანი თაბახი და ქუჩა-ქუჩა დაარბენინებდა სხვადასხვა ხილსა, ყველსა, თევზეულსა, მწვანილსა. რასაც კვირიდან კვირამდე იშოვნიდა, კვირა დღეს ძმა-ბიჭებ-კინტოებთან შეჭამდა ხოლმე ვერისა და ორთაჭალის ბაღებში. კინტო ბიჭებს ძლიერ უყვარდათ. ოუ დემეტრეს იმათთვის არა შურდა რა, არც რას ისინი იშურებდნენ. დემეტრე ძმა-ბიჭებისათვის ანთებულს საკირეში გადავარდებოდა“[5].

მაგრამ დემეტრეს მოსწყინდა ასე სიარული თბილისში. გაიღვიძა მასში სოფლისადმი მიზიდულობამ და ერთ დილას დემეტრე ქალაქური კინტოური ტანისამოსით მორთულ-მოკაზმული გაჩნდა სოფელში. მაგრამ დემეტრე სოფელს, სოფლის მუშაობას უკვე გადაჩვეული იყო. სოფელში დემეტრე ნაბატონარებთან იყო, მათ ემსახურებოდა და

---

[5] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, დემეტრეს სახლობა, თხზ., ტ. II, გვ. 4—5.

იქით-აქეთ დასდევდა, ამანაც არ დააკმაყოფილა დემეტრე. ბოლოს შეირთო მეზობლის ქალი ნენე.

ცოლის შერთვის შემდეგ დემეტრეს წინაშე უფრო მძიმედ დაისვა ცხოვრების საკითხი. დემეტრემ გადაწყვიტა ისევ ქალაქ ადგილისათვის მიეტანებინა. ასეც მოიქცა. დაიჭირა ერთი უხეირო ფიცრის ოთახი და ფინაჩობა დაიწყო. თანდათან ხარაზობაში გაიმართა. მალე გაითქვა აქაც კაი კაცობის სახელი. მაგრამ, როგორც მწერალიც განმარტავს. „ფინაჩობით რას გახდებოდა! მოისურვა შეეშატებინა ცოტა რამ შეშუტი დუქნისათვის, მაგრამ იმდენი ღონეც არ ჰქონდა. როგორც იყო, იშოვნა ვალად ყაზარა მიკირტუმოვისაგან ხუთი თუმანი ფული, მაგრამ რაც მოიმატა, ისიც სულ ყაზარას სარგებელსა და „ნეუსტოიკებს“ უნდებოდა. ჩაიფლო ლაფში და ვეღარ ამოვიდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მხნეობას უმატა. ძველებურს კოხტაობასა და ქეიფს თავი დაანება. ცოლიც ძალიან მხნე და გამრჯელი გამოდგა... ნენე ორს დიდს უბანს ქალაქისას უცხობდა პურსა და ურეცხავდა სარეცხს. ხელი და პირი აღარ ემჩნეოდა საწყალს ჯაფისაგან. ქმარზე მეტი იმას შემოქონდა სახლში. ქმარი ბინდისას მოდიოდა შინ, ცოლი კი კარგა დახშირბინდებისას“[6].

მაგრამ ვერ იქნა, საშინელ სიღარიბეს ვერა და ვერ ამოუვიდნენ. ჩარჩმა ყაზარამ მაინც არ გაახარა დემეტრე და მისი სახლობა. ის წურბელასავით ჩაეჭიდა და დაუნდობლად სრუტავდა მათ მაცოცხლებელ ძალას.

რეალურ ფერებშია მოცემული ჩარჩი ყაზარას მორალური განურჩევლობა, სიმდაბლე. ის ფულის გულისათვის არავის ინდობს. კაპიკისათვის ის ყველასა და ყველაფერს ადვილად გაჰყიდის, თავის თავმოყვარეობასაც ადვილად გაათელვინებს.

ასეთივე დამახასიათებელ (ხალხოსნისათვის) ფერებშია მოცემული სოფლის შვილების—დემეტრესა და ნენეს შეურყვნელი ბუნება. ისინი ვერც აზღვავებულმა ტალახის გუბემ და ვერც აუტანელმა სიღარიბემ უსინდისო გზაზე ვერ დააყენა.

მაგრამ ამ პირობებში ჩარჩი ძლიერია. ძალა-უფლება, კანონი მის მხარეზეა და დემეტრეს დაჩაგვრა-დარბევაში ყაზარაც გამარჯვებულია.

„ხვალ ჩვენი სულთამხუთავი მოვა, — ეუბნება ცხოვრების გამოუვალ ჩიხში მყოფი დემეტრე ჭირ-ვარამში მყოფ თავის ცოლს, — ამ საღამოს იყო დუქანში ყაზარა და ქამარი მთხოვა, ორ თუმნად ავიღებ, დანარჩენს დაგაცლიო; მე გავბოროტდი, სისხლი ამიდუღდა, კარგა გავტყიპე და ისე გავისტუმრე თავის ანგელოზით; ეს მაინც გამყვეს სიკვდილის დროს სანუგეშებლად.

---

[6] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, დემეტრეს სახლობა, თხზ., ტ. II, გვ. 7.

ნენემ წელი ვეღარ აიტანა.

— მაშ რა ვქნათ? — ჩაეკითხა საცოდავად ცოლი.

— მაშ რა ვქნათ? რას შვრება ცხვარი, ყასაბი რომ ყელში დანას დაატერს ხოლმე, — უთხრა ცხოვრებისაგან გამოცდილმა და გათელილმა ქმარმა.

— მაშ უნდა დაგვარჩოს, სულებიც ამოგვართვას?

— უნდა მეთქი, ადამიანო, მა რითი იხსნი თავს ყაზარასაგან?"[7]

ჩარჩმა ყაზარამ, ადრინდელმა „ქეციანმა ყაზუამ", აწინდელმა „ყაზარ სტეფანიჩმა" შეუწუხა სული დემეტრეს. ყაზარასაგან შევიწროებამ, გაჭირვებამ, შიმშილმა და სიცივემ დააბერა და მოუსპო სიცოცხლე დემეტრეს. „ამ ამბის შემდეგ, — თანაგრძნობით გადმოგვცემს ავტორი, — დემეტრემ დიდხანს ვეღარ იცოცხლა".

ყაზარამ მოინდომა დემეტრეს დაბეჩავებული, სუსტი სახლობის ანგარიშზე თავისი სიამოვნებისა და ლხენის იაფად შოვნა. ამიტომ მოინდომებს დემეტრეს ოხრად დარჩენილი ოჯახის გამოყენებას პირადი მდაბალი გრძნობის დაკმაყოფილების მიზნით.

მძიმეა დემეტრეს ქვრივის ნენეს მდგომარეობა! რა ქნას, შვილები უპატრონოდ ეღუპება! ქმარი თითქმის დაუმარხავი ჰყავდა! ვალი ჯერ არა ჰქონდა მოხდილი. სწორედ ამ დროს ყაზარაც შეუჩნდა. სთხოვს, ან ვალი გადაიხადოს, ან გადავიდეს მასთან მოჯამაგირედ.

რა ქნას ბედშავმა ნენემ! მას სხვა გამოსავალი არა აქვს. იძულებულია ვაჟიშვილი ილო შეგირდად მისცეს ხელობაზე, გოგო მასთან იქნებოდა და იქნება როგორმე გაეტარებინა ცხოვრება, ქმრისა და შვილების წინაშე ვალი შეესრულებინა, შვილები დაღუპვას გადაერჩინა.

ყაზარა დაიყოლიებს გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ უპატრონოს, შვილებისადმი მოვალეობით დამძიმებულ ნენეს. აი როგორ გულშემზარავად გადაუხსნის ნენე თავის სულიერ წყლულებს მოსამართლეს: „ჩემის მარჯვენით გამომიყვანია და გამიზრდია შვილები, ბევრჯელ დაწყლულებულის ხელებით მირეცხნია სარეცხი; ბევრჯელ სიცხიანი ჩავკიდებულვარ თონეში და ისე კვნესა ოხვრით გამომიცხვია პური; იქამდის გამიჭირდა, რომ შვილები დათხოულობდნენ, კინაღამ გამიავაზაკდნენ. ვიფიქრე, ჩემს თავს შევწირამ, ბტლად დავედები შვილებსა და დავიხსნი შიმშილისაგან მეთქი. ასეც ჩავიდინე, დავდექი ყაზარასთან იმისი ვალის გადასაწყვეტად"[8].

ყაზარა არ დაკმაყოფილდა ნენეს ნამუსის შერცხვენით. მოინდომა

---

[7] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, დემეტრეს სახლობა, თხზ., ტ. II, გვ. 14.
[8] ი ქ ვ ე, გვ. 87.

ნენეს ქალის პატარა თინას ნამუსის ახდაც. ნენემ ეს ვეღარ აიტანა და ცულით მოჰკვეთა ყაზარას თავი, „შვილი გადაარჩინა“.

„დემეტრეს სახლობაში“, როგორც „გმირისეულის ქალში“, სოფ. მგალობლიშვილის მიერ მკვეთრადაა გამომჟღავნებული უარყოფითი შეხედულება ქალაქზე, როგორც კაპიტალიზმის განვითარების შედეგზე. ისევ სოფელი! იქ უფრო სიფაქიზეა, იქ უფროა მთლიანი, საღი ადამიანი — გმირისეულის ქალი სალომე, ნენე. დემეტრეც.

ამგვარ დამოკიდებულებას სოფ. მგალობლიშვილი „გმირისეულის ქალში“ ასე გამოხატავს: „ახლა კი დარწმუნდა სალომე, რომ აქაც, ამ დიდ ქალაქში, რომელიც მას სიმდიდრის ბუდედ მიაჩნდა, სადაც მას ყველანი ერთობრივ კმაყოფილნი ეგონა, სადაც ყველა ბედნიერი უნდა ყოფილიყო, ამ ქალაქშიაც მრავლად ყოფილან გაჭირვებისა და მწუხარების შვილნი; დარწმუნდა, რომ აქ უფრო ბლომა ხარკს ჰკრებავს სიღარიბე, რომ კაცს აბიწიერებს, სულს უფუჭებს, ნამუსს ართმევს; დარწმუნდა, რომ სოფლად ეს ხარკი სიღარიბისა აგრე რიგად არა ხვდება ხალხს. იქ მისი სული შეუმწიკვლელია და შეუბღალველი. ხოლო იქამდინ ვეღარ ჩავიდა მისი გონება, რომ განესაზღვრა: რა იყო მიზეზი, რომ სიღარიბე აქ, ქალაქში, ხშირად აბიწიერებდა დაბალს, მუშა მოწაღმართე ხალხსა და იქ, სოფლად კი, იგი ამ მხრივ ხელშეუხებელი, წმინდა იყო... სალომემ აქ პირველად შეიტყო, რა საზარელი შედეგი მოსდევს სიღარიბეს, რა უმწვერვალეს წერტილამდე მიჰყავს კაცი, რა ბიწიერების უფსკრულში აგდებს... იგი მზად იყო ყოველს წამს, რომ მტერს ამაყად და გულმაგრად დაჰხვედრიყო და მის სულს ბიწიერების ხელი არ შეჰხებიყო. რამდენჯერმე გამოსცადა იგი უწყალო ბედმა, მაგრამ იგი ხალასად და ძლეულად გამოვიდა: სალომე მაგარი იყო როგორც რვალი და მისი დამორჩილება მაცდურმა ვერ შეიძლო“[9].

ასეთი შეხედულება ქალაქზე, კაპიტალიზმით ფერცვლილ ცხოვრებაზე დამახასიათებელი იყო რუსი ხალხოსნებისათვის და ჩვენმა ხალხოსნებმაც შიგადაშიგ ამ მიმართულებას თავისი ხარკი მისცეს (სოფ. მგალობლიშვილი და სხვები).

სოფლის ყოფის ერთგვარი იდეალიზაციის ელფერი ატყვია სოფ. მგალობლიშვილის მოგონებებს — „წარსულიდან“. ეს უკანასკნელი მემუარული ჟანრის ნაწარმოებია, მაგრამ ამ თხზულებაში მხატვარი იმდენად მჟღავნდება, რომ ეს უფრო მოთხრობაა, — ბელეტრისტიკა, ვიდრე მემუარი, თუმცა, ცხადია, ავტორი აგვიწერს გარკვეულ კონკრეტულ მოგონება-ფაქტებს. ეს ნაწარმოები დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ 1898—1899 წწ.

---

[9] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, გმირისეულის ქალი, თხზ., ტ. I, გვ. 190—191.

მოგონებას, დღიურს, როგორც ჟანრს, ხალხოსნები იყენებდნენ არა როგორც საშუალებას, უბრალო მოგონებას ადამიანისა, რომელიც ცხოვრებიდან გასულა, ისვენებს და წარსულითღა ცხოვრობს, არამედ, როგორც საშუალებას თავის მისწრაფებათა გატანისა ფართო მკითხველ მასებში, როგორც ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას კონკრეტული ფაქტიური მასალის გამოყენებით.

სწორედ ასეთივე მიზეზებითა აქვს ეს ჟანრი გამოყენებული სოფ. მგალობლიშვილსაც.

მოგონებაში „წარსულიდან" ნათლად მოჩანს ავტორის სიმპათიები სოფლისა და მისი წარსულისადმი: სოფლის ძველი ჩვეულება, ძველი ხალხი, მართალი, პირდაპირი, ზნეობრივი, ერთიერთმანეთის დამხმარე, მაგ., მგელბაბია, ედიშერ გეგელაშვილი, ეფროსინე, ედიშერის რძალი, სამართლიანი და ავტორიტეტიანი მოსამართლენი სოფლისა — იოსებ ლაშხი, იოკიმიანთ სოლომონა — აი ვის დაეძებს ხარბად სოფ. მგალობლიშვილის მხატვრული აპერცეპცია, მისი პოეტური მუზა.

ამასთან ერთად სოფ. მგალობლიშვილი პრივილეგიურ კლასში ორგვარი მემამულის ხასიათს გვაძლევს. ერთი ნაკლები შეძლებისა, რომელიც იძულებული იყო თავისი შრომით ეცხოვრა: ედიშერ გეგელაშვილი, მისი რძალი ეფროსინე, მისი ძმისწული ვახტანგი. ესენი ხალხთან ახლოს არიან. მათ ჭირსა და ლხინს იზიარებენ. გლეხებთან ერთად ებრძვიან ზნედაცემულ ბერძენ მოურავს და მის დამქაშ გლეხ გიგოლას. ყოველთვის გონიერსა და სასარგებლო დარიგებას აძლევენ გლეხობას, ამიტომ ამათ გარშემო შემოკრებილი არიან გლეხთა რჩეული კაცები.

სულ სხვაა „კნიაზ" რევაზ მორთულაძე, არაფრის გამკეთებელი, სოფლის ხორცმეტი, სოფლის ქალ-რძლების მუსუსი, რომელიც არაფერს და არავის ერიდებოდა თავისი მდაბალი გრძნობების განსახორციელებლად. „კნიაზ" რევაზმა („წარსულიდან") მოინდომა ბაციკაძიანთ რძლის ნინოს, განთქმული ვაჟკაცი გლეხის მგელბაბიას ქალის, ხელში ჩაგდება. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭებმა რევაზი გააფრთხილეს, რომ ამ სურვილის შესრულება მას იაფად არ დაუჯდებოდა, „გაქსუებულმა რეზიკომ მაინც გულიდან ვერ ამოიღო თავისი განძრახვა; მუდამ თვალებში ელანდებოდა ნინოს მშვენიერი სახე, გაგიჟებული იყო მისთვის პირუტყვული ნდომით: ეჩქარებოდა მისი გულში ჩაკვრა, მასთან ხვევნა-კოცნა და მტლაშა-მტლუში. დარწმუნებულიც იყო, რომ თავის სურვილს შეასრულებდა ძალით, თუ ნებით არ დაჰყვებოდნენ მის მხეცურ სურვილს"[10]. ასეც მოხდა. მან შეკრიბა რამდენიმე თავისი დამქაში, მა-

---

[10] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, წარსულიდან, „მოამბე", 1899 წ., № 3, გვ. 116.

თი დახმარებით გაიტაცა მიუვალ ტყეში მგელბაბიას ქალი ნინო, როცა სახლში მამაკაცთაგანი არავინ იყო და მგელბაბიაც სანადიროდ იყო წასული. შემთხვევით იმავე ტყეში აღმოჩნდნენ მგელბაბია და ედიშერ გეგელაშვილი. ნინო „ნამუსის ახდას“ გადარჩა.

მაგრამ, როგორ გაექცეოდა ბეჩავი ქალი სოფელს? ვის დაარწმუნებდა „ცამდის მართალი“. ნინო, რომ ის ხელშეუხებელი იყო? დადნა, დაჩიავდა ნინო ამ უბედურების შემდეგ და მალე გარდაიცვალა.

მგელბაბიამ მოინდომა სისხლის აღება, ტყე-ველად გავარდა. შურისძიება უნდა. მაგრამ ვერ ახერხებს. ეძნელება. ბოროტმოქმედებისაგან მას ხან შვილის სულის დამძიმება აკავებს, ხან მღვდელი იროდიონის დარიგება, ხოლო ბოლოს რევაზის დედის შევედრება. მგელბაბიაც აღარ ჰკლავს თავისი ერთადერთი შვილის მკვლელს, სოფლის სინდისის შემლახველს „კნიაზ“ რეზიკოს.

მგელბაბიას ხასიათის ამგვარი გაშლა, ვფიქრობთ, ბუნებრივია სოფ. მგალობლიშვილისათვის, როგორც წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის მატარებელი მწერლისათვის, რომელშიც კლასობრივი წინააღმდეგობა სათანადოდ არ არის გამახვილებული და ხშირად მისი გაგება მოდუნებულია.

900-იან წლებამდის, პირველი პერიოდის მანძილზე, სოფ. მგალობლიშვილი გლეხის რევოლუციონურ განწყობილებას, ჩანს, ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებდა. სოფ. მგალობლიშვილი გლეხობაში ამჩნევს ერთგვარ დუღილს, მხოლოდ სტიქიური აჯანყების სურათს გვაძლევს და ისიც აქა-იქ („ღამის მეხრე ცეცო“).

მწერალი, როცა მგელბაბიას თავ. რეზოს შეახვედრებს, მის სულიერ განწყობილებას ასე გადმოგვცემს: „მას გულის ჭიდილი დაუწყო ორმა გრძნობამ: სისხლი სისხლით მოიბანოს, თუ დასთმოს... დედის შვილთან ალერსმა გააღვიძა მგელბაბიაშიც ნინოს სიყვარული, მოაგონდა მისი ალერსი, ლოყაზე ხელის ცაცუნი... ხომ ამათ მოაკლეს ესენი, ხომ ამათ მოგლიჯეს იგი გულიდან, ხომ ამათ დაამიწეს. მხეცურმა გულისწადილის ასრულებამ დასძლია გონებას, უარაყოფინა მოძღვრის დარიგება... აგერ გრიგალივით აიჭრა აივანზე და როგორც აჩრდილი მოევლინა რევაზ მორთულაძეს“...[11] და ის იყო უნდა სისრულეში მოეყვანა მგელბაბიას თავისი დიდი ხნის ზრახვა, რომ რევაზის დედის სიტყვებმა მგელბაბიას „გული აუვსო სიბრალულითა, მოაგონდა თვით დედა თავისი, მოაგონდა ის დედები, რომელნიც მამულს გმირებს უზრდიდნენ და რომლებზედაც არა ერთხელ გაუგონია მოძღვარი პლატონისაგან ბევრი რამ კარგი; წარმოიდგინა. რომ ბავშვის უმანკო სისხლი რად უნდა და-

---

[11] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, წარსულიდან, „მოამბე“, 1899 წ., № 3, გვ. 130.

ღვაროს, რად უნდა გამოასალმოს წუთისოფელს რევაზის ახალგაზრდა, ჯერ სიცოცხლით გაუმაძღარი, ცოლი“ და დამშვიდებული მგელბაბია ასე მიმართავს რევაზს: „დედიშენის ძუძუებისათვის მიპატიებია!... მე ვიცი. მე გამოვცადე, რა მწარეა შვილის სიკვდილი!.. მე აღარ მსურს გავხდე დედიშენის საუკუნო ტანჯვის მიზეზი... და გაშორდა... რევაზს აუვარდა ბავშვივით ტირილი და დიდხანს ვეღარ მოიბრუნა გული“[12].

ასეთი განწყობილება, რა თქმა უნდა, მგელბაბიასათვის არაბუნებრივია. არც რევაზისათვისაა ბუნებრივი ასეთი ცოდვის მონანიება, „ბავშვსავით ტირილი“. ვფიქრობთ, ეს არ არის ნამდვილი შტრიხები რევოლუციონურად განწყობილი მწერლისათვის. აქ მკაფიოდაა გამომჟღავნებული ორმაგი ბუნება ხალხოსნისა, რომელიც ვერ ამახვილებს კლასობრივ წინააღმდეგობას, საბოლოოდ ვერ გაუწყვეტია კავშირი ძველთან; ძველისადმი დამოკიდებულებაში სოფ. მგალობლიშვილი. როგორც ხალხოსანი, ერთგვარ გაურკვევლობას იჩენს. თუმცა ამასთან ერთად ძველის ნგრევასაც, ახალი ცხოვრებისაკენ გზის გაკაფვასაც ლამობს და მის დახატვას ახერხებს კიდეც.

ასეთივე ნიუანსებით ხასიათდება სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობა „ცვრევაზე“, რომელშიც ძველი, მრავალრიცხოვანი, საქმიან-სარისტიანი ოჯახია დახატული. გაბრიელ ღარიბაშვილის პატრიარქალურ ოჯახში ყველა კმაყოფილია, ყველა ხალისიანად მშრომელია, ყველა ბედნიერია. ოჯახი დუღს და გადმოდის. ავტორიც, როგორც ნიკო ლომოურიც („ბერუა ქრისტესიაშვილი“), ამ ოჯახისადმი სიმპათიებითაა განწყობილი.

ასეთივე ორმაგ ბუნებოვანია სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობა „დიდ ზალაში“. — „მშვიდი“, დაფიქრებული ზიზო ამაყაძე, დიდი ფეოდალის ქალი, ვერ გარკვეულა თავის გრძნობებში, მას უყვარს ხელმოკლე აზნაური, — „ჭკვიანი, დაფიქრებული, განათლებული, შესაფერი ვასილ კავკასიძე“, მაგრამ ზიზოს მაინც ვერ ვადაუწყვეტია გათხოვება, რადგანაც მასში მაგრადა ზის გვარიშვილობის ამაყობა — აზნაურს როგორ უნდა მითხოვდეს დიდი გვარის ამაყაძის ქალი! მართალია, ზიზო საბოლოოდ პირდება ვასილს, რომ, თუ დედ-მამა ნებას არ მისცემს მასზე გათხოვებისას, მაშინ ის მზადაა ჩუმად დაიწეროს ჯვარი; „ერთი კიდევ ვცდი, — ეუბნება ზიზო ვასილს, — პირს ვუკითხავ (მშობლებს — მ. ზ.) და მერე დაუკითხავად წავიდეთ საყდარში საქორწინოდ“[13]. მაგრამ მწერალი აქვე უშვებს ფარდას, ვერ ახერხებს თითქოს ამ დაბრკოლების გადალახვას.

---

[12] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, წარსულიდან, „მოამბე“, 1899 წ., № 3, გვ. 131—132.

[13] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, დიდ ზალაში, გვ. 10.

სამაგიეროდ სოფ. მგალობლიშვილი ამავე ნაწარმოებში საკმარისად ნათელ ფერებში იძლევა ქართველი პრივილეგიური კლასის დაძაბუნება-გადაგვარებას ახალ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში. კაპიტალიზმის თანდათანობითი გაბატონებით დაირღვა ძველი საქართველო, ძველმა ფეოდალურმა კლასმა დაკარგა თავისი ძალა, როლი, ადვილად მოიღუნა, დაიცალა შინაარსიდან, ყველაფერი უცხო მას ადვილად იტაცებს. დაიწყო „რუსობია". თავადის ცოლებსა და ქალებს არაფერი აღარ მოსწონთ თავიანთი, არც ჩვეულება, არც ენა, არც „ჯავალრები". ყველაფერი უცხო მათ თავდავიწყებამდე იტაცებს. ასეთი განწყობილება პათოლოგიურ მდგომარეობამდე მიდის. ლამაზი, მიმზიდველი კნეინა ანეტაც გადარეულია ქერა ოფიცრით პახომ პახომოვიჩით. კნეინა ანეტა ეკზალტაციაში მოჰყავს პახომის ყველაფერს — შეხედულებასაც, ეპოლეტებსაც, ქერა თმა-წვერ-ულვაშსაც, სახელსაც კი! პახომ, მწერლის ჩვენებით, მას გაცილებით ლამაზად, კეთილხმოვანად ეჩვენება, ვიდრე ქართული სახელები—არჩილი, ლუარსაბი, ვახტანგი, ერეკლე, ელიზბარი. „ეჰ, ნეტა მე ქართველი არ ვიყო, — მწარე ტკივილით ეუბნება პახომს, მისდამი ვნებიანობის ეშხით დამთვრალი კნეინა ანეტა, — უფრო შემიყვარებდი... ეჰ, რუსულიც არის მაინც ვიცოდე კარგად, რომ გეჭუკ-ჭუკო, ქართულად არ მეხერხება ალერსი. აი ეხლა ქართულად რომ იტყვი „სულიკო"! არ ვარგა. დამაზიზღებს ხოლმე, „Душка" კი სიამოვნების ჟრუანტელს მომგვრის ხოლმე".

უდავოდ, მშვენიერ, რეალურ ფორმებშია მოცემული გადაგვარებული სახე ადამიანისა, რომელიც ადვილად გაჰყვა ახალი ცხოვრების ფუფუნებას, დაკარგა ნიადაგი და თავშეუკავებლივ გადავარდა ვნებიანობის ქაოსში. კნ. ანეტა თავისი განცდებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში დამახასიათებელი მოვლენა რომ იყო ჩვენი ცხოვრებისათვის, ჩანს იქიდან, რომ სოფ. მგალობლიშვილის შემდეგ ამ საკითხს შეეხო და მკვეთრად ასახა შიო არაგვისპირელმაც თავის ნოველაში „ჩემი სამშობლო — ჩემი გულია".

ეროვნული საკითხი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ხალხოსნებისათვისაც დამახასიათებელია. თუმცა ხალხოსნები, როგორც თავის ადგილზედ გვქონდა აღნიშნული, ამ საკითხის გაგება-გაშლაში არსებითად განსხვავდებიან თერგდალეულებისაგან. ხალხოსნები თერგდალეულებსავით ეროვნულ საკითხს ძირითად საკითხად არა თვლიან. ხალხოსნების შეხედულებით, ჯერ ეკონომიური საკითხების მოწესრიგება იყო მთავარი და შემდეგ ეროვნული, მაგრამ ეროვნული მეობის შენახვას ისინიც იცავდნენ, ეროვნულ-რევოლუციონურ-გამათავისუფლებელ ფრონტს ისინიც ამტკიცებდნენ.

გარდა მოთხრობისა „დიდ ზაღლაში", ეროვნულ საკითხს სოფ. მგა-

ლობლიშვილი საკმარისი სიმკვეთრით ავითარებს მოთხრობაში „წითელი სარჩული“. იქ იუდა თადეოზის ძე ღეჭიაშვილის სახით სოფ. მგალობლიშვილს გამოყვანილი ჰყავს გადაგვარების გზაზე დამდგარი ინტელიგენტი, რომელიც ჩინისა და მთავრობისაგან პატივის დამსახურებისათვის ყველასა და ყველაფერს ადვილად ჰყიდდა. „უბრალო კაცი არ გეგონოთ ბ. ღეჭიაშვილი, — გესლიანად ახასიათებს ავტორი, — ჯერ ერთი ისა, რომ ტახტის აზნაურია; თუმცა ჯერ შეუწყნარებელი აზნაურია, მაგრამ მაინც აზნაურია; მეორე დიპლომიანია“.

ღეჭიაშვილი თავისი მოღვაწეობის credo-ს ასე განუმარტავს თავის ცოლს, როცა უკანასკნელი ეჭვს გამოთქვამს ქმრის სურვილზე (რომ ის სამ კურდღელს დაიჭერს ერთად) და აღელვებული ასე მიმართავს: „თუ ნამუსსა და სინდისზე ხელი აიღო (კაცმა — მ. ზ.), იქნება მეტიც დაიჭიროს, მაგრამ ნამუსი და სინდისი?“...

„— ნამუსი, სინდისი?.. ჰმ.. ნამუსსა და სინდისს ისეთ სქელ ფარდას ჩამოვაფარებ, რომ თვალითაც ვერავინ დაინახოს... ერთის მხრით, ჩემს ხალხს ვასიამოვნებ, მასთან სახელს გავიკეთებ... უკვე ჩავყარე მისი საძირკველი ხალხის გულში... ღმერთმა მომცა გონება, ჭკუა და გარეგნობა, ყველა ეს სწავლით შევაზავე... მეორის მხრივ, ჩემს მთავრობას ფეხქვეშ გავერთხობი, მის წინ დავდნებ-დავხორავიჭდები, თავს ანგელოზად მოვაჩვენებ. თუ ასე არ მოიქცევი, წინ არ წაგწევენ და დერეფანში გდებით და ხოხვით სულს ამოგართმევენ. მესამე მხრივ, არაფერს და არავის არ დავზოგავ, ყველას ცეცხლ-ნავთში გავატარებ, ვინც კი ჩემს სურვილებს გადაეღობება... აი, დღეს მე პატარა ჩინოსანი ვარ, ხვალ დიდი კაცი შეეიქმნები“...[14]

ღეჭიაშვილის გაგება-განმარტებით კაცი ნამუსსა და სინდისს რომ მიჰყვეს, შიმშილით სული ამოძვრება. ამიტომ მან ამნაირი სინდისი მოდრიკა, წელში მოკაკვა და ახლა მას ასე ალაპარაკებს: „ხალხს თვალები აუბი, თვალში ნაცარი ჩააყარე, უფროსების წინ მოიკაკვე, ხელფეხი გაულოკე, იმის წინ ქვემძრომივით იხოხე“[15].

ასეც იქცევა მაღალი ღირსებისა და სხვათა წინაშე ღეჭიაშვილი თავისი პირადი კეთილყოფის მოსაპოვებლად. „თავის სამშობლოს სალაროში ხელუკუღმა ცოტაოდენი წვლილი შეჰქონდა. ამით მეგობრებს თვალებში მტვერი შეაყარა, თვალები აუბნია და შეძლება აღარ მისცა კბილები გაესინჯათ იმ მოღალატისათვის, რომელსაც ის გულში ზრდიდა სამშობლოს საგმობლად. ამიტომ ღეჭიაშვილს თვალის ასაბმელად მაგიდაზე გადაშლილი ჰქონდა სხვადასხვა ქართული წიგნები, წითელ-ყვითელი კარანდაშებით აჭრელებული და ჩამოხაზულები“[16].

---

[14] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, წითელი სარჩული, გვ. 46.
[15] ი ქ ვ ე, გვ. 48.
[16] ● ქ ვ ე, გვ. 53.

სოფ. მგალობლიშვილის დახატვით, ღეჭიაშვილმა თუმცა „წინ წასწია ჩვენი ისტორიის საქმე, ისტორიის ეკლიანი გზა გაკვალა და გაუადვილა თავის მოძმეს შემდგომ „სავალი გზა“, მაგრამ ეს მოქალაქე-მწერლისათვის არ არის საკმარისი, ნამდვილი გზა. მწერლის გაგებით, ერთია ისტორიკოსობა, მეორეა კაცური კაცობა, მათ შუა დიდი ზღვარი დევს. პალოს პირით სოფ. მგალობლიშვილი ასე მიმართავს ღეჭიაშვილებს: „რად მინდა შენი ისტორიკოსობა, თუ დღევანდელს დღეს პირნათლად არ ემსახურები, თუ შენ ახალ თაობას ჩაჰკლავ, ენას მოჰკლავ, ენას მოჰგლეჯ და წმინდათა წმინდას შეუგინებ. შენ ეწამებენ, რომ მოღალატე ხარ სამშობლოსი“.

სოფ. მგალობლიშვილი ღეჭიაშვილში იძლევა ბიუროკრატიის მოხელეს, კარიერისტს, გადაგვარებულს, რომელიც მლიქვნელობით თავის პირად საქმეს აკეთებს, ხარობს და ხელს უწყობს ქართველი საზოგადოებრიობის გადაშენებას.

უფროსების გულის მოგების მიზნით, მათ, ვოროტილოვს[17] აი როგორ ინფორმაციას აძლევს ღეჭიაშვილი, რომელიც როცა დიდ მოხელეს უახლოვდება, ღეჭოვად იწოდება. „ქართველების ტვინი, — პირფერობით ეუბნება ღეჭოვი ვოროტილოვს, — უკვე გადარუსებულია აწინდელი სწავლა-აღზრდის სისტემის წყალობით. Мозг грузина перестал мыслить по грузински (უნდა მოგახსენოთ, ამბობს ავტორი, რომ იუდა და იროდიონი რუსულად ბაასობდნენ). მე ნამდვილად ვიცი, რომ აწინდელი ქართული გაზეთის რედაქტორები, მისი უმთავრესი თანამშრომელნი რედაქციაში სულ რუსულად ლაპარაკობენ, რუსულად მსჯელობენ; დარწმუნებით ვიცი, რომ კრებებზედაც, შინაურ ცხოვრებაშიაც მაღლა მყვირალნი პატრიოტნი რუსულად ლაპარაკობენ. ერთის სიტყვით, იმათ ოჯახში რუსულია გამეფებული, და თუ ყვირიან ქართული, ქართული უნდა იყოს ჩვენს ოჯახში, კრებებზე, სასამართლოშიო, ამას პირსაფერისად ჰყვირიან, რომ ვითომ უკან არ ჩამორჩნენ თანამედროვე დრო-ჟამს... მე შენ დაგარწმუნებ, აი დღეს რომ გამოაცხადონ: აჰა, ქართულად იყოს ყველაფერიო, უწინ ის დიდი პატრიოტები ჩამოკიდებენ ცხვირსა: ვაიმე, რა გვეშველება, ქართული რომ არ გვეხერხება რა ვქნათ!..“[18]

ღეჭიაშვილის პირით ავტორი დიდი გულისტკივილით აღნიშნავს თავის გულისწყრომას.

დადგა რევოლუციის ხანა. ხალხთა განთავისუფლების სიომ დაბერა.

---

[17] იროდიონ პროხოროვიჩ ვოროტილოვის სახით სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი გვიხატავს ცნობილ რუსიფიკატორს, რუსი ხალხის კავშირის (Союз русского народа) დამაარსებელს, მღვდელს ვ ო ს ტ ო რ გ ო ვ ს.

[18] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, წითელი სარჩული, გვ. 75.

გამოღვიძებულმა ხალხმა გამოააშკარავა თავისი მოკეთეებიცა და მოღალატეებიც. მოკეთეებთან მჭიდროდ გადააბა თავისი გული და ზრახვა, ხოლო მოღალატეებთან მოინდომა ანგარიშის გასწორება: „პეტრე მოკლეს მოღალატეობისათვის, აპოლონს გულში ჰკრეს ტყვია; ნესტორს ყუმბარა ესროლეს... აგერ სისხლში სცურავენ...“ „ბ. ღეჭოვს, — აგვიწერს ავტორი, — სრულიად დაეკარგა სულის სიმშვიდე, ძვალსა და რბილში გაუჯდა ის აზრი, რომ ის დღეს გაბათილებული, თავგახეული თამასუქია, ხალხმა ანდერძი აუკო და უნდა გადმოსკუპდეს იმ სკამიდან, რომელზედაც ბიუროკრატიულმა რეჟიმმა შეასკუპა. ენანება, ენანება ეს გადმოსკუპება, გული ეთუთქება, მაგრამ ვეღარას ახერხებს. ათას სხვა აზრს აიკვიატებდა, უნდოდა გამოსდგომოდა, გართობილიყო, მაგრამ იალბუზის მთასავით მის წინ აიტუზებოდა უზარმაზარი დაფა, რომელზედაც წითელი შელნით ეწერა „ძირს მოღალატე“[19].

ვეღარ უძლებს ამოდენა სულის ღელვას ღეჭოვი. სინანული დაკარგული ბედნიერებისა, შიში აწმყოსი, სინდისის ქეჯნა! ვეღარ გაუძლო ხალხის აზვირთებულ გულისწყრომას! ღეჭოვს მოეჩვენა, რომ მინდორ-ველი, მთა და ბარი, ადამიანი თუ პირუტყვი, ფრინველი თუ ჭიაღუა მისდევენ მას და მისძახიან ერთსა და იმავე სიტყვას: „მოღალატევ, მოღალატევ!...“ ვეღარ გაუძლო ღეჭოვმა ასეთ მღელვარებას და შეირყა.

ასეთია ბოლო კარიერისტისა, ასეთია ხვედრი ხალხის მოღალატისა, იმისი, ვინც ხალხის ინტერესს მსხვერპლად იწირავს თავისი პირადი ბედნიერებისათვის. ეროვნული საკითხი და ხალხის მასების კეთილდღეობის საკითხი, როგორც სხვა ქართველი ხალხოსნებისათვისაცაა დამახასიათებელი, სოფ. მგალობლიშვილის შემოქმედებაში მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეროვნული თავისუფლება, ენა, სკოლა საჭიროა, როგორც ხალხის ბედნიერების მოპოვების იარაღი. ასე ესმით ხალხოსნებს ეროვნული საკითხი. ასე ესმის სოფ. მგალობლიშვილსაც. ამიტომ ხალხია ამ მოღალატეების განაჩენის გამომტანი.

2

ხანი გადიოდა. მდგომარეობა იცვლებოდა. 90-იანი წლებიდან სოციალ-ეკონომიური პირობები დიდი სისწრაფით მიექანებოდა განვითარების გზით. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება მძლავრ ნაკადსავით შემოიჭრა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეშიც. ამ გარემოებამ პროლეტარიზაციის პროცესი შესამჩნევად ააჩქარა. მშრომელთა ბანაკი წლითი-წლობით საგრძნობლად იზრდებოდა. მუშათა კლასში ირკვეოდა კლასობრივი შეგნება.

---

[19] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, წითელი სარჩული, გვ. 92.

ხალხოსნური იდეოლოგია, ცნობილია, ვეღარ სწვდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში წამოჭრილ საკითხთა გადაწყვეტას. დაიწყო ხალხოსანთა დეკადანსი (ხალხოსნური მიმართულება, როგორც მთლიანი მოვლენა, 90-იანი წლებისათვის დარღვეულია). ნაწილმა „ივერია"-„მოამბეს" შეაფარა თავი, ნაწილმაც ჟურნ. „კვალში" დაიწყო მუშაობა. ეს უკანასკნელიც საქართველოში გავრცელებული მარქსიზმის გავლენას განიცდის, ცდილობს კლასთა შორის სხვაღასხვაობისა და ბრძოლის ნიადაგზე დადგეს, თუმცა კი დემოკრატიულ ნიადაგს მაინც მჭიდროდ ებღაუჭება. ეს ჯგუფი რევოლუციონური სულიერი განწყობილების გაღრმავების აუცილებლობას გრძნობს, აღარ კმაყოფილდება კულტურტრეგერის როლით.

ქართველ ხალხოსან მწერლებში ეს ნაკადიც მკვეთრადაა ასახული.

მომავალი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმა და ორგანიზაცია, რომლისაკენაც ხალხოსნები მიისწრაფოდნენ—სოციალიზმია (რასაკვირველია, მათებურად — სუბიექტურად გაგებული). ხალხოსნები ცდილობდნენ ხალხის ფართო მასები გაეტაცნათ და ჩაეთრიათ სოციალისტურ მოძრაობაში. ხალხოსნების შეხედულებით, ხალხს ბედნიერებას მოუტანს საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ ის ფორმა, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება.

ჩვენს ხალხოსნებსაც უკვე კარგად ესმით, რომ სოციალიზმის მისაღწევად, სამართლიანი ცხოვრების დასამყარებლად საჭიროა ბრძოლა, განმტკიცებული მჭიდრო კავშირი, მსხვერპლი. ყველაფერი და ყველა ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მასების კეთილდღეობისათვის, რა თქმა უნდა. საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ ძალთა გაერთიანების საკითხში, როგორც რუსი ხალხოსნები, ჩვენებიც სათანადოდ არ არიან გარკვეულნი. ხალხოსნები ეყრდნობოდნენ განსაკუთრებით გლეხს და ყველა იმ სოციალურ ფენას, რომელიც უკმაყოფილო იყო არსებული რეჟიმით. ისინი ვერ ითვალისწინებდნენ მუშის — პროლეტარიატის რევოლუციურ როლს. და ამ გაერთიანების შიგნით არ ამახვილებდნენ კლასობრივ წინააღმდეგობას. „დღეს,—წერს სტ. ჭრელაშვილი, — გრძნობს ჩვენი ხალხი, რომ მის ჭირთან ბრძოლა გაცალკევებულ პირებს არ შეუძლიანთ, რომ ყოველი ქართველი, რომელსაც თავი შესტკივა ქვეყნისათვის და გული ერჯის მის კეთილდღეობის მოსაპოვებლად, უნდა გადაებას დაურღვეველი კავშირით ყოველ ოპოზიციურ ელემენტებთან და ამით შეადგინოს ერთი მთლიანი და მაგარი ძალა, რომელიც თავის მხედველობაში მიაღწევს ისეთს წერტილს, სადაც შესაძლო იქნება მართლა პირდაპირი გამოლაშქრება. ერთობას, კავშირს შეუძლიანთ დაბადონ ძლიერი საზოგადო აზრი, რომ, ვისაც კი აქვს სათქმელი ჭკვიანი სიტყვა, სასარგებლო პლანი, გამოთქვას ეს სიტყვა და თანაც არ დარჩეს „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა", არამედ ამ სიტყვამ გაიაროს მთელი

ხალხის ჯანსა და რბილში, იგი ამოეწოს ხალხის ტვინში და გასუფთავებული, უფრო გამაგრებული და გაძლიერებული, გადაიქცეს საქვეყნო აზრად, რომელსაც მხოლოდ შეუძლიან საქვეყნო საქმეების წარმოება, აზრის მიცემა ჩვენი უგეგმური ცხოვრებისათვის«[20].

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ასეთმა გაგებამ და ამ ნიადაგზე გამომუშავებულმა ასეთმა შეხედულებამ ჩვენი ხალხოსნებიც გაიწვია და გაიტაცა ხალხის ცხოვრების მორევში სამოქმედოდ არა მარტო კულტურული დონის აწევის მიზნით, არამედ აგრეთვე მასში რევოლუციური სულისკვეთებით გაღვივებისათვის.

ჩვენს ხალხოსნებსაც კარგად ესმოდათ, რომ რევოლუციის მოხდენა, ძველი ცხოვრების საფუძვლების დანგრევა, ახალის გამარჯვება არ შეიძლება ხალხს ზევიდან მოვახვიოთ. სათანადო რევოლუციური სულისკვეთება საჭიროა თვით ხალხს, მის მასებს შეგნებაში გაუჯდეს; საჭიროა ამ სულისკვეთებამ მისი ცხოვრების ატმოსფერო გაჟღინთოს; საჭიროა არა მარტო გაღვივება ხალხის მასების ბუნებრივი რევოლუციურობისა, რომელიც აუცილებლივ ჩამარხულია მის შეგნებაში მისი გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობის გამო, არამედ აგრეთვე საჭიროა მისი დარაზმვაც.

ხალხოსნებმა თავიდანვე აიღეს ასეთი გეზი: თვით ხალხმა, მისმა ღვიძლმა შვილებმა (რასაკვირველია, ხალხოსნებს ასეთად განსაკუთრებით გლეხობა მიაჩნია და მათი დამრაზმავი კრიტიკულად მოაზროვნე ინტელიგენცია), თავს უნდა იდვან ახალი ცხოვრების მოციქულობა, მასების წინამძღოლობა. მხოლოდ მაშინ და ასეთ პირობებში შეიძლება მიზნის მიღწევა, ბედნიერი ცხოვრების დამყარება ხალხისათვის.

აკი, ამ მიზნითაც გავიდნენ ხალხოსნები სამოღვაწეოდ ხალხში და მრავალმა მათგანმა თავისი თავდადებული მოღვაწეობით ხალხის საბედნიეროდ მიიტანა თავისი თვალსაჩინო წვლილი ამ დიადი საქმის სამსხვერპლოზე.

აკი, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებაც ამის შემდეგ თავისი დამახასიათებელი დადებითი და უარყოფითი მხარეებით გაჰყვა რუსეთის გამათავისუფლებელ მოძრაობას.

ძნელი, მძიმე და ეკლიანი იყო გზა ერთობის, ადამიანური ცხოვრების მქადაგებლისა. ერთობის თითო-ოროლა მქადაგებელი სოფელ-სოფელ დადიოდა, ცდილობდა ხალხში შეეტანა შეგნება იმისა, რომ სოფელს ბევრი და დიდი რამ შეუძლია. თუ მას დააყენებდნენ, რჩებოდა სოფლის მასწავლებლის თანამდებობაზე და მთელ თავის ძალ-ღონეს ხალხის კეთილდღეობას ანდომებდა. ცნობილია, რომ დასაწყისში— „ხალხის გული სალ კლდესავით შეხვდა ამ ერთობის მთესველებს, არ

[20] სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ძვირფასი მხარე ჩვენი წარსული ცხოვრებისა,„ „ომედი“, 1881 წ., № 7—8, გვ. 47.

იკარებდა თვისთა მოყვასთა სიტყვებს, სდევნიდა კიდეც... ერთხელ კიდევაც სცემეს საწყლებს, — გულისტკენით ამბობს ერთი შეგნებული გლეხი, — ხელმწიფემ ძლივს ბატონყმობა გადააგდო, თქვენ კი იმის წინააღმდეგ ლაპარაკობთო"[21]. ეს ხომ დამახასიათებელი ხვედრია ხალხისათვის თავდადებულთა.

მაგრამ, როდესაც მთელ სოფელსა და ხალხს კუდამდის ტყავი გასძვრა, როდესაც ხალხს სიცოცხლე სიღარიბემ, შევიწროებამ და პიროვნების უხეშმა გათელვამ გაუმწარა, მოთმინება დააკარგვინა, მაშინ თვით სოფლად თითო-ოროლა ისეთიც გამოჩნდა, „ვის გულსაც ღრმად ჩასწვდა კეთილი სიტყვა „ერთობის" მქადაგებლებისა, იპოვა ამ ზოგიერთების გულში კეთილი ნიადაგი, ღრმად გაიდგა ფესვი. იზარდა იგი, იზარდა და შტო გამოიღო. ეს შტო ერთის გულიდან მეორეზე გადმოიმყნო და ნელ-ნელა ხალხის გული ერთობის ბაღად-წალკოტად გადაიქცა: იხარა, იფეთქა ხალხის გულში „ერთობის" ძალამ; ხელი ხელს მისცეს, პირი პირს, გული გულს შეაჭდეს და თამამად შესძახეს: „გაუმარჯოს ერთობას, თავისუფლებას!.. სოფელი რად უნდა ემორჩილებოდეს ერთს. ერთი ათასის ბატონი რად უნდა იყოს? თავისუფლება საერთოა. ყველას უნდა ათბობდეს იმის სხივები, სიყვარული საერთოა, ყველა თანაბრად უნდა გვიყვარდეს, მიწა ყველასია, თითო-ოროლას ჩაუგდია ხელში და მთელ ხალხს ტვინსა სწოვენო"[22].

ეს უკვე გარკვეული ქადაგებაა რევოლუციური იდეებისა. ესეც დამახასიათებელი სტილური ნიშანია ხალხოსანი მწერლებისათვის. ეს აგიტაციაა ახალი იდეებისა. ასეთი აზრები სოფელს ნელ-ნელა მოედვა. ამგვარმა იდეებმა ფეხი თანდათან მაგრად მოიკიდა ხალხში. ხალხმა გაიგო ახალი ცხოვრების აუცილებლობა. ხალხში უკვე სიმტკიცეა. თვით ხალხში უკვე გამოჩნდნენ ერთობის კაცები: ცეცო, მიხა („ღამის მეხრე ცეცო"), ზაქარა („ჯორ-ზაქარა"), ილიკო („და შეჰფიცეს"...) და მთელი გუნდი, რომელიც ხელმძღვანელობდა ხალხს, რაზმავდა მას და მედგრად, მტკიცედ მიდიოდა წინ. „დეე დაგვხოცონ, — ამბობს ერთობის ძალის შემგნები გლეხი, — დეე გვარბიონ, გვაწამონ, ერთი მაინც დარჩება სოფელში მძევლად. აი ეს მძევალი ისეთს ყლორტებს ამოიხეთქს, მძლავრ ყლორტებს სისხლით გაპოხიერებული ნიადაგიდან, რომ იმისი მოსპობა არაფრით აღარ შეეძლებათ"[23].

სოფ. მგალობლიშვილი „ღამის მეხრე ცეცოში", „ჯორ-ზაქარაში", „და შეჰფიცესში" და სხვებშიც იძლევა მშვენიერ სურათს ხალხის თანდათანი დარაზმვისა და მასთან ერთად ცოცხალ გალერეას ხალხის

---

[21] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი. ჯორ-ზაქარა, თხზ., ტ. II, გვ. 62.
[22] ი ქ ვ ე, გვ. 154.
[23] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ჯორ-ზაქარა, გვ. 152.

ღვიძლ შვილთაგან შემდგარ რევოლუციონერთა ლეგიონისა. სოფ. მგალობლიშვილისათვის დამახასიათებელი ის არის, რომ ის, როგორც ხალხოსანი 900-იან წლებშიც გლეხურ რევოლუციას ელის და ხედავს. ქალაქს თითქოს არც ახლა ამჩნევს.

ხალხის (ამ „დევის") დაძვრა და თანდათანობითი გამოფხიზლება რომ ხალხის ეკონომიური და უფლებრივი შევიწროების ნიადაგზე ხდება, მკვეთრად ვრწმუნდებით ჩვენი ხალხოსანი მწერლების და, კერძოდ, სოფ. მგალობლიშვილის მიერ მოცემული მხატვრული სახეების საშუალებით.

გლეხს, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, როგორც ეს სხვა ხალხოსან მწერლებსაც აქვთ ასახული, სოფ. მგალობლიშვილის შეხედულებით, ავიწროებს და ანადგურებს უმამულობა და ნაბატონართან ან მის მოურავთან თითქმის ისეთივე ეკონომიური დამოკიდებულება, როგორიც ჰქონდა მას ბატონყმობის დროს; სოფლის წურბელების (ჩარჩვაჭრების) ნავარდობა სოფელში და მათ მიერ გლეხკაცობის ყვლეფა.

ადმინისტრაცია აგვირგვინებს გლეხის ასეთს შევიწროებას თავისი უდიერი მოპყრობითა და გადასახადების შეწერა-აკრეფითა. ყველა ეს გლეხს კვლავინდებურად მძიმე მონობის უღელს ადგამდა. ამ მონობის უღელქვეშ გაჭირვება და გმინვა ქმნის მის გულში პროტესტს, შეურიგებლობას და რაზმავს მას ბოროტებასა და უსამართლობასთან საბრძოლველად.

ჩვეულებრივ ხომ გაჭირვება უხელს ადამიანს თვალს, უფხიზლებს გონებას. გლეხკაცი უკვირდება ცხოვრებას, ხედავს რომ ბევრს ხნავს, თესავს, მაგრამ კუჭს ვერ იძღობს. „რა გაგიძღობს (კუჭს), შვილოსა,— მკვახედ და მწუხარებით ეუბნება ცეცო თავის ძმა-ბიჭებს,—მეოთხედი სხვას მიაქვს. შარშან ათას ხუთასი კოდი სიმინდი და ქერი შეუვიდა ჩვენს გამგებელსა, ახლა პური ამდენივე, ხუთას კოკამდე ღვინო! ი ბელლები სულ დაალიცლიცეს: ურემი ურემზე მიდის ღალა-კულუხი"[24].

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ თვით გლეხობაშიც ჩნდება დიფერენციაცია: დიდი არმია ღარიბი გლეხებისა, რომლის მდგომარეობა ზოგჯერ ბატონყმობის დროის პირობებზედაც კი აუტანელია, შედეგია შემდეგი მოვლენის: მცირე რიცხვი ბობოლა, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, „კულაკი" გლეხებისა, რომელთაც ზურგი მოიმაგრეს სხვადასხვა არაპატიოსანი საქციელით, ახლა ღარიბ გლეხობას პარაზიტად აჯდება კისერზე და შეჭმას უქადის. იწყება მათ შორის წინააღმდეგობა-ბრძოლა.

ამიტომ ცეცოს აზრს სხვა გლეხებიც ეთანხმებიან. ისინიც მწუხარებით აცხადებენ, რომ ყველა ამ უსამართლობას კარგად და აშკარად

---

[24] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ღამის მეხრე ცეცო, თხზ., ტ. I, გვ. 71.

ხედავენ, მაგრამ არჩევენ ჩუმად იყვნენ, რადგანაც უძლურნი არიან, ვინაიდან მჩაგვრელებს სიკეთის დაპირებით ზოგიერთი ავყია ხალხი მომხრობილი ჰყავთ. ესენი უტეხავენ სოფელს პირს, არღვევენ „ერთობას“.

გულხატკენი ცეცო (აქ, რასაკვირველია, თვით ავტორი ლაპარაკობს ცეცოს პირით) გლეხების ასეთ განცხადებაზე, აი რას უპასუხებს: „ჰო და ეგ ეგრე არ უნდა იყოს: ჩვენ, ძმაო, სამასი კომლი კაცნი ვართ ძაღლის-ხეველები, სამას კომლს კაცს თუ პირი ექნება, როგორ გადა-უდგება წინ ათი და ოცი კაცი, აბა ერთი მითხარით! ჩვენ თუ მაგათ კრიჭაში ჩაუდგებით, ავლაგმავთ, თავს ვაჩვენებთ, შიში და რიდი მიეცემათ“[25].

ეს ნაწარმოები სოფ. მგალობლიშვილს პირველ პერიოდში, 80-იან წლებში აქვს დაბეჭდილი ჟურნალ „იმედში“. ჩანს, ავტორის დაკვირვებით, ხალხში აშკარად იჭრება „ერთობის“ აუცილებლობა და „ერთობის“ ძალის შეგნება, ხალხი გრძნობს ბრძოლის საჭიროებასა და აუცილებლობას. ხალხი ირაზმება, ემზადება; ამ მოძრაობის მეთაურნი ბრძოლის მეთოდსა და ცოდნას თვით ხალხის ცხოვრებიდან და ჩვეულებებიდან იღებენ.

ხალხოსნებისათვის ესეც დამახასიათებელი ნიშანი იყო.

მონობის უღელის მოხსნა ყველას შეგნებას ამზადებს მოქმედებისათვის, ყველას თვალს უხელს, სითამამეს აძლევს. თანდათან ხალხი უსამართლობის წინააღმდეგ ხმას იმაღლებს.

— ეგ ყველა კაი,—თავის ქნევით მიმართავს მიხა შეკრებილ ხალხს, როდესაც ისინი ემზადებიან „ერთობის“ შესაკრავად, — მაგრამ ჯერ, სანამ ბერობა დაგვიდგება, ე უპრავლიუჩი გვიჭირებს საქმეს.

— ის კი არ გვიჭირებს, — ხმის თრთოლვით და კბილების ღრჭენით უპასუხებს ცეცო, — თუ მკითხამ, ჩვენი მეზობელი გვიჭირებს საქმეს, ჩვენი. აძაღლებული ფიდუა ეშმაკურაშვილი ჩვენის ხელით ანწუხზეა ასაგები, ანწუხზე. ის არა კაცი, ის ულვაშ-შერცხვენილი, ისა. უპრავლიუჩმა რა იცის, ვის რამდენი დღისა აქვს სახნავი, დღიური რამოდენაა, რა ალაგასა და რა მიწას რა ფასი სდევს; სულ ჩვენებით ვიღუპებით, სულ და სულ. ხიდად ეგენი ედებიან და იმასაც რა ენაღვლება: „სხვისი სახრე და სხვისი კამეჩი ვისთვის რა საშურველიაო“[26].

დიდი ბაასისა და საჭირბოროტო მოვლენების გათვალისწინების შემდეგ გლეხებს ისევ ცეცო მიმართავს: „რა საჭიროა, კვირას ყველანი სოფელში ვიქნებით, კანცელარიასთან ხალხი მოიყრის თავს, კაცობა იქ გამოჩნდება. აქ ლაპარაკს, იქ ვილაპარაკოთ ჩვენი დარდები... ნუ

---

[25] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ღამის მეხრე ცეცო, ოხზ., ტ. I, გვ. 72.
[26] ი ქ ვ ე.

გვღუპავენ, ნუ, ნუ, ხალხმა ხელში მოგვცეს ი ჩვენი დამღუპველები; თუ ჩვენები არიან დანაშავენი, საქვეყნოდ ლაფი დავასხათ თავზე. და, თუ უპრავლიუჩია, იმასაც... ჰმ... იმასაც მოურიგდებით... დედა შეერთოს ცოლად, ვინც ერთმანეთს უღალატოს, დედა...

— აგრე იყოს, აგრე იყოს — შეჰყვირეს"[27].

მდგომარეობასთან ასეთი შეურიგებლობის სურვილი სოფელს თანდათან ედება. არაადამიანურად შეიწროებულ ოღლისხეველ გლეხკაცობაში ცეცოს, მიხას და სხვათა სიტყვები და საქმენი თანაზიართ პოულობენ. რჩეულთა რაზმი თანდათან ღიდდებოდა. მტერთან მტრული დახვედრის სურვილი თანდათან იზრდებოდა. მაგრამ ძნელია საუკუნეებით მონობის უღელქვეშ ყაძაბუნებული, დავარდნილი ხალხის მასობრივი დარაზვა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლეხკაცობის სიმპათია ცეცოსა და მისი ამხანაგებისაკენაა, ბოლოს სოფელი მაინც ჩაჩუმდა, „დაემორჩილა ბედს", „ურჩი კამეჩივით მაინც გაჰყო უღელში თავი და ჩოქით გასწია ტვირთსა".

მაგრამ არჩეული ბიჭები, ცეცოს ხელმძღვანელობით შემდგარი სოფლის პატარა რევოლუციური რაზმი, რომელსაც მოედვა „ერთობის" ცეცხლი და ვეღარ ურიგდება ძალმომრეობას, შეეცდება გაათავისუფლოს სოფელი მტანჯველებისაგან.

ტერორის საჭიროება და აუცილებლობა, რომელმაც ხალხოსნები გაიტაცა, სოფელშიც გადადის. ცეცოს რაზმიც ამ გზას დაადგა. მოისურვა სოფლის მტრებისა და ორგულების დასჯა.

რჩეულმა ბიჭებმა დარაჯობა დააწესეს. დანიშნულ ალაგას ღამღამობით საფრდებოდნენ. „დიდხანს აღარ გაუვლია, — აგვიწერს სოფ. მგალობლიშვილი, — იჯარადარმა ცხენდაცხენ, თქარა-თქურით ჩამოირბინა ორღობეში და მიიჭრა ოთარის ბიჭის ვენახში. მეკულუხეებმა კარგა ხანს შეაგვიანეს...

ბიჭები უცდიდნენ განაბულნი, ყურწაგდებულნი, გულის ცახცახით, როგორც მონადირე ნათვალავ ნადირსა, რომელსაც ხან წამს დაუცივდებოდა ფეხები და ფრჩხილებში ოფლი წაჰხეთქდა; ხან ცხელი ალი აჰკრავდა თავ-პირში; ალი შუბლზე ცხლად გაუვლიდა, თითქოს გახურებული რკინა გაატარესო. ერთმანეთის გულის ბაგი-ბუგი ესმოდათ: პირში ნერწყვი უშრებოდათ ლოდინით. აგერ მოისმა ფეხის ხმა ცხენისა, მათრახის ტყლაშუნი... ფიდუა და ბღუნძელაშვილი გამოიქცნენ ძუნძულით. ფიდუამ გზაზე სარი წაგლიჯა ვაზსა. ფიდუას ფეხ-და-ფეხ მოსდევდა ბღუნძელაშვილი, მამასახლისი და გზირი. ფიდუა შედგა ღობეზე ორღობეში გადასახტომად, ამ დროს ღობეს გარეთ მდგარმა შეთქმულ-

---

[27] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ღამის მეხრე ცეცო, ვვ. 73.

თაგანმა დაჰკრა მძლავრად თავში კეტი იჯარადარს, გადმოატრიალა და ორღობეში ზღართანი მოაღებინა. შეთქმული შეხტა ღობეზე, გადახტა მეორე ვენახში და ჰაიდა, — მოეფარა.

მამასახლისს ეგონა, რომ ფიდუა თავისით, უცაბედად გადავარდაო, რადგანაც ხმაამოუღებლივ დაეცა; შედგა ღობეზე და უკან ბღუნძულა-შვილი აჰყვა.

— ეეჰეუ, ეს ხუმრობა აღარ არის, დაგვხოცეს. ეს სულ იმათი ბრალია, — შეჰკივლა მამასახლისმა, — იმ... მაგრამ წამოუარა მესამემ, დაჰკრა ბღუნძელაშვილს და ორივე გადაცვივდნენ, გზირმა კი გაქცევა იკადრა. ჩაირბინა ოთარის ბიჭების ვენახამდისა, სადაც იასაული ტკბილს მოუყენეს. გულ ამომჯდარმა გზირმა უამბო იასაულს თავ-გადასავალი.

— არიქა, მიშველეთ, თავდამტვრეულები ყრიან. ეჰეი, რა დროს შევესწარით"[28].

მართლაც, ხუმრობა აღარ იყო. გაღვიძებული ხალხის გულში ბოღ-მა და შური ემზადებოდა ამოსახეთქად. მართლაც, ძველი დრო აღარ იყო!

3

მოახლოვდა 900-იანი წლები. ცხოვრება სწრაფად იცვლება. წინ მიდის. მისი წინსვლა იზომება ხალხისათვის უკეთესი ცხოვრების პირობების საშუალებათა მოპოვებით, ძალაუფლების და მშრომელის ხელითა და ოფლით მონაგარი დოვლათის თანდათან ხალხის ხელში გადასვლით. ეს პროცესი, რასაკვირველია, უმტკივნეულოდ არა ხდება. სწორედ ამ ტკივილთა ინტენსივობით იზომება ცხოვრების განვითარების პროცესის მნიშვნელობა და ღირებულება.

ხალხის, გლეხკაცების განვითარების ეს გზა თვალსაჩინო სიმკვეთ-რით აქვს ასახული სოფ. მგალობლიშვილს მთელ რიგ ნაწარმოებში: „ჯორ-ზაქარა", „წითელი სარჩული", „და შეჰფიცეს"...

ხალხის ცხოვრება რყევაშია. მისი ცხოვრების ვაი-ვაგლახი, ხან ძა-ლითა და ხან თავის ნებით გამომჟღავნებული, თავს იყრის მის შეგნე-ბაში; მუქად გადაეფარება ხალხის გრძნობასა და გონებას, დაუწყებს თანდათან გაძლიერებით ღრღნასა და წვას, სანამ სტიქიურად გაერთია-ნებული ხალხის გულიდან რისხვა ქარცეცხლსავით არ ამოხეთქს და არ შეეცდება წალეკოს და დათრგუნოს უსამართლობა, ბოროტება, ძალმომრეობა. „ჯერ ყრუ ხმა, — ხატავს სოფ. მგალობლიშვილი ამ მოვ-ლენის ზრდას, — ხმა გმინვისა და კვნესისა გაისმა, შემდეგ და შემდეგ

---

[28] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ღამის მეხრე ცეცო, გვ. 128—129.

ხმა ძლიერდება, სჭექავს, ზუზუნებს, აკვნესებს სხვადასხვა გულის მომწამლავს, სევდიანს სიმღერებს, მოთქმით უამბობს ქვეყანას თავის ჭირვარამს, ამტვრევს ბორკილებს და ითავისუფლებს თავს მონობისაგან. ამ საშინელი ქარიშხლისა და მეხისტეხის დროს სისხლი ნიაღვრად მოდის. იყლიტება უდანაშაულო ხალხი, მაგრამ ეს უმანკო სისხლი... ცადმიმართ ღაღადებს და ღმერთი სამართლისა ანიჭებს ძალას თავგანწირულთა. ამის მოწმე ისტორიაა"[29].

ამგვარივე ისტორია აქვს მასების მიერ ამ ადამიანურ უფლებათა მოპოვების საქმეს ჩვენშიც. ჯერ თუ თითო-ოროლა იყო „ერთობის" მოციქული, და თუ ისინიც წამებას მიიღებდნენ ხოლმე იმათგანაც კი, ვისთვისაც ისინი თავდადებულად მოღვაწეობდნენ, — თანდათან მათ მიერ დათესილს თესლს ამინდი დაუდგა. თბილმა, მზიანმა დღემ ნაყოფი გამოაღებინა, ხალხმა იგრძნო ნაყოფი კეთილი თესლისა. იგრძნო თავისი ძალა და წინაგრძნობით განჭვრიტა მომავალ ადამიანთა ცხოვრება. თანდათან უფრო თავდადებით და მტკიცედ დაიწყო დარაზმვა. სოფელი ტორტლა („ჯორ-ზაქარა") გადაიქცა რევოლუციონური ქარცეცხლის ერთ-ერთ კერად. გლეხკაცობას აღარ უნდა მონურად დაემორჩილოს მემამულე ბატონს და მის სისხლისმწოველ მოურავს ურჩობას უწევს. ტერორის გზა გლეხკაცობისათვის მისაღებ და მხსნელ გზად შეიქნა. თავადი მარუშაძის მოურავს სოსიკას რომ ვერა მოუხერხეს რა, აკი მოკლეს კიდეც.

სოსიკას სიკვდილის შემდეგ თავადი ესტატე მარუშაძე კვლავ სოფელში დასახლდა. სოსიკას დაწყებული საქმეები არ უნდოდა ჩაფუშულიყო. პირიქით, მისთვის სასარგებლო იყო გაეძლიერებინა და მით თავისუფლად ენავარდნა გლეხების ზურგზე. მუდამ დღე თავადი ესტატე სოფელს მუხრუჭს უჭერდა. მან დასახმარებლად გაიჩინა მთელი რაზმი ჩაჩნებისა, რომელნიც თავით-ფეხამდის შეიარაღებულნი იყვნენ: „ერთი ზარბაზანი არ ჰქონდათ, თორემ სხვა არა აკლდათ რა. ერთ სოსიკას ნაცვლად გაჩნდა ერთი დუჟინი სოსიკა..."[30]

ამ გარემოებას მოჰყვა ხალხის მხრივ ურჩობა, ბატონის შეურაცხყოფა, ხალხში შური და მტრობა იზრდებოდა და ბოლოს ღელვად გადაიქცა. ბატონი თავშეუკავებლობას იჩენდა, „ჩაჩნები შეუბრალებლად ხოცდნენ სოფლის პირუტყვ საქონელსა; მუდამ გამოულეველი ჰქონდათ ხორცი: როგორც საყასპოს კარზე, ისე იმათ ბინის კარზე მუდამ ფეხშო-ფეხშო ხორცი იყო გამოკიდებული, მაგრამ რამდენადაც ბატონები მოჰკლავდნენ, მეორე დღეს ბატონის რომელიმე ძვირფასი ძროხა, ან ცხენი ეგდო სადმე გამოფაშული და სამგლედ დაგდებული"[31]. ცხადია, გაჩაღებულია გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა.

---

[29] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ჯორ-ზაქარა, თხზ., ტ. II, გვ. 89—90.
[30] ი ქ ვ ე, გვ. 166.
[31] ი ქ ვ ე.

თავადმა ესტატე მარუშაძემ კარგად იცოდა, ვინ იყო მიზეზი ხალხში მისდამი წინააღმდეგობისა და ურჩობის გაღვივების და მოინდომა ჯორ-ზაქარას განადგურება.

თავად ესტატეს ჰგონია, ზაქარა რომ მოაკვლევინოს, სოფელი დაწყნარდება და კვლავინდებურად მორჩილად გაჰყოფს თავს მონობის უღლში. მაგრამ ახლა ისეთი ადვილი არ იყო სოფლის ჩაჩუმება და დაწყნარება.

გლეხკაცობამ გამოიღვიძა. მონობის უღლიდან გათავისუფლება მოინდომა. მჩაგვრელისადმი სიძულვილმა მასში საკმარისად გაიდგა ფესვი. ზაქარას ხელმძღვანელობით შედგა გლეხთაგან ჯერ პატარა რაზმი — ცხრა კაცისაგან. ეს რაზმი თავად ესტატე მარუშიძის ყოველივე საზიზღარ საქციელს, ჯერჯერობით მალვით, უპასუხოდ არა ტოვებდა. „გაჩნდა,—აგვიწერს ავტორი, — ორსავე მხრივ დევნა, აღარ ხუმრობდნენ ჩაჩნები; ცხადლივ თუ მალვიო იკლებდნენ სოფელს და შვილისადარ პირუტყვ საქონელს უხოცავდნენ, ნათესში ცხენებს აბამდნენ, ხშირად შიგ შუა ვენახში ჩაუბამდნენ ცხენებს, რომლებიც იქაურობას სულ ნაცარ-ტუტს ადენდნენ“.

„არ ეძინა ზაქარას რაზმსაც. ერთ საღამოს ჩაჩნები ძილ-ღვიძილში იყვნენ, მიიყვანა ზაქარამ რაზმი ბატონის ზვარში. გადაწყვიტეს ერთად უნდა გავარდნილიყო ცხრა-ცხრა ტყვია და ჩაჩნების ცხენები დაეხოცნათ; ჯერ კაცის სისხლის დაქცევა არ უნდოდათ... იცოდა ზაქარამ, რომ ამას ზეკუცია მოჰყვებოდა, მაგრამ ცდა აღარ შეიძლებოდა და გამოსაშვები სისხლი უნდა გამოშვებულიყო“[32].

შუაღამისას, როცა ჩაჩნებს ეძინათ და ბატონი ესტატე კი თავის სასახლის აივანზე გულგაღეღილი დადიოდა და კრიალოსანს ათამაშებდა, სოფლის რაზმმა ჩაჩნების ცხენებს თოფები დაახალა და ბრძოლით, უვნებლად, ნელ-ნელა უკან დაიხია. სოფელს არ გაჰკვირვებია თოფის ხმა, არავინ არ გამოსულა ხმაურობაზე. ზაქარას რაზმი დაბინავდა. ჩაჩნები და ბატონი ესტატე სიბრაზისაგან აღარ იყვნენ.

გლეხებთან ბრძოლაში თავადი ესტატე მარუშიძე მარტო ხომ არ არის! მას ამაში ეხმარებიან არა მარტო ჩაჩნები, არამედ სახელმწიფოებრივი ადმინისტრაცია მთელი თავისი დამხმარე აპარატით. გაბრაზებულმა ესტატემაც მას მიმართა. მეორე დღეს თავის სტუდენტ შვილს ორი ჩაჩანი გააყოლა და ეტლით გაგზავნა ქალაქში, რომ მაზრის უფროსისათვის მომხდარი ამბავი შეეტყობინებინა. მაზრის უფროსს შველა გამოსთხოვა. ჩააყენა სოფელში ეგზეკუცია, რათა მისი შემწეობით აელაგმა აღელვებული ხალხი.

მაგრამ ძნელია ამოვარდნილ სტიქიასთან ბრძოლა! რა ან ვინ შეა-

---

[32] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ჯორ-ზაქარა, თხზ., ტ. II, გვ. 167—168.

ჩერებს აბობოქრებული ზღვის რისხვას?! ხალხის ღელვაც ხომ სტიქიურია! ხომ სავსებით ჰგავს ზღვის ღელვას.

სოფ. მგალობლიშვილი საკმარისად მხატვრულად გვისურათებს ხალხის ღელვას, მის გაღვიძებულ, აშლილ სურვილს დააღწიოს თავი მონობის უღელს, მოიპოვოს ადამიანური ცხოვრების უფლება.

„ჯორ-ზაქარა“ მშვენიერი ეპოპეაა გლეხთა გათავისუფლებისათვის ბრძოლისა. ამ ეპოპეაში ხასიათთა მხატვრულ გაშლასთან ერთად ალაგ-ალაგ ხერხიანადაა ჩატანებული ხალხის გამოფხიზლებითა და ღელვით გამოწვეული ავტორის შეხედულებანი და განცდანი. ეს ადგილები მკითხველის განცდასა და შთაბეჭდილებას საგრძნობლად აძლიერებს. „დაუნდობელი, აბობოქრებული და აზვირთებული ზღვა ანგრევს და ანადგურებს ყოველივეს, რაც კი მას ამ დროს წინ გადაეღობება, დიდრონ გემებს ნაფოტივით ათამაშებს და შურდულის ქვასავით ისვრის ნაპირისკენ და ვაი იმ გემს, რომელსაც კლდის ნაპირს მიახეთქებს, ლუკმა-ლუკმად აქცევს და ანაჭუჭებს.

ხალხის გულშიც მოგროვილია ათასი დარდი და ვარამი. ყველა უსამართლობა ეჭიდება იმის გულზე. ხშირად აბობოქრდება, იწყებს იმის გული ღელვას, სახეზე იბეჭდება: იჭმუჭნება კაცის სახე, წუხდება გულის ღელვისა გამო. აღარ ეტევა მის გულში უსამართლობა, მიყენებული ბატონისა, მღვდლისა, მოხელისა და ათასი სხვა მტარვალისაგან, რომელნიც მთავრობამ კისერში წურბელასავით დაასხა. აი, ამ დროს, როგორც ზღვაში სიო, მცირე ქარი, შემდეგ ქარიშხალად ქცეული, საჭიროა მცირე რამ სიტყვა, სიტყვა კეთილი, სიტყვა ერთობისა და საბოლოო ნუგეშისა, სიტყვა, რომელიც ხალხს თვალს აუხელს, გააცნობს აწმყო ცხოვრებას, უჩვენებს გზას მონობიდან თავის დახსნისას, გააკაფვინებს ეკლიან გზას, რომ თითონ თუ უეკლოდ ვერ გაივლის, მომავალ მოდგმას მაინც შეაძლებინოს უეკლოდ სიარული.

ასე დუღდა ქართველის გულშიც ბოღმა, უსამართლობისაგან დაგუბებული. მოაწვა იგი ხალხის გულს. აი, აგრე იხრჩობოდა იგი ამ უსამართლობისაგან, რომ გაუჩნდნენ ხალხის მოციქულნი ერთობისა. ამათ დაჰკრეს კვერი ხალხის გულს, გადმოსკდა ბოღმა გულიდან. იწყო ხალხმა ღელვა, ბობოქრობა, გაისმა კიდითი კიდემდე:

„მიწა და თავისუფლება“...

მიწა იმისაა, ვინც მუშაობს, ვინც ოფლს აწვიმებს შიგა. ხალხმა თვითონ უნდა უპატრონოს თავის თავსა; კმარა, რაც ხანი ედგა უღელი და ათასი გადიები და ძიძები, მამინაცვალ-დედინაცვლები ხედნიდნენ მას, სიცოცხლეს უმწარებდნენ, ხორცს აგლეჯდნენ ცხელის შანთებით და ცოცხლივ დღისით-მზისით სჭამდნენ იმას გაუმაძღარი სვავები.

ხალხმა იხრიალა სოფელ ტორტლაშიც. გამოცხადდა აქაც სრული თავისუფლება; სოფელს განაგებდა თვით სოფელი, მისგან რჩეულნი“[33].

[33] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ჯორ-ზაქარა, გვ. 170—171.

ცხოვრების ვაი-ვაგლახში, მის დუხჭირში გამოსული, სინამდვილის კარგი მცოდნე ხალხი (და თვით ავტორიც) ადვილად ართმევს თავს აღელვებას, შურისძიების გრძნობას. ის კარგად გრძნობს, რომ თავისუფლების მოპოვების გზა ძნელია. კარგადა ხედავს მოწინააღმდეგეთა ბანაკსაც, სადაც „პირი-პირს მისცეს მებატონემა და მღვდელმა, ვაჭარმა და მოხელემ“, რომელსაც ზურგს უმაგრებს მთავრობა თავისი სახელმწიფოებრივი აპარატით. კარგადა ხედავს, რომ ეს მოპირდაპირე ძალაც დიდია, მძლავრი. ამიტომ ცდილობს წინააღმდეგობა სიფრთხილით, ნაკლები მსხვერპლის გაწირვით აწარმოოს.

ეგზეკუციის მოლოდინმა ხალხი უფრო ააღელვა. შეიყარა ის მომავალი საფრთხის დასახვედრად, გეგმის შესამუშავებლად. ჯორ-ზაქარა, თუმცა მოხუცებულია, მაგრამ კვლავინდებურად სოფელს მეთაურობს. ის თავისი მოფიქრებული და სამართლიანი სიტყვით მიმართავს შეყრილ ხალხს: „ხალხნო,—მისთვის ჩვეულებრივი სიმტკიცის მაჩვენებელი კილოთი ეუბნება ხალხს ზაქარა, — მე აგერ სიბერე მეთქმის; ჩემი დღენი თქვენთან გავატარე; მარტოდ-მარტო ვიბრძოდი ბატონთან; ბევრი მწარე დღე ვნახე, ბევრჯერ ვხეხე ციხის, სატუსაღოს კედლები. სამართალი ვერსად ვპოვე: ალერსიანი სიტყვა ვერსად გავიგონე; ყველასაგან გლეხია დაჩაგრული, ის დაბალი ღობეა და ყველა ზედ გადადის, ამტვრევს იმას, სწიხლავს! ყველას ჩვენ ვაცხოვრებთ: თავადს, მღვდელს, მოხელეს, ვაჭარს, თვით იმ ჯარს, რომელიც ჩვენს დასაწიოკებლად ჰყავთ გამოყვანილი; ჩვენ ერთის დღის ხარჯი რომ არ გავიღოთ, ამ წუწკ ქვეყანას ღერძი გამოეყრება, ჩაინგრევა ის ტახტი, რომელზედაც ტკბილად განისვენებენ ჩვენგან განებივრებული დიდკაცობა... შევინძრეთ, შევირყეთ ერთად და შავარყიოთ იმ განცხრომილების ცხოვრება, გავუმწაროთ წუთისოფელი... მართალია დიდი განსაცდელი მოგველის! წვა-დაგვა, დარბევა-დაქცევა, ნამუსის შერცხვენა, ხოცვა-ჟლეტა; ეს არასოდეს არა გვკლებია, მაგრამ არ გავმწყდარვართ. მძევალი მაინც დარჩენილა და კვლავ ყლორტი ამოუტანია... ძალას ძალა ვუფაროთ! ხალხს რა გაუმაგრდება, თუ მთელი ხალხი გადიბმის ჯაჭვით, პირს მისცემს ერთმანეთს და ერთგულად შეებმის გაბატონებულ ბოროტებას... შევისხათ ჩვენც იარაღი. აღვიჭურვოთ ვისაც რითი შეგვეძლოს და მტერს მედგრად შევხვდეთ: მომყევით ძმებო, მომყევით!.. დღეიდან ვსპობთ ყოველივე კავშირს ბატონთან, მღვდლებთან, მოხელეებთან: დღეიდან სოფელი ტორტლა თავისუფალი ქვეყანაა, ის თვით განაგებს თავის საქმეებს... ძალა ერთობაშია! თუ ერთად ვიქნებით, ერთ პირზე ვიდგებით. ისე დაიმსხვრევა ძალა მთავრობისა, როგორც კედელზე მიხეთქილი გემი“...[34]

---

[34] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ჯორ-ზაქარა, გვ. 173—174.

ასეთი აგიტაცია და ლოზუნგების გამოტანა ტიპიურია ხალხოსანი მწერლისათვის, ტიპიურია თვით სოფ. მგალობლიშვილისათვისაც.

ხალხი, მართლაც, თანდათან უფრო მეტის შეგნებით მისდევს ერთობის მოციქულთ.

რევოლუციურ მოძრაობაში ებმის არა მარტო გლეხი მამაკაცი, არამედ დედაკაციც. ჩვენი გლეხის დედაკაციც ცდილობს გამოვიდეს სამოქმედო ასპარეზზე საერთო საქმის გასაკეთებლად, ამოუდგეს მამაკაცს მხარში, გაამაგროს ხალხის საკეთილდღეოდ გამოსულ მოღვაწეთა რევოლუციური რიგები, შეიგნოს თავისი უფლებანი და შეეცადოს მათ მოპოვებას ძალით.

ქალთა მოძრაობას საქართველოში, რა თქმა უნდა, არა აქვს ისეთი დიდი და ძლიერი ისტორია, როგორც რუსეთში. ამიტომ ეს მოვლენა მძლავრად არ არის ასახული ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ მაინც ქალთა გაღვიძების, სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლის და უფლებების მოპოვების სურვილის გამოხატულებამ შესაფერი გამოძახილი ჰპოვა ქართველ მწერლებშიც და ყველაზე უფრო მკვეთრად ხალხოსან მწერალთა შემოქმედებაში. ქალის, გლეხი ქალის ასეთს განცდასა და სურვილს სოფ. მგალობლიშვილიც მკვეთრ, რევოლუციურ ფერებში გვაძლევს.

სოფლის ყრილობაზე ერთობის მოციქულად ქალებიც გამოდიან და ხალხის რევოლუციონურ სულისკვეთებას თავისას შეგნებულად უერთებენ, აძლიერებენ, ამახვილებენ. „ყველაზე საშიში, — დაიწყო სოფლის ყრილობაზე ერთობის მოციქულმა ქალმა, — ქალთა მდგომარეობაა. ყაზახობა ნამუსს ხდის დედაკაცებსა... ამიტომ ყველა ქალმა, ყველა ოჯახის დედამ უნდა მამაკაცებს მივბაძოთ. დროებით უნდა გადავდვათ თითისტარი და ნემსი: აკვანიც მივდგათ გვერდზე. მოვიკრიფოთ სულის ძალა, თუ იარაღით ვერა, ბასრი ფრჩხილებით შევებრძოლოთ უსამართლობას, ბოროტებას. სისხლი სისხლით უნდა მოიბანოს, სისხლს სისხლი მოსდევს, მსხვერპლს მსხვერპლი. გადავაქციოთ სახლი, კარი, ბაღ-ვენახი და თვით ჩვენი გულისფიცარი ციხე-სიმაგრედ, სალკლდეთა. დეე, მოვიდნენ ჩვენზე ბნელი ძალები იერიშითა, ნუ შევუდრკებით; ბნელს სინათლისა ეშინიან: ქურდი, ავაზაკი, ყველანაირი მტარვალი სინათლეს გაურბის. მივიტანოთ ჩვენც იერიში, ვიდინოთ მკერდიდან სისხლი თავისუფლებისათვის. მტარვალი მხდალია, ხალხი კი მძლავრი, სავსე ზნეობით, სათნოებითა და ქვეყნისადმი სიკეთითა. ხალხი ცხრათავიანი მდევია. რა გაუმაგრდება იმას, თუ მოინდომა, თუ გაიწია და დაამტვრია უღელ-ტაბიკი მონობისა“...[35]

ეს ნაწყვეტი ორნაირადაა საგულისხმიერო: ჯერ ერთი, ქალი ლა-

---

[35] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ჯორ-ზაქარა, გვ. 114—115.

მობს გადალახოს ოჯახური საზღვრები, გადავიდეს საერთო საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე, მხარში ამოუდგეს მამაკაცებს, მათთან უფლებით გათანასწორდეს: მეორე მხრით, აქ მკვეთრად ისმის ქალის რევოლუციონური განწყობილება, ქალი ებმის არა მარტო კულტურული მოღვაწეობის საქმეში ხალხის საკეთილდღეოდ, არამედ რევოლუციონურ მოძრაობაშიც. „სისხლი სისხლით უნდა მოიბანოს, — ამბობს სოფ. მგალობლიშვილის გამოღვიძებული ქალი, — სისხლს სისხლი მოსდევს, მსხვერპლს მსხვერპლი. გადავაქციოთ სახლი, კარი, ბაღ-ვენახი და თვით ეს ჩვენი გულისფიცარი ციხე-სიმაგრედ"[36].

ასეთი ქალის ხილვა ხომ საუკეთესო რუსი ხალხოსნების ერთ-ერთი მთავარი მისწრაფება იყო.

ამის გარდა, სოფ. მგალობლიშვილის ეს ნაწარმოები მკითხველს ძალუმად აგრძნობინებს, რომ რევოლუციური მოძრაობის ძლიერი ტალღა ხალხის ცხოვრების სიღრმეს ჩასწვდა. მან ხალხის ცხოვრება აამოქმედა, ააღელვა, ააზვირთა. „ადგა ქარიშხალი,—განმარტავს ავტორი ხალხის რისხვას,—და დაუწყო მტვრევა აქა-იქ შეყუჟულ გემებსა. მოიკუნტნენ გემთა პატრონნი, აღძრეს ტკბილად ბაგენი, იწყეს ღიღინი „ახალ მოდაზე". მაგრამ ნემსკავმა თევზი ვეღარ დაიჭირა. ტკბილ სიტყვებში რამდენი ბალღამი ერია, „ახალ მოდაზე" ღიღინში რა გესლი იყო ჩართული. სოფელი მიხვდა და აღარ მოტყუვდა".

ცხოვრების უდიერმა პირობებმა წაუკიდა ხალხს ცეცხლი. მძლავრად აანთო მასთან საბრძოლველად მისი გული და გონება და აარჩევინა ახალი ცხოვრებისათვის ახალი გარკვეული გზა. ხალხმა დაამყარა თავისი სამეფო, დაამყარა სოფელში სასუფევლი სიმართლისა, სიყვარულისა, ძმობისა, ერთობისა და სათნოებისა. „აღარ იყო — აგვიწერს სოფ. მგალობლიშვილი, — სოფლად ქურდობა, ავაზაკობა, ცილისწამება, მრუშობა, ერთმანეთზე საჩივარი, კიცხვა-დაცინვა, გაუკითხაობა ერთმანეთისა. აღარ აწუხებდა ამ სოფლებს მამასახლისი და გზირი, მღვდელი და ბერი, მთავარი და მედავითნე, იასაული და ყაზახი, ბატონი და მისი მოურავი. მთელ ამ სოფელს თავისუფლების სხივი დაადგა თავზე შარავანდედად, გულს სიყვარულისა და ძმობა-ერთობის სხივი სვეტად ჩაადგა. ყველა წყნარად და მშვიდად მუშაობდა. შემოვიდა, დამწიფდა მინდვრის და ბაღ-ვენახის მოსავალი. სოფლად რთველობაა"[37].

ასეთია ერთობით გარდაქმნილი სოფელი. თავადი მარუშიძე და მისი სტუდენტი შვილი კი კბილებს ილესავენ, უკმაყოფილონი არიან, სოფლისადმი შურითა და მტრობით ივსებიან. დასახმარებლად მათ გამოიწვიეს ყაზახები და მათი მეთაური გაბრიელ ევტევიჩი, რომელსაც გლეხებისა და მუშების ალაგმვა დაუსახავს მიზნად. გაბრიელ ევტევი-

---

[36] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ჯორ-ზაქარა, გვ. 114—115.

[37] ი ქ ვ ე, გვ. 176.

ჩი ცდილობს სოფელი გაამაგროს მით, რომ დაიჭიროს მოთავე კაცები; როგორც ქორმა, ისე ამარცვლოს სოფლიდან ყველა „ბუნტოვჩიკი", რომლებიც სოფელს რევს, და ცივ ქვეყანაში ამოუყოს თავი, ციხეებში ჩაამწყვდიოს. გაბრიელ ევტევიჩის შეხედულებით, რასაც ის ვერ შეასრულებს კანონის ძალით, იმას მათრახი შეავსებს. გაბრიელ ევტევიჩი ტიპიური დასაყრდენი ძალაა მძვინვარე რეაქციისა 900-იან წლებში.

გაბრიელ ევტევიჩის სახით სოფ. მგალობლიშვილი ცოცხალს სახეს იძლევა ჩვენს ახლო წარსულში კარგად ცნობილი დამსჯელი რაზმების მეთაურებისა, რომლებიც უხეშად და დაუნდობლად ანადგურებდნენ სოფლის მოსახლეობას—გლეხობას და მათ ნამუშევარს.

თავადი მარუშაძეები აღტაცებაში მოდიან გაბრიელ ევტევიჩის განცხადებით. ამ ყაზახ-ოფიცერს ისე უყურებენ, როგორც დაუძლეველ ძალას, ცდილობენ ყველაფრით ასიამოვნონ და გლეხებს უფრო მძლავრად მიუსიონ და გული კარგად მოიფხანონ.

თავად ესტატეს სახლში გამუდმებული მხიარულება და ქეიფი იყო. სოფელი კი ამ დროს მინდვრად იყო გასული, ის თავის საქმეს ჩუმად და წყნარად აკეთებდა.

გლეხებსა და თავადებს შორის ინტერესთა გამწვავება უმწვერვალეს მდგომარეობას აღწევდა. სოფ. მგალობლიშვილიც ხედავდა ამ წინააღმდეგობას და ასე ამახვილებდა „ჯორ-ზაქარაში" ყურადღებას:

„სოფელი შრომობდა. ქვეყნის პატრონნი ქეიფობდნენ".

„სოფელს შრომის ოფლი გადმოსდიოდა გულმკერდზე, შუბლიდან წურწურით ჩადიოდა ოფლის წვიმა ყანაში, ხნულში".

„ესტატეს სახლში კი ხარხარი იყო. ღვინით შეხურებულს და შეოფლიანებულ შუბლს სტუმრები ნელსაცხებელში დასველებულის ხაიათის ხელსახოცებით იწმენდნენ"[38].

თავადი ესტატე გამარჯვების დღესასწაულის მოლოდინში აღარაფერს ზოგავდა. ყაზახებსა და გაბრიელ ევტევიჩის გარდა, ის მაზრის უფროსსაც არ აკლებდა პატივისცემას. მადლიერი სტუმრებიც გულმოდგინებით ასრულებდნენ თავადი ესტატეს სურვილებს.

სოფ. მგალობლიშვილი, ხალხსანისათვის შესაძლებლობის ფარგლებში, დიდ ყურადღებას აქცევს წოდებათა შორის წინააღმდეგობის გამწვავებას.

„შუაგული კალოობაა!..—განაგრძობს ავტორი სოფელ ტორტლას დახატვას, — დათარეშობენ, როგორც მტრის ბანაკში, ყაზახები, დაათრევენ თან ისაკა შამასახლისს და აგროვებენ ღალას. ავსებით აივსო თავადი ესტატეს პურის ბეღლები, კვლავ გაიჭიმა იმის საბძელ-კალოზე

---

[38] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი. ჯორ-ზაქარა, გვ. 183.

ბჭები. ესტატე ცას ეწევა სიხარულითა, ნიშნს უგებს სოფელსა. სოფელი კი გაყრუმუნჯებულია. თითქოს მთელ ტორტლას სოფლის საზოგადოებაში ხალხის მაჯის ცემა შესდგაო. ძალას აღმართი ახვნევინა თავად ესტატემ: ყაზახები ცემა-ტყეპით ართმევდნენ ღალას; არ ინახებოდა სოფელში არც ერთი ადამიანის სული, რომ დასახიჩრებული არ ყოფილიყო ყაზახის მათრახისაგან. განსაკუთრებული იერიში მიჰქონდათ ზაქარია ჯიღაურზე და მთლად ჯიღაურების ოჯახებზე. ზაქარას დარბაზის ბანი მთლად მოუნგრიეს, ბოსელი ჩაუქციეს, ვენახი აუოხრეს ყაზახის ცხენების შიგ ჩაბმითა. ქალები ხომ ვერა ჩნდებოდნენ; ბოლოს ეს ხერხი იხმარეს: ყმაწვილი ქალები გახიზნეს მეზობელ სოფლებში ნათესავებთან, ნათელმირონებთან, კეთილ მეზობლებთან; დარჩნენ ხნიერი დედაკაცები და ისინიც ღამე ჯიხურებში იმალებოდნენ და დღე, დილაადრიან, ქმარ-შვილებს მისდევდნენ მინდორ-ველზე, კალოზე ერთად მუშაობდნენ"[39].

დიახაც, ცოცხალი სურათია ჩვენი სოფლის ახლო წარსულისა! კარგადაცაა ასახული სოფლის გამწვავებული კლასობრივი წინააღმდეგობა.

ხალხის ასეთ მდგომარეობას თავადი ესტატე აღტაცებაში მოჰყავს და ცინიკურის კმაყოფილებით გაიძახის: „მე დღეიდან ხალხის აღარ მეშინიან!.. მემრისიდან სულ პატარ-პატარა „კაზაკები" მოედებიან სოფლად. იმათი შერეული სისხლი გასწმენდს გლეხის ღვარძლსა და ტორტლა თავის დროზე გაივსება ყაზახის ჩამომავალთა სისხლით. სრულიად გარდავქმნი ტორტლელებსა".

მძიმეა ხალხის მდგომარეობა, მით უფრო ასეთს ვითარებაში. საითკენაც გაიწევს გლეხი, ყველგან მტერი და ორგული ხვდება. ასეთი თავბრუდამხვევი დარბევისა და შეურაცხყოფისაგან შევიწროებული ხალხი გამოურკვეველ, მძიმე მწუხარებას მიეცა, თითქოს სოფელმა თავისი მდგომარეობის შეგრძნობისა და გაგების უნარიც კი დაჰკარგა.

მაგრამ ზოგიერთმა, რომელნიც მთელი თავისი არსებით თავისუფლებისა და ერთობის მოპოვების გზაზე შედგნენ, გადააბეს თავისი გული და აზრი ხალხის მომავალ ბედს, ისინი არ შეეპოვნენ, არ მოიღუნნენ, არ გატყდნენ. მათ ზურგს და თვალს ბევრჯელ უნახავს ამისთანა გაჭირვება, ასეთებს გაჭირვება უფრო აკაჟებს, შეურაცხყოფა უფრო აღელვებს, აშფოთებს და შურისძიების ბოლმით უვსებს გულს.

არც სოფელ ტორტლში დადუმდნენ ეს მოთავე პირნი.

შუაღამეა. სოფლის ბოლოს, სამების ეკლესიის ეზოში ხალხი მოზღვავებულა, შეგინებული, შურითა და ბოლმით ავსილი და მოთმინებადაკარგული ხალხი ერთობის კაცების თავგანწირული მოქმედებით შეერთებული, ლამობს გამოსავლის გამონახვას. „მოთმინების ფიალა აივსო,

---

[39] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ჯორ-ზაქარა, გვ. 185—186.

ამხანაგებო, — დაიწყო აწ მოხუცებულმა ჯორ-ზაქარამ, — წელში გაგვწყვიტეს, მამულ-დედული გაგვიოხრეს, ნაშრომ-ნაპინახულევი წაგვართვეს, კვლავ ივსება ესტატეს ოჯახი ჩვენის ნაშრომ-ნაპინახულევით და ჩვენი ისედაც დაცარიელებული ოჯახი, მთლად გამოიფიტა. გამოიფშუტა. ხომ გინახავთ ობობასაგან გამოფიტული ბუზი!.. რომ ნახავ ბუზია, როგორც ბუზი, მაგრამ თითები რომ გაუსვა, ბურნუთივით გახდება. ჩვენც ასე გამოგვფიტეს ყაზახებმა ესტატეს წყალობითა. ჩვენ გავძვალტყავდით... თითქო ერთობა ჩაქრა ჩვენში, მისი ძალა აღარ გვასულდგმულებს. ნუ თუ ყაჩაღთა ძალამ ჩააქრო ჩვენში ერთობის ძალა! ძალას ძალა უნდა ვუფაროთ, ნუ დავქალაჩუნდებით... ბარემ ერთს დღეს დავიხოცნეთ, უცბად მოვისპოთ სიცოცხლე, ასეთ წვეთწვეთად დაწრეტას სისხლიდან...

—უნდა თავზე დავანგრიოთ სახლ-კარი... სულ ერთიანათ გადავბუგოთ მისი ძნები: ნურც ჩვენ და ნურც იმას! აყვირდა ხალხი.

— წყნარად, ამხანაგეპო, წყნარად, ნუ ახმაურდებით!—განაგრძო ჯორ-ზაქარამ, — უნდა მოვსპოთ, ძირიანად ამოვაგდოთ ესტატეს სახლ-კარი... ჩვენ ვსთხოვეთ (მას) მორიგება, შეთანხმება ღალაკულუხზე, იმან არ ინება და ძველი გზით დაიწყო სიარული, უფრო ტყავი გაგვაძრო. ეს არაფერი: ნამუსი შეგვიგინა, კვეხულობს, რომ ჩვენს ქალებს ნამუსს ახდის და „პატარა ყაზახებს“ გაამრავლებს...

— სიკვდილი, სიკვდილი, ცეცხლი, ცეცხლი! — გაისმა ერთხმად მთელ კრებაში და არემარემ ხმა გამოსცა, ყოველივემ ირგვლივ გაიმეორა: „სიკვდილი, ცეცხლი“.

გადასწყდა!... — ამთავრებს სურათის აღწერას ავტორი, — სიკვდილს და ცეცხლს თხოულობდა ხალხი!—სიკვდილს და ცეცხლს თხოულობდა მთელი არემარე, ბანს აძლევდა ხალხის გულს, ტაშს უკრავდა და ამხნევებდა.

ტკბილია სისხლით ნაშოვნი თავისუფლება“[40].

ასეთია რევოლუციონური ძახილი სოფ. მგალობლიშვილისა.

გრძელია და მდიდარი თავისი მრავალფეროვნებით ხალხის მიერ თავისუფლების მოპოვების გზა. ბევრჯელ დამარცხდა ასე შეკრებილი და შეფიცული ხალხი. ბევრჯელ შესწირა ხალხმა თავისუფლების მიღების სურვილს, ადამიანური უფლებების მოპოვების წადილს, უდიდესი და უძვირფასესი მსხვერპლი, ბევრჯელ, ძალიან ბევრჯელ ძვირად დაუჯდა ხალხს შუაღამისას, მალვით, ზარის ხმაზე შეკრება, ბოღმის გადმონთხევა. მეტად სასტიკად და უადამიანოდ ექცეოდნენ მას მტარვალები. მაგრამ მაინც ვერა და ვერ ჩააქრეს ხალხის გულში ერთხელ ზძლავრად ანთებული თავისუფლების მოპოვების ლამპარი, განსაკუთ-

---

[40] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ჯორ-ზაქარა, გვ. 187—189.

რებით როდესაც თვით ხალხის შვილების ხელში გადავიდა თავისუ-ლების გზის მაჩვენებელი ჩირაღდანი. ეს ხალხის შვილები მეტის ენერ-გიით, ხალხისა და მისი ცხოვრების ზუსტი ცოდნით, გამძლე ბუნებით შეუდგნენ ერთობის სამოციქულო გზას, ახალი ცხოვრების აუცილებ-ლობისა და მოახლოების ქადაგებას.

ხალხმა უფრო მძაფრად იგრძნო აღთქმის ქვეყნის მიმზიდველობა და მოახლოება. უფრო მტკიცედ შეითვისა და შეიყვარა თავისი მოკეთე, თვითონაც მასობრივად დაირაზმა და გატაცებით გაჰყვა მას.

აქაც სოფ. მგალობლიშვილი ტიპიური ხალხოსანია, რომელიც თა-ვის მხატვრულ შემოქმედებაში მოჩანს, როგორც მოაზროვნე სოციო-ლოგი მკვლევარი, რომელმაც იგრძნო კლასობრივი წინააღმდეგობა, მაგრამ მისი ჩვენება სათანადო სიმაღლემდე ვერ აიყვანა.

4

ვინაა, ან ვინ უნდა იყოს ის, ვისი ხელმძღვანელობითაც უნდა დაი-რაზმოს ხალხი — გლეხკაცობა? ეს საკითხი ხალხოსნებისათვის იქ, რუ-სეთში და აქაც, ჩვენშიც კარდინალური საკითხი იყო.

რუს ხალხოსნებსაც და ჩვენებსაც სწამთ, რომ ხალხის მასების დამ-რაზმველი უნდა შეიქნას მოაზროვნე ინტელიგენცია, რომელმაც თა-ვისი გული და აზრი მჭიდროდ გადააბა ხალხისას (გლეხისას), უანგა-როდ გავიდა ხალხში და თავდავიწყებით დაიწყო ნარ-ეკლიანი გზის გაყვანა. „ნაროდნიკებს, — ნათქვამია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში, — ჰქონდათ შემცდარი და მავნე შეხედულება კაცობრიობის ისტორიის მთელ მსვლელობაზე... მათი აზრით, ისტორიას აკეთებენ არა კლასები და არა კლასთა ბრძოლა, არამედ მხოლოდ ცალკეული გამოჩენილი პი-როვნებები — „გმირები“, რომლებსაც ბრმად მიჰყვებიან მასები, „ბრბო“, ხალხი, კლასები“[41].

არსებულ ბიუროკრატიულ წყობილებაში, როდესაც თავისუფალი სიტყვა და აზრი შთასახვისთანავე ძალმომრეობით ნადგურდებოდა, ხალხოსნებს გზა, მართლაც, გაუვალი დახვდათ. მართლაც, საჭირო იყო ის გმირული ხასიათი და თავგანწირვა, რომლითაც ხასიათდებოდნენ 70-იან წლებში ხალხოსნები, მათი ცალკეული წარმომადგენელნი, რომ მათ ამ გზისა არ შეშინებოდათ.

იმ პირობებში ხალხოსნებმა ყველაზე მოსახერხებელ და ამასთან ერ-თად საჭირო საშუალებად დაინახეს სოფლის სკოლა და მასში მასწავ-ლებლობა. მივარდნილ კუთხეში სოფლის მასწავლებელი რამდენიმე ხნით მაინც ახლო, უშუალო დამოკიდებულებაში იმყოფებოდა გლე-ხებთან. ამ ხნის განმავლობაში მას შეეძლო ამ ხალხის ბნელ ცხოვრე-ბაში, მართლაც, სინათლე შეეტანა არა მარტო წერა-კითხვის სწავლე-

[41] საკ. კ. პ. (ბ.) ისტორია, 1948, გვ. 16.

ბით, არამედ, ცოცხალი, მართალი სიტყვითაც. თავისი მოღვაწეობით ის ცდილობდა აეფხაერებია მდიდარი ყამირი — ხალხის გული კეთილი თესლის მისაღებად. და ამ მოვალეობას ხალხოსნები (ქალი თუ მამაკაცი) დიდის ენთუზიაზმით ასრულებდნენ. ამით აიხსნება, რომ იქ, რუსეთში სოფლის მასწავლებლის მოღვაწეობა ასეთი შარავანდედით შეიმოსა. სოფლის მასწავლებლობა, მართლაც, ერთ-ერთ საუკეთესო გზად აღმოჩნდა ხალხოსნების იდეების ხალხის მასებში ფართოდ გასატანად. ხალხოსანმა მწერლებმაც ამიტომ ერთ-ერთ მთავარ თემად აიღეს სახალხო მასწავლებლის ცხოვრების დახატვა ამით აიხსნება, რომ ქართველმა ხალხოსანმა მწერლებმაც (შაქრო გულისაშვილი, ნ. ლომოური, ეკ. გაბაშვილი და სხვ.) თავიანთ შემოქმედებაში საპატიო ადგილი დაუთმეს სოფლის მასწავლებლისა და მის საზოგადოებრივ განწყობილების ასახვას.

ამითვე აიხსნება, რომ 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან მთელი ჯგუფი ხალხოსნებისა (სოფ. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური, ზაქ. გულისაშვილი, მიხ. ასათიანი, გრ. ყიფშიძე, მიხ. გურგენიძე და მრავალი სხვა) წავიდა სოფლად სახალხო სკოლისა და ხალხში სწავლა-განათლების საქმის საფუძვლების ჩაყრის მიზნით.

აკი ჟურნალ „იმედის“ თანამშრომლებმაც უდიდესი ყურადღება მიაქციეს სკოლასა და მისი მნიშვნელობის ახსნა-განმარტებას. „მიეცით ხალხს საშუალება, — მქადაგებლის კილოთი წერს გადაღმელი, — რომ ჩაიხედოს სწავლით თავის ნაკლულევანებაში, დაინახოს თავისი მდგომარეობა, სწავლა იყოს იმისივე სარკე... ხალხი და სახელმწიფო მხოლოდ მაშინ მიაღწევს კეთილ მდგომარეობამდის, როდესაც ყველა მცხოვრებნი (население) თანასწორად მიიღებენ სწავლა-განათლებას, საშუალო სკოლებში თუ არა, სახალხო სკოლებში მაინც. ამიტომ, ვიმეორებთ, რომ ამ მიზნის მისაღწევად ის კი არ არის საკმაო, რომ თითოეული პირი გამოვიდეს თავისი მდგომარეობიდან და მიაღწიოს უმაღლეს განათლებამდის, არამედ საჭიროა, რომ მთელი ხალხი (масса) იყოს თანასწორად გონებაგახსნილი და შეეძლოს თავისი სწავლის მოხმარება“[42].

ჩვენს ხალხოსნებს ძალიან კარგად ესმით, რომ ნამდვილი სკოლა შეიძლება შეიქმნას მხოლოდ მაშინ, როდესაც გაბატონდება ის აზრი და შეხედულება, „რომ სახელმწიფო უნდა იყოს მთელი ხალხისათვის და არა რომელიმე წოდებისათვის“[43].

ჩვენი ხალხოსნების გაგებით, ნამდვილი სახალხო განათლება მაშინ გატარდება ცხოვრებაში, როდესაც სახელმწიფოებრივი ცხოვრება აშე-

---

[42] გ ა დ ა ღ მ ე ლ ი, ჩვენი სასოფლო სკოლები, „იმედი“, 1881 წ., № 5, გვ. 60.

[43] ნიკო ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საფუძვლები სახალხო განათლებისა, „იმედი“, 1882 წ., № 5, გვ. 8, 16.

ნებული იქნება იმ საფუძველზე, რომელიც სწავლის თავისუფლებასა და მიღების შესაძლებლობას ყველა წოდებას მიანიჭებს. „სადაც ხალხის განათლება, — წერს ნიკო ხიზანაშვილი,—უფრო ფართო თავისუფლებაზედ არის დაფუძნებული, იქ სახელმწიფოც და ხალხიც მთელს და საღს სხეულს წარმოადგენს“[44].

მეტად საგულისხმიეროა აგრეთვე ისიც, რომ ჩვენი ხალხოსნებისათვის აშკარაა ხალხური სკოლის და მისი ბუნების სხვაობა შედარებით რუსეთის სკოლასთან. მათი შეხედულებით, ჩვენი სკოლა რუსეთში მიღებული სკოლის შაბლონის მიხედვით არ უნდა იყოს აგებული. „ისეთი განსხვავება უნდა იყოს ჩვენებურის და რუსეთის სკოლების შუა,— წერს გადაღმელი, — როგორიც განსხვავებაა ჩვენსა და იმათ ზნეხასიათის, ჩვეულებისა, ენისა და თვისებების შორის“[45].

ამ თემით „იმედი“ ხერხიანად სარგებლობს: სახალხო სკოლის პოპულარიზაციას ცდილობს და არსებულთ საკმარისი სისწორითა და გაბედულებით აკრიტიკებს. „სახალხო სკოლები,—წერს დავით აბდუშელიშვილი, — მგონია მისთვის უფრო გახსნეს ჩვენში, რომ წარდგინებაში სასწავლებლის რიცხვი მეტად აღმოჩენილიყო და მტერს არ ეთქვა, კავკასიის განათლებაზე არა ზრუნავენო. სწავლა ჩვენებურ სკოლებში წერა-კითხვას ვერ აღემატება. ორიოდე რუსული ლექსი და სიმღერა თუ გაიზეპირა ბავშვმა, მერმედ ისიც უაზროდ, როგორმე კაჭკაჭივით, ის არის და ის. მით გათავდება მისი აღზრდა. თითქმის ყოველ ჩვენებურ სახალხო სკოლაში სრულებით მოუმზადებელი ოსტატი ასწავლის, რომელიც ან რომელიმე დაბალ კლასიდან გამოურიცხავთ, ან არა და ბევრი, ბევრი, თუ უეზდის სასწავლებლის კურსი მაინც შეუსრულებია. სახალხო სკოლების პროგრამაც იმნაირად არის შედგენილი, რომ ხეირიანი მასწავლებელიც ვერას გახდება“[46].

შემდეგ დ. აბდუშელიშვილი სრულიად სამართლიანადა და სწორად აკრიტიკებს ჩვენს სკოლას, რომელიც ახალგაზრდას თითქმის არაფერს არ აძლევს: „კურსდამთავრებულს არც ისეთი სწავლა გამოაქვს, რომელიც იმას გამოადგება ცხოვრებაში, და არც იმისთანა, რომ საზოგადოების ხეირიან წევრად გამოდგეს“[47].

„ჩვენი კურსდამთავრებული ყმაწვილი, — სამართლიანად აღნიშნავს დ. აბდუშელიშვილი, — უკეთეს შემთხვევაში შეიძლება ჩინოვნიკად გამოდგეს“. ეს ხდება, ავტორის მტკიცებით, იმიტომ, რომ პროგ-

---

[44] ნიკო ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საფუძვლები სახალხო განათლებისა, „იმედი“, 1882 წ., № 5, გვ. 8, 16.

[45] გ ა დ ა ღ მ ე ლ ი, ჩვენი სასოფლო სკოლები, „იმედი“, 1881 წ., № 5, გვ. 58.

[46] დ. ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ჩვენებური სასწავლებლის ეხლანდელი მდგომარეობა, „იმედი“, 1881 წ., № 2, გვ. 128—129.

[47] ი ქ ვ ე, გვ. 130—131.

რამას ადგენენ ისეთი პირები, რომლებიც ცხოვრებისა და ხალხის მოთხოვნილებას არ იცნობენ. სკოლა და მისი პროგრამები ხალხის ცხოვრებისა და ინტერესის გარეშე იდგა.

ჩვენი ხალხოსნები გარკვეულად მოითხოვენ, რომ სკოლის მოწყობაში თვით ხალხი ჩაებას, თვით ხალხის ცხოვრება, ინტერესი და გამოცდილება უნდა ასაზრდოებდეს სკოლას. „სწავლების მდგომარეობა, — წერს იგივე აბდუშელიშვილი, — მათი ბედი და იღბალი მთლად საზოგადოების ხელში უნდა იყოს; საზოგადოება უნდა ადგენდეს მათთვის პროგრამას, ირჩევდეს მასწავლებლებს და მართველებს და ინახავდეს სასწავლებელს თავის ხარჯით“[48].

ასეთსავე, უფრო გარკვეულ და უფრო რადიკალურ აზრს გამოთქვამს გადაღმელიც: „სკოლების ადმინისტრაციის ვალია,—წერს ის, — მოიწვიოს ხალხის წარმომადგენელი და იმათთან ერთად შეიმუშაოს სახალხო სკოლების პროგრამა“[49].

საგულისხმოა, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ ჩვენი ხალხოსნები კარგად ხედავდნენ, რომ ჩვენი ცხოვრებისათვის სკოლის უსაჭიროესი ტიპი უნდა ყოფილიყო სასოფლო-სამეურნეო სკოლა. ასეთ სკოლებს უნდა მიეკუთვნოს კარგი ფართო ნაკვეთი მიწა სასწავლებლად და საჩვენებლად ახლო-მახლო სოფლებისათვის.

„იმედის“ ჯგუფი კარგადა ხედავს, რომ მართალია, სკოლას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებისათვის, მაგრამ მის კარგ და სწორ ნიადაგზე დაყენებისათვის კიდევ ბევრი რამ არის საჭირო. „ჩვენ მხოლოდ იმ აზრისანი ვართ, — ვკითხულობთ „იმედში“,—რომ პირველყოვლისა ხალხის კეთილდღეობისათვის სხვა რამ არის საჭირო და მერე რიგიანად მოწყობილი სკოლა. სკოლაზე წინ დგანან: ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური ხალხის რიგიანი განწყობილებანი და შემდეგ სასწავლებელი. სანამ კაცობრიობის ბედ-იღბალი იმნაირ გზაზე იდგება, რომ ზოგს მეტის-მეტი სიმდიდრისაგან ჭკუა-გონება დაკარგული ექნება და უმეტესი ნაწილი კი დღითი-დღე ლუკმა-პურის მოპოების ფიქრში იქნება, სკოლას დიდი მნიშვნელობა არ ექნება“[50].

ჩვენს ხალხოსნებს კარგად ესმით, რომ სახალხო განათლების წინწაწევა ხელს შეუწყობს ხალხის კეთილდღეობას, ჩვენი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამიტომ სახალხო სკოლის დაარსება და იქ მუშაობა ჩვენი ხალხოსნებისათვისაც ერთ უმთავრეს მოვალეობად გადა-

---

[48] დ. ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ჩვენებური სასწავლებლის ეხლანდელი მდგომარეობა, „იმედი“, 1881 წ., № 2, გვ. 134.

[49] გ ა დ ა ღ მ ე ლ ი, ჩვენი სასოფლო სკოლები, „იმედი“, 1881 წ., № 5, გვ. 61.

[50] ჟურნალი „ი მ ე დ ი“, 1881 წ., № 6, ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზ. მოქმედ., გვ. 104.

იქცა, როგორც პრაქტიკულ მოღვაწეობაში, ისე მხატვრულ შემოქმედებაშიც.

ასევე ითქმის სოფ. მგალობლიშვილის მიმართაც.

ასეთსავე ცხოვრებისაკენ და ასეთსავე გატაცებით მიისწრაფვის სოფლის სკოლის მასწავლებლის ეკლიან გზაზე შემდგარი სოფ. მგალობლიშვილის მათე ლაშხი. მან თავისი ბედი მჭიდროდ დაუკავშირა მდაბიო ხალხის ბედს, შეიყვარა ხალხი. გმირულად იტანდა შიმშილს, წყურვილს, სიცივეს, შევიწროებას, დევნასა და ათას ვაივაგლახს.

ექვსი წლის ასეთმა თავგანწირულმა მოღვაწეობამ ლაშხი დასწვა და დაფერფლა ხალხის ბედნიერების სამსხვერპლოზე. ცოლის შერთვა, თანაზიარისა და თანამგზავრის მოძებნაც ვერ გაბედა, მასზე ოცნებაც კი მათეს თითქოს რაღაც ცოდვად მიაჩნდა. „ჩემისთანა კაცი ხალხისათვის უნდა ცხოვრობდეს. ის არის მისი საზრუნი, მას უნდა ეთაყვანოს... „აღიღე ჯვარი ჩემი და შემომიდექ მეო“, გვიმოძღვრა ქრისტემ... ეს უანდერძა ყველას, ვისაც კი გული შესტკივა კაცობრიობისათვის, მაგრამ განსაკუთრებით ჩვენ, სოფლის მასწავლებლებს, გვხვდება წილად ეს მოძღვრება“...[51]

კარგად ხედავს მათე ლაშხი, რომ მან ვერ შეძლო თავის მისწრაფებათა განხორციელება. გრძნობს გარშემორტყმულ დაბრკოლებებს და მათთან ბრძოლის სირთულეს, მაგრამ ყველაზე მტკივნეულად განიცდის ხალხის გულგადაუხსნელობას მისდამი, რასაც საერთოდ ყველა ხალხოსანი განიცდიდა. ხალხი ცხოვრების პირობებით შეწუხებული და გულგატეხილი იყო. არა სჯეროდა, რომ მისთვის ვინმე კეთილ ზრუნვას გამოიჩენდა. ამაში იყო, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, საშინელი ტრაგედია ხალხოსანისა, რომელიც თავის სიცოცხლესაც კი არ ზოგავდა ხალხისათვის, მაშინ, როცა ხალხი მისდამი უნდობლობას იჩენდა.

ამას მეტად მტკივნეულად განიცდის მათე ლაშხიც. „თუ ვერ გავაკეთე, რაც ჩემს გულს სწადდა, — ამბობს იგი, — ბრალია თვით ცხოვრების, რომლის გარდაქმნა ძნელია. ვერც გავაკეთებდი იმას, რაც მწადდა: ხალხი პატივსა მცემს, ვატყობ უყვარვარ, მაგრამ გულს არ მიხსნის. არ მენდობა. ნდობა მასთან მე კი არ დამიკარგავს, დაუკარგავს ჩემს წინაპარს, ჩემს პაპას, ჩემს მამას... მე ხალხისათვის მისი შვილი არა ვარ, თავი დაუხწევია ჩემს წინაპარს იმ ჭაპანიდამ, იმ უღლიდამ, რომელსაც ხალხი ეწევა, ხელი აღარ შეუშველებია მისი მძიმე ტვირთისათვის, არ შეუმსუბუქებია იგი; ეს გარემოება ღრმად ჩასჭედვია ხალხს გულში, შვილითი-შვილად გადასცემია და ნაყოფს მე ვიგემებ“[52].

---

[51] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, საფლავში ჩამომძახე, რჩეული მოთხრობები, 1951 წ., გვ. 639.

[52] ი ქ ვ ე.

ეს განცდა, სინდისის ქენჯნა არა მარტო მონანიე აზნაურს ახასიათებს, არამედ იმასაც კი, ვინც ოდესღაც დაბალი ფენებიდან გამოსულა და, თავისი თუ წინაპრის პირადი კეთილმდგომარეობის შექმნის შემდეგ, ხალხთან კავშირი შეუნელებია. ასეთია მათე ლაშხი.

ეს სახე ახლი სხვაობაა ხალხოსნისა, ქართულ ლიტერატურაში განვითარებული.

მათე ლაშხი კარგად იცნობს ხალხის ცხოვრების მაჯისცემას, ხერხიანად იხედება მის გულის სიღრმეში, გლეხის საიდუმლოებრივ, დაფარულ და გამოურკვეველ სურვილებსაც კი კითხულობს. მან კარგად იცის, რომ ამ ეკლიან გზაზე სიარული უფრო ადვილი და მიზნის მიმღწევი იქნება, როდესაც ახალი, ადამიანური ცხოვრების მოციქულად გამოვა თვით ხალხის ღვიძლი შვილი — მისი „სისხლი სისხლთაგან და ხორცი ხორცთაგან". ამგვარი მოქმედი რაზმის შექმნისაკენ იყო მთელი ყურადღება ხალხოსნებისა მიქცეული, ხოლო პრაქტიკულ მოღვაწეობაში ხშირად დამარცხებული. „აი, ჩემმა ჭკვიანმა პეტრემ, ჩემმა სანატრელმა მოწაფემ, — ოცნებით ამბობს მათე, — ჩემი ადგილი რომ დაიჭიროს, მაშინ იმას ხალხი ჩაახედებს თავის გულში, თვითონაც პეტრეს გულში ჩაიხედავს, მათი გულის სიმები გადიბმის, სიყვარული და ერთობა ნდობით შეიმოსება და ხალხი აღდგომის გზას დაადგება. ჩემიც სჯერა, სწამს ჩემში თავისადმი სიკეთე, მაგრამ ცალყბივ ემორჩილება ჩემს რწმენას, ჩემს აზრებს; თავის ღვიძლი შვილი კი სულ სხვაა, მხოლოდ იგი მოსწმენდს მას ცრემლებს... ეს არის ჩემი ექვსი წლის დაკვირვების შედეგი"[53].

ამიტომ და ამ მიზნით მათემ შემოიკრიბა ხალხის ნიჭიერი შვილნი (პეტრე, თედო და სხვანი), რომელთაც გატაცებით ამზადებდა მომავალი ბედნიერი ცხოვრების კეთილი თესლის მთესველად.

მიუხედავად იმისა, რომ მათე ლაშხმა ყველაფერი უანგაროდ შესწირა ხალხს, სიცოცხლეც კი, დაუზოგველმა, თავდადებულმა შრომამ და კეთილშობილურმა გამუდმებულმა წვამ მოტეხა მისი სიღარიბესა და ნაკლულევანებაში გამოზრდილი ორგანიზმი, მაღალი და მტკიცე რწმენა, რომ მისი ეკლიანი გზა ერთადერთი გზაა, რომელიც მისცემს ხალხს კეთილდღეობას, მას მაინც ბოლომდე რჩება. თვით სიკვდილიც ამას მისი გულიდან ვერ ამოგლეჯს. „მწამს აღდგომა ხალხისა,—სიკვდილთან ბრძოლის დროს ეუბნება მათე თეკლეს,—იგი აღსდგება შენისთანა თავდადებულის მუშაკების მეოხებით... იარე ჩემებრ ეკლიანი გზით... არ არის მკვდარი, ვინც ხალხს შესწირავს თავს... ოოჰ! დიაღ, დიდად მწამს, აღდგება ხალხი და განაბნევს მტერსა თვისსა... მე მხო-

---

[53] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, საფლავში ჩამომძახე, რჩეული მოთხრობები, 1951 წ., 639—640.

ლოდ დასაწყისსა ვხედავ... ბედნიერი ხარ, ჩემო თეკლე, რომ იხილავ ხალხის წინსვლას“.

აი ის ღრმა რწმენა, რომელიც ანთებდა ხალხოსნებს და წყვდიად, უნუგეშო ცხოვრებაში გაუვალ და გაუთელავ გზას აკვალვინებდა. მათე ლაშხს, ამ ტიპიურ „ხალხის მოკეთეს“, ცხოვრებასთან გაყრის ჟამსაც კი საყვარელ არსებისადმი სხვა თქმა და სურვილიც კი არ მოეპოვებოდა, გარდა თხოვნისა: „საფლავში ჩამომძახე ჩემი ხალხის აღდგომაო“.

ასეთია გაბრწყინებული სახე სამოღვაწეოდ გასული ხალხოსნისა სოფ. მგალობლიშვილის ასახვით. ამ სახეში ჩაქსოვილია თვით ავტორის მისწრაფებანი. ეს მოთხრობაც ავტობიოგრაფიულ ჟანრს მიეკუთვნება.

5

სოფ. მგალობლიშვილს კარგად ესმის მათე ლაშხის მწუხარება. მწერალი გრძნობს, რომ ხალხის ნამდვილი წინამძღვარი უშუალოდ ხალხის წიაღიდან, მისი ცხოვრების ქარტეხილიდან უნდა გამოვიდეს. ეს იქნება ის, ვისაც ხალხი მთელი გატაცებითა და ნდობით გაჰყვება. ამ სახის ძიებაშია სოფ. მგალობლიშვილი. ამისათვის გარემო პირობებიც იყო საჭირო. აშლილი ცხოვრების პირობებს უნდა გამოეტარებინა თავის ქურაში ასეთი „მოკეთე“ და როცა 900-იანი წლებიდან მძლავრად დაჰბერა გამათავისუფლებელმა ქარმა, მძლავრად აამოძრავა ხალხის ცხოვრება, მაშინ იქმნება თვით ხალხის რიგებში მთელი კადრი ახალი ცხოვრების მჭედელთა.

სოფ. მგალობლიშვილის შემოქმედებითი თვალიც ადვილად ხედავს ამ გმირ მოკეთეებს და ნიჭიერად აქანდაკებს მოთხრობაში „და შეჰფიცეს...“

ეს პატარა მოთხრობა მშვენიერი სოციოლოგიური ტრაქტატია. აქ უფრო მკვეთრადაა გამახვილებული კლასობრივი წინააღმდეგობა. მტკიცედაა მთელს ნაწარმოებში გატარებული სხვაობა და დაპირისპირება ორი მოქმედი კლასისა—მშიერისა და მაძღრისა, რომელთა შორის არსებული გამწვავებული ბრძოლა ქმნის საზოგადოებრივ ცხოვრებას. გამარჯვება, ავტორის რწმენით, მშიერს, დაჩაგრულს ერგება.

მქადაგებელი—გლეხის შვილი ილიკო შველიძეა. სოფლიდან სოფელში დადის და ამზადებს ხალხს ახალი ცხოვრებისათვის. ხალხმა ის შეიყვარა და ნდობით აღჭურვა.

ილიკო მიდის სოფელ ნაკედლარში საქადაგებლად. სოფელმა თავი მოიყარა ერთ ეზოში და სულგაკმენდილი ყურის საგდებლად მოემზადა, გაისმა რიხიანი, თამამი და მტკიცე ხმა ილიკოსი.

„დღეს მე იესოს სიტყვებით დავიწყებ ბაასსა, — მიმართა ილიკომ ხალხს.

„ნეტარ ხართ თქვენ, რომელთა გშიათ აწ, რამეთუ განსძღეთ; ნეტარ ხართ, რომელნი სტირით აწ, რამეთუ იცინოდეთ“...[54] აი ფორმულა და მრწამსი, რომელიც ამოძრავებს ილიკოს (და თვით ავტორსაც, როგორც ხალხისანს). მაგრამ საინტერესოა ის მკაფიო, მარტივი,შესაფერი და დამარწმუნებელი განმარტება ამ მოყვანილი თქმისა, რომელსაც ილიკო აძლევს შეკრებილ ხალხს და რევოლუციონურ ალს უკიდებს მათ გულს: „ამხანაგებო—უხსნის ხალხს ნათქვამის შინაარსს ილიკო,—დღეს გვშიან ჩვენ, ვტირით და ვვაებთ იმიტომა, რომ ყოველივე წართმეული გვაქვს. ჩვენ ვმუშაობთ, ოფლსა და სისხლს მიწას ვაწვიმებთ. სხვა კი ჩვენს ნამუშევარს იმკის, სხვას მიაქვს; აბა მიიხედ-მოიხედეთ — რას არ ვამზადებთ, ყველაფერი ჩვენგან არის გამზადებული, სხვა კი ძღება, სუქდება. მადლობისა და შეწყალების მაგივრად, გვლანძღავენ, გვაგინებენ. ცხვირპირში ძმარს გვადენენ. ყოველივე ეს ჩვენი ქალაჩუნობის ბრალია. გამოცდილებით ვიცით, რომ ყველა პირუტყვი, ყველა მწერი, სულ პაწაწინა ჭიანჭველაც კი ამხედრდება იმის წინააღმდეგ, ვინც იმას ხელს შეუშლის... ჩვენ კი როცა გვაწამებენ, როცა პირში გვაგინებენ, როცა ცხვირში ძმარს გვადენენ, ფეხქვეშ ვუცვივით ჩვენს მტარვალებს, ხელფეხს ვულოკავთ, რა არის არ ჩამოგვართვან მიწა, ის მიწა, რომელიც ჩვენია, ხალხისა და არა რომელიმე კაცისა“[55].

ახლა ხალხი და თვით ავტორიც რწმუნდება, რომ მარტო წყნარი, კულტურული მოღვაწეობით არ შეიძლება არც მიწისა და არც თავისუფლების მოპოვება. საჭიროა ძალას ძალა დაახვედრონ. უძალოდ და უმსხვერპლოდ მშრომელი ჩაგვრის უღლიდან ვერ გამოვა, ერთობა ვერ დამყარდება.

ამიტომ ილიკო ასე მიმართავს ხალხს: „მივბაძოთ პირუტყვებს, ხელი შევუბრუნოთ მტარვალებს, გვეყო შიმშილი, ახლა განვსძღეთ სულითაც და გულითაც; გვეყო ტირილი, ახლა ვიშვათ, ვიხაროთ სულითა და ზორცითა. შიმშილს გაძღომა მოსდევს, ტირილს მხიარულობა, ორთავეს—შიმშილსაც და ტირილსაც ჩვენვე უნდა ვუწამლოთ... ჩვენ უნდა ყველანი, მთლად ყველა სოფლები გადავაბათ ერთობის ჯაჭვითა, მაშინ ვერაფერი ვერ დაგვძლევს. მართალია, არ დაგიმალავთ, ეს ერთობა ბევრს ჩვენგანს შეიწირავს, ბევრისაგან ბევრი უმანკო სისხლი

---

[54] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, და შეჰფიცეს, რჩეული მოთხრობები, 1951 წ., გვ. 647; სოფ. მგალობლიშვილისა და ზოგიერთი სხვა ხალხსნის შემოქმედებაში ხშირად ვხვდებით სახარების ციტატებსა და ფრაზებს. ეს აიხსნება არა იმით, რომ მათ სწამდათ ღმერთი და ქრისტე (პირიქით, ისინი წინააღმდეგნი არიან ამგვარი რწმენისა. ეს გარკვეულად ჩანს მათ შემოქმედებაში; ამასვე ადასტურებს ბიოგრაფიული მონაცემები), არაშედ იმით, რომ ისინი სასულიერო სემინარიაში არიან აღზრდილნი. ამის გარდა, შესაძლებელია ეს მათთვის ერთგვარი ნიღაბიც იყოს.

[55] ი ქ ვ ე, გვ. 648.

დაიღვრება, მაგრამ გამარჯვება ჩვენია, ბრძოლის ველიდგან ბოლოსა და ბოლოს ბევრისაგან ბევრს გავიტანთ"[56].

იმედი და გამარჯვების აუცილებლობა ხალხის შეგნებაში მტკიცედ ჩაიჭედა. და ეს გამარჯვების მოლოდინი აწლა მარტო გრძნობის აღგზნებითა და მონობის უღლის სიმძიმისაგან თავის დაღწევის სურვილით არ აიხსნება! მისი ლოგიკური დასაბუთებაც უკვე ხალხისათვის აშკარა და გასაგები გახდა. ბრძოლა გლეხობისა სტიქიური ფაზიდან გადადის მწყობრ, გარკვეულ, გეგმიან ბრძოლაზე: „ამხანაგებო, — უხსნის ილიკო ხალხს, — ღმერთს არ გაუჩენია არც ბატონი, არც ყმა, არც მონა, არც მდიდარი და არც ღარიბი. ყველა ეს ჩვენი გაჩენილია, ყველა ეს ჩვენი უგუნურობის ნაშობია... მიწა, აი ეს დედამიწა, ჩვენი სისხლითა და ოფლით მორწყული, არავის საკუთრებად არ გაჩენილა, ამას ერთი ვინმე ბატონ-პატრონად არ ჰყოლია; იგი ჩვენისავე უგუნურებით რამდენისამე ხელში ჩავარდნილა. მიწა იმისია, ვინც იმას ამუშავებს, ვისაც იმაში ოფლი და სისხლი უწვიმებია და ასე უნაყოფიერებია იგი... მაშ მ ი წ ა ხ ა ლ ხ ი ს ა ა, ს ა ე რ თ ო ა!.."[57]

გლეხობაცა და მათი მოკეთე ხალხოსნებიც კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ბრძოლა მიწის მიღებისათვის, ბრძოლა ეკონომიური კეთილდღეობისათვის შეუძლებელია ხალხმა აწარმოოს, თუ ის პოლიტიკურადაც არ განთავისუფლდება. ხალხის ეკონომიურად თანასწორი და უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის საჭიროა არსებული ბიუროკრატიული წყობილების დამხობაც. ამისათვის სოციალურ-ეკონომიურ ბრძოლასთან ერთად—ბრძოლა პოლიტიკურიც! აი ლოზუნგი, რომელმაც 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან მძლავრად გაჟღინთა ატმოსფერო ცხოვრებისა და მძლავრად ასუნთქა თავისუფლების მაძიებელი ხალხის მასები რუსეთში და ჩვენშიც.

ხალხის ასეთი სულისკვეთება მშვენივრადაა ასახული სოფ. მგალობლიშვილის მიერ მოთხრობაში „და შეჰფიცეს..." „მაგრამ, რას ვაქნევთ, ამხანაგებო,—აგრძელებს ილიკო თავის ახსნას, — ცარიელ-ტარიელ მიწას... თუ ბატონის ჩიბუხი კვლავ კბილებს ჩაგვამტვრევს, თუ კვლავ ჩვენი სული და გული მარწუხებში იქნება გათანგული!... მაშ მიწასთან თავისუფლებაც უნდა, რომ ხალხმა ფრთა გაშალოს... მაშ, ამხანაგებო, მიწა და თავისუფლება!.. — მოვიპოვებთ მიწას და თავისუფლებას,—განაგრძო კვლავ ილიკომ, — მოვიპოვებთ შვებას, სიცოცხლეს, სიხარულსა, მოვრჩებით ტირილსა და ვაი-უშველებელსა... მაშ „ნეტარ ხარ თქვენ, რომელთა გშიან, რამეთუ განსძღეთ; ნეტარ ხართ, რომელნი სტირით, რამეთუ იცინოდეთ"..."[58]

---

[56] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, და შეჰფიცეს, რჩეული მოთხრობები, 1951 წ., გვ. 648—649.

[57] ი ქ ვ ე, გვ. 649. ხაზი ჩვენია.

[58] ი ქ ვ ე.

თუ ასეთია მომავალი ჩაგრულთა და მშიერთა, თუ მომავალში გამარჯვება და სიხარული იმათ მხარესაა, სამაგიეროდ. სოფ. მგალობლიშვილის გაგებით, მძიმეა და საკვალალო მომავალი აწ მაძღართა, მჩაგვრელთა და ჩაგვრით ბედნიერებისა და სიამოვნების მომხვეჭთა. ამიტომ ჩასუქებულ ისაკს (სოფლის წურბელას) და მისთანებს ილიკო (თვით ავტორი) სრული რწმენით ასე მიმართავს: „ვაი თქვენდა, გამძღარნო აწ, რამეთუ გშიოდეს, ვაი თქვენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდეთ". აი თქვენზეა ეს ნათქვამი, მდიდარნო და ფუფუნებაში აღზრდილნო. თქვენ ნებით არ დაემორჩილებით ერთობის ძალას, ამიერიდან დადგა დრო თქვენის შიმშილისა, თქვენის გლოვისა და ტირილისა; იგემეთ, როგორია შიმშილი, როგორია შრომა, როგორია სისხლის ცრემლით ტირილი"[59].

სოფ. მგალობლიშვილი თითქოს რაღაც მისნობით შლის დიდი რევოლუციის ხანის სურათს, რომლის მოწმენიც ჩვენ შევიქენით. თითქოს მშრომელის მძლავრი, გამარჯვების მძლავრი წინაგრძნობა შეუცნობელს აცნობიერებს, ფანტაზიას რეალურად აქცევს.

ეს ახალი მოძღვრება მძაფარად მოედო სოფლებს, „მიძინებულმა დევმა გაიღვიძა, შეკრულ-შებოჭილმა ამირანმა ხელები აითათა და აი თავის ახს ითხოვს"... — ათავებს სოფ. მგალობლიშვილი ამოძრავებული სოფლის აღწერას.

ილიკოს თან იუდაც სდევდა. ილიკოს იდეების წინააღმდეგ დარაზმული იერიშები მიჰქონდათ; ილიკოსა ჰკლავენ, მის სახლ-კარს ცეცხლს აძლევენ. მტარვალები ილიკოსა და მისი ოჯახის დაღუპვის დროს, გამარჯვების კმაყოფილებით დამთვრალნი, ტაშს უკრავდნენ და ვაშას დასძახოდნენ. მაგრამ, ხალხის გული ილიკოს იდეებით ანთებული, ვეებერთელა ცეცხლად გადაიქცევა, შეარყევს მთელს სამყაროს, ვით მძლავრი ვულკანი, ამოხეთქს ხალხის გულიდან საუკუნეებით დაგროვილი ვაივაგლახი, გაბოროტება და წალეკავს მაძღართა სამეფოს თავისი ნებივრობითა და ფუფუნებით, უზრუნველყოფითა და ძალმომრეობით; ააფრიალებს ნამდვილი ძმობის, ერთობის, თავისუფლების დროშას! დაანგრევს და გადაჰბუგავს საუკუნეებით დაწნულ ზღუდეებსა და აღთქმულ ქვეყანაში შეიყვანს ტანჯულ ხალხს ჭეშმარიტი ცხოვრების აშენებისათვის.

აი, ესაა მთავარი მისწრაფება ხალხოსნების მოღვაწეობისა, ესაა რომ აღაფრთოვანებს მათ, ძალასა და შინაარსს რომ აძლევს მათ საქმიანობას, მკითხველსაც რომ ასე იტაცებს. ამით აიხსნება, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე ქართულ ლიტერატურაში იშვიათი მწერალი გადარჩა, რომ ხალხოსნური მიმართულების გავლენა არ განეცადა.

---

[59] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, და შეჰფიცეს, გვ. 650.

ესევე მისწრაფებაა ხალხოსან მწერლებს და, კერძოდ, სოფ. მგალობ-ლიშვილსაც პოეტური ინტუიციას რომ უბორკავდა; მათ მხატვრულ აღმაფრენას ფრთას რომ აკვეცავდა და უტილიტალური ტენდენციებით ტვირთავდა.

მიუხედავად ამისა, სოფ. მგალობლიშვილის შემოქმედებას მაინც თვალსაჩინო პოეტური ღირებულება ახასიათებს.

სოფ. მგალობლიშვილი, როგორც მოცემული მოკლე მიმოხილვიდა-ნაც შეგვეძლო დაგვენახა, ხალხოსანი მწერლების მხატვრული შემოქ-მედების დამახასიათებელი სტილური ნიშნების მატარებელია.

ის ეპოქის მღელვარე თემებს ეხმაურებოდა, გლეხკაცის უშუალო ცხოვრებისა და მისი ენის (ქართული დიალექტის) ზედმიწევნით ცოდ-ნით და რეალური კოლორიტის დაცვით ცოცხლადა და დამაჯერებლად შლიდა გაჭირვებული გლეხის მდგომარეობას. მის შემოქმედებაში ზედ-მიწევნით შერწყმულია მხატვრობა პუბლიცისტიკასთან. ისიც თავის მისწრაფებებს ლოზუნგის სახით იძლევა მთავარი მოქმედი პირის, ან ლირიკული ადგილების საშუალებით. ძირითად ჟანრად სოფ. მგალობ-ლიშვილი იყენებს სოციალურ მოთხრობას, ნარკვევს, სადაც მწერალი გლეხის ცხოვრების მარტო მხატვარი კი არ არის, არამედ მკვლევა-რი-სოციოლოგი. მის შემოქმედებაში მკითხველი უშუალობით განიც-დის სოფელს, მის ყოველდღიურ და ჩვეულებრივ მუშაობაში, ლხინში, ჭმუნვაში, გაჭირვება-მწუხარებაში; გრძნობს მისი ცხოვრების მაჯის ცემას.

ესაა დამსახურება სოფ. მგალობლიშვილისა, ამაშია მისი შემოქმე-დების დედააზრი.

იოსებ სიმონის ძე დავითაშვილი

1850—1887

იოსებ დავითაშვილი სოფ. რუისის (ხოლო ალექსანდრე ციციშვილის წინადადებით იოსების მამის სვიმონის გადასახლების შემდეგ სოფ. გარდატენის) მცხოვრები ყმა-გლეხის შვილი იყო.

იოსებ დავითაშვილი ქართული ლიტერატურის XIX საუკუნის 70—80-იან წლებში თავისებური და საგულისხმიერო მოვლენაა. ეს თავისებურება იმით კი არ არის გამოწვეული, რომ იოსებ დავითაშვილი, როგორც გლეხი, ოფიციალური ქართული ლიტერატურის რკალში შემოდის და მხატვრულ შემოქმედებას ეწევა. არა.

70—80 წლებში გლეხის, არა თავადაზნაურთა წრის წარმომადგენლის, სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობა არც ისეთი იშვიათი მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში. დან. ჭონქაძის შემდეგ, ხალხოსანი მწერლების უმეტესი ნაწილი, ე. წ. „დიაკვნის შვილები", მასობრივადაც კი გამოვიდნენ სამწერლო და სამოღვაწეო ასპარეზზე. მაგ.: ნიკო ლომოური, მიხ. ასათიანი, ზ. გულისაშვილი (შაქრო), სოფ. მგალობლიშვილი და სხვანი. მაგრამ ესენი, ასე თუ ისე, ჩამოშორებული იყვნენ გლეხთა წოდებას. ესენი გლეხთა წრიდან გამოსული მღვდლებისა და დიაკვნის შვილები იყვნენ.

ი. დავითაშვილი კი, არა მარტო ღარიბი, უღარიბესი გლეხის, არამედ ყმის შვილი იყო. ის სიკვდილამდის გლეხობასთან მჭიდრო კავშირში დარჩა. აი თვით პოეტი როგორ გვაცნობს თავის ბიოგრაფიას.

სოფლელი გლეხის შვილი ვარ,
მშადითა გამოზრდილია,
უქუდო ჩოხის ამარა,
ქალამნებ გაცვეთილია.
ობოლი დავრჩი დედ-მამას,
დრო მადგა გასაჭირია:
სადაცა ვარდსა დავეძებ
იქ მხვდება ეკლის ძირია.
მამაც ამ რიგად ტანჯულა,
ვით ვიტანჯები შვილია;
თუმცა სათქმელი ბევრი მაქვს,
ვერ გამიღია პირია[1].

---

[1] ი. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, გლეხის პასუხი, „ლექსები", 1927 წ., გვ. 110, აქ და შემდეგ მითითებულია ეს გამოცემა.

ი. დავითაშვილმა თავისით, მოჯამაგირეობით, შემდეგ ხელოსნობა-დურგლობითა და მეჩუქურთმეობით გაიკაფა ყოველდღიური ცხოვრების გზა. მას სკოლა არც კი უნახავს. აი რას შემოგვჩივის სიყრმიდგანვე ცხოვრებით გაწვალებული პოეტი:

მე ვინ მომაცლის იმდენსა,
გლეხმა ვისწავლო ანბანი,
დავჯდე და წიგნი ვიკითხო,
გავიგო ქვეყნის ამბავი!

მიწაა ჩემი ქაღალდი,
გუთანი — ბასრი კალამი
და მელნად — ტანჯვა წვალებით
ოფლი უზომოდ ნაღვარი[2].

ეს ხომ ტიპიური ამოკვნესაა ცხოვრება მოწყურებული გლეხისა.

წერა-კითხვა პოეტს უფროსმა დამ კეკელამ (ლექსში წოდებულმა მელანიად) შეასწავლა, ლექსში „გლეხის მასწავლებელი“ პოეტი ასე გადმოგვცემს თავის სწავლების დასაწყისს:

ქვაბის მურის მონალესით
მომიმზადა მელანია,
ხარის ბეჭი დაფად მქონდა,
მასწავლიდა მელანია.

ი. დავითაშვილის ცხოვრება ბავშვობიდან სიკვდილამდე კოშმარებით არის სავსე: მამის სიკვდილის შემდეგ ხან ბატონის სახლში მოსამსახურედ — მამის ოჯახის გამოსყიდვის ვალის გადასახდელად, ხან უფროს ძმა გიგოსთან ხელობის შესასწავლად, ხან ერთ ოსტატთან და ხან მეორესთან.

აი, თვითონ ი. დავითაშვილი როგორ აგვიწერს ცხოვრებას ძმის ოჯახში ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ნატო“. „რძალი ცეცხლის გენიაში ატარებდა საწყალს სოსოს (იოსებს.—მ. ზ.) და ყოველთვის იმას ცდილობდა, ან გაეგზავნა სადმე, ან გაეკეთებინებინა რამე, რომ არ დაესვენა და წვალებულიყო. ასე გასინჯეთ, სოსოს მოტანილი ოქროც არ მოსწონდა და ტყვიად მიაჩნდა. ყოველთვის იმ ცდაში იყო, რომ როგორმე იძულებული შეექმნა გაქცეულიყო სადმე და კიდეც გაიქცა ერთ სადღაც ქალაქში, მაგრამ გიორგიმ ისევ დააბრუნა... წამოიყვანა თავისთანვე, სადაც მან მრავალი მწუხარება და ტანჯვა გამოიარა ძმის სახლში რძლის გამო. მაგრამ სოსო მომთმენი იყო და ითმენდა ყველაფერს, თუმცა რძალი წამდაუწუმ მისძახოდა—„უხეირო და სახლის დამღუპველო“ და სხვა. ყველა ამასთან საშინლად სძულდა სოსოსაგან წიგნის კითხვა, რომელიც განუშორებლად ჯიბით ატარებდა „ვეფხისტყაოსანს“ და სხვებს. ამ უმეცარმა და ბოროტმა რძალმა, რომ მაზლთან ვერა გააწყო რა ავის ქცევით, ბოლოს ქმარს შეუჩნდა, რომ უთუოდ თავიდან მოი-

[2] ი. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, გლეხის პასუხი, გვ. 110—111.

შოროს, თორემ ის თვითონ მოშორდება ქმარს. მოთმინებიდამ გამოსულმა ძმამ და გახარებულმა რძალმა სოსო საშეგირდოდ მოამზადეს... ტანთ ჩააცვეს ერთი დაგლეჯილი რუსული პალტო, რომელიც სიძველის გარდა ისე იყო გაქონილი, როგორც ყასაბის წინსაფარი. თავზედ დაადეს რუსული ჩაჩი, რომელიც ორ სართულად იყო გაყოფილი: ერთი ჰფარამდა კინკრიხოს და მეორე თვალებზედ ჰქონდა ჩამოფხატული... ფეხს ჩააცვეს რაღაც ჯღანი, რომელიც მხოლოდ ფეხის ზურგს ჰფარავდა. ძირად კი ისევ მისივე საკუთარი ფეხის გულები ჰქონდა. შარვალიც სწორედ აღნიშნულ მორთულობასთან იყო შეხამებული მშვენივრად. ძმამ ამოურჩია ოსტატად ჩუქურთმის მჭრელი, ტომით რუსი, პეტრო ივანიჩ რუბცოვი"[3].

ასეთია მისი ცხოვრება.

მას ბავშვობიდანვე, როგორც ირკვევა, შინაგანი ძალა სწვავდა, სხვა სამუშაოსაკენ იზიდავდა. ცხოვრება კი მას მწარედ თავში უკაკუნებდა, ლუკმა პურისათვის ბრძოლის წვრილმანობაში ახრჩობდა. მაგრამ ამ უკეღმართმა ცხოვრების პირობებმა იოსებ დავითაშვილში ვერ ჩაკლა სურვილი სწავლისა, ცოდნის შეძენისა, პატიოსანი შრომით ლუკმის შოვნისა, ვერ ჩაკლა მოძმის დახმარებაზე ფიქრი და ზრუნვა.

პოეტს მარტო ხელობის ცოდნა არ აკმაყოფილებს, ის ეტანება სწავლას და ყველას ეევედრება ასწავლონ მას, ასწავლონ გლეხს, რათა ბნელი გაუშუქდეს. პოეტი დარწმუნებულია, რომ გლეხის შვილსაც არ აკლია ნიჭი და ამიტომ:

> გეხვეწებით სწავლა მომცეთ მცირია,
> რომელიც რომ გლეხისათვის ძვირია,
> სწავლა მინდა, მე არა გთხოვთ ფულებსა,
> გთხოვთ, მასწავლეთ, ნუ ჩამოჰყრით ყურებსა[4].

ი. დავითაშვილის ლექსი ხალხურია ენითაც, თემითაც, ჟანრითაც და ლექსწყობითაც.

კარგი მცოდნე გლეხის ცხოვრებისა, ნიჭისა და სურვილებისა ი. დავითაშვილი მთელი მოღვაწეობის მანძილზე ფარვანასავით დასტრიალებს გაჭირვებულს, არაფრის მქონე გლეხს და ურჩევს მას ამგვარი ცხოვრებისაგან თავის დაღწევის მიზნით ისწავლოს. ეს ძირითადი მოტივია ჩვენი პოეტის შემოქმედებაში. ეს ხომ კულტურტრეგერი ხალხოსნისათვისაც ძირითადი იყო.

> ეცადე სწავლა მიიღო,
> იგი ცხოვრების ხიდია,
> მაშინ გეშველოს ძირს დასღო,
> ეხლა რომ ტვირთი გკიდიან.

---

[3] ვსარგებლობთ ნ. მთვარელიშვილის მიერ შედგენილი ბიოგრაფიით.
[4] ი. დავითაშვილი, მეხრეთა ვარ, გვ. 122.
[5] ი. დავითაშვილი, დატვირთულ მუშას, გვ. 81.

ენერგიულად შთააგონებს ი. დავითაშვილი გლეხობას.

ეს უსწავლელი გლეხი, დურგალი, გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ცივილიზებულ ქვეყნებს, მათ კულტურულ წინმსვლელობას. მოძმეთ მოუწოდებს მიბაძონ მათ, აღნიშნავს, რომ ისინი, ეს კულტურული ქვეყნები, დაწინაურებულნი არიან სწავლითა და მისი მონაპოვრებით. აქ ი. დავითაშვილი უდავოდ თერგდალეულთა გავლენას უფრო განიცდის, ვიდრე ხალხოსნებისას. პოეტი გულწრფელად მიუთითებს თავის ჩამორჩენილ მოძმეთ ამ ხალხების პრაქტიკიდან აიღონ მაგალითი კულტურული ცხოვრების შექმნისათვის, გაზეთის გამოცემისათვის და სხვ.

ი. დავითაშვილს კარგად ესმის, რომ გაზეთი, როგორც ყოველდღიური ცხოვრების გამომხატველი, საჭიროა არა მარტო პრივილეგიური კლასების წარმომადგენლებისათვის, არამედ უფრო მასებისათვის. ი. დავითაშვილმა კარგად იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაზეთს მასების ინტერესების გაერთიანება-გაღრმავებაში. ამიტომ გაზეთი უნდა შეიქმნეს იაფფასიანი, „შაურად გახდეს“, რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს.

ი. დავითაშვილი ზარმაცობას, დაუდევრობას უკიჟინებს თავის თანამოძმე მუშებს, რომელნიც გაიძახიან:

> გაზეთი მუშას რათ უნდა,
> უნდა ჰქონდეთ მღვდლებსაო.
> ვაჭრებსა და „ჩინოვნიკებს“,
> უქმად მსხდომარებსაო.

პოეტი აქ ერთგვარი მწარე ირონიით კლასობრივ ურთიერთობას აღნიშნავს. მღვდლებს, ვაჭრებს და „ჩინოვნიკებს“ გლეხთა მოწინააღმდეგეთა ბანაკში ათავსებს.

პოეტის შეხედულებით, როცა მუშები ამ მავნე, ჩამორჩენილ შეხედულებას დააღწევენ თავს, მიჰყვებიან სწავლას, გაიგებენ მის გემოს, მნიშვნელობას, მაშინ შრომაც გაუადვილდებათ. პოეტი იმედიანად ეუბნება გაჭირვებულს:

> ღღეს რომ გვწველის უმეცრება,
> ის ვეღარ მოგვწველსო.

ი. დავითაშვილი გაჭირვებული გლეხის ცხოვრების ღვიძლი შვილია. მან კარგად იცის კაპიტალიზაციის პროცესით დარღვეული სოფლის ავ-კარგი, კარგად იცის, რომ შრომისაგან წელში გაწყვეტილი, ილაჯგამოლეული გლეხი ყველას ხელში ექსპლოატაციის საგნადაა გადაქცეული. აი, გლეხს პოეტი თავის მდგომარეობაზე როგორ ალაპარაკებს:

ჩვენ ვშრომობთ, მიწას ვმუშაობთ
უღლის ქვეშ, როგორც ხარია,
მაგრამ სხვას რჩება ნაშრომი,
დაფქვილი, გამომცხვარიო[6].

ან კიდევ:

ღარიბი შრომობს მუდამ დღე,
ჭირს ითმენს მრავალგვარსაო,
იცის, რომ შრომით გაიკვლევს
ამ სოფლის ავსა გზასაო.

გლეხი თვით რჩება, სხვას არჩენს,
თაყვანს სცემს მაცხოვარსაო,
არ ერიდება ნაზიკით,
არც ავდარს, არცა დარსაო[7].

ვინ არაა მისეული გლეხზე? ვინ არ აწუხებს მას? მემამულე, მღვდელი, მაძასახლისი, ნაცვალი, ვაჭარი. ი. დავითაშვილს გლეხის მტრად განსაკუთრებით ვაჭარი, ეს ახალი ცხოვრების ბატონი, წურბელა, მიაჩნია.

ი. დავითაშვილი განიცდის რა ხალხოსნების დიდ გავლენას, დგება მათი მსოფლმხედველობის საფუძველზე, უარყოფითად უყურებს ქვეყნის კაპიტალიზაციას, მასზე აღმოცენებულ ვაჭართა კლასს (უფრო მხედველობაში ჰყავს ჩარჩი) და გაშლილ კაპიტალისტურ ექსპლოატაციას. ეს მოტივი ხომ დამახასიათებელი იყო რუსი ხალხოსანი მწერლებისათვის და ჩვენებისათვისაც (უკანასკნელთათვის უფრო შენელებული კილოთი).

აი როგორ დამახასიათებელ ფერებში გვაძლევს ი. დავითაშვილი ვაჭრის მიერ გლეხის შევიწროებას:

ღაღუა მოვა წაიღებს
პურის მშვენიერ ხვავსაო,
ისე გაჰყვლეფავს საწყალ გლეხს,
ცრემლებს მოადენს თვალსაო.

ვაჭრები კი სხედან დუქანში, კარგად ცხოვრობენ და „ჭირი არ ესმით სხვისა“.

შემოდგომაზე, როდესაც გლეხი წლის ნაამაგარს აიღებს, მას ყორნებივით დაეხვევიან პარაზიტები: მემამულე, მღვდელი, სახელმწიფო. უდიერად ყვლეფენ და ცარიელზე ტოვებენ მას. ესეც დამახასიათებელია ხალხოსანი მწერლებისათვის.

მაზედ მეტს მოვალესაო,
კულუხს აძლევენ თავადებს,
და თუ გადარჩა მცირე რამ,
ის მიაქვს ერს და მღვდელსაო.

წლის სარჩოს დაინარჩუნებს
სიმინდსა ანუ ფეტვსაო,
ამისთვის წვალობს საწყალი
წელიწადს, თორმეტ თვესაო[8].

---

[6] ი. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, წელიწადის ოთხი დრო, გვ. 90.
[7] ი ბ ი ვ ე, გვ. 91.
[8] ი ბ ი ვ ე, გვ. 93.

დაირღვა ნატურალური ყოფა. დაირღვა, განადგურდა გლეხის, ისედაც მცირე, უვარგისი მეურნეობა. სოფელი ვეღარ ინახავს გლეხს. ჩნდება ქალაქი. იქ უფრო შესაძლებელია თავის გატანა, თუ ფიზიკური ძალა შერჩენილი აქვს გლეხს. გაჭირვებული, უილაჯო, თავის თავდაუზოგველი, ცდილობს გადაეშვას ქალაქის ცხოვრების მძიმე ტალღებში. ხედავს, რომ იქ ქალაქში შეიძლება მან ახალ ცხოვრებასთან საბრძოლველი იარაღი — სწავლა, ან ხელობა რამე. როგორმე შეითვისოს. აი, როგორი უშუალობით გადმოგვცემს პოეტი ლექსში „ჯეჯილი" გლეხის ამ ნატვრას:

ნეტავ აქ არ მამყოფა,
ქალაქში ჩამიყვანაო:
მასწავლა რამე ხელობა,
მასწავლა ანა-ბანაო.

მარტო აღნიშნული მხარეები კი არ არის გლეხის შემავიწროებელი პირობები. ი. დავითაშვილმა ცხოვრება მთელი თავისი ვაითა და ვაგლახითა ზედმიწევნით განიცადა! ი. დავითაშვილი, როგორც მისი თანამედროვე ხალხსანი მწერლები, ცდილობს აღნუსხოს გლეხის ცხოვრება, მისი დამაბრკოლებელი მოვლენები. პოეტი, როგორც გლეხისა და სოფლის მესაიდუმლე, უშუალოდ გვიჩვენებს გლეხის ცხოვრების სხვა ბნელ მხარეებსაც, რომლებიც შემხუთავ გარსსავით შემოჰკვრია მის ცხოვრებას და გასაქანს არ აძლევს. ესაა: გაუნათლებლობა, კულტურული ჩამორჩენილობა, ცრუმორწმუნეობა, რომელიც მისი ეკონომიური ცხოვრების უილაჯო მდგომარეობაში რაღაც მძიმე კოშმარის ხასიათს იღებს და, ისედაც მოლიპულ გზაზე მყოფ გლეხს, უფსკრულისაკენ მიაქანებს.

ესაა—მკითხავი, ხატი—გლეხის უილაჯობის მალამო. რელიგია ხომ, ჩვეულებრივ, უილაჯობის საფუძველზე ვითარდება. ი. დავითაშვილი ხედავს ამ საშინელ მაჯლაჯუნას, გლეხის ტვინსა და გულზე დაწოლილს. ესაა ხშირად მიზეზი გლეხის ვალში ჩაკვლისა, ეკონომიურად განადგურებისა. ასე გადმოგვცემს პოეტი თავის ტკივილს:

კითხავის რჩევა წყალობით
მიდიან გერის-თავსაო,
წამოაქცევენ, დაჰკლავენ
საცოდავ მშრომელ ხარსაო.
. . . . . .
ფული სჭირდებათ — ეძებენ
მოშეს, ან აღალოსაო.
ვენახი მსხმოიარე აქვთ,
მან ფული ავალოსაო.
ღმერთს შეჰფიცებენ, მისცემენ
თავნის სწორ სარგებელსაო.
პირობას სდებენ ორივე,
აწერინებენ მღვდელსაო...
ადვოკატ მღვდელსაც ეს უნდა,
ორნივ ითბობენ ხელსაო[9].

---

9. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, წელიწადის ოთხი დრო, გვ. 92.

ი. დავითაშვილი, უდავოდ, ამჩნევს კლასთა შორის ინტერესთა წინააღმდეგობას, მათ შორის ბრძოლას, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ამ მოვლენის ნამდვილი ხასიათი და მიმართულება. ვერ შეუგნია მუშის პოზიციისა და როლის რევოლუციონური, შეურიგებელი ბრძოლის ხასიათი. ის კარგად ხედავს, რომ, თუმცა ბატონყმობა გადავარდა, გლეხი გათავისუფლდა, მაგრამ ეკონომიური უილაჯობა გლეხს მაინც მემამულის ხელში ექსპლოატაციის საგნად აყენებს; მაინც გარდაუვალი უფსკრულია გლეხებსა და მემამულეთა შორის; ძველი ურთიერთობა გლეხებს და ბატონს შორის თითქმის უცვლელი რჩება. ამ გარემოებაზე ი. დავითაშვილი გლეხს ასე ალაპარაკებს ლექსში „გლეხი და თავადი“:

თაყვანსა გცემ, მაშ რა გიყო,
მე უწყალოდ წამებულმა?
უნდა ძალაუნებურად
შემოგცინოს ჩემმა გულმა...
შეგიპყრივარ სუსტი მძლავრსა,
ვით შეიპყრიბს კატს ლომი,
ვით გავბედო, გაგიცხადო,
მე უძლურმა მძლავრი ომი?
მეც კაცი ვარ, შემიბრალე,
აღარ მიდგა მკლავში ღონე,
შენ კი ამბობ: რას დაეძებ,
მძლავრი ვარ და გამიგონე?

ი. დავითაშვილი მოწმეა ამ უთანასწორო ბრძოლისა „სუსტსა და მძლავრს“ შორის. კარგად ხედავს პოეტი, რომ ეს ბრძოლა, უფრო ჩაგვრა ძლიერისაგან სუსტისა, არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქადაც მძვინვარებს. საზოგადოება გაყოფილია ორ ბანაკად, ორ მოწინააღმდეგე კლასად—მაძღრად და მშიერად, სუსტად და ძლიერად, მდიდრად და ღარიბად. მან კარგად იცის, რომ მათ შორის გაუგებრობაა; კარგადა აქვს გამოცდილი ცხოვრებაში, რომ მშიერს მაძღარი ვერ გაუგებს: კარგად იცის, თვითონაც ხშირად განუცდია მდიდრების-მაძღრების მოპყრობა, როცა მათ დავრდომილი, ცხოვრების სიმძიმით გატეხილი, უილაჯო სასოებით მიმართავს:

გასწყრა მხეცი მდიდარი,
შეხტა, შემოსძახაო:
„გასწი, დაიკარგევი,
მაწანწალა გლახაო!
გაიგდო უბედური,
ლანძღა და გალახაო:
„წადი, იმან გარჩინოს,
ვინც რომ გამოგსახაო![10]

გაჭირვებულთა ცხოვრების კარგი მცოდნე ი. დავითაშვილი ასე გვიხატავს ღარიბსა და მდიდარს შორის ურთიერთობას. ამგვარ ცინიზმამდე მიდის მდიდარი! ასე აბუჩად ასაგდები გამხდარა ღარიბი! ხალხის ტკივილების მგოსანმა კარგად იცის, რომ ამ ღარიბის, დაბეჩავებულისა და დავრდომილის გამკითხავი, შემბრალებელი მხოლოდ მისი მსგავსივე ღარიბია.

ამიტომ, ის გარემოება, რომ ზოგი ხარობს და ზოგი კი ბნელს მარხია,

---

[10] ი. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ღარიბი და მდიდარი, გვ. 115.

პოეტს ცხოვრებას ჯოჯოხეთად გადაუქცევს. იგი ტკივილს ასე გამოთქვამს:

მე გულსა მწვავს ეს სოფელი,
ორნაირად გაყოფილი,
ბედით ჩაგრულს უღვთოთ სტანჯავს
თავის ბედით კმაყოფილი!11

მგოსანი წყრომითა და უკმაყოფილებით მიმართავს „ბედის წყაროს“:

რამ დაგაშრო, შე ოხერო,
ღარიბების ბედის წყარო?!
ამოდუღდი, რომ ქვეყანა
ერთნაირად გაახარო!12

ი. დავითაშვილი არა მარტო სოფელსა, მის მშრომელ და შევიწროებულ მოსახლეობას იცნობს კარგად, არამედ ქალაქსაც, მის მშრომელ მასას. ი. დავითაშვილი წვრილი ხელოსანია, დურგალი, მეჩუქურთმე. კაპიტალიზმის თანდათანობითმა განვითარებამ კი ხელოსნობა და ხელოსანთა ფენა შეავიწროვა. ჩვენი პოეტიც ამ შევიწროებული წვრილი ხელოსნის პროლეტარად გადაქცევის ტენდენციებს ასახავს. ი. დავითაშვილის მთელი სიმპათიები ამ ლუკმა პურისათვის მებრძოლის მხარეზეა, ვინაიდან, მისი შეგნებით, ეს ხალხი ცხოვრების ნამდვილი ბურჯია: ის ოფლსა ღვრის, ყველას პურს აჭმევს, თვითონ შევიწროებულია:

მუშის ოფლითა ირწყვება,
მინდორი, მთა და ქედია;
ის შრომობს — სხვები ძღებიან;
დაკარგული აქვს ბედია.

ჩასცქერის დედამიწასა,
მაღლა ვერ აუხედია;
დაჩუმდა — მუნჯი გვგონია,
თქვა რამე — ვამბობთ: უბედია.

ხელოსანთა შევიწროებასაც გრძნობს ი. დავითაშვილი და ჩივის:

ხელოსნობა არ გადის
დავალთ უსაქმურადა,
და თუ სადმე ვიშოვეთ,
უნდათ უფასურადა...
რა ვქნათ, ვეღარა ვცხოვრობთ
ახლა ძველებურათა.
შინ შიმშილით გვიკვდება
შვილი უძუძურათა,
შრომის ფასს ვეღარ ვიღებთ
ნაშოვნს ჩვენ ღღიურათა.
აღებო, გაიხარეთ,
თქვენ რომ არ გაწევთ ჯაფა!
ხელოსნები კი ვსტირით
ბედის კვერმა გვითაფა!13.

ი. დავითაშვილის მსოფლმხედველობა გაურკვეველია, თუმცა ის, როგორც ზევითაც ვაჩვენეთ, კარგად ხედავს კლასთა შორის წინააღმ-

---

11 დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ბედის წყარო, გვ. 119.
12 ი ქ ვ ე.
13 ი ქ ვ ე. გვ. 135.

დეგობას, მდიდრისაგან ღარიბის ექსპლოატაციასა და მისი სიმპათიები გლეხის, ღარიბის, შევიწროებულის მხარეზეა. მაგრამ მის შეგნებაში ჯერ კიდევ მუშა და წვრილი ხელოსანი ერთი და იგივეა. ხშირად მას მუშა, გლეხი და წვრილი ხელოსანიც გაიგივებული ჰყავს.

ეს აიხსნება შემდეგით: მუშა თავისი დამახასიათებელი ნიშნებით საქართველოს ცხოვრების სინამდვილეში ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული. იმ დროს მუშა მხოლოდ ჩნდებოდა, ფეხს იდგამდა. წვრილი ხელოსნობაც, ამასთან დაკავშირებით, თანდათან ირღვეოდა, პროლეტარდებოდა. ი. დავითაშვილი ცდილობს ამ დარღვეული წვრილი ხელოსნობის, რომელთა ექსპლოატაციას ოსტატები—„ხაზეინები" აწარმოებდნენ, ამხანაგობაში შეერთიბას.

იოსებ დავითაშვილი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ამათი ცხოვრების გაუმჯობესებაზე ზრუნავდა. ამ მდგომარეობის შესახებ წერს ის თავის „ყვირილაში" 1881 წელს: „ჩვენში ხელოსნობა ერთობ დავარდნილია, ასე რომ მომეტებული ნაწილი ქართველ ხელოსნებისა ლუკმის ფასსაც ვერ იღებს, თუმცა ჯაფა და წვალება მეტი აქვსთ, ვიდრე გარედან მოსულებს, ამისთვის რომ ყველა შემკეთებელი იმათთან გარბიან, „ზაგრანიცის მასტერიაო". ის კი არ იციან, რომ ის „ზაგრანიცის მასტერები" უხვევენ ხოლმე მათ თვალებს და თავიანთ მოძმეებისა კი ოქროც არ მოსწონთ. რასაკვირველია, რომ ხელობა დაეცემა. ჩვენს ხელოსნებს რომ თაოსნობა ჰქონდეთ, ან ჩამგონებელი ჰყვანდეთ ვინმე, ადვილი იყო ამათი დაყენება კეთილს გზაზე[14]...

ასეთ „კეთილ საქმედ" ი. დავითაშვილს მიაჩნდა წვრილ ხელოსანთა ამხანაგობა.

ხელოსანთა ამხანაგობის მოწყობა ი. დავითაშვილისათვის ოცნება იყო. ამ ოცნების განხორციელებისათვის ი. დავითაშვილი არც დროს, არც ენერგიას, არც მატერიალურ დახმარებას (თუ კი შეეძლო) არა ზოგავდა. სადაც მოვიდოდა, ამხანაგობის დაარსების ცდაში იყო.

1886 წელს ი. დავითაშვილი თელავში რომ ჩავიდა, მოახერხა იქ მომუშავე დურგლების შეერთება ხელოსანთა ამხანაგობაში. თვითონ იოსები ხელმძღვანელობდა მათ. როგორც ცნობილია, ამ ამხანაგობას არ უზარალნია. პირველსავე თვის ბოლოს ამხანაგებს მოგება გაუნაწილებიათ და თითოეულ ამხანაგს სამუშაო დღეში მანეთი რგებია. ეს კარგი ხელფასი იყო იმ დროს ისეთ პატარა ქალაქში, როგორიც თელავია. ამხანაგობა შინაურულად იყო მოწყობილი. საჭირო იყო წესდების კანონიერად დამტკიცებაზე ზრუნვა. ი. დავითაშვილს უგრძვნია, რომ ეს დიდი საქმეა და საჭიროა დახმარება გამოცდილი, ნასწავლი პირებისაგან და ამ მიზნით 1887 წ. ის შემდეგ წერილს წერს: „ბატონო რედაქ-

---

[14] ნ. მთვარელიშვილი, იოსებ სვიმონის ძე დავითაშვილი.

ტორო! ნება გვიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით გავუზიაროთ ჩვენი განზრახვა მკითხველ საზოგადოებას და რომელსამე ნასწავლ პირს, რომელიც უფრო დახელოვნებული იქმნება ქვემოხსენებულ საქმეში და ეცოდინება მისი ავ-კარგიანობა... ჩვენს ქართულ გაზეთ-ჟურნალებში რამდენჯერმე იყო დაბეჭდილი საჩივარი დურგლების სიღარიბეზედ და მათის ხელობის დაცემაზედ, რომლისთვისაც ვგონებ ჯერაც ვერა მოუხერხებიათ რა ტფილისელ ხელოსნებს; ასე რომ, რამდენიც დრო გადის, იმდენი უფრო ღარიბდებიან ჩვენი ხელოსნები და ხელობაც დღითი-დღე სიყალბეში შედის, რადგან ერთობ გულგრილად ექცევიან თვით ხელობის რიგიანად შესწავლას. ან ვისგან უნდა შეისწავლონ და გაიგონ რამე, როდესაც ასზედ ერთი კაციც არ მოიპოვება ჩვენში, რომელიც ყოფილიყოს უცხო ქვეყნებში, დაევლოს იქაური ქარხნები, ენახოს სხვადასხვა კარგი იარაღები და იქაურების მუშაობა, შემდეგ დაბრუნებულიყოს თავის სამშობლოში და ეჩვენებინოს რამე თვის მოძმეებისათვის?.. ამისთანა უსწავლელობის და გამოუცდელობის ბრალია, რომ ჩვენი ხელოსნები დღემდის ვერ მიმხვდარან თავიანთ თავის და ხელობის დაცემის მიზეზს და გამხდარან ჩარჩებისა და უცხოელთა ხელის შემყურებელნი... ამის გამო ჩვენი ხელოსანი, მართალია, შრომობს, მაგრამ რადგანაც ამ შრომას თვალსაჩინო ნაყოფი არ მოაქვს, ამისთვის მისდევს უანგარიშო სმა-ჭამას... უეჭველია, რომ შრომისაგან ნაყოფის მოუტანლობა კაცს ართმევს წარმატების სურვილს და უბნელებს ჭკვა-გონებას. მაშასადამე, საჭიროა გვყავდეს მცოდნე ხელოსნები, მაგრამ რადგან ჯერ ესენი არა გვყვანან და თუ გვყვანან, ერთობ ცოტანი, ამისათვის საჭირო არის, გარდა სახელოსნო სკოლებისა, შინაურს ქარხნებშიაც ვაქცევდეთ ყურადღებას და ამ გვარად ვამზადებთ მომავალს კარგ ხელოსნებს... ახლა ის ნაკლულოვანება, ბატონო რედაქტორო, მადლობა ღმერთს, მცირე ნაწილმა მაინც შევიგენით და გვინდა მივმართოთ იმ საშუალებას, რომელსაც ამხანაგობას ეძახიან... დღეს თელავში შევიყარენით ხუთიოდე ხელოსანი და გვსურს საამხანაგოთ ვიმუშაოთ. წესდება უკვე მზად გვაქვს. მხოლოდ არ ვიცი, ხუთის კაცისაგან შეიძლება ამხანაგობის დაწყება და წესდების დამტკიცება მთავრობისაგან თუ არა?.. ამისათვის მივმართავთ და ვსთხოვთ ჩვენს მცოდნე პირებს, ამ საქმისა გვაცნობონ რამე—ამტკიცებს მთავრობა ხუთის კაცისაგან შემდგარს ამხანაგობას თუ არა? ჩვენი ამხანაგობის მიზანი არის: ა) გაუმჯობესობა ხელოსნობისა, ბ) შეძენა მარჯვე იარაღებისა—კარგის ყალიბებისა და თარგებისა, გ) შეგირდების აღზრდა, როგორც ხელობით, ეგრეთვე ზნეობრივ და გონებით (ჩვენს ქარხანაში არ დაიშლება თავისუფალ დროს თავისთვის შუშაობა და რიგიანი, შინაარსიანი წიგნების კითხვა), დ) დახმარება ერთმანერთისა საჭირო დროს, ე) მუშაობა დანიშნულს დროზე და სხვა. აბა, ვისაც გული შეს-

ტკივა და უყვარს ჩვენი საწყალი ხალხი, მოგვცეს ძმური დარიგება და რჩევა“...[15]

ასეთს მიმართვას წერს ი. დავითაშვილი თავისი სიკვდილის ერთი თვისა და ოცის დღის წინ — 25 იანვარს 1887 წელს.

მართალია, იოსებმა დიდი ხნის მისწრაფება—მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება სურვილისამებრ ვერ მოახერხა, მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს პოეტის საუკეთესო ბიოგრაფი ნ. მთვარელიშვილი: „მისმა მუდმივმა საუბარმა, კითხვამ და წერამ გაუღვიძა მაინც მუშა-ხალხს ახალი აზრი შეერთებული შრომის სასარგებლოდ: დაარწმუნა ისინი, რომ რაღაც აკლიათ და ეს ნაკლი უნდა როგორმე თავიდან აიცდინონ შეერთებული მხნეობით“.

ეს პრაქტიკული მოღვაწეობა ი. დავითაშვილისა არა ნაკლებ ფასდაუდებელია. ამგვარი მიდრეკილებისა და შეხედულებათა გამომჟღავნებით ი. დავითაშვილს, ეჭვს გარეშეა, ახალი მოტივები შემოაქვს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ახალ მუშურ მოტივებში პოეტი გაურკვეველია. მის მიერ მუშა, როგორც თავისუფალი, ახალ ეკონომიური ურთიერთობაში წარმოშობილი და გარკვეული რევოლუციონური როლის მქონე ძალა არ არის განჭვრეტილი.

ი. დავითაშვილის მოქმედება ჩვენ გვეხატება, როგორც ახალი ძალის, მუშის ცხოვრების გმოხატულება თავის დასაწყისში, როდესაც ის ცხოვრობს თავისში და არა თავისთვის, როდესაც მას ჯერ არა აქვს გამომუშავებული თავისი ფსიქოიდეოლოგია, როდესაც ის ჯერ კიდევ გაბატონებული კლასების არტახებშია, ჯერ კიდევ ვერ უპოვნია თავისი თავი და თავისი გზა. ლიტერატურაშიც ის ასეთსავე ხასიათს ამჟღავნებს.

ასეთია ი. დავითაშვილი მუშის დახატვაში. მისი მუშა, რასაკვირველია, არა ჰგავს არც გრიგოლ ორბელიანის ბოქულაძეს და არც ილია ჭავჭავაძის მუშას. ი. დავითაშვილის მუშა უფრო უახლოვდება მისი დროის მუშას. ი. დავითაშვილი ერთგვარი, მეტად შორეული წინამორბედია დემოკრატიულ-რევოლუციონური პოეტებისა. ი. დავითაშვილის მუშას სრულიადაც არა აქვს წარმოდგენა თავის სიღარიბეზე, როგორც სამარცხვინო, დამამცირებელ რამეზე. მუშას სიღარიბე ავიწროებს, ცხოვრებისა და სიცოცხლის შესაძლებლობას არ აძლევს, მძიმე დაბრკოლებად ეღობება, სიღარიბისა მას სრულებითაც არ სცხვენია, როგორც ეს ახასიათებს კალაპოტიდან ამოვარდნილ, გაღარიბებულ პრივილეგიურ კლასთა წარმომადგენელთ. თითქოს თავის უპირატესობის შეგნებით ი. დავითაშვილის მუშა „მუშის სიმღერაში“ ამაყად გაიძახის:

მუშა ვარ და კიდეც ვიცი
მუშის ბედი თუ რა არი,
ის უღელში გაბმულია
ქედ მოდრეკით, როგორც ხარი.

[15] ნ. მ თ ვ ა რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, იოსებ სვიმონის ძე დავითაშვილი.

და ვინც „უშრომლადა ყლაპავს“ მას, ი. დავითაშვილი ამაყადვე ასე მიმართავს ლექსში, „მუშის წუნიას“:

შენ რა იცი მუშის ფასი,
მუქთათ ძღები, როგორც სვავი
შენის თავის არა მცნობი,
სხვის წუნია, სხვის მკიცხავი.

მუშა ვარ და მუშის მკლავი,
ვიცი და მწამს ნაკურთხია,
და ვინც მუშას კაცად არ სცნობს
საფურთხია, საფურთხია!

ი. დავითაშვილს იმედი აქვს, რომ მომავალი უკეთესი იქნება. იქითაა მისი ხედვა მიმართული. მკითხველსაც ის, მართალია, პრიმიტიული, მაგრამ მაინც მძლავრი უშუალობით, იქით მიმართავს:

მაგრამ, დაო, დრო მოგვივა,
ავისრულებთ რაც გვინდაო,
და ძმურადა დავიძახებთ:
ბოროტება გაფრინდაო.

მაშინ, მაშინ დავრდომილსა
ვერვინ გვნახავს, ჩემო დაო,
მთა და ბარი შემოგვძახებს:
რაღას გძინავთ, გათენდაო![16]

მომავლის შემოქმედად, მის მამოძრავებელ ძალად ი. დავითაშვილს მუშა ჰყავს წარმოდგენილი. აშიტომ პოეტის სურვილია მუშათა რიცხვი, სამართლიანი მოქმედი ცხოვრების მომპოვებელთა და გამტკიცებელთა რიცხვი, გადიდდეს და გადამდები ექსტაზით ასე ამბობს ლექსში „სისაწყლე“ (რომელსაც პირველად ჰრქმევია „მონობა“, შემდეგ თვით მწერალს წაუშლია და „სისაწყლე“ დაუწერია):

გვამრავლოს ყველა მუშები —
გიორგი თუნდა ილია,
გვქონდეს სამშობლო, მამული,
სახლები გვქონდეს თბილია.

ი. დავითაშვილის ლექსების 1927 წლის გამოცემაში ამ ორ უკანასკნელ სტრიქონს შემდეგი განმარტება აქვს: ორი უკანასკნელი სტრიქონის მაგიერ დედანში წერია:

რომ დავუნაყოთ ჩვენს მტრებსა,
ძვალი გვხვდეს, თუნდა რბილია.

ეს სტრიქონები პოეტს წაუშლია, ალბათ, ცენზურის შიშით და ტექსტში მოყვანილი ორი სტრიქონი გვერდით მოუწერია.[17]

აქ და ამ ხასიათის რამდენიმე ლექსში მოჩანს ი. დავითაშვილის მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაში მუშური, შეიძლება ითქვას, პროლეტარული ელემენტები. მაგრამ ი. დავითაშვილის მსოფლმხედველობა იმდენად გაურკვეველია, იმდენადაა მისი შემოქმედება დატვირთული უცხო, სხვა ლიტერატურულ მიმართულებათა სტილური ნიშნებით, რომ ეს მოტივი იჩქმალება, ითქვიფება. ი. დავითაშვილი გაბატონებულ ლიტერატურულ მიმართულებათა გავლენის ქვეშაა მოქცეული და თავისთავად მსოფლმხედველობას ვერ ამჟღავნებს.

[16] ნ. მთვარელიშვილი, იოსებ სვიმონის ძე დავითაშვილი, გვ. 139.
[17] ი. დავითაშვილი, ლექსები, გვ. 98.

ი. დავითაშვილის შემოქმედების ერთი თვალის გადაკვრაც გარკვეულად აჩვენებს თერგდალეული მწერლების—ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის დიდ გავლენას. აგრეთვე რომანტული მიმართულების მწერლების გრ. ორბელიანისა და ვახტანგ ორბელიანის გავლენასაც. მაგრამ საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მეტი გავლენა ი. დავითაშვილმა განიცადა ხალხოსანთა მსოფლმხედველობისა და ეს სრულიად ბუნებრივია. ის ხალხის, ღარიბი გლეხის შვილია, პროფესიით წვრილი ხელოსანი. წვრილ ხელოსანთა და გლეხთა ინტერესები ი. დავითაშვილისათვის მუდამ პირადი ინტერესები იყო. მათი ცხოვრების გამაუმჯობესებლად და მომავლის შემოქმედად ის ყოველთვის მათ ხედავდა, ე. ი. მშრომელ გლეხს, მუშას, რომელსაც წვრილი ხელოსნისაგან არ არჩევდა. ამიტომ ი. დავითაშვილი ხალხოსანთა წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობის რკალშია, როგორც თავის საკუთარში, და ძირითადად ამ მიმართულებას გამოხატავს როგორც პოეტური შემოქმედებით, ისე პრაქტიკული მოღვაწეობითაც.

ამიტომაა ი. დავითაშვილის მსოფლმხედველობა და eo ipso მისი შემოქმედებაც გაურკვეველი, მერყეევი. ხან ილია — აკაკისთანაა, იმათი შემოქმედების მოტივებს გამოხატავს, ხან ლომოურ—მგალობლიშვილთან, მათი შემოქმედების მოტივებს ავითარებს, ხანაც გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანსაც ქებით იხსენიებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ი. დავითაშვილი საჭიროდ არა თვლის კლასთა წინააღმდეგობის გამწვავებას. ის მუშის ბუნების შეურიგებლობას, შეუთანხმებლობას არ აღრმავებს. მისი სიტყვით, მუშა შრომობს, შრომა კი კეთილშობილი საქმეა, ამის შეგნება მუშას აქვს. პოეტი მუშას გარკვეულად მაღლა აყენებს „მუქთა ყლაპიებზე“, მაგრამ რელიგიური გრძნობა და კლასთა წინააღმდეგობის შენელების სურვილი მას ბორკავს, პოეტი მუშას დადებით მხარედ უთვლის, რომ ის „მუქთა ყლაპიებისადმი“ მტრობას მაინც არა გრძნობს. მგოსანი ამ გრძნობას ლექსში „მუშის სიმღერა“ ასე გამოხატავს:

შრომობს მუშა... თანც ღიღინებს,
აგონდება მაცხოვარი.
აგონდება და მხნევდება,
პირჯვრის წერით შრომას აგრძობს.
და ვინც უშრომლოთა ჰყლაპავს,
იმათ მტრობას მაინც არ გრძნობს.

ასეთსავე განწყობილებას გვიხატავს ი. დავითაშვილი მეორე ლექსში „გლეხი და თავადი“ ანუ პირვანდელი სათაურით „სუსტი და ძლიერი“. პოეტმა კარგად იცის რა მძიმე უღლად აწევს თავადი-მემამულე გლეხს არა მარტო ბატონყმობის დროს, არამედ მისი გადავარდნის შემდეგაც, მიუხედავად ამისა, ის მაინც გაიძახის:

ეს უწინ კინკლაობდნენ,
თავადი და მათი მუშა.
ბოლოს სძლია ქრისტეს სიტყვამ:
ბატონყმობა დაიფუშა.
ის თავადი ახლა გლეხსა
ეხვეწება: მიყავ ძმობა!
დაივიწყე რაც შეეცოდე,
გადავარდა ბატონყმობა!

აქ, ცხადია, დავითაშვილსაც ერის გაერთიანება-გაძლიერების მიზნით, კლასთა შორის ზავის, შეთანხმების იდეა ილია—აკაკისავით იზიდავს. ამ ზავის იდეას ის არაერთხელ უბრუნდება და ბოლოს გარკვეულადაც გამოხატავს:

მოდი, ძმაო, ხელი მომე.
წინ წაუძღვეთ ამ ბრმა ხალხსა,
ღობე-ყორეს ავაშოროთ,
დავაყენოთ კეთილ გზასა.

მივიყვანოთ იქამდინა,
მგელი სცავდეს ცხვარს და თხასა.
და ვინც გლეხსა კაცად არ სთვლის,
ეძახოდნენ მაშინ ძმასა[18].

ამასთან ერთად, ი. დავითაშვილის შემოქმედებაში საკმარისად მკვეთრადაა გამოხატული ეროვნული გრძნობა ილია—აკაკისებრი გაგებით. ი. დავითაშვილი ცნობილ ალეგორიებს მიმართავს ამ მოტივის განსახიერებაში. პოეტი ასე გვიხატავს მაშინდელ ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიულ შეფის მმართველობას და მის გადაგვარებულ პოლიტიკას:

ჩვენს სახლსა შემოეჩვია
ხელმძღვანი, გულით მხეცია,
გაგვიბატონდა ოჯახში,
ყვირის: პატივი მეცია!
გამომიცხევი ქადები,

არ გააცია კეცია,
შენი მშობელი უარჰყავ,
ჩემსას პატივი ეცია!
თავს მადექ, წარბი არ შესძრა,
გიბრძანო, წაიქეცია![19]

ი. დავითაშვილი 1881 წ. 1 მარტის აქტს, ალექსანდრე მეორის მოკვლას, აკაკისებურად აღტაცებით ეგებება. დავითაშვილს ესმის ამ აქტის გამომწვევი მიზეზები. მისი სიმპათიები ამ გამათავისუფლებელი მოძრაობის აკენაა. რეაქცია მასაც უხუთავს სულსა და გულს, ბურუსიანი დღეები მასაც კოშმარსავით აწევს. ამ აქტს ის დიდ მნიშვნელობას აძლევს, იმედიანად უყურებს მომავალს და ასე გამოხატავს თავის აღტაცებას ლექსში „ალექსანდრე მეორის მოკვლის გამო“.

თებერვალი გავიდა,
მარტი დადგა მზიანი,
ღღეს მოფრინდა მერცხალი,
მოჰიკჰიკე ხმიანი.
აყვავდა მთა და ველი

ყვავილი ჰყო იამა,
საამურად დაჰბერა
გაზაფხულის ნიავმა.
მე იმან გამახარა,
რაც რომ ყველას იამა.

ი. დავითაშვილი თერგდალეულ მწერლებიდან არა მარტო შემოქმედების თემას, იდეას იღებს, არამედ ხშირად თვით წერის მანერას, დამახასიათებელ შედარებებს, თქმებს და ა. შ. მაგალითად, ი. დავითაშვილის თქმა:

ან კი რად მინდა აბჯარი,
რათ მინდა თქვენი დავთარი;
უნებურ მუნჯი შევქნილვარ,
ვერ მითქომს ერთი მართალი[20].

---

[18] ი. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ლექსები გვ. 134.
[19] ი ქ ვ ე. გვ. 213.
[20] ი. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, გლეხის პასუხი.

გარკვეულად მოგვაგონებს ილიას „გუთნის დედიდან“ შემდეგ ადგილს:

შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?
ეგ ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება.
რად მინდა ხმალი, გინდ იყოს მკრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?!

შეიძლება ითქვას, ილიასაგან აღებული თემა და იდეა პირდაპირ პერიფრაზირებულია. ასეთივეა მსგავსება ი. დავითაშვილის ამ ლექსის შემდეგი ტაეპისა:

თავზე დამეცეს ცა რისხვით;
სხივი ვერ ვნახო მზისა მე,
მაღალი ღმერთი გამიწყრეს;
თუ რომ ვინდომო სხვისა მე!

აკაკი წერეთლის ლექსთან „მუშის ნატვრა“:

თავი მოუკვდეს ზოგიერთს:
რომ იტაცებენ სხვისასა!...
საწყალ კაცს ჯიბეს აჭრიან,
ურცხვად ივსებენ ქისასა!

ქორი ვარ, სხვას რომ მოვტაცო?
რათ გავიშავო პირი მე?
გარს შემოვევლე ჩემს გუთანს
ჩემი სახნისის ჭირიმე!

ამისთანა მაგალითები მრავლადაა ი. დავითაშვილის ნაწარმოებებში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ი. დავითაშვილის შემოქმედებაში მწერლის სულიერი განწყობილების გამოხატვის თვალსაზრისით, ხალხოსნური მოტივები და მსოფლმხედველობა უფრო მძლავრადაა აღბეჭდილი. მუშის სულისკვეთების გაგებაში ხანდახან ი. დავითაშვილი ხალხოსნებზე მარცხნივაც მიდის. მაგრამ გაურკვევლობა, რომელიც მას ახასიათებს, თავისებურ ელფერს ადებს მის შემოქმედებას. გარკვეულად მთლიანად ის არც ერთს მის დროის დაჯგუფებას არ ეკუთვნის. მაგრამ საერთო ხასიათით უფრო ისევ კულტურტრეგერ ხალხოსნებს უახლოვდება.

ი. დავითაშვილის ენა და ლექსი პირდაპირ ხალხურია, პრიმიტიულია, თუმცა ხშირად დიდი უშუალობითა და სისადავითაა სავსე, ხალხის ცხოვრებაში ტრიალის დროს დიდი სიყვარულით ამოკრეფილი. თვითონ მგოსანმა თავისი მდგომარეობა და ცხოვრება მშვენივრად განსჭვრიტა და ასე გამოხატა სიკვდილის სამის დღის წინათ:

მე გახლავარ ბედნიერი;
ბოროტისა დიდი მტერი,
მიჭამია მჭადი, კვერი,
ლექსის ცოდნით ვიცან ერი.

არ მეხურა თავზე ჭერი
გასინჯევით, რაც დავწერე,
ლექსნი ჩემგან დანაწერი...

უცოლშვილოდ გადავეგე...
როგორც შუამთისა ბერი.
მშიერ-ტიტველი დავდივარ
და მოვკვდები ვით ობერი.

ასეც მოხდა! ხალხისათვის, გაჭირვებული მოძმისათვის ი. დავითაშვილის მუდამ აღგზნებულმა გულმა სილარიბეში, უპატრონოდ შეწყვიტა ცხოვრება. მძიმე პირობებში დაიწვა და დაიფერფლა ხალხის სიყვარულით ანთებული ხალხის მგოსნის გული და ნიჭი 1887 წელს ქ. თელავში.

დიმიტრი მიხეილის ძე ნადირაძე (დ. მაჩხანელი)
1861—1908

1

ქართველ ხალხისან მწერალთა რიგებს მიეკუთვნება დიმიტრი მიხეილის ძე ნადირაძეც, მწერლობაში ცნობილი მაჩხანელის ფსევდონიმით.

დიმ. მაჩხანელი სოფელ მაჩხაანის მცხოვრები გლეხის შვილი იყო. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო თუქურმიშაში (ახლანდელი წითელი წყარო) არსებულ სამხედრო სკოლაში. ხსენებული სკოლის დამთავრების შემდეგ მისმა უფროსმა ძმამ, ვასილ ნადირაძემ, რომელიც ვაჭრობას მისდევდა, დიმიტრი თავისთან წაიყვანა. აქ დიმიტრი უფრო აშკარად დარწმუნდა თუ ვაჭრები რამდენად ექსპლოატაციას უწევდნენ ისედაც შევიწროებულ გლეხებს. ამ ნიადაგზე ძმასთან უკმაყოფილებაც მოუვიდა დიმიტრის და მალე განშორდა.

დ. მაჩხანელი ბავშვობიდანვე კარგად და ახლო იცნობდა გლეხს და მის ყოველი მხრით შევიწროებულ მდგომარეობას, მის ცხოვრებას, ათასგვარი მავნე ჩვეულებებით შებორკილს. ის ადრევე აღიჭურვა გლეხისადმი, მისი მდგომარეობის გაჯანსაღებისადმი კეთილი სურვილებით.

მაჩხანელი ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა ხალხსნურმა მისწრაფებებმა, ხალხში გასვლის იდეამ და სიყრმიდანვე მთელი თავისი არსებით გატაცებით ჩაება ხალხის საკეთილდღეო მოღვაწეობაში. მაგრამ მაჩხანელი კარგად გრძნობდა, რომ ასეთს მუშაობას მომზადება და დიდი მომზადებაც ესაჭიროებოდა. ამიტომ მან მიატანა ქ. მოსკოვს, სადაც მოახერხა, როგორც უნივერსიტეტის თავისუფალმა მსმენელმა, ბიოლოგიის დარგებში ლექციების მოსმენა; მოსკოვში აგრეთვე ის ეცნობა ღირსშესანიშნავ კულტურულ დაწესებულებებს, ხოლო თავის რჩენის მიზნით იქვე მსახურობს მუხრანსკის ღვინის საწყობის კონტორაში.

ამავე დროს მაჩხანელი აგრძელებს სამწერლო მუშაობას. 1881 წელს გამოდის მისი ლექსების კრებულები: „ახალი სიზმარი“ და „სიყვარულის კონა“. 1887 წელს იბეჭდება მისი „ძმური სიტყვა“, რომლის მეორე გამოცემა დაბეჭდა ა. როინიშვილის საფასურით 1891 წელს.

შოსკოვიდან დ. მაჩხანელი დაბრუნდა 1890 წელს. იქიდან მან ჩამოიტანა მდიდარი ბიბლიოთეკა; დასახლდა თავის სოფელ მაჩხაანში, დაიწყო მასწავლებლობა, გავიდა ხალხში და, შეიძლება ითქვას, მთელი თავისი სიცოცხლე ხალხზე ზრუნვას შესწირა.

1892 წელს, სოფლებს რომ ხოლერა მოედვა, მაჩხანელმა შეადგინა დამხმარე წრე, დადიოდა სოფელ-სოფელ და იმ დიდ უბედურებაში ხალხს დიდ დახმარებას უწევდა.

1895 წ. დიმიტრიმ სოფელ მაჩხაანში გახსნა „დეპო", რათა გლეხობა გადაერჩინა ჩარჩ-ვაჭრების მეტად თვითნებური, დაუნდობელი ექსპლოატაციისაგან, რის შესახებაც ის ხშირად ესაუბრებოდა ხალხს ყოველდღიურ მათთან ურთიერთობაში. დეპოს განაგებდა სოფლის მომხმარებელთა მიერ არჩეული გამგეობა, რომლის თავმჯდომარედაც დიმიტრი იყო და, რა თქმა უნდა, უმძიმესი ტვირთის ტარებაც მას უხდებოდა.

ამავე წელს დ. მაჩხანელის თაოსნობით სოფ. მაჩხაანში გაიხსნა სასოფლო ბაზარი, შემდეგ ეს ბაზარი გადაიტანეს ბოდბისხევში.

მალე სოფ. მაჩხაანში დიმიტრისავე თაოსნობით გაიხსნა ქალთა სკოლა, რომელსაც დიმიტრიმ დაუთმო თავისი საკუთარი დიდი შენობა.

დიმ. მაჩხანელის ამ წამოწყებებმა მცხოვრებთა შორის გამოიწვია აღფრთოვანება, რომელიც პოეტმა იროდ. ევდოშვილმა (ხოსიტაშვილმა) იმავე წელს გაზეთი „ივერიის" № 108 კორესპონდენციაში აღბეჭდა: „სოფელ მაჩხაანში, — წერდა ეროდიონი, —ბ. მაჩხანელმა, ამ დაუღალავმა და პატიოსანმა მუშაკმა, იმდენად დაიმსახურა ხალხის ნდობა, რომ დღეს ათასნაირ საქმეს უძღვება წინ და აგერ საცაა სამეურნეო სკოლაც უნდა გახსნას სოფელმა მისი მეოხებით".

მართლაც, იმავე 1895 წლის სექტემბრისათვის სოფ. მაჩხაანში დიმიტრის ხელმძღვანელობით გაიხსნა სამეურნეო სასწავლებელიც.

დიმ. მაჩხანელის დაუშრეტელი ენერგია არც ამით კმაყოფილდება, 1897 წელს ის აარსებს მწყემსთა საზოგადოებას ვაჭართა ექსპლოატაციის წინააღმდეგ; მისივე ხელმძღვანელობით სოფ. მაჩხაანში აშენდა თეატრი და მისივე დახმარებით იდგმებოდა წარმოდგენები, რომელთაც ღარიბები უფასოდ ესწრებოდნენ; საქართველოს პროვინციებში ეს პირველი სახალხო თეატრი იყო. 1898 წელს დიმიტრისავე თაოსნობით და დახმარებით მაჩხაანში გაიხსნა ქსენონი დეპოს შენობაში[1].

დიმ. მაჩხანელის მოღვაწეობა უმეტესად პრაქტიკული ხასიათისა იყო—ხალხში სიარული, ხალხის გამოფხიზლება-გათვითცნობიერების მიზნით კულტურტრეგერული საუბრების წარმოება, რაც გლეხს თვალს

---

[1] დიმიტრი მაჩხანელის ბიოგრაფიული ცნობები მომაწოდა ნიკოლოზ მოსულიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

აუხელდა თავისი ცხოვრების უარყოფით მხარეებზე, იმპულსს მისცემდა მას უკეთესი ცხოვრების სურვილის გაღვიძება-გაღვივების საქმეში, რაც გაღვიძებულ გლეხკაცობას თანდათან დარაზმავდა და შესაძლებლობას მისცემდა უკეთესი ცხოვრების დამყარებისას.

როდესაც ეცნობით დიმ. მაჩხანელის ცხოვრებას, როგორც პრაქტიკულს, ისე მის სამწერლო მოღვაწეობას, აშკარად რწმუნდებით, რომ მისი მოღვაწეობის მამოძრავებელი და წამყვანი ორი ძირითადი საკითხია: ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მისი ცოდნის გაზრდა დამარიგებელი საბუთებით, წერა-კითხვის შესწავლით, წიგნის კითხვის მოთხოვნილების გამომუშავებით, რაც გლეხს საშუალებას მისცემდა მოეცილებინა მავნე, დრომოჭმული ტრადიციები, რაც ასე მძიმე კოშმარივით აწვებოდა გლეხის ტვინს და მის არსებას ბორკავდა.

დიმ. მაჩხანელი მთელი თავისი დაუცხრომელი ენერგიით ორივე ამ ფრონტზე ენერგიულად იბრძოდა და მოღვაწეობის გზაზე დროზე ადრე დაიწვა და დაიფერფლა სრულიად ახალგაზრდა 1903 წელს.

2

თავის ნაწერებში დ. მაჩხანელი საგრძნობი სიმკვეთრით (თუმცა მხატვრობის მხრივ, როგორც სხვა ხალხოსანი მწერლებიც, მეტად დაუხვეწავად) გვიხატავდა სოფელსა და მის მცხოვრებთ.

დიმ. მაჩხანელი თავის დრამატულ სცენებში „სოფლის კუნწულა“ დიდი უშუალობითა, სოფლის ცხოვრების კარგი, ზედმიწევნითი ცოდნით და მისდამი დიდი თანაგრძნობით გვაძლევს „სოფლის პატრონთა“ ცოცხალ ტიპებს — ღაბაბ-დაშვებული, ჭაღარა შერთული მამასახლისის, მჭადა-აზნაურის, ხალხს მეტსახელად ვერ-აქლემა რომ შეურქმევია, ბურთივით დამრგვალებული სოფლის ახალგაზრდა მწერლის, ციბრუტა გზირის, მიკიტნისა და დაჭარხლებულ-კისერმოგრეხილი მომღერალი გიქოს სახით. სოფლის ამ „მოღვაწეთა“ სახელებიც კი მკითხველს აგრძნობინებს, თუ როგორ უვლიან და მიმართავენ ეს ვაჟბატონები სოფელს და მის მცხოვრებთ. თვითონ ნაწარმოები, მართალია, მხატვრობის მხრივ საგრძნობლად გაუმართავია, მაგრამ ოსტატურად ზვაჩვენებს ამ „რჩეულთა“ უკანონო, თვითნებურსა და გლეხთათვის მავნე „საგმირო“ საქმეებს. მკვეთრადაა მოცემული „სოფლის პატრონთა“ გამუდმებული ქეიფი და დროსტარება სოფლის სამიკიტნოში, რომელიც ამასთანავე და ამავე დროს გადაქცეულია სასამართლოდაც, კანცელარიადაც, განკარგულების გაცემისა და შესრულების ადგილადაც.

მოქეიფე და ღვინითა და ეშხით გალეშილ მამასახლისთან, ვინაიდან უკეთეს მდგომარეობაში გლეხი მას ვერ პოულობს, მიდის გაჭირვებული, ათასი უსამართლობისაგან გაძვალტყავებული გლეხი თავ-დიდა.

ის დაბალი მისალმების შემდეგ მორიდებით განუცხადებს მამასახლისს, რომ ფული ვერ იშოვა, არავინ ასესხა მას, მეტად დიდ სარგებელს სთხოვენ, ის ვერ აიტანს, დაიღუპება. სამაგიეროდ გლეხი ჰპირდება მამასახლისს აუნაზღაუროს თავისი შრომით: „ხელს დაგახმარებ, ჯანი მაქვს და მარჯვენა. შენი ფეხთა მტვერი ყმა გავხდები. თავს შემოგევლები და სულში ჩაგისვამ... ნუ დამღუპავ ალალ-მართალს... ნუ დამიწიოკებ საწყალ ცოლ-შვილს“ („სოფლის კუნწულა“, გვ. 11). მაგრამ მამასახლისზე გლეხის ეს ხვეწნა, მუდარა, დაპირება არავითარ შთაბეჭდილებასა და გავლენას არ ახდენს. ის არადჩამგდები შეტევით, ცინიზმით მიმართავს მთხოვნელ გლეხს: „ვირები ხართ, ვირები! სამართლის გადაწევა და გამრუდება კი გინდათ და არ კი იცით, რომ ამ საქმეს გასამრჯელო ფულიც უნდა, ფული, ფული! ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს, გამოიფხოტე ე ყურები. გაყიდე, შე ოხერო, ცხვარი მოგეპოვება და ღორი“ (იქვე).

გლეხის ცდა მამასახლისში გამოიწვიოს თანაგრძნობა, აუხსნას, რომ ოჯახი იღუპება, ისიც და მისი ცოლშვილიც გამოუვალ მდგომარეობაში არიან—უშედეგოა. გლეხი მოაგონებს, რომ მამასახლისმა თვითონაც კარგად იცის, რომ მას ძველი მამეული ვალი არა მართებს, რომ მას ტყუილად შარს უდებენ, უსამართლოდ უნდათ გადაახდევინონ ფული, მიზანს ვერ აღწევს. მამასახლისი გულქვა ბრძანებისა და ზიზღის გამოხატვის კილოთი მიმართავს მთხოვნელ გლეხს: „კარგი, მუდრეგო! კარგი, გეყოფა, გაჩუმდი, შეირცხვინე! მე აქ შენთან საუბედოდ არა მცალიან—კამპანია მელის. ფული, ფული! არა და ჯანი გაგვარდეს, გაგეყიდება ი ყევარი ხარ-კამეჩი, ათასიც რომ თავში ქვა იცე, იბღავლო და იძახო: უსამართლოდ მიყიდიანო“ (იქვე, გვ. 12). და ასე, მამასახლისი ძალგამოცლილ, უსამართლოდ შევიწროებულ გლეხს მანამდე სიტყვასაც არ აღირსებს, სანამ გლეხი მამასახლისს არ დაჰპირდება მისცეს ან ჯორი, რომელიც გლეხს აბადია, ან ვექსილი დაუწეროს. მხოლოდ ამ პირობებში თანხმდება მამასახლისი მხარი დაუჭიროს გლეხის სამართლიან თხოვნას.

უფრო მეტად შეუბრალებელი და მავნე წურბელაა გლეხისათვის ვაჭარი. დამახასიათებელ ხაზებში გვაძლევს დიმ. მაჩხანელი მის დამოკიდებულებას გლეხებისადმი როგორც „სოფლის კუნწულაში“, ის სხვა ნაწარმოებში. მაგრამ ამას უფრო მკვეთრად იძლევა თავის ცნობილ საუბრებში „ძმური სიტყვა“ (წერილი VII, გვ. 79—94).

დიმ. მაჩხანელი ამ წერილში თუ საუბარში აღწერს სამი ვაჭრის—ორი ახალგაზრდისა და ერთი მოხუცის ტრაბახს, თუ ყოველი მათგანი, როგორი მოხერხებით სწოვს გლეხს სისხლს, მას სცარცვავს, თვითონ კი ჯიბეს ისქელებს. ნიმუშისათვის მოვიყვანთ ერთი მათგანის —ახალგაზრდის—კმაყოფილებით ნათქვამს. მეორე ახალგაზრდამ რომ მოის-

მინა პირველის თავმოწონება თავისი ხერხიანი ვაჭრობით, კმაყოფილებით განაგრძო: „არშინის გაცურება იქით იყოს, სასწორში, ჩოთქში და წყვაში მოტყუებაც ხომ გუშინდელ გალუპუსტაწებულ ლაწირაკსაც შეუძლიან და აბა ესენები რა ჩემის ჭკუის საქმეა. აი შნოც ეს არის და ლაზათიც: ყველა სოფლელი ტეტიებისათვის ჩემი კარი ღიაა. ერთიც ვნახოთ, შემოდის შენი ყელ-გადაგდებული ტყაპუჭი, მივარდება ფეხებში და მებნება: „აღას გაუმარჯოს, აღას! აღავ, აღაჯან, საბლის წვერზე ვკიდივარ, გენაცვა და განა არ გებრალები, აღაჯან, რომ ეს ფულები მიჭირსო?“ მე კი ჯერ ერთი ყასიდად გავინაზები, გავიბერები, ახლა გავიზნიქები, გავიბღინძები, მახლას, კარგა ემეს რომ ვიქ ჩემ გუნებაზე, მერე ორ აბაზის კვალობაზედ კოდ ქერს დამიწერს, მანეთობაზე —პურს და სამ აბაზობაზე—ჩაფ ტკბილს. აფერუმ, აღაჯან! მურაზია რაღა, მურაზი, ამ ხეპრეებში ცხოვრება. მართლაც და რა თავქარიანები არიან ის ოხრები და!.. მერე ის ემე, კეთილშობილები რომ არიან კიდენ, აბა ისინი არიან და!.. ერთ მსუქან ვექსილს დაგიწერენ, რომ გინდა ფეხი გულებში პაჩი უყო. რაც რომ თხლად არიან, ვაჭარს ის უხარიან... მერე იმ ძირგავარდნილ მოხელეებსაც „ნაოტკის“ ფულს ამოუდებ ხოლმე და ‚ეჭდე, სერგო, ვექსილები“ („ძმური სიტყვა“, გვ. 84—85). მართლაც რომ საარაკო ოინბაზობაა! მესამე ვაჭარი კმაყოფილებით ისმენს „ჯეელების“ ნამოქმედარის — მათი შნოს და ლაზათის შესახებ. და სიამოვნებით ეტყვის: „იცოცხლეთ, იცოცხლეთ, ჯეელო გვრიტებო!... ე, ე, ე, ჯერ სადა ხართ კიდენ, სად!.. ისეთ რამე-რუმეებს მეკითხებით, ოჩოპინტრე ლაწირაკსაც გამოუვა ხელიდამ, აი ამ ჩემის მარჯვენის მადლმა, უტყუარს გებნებითო, უგროშო, ბემურაზ—ჯეელს ისეთნაირად მომიგია ფული, რომ მართლაც, დასაკვეხია. ახლა როგორ და. — ერთი ეშმაკის კვერცხი, ერთი ქაჯის წიწილა, ერთი ტრუპუცას გავარდნილი, ერთი კუდბაწარა, ერთი თავზე ხელაღებული სათოკე. ერთი... რაღა ბევრი გავაგრძელო და ბრაზებზე მოგიყვანოთ, ერთი ისეთნაირად გაღლეტილი და გასაფუჭებელი რამ ვიყავ, რომ თითონ ანტიქრისტეც ვერ მოვიდოდა ჩემის ოხტიდამ. რასა იქ, ძმავ, თავს რომ არ მოდის, თუ ვაჭარი ხარ, ნამდვილი და ნასტაიაში ვაჭარი უნდა იყო“ (იქვე, გვ. 85—86). და მოხუცი ვაჭარი, დიდის კმაყოფილებისა, თავმოწონების და თავისი უპირატესობის განცდით, ცინიკურად გადაუშლის ახალგაზრდა ვაჭრებს თავის ხრიკებით აღსავსე ცხოვრების გზას. ასეთი იყო, მართლაც, სინამდვილე. მაგრამ გლეხკაცობას, მის ცხოვრებასა და ჯანღონეს ავიწროებს და ანადგურებს არა მარტო ვაჭარი, მამასახლისი და მისი ძმანი, არამედ არანაკლებ მავნე ტრადიციები— ნათლობა, ხატობა, ქელეხი და სხვა, გლეხის შეგნებაში ბავშვობიდანვე ღრმად რომ შეჭრილა და სრულიად დაუმონავებია მისი გონება და ნებისყოფა.

მოთხრობაში „დღეობა“ დიმ. მაჩხანელი შეუფერავი სინამდვილის

ჩვენებით აგებინებს მკითხველს, რა გამოუვალ მატერიალურ მდგომარეობამდე მიჰყავს ასეთი მავნე, დრომოჭმული ტრადიციების შესრულება ისედაც გაღარიბებული გლეხის ოჯახი. გლეხ სოსიას ჰყავს ერთადერთი მაცხოვრებელი ვირი. თვითონაც წელზე ფეხს იდგამს, ვირსაც ამუშავებს და ძლივ-ძლივობით აჩანჩალებს თავის გაჭირვებულ ცხოვრებას. მაგრამ აი, მოდის ხატობა. ჩვეულება თხოულობს ისიც წავიდეს, ილოცოს, რასაც სათანადო ხარჯი ესაჭიროება. სოსიას სხვა არაფერი აბადია, გარდა ვირისა. გადაწყვეტს ვირი დააგირაოს. აიღებს ფულს. გადაიხდის ღღეობას—ილოცებს, ისიამოვნებს ხატში. მაგრამ გათავდა ხატობა. მას ვირი სჭირდება. სოსია ვირის გამოსახსნელად მის დამგირავებელს მუშად დაუდგება. იქ სოსია გაცივდება და კვდება.

აი ასე ათავებს ხშირად თავის ცხოვრებას გლეხი მავნე, დრომოჭმული ტრადიციების ზეგავლენისა და შესრულების შედეგად. ასეთია ცოცხალი სურათი გლეხის ცხოვრებისა. ასე ქცეულა გლეხი საკრეჭ ცხვრად მამასახლისის, ვაჭრების, ყველა ჯურის მოხელეების ხელში. ასეა ის მოქცეული სხვადასხვა მავნე ტრადიციების გავლენის ქვეშ. თვითონ სოფელი კი, მწერლის აზრით, „უსიტყვოა, უპირო, დაუდევნელი, ბრმა და უთავბოლო და ეჭმევინება და ეღვარცლინება ათას გაქნილსა და „მაშენიკს“ („სოფლის კუნწულა“). დიმ. მაჩხანელი თავის როგორც ამ, ისე სხვა უარყოფით შეხედულებას, სოფლის შემავიწროებლების შესახებ დალაქი ჩხუბას პირით გვეუბნება. ჩხუბას პირითვე გაატარებს მათ მოქმედებას დაუნდობელი კრიტიკის ქარცეცხლში და შემდეგ იმავე ჩხუბას პირით შემდეგს ჩააგონებს ხალხს: „დროა, ხალხნო და ჯამაათო, დროა გამოიფხიკეთ ე ყურები, ნუ ეღუპინებით ე ზღვისოდენა ვაჭარ-ჩარჩების საწყაოებს, ნუ ეჩაგვრინებით და ნუ აჩაგვრინებთ თქვენს ღატაკ მოძმეებს ათასს უსირცხვილო კაცუნებსა და გაიძვერა მოხელეებს, მიეცით ერთმანეთს ძმურად მტკიცე პირი და ამოსდეთ ლაგამი ადამიანის უსამართლოდ დაჩაგვრას, უღმერთოს და მოღალატეს“. ხოლო შემავიწროებლებს იქვე გლეხთა წასახალისებლად ასე მიმართავს: „დედა გეტირებათ! დედა გეტირებათ: გაცვდება თქვენი ღალაც, აღარ ექნება გასავალი თქვენს მაცდურ სიტყვა-საქმეს და შეეკვრება კრიჭა თქვენ „ტკბილ ლუკმას“. დაიცა ერთი ი დეპოც გაგვიხსნან ი ნასწავლებმა, როგორც იმ დღეს ჩვენი უჩიტელი ლაპარაკობდა, და მაშინ გნახავთ რა ბიჭებიცა ხართ! დედა გეტირებათ, დედა!...“ („სოფლის კუნწულა“, გვ. 41—42). გლეხობის ამ სოფლის წურბელებისაგან განთავისუფლების ერთ-ერთ საიმედო საშუალებათ დიმ. მაჩხანელს მიაჩნდა ბანკისა და დეპოს დაარსება სოფლად. თავის პოპულარული, მდაბიო ხალხისათვის გასაგები და გამიზნული საბუთებითა და წერილებით მაჩხანელი დაჟინებით ჩააგონებდა მკითხველს ხალხს: გაგვიმრავლდებიან მცოდნე კაცები და მაშინ ვეღარავინ მოგვატყუებს... ყველ-

გან ბანკი და დეპო იქნება გამართული. „ბანკი, — ასწავლიდა ის ხალხს, — ჰქვიან იმ საზოგადო სახლს, სადაც ყველა გაჭირვებულს შეუძლიან ნაკლები სარგებლით ისესხოს ფული. დეპოს კიდევ იმ სახალხო დუქანს ეძახიან, რომელშიც ყველაფერი სიმართლითა და იაფ-ფასად იყიდება. დეპო კიდევ ამით არი კარგი, რომ იქ ყველას გადაწყვეტილი ფასი ეწერება და ჯანჯლობა რომ აღარ დაგვჭირდება, აღარც დროს დავკარგავთ“ („ძმური სიტყვა“, გვ. 93—94).

მართალია, დიმ. მაჩხანელმა ბანკის გახსნა ვერ შეძლო, თუმცა ხშირად ბევრს საყვედურობდა ფულიანებს, რომელთაც ფული სახლში ჰქონდათ, არც თვითონ ამოძრავებდნენ მას და არც ხელს უმართავდნენ ღარიბ მეზობელს, რომელთაც ჩარჩი-ვაჭარი დიდი სარგებლის გადახდევინებით უდიერად ყვლეფდა. მაგრამ დეპოს გახსნა კი თავის სოფელ მაჩხაანში ითავა, თვითონვე ჩაუდგა მას სათავეში, გატაცებითა და დაუღალავად მუშაობდა, რასაც, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროში და რამაც დიმ. მაჩხანელს ბევრი უსიამოვნება მიაყენა. დეპო, ბანკი დიმ. მაჩხანელს უნდოდა გლეხის ეკონომიური მდგომარეობის გამაგრებისათვის, რომ გლეხი დაეხსნა ჩარჩ-ვაჭრების ექსპლოატაციისაგან.

3

მაგრამ დიმ. მაჩხანელს, როგორც ხალხოსანს, რომელიც ძალიან ახლო იყო ხალხთან და ზედმიწევნით იცნობდა ხალხს და მის ცხოვრებას, კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ გლეხს ამ საშუალებებთან ერთად უნდა შესაძლებლობა მიეცეს თვითონ აშკარად დაინახოს, გაიგოს თავისი უმწეო მდგომარეობა, რის შედეგადაც მან უარყოფითი უარყოს, ხოლო კარგს, სასარგებლოს მიეტანოს. ეს კი, მაჩხანელის რწმენით, გლეხისათვის მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ მას ცოდნა და უკეთესისაკენ მისწრაფება ექნება. ამგვარი ცოდნის შეძენა კი გლეხს შეუძლია მიიღოს სწავლის საშუალებით. და დიმ. მაჩხანელიც სწორედ სწავლის მიღების აუცილებლობის, მისი დიდი სარგებლობის შესახებ ხალხში ატარებდა მრავალ საუბარს, რომელთა ნაწილი მან ფართო გავრცელების მიზნით დაბეჭდა კიდეც ქველმოქმედი ფოტოგრაფის ალექსანდრე როინიშვილის ფულადი დახმარებით, „ძმური სიტყვის“ სახელწოდებით, რომელსაც ტიპიური სახალხო ლიტერატურის ხასიათი და დანიშნულება ჰქონდა — ხალხის ცხოვრების მრავალი საჭირბოროტო საკითხების შესახებ ბაასი, ხალხური ენით, ხალხისათვის გასაგები სტილით დაწერილი.

აღნიშნულ საუბრებში — „ძმურ სიტყვაში“ დიმ. მაჩხანელი ყველა საჭირბოროტო საკითხის მოგვარების საფუძვლად მიიჩნევს ცოდნას, რომელიც სწავლით უნდა შეიძინოს გლეხმა. აი როგორ განუმარტავს,

ის სწავლის მნიშვნელობას, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა თავის მკითხველს — გლეხს: „სწავლა კეთილის ცხოვრების საძირკველია, მაგრამ ამას ასე ადვილად როდი მიხვდება და დაიჯერებს უცოდინარი ადამიანი... უცოდინარობის წამალი სწავლა და გამოცდილებაა. ადამიანი მაშინ იქნება ბედნიერი, როცა უცოდინარობას დაეხწევა" („ძმური სიტყვა", გვ. 7) და ამის დასამტკიცებლად დიმ. მაჩხანელს აუარებელი მაგალითი მოჰყავს. მაგალითი, ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული, მარტივი პრიმიტიული მკითხველისათვის—გლეხისათვის ადვილად გასაგები, მისახვედრი, დამარწმუნებელი.

„ძმურ სიტყვაში" დიმ. მაჩხანელი დამაჯერებლად შთააგონებს თავის მკითხველს: „როცა ადამიანი მცოდნე იქნება, მაშინ უფრო ჭკვითა და ბეჯითად მოეჭიდება სახრესაც, შოლტსაც, გუთანსაც, ცულსაც, ბარსაც, ნიჩაბსაც, ცელსაც, ნამგალსაც და მრავალ სხვასაც" (გვ. 10). ამასთანავე ის მკითხველს აფრთხილებს, რომ შრომას ყოველთვის გარკვეული და ნათელი აზრი უნდა მიმართავდეს; მშრომელს ყოველთვის ცოდნის საშუალებით კარგად გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს — „ვისთვის, სადა, როგორ და როდის იმუშაოს" (გვ. 11). ამავე დარიგებასაუბრებში მოჩანს დიმ. მაჩხანელის სურვილი და მიზანი ხალხს გამოუმუშაოს მოთხოვნილება მიეჩვიოს გეგმიან—შეგნებულ მუშაობას. ის პირდაპირ (შესაფერი მაგალითების ჩვენებით) მკითხველს ეუბნება: „სწავლა-ცოდნაც იმას გააბედ-იღბლიანებს, ვინც იმას კეთილ საქმეში გამოიყენებს" (გვ. 16).

დიმ. მაჩხანელი თავის საუბრებში შკაფიოდ და კატეგორიულად აღნიშნავს, რომ ადამიანის ბუნებრივი და სამართლიანი მოთხოვნილებაა კარგი, ბედნიერი, კმაყოფილი ცხოვრება, რადგანაც, მართლაც, კარგი ცხოვრება კარგია და ამიტომაც მას ყველა ნატრობს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ცარიელა სურვილი და ნატვრა კაცს არაფერს მოუტანს, თუ შესაფერი შესაძლებლობა არ გვექნება. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა კაცი აღიჭურვოს ცოდნით, გონიერი ნებისყოფითა და ამტანობის უნარით. აი რას ეუბნება ის მკითხველს „ძმურ სიტყვაში": „კაი ცხოვრების მონატრეს კაი ცოდნის ჭკვაც უნდა მიუძღოდეს წინ, რომ ის მიასწავლებდეს კაი ცხოვრების გზას" (გვ.18). შემდეგ განაგრძობს თავის დარიგებას და მკითხველს ბეჯითად შთააგონებს, რომ შრომის მოყვარეს დიდი მოთმენაც უნდა შეეძლოს. სარგებლობს ხალხური ანდაზით „ვინც მოითმენს ის მოიგებსო", რაც დამახასიათებელი სტილური ნიშანია დიმ. მაჩხანელისათვის, და ასე მიმართავს ის მკითხველს: „შეიძლება კაცს ათასი უბედურებაც დაემართოს, მაგრამ ვისაც უბედურების ატანა არ შეუძლიან, იმას არც იღბლის მოწევის შნო ექნება. ვინც კი ცხოვრებას მოსწევნია, იმას ჯერ ათასი უბედურება და სატანჯველი გამოუვლია, მაგრამ მაინც გული არ გაუტეხია და იმედი არ დაუკარ-

გავს". „ყველაზე უბედური ის არის, ვინც უბედურებას ვერ აიტანს" (გვ. 19—20).

დიმ. მაჩხანელს თავის „ძმურ სიტყვაში" მეტად მოსაზრებულად მოჰყავს ყოველდღიური ცხოვრებიდან მაგალითები, შემთხვევები, რომ დაამტკიცოს, თუ ადამიანის სიცოცხლეს რამდენად ესაჭიროება სწავლა-ცოდნა და, რომ „ჭეშმარიტად ნასწავლი კაცი თავის წამალიც არის და სხვისაც... იმას გლეხის ჭირი თავის ჭირად მიაჩნია და სიხარული სიხარულად. ის იმას ამბობს: კაცი ის არის და ქუდიც იმას ჰხურავს, ვინც ჭირშიაც და ლხინშიაც თავისზე უწინ, სხვას მიჰხედავსო. დიახ, სწავლიდან ცოდნა იბადება და ცოდნიდან კეთილი" (გვ. 20) — დამარწმუნებლად ეუბნება იგი მკითხველს.

დიმ. მაჩხანელი თავის საუბრებში არც იმას ივიწყებს და მკითხველს აფრთხილებს და არწმუნებს, რომ რაც კაცი ნასწავლია, იმდენად ის უფრო თავმდაბალია, სადა, სამართლიანი და ადამიანის მოსიყვარულე. ასეთი კაცი, მისი რწმუნებით, გამარჯვებულიცაა ცხოვრებაში. რომ ძველი შეხედულებანი გლეხისა სწავლის შესახებ ახალი ცხოვრების პირობებში უნიადაგონი არიან, რომ სწავლა ცხოვრების პირობებში უძლიერესი იარაღია ცხოვრების სარბიელზე გამარჯვებისა და განმტკიცების საქმეში, რომ სწავლამ დასძლია ძველი უპირატესობანიც კი, დიმ. მაჩხანელს თავისი მკითხველის დასარწმუნებლად შემდეგი მაგალითი მოჰყავს: „აგე ის „ჩინოვნიკი" ერთის ვიღაცა მებაშმაკის შვილია. იმისი ხელქვეითნი კი, ბევრი წილი, ჩვენი თავადაზნაურები არიან, მაგრამ დღეს იმათ გვარიშვილობა ვეღარას ჰშველით და ამ უფროსის ბრძანებას ემორჩილებიან. რათა?" — კითხულობს თავის აზრში მტკიცედ დაჯერებული ხალხის მოკეთე მწერალი და თვითონვე უპასუხებს, —„იმიტომ, რომ მებაშმაკის შვილი კაი ნასწავლი კაცია და კაი ჭკვის მოხმარებაც იმას შეუძლიან ხალხის მოვლაში... თუ კაცს რიგიანი სწავლა არა აქვს, დიდი გვარიშვილობაც ვერ დააშვენებს. კეთილი საქმე კეთილ ცოდნას მოსდევს და არა გვარიშვილობას"—დაბეჯითებით დაასკვნის ის თავის აზრს.

დიმ. მაჩხანელს სწამს და უნდა დაარწმუნოს თავის მკითხველიც, რომ დღეს სწავლა გამეფდა. და ამიტომ აუცილებელია ისწავლონ არა მარტო ბავშვებმა, არამედ მოზრდილებმაც. აუცილებლად უნდა ასწავლონ აგრეთვე ქალებსაც, ვინაიდან, მწერლის სამართლიანი რწმენით, ნასწავლი დედა უფრო უკეთესად, საღად და დროის მოთხოვნილების მიხედვით აღზრდის შვილებს ბავშვობიდანვე. ამას დიმ. მაჩხანელი გაბედულად იმისათვისაც ქადაგებდა, რომ ხალხში—მოზრდილებშიც ის ხედავს დიდს სურვილს სწავლისადმი.

დიმ. მაჩხანელი ასე დაჟინებით ხანგრძლივად და მრავალმხრივ ესაუბრება თავის ძმა-მკითხველს (რა თქმა უნდა, მას მუდამ მხედველობა-

ში ჰყავს გაუნათლებელი გლეხობა), რათა მას შთააგონოს, დააჯეროს, რომ სწავლით გახსნილი და გაშუქებული გონება ადვილად მიხვდება დრომოჭმული ტრადიციებისა, ცხოვრების ჩამორჩენილობისა და სხვა უარყოფითი მხარეების მავნებლობას და შეეცდება მათგან გათავისუფლებას, მათ გამოსწორებას და ხალხის გაჯანსაღების გზაზე დაყენებას, რომ სანატრელი, ბედნიერი, სამართლიანი, კმაყოფილი ცხოვრება მოიპოვოს.

დიმ. მაჩხანელი (როგორც სხვა ხალხოსნები) იმედოვნებდა, რომ სწავლით განათებული გონების მქონე ადვილად მიხვდებოდა მკითხავთა ოინბაზობას, აღარ მიმართავდა მათ, აღარ დააცარვინებდა მათ ოჯახს. სწავლით გახსნილი გონება აღარ იწამებდა არც შელოცვას, არც ავი სულების არსებობას, მოიხსნიდა ცრუმორწმუნეობის ჯადოს. ავადმყოფობის დროს მიმართავს ნასწავლ ექიმს, არ აჰყვება ჭორებს, შეეცდება ყველაფერი თვითონ გაიგოს, გაიცნოს, შეისწავლოს, რაც მას თავიდან ააცდენს მრავალ უბედურებასა და მეზობლობაში უსიამოვნო ურთიერთ დამოკიდებულებას. „მერწმუნეთ, — თანაგრძნობით მიმართავს მკითხველს დიმ. მაჩხანელი, — რომ ადამიანის თავზე დაუთვლელი უბედურება ტრიალებს და ამ უბედურების ასაცილებელი წამალი კი მარტო ცოდნაა“ (გვ. 40) და წიგნი, როგორც დაუშრეტელი წყარო ცოდნის მიღებისა. „ქვეყნის გაჩენიდამ დღევანდლამდის,—ეუბნებოდა დაჟინებით მაჩხანელი თავის მსმენელს თუ მკითხველს, — რაც კი რამ დუნიაზე სამახსოვრო საქმე მომხდარა, სულ წიგნებში სწერია... და ისინი გვასწავლიან კიდეც, როგორ უნდა ცხოვრება. ქვეყანა წიგნების მადლით არის სავსე და კაცურის კაცის ცხოვრებაც იმათის წყალობით არის აყვავებული“ (გვ. 70). დიმ. მაჩხანელის რწმენითა და მტკიცებით ცოდნითა და სწავლით აღჭურვილი ადვილად აღარ მოექცევა მავნე ჩვეულებების გავლენის ქვეშ, ადვილად გაერკვევა — რაა მისთვის სასარგებლო და რაა მავნებელი: არ გაჰყვება ლოთობას, ზომიერებას დაიცავს სმა-ჭამაში; შეეცდება ჰიგიენურად მოაწყოს თავისი ბინა და ცხოვრება, გამართოს სოფლისათვის აბანო; მაშინ ის მუშაობას—შრომას კი არ გაექცევა, არამედ მოთხოვნილებად გაიხდის, რადგანაც წიგნების საშუალებით გაიგებს თუ სხვა განათლებული ხალხი როგორ შრომობს და ამის შედეგად როგორ კმაყოფილებაშია; ამასთანავე, ურთიერთობაში როგორც ცოლ-ქმარსა თუ რძალ-დედამთლის შორის, ისე მეზობლებთან უფრო სწორი გაგება და მეტი პატივისცემა ექნება.

სწავლისა და ცოდნის შეძენის შემდეგ, დიმ. მაჩხანელის რწმენით, ხალხი გაიგებს, დაინახავს თავის ცხოვრების ნაკლს და უგემურ ცხოვრებას გაიგემრიელებს; ხალხი შეეცდება თავისი ცხოვრების ნაკლის გამოსწორებასა და შევსებას, იქნება ეს — სკოლების აშენება, კარგი განვითარებული სასოფლო-სამეურნეო ია-

რაღების შეძენა, ყოველგვარი თესლეულის დათესვა, ცარიელებში არ-ხების გაჭრა და ვენახების გაშენება, მამულში კარგი ხეხილების ჩაყრა, ჯიშიანი საქონლის მოშენება თუ სხვა; მაშინ ხალხი თავის უფლებებ-საც დაიცავს, თუ მოხელეები მოინდომებენ იმის შევიწროებას, მო-ითხოვს შათ ფარული კენჭის ყრით არჩევას და გადასახადების გასაწერა-დაც რიგიან, სანდო კაცებს აირჩევს და მათ მოქმედებასაც მცოდნე კა-ცის საშუალებით შეამოწმებს. მაშინ ვაჭრებსა და „ქუცა ადვოკატებ-საც“ ხალხი აღარ გაეტყავებინება.

დიმ. მაჩხანელი ასე გატაცებითა და დაუღალავად მოუწოდებდა თა-ვის მკითხველს და უნდოდა მისი შეგნება ხალხის გამოფხიზლების საქ-მისკენ მიემართა.

ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე

1839—1918

1

ანტონ ფურცელაძე ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში მეტად თავისებური მოვლენაა. ის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის 60-იანი წლების დასაწყისიდანვე (1861 წ.) და სიკვდილამდე (1913 წ.) კალამი ხელიდან არ გაუგდია. ის მოწმე და მონაწილეა მეტად საგულისხმიერო სოციალური ძვრებისა, საზოგადოებრივი აზროვნებისა და მოქმედების დიდი ფაქტებისა, დაწყებული 60-იანი წლების რეფორმებით, „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლით, გათავებული 1905 წლის რევოლუციით.

ანტონ ფურცელაძე გამუდმებით დაუღალავად ეხმაურებოდა ცხოვრების მიერ წამოყენებულ საჭირბოროტო საკითხებს და ამ საკითხების გადაჭრას ყოველთვის ხალხისა და ფართო საზოგადოების საკეთილდღეოდ ცდილობდა. შეიძლება ითქვას, რომ ანტ. ფურცელაძე, როგორც კრიტიკა-პუბლიცისტიკაში, ისე მხატვრულ შემოქმედებაში ყოველთვის წინ, შორეულ, ხალხისათვის თავისუფლებისა და ბედნიერების მომნიჭებელი მომავლისაკენ გაიყურებოდა. მართალია, ეს მომავალი მწერლისათვის ბუნდოვანია, გაურკვეველი, ხშირად, ძალიან ხშირად გაუმართლებელ მხატვრულ ფორმებში მოცემული, მაგრამ ზრახვა მისი გარკვეულია—უკეთესი მომავალი, რომელიც ხალხის ფართო მასებს დაკმაყოფილებს, გამოიყვანს ხალხს არსებული მდგომარეობიდან.

ანტონ ფურცელაძე ქართლელი ღარიბი აზნაურის ნიკოლოზ ფურცელაძის შვილია. ის დაიბადა 1839 წელს სოფ. მერეთში. სოფ. მერეთი პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობს, სადაც ოსური სოფლებიც მოიპოვება. ანტონს ბავშვობიდანვე უხდებოდა ოსთა ცხოვრების გაცნობა. ბავშვობის შთაბეჭდილებანი, ამ ხალხის ცხოვრებიდან მიღებული, ანტონმა 1865 წელს დაწერილ მოთხრობაში „მართა“ დიდი თანაგრძნობით გამოხატა მართასა და მისი დედის ბოსიკონას ცხოვრების აღწერით.

ანტონ ფურცელაძის მამას მრავალრიცხოვანი ოჯახი აწვა კისერზე და, როგორც ხელმოკლე აზნაურს, მეტად უჭირდა მისი შენახვა.

ანტონის დედა, ბარბარე გედევანიშვილის ასული, ჭკვიანი, დარბაისელი და სათნოიანი ქალი, ქართული მწერლობის, როგორც საეკლესიო, ისე საეროსი დიდი მოყვარული იყო. ანტონის ოჯახში, გარდა მისი დედისა, მწერლობის დიდი მოყვარული იყვნენ აგრეთვე მისი ბიძის ცოლები სოფიო და ელისაბედი.

ანტ. ფურცელაძის პირველი მასწავლებელნი და აღმზრდელნი ეს სამი ქალი იყო: დედა მისი ბარბარე და ბიძის ცოლები — სოფიო და ელისაბედი.

მამამ ანტონი, სიღარიბის გამო, თბილისის გიმნაზიაში ვერ მისცა, სწავლის მოთხოვნილება კი მან იგრძნო. ამიტომ, თუმცა დიდის გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოახერხა, რომ ანტონი, როგორც ღარიბი აზნაურის შვილი, ნიკოლოზ I განკარგულების თანახმად, სახელმწიფო ხარჯზე მიეღოთ ქალ. ორიოლის კადეტთა კორპუსში. მაგრამ კადეტთა კორპუსში სწავლის მესამე წელს ანტონმა ვარჯიშის დროს მძიმედ იღრძო ფეხი. დაკოჭლებული ანტონი, კადეტთა კორპუსისათვის შეუფერებლობის გამო, 1854 წელს დაბრუნდა სახლში.

1854—1858 წლებში ანტონ ფურცელაძე ცხოვრობდა სოფელში, მშობლების სახლში, რადგანაც მამამ ის, ხელმოკლეობის გამო, სასწავლებელში ახლაც ვერ მისცა. ის ცხოველი სიყვარული სწავლისადმი, რომელიც ანტონს ბავშვობიდანვე ახასიათებდა, მან დაიკმაყოფილა კითხვით, თვითგანვითარებით. ანტონი დიდი ხალისით კითხულობდა ყველაფერს, რაც კი მოხვდებოდა, როგორც ქართულს, ისე რუსულ ენაზე (რუსული ენის კარგი ცოდნის გამოტანა ანტონმა კადეტთა კორპუსიდან მაინც მოახერხა); ის გატაცებით კითხულობდა როგორც მხატვარ მწერალთა, ისე ფილოსოფოსთა და ეკონომისტთა ნაწარმოებთ, და ჟურნალ-გაზეთებს.

ანტონმა მალე იგრძნო, რომ სოფლის კარჩაკეტილი ცხოვრება მას ვერ დააკმაყოფილებდა, მისი ენერგიული და მრავალფეროვანი ნიჭიერი ბუნება ფართო სამოღვაწეო ასპარეზს ეძებდა და 1858 წელს გადაწყვიტა დაეტოვებინა სოფელი, გადმოსულიყო თბილისში და სამოქმედო ასპარეზი გამოენახა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ანტონ ფურცელაძე მოხვდა ქართული მოთავადაზნაურო ინტელიგენციის წრეში, რომელიც ვერც „მამების“ გავლენისგან განთავისუფლებულიყო და ვერც „რუსეთუმეებთან“ მისულიყო. მაგ., დიმ. ყიფიანი, ქრისტ. მამაცაშვილი და სხვანი.

ანტონი საკმარისად დაუახლოვდა დიმ. ყიფიანს (რომელიც მას ნათესავად მოხვდებოდა) და პატივისცემით ეპყრობოდა. სამსახური მაინც კარგა ხანს ვერ იშოვა. ბოლოს თავისი ბიძის დავით მირზაშვილის დახ-

მარებით მოეწყო დავრდომილთა თავშესაფარში („Богадельня") გადამწერის ადგილზე თვეში ხუთ მანეთად.

აქედან ანტონ ფურცელაძეს უკვე შეეძლო დამოუკიდებლად (ეკონომიურად) ცხოვრება. დაიჭირა მან რამდენიმე სემინარელთან ერთად კალოუბნის ქუჩაზე (ახლა ანტონ ფურცელაძის ქუჩა ეწოდება) სარდაფის სართულში ოთახი და იშვიათი მოწადინებით განაგრძო თვითგანვითარების საქმე.

თვითონ ანტ. ფურცელაძის მოწმობით, ამ დროს მათ წრეში, მასთან სარდაფის ოთახში იკრიბებოდნენ მოაზროვნე ინტელიგენციის წარმომადგენლები: პეტრე უშიკაშვილი, ნიკო ყიფიანი (დიმიტ. ყიფიანის შვილი, რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა თურმე, მაგრამ ადრე დაიღუპა), თვითონ დიმიტრი ყიფიანი, კონსტანტინე ივანოვი, სარქისოვი, აივაზოვი, მდივანი, გიორგი პაიჭაძე და სხვანი. გარდა თვითგანვითარებისა, ეს წრე ცდილობდა საზოგადოებრივ სასარგებლო მოღვაწეობის წარმატებასაც, მან გამართა კიდეც წარმოდგენები, რის საბოლოო მიზანი იყო ქართული სცენის აღდგენა[1].

ანტ. ფურცელაძე თვითგანვითარების შემწეობით მალე მოემზადა ისე, რომ 1862 წელს გადავიდა გიმნაზიაში აღმზრდელის თანამდებობაზე.

ანტონი ამითაც არა კმაყოფილდება, იმისი მისწრაფება უფრო ფართო სამოღვაწეო ასპარეზს ეძებს. ამიტომ ის დამშეულსავით განაგრძობდა დაუღალავ მუშაობას თავის თავზე და 70-იან წლების დასაწყისიდან მან მიიღო უფლება კერძო ვექილობისა. სწორედ ეს ის პერიოდია, როდესაც ანტონი გაიტაცა ხალხოსნურმა მოღვაწეობამ. ის დაუახლოვდა ხალხოსნურ ორგანიზაციას. ხალხოსნურ ორგანიზაციაში მონაწილეობასთან ერთად ანტ. ფურცელაძე დაუღალავად ემსახურებოდა გლეხკაცობას, აგრეთვე, როგორც ვექილი.

80-იანი წლებიდან ანტ. ფურცელაძე გადადის საადგილ-მამულო ბანკში, სადაც მუშაობს ჯერ დამფასებლის თანამდებობაზე, ხოლო ილია ჭავჭავაძის ბანკიდან წასვლის შემდეგ, ბანკის დირექტორად.

ასეთ ოფიციალურ სამსახურთან ერთად ანტ. ფურცელაძე ენერგიულად და დაუზარებლად მუშაობდა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზეც. ის ცდილობდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საკითხის თუ მოვლენის შესაფერისი პასუხი მოენახა, გაეგო, გადაეჭრა. ამასთან ერთად, ანტონ ფურცელაძე ცდილობდა საკითხის თუ მოვლენის გარკვევა-გადაჭრაში თავისებურების შენარჩუნებას. ასეთმა ფართო ხასიათის მოღვაწეობამ, თვითგანვითარების გზით მიღებულმა, უდავოდ, ფარ-

[1] Закавказская речь, 1911 г., №№ 256, 257.

თო განათლებამ, პირადმა უნარიანობამ ანტ. ფურცელაძეს ქართულ საზოგადოებრივ ასპარეზზე თვალსაჩინო ადგილი მოუპოვა.

2

ანტონ ფურცელაძის მოღვაწეობა არ ამოიწურება მარტო პრაქტიკული მუშაობით. 1858 წლიდან იწყებს ის ლექსების წერას და ამ მიმართულებითაც დაუღალავ ენერგიას იჩენს. მან მალე სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო ჟურნალ „ცისკარში“ და შემდეგ იშვიათი იყო ქართული პერიოდული გამოცემა, რომ ანტ. ფურცელაძეს მასში აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს („მნათობი“, „გუთნის დედა“, „იმედი“, „ივერია“, „კვალი“ და სხვანი). იყო შემთხვევები, როცა ანტონს ნაწარმოებთ პერიოდული გამომცემები არ უბეჭდავდნენ და მაშინ ის თავის ნაწერების ცალკე გამოცემასაც მიმართავდა, უფრო კი ცნობილი მწიგნობრის ზაქ. ჭიჭინაძის შემწეობით.

ანტონ ფურცელაძე, როგორც ეს დამახასიათებელი იყო XIX საუკუნის სხვა ჩვენი მწერლებისათვისაც, თავისი აზრების გამოხატვისათვის შემოქმედების სხვადასხვა ჟანრს მიმართავდა. ის წერდა: ლექსებს (აქვს თარგმანი რუსი და უცხო მწერლებიდან, ალბათ, რუსულით—ნეკრასოვი, კრილოვი, ბარბიე, ბერანჟე, ჰაინე, ბაირონი, ლეოპარდი და სხვანი), მოთხრობებს, პოემებს, დრამას, ისტორიულ ნარკვევს, პუბლიცისტურ და კრიტიკულ წერილებს. წერდა როგორც თავისი გვარისა და სახელის მოწერით —ანტონ ფურცელაძე აგრეთვე ფსევდონიმებითაც: ქერელი ბექა (ჟურნალ „ცისკარში“), ზურ. მოენიძე („მნათობში“).

მრავალფეროვანია ანტონის სამწერლო მოღვაწეობა. ყველგან და ყოველთვის ავტორს ახასიათებს სურვილი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში იყოს სასარგებლო მოქალაქე.

თავის სამწერლო ასპარეზს ანტონ ფურცელაძე იწყებს ლექსით „ჩემს მეგობარს“. ეს ლექსი მკითხველს გარკვეულად აჩვენებს ავტორის საზოგადოებრივ განწყობილებას, 60-იანი წლების იდეების გამოხატვას. ასე მიმართავს ანტონი თავის მეგობარს:

> თუ რომ დაიწყო მცონარეობა
> მამაპაპურად, ან ღვინოს გაჰყევ,
> თუ მოისურვო უდარდელობა
> და ჩვენს პირობას მუხთლად გადუდგე,
> მაშინ შენ, ძმაო, ნუ მომიგონებ,
> ნუ იტყვი ჩემსა მეკობრობასა,
> ჩემსა სახელსა ნულარ ახსენებ,
> ვერ ჰპოვებ ჩემში თანაგრძნობასა.
> და თუ ქვეყნისთვის სწირავდე თავსა

და დასდგომოდე სიმართლის გზასა,
მაშინ კი, მაშინ არ დამიეიწყო,
გახსოვდეს, რომა, სადაც კი ვიყო,
შენთან მექნება მღელვარე გული,
და, თუ შენს გზაზე ვერ დავალ იმ
წამს,
ამ გზასა მე, თავგამეტებული
დღეს არის თუ ხვალ თვით შევწირავ
თავს.

ეაბუკი მწერლის სულიერი განწყობილება საკმარისად მახვილადაა გამოთქმული. უნდა ითქვას, რომ ანტონ ფურცელაძის ლექსებსაც პოეტური ფორმის თვალსაზრისით მეტად სიღარიბე, მოუქნელობა ახასიათებს. მის მხატვრულ შემოქმედებაში ჭარბობს იდეა, საზოგადოებრივი გრძნობა-მისწრაფება; პოეტური მხარე, როგორც ეს 60-იანი წლების მოღვაწეთ და უფრო კი ხალხოსნებს ახასიათებდა, ეწირება ნაწარმოების შინაარსს, მის იდეურ მხარეს. ანტ. ფურცელაძეში ეს მომენტი მეტად თვალსაჩინოა.

ანტ. ფურცელაძისათვის რომ საზოგადოებრივი განწყობილების წინწამოწევა ასეა დამახასიათებელი მისი პოეტური მოღვაწეობის დასაწყისშივე, ჩანს მეორე მისი ლექსიდან „პასუხი“, 1859 წელს რომაა დაწერილი. მეგობრის მიმართვაზე ლექსში „ჩემს მეგობარს“ ავტორი ასეთ პასუხს იძლევა:

ნუ შეძრწუნდები მით, რომ უშეერი
ხალხი დაგიწყებს ჩაქვავებასა,
რომ მეგობარი, რომ გულის სატრფოც
მიგცემენ წყევლა-შეჩვენებასა!
რათ გინდა სატრფო, ან მეგობარი,
თუ რომ ისინიც სხვას სწოვენ ტკბნსა?
უნდა მომავლის ბედნიერება
გაგამხნევებდეს ბრძოლად გასულსა...
თუ, მორეული მტრის მახვილითა,
იდო მტრის ფეხქვეშ, მიწას გარეხულ-
ლი,
მხნედ დასდევ თავი: ამ სიკვდილითა
გახდები მართალთ გზათ სანათური.

ასეთსავე განწყობილებისაა ანტ. ფურცელაძის შიერ 1861 წელს დაწერილი ლექსი „ვუძღვნი ქრისტეფორე მამაცაშვილს“, რომელშიც ავტორი საზოგადოებრივი მოვლენების შეგნებით ასე მიმართავს თავის მეგობარს:

დღეს, როდესაც დრო ხელს გვიწყობს, გვაქვს მოცალება,
მტრისა მახვილი, შემართული არ გვემუქრება,
როს სხვა განსაცდელს უარესსა უნდა ველოდით,
თუ დროს შესაფერს საქმეს ხელი ჩვენ არ მოვკიდეთ...

ჩვენცა დაგვიხშავს ცრუ ზმანების ღრმა მორევშია
ჩვენი ფიქრები, ჩვენი ოცნება, ჩვენი აზრები
და ვერა ვხედავთ უდარდელსა განცხრომაშია,
რა უფსკრულისკენ დაშვებულან დღეს ჩვენი გზები.

ასეთი აზრებითა და მიმართულებით გამოდის ანტონ ფურცელაძე სამოღვაწეო და სამწერლო ასპარეზზე. ტყუილად კი არ ამბობს იგი „დრამა-ტრაგიზმით ვარ აღზრდილიო“.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი აღტყინებისა, საგულისხმიეროა, რომ ანტონ ფურცელაძე 60-იანი წლების დასაწყისში, თაობათა შორის ბრძოლაში, შვილებთან კი არ არის, არამედ, როცა თერგდალეულნი აარსებენ თავიანთ ორგანოს — „საქართველოს მოამბეს“, ის რჩება „ცისკარში“, „მოამბეს“ ორგანოში.

მაგრამ, არ იქნება მართალი არ აღვნიშნოთ, რომ ანტ. ფურცელაძე, თუმცა „ცისკარში“ დარჩა, მაგრამ იქ ის გამატარებელია ახალი, 60-იანი წლების იდეებისა, განსაკუთრებით რუსეთის მოწინავე საზოგადოებიდან—ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლუბოვი, დ. პისარევიდან რომ მომდინარეობდა. ანტ. ფურცელაძე „ცისკრიდან“ თუ ებრძვის თერგდალეულთ, ებრძვის ან პირადი შეურიგებლობის გამო, ან უფრო მარცხენა პოზიციებიდან. ამას ადასტურებს მისი „ცისკარში“ მოთავსებული წერილები. ამ მიმართულებით მეტად საგულისხმიეროა მისი კრიტიკული განხილვა დანიელ ჭონქაძის მოთხრობისა „სურამის ციხე“ და მთელი რიგი სხვა წერილები.

აღნიშნულ წერილებში მეღავნდება ანტ. ფურცელაძის 60-იანი წლების რადიკალური აზროვნება.

1863 წელს „ცისკრიდან“ ანტ. ფურცელაძე ასე ეკამათება „საქართველოს მოამბეს“: „სად არის საქმე? სად არის წარმართვა? სად არის ყოველი ფერის თაოსნობა? მე გიპასუხებთ—ჯიბეში. ყველა თავის თავისთვის არის და სხვა მხედველობაში არა ჰყავთ. ჩვენში, როგორც საზოგადოებაა ამ ყოფაში, როგორც საზოგადოების ბობოლაები, ეგრეთვე ლიტერატორებიც. ლიტერატორები და ლიტერატურა სრულებით არ მისდევს ხალხის საჭიროებასა და ჰბღაჯნიან, ვითამ და შეიტყეთ, რომ მეც კაცი ვარ და ქვეყანაში ურევივარო“[2].

თავის პოზიციას ანტ. ფურცელაძე თანდათან უფრო აღრმავებს და იმავე წერილში, ცოტა ქვევით, შემდეგს ამბობს: „როდესაც ის (ე. ი. „საქართველოს მოამბე“. — მ. ზ.) გავა სწორე გზაზედ და აღასრულებს თავის მოვალეობას, მაშინ ჩვენ შეგვეძლება მკითხველი მწუხარების შაგივრად გავახაროთ, რომ ჩვენში არის ლიტერატურაცა, მწერლობაცა და ეს ლიტერატურა ცდილობს რომელიმე კეთილი აზრის გაღვიძე-

[2] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე. ე ქართული ლიტერატურა, „ცისკარი“, 1863 წ., № VII.

ბასა კეთილ სინდისიანათ და შტკიცედ ხალხში ჩაებას. ეგრეთვე, როგორც „მოამბე“ აღგვითქვამდა, გვეგონა შეუდგებოდა ხალხის ნაკლებულების გამოკვლევასა და იმის მიზეზების ჩვენებას. გვეგონა ის გაბედვით გადაეღობებოდა ყოველ უგვანებას, როგორც შეჰფერის ყმაწვილ თაობასა, მაგრამ... ჩვენდა სამწუხაროდ, ამას ვეღარ გეტყვით. „მოამბეს“ დაეკარგა გზა... საზოგადო სარგებლობის მაგივრად, გაჰყვა თავის ეგოისტურ მიხედულობას (თუმცა სოვრემენიკის ფერი კაბა ჩაიცვა), აქვს მხედველობაში თავის თავის მოყვარეობა და ინტერესი“[3].

მოყვანილი ციტატებიდან მტკიცდება ჩვენ მიერ ზევით წამოყენებული დებულება: ანტ ფურცელაძის თერგდალეულებისადმი დამოკიდებულება აიხსნება როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი ხასიათის მოტივებით. რა თქმა უნდა, ანტონის მიერ ამგვარი შეფასება „საქართველოს მოამბისა“ და მის მესვეურთა არ არის მართებული (რასაკვირველია, იმ დროისა და გარემოების მიხედვით). ანტონის ასეთი შეხედულების გამართლებას ეწინააღმდეგება როგორც „საქართველოს მოამბის“, ისე თერგდალეულთა მოღვაწეობის საზოგადოებრივი მნიშვნელობა. მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, ეს ის, რომ ანტ. ფურცელაძე რუსეთის 60-იანი წლების მოწინავე აზროვნების უკიდურესობისაკენ — უტილიტარიზმის მიმართულებით უფრო მეტად იხრება, უფრო რადიკალურად აზროვნებს, ვიდრე სხვა თერგდალეულები.

ანტ.ფურცელაძე თავის დამოკიდებულებას პოეზიისა და ხელოვნებისადმი ასე გამოთქვამს: „ცრუ ოცნებაები კი არ გვინდა პოეზიაში, — რით ვერ გაიგეთ, რომ მაგ გვარი ოცნებაებისა, ოხისა და უხის ამაოთ... ქადაგებაების დროებაები წავიდნენ. ჩვენ გვინდა პოეზიაშიც... ვხედავდეთ საქმეს, ჭეშმარიტებას, ჩვენი გულის პასუხს, ჩვენი თავის ცნობას, ჩვენს გარშემოს, ჩვენს თვისებას და კუთვნილებას და არა თქვენი ოპიუმისაგან მთვრალის ოცნებაების დაგვარსა რაღაცა რაღაებსა, ვაშავუშსა და ვაგლახებსა“[4], და ბოლოს ასე განმარტავს ჟურნალის დანიშნულებას: „ყოველი კეთილსინდისიანი ჟურნალი უნდა ცდილობდეს, რომ ხალხს აუხსნას გონება, გამოიყვანოს თავის უშვერის მდგომარეობიდან და უჩვენოს ჭეშმარიტება და გზა ჭეშმარიტებისა“[5].

გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ანტ. ფურცელაძის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მეტად ტეხილი ხაზით მიიმართებოდა; მისი მოღვაწეობის ახლო გაცნობა გვიდასტურებს, რომ ის ვერ თავსდებოდა ვერც ერთი მიმდინარეობის ფარგლებში. ის ცნობილი იყო ნიღილისტის სახელწოდებით. და ეს სახელწოდება ანტ. ფურ-

---

[3] ანტ. ფ ურ ც ე ლ ა ძ ე. ქართული ლიტერატურა, „ცისკარი“, 1863 წ., № VII.
[4] ი ქ ვ ე.
[5] ი ქ ვ ე.

ცელაძის მიმართ მარტო იმით კი არ აიხსნება, რომ ის დიდი პატივისცემით იხსენიებს პისარევს და მისი აზრებით ხშირად სარგებლობდა თავის ლიტერატურულ მოღვაწეობაში, არამედ იმიტომ, რომ ნიღილისტობას იჩენდა ანტ. ფურცელაძე გაბატონებულ მიმართულებათა და პირთა მიმართაც (ანტ. ფურცელაძის ამ მიმართულებით შესწავლა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ბევრს საინტერესო მხარეს გაარკვევდა. მაგრამ ეს უფრო სპეციალური მონოგრაფიის საქმეა, ვიდრე წინამდებარე შრომისა, ამიტომ ამ მხარის შესწავლა-გარკვევას შემდეგისათვის გადავდებთ). ამ გარემოებით აიხსნება ის, ხშირად არაკეთილმეგობრული განწყობილება, რომელსაც ანტ. ფურცელაძისადმი იჩენდნენ მისი თანამედროვენი, განსაკუთრებით პერიოდული გამოცემების ხელმძღვანელნი. ანტ. ფურცელაძეს რომ არა ჰყოლოდა ისეთი პატივისმცემელი, როგორიც იყო ზაქ. ჭიჭინაძე, შესაძლებელია ბევრი მისი ნაწერი თავის დროზე ვერ დაბეჭდილიყო (ანტ. ფურცელაძის ბელეტრისტული ნაწერები ხშირად დაწერის რამდენიმე წლის შემდეგ იბეჭდებოდა).

ზაქ. ჭიჭინაძე არაერთხელ აღნიშნავს ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის ანტ. ფურცელაძისადმი ამგვარ დამოკიდებულებას: „ანტ. ფურცელაძის ნაწარმოების გამოცემას, — წერს ზაქ. ჭიჭინაძე, — მე მით უფრო შევუდექი, რომ იწუნებდნენ წინეთ და იწუნებენ დღესაც, იდევნება ზოგიერთ ცრუ მწერლებისაგან და მრავალი ამ მწერლების ფეხის ხმის ამყოლთაგან და ამავე დროს ამ მწერალს ჰყავს მრავალი მკითხველი და თანა-მგრძნობელიცა. მიზეზი ამ დევნისა მე არ ვიცი თუ რამ გამოიწვია... მე დიდათ მსურდა, რომ შემეტყო მიზეზი ამისი, მაგრამ ისმის მხოლოდ ლანძღვა და საბუთები კი არა!.. ჩვენ, პირში საქებარი ანტონ ფურცელაძესთან არა გვაქვს რა, რომ მას პირ მოთნეობით ქება ვუძღვნათ და მით ვინდომოთ მის სიამოვნება, მაგრამ არ შეგვიძლიან არ ვსთქვათ ისიც, რომ ქართულს მწერლობაში, რომელმაც თავის ვალს გზა აუქცია... ანტ. ფურცელაძის ნაწერები კი სულ უმნიშვნელონი და უსარგებლონი იყვნენ, რომელიც უქადაგებს ხალხს ახალს აზრს, ახალს ცხოვრებას, უყურებს ძველს კრიტიკულად, შემოაქვს ახალი გარკვევით და აწონვით... შეიძლება ანტ. ფურცელაძის ნაწერები იმით იყოს შეუნიშნავი, რომ ვითომც მასში არ მოიპოვებოდეს ესტეტიკური კილო, მაგრამ... ხშირად არც ესა აქვს ფურცელაძეს სხვებზე ნაკლები, როდესაც ამას მოითხოვს საგნის საჭიროება, თუ არა და ცარიელ ესტეტიკას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენს მწერლობაში“[6]. ეჭვს გარეშეა, ზაქ. ჭიჭინაძის შეხედულება გამომხატველია ქართველი მკითხველის სა-

---

[6] ანტონ ფ ურ ცე ლ ა ძ ე. თხზულებანი, წიგნი მეორე, წინასიტყვაობა, გვ. I, II და VI.

ზოგადოების ერთი ნაწილისა. მაგრამ ქართველი მკითხველი საზოგადოების მეორე ნაწილის ანტ. ფურცელაძის შემოქმედებისადმი გულგრილობასა და უყურადღებობასაცა აქვს თავისი raison d'être.

3

ანტონ ფურცელაძის ნაწერების დაუბეჭდაობას ჩვენი პერიოდული გამოცემების მიერ, თუ, ერთი მხრით, პირადი ხასიათი ჰქონდა (ანტ. ფურცელაძე მოურიგებელი, დაუდგრომელი კაცი იყო; ჩვენი პრესის საუკეთესო წარმომადგენლებთან—ილ. ჭავჭავაძესთან, ნიკო ნიკოლაძესთან, გიორგი წერეთელთან და სხვებთან ხშირად არა ჰქონდა კარგი დამოკიდებულება), მეორე მხრით, უდავოდ, ანტ. ფურცელაძის მხატვრული შემოქმედების ნაკლით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ანტ. ფურცელაძის შემოქმედების გაცნობა მკითხველს აჩვენებს, რომ მწერალი არ იყო დაჯილდოებული დიდი მხატვრული ნიჭით. ის როგორც მხატვარი, უდავოდ, მეორეხარისხოვანია, მას არა აქვს უნარი ნაწარმოების მხატვრული დამუშავებისა, დახვეწისა. მისი შემოქმედების კომპოზიცია მეტად მარტივად იშლება, დაკვირვებული მკითხველი წინდაწინვე გრძნობს როგორ განავითარებს ავტორი მოქმედი პირის ცხოვრებას. თვითონ მოქმედი პირის ხასიათის გაშლაც ხშირად მეტად ხელოვნურია, განვითარება მოდუნებულია; მეტად უხეშად, ხან უადგილოდაც მეორდება ერთი და იგივე ხერხები (სიზმარი, წინათგრძნობა); დრამატიული ნაწარმოებნი ზედმეტად დატვირთულნი არიან, დინამიკურობა მათში შენელებულია; სცენური ხელოვნების თვალსაზრისით მძიმენი და სუსტნი. მათი ენა სავსეა რუსიციზმით, მეტად მარტივია, ქართული ლიტერატურული ენის ნორმების დაცვის თვალსაზრისით არასწორია.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ანტ. ფურცელაძის შემოქმედებას, რა თქმა უნდა, თავის ღირებულებაცა აქვს.

ანტ. ფურცელაძეს უდავოდ ახასიათებს დაკვირვების უნარი, ის კარგად იცნობს ცხოვრებას, გრძნობს ეპოქის მაჯის ცემას, მის მოთხოვნილებას, ეხმაურება მას. მართალია, ის თავის მხატვრულ შემოქმედებაში, თავისი დადებითი გმირების სახით, ხშირად თავის პირად ზრახვათა და მისწრაფებათ გვისურათებს, მაგრამ თვითონაც ხომ ეპოქის ღვიძლი შვილი იყო, ეპოქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმული და, ამიტომ, ბუნებრივია, მის შემოქმედებაში მკითხველი გრძნობს ეპოქის მაჯის ცემას.

ანტ. ფურცელაძის შემოქმედება, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ტეხილი ხაზით ვითარდება. ის სხვადასხვა მიმართულებებს და გავლენებს ითავსებს, რაც, ჩვენის შეხედულებით, თუ უმთავრესად მწერლის წვრილბურჟუაზიული, წვრილ აზნაურული ფსიქოიდეოლოგიის გამოვ-

ლინებაა, ნაწილობრივაც შედეგი უნდა იყოს მისი თვითგანვითარებისა. იგი. ყველას კითხულობს, ხშირად განურჩევლად, მაგ.: ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლუბოვს, დ. პისარევს, კ. მარქსს, პ. ლავროვს, ნ. მიხაილოვსკის, რობერტ ოუენს, სპენსერს, მილს და მრავალ სხვათა. მაგრამ ძირითადში ანტ. ფურცელაძე ხალხოსანი მწერალია როგორც პუბლიცისტიკაში, ისე მხატვრულ შემოქმედებაში. ხალხოსნური მიმართულების მწერლების შემოქმედების დადებითი და უარყოფითი თვისებებით ხასიათდება ანტ. ფურცელაძის შემოქმედებაც.

ხალხოსან მწერალთა შემოქმედებაში, ცნობილია, წინ წამოწეულია, ეპოქისათვის დამახასიათებელი მოწინავე იდეები. ხალხოსანი მწერლები ხომ ლიტერატურულ შემოქმედებას ისევე უყურებენ, როგორც პუბლიცისტიკას, ე. ი. როგორც იარაღს, საშუალებას ხალხის გამოფხიზლებისა, მისი მდგომარეობის გარკვევისა, მისი უკეთესი მომავლის მოპოვებისა. ამით აიხსნება, რომ ყოველი ხალხოსანი მწერალი პირველ რიგში ცდილობს საჭირბოროტო საკითხების წინ წამოწევას; მას უმთავრესად აინტერესებს შემოქმედების თემატიკა, ის სახეები, რომელნიც აღებულ თემების მოტივით აწესრიგებენ და იძლევიან მათ შესაფერ გადაწყვეტას.

ასეთივეა ანტ. ფურცელაძეც.

ძირითადი თემები მისი მხატვრული შემოქმედებისა შემდეგია: 1) გლეხის სოციალური და იურიდიული მდგომარეობა; 2) საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური დაჯგუფებანი და მათი ურთიერთობა: ა) დარღვეული თავადაზნაურობა, მისი შინაგანი ბრძოლა, მისი ისტორიული როლი, ხელმოკლე აზნაურები და ფეოდალური არისტოკრატია; ბ) განათლების გზაზე დამდგარი ქართველი ინტელიგენცია; გ) ფეხადგმული ბურჟუაზია; დ) მეშჩანური საზოგადოება, რომელიც ხუნდებსავით შემორტყმია გამოფხიზლებულ ადამიანს და მის კეთილზრახვათა სისრულეში მოყვანას გასაქანს არ აძლევს; ე) ქალის მდგომარეობა; 3) ეროვნული საკითხი — საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა; 4) ახალი კაცი — ახალი ცხოვრების მოწესრიგების საფუძვლები.

ანტ. ფურცელაძე, როგორც საერთოდ 60-იანი წლების მწერლები და განსაკუთრებით ხალხოსნები, მხატვრულ შემოქმედებაში პუბლიცისტური მიმართულების საფუძველზე დგას და თავის პოეტურ მოღვაწეობას ამ მიმართულებით ავითარებს.

60-იან წლებში, როდესაც ანტ. ფურცელაძე გამოვიდა სამოღვაწეო-სამწერლო ასპარეზზე, რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში, რომლის გავლენაც ქართველ მოწინავე საზოგადოებაზე მნიშვნელოვანია — ძირითადი საკითხი იყო გლეხის — ყმის საკითხი, მისი მდგომარეობის გამახვილებული ჩვენება და მისი მომავლის მოწესრიგება.

ამ საკითხს ანტ. ფურცელაძემაც თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია. მოღვაწეობის დასაწყისში (1858—1862) მის შემოქმედებას გარკვეულობა არ ეტყობა, მაგრამ, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი ხასიათი თავიდანვე წითელ ზოლსავით მისდევს.

გლეხის, ყმის საკითხი ანტ. ფურცელაძემ გარკვეულად წამოაყენა 1863 წელს, დან. ჭონქაძის „სურამის ციხის“ განხილვის დროს. ხსენებული წერილით ანტ. ფურცელაძემ პოპულარიზაცია გაუკეთა დან. ჭონქაძესაც და მის მოთხრობასაც (ანტ. ფურცელაძე პირველია, რომელმაც ვრცლად და დადებითად შეაფასა „სურამის ციხისა“ და მისი ავტორის მნიშვნელობა).

1865 წელს მან დაწერა მოთხრობა „მართა“, სადაც ავტორმა ბატონსა და ყმას შორის გამწვავებული ურთიერთობა სინამდვილის კარგი ცოდნით გაშალა.

განვითარდა კაპიტალიზმი. ფეოდალური მეურნეობის დასაყრდენს— ბატონყმობას საფუძველი ეცლება. ყმა გათავისუფლებას ეძებს. მებატონეს ურჩობას უწევს. თავადაზანურობამ დაკარგა მოღვაწეობის ფართო ასპარეზი. დაირღვა იგი, დაკნინდა. ნაწილი, გამოუსადეგრობის გამო, თანდათან იხსნება ცხოვრების ასპარეზიდან, ნაწილიც (რასაკვირველია, მცირე) ახალს ეგუება, ახალ ცხოვრებას ებღაუჭება. ასეთ პირობებში იზრდება და ვითარდება როსტომ ტაბლაძე, ანტ. ფურცელაძის მოთხრობა „მართას“ მთავარი გმირი. „როსტომ ტაბლაძე, მებატონე... ისეთის ანგრიშის კაცი იყო, ისე უყურებდა ყველას აწონვითა, რომ თუ არ დაატყობდა ცხადლივ საქმის მოგებასა, არასოდეს ხელს არაფერს არ მოჰკიდებდა.

...რასაკვირველია, როსტომი ისეთი ანგარიშის კაცი არ იყო, რომ თუ ახალიდამ ცხადი მოგება დაენახა, მამა-პაპისათვის მიებაძა. მაგრამ იმას აყენებდა უკან ისა, რომ იმან ნახა ზოგიერთა კაცის თავს მაგალითი, რომ ახალი დაწყობილება არ მოუხდათ კარგადა და ამის გამო ის ყველა ახალ წესს და წყობილებას სახლოსნობაში ერიდებოდა“[7].

როსტომი მამამ სასწავლებელში მისცა, როგორც ვაჟკაცობაში გამოუსადეგარი. მაგრამ მან სასწავლებელში ვერ მოიპოვა ამხანაგების სიყვარული და თანაგრძნობა. მაშინ მან მიმართა სასწავლებლის უფროსების გულის მოგებას. „როსტომმა დაუწყო ამხანაგებს თვალთვალობა და ყოველს იმათს მოქმედებას ამცნებდა ჩუმჩუმათ მეუფროსეებსა. მეუფროსეებმა უფრო თავზედ ქონი წაუსვეს და უფრო წააქეზეს ამ ხელობაზედ. რასაკვირველია, ეს არ დაემალათ ამხანაგებს და უფრო ამოიჩემეს. როსტომ თანდათან დაუახლოვდა მეუფროსეებს, შეიქმნა

---

[7] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, მართა, გვ. 3—4, 1893 წლის გამოცემა. აქ და ყველგან მითითებულია ეს წიგნი.

იმათი მონა. რასაკვირველია, რაკი მეუფროსეები ამისკენ იყვნენ, შეგირდებმა ვერა დააკლეს რა"[8].

როსტომს სასწავლებელშივე აღმოაჩნდა ახალ ცხოვრებასთან მისვლისათვის საჭირო ჩვევები. მან, როგორც დარღვეულ კლასის წიაღიდან გამოსულმა, ახალ ცხოვრებასთან შეგუებისათვის ნაკლები წინააღმდეგობის გზა აირჩია. გამორჩენის მიზნით ის საშუალებებს არ არჩევს. ამგვარ შემთხვევაში მასაც მორალური განურჩევლობა ახასიათებს. როსტომ ტაბლაძის ოჯახს, სანამდე ის სასწავლებელში იყო, უბედურება ეწვია. ორი იმის ვაჟკაცი ძმა სპარსეთთან ომში დაიღუპა. ერთი გზაზე ვილაცამ აჩეხა, ერთიც, უკანასკნელი, სვიმონი, ცოლშვილიანი, გარდაიცვალა სწორედ მაშინ, როცა როსტომი სასწავლებელს ათავებდა. როსტომი რჩებოდა მთელი დარჩენილი მამულ-დედულის გამგებლად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, როსტომმა არ მოინდომა მამულში დაბრუნება. ავტორი ასე გვიხატავს მის ამ დროის განწყობილებას: „რა უნდა მერქვას!—მსჯელობს როსტომი, — რაც აქამდის ვიყავი ჩვენი ყმებისა და მეზობლების თვალში, ის ეხლა ვიქნები: ძაღლად არავინ ჩამაგდებს. ამას გარდა, სასამართლოში მე არა ვარ გამოცდილი, დავიდარაბისა მე არაფერი გამეგება; უბრალო კაციც კი დამიბრიყვებს და ყველასთან სახვეწარი მექნება. არა! მე ისე უნდა მოვიქცე, რომ მე დავიბრიყვო და დავჩაგრო სხვა და არა სხვამ მე. ამის გულისათვის იმან გადაწყვიტა სამსახურში შესულიყო, გამოცდილიყო. თუ სამსახურში კარგად წავიდოდა, დარჩენილიყო იქ ხანი, შეეძინა ფული და ფულთან ყველაფერი იქნებოდა. თუ არა, უფულოდ, რა უნდა მერქვას!"[9]

თუ სწავლა-განათლებამ მებატონეების უმრავლესობას ახალი ცხოვრების ფუფუნების შადა გაუმახვილა და ისინი დარჩენილი დოვლათის უანგარიშო ფლანგვას შეაჩვია, ხოლო დოვლათის მოპოვების უნარი კი არ გამოუმუშავა, როსტომ ტაბლაძემ სწავლის მიღების შემდეგ სხვა გზა აირჩია—მან ძველი ძალა-უფლების შენახვა-განმტკიცება მოინდომა. ამ მიზნისათვის უნდა მას სწავლა და ეს უკანასკნელი კი ფულის შესაძენად, ვინაიდან, მან იგრძნო, რომ ფული ერთადერთი დასაყრდენია ამ ცხოვრებაში.

როსტომ ტაბლაძე შევიდა მოსამსახურედ პოლიციაში, როგორც მისი მიზნებისათვის უფრო ხელსაყრელ დაწესებულებაში. ადვილად აუღო ალღო ბიუროკრატიულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. აქაც მან საკვირველი სიმარჯვე გამოიჩინა მეუფროსეების ერთგულებაში. ის მათ ყოველგვარ დავალებას დიდი ხალისით უსრულებდა და ამით შეაყვარა

---

[8] ანტ. ფ ურ ც ე ლ ა ძ ე. მარ თა, გვ. 12—13.

[9] ი ქ ვ ე, გვ. 16—17.

მათ თავი, ამიტომ როსტომი მალე დანიშნეს „ერთ მსუქან უჩასტკაში" დიამბეგის თანაშემწედ. როსტომმა მალე და ადვილად აუღო ალღო ახალ სამსახურს, მოხელეთა შორის გაბატონებულ ზნე-ჩვეულებას, განსაკუთრებით რაც კი შეეხებოდა ფულის შეძენას. „მოკლე ხანში ამან კარგად გაივსო ჯიბე".

ფულის მიღების მადა როსტომს თანდათან უფრო გაეზარდა, ფულის აღებაში ის თანდათან უფრო დაიგეშა, გათამამდა ქრთამების აღებაში, ხშირად ის თავხედობამდისაც მიდიოდა, ხელოვნურად ქმნიდა შემოსავლის შესაძლებლობას.

აქ ავტორი მშვენივრად ხატავს იმ ეპოქაში სახელმწიფობრივ დაწესებულებებში გაბატონებულ მექრთამეობას და თავის უარყოფით დამოკიდებულებასაც საგრძნობი სიმკვეთრით ამჟღავნებს.

მაგრამ ამ შემოსავლითაც აღარ კმაყოფილდება ახალი ცხოვრებით შეშინებული, მადაგახსნილი, როსტომ ტაბლაძე. რამდენადაც როსტომს ჯიბე ეზრდებოდა, იმდენად ის უფრო ცდილობდა მდიდარი ქალის შერთვას და მით ეკონომიურად თავისი ოჯახის განმტკიცებას. ასეთად გაუჩნდა ხეჩატურ ჩაიფხანოვის ქალი შუშანა.

უეჭველად დამახასიათებელ საყოფაცხოვრებო ფერებშია მოცემული ჩაიფხანოვის ოჯახში წარმოებული შუამავლობა შუშანას როსტომზე გათხოვების შესახებ. პოღოს კარაპეტიჩის მაცდური განდობა, რომ როსტომს მოსწონს შუშანა: გაიანეს (დედა შუშანასი) მეცადინეობა, რომ ტაბლაძემ მისი ქალი რუსული სიყვარულით შეირთოს (ე. ი. უმზითვოდ), რადგან როსტომს უყვარს, ეს კი გაიანეს „ქაღალდებმაც უთხრა". ამის საპასუხოდ მეტად კარგია პოღოს კარაპეტიჩის მიერ როსტომ ტაბლაძის დახასიათება: „შენ როსტომ იაგორიჩი არ გიცვნია,—ეუბნება პოღოს კარაპეტიჩი გაიანეს, — იმან ქალი არავინ უყვარს, იმან ფული უყვარს. იმან სომხური კაცია, სხვა ქართველი კაცივით ქარი-მარი არ არის... ფულის ყადრი იცის"[10].

პოღოს მიკირტიჩის ეს დახასიათება სწორია. ქართველი თავადაზნაურობის ერთმა ნაწილმა მოინდომა თავისი შერყეული მდგომარეობის გამოსწორება ფულიანი ვაჭრების ქალთა შერთვით. ეს მოვლენა დამახასიათებელი შეიქმნა განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც დამშეული თავადაზნაურობა ეძებდა ფულს, ცხოვრების წყაროს და არა ცოლს—ამხანაგს. როსტომის მსჯელობა: „თუნდა გონჯი იყვეს, ოღონდ ბევრი ფული ჰქონდეს, ფულს ყველაფერი შეუძლიან და ქალიც, როგორიც უნდა იყვეს, რას მომცემს, ან რას წამართმევს", — ჩვეულებრივი იყო მაშინდელი თავადაზნაურობისათვის.

ცოცხლადაა გადმოცემული შუშანასა და გაიანეს შორის უსიამოვნობა გათხოვების გარშემო. შუშანა თხოულობს მშობლებმა ფული არ

[10] ანტ. ფ ურ ცე ლ ა ძ ე, მართა, გვ. 31.

დაზოგონ, მოახერხონ, რომ ის კნიაზ ტაბლაძემ შეირთოს. კარგია სცენა პოღოს კარაპეტიჩის მაჭანკლობისა, მისი ვაჭრობა მზითვის შესახებ როსტომ ტაბლაძეთან. ეს ორი გაქნილი კაცია, ერთმანეთის ზრახვა უსიტყვოდაც ესმით, შეხედვაც კი საკმარისია, რომ გულის წადილს ერთმანეთს მიუხვდნენ. ახალმა ცხოვრებამ წარმოშვა ასეთი ხასიათები. პოღოსა დაიწყებს სამასი თუმნიდან, როსტომი ათასიდან. ერთმანეთის მოტყუებით ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ როსტომი დათანხმდება შვიდას თუმანზე, ხოლო „იმ პირობით, რომ რვაასი თუმანი დასწეროს და არავინ იცოდეს, რომ რვაასი არ მიუცია, თორემ ქვეყანა, ვინ იცის, რას იფიქრებს: სოფლის ქალი შეირთო, გვარი დაამცირა და მზითევიც რიგიანი ვერ აიღოვო"[11].

დიახ, აქაც ანტ. ფურცელაძე მოხდენილად შენიშნავს იმ ცრუ თავმოყვარეობას, რომელიც ახასიათებდა გაღარიბებულ თავადაზნაურობას. თავადაზნაურობის ამ ნაწილმა შეჯიბრი გამართა—ვინ უფრო მეტად გაჰყიდდა თავის თავს და შერჩენილ გვარიშვილობას.

ამბობენ „კოკა წყალზე გატყდებაო", როსტომის საქმიანობა და ბედნიერებაც ამ ფულის აღებაზე წახდა. როსტომის საქციელით მოთმინება დაკარგულმა ხალხმა მიართვა მთავრობას მასზე საჩივარი. „ქალალდში იყო მოხსენებული, ვითომც როსტომ ტაბლაძეს ჰყვანდა გუნდი ქურდებისა და ავაზაკებისა და აცარცვინებდა ჩუმათ ხალხსა, ნახევარს თითონ იღებდა და ნახევარს იმათ უყოფდა და ჰმალავდა მთავრთველობისაგან ამ ავაზაკებსა და სხვა მართლებს იჭერდა და აბრალებდა იმათ ყველაფერსა და ახდევინებდა; იყო მოხსენებული, რომ როსტომ ტაბლაძე უქრთამოდ ერთი ნევსის დანაფასევს საქმესაც არავის ურიგებდა... რომ ტაბლაძის ბრძანებითა და დასტურით ჰხოცავდნენ და ახრჩობდნენ ქურდები და ავაზაკები იმათ, რომელნიც შეუტყობდნენ მას ავკაცობასა და უპირებდნენ გაცემას... რომ ტაბლაძე აპარებდა ყველა დაჭერილს ამ გუნდიდამ ავაზაკსა, და კიდევ, ვინ იცის რაები არა"[12]. ანტონ ფურცელაძის დროს თანამდებობის ასე ბოროტად გამოყენება დამახასიათებელი იყო მრავალი მოხელისათვის, განსაკუთრებით დეგრადაციის გზაზე დამდგარი კლასის გაჩინოვნიკებული წარმომადგენელისათვის, რომლის სახესაც მწერალი როსტომ ტაბლაძეში იძლევა.

დაინიშნა გამოძიება და, რაკი როსტომი ერთი წაქცეული ნახეს, „ცულიანიცა და უცულოც", როგორც იტყვიან, ყველა მას მისდგა. შევიდა როსტომზე საჩივარი საჩივარზე, დაუწყეს მას წინ და უკან თრევა. გამოძიება ცუდად დატრიალდა. გამოაშკარავდა მისი „საქმენი საგმირონი". როსტომი ძალიან დაბღუნძეს. მას ვერ უშველა იმ მდგომა-

---

[11] ანტ ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, მართა, გვ. 52

[12] ი ქ ვ ე, გვ. 57.

რეობამაც კი, რომ ქრთამების თანაზიარად უფროსი ჰყავდა. გამომძიებელი სასტიკად ეკიდებოდა მას.

მიუხედავად ამისა, როსტომი არ დაიბნა. კარგადაა მოცემული როსტომ ტაბლაძის დიდ უფროსთან მისვლა, თავის შეევედრება და ქრთამის მიცემა. ტაბლაძემ ხსნის კარი კვლავ გამონახა, გათავისუფლდა.

თავისი „მოგებული" ფული ამ დროისათვის უკვე შემოაკლდა. ახალი ადგილის შოვნას ფული უნდოდა. იცის, რომ არსებულ წყობილებაში უფულოდ არაფერი კეთდება. ამიტომ მიმართა თავის გლეხებს. შეაწერა ორასიოდე თუმანი, ეს ფული გაუგზავნა ვისაც ჯერ იყო და მიიღო უფრო უკეთესი ადგილი.

აქაც ავტორი, მართალია, პუბლიცისტიკაშია გადავარდნილი, მაგრამ საკმარისად მკვეთრად ახასიათებს ივ დროის წყობილებას, მის გახრწნილებას. ამით თავისი ეპოქის პროგრესულ განწყობილებასაც, რა თქმა უნდა, მკვეთრად ამჟღავნებს.

როსტომს ახალ ადგილზეც აუჯანყდა ხალხი. მადა იმის დაუოკებელი აღმოჩნდა, და როცა მისი მწყალობელი უფროსი გადაიყვანეს, როსტომმაც გადაწყვიტა სამსახურისათვის თავი დაენებებინა. საბოლოოდ ერთს კარგ თანხას კიდევ გაჰკრა კლანჭი და მიაშურა თავის მამაპაპეულ მამულს.

აქ იწყება ბატონსა და ყმას შორის გამწვავებული ურთიერთობის ასახვა. როსტომმა ჩამოიშორა გზიდან ქვრივი რძალი, გამოუცდელი ძმისწული დავითი სასწავლებლად გაგზავნა და დაიწყო სოფლისა და გლეხობის მართვა თვითნებურად.

როსტომს, ავტორის დახასიათებით, „კარგად ახსოვდა, რომ ყმა სულს იქით ბატონს ეკუთვნოდა, ახსოვდა ეს და კიდეც სარგებლობდა ამითი... დაბრუნდა თუ არა როსტომი შინა, სახლისა და მდგომარეობის მოსაწყობად შეაწერა გლეხკაცებს ფული. ამოდენა ფული იმათ ჯერ არსად შესწეროდათ და კიდეც გაუჭირდათ ამისი შოვნა. გლეხკაცები აგვიანებდნენ ფულის გაღებას. როსტომი დიდხანს არ ელაპარაკა იმათა და მალე უჩვენა თავისი ძალა. იმან ჩაუყენა „ზეკუცია". „ზეკუციამ" იჩინა თავი. გლეხებს დააყენეს ის დღე, რასაც სრულებითაც არ შოელოდნენ. ბევრი იმათგანი თავის წინააღმდეგობისათვის დააწვინეს როზგს ქვეშა, ბევრი ჩაჯდა იმისთანა ალაგასა, სადაც ჯერ არა მჯდარიყვნენ, ბევრი გაიგზავნა რამდენიმე წლობით სხვადასხვა ციხეებში სამუშაოთა. გამოურეკეს საქონელი, გამოიტანეს ქონება და დაუსყიდეს ვალში"[13].

მართლაც, უტყუარი სურათია ბატონისა და ყმის დამოკიდებულებისა. როსტომის დაბრუნებისთანავე გამწვავდა ურთიერთობა იმათსა და გლეხებს შორის.

---

[13] ანტ. ფ უ რ ცე ლ ა ძ ე, მართა, ვ3. 5—6.

როსტომის მისწრაფება მამულის მიმართაც იგივე გამოდგა, როგორიც ფულის მიმართ. მან განიზრახა თავისი მამულის გადიდება და მით ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ამიტომ მოინდომა მეზობელი და ნათესავი მემამულეების დაჩაგვრა. „საცა კარგი მიწები ჰქონდათ, — აგვიწერს ავტორი, — იმან (ე. ი. როსტომმა.—მ. ზ.) წაართვა; მერე დაუწყო რთმევა საუკეთესო ხოდაბუნებისა და შემდგომ წაართვა უკეთესი ვენახებიცა, სადაც ძალზე დაუდგებოდნენ, იქ როსტომის კაცები ღა მსახურები ცემით ტყავს აძრობდნენ; თუ გაბედავდნენ საჩივარსა. მაშინ ხარჯის მეტს სამართალს ვერ ჰხედავდნენ... ისე გაუჭირა საწყალ ბიძაშვილებს საქმე, რომ ცხადად ისინი ვეღარ დადიოდნენ ტყეში. როსტომმა ესევე. დღე დააყენა სხვა ამაზე უფრო ფხიან მეზობლებსაც, მიიმძლავრა ცოტ-ცოტათი იმათი მამულები, ტყე და სხვა. ესეც დამახასიათებელი შტრიხია დარღვეულ თავადაზნაურთა წრისა. უფრო შეძლებული, განსაკუთრებით დიდ მოხელეებთან მიღებული, ცდილობდა თავისი დაწვრილებული ბიძაშვილები და მეზობლები თანდათან ისევე დაემონავებინა, როგორც გლეხკაცობა. მათ ხშირად გაიშინაყმებდა ხოლმე. კარგადაა მოცემული „მართაში“ ამ პრივილეგირებული წოდების რღვევის პროცესში ეს შინაური ბრძოლა.

მაგრამ ყურადღების ცენტრი ავტორს გადმოტანილი აქვს გლეხკაცობის შევიწროებაზე. გლეხკაცთა და როსტომს შორის ურთიერთობა თანდათან მწვავდება. როსტომი დაიგეშა, სულ თავისკენ მიითლის. გლეხკაცობა როსტომს ისე წარმოედგინა, როგორც საწველი ფური და საკრეჭი ცხვარი. არავითარი პასუხისმგებლობა, არავითარი ვალდებულება მათდამი მასში არ იყო.

როსტომი არა მარტო გარეშე გლეხკაცებს აწიოკებს, არამედ შინაყმასაც გაუგონარი უკაცობით ეპყრობა.

მისი შინაყმა სოსიკა, ბატონისაგან ოჯახს მოგლეჯილი, ერთგულად ემსახურებოდა მას ბავშვობიდან, ჯერ ქალაქში და შემდეგ, როცა როსტომი ოჯახობით სოფლად გადასახლდა, იქაც. სოსიკას შეუყვარდება ქალბატონ შუშანას მოსამსახურე მართა; ეს უკანასკნელი ხეჩატურ-ჩაიფხანოვმა ერთ თავადს მაძებარ ქალში გაუცვალა (ბატონმა ამ ძალში ჩაიფხანოვს ერთი ურემი პურიც ზედ დაუმატა).

მართამ თავისი სანდომიანი გარეგნობითა და ზნეთი მიიზიდა ახალგაზრდა სოსიკა. „მართა ამას თავის მდგომარეობით თითქო აგონებდა თავის ვითარებასაც და სოფელსაც, რომელსაც ამდენი ხანია დააშორა ბატონმა“. მათ შეუყვარდათ ერთმანეთი.

მართალია, რიტორიკულადა და შაბლონურადაცაა აწერილი სოსიკას მართასთან დაახლოება, მაგრამ სიმართლესთან კი უდავოდ ძალიან ახლოა (სოსიკას მართასთან დაახლოება მოგვაგონებს დან. ჭონქაძის

„სურამის ციხიდან“ დურმიშხანისა და ვარდუას და აგრეთვე ნოდარისა და ნატუას დაახლოება-გამიჯნურებას). საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ანტ. ფურცელაძის ამ ნაწარმოებს დან. ჭონქაძის „სურამის ციხის“ გავლენა ეტყობა როგორც იდეურად, ისე სტილურადაც. გარდა ზემოაღნიშნულისა, სოსიკას მიერ როსტომისა და მისი ცოლშვილის ამოწყვეტაც მათ შორის მსგავსებას გვიჩვენებს.

მალე სოსიკასა და მართას შორის ურთიერთობა გამომჟღავნდა. შუშანა საშინელმა სიბრაზემ აიტანა. დატუქსვა, ლანძღვა-გინება, ხელით შეურაცხყოფა — ქალბატონმა არაფერი არ დააკლო მართას. მართა იდგა გაჩუმებული, გამართლებასაც კი ვერ ბედავდა. როცა შუშანამ ეს ამბავი როსტომს გადასცა, უკანასკნელმა, აგვიწერს ავტორი, —„არც ფცივა, არც აცხელა, სოსიკა წააყვანინა ჩასტში და დააწვინა როზგ ქვეშ. სოსიკა სულ გაკმენდილი და გულშემაგრებული წვებოდა როზგ ქვეშ, რაკი ატყობდა რომ ვერც ძალით და ვერც ნებით ამ თავის მოსაკლავს სირცხვილს ვერ ასცდებოდა. ის ჩუმად, საღმრთო ცხვარივით დაწვა. დიდი ხანია სდიოდა ამას ტანიდან თქრიალით სისხლი, სახე მთლად გაულურჯდა, ძარღვები გაემსო სისხლითა, ხორცისა და ტყავის ნაფლეთები ასდევდნენ წკეპლის წვერებსა, თვალები ჩაუსისხლდნენ და სოსიკამ არც ერთი კრინტი, არც ერთი ხმა არ ამოუშვა პირიდამა. ბატონი ელოდა სოსიკას თხოვნასა, მაგრამ სოსიკა ელოდა ბატონისაგან სიკვდილს. იმას აღარ უნდოდა ამ სირცხვილიდამ ცოცხლივ ადგომა. სოსიკა თითქმის უგონოდ აუშვეს როზგიდამ, როსტომმა აღუკრძალა მას იმის სახლში შესვლა“[14].

ასეთი იყო სინამდვილეში ბატონის დამოკიდებულება ყმისადმი! გლეხი—ყმა ბატონის ხელში საკუთარი საგანი იყო, რომელიც ყველაზე მცირედ ფასობდა. ანტ. ფურცელაძე ბატონყმობის ურთიერთობის დახატვაში, უდავოდ, დიდ რადიკალობას იჩენს.

შეურაცხყოფილი სოსიკა უილაჯოა. არ იცოდა რა გზა გამოენახა. ფიქრი ფიქრზე მოსდიოდა, არეული გონება უფრო ემღვრეოდა. აღელვებული და აღშფოთებული სისხლი ტვინში სცემდა და შერცხვენილი თავმოყვარეობა არ აძლევდა მოსვენებას. ის თხოულობდა „სისხლსა და ზღვასა შერცხვენისა და დამცირებისათვის. სოსიკა გადაწყვეტს მოკლას როსტომი: „მაინც თავი მაქვს გადადებული და სასიცოცხლო აღარა ვარ და ბარემ ერთი ჯავრი ვიყარო, დავლიო ერთი მუჭა სისხლი ჩემი მკვლელისა...“[15]

სოსიკა მოინდომებს როსტომის მოკვლას. ჩაუსაფრდება, მაგრამ როცა როსტომი გამოივლის, ვერ მოახერხებს თოფის სროლას, ნებისყოფა არ ყოფნის.

---

[14] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, მარჯა, გვ. 107—108.

[15] ი ქ ვ ე, გვ. 110.

დამახასიათებელია იმ დროის გლეხისათვის — ყმისათვის მასობრივად, განსაკუთრებით კი ოჯახში მოსამსახურედ გაზრდილისათვის, ასეთი უნებისყოფობა. როსტომმა სოსიკას სხვაც ბევრი შეეიწროება მიაყენა.

ასეთი იყო „კანონიერი“ ყვლეფა უფლებააყრილი გლეხისა. მწერალი ეს ერთ მართალ სურათს იძლევა.

სოსიკამ კვლავ მოინდომა როსტომის მოკვლა. ჩაუსაფრდა, მაგრამ ახლაც ააცდინა. განა მარტო სოსიკა იყო ამ მდგომარეობაში?! ავტორს უნდა მკითხველს დაანახვოს, რომ ბატონსა და გლეხს შორის ურთიერთობა ძალიანაა გამწვავებული და გლეხკაცობა მასობრივად და სტიქიურად ამხედრებულია ბატონის წინააღმდეგ. ბატონის სუსხის შესასუსტებლად, მოგვითხრობს ავტორი,—„ბევრჯელ ეცადნენ გლეხები საჩივარსა, ეგება სადმე მაინც ვიპოვოთ სამართალი, სიღარიბისა და შიმშილისაგან სულები არ ამოგვხდესო, ბევრჯელ შეეცადნენ, მაგრამ ყველგან და ყოველთვის იმათი ბატონი გამოდიოდა მართალი. ბოლოს იქამდის გამართლდა როსტომი, რომ ისინი, ვინც გლეხებს ქაღალდებს უწერდნენ, ცრუ საჩივრების წერისათვის გადაასახლეს საცაღას შორს გუბერნიაში. ამასთან მოუვიდათ ბრძანება ნაჩალნიკსა და დიამბეგს, რომ მოეყვანათ როსტომ ტაბლაძისათვის მონებაში იმისი ყმები. გლეხკაცებმა იფიქრეს თავისით გამოენახათ სამართალი, მაგრამ რამდენჯერაც დააპირა ვინმემ: ზოგს მოუცდა სოსესავით, ზოგს შეეშინდა ერთი ბატონის დანახვაზედ, ზოგმა ვერ მოახერხა და ამრიგად ყველას გადურჩა როსტომი“[16].

აშკარაა ავტორის რადიკალური შეხედულება ბატონყმობის უმსგავსობის წინააღმდეგ. ცხადია, ავტორი მთელი თავისი სიმპათიებით გლეხკაცობისკენაა. ანტ. ფურცელაძე თავის აღშფოთებას მებატონის საქციელისადმი მაშინაც გვიჩვენებს, როცა აღწერს სახელმწიფოებრივი აპარატის სამსახურს პრივილეგიური კლასის მიმართ.

როსტომმა გლეხობა ურჩობისათვის დაასჯევინა. ჩააყენა ეგზეკუცია. „ყაზახები და იასაულები, — მოგვითხრობს ავტორი — უწყალოთ უცვივდებოდნენ გლეხკაცებს სახლებში, ვისაც მოასწრებდნენ, მათრახებით გამოქონდათ და გამოჰყავდათ, რასაც ვინმეს უპოვნიდნენ. ვისაც შეეძლო, გაასწრო მინდორსა და ტყეში და დააგდეს სახლები მარტო დედაკაცების ამარა... იმათი ფიქრი და გონება იყო მიპყრობილი სოფელზედ და მუშაობისათვის იმათ არ სცხელოდათ. ყოველ ამბავზედ, რომ ამა და ამის მამა დაიჭირეს, ამა და ამის მამა შეჰკრეს და გაგზავნეს, ამა და ამის დედასა, რძალსა ან ცოლსა სცემეს ყაზახებმა და იასაულებმა, ამა და ამის სახლი სულ აიკლეს, ყველას უდუღდებოდა გული და არ იცოდნენ რა ექნათ“[17].

---

[16] ანტ. ფ ურ ც ე ლ ა ძ ე, მართა, გვ. 147.
[17] ი ქ ვ ე, გვ. 148—149.

ასეა დანახული მწერლის მიერ სინამდვილე. უეჭველად რეალურ ფერებშია მოცემული გლეხკაცის მდგომარეობა. გაიტანჯა სოფელი. ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს. სოფელმაც დაკარგა მოთმინება. მასში იღვიძებს შურისძიება. ჩნდება აქტიური ბრძოლის დასაწყისი ძალა. რადგანაც გლეხთა დაწიოკებას ბოლო არ ეღება, სეხნიასა და ნინიკას გაელენით, სოფელი შეთანხმდება, რომ როსტომი მოკლან. როსტომს ზურგს უმაგრებს სახელმწიფო აპარატი — დიამბეგი „პერეოჩიკითა" და ჩათარ-ყაზახებითა. გლეხობა განადგურების პირზე იყო. შეწუხებულებმა გადაწყვიტეს როსტომის თავიდან მოშორება. მწერალი კარგად ხატავს, რომ გლეხები, მიუხედავად მტკიცე განზრახვისა, მაინც ვერ ახერხებენ სისრულეში მოიყვანონ თავიანთი დადგენილება.

შეთქმული გლეხები გადაწყვეტენ „დათვის საბუდარაში" ჩაუსაფრდნენ და „ბატონს ბოლო მოუღონ". ბევრს ემზადებოდნენ გლეხები. ბოლოს არჩევენ, ორი უცოლო გამწარებული გლეხისათვის, სოსიკასა და დათიასათვის მიენდოთ ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა. მაგრამ როსტომის დანახვა ჩასაფრებულებს შიშის ზარსა სცემს. განზრახვა სისრულეში ვერ მოჰყავთ. მხოლოდ ნინიკასა, სეხნიასა და მართას თავგანწირული დახმარებით ახერხებენ ღამით როსტომს სახლში შეუცვივდნენ. მოჰკლეს როსტომ, მიაყოლეს ცოლი და შვილები. ბუნებრივია, რომ ყმა, რომელიც ყოვლის შემძლე ბატონის სახლში დაცინვის და შეურაცხყოფის საგანი იყო, ასეთი შიშით ყოფილიყო შეპყრობილი და ბოლოს ასე სტიქიურად ამოქმედებულიყო.

„მართაში" ანტ. ფურცელაძემ დაგვიხატა ჯერ კიდევ ბატონყმობის უღელში მყოფი გლეხობა. მართალია, ანტ. ფურცელაძემ ეს მოთხრობა დაწერა მაშინ, როცა ბატონყმობა ყოფილ თბილისის გუბერნიაში უკვე გადავარდნილი იყო, მაგრამ ბატონყმობის სუსხიც მაინც მძვინვარებდა, ძველებური დამოკიდებულება ნაბატონარსა და ნაყმევს შორის გრძელდებოდა, აშიტომ მოთხრობა „მართას" მაშინაც არ ჰქონდა დაკარგული სიმწვავე და დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

მწერალი გვიხატავს, რომ ასეთსავე მახინჯ პირობებში არიან ხიზანი ოსები. უკანასკნელთადმი ავტორი ისეთივე თანაგრძნობითაა გამსჭვალული, როგორც ქართველი ყმა გლეხებისადმი. ეს ახალი შტრიხია ანტ. ფურცელაძის მიერ შემოტანილი ქართულ ლიტერატურაში.

მწერლის აღშფოთება, ამ ინსტინქტით გამოწვეული, მეტ კომენტარიებს აღარ ითხოვს!

ანტ. ფურცელაძისათვის, როგორც 60—80-იანი წლების ტიპიური მოაზროვნისათვის, გლეხის მდგომარეობის საკითხი ძირითადია. ამიტომ მას მწერალი ფართოდ აკვირდება, იძლევა მის მდგომარეობას არა მარტო XIX საუკუნეში, ბატონყმობის მძვინვარების ხანაში, არამედ წინა და შემდეგ პერიოდებშიც. ანტ. ფურცელაძე, ალბათ, ამას

აკეთებს იმათ საპასუხოდ, ვინც ამბობდა, რომ ბატონყმობას ძველი დროის საქართველოში კეთილი, მამაშვილური დამოკიდებულება ახასიათებდაო, ან ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ გლეხი კაცად იქნა ცნობილი, დაბინავდა და თავისუფალ განვითარებას მიეცაო.

ანტ. ფურცელაძის გაგებით, როგორც საერთოდ ხალხოსნების შეხედულებითაც, გლეხკაცი უფლებააყრილი იყო ძველადაც, XVII—XVIII საუკუნეებშიც.

ანტ. ფურცელაძე თავის რომანში „მაცი ხვიტია" ასე ახასიათებს გლეხთა მდგომარეობას სამეგრელოში (ავტორი, რასაკვირველია, მოვლენას აზოგადებს, სამეგრელოს აღწერისას მას მთელი საქართველო აქვს მხედველობაში): „ოდიშის გლეხკაცობის მდგომარეობამ უკიდურეს წერტილამდე მიაღწია, ცალკე ნიადაგ ძარცვამა და ცალკე თავადაზნაურობისა და მთავრის სახლის მათს კისერზე დაწოლამ ისინი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. გლეხკაცობა სრული კუთვნილება იყო თავისი ბატონისა და მთავრისა. იმას უნდა შეენახა ესენი სულიან ხორციანათ. გლეხების ცოლები და ქალებიც ბატონებისა და მთავრის სრულს უფლებაში უფრო იყვნენ, ვიდრე ქმრისა და მამისაში. გლეხკაცი ითმენდა ყველა ამას უნებლიეთ. მაგრამ ყველაფერს ბოლო აქვს. ისინი უკიდურესობამდის მივიდნენ, მაგრამ მაინც კიდევ ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ღონეს ვერა ჰხედავდნენ"[18].

ანტ. ფურცელაძე საკმარისად გამახვილებულად აგვიწერს ბატონის ყმისადმი დამოკიდებულებას მთელი რომანის მანძილზე. ავტორის გადმოცემით, გლეხკაცობა ძველადაც ექსპლოატაციის ობიექტი იყო. „ჩვეულება არ იყო, — აგვიწერს მწერალი, — რომ ოდიშის დიდკაცებს თვითონ მოეწივათ წლის საზრდო, ისინი ცხოვრობდნენ გლეხკაცის ხარჯზედ, რიგით უნდა ეჭმია ამათთვის გლეხკაცს პური, რიგით უნდა ეზიდნა დღიური საზრდო. უფრო ღარიბნი, რომელთაც ამგვარათ შენახვით ვერ აუვიდოდნენ თავისი გლეხები, ცდილობდნენ თვითონაც წლის სარჩოს დამზადებასა, მაგრამ ბევრი ყმა-გლეხის პატრონი არ იმცრობდა ასე თავს, რომ თვითონ ეზრუნა წლის საზრდოსათვის"[19].

ამის შედეგი იყო ის თავაშვებული მოქცევა თავადაზნაურებისა, რომელსაც იჩენდნენ გლეხთა მიმართ ეს უკანასკნელნი. აგრეთვე, უსაქმოდ დარჩენილი, უზრუნველყოფილნი და სხვისი ოფლით გათქვირებული თავადაზნაურობა დაგუბებული ენერგიის გამოსავალს იმაში ღა ჰხედავდა, რომ ერთმანეთს ესეოდა, ექიშპებოდა, სისხლსა ჰღვრიდა და გლეხობასაც ამ „მოღვაწეობაში" ცხვრებსავით მიერეკებოდა. იღვრებოდა გლეხთა დაუკითხავად მათი სისხლი, წრიოკდებოდა მათი ქონება.

---

[18] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, მაცი ხვიტია, გვ. 129—130.
[19] ი ქ ვ ე, გვ. 131—132.

რომანში „მაცი ხვიტია“ ანტ. ფურცელაძე საკმარისი სიმახვილითა და დამახასიათებელი კოლორიტით იძლევა ფეოდალთა ქიშპობასა და სისხლის ღვრას. მთავრის ცოლი გურანდუხტი ამ სისხლის ღვრაში თავის ქმარს მთავარს ვამეყს აჭარბებს. ასევეა მანუჩარი და მისი მეუღლე კესარია — გარს შემორტყმული თავადაზნაურობით, მაგრამ ყველაზე მეტად ამ ქიშპობით დარბეულნი, განადგურებულნი გლეხები არიან.

მართალია ანტ. ფურცელაძე რომანში „მაცი ხვიტია“ ისტორიული პერსპექტივის დაუცველად ჰშლის გლეხთა აჯანყებებს, ისტორიულ სინამდვილეს ვერ იცავს, მაგრამ ამ აჯანყებათა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი — გლეხთა უკმაყოფილება, მწერლის მიერ უდავოდ სიმართლითაა განჭვრეტილი. ამაშია ანტ. ფურცელაძის მსოფლმხედველობის უდავო რადიკალობა.

გლეხთა მდგომარეობა, რაც დრო გადიოდა, უარესდებოდა. კაპიტალიზმის განვითარება თანდათან არღვევდა ფეოდალურ მეურნეობას, ფეოდალებს ართმევდა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე როლს, მნიშვნელობას, გავლენას. ახალი ყოფა მათ უფრო უღიზიანებდა ცხოვრების მადას. ისინი შინაარსეულად დაცლილნი, საფუძველ დაკარგულნი, ვნება აშლილნი თავდავიწყებით ეძლეოდნენ ახალ ცხოვრებას და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მთელი სიმძიმით აწვებოდნენ გლეხკაცობას.

გადავარდა ბატონყმობა, როგორც კაპიტალიზმის აუცილებელი მოთხოვნილება. მაგრამ გლეხი, ყოფილი ყმა ვერა და ვერ ამოვიდა გაჭირვებიდან. ახალი ეკონომიური ფაქტორის (კაპიტალიზმის) განვითარებამ, ცხოვრების ახალმა პირობებმა თვით გლეხთა შიგნით შექმნა დიფერენციაცია. გლეხკაცს მძიმე ტვირთად დააწვა არა მარტო მემამულე, ყოფილი ბატონი, რომლის საკუთრებად დარჩა მამული და რომლითაც ის სარგებლობს დიდის ექსპლოატაციით, არამედ მთელი სახელმწიფო თავისი დიდი მოთხოვნილებით.

თვით გლეხებში შიგნით გაჩნდა შეძლებულ გლეხთა ფენა, რომელმაც საშინელი ექსპლოატაცია დაუწყო თავისსავე მოძმე ღარიბ გლეხს, 70-იანი წლების დასაწყისიდან ხალხოსნები (თითქმის ყველა) აღნიშნავენ ასეთს დაჯგუფებას და მათ შორის გამწვავებულ ბრძოლას.

ამავე მოვლენას აღწერს ანტ. ფურცელაძეც 1871 წელს დაწერილ მოთხრობაში „ქიტესა“.

ამ მოთხრობაში ანტ. ფურცელაძე ჩვეულებრივი დაკვირვებითა და უშუალობით აგვიწერს სახელმწიფო გლეხთა ცხოვრებიდან დამახასიათებელ ეპიზოდს. სოფ. ბრიყვეთიანში თანამდებობის პირნი სულ ამორჩეულნი იყვნენ მამულიანი გლეხების წრიდან. მართალია, არჩევის დროს უმამულო გლეხები ბევრს ეცადნენ თავიანთი კაცები გაეყვანათ,

მაგრამ მამულიანებმა დასძლიეს. ასე იყო, ვისაც ეკონომიური ძალა ჰქონდა, იმისკენ ჭრიდა კანონიც.

ბრიყვეთიანში, ფოსტისა და სხვა სახელმწიფო გადასახადის გაწერის დროს, მოხელეებმა თანაბრად შეაწერეს იგი მამულიან გლეხებს, მაგ., ცეტიაშვილს, რომელსაც თხუთმეტი დღის ნაფუზარი კარებზედა აქვს გადაჭიმული და ღარიბებსაც — მაგ., ქიტესა ნაცარკვერაძეს, რომელსაც აღარაფერი არ გააჩნდა. ამ უკანასკნელს ერთი ძროხა ჰყავდა და ისიც შიმშილით მოუკვდა. ქვეყნის დახმარებით ღა გამოდის.

უმამულო გლეხებმა: ბერო ბურტყლაძემ, ქიტესა ნაცარკვერაძემ, მოსე მწყეარაძემ და სხვებმა სოფლის ამორჩეულებს პროტესტი განუცხადეს: „თავებს დავიხოცამთ და ჩვენი ცოცხალი თავით კი თქვენთან ხარჯს არ გავიღებთ“.

აღარ შეუძლიათ ამდენი ვაი-ვაგლახის ატანა ღარიბებს. ყველა ცდილობს მათი შრომით ისარგებლოს, „რჯულსაც გაგაგდებინებთ და ისე გაიღებთ“ — მამულიანი გლეხების სახელით უპასუხებს უმამულოებს თევდორე ცეტიაშვილი.

ილაჯგაწყვეტილი უმამულო გლეხნი ვეღარ ითმენენ. მოუვიდათ შეტაკება. დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. პატარა ხანს,—აგვიწერს ავტორი, — გაიმართა ძალიან კეტის ტრიალი, მაგრამ, რაკი იგრძნეს ცუდი ძალა მრავალის კეტით ცემისა და თავისი უძლურება, უმამულო ხალხმა ცოტ-ცოტათ დააძვრინეს თავი ჩხუბს და მიიმალ-მოიმალნენ საბძლებსა და სხვა თავის მისაფარებელ ადგილებში.“[20]

უმამულონი იცემნენ კიდეც. ქიტესა და მისი ცოლი მარინე მეორე დღეს სამი დღით სატუსაღოშიც ჩაყარეს, ხუთი მანეთი ჯარიმა დააადეს და გადასახიდი მაინც თავისებურად შეაწერეს. ასეთია ძალმომრეობა სოფლად ახალ პირობებში! ასეთია კლასთა ბრძოლის დასაწყისი სოციალური გადაჯგუფების შემდეგ!

ცხოვრების კარგი ცოდნითაა გადმოცემული „ქიტესაში“ ამ უძლურ, ღარიბ გლეხთა „გაძაღლებული“ მდგომარეობა, მათი ეკონომიური და უფლებრივი შევიწროება. არ იციან მათ, როგორ მოუარონ თავს, ვის მიმართონ, რომ ძალმომრეობისაგან ოდნავ მაინც თავი დაიფარონ. მათი გამკითხავი არ ჩანს.

მეტად მძიმეა ქიტესა ნაცარკვერაძის ოჯახის მდგომარეობა. ორი კვირაა ბავშვებს პური არც კი დაუნახავთ. მხლით-ღა აოკებს მარინე თავის დამშეულ შვილებს, და ეს მაშინ, როდესაც ორივე, ქიტესაცა და მარინეც არც უგონო და არც გაურჯელნი არ არიან. მაგრამ რა ქნან! სიღარიბე მათ არავითარ გასაქანს არ აძლევს.

არჩეული პირების გადასახადების გაწერით უკმაყოფილო ღარიბი გლეხები მოინდომებენ საშუალების გამონახვას, რომ როგორმე თავი

[20] ანტ. ფურცელაძე, ქიტესა, გვ. 5. აქ და ყველგან მითითებულია ამ თხზულების 1890 წლის გამოცემა.

გადაირჩინონ ასეთი ძალმომრეობისაგან. „მამულსაც ეგენი სჭამენ, — ეუბნება მოსე მწყერაძე შეკრებილ ღრიბ გლეხებს, — და არც ხარჯის გაღება უნდათ. დეე თითო დღის მამული მოგვცენ და ჩვენც მაგათთან ყაბული გვაქ".

აი რა ცოტათი კმაყოფილდებიან ღარიბები! მაგრამ მათ ვინა ჰკითხავს! ისინი ხომ ცხოვრების გერები არიან!

უმამულონი გადაწყვეტენ სამართალს მიმართონ. კარგად გაითვალისწინეს, რომ საგზაო ხარჯის შოვნა ძნელია მათთვის, მაგრამ ეს გაჭირვება, ეს უსამართლობა იმდენად მძიმე ლოდსავით აწევთ მათ, რომ გადაწყვეტენ ყველა წავიდეს ერთად, რომ უფრო შეაბრალონ თავი მოსამართლეს და დააჯერონ თავიანთ გაჭირვებაში.

ზოგიერთს საგზაო არამც თუ ხარჯები, ცარიელა პურიც არა აქვს, რომ წაიღოს. ასეთია ქიტესაც. მარინემ არ იცის, ვისა სთხოვოს ქმრისათვის საგზაო პური. მდიდარი მას არ გაიკითხავს, ღარიბებს ან თვითონაც არა აქვთ, ან არა და მარინესაგან ისედაც შეწუხებულნი არიან. მაგრამ რა გზაა, კიდევ უნდა შეაწუხოს მეზობელი!

მუქ ფერებშია აწერილი მარინეს მისვლა პურის ან ფქვილის სათხოვნელად მეზობელთან, რომელიც, უქონლობისა გამო, შესთავაზებს ქატოს, თუ მარინე როგორმე გამოიყენებს. მარინემ სიხარულით მიიღო ქატო, რომელიც, ავტორის განმარტებით, უფრო ჰგავდა მსხვილად დახერხილ ხის ნახერხს, ვიდრე ხორბლეულის რაიმე ქატოს. მარინემ არ უთხრა ქმარს, შინ რომ სამი ჯამი ქატო მოიტანა. იმან ჩუმად გამოაცხო ამ ქატოს ნაცარკვერები, ნახევარი მისცა სამგზავროდ ქმარსა და ნახევარი ჩუმად გამოუზოგა თავის პაწაწა შვილებს, რომელთაც ნამცხვარის დანახვაზე შეჰქმნეს ერთი სიხარული და ხტომა.

„—დედი! — დაუძახა პაწაწა გოგომ მარინეს, — აი სვიმონა ამბობს, რომ ხორცი უფრო გემრიელი არის ამ პურზედაო. ამაზე გემრიელი ხორცი როგორი იქნება?

—იქნება, ღმერთმანი! — გუშინ დიაკვნიანთ ძაღლს მოეტაცა ხორცი. მე გავაგდებინე — და ისეთი გემრიელი იყო, ისეთი, რო, როგორც თაფლი იმითანა, — დაიწყო პატარა სვიმონამ"[21].

თავბრუდამსხმელია მოცემული სინამდვილე! „ქიტესა" მართლაც შეუფერავი სურათია ღარიბი გლეხის ცხოვრებიდან ამოღებული ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ. ანტ. ფურცელაძის შეშოქმედებაში ეს ნაწარმოები ყველაზე მეტი უშუალობითა და ემოციონალობითაა დაწერილი.

ღარიბ გლეხთათვის არაა არც გზა, არც კვალი. ერთი კვირა უტრიალეს მათ და ძლივს მოახერხეს თავმჯდომარის ნახვა და ისიც თურმე მისთვის კი არ უნდა მიემართათ, არამედ მაზრის მოსამართლისათვის,

[21] ანტონ ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, ქიტესა, გვ. 11.

რომელმაც შემდეგ გლეხებს მაზრის უფროსზე მიუთითა. ცოცხლადაა მოცემული უფლებააყრილი, გზაკვალ უცოდინარი გლეხის მდგომარეობა!

ბევრი ხეტიალის შემდეგ გლეხები ძლივს ეღირსნენ მაზრის უფროსის ნახვას და უკანასკნელის დაპირებას—„გამოვიძიებ"-ო.

მაგრამ გადასახადის შემდეგი გაწერის დროს ისეთივე მდგომარეობა რჩება.

მოთხრობა „ქიტესა" მთავრდება თავზარდამცემი გარემოებით, რომელიც შედეგია გლეხის ასეთი მძიმე და უფლებააყრილი მდგომარეობისა. ქიტესას და მარინეს მდგომარეობა თანდათან უარესდება. ისინი იძულებული არიან თავიანთ 14—15 წლის ქალი მარო მოსამსახურედ დააყენონ ბატონის — მემამულის ოჯახში.

გამოუვალი და თავზარდამცემია ქიტესასა და მარინეს მდგომარეობა, როცა მათი ქალი მარო ბატონისაგან გაწბილებული ქვითინით დაბრუნდება სახლში: „მარო შემოეხვია მარინეს მუხლზედ, — გადმოგვცემს ავტორი — და შესტიროდა განწირულებით: — „მამკალი, დედილო! რაც გინდა მიყავ". ქიტესა გავარდა სახლიდამ —„წავალ!—იძახოდა ის, —ხელმწიფესთან წავალ... ღმერთამდინ ვივლი, ღმერთამდინა!. რაღათ მინდა ქვეყანაში თავი ცოცხალი"... მაგრამ არც ერთთან ქიტესას გზა არა ჰქონდა. საღამოთი დაბრუნდა შინ არყით ძალზე გამომთვრალი. მარინეს უკმაყოფილებაზე განადგურებული ქიტესა მწუხარებით შეჰბღავლებს: „მა რა ვქნა დედაკაცო! რატო არ მეტყვი... მა რა ვქნა, რო არც კი დავლიო? როგორ გაუძლო ამდენ დარდსა!.."[22] და ქიტესას ეს უილაჯო გმინვა მძიმე ლოდად აწვება არა მარტო მარინეს გულსა და ტვინსა, არამედ მკითხველისა და თვით მწერლისასაც.

ანტ. ფურცელაძე თავის შემოქმედებაში უფრო მკვლევარია, სოციოლოგია, ვიდრე მხატვარი და ესეც ხომ ხალხოსნებისათვის დამახასიათებელი იყო.

დიახ, ავტორი ახლო მიდის გაჭირვებული გლეხის ცხოვრებასთან. სინამდვილით აგვიწერს ამ ცხოვრებას. თვითონ თანაგრძნობით ეკიდება დამცირებულს, შეურაცხყოფილს. მაგრამ დამახასიათებელი ის არის, რომ ანტ. ფურცელაძე ამ დაჩაგრულებს უბედურად ათავებინებს ცხოვრებას, პერსპექტივას არ აძლევს. ეს შედეგია იმისა, რომ ანტ. ფურცელაძის შეხედულებები მუდამ მერყეევია, წვრილბურჟუაზიულ ფსიქოიდეოლოგიას ვერ გასცილდა.

4

ანტ. ფურცელაძის ეპოქა, ე. ი. 60—90-იანი წლები ცნობილია ეროვნული საკითხის გამახვილებულად წამოყენებით. მეფის ბიურო-

[22] ანტ. ფ უ ც ე ლ ა ძ ე, ქიტესა, გვ. 39.

კრატიული რეჟიმი ხალხის ასიმილაციის, „გარუსების“ პოლიტიკას აწარმოებდა. მეფის მთავრობა საქართველოს და საერთოდ განაპირა ქვეყნებს ისე უყურებდა, როგორც თავის კოლონიას. ასეთმა პოლიტიკამ შექმნა რუსეთის შიგნით მყოფი მცირე ერების წინააღმდეგობა. 60-იანი წლებიდან ჩვენმა თერგდალეულებმაც ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, სერგეი მესხმა, გ. წერეთელმა და სხვ. დაიწყეს ეროვნული წინააღმდეგობის გაღვივება, ეროვნული აღორძინება როგორც მხატვრული სიტყვით, ისე კრიტიკა-პუბლიცისტიკითა და პრაქტიკული მოღვაწეობით.

მთლიანი პოლიტიკური საქართველოს შექმნის იდეამ თერგდალეულთ შეაქმნევინა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი. ვინაიდან ეროვნულ საკითხზე წერას მეფის ცენზურა სასტიკად სდევნიდა, თერგდალეული მწერლები ხშირად სარგებლობდნენ სხვადასხვა ალეგორიებით (იხ. ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II), ამაევ მიზნით იყენებდნენ საქართველოს წარსულს. საქართველოს წარსული ცხოვრების შესახებ თერგდალეულნი წერდნენ პოემებს, სადაც მკითხველს საქართველოს წარმოუდგენდნენ მთლიანს, შეთანხმებულს. ამით უნდოდათ ქართველ მკითხველში გაეღვივებინათ ეროვნული თვითშეგნება. თერგდალეულებს წარსულის დახატვით უნდოდათ არა წარსულის სინამდვილის მოცემა, არამედ მომავლის სურათის ჩვენება, როგორც ამას ამბობს ილია ჭავჭავაძეც „ქართვლის დედა“-ს შესავალში: „მყობადს ავხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა და ეს ვიხილე—მომიტევე მე სითამამე“. თვითონ პოემის სათაურს ფრჩხილებში ასეთს განმარტებას უკეთებს: „სცენა მომავალი ცხოვრებიდან“.

თერგდალეულნი მეტად გამახვილებულად აყენებდნენ ეროვნულ საკითხს, გამახვილებულად აჩვენებდნენ მკითხველს ეროვნულ ჩაგვრას, მაგრამ, იმას კი არ არკვევდნენ, თუ რამ გამოიწვია საქართველოს ასეთი დაბეჩავებული მდგომარეობა, რამ შეუწყო ხელი საქართველოს დასუსტებას.

ანტ. ფურცელაძე თერგდალეულებისაგან ამ მიმართულებით, უდავოდ, განსხვავდება.

მან, როგორც სხვა ხალხოსნებმა, მოინდომა ისტორიის უფრო ღია თვალით გადახედვა და საქართველოს დაკნინების მიზეზის გამონახვა.

ზემოთ განხილული საკითხიდან და ნაწარმოებებიდან აშკარაა, რომ ანტონ ფურცელაძე უარყოფითად ეკიდება თავადაზნაურობას, როგორც წოდებას. ის ხედავს, რომ ეს წოდება თუ კლასი ისტორიას ჰბარდება. მართლაც ეს ასეა. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ფეოდალურმა კლასმა თანდათან დაკარგა ძალა და გავლენა. ფეოდალურ წოდებაში იქმნება შინაგანი ფენები: შეძლებული — თავადი, ხელმოკლე

—აზნაური. ამ ეკონომიური უთანასწორობის ნიადაგზე იქმნება ბრძოლა ძალისა და გავლენისათვის. ეს ბრძოლა, ანტ. ფურცელაძის შეხედულებით, მკვეთრადაა გამომჟღავნებული XVI საუკუნეში. დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების იდეა, ანტონ ფურცელაძის გაგებით, იწყება გიორგი სააკაძის მოღვაწეობით. გიორგი სააკაძის სახე ანტ. ფურცელაძეს ჯუზეპე გარიბალდის მოღვაწეობით უცხოველდება. გიორგი სააკაძე და ჯუზეპე გარიბალდი, ანტ. ფურცელაძის შეხედულებით, იყვნენ ნამდვილი ეროვნული იდეის დიდი გმირები.

ანტ. ფურცელაძის გაგებით მაღალი ფეოდალური არისტოკრატია მიზეზია ქვეყნის დარღვევისა, დაკნინებისა. ამ თვალსაზრისითაა შეფასებული ბრძოლები დიდ ფეოდალთა შორის რომანში „მაცი ხვიტია". ამავე თემაზეა გაშლილი ანტ. ფურცელაძის ტრაგედია „დიდი მოურავი" ანუ „გიორგი სააკაძე" და აგრეთვე ისტორიული ნარკვევი „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო".

ანტ. ფურცელაძის შეხედულებით, თუ ქართველმა ხალხმა ვერ შექმნა ძლიერი პოლიტიკური მართველობა, ეს სულ მაღალი ფეოდალური წოდების—დიდგვაროვანთა ბრალია. მეფის ძალის განმტკიცებაში, პოლიტიკურად მთლიანი საქართველოს შექმნაში დიდგვაროვანნი ხედავდნენ თავის დასუსტებას, ამიტომ ყველა ღონისძიებას ხმარობდნენ მეფის ძალის შესასუსტებლად. საქართველო დანაწილებული იყო ფეოდალთა შორის. ავტორი, როგორც ტრაგედიაში „დიდი მოურავი", ისე ისტორიულ ნარკვევში „გიორგი სააკაძე და მისი დრო" გამახვილებულად ხატავს მეფის სასახლეში წარმოებულ საშინელ ინტრიგას, ფეოდალთა დაბალი გრძნობით გამოწვეულს, ლუარსაბ II და თეიმურაზ I წინააღმდეგ. ეს თავადნი არიან, რომ მეფეს არ უწყობენ ხელს და გარეშე მტერთან ერთად შიგნით თვითონ ერთიერთმანეთზე ამხედრებულები, ეულეტენ ქართველ ხალხს.

სამაგიეროდ, მეფის ძალის განმამტკიცები, პოლიტიკურად მთლიანი საქართველოს იდეის მაძიებელი და განმახორციელებელი საქართველოს ისტორიაში, ანტ. ფურცელაძის აზრით, ხალხია — გლეხობა და წვრილი აზნაურობა, რომლის მისწრაფებათა გამომხატველია გიორგი სააკაძე.

გიორგი სააკაძის ისტორიული როლის ღირსეული შეფასების თუ ჩვენების მიზნით მკვლევარმა თუ მწერალმა-მხატვარმა უსათუოდ ნათლად უნდა გაითვალისწინოს საქართველოს XVI-XVII საუკუნეთა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა. სააკაძის პოლიტიკა, საქართველოს მომავალი პერსპექტივების თვალსაზრისით, თუმცა პროგრესულია, მაგრამ მან განიცადა დამარცხება (თვითონ სააკაძე კი დაიღუპა), რადგანაც სააკაძის დროის საქართველო ჯერ კიდევ არ იყო

მომწიფებული ასეთი პოლიტიკისათვის, ე. ი. მისი გაერთიანებისათვის ერთ სახელმწიფოდ მეფის აბსოლუტიზმის დამყარებისა და თავადთა ძალაუფლების ლიკვიდაციის გზით. მიზეზი აშკარაა: თავადები და ფეოდალები აღმოჩნდნენ უფრო ძლიერები, მეფე და აზნაურობა უფრო სუსტნი, ვიდრე ამას საკაძე გულისხმობდა. საკაძე გრძნობდა საქართველოს ამ შინაგან სისუსტეს და მოინდომა მისი დაფარვა გარეშე (უცხო) ძალის მოწვევით. მაგრამ გარეშე ფაქტორის ძალას ვერ შეეძლო აენაზღაურებინა ქვეყნის შინაგანი სისუსტე. როგორც ცნობილია, ასეც მოხდა. საკაძის პოლიტიკას ამ წინააღმდეგობათა გადაუწყვეტელ გარემოებაში უნდა განეცადა და სინამდვილეში განიცადა კიდეც დამარცხება. ამიტომ, ბუნებრივია, მკითხველი სამართლიანად მოითხოვს სხვადასხვა მწერალთა შემოქმედებაში გიორგი საკაძის პრობლემის გარკვევისას აღნიშნული ისტორიული სიმართლე აღდგენილი იქნეს.

გიორგი საკაძე ანტონ ფურცელაძეს ეხატება, როგორც დიდი ქართველი პატრიოტი, რომელსაც საქართველოს გამთლიანებისა და მისი გადარჩენა-გაძლიერების სამსხვერპლოზე ყველაფერი: პირადი ნიჭი, თავმოყვარეობა, ქონება, ოჯახის წევრთა სიცოცხლე და თავისი სიცოცხლეც უანგაროდ მიაქვს. გ. საკაძე საქართველოს სიყვარულით, რაღაც საშინელი, გაუნელებელი ტრაგედიის მატარებელია.

ერთნაირია სახე გიორგი საკაძისა როგორც ტრაგედიაში, ისე ისტორულ ნარკვევებში.

ასეთივეა სახე გიორგი საკაძისა პოემაში „ცხრა ძმა". ანტ. ფურცელაძის დახატვით, ეს რაღაც მისანი სარდალია, რომელსაც შეუძლია პირდაპირ სასწაული მოახდინოს, ჯარის საყვარელი გმირია. ხალხი მას ომშიც ისე მისდევს, როგორც ლხინში:

> შენ გაგვიძეხი, გმირო გიორგი,
> და ჩვენ გიჩვენოთ ქართული ძალა!

შესძახებს ბრძოლის ველზე საბრძოლოდ გამზადებული ჯარი გიორგი საკაძეს. ელის ჯარი, რომ საკაძე გაუძღვება მას, გაამხნევებს და მტერს დასცემს შიშის ზარს. მაგრამ:

> გაისმა ჯარის ხმა, რომ საკაძეს
> ხელით წაჰგლიჯეს მთავარ-სარდლობა!
> მეფე, მთავარნი დასძლია შურმა
> და გადასწყვიტეს მისი დამცრობა;

> არა ნდომობენ ძლიერსა მტერზედ
> კვლავ საკაძის გამარჯვებასა;
> არ კადრულობენ უბრალო ჯაცის
> თავიზედ მაღლა ამაღლებასა;

არ შეიწყნარეს მისი რჩევანი,
მოშალეს მისი დაწყობილება,
სხვა გზა არჩიეს მტრის საბრძოლ-
ველად,
გაათახსირეს მისი გმირობა[23].

ამ ხმის გაგონებამ, მწერლის გადმოცემით, ქართველ ჯარს თითქო რაღაცა ზარმა დაჰკრა. აი ეს ქიშპობაა, რომელმაც მოუღო ბოლო გიორგი სააკაძესაც და მით საქართველოსაც.

გიორგი სააკაძის სახე ანტ. ფურცელაძის გულისყურს იპყრობდა არანაკლებ ოცი წლის განმავლობაში: ტრაგედია „დიდი მოურავი" იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობში" 1871 წლის იანვრიდან; ისტორიული ნარკვევი „გიორგი სააკაძე და მისი დრო" ავტორს დამთავრებული აქვს 1888 წ. სექტემბრის 8-ს. გიორგი სააკაძის სახე შემდეგ წლებში დაწერილ პოემებშიც გვხვდება.

ანტ. ფურცელაძე ხსენებულ ისტორიულ ნარკვევს ასე ამთავრებს:

„სააკაძე მოკვდა 48 წლისა...

ამ მოკლეს ხანში იმან ჩაიდინა იმდენი საქმენი, რომ მოდიხარ გასაოცარს, როგორ მოთავსდა ამდენი საქმე ამ მოკლე ცხოვრებაში... რა ჯანმა, რა გულმა, რა გონებამ შეუძლო ამოდენა ტრაგედიას, ამოდენა ბრძოლას, ამოდენა საქმეს, ამოდენა თავის გადასავლებს... ეძებ ისტორიაში მსგავსს მაგალითს და გიძნელდება პოვნა...

მოკვდა ეს დიდებული კაცი და მასთან დაიმარხნენ მისი დიდებული საქმენი და წყობილებანი. ჩავიდა ის საფლავს და ჩაესვენა საქართველოს მზეც. მის უკან აღარ იყო ძალა და კლავი იმისი საქმეების შესასრულებლად"[24].

ანტ. ფურცელაძეს გიორგი სააკაძის მისწრაფებები ეხატება როგორც მთელი ქართველი ხალხისა, რომელსაც დიდგვაროვანნი წინაღუდგებიან. ეს წინააღმდეგობა ქრება, როცა საქართველოს ძლიერი გარეშე მტერი შემოესეოდა ხოლმე. ხოლო საკმარისი იყო ცოტაოდენი დასვენება, რომ ამ წინააღმდეგობას, რომელსაც შიგნით კლასობრივ თუ წოდებრივ ურთიერთობაში ჰქონდა საფუძველი, კვლავ წამოეყო თავი და საქართველო მოერწყო ძმათა სისხლითა.

ასეთი ხასიათისაა ბრძოლა ბაზალეთის ტბასთან, სადაც გიორგი სააკაძე საბოლოოდ მარცხდება.

ანტონ ფურცელაძე ისტორიის პროცესის გაგებაში იდეალისტია, ამიტომ გიორგი სააკაძის ისტორიული როლიც გაზვიადებულად ეჩვენე-

---

[23] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, ცხრა ძმა, გვ. 143—144. აქ და ყველგან მითითებულია ამ თხზულების 1899 წლის გამოცემა.

[24] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, გიორგი სააკაძე და მისი დრო, 1892 წ., გვ. 382.

ბა: „მოკვდა ეს დიდებული კაცი და მასთან დაიმარხნენ მისი დიდებული საქმენი და წყობილებანი... მის უკან აღარ იყო ძალა და კლავი იმისი საქმეების შესასრულებლად“. აქ აშკარაა პიროვნების როლის ყოველშემძლეობა, რაც, რასაკვირველია, გაუმართლებელია. ავტორი მაინც ვერ იგებს ისტორიის განვითარების ძირითად ხრახნილს — მის კლასობრივ ბუნებას. და ამიტომ ასე უპერსპექტივოდ ჰკლავს გიორგი საააკაძეს და თავის ისტორიულ ნარკვევებსაც ასე პესიმისტურად ათავებს. ეს, რასაკვირველია, ბუნებრივია ანტ. ფურცელაძის ლიბერალურ-ნაციონალური და წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობისათვის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ანტ. ფურცელაძე გიორგი საააკაძის ტკივილების გამზიარებლად მოჩანს, ისიც მიისწრაფვის საქართველოს პოლიტიკური გამთლიანებისაკენ. ამ მხრივ ანტ. ფურცელაძე თერგდალეულ მწერლებს უახლოვდება, თუმცა თავისებურებას ის აქაც ინარჩუნებს.

ამ საკითხის გარკვევას ანტ. ფურცელაძე იძლევა აგრეთვე თავის ისტორიულ პოემებში: „თამარ ღაზნელი“, „ცისკარა“, „ცხრა ძმა“, „წყალობა“ და სხვა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტ. ფურცელაძემ, ისევე როგორც თერგდალეულმა მწერლებმაც, ვერ შექმნა ნამდვილი ჟანრი ისტორიული პოემისა. ისტორიულ ფაქტებს ანტ. ფურცელაძე მეტად თავისებურად ეპყრობოდა და არც იძლევა ისტორიულ სინამდვილეს. ამ პოემებში ანტ. ფურცელაძე უდავოდ თერგდალეული მწერლების დიდ სტილიურ გავლენას განიცდის.

პოემაში „ცხრა ძმა“ ავტორს იზიდავს სამშობლოსათვის თავის დადება. ცხრა ძმა ხერხეულიძეების ოჯახისა და განსაკუთრებით მათი დედის მეშვეობით მოცემული სახე ქართველი გმირი ქალისა (ესეც ხომ თერგდალეულთათვის დამახასიათებელი იყო). კულტი ქართველი ქალისა, რომელიც შვილს დედის რძესთან შეაზრდიდა მძლავრ ეროვნულ გრძნობას, XIX საუკუნეში მიმზიდველი იყო ქართველი მწერლებისათვის. ანტ. ფურცელაძეც ვერ ასცდა ეპოქის ამ გავლენას.

საქართველოზე სპარსნი წამოვიდნენ აუარებელი ჯარით. საქართველოც ემზადება. არ უნდა მტერს დაემონოს. კვლავ დატრიალდა ჯარასავით პატარა საქართველო. შუა ღამეა. არ სძინავთ ცხრა ძმა ხერხეულიძეებს, ემზადებიან, დედა და ცოლებიც მათ მხარში უდგანან, ამზადებენ. დაამთავრეს მომზადება. შემოუსხდნენ ღამის ტაბლას. დედა ცხრა შვილს ჰგზავნის ომში. სახლში მარტო ქალები რჩებიან, მაგრამ ეს არავის ანაღვლებს. მთავარია სამშობლოს ხსნა მტრისაგან. ასე მიმართავს დედა შვილებს:

შვილნო! ჯიგარნო ჩემი გულ-გვამის,
მაკურნებელნო დედის წყლულისა,
ყველას გიმეტებთ... გულს შუა ვიპობ...
არის დღე ქვეყნის აღსასრულისა!...

გიმეტებთ მისთვის, რომ საქართველოს
ელის დღე მწარე და საზარელი!...
გიმეტებთ მისთვის, რომ უსაცილოდ
უნდა იძლიოს მტერი ძლიერი!...
მაგრამ თუ მტერი დარჩა მძლეველი,
გაბედეთ მტრისა ზურგის ჩვენება,
სიკვდილამდისინ ზიდეთ საქვეყნოდ
კაენის წყეველა და შეჩვენება!
ან გამარჯვება, ანუ სიკვდილი!
ნურც დაბრუნდებით შერცხვენილე-
ბი![25]

რიტორიკა, სქემატურობა ხასიათის გაშლაში მეტია, ვიდრე ნამდვილი გრძნობა! ანტონ ფურცელაძის პოემები ერთგვარი ყალბი პათოსით ხასიათდება. ანტ. ფურცელაძე მეტის სიუხვით ასხამს დიდებას „ქართველ გმირთა მხარ-მკლავებს“.

გმირ დედას, რომელიც ასეთი სიტყვებით ისტუმრებს ყველა შვილს ომში, შესაფერი კილოთი უპასუხებენ შვილებიც:

ვფიცავთ, დედაო, ჩვენს გამზრდელს
ძუძუს,
რომ არ გავსტეხავთ შენს ბრძანება-
სა;
მაგრამ გაფიცებთ, შენც არ გადუდგე
ჩვენს უკანასკნელს ანდერძის თქმასა:
„თუ ვაჟკაცურად ჩვენ მტერს
შევაკვდეთ,
შეგესმათ ესე ლხენის ამბავი,
ჰქენით ნადიმი, ხალხს დაუძახეთ,
სარკედ უქციეთ მათ თქვენი თავი.
და, თუ დავბრუნდეთ დამარცხებულ-
ნი,
მაშინ დაიდგით გლოვის კარავი,
მოგვთქვით ცოცხალნი ხალხის
წინაშე,
და მათ აჩვენეთ ეს სანახავი.
. . . . . .
მშვიდობით დედავ! მშვიდობით
ცოლნო!
გული აქციეთ თქვენი ქვებათა.
ან გავიმარჯვებთ, ან ცხრაიავ ძმათა
ერთად გვიხილავთ ძმურებრ
მკვდრებათა[26].

მიდიან საომრად. ავტორი იძლევა საარაკო ვაჟკაცობას ცხრა ძმა ხერხეულიძეებისა, რომელნიც იბრძვიან ლომსავით, სიკვდილს არ

[25] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, ცხრა ძმა, გვ. 135.
[26] ი ქ ვ ე, გვ. 137.

უშინდებიან. ცხრა ძმა ზედიზედ გმირულად წვება ბრძოლის ველზე. მწერალი დაუფარავი თანაგრძნობით და აღტაცებით ასე გვამცნობს ამ ცხრა ძმის საგმირო საქმეს:

ამ ჯვარად გაქრენ ცხრა გმირი ძმანი:
სატრფო სამშობლოს თავი შესწირეს.
უმაგალითო გმირთა სიკვდილი
ჩვენ, უღირსთ შვილთა, ხიდად გაგვიდეს.

ანტ. ფურცელაძეც ისეთსავე ახსნას იძლევა საქართველოს ისტორიულად გადარჩენის შესახებ, როგორსაც თერგდალეულნი. საქართველო თუ შერჩა ისტორიას, არ აღიგავა ისტორიის ასპარეზიდან, ეს მხოლოდ ქართველთა წინაპართა გმირული მოღვაწეობის მეოხებით.

თერგდალეულთა ასეთსავე სტილიურსა და იდეოლოგიურ გავლენას ანტ. ფურცელაძეზე ვხედავთ მწერლის სხვა პოემებშიაც, მაგ., „წყალობაში". აქაც საქართველოს ისტორიიდან ერთი მომენტი —ოსმალთა ბატონობაა აღებული, როცა ოსმალი გახდა ბატონი, განაგებდა ყველა საქმესა: „მთასა თუ ველსა, ყველას პატრონად ეკიდებოდა: ოხრად დარჩენილ ქვეყნებში აღარრას ერიდებოდა". მაგრამ მაინც ქართველის გულის სიღრმეში მხნეობის ხმა გაისმა:

ათასი საუკუნენი
მტერი კარს ადგა ქართველსა.
მის ხორცსა სჭამდა, სისხლს ჰსვამდა,
ჰშუსრავდა იმის სახელსა;
შეუდრეკელად ქართველი
მტერს ძლიერს უმკლავდებოდა,
ამირანისა წყლულები
ბრძოლაში უმთელდებოდა[27].

ქართველობა კვლავ აღსდგა, კვლავ იარაღი შეისხა. გაერთიანდა ერთი მისწრაფებით—სამშობლოს დაცვის მიზნით —„მეფე, თავადი, ხელქვეითი და მმართველი". გაისმა ერთობისა და ძმობის ტკბილი სიმღერა:

ერთად ვიბრძოლოთ, ქართველნო,
ვართ ერთად ერთი ერია,
ამ ერთი ბეწვა ხალხისა
ისეც ქვეყანა მტერია.
ერთად ვიბრძოლოთ, ვუჩვენოთ
ქვეყანას ჩვენი გმირობა,
მტერს და მუხანათს სიკვდილი!
ეს იყვეს ჩვენი პირობა.[28]

---

[27] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, წყალობა.
[28] ი ქ ვ ე.

და მართლაც, ქართველნი მედგრად შეებნენ მრავალრიცხოვან მტრის ჯარებს:

ვით შავარდენი გნოლის გუნდს
გადაერევნენ მტრის რაზმსა;
თითო შეტევით გორებად
შეაყენებდნენ მკვდართ გვამსა.[29]

ყოველ ეჭვს გარეშეა, ამ საკითხში, ანტ. ფურცელაძის სტილიური და იდეური დაახლოება თერგდალეულებთან. გაგება, შეფასება და ასახვის მანერა ქართველთ წინაპართა ვაჟკაცობისა ანტონსაც აქ ილიაკაკისებური აქვს. მაგრამ ვრთი კი ხაზგასასმელია. ეს ის, რომ ანტ. ფურცელაძეს საქართველოს ისტორიის პროცესის განვითარებაში საქართველოს პოლიტიკური ძლიერების დამღუპველად გარკვეულად ეხატება ფეოდალთა წოდება.

ანტ. ფურცელაძე არჩევს ფეოდალთა და წვრილ აზნაურთა როლს საქართველოს ისტორიის სარბიელზე, ხედავს მათ შორის წინააღმდეგობას. წვრილ აზნაურებს ის დადებითად ხატავს, ისინი უახლოვდებიან ხალხის მოთხოვნილებებს, წარსულშიაც იბრძოდნენ საქართველოს პოლიტიკური ძალის განმტკიცებისათვის. აქ, უდავოდ, ანტონ ფურცელაძეში წოდებრივი რეციდივია. ეს შედეგია მისი წვრილბურჟუაზიული, მერყევი მსოფლმხედველობისა, რომელიც წოდებათა შორის წინააღმდეგობას არ ამახვილებდა და ყოველი სოციალური ჯგუფის, კლასის როლს სათანადო სიმახვილით ვერა სჭვრეტდა.

ანტ. ფურცელაძე ამგვარ წინააღმდეგობასა და ბრძოლას თავადებსა და აზნაურებს შორის XIX საუკუნეშიც ხედავდა. ანტ. ფურცელაძეს აზნაურები უფრო მისაღებ ელემენტებად მიაჩნია. თავადები, მისი შეხედულებით საზოგადოებრივობისათვის ხორცმეტნი არიან· თავადები უმოქმედობაში ძაბუნდებიან, იღუპებიან. აი, როგორ ააწერინებს ავტორი ლიზა გამშენებლიშვილს თავადთა ჩვეულებრივ ცხოვრებას: „რა ცხოვრებაა!.. დაიძინე, ადექ, იჯექ მთელი დღე ფანჯარასთან და გაჰყურე შორს გზას: სტუმარი მაინც არის ხომ არ მოგდის, რომ ცოტაც არის გული გავართოვო; დალიე ჩაი, დალიე ყავა, ჭამე სადილი, ეხეტიალე ბაღსა და ალუბლებში, ჭამე ვახშამი და კიდევ მიეც თავი ძილსა, თუ ან კი დაიძინე რიგიანათა... თუ არა, მოირთე დედოფალსავით, გასწი სტუმრათა, იტლიკინე, იხტუნე, პრიწე თვალები; დაბრუნდი ისევ უარესად გულნაკრული, გულჩაწყვეტილი და ევედრე ღმერთსა, რომ ახლა სხვა გასართობი გაგიჩინოს რამ... აბა ამას ცხოვრება ჰქვიან?«[30]

---

[29] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, წყალობა.
[30] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, ვაი მართალთა, 1891 წ., გვ. 24—25.

ასეთია ცხოვრება თავადაზნაურების ერთი ნაწილის, რომელსაც კიდევ შერჩენოდა ეკონომიური დოვლათი და შეეძლო განეგრძო ფუფუნება, უსაქმური ცხოვრება. სამაგიეროდ, ხელმოკლე თავადაზნაურობა, უფრო კი აზნაურობა ადვილად დაირღვა, დაკნინდა. მცირე მამული, რომელიც მათ შერჩათ, ახალ პირობებშიც ადვილად მიდიოდა ხელიდან; ისინი გამრავლდნენ, მათ მამული უფრო შეუმცირდათ და მათი ცხოვრება ჩვეულებრივი გლეხის ცხოვრებას დაემსგავსა. აი რას მოგვითხრობს ბესარიონ ვარგისაშვილი (ავტობიოგრაფიული სახეა), როდესაც სასწავლებელში ოჯახის გაჭირვებულ ცხოვრებას გადაჩვეულმა დაბრუნებისას კიდევ დაინახა „ისევ ძველებური, თავიდამ ბოლომდინ შავათ გაჭვარტლული დარბაზი, სადაც თავზედ გვეყარა პურის გოგროხები, პურის კიდობნები, ცომის ვარცლები თავისის ცხვრის ტყავებითა, სარეცხის ვარცლები, თაბხები, ხონჩები, გუდები, ტომრები, ჭილობები, მთელი და დამტვრეულ-დალეწილი ქილები, ქოთნები, კოკები და სხვა ათასი ჩიხომახო; როდესაც დავინახე წიწილ-კრუხი, რომელიც ზედ თავზედ გვახტებოდნენ, ძაღლები, ღორები, თხები, რომელთათვისაც ყოველთვის ღია იყო ჩვენი სახლი და რომელნიც ჩვენ არც კი გვეკუთვნოდნენ... მე ვერ წარმომედგინა, რომ ეს იყო ჩემი სამშობლო სახლი... სადაც პირველად გავიგონე ტკბილი ალერსი და მწარე წყევლა ერთმანეთში არეული“. ასეთი გარემოება, ავტორის განცხადებით, ჩვეულებრივი ყოფილა. „ყველა ჩვენი სახლიკაცები, — წერს ანტ. ფურცელაძე, — გარდა ერთისა, იყვნენ თითქმის ისეთივე ღარიბები, როგორც ჩვენა“[31].

ასევეა ნაწრეტაშვილების გვარიც. ამ საკმარისად მრავალრიცხოვან გვარში ორი ოჯახი იყო შეძლებული — ბაადურისა და იოთამისა. ესენი იყვნენ დანარჩენების მონახევრენი. თუ მათ მამული საკმაო ჰქონდათ (ბაადურს კარგა ბლომად), დანარჩენნი იყვნენ ძალზე ღარიბები. „ესენი ყველანი სახლობდნენ ერთ ალაგას და გაჰყურებდნენ ერთმანეთის ჯამსა და კოვზსა“.

მოთხრობაში „ჩვენებური საქმის ბოლო“ ანტ. ფურცელაძე სოფრონ ნაწრეტაშვილის, მისი ცოლის თუთელასი, მისი რძლის ზილახანის (გვ. 22—30), ბეჟან კუდარიკაძის, მისი შვილი ილიკოს სახით (გვ. 68, 71—72, 82—83) უდავოდ კარგი დაკვირვებით აგვიწერს გაღატაკების გზაზე დამდგარ თავადაზნაურობას. ამ მიმართულებით ანტ. ფურცელაძე გვეხატება ერთგვარ შორეულ წინამორბედად („ჩვენებური საქმის ბოლო“ დაწერილია 1873 წელს) დავ. კლდიაშვილისა, რომელმაც მთელ რიგ ნაწარმოებებში დიდი ოსტატობითა და მდიდარი ვარიაციებით დაგვიხატა გადაშენების გზაზე დამდგარი, გაწრიოკებული „შემოდგომის აზნაური“.

[31] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, ჩვენებური საქმის ბოლო, 1893 წ.. გვ. 10—11.

XIX საუკუნის მანძილზე კაპიტალიზმი შეუჩერებლივ იკაფავდა გზას, დაუნდობლად არღვევდა ფეოდალურ მეურნეობას. ჩვენი თავადაზნაურობაც სწრაფად ნადგურდებოდა. ახალმა ცხოვრების პირობებმა, ახალმა ბურჟუაზიულმა კულტურამ მათ უფრო გაუხსნა მადა ცხოვრებისა და, როგორც დაძაბუნებული კლასი, ნაკლები წინააღმდეგობის გზით წაიყვანა, თავდავიწყებით გადაეშვა ახალი ცხოვრების ტალღებში და გამძლეობას მოკლებული სწრაფადაც იღუპებოდა.

ნიადაგშერყეული თავადაზნაურობის ერთმა ნაწილმა მოხელის თანამდებობას შეაფარა თავი. ხშირად ნათესაური კავშირის მეოხებით ისინი დიდი დაწესებულების ხელმძღვანელებადაც კი ინიშნებოდნენ. ამ დაწესებულებებს და მასში მომსახურე პირებს ეს „უფროსნი“ ისე უყურებდნენ, როგორც მამა-პაპურ მამულ-დედულსა და ყმებს. დაწესებულებებში მათ გადმოაქვთ ფეოდალური განწყობილებანი. გაჩინოვნიკებული თავადაზნაურობა 50-იან წლებიდან ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ჯერ კიდევ ერთ-ერთი მოქმედი ფენაა.

ანტ. ფურცელაძის შემოქმედებითი აპერცეპცია გამახვილებულად იყურება ამ ფენისაკენ და თუმცა სქემატურად, მაგრამ საკმარისი სისწორით გვაძლევს ამგვარ ტიპებს თავის დრამაში „ავაზაკნი“ — ზახარ იაგორიჩის, ვლადიმერ მიხაილოვიჩისა და სხვათა სახით.

დამახასიათებელია საზოგადოების ამ ფენისათვის ზახარ იაგორიჩის წუხილი: „სამი მოსწრებული ქალი!.. სამი დასაზრდელი ვაჟი! ჩემი ქონება კი უკან-უკან მიდის... გუშინ ღამ ას-ოცი თუმანი წავაგე, წუხელისაც ოთხმოცი თუმანი! ორ ღამეს — ორასი თუმანი! ამ ორ თვეში ჯერ ეს ოთხასი თუმანი მაქვს წაგებული! ხარჯი კი ერთი ათად მატულობს... მოვალეებიც ცალკე იწუხებიან; დღესასწაულები მოდის, სახლში კი ფული აღარ არის“[32]. მადა დიდი აქვს ზახარ იაგორიჩს. კარგი ცხოვრება და წვეულება უყვარს, ამას კი ფული უნდა, ფულის მოგება მან არ იცის. ფულის აღებას ნაკლები წინააღმდეგობის გზით ამჯობინებს. „კანონის ძალით“ სხვას შეუმციროს მისაღები, თვითონ გაიდიდოს. ამგვარ საშუალებას ის ხშირად მიმართავს. ახლაც ზახარ იაგორიჩს დაწესებულების „ოსტატების“ იმედი აქვს.

სიმართლითაა მოცემული ზახარ იაგორიჩის დამოკიდებულება ამ „ოსტატებისადმი“ და თავისი ხელქვეითებისადმი.

ზახარ იაგორიჩი გადასინჯავს თანამშრომელთა შორის ნარჩენების განაწილების პროექტს და ხაზინადარს ცინიკურად შემდეგს განუცხა-

---

[32] ანტ. ფ ურ ც ე ლ ა ძ ე. ავაზაკნი, 1891 წ., გვ. 34. აქ და ყველგან ეს გამოცემაა მითითებული.

დებს: „მწერლებს ოც-ოცდახუთი მანეთი! რა საჭიროა! თუთხმეტ-თუთხმეტიც ეყოფათ (ასწორებს). დელოპროიზვოდიტელის პომოშნიკებს სამოც-სამოცი მანეთი! რა მინდაო! ხაზინას განა გადასაპნევი ფულები აქვს! ოთხ-ოთხი თუმანიც ეყოფათ (ასწორებს). დელოპროიზვოდიტელებს ათ-ათი თუმანი! ვითომ რაო! მთელი დღე სულ პაპიროსებსა სწევენ, კანცელარიაში არ შეისვლება კომლისაგან. სამოც-სამოცი მანეთიც ეყოფათ (ასწორებს). სტარში დელოპროიზვოდიტლებს ოც-ოცი თუმანი! ეს კარგად ბლომად დაუნიშნავთ თავისთვის!.. მაგრამ ეს იყვეს, თუმცა ოც-ოცი თუმანი ცარიელი ხელის მოწერაში ბევრი მოუვათ, მაგრამ მაინც ჩემი მარჯვენა ხელები არიან (აძლევს სიას). ჩემთვის ასი თუმანი დაინიშნება, თორემ ეხლა სადღესასწაულოთ ფული აღარა მაქვს!.. თქვენთვის, დოროფეი ეროფეიჩ, ოცი თუმანი გამოიყვანეთ და ის ოთხმოცი თუმანი რომ გითხარით ნაგრადათა, იმასაც უეჭველად მიიღებთ...“[33]

დაუხვეწავია ზახარ იაგორიჩის სახე, სქემატურია, მაგრამ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სინამდვილის უტყუარად მთქმელია! ზახარ იაგორიჩი და მისთანანი ყოველ უზნეო კომბინაციებს მისდევენ, ოღონდ კი მადა როგორმე დაიკმაყოფილონ: ჰპარავენ ხაზინას, ჰპარავენ თავის თანამშრომლებს, მზად არიან ყოველად უზნეო ხელშეკრულება დასდონ მინას იაგორიჩთან. და ყველაფერი იმისათვის, რომ „ბალებში“, „კრუჟოკებში“, „ვეჩერებში“ დრო გაატარონ. დღე გადაუქცევიათ ღამედ და ღამე დღედ. სინამდვილე რეალური ფერებითაა მოცემული.

ანტ. ფურცელაძე ამგვარ საზოგადოებრივ ცხოვრებას ამახვილებს თავის დრამაში. სურს მკითხველს აჩვენოს ამ ცხოვრების მდაბალი მორალური დონე, მისი გამრყვნელი გავლენა.

ამ მიზნით ამავე დრამაში მას დაპირისპირებული ჰყავს ორი ვექილი — გამოცდილი და გამოუცდელი. უკანასკნელს უნდა თავისი ხელობა გამოიყენოს პატიოსნებით და ეს საქმითაც დაამტკიცოს. ამაზე გამოცდილი, რომელსაც მწერლის გაგებით, კარგად უგემნია საზოგადოებრივი ცხოვრების შხამი, ციინიკურად უპასუხებს: „რა არის პატიოსნება? — სიტყვა, რომელიც ყველას თავისებურათ ეყურება და თავისებურათ ხმარობს. ხალხის თვალში კი პატიოსანი ის არის, ვინც პატიოსნებაზედ მეტს ჰყვირის და ნაკლებ ასრულებს, რათგან ხალხი სცემს პატივს ძალასა. ერთი უძლიერესი ძალათაგანი არის ფული, და ფული პატიოსნებით შეძენილი ისეთივე ძვირია, როგორც ფულით შეძენილი პატიოსნება“[34].

ამიტომ გამოცდილი ადვოკატი, წინააღმდეგ გამოუცდელის სურ-

---

[33] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, ავაზაკნი, გვ. 36.

[34] ი ქ ვ ე, გვ. 55.

ვილებისა და შეხედულებისა, ყოველ უზნეო საქმეს ჰკიდებს ხელს, ოღონდ კი ფული აიღოს. „შეარცხვინა მაგათი მშიერი პატრიოტობა“, ცინიკურად გაიძახის გამოცდილი ადვოკატი.

მწერალი ხედავს, რომ ახალ ცხოვრებაში ფული გადაიქცა მამოძრავებელ ღერძად. ფულია, რომ აძლევს ცხოვრებას თავისებურ შინაარსს, ეთიკას, ესთეტიკას.

ანტ. ფურცელაძე უარყოფითად უყურებს ფულის ასეთ ძალას, უარყოფითად უყურებს ასეთ ეთიკასაცა და ესთეტიკასაც. უარყოფითად უყურებს ყველა მათ, ვინც ფულის ძალას გაჰყვა, ვინც ფული კერპად გაიხადა. ფულის მოგების გზა ანტ. ფურცელაძეს მიაჩნია ადამიანის მორალურად დაკნინების გზად (და ეს დამახასიათებელი იყო არა მარტო ხალხსნებისათვის, არამედ საერთოდ 60-იანი წლების მოღვაწეთათვისაც). 60-იანი წლების მოღვაწეთა და ხალხსნების მაღალი საზოგადოებრივი გრძნობა და ადამიანის მისი საზოგადოებრივი ღირებულების თვალსაზრისით დაფასება ვერ ეგუებოდა იმ მორალურ განურჩევლობას, რომელსაც სავაჭრო-სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში ფულის მოგება თხოულობდა.

რანი არიან გამხეცებული ჰავაქა დილანოვი, ისაკ მარტინიჩი და სხვანი, თუ არა ადამიანობა დაკარგული არსებანი?

აი, როგორ უხასიათებს ჰავაქა დილანოვის გამდიდრების ამორალურ გზას მისი მეუღლე ოროვსიმე თავის ქალს რიფსიმეს: „რამდენს თოკს გადარჩენილა, შვილო, მამაშენი ჰავაქა მაგ ფულებისათვის!.. რამდენი ელდა და ვარამი გამოუვლია. ჯერ პირველად რუსეთში რომ გაჰყვა ყაზაზოვს გზის ასასათ ბარგისათვის, ნახიჩევნიდან მოიტანა ჩუმად ერთი დაკეტილი ზანდუკი ასიგნაცია... მთელი ღამეები არა სძინებია... მადა დაკარგა... ისეთი ელდაში იყო პოლიციისაგან. დაკეცილი ასიგნაცები სულ ფარდა ჩამოშვებულ ბუხარში ეწყო და ზევდან სულ ხმელი ჩინჩხვარი და ძველი ქაღალდები ეწყო, რა არი: რამწამს პოლიცია მოვა, მაშინვე სპიჩკას მივცემ და დავწვამო... მერე წავიდა თუშებში, თათრებში, ქართლში და სულ მატყლსა, პურსა და ქერზე გაასაღა, ყველაფრი ერთი სამად აძლევდა ფასსა, რა არის ბევრი ვაჭრობა არ მომინდესო. ყველგან სულ სხვადასხვა სახელითა და სხვა ტანისამოსით დადიოდა, რა არის არ მიცნონო... მერე დაიჭირეს მეცხვარეები, დაიჭირეს გლეხები, თუ რა არის, ვინ მოგცათ ეგ ფულებიო? მთელი ორი წელიწადი მამაშენი ჰავაქა ახალციხესა და ყიზლარში იმალებოდა... რამდენი ფული შეაჭამა ჩინოვნიკებსა... ნახევარი მოგება სულ ასე შემოეხარჯა... მემრე შევიდა ამხანაგად გორელ ღვთისწყალობასთან... გაქურდა და მერმე ქარვასლაც რომ დაუწვა, რა არის, ერ მიმიხვდენო! ერთ წელიწადს ღვთისწყალობას ნაარმევი ფული გადმოვიდა მამაშენთანა... მემრე მამაშენი დუქანი ზასტრახოვითი ჰქნა... ათას თუმ-

ნათა, შიგ ორმოცი თუმანისაც არა იყო რა: მისცა ცეცხლი და დასწვა.. აქაც ერთი შვიდას — ოვაას თუმანი მოგება ჰქნა... კიდევ რამდენი რა-მეები!..«[35]

ასეთივეა ცხოვრების გზა, ფულის შეძენის გარდაუვალი ნდომით დაკვალული, სხვა ვაჭრებისაც—ცონცოვიანცის, გიზნუაშვილის, ქლესოვისა და სხვათა. ფულმა გაიტაცა ვაჭრებიც, მოხელეებიც, ვექილებიც, მოსამართლეებიც და ყველა. შეიქმნა რაღაც ვაკხანალია. ყველა ფულს ეძებს, რადგანაც ფული გადაუქცევიათ ცხოვრების დასაყრდენად. ამის გამო ცხოვრება ამორალურია, ფლიდი, დაუნდობელი. კაპიკის გულისათვის ძმა ძმასა ჰყიდის, მშობელი შვილს, შვილი მშობელს. ყველა ცდილობს თავისკენ მიითალოს, სხვის უბედურებაზე თავისი ბედნიერება შეჰქმნას. ამ ცხოვრების ვაჭრული ვაკხანალიის ერთი გაიძვერობით, საშუალებათა განურჩევლობით, ფულის შემწეობით მდიდრდება, მეორე კი — იღუპება პირველთა წყალობით.

ამ გზამ კალაპოტიდან ამოაგდო და ავაზაკობის გზაზე დააყენა მთელი ჯგუფი: ტოტოლა, ჯირკუა (თათარი), ფარსა (ოსი), დარჩო, კურცხალია და სხვანი. ეს ავაზაკნი ბავშვობაში მეტად გულჩვილნი, გულკეთილნი და წყნარნი იყვნენ. ქვეყნის უსამართლობამ გაამრუდა მათი ცხოვრების მიმართულება. უნებლიედ, ხშირად თავისი ბუნებისა და სურვილების წინააღმდეგ, ისინი ყაჩაღობენ. ავტორის სიმპათიები ამ ყაჩაღებისკენაა. ამ ყაჩაღთა დახატვით ანტ. ფურცელაძე არსებული წყობილებისა და კერძოდ ახალი ეკონომიური ფაქტორის (კაპიტალიზმის) განვითარებისადმი, როგორც ხალხსნებიც, უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს.

ავტორი თავის დამოკიდებულებას ცხოვრების მოვლენებისადმი და მისწრაფებებს ხშირად ამ „ავაზაკთა“ პირით ავლენს. ყაჩაღებისადმი ანტ. ფურცელაძე ისეთივე თანაგრძნობითი დამოკიდებულების გამომხატველია, როგორც ფრ. შილერი თავის „ყაჩაღებში“ და ილია ჭავჭავაძე „კაკო ყაჩაღში“.

ოსი ფარსა თავის იძულებით ყაჩაღად გავარდნის მიზეზზე ასე გადმოგვცემს: „ცემა მზემ, კაი კაცობაც რომ გინდოდეს, ვეღარ იზამ: სინ ვერ წასულხარ და საქმეზე დამდგარხარ, — მა რას იზამ, რომ არ ირაზბონიკებ... ეხლა ცემი ცოლი და სილი სულ სიმსილით წივილობენ... ასი წელიწადი მამულზე იდექი, სახლი და კარი გაკეთე, ტყე გაცეხე, მამულები გააკეთე, ხილი ცაყარე, ახლა ყველას გართმევენ და საცა გინდა იქ წადიო... მოდი და კაცის გული მოითმინოს! კაცს მოკლავ, მა რას იზამ! ახლა დაგდევენ ცოფიანი ძაღლივით: კაცი რათ მოკალიო!..«[36]

---

[35] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, ავაზაკნი, გვ. 14—15.

[36] ი ქ ვ ე, გვ. 22.

ფარსას აზრი ავტორის აზრია. ანტონ ფურცელაძემ, ბატონყმობის დროს გლეხის მდგომარეობის საკითხთან ერთად, პირველმა წამოაყენა ხიზნის მდგომარეობის საკითხიც. ავტორი სოციალური რეფორმის რადიკალური განხორციელების მომხრეა, თორემ, მისი გაგებით, იქმნება უკმაყოფილოთა რაზმები, რომელნიც შურს იძიებენ.

ასეთივე იძულებითაა გამოწვეული დარჩოს გაყაჩაღებაც, როდესაც მსხვილი ვაჭრები წვრილ ხელოსნებს ავიწროებენ, ანადგურებენ.

მწერალი ამჩნევს როგორც ფულის ტრიალისა და ძალის აუცილებლობას ახალ ცხოვრებაში, აგრეთვე მის ძირითად ბუნებას: წინააღმდეგობას, კონკურენციას, ძლიერის უფრო გაძლიერებას, სუსტის უფრო დასუსტებას, განადგურებას. თვით სახელმწიფოებრივი აპარატიც ფულიანებისა გამხდარა. დაწყებულია სამკვდრო-სასიცოცხლო კლასობრივი ბრძოლა ფულიანთა და უფულოთა შორის. რასაკვირველია, საჭირო სიმახვილე არც აქ არის ავტორისაგან დაცული. უფულონი გაუგონარი, შეუწყნარებელი არიან როგორც აღებისაგან, ისე სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა მოხელეებისაგან. ღარიბნი, კალაპოტიდან ამოვარდნილნი შურს იძიებენ, ჰქმნიან დამცირებულთა წრეს, განურჩევლად ეროვნებისა. აქ არიან ქართველებიც: კურცხალია, კაკო და სხვა; აქვე არის თათარი — ჯირკუა, აქვეა —ოსი ფარსა, აქვე არიან სომხები: ტოტოღა, დარჩო და სხვანი. საერთო შექმნილი მდგომარეობა ახალ კაპიტალისტურ ურთიერთობაში აერთიანებს ამათ. ეს, უდავოდ, ახალია და შეიძლება ითქვას ანტ. ფურცელაძე პირველია, რომელმაც ეს მოტივი შემოიტანა ჩვენს ლიტერატურაში.

ანტ. ფურცელაძის განწყობილება, სიმპათიები შეურაცხყოფილთა, დაჩაგრულთა და შევიწროებულთადმი აშკარაა. ავტორის გულისწყრომაც საკმარისად დიდია. აქ პუბლიცისტის შემოქმედების ხერხები უფროა, ვიდრე პოეტისა, მაგრამ ეს ხალხოსნებისათვის ხომ ჩვეულებრივი და დამახასიათებელი იყო!

ანტ. ფურცელაძის შემოქმედების გაცნობით მკითხველი აშკარად რწმუნდება, რომ მწერალი გამახვილებულად ხედავს და განიცდის ახალ პირობებში შექმნილ უსამართლო სოციალურ ურთიერთობასა და მკითხველშიც იწვევს შევიწროებულთადმი სიმპათიას. აქაა ანტ. ფურცელაძის მნიშვნელობა და მისი საზოგადოებრივი ღირებულება. ეს ხსნის ანტ. ფურცელაძის მკითხველთა წრის რაობასა და რაოდენობას.

მწერალი პროტესტანტია. შექმნილი საზოგადოებრივი წყობილება მას არ აკმაყოფილებს. ის ახალ გზებს ეძებს და ძიებაში ის ეყრდნობა „ავაზაკთა“ მისწრაფებებს, რომელნიც მას ჰეშმარიტებად მიაჩნია. ის რეფორმატორი-პროტესტანტია.

მშვენიერია ტოტოღას განცხადება სასამართლოში, რომელსაც დამსწრე (მის მდგომარეობაში მყოფი) გადმოგვცემს „ვა! არ მინდა თქვენი

ავდოკატიო... იმათ ლაპარაკს და ტყუილებსა სახრჩობელა მირჩევნია!.. დახრჩობა რომ გამოუცხადეს: მოსამართლეებს თავი დაუკრა"[37].

უფრო საგულისხმიეროა დახრჩობაგადაწყვეტილი ტოტოლას მიმართვა შემოხვეული ხალხისადმი, რომელიც სეირის საყურებლად მოსულა „ყაჩაღების გასამართლებაზე": „ვა! რა სეირია!.. დღეისწორს მახათაზე დამიპატიჟნიხართ: მე და დარჩო ჯამბაზობას ვითამაშებთ!.. ერთიც ნახეთ: თოკი უფრო ჭკვიანია, თუ თქვენა"...

ტოტოლას სიტყვებში ისმის არსებულის წინააღმდეგ აღშფოთება და დაცინვაც. თითქოს ტოტოლა, ეს უბრალო კაცი, „ყაჩაღი" მორალური სიძლიერით ზევიდან დაჰყურებდეს დაბალი გრძნობებით გახრწნილ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მის მმართველთ. აქ ავტორი, უდავოდ, ეპოქის საზოგადოებრივი აზროვნების მოწინავე პოზიციებიდან იყურება. მწერალი ახერხებს გაამახვილოს წინააღმდეგობა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის.

ანტ. ფურცელაძე, როგორც მოაზროვნე, უფრო მკვეთრადა ჩანს ტოტოლას მონოლოგში (საპყრობილეში—სიკვდილის წინ): „ერთიც არ შეეკითხე ჩემს თავს თუ: ტოტოლ! რათ არის ეს ამოდენა უსამართლობა და ვინ არის, რომ თავს ბედნიერადა ხედავს ქვეყანაში?!.. ვთქვათ ჩემი დანა გავლესე უსამართლო კაცზედ, — აქაც უნდა მეკითხნა ჩემი თავისათვის... მაგ უსამართლო კაცს რომ ყელსა სჭრი, რა იცი, რომ ეგ კაცი თავის ნებით არის უსამართლო?.. როდის ჩაგიხედნია მაგის გულში? როდის შეგიტყვია მაგისი გავლილი დღეები?!. თუ, ტოტოლ, შენ შენის ნებით გამხდარხარ ავაზაკი, სისხლის მსმელი, მაშინ მაგაზედაც ისე იფიქრე.. ახლა უნდა მოკვდე იმიტომ, რომ ათასი უბრალო და უდანაშაულო კაცის სისხლი დავღვარე!.. ან ჩემს თავს რა ვარგე ამითი, ან სხვას რა შევმატე!.. განა ეს უნდა ყოფილიყო ჩემი გზა!.. წყალი სათავეში უნდა მოსწყდესო, მესმის ხოლმე, რომ ამბობს ეგ ზევითა მეზობელი (რევოლუციონერი ტუსაღი. —მ. ზ.)... უსამართლობაც უნდა ძირიდამ მოითხაროს. სად არის იმის ძირი? განა ისინი არიან, ვისაც მე დანა გულში გაუტარე?!. აი, აქ, ამ გზაზედ რომ წამხდარვიყავ, მაშინ მეც მოსვენებული გულით მოვკვდებოდი... მაშინ ხალხი ეხლანდელივით წყევლით არ მომყვებოდა საფლავამდის... რატომ წინათ არ შევხვდი მე მაგათ?!. (დაფიქრდება). ერთიც თუ ეგენი კაი კაცები არიან, რატომ არ გვეძებენ ჩვენ? რატომ არ წაგვავლებენ ქოჩორში ხელს და არ გვეტყვიან თუ ე ჩვენი საქმე თქვენთვის არის!.."

ტოტოლას პირით აქ თვითონ ანტ. ფურცელაძე ლაპარაკობს. ტოტოლას თვითკრიტიკა, მისი მისწრაფება იდეური დარაზმული ცხოვრებისაკენ ავტორის სულისკვეთებაა. ანტ. ფურცელაძე ამ დროს უკ-

---

[37] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, ავაზაკნი, გვ. 76.

ვე საჭიროდ ხედავს იდეური მოღვაწეობის გარშემო დარაზმოს სწორედ კალაპოტიდან ამოვარდნილი ელემენტები, რომელნიც არსებულ უსამართლო ცხოვრებას ვერ ეგუებიან. ანტ. ფურცელაძე რწმუნდება, რომ არსებულისადმი ინდივიდუალური გზით წინააღმდეგობის გაწევა ვერ დააკმაყოფილებს უკმაყოფილოთა მოთხოვნილებებს. მწერლის თავისებურება იმაშიც იხატება, რომ მის ყურადღებას მარტო სოფლის უკმაყოფილო ელემენტები კი არ იზიდავს, არამედ ქალაქისაც — კაპიტალიზაციით კალაპოტიდან ამოვარდნილი ხელოსნებიც. მათი გაერთიანება, მათი დარაზმვა ეხატება მას, როგორც ცხოვრების გადაუდებელი მოთხოვნილება. ამაშიც ანტ. ფურცელაძე ახალია, ნოვატორია. თუმცა ვერც ამ საკითხში მივიდა ბოლომდის, გარკვეულობამდის.

უნდა აღინიშნოს, რომ ანტ. ფურცელაძეს, როგორც ეს მეღავნდება მის შემოქმედებაში, პუბლიცისტიკურ-კრიტიკული იქნება იგი თუ მხატვრული, იზიდავს გარდამავალი გარდატეხების ეპოქები. მოქმედ გმირებად მას გამოყავს ისეთი პირები, რომლებიც გამოხატავენ კაცობრიობის თუ ვიწრო საზოგადოების კრიზისს, რომელნიც განიცდიან შინაგან რევოლუციას, რასაც ადამიანი ხშირად დაღუპვამდე მიჰყავს. ამგვარი ხასიათი ანტ. ფურცელაძის შემოქმედებაში აშკარავდება, როგორც უკვე განხილულ („დიდი მოურავი", „ავაზაკნი", „მაცი ხვიტია" და სხვანი), აგრეთვე მის სხვა ნაწარმოებებშიც („სამის თავგადასავალი", „ვაი მართალთა", „ჩვენებური საქმის ბოლო" და სხვანი).

6

განხილული მასალიდანაც გამოირკვა, რომ ანტ. ფურცელაძე ენერგიულად ეძებს ცხოვრების ახალ გზებს, საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალ ფორმებს. თავის მისწრაფებებს ანტ. ფურცელაძე არა მარტო პუბლიცისტურ წერილებში აშუქებს, არამედ მხატვრულ შემოქმედებაშიც ასახიერებს.

ანტ. ფურცელაძის შემოქმედებაში ირევიან მოქმედი პირნი, რომელნიც ახალი ცხოვრების მოახლოებას გრძნობენ, ემზადებიან და ცდილობენ მასთან შესახვედრად სხვების მომზადებასაც. მართალია, ამ მოქმედი პირების დახატვაში მწერლის მხატვრული უნარი სუსტია, მაგრამ, იდეების გამოტანის თვალსაზრისით, ეპოქისა და თვითონ ავტორისათვის დამახასიათებელია.

ერთ-ერთ თავის მოთხრობაში — „ვაი მართალთა", მიხეილ ზახარიჩს, ახალი ცხოვრების მაძიებელ გმირს, ავტორი ასე დაახასიათებინებს საზოგადოებრივ ცხოვრებას: „დააკვირდით აბა ჩვენს ცხოვრებას, თუ ვინმე სახავდეს თავის თავს ბედნიერად, უგუნურთ გარდა... დიახ! არავინ არის ბედნიერი. დაიწყეთ პირველიდან და გადადით უკანას-

კნელ კაცამდი, და ნახავთ რომ ყველას რაღაცის ეშინიან, ყველა ცდილობს, რომ სხვა მოაუძლუროს, რომ იმ სხვამ, ძალა მოცემულმა, არ დასცეს ესა. ყველა თრთის ხვალის წინაშე და არ იცის დღეს, რა მოაქვს იმისათვის ხვალესა. და ხვალინდელი დღე არის უფრო საშიშარი დიდისათვის, ვიდრე პატარასათვის"...[38]

ასეთია, ანტ. ფურცელაძის გაგებითაც, არსებული საზოგადოებრივი წყობილება: დაძაბუნებული, ფლიდი, მერყევი, არადამაკმაყოფილებელი, რომლის ხვალინდელი დღე საშიშია უფრო „დიდისათვის", ვიდრე „პატარისათვის".

ცხადია, საჭიროა გზების გაკვლევა, ახალი ყოფის ფორმის გამონახვა. ანტ. ფურცელაძე, რა თქმა უნდა, ამ მომავალი ყოფის რაობაში არ არის ჯეროვანად გარკვეული, მერყეობს ლიბერალურ-აზნაურულ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ მისწრაფებათა შორის, მაგრამ თავისი ეპოქისათვის მაინც მოწინავეთა რიგებშია.

გავარკვიოთ ეს ისე, როგორც ანტ. ფურცელაძეს აქვს გამოტანილი მხატვრულ შემოქმედებაში (რასაკვირველია, ეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება მის პუბლიცისტურ წერილებს).

რომანი „მაცი ხვიტია"-ს გმირი ეკა, როცა შემთხვევით მოხვდება საფრანგეთში (ქ. მარსელში), გაიცნობს იქაურ წყობილებას, ფიქრობს იპოვოს თავისი მაცი და დაბრუნდეს ისევ ამ ქვეყანაში, „სადაც ასე თავისუფლად სუნთქავს ხალხი, სადაც დამკვიდრებულია თანასწოროობა, სადაც ყველას შეუძლია თავის ნებით ცხოვრება, თავის ნებით შრომა, სადაც არც მართებლობასა და მთავრის დარ კაცებს უბრალოდ კაცის დასჯა და წვალების ნება არა აქვთ, სადაც ყველა კაცი ცუდ საქმეზე ერთნაირად პასუხისმგებელია, სადაც ხალხი სცოცხლობს, მოძრაობს და ელტვის უკეთეს ცხოვრებას და გაუმჯობესებას".[39]

ანტ. ფურცელაძე, მარსელელი ფრანგი ვექილის პირით თავის მრწამსს ამჟღავნებს (უნდა კი ითქვას, რომ ფრანგი ვექილის გამოყვანა „მაცი ხვიტიაში" მეტად ნაძალადევია, არაბუნებრივია. ამის გარდა საფრანგეთის, როგორც ბურჟუაზიული ქვეყნის წყობილება ანტ. ფურცელაძისათვის, როგორც ხალხოსნისათვის, არ უნდა ყოფილიყო ისეთი იდეალური და მომავალშიც მისაბაძავი. „მაცი ხვიტია" იბეჭდებოდა ჟურნალ „შნათობში" 1871—1872 წწ., როცა ანტ. ფურცელაძე იდეოლოგიურად ერკვევა და ხალხოსნებს მჭიდროდ უკავშირდება).

ანტ. ფურცელაძე მაცი ხვიტიას ფრანგი ვექილის პირით თხოულობს არსებული კანონმდებლობის რეფორმას. მწერლის შეხედულებით, არსებული კანონმდებლობა არ ემყარება ხალხის მდგომარეობის,

---

[38] ანტ. ფ ურ ც ე ლ ა ძ ე, ვაი მართალთა, გვ. 78—79.
[39] მ ი ს ი ვ ე, მაცი ხვიტია, გვ. 220—221.

ზნე-ჩვეულების ზუსტ შესწავლას; ის არ ითვალისწინებს იმ სოციალურ პირობებს, რომლებშიც ჩნდება ადამიანის ესა თუ ის ზნე-ჩვეულება, ქცევა. ფრანგი ვექილი ცდილობს ახსნას და გაამართლოს მაცი ბვიტიას ქურდობა. ამას ის ასე გამოხატავს: „ყველანი, ვინც კი მეგრელებს გარს არტყიან, თავის ჟინიან სურვილს ძარცვითა და მტაცებლობით იკლავენ. მეგრელნი სხვა მაგალითს ვერ ხედავენ, ყველა იმასა სწავლობს, რასაც ჰხედავს ყველა იმას მოქმედობს, რასაც სხვები სჩადიან... დარჩა მხოლოდ შესწავლა იმ ხელობისა, რომლითაც სცხოვრობდა შემოსული და გარშემო მცხოვრები ხალხი, რომელსაც გაუხედნელობისა და მიწაადგილის სიმცირის გამო, სხვათა შორის, ძარცვა-ქურდობა დარჩენოდათ რჩენის დონეთ, ამას შეეჩვევნენ მეგრელნი ბანდათან... შემდეგ ეს საქმე საქებურათა და საკვეხურადაც გადაიქცა, რადგან საყოველთაო გახდა და ამასთან რჩენის საშუალებად იქცა“,

მწერალს უნდა დაამტკიცოს, რომ არსებული კანონმდებლობის მფარველობის ქვეშ ქურდობა-მძარცველობა უფრო გამახვილებულად მძვინვარებს, მაგრამ ნიღაბაფარებული სახით. კანონი მათ არა სჯის, არა სდევნის იმიტომ, რომ ის „კანონიერია“. „ამას რომ კარგად განვიხილავთ, — ხსნის ფრანგი ვექილი, — ჩვენ ვნახეთ, რომ, როგორც მეგრელნი ქურდობასა და აბრაგობას არიან შეჩვეული და საქებურადაც მიაჩნიათ, აგრეთვე ყველა სხვა ხალხი შესჩვევია სხვა, გაცილებით კიდევ უარეს საძაგელ საქმეებს, რომლითაც ერთნი სძარცვავენ მეორეს, ხელიდან აცლიან უკანასკნელ ლუკმა-პურს, თვითონ მდიდრდებიან და ღარიბნი კი უფრო და უფრო ღატაკდებიან... ის საქმენი, რომელიც ჩვენ საქებურათა და საკვეხრად მიგვაჩნია, ბევრით უფრო მავნე და საძაგელია ხალხისათვის, ვიდრე ქურდობა და აბრაგობა“[40].

მაგალითისათვის ვექილი იღებს ვაჭრობას, რომელიც თითქმის ყველა ქვეყანაშია გავრცელებული. მეტად თვალსაჩინოდ, დამარწმუნებლად ამტკიცებს, რომ გამყიდველი ატყუებს, ძარცვავს, პარავს მყიდველს. „ვსთქვათ, — მოხდენილად ამბობს ვექილი, — გაიგე კიდეც, რომ ვაჭარმა მოგატყუა და მანეთში ან ორი მანეთი და მეტი გამოგართვა — რას იზამ? არაფერს. იმიტომ, რომ ამგვარი ქურდობა ჩვენგანაცა და კანონისაგანაც, შეწყნარებულია. რაც უფრო მდიდარი ვაჭარია, იმდენი უფრო ფიანდაზათ ქვეშ ვეგებით და პატივსა ვცემთ, თუმცა რამდენიც უფრო მდიდარია, იმდენი ამისი სიმდიდრე იმას ამტკიცებს, რომ უფრო ბევრი მოუტყუებია და გაუძარცვავს“[41].

ანტ. ფურცელაძე ფრანგ ვექილს უფრო გაალრმაევინებს სოციალური ცხოვრების უსამართლობას, მას კერძო საკუთრების, სხვისი შრო-

---

[40] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, მაცი ხვიტია, გვ. 248.
[41] ი ქ ვ ე, გვ. 250.

მის ექსპლოატაციის წინააღმდეგაც ალაპარაკებს (თუმცა ეს საფრანგეთის მოქალაქისათვისაც უცხოა, მაგრამ ეს შესაძლებელია ავხსნათ პარიზის კომუნარების აჯანყების გავლენით). ფრანგი ვექილი აღნიშნავს, რომ მარტო აღებ-მიცემობა არ არის ღარიბი ხალხის საძარცვავ საშუალებად მიღებული სხვადასხვა ქვეყანაში. ფრანგი ვექილი მაგალითისათვის აიღებს მიწის სარგებლობისა და გამოყენების პირობებს და შემდეგი კითხვებით არკვევს მათ მძარცველობის ხასიათს: „რაში აძლევს... მშრომელი კაცი თავის ნაშრომს მიწის პატრონს?... ის (ე. ი. მშრომელი. — მ.. ზ.) ტყუილად კარგავს თავის ჯანღონეს, ეს (ე. ი. მიწის მესაკუთრე. — მ. ზ.) კი ჯანს ჰხმარობს, მითი სარგებლობს... ჯანიანისაგან სხვის კისერზე წოლა არის ქურდობა, რადგან თავის ჯანს არა სჯის და სარგებლობს მხოლოდ სხვისი ჯანით, რაკი ხედავს მის გაჭირვებას და იცის, რომ ის ნებით, თუ უნებლიეთ უნდა ემსახუროს მას... ზოგჯერ ერთი კაცი ჰნთქავს ათასობით სხვის ჯანსა და ღონეს მიწის მიქირავებაში, თუ ქარხნებისა და სხვა ამგვარ სამუშაოებში და ჩვენ ამისთანა წურბელა კაცებს დიდებითა და ღალადებით შევყურებთ. ამგვარ უსაზომობითა და უწესრიგობით არის ქვეყანა მოცული. ჩვენ ყოველივე ამას ვუყურებთ სრულიად გულგრილად, რადგანაც თვალიცა და ყურიცა შეჩვეული გვაქვს“[42].

ფრანგი ვექილი თავის გრძელ (და უნდა ითქვას გაჭიანურებულ, მოსაწყენ) სიტყვაში აკრიტიკებს რა არსებულ წყობილებას, ცდილობს გამოსავალი მისცეს კანონმდებლობის წარმომადგენელთ: „როგორც კაცს,—ამბობს ის,—სიმშილი და სიღარიბე ცუდს საქმეებს ჩაადენინებს, ისეც ის შეიქმნება კარგი, საღი და კეთილი, როცა კარგს მაგალითებში, კარგ გაზრდაში ამყოფებ და მისცემ ცხოვრებისა და შრომის სახსარს. ამიტომ უპირველესად საჭიროა, რომ ყველა კაცი თავის საქმეში თავისუფალი გახდეს, მხოლოდ ამ თავისუფლებით კი სხვას არ უნდა ავიწროვებდეს, სხვის თავისუფლებას არ უნდა ზღუდავდეს. მიეცით ხალხს ადგილი სახელმწიფო საქმეებსა და მმართველობაში, გაიყვანეთ გზები, მიეცით საყოველთაო სწავლა, სწავლა ნამდვილი, რომელიც ანვითარებდეს იმის ბუნებასა და საზოგადო კანონებსა და მოვლენების გამოკვლევა-შესწავლაში, მიეცით სახსარი, რომ არ შეეძლოს ერთს მეორესი დაჩაგვრა და დაჯაბნება“[43].

მართალია, ფრანგი ვექილისათვის ასეთი გამოსავლის ჩვენება ცოტა არ იყოს ხელოვნურია, გადაჭარბებულია, ის ხომ ბურჟუაზიული წყობილების წარმომადგენელია და, როგორც ასეთისათვის, ძალმომრეობის წინააღმდეგ ასეთი გალაშქრება შეუფერებელია, მაგრამ ავ-

---

[42] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, მაცი ხვიტია, გვ. 254—255.
[43] ი ქ ვ ე, გვ. 259—260.

ტორისათვის ეს არ არის დამაბრკოლებელი. რადგანაც მისთვის მთავარია საკუთარი მრწამსის გამოტანა მკითხველთა წრეში. ამ მიზნის განხორციელებაში ანტ. ფურცელაძე ხშირად საშუალებებს არ არჩევს, არ ერიდება მხატვრულობის თვალსაზრისით, შეუფერებლობას, სტილიურად დაუხვეწაობას. ეს იყო ხშირად დიდი ნაკლი ხალხოსანი მწერლებისათვის. ესევე ნაკლი, უფრო მეტი დოზით, ანტ. ფურცელაძესაც ახასიათებს. მწერალი ენერგიის მთელი დაჭიმვით ახალი ქვეყნისაკენ გაიყურება. ამისათვის უნდა მას ხელოვნებაც. თავის იდეები ავტორს სურს მოქმედ პირთა საშუალებით გამოიტანოს, რაც დამახასიათებელი სტილიური ნიშანი იყო ხალხოსანი მწერლებისათვის.

7

ანტ. ფურცელაძე, ფრანგი ვექილის პირით, მსჯელობს იმ საფუძველზე, რომელზედაც უნდა აიგოს მომავალი საზოგადოებრივი ცხოვრება. საჭიროა ამ ახალი ცხოვრებისათვის მზადება. საჭიროა ახალი კაცი, ახალი მისწრაფებებით, რომელიც ხალხს აღთქმის ქვეყნისაკენ გაუძღვება. ასეთი პრობლემა თითქმის ყველა ხალხოსანი მწერლის წინაშე იდგა. ეს საკითხი საკმარისი სიცხადით დგას ანტ. ფურცელაძის წინაშეც.

ანტ. ფურცელაძეს ამ ახალი ცხოვრების მჭედელი ეხატება იმ განათლებული, ზნეობრივად მაღალი კაცის სახით, რომელსაც სტანჯავს ვალდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისა, არ აძლევს მოსვენებას და აიძულებს არსებულ წყობილებას, მოძველებულ მსოფლმხედველობას შეურიგებელი ომი გამოუცხადოს.

ასეთები არიან: სვიმონ ბადლაძე („სამის თავგადასავალი"), ბესარიონ ვარგისაშვილი (რომლის მეშვეობითაც მწერალი აწარმოებს თხრობას თავის სამ ნაწარმოებში — „სამის თავგადასავალი", „ვაი მართალთა", „ჩვენებური საქმის ბოლო"), მიხეილ ზახარიჩი („ვაი მართალთა") და ვასილ ნაწრეტაშვილი („ჩვენებური საქმის ბოლო").

აღსანიშნავია, რომ ეს „ახალი კაცები", ახალი ცხოვრების მიღებისათვის ასე გატაცებულნი, ხალხის ფართო ბედნიერი და შეგნებული ცხოვრების მაძიებელნი, გამოსული არიან თავადაზნაურობის წრიდან. ყველა თითქმის „მონანიე აზნაურის" თვისების მატარებელია, თუმცა ეს თვისებები მათში მეტად ბუნებრივად მეღავნდება. ისინი არ არიან არც ხალხში მოსიარულენი და არც მებრძოლნი. ეს მეტად დამახასიათებელი შტრიხია ანტ. ფურცელაძისათვის და ამიტომ განსაკუთრებულ დაკვირვებას თხოულობს.

სიმონ ბადლაძე კარგა შეძლებული მებატონის — გივი ბადლაძის შვილი იყო. მისი ოჯახი ჩვეულებრივი მებატონის ოჯახის სპეციფიკუ-

რი თვისებებით ხასიათდებოდა: ყმით, მამულით, მოსამსახურეებით, რომელთაც გივი ჩვეულებრივად მკაცრად ეპყრობა: მას არ უყვარდა დიდხანს საქმეზე ჩიჩინი. ჯერ მოჩივარს სცემდა, ან აცემინებდა (უფრო უკანასკნელ საშუალებას იყენებდა) და შემდეგ იმასა, ვისაც უჩივოდნენ: „ესენი თუ მე არ დავწრვთენი, — ამბობდა ის,— ამათგან ხეირი არ იქნება და კაცის პატივის ცემა არ ექნებათ“-ო... რასაკვირველია, გივი ისეთი ბრიყვი არ იყო, — გესლიანად წერს ავტორი, — რომ არა სცოდნოდა ცემა რა დროს, ან ვის უნდოდა. ვინც გივის პატივისცემა იცოდა, იმათ, არამთუ როზგსა, ცივს ნიავსაც არ მიაკარებდა, და თუ არ იცოდნენ მისი პატივისცემა, მაშინ ამისი ბრალი აღარ იყო, ვინც უნდა შეხვედროდა, გარჩევა არ ჰქონდა“[44].

მალე გივიმ მიიღო მაიორობა, ფული, პატივისცემა. გააფართოვა ყმა და მამული და გააძლიერა თავის ძალმომრეობაც.

მწერლის დახატვით, გივის შვილი სვიმონი ბავშვობიდანვე ვერ ეგუებოდა მამის მოპყრობას გლეხკაცისადმი (ავტორი არ გვიჩვენებს, როგორ, ან საიდან განვითარდა სვიმონში ამგვარი ბუნება), ვერ შეეგუა სვიმონის ბუნება აგრეთვე სასწავლებლის უაზრო, მკაცრ რეჟიმს. სვიმონი არავის (და არც უფროსებს) არ უთმენდა შეურაცხყოფასა და უსამართლობას. თავისი მკვახე სიტყვით მოთმინებიდან გამოჰყავდა ისინი, რისთვისაც მალე დაითხოვეს სასწავლებლიდან. მამამ ახლა რუსეთში გაგზავნა ის სასწავლებლად. აქ სვიმონში თანდათან მუშავდება ხასიათი და მიმართულება. ავტორის მოწმობით, სვიმონს არ უყვარდა მუქთად ყოფნა და ყოველთვის რასმე აკეთებდა. ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით, როდესაც ლიცეიში გადავიდა. „მალე მიჰყო რიგიან საკითხავ წიგნებს ხელი და დაუდო სწავლასაც თავი“. ამის გარდა, უყვარდა ამხანაგებში სხვადასხვა საქმის დაწყება და ყოველ საქმეში უეჭველად მოთავე უნდა ყოფილიყო. თუმცა ამხანაგები მის დაღვრემილ სახესა და მკვახე სიტყვას გაურბოდნენ, მაგრამ საზოგადო საქმის დაწყება კი უიმისოდ არა ხერხდებოდა. „ყველა ამხანაგებში, — ახასიათებს ავტორი, — ეს ირიცხებოდა შეუსყიდელ მართლის მთქმელად და სწორე მოსამართლეთ“. რაც დრო მიდიოდა, სვიმონის მსოფლმხედველობა და ცოდნა ღრმავდებოდა. ის აღარ სჯერდებოდა ლექციებზე ცარიელ სიტყვას. პროფესორისაგან თხოულობდა ახსნა-განმარტებას, დასაბუთებას. ამ ნიადაგზე იქაც მოხდა გაუგებრობა თუ უსიამოვნება, და სვიმონი დაითხოვეს სასწავლებლიდან. ეს მომენტი ჩვეულებრივი იყო რუსეთის „მონანიე აზნაურთა“ ცხოვრებაში.

სვიმონს საზღვარგარეთ უნდოდა წასვლა. მამას სთხოვა დახმარება,

---

[44] ანტ. ფ ო რ ცე ლ ა ძ ე, სამის თავგადასავალი, გვ. 15.

მაგრამ მამამ საპასუხოდ შემდეგი მისწერა: „თუ შენ კარგი ყოფილიყავ, შენ მანდედან არ დაგითხოვდენო“.

სვიმონი იძულებულია სახლში დაბრუნდეს. აქ სამსახურში არ შედის, ის წინააღმდეგია ბიუროკრატიულ დაწესებულებებში მუშაობისა. მან სოფლად ოთხი წელიწადი დაჰყო. „ის, — გადმოგვცემს მწერალი, — ხშირად დადიოდა გლეხკაცების სახლებში და უგდებდა იმათ ცხოვრებას ყურს; დასდევდა საღამომდის სამუშაოზედ, ღამე ხარშიტყეში, სარწყავში და სხვა. უგდებდა მიწებს ყურსა, დაჰქონდა მინდორში რაღაც წიგნები, სჩხრეკავდა სხვადასხვა მიწებსა, უგდებდა ყურსა რა მიწაში რა მოსავალი მოდიოდა, რა მიწას რა მოვლა უხდებოდა... ყოველ კლდეს, ყოველ ხეს სინჯავდა და სწერდა რა ალაგას როგორი მცენარე იზრდებოდა, რა ალაგას რა უფრო ხარობს, რა ალაგას რა მოუხდება და ხშირად თითო კვირაობით არ მიდიოდა სახლში“[45].

მეტად მკრთალი სახეა სვიმონისა. რა უნდა მას ან სოფელში, ან გლეხებში, ან რას დაეძებს მინდორ-ველებში, არა ჩანს. ეტყობა ავტორსაც ეს ხასიათი არა აქვს ჯერ გაგებული („სამის თავგადასავალი“ დაწერილია 1866 წელს); „მონანიე აზნაური“ მასობრივად გამოდის რუსეთშიაც 70-იან წლებში. ჩანს, ავტორის ყურადღება სოფლის მცხოვრებთა და მისი ბუნების გარშემოა დატრიალებული. სოფლის მოქმედება, მისი აყვავება აინტერესებს მწერალს. მაგრამ სვიმონს ავტორი არა სტოვებს სოფლად, გასაქანს ვერ აძლევს. მისთვისაც ბუნდოვანია სვიმონის ასპარეზი. სვიმონი მიდის ქალაქში იმ იმედით, რომ იქნება როგორმე მოახერხოს საზღვარგარეთ წასვლა.

საზღვარგარეთი იზიდავს ანტ. ფურცელაძის მეორე მოთხრობის „ვაი მართალთა“ გმირს მიხეილ ზახარიჩსაც, განსაკუთრებით საფრანგეთი, როგორც თავისუფალი ქვეყნის სიმბოლო. ასეთივე ბუნდოვანი, გაურკვეველია სახე მიხეილ ზახარიჩისაც. რიტორიკული ხასიათისაა მიხეილის საუბარი ლიზასთან ბოროტების, ავკაცობის წინააღმდეგ. „აბა გახშირდნენ საზოგადო აზრისა და ერთხელ დადებული ჩვეულების გადამდგომნი, შეხედონ ამ აზრისა და ჩვეულების ავსა და კარგს მხარეს გონივრულად, ჩაუდგნენ ამათ შინჯვაში, და ნახავთ, როგორ წაიწევს და წავა წინ კაცთა კაცური ცხოვრება; ჰნახავთ... რა ერთი საღაღადო და სათაყვანო გარემოებანი დაემხობიან და მოიდრეკენ სიმართლის წინ მუხლსა... მართალია; „ვაი მართალთაო!“ მართალია, უბედურნი არიან თავის სიცოცხლეში, ვინც პირველი შეჰმართავს ხელს საზოგადო კერპს და დამკვიდრებულს წესებს, მაგრამ ისინი არიან მართალნი სოფლისა, როგორც ამბობს სახარება“...[46]

---

[45] ანტ. ფ ურ ც ე ლ ა ძ ე, სამის თავგადასავალი, გვ. 26—27.

[46] მ ი ს ი ვ ე, ვაი მართალთა!, გვ. 72.

მიხეილ ზახარიჩი მკვერმეტყველურად უქადაგებს ლიზას—თავისი საკუთარი შრომითა და ხელით იცხოვროს. ლიზას ამის ქადაგება აღარა სჭირია, მან უკვე გადალახა პრივილეგიური კლასის სიამპარტავნე, შრომაც დაიწყო და ძველ ყოფას, ძველ მსოფლმხედველობასაც ბრძოლა გამოუცხადა, თუმცა სუსტი მომზადებით. თვითონ მიხეილი განაგრძობს თავისი მშობლების ხარჯზე ცხოვრებას, ის მათ ყოფა-ცხოვრებას აკრიტიკებს, მათთან ერთად არსებობა შეუძლებლად მიაჩნია. ავტორს მიხეილისთვისაც ვერ მოუნახავს მოღვაწეობის ასპარეზი, მისი მკვერმეტყველობა მარტო ლიზასათვის იკარგება. ამ საუბრებში ამჟღავნებს ანტ. ფურცელაძე თავისი გმირის იდეურ მისწრაფებებს (ალბათ, თავისასაც). მიხეილი ლიზას და თავის დას ნატოს უკითხავს წიგნებს, უხსნის ისტორიას და განსაკუთრებით საფრანგეთის ახალ ისტორიაზე ელაპარაკება პათეტიკური ტონით. საფრანგეთი ჩვენს ავტორსაც იზიდავს, იგი მისთვისაც თავისუფალი ქვეყნის სიმბოლო იყო. მიხეილმა ლიზასა და ნატოს „უჩვენა ის აზრი და ლტოლვილებანი, რომელნიც დაჰბადა და ვააღვიძა ამ ხალხის მოძრაობამ, როდესაც ყველას მიეცა ნება თავისუფლად ამოსუნთქვისა და თავის აზრების წარმოთქმისა. უჩვენა, როგორც ამ ხალხის მოწინავე პირნი და მთელი ევროპის სახელმწიფოთა უფლების მქონებელი უკანასკნელს ძალას ჰხმარობდნენ, რომ დაემხოთ საფრანგეთის მოძრაობა და ძირშივე ამოეთხარათ თავის ქვეყანაშიაც შეპარებული ფრანციცული აზრები. მარტო ცოცხალმა და შეუდრეკელმა ფრანციის ხალხმა აღმართა დროშა სიმართლისათვის... მათი აღძრული სწავლა და საქმენი გავიდნენ ხალხში... და დღეს იქნება, თუ ხვალ ხალხნი მოიყვანენ ამ აზრით აღსრულებაში“[47].

ეს მხოლოდ სიტყვებია, ლაპარაკი მაღალ იდეებზე, მისწრაფებებზე. საქმე კი არა ჩანს. ავტორსაც ეს იდეები თავში აქვს შეკრებილი, გავლენებით გამოწვეული და არა უშუალო ცხოვრებიდან ამოკრეფილი. მას ეს იდეები მოქმედებაში ვერ გადაუტანია და არც იცის, როგორ გადაიტანოს.

მიხეილი, სვიმონი, როგორც სხვა მოთხრობის „ჩვენებური საქმის ბოლოს“-ს მოქმედი პირი ვასილ ნაწრეტაშვილი, ნაწილობრივ მაინც მოგვაგონებენ რუსეთის სინამდვილეში XIX საუკუნის 20—40 წლებში განვითარებულს უნიადაგო, ზედმეტ ადამიანებს („лишние люди“). ავტორი თითქოს ალექსანდრე გერცენის გავლენასაც უნდა განიცდიდეს, განსაკუთრებით მისი რომანის „Кто виноват?“-ისა, აგრეთვე ი. ტურგენევის რომანისა „Рудин“.

ვასილ ნაწრეტაშვილიც განათლებული თავადია. მან იგრძნო ახალი

---

[47] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, [ვაი მართალთა], გვ. 85—86.

ცხოვრების მოახლოება, მისი საჭიროება, აზრიანობა. გაიმსჭვალა მისი იდეებით. უნივერსიტეტიდან ბრუნდება თავის სოფელში, აქ შეხვდება მას მეზობელი, ნათესავი, ახალგაზრდა ნიჭიერი ქალი კატო. ესეც მასთან საუბარში გამოიჩენს თავის ნიჭს, მომზადებას, მორალურ სიმაღლეს.

კატოსთან საუბარში ვასილი ამჟღავნებს თავის იდეებს, რომლებიც ხალხოსნურს უფრო უახლოვდება, ვიდრე სვიმონისა და მიხეილისა. „რაკი დავასრულებთ სწავლასა, — ეუბნება ვასილი კატოს, — დავბრუნდებით ჩვენს დაჩაგრულს ქვეყანაში. გვექნება სწავლის მხრივ საკმაო მომზადება, და ვინ იცის რამდენი საქმე გვექნება წინა! რამდენი კარგი საქმე შეგვეძლება გავაკეთოთ ამ ჩვენს ჯერეთ თავშეუდებელს და ხელშეუხებელს ქვეყანაში!.. სასწავლებლები, ამხანაგობები, ბანკები სოფლებისათვის! ეხლა რომ საცოდავათ მურტლები და ტირტლები დაიარებიან ე საცოდავი გლეხის ბიჭები, იღლიაში სახრე ამოჩრილები და სიცივისაგან წელში წაკუზულები, შეგვეძლება სწავლით და სხვადასხვა დაწყობილებებით ამათი ამგვარი, არა კაცური ცხოვრების შეცვლა. მაშინ უყურე, როგორ ეხლანდელი წუმპეების მაგივრად ჩვენს კარმიდამოზე რა სუფთა მოიდნები იქნებიან; ჭვარტლიანი სადგომების მაგივრათ, სადაც პირუტყვნი და კაცნი თითქმის ერთს საწოლზედა წვანან, იქნებიან სუფთად გამოწყობილნი, დიდ ფანჯრებიანი სუფთა სახლები თავისი მშვენიერის ბაღჩებით... ამას ყველას უნდა მხოლოდ მხნე და თავგამოდებული გულის შემატკივარი მომზადებული კაცები“[48].

უდავოდ, ხალხოსნების გავლენა მოჩანს ანტ. ფურცელაძეზე („ჩვენებური საქმის ბოლო“ დაწერილია 1873 წელს, სწორედ რუსეთში ხალხოსნური მოღვაწეობის უძლიერესი განვითარების ხანაში). შესაძლებელია, ანტ. ფურცელაძე ამ ნაწარმოებით ეკატერინე გაბაშვილის ერთგვარ წინამორბედად მივიჩნიოთ (რასაკვირველია, იდეურობის მხრით. ეკ. გაბაშვილის „გამარჯვებული ნიკოს“ ეპილოგი წააგავს ანტონის ხსენებულ ნაწარმოებს იდეურად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეკ. გაბაშვილის „გამარჯვებულ ნიკოში“ ხალხოსნური იდეები უფრო გარკვევითაა გადაშლილი).

ვასილ ნაწრეტაშვილიც პრაქტიკულ ცხოვრებაში რაღაც გამოუსადეგარი კაცია, როგორც სხვისათვის, ისე თავისთვისაც. ანტ. ფურცელაძის აღნიშნული სამივე გმირი უკვალოდ იღუპება. ცხოვრების ასპარეზზე ისინი მეტად ადვილად იმსხვრევიან. ამის მიზეზი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მწერლის გაურკვევლობაა.

მიხეილს როცა ავტორი აქ ვერ გამოუნახავს მოქმედების ასპარეზს ცოდნისა და ენერგიის გამოყენებისათვის, საზღვარგარეო, საფრან-

[48] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე. ჩვენებური საქმის ბოლო, გვ. 44—45.

გეთში გაგზავნის. იქ უნდა მიხეილს გაიღრმაოს ცოდნა, ისწავლოს კიდევ ახალი. და რაღაც გაუგებრობით, ყოველ შემთხვევაში, მკითხველისათვის სრულიად მოულოდნელად, მიხეილი საფრანგეთში ბარიკადებზე აღმოჩნდება.

„ამ დროს, — აგვიწერს ავტორი, — ერთი ბარიკადიდამ, რომელიც იყო მუშების კვარტალში გამართული, გამოვიდა ერთი ახალგაზრდა, შავ თვალ წარბა, ცოცხალი სახის, შუა-ტანის მყოფი ყმაწვილი... ის მივარდა საჩქაროთ იმ ადგილას, სადაც უხვევდნენ დაჭრილებს დაკოდილს ადგილებსა. იმას საჩქაროთ შეუხვიეს ხელი. ის გაბრუნდა ისევ წასასვლელად... ის იყო მიშო... მიშო გადაერია და დაერჭო ბაირახტართან. ბაირაღი ეჭირა ერთს ახალგაზრდა ქალს, რომელსაც დაჭრილობისაგან ჩამოსდიოდა მხრებზე თქრიალით სისხლი. ის არ უშვებდა ბაირაღს ხელიდამ... — გაუმარჯოს კომუნას!! შესძახა ამ ქალმა და გაუვარდა ბაირაღი ხელიდამ. იმას გაუარა ტყვიამ შიგ გულში. მიშო დასწვდა ბაირაღს... აიტაცა ბაირაღი და წადგა კიდევ წინ... გავარდა თითქმის ზედ ბარიკადებზე შემომდგარის ვერსალის ჯარის მთელი ზვოდის ოოფები და მთელი წინ მდგომი კომუნარები დაეცნენ... მიშოს გაჰვარდა ხელიდან ბაირაღი“[49].

რატომ? რისთვის? რა აკავშირებდა მიშოს პარიზის კომუნარებთან? აუხსნელ საიდუმლოდ რჩება მკითხველისათვის. მიხეილის სახე ცოტათი მოგვაგონებს ი. ტურგენევის რომანის „Рудин“-ის გმირს რუდინს. ტურგენევის თხზულებაში რუდინის საფრანგეთში წასვლა მოულოდნელი არ არის, რადგან რუდინის ხასიათის გაშლა ბუნებრივად მიდის მისი საფრანგეთის რევოლუციაში მონაწილეობამდე და ბარიკადებზე სიკვდილამდე.

ასეთივე უიალქნოა ვასილ ნაწრეტაშვილი, საღი გონებისა, კარგი ცოდნისა და მაღალი მორალის მქონე ახალგაზრდა, მაგრამ ისიც ცხოვრებაში უნიადაგო. ის სიტყვის კაცია და არა საქმისა. ვასილმა თავის საუბრებით აუმღვრია გული კატოს, გაუღვიძა მას ახალი ცხოვრების დიდი ნდომა. კატო მთელი გატაცებით გამზადებული დგას იმ ქვეყნის კარებში, საითკენაც ასეთი ჯადოსნური გავლენით იგი მიჰყავდა ვასილ ნაწრეტაშვილს, მაგრამ ვასილი ცხოვრების პირველსავე ნაბიჯზე უსუსური, უძლური გამოდგა. ის კატოსთან წერილის მოწერასაც ისე ვერ ახერხებს, რომ მისი მშობლები არ ჩაერიონ მათ საქმეში. მისმა შეხვედრამ კატოსთან, ეს უკანასკნელი იმსხვერპლა. ვასილმა ვერც კი მოახერხა ჩამოსულიყო საყვარელ ადამიანთან, გაეგო საქმის ვითარება. ვასილი ცხოვრებას არ იცნობს, მას სათანადოდ ალღოს ვერ უღებს, ამიტომაა ის უნიადაგო, უხერხემლო.

ვასილის უხერხემლობა შემდეგშიაც გამოჩნდება. ის შეირთავს

[49] ანტ. ფ უ რ ცე ლ ა ძ ე. ვეი მართალთა!, გვ. 117—120.

ერთს რუსის ქალს. ვეღარ გასძლებს რუსეთში. ჩამოვა თბილისში. იქ მსახურობს. სოფელში დაბრუნებისას მოინდომებს კატოს ნახვასაც, მაგრამ დამახინჯებული, გაუბედურებული კატოს დანახვა მას წარსულს მოუწამლავს და უმალ წამოვა იქიდან, აღარც კი ინახულებს მას... ესეც ხომ ჩვეულებრივი გაქცევაა სინამდვილისაგან, რაც ასე ახასიათებდა ზედმეტ ადამიანებს!

მაგრამ რა ქნა ვასილმა? გააკეთა რამე თავისი დიდი ნიჭითა და ცოდნით?

ამის საპასუხოდ მწერალი შემდეგ ცნობას იძლევა: „ვასილი დატრიალდა ქალაქში. იმის სახლის კარი ღია იყო თავის ახალგაზრდა ამხანაგებისათვის. გარდა ამისა, ვასილის სახლში ნიადაგ ცხარე ბაასი და მუსაიფი იყო სხვადასხვა დაწინაურებული აზრების მოძრაობაზე, რომელიც კარგის ვახშმით ან ქაღალდით თავდებოდა. „Это все слова!" იძახოდნენ თვითონვე ეს ახალგაზრდები: „Нам надо дело. Дело давайте, дело". „დელოს მთხოვნელები, როდესაც საქმე მიდგებოდა „დელოზედ", რჩეობდნენ ისევ ლაპარაკს, რადგან ლაპარაკი უფრო ადვილიცაა და სასიამოვნოც".

ავტორი ვასილ ნაწრეტაშვილს და მის წრეს, ამ მოლაპარაკე ხალხს, უარყოფითად ეკიდება. ავტორში მოჩანს რუსეთის 60-იანი წლების გავლენა. 60-იან წლებში რუსეთის ინტელიგენციამ, განსაკუთრებით „რაზნოჩინეცის" წრიდამ რომ გამოვიდა, ბრძოლა გამოუცხადა სიტყვას და სიტყვის ადამიანებს. თავისი მხრით წამოაყენა საქმისა და საქმის ადამიანების აუცილებლობა:

На труд и битву я готов,
Лишь бы начать в союзе нашем
Живое дело вместо слов!..

ამბობს 60-იანი წლების მოწინავე საზოგადოების განწყობილების გამომხატველი ნ. დობროლუბოვი.

ვასილი ოჯახში უხეირო, უნიადაგო გამოდგა. მისი ცოლიც მოლაპარაკეა. ვაჭრის ქალი ცხოვრებას პრაქტიკულად უყურებს. ამიტომ მას „საქმით ყველა დედაკაცების ცნობა და მიყოლ-მოყოლა და მდიდრული ცხოვრება ერჩივნა". ასეთმა ცხოვრებამ ვასილი ვალებში ჩააგდო. ამასთან ერთად ვასილი, „რომელიც—მწერლის დაუფარავი ირონიით, —თავის შეწირვას უპირებდა თავის სამშობლოს, ახლა ქართველებსაც სრულიად ძვირად ხვდებოდა: ამ თავდადებულ ქართველს შვილებიც ისე ეზრდებოდნენ, რომ ქართული ინჩიც აღარ იცოდნენ და საქართველოს ხალხი იმათთვის იყო ისეთივე უცხო, როგორც სპარსელები და იაპონელები. ცოლს ამისას არ მოსწონდა ქართველები"[50].

[50] ანტ. ფ უ რ ცე ლ ა ძ ე, ჩვენებური საქმის ბოლო, გვ. 94.

ასე ფუჭად, უშინაარსოდ მიიზლაზნებოდა ვასილის, დასაწყისშივე დაჭიანებული, ცხოვრება. საქმეს ეძებდა და საქმე მას ცხოვრების ველზე ვერ ეპოვა.

შედარებით მიხეილსა და ვასილთან სვიმონი უფრო გარკვეულიცაა და მტკიცეც. იმასა აქვს უნარი საქმე მონახოს, გააკეთოს, ცხოვრების უკეღმართობასაც ებრძოლოს.

სვიმონი გადმოვიდა თბილისში. მართალია მამას დაჰპირდა სამსახურში შესვლას, მაგრამ სამსახურში არ უნდა შევიდეს. უარყოფითად უყურებს სამსახურს დაწესებულებაში. ის საზღვარგარეთ ემზადებოდა წასასვლელად, თუ მამა ფულს მისცემდა. დაიჭირა ქალაქში ორი ოთახი. ჰყავს მოსამსახურე გოგია. სწავლობს, ბევრს კითხულობს. „ენის გასაქარვებლად" მოსიარულე ყმაწვილებს სვიმონმა მალე ამოაკვეთინა ფეხი თავის სახლიდან. ახლა მასთან მეზობელი საწყალი დედაკაცი თუ მოვიდოდა „ქაღალდის გასაკეთებლად ან სხვა რამე საჭირო საქმისათვის". დანარჩენ დროს ის უჯდა „სასარგებლო წიგნებს და მუყაითად ჩაჰკირკიტებდა". ვარგისაშვილის შეკითხვაზე, რატომ არ დადის სვიმონი თავის ნათესავებთან — დიდ კაცებთან, რადგანაც ისინი, ყოველ შემთხვევაში, გამოსადეგნი არიან, სვიმონი თავისებურად მკვახედ უპასუხებს: „მერწმუნე, თუ სადმე გამოუსადეგარი ვინმე არიან, გამოუსადეგარნი მაგგვარი ხალხნი არიან, თუ სამსახური უნდა კაცსა და მაგათი საკბილოა, მაშინ კი, და სხვაფრივ კი ღმერთმა შეინახოს... მაგათთვის საზოგადო საქმე ღმერთს არ დაუბადია"[51].

სვიმონ ბადლაძის მოღვაწეობას, უნარს, მორალურს სიმაღლესა და ძალას ავტორი ამეღავნებს მის შემდეგ მოქმედებაში.

სვიმონი შეხვდება მეძავ ქალს მაშას, რომელიც დედინაცვალის ზეგავლენით მამას ძალად გაეყიდა. მაშას, მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, შერჩენილი ჰქონდა თავმოყვარეობა და სურვილი ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევისა. ზიზღითა და შხამმორეული ბოღმით უყურებდა ის უსამართლო საზოგადოებრივ ცხოვრებას.

მაშა შეხვდა ჯერ სვიმონის ამხანაგს დავით დესპანიძეს, რომელსაც პირველ შეყრისთანავე მაშასადმი რაღაც გამოურკვეველი თანაგრძნობა აღეძრა. მკითხველზე გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს მაშას მოთხრობა თავისი მძიმე ცხოვრების შესახებ; განსაკუთრებით ამაღელვებელია ის პირობები, რის გამოც მაშა ამგვარ გზაზე დადგა. მაშას ცხოვრების მოუწესრიგებლობისადმი სიძულვილში ავტორის აღშფოთებული ხმაც ისმის. „გარწმუნებ, — ეუბნება მაშა დავით დესპანიძეს,—რომ ამ ყოფაში ჩავარდნილი ქალი ძვირია უმიზეზოთა... რომელსაც გინდა ჰკითხე ამ ჩვენს სახლში მყოფ ქალსა და გაიგონებთ

---

[51] ანტ. ფ ურ ცე ლ ა ძ ე. სამის თავგადასავალი, გვ. 11.

იმისთანა სამწუხარო თავს გადასავლებს, რომელნიც ამაზედ ნაკლები სამწუხარონი არ არიან... მაგრამ ბევრნი მალე ეჩვევიან ამ ცხოვრებასა... მე კი... მგონია არც როდის... და ნურცა ჰქმნას ღმერთმა... როგორც იქნება და როდესაც იქნება გადავიხდი ჩემს ვალს... და მასუკან... როგორც იქნება მოვინანიებ ჩემს ცოდოსა"[52]

ასეთ შეხედულებას ცხოვრებაზე ავტორიც იზიარებს. ცხოვრება მოუწესრიგებელია, ისეა მოწყობილი, რომ თუ კაცს ერთხელ ფეხი გადაუბრუნდა დაქანებულ, მოლიპულ ბილიკზე, შესაძლებლობა ესპობა პატიოსნებისკენ დაბრუნებისა. მეტად მეტყველია ბოღმისა და აღშფოთების გამომხატველი ის დიალოგი, რომელიც მაშასა და დავითს შორის გაიმართება, როცა უკანასკნელი ურჩევს მაშას უჩივლოს სახლის პატრონ დედაკაცს გამოძალვისათვის.

სვიმონი, როდესაც დარწმუნდება, რომ მაშა უდანაშაულოა, რომ ის ძალმომრეობით დამდგარა ასეთს გზაზე, რომ მაშას სწყურია ნამდვილი ცხოვრება, გადაიხდის მის ვალს, გაათავისუფლებს, წამოიყვანს თავისთან და მერე ცოლადაც შეირთავს.

აქაც ეპოქის, 60-იანი წლების გავლენაა. ხელი გაუწოდე დამცირებულს, შეურაცხყოფილს, ლაფიდან ამოიყვანე, გვერდში ამოიყენე, კაცად აქციე, ნამდვილ გზაზე დააყენე. ვფიქრობთ, ანტ. ფურცელაძეს ნ. ჩერნიშევსკის რომანის „Что делать?"-ის გავლენა უნდა ემჩნეოდეს.

მაგრამ სვიმონსაც და მაშასაც ცხოვრებაში აუარებელი დაბრკოლება შეხვდებათ. ჯერ სვიმონის მამა გადაეღობება მათ სურვილს, არ მისცემს ჯვრის დაწერის ნებას და შემდეგ დაწყებული ეკლესიის უფროსიდან და გუბერნატორიდან და გათავებული „დესიატნიკით", ყველა მათ დაბრკოლებას უქმნის პატიოსან, შეგნებულ ცხოვრებაში. ყველა შეურაცხყოფილად თვლის თავს, რომ სვიმონ ბადლაძემ მეძავი ქალი ცოლად შეირთო. ასეთი „მეზალანსი" მეტად ეწოთირება განსაკუთრებით „ბრწყინვალე საზოგადოებას."

მიუხედავად ასეთი ამხედრებისა, სვიმონი და მაშა დაიწყებენ ერთად ცხოვრებას. ბედნიერია მაშა ამ ახალი ცხოვრებით, ხარბად ეწაფება ის მას. მაშა ნიჭიერი, გონიერი, პატიოსანი ქალია; ის ერთგულად და შნოიანად ეკიდება ოჯახს. ამასთან ერთად ცდილობს იკითხოს სერიოზული წიგნები, შეისწავლოს ენები. რა დიდ ტაქტს, სიყვარულს, მადლიერების გრძნობას იჩენს მაშა სვიმონისადმი! როგორი ამტანი, ანგარიშის გამწევია! მაგრამ საზოგადოება თავისი ყალბი ეთიკით საშუალებას არ აძლევს მათ იცხოვრონ სინდისიერად, პატიოსანი შრომით.

მამა მოუსპობს ცხოვრების საშუალებას სვიმონს. საჭიროა საარსებო წყაროს გამონახვა. სხვა გზა არაა, სამსახურში უნდა შევიდეს და

---

[52] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე. სამის თაეგადასავალი, გვ. 48.

სვიმონიც გადაწყვეტს მის დაწყებას. მაგრამ სადაც არ მიდის, ყველგან უარს ეუბნებიან—ხან ხსნიან მით, რომ თავისუფალი ადგილი არა აქვთ და ხანაც პირდაპირ ცინიკურად უპასუხებენ: „თქვენთვის ადგილი არ არის“.[53]

სვიმონი იძულებულია მივიდეს იმ ნათესავებთან—დიდკაცებთან, რომელნიც მას ეხვეწებოდნენ სამსახურში შესვლას და კარგ ადგილსაც ჰპირდებოდნენ, მაგრამ ახლა კი პირდაპირ ეუბნებიან ხოლმე: „დიახ, ჭეშმარიტია. მე გაძლევდით თქვენ... ადგილს მაშინ, როდესაც გიცნობდით რიგიან კაცად და სანდო კაცი მეგონეთ, მაგრამ ეხლა, სამსახურშიაც რომ იყვეთ ჩემს ხელში, დაგითხოვდით“[54].

თითქოს მთელმა საზოგადოებამ: ნათესავმა თუ უცხომ, ნაცნობმა თუ უცნობმა პირი შეკრა ხელი შეუშალონ მაშას დაუბრუნდეს პატიოსან, შინაარსიან, კმაყოფილ ცხოვრებას. სვიმონმა მოინდომა პანსიონის გახსნა, მოსწავლეების მიღება, მათი მომზადება, მაგრამ აქაც საზოგადოებამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. არც ერთი ბავშვი არ გააჭაჭანეს. სვიმონმა ვერც კერძო გაკვეთილები იშოვნა.

მათ მდგომარეობაში მხოლოდ მათი მოსამსახურე პოლკა შევიდა. პოლკამ თავისი უშუალობით დააფასა ისინი, გაიგო მათი ცხოვრების არსი, დაუზოგველად დაუწყო მათ დახმარება. პოლკა არ ტოვებდა მაშას, ხშირად დადიოდა. შავს მუშაობას ის ასრულებდა.

დამაჯერებელი ტონითაა გაშლილი პოლკას დახმარება ამ ახალი ოჯახისადმი. პოლკა თავის მწირი ჯამაგირიდან აძლევს მათ დახმარებას. არც სვიმონს და არც მაშას არ აძლევენ არავითარ სამუშაოს. პოლკა თავის სახელზე იღებს სამუშაოს, მოაქვს მაშასთან, რასაც უკანასკნელიც სიამოვნებითა და ხალისით აკეთებს.

ოჯახმა პატარა სული მოიდგა პოლკასაგან ნაშოვნი სამუშაოთი. „მაშა არ ჯერდებოდა მარტო ხელსაქმესა: როდესაც მოიღალებოდა ხელსაქმისაგან, ის ჩაუჯდებოდა ხოლმე წიგნებსა და რო მოიღალებოდა წიგნებიდამა, ჩაუჯდებოდა ხელსაქმესა. ამასთან ის ასწრებდა სახლის დალაგებასაცა და რომ შესულიყავი იმათ სახლში, გეგონებოდა ამ სახლს ერთი სამი მარჯვე მსახური მაინც ადგიაო. ამგვარს ჭკუისა და სხეულის ვარჯიშობაში მაშა თანდათან უფრო გამხნევდა... საკერავს უჯდა და ღიღინებდა დაბლა ლამაზ კილოზე სიმღერასა, და თუ წიგნს კითხულობდა ხმამაღლა სვიმონთან ერთათა და თან სხვადასხვა წიგნების აზრების სჯასა და ბაასში შედიოდა თავის საყვარელ კაცთანა. ან არა და მაშა აკეთებდა საქმესა და სვიმონი კითხულობდა წიგნსა. ამგვარად გადიოდა დრო“[55].

---

[53] ანტ. ფ უ რ ცე ლ ა,ძ ე. სამის თავგადასავალი, გვ. 48—49.
[54] ი ქ ვ ე, გვ. 64.
[55] ი ქ ვ ე, გვ. 72.

მკითხველი უდავოდ. გრძნობს თუ როგორ მიისწრაფის მწერალი ახალი ცხოვრებისკენ, როგორ ეძებს ახალი ყოფის, ახალი ოჯახის საფუძვლებს. ჩერნიშევსკის რომანი „Что делать?“ მწერალზე ამ ნაწილშიც, რასაკვირველია, გავლენას ახდენს.

ამ ახალი ოჯახის მდგომარეობა თანდათან გართულდა. შვილიც მიეცათ. ყველამ, მშობლებმაც კი, სვიმონი გაწირა. არავითარ დახმარებას, გარდა მოსამსახურე პოლკასი, არავინ არ აძლევს.

პოლკა არაჩვეულებრივ კაცთმოყვარეობასა და ადამიანობას იჩენს. ისევე ზრუნავს ის მათთვის, როგორც თავის თავისთვის. ამათთვის საკერავს, თუ კერძო გაკვეთილებს, გაფაციცებით დაეძებს.

ამ ხანებში თბილისში გადმოჰყავთ დიდი მოხელე ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ კუსტნიცკი, რომელიც თავისი ორი შვილისათვის ეძებს ხეირიან მასწავლებელს. პოლკამ ეს კუსტნიცკის მოსამსახურე ქალის შემწეობით გაიგო და მოახერხა კუსტნიცკის სვიმონი აეყვანა. კუსტნიცკის სვიმონი მოეწონა, დაუნიშნა კვირაში ექვსი გაკვეთილი, თითო ორ მანეთად.

ამ გარემოებამ სვიმონისა და მაშას საქმე გამოაკეთა. დაიწყეს ამ ახალმა ადამიანებმა დამშვიდებული ცხოვრება, თვითგანვითარება, შეგნებულად ახალი ყოფის შექმნა.

გარშემორტყმული მეშჩანური საზოგადოება გაკვირვებული დარჩა, რომ ასეთმა დიდმა პირმა სვიმონი სახლში შეუშვა შვილების სწავლა-აღზრდა ანდო; მაგრამ საზოგადოების გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც კუსტნიცკიმ, გაიგო რა მაშას ვითარება, ცოლით სადარბაზოდ მივიდა მათთან სახლში, დიდი ალერსით შეხვდნენ და სთხოვეს მათთან ეელოთ. დაიწყო ურთიერთობა მათ შორის. კუსტნიცკიმ სვიმონს დაწესებულებაში მალე კარგი, შესაფერი ადგილი მისცა, საზოგადოებამაც შეიცვალა დამოკიდებულება გუშინ მისგან ათვალისწუნებული ოჯახისადმი. თუ გუშინ მათ დანახვას ვერ გააგონებდით, დღეს ბევრი ცდილობს მათ დაახლოებას, დაპატიჟებაც კი დაუწყეს მათ.

მაგრამ საზოგადოების გამოფხიზლება მხრჩოლავი ტრადიციებისაგან არ გამოდგა ხანგრძლივი. კუსტნიცკის პატიოსანი მოქმედება, მისი სამსახურისადმი დამოკიდებულება მუქთახორა, დიდი ჩამომავლობის მოხელეთათვის, რომელთაც ის მკაცრად მოეკიდა, უჩვევი და შეურაცხმყოფელი იყო. დაუწყეს მას (კუსტნიცკის) ინტრიგა, დაბეზღება. კუსტნიცკიმ ამჯობინა გაცლა.

დარჩა სვიმონი ისევ ამ საზოგადოების ხელში. კვლავ წამოყო თავი საზოგადოების მისდამი ძველმა დამოკიდებულებამ, კვლავ ყველამ ზურგი შეაქცია, ყველამ მოინდომა ამ „თავხედი ახალი ადამიანების“

შეურაცხყოფა, შეგინება. სვიმონი და მაშა განაგრძობენ თავიანთ გზას. არავითარ ანგარიშს არ უწევენ საზოგადოებრივ აზრს, ხოლო საუბრის დროს საზოგადოებას სვიმონი ვალად არა რჩება. ამან გააბრაზა საზოგადოება.

მოინდომეს ამ „მეტიჩრების“ სასტიკი დასჯა. გაიტაცეს ორივე ცოლქმარი. სვიმონი მოჰკლეს, ხოლო მაშას საშინლად სცემეს. მხოლოდ პოლკასი და კეთილი დედაბერი დიასახლისის დახმარებამ დროებით გადაარჩინა სიკვდილს მაშაცა და მისი შვილი გიორგიც. მაგრამ მაშას ცხოვრება დაუსრულებელი წამება შეიქმნა, სავსე ცილისწამებით, შეურაცხყოფით.

მაშას არავინ არც პასპორტს აძლევს, არც სამსახურში იღებს, არც სამუშაოს აძლევს. დასნეულებულ მაშასა და მის პატარა შვილს გიორგის საზოგადოება გულგრილად, ცინიკურად გასწირავს. ბავშვი დიასახლისს ხელზე მოუკვდება, მაშა დასნეულებული სადღაც საავადმყოფოშია. საზოგადოება ისეთი სასტიკი და გულქვაა, რომ არამც თუ სვიმონს, მაშასა და მის პაწია ბავშვს სდევნის, ცხოვრებისა და სიცოცხლის საშუალებას არ აძლევს, არამედ ყველა იმათაც, ვინც ამ „უცნაურ“ ხალხს თანაგრძნობით ეპყრობა.

მოთხრობის ეს ადგილიც, მართალია, არ არის სათანადო მხატვრულად დახვეწილი, მაგრამ მწერლის აღშფოთება და გაბედული ამხედრება საზოგადოების „მეშჩანობის“, უსამართლობის, ცინიზმის, გარეგნული ეთიკეტით დაფარული გახრწნილობის წინააღმდეგ, უდავოდ პროგრესული, გაბედული და იმ ეპოქისათვის დროული მოვლენაა.

საკითხი ქალისა, მისი პატივისცემისა საკმარისად მძლავრად იყო წამოყენებული რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში 60-იანი წლებიდან. ახალი იდეებით გატაცებული მოწინავე ნაწილი, რომელიც მომავალი, თავისუფალი, საღი, თანასწორუფლებიანი ცხოვრების მაძიებლად გამოვიდა ასპარეზზე, ზნეობრივ ვალდებულებას გრძნობდა ქალის წინაშე. ცხოვრების პირობებია, რომ ასეთს ბორკილს ადებს ხალხს. ამახინჯებს მის ყოფას, გასაქანს არ აძლევს, რომ დაეწაფოს შინაარსიან ცხოვრებას. ძალიანაც რომ სურდეს, ვერ შესძლებს ნამდვილი გზით სიარულს. ცხოვრება ისე ბინძურადაა მოწყობილი, რომ ნამდვილ მოაზროვნე პატიოსან ქალსაც კი, თუ ის მოინდომებს მიღებული ეთიკის დარღვევას, შებღალავს, წაბილწავს. ასე უყურებს ამ საკითხს ანტ. ფურცელაძეც.

მწერლის შეხედულებით, ქალის აღზრდა ოჯახშიც და სკოლაშიც რაღაც უბადრუკია, უშინაარსო („ვაი მართალთა“ გვ. 82—83—ლიზას აღზრდა; ასეთივეა კატოს აღზრდაც—„ჩვენებური საქმის ბოლო“, გვ. 32—33). ყველა ამ დეტალშიც კი მოჩანს მწერალზე ნ. გ. ჩერნიშევსკის ხსენებული რომანის გავლენა.

უნდა ითქვას, რომ ანტ. ფურცელაძეზე რუსეთის რადიკალური მოაზროვნე საზოგადოებისა და კერძოდ ჩერნიშევსკის დიდი გავლენა არა მარტო ქალის საკითხის გადაჭრაში მეღავნდება, არამედ იმ რადიკალურ რევოლუციურ განწყობილებაშიც, რომელსაც ანტ. ფურცელაძე ააშკარავებდა ცხოვრებაშიც და ხშირად მწერლობაშიც (რასაკვირველია, ამასაც მწერლისათვის უფრო თეორიაში ჰქონდა ძალა და მნიშვნელობა, ვიდრე პრაქტიკაში, აზროვნებაში უფრო იყო, ვიდრე საქმეში).

რომანში „ვაი მართალთა" ანტ. ფურცელაძე საკმარისად თვალსაჩინოდ ხატავს რევოლუციურ განწყობილებას: მიხეილს ავტორი საფრანგეთში წაიყვანს და პარიზის კომუნარების აჯანყების მონაწილედ გახდის, ბარიკადზე მოჰკლავს და ერთგვარი დაუკმაყოფილებლობით ათქმევინებს: „აქ უნდა მომკვდარიყო ლიზაც... აქ იყო მისი ადგილი"... ეს ადგილი, მართალია მხატვრულობის თვალსაზრისით უხეშია, უადგილოა, მაგრამ მწერლის აზრს კი კარგად გამოხატავს.

ამის გარდა, მეტად საგულისხმიეროა ის თანაგრძნობის კილო, რომლითაც ანტ. ფურცელაძე გამოხატავს მოხუცი კომუნარის მოწოდება-მიმართვას ახალგაზრდობისადმი.

ვერსალის ჯარმა შეავიწროვა კომუნარები. უკანასკნელნი იხევენ დიდის გმირობით, ადვილად არ უთმობენ პოზიციებს უხეშ ძალას. კომუნარების ერთ ჯგუფს მიუძღოდა შუატანის მოხუცი... თეთრის წვერითა და საშინელი მხნე და გამბედავის სახით... ამას მისდევდნენ სისხლსა და თოფის წამალში ამოსვრილნი კომუნის სხვა გადარჩენილი მოთავეთაგანი.

—„უშველეთ თქვენს თავს!—მიუბრუნდა უცებ ამათ ის მოხუცი კომუნარი, როდესაც ისინი დაადგნენ ერთს მიყრუებულ კუთხეში.—საქმე წაგებულია! ეხლა ჩვენ ვეღარას ვუშველით! თქვენ ისევ ყმაწვილები ხართ და კიდევ საჭირონი იქნებით ამ ჩვენი საქმისათვის, თქვენ კიდევ დასჭირდებით საფრანგეთს და კაცობრიობის საქმეს!... თქვენი გადარჩენით მოიგებს კიდევ საქმე. მაგრამ მე, რომელსაც გამომივლია ამდენი წამება... მე, რომელმაც ნახევარი ჩემი დღენი გავატარე საპყრობილესა და დევნილობაში... მე, რომელსაც აღარ შემწევს ხანი, რომ ერთი კიდევ ვნახო საფრანგეთის დამცრობა, თავისუფლების დაკარგვა და უბედურება—მე უნდა მოვკვდე — გაუმარჯოს კაცობრიობას!—შემოსძახა აქ მან მაღლა ქუდის ქნევით და გადაერია ბარიკადებისაკენ... გმირი დელეკლუზი, მძიმედ დაჭრილი იდგა ამართული ბარიკადებზედ ყველას წინ და უშვერდა კიდევ ტყვიებს გულს და ამხნევებდა მეომართ".[56]

---

[56] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, ვაი მართალთა, გვ. 118—119.

ანტ. ფურცელაძე თავისი გმირების ცხოვრებას სიკვდილითა და დამარცხებით ათავებს, მათთვის ვერ ახერხებს მოქმედების, მათი ძალების გამოყენებისათვის ასპარეზის გამონახვას, ვერ ახერხებს გამოუძებნოს მათ მოქმედების პერსპექტივა, სამაგიეროდ შორეულ საფრანგეთში ცოცხალი, მოქმედი ძალების ფართო და მიმზიდველ პერსპექტივას ხედავს. ამ ფართო პერსპექტივისაკენ აღტყინებული უძახის თავის მკითხველსაც.

როდესაც ანტონ ფურცელაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობას თავიდან ბოლომდე გადავხედავთ და მის შეჯამება-შეფასებას მოვინდომებთ, ჩვენ წინაშე ცხადად დგება მწერლის სახე, 60—80-იანი წლების თვალსაჩინო მოაზროვნე, რომელიც განიცდის როგორც რუსეთის მოწინავე საზოგადოების აზროვნების გავლენას, ისე დასავლეთ ევროპისასაც (რასაკვირველია, რუსეთის გზით). ეს გავლენებია: ლიბერალურ-ბურჟუაზიული, ლიბერალურ-ნაციონალური, ლიბერალურ-დემოკრატიული, რადიკალურ-დემოკრატიული, წვრილბურჟუაზიული, ხალხოსნურ-სოციალისტურ-უტოპისტური. ძირითადი ამ გავლენებიდან ანტ. ფურცელაძეში, რა თქმა უნდა, ხალხოსნურია. ის ცენტრალური საკითხები, რომლებიც ხალხოსნებმა წამოაყენეს: მიწის საერთო მფლობელობა, გლეხთა ცხოვრების ყოველმხრივი (ეკონომიური, იურიდიული, საზოგადოებრივი) მოწესრიგება, ახალი გზებისა და „ახალი კაცის“ (თუნდაც „მონანიე აზნაურის“ სახით, თუმცა მკრთალი და გაურკვეველი) სახეების ჩვენება ანტ. ფურცელაძისათვისაც დამახასიათებელი იყო.

ნიმუშისათვის ანტ. ფურცელაძის პუბლიცისტური წერილიდან მოვიყვანთ ერთ ადგილს: „ყოველი უბედურება, —წერს ის, — წარმოდგება იქიდან, რომ ხალხს, ნამდვილ ხალხს არასოდეს არ ეჭირა უფლება ხელში და ხალხი აძლევდა თავის თავსა და თავის ქონებაზედ უფლებას თითო-ოროლათა, რომელთაც ძალაც ხელში ეჭირათ და სამართალიც, მაშასადამე — არც არაფერს შეეპუებოდნენ ხალხის სურვილს და არც შეასრულებდნენ ხალხის საჭიროებას, რადგან ხალხის სურვილისა და საჭიროების შესრულება იყო მათი საზარალო და სავნებელი. რაკი ეს სცნეს მეცნიერთა, რაკი ეს სცნეს გამოკვლევით ხალხისათვის თავგამოდებულთა, მაშინვე დაუწყეს ამისი ხალხს შთაგონება... სანამ შენი საქმეები, შენი თავი, შენი ჯანი და შენი ქონება არ იქნება შენს ხელში, სანამ სახალხო გამგეობა და ხალხის ძალა არ გეპყრობა შენა, მანამ არ მოგელის არავითარი კეთილი... მანამ შენცა და შენი შთამომავალიც იქნებით ნიადაგ მ'მიერ-მწყურვალი და მოგელით ტანით და გონებით გაწრიოკება და ბოლოს გაწერია სრული... მოსპობა“[57].

---

[57] ანტ. ფ ურ ც ე ლ ა ძ ე, მამულის საერთო მფლობელობა, გვ. 13—14.

ან კიდევ: „უმთავრესი კაცის დამღუპავი უთანასწორობობისა და მდიდარ-ღარიბობისა დამბადი გახდა ის წესი, როდესაც კაცმა უწყო დასაკუთრება ბუნების მომნიჭებელთა და მეტადრე ისა, როდესაც ეს საკუთრება გადაიქცევა საშვილიშვილო სამკვიდროებათ“[58].

ანტ. ფურცელაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ მწერალი, საკმარისად ნიჭიერი, მოწინავე რადიკალური მოაზროვნე, მუდამ რყევაში, შესაბამისი გზის ძიებაში, მარცხნივ — რადიკალიზმისაკენ იწევს. მან მაინც ვერც ერთს პერიოდში ვერ გამონახა ისეთი გზა და იდეოლოგია, რომელიც მას სრულიად დააკმაყოფილებდა და გარკვეული მიმდინარეობის კალაპოტში ჩააყენებდა.

ასეთი მუდმივი რყევა, ძიება ანტ. ფურცელაძისთვის დამახასიათებელი იყო როგორც პუბლიცისტიკა-კრიტიკაში, აგრეთვე მხატვრულ შემოქმედებაში, იმ დადებითი და უარყოფითი თვისებებით, რომლებზედაც ჩვენ ზევით ვისაუბრეთ. მხატვრულობის თვალსაზრისით ანტ. ფურცელაძის შემოქმედება, როგორც გზადაგზა აღვნიშნეთ, უდავოდ მოიკოჭლებს, სუსტია, მაგრამ, სამაგიეროდ ის ძლიერია როგორც მოაზროვნე. ის მოთხრობას თუ ლექსს წერს იმ მიზანდასახულობით, რომ გამოიტანოს ახალი იდეები და თავისი ხმა შეუერთოს არსებულ-ს მოუწესრიგებლობით აღშფოთებულთა ხმას. და ეს ხომ დამახასიათებელი იყო არა მარტო ანტ. ფურცელაძის მოღვაწეობისათვის, არამედ XIX საუკუნის მოწინავე საზოგადოებისათვის და კერძოდ ხალხოსანი მწერლებისათვის, რომელთა ბანაკს ძირითადად ჩვენი მწერალიც მიეკუთვნება.

---

[58] ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, მაუულის საერთო მფლობელობა, გვ. 20.

ეკატერინე რევაზის ასული გაბაშვილი

(1851—1938)

I

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში ეკატერინე გაბაშვილი თვალსაჩინო და ორიგინალური მოვლენაა.

ის სამოღვაწეო ასპარეზზე 70-იანი წლების დასაწყისიდან გამოდის. მას თავისი სამწერლო შემოქმედების გაშლა მოუხდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ქართული ლიტერატურის ორი უმნიშვნელოვანესი მიმართულების — თერგდალეულთა და ხალხოსნების ურთიერთობისა და ბრძოლის გავლენის ქვეშ. ეკ. გაბაშვილმა ორივე ამ მიმართულების გავლენა განიცადა და აღბეჭდა კიდეც თავის მხატვრულ შემოქმედებაში. მან მოღვაწეობა დაიწყო ილია ჭავჭავაძის სკოლის რეალისტური მიმართულების საფუძვლებზე, მაგრამ მისი შემოქმედება თანდათან ლიტერატურული მიმართულების, თემისა და ძირითადი სიმპათიების მიხედვით უფრო ახლო მივიდა კულტურტრეგერულ ხალხოსნებთან, თუმცა თავისებურება მთელი მოღვაწეობის მანძილზე მაინც შეინარჩუნა. ეს თავისებურება ეკ. გაბაშვილში გამომჟღავნდა, როგორც წერის მანერაში, ისე „მონანიე აზნაურის“ ფსიქოიდეოლოგიის ასახვაში, ეს თავისებურება ეკ. გაბაშვილს ქართული ლიტერატურის ისტორიის განვითარებაში ხალხოსანი მწერლის განსაკუთრებულ ადგილს უთმობს.

მაგრამ სანამდე ეკ. გაბაშვილის შემოქმედების განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია გავითვალისწინოთ მისი ბიოგრაფიის ზოგიერთი მომენტი და ის სოციალურ-კულტურული გარემო, რომელშიც ის ცხოვრობდა და იზრდებოდა.

ეკ. გაბაშვილი დაიბადა 1851 წელს 16 ივნისს ქ. გორში, სადაც ცხოვრობდნენ მისი მშობლები: მამა რევაზ თარხნიშვილი, რომელიც მსახურობდა სახალხო სამსჯავროში (народный суд) და დედა სოფიო ვახტანგ ბაგრატიონ-დავითაშვილის ქალი.

ეკ. გაბაშვილის მამა, რევაზ თარხნიშვილი ყოფილა თავის დროისა-

თვის განვითარებული კაცი, თვით მწერლის მოწმობით, „მეთვრამეტე საუკუნის მწერალთა შედეგრებზე აღზრდილი, ნაკითხი და თავისუფალი მოაზროვნე“.

დედა მწერლისა, სოფიო ვახტანგ ბაგრატიონ-დავითაშვილის ასული, ცნობილი იყო ახოვანობით, მხიარულებით, სიმღერითა და ცეკვით. ამასთან ერთად, ეკ. გაბაშვილის მოწმობით, ის თურმე იყო „გასაკვირველი მოჯირითე და შეუდარებელი მსროლელი“. დედის ხსენებული თვისებების შესახებ მწერალი შემდეგს წერს: პაპაჩემი ვახტანგი, რომელსაც ვაჟიშვილი არა ჰყავდა, თავის პირმშო ქალიშვილს ვაჟურ სიმხნევეს ასწავლიდა მემკვიდრეობის დასაცავად. მემკვიდრეობა, რომელიც დედაჩემზე გადმოვიდა, არ იყო ძლიერ დიდი, მაგრამ საკმაოდ კარგი მამული იყო ზემო ქართლში, სურამის რაიონში, სადაც ზაფხულობით ვცხოვრობდით და სადაც გავიცანი და შევისწავლე სოფლის ცხოვრება, გლეხთა ავი და კარგი და რომელთა შესწავლა და დაკვირვება შემდეგ მასალად და ჩემ მოთხრობათა შინაარსად გამომადგა — „გაბედნიერება“, „რომანი დიდხევაში“, „კონა“, „ორენა და ქუჩე“ და სხვ.

ეკატერინეს დედა ადრე გარდაიცვალა, მაშინ მომავალი მწერალი ხუთი წლისა იყო. დედის სიკვდილის შემდეგ ის იზრდებოდა თავის დიდედა ბარბარესთან.

რვა წლის პატარა ეკატერინე მამამ წამოიყვანა თბილისში სასწავლებლად. ის ჯერ მიაბარა გერმანელების სკოლაში, შემდეგ გადაიყვანა მამადავითში ამბარდანოვების ქალების პანსიონში. თორმეტ წლამდე პატარა კატო აქ სწავლობდა. შემდეგ მოინდომეს მისი ქალთა ინსტიტუტში მიბარება, მაგრამ, რუსულ ენაში სუსტი მომზადების გამო, კატო მიღებული არ იყო. მაშინ რევაზ თარხნიშვილმა თავისი ქალი მიაბარა იმ დროს თბილისში კარგად ცნობილი ფრანგი ქალის ფაბრის პანსიონში.

ფაბრის პანსიონი დიდად განირჩეოდა მაშინდელი კარჩაკეტილი სახელმწიფო ქალთა ინსტიტუტისაგან თავისი ლიბერალური მიმართულებით. თვით მწერალი მოწმობს, რომ ფაბრის პანსიონში „მასწავლებლად იყვნენ კავკასიაში ექსორია ქმნილი პოლიტიკური დამნაშავენი: პოლონელი პროფესორები და მეცნიერები, უკრაინელი დევნილი პოეტები და ლიტერატორნი. კერძო პანსიონში ისინი თავისუფლად ქადაგობდნენ თავიანთ რწმენასა და ზოგჯერ თავიანთ პირადი გულის ღელვასაც აღშფოთებით გადმოგვცემდენ. იმათი მოწყალებით მივეჩვიე რუს მწერალთა საუკეთესო ლიტერატურულ ქმნილებათა და რუსული კრიტიკის მამამთავართა — ბ. ბელინსკის, ნ. დობროლუბოვის, დ. პისარევის და სხვათა ბრწყინვალე მოაზროვნეთა შეთვისებასო“.

ფაბრის პანსიონში სხვა საგანთა შორის ასწავლიდნენ ქართულ ენას, რომელსაც, სახელმწიფო სკოლებში გაბატონებული ტრადიციების წინააღმდეგ, აქ პატივსა სცემდნენ. ამიტომ ქართული ენის მასწავლებლად ფაბრის პანსიონში მოწვეული იყვნენ იმ დროის საუკეთესო ქართველი პედაგოგები, „დიდად განვითარებულნი და დიდი პატრიოტული აღფრთოვანებით გატაცებულნი“: ნიკო დედაბრიშვილი, ნიკო ინაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, იაკობ გოგებაშვილი. რა თქმა უნდა, ეს პედაგოგებიც ახალგაზრდა მოსწავლეებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. „მათი გავლენით. — გადმოგვცემს ეკ. გაბაშვილი, — შთავიბეჭდე სამშობლოს სიყვარული და იმისი სამსახური“.

1868 წელს ეკატ. გაბაშვილმა დაამთავრა ფაბრის პანსიონი. მალე მისთხოვდა ალექსანდრე გაბაშვილს, რომელიც, თვით მწერლის მოწმობით, „ეგრეთვე ეტრფოდა სამშობლოს და თან დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ ეკონომიური განვითარება აღადგენდა ჩვენს დავრდომილ ქვეყანას. ამიტომ მთელ ძალ-ღონეს ახმარდა მეურნეობის შესწავლას და მის განვითარების გადატანას ხალხში“. ამ საერთო მისწრაფებამ ხალხისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის დააახლოვა და დააკავშირა ისინი.

ეკ. გაბაშვილი გარდაიცვალა 1938 წელს.

2

ქართული მწერლობის ასპარეზზე ეკატ. გაბაშვილი 1870-იანი წლების დასაწყისიდანვე გამოდის. სწორედ 1870 წლის პირველი იანვრის გაზეთ „დროებაში“ იყო დაბეჭდილი ეკატ. გაბაშვილის პირველი ესკიზი „გლეხკაცობის აზრი სასოფლო სკოლაზე“. ხსენებულ პირველ მოთხრობაშივე ჩანს ეკატ. გაბაშვილის შემოქმედების ძირითადი ხაზები: სოფელი, გლეხკაცი, მისი ცხოვრების ჩამორჩენილობა და მის მომავალზე ზრუნვა. ყველა ეს საკითხი და მწერლის მიერ მათი გადაწყვეტა ბუნებრივი გამოძახილი იყო იმ ეპოქისა, რომელშიც იგი იწყებდა თავის მხატვრულ შემოქმედებას.

70-იანი წლები, როგორც არა ერთხელ გვქონდა შემთხვევა აღგვნიშნა, მეტად საგულისხმიერო ხანაა; ესაა კაპიტალიზმის ინტენსიური განვითარების, ბატონყმობის ინსტიტუტის მოსპობის, ე. წ. „დიდი რეფორმების“ ხანა და მისი შედეგებით გამოწვეული მძლავრი უკმაყოფილების ჯერ კიდევ გაუნელებელი კერა. საზოგადოებრივი აზროვნების გამახვილება ამ პერიოდში განსაკუთრებით სწორედ გლეხკაცის— „უნცროსი ძმის“ მდგომარეობის გაუმჯობესებითაა შეპირობებული. ამ მიზნით გამოწვეულია საზოგადოების უკეთესი ნაწილის გმირული სიარული ხალხში.

ეს გმირული სიარული ხალხში, რასაკვირველია, შედეგია იმ ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიური და კულტურული პირობებისა, რომელიც წარმოიშვა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ნიადაგზე. მაგრამ მის გამახვილებას და, შეიძლება ითქვას, ხშირად გაფორმებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ქართველი მოწინავე საზოგადოება, როგორც ზევით თავის ადგილზე გვქონდა აღნიშნული, ამ ხნიდან უკვე საგრძნობლად მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებასთან და ლიტერატურასთან. როგორც თერგდალეულნი, ისე განსაკუთრებით ხალხოსნები დიდს იდეურსა და ლიტერატურულ გავლენას განიცდიან რუსეთის 60—80-იანი წლების მოღვაწეობისა[1]. სოფელი, გლეხი, მისი აწმყო და ჭომაკალი ცხოვრება რუსი და ჩვენი მწერლებისათვისაც ცენტრალურ საკითხად გადაიქცა.

ეკატ. გაბაშვილიც ამ მიმართულების წრეშია ჩამდგარი. ცხოვრების პირობებიც — სოფელში ცხოვრება, მის მცხოვრებთა მდგომარეობასთან ახლო მისვლა, პანსიონში მასწავლებელ-ხელმძღვანელთა წარუშლელი გავლენა, დარღვეული ფეოდალური ოჯახის ახალი ცხოვრებით შეეიწროებული მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა ეკატერინე გაბაშვილს — ეპოქის ხსენებული მტკივნეული იდეები შეეთვისებინა.

ეკატ. გაბაშვილის მხატვრული ყურადღება და დაკვირვება ბავშვობიდანვე ხარბად დაეწაფა ჩვენი კაპიტალიზებული სოფლის გართულებულ ცხოვრებას. ის ზედმიწევნით კარგად იცნობს როგორც დაძაბუნებულ, დაშლილ თავადაზნაურთა ყოფას, ისე ცხოვრების მძიმე პირობებით გაწრიოკებულ გლეხის მდგომარეობას.

ეკატ. გაბაშვილი, მართალია, რეალისტი მწერლების უშუალო გავლენის ქვეშ იწყებს მხატვრულ მოღვაწეობას, მაგრამ მასში რომანტიკული წერის მანერაც საკმარისად მძლავრად მჟღავნდება. წერის მანერის თვალსაზრისით ის ხშირად ნეორომანტიკულ სკოლას უახლოვდება. მწერალს ხშირად ყოველდღიური ცხოვრების სინამდვილე კი არ იზიდავს, არამედ განსაკუთრებული, გამონაკლისი მოვლენა, რომელიც, სრულიად შესაძლებელია, ბუნებრივია იმ სინამდვილისათვის, რომელსაც ის ასე ახლო იცნობს და ასე მიმზიდველად ხატავს.

ეკატ. გაბაშვილის რომანტიკულ საწყისებს საფუძველი აქვს მწერლის ფსიქო-იდეოლოგიაში, რომელიც დარღვეული ფეოდალური კლასის ახალ ცხოვრებასთან ურთიერთობის წიაღში გაიშალა. მაგრამ ძირითადში ის რეალისტია, რომელიც ცდილობს ახალ ცხოვრებასთან მივიდეს, გაუგოს მიმართულების გეზი და ასახოს შემოქმედებაში. ის

---

[1] რუსეთის 60—80-იანი წწ. საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ძირითადი ხაზების შესახებ იხ. მ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ახალი ქართ. ლიტერატურა, ტ. II.

თერგდალეული და ხალხოსანი მწერლების გავლენის ქვეშ იზრდება და მათ მიმართულებას იღებს.

მწერლის შემოქმედებითი აპერცეპცია სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ხსენებულ პირობებში ჭარბად ითვისებს გლეხის გაჭირვებულ მდგომარეობას. მწერლის გაგებითაც, გლეხი, როგორც ეს ეპოქის მწერლობისათვის იყო დამახასიათებელი, წელზე ფეხს იდგამს, დღესა და ღამეს ასწორებს და მაინც მშიერია.

მოთხრობაში „ხოლერა" ეკატ. გაბაშვილი გვიხატავს გაჭირვებული გლეხის ცხოვრებას, რომელსაც მიწის სიმცირისა და სიმწირის გამო თავისი სოფელი ვეღარ აცხოვრებს, ის იძულებულია დატოვოს თავისი სოფელი და მის გარეთ ეძიოს ლუკმა-პურის შოვნის საშუალება. ასეთია გიგოლა, რაჭველი გლეხი, რომელიც ათი წლის წინათ სოფელ ნაგომურს შემოეკედლა და აქ თიხის ჭურჭლის კეთებით ირჩენდა თავს. მან ცოლად შეირთო თავისავით ოხერ-ტიალი გოგო ქეთო, სიღარიბითა და დედინაცვლით უწყალოდ შევიწროებული. „ლოგინი რა არის, ლოგინი, — ეს აუცილებელი მზითევი გლეხკაცის სარძლოსი, ისიც კი არ მოუტანია ქეთოს გიგოლასათვის. მთელი ოთხი წელიწადი დაუღალავი შრომა მოანდომეს ამ ცოლ-ქმართ ერთი ხელი ლოგინისა და გახეხილის ფარდაგის შეძენას და ეს ლოგინი და პატარა ხის ტახტი ზედ გადაშლილის ფარდაგით იყო მთელი იმათი საკუთრება; არავითარი სხვა სამკაული არ ამშვენებდა პატარა, ბნელ, მიწურ ოთახს, რომელიც თვეში ორ აბაზად ჰქონდათ დაქირავებული. წლითი-წლამდე გიგოლა დადიოდა სოფელ-სოფელ და თან ატარებდა ვირზე აკიდებულ გოდრებს თიხის ჭურჭლით. ჭურჭელს ჭირნახულზე ცვლიდა და ამგვარად შოულობდა ცოლშვილისათვის საზრდოს. არც მეზობელი, არც ნათესავი არ ეკარებოდა ამათს ღატაკს ოჯახს და არც ლხინსა და ჭირში იკარებდა ვინმე საიდანღაც მოთრეულს ნაგლეჯუა ცოლ-ქმარს"[2].

აი, დამახასიათებელი მოვლენა ფერცვლილი, ახალი ცხოვრებისა, რომელიც დაუნდობლად ჰგლეჯს შეჩვეული ადგილიდან გლეხს, უნგრევს ბუდეს და სადაც მოხვდება, იქით სტყორცნის. ისედაც გაჭირვებული გლეხი, ამ მოუწყობელ ცხოვრებაში უფრო ირიყება, კნინდება.

ასეთია გიგოლა თავისი ცოლ-შვილით. ამ ოჯახის წევრები ცხოვრების გერად რჩებიან ბოლომდე. საკმარისია ერთი უბედური შემთხვევა და მთელი ოჯახი ისეთი სისწრაფით იღუპება, როგორც ქარმა ბზე მოიტაცოს და სადმე უფსკრულში გადააბნიოს.

მძიმეა შთაბეჭდილება და გრძნობა მკითხველისა, ამ მოთხრობის გმირების ხვედრის გაცნობით გამოწვეული. ამას ხელს უწყობს ის უშუალობა და ემოციონალობა, რომელიც დამახასიათებელი სტილიური ნიშანია ეკატ. გაბაშვილის შემოქმედებისათვის.

---

[2] ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ხოლერა, მოთხრობები, 1936 წ., გვ. 103.

განა ასეთსავე მძიმე სურათს არ გვიხატავს ეკატ. გაბაშვილის მოთხრობა „ღვინია გადაიჩეხა“? განა აქაც—ნინიკას დაბეჩავებული ოჯახის სახით, რომელიც შობის დღესაც კი ცარიელი ლობიოთი ძლივს ახერხებს ბავშვების დაპურებას, ჩვენი გაძვალტყავებული გლეხის ცხოვრებიდან ცოცხალი მოვლენა არ არის განსახიერებული? მძიმე სევდის ლოდად აწვება მკითხველს საახალწლო ანგარიში ნინიკას ოჯახისა ერთი საბაზრო ურმის შეშის საფასურის მოლოდინში.

„— მამილო, ხვალ ქალაქში რომ ჩახვიდე, საახალწლოდ „ბაშმაკები“ მიყიდე! ამოდენა გოგო ვარ და ჯერ ფეხსაცმელი არ მღირსებია.

— მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე!.. ნეტა იმდენი ფული აიღოს ერთ პატარა ურემ შეშაში, რომ საახალწლოდ ორიოდე ფუთი ფქვილი მოგვიტანოს და პირის გასახსნელად ხუთიოდ გირვანქა ხორცი! შობა დღესაც ცარიელ ლობიოზედ გადავიარეთ.

— მართალს ამბობ, ნენე, უხორცობა ამისთანა დიდ ბედნიერ დღეს, როგორ შეიძლება! ნახევარ თუნგი არაყიც კი მომეტებული არ იქნება, მე და ჩემმა ღმერთმა! მეტადრე ამისთანა ყინვაში. — დამქაში დაუკრა გოგიამ რძალს.

— ბატონო, ეგ ხომ კარგი იქნება და კარგი, მაგრამ თქვენ პერანგს გულისპირი სულ ჩამოგლეჯილი აქვს და არყის ფასით რომ ერთი არშინი ლურჯი ტერნო მოგიტანოს ნინიკამ, მე მგონია, ის კი ემჯობინება.

— მე ძალო! ე, ოხერი ქალამნები სულ შემომეგლიჯა, ფეხები ლამის დამაძროს, მაშ ქალამნები არ მინდა?

— შენა, დედაკაცო, შენთვის რატომ არაფერს მაბარებ? — დაცინვით უთხრა ნინიკამ ცოლსა...

— მართლა, ბიჭო, — უთხრა მორცხვად თავჩაღუნულმა გოგიამ შვილსა: თუ მომეტებული გქონდეს ორიოდ შაური, ნუ დაზოგავ, შენ გაზრდას, და ცოტაოდენი თუთუნი მიყიდე. აგერ ორი კვირაა, რაც ჩიბუხი არ გამიბოლებია და ლამის გავგიჟდე, პურზე მომეტებულად მომშივა ხოლმე, ი ტიელი!

— დედა! დედა! თაფლი, ნიგოზი! ახალ წელიწადს გოზინაყი არ გვინდა?—კაბას სწევდა პატარა ფეფე დედას და საცოდავად ეღრიჯებოდა ნენეს“[3].

დიაღაც, ჩვენი გლეხის ცხოვრების უტყუარი სურათია ასე ნიჭიერად ნაჩვენები! განსაცვიფრებელი უშუალობით, გულთამხილაობით, ოსტატობითა და გადამდები თანაგრძნობით გვიხატავს მწერალი გლეხკაცის ცხოვრების ჩვეულებრივ მოვლენას — მცირეოდენი მოლოდინის იმედითაც კი რაღაც უდიდესი სიამოვნება და ბედნიერება განიცადოს, მაგრამ სინამდვილისაგან აქაც გაცრუებული და ჩამწარებული დარჩეს.

---

[3] ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ღვინია გადაიჩეხა, მოთხრობები, 1936 წ., გვ. 57—59.

მშვენივრად, მართლაც, დიდი ხელოვანის ოსტატობითაა ხსენებულ მოთხრობაში გაშლილი წინააღმდეგობა გლეხის იმედებსა და ცხოვრების სინამდვილეს შორის: მიდის ნინიკა ქალაქისაკენ დაკონკილ ტანსაცმელში, დაგლეჯილი ფარაჯის ამარა, პატარა მიხათი, დავარდნილი ხარებით, პატარა „ბავშვის სათამაშოს რომ ჰგავს“, ურმით, საშინლად ბალიპული გზით, პოლიციელების შევიწროებისა და გაუშაძღარი ჩარჩების ექსპლოატაციისა და დაცინვის საგნად გამხდარი. დიდის ემოციურობითაა აღწერილი ნინიკას მწუხარებითა და მძიმე დაბრკოლებით სავსე მგზავრობა ლუკმაპურის მოსაპოვებლად. მშვენივრად მოჩანს ნინიკას დაღარული სახე, სიცივისაგან და შიმშილისაგან დაგრეხილი მისი სხეული, ქალაქის ბაზრის ფუსფუსით (სადაც ჩარჩები და მცხოვრებნი არეულან და გაშმაგებით ცდილობენ თავის სასარგებლოდ იყიდონ თუ გაყიდონ), დაბნეული გამომეტყველება ნინიკასი, ცდა არ მოტყუედეს და როგორმე იმანაც ხეირიან ფასში გაყიდოს შეშა. ბოლოს ღვინია ხარის გადაჩეხა და ნინიკას იმედის სრული განადგურებაც!

ამის პარალელურად შინ, ნინიკას ოჯახის საახალწლო მზადება. ნენეს, წვრილი ბავშვებისა და მოხუცი გოგიას ნინიკას მოლოდინი საახალწლო საჩუქრებით. თითქოს მკითხველი ერთის თვალით განუწყვეტლივ ანდამატსავით ნინიკას მისჯაჭვია. იმასთან ერთად იტანჯება, ხედავს ქალაქის მოედანზე შემოტანილ სიფრიფანა შეშის ურემს, თანაგრძნობით უყურებს ყველასაგან შეშინებულს, ბუნებისაგან, პოლიციელისაგან, მყიდველისაგან შევიწროებულ ნინიკას. მკითხველი მკაფიოდ ხედავს, გრძნობს ნინიკას გულისა და სულის მოძრაობას, როცა მისი ურემი ყინულზე შედგება და ნინიკას მხარმკერდით უნდა შეიმაგროს ურემი, ხარებს გაუადვილოს, ურემი არ გადააბრუნოს. ნინიკას ტანჯვით მკითხველიც იტანჯება. მეორე თვალით კი მკითხველი ნინიკას სახლშია, დიღომში, ნენესთან, მამის მოლოდინში მოტიკტიკე ნინიკას ბავშვებთან უილაჯო და მოუთმენლობით გაწამებულ მოხუც გოგიასთან. მოლოდინით დაღლილ, ჩაძინებული გოგიას სიზმარი უფრო ღრმა სევდით ავსებს მკითხველის გულს და ნინიკას ოჯახის მწარე გოდებას, ღვინიას გადაჩეხით გამოწვეულს, გულწრფელად და ძალაუნებურად უერთდება.

ეკ. გაბაშვილს, უდავოდ, კარგად ეხერხება ნაწარმოების ფაბულური განვითარება. ის ნაწარმოებს ისეთი წინააღმდეგობით შლის, რომ მკითხველს იტაცებს.

ან აიღოთ პატარა მოთხრობა „თინას ლეკური“. ეს მოთხრობაც ეკ. გაბაშვილს იმავე პოეტური ხერხით — პარალელების განვითარების გზით აქვს გაშლილი. მკითხველის ყურადღებას დასაწყისიდანვე იპყრობს მოთხრობის გმირის თინას გულშემზარავი ცხოვრება, რომელიც, თუმცა ტიპიური მოვლენა არ არის, მაგრამ გლეხის ყოველდღიური

ცხოვრების მაჯისცემის უტყუარი გამომხატველი კია. დღეს თუ თინაა ასეთ მდგომარეობაში, ხვალ ეს ბედი საბედას კარს დააკაკუნებს, ზეგ პელაგიასას, მაზეგ მაიასას და ა. შ. საკმარისია გლეხის ოჯახის მარჩენალი მოკვდეს, რომ მთელი ოჯახი, როგორც იტყვიან, „ღვთისა და ზეცის ამარა“, ე. ი. უპატრონოდ, ოხრად დარჩეს.

აი, ასეთი შემთხვევაა თინას გამოუვალი გაჭირვებული ცხოვრების ნაწყვეტით მოცემული. „მთელ სოფელში მარტო თინას კერაა გაცივებული, მარტო მისი შვილიშვილები, სიცივისაგან გალურჯებულნი. სხედან ცივ კერასთან და ძველ ნაგლეჯ საბანში გახვეულნი მშიერი მგლის ლეკვებივით ყმუიან:

„დიდედო, ცივა! ცივა! დიდედო, გვშია, გვშია!“..

რა ჰქნას საწყალმა თინამ, რა უშველოს, საიდან გააჩინოს ან ცეცხლი და ან ლუკმა?.. აი ორიოდე ჩანახი ფქვილი კიდევ უყრია გოდრის ძირში, მაგრამ რითი გამოაცხოს? აგერ დღენახევარია თვალი უჭირავს, რომ ეგებ ვინმე მეზობლებმა თონე გაახუროს ვინმე, რომ გაციებულ თონეზე ლავაშები მაინც მიუკრას ბალღებს, მაგრამ სად არის? ყველამ სადღესასწაულოდ ადრე დაიმზადა ნამცხვარი და ახლა არხეინად სხედან.

„ნეტა ღონე მაინც მქონდეს, რომ აი გაღმა ჭალაში გავიდე, გამხმარი ჩირგვები, ძეძვები მივჩეხ-მოვჩეხო და სული როგორმე მოვიბრუნო, — ტუტუნებს საწყალი თინა, — მაგრამ ეს წყეული გულის კანკალი მკლავს, მუხლებს მიდუნებს, მკლავები სულ ძირსა მცვივა“... დაუძლურებული, უსუსური თინა ცოცხალ-მკვდარსავითაა კერასთან მობღუნძული თავის მშიერ-მწყურვალ შვილიშვილებით, რომელთა შემზარავი ტირილ-მუდარით ძახილი: „ბები პური, ერთი ბეწო პური“ — გულს საცოდავად უღრღნიდა ისედაც გაწამებულს.

ამ მოთხრობაში ეკ. გაბაშვილი პარალელურადა შლის უპატრონოდ, ოხრად დაყრილ ქვრივ-ობლების გაჭირვებულ ცხოვრებას და შეძლებული მებატონის ცხოვრებას—სტუმრებით სავსე მდიდარ დარბაზს — გამხიარულებული, თუ ხელოვნურად სევდის მომგვრელი დუდუკის ხმით, განუწყვეტელი ქეიფითა და მხიარულებით.

თინას მოესმის მებატონის სასახლიდან ეს ხმები. მოაგონდება თავისი სიყმაწვილე, სიკეკლუცე, მოხდენილობა. გადაწყვეტს მოიკრიფოს უკანასკნელი ძალ-ღონე, წავიდეს მებატონის სასახლეში, იცეკვოს, ეგებ ამით მაინც შეაბრალოს თავი და უპატრონოდ დატოვებული შვილიშვილები.

რაღაც არაჩვეულებრივი სითბოთი და სიყვარულითაა აწერილი თინას სულიერი და ფიზიკური ტანჯვა მებატონის სახლს რომ მიაშურებს, როგორც უკანასკნელ ხსნას. მწერალი ისეთი თანაგრძნობით ეკიდება თინას და მკითხველსაც ისე იტაცებს, რომ თინას ლეკურს კომიკურ

ელფერს სრულიად აშორებს და მკითხველიც თინას მძიმე განცდაში თავდავიწყებით ეხვევა.

„დედაბერი უცებ შესდგა, თვალები გადაატრიალა, ჰაერში დაწყვეტილივით მკლავები გადაიქნია, ერთი მძლავრად ამოიფშვინა და იატაკზე დაეცა... წამის წინად ცამდის აწვდენილი ბედნიერთა მხიარულება უკიდურეს მდუმარებით შეიცვალა.

იატაკზე გაშეშებული ეგდო სათამაშოდ ხელებგაშლილი, თვალებდაჭყეტილი, საოცარის ტანჯვით ჯვარცმული თინათინა და თავის საზარელის შეხედულებით იქ მყოფთა გულში რაღაც სინდისის ქენჯნას იწვევდა...

„ბები, ბები! მართლა მოკვდი? პურს ვიღა გვაჭმევს!“—გაისმა გულშემზარავი ბღავილი ორი ტიტლიკანა, მშიერი, სიცივისაგან გალურჯებული ბავშვისა. ერთმა დამსწრეთაგანმა დაარღვია საერთო სიჩუმე და წამოიძახა: „მოწყალება ობლებს!“ დამსწრე საზოგადოებამ ჯიბეს ხელი იკრა და მოწყალება უხვად გასცა. მოკვდა თინა და მან თავის სიკვდილით თავის ობოლ შვილიშვილებს „ლუკმა გაუჩინა“.

ასეთია, მწერლის აზრით, ის გოლგოთა, რომელსაც გლეხის ცხოვრება ჰქვია. ეკ. გაბაშვილის მთელი სიმპათიები აქეთაა მიმართული. აქეთვე მოუწოდებს თავის მკითხველებსაც.

3

სოფლისა და გლეხკაცის ცხოვრების მძიმე პირობები უფრო დამძიმდა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით. კაპიტალიზმის განვითარებამ თანდათან სწრაფი ტემპით დაიწყო ფეოდალური მეურნეობის რღვევა. დაირღვა სოფელი და პირველ რიგში გლეხის მეურნეობა. გაუჭირდა გლეხს ცხოვრება. მძიმე ტვირთად დააწვა მას არა მარტო მემამულე, არამედ მღვდელი, მოსამართლე და სახელმწიფო უამრავი გადასახადებით. ყველას მისგან მიაქვს საზრდო, გამორჩენა. ისიც უილაჯო, ჯერ კიდევ უფლებააყრილი, იძულებულია დღედაღამ ებრძოლოს მიწას, რომ შეძლოს ყველას გასტუმრება და თავისი ოჯახის ხმელალუკმით გამოკვება. მაგრამ მიწა და მისი შრომა ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს გლეხს, ხშირად ბუნებაც ღალატობს მას და წლის ნამუშევარს უფუჭებს. მემამულე, მღვდელი, გზირი, ნაცვალი, მამასახლისი და მრავალი სხვა მაინც მისევია მას და „თავისას“ თხოულობს. გლეხი ხშირად გამოუვალ მდგომარეობაშია. ის იძულებულია მიმართოს სოფლის ახალ ბატონს—ჩარჩსა და ვაჭარს, მისგან „ხელი გაიმართოს“. ეს ახალი ბატონი გლეხს კისერზე აჯდება და ხშირად ძველ ბატონზე უფრო შემავიწროებელი და დაუნდობელია. სო-

ფელი ამ ჩარჩ-ვაჭრების ხელშია ახლა ჩავარდნილი და ეს უკანასკნელი გლეხის სხეულს წურბელასავით ჰკიდია.

ეს მოვლენა ჩვენი სოფლის ცხოვრებას განსაკუთრებით ახასიათებს 70-იანი წლებიდან. ამ გარემოებას, როგორც ზეეითაც აღვნიშნეთ, დიდი ყურადღება მიაქციეს ხალხსნებმა. ისინი უარყოფითად აფასებდნენ მას და ებრძოდნენ, როგორც კაპიტალიზმის მავნე გამოვლენას.

ასევე უყურებს მას ეკ. გაბაშვილიც. ჩარჩის უარყოფითი გავლენა სოფელზე რამდენიმე ნაწარმოებში აქვს ნაჩვენები.

ავიღოთ მოთხრობა „სურათი". შემოდგომაა. გლეხისათვის ყველაზე სასიამოვნო ხანა. ახლა უნდა შეინახოს მან წლის სარჩო, ახლა უნდა მოუყაროს თავი ყველაფერს, შეაჯამოს და ყველასთან ანგარიშები გაასწოროს.

მაგრამ გლეხისათვის ეს პერიოდიც ხშირად მტანჯველი ხდება. ანგარიშების გასწორება მისთვის არც ისეთი ადვილია. ხშირად არ იცის ვის რა და როგორ გააწვდინოს. „რომელ ერთს გაუძღვე ათი კოკა ღვინით?—ბუტბუტებდა პავლიკა,—პური ვიყიდო, ხელმწიფეს ხარჯი მივცე, თუ ჩემს მოვალეებს პირნათლად გავუსწორდე?" აი, ჩვეულებრივი კვნესა და ჩივილი გლეხისა. ეს მოვალეები არიან, რომ ტყავს აძრობენ გლეხს და მთლიანად ეპატრონებიან მის ნაწვავ-ნადაგს. ნიკუა გალუსტოვისაგან გლეხ პავლიკას აუღია ხუთი თუმანი. ამის გასანაღდებლად ნიკუას „ხუთი თუმნის თამასუქი აქვს და ხუთი თუმნის პირობის წერილი" და ამ წერილის პირობის მიხედვით, ეუბნება პავლიკა მაიას „თუ დროზე არ ჩავაბარე, დღეში ათი შაური „ტრაფი" უნდა ვაძლიო".

ნიკუა და მაია როგორც ყორნები ლეშს, ისე დასტრიალებენ პავლიკას მოსავალს, სულს იქით აღარას უტოვებენ. ამ ჩარჩების უსინდისო მოპყრობით, მოთმინებადაკარგული გლეხი ხშირად შეებრძოლება ხოლმე მათ, ხშირად თავ-პირს დაამტვრევს და თვითონაც თავმთელი არა რჩება. მაგრამ რა ჰქნას, ძალა ჩარჩის ხელშია, კანონი მისკენაა! და ისიც ნებდება. „რამდენი ჩემისთანა უბედურია მაგის ხელში! რამდენი სული ტრიალებს მაგის გაქონილ ჯიბეში! აი დაიქცეს ის დღე, როდესაც ეგენი ჩამოსახლდნენ ჩვენ სოფელში", — მწარედ ამოიკვნესებს პავლიკა და ეს კვნესა გლეხობისაა და თვით მწერლისაც, რომელსაც მძლავრად შეუგრძვნია ეპოქის ტკივილები.

ასეთივე და უფრო ამაღელვებელი სინამდვილის სურათია გადაშლილი ეკ. გაბაშვილის მეორე მოთხრობაში „სოფლის მევახშენი".

სოფელ ილევს შეეჩვია ვაჭარი ბაღდასარა დანდურაშვილი. რამდენიმე წლის განმავლობაში მან თავისი პირფერობითა და გაიძვერობით ხელთ იგდო მთელი სოფელი. „ბაღდასარას სავაჭროდ მისვლა ილევში ნამდვილი დღესასწაული იყო მთელი სოფლისთვის. ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა სიხარულით აღფრთოვანდებოდა, როდესაც

იმისი იორღა ლურჯი ფაშატი დიდროვანის ბოღჩებით დატვირთული და ზედ ყეენივით მჯდომი ბაღდასარი შემოგოგმანდებოდა სოფელში.

გაშლიდა ბაღდასარა კვირა დღით თავის ბოხჩებს სარდანაანთ ფართო დერეფანში, გვერდით მოიდგამდა სპილენძის 25 გირვანქიან ჩანახს და მხიარულად, სიცილ-ხარხარით, ათასის ლექსებით და შაირებით შეუდგებოდა ვაჭრობას.

სოფლის ქალი და რძალი ხომ ცას ეწეოდნენ ამის დანახვაზე. რა ვინდა სულო და გულო, რომ არ იყო ბაღდასარას ბოხჩებში ქალების გასახარებელი: დაბასმული ლეჩაქი, აბრეშუმის ბაღდადები, ოქრომკედით ნაკერი სარტყელი, გულისპირი, ფერ-უმარილი, წითელი ჩითის თავშალები, ყინვარი შაქარი, კამფეტი, ილი, დარიჩინი, პიტნის წვეთები და მრავალი სხვა რამ ცხოვრებისათვის საჭირო და თვალის გასახარი.

ასე კვევის ღეჭით და მასხარაობით გრძელდებოდა მთელი კვირა ბაღდასარას ვაჭრობა და იმის გვერდით სარდანაანთ დერეფანი მარჯვნივ და მარცხნივ ქერის და პურის ხვავებით ჭერამდე იმსებოდა. შაბათს კი ბაღდასარა აჰკეცდა ბოხჩებს და ყელამდი ავსილი ჭირნახულით, კვერცხებით, ქათმით, კარაქით, თაფლით, ლობიო-მუხუდოთი და სხვა მრავალი სანოვაგით სარდანისავე ურმით და სოფლის ლოცვა-კურთხეით და „ღვთის ნაბოძებით“ გაუდგებოდა ალისუბნის გზას, სადაც დანდურაშვილს დუქანი ჰქონდა და დუქანთან დიდრონი ხის აბრები, ბეღლები, ძარები, ნავაჭრი ჭირნახულის შესანახავად“.

ეს არის ჩვეულებრივი სურათი ჩარჩი-ვაჭრისა და მისი გამდიდრების, „კაცად ქცევის“ გზა!

დანდურაშვილმა სოფ. ილევში მალე გახსნა დუქანი და თავისი ლაქანდარა ენით მალე მიიზიდა როგორც გლეხი, ისე თავადაზნაურობა. თავის დუქანში ბაღდუა ყველას „ნამდვილ სტუმართმოყვარეობით უმასპინძლდებოდა“ მთელი დღის ყაყანით დაღლილ-დამშეულ გლეხებს. თანაც მას ასეთი ჩვეულება ჰქონდა: „ნასადილევს თავის დღეში არ წარუდგენდა ანგარიშებს თავის სტუმრებს, „მერმე როდისმე“, როდესაც ჭირნახული მომწიფდებოდა და ბაღდასარა თავის ჩანახ-ტომრებით კალოებზედ გაისეირნებდა ნისიების ასაკრეფად. მაშინ ყოველი ოჯახი თავის მოვალეობად სთვლიდა დიდი ჩანახი „დაეყარნათ“ ტომრის ასავსებად და დუქანში ნაქეიფარის აღსადგენად“.

ასე დათარეშობდნენ ამ ფულის ტრიალით ისედაც შევიწროებულ სოფლებში ბაღდასარა, მისი მეუღლე ქაქალა და შემდეგ მისი შვილი გეურქა ბაღდუიჩი: ივსებოდნენ, სუქდებოდნენ, მდიდრდებოდნენ. როცა კარგა დიდ შეძლებას მოჰკრეს ხელი, გადიდკაცდნენ და თავადობა მოინდომეს.

ასე იყო ძველად, ისინი ახალი დროის თავადებად და ბატონებად იქცეოდნენ ხოლმე.

ამგვარი ევოლუცია მოცემულია ამავე მოთხრობაში. ბაღდუას სიკვდილის შემდეგ, მისმა შვილმა გეურქამ სოფელს უფრო მაგრა ჩაუჭირა ბრჭყალი. გარეგნულადაც შეიცვალა. „ქართული ტანისამოსის მაგივრად, მოკლე პიდჟაკს ატარებდა. მართალია, პიდჟაკის ქვეშ იმასაც ახალუხი ეცვა და წელზე დასევადებული ქამარი ეკრა, მაგრამ პიდჟაკი, „კარტუზიანი“ რუსული ქუდი სულ სხვა იერს და შეხედულებას აძლევდა. ოქროს ძეწკვი, ვერცხლის საათი, ვიწრო შალვარი, „პოლსაპოჟკი“ უფრო ვინმე დიდკაცს ამგვანებდა და გიქოც, მართლაც, „დიდ ვინმესავით“ გაბერილი დადიოდა, ცხვირდაშვებული, გაბღენძილი, პირმოკუმული, ჟანგიანი“.

გეურქამ უფრო თავისუფლად და მოურიდებლად დაიწყო გლეხთა სისტემატური ექსპლოატაცია. „კარგი, ერთი „ტუტუც ვრაცი“, ნუ მამიყვები ლათაიებს! — უხეშად შეაწყვეტინებდა ხოლმე მონისიაველებს გეურქა.— მე ნისია, მისია, არ ვიცი. სავაჭრო გინდა? ფული მოიტანე, ფული არა გაქვს? პური იყვეს, ქერი, სიმინდი... უკან სადევნელი რათ მინდა რომ გამიხდეს... მე თქვენთან საერთო არა მაქვს რა! მოიტა და წაიღე. არა? შენ შენთვის, მე ჩემთვის. „მერესი“ არა მინდა რა“.

გეურქამ მამის გაცემული ვალები უმალ აკრიფა. პირველ მოთხოვნილებისამებრ ვალის განაღდება, სადაც ნებით არ მოხერხდა, ძალით მოახერხა. ბატონსაც და გლეხსაც სასამართლოს კარისაკენ გზა დაათელვინა, „ადუკატების“ სახელი აწყევლინა და „სულ სუდებნი პრისტავებით“ გადაახდევინა.

პირველ ხანებში გეურქას ასეთი საქციელი სოფელმა იუცხოვა და იწყინა კიდეც. პირი უბრუნა კიდეც მას. „მაგრამ, — მწუხარებით შენიშნავს ეკ. გაბაშვილი, — სოფელი ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული თავის მედუქნეებთან, რომ მის იქით გზა არა აქვს. ისევ და ისევ იმას უნდა მიმართოს და ჭირში თუ ლხინში ხელი იმით გაიმართოს და ალისუბნელებმაც ნელ-ნელა გიქუას მძიმე უღელი დაიდგეს“.

ასეთია დარღვეული სოფლის ყოფა, ასეთია გაჭირვებული გლეხის ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა. ის ყველასაგან საჯიჯგნი, საექსპლოატაციო საგანია. ეკ. გაბაშვილის ამ წყების ნაწარმოებს რომ კითხულობთ, მწერლის მოწოდება: „სოფელს, გლეხს შველა ესაჭიროება!“—მკაფიოდ გესმით და ქმნის თქვენში გარკვეულ თანაგრძნობის სულიერ განწყობილებას.

4

ეკატ. გაბაშვილი სითბოთი, სიყვარულით, გულისყურით დასტრიალებს ამ ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას. მწერალს სურს სოფლის

და განსაკუთრებით გლეხის ცხოვრება მკითხველს მრავალმხრივ დაანახვოს: აჩვენოს ის მიზეზები და მოვლენები, რომელნიც ასე აკნინებენ მის ცხოვრებას, მის საღს ბუნებასა და მის დაუშრეტელ ცხოვრების წყურვილს გასაქანს არ აძლევენ.

ეკ. გაბაშვილი ხედავს ახალი ცხოვრების დადგომას, ხედავს ძველი ცხოვრების დროგადასულობას, აკვირდება ადამიანს და რწმუნდება, რომ მას, განსაკუთრებით ქალს, ბედნიერებისათვისა და სიამოვნებისათვის შექმნილს, აუბედურებს საზოგადოებრივი ცხოვრების დრომოჭმული, მავნე პრაქტიკული ტრადიციები.

„რომანი დიდხევაში“ ეკ. გაბაშვილის შემოქმედებაში ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია. გლეხის სოსიკა მგელაძის ქალი მარო ჯან-ღონით, საღი გრძნობით, ბუნებრივი სიკეკლუცით აღსავსე ახალგაზრდა ქალია. მწერლის აღწერით, „მარო... მაღალი და წარმოსადეგი გოგო იყო. მის ხორბლის ფერს, გარდაშლილ პირის-სახეს ამშვენებდნენ ორი მაყვლისფერი თვალები, რომელნიც არასოდეს არ შეჩერდებოდნენ. ფონთო ცხვირი და მსხვილი ალისფერი ტუჩები ლაზათს აძლევდნენ, თუმცა მშვენიერს კი არა, მაგრამ სასიამოვნო და ცოცხალ სახეს. ყოველივე მიხვრა-მოხვრა მაროსი იყო მარჯვე, ყოველი იმის სიტყვა იყო ტკბილი და ცოცხალი. თავის ამხანაგ გოგოებში მარო, როგორც მარგალიტი, ისე ირჩეოდა. თამაში, ლხინი, არაკები ზამთარში და არიფანები ზაფხულში უმაროოთ არ შეიძლებოდა... მაროს ისეთი თვისება ჰქონდა, რომ რა წამს დაინახავდა მას, მტერიც კი მოყვარედ გადაექცეოდა“.

მაროს შეუყვარდა ახალგაზრდა ლამაზი, სათნოიანი, ჭკვიანი, ჯანიანი, კეთილი პავლე, ოსტატ ტასიას შვილი, ბატონის შვილთან მოჯამაგირედ ნამყოფი. მისმა ბატონის შვილმა გიორგიმ, როცა ის სასწავლებლად თბილისში წაიყვანეს, პავლეც თან გაიყოლია. პავლეს თბილისში ბატონის სახლში ცხოვრებამ თავისებური ბეჭედი დაასვა. ის ზრდილობიანი, მიმზიდველი, თავაზიანი, გაბედული ქცევით გამოირჩევა იმ სოფლის გლეხკაცებისაგან.

განსაკუთრებით მოურავ ივანიკასთან შებმამ, გლეხთა გამოსარჩლებამ, პავლე გმირად გადააქცია დიდხეველ გოგოების თვალში. განსაკუთრებით კი მაროს გული აინთო აქამდე უცნობი გრძნობით—სიყვარულით.

პავლეს გულმაც მალე იგრძნო მაროსადმი საპასუხო გრძნობა. სიყვარულის გრძნობა ოცდასამი წლის საღ პავლეს ბუნებაში მთელი სიმძლავრით გაუჯდა. ერთხელ, როდესაც ტასია შეყვარებულთ ალერსის მოულოდნელი მოწამე შეიქმნება, სიყვარულის გრძნობით შებოჭილი პავლე, დედას ასე გადაუხსნის თავის გულს: „დედავ, ნუ დამძრახავ, ღმერთმა ხომ იცის, მე ცუდი არა მიქნია რა. მარო მიყვარს და უიმისოდ

სიცოცხლე არ შემიძლიან... თუ მარო არ შევირთე, თავს მოვიკლავ“... ტასიას პასუხზე, რომ მარო მოყვრის ქალია და კანონით არ ერგება, „და, თუნდა კანონმაც ნება მისცეს, სოსიკა არ მისცემს მას ქალს, რადგანაც ის თავადიშვილის სახლშია ნამსახური და ასეთს ოჯახის შვილს ქალს არ მისცემსო“, პავლე გადაწყვეტით და დაჟინებით განუცხადებს დედას: „ერთი სიტყვით, ძალით იქნება თუ ნებით, მარო ჩემი უნდა გახდეს და ვინც წინ დამიდგება, მე იმას ვუჩვენებ სეირსა... ჩემი სულის ამოცლა კი შეიძლება და მაროს თავის დანებება კი არა“[4].

ასეთსავე ანთებულ საკირეს წარმოადგენს მაროს გულიც. ისიც მოურიდებლივ გადალახავს შეჩვეულ მორჩილებასა და ახალგაზრდის მორიდებასაც და მამას გულახდილად ეუბნება: „უარი რათ უნდა უთხრა. (პავლეს), მამა?.. თუ პავლეს ვერგები და მღვდელი ჯვარს დამწერს, მე იმის მეტს არავის შევირთავ. რა ვქნა, რომ ღარიბია, ერთ ლუკმა პურს როგორ ვერ ვიშოვნით?“[5]

ყველა დაითანხმეს. სოსიკაც, ტასიაც მოწადინებულია... საქმე უკვე საქმეზეა. პავლე გარდაიქმნა, დღესა და ღამეს აერთებს, მუშაობს, გატაცებით ემზადება მომავალი ბედნიერი ცხოვრებისათვის მაროსთან ერთად. ასეთია მწერალი ქალის შეხედულება: სიყვარულის გრძნობა ადამიანს გარდაქმნის, თავის თავს აპოვნინებს, მაგრამ, დახე უბედურებას. ისინი მძახლები არიან (მარო პავლეს დის მაზლის წულია), ამიტომ როგორც ნათესავები არ ერგებიან ერთმანეთს.

აი აბსურდამდე დაყვანილი კანონი! რა ნათესაობაა მათ შორის — დის მაზლის წული? მაგრამ შიო მღვდელმა სასტიკი უარი თქვა. გაწბილებულმა პავლემ და ტასიამ ვერას გზით ვერ მოახერხეს კანონი ეპოვათ, თავი დაეცვათ. „ბევრისაგან ბევრს ეცადნენ უბედურნი, — გადმოგვცემს ავტორი, — მაგრამ სულ ტყუილად. მოხუცებულ „მუჟიკ“ ტასიას სასამართლოებში არც კი უშვებდნენ. პავლემ რუსული არ იცოდა და ფული იმდენი არ ჰქონდა, რომ უენოთ გაეგებინებინა ჩინოვნიკებისათვის თავისი ამბავი და ეგზარხოსამდე არავინ მიუშვა“, ასე უმწეოდ იღუპებიან ცხოვრებით დატკბობისათვის გამზადებულნი მარო და პავლე.

აქ ეკატერინე გაბაშვილი გამოდის არა მარტო სოფლის დრომოჭმული ზნე-ჩვეულების წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე მართველობის, წყობისა, რომელიც ხალხისათვის, მდაბიო ხალხისათვის მიუწვდომელი და გაუკითხავი იყო, მწერალი სწორედ ამ შებორკილი ცხოვრების წინააღმდეგ არის ამხედრებული. მის უმსგავსობას, მიუღებლობას, ის რისხვით, ზიზღით, შეურიგებლობით აღწერს და მკითხველსაც ამ მიმართულებით ამოძრავებს.

---

[4] ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, რომანი დიდხევაში, რჩეული ნაწერები, 1932 წ., გვ. 39—40.

[5] ◦ ქ ვ ე. ˜ გვ. 50—51.

საზოგადოებრივი ცხოვრება ადამიანს ხუთავს, გასაქანს არ აძლევს არა მარტო გაყალბებული, აბსურდამდე დაყვანილი სარწმუნოებრივი ჩვეულებებით, არამედ სხვა მხარეებითაც. ცხოვრების მოუწესრიგებლობა ეკ. გაბაშვილს სტანჯავს, მოსვენებას უკარგავს, მისი შემოქმედებითი ყურადღება საზოგადოებრივი ცხოვრების ხან ერთ უბანზეა მიპყრობილი, ხან მეორეზე.

სიღარიბის გარდა, გლეხს მძიმედ ბორკავს წოდებრივი განსხვავებაც. წოდებრივი ტრადიციები დამტკიცებულია საზოგადოებაში და ადამიანს არ აძლევს ცხოვრებით დატკბობის შესაძლებლობას. თვით უმაღლესი გრძნობა ადამიანისა—სიყვარული, უძლურია დალეწოს წოდებრიობის ტრადიციით გამოჭედილი ბორკილი, იგი ადამიანს უხშობს ბედნიერების კარს.

მოთხრობაში „კონა“ ეკ. გაბაშვილი ამ სიმახინჯის წინააღმდეგაც მედგრად ილაშქრებს.

გლეხი პეტრე ახალკაცი სამი წლის განმავლობაში მოუსავლობის გამო, როგორც ბევრი სხვა მისი მეზობელი, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა, მას სამათხოვროდ გაუხდა საქმე. ვერ აიტანეს პეტრემ და მისმა ოჯახმა მათხოვრობა, თხოვნა, ხელის გაშვერა ესირცხვილებოდათ. უშრომლად ნაბოძები ლუკმა ყელზე ადგებოდათ. პეტრეს ურჩიეს ქართლში წასვლა, და იმანაც მიატანა სოფელ არაშენდას, აქ ძლივს მოითქვა იმან და მისმა ოჯახმა სული.

შიმშილითა და ნაკლებულობით შევიწროებულმა მართამ, პეტრეს ცოლმა, გადაწყვიტა თავისი უფროსი ქალი კონა იმავე სოფელში მცხოვრებ თავად თავბრუიძის ოჯახში მიეცა მოსამსახურედ, საბრალო დედამ პატარა ათი წლის კონას აუხსნა, რომ მას ძალიან სტანჯავს შვილის „სხვის ხელში ჩაგდება“, მაგრამ იფიქრა „შინ მშიერ ყოფნას, იქ მუცელი მაინც გაუძღება“. პატარა კონა, მწარე დღეს გამოვლილი, დამორჩილდა მშობლების გადაწყვეტილებას. ხედავდა, რომ სხვა გზა არ იყო.

ათი წლის პატარა კონა თავად სპირიდონ თავბრუიძის მეუღლის კნეინა ბარბარესა და მისი მოახლის იისახარის, მოსამსახურეთა მეხის, ხელში ჩავარდა. დიდი და პატარა, გოგო თუ ბიჭი, ბატონი თუ მოსამსახურე ყველა კონას უბრახუნებდა თავში: „კონა წყალი, კონა ცეცხლი, აქ წადი, იქ წადი“ გაისმოდა სამზარეულოდან დაწყებული ბატონის ოთახამდე. თუ კონა ბავშვების თამაშზე თავისი აკვნის ძირიდან (აკვნის ბავშვსაც ის უვლიდა) ბავშვურად გულით გაიხარებდა, იისახარი შეულრიალებდა: „ქა, რას ხარხარებ, შე წუწკო, განა შენც მაგათი ტოლი ხარ, შე აშარო!“ თუ ბავშვები კონას აწვალებდნენ, ჩქმეტდნენ, ქოჩორს აგლეჯდნენ, მას ტირილი არ შეეძლო. ბარბარე და იისახარი დიდად გაიოცებდნენ. „ქა, დამიხედეთ ნებიერს, ყმაწვილებმა ხელი უნდა გახლონ,

არც კი გიხარიან, შე გულშკვდარო, რომ ეს ბავშვები შენ გეთამაშებიან?!“

კონა წელში გაუშლელი მუშაობდა. დღესა და ღამეს ასწორებდა და მადლობის მაგივრად ისახრებოდა.

აი, ასე უდიერად ეპყრობოდნენ პატარა კონას თავად თავბრუეიძის ოჯახში. ისიც ითმენდა, სხვა გზა არა ჰქონდა!

კონას შემბრალებელი და იმედი ამ ჯოჯოხეთად ქცეულ სახლში იყო თავ. სპირიდონის უფროსი შვილი, პირველი ცოლისაგან — ლევანი, რომელიც დედინაცვალს, კნ. ბარბარეს, ათვალისწუნებული და შევიწროებული ჰყავდა.

შევიწროებულმა და დაბრიყვებულმა მდგომარეობამ დააახლოვა ეს ორი დაჩაგრული არსება. უპატრონო და უმართებულოდ შეურაცხყოფილი კონას ნუგეში ლევანი იყო. ისეც, უბედურების დროს, რაც დედინაცვლის წყალობით, მისთვისაც ძალიან ხშირი მოვლენა იყო, კონას მიმართავდა. კონას თანაგრძნობის ცრემლები ლევანს ამშვიდებდა, მის აღელვებულ გულს ასუბუქებდა.

აუტანელი იყო მათთვის ამ ოჯახში ცხოვრება. და მოთმინება დაკარგულთ, უკეთეს და ბედნიერ ცხოვრებას მოწყურებულთ, გადაწყვიტეს სახლიდან გაქცევა, გადაკარგვა ისე კი, რომ არავის სცოდნოდა, რომ კონა მოახლეა და ლევანი თავადის შვილი და ეცხოვრათ ერთად.

დიდი უშუალობითაა გადმოცემული მწერლის მიერ კონასა და ლევანის ურთიერთ დაახლოების ამბავი, მათი ურთიერთ გრძნობა, რომელიც თანდათანობით ბუნებრივად იზრდება და ბედნიერების სხივს ჩაუშვებს მათ გარემოებით დაჩრდილულ გულში. ესაა ის სიყვარულის გრძნობა, რომელიც მწერლის შეხედულებით და გაგებით უდიდესი მოვლენაა ადამიანში, მაგრამ დაახლოებულნი ერთმანეთს არც კი უმხელენ თავიანთ გრძნობას, თითქოს ეშინიათ სიტყვამ არ შელახოს მათი ეს დიდებული განცდა.

ლევანისადმი გრძნობა კონას გადააწყვეტინებს გაიქცეს ლევანთან ერთად. გაიპარებიან კიდეც ქალაქისაკენ კეთილი მეგობრის, იდეური ახალგაზრდის ალექსანდრე გოგორაშვილის იმედით, მაგრამ ხანგრძლივი არ არის მათი ბედნიერება. სპირიდონ თავბრუეიძე სადგურზე შეინიშნავს მათ, ლევანი გაექცევა, ხოლო კონას შეკრულს ტარანტასით მოიყვანს სახლში, სადაც აუწერელი ველურობით მოეპყრობიან მას. განსაკუთრებით ყასპის ქალი კნეინა ბარბარე, რომელიც ფეხით შესდგება შეკრულ კონას და განუკითხავად სცემს. ბარბარე შეძრწუნებული იყო იმით, რომ მოსამსახურე, გლეხის გოგო შეიძლება კნეინა გამხდარიყო.

მწარე და უდიერი დაცინვით უღელვებდნენ კონას გრძნობასა და გონებას: „ო, რა კარგად მოუხდებოდა კნეინობა ახალკაცის გომბიოსა!

იქნება დედაშემა დაგარიგა, აგრე მარდად მოქცეულიყავ? და სიკეთის მაგივრად, რომ მშიერი გაგაძღეთ, წინიდან მოსათხრელი თვალები უკანიდამ დაგეთხარა.

— საშინლად დაშვენდებოდა ტახტზე ჯდომა ლანჩა-შეხეულს და გამურულ კონას! რა რძალი დაგიმშვენებდა, კნეინა, გვერდს, თითით საჩვენებელი კი იქნებოდა! მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე, მეხი! შე წუწკო, კაცმა რომ შემოგხედოს, მჭადში ნახშირს ვერ გამოარჩევ და მაგდენი კუდიანობა კი შეიძელი.

— აი გახმეს ეს გოგრა, რომ შენისთანა გომბიოები ვერ გაქალბატონდნენ — და ორთავე ხელებით თავში ჩაჰკრა ბარბარემ კონას... შენ გინდოდა გაგეჩირქიანებინა ჩვენი ოჯახი, შენ გინდოდა პატიოსანი თავადიშვილი დაგეღუპა“...[6]

ბარბარე რა თქმა უნდა, თავის გერზე, ლევანზე კი არა წუხს, არამედ იმაზე, რომ კონა — „გლეხის გომბიო“ გაქალბატონდებოდა. ეს მიაჩნდა მას და მის ერთგულ იისახარს შეუძლებლად, დაუშვებლად, შემაძრწუნებლად.

ამგვარმა უსამართლო დაცინვამ, მოპყრობამ, ცილისწამებამ სრულიად შეუცვალა კონას ხასიათი. კნ. ბარბარესი და იისახარის ახალ-ახალმა, თავმოყვარეობის დამამცირებელმა მოქმედებამ და დაცინვამ კონა უკიდურესობამდე მიიყვანა, ცხოვრება გაუმწარა, შეაძულა და შურისძიება გადააწყვეტინა. ამ მიზნით კონამ უბეში მაგრად შეინახა ლევანის პირველი საჩუქარი — ჯიბის დანა და მოიკრიფა უკანასკნელი ძალა შურისძიების შესასრულებლად. ცდაც დიდი ხანი არ დასჭირდა. ერთხელ კონამ ბარბარეს ძვირფასი შალი დაწვა უთოთი. ბარბარე გააფთრდა, „მოჰგლიჯა კონას თავშალი და ქოჩრის წიწკნა დაუწყო: „აი შე წუწკო, შენა. აბა ახლა გიშველოს, აბა ახლა მოგიტაცოს შენმა კნიაზმა, აბა გაგანთავისუფლოს!“ და თან ლუკმა-ლუკმა აგლეჯდა ხორცებს“. კონაც აღელდა, ათრთოლდა. ბარბარეს ხელიდან გაუსხლტა, ცოფიანივით დორბლი გასდიოდა პირიდგან, თვალები წინ წამოუცვივდა, ყელში ხრიალი დაიწყო და თვალის დახამხამებამდის თავისი დანა ბარბარეს გულში ჩაარჭო“. იქვე დაბარბაცდა და უგრძნობლად ბარბარეს ფეხთით დაეცა.

სწორედ ამ მოშენტში შემოდის კონას დედა მართა ძღვნით — სავსე ხურჯინით. ის მოვიდა ქალის გასათავისუფლებლად. „ძლივს ეღირსა, — მოგვითხრობს მწერალი, — თავისი გულითადი აზრის ასრულებას. მოვიდა ქალის გასანთავისუფლებლად და დაინახა, რომ განთავისუფლებამ დაასწრო, განთავისუფლებამ საზარელმა, მაგრამ ნამდვილმა და საუკუნომ“...

---

[6] ეძ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, კონა, გვ. 99.

დიდია ემოცია, თანაგრძნობა, სიმახვილე, ექსპრესია, რომლითაც მწერალი ავითარებს „უბედურთა“ ცხოვრებას, მათ ამ ცხოვრებასთან ანგარიშის გასწორების გადაწყვეტილებას. კონასადმი თანაგრძნობით ივსება მკითხველის გული.

რაღაც მწარე, დაუნდობელ დაცინვასავით ისმის მოთხრობის დაბოლოებაში მწერლის გადმოცემა: „ლევანი გიმნაზიაში სწავლობს და იმედი აქვს უმაღლესი სწავლაც მიიღოს. ამის შრომით სავსე სიცოცხლეს ძლიერ ხშირად ამღვრევს ის აზრი, რომ ამხანაგს უმტყუნა და სათნო კონა უმეცრების მსხვერპლად გახადა“.

ლევანში მოჩანს ის უხერხემლო მოდუნებული ტიპი, რომელიც ფეოდალური ყოფის რღვევაში, ახალი ცხოვრების მოახლოების რიჟრაჟზე გაჩნდა თავადაზნაურთა წრეში და რომელნიც კეთილი სურვილების, კეთილგანწყობილი დუღილის იქით ვერ მიდიოდნენ. სიტყვა და საქმე ერთმანეთს ვერ უკავშირდებოდა. ეკ. გაბაშვილი ამათაც არ უყურებს სრული თანაგრძნობით, თუმცა კი მათ ერთგვარი სითბოთი მაინც ხატავს.

არამც თუ წოდებრივი განსხვავება, არამედ ამ მოუწყობელ ცხოვრებაში, განსაკუთრებით ახალ კაპიტალიზირებულ პირობებში, სადაც ფულის ტრიალმა მძლავრი ბეჭედი დაასვა ცხოვრებას, საზოგადოების ახალი, უფრო რთული დიფერენციაციაც ხდება. თვით შიგნით, გლეხთა შორის შეიქმნა მოწინააღმდეგე ფენები. გლეხთა შორისაც გაჩნდა შეძლებული და ღარიბი და მათ შორის არსებული ეკონომიური უთანასწორობა ისეთსავე უკუღმართ შედეგებს იწვევდა, როგორსაც წოდებრივი უთანასწორობა.

ახალი ცხოვრების ამ უკუღმართი მოვლენის წინააღმდეგაც ეკ. გაბაშვილი დამახასიათებელი სიმკაცრითაა ამხედრებული, რაც გამოხატა მოთხრობაში „ორენა და ქუჩე“.

სოფ. ვარდისუბანში შეძლებული გლეხის გოგიას „მაღალი, კოპწია მაისის ვარდივით გადაშლილი ლოყა-ტუჩებით“ ქალს ქუჩეს მოსწონს ერთი, სხვა მხრიდან გადმოვარდნილი, სხვისი მოჯამაგირე თედო, „ბიჭი ლომი, მხარ-ბეჭ გადაჭიმული, ახლად ულვაშ აყვავებული“, ჩოხა-ახალუხითა და წუღა-საცვლებით ლაზათიანად გაწყობილი. თედო მთელ თავის ჯამაგირს თავის მორთვას ანდომებდა, ამიტომ დღემდე თავის ბედობაზე გროში არსად გააჩნდა. ამასთან ერთად საშინელი ყბედი ლაზღანდარა იყო, რისთვისაც მას სოფელში ორენა დაარქვეს.

ამ ორ საღს არსებას მალე შეუყვარდებათ ერთმანეთი და გამიჯნურდებიან. მაგრამ განა საზოგადოება (თუნდაც სოფლის საზოგადოება), დახავსებული და დრომოჭმული ტრადიციებით შებორკილი, გასაქანს მისცემს უანგარო, ბედნიერების აღმთქმელ სიყვარულის გრძნობას გაიშალოს, გაიზარდოს და ბედნიერებით დატკბოს შეყვარებულნი!

ქუჩე ხომ პირველი საპატარძლოა სოფელში შეძლებით, ოჯახის შვილობით, თედო კი—მოჯამაგირე! „მდიდარი გლეხის ამაყობისათვის,—მწარედ შენიშნავს მწერალი,—ეს შეუძლებელი იყო და ამისათვის თითქმის ყურს არც კი უგდებდნენ იმათ დაახლოებას და სიცილად არა ჰყოფნიდათ თედოს მიჯნურობა“.

ქუჩესა და თედოს (ორენას) გრძნობა დაუძლეველი გამოდგა. მათმა გრძნობამ გადალახა ყოველი დაბრკოლება, ისინი დაახლოვდნენ. მაგრამ ულმობელია ტრადიციაც, შეუბრალებელია დამრღვევლისადმი, იგი ამოქმედდა ქუჩეს წინააღმდეგ. ქალი ხომ დაბალი ღობე იყო იმ საზოგადოებაში! მშობელი შვილის, განსაკუთრებით ქალის, ბედ-იღბალის ბატონ-პატრონია. ქუჩეს მშობლებმაც, სოფელში გავარდნილი ხმა რომ ჩაეჩუმებინათ, ქუჩე სახლში დაამწყვდიეს და მალეც ერთ ქვრივს, ოთხი შვილის მამას, კარგა ჭაღარა შერთულ 50 წლის კაცს ქალის დაუკითხავად მიათხოვეს. ეს კაცი შვილების მოვლაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე სიყვარულსა და რაიმე გრძნობაზე ქუჩესადმი.

ჯოჯოხეთი უნდა ყოფილიყო ქუჩესათვის ცხოვრება კაცთან, რომელიც მას არ უყვარდა, არ შეეფერებოდა, განსაკუთრებით განცდილი ტრაგედიის შემდეგ. მაგრამ რა გზა აქვს ქალს! უნდა დამორჩილდეს და ისიც მზადაა... მალე ქმარი შეატყობს ქუჩეს „შეცოდებას“, შეაკვრევინებს მზითევს უკლებლად, დაალაგებს ურემზე, ზედ ქუჩეს დასვამს და მაისის ერთს საღამოს ბინდისას ქუჩეს მშობლებს უკანვე ჩააბარებს და საჩქაროდ გაბრუნდება. „გოგია და ნინო გაოცებული, პირდაღებული იდგნენ... ქუჩე ბოძთანვე ჩაჯდა, თვალებზე ხელი მიიფარა და მოჰყვა მწარე ქვითქვითს. იმისმა ტირილმა გამოიყვანა დედ-მამა ფიქრისაგან და ორთავენი ერთად მხეცებივით დაეტაკნენ ქუჩეს. როგორ? შემრცხვენელი და თავლაფდამსხმელი ქალი უკანვე დაუბრუნდა! რა უნდა ეთქვათ ქვეყნისათვის და რა პირით უნდა შეეხედათ მეზობლებისათვის? გაცოფებულნი ამგვარი დამცირებით, ისინი შეუბრალებლივ ტანჯავდნენ ქუჩეს. პირი, ხელი, ნაწნავები, ერთი სიტყვით რაც კი ხელქვეშ მოხვდებოდათ, შეუბრალებლივ იბღვნებოდა“[7].

ქუჩეს მშობლებისათვის მთავარი შვილის მდგომარეობის გაგება, მისი გამოსწორება, კეთილად მიმართვა კი არ არის, არამედ — „რა უნდა ეთქვათ ქვეყნისათვის და რა პირით უნდა შეეხედათ მეზობლებისათვის?“ ეკ. გაბაშვილი სწორედ ამ დამღუპველი, ყოვლის შემძლებელი ტრადიციის არსებობითაა ასე აღელვებული. ამიტომაა, რომ ის არ ინდობს არც მშობლებს და არც მეზობლებს.

აღწერს რა მშობლების ასეთ გულქვაობას, ტრადიციით დაბრმავებას, მწერალი ახლა მეზობლებზე გადადის. მათ გულგრილობას, შეუბ-

---

[7] ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ორენა და ქუჩე, ტ. I, გვ. 114.

რალებლობას, უადამიანობასაც აღშფოთებით ხდის ფარდას: „დიდი და პატარა ცდილობდა ნუგეში ეცა დედმამისათვის და ვაგლახი გადაეყარა უბედური შვილისათვის. ერთ კაცს ფიქრად არ მოსვლია ის ადამიანური აზრი, რომ მიეხედნათ პირ მუცელ მომდგარ ქალისათვის და შემწეობა მიეცათ რამე"[8].

ბოსელში, სიბნელეში, ნოტიოში, ხბორებსა და მოზვრებს შორის დამწყვდეული ქუჩე გონს რომ მოვიდა, გაოცებულმა ყური დაუგდო და „სივაგლახით გაიგონა, რომ დიდი და პატარა საქოლავს უგებდა მას. არც ერთი მოსარჩლე, არც ერთი ნუგეშის მცემელი მთელ სოფელში არავინა ჰყავს, ის უნუგეშოდ მიწას დაასკდა და ცხვირპირიდან სისხლი წასკდა"[9].

სულიერი ღელვით გაწამებულმა, სამი დღის შიმშილობით, მშობლების ასეთი უდიერი ფიზიკური და მორალური მოპყრობით დაქანცულმა ქუჩემ განთიადისას იგრძნო საშინელი, ტკივილები: „მთელ იმის გვამში ჯოჯოხეთი აღიგზნა და ცეცხლს უკიდებდა". საშინელ, გამოუთქმელ ტანჯვას გრძნობდა ქუჩე, სიკვდილს ნატრობდა, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა. გული წაუვიდა, როდესაც გონზე მოვიდა, მის „გვერდით ეგდო პაწაწინა გალურჯებული ქმნილება და საცოდავად კნაოდა". მასში იღვიძებს საღი დედური გრძნობა. „ის გიჟივით დააფრინდა პატარას, საჩქაროდ მიიკრა გულზედ, ალერსით დაეკონა". მაგრამ უცბად იგი მოიცვა შიშმა საზოგადოების აზრის წინაშე. ამ შიშმა დასძლია „და ისევ საჩქაროდ დაახეთქა ბავშვი ზღვეებზედ. ბავშვმა ერთი კი დაიკნავლა და საუკუნოდ გაჩუმდა".

ეს შეუმჩნეველი არ დარჩა სოფელს. ქუჩეც მძიმე ვალდმყოფი შეიქმნა, სამი კვირა მისი სიცოცხლე ძაფზე ეკიდა. ქუჩეს მშობლებმა, როდესაც შვილის ასეთი უზომო ტანჯვა და მისი საშინელი შედეგები დაინახეს, როდესაც დარწმუნდნენ რა ტანჯვის გოლგოთაზე აიყვანეს მათ თავიანთი შვილი, მხოლოდ მაშინ იგრძნეს, რომ ისინი და ისევ ისინი იყვნენ მიზეზნი თავიანთი შვილის დაღუპვისა და „თუ ამათი უზომო ამაყობა არა, ქუჩე იქნებოდა ბედნიერი და რიგიანი დედაკაცი".

ეკ. გაბაშვილი არ კმაყოფილდება მოუწესრიგებელი ცხოვრების ამ მხარის გაკიცხვით. მას ეს ცხოვრება თავისი საზოგადოებრივი ყოფით არ აკმაყოფილებს. როგორც მძიმე ბორკილს, ისე განიცდის მის სიმძიმეს, სარგებლობს მშვენიერი შემთხვევით და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეების გაკიცხვაზეც გადადის.

ცნობილია, ადვილი არ არის ამ ცხოვრებაში დასხლეტილი ფეხის შეკავება. ქუჩეს არ აკმარეს ოჯახში მიყენებული უბედურება. „კანონ-

---

[8] ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ორენა და ქუჩე, ტ. I, გვ. 114.
[9] ი ქ ვ ე, 115.

ნიერების“ დამცველის როლს ახლა სასამართლო იღებს და ქუჩეს წამება როგორც ფიზიკური, ისე ზნეობრივი გრძელდება.

სასამართლო, მოსამართლენი გულციობით, შეუბრალებლობით მწერლის მიერ აღშფოთებითა და ზიზღითაა გამათრახებული. მშვენივრადაა მოცემული ტრაფარეტული და უშინაარსო კითხვები მოსამართლეთა:

— „არა, სუყველაფერი უნდა სწორედა სთქვათ“.

ასეთ კითხვაზე დემონურად, გულის შემზარავად, ტვინის ამრევად მოისმის ქუჩეს პასუხი: „მე მოვკალ ბავშვი! ამაზე მეტს ვერას ვიტყვი და არცარა მაქვს რა სათქმელი, ჩამომახრჩეთ, გევედრებით ჩამომახრჩეთ“.

ეკ. გაბაშვილი თავს ვერ იკავებს, რომ თავის მხრითაც ყველაფერს ამას ზიზღი არ დაუმატოს. ერთხელ კიდევ ამ უმანკო ცხოვრების დასრულებამდე არ შეაფურთხოს ველურ წესებს და აღშფოთებული გადმოგვცემს: „მოწმეებმა ყველამ დაამტკიცეს, რომ ქუჩემ დედამიწას დაახეთქა თავისი შვილი და იმით მოჰკლაო. იმაზედ, თუ რამ მიიყვანა აქამდის, რასაკვირველია, ხმა არავის ამოუღია“.

ასეთი ლირიკული ადგილები ავტორის შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი სტილიური ნიშანია.

ვიღას ან რად უნდა ქუჩეს მშობლების გადარეულსავით თბილისში გაცვივნა, მათი ცდა შვილის დახსნისათვის, როცა ქუჩე იქ გადაიყვანეს. „მართლ-მსაჯულება, — შხამიანად იცინის მწერალი, — შეუსყიდველია და ქუჩეს ათის წლით ციმბირი გადაუწყვიტეს“.

ეკ. გაბაშვილი სარგებლობს მშვენიერი თემით, გარემოებით და საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწესრიგებლობისა და მისი ვერაგობის წინააღმდეგ მხედრდება. ის თავის, უდავოდ ნიჭიერ პამფლეტს ასეთს დასასრულს აძლევს: „სასამართლოს დარბაზი სრულიად ცარიელი იყო, სულ ათი კაცი არ დასწრებია ამ საქმის გარჩევას. აბა რა ღირსსაცნობი იყო საწყალი გლეხის გოგოს ამბავი? ქუჩე რომ დიდი ოჯახის ასული ყოფილიყო, მაშინ ადვოკატები მეჭევრმეტყველებაში ივარჯიშებდნენ. მაშინ სასამართლო ბევრს შემამსუბუქებელ საშუალებას მიიღებდა მხედველობაში. ეხლა კი გოგიამ ვიღაცა საეჭვო პატიოსნების „ადუკანტი“ მოიწვია, რომელიც სასამართლოს წინ თრთოდა, გამართლების მაგივრად, თავის მომწვევლებისათვის შებრალებას თხოულობდა. შებრალებას! შებრალებას იქიდან, სადაც კაცის გული გაქვავებულია და სადაც სხვისი ჭირი მხოლოდ გამართობელი საგანია!“

მწერალს უნდა ბოლომდე გამოარკვიოს საზოგადოებისა და ქუჩეს ურთიერთობა, საზოგადოებრივი ცხოვრების მიუღებლობა. იგი თბილი, აღელვებული გულით ქუჩეს დასტრიალებს, მის მოძრაობას გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს და მისი უპირატესობის შეგნებით

ღრმა გულისტკივილიანი დაკმაყოფილებით ამბობს: ქუჩემ „იმ დღეს მარტო ორჯერ აიხედა მაღლა: ერთი მაშინ, როდესაც გადაწყვეტილებაზე გოგიამ და ნინომ ტირილი მორთეს,—და საშინელი იყო ეს გადახედვა. ამ გადახედვაში და მწარე ღიმილში გამოცხადდა სრული სიძულვილი და ზიზღი იმის ამ დღემდის მიმყვანთა ცრემლების უალაგობაზე და მეორე მაშინ, როდესაც ის ორ ხიშტიან სალდათს ჩამოჰყავდათ სასამართლოს კიბეზე: იქ კუნჭულში იდგა გაყვითლებული, დაგლეჯილის ტანისამოსით ცალხელა ყმაწვილი ბიჭი და ხელგაშლილი მოწყალებას თხოულობდა. ქუჩეს გააჟრჟოლა. ის ერთის წამით შედგა, უნუგეშოდ თავი გაიქნია, ეხლა კი ცრემლები ვეღარ შეიმაგრა“... ეს გახლდათ იმავე ხალხის წყალობით განწირული, უწინ სილამაზით, სიცოცხლით სავსე, ახლა დამახინჯებული თედო—ორენა.

დიახ, ასეთია საზოგადოებრივი ცხოვრება! ასე უაზროდ ამახინჯებს ადამიანს ცხოვრება. ზიზღი მას! ისმის მწერლის ამ ნაწარმოებიდან.

განა ჯანღონით, საღი გრძნობით, ცხოვრების წყურვილით სავსე „გონიერი, ტკბილი დარბაისელი გოგო“ ბაბოც ასეთივე მსხვერპლი არ შეიქმნა სოფლის ცხოვრების ტრადიციისა? უფროსის, მშობლების სურვილი წყვეტს შვილის, უმცროსის, უფრო კი ქალის ბედს, გათხოვება-დაოჯახებაში. ჯერ უფროსმა უნდა შეირთოს ცოლი, ან უფროსი და უნდა გათხოვდეს და შემდეგ უმცროსი. სიყვარულის გრძნობამ ჯიბოსადმი მუდამ ჟამს შუბლშეკრული, გულჩათხრობილი ბაბო სრულიად გამოსცვალა. უშუალო, მძლავრმა სიყვარულის გრძნობამ ბედნიერების ცეცხლით აანთო ჯიბო და მონატრებული ეშხით აღაგზნო ბაბო. თვითონ გურგენაული ბაბო, ამ გრძნობის გამო შეჩვენების შემდეგ, რამდენიმე წლის შემდეგ, ასე ახასიათებს თავის გრძნობას ჯიბოსადმი: „ჩემი გრძნობა ძლიერი და წმინდა იყო; მე მიყვარდა ჯიბო, ისე როგორც მეორე ღმერთი, უმეტესად დედისა, უმეტესად სიცოცხლისა, უმეტესად მზის სინათლისა, უმეტესად იმ მომავლის ტკბილის ცხოვრებისა, რომელსაც შენ ასე გატაცებით მიხატავდი ხოლმე შენის ნაამბობით და რა ვიცოდი, თუ ამ გვარი სიყვარული, ამ გვარი ძლიერი გრძნობა გმობა იყო ღვთისაცა და კაცისაც“.

ასეთია მწერალი ქალის გაგება სიყვარულის გრძნობისა, როგორც ყოველშემძლებისა და ადამიანის გამკაცებელი, უსაჭიროესი წყაროსი. ამიტომაა, რომ ამ გრძნობის მორევში სიტკბოებას მოწყურებული კაცი განცდით თავდავიწყებით მიექანება, ამიტომაა რომ ამ გრძნობაზე ადამიანი ხშირად ვერა ბატონდება.

მაგრამ სოფლის ტრადიცია ძლიერია. ვერც მას გაუწევს გამოუცდელი გლეხის ქალი წინააღმდეგობას. ჩვეულებამ, უფროსის „უფლებამ“ ბაბო ჯიბოს უფროს ძმას დაუსაკუთრა. ჯიბო იძულებული გახდა გასცლოდა. ბაბოც დაემორჩილა ბედს, მაქსიმეს უფლება მიიღო, შეე-

ცადა თავის მოვალეობის აღსრულებას, თავისი გრძნობის დამორჩილება-ჩაკვლას. მაგრამ ბაბომ ვერ შესძლო ამ ვალდებულების სრულად შესრულება. მან ვერ მისცა მაქსიმეს, თავის „კანონიერ“ ქმარს, ბედნიერება: „ერთში ყოვლად უღონო ვიყავი, — ეუბნება ბაბო ავტორს, — დამემორჩილებინა ჩემი თავი, ვერ შევიძელ მაქსიმესათვის ალერსი დამეწყო და იმის მხურვალე სიყვარულზე პასუხი გამეცა; მე, როგორც უსულო გვამი, ისე ვიყავი იმის ხელში და ეს გარემოება იმას აშფოთებდა, აღელვებდა, თითქმის ცოფიანობამდე მიჰყავდა“.

ბაბოს ასეთმა მდგომარეობამ ოსიაანთ მთელი ოჯახი დაღუპვამდე მიიყვანა. მაქსიმე თავის გრძნობის პასუხს ბაბოსაგან დაჟინებით თხოულობდა. ამ მომენტში დაუკმაყოფილებელი მაქსიმე ბაბოს საშინელ მორალურსა და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა. ერთ ამისთანა შომენტში ჯიბო ვეღარ მოითმენს ბაბოს ამგვარ წვალებას, და როცა გაცოფებული მაქსიმე ბაბოს უდიერად სტანჯავდა, დაჰკრავს თავის ძმას მაქსიმეს ჯოხს თავში და მოჰკლავს.

ჯიბოს ციმბირში გადაასახლებენ, მათი დედა თინა ჭკუაზე შეიშლება. ამ ამბით თავზარდაცემული, სოფლის გაკიცხვის შიშით აღგზნებული ბაბო გავარდება; არ იცის, სად წავიდეს. უბედურების მეორე დღეს მგზავრებმა გზის პირად იპოვეს ბაბო და დედასთან მიიტანეს. მძიმე და ხანგრძლივმა ავადმყოფობამ იხსნა ბაბო დაღუპვისაგან. „ექვსი კვირა ვებრძოდი სიკვდილს, — მოუთხრობს ბაბო ავტორს, — და მერე გამოვბრუნდი. რისთვის? დაილოცა, ღმერთო შენი სამართალი! რად მინდოდა შერცხვენილი სიცოცხლე, ლუკმა-ლუკმად ქცეული გული, გამოშტერებული გონება?“ ვეღარ დაენახვებოდა ბაბო ამ ცივ, უსამართლო სოფელს, რომელიც სჯის თავის წევრს ისე, რომ „დამნაშავის“ გულში არ ჩაიხედავს. ბაბომ ამჯობინა წასულიყო სოფლიდან და თავი ცოცხლად დაემარხა მცხეთის ქალთა მონასტერში. აი, ასეთია სოფელი თავისი ცხოვრების პირობით, ცხოვრების ეს პირობაა, რომ ასე ავიწროებს ადამიანს, განსაკუთრებით ქალს. ამ შევიწროებას მტკივნეულად გრძნობს ჩვენი პოეტი ქალიც და მის წინააღმდეგ ამხედრებული მთელი შეგნებით იბრძვის.

ასეთია გლეხი ქალის უფლებააყრილი მდგომარეობა. ის ცხოვრებაში შეჩერებული ნდომით დადის, სოფლისაგან შეუბრალებელი, ყველას ბრძანების აღმასრულებელი.

5

მაგრამ გლეხთა და გლეხი ქალის მდგომარეობა ეკ. გაბაშვილის პოეტური ხედვისა და დაკვირვების მხოლოდ ერთი უბანია. ეს მისი შემოქმედების, თუმცა ძირითადი მაგრამ მაინც ერთი თემაა.

ეკატ. გაბაშვილმა მშვენივრად იცის არა მარტო გლეხისა და გლეხი ქალის ავკარგი, სიხარული და უბედურება, სიამოვნება და უკმაყოფილება, მისთვის ძალიან ახლოა და კარგად ნაცნობი აგრეთვე თავადაზნაურთა, პრივილეგიური კლასის დარღვეული, ბურჟუაზიული გემოვნებითა და მოთხოვნილებებით შეკიწროებული ცხოვრება.

ამ წრეშიც ეკ. გაბაშვილს პირველ რიგში აინტერესებს ქალის მდგომარეობა. მწერალი ქალი, როგორც ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებათა შემგრძნობი, კარგად ითვალისწინებს საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზის მნიშვნელობასა და საჭიროებას ქალისათვისაც. მან კარგად იცის, რომ საზოგადოებრივი სარბიელი, აქტიური მოქმედება მასზე, ადამიანთა შეგნებულ ურთიერთობაში მუშაობა, ამახვილებს ადამიანის ნიჭს, უნარსა და საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებას. ქალსაც წყურია შეგნებული მუშაობა, შეგნებული ცხოვრება. ისიც კაცია და უნდა კაცური ცხოვრება. „ჩემის აზრით,—წერს ეკატ. გაბაშვილი, — დედაკაცს ერის გამობრუნებაში უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს“.

ეკ. გაბაშვილი გამუდმებით ენერგიულად თხოულობს მისცენ ქალს სამოღვაწეო ასპარეზზე თავისი ნიჭისა და უნარის გამომჟღავნების შესაძლებლობა. ის თავისუფალი და სრულუფლებიანი წევრი უნდა იყოს საზოგადოებისა საზოგადოებრივი საქმეების სარბიელზე. მაგრამ ეკ. გაბაშვილის შეხედულებით, ეს თავისუფლება და სწორუფლებიანობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ქალმა თავისი ქალური თავისებურება, დედური მოვალეობა დაკარგოს. არა, მან ეს, როგორც თავისი უპირატესობა, უნდა შეინახოს და თავისუფლად გაშალოს. პოეტი ენერგიულად იბრძვის, რომ ოჯახი ციხე კი არ იყოს და ქალი ტყვე, არამედ თავისუფალი კერა, რომელიც ქალის ნიჭსაც გააღვიძებს, შეავსებს და მეტი ნაყოფიერებით აამუშავებს. „დედაკაცი ხომ ოჯახის კეთილ განწყობილების ნიადაგია! და, ვაშასადამე, მხოლოდ იგივე დედაკაცია მომავლის შთამომავლობის დამბადებელი, აღმზრდელი და სულის ჩამდგმელი. ქალი გრძნობა გამახვილებული არსებაა. მალე შეიგნებს, რაშია იმისი დანიშნულება, იმისი მოწოდება, და თუ საერთო ღონით ეს მოვახერხეთ როგორმე, ჩვენს დაქცეულს ოჯახს, ჩვენს დარღვეულს ერთობას, ჩვენი ბუნების ჩანელებული დედაკაცი ნამდვილ დედაბოძად შეედგმის და ჩაქრობილ კერას კვლავ აგვიბოლებს, აგვინთებს“.

ქალის მიმართ, მწერლის შეხედულებით, საზოგადოება საშინელ სიბეცესა და უსამართლობას იჩენს. სინამდვილეში დედაკაცი მონაა. შის ნიჭს აქრობენ, მას გასაქანს არ აძლევენ, „ფრთებს აგლეჯენ“. ახალი ცხოვრების პირობების ქალი დრომოჭმული ტრადიციებით უნდათ აცხოვრონ.

ავიღოთ სცენა „ფრთებ დაგლეჯილი“.

ახალგაზრდა, ნასწავლი ქალი ქეთო გატაცებულია სცენით, მწერლობით. ჟურნალის მორიგი ნომრისათვის ამზადებს დაკვეთილ მოთხრობას. მოღვაწეობის ეს სარბიელი მას იზიდავს. ამ გატაცების გამო ქეთო საოჯახო ზოგიერთი წვრილმანის შესრულებას ვეღარ ასწრებს და არც მიაჩნია საჭიროდ. ქეთოს მეტად აღელვებს ოჯახის წევრების მისდამი უხეში დამოკიდებულება, ქმრის ყვედრება: „მე და შენ ერთი ვართ? მაშ სამსახურში რომ დავდივარ, ხუთ-ექვს საათს ორად მოკაკული რომ ვზივარ და ვწერ, ოცში რომ შრიალ-შრიალით ახალ-ახალ ასიგნაციებს დაგითვლი ხოლმე, ამას პატივისცემა არ უნდა?“

ასეთივეა მოსამსახურე ქალის მელანიას ველური მოპყრობა ქეთოს ხელნაწერებისადმი, საჟურნალოდ გამზადებული სტატიით ბუხრის მოკიდება, და განსაკუთრებით დედამთილის უტაქტო, შეურაცხმყოფელი მოქცევა და სურვილი ჩაახრჩოს ქეთო ოჯახის ვიწრო ჩარჩოებში. „ვის გაუგონია, გენაცვალე, გათხოვილი ქალი და გაზეთები; წერილები“, საყვედურით ეუბნება ქეთოს გაოცებული დედამთილი, როცა ის ჟურნალის რედაქტორს ელაპარაკებოდა ჟურნალისათვის წერილის დამზადების შესახებ. ამ პირობებში, ავტორის შეხედულებით, „დედაკაცი, მართლაც, რომ მონაა, მონა ხელ-ფეხ შეკრული, უგზო, უკვალო, უმწეო“.

რედაქტორი გაკვირვებულია ქეთოსადმი ოჯახის წევრების ასეთი ბარბაროსული მოპყრობით და აღშფოთებული მიმართავს მას: „თქვენ მოვალე ხართ, როგორც შეგნებული და ნიჭიერი არსება, თავი დაახწიოთ ოჯახურ რუტინას და მთლად ემსახუროთ საზოგადოებას“. ამის საპასუხოდ ქეთო შემდეგს ეუბნება რედაქტორს: „მეც ბევრჯელ მომსვლია ეგ ფიქრი თავში, მაგრამ ძალა სად არის? ძალა და რა ძალა? ძალა ისეთი, რომელმაც უნდა დაანგრიოს რჯულად ქცეული წყობილობა, შექმნას ახალი გზა, გადაიტანოს დეენა ულმობელი, შეურაცხყოფა დაუსრულებელი... მაგრამ ყველაზე უდიდესი, თითქმის გარდაუვალი საფეხური ამ შემთხვევაში შვილებია. იმათ მომავალზე ხელის აღება... მე კი მგონია, ადამიანები ბოროტნი და შურიანნი რომ არ იყვნენ, შეიძლება ოჯახის მოვლაც და საზოგადო საქმეც შეეერთებინა დედაკაცს; აქ მხოლოდ საჭირო იქნებოდა ცოტაოდენი დათმობა, პატივისცემა“...

ეს თითქოს მწერლის გულის სიღრმიდან ამოხეთქილი აღსარებაა. ამისთვის იბრძვის ის, ამ საქმის თანაზიარს დიდი გატაცებით უძახის. „ფრთებ დაგლეჯილი“, ეპვს გარეშეა, ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხრობაა, რაც ხალხოსანი მწერლებისათვის, როგორც დავინახეთ, დამახასიათებელია.

ქეთოს ასეთი მდგომარეობის, ცხოვრების მეტად მახინჯი პირო-

ბების გამო, ქალის ხასიათი, მიმართულება სულ მთლად მახინჯდება. დიდია განსაცდელი, რომ ქალი ყალბ მდგომარეობას არ მიეჩვიოს, რადგანაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში კაცი ცდილობს დედაკაცში თანასწორი მეგობარი კი არ მონახოს, არამედ დიასახლისი, შემსრულებელი მისი კაპრიზებისა, შემქმნელი მყუდრო კერისა, დაბეჩავებული, მონად გამხდარი მახინჯი ტრადიციებისა. ამიტომაა, რომ ოჯახი იშვიათად არის ბედნიერი, სრული, და ამაში ქალი კი არ არის დამნაშავე, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრება და მასში უმთავრესად მამაკაცი.

სრულიად ბუნებრივია, რომ ქალი ასეთს პირობებში მახინჯდება, მას ხასიათი უფუჭდება, ისიც ვერაგი ხდება და შურს იძიებს. ის თითქოს თავის გათავისუფლების მიზნით უხეშად არღვევს ოჯახს, არღვევს მიღებულ მორალს და უკიდურესობაშიც ვარდება. მორალისტი მწერალი ეკ. გაბაშვილი ოჯახის დამრღვეველთა თანამგრძნობლად და გამამართლებლადაც კი გამოდის.

ავიღოთ მისი მოთხრობა „ლუარსაბმა ცოლი შეირთო"[10].

მოთხრობის გმირი ლუარსაბ ცხონებაშვილი საზოგადოების თვალში „ჩინებული ყმაწვილი კაცია, დიპლომიანი, უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებული და მარტო სახელით კი არა, ნამდვილის სწავლით აღჭურვილი, ფრიად მჭევრმეტყველი და სვინდისიანი ვექილი ". ის 30—32 წლის კაცია, საზოგადოების ნდობა და პატივისცემა უკვე დამსახურებული აქვს. ლუარსაბი ყოველი მხრით სასურველი საქმრო იყო, ბევრსაც ენატრებოდა მისი სიძეობა. ბევრი მაჭანკალიც მისდიოდა. მაგრამ ლუარსაბს მხოლოდ ლამაზი და განათლებული ქალები მოსწონდა. ესენი კი ლუარსაბს რატომღაც გაურბოდნენ.

რა იყო ამის მიზეზი? ლუარსაბი თუმცა პირველ შეხვედრაზე ზრდილი, მორცხვი და გაუბედავი ახალგაზრდა იყო, მაგრამ მიუახლოვდებოდა თუ არა ლამაზ ქალს, რაღაც მანქანებით ჰკარგავდა ამ მორცხვობას და გაბედულად, ხშირად მეტად უხეშად დაიწყებდა ბლაგვად არშიყობას, რაც ამ ქალებზე არ ახდენდა კარგ შთაბეჭდილებას. ამასთან ერთად ლუარსაბის გარეგნობაც არ იყო მიმზიდველი. „მეტად ტლანქი... დარგვალებული ბურთივით, კისერ მოკლე, პაჭუა, წვერ-ულვაშ რიყა, თავმოტვლეპილი და, რაც ყველაზე მეტად ეზიზღებოდათ ლამაზ ქალებს, ეს იყო მისი ხელები რბილი, მსუქანი და მუდამ ნესტიანი".

---

[10] ამ მოთხრობას თავდაპირველად თურმე ერქვა „ლ უ ა რ ს ა ბ მ ა პ ა ტ რ ო ნ ი ი შ ო ვ ნ ა". ვფიქრობთ, ასეთი სათაური უფრო მკვეთრად ამჟღავნებს ავტორის დამოკიდებულებას აღებული მოვლენისადმი და მოთხრობის მთავარი გმირისადმი.

ლუარსაბს შეამჩნევს ვერა მაცდურაშვილი, რომელსაც, ავტორის გადმოცემით, „ყოველდღიური ჯანდაკი ცხენივით ტვირთის ზიდვა“ მოსწყინდა და გათხოვება მოინდომა. მან უნდა იშოვოს ქმარი, რომელიც იშრომებს და ის კი მის ნაშრომს გონივრულად მოიხმარს. ამ მიზნისათვის მან შეარჩია ლუარსაბ ცხონებაშვილი და თავისი ნაცნობი „ჩინოვნიკის“ ვისაძის შემწეობით მახეში ადვილად გააბა. ამ არჩევანის შესახებ ვერა თავის დედას ცინიკურად ასე ეუბნება: „დიდი სახარბიელო და სასიხარულო კი არა არის რა... მე ქმარს ვირთავ, ქმარს და კი არ ვუარშიყდები: არშიყობის დრო მქონდა და იქნება მქონდეს კიდეც. ეხლა მინდა კერა ვიპოვნო. მინდა მივესვენო“. დიახ, სიყალბეა! ამ სიყალბეს გრძნობს ვერაც. მწერალი ქალი აღშფოთებულია, მაგრამ ამაში ხომ თვით საზოგადოება და მისი „საუკეთესო“ წარმომადგენელი — ლუარსაბიცაა დამნაშავე, რადგან ცოლის შერთვა, მისი შეხედულებით მხოლოდ მომგებიანი საქმეა. ვერაც ასეთმა შეხედულებამ გააყალბა და თვითონაც ამგვარად დაუწყო ცხოვრებას ცქერა.

ვერას ანგარიში გამართლდა. ერთ თვეზე ლუარსაბმა და მან ჯვარი დაიწერეს. ვერა შეიქმნა ლუარსაბის ქონების სრული პატრონი და დაიწყო ცხოვრების მოწყობა. გააფართოვა ბინა. ოთხ ოთახს ორიც მიუმატა. დიდი გემოვნებით მოაწყო იატაკი, კედლები, ჭერი, ყველაფერი შესაფერი ნივთებით მორთო. როდესაც ვერამ თავის ქმარს ლუარსაბს ხელი გაუყარა და წაიყვანა ბინის დასათვალიერებლად, ის „თვალებ დაჭყეტილი შეჰყურებდა ყველა ამ საკვირველებას და ვერ მოეაზრებინა, თუ რა მანქანებით გადაიქცა იმის უბრალო სადგომი ამ მუზათა შესაფერ სასახლედ“.

ლუარსაბმა მოიწონა ეს ყველაფერი და ამასთან ერთად მას რაღაც უსიამოვნების ნაღველიც ჩაესახა გულში. გააფრთხილა ცოლი, რომ ის ქონება, რომელიც მან ვერას გადასცა, „ერთად-ერთი წყაროა შავი დღისათვის შენახული... გთხოვ ფულს ხელი მოუჭიროთ... ანგარიშიანი ცხოვრება უპირველესი სიპატიოსნეა ადამიანის ცხოვრებაშიო“.

ვერას კი თავის გეგმა აქვს, თავისი პირადი სიამოვნებისა და ბედნიერების მოპოვებისათვის. ქმარი მას ამ გეგმის განხორციელებისათვის უნდა.

ვერას ასეთი თვითნება, ეგოისტური ქცევა, ეკ. გაბაშვილის შეხედულებით, რასაკვირველია, არ არის გამართლებული. ის ამაღელვებელია. მაგრამ მამაკაცთა ჰეგემონიით შექმნილი ცხოვრების ყალბი პირობები მწერალს აშფოთებს და ვერას ასეთს საქციელს გასამართლებელ საფუძველს მოუნახავს. თვით ლუარსაბში, როგორც საზოგადოების წარმომადგენელში, მწერალი პოულობს ვერას საქციელის გამართლებას.

მწერლის დახასიათებით, ლუარსაბი თუმცა ქალთა ემანსიპაციას დიდ მნიშვნელობას აძლევდა, ქალს, თავის წარმოდგენაში, ფართო გასაქანს უსახავდა, „მაგრამ ნამდვილად კი, — გადმოგვცემს განრისხებული მწერალი, — განხორციელებული მამაკაცი იყო, ყოველის ეგოისტურის მამაკაცურის მოთხოვნილებით, იმ მამაკაცურის მოთხოვნილებით, რომ ცოლი უნდა იყოს ქმრისა თუ არასრული მონა, გამგონი მაინც იმის განკარგულებისა, ამსრულებელი იმისი სურვილებისა, დამცველი და გამაფრთხილებელი ყოველის იმის შეძენილი გროშისა". ამიტომ ვერას საქციელი, წვეულებები, მეტად ხელგაშლილი ცხოვრება, მისი მუსიკის მასწავლებელი ლუარსაბს არაფრად მოსწონდა. მაგრამ თვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემუშავებული მორალით შებორკილი მონა, გამოსავალს ვერა პოულობდა.

გულმოსული მწერალი დაუნდობლად ახასიათებს ლუარსაბის ამ გარემოებით გამოწვეულ სულიერ ტანჯვას. ლუარსაბმა „ათასჯერ დააპირა განქორწინებაზე მოლაპარაკება ცოლთან, ათასჯერ დააპირა სახლიდან გაძევება. ბევრჯერ ზნეობრივად შეურაცხყოფილმა ქმარმა მოთმინება დაჰკარგა და მუშტით უნდოდა გასწორებოდა ლაგამაწყვეტილ ცოლს, ბევრჯერ მოკვლაც დააპირა, წამება, მაგრამ ბუნებრივმა გაუბედაობამ, სისხლთან და ხორცთან შეზელილმა რიგიანობამ — „ვინ რას იტყვის", შიშმა ჩააჩუმა და თავისი ტვირთი დუმილით აზიდვინა".

ეკატ. გაბაშვილი სწორედ იმ გარემოებითაა ყველაზე მეტად აღშფოთებული, რომ ლუარსაბის (და საერთოდ საზოგადოების) მოქმედება ნამდვილი საღი გრძნობით კი არ მოძრაობს, არამედ შიშით „ვინ რას იტყვის". ამიტომაა, რომ მწერალი დამშვიდებულად უყურებს ვერას ლაგამაწყვეტილობას, იმ გარემოებას, რომ ვერა ყურს არ ათხოვებდა ლუარსაბის დაღვრემილობას, არავითარ ანგარიშს არ უწევდა, რომ ქმარს მისი ქცევა არ მოსწონდა, რომ ვერა მხოლოდ თავის აშლილ ვნებათა ღელვას მისდევდა. თუ ლუარსაბმა ვერ გამონახა გამოსავალი, „ვინ რას იტყვის"-ისა შეეშინდა, ვერამ როგორც ცხოვრების უკუღმართობით შეეიწროებულმა, ცხოვრება მოწყურებულმა, ამ საზოგადოებრივი ცხოვრებითვე კალაპოტიდან ამოვარდნილმა, როგორც პროტესტი, მოახერხა ამ ჯებირის დაგლეჯაც.

ლუარსაბი სამი დღით საქმეების გამო სხვა ქალაქში წავიდა. და, როცა სახლში დაბრუნდა, არც ცოლი და არც სახლის ავეჯი სახლში აღარ დახვდა. ძიძამ გადასცა მას პატარა ვაჟიშვილი იპატი და სიცილით მოახსენა, რომ „ქალბატონი საზღვარგარეთ წაბრძანდაო". საინტერესოა ვერას ცინიკური წერილი ლუარსაბისადმი. ვერა გაქურდულ და მიტოვებულ ქმარს აი რასა სწერს: „რაც შეეხება ჩვენს მომავალ ურთიერთობას (მე არ მინდა მოგატყუო), ეგ ყოვლად შეუძლე-

ბელია. მე არტისტი ვარ და თავისუფალი ფრენა შეადგენს ჩემს სტიქიას, შენ კი, ჩემო მეგობარო (ღმერთმანი, მეგობრად მიმაჩნდი და მიმაჩნიხარ), მშრომელი მუშა ხარ და დედამიწას უნდა დაჰყურებდე განუყრელად. უეჭველია შენ იშოვნი კიდევ შენს შესაფერს და შენს ხელქვეით მეუღლეს, რომელიც საუკეთესოდ მოგიხარშავს შენს საყვარელს ლობიო-კოლიოს და საგანგებოდ ულალავებს შენ პატარა იპატის. გასაოცარი ხარ ყველაფერში, მაგრამ სანამ ჩემს შვილს შენ დაარქმევდი მაგ უცნაურ სახელს, მანამდის გასაოცრად კი არ მიმაჩნდი. Если когда нибудь он будет в моих руках, я сумею изменить это поповское имя и еще кое что поповское, რაც მე ვერ მოვინელე შენში და რის მიზეზითაც (ისე უსვინდისოთ, შენის აზრით) გამოვექეცი გიმენეის კავშირს".

ლუარსაბი, ალბათ, ამავე საზოგადოების შიშით, თუ ამავე საზოგადოების მორალით, ეთიკეტით, საღ გრძნობაჩაკლული, გასწევს შძიმე ჭაპანს. აპირებს შვილის აღზრდას, ხოლო ვერას, მისი ოჯახის დამგმობელს, ფულების გზავნაზე თანხმობას აღუთქვამს.

რაღაც დემონური ხარხარი ისმის ამ ნაწარმოებიდან. მწერალი თითქოს შურს იძიებს ქალის შემზღუდველი საზოგადოების მიმართ. განსაკუთრებით მამაკაცების მიმართ, რომელნიც ქალს უყურებენ, როგორც საკუთრებას, კრუხს, რომელიც ოჯახში უნდა იჯდეს და კარჩაკეტილი მხოლოდ ქმარსა და შვილებს ემსახურებოდეს.

მორალისტი ეკატ. გაბაშვილი, ასე სასტიკად და მოურიდებლად მკიცხავი ადამიანის დაუნდობლობისა, ღალატისა, სიმრუდისა, აქ, ამ მოთხრობაში ვერას ასეთს საქციელს თითქოს ამართლებს. ქალმა ძალითა და ვერაგობით ჩამორთმეული ასპარეზი უნდა ძალითა და ვერაგობით დაიბრუნოს. ასეთ ვერაგობაში დამნაშავეა თვით შამაკაცი, საზოგადოება და არა ქალი.

6

ეკატერინე გაბაშვილის მოღვაწეობის ხანა (70—90 წწ.) ძველის რღვევისა და ახლის შექმნის ხანაა. ძველ ტრადიციების, ზნე-ჩვეულების და ცხოვრებაზე ძველი წარმოდგენისა და ადამიანისადმი დამოკიდებულების შენარჩუნება, ერთი მხრით, ხოლო, ეკონომიური დარღვეულობა, მეორე მხრით, იწვევს საზოგადოების ღრმა სოციალურ დიფერენციაციას. ნიადაგგამოცლილობა, დაუძლურების ინსტინქტი, ცხოვრებასთან შეგუების სურვილი—აი, მოტივები, რომლებსაც მწერალი ავითარებს.

თავადაზნაურობა მოუმზადებელი ხვდება ახალ, ბურჟუაზიულ ცხოვრებას. მუშაობას შეუჩვეველი, მადა აშლილი, მეტად უაზროდ,

უანგარიშოდ ფლანგავს ქონებას, ამ წრის ადამიანები ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდები ირიყებიან ცხოვრებიდან და, ყველაფერს მოკლებულნი იღუპებიან.

ეკ. გაბაშვილისათვის ეს წრე ნაცნობია, მახლობელია. ის ხედავს ამ წრის უმწეო მდგომარეობას, გული სტკივა, რადგან ამ წრიდან გამოსულს, ჩანს, ჯერ ვერ მოუცილებია მისი ფსიქოიდეოლოგია. ის გრძნობს ახალი ცხოვრების აუცილებლობას, ხედავს წოდებრივ უსამართლობას, გლეხის უმწეო მდგომარეობას, თავადაზნაურთა ბედოვლათობას, გადაგვარებას. მას უნდა. რომ საზოგადოების ამ ნაწილმაც (თავადაზნაურობამ) შეიგნოს ახალი, შინაარსიანი შრომითი ცხოვრების აუცილებლობა და გაჯანსაღებული ეროვნული ცხოვრების გზით წარმართოს მომავალი მოღვაწეობა.

ეკატ. გაბაშვილი ცდილობს პოეტური შემოქმედება გამოიყენოს იმ მიზნით, რომ ეს ფენაც გამოაფხიზლოს, სინამდვილე, თავისი ნაკლი დაანახოს, მიუთითოს ახალ ცხოვრებასთან შეგუების აუცილებლობაზე. აქ ეკატ. გაბაშვილი, უდავოდ, ილია ჭავჭავაძის დიდი გავლენის ქვეშაა.

„დათიკოს მონოლოგში" ეკატ. გაბაშვილი დათიკო ყლაპიაშვილის სახით გვიხატავს დაუძლურებულს, დაბეჩავებულს, შიმშილით სასოწარკვეთილებამდე მიყვანილს, ტიტველს, ჭუჭყიანს, გაოფლიანებულ პერანგით ტანგამოხრულ, ოდესღაც შეძლებულ, ფუფუნება-ნებივრობაში აღზრდილ (მოსარეცხე შეწუხებული იყო იმისგან — ღღეში ორჯერ იცვლიდა) პრივილეგიური კლასის წარმომადგენელს.

დათიკო ყლაპიაშვილმა დროზე არ მოინდომა ცხოვრებისათვის თვალღიად შეეხედა, გაეგო მისი მოთხოვნილება და თავის ცხოვრება ამის მიხედვით გაეშალა. მან ხელი მიჰყო მშობლებისაგან დატოვებულ ქონებას და ისე გაანიავა, რომ მოხედვა ვერც კი მოასწრო. დათიკომ მეტი გაფლანგა, ვიდრე ამის არამც თუ უფლება, ან შესაძლებლობა ჰქონდა. სულ ახალგაზრდა ვაჟკაცი, ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც დაუძლურებული, დაჭიანებული, სრულიად კალაპოტიდან ამოვარდნილი, საშინელი გამოუვალი მქეჯნავი ტანჯვებით მახინჯ არსებადაა გადაქცეული. ახლა ლუკმა არა აქვს, ბინიდან (თუ ამას ბინა ეწოდება, პატარა ოთახია, რომელიც ჯურღმულსა ჰგავს სიბნელისა და ჭუჭყის გამო) ღღეში სამჯერ აგდებენ, ათასი მოვალე პირში აფურთხებს, მის თავმოყვარეობას, სინდისს, პატიოსნებას ყოველ წამს ფეხით სთელავს, თავზე ლაფს ასხამს.

დათიკო თვითონაც იტანჯება. მას თავისი მდგომარეობა არაერთხელ აფიქრებინებს თავის მოკვლასაც კი, მაგრამ ისეა დაუძლურებული, დაჩიავებული, რომ ამის ძალაც აღარ შესწევს. აი, წამოწოლილს თავის ცივ, ღარიბ ოთახში, როგორი ტანჯვის ფიქრები ღრღნის: „მშიან.. მწყურიან, მცივა... ოცდა ცხრა წლის ვაჟკაცი ვარ, საღი, ღონიერი,

რაგორც საცოდავი დედაჩემი იტყოდა ხოლმე, გონიერიც, ლამაზი, ტანადი და მშიან კი. ფუ, სირცხვილო! ხელი მაქვს და მუშაობა არ ვიცი. ტვინი მაქვს და ზრუნვა არ ვიცი, ჯანი მაქვს და უძლური კი ვარ. უძლური, უპყარი, პირდაღებული გლახა. ხა, ხა, ხა! გლახაზედ უარესი, იმიტომ, რომ იმდენი ძალაც არა მაქვს, რომ ხელის გაწოდება მოვახერხო მოწყალებისათვის".

უეჭველად სწორი და მკვეთრი გაგებაა დარღვეული, დაკნინებული ფეოდალური კლასის წარმომადგენელთა, რომელთაც ახალი ცხოვრების პირობებს ვერ აუღეს ალღო, ვერ შეეგუვნენ და ფეოდალურ უზრუნველობაში, დაუდევნელობაში გაფლანგეს მემკვიდრეობით მიღებული დოვლათი. ოცდა ცხრა წლის ვაუკაცი — „საღი, გონიერი", დაჭიანებული, დაუძლურებული, უქნარაა.

ეკატ. გაბაშვილი დათიკოს დახასიათების შემდეგ იქვე გვაძლევს ამ გარემოების მიზეზს. ესაა ის ძველი ბატონყმური ცხოვრება—ყმით, ღალით, კულუხით, ძღვნით, ზვრებით, ნაფუზრებით, ტყითა და საძოვრით, რომელიც მის მშობლებს და მას — „სუყველაფერს" ზედმეტად, მზამზარეულად აძლევდა, რომელმაც ბავშვს (დათიკოს) საჭიროდ არ დაანახვა არც სწავლის, არც დიპლომის, არც განვითარების საჭიროება (გიმნაზიის მეოთხე კლასს ვერ გასცილდა) და იმიტომ, რომ მისი რწმენით და შეგნებით, მისი შეძლება—მთა და ბარი საკმარისი იყო, რომ „ქვეყანაშიც უსწავლელადაც პატივი და დიდება ეპოვა". მაგრამ იმავე აღზრდისა და გამომუშავებული შეგნების გამო, ეს დიდი მამული, მთა და ბარი დათიკომ უანგარიშოდ გაფლანგა „ქალაქის ბაღებში, კლუბებში, მაწანწალა, ურცხვ დედაკაცების სადგურებში... „თვრამეტი წლისა ვიყავი, რომ პირველად „სან-სუსში" არფიანკებში დავითვერი, სამ დღეს ლოგინიდან ვეღარ ავდექი, სიმთვრალემ მიხამა... და სამი დღის შემდეგ „ვაზაში" წავედი... „კინგრუსტში"... მაგრამ ყველაზე მომეტებული წავიდა ფაიტონ-ეკიპაჟებში... ეს წყეული ფაიტონი რა რიგად მიყვარდა, როგორც მოყელყელებული, მუხლებზე ხელებ დაბჯენილი, ჩოხა-ხანჯლით გამოვიჭიმებოდი ხოლმე და რა რიგად მივფრინავდი დაუღალავად, საჩქაროდ, შეუფერხებლად... სად?.. აი აქ, ამ ქოხში"...

და ეს ხომ ტიპიური მოვლენა იყო თავადაზნაურობის ცხოვრებაში. მას სანამ ჰქონდა მამულში აღებული ფულები, თავდავიწყებით ეძლეოდა დროის ტარებასა და, ფული რომ მალე უთავდებოდა, ჩამოყრიდა ხოლმე ყურებს. „დაღუპულთ" ეს წრე მჭიდროდ ეხვია ეკატ. გაბაშვილს. მწერალი ცდილობს მათი ცხოვრების უარყოფითი მხარეების ჩვენებით დაანახოს მათ ის საშინელი უფსკრული, რომლისაკენაც ისინი ასე შეუჩერებლივ მიექანებიან. საჭიროა გამოფხიზლება. საჭიროა ცხოვრებას თვალღია შეხედონ, თორემ სრული განად-

გურება უკვე ფაქტია. ისინი ცხოვრებაში ზედმეტ ბარგად, პარაზიტებად ხდებიან.

ამავე თემაზეა დაწერილი ეკატ. გაბაშვილის მოთხრობა „ბენუარი № 3“. აქაც მთავარი გმირნი არიან ქონება განიავებული კნეინა კუკნა თავის ქალი ლიზათი. იმათაც არავითარი შეძლება აღარ აქვთ, დღე-დღეურად სესხითა და მოტყუილებით ძლივს გამოდიან. სამაგიეროდ ცხოვრების მადა და გემო კი ძველი დარჩათ: საზაფხულოდ საუკეთესო აგარაკზე გამგზავრება, თეატრში ლოჟების დაჭერა, დაბადებისა და საბელწოდების დღესასწაულების გადახდა მათთვის აუცილებელია. ესენი ძველებურად არ იკლებენ არც ტანისამოსს, არც კამფეტ-შოკოლადტორტსა. მათ შეუფერებლად მიაჩნიათ შრომა და ამ გზით მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ისინი ამჯობინებენ ყველას, ვისაც კი მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია, განურჩევლად პიროვნებისა, ზნეობისა, გონებისა და მდგომარეობისა ალერსიანად მოეპყრან (რასაკვირველია, ხშირად ყალბად). ტყუილი დაპირებები მისცენ, სიფლიდე და პირმოთნეობა გასწიონ, როგორც მაგალითად, კნეინა კუკნამ, რომელიც თავის ქალსაც აიძულებს ამ გზით სიარულს.

ავტორი ხედავს ამ პირების მორალურ განურჩევლობას, ხედავს, რომ მათში ყოველი საღი, ადამიანური, საზოგადოებრივი ჩაკლულია, სამაგიეროდ ცხოველური გრძნობები გამახვილებულია: კნეინა კუკნა თითქოს ყველაფერს აკეთებს, რათა შეინარჩუნოს თავისი მდგომარეობა საზოგადოებაში. ყოველდღიურად ხელოვნური ალერსითა და ფლიდობით თავმობეზრებული ლიზა აღელვებით ეკითხება დედას, კნეინა კუკნას: „მერე რისთვის? რა გამოდის?.. ვინ რად გვაგდებს?“..

მათ ძლიერ სიღატაკეს, სიმჩატეს ეკატ. გაბაშვილი ასე გადახსნის: „სამოცი წლის მოხუცებულივით დავჭკნი თავის ძალის დატანებით: დღედა ღამ აუარებელი მწუხარება, დარდი ზრუნვა იმაზედ, რომ სხვამ არ დაინახოს, რომ ჩვენ გლახები ვართ და მხოლოდ ხელის გაშვერით ღა ვაჩანჩალებთ ჩვენს ღირსებას არისტოკრატიისას. ოხ, maman, რა ცარიელია ჩვენი სიცოცხლე! რა წვრილმანზედ ვახურდავებთ ჩვენ ძალღონეს, ჩვენ მახვილ გონიერებას, ჩვენ ფიზიკურ და გონებრივ სიმდიდრეს! როდემდის უნდა ვეწიოთ ეს მძიმე ჭაპანი?“..

მშვენივრად, ცოცხლადაა მოცემული კნეინა კუკნას სახით ქონებადაკარგული, დარღვეული პრივილეგიური კლასის წარმომადგენელი, დიდკაცური ცხოვრების მადა და გემო შენარჩუნებული, რომელიც ცხოვრების სიტკბოებას ვნებააშლილი, განწირულის მთელი ძალღონით ებღაუჭება, მისთვის ყველაფერს კადრულობს, არავითარ საშუალებას არ ერიდება.

გასაოცარია და რაღაც გაურკვეველი ღიმილის მომგვრელი კნეინა კუკნას გონებამახვილიანობა და ნიჭის სიამოვნების მოპოებისათვის

(მისი შეხვედრა არაქელ არაქელიჩთან და სხვა) გამოყენება. რაღაც შეუჩერებელ ხარხარს იწვევს მკითხველში კუკნასაგან მოტყუებული არაქელ არაქელიჩის გაჯავრება და ამ უკანასკნელისაგან კუკნასადმი გამზადებული კონფეტების მაგიერ ყუთით გამწვანებული ხურმისა და ტალახში ამოსვრილი ყინულის გაგზავნა ლოჟაში, რაც საშინლად შეაძრწუნებს კუკნას.

საღი მკითხველის წინაშე ძალაუნებურად ისმის კითხვა: ნუთუ მოტყუება, ალერსი, ნაძალადევი სიამოვნებით ბაასი არაქელ არაქელიჩთან ნაკლები შეურაცხყოფაა, ვიდრე იმისაგან გამოგზავნილი ხურმა?! მაგრამ სხვანაირია კუკნას ცხოვრების გაგება, მისი თავმოყვარეობა!

ასეთია მორალური განურჩევლობა ამ დარღვეული, გზააბნეული წოდებისა, რომელიც პარაზიტადაა გადაქცეული და ეკატ. გაბაშვილიც მათდამი არ იშურებს შხამს, კიცხვას. მთელი მოთხრობა „ბენუარი № 3“ უზადო ირონიითაა აღსავსე, რათა თვალი აუხილოს ამ ცხოვრებას ჩამორჩენილ ხალხს.

ასეთივე უთავბოლობით, ქალაქსა და საზღვარგარეთ უაზრო მოგზაურობით, ფულის დაუზოგველად ფლანგვითაა დანგრეული დიდი შეძლებული თავადიშვილის ქაიხოსროს სავსე ოჯახი და კარგად გაშენებული შემოსავლიანი მამული („მზარეულის ნაამბობი“). მშვენივრადაა დახატული, როგორი სისწრაფით ირღვევა თეიმურაზის ოჯახი ამ უანგარიშო ცხოვრებით. მისი უსახსროდ დარჩენილი მეუღლე, ფულის ძიებით გატაცებული, ბოროტმოქმედებთანაც კი დაიჭერს კავშირს, ყველაფერს იკადრებს. ბოლოს, ბოროტმოქმედებაში შენიშნული, მოსალოდნელი სასჯელის შიშით, მაშო თავს იკლავს.

აქაც უტყუარი სახეა მოცემული დაკნინებული ქართველი ფეოდალური არისტოკრატიისა XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

7

თავადაზნაურული წრიდან ეკ. გაბაშვილი განსაკუთრებული ყურადღებით ქალს ხატავს. მწერალი დიდი ინტერესით აკვირდება ქალის მოქმედებასა და იმ როლს, რომელსაც ის თამაშობს „ძველი ბუდეების“ დანგრევაში. ეკატ. გაბაშვილი აქაც პირუთვნელია. მაღალი წრის ქალის უპრინციპობას, გადაგვარებას ხედავს და ამხედრებული მას სასტიკად ამხელს.

ავიღოთ ეტიუდი „ზაფხულის სურათები“.

კნ. მარიამ დიდებაძე ქმრის მშვენიერ, მდიდრულ, ევროპულ გემოვნებაზე გადაკეთებულ სასახლეში ცხოვრობს, ფუფუნებასა და ნებივრობას ეძლევა. თორმეტ საათამდის არ აბრძანდება. მოსამსახურე-

ების დაუხმარებლად ფეხს არ გადადგამს. მუდამ გართობას ეძებს. ინტიმური მეგობარი (მისი ზნეობრივი განურჩევლობა არ ერიდება ქმრის მახლობელ ნათესავსაც კი), რასაკვირველია, მუდამ თან სდევს. პირადი სიამოვნებისათვის უანგარიშოდ ხარჯავს ქმრის ქონებას. არა ზრუნავს არც ოჯახისათვის, არც ქმრისათვის და არც შვილების მომავლისათვის. შვილებზე ზრუნვა კნ. მარიამისა იმაში გამოიხატება, რომ მათი აღზრდა მხოლოდ „გუვერნანტკას" მიანდო, თვითონ კი წვეულებაშია გართული. თუ სტუმრები მასთან არ არიან, ის სხვასთან მიდის სტუმრად.

ამით მოყირჭებული ახლა საზღვარგარეთ აპირებს წასვლას გასართობად თავის ინტიმურ მეგობარ — მიშელ დიდებაძესთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ მისი შეძლებული ოჯახი იმდენად დაეცა, რომ „ყოველ დღე მზარეულის ფულის მიცემა" უჭირს. კნ. მარიამი აღარ კმაყოფილდება ჩვენი კურორტებით — ჩვენებური სოფლით, ან ბორჯომით და დაჟინებით ქმარს ასეთ ულტიმატუმს უყენებს: „ან უნდა სამოგზაურო ფული მიშოვო, ან ჩემზე ხელი აიღო".

ქმარი — ნიკოლოზ დიდებაძე ცდილობს დაარწმუნოს კნ. მარიამი, რომ მისი სურვილი მიუღებელია. ამის დასამტკიცებლად ვას მოყავს აუარებელი საბუთი. მათ შორის ამ წრისათვის შემდეგი დამახასიათებელი საუბარი გაიმართება:

— ხომ არ გაგიჟდ ქალო... გინდა „სკანდალი" მოახდინო? კაცი გენერალ-ლეიტენანტი ვარ და ცოლს გავეყარო! ეგ შეუძლებელია. მთელი სახელმწიფო თითით საჩვენებელს გაგხდის.

— მაშ ფული იშოვნე.

— ეგეც შეუძლებელია. რამდენჯერ მითქვამს შენთვის, რომ გაჭირვებაში ვართ, ჯამაგირი სამ თვესაც არა გვყოფნის, დანარჩენ ცხრა თვეს ვალებითა ვცხოვრობთ; ნდობაც აღარა გვაქვს. რაც მამულები გვაბადია, სულ დაგირავებულია; დაგირავებულია განა ერთთან: თითო მამული სამთან, ოთხთან. სხვა არა იყოს რა, ოთხ-ოთხი ბავშვი ვისთან უნდა დავტოვოთ უპატრონოთ.

— მე ეგეები არ ვიცი, მე მხოლოდ მინდა საზღვარგარეთ წასვლა და ფულების შოვნა თქვენი საქმეა. ბავშვები? ბავშვებს გუვერნანტკა, ბონა ჰყავთ. იმათი პატრონობა მე რას შემეხება, ბორჯომს ისინი გაგზავნე.

— რა საშინელი ახირებული ქალი ხარ! გზა მიჩვენე, საიდან ვიშოვნო და ბატონი ხარ. არ გეყო მაგდენი ფულების ფლანგვა. შესდექ, თორემ ჩვენი საქმე ცუდად არის, შვილები ულუკმა-პუროდ დაგვრჩება.

— როგორ თუ შვილები, როგორ თუ შვილები! ოცდაათი წლის არც კი ვარ და შვილებისათვის თავი მოვიკლა? მაგისთვის შემირთეთ,

მოწყალეო ხელმწიფევ, რომ შვილებს ლალად გაუხდე, შემცდარი ხართ. კიდევ გეუბნებით: ან ფული მიშოვნეთ, ან არა და ხვალ მამასთან მივდივარ".

აქ ეკ. გაბაშვილს უნდა და კიდეც ზედმიწევნით ახერხებს მოგვცეს მაღალი წრის ქალის ფსიქოლოგიის გაყალბება, მორალური დაცემა.

ასეთი ოჯახური უთანხმოება, დღევანდელი მკითხველისათვის გაუგებარი, ხშირი, ძალიან ხშირი მოვლენა იყო XIX საუკუნის განმავლობაში დარღვეულ ქართველ თავადაზნაურთა ოჯახში.

თავად ნიკოლოზ დიდებაძე, მიუხედავად მძიმე პირობებისა და სამართლიანი აღშფოთებისა, ძვალსა და რბილში შეზელილმა „რას იტყვიან"-მა დასძლია, „თავის შერცხვენას" თავის დამცირება არჩია, ერთ სომეხ ვაჭართან წავიდა ექვსასი თუმნის სასესხებლად და თავის მტანჯველ, ოჯახის დამნგრეველ ცოლს მოუტანა. ცოლმაც, რომელთანაც ამ დროს ინტიმური მეგობარი იყო, ქმარს მადლობის ნიშნად თავზე აკოცა, მადლობა გადაუხადა, გულში კი სატანურად გაიფიქრა: „წრეულს ხომ გაგაბი და შემდეგისათვის ღმერთი მოწყალეაო".

ასეთია ახალი ცხოვრების პირობებში თავადაზნაურობის ერთი ფენის — ფეოდალური არისტოკრატიის, დიდი მემამულისა და ჩინორდენების პატრონის ცხოვრების გაგება და მოქცევა. ის მოსწყდა ძველ ფეოდალურ ციხე-დარბაზებს. ევროპულმა, ბურჟუაზიულმა ცხოვრებამ მას ცხოვრების გემო გაუმახვილა, საღერღელი საბედისწეროდ აუშალა. ეკატ. გაბაშვილი აღშფოთებულია მათი ასეთი გადაგვარებული ცხოვრებით და დაუნდობლად ჰკიცხავს მათ, მოურიდებლად მიუთითებს ნაკლზე.

ევროპულმა ბურჟუაზიულმა ცხოვრებამ გაიტაცა ნიადაგ გამოცლილი ქართველი თავადაზნაურობა. ქალაქი, თეატრი „კრუჟოკი" — ესაა მისი ინტერესის წყარო, სოფელი აღარ აკმაყოფილებს მას. ქალაქში ეძებენ ბედს, განსაკუთრებით ქალები. ამ ბედისა და სიამოვნება-გართობის ძებნაში ნიავდება მათი დარჩენილი ქონება.

მაგრამ ხშირად ვერც ქალაქში პოულობენ ისინი „ბედს". ქონება მალე ელევათ და იძულებულნი ხდებიან უკან სოფელში გადასახლდნენ. იქაც გადააქვთ ქალაქური ახალი ჩვეულებანი — სადილ-ვახშმების, „ვეჩერების" გამართვა. ასეთია თავ. ლუარსაბ კუდაბზიკაძის ოჯახიც სამი გასათხოვარი ქალით („ზაფხულის სურათები").

„უნდა მოგახსენოთ, — აგვიწერს მწერალი, — რომ კუდაბზიკაანთკარი ძლიერ დიდი სოფელია. აქ ორმოცამდის თავადაზნაურობის სახლობა სცხოვრობს და ორასამდე გლეხკაცობა... ცოტა-ცოტათი შეიკრიბნენ მებატონეებიც და მოაგარაკენიც. გაიმართა ჩვეულებრივი მხიარულება. ვინ ვიზედ უფრო მდიდრულ „ვეჩერს" გააკეთებს, ამაში ეჯიბრებიან ერთმანეთს კუდაბზიკაანთკარელები. ვინც სტუმრებს

ვახშამზე გაათენებინებს, ის არის დიდი ვაჟკაცობა და ყველა ცდილობს ამ გმირობაში სხვებს არ ჩამორჩეს. მშვენიერ სურათს წარმოადგენს, — მწარე დაცინვით განაგრძობს ეკატ. გაბაშვილი,—მთელი სოფელი ზაფხულში. დღისით მებატონის კარები მოკეტილია და ღამენათევი ქალკაცნი განსვენებაში არიან, რომ საღამოზე ისევ შეუდგნენ ქეიფს, და გლეხკაცობა კი თავგადაგლეჯილი, გულისპირ ჩამოფხრეწილი ჯაფაში წელს იწყვეტს, მაღლა ღიღინსაც ვერა ჰბედავს, რომ ბატონებს მოსვენება არ შეურყიოს". საგულისხმიეროა ამ მოთხრობაში მოცემული კლასობრივი დაპირისპირებაც.

რასაკვირველია, ასეთი ცხოვრება არამც თუ არ შეაჩერებდა პრივილეგიური კლასის რღვევას, არამედ ააჩქარებდა. მაგრამ, კალაპოტიდან ამოვარდნილთ, თავის შეკავება არ შეეძლოთ. ლუარსაბ კუდაბზიკაძე ხედავს ოჯახის უკან წასვლას. ის წინააღმდეგია ასეთი ცხოვრებისა, მაგრამ იძულებულია მაინც მიჰყვეს, რადგანაც მისი ქალები მხოლოდ ასეთ ცხოვრებაში პოულობენ ბედნიერებას.

ასეთი უაზრო, თავისა და სხვისათვისაც დამღუპველი ცხოვრება პრივილეგიური კლასისა რომ უფრო გაამახვილოს, ეკატ. გაბაშვილი მის პარალელურად გვიხატავს მშრომელი ფენების ცხოვრებას — ალექსი შრომაძისა, კალატოზი შაქროსა და მისი პატარა ძმისა. ამ უკანასკნელთა ცხოვრება მძიმეა, გაჭირვებულია, მათ ლუკმა პურისათვის დღისა და ღამის გასწორება უხდებათ, ყოველდღიური შრომით ეჯაჯგურებიან ცხოვრებას და ლუკმა პურის შოვნაში ლევენ თავიანთ უფერულ დღეს. მიუხედავად ამისა, ეკატ. გაბაშვილის გაგებით, მათი ცხოვრება უფრო შინაარსიანია, მათ რაღაც ცოცხალი სურვილი და ინტერესი ამოძრავებთ.

ეკატ. გაბაშვილს უყვარს ასეთი პარალელობით და კონტრასტებით აზროვნება და მკითხველისათვის სინამდვილის ჩვენება. ამ ხერხით ავტორი მიზანს უფრო ადვილად აღწევს.

დიფერენცირებული საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სოციალური ფენების ამგვარივე დახასიათებაა გაშლილი მოთხრობაში „სხვადსხვა გვარი ქორწილი". ერთია მისწრაფება, ცხოვრების შინაარსი (თუ მათ ცხოვრებას შეიძლება შინაარსი ჰქონდეს) დიდგვაროვანი თავადებისა, რომელთაც ნიადაგი მოემზღვლათ, ვაი-ვაგლახით ღა ახერხებენ „ცხოვრებას", მაგრამ მაინც იხტიბარს არ იტეხენ, ცდილობენ მდიდრულ ცხოვრებაში სხვას არ ჩამორჩნენ. სამაგიეროდ სერიოზულ საქმეს, შრომას რომ თხოულობს, ისინი ვერ ეკიდებიან, ვერც სწავლას მისდევენ, რადგანაც სწავლა შრომას ითხოვს. მათ ცხოვრებას ავნებს დროის ტარება, ცეკვა, სამხედრო მუნდირი და დეზების ქღარუნი. ყველაფერს ამას მწერალი უარყოფითად უყურებს.

მაღალი წოდების წარმომადგენლის გაგებით, ქორწილი დასაწყისია განუწყვეტელი სიამოვნებისა, დროის ტარებისა და არა სერიოზული ვალდებულების შესრულებისა ერთმანეთისა და საზოგადოებისადმი. ამისათვის საჭიროა შეძლება და, ვინც შეძლებულია, ისიც კარვი სასიძოა ან სარძლო. ასე უყურებენ ოჯახის საფუძვლის ჩაყრას დიდგვაროვანი მშობლები. ასე უყურებენ მათი შვილებიც. ისინი ცდილობენ რაც შეიძლება, სარგებლიანი საქმე გააწყონ.

ასეთია თავადი გიორგი მაღალგვაროვი: „ეს არის,—აგვიწერს მწერალი.—ოცდა სამი წლის ლამაზი ბიჭი, დედის ერთა და ჩინი პრაპორჩიკისა აქვს. გიორგიმ სწავლა დაასრულა მას აქეთ, რაც თორმეტის წლისამ თავის გუვერნიორს სცემა და მოიშორა. ჩინი ადვილად მიიღო დიდი ნათესაობის და მამის მეოხებით. გიორგი კარგად ცეკვავს მაზურკას, მშვენივრად ლაპარაკობს რუსულს, ფრანგულად უკამანდრებს კადრილში ქალებს და ლაზათიანათაც ატარებს თავის დრაგუნის მუნდირს. გიორგის მამას დიდი მამული აქვს, დიდი ადგილი უჭირავს სამსახურში, ამიტომ პრაპორჩიკი დიდგვაროვი პირველი საქმროა საქართველოში, რასაკვირველია, „უმაღლეს საზოგადოებაში“, — დასძენს ეკატ. გაბაშვილი

გიორგი გატაცებულია ცეკვით, ქეიფით, „სიამოვნებით“, დროსტარებით. ისიც იმ ქალს მიაქცევს ყურადღებას, რომლის შესახებაც გაიგებს, რომ მას „მამა ღენერალი ჰყავს, დედა დიდი კაცის შვილი, მზითევიც უეჭველად შესაფერი“. როცა გიორგი ამისთანა ცნობებს შეკრებს, მაშინ დაუახლოვდება ამ ქალს. მშობლებიც სიამოვნებით მიიღებენ და გადაწყდება მათი შეუღლებაც.

ეკატ. გაბაშვილი მთელი შეგნებით ეწინააღმდეგება ასეთს შეუღლებას. ესენი ვაჭრობით არიან გატაცებულნი, თვითონ პირადი ადამიანობა, საერთო მისწრაფება-გაგება, რაც, მწერლის შეხედულებით, მთავარი უნდა იყოს ოჯახური ცხოვრებისათვის, მათ მიერ სრულებით უგულებელყოფილია. ისინი სრულებით არა ფიქრობენ რა მოელით მათ ჯვარის დაწერის შემდეგ. „ერთად დადიან, ერთად სეირნობენ ეკიპაჟით, მაგრამ... ამ ერთი თვის განმავლობაში ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისათვის. სუყველაფერზე უფროსებმა მოილაპარაკეს. გიორგი ხედავს, რომ მაშო ლამაზია, თავი რიგიანად უჭირავს და იმისათვის ეს სრულიად საკმაოა... იმათი წრის ქალები კი ირწმუნებიან, რომ მაშოს და გიორგის ერთმანეთი გაგიჟებით უყვართ. „კურთხეულ არიან მორწმუნენი“, — ამბობს მწერალი მათ შესახებ.

ახლად ჯვარდაწერილები, რომ შეხვედრის პირველი პერიოდი მაინც რითიმე შეევსოთ, ჩვეულებრივ მიმართავდნენ ხოლმე ევროპაში გამგზავრებას, სადაც ულაზო-უკელოდ, უმიზნოდ დაიარებოდნენ, დაღლილ, დაქანცული ბრუნდებოდნენ და ზლაზვნით შეუდგებოდნენ ცხოვრებას,

„გარეგნულად ერთად და სრულიად ცალ-ცალკე სულიერად, იმიტომ რომ შემაერთებელი მათში არაფერი არ იყო“,—ამბობს მწერალი.

ასეთია გამოფიტული, უშინაარსო ცხოვრება დარღვეული პრივილეგიური კლასის ერთი ფენისა.

ამ ფენის სახესხვაობა მოცემულია ამავე მოთხრობის მოქმედი პირის ზაალ მხედრიშვილისა და მისი მეუღლის ანეტას დახატვით.

ზაალ მხედრიშვილიც და ანეტაც თანდათან დაქანებული გზით მიდიან. ისინი არც სწავლობენ, არცა სამსახურს უღებენ გულს. რაც მათგან შრომას, გულისყურს თხოულობს, ისინი მას ჭირივით გაურბიან. „უყვართ ჩაცმა-დახურვა, გემრიელი საზრდო და საქეიფოდ სიარული. ქეიფობენ თავიანთ სახლში, სადაც სტუმრების ცხენები და ურემი განუყრელად მათ კარზე დგას და თუ როგორმე სტუმარი არა ჰყავთ, თითონ მიეშურებიან სტუმრად“. ოჯახის პატრონობაზე არ ზრუნავენ და ხშირად მოურავის ხელში არიან მთლიანად. საცხოვრებლად სოფელი აღარ მოსწონთ. ქალაქის ქუჩებმა, რესტორნებმა და დროსტარებამ მთელი ძალით მიიზიდა ეს შინაარსგამოცლილი ხალხი. ქალაქი თხოულობდა ხარჯებს — ფულს. ისინიც იძულებული იყვნენ მამული დაეგირავებინათ, გადაეგირავებინათ, გაეყიდათ, სანამ ამის შესაძლებლობა ჰქონდათ, და ასეც აკეთებდნენ. აღებულ ფულს უთავბოლოდ ხარჯავდნენ, ხვალინდელ დღეზე არა ფიქრობენ და, როცა დადგებოდა „განკითხვის დღე“, ყველაფრისაგან ცარიელი უნდა დარჩენილიყვნენ. მაშინ ყურებჩამოყრილნი, უილაჯონი, ისინი რაღაც საცოდავ უქნარა ბავშვებს ჰგავდნენ, რომლებისადმი უფრო ზიზღი, გულისწყრომა, აღშფოთება თუ გამოკრთებოდა, ვიდრე სიბრალული. ასე ექცევა მათ ეკ. გაბაშვილიც.

მწერალი რწმუნდება, რომ ეს ვაჟბატონნი არა მარტო თავიანთ ოჯახს ანიავებენ, ანადგურებენ, არამედ ქვეყანასაც ერსაც. ესენი ვადაგვარდნენ ფიზიკურადაც, გონებრივადაც, ზნეობრივადაც და იდეურადაც („განათლებული ქართველი ქალი“), დატოვეს სოფელი, დაანგრიეს ოჯახი, გადაგვარდნენ, უცხოსთან მისვლაც ვერ მოახერხეს, ეცხოს ძიებაში რაღაც კარიკატურებად გადაიქცნენ. არც თავიანთთვის, არც სხვისთვის სასარგებლონი არ არიან.

მწერალი წუხს, რომ ქართველ ქალს ეკარგება თავისი ენა, თავისი ზნეობის ძალა. „დაძრწის იგი დიდკაცობაში, სტეპნის ბულვარს, დადის თეატრში, ბაღებში, მეჯლისებში, ირთვება ყოველის ძალითა და ღონით, სოფლის მამულიდგან გამონაწურის შემწეობით, აპლატუნებს თვალებს, რომ იმისთანაზედ შეაჩეროს, რომელიც ყოველ ზემოხსენებულ სანავარდოებს არ დაულევს. თვალს შეაჩერებს, გულს ვადაუშლის და თავის ნაზს, კეკლუც ბუნებას მონად გაუხდის დაჩანდრაკებულ, წელ-

ში მოხრილს, ზნედამხობილს, ოღონდ კი ჰქონდეს ჯიბეში ქისა და უნარი ფულის მოგებისა. ფული ხომ ერთად-ერთი საშუალებაა, — სარკასტული ხარხარით ამხელს მწერალი მათ, —ამ ზიზილ-პიპილოების შესაძენად, ამ შეუწყვეტელის ნავარდობისათვის. ფულის სიუხვითა ზომავს ეს კოპწია ტიკინი კაცის ბედნიერების სიღრმე-სიგანეს"[11].

თვითონ მწერალი ქალი ამისთანებს გზას უქცევს, განზე უდგება. როგორც გამოუსადეგარსა და ფშუტაყვავილას. ამასვე ურჩევს მკითხველსაც, მოუწოდებს: „მოდი, ხელი მივცეთ ყველამ ერთმანეთს, მთელი ჩვენი ღონისძიება მივახმაროთ და ვეცადნეთ, ისეთი ბაღი გავაშენოთ, ისეთი წალკოტი ავაგოთ, სადაც ჩვენ ფესვებზედ, ჩვენს ნიადაგზე ჩვენს საუკეთესო, რჩეულ ხეხილის შტოებს ვამყნობთ და ჩვენის ხელითვე ჩვენს მომავალს ბედს მოვიმზადებთ"[12].

ეკატ. გაბაშვილი უდავოდ მომავლის მწერალია. მომავალი ცხოვრების შესაფერი ყოფის შექმნისათვის იბრძვის. დრომოჭმული, მავნე ტრადიციების სასტიკი დამთრგუნველია.

ახალი ცხოვრების პირობებში ამ დარღვეული კლასის წიაღში ჩნდება სხვა ხასიათის ფენებიც, შეშინებულნი ახალი ცხოვრების მოწოლით, რომლებსაც უგრძვნიათ ნიადაგის გამოცლა, შეშინებულნი დაბღაუჭებიან ცხოვრებას და, შრომაა შეუჩვეველნი ამჯობინებენ ნაკლები წინააღმდეგობის გზით სიარულს. ესენი ცდილობენ დარღვეული ოჯახის შეკოწიწებას: —შედიან სამსახურში, ზოგი სამხედროში, ზოგიც სამოქალაქოში. სამსახურს უყურებენ, როგორც პირადი კმაყოფილების წყაროს. ნათესავების პროტექციით ადვილად ახერხებენ კარგი თანამდებობის დაჭერას. მაგრამ ჯამაგირი მათ მადას ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ, ვაჭართა ფენის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ, ბევრმა ქართველმა თავადმა და აზნაურმა ოჯახის მდგომარეობის გამოსწორება მდიდარი ვაჭრის ქალის შერთვით მოინდომა, როგორც ეს გ. ერისთავსა და ანტონ ფურცელაძეს აქვთ შენიშნული.

ეკატ. გაბაშვილის მხატვრულ ყურადღებას არც ეს მოვლენა გამორჩა. ამავე ნაწარმოებში,—„სხვადასხვა გვარი ქორწილი". მკვეთრადაა მოცემული ამგვარი ტიპი თადეოზ ყოჩაღიშვილის სახით.

თადეოზი, დიდი ბიზნესის გამო, ვაჭარი კარაკეტოვის საკმარისად უხეშ, ულამაზო ქალს ლიზას შეერთავს. ესენი ოჯახში კარგად მოეწყობიან. ქონებას კი არ ანიავებენ, არამედ ცდილობენ მიუმატონ (ყოჩაღიშვილმა საკმაოდ იწვნია უქონლობა, ჭკუა ისწავლა, ახლა ფხიზლად და ფრთხილადაა). სურვილი, კვლავ „აიყვავონ ოჯახი", ისეთი დიდია, რომ უპატიოსნო გზასაც კი არ ერიდებიან. „ამბობენ, — შხამიანად გა-

---

[11] ეკატ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, განათლებული ქართველი ქალი, ტ. I, გვ. 322.
[12] ი ქ ვ ე.

ანდობს მკითხველს მწერალი, — ჩაყენებული პირებით თავისი პოლკის გამოკვება „ფოდრატით“ აქვს აღებულიო და დიდი მოგებაც რჩებაო“... ამგვარი საქციელით და ლიზას დახმარებით, თადეოზ ყოჩალიშვილმა შესძლო ოჯახის ფეხზე დაყენება და კმაყოფილიც არის. ქორწილმა, ამ შემთხვევაში, ოჯახს სიმტკიცე მისცა, მაგრამ ამგვარი სიმტკიცე ეკატ. გაბაშვილს არ აკმაყოფილებს.

მწერლის სიმპათიები უფრო ღარიბი ფენებისაკენაა. გაღარიბებული აზნაური, რომელმაც იგრძნო ახალი ცხოვრების მოთხოვნილება. სტოვებს ძველს, დრომოჭმულ ჩვევებს, ახალი ცხოვრების ულელში ებმის და უკეთესი ბრძოლის იმედით (თუ თავისთვის არა, შვილებისათვის მაინც) ერთგულ მომუშავე ცოლთან ერთად სჭიმავს ჭაპანს. ასეთია კოტე ზღმარტლაძე უმამულ-დედულო, ღარიბი, გაკოტრებული აზნაურის შვილი, რომელიც დედამ, ვინ იცის, რა ვაივაგლახით მიაბარა აღბულაღის „მეექვეჩიკების“ სკოლაში. შემდეგ ერთმა ნათესავმა პალატაში მწერლად წაიყვანა. აქედან დაიწყო მისი შრომის, ყოველდღიური ცხოვრების მძიმე პირობები. შემდეგ მან გამონახა კარგი მეოჯახე ქალი ნინო, სირაჯ ივანე მელვინოვის ქალი, აიღო ორასი თუმანი ფულად. ამის შემდეგ უფრო მეტის ხალისითა და ენერგით ჩაეჭიდნენ ისინი ცხოვრების მოწყობას. ჯვარისწერა, შეუღლება მათთვის შრომის შინაარსიანი ცხოვრების საღი დასაწყისია. „აი, შვიდი წელიწადია, — მოგვითხრობს ავტორი, — რაც ნინომ და კოტემ ჯვარი დაიწერეს და ჯამაგირი ხუთ თუმნამდე გაუხადეს. კოტეს დედა მოკვდა და ნინუცა მარტოდ-მარტო უვლის ოჯახს და ოთხ შვილს, რომელიც ზედიზედ შეეძინა. პატარა ზღმარტლაძეები ნახევარზედ მშიერნი არიან, ნახევარზედ ტიტველ-შიშველნი, მაგრამ ცოლქმარნი ნინას მზითევს ხელს არ ახლებენ: ეს მომავალი სახლის სასყიდელია. სახლი ქალაქში — კოტეს განუყოელი აზრია. ნინოც ამისი სრული თანახმაა. რაკი ბინა ექნებათ, შვილების სწავლასაც როგორმე შეიძლებენ და მოქალაქენი გახდებიან“[13].

უფრო მიმზიდველი და საღია ქორწილი გლეხისა, რომელსაც ოჯახის შექმნა ხალისს, შინაარსს და დოვლათს აძლევს. დღეს მათ ქორწილი აქვთ, ლხინობენ, დღეს თუ ნამდვილად ისინი „მეფე დედუფლობენ, ხვალ ისინი ისევ თავიანთ მძიმე შრომას შეუდგებიან და შრომის შვილნი უშრომოდ ვერც ივარგებენ“. ასეთია თედუასა და ტასუას ქორწინება.

ეკატ. გაბაშვილის გონებაც იქითკენ, შრომისა და ამ საღი ურთიერთობისაკენაა გულღიად მიმართული და მკითხველსაც იქით უთითებს.

ეკ. გაბაშვილის მოთხრობაში „ქალის პორტრეტები“ ასეთივე შეხე-

---

[13] ეკატ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სხვადასხვა ჯვარი ქორწილი, ოჩ. ნაწერები, 1932 წ., გვ. 16—17.

დულებაა განვითარებული. ბრწყინვალე წოდების დანგრეული ბუდეების ქალებმა (ელენე, კატო) დაკარგეს სისადავე, ზომიერება, გონიერება, ფუფუნებას მიეცენ, მიზნად ცხოვრებაში მხოლოდ განცხრომა აქვთ. ამისათვის, ვინც მათ ამ ცხოვრებას მისცემს, ისინი თვალდახუჭული მათ მისდევენ და სიფლიდეში დალევენ თავიანთ წუთისოფელს. ასეთი ცხოვრება მწერალს მთელი მისი უარყოფითობით აქვს დაბატული. ამ მოთხრობაშიაც მოცემულია პრივილეგიური კლასიდან გამოსული ხელმოკლე ინტელიგენტი ქალი (ნინო), რომელიც გრძნობს ოჯახის ვალდებულებას, დაეჭიდება ცხოვრებას, დაუწყებს პატრონობას თავის წვრილ დ-ძმებს: გულით არჩეული მეგობრისაგან გაწბილებული, განაგრძობს მუშაობას „იმ დღემდის, მანამ გმირულად თავის სისხლში აპოსვრილი უძლურად ლოგინზე არ დაეცა“.

ასეთია ნინოს ცხოვრება. მართალია, მძიმე, ტანჯული, მაგრამ შინაარსიანი, აზრიანი, მიზანდასახული, კეთილშობილი. ნინოს ცხოვრება გაცილებით ლამაზია, მისაღებია, ვიდრე ელენესი ან კატოსი; ნინოს ცხოვრების დახატვით მწერალი თითქოს მიუთითებს დარღვეულ პრივილეგიურ კლასს, რომ ცხოვრება და სიცოცხლის მიმართვა შინაარსიანობისაკენ შესაძლებელია და ნინოს ეს „უფერული“ ცხოვრება გაცილებით უკეთესია, ვიდრე ელენესი და კატოს ზეიმიანი და მდიდრული ფრონტარება. საჭიროა ცხოვრების გასადავება, შრომა, კეთილი მიზანი.

ელენესი და მისთანების მოდუნებული, უაზროდ, უსაქმოდ და-მჭკნარი ცხოვრების გამახვილებულად შეგრძნების მიზნით ეკ. გაბაშვილი მათ პარალელურად ხატავს გლეხი ნენეს მეხუთე გოგოს ფეფენას, რომლის დაბადება, როგორც ღარიბ ოჯახში მეხუთე გოგოსი, ყველას ეწყინა, და რომლისთვისაც მძიმე ცხორების ჭაპანი სიცოცხლის პირველი დღიდანვე დაიწყო. მისი სიცოცხლე „მხოლოდ შრომის და მასთან მძიმე შრომის ასპარეზია“. ასეთია ფეფენას ცხოვრება მშობლების ოჯახში. ასეთივეა მარტოხელა ქმრის ოჯახში, სადაც ფეფენა გლეხკაცის მძიმე ტვირთს ეზიდებოდა. „ჩუმი, წყნარი, მაგრამ დროზე ამაყიც, — რაღაც სიამოვნებით გადმოგვცემს მწერალი, — დაუღალავი მშრომელი (ფეფენა. — მ. ზ.) ნამდვილ ბედნიერებათ შეიქმნა ოჯახში. დედამთილი არ ბუტბუტებდა ამის ზარმაცობაზედ, ქმარი წაბაძვით და ცოლის ალერსიანი ქცევით დღეს ღამესთან ასწორებდა და ღვითი-დღე იმათ ოჯახს გაუმჯობესება ეტყობოდა“[14].

რაღაც ახალი, უფრო საღი, ამტანი, შინაარსიანი ქვეყნიდან გამოიყურება ფეფენას ენერგიითა და ცხოვრების წყურვილით სავსე, კუნთმძლავრი სახე. ენერგიას, ხალისს უმატებს მკითხველსაც კი ფეფენას

---

[14] ეკატ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქალების პორტრეტები, გვ. 136—137.

იმედიანი მიმართვა ქმრისადმი: „ერთი ორ წელიწადს, კაცო, საქმე გაიჭირვე, ვალი გადავიხადოთ და მერე შევისვენოთ.“.

ეს სისადავე, ეს გამძლეობა, ეს შრომის სიყვარული იზიდავს ეკატ. გაბაშვილის ყურადღებას. ამას მწერალი სოფლად გლეხში ხედავს. ამიტომ, რაც დრო გადიოდა და ეკატ. გაბაშვილის შემოქმედება ღრმად უკვირდებოდა ქართველი საზოგადოებრივი ცხოვრების ბრუნვას, მით უფრო გლეხი, მასზე ზრუნვა გადაიქცა მისი ყურადღების მთავარ საგნად.

მწერლის შემოქმედებაში თითქოს ამის თანადროულად პარალელურად იშლება პრივილეგიური კლასის სწრაფი ეკონომიური და ზნეობრივ-გონებრივი რღვევა, დაკნინება, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, ახალ პირობებში შექმნილი სახე იმ ინტელიგენტისა, რომელიც გამოსავალს ეძებს ამ ჯადოსნური ცხოვრებიდან და პოულობს მას კიდეც გლეხსა და სოფელზე ზრუნვაში. ეს გამოსავალი თვით მწერლის გულის ნადებიცაა.

8

ეკატ. გაბაშვილის მხატვრულმა ალღომ მშვენივრად შენიშნა ძველი ყოფის კატასტროფული რღვევა; მწერლის აპერცეპციამ გამონახა ამის მიზეზიც, რა აკნინებს, ადუნებს, ნიადაგს რა აცლის, გამოუსაღეგრად, ხშირად ხორცმეტად, რა ხდის ადამიანს? ამის პასუხი ეკატ. გაბაშვილმა მოგვცა დათიკო ყლაპიაშვილის, კნ. კუკნასა და მათთან სახეებს ჩვენებით. გამოსავალიც მწერალმა მათი ცხოვრების რღვევის მიზეზშივე იპოვა. ეკატ. გაბაშვილი რწმუნდება, რომ საჭიროა ქვეყნის, ერის, საზოგადოების გარდაქმნა. ამ დროს გავრცელებულმა და მოქმედმა ხალხოსნურმა მიმართულებამ — გლეხზე ზრუნვით, მისი ცხოვრების გაუმჯობესების კულტურულად აწევისა და მოწესრიგების კულტი. ეკატ. გაბაშვილიც გაიტაცა.

ეკატ. გაბაშვილის შემოქმედებაში გამომჟღავნდა რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში და ლიტერატურაში გამოაშკარავებული ფსიქოლოგია „მონანიე აზნაურისა“ — გაღვიძებული სინდისის ქენჯნით, ხალხში სიარულისა და გლეხკაცზე ზრუნვის ვალდებულების შეგნებით.

„მონანიე აზნაურების“ ფსიქოლოგია, ზოგან მეტად მკრთალად, ზოგან კი საკმარისად მკვეთრად ეკ. გაბაშვილის შემოქმედებაში მოჩანს მოთხრობებში: „რომანი დიდხევაში“ (თაეადი გიორგის სახით), „კონა“ (სანდრო გოგორაშვილის სახით), „სოფლის მეგობარი“ (სოლომონ ვარდიშვილის სახით), „თამარის ნუგეში“ (თამროსა და გ. ედიშერაშვი-

ლის სახით), „სოფლის მასწავლებელი“ (ნინო ნაქვთიაშვილის სახით), „გამარჯვებული ნიკო“ (ლიზა კოშკაძის სახით).

ამ ნაწარმოებებში გადაიშალა ეკატ. გაბაშვილის ხალხოსნური მსოფლმხედველობა.

„სოფლის მეგობარში“ მთავარი გმირი — ექიმი სოლომონ ვარდიშვილი — ავადმყოფთან შეხვდება ახალგაზრდა ქალს დარია აზნაურ ოვას. ეს ქალი კეთილია, გულშემატკივარია, ცხოვრობს თავისი შრომით. მიუხედავად ეკონომიური შევიწროებისა, ის სიამოვნებასი გრძნობს გაჭირვებულის დახმარებაში, სხვის დაუშურველელ დახმარებაში. მის ეზოში ცხოვრობს გაღარიბებული თავადის ოჯახის ქალი ნინო. მისი მომავალია შიმშილით სიკვდილი, ან თავმოყვარეობის დაკარგვა და სამუდამოდ ზნეობრივი დაცემა. კნ. ნინო გადაწყვეტს პირველი გზით წასვლას. უსახსრო, უნუგეშო, ყველასგან დავიწყებული უპატრონო მძიმედ გახდება ავად. მისი მიმხედი არავინაა, გარდა დარო აზნაურ ოვასი, რომელიც თავს მიანებებს სამსახურსაც კი (ამ ერთადერთს წყაროს ცხოვრებისას), რაც კი სახსრები აქვს ნინოს მოახმარს ავადმყოფობის დროს. თვითონაც აღარ იცის, რა ქნას. მომაკვდავ, უპატრონო ნინოსთან დარჩეს, თუ სამსახურს მიაკითხოს, რომ მშიერი არ მოკვდეს.

ამ გარემოებას შემთხვევით შეამჩნევს ახალგაზრდა ექიმი სოლომონ ვარდიშვილი, რომელიც მისებურად გულშემატკივარია და უანგარო ყოველი გაჭირვებულის მიმართ. სულ მალე გაიბმება ამათ შორის კავშირი, ორივეს ერთმანეთისადმი იზიდავს სხვაზე ზრუნვა, დაჩაგრულის თანაგრძნობა, სხვის საკეთილდღეოდ მსხვერპლის მიტანა. „ნუ თუ ვარდიშვილი მიყვარს? — ეკითხება დარო თავის თავს, — ნუ თუ შესაძლებელია სიყვარული იმ კაცისა, რომელსაც სამი კვირის განმავლობაში სამჯერ რიგიანად არ დავლაპარაკებივარ? მაგრამ ლაპარაკი იქ, სადაც კაცის საქმე, კაცის საქციელი ღაღადებს მის ადამიანობას, რა საჭიროა. განა იმისი გულმოდგინე, კაცთმოყვარეობით სავსე, ზრდილობიანი ქცევა ჩემთან და უპატრონო, უილაჯო ავადმყოფთან, საუკეთესო მოწმობა არ არის იმის კაცური კაცობისა?“[15]

ამ გრძნობის საპასუხოდ დაროს სოლომონ ვარდიშვილისაგანაც, რომელიც მოულოდნელად, მამის სიკვდილის გამო, სოფელში წავიდა, მოსდის ვრცელი წერილი—წინადადება, რომელშიაც ის დაროს აცნობს თავის თავს, თავის ცხოვრებას წარსულში, აწმყოში და უზიარებს თავისი მომავალი მოღვაწეობის გეგმასაც.

სოლომონ ვარდიშვილი გატაცებით აღნიშნავს წერილში თავის მისწრაფებას იმოღვაწეოს სოფელში, სადაც, მამის შეხედულებებთან შეუგუებლობის გამო, აქამდისაც ვერ მოეწყო. მას სურს დასახლდეს თა-

---

[15] ეკატ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სოფლის მეგობარი. 1960 წ., გვ. 277.

ვის სოფელში. ეს აზრი მას მოუვიდა რუსეთში უნივერსიტეტში სწავლის დროს: „იმ დროს რუსეთში მწერლობაში და ახალგაზრდობაში, — წერს სოლომონი დაროს, —ის აზრი ტარდებოდა, რომ ინტელიგენცია სოფლად დატრიალებულიყო, სოფლის სიბნელით მოცულ ცხოვრებაში სინათლე შეეტანა... ამ წმინდა აზრს ჩემმა მგრძნობიარე გულმა, ბავშვობიდანვე დეევნილმა და მაშვრალთ ხვედრის კარგად მცნობმა, ხმა მისცა და რაც მანამდე მხოლოდ ალღო იყო, მის შემდეგ შეგნებულ რწმენად ქცეული, იდეალად გადამექცა... ეხლა მინდა შეუდგე ჩემი აზრის ასრულებას, ჩემი იდეალის განხორციელებას, და ამისათვის სამუდამოდ სოფელში ვაპირებ დასახლებას. იმედი მაქვს ჩემი სპეციალური სწავლა-ექიმობაც—ხელს შემიწყობს. თქვენ, როგორც ქალაქში მცხოვრებს, არც კი შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, თუ რა უბედურია სოფელი, მეტადრე ზამთარში, როდესაც სიცივეს, სიმშილსა და .ავადმყოფობას ხელიხელს შიუცავთ და მედგრად მისევიან ბეჩავს გლეხკაცობას. მთელი ჩვენი მხარე სიღატაკის სამფლობელოს და უვიცობის სამყაროს წარმოადგენს“...[16]

ის აუწერს სოფლისა და გლეხკაცობის გაჭირვებულ, საავალალო ჩამორჩენილ ცხოვრებას, რამდენად საჭიროა ყოველი კულტურული კაცის სოფლისათვის, რამდენად შეუძლია ამ კაცს შეუმსუბუქოს გლეხს მდგომარეობა. აუწერს კონკრეტულ შემთხვევას ღარიბი, უვიცი გლეხის ოჯახში ნახულ ავადმყოფს, რომელთანაც ის მიიწვიეს, როგორ დაუბრუნა მან სიცოცხლეს სრულიად უბრალო საშუალებით ოჯახის მრჩენელი კაცი და რა ბედნიერება განაცდევინა ამით მის ცოლსა და მშობლებს. რა ცოტაა საჭირო, რომ კაცს ჭირი ააცილო და სინდისიც განამტკიცო, — რაღაც გადამდები აღტაცებით წერს სოლომონი დაროს და ურყევი ტონით უცხადებს: „არა მე ვეღარა მომაშორებს რა ამ ბეჩავს სურათს?!“ ამასთანავე სოლომონი დაროს აძლევს წინადადებას: „თუ თქვენც დაკმაყოფილდებით ამ მოკლე ნახტომით, მიბოძეთ ხელი და წავიდეთ ერთად, განვლოთ მოკლე, უხმო და შეუნიშნავი გზა. ჩვენი ცხოვრება შეიძლება მრავლის ეკლით შეიმოსოს, მრავალი ბორძიკი მოგვედოს. მაგრამ ადამიანის დანიშნულება მარტო ია-ვარდზე სიარული ხომ არ არის?“

ამ წერილში გარკვეულად ისმის სინდისის ქენჯნა, აღტყინება უანგარო, სასარგებლო მუშაობით.

სოლომონ ვარდიშვილს თავის სურვილებს მწერალი მოქმედებაში კი არ აშლევინებს, არამედ მხოლოდ წერილის საშუალებით. ჩანს, მწერლისათვის სოლომონის, ე. ი. ხალხსნის სახე ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, ამიტომ გაუძნელდა ამ გმირის მოქმედებაში განსახიერება.

---

[16] ეკატ. ბ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სოფლის მეგობარი, 1960 წ., გვ. 277.

ჩანს მწერალსაც ხალხისნის სახე აზრში, მისწრაფებაში აქვს წარმოდგენილი, პრაქტიკაში კი ჯერ ვერ გადაუტანია.

ამ სახის უფრო გარკვევა ეკატ. გაბაშვილს „თამარის ნუგეშში" აქვს მოცემული. ეკ. გაბაშვილი იდეალისტი მწერალია, მას სწამს, რომ ხალხის კეთილდღეობით აღგზნებული, გულწრფელი, პატიოსანი პიროვნების სასარგებლო მოქმედებასა და სიტყვის ცხოველმყოფელ გავლენას წინ ვერაფერი დაუდგება. კეთილი მისწრაფება და აზრი ჰბუგავს ყველა დაბრკოლებას, ათბობს და აცხოველებს შავს მუშაობაში, ცხოვრების უკულმართ ტრიალში გამოსულ გლეხკაცის უნდობელ და გაციებულ გულს. ამიტომ ეკატ. გაბაშვილის ხალხისანი გმირების მოქმედებას გლეხობა დიდის სიმპათიითა და ნდობით ეპყრობა.

ასეთია თამარ შალვაშვილი. სოფ. ახალუბანში თამარმა ხალხისათვის თავისი მზრუნველობით საერთო ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. მისი მზრუნველობისა და ენერგიის შემწეობით ახალუბაში სკოლა გაიხსნა და ღირსეული მასწავლებელი იქნა მოწვეული, რომელსაც თამრო ფართო მიზნებსა და მოვალეობას უსახავს. თამრო ასეთი სიტყვებით მიმართავს სკოლის გახსნის მიზნით შეკრებილ გლეხკაცობას: „ახალ-უბნელებო! სამი წელიწადია, რაც ჩვენ ამ სოფელში თქვენთან ერთად ვცხოვრობთ. ამ სამ წელიწადში ჩვენ რაც ღონე გვქონდა, ვეცადენით, რომ რაშიმე გამოგდგომოდით. წადილი დიდი გვქონდა, საქმით კი დიდი არა გამოვიდა რა. მე ვასწავლე მხოლოდ თქვენს ქალებს წიგნი, ცოტაოდენი ხელსაქმე და გავაგებინე, თუ ოჯახის სუფთად შენახვას და მოვლას რა მნიშვნელობა აქვს ჯანის სისაღისათვის. მაგრამ ყველა ეს ძლიერ, ძლიერ ცოტაა თქვენი წარმატებისათვის. თქვენს ვაჟიშვილებსაც უნდა სწავლა და არც თქვენთვის იქნება უსარგებლო, რომ კვირაობით მაინც მოისმინოთ ხოლმე საუბარი იმაზე, თუ თქვენთვის რა უფრო მავნებელია და რა სასარგებლო, რა გარგებთ, რითი უნდა ებრძოლოთ თქვენს მტერსა და რითი უნდა გაუძღვეთ თქვენს მოყვარეს. ამისათვის მამას ღონე არ მოსდევს და მეც ჩემს თავს საკმაოდ მომზადებულად არა ვთვლი. აქამდისაც გირჩევდით და დღესაც გირჩევთ გამართოთ თქვენი შვილებისათვის სკოლა, სადაც იმათ შეეძლოთ სწავლის შეძენა და ამით ცხოვრების მძიმე ტვირთის შემსუბუქება.

„მე ჩემის მხრით ვეცადე და გიშოვნეთ თქვენთვის პატიოსანი კაცი, რომელიც არამც თუ მარტო თქვენი შვილების მასწავლებელი იქნება, არამედ თქვენი დამრიგებელი და სწორი გზის მაჩვენებელიც იქნება"[17].

მოღვაწეობის ასეთი სურვილი, გზა და დასაწყისი ჩვეულებრივი იყო ხალხისნებისათვის, განსაკუთრებით მაღალი წოდებიდან გამოსული ხალხისნისათვის, რომელიც ერთგვარი სასოებით მიდიოდა ზევი-

[17] ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თამარის ნუგეში, ტ. I, 1953 წ., გვ. 331.

ღან ხალხის ცხოვრების მორევში, რათა გაეზიარებინა ხალხის ცხოვრება, დახმარებოდა თავის „უმცროს ძმას". თამრო შალვაშვილი სახეა ასეთი ხალხოსნისა.

... რამდენიმე წლის შემდეგ, თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობით ბედნიერი და კმაყოფილი თამრო, გიორგი ედიშერიშვილს რომ შეხვდება, ყოველთვის „სხვისი ბედნიერებით კმაყოფილი", სიხარულით აირას ეუბნება მას: „ოხ, თქვენ ახალ-უბანს ვერც იცნობთ, — გადამდები გატაცებით უამბობს თამრო, — ჩვენი სკოლა თავისი პატარა და დიდი მოწაფეობით აღტაცებაში მოგიყვანთ. მასწავლებელი სამაგალითო გამოდგა. მღვდელი უფრო უკეთესი"[18].

თამრო, როგორც გაზაფხულის სასიამოვნო მხურვალე მზე, ყველას ათბობს და აყვავებს, როგორც მძლავრი ანღამატი, იზიდავს თანაზიარობას ხალხისათვის სასარგებლო მოღვაწეობის ასპარეზზე და, უნდა ითქვას, წარმატებითაც. აკი სოფლისათვის სასარგებლო და შესაფერი მასწავლებელი იშოვა, აკი ალექსი მღვდელიც შეაყენა ამ კეთილ საქმეზე! აკი თავის მამაც ჩააბა ხალხისათვის სასარგებლო საქმეში, აკი ბრწყინვალე მხედარი გიორგი ედიშერიშვილის ცხოვრებაც შეაბრუნა ხალხისკენ!

— გიორგი ედიშერიშვილი ახალი გზისაკენ გამზადებული, დღემდე რაღაც დაუკმაყოფილებელი ბუნების დაკმაყოფილების მოლოდინში მყოფი, თავის დედას ასე აუხსნის ახალ სულიერ განწყობილებას, თამროსაგან გადადებულს: „მე თუმცა მომზადებული არა ვარ ამ საქმისათვის, მაგრამ საზღვარგარეთ წავალ და იქ შევისწავლი, რაც საჭიროა ჩვენი მიწა-წყლისათვის და უკან დავბრუნდები. მაშინ, დედა, გადავსახლდეთ „შავლასეულში" და ხელახლად ავაშენოთ ის, რაც დავაქციეთ და ავაორეთ ჩვენი ქალაქში გადმოსახლებით. თუმცა ახლა გვიან არის იმის დაწყება, რაც ყმაწვილობიდანვე უნდა დამეწყო, მაგრამ გამოფხიზლება და საქმის დაწყება, რა ღროსაც უნდა იყოს, საზარალო არ იქნება ჩემის ქვეყნისათვის"[19].

თამრომ უახლოეს მეგობრადაც აირჩია ლევანი, რომელიც მზადაა შედგეს თამროს სამოქმედო ასპარეზზე, გაჰყვეს მას გატაცებით და უფრო გააღრმავოს მისი დაწყებული საქმე. ამ მიზნით ლევანი მიდის საფრანგეთში, სადაც უმაღლეს სასწავლებელში მეურნეობა შეისწავლა. ის სამსახურში შესვლის წინააღმდეგია. „სამსახურში! — გაოცებით უპასუხებს ლევანი გიორგის და ღიმილით თავს გაიქნევს. — არა, არა! ღმერთმა დამიფაროს! საუბედუროდ არც მამული მაქვს. მაგრამ მთელი საქართველო მე ჩემს მამულად მიმაჩნია, რომელიც ავად არის და მკურ-

---

[18] ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი თამარის ნაგვში, ტ. I, 1953 წ., გვ. 340.
[19] ი ქ ვ ე, გვ. 348.

ნალი ეპირვება, რამდენიც უფრო მეტი მკურნალი ეყოლება მას, იმდენი უფრო უკეთესი იქნება"[20].

ეკატ. გაბაშვილის შეხედულებით, ასე დიდდება რაზმი ამ ხალხის მოკეთეთა. და ამ დიდ საქვეყნო საქმეში ქალიც აქტიურადაა ჩაბმული.

„თამარის ნუგეშში", „მონანიე აზნაურის" სახეები არ არის სათანადოდ სისხლ და ხორცშესხმული. მწერალი ქალი ამ გმირებს ხატავს თავის შეგნებაში დაბუდებული სახეების მიხედვით. მწერალი თვითონ ლაპარაკობს მათი მოღვაწეობის შესახებ.

„მონანიე აზნაურის" სახე ეკ. გაბაშვილმა უფრო გარკვეულად მოგვცა მოთხრობაში „სოფლის მასწავლებელი" ნინო ნაქვთიაშვილის დახატვით.

ნინო ნაქვთიაშვილი მივარდნილი ღარიბი სოფლის ეკლიანის ახალგაზრდა მასწავლებელია, რომელიც დიდი გატაცებით, მოთმინებითა და თავდადებით ასრულებს სახალხო მასწავლებლის მძიმე მოვალეობას. ეკ. გაბაშვილი ასე გვაცნობს მის ვინაობას: ნინო იყო „დიდი გვარიშვილის და დიდად წარჩინებული ოჯახის შვილი, სხვა საზოგადოებაში ტრიალისათვის აღზრდილი და მომზადებული და ამიტომ დიდად გააკვირვა ნინომ ეს საზოგადოება თავისის გადაწყვეტილებით, როდესაც ამ ორისამი თვის წინად გამოუცხადა იმათ, რომ სპობს თავის წარსულთან ყოველს კავშირს და სკოლის მასწავლებლად მიდის"[21]. ესაა ტიპიური დასაწყისი „მონანიე აზნაურის" ცხოვრებისა!

ნინო, დიდი ოჯახის ჩამომავალი, ახლა საგრძნობლად გაღარიბებული, ბუნებით ჭკვიანი, ხასიათით მტკიცე ადამიანი იყო, თუმცა სერიოზულ ფიქრს შეუჩკეველი. მაგრამ „ის არც იმ ბედნიერ არსებათ ეკუთვნოდა, — გვიხასიათებს მწერალი, — რომელნიც ფრინველსავით არ ზრუნავენ ხვალისათვის და მხოლოდ ჩაფლულნი არიან ფუფუნების ორომტრიალში". ნინო ბევრს კითხულობდა, წაკითხულს უკვირდებოდა, თავისი წრის ცხოვრებას ადარებდა და რაღაც გაურკვეველი ჭმუნვა, მოწყენილობა იპყრობდა. მისი ბუნება სხვა გზას, ახალს, მოქმედებიანს, შინაარსიანს თხოულობდა. ის, მწერლის ლამაზი თქმით, „უსაქმურთა საბუდრიდან გადმოფრენილ წიწილას მიემსგავსებოდა".

ნინო თავის მეგობარ მარო ქანდარაშვილთან შეხვდება ალექსანდრე მხატვრიშვილს, რომელიც იმ უმაწვილ კაცებისაგან, ნინოს გარშემო რომ იყვნენ შემოკრებილი, შესამჩნევად განსხვავდებოდა. ალექსანდრე ენთუზიასტი ხალხოსანია. მათ ორივეს ერთმანეთი შეუმჩნეველი არ დარჩათ. ალექსანდრესთან შეხვედრისთანავე მათ შორის გაიმართა შინაარსიანი, ნინოსათვის ახალი საუბარი. ალექსანდრემ მოურიდებლივ გაკიცხა ნინოსა და მისთანათა მოწყენილი, უსაქმური, უკმაყოფილები-

[20] ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თამარის ნუგეში, გვ. 336.

[21] მ ი ს ი ვ ე, სოფლის მასწავლებელი, ტ. II, გვ. 319.

თა და სიზანტით სავსე ცხოვრება. ალექსანდრეს ცეცხლიანმა მიმართვამ: „თქვენ „სკუჩნაობთ“ უსაქმურობით და ხალხი კი სიბნელეში შუქის შემტანს ელის; წადით ხალხში, გაიფანტენით ყოველი კუთხივ, შეიტანეთ ეს „შუქი“; თქვენც დაკმაყოფილდებით და საქმეც წინ წაიწევს“[22], — ნინოს გულში პოხიერი ნიადაგი ჰპოვა.

ნინოს კითხვაზე: „როგორ და რა გზით?“ ალექსანდრე ურყევი, დამარწმუნებელი ტონით უპასუხებს: „აი თუნდა სოფლის მასწავლებლად, სოფლის ბებიად, ფერშლად. ყველა კეთილგონიერ ქალს შეუძლია ამ საქმეების ასრულება. და ამ საქმეების სინდისიერად ასრულება კი ის „შუქია“. რომელიც საჭიროა საერთო სიბნელეში“[23]. ესეც ხომ ტიპიურია ხალხოსნური მოძრაობისათვის. ნინოში ამ გავლენის გამო გარდატეხა ხდება. ის უახლოვდება მთელ წრეს ყმაწვილებისას, რომელთაც გადაეწყვიტათ ხალხში გასვლა, რომლისათვისაც ისინი გაფაციცებით ემზადებოდნენ. ნინო გამოიცვალა, გარდაიქმნა. ეკატ. გაბაშვილს, იდეალისტ-მორალისტ მწერალს (და ეს დამახასიათებელია ხალხოსნებისათვის) სწამს ადამიანის ამგვარი გარდაქმნა.

ამიტომ, როცა მივარდნილ ღარიბ სოფელ ეკლიანში სოფლის მასწავლებლის ადგილი გათავისუფლდა და ახალგაზრდათა წრემ დაინახა, რომ იქ უსათუოდ თავიანთი კაცი უნდა ჩაეყენებინათ, ნინომ ურყევად განაცხადა იქ გამწესებისა და მასწავლებლობის სურვილი, მიუხედავად მახლობლების რჩევისა და გაფრთხილებისა, რომ ეგ ცოცხლად დამარხვაა, სიცოცხლესთან კავშირის გაწყვეტაა.

თვითონ ახალგაზრდათა წრესაც გაუკვირდა ნინოს ასეთი გადაწყვეტილება და ეუბნება მას: „თქვენ ჩქარობთ, ჯერ კიდევ გჭირიათ სამზადისი, თავის თავის წვრთნა რთულის და ძნელის საქმისათვის“: ამაზე ნინო გადაწყვეტით და საქმიანი ტონით ეტყვის: „დიახ, ვიცი და ვეცდები, რაც არ ვიცი, თანდათან, საქმის მსვლელობის დროს, შევისწავლო. ხანდახან თქვენც ხომ გამამხნევებთ ხოლმე, ხომ მომაწვდით ხელს, როცა გამიჭირდება“ — რაღაცა სიამოვნებისა და იმედიანი ტონით წყვეტს ის ამაზე ლაპარაკს.

ნინო მუშაობაში, მართლაც, მტკიცე ნებისყოფასა და მოსიყვარულე გულს იჩენს. ის დიდი გატაცებით, მოთმინებითა და თავდადებით ჩაება სახალხო მასწავლებლის მძიმე მოვალეობის ასრულებაში. ნინო ეკლიანში მარტო ბავშვების მასწავლებელი კი არ იყო. არამედ სოფლის უანგარო მეთვალყურეც, მზრუნველიც: ის ავადმყოფებსაც შველის, გლეხობას უკერავს, დაბეჩავებულთ არზას უწერს და ვისაც კი რა გაუჭირდება სოფელში, ის იმათი დამხმარეა.

ნინომ ორი თვის შემდეგ უკვე დაიმსახურა ნდობა და სიყვარული არა

---

[22] ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სოფლის მასწავლებელი, გვ. 321.
[23] ი ქ ვ ე, გვ. 323.

მარტო მოსწავლე გოგო-ბიჭებისა. არამედ მათი მშობლებისაც. გაიბა მათ შორის მჭიდრო კავშირი. კმაყოფილია ნინო. სიამოვნებას და ბედნიერებას განიცდის მათთან დაახლოებაში.

მიმზიდველადაა გაშლილი ნინოს პრაქტიკული მოღვაწეობა სოფლად. მაგრამ ნინოს ბებია მაკრინე მაინც ვერ ურიგდება შვილიშვილის ასეთს „ცოცხლად დამარხვას". როცა ნინო გაკვირვებული მოაგონებს ბებიას, რომ მასაც ხომ უცხოვრია სოფლად და სოფლის ცხოვრებას სიამოვნებითაც იგონებს, ამაზე ბებია მაკრინე თავისებურად ასაბუთებს ძველი სოფლის უპირატესობას, სახელდობრ, რომ მაშინ ისინი ბატონები იყვნენ. ყველა და ყველაფერი მათი საკუთრება იყო: „ათასი ჩვენისთანა ვებატონე გვმეზობლობდა, მიდიოდ-მოდიოდნენ, ვლხინობდით, ჭირსა და ლხინს ერთად ვეწეოდით". ახალი ცხოვრებით გამოფხიზლებული ნინო ამაზე ბებიას ასეთს პასუხს აძლევს. „ბრძანდებოდით, ყველა და ყველაფერი თქვენი საკუთრება იყო. გარშემო ცხოვრება ყვაოდა და სუყველაფერი გატიელდა. განა რო გატიელდა, მაგაში სოფელია დამნაშავე? პირიქით, თქვენ წაართვით სოფელს ყველაფერი ის, რაც ეკუთვნოდა იმას და რითაც გასაზრდოვებდათ თქვენც: მიწა, წყალი, მთა და ბარი და ბოგანოთ გახადეთ ისიც და თქვენი თავიც და ეხლა ისიც კი არ გემეტებათ, რომ თქვენი შვილები ცდილობენ თქვენი დანაშაული შეასწორონ, პირადი შრომით, კეთილის სიტყვით, მაგალითით. ცოტათი მაინც გადაუხადოთ სოფელს ის ვაგლახი, რომელიც მათ გამოაცდევინეთ"[24].

ეი ნიშანდობლივი თვისება და მოვალეობის თუ ვალდებულების გაგება „მონანიე აზნაურის" მიერ. ნინო სწორედ ტიპიური სახეა „მონანიე აზნაურისა", რომელსაც ვალი წინაპრებისა სტანჯავს, მოსვენებას არ აძლევს, გადახდა უნდა ვალსა და ამ მიზნით გასულა ხალხში.

ნინოს ასეთი ქცევითა და ლაპარაკით შეწუხებული და აღშფოთებული მაკრინე კი უკმაყოფილოდ არა ერთხელ ეუბნება შვილიშვილს: „იყვეს შენი ნება, თავი შეაკალ, ემსახურე ტეტიებს, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ არ მესმის შენი თავგანწირულება".

ნინო ამაზე დაკმაყოფილებით ასეთს განმარტებას აძლევს ბებიას: „უწინ გმირობა იყო მამულისათვის ცეცხლში ჩავარდნა, ჯვარცმა, წამება, ახლა კი საჭიროა მასწავლებელი, მასწავლებელი და ისევ მასწავლებელი. ყველაფერი თავით ფეხამდის უვიცის და ბეჩავის სოფლისათვის, და ეს ვალდებულებაა მეტადრე ჩვენი, ჩამომავალთ იმ წარჩინებულთ წოდებისა, რადგან მომეტებულად ჩვენ გვიდევს ბრალი სოფლის გათახსირებაში და იმის სიბნელით მოცულ ცხოვრებაში"[25].

---

[24] ეკატ. გაბაშვილი, სოფლის მასწავლებელი, ტ. III, 1960 წ., გვ. 325—326.

[25] იქვე, გვ. 326.

აქ ორი მსოფლმხედველობაა მკვეთრად დაპირისპირებული: ნინო ახალი ადამიანია, ახალი გაგებით, მისწრაფებებით. ნინო, ცხადია, „მონანიე აზნაურის“ დამახასიათებელი თვისებებითაა გამსჭვალული: ვალდებულებების შეგნება გლეხების წინაშე. ამ ვალდებულებების მოხდა და მისთვის მსხვერპლის გაწირვა. აი, რა არის ნინოს ეთიკა, ესთეტიკა, მისწრაფება, მრწამსი. „სოფლის მასწავლებელი“ ეკატ. გაბაშვილის შემოქმედებაში ამ თვალსაზრისით უდავოდ მეტად საგულისხმიეროა.

ეკ. გაბაშვილი ამ ვითარებაში თანდათან უფრო ღრმად იხედება. მალე რწმუნდება, რომ „მონანიე აზნაური“ მაინც არ არის ის, რომელიც ხალხს ნამდვილ მასწავლებლად — მკურნალად მოევლინება. ის მაინც შებორკილია, მას ახასიათებს რაღაც თვისებები, რომლებიც ხალხთან უშუალო მისვლის შესაძლებლობას არ აძლევს; საჭიროა უფრო მაგარი ნებისყოფა, მეტი სიმტკიცე, ურყევი რწმენა და ამ რწმენის ხალხში გატანის უნარი.

ხალხოსნის ასეთ სახეს ეკატ. გაბაშვილი გვაძლევს მოთხრობაში „გამარჯვებული ნიკო“.

„მონანიე აზნაურში“ ხალხოსნურმა იდეებმა ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა. ბევრი მათგანი ჩაება ხალხოსნურ მოღვაწეობაში. უნდა კი აღინიშნოს, რომ „მონანიე აზნაურ“—ხალხოსანს არა აქვს ისეთი ძარღვი და ძალა, როგორც ხალხიდან გამოსულ ხალხოსანს. „მონანიე აზნაურში“ კიდევ ცოცხალია ნაშთი ფეოდალური ყოფისა და ფსიქოლოგიისა. გზა რევოლუციონური მოღვაწეობისა ძველ ტრადიციებზე აღმოცენებული თვისებებისაგან განთავისუფლებული მაინც არ არის. პირადი ბედნიერების ძიება მათში მაინც საგრძნობია.

ხალხოსანი, გამოსული თვით ხალხის წიაღიდან, უფრო ძლიერია და ჩვენ ლიტერატურაშიაც ასეთი გმირი უფრო მკვეთრადაა ასახული. თვით ეკ. გაბაშვილიც გრძნობს ხალხის წრიდან გამოსულის უპირატესობას და უფრო მეტი დეტალებით გვიხატავს „ხალხის მოკეთის“ ფიგურას მოთხრობაში „გამარჯვებული ნიკო“ ნიკო ბერიშვილის სახით.

ნიკო ბერიშვილს „საკუთარი პირადობის ფიქრი აინუნში არ მოსდიოდა“. ის მუდამ ჟამს ზრუნავდა იმ მოვალეობაზე, რომელიც მან თავის ცხოვრების გზაზე აირჩია და რომელიც მას უეჭველად, ურყევად, საუკეთესო გზად მიაჩნდა. და ეს იმიტომ, რომ ნიკო, როგორც ამას ხაზს უსვამს ეკ. გაბაშვილი, „სოფლის შვილია და სიამოვნებით მიილტვის სოფლისაკენ“. მისი ოცნება „სავსე იყო მრავლის მაღალის აზრებით და იმედი ჰქონდა თავისი კეთილი აზრები დაემყნო სოფლის ნიადაგზე“.

ნიკოს ასეთი ბუნება და მიმართულება რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს, ეკატერინე გაბაშვილი მას უპირისპირებს მაღალწოდებიდან გა-

მოსულს, სოფელშივე სამასწავლებლოდ გამგზავრებულს, ლიზა კოშკაძეს. „ესეც (ნიკო ბერიშვილი), — წერს მწერალი, — იმავე აზრით მიდიოდა კახეთში, როგორც ლიზა; ამასაც სოფლის მასწავლებლობა ჰქონდა მინდობილი. მაგრამ ეს თანამდებობა უფრო სანუგეშო და სასიამოვნო აზრებს ჰბადებდა მის გულში, ვიდრე სამწუხაროს. ლიზა იტანჯებოდა მხოლოდ პირადის უბედურებით, სწუხდა მხოლოდ თავის მარტოობას, თავის ოცდახუთის მანეთის ჯამაგირის სიმცირეს და ნიკო ბერიშვილს კი საკუთარი პირადობის ფიქრი აინუნში არ მოსდიოდა. ფიქრობდა მხოლოდ იმ მოვალეობისათვის, რომელიც თავის ცხოვრების ასპარეზად აირჩია და რომელიც თავის ქვეყანაში საუკეთესო შრომად მიაჩნდა. თვალწინ ჰყავდა მხოლოდ ის პატარა მოწაფეები, რომლებისათვისაც სინათლის გზა უნდა ესწავლებინა, რომელთა გულში სწავლა და მეცნიერება უნდა დაენერგა. სოფლის შვილი იყო, სიღარიბეში წვითა და დაგვით გამოზრდილი... ამიტომ ძალიან კარგად იცოდა სოფლის ავი და კარგი, მისი მწვავი და წყლულნი და ფიქრობდა, რომ ერთად-ერთი სინათლის მომფენი სოფლის ბნელს ცხოვრებაში სკოლა იყო, და ამ სინათლის მოფენა, ამ სიბნელის გაშუქება საბედნიერო საქმედ მიაჩნდა და სხვაგვარი პირადი ბედნიერება მივიწყებული ჰქონდა“[26].

ნიკოს ცხოვრება და მოღვაწეობა საკმარისად დაწვრილებით არის მოთხრობაში ნაჩვენები. მისი, მართლაც, არაჩვეულებრივი მოთმინებითა და გულმხურვალეებით თავგანწირული მოღვაწეობა ხალხის კეთილდღეობისათვის საკმარისად ღია ფერებშია ასახული. თავადი ლუარსაბ ჯანბადრუკიანი დაცინვის მიზნითა და ერთგვარი მძულვარებით ასე ახასიათებს ნიკო ბერიშვილს: „ჩვენი სოფლის ლეკიკარის სკოლის მასწავლებელი მთელი დღე, კვირაობითაც კი, განუყრელად გლეხებში ზის, იმათ ელაპარაკება, იმათში ერთობა; ჩვენ კი ვერასგზით ვერ შევიჩვიეთ. გასაკვირველი არის, განათლებული კაცი და განათლებულ საზოგადოებას ერიდებოდეს და გლეხებში, იმ უმეცარ, თითქმის გაპირუტყვებულ ხალხში დროს ატარებს და თანაც კმაყოფილებით ჰგრძნობდეს თავს“[27].

და სწორედ თავად ჯანბადრუკიანის ნიკოს ამ დამცინავ დახასიათებაში, ხოლო ნიკოს ასეთს თვითდაკმაყოფილებაში არის მთელი ძალა და ნიკოს, როგორც ხალხისნის, ბუნების სწორი გამომჟღავნება. ნიკოს მიერ ჯანბადრუკიანებთან შემაერთებელი ხიდის შეგნებულად ჩატეხაში და „თითქმის გაპირუტყვებულ ხალხში“, კმაყოფილებით ტრიალში, მათთან ურთიერთობაში იყო ხალხისანთა ძალა, ორიგინალობა, მიმზიდველობა და მნიშვნელობა.

---

[26] ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, გამარჯვებული ნიკო, ტ. I, 1953 წ., გვ. 343.
[27] ი ქ ვ ე, გვ. 388.

ნიკო ბერიშვილი მშვენივრად ამჟღავნებს ჯანბადრუკიანის პუნებას, როდესაც ის გამოუცდელ ლიზას აფრთხილებს: „ეგ ყმაწვილი (იასონ ჯანბადრუკიანი. — მ. ზ.), — ეუბნება ნიკო ლიზას, — იმ კრებულის კაცია, რომლის წევრნიც ყოვლად უსაქმონი, ამაყნი, გონება გაღხენელნი ბრძანდებიან. ამ ვაჟბატონების აზრით, ყოველი ღარიბი იმიტომ არის გაჩენილი, რომ იმათი ლუკმა გახდეს, იმათ ოქროს არ გადურჩეს შეუსყიდველი, დაუძლეველი. პირველი ხომ თქვენ არ იქნებით"[28]. ნიკო ლიზას ჯანბადრუკიანების გახრწნილ და ზნედაცემულ ცხოვრებას ბუქ ფერებში დაუხატავს. ესეც დამახასიათებელი იყო ხალხოსნებისათვის და მკვეთრად ამჟღავნებს ავტორის ხალხოსნური მიმართულების არსის გაგებას.

ნიკო ბერიშვილის ასეთმა ბოურიდებელმა და უარყოფითმა შეხედულებამ ჯანბადრუკიანებზე, ადამიანურმა კაცურმა გრძნობამ უბედური, ნიშანში ამოღებული მსხვერპლისადმი, ნიკოს დააკარგვინა მოღვაწეობის საყვარელი და სანეტარო გზა; ბევრი ვაი-ვაგლახი და შეევიწროება მიაყენა მას და მის ღარიბ ოჯახს. ბოლოს, ბევრი ფიქრისა და ზნეობრივი ტანჯვის შემდეგ, ნიკომ გადაწყვიტა მღვდლის მოღვაწეობისათვის მოეკიდა ხელი. „თუმცა სარწმუნოებრივი გრძნობა, — ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი, — ხელს არ უწყობდა ამ დიდსა და წმინდა საქმეს შესდგომოდა, მაგრამ სრულის გულწრფელობით ნუგეშობდა მით, რომ სამაგიეროდ რელიგიურის რწმენისა, ჰქონდა მადლი, ზნეობრივი ძალა, კაცთა სამსახურის, რომ თამამად შეეძლო მოძღვრების ჯვარი აეღო ხელში და შესდგომოდა ამ მძიმე საქმეს, ფრიად ვრცელსა და სავალდებულო საქმეს"[29].

ამრიგად, ნიკო ბერიშვილმა, ერთი მხრით გზა შეკრულმა, მეორე გზით მოახერხა გაეტარებინა ცხოვრებაში დიდი მცნება — „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი"-ო. და არა მარტო თვითონ შესძლო ამ გზით სიარული, არამედ გვერდში ამოიყენა გაუკულმართებული ცხოვრების ტალღებიდან უზნეო და უკულმართი ხალხის მიერ გადატყორცნილი და გათელილი ლიზა (რომელიც შემდგომ მისი ცოლი შეიქმნა) და აგრეთვე სხვანიც.

ნიკოს მადლიანმა და გატაცებულმა მოღვაწეობამ სოფელი ლილიფარიანი არაჩვეულებრივ, ყველაფრით რაციონალურად მოწყობილ კოლექტივად გადააქცია, სადაც ყველა სიხარულით, ხალისით, სარგებლობისა და ცხოვრების სარგებლიანობის შეგნებით შრომობს. შრომობს ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის.

---

[28] ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, გამარჯვებული ნიკო. ტ. I, გვ. 453.

[29] ი ქ ვ ე, გვ. 455.

აი, რასა წერს ამ სოფლის შესახებ თავ. იასონ ჯანბადრუკიანი, რომელიც, როგორც მაზრის უფროსი, გაგზავნილი იყო საიდუმლოდ გამოეძიებია ნიკო ბერიშვილის მოღვაწეობა: „არსად, გარდა საზღვარგარეთისა, არ შეეხვედრივარ ამისთანა სუფთა და კოპწია სოფელს: ორპირად ჩამომწკრივებულს სოფლის სახლებს, გზის აქეთ-იქით წინ ორიოდ-სამი ხე უმშვენებდა ეზოს, რაც საქართველოში იშვიათია და ქართლში ხომ სანთლით არ მოიძებნება. თვით გზა გატკეცილი იყო და ორთავე მხრივ ღრმად ამოჭრილ არხებში ანკარა რუები მოუდიოდა“[30].

მშვენიერი და ხალხისნებისათვის დამახასიათებელი გეგმაა მოცემული მომავალი სოფლის ბედნიერი წყობილებისა, ურთიერთ მდგომარეობის გაგებისა და დახმარებისა, ეკონომიურად გამაგრებისა და კულტურულად წინ წაწევისა. ეს ფურიესებური ფალანგია. ამგვარი ასოციაციებით გატაცებას ვხედავთ რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში და რუსულ ლიტერატურაშიაც. ნ. ჩერნიშევსკის რომანი „Что делать?“ მკვეთრი გამომხატველია ასეთი განწყობილებისა რუსეთში. ამ რომანმა ქართულ მწერლობაშიაც ჰპოვა თავისი იდეური გამოძახილი. ნ. ჩერნიშევსკის გავლენა ანტ. ფურცელაძეზე თავის ადგილზე აღვნიშნეთ. ეკატ. გაბაშვილიც საუკეთესოდ აღბეჭდავს თავის შემოქმედებაში ჩერნიშევსკის გავლენას. და ამას არა მარტო ქალის სამოქმედო ასპარეზზე აქტიურ მოღვაწედ გამოსვლის შეგნების აუცილებლობით, არამედ მისი მოღვაწეობით ხალხისათვის, ხალხში სიარულისა და მისი დარაზმვის გზით, მომავლის ფართო პერსპექტივის დანახვით[31].

„გამარჯვებულ ნიკოშიც“ ბერიშვილების მოღვაწეობის გაშლაში ჩერნიშევსკის შეხედულებათა გავლენას ვამჩნევთ.

გავეცნოთ სოფ. ლილიფარიანის ახალ სახეს, სადაც ბერიშვილებმა გაშალეს საზოგადოებრივი მოღვაწეობა და საქმიანობასაც სწორი მიმართულებით წარმართავდნენ.

„ბერიშვილი სდგას, დედაჩემო— სწერს იასონ ჯანბადრუკიანი, — ამისთანა სასახლეში, რომელთანაც ჩვენი ნაქები დარბაზები თაგვის სოროებად გვეჩვენება. მაგრამ კი არ იფიქრო, ის სასახლეს გაედიდკაცებინოს, სიმდიდრესა და ფუფუნებას შეეპყრას. არა! ეს ისევ ის ნიკოა და ისევ ტყავი ასხია! თავდაბალი, სადა, ზრდილი და კაცთმოყვარე, მხოლოდ სათნოება მოჰმატებია, რადგან ყოველი თავისი აზრი შეუსრულებია და საბრძოლველად აღარა დარჩენია რა...

„ჩვენ გვერდით მოძღვრის ოთახიდგან, — განაგრძობს განცვიფრებული იასონ ჯანბადრუკიანი, — გრძელ ტალანში და შეევედით დიდ დარბაზში, რომელიც სამოსწავლო სკამებით იყო სავსე და ზედ

---

[30] ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, გამარჯვებული ნიკო, ტ. I, გვ. 463.

[31] დაწვრილებით იხ. მიხ. ზანდუკელი, „ნ. ჩერნიშევსკი და ეკ. გაბაშვილი“.

რამდენიმე ახალგაზრდა გლეხის დედაკაცი სწერდა რვეულებზე; იმათ თავს ადგა შავებით ჩაცმული ქალი და წერას თვალყურს ადევნებდა... „აი ბატონო, — უხსნის ნიკო ჯანბადრუკიანს,—ეს დიდი და საუკეთესო ოთახი ჩვენ დავუთმეთ სასოფლო სკოლას. აქვე გვაქვს მოთავსებული პატარა სასოფლო ბიბლიოთეკა. კვირაობით კი ჩემი მეუღლე აქ ასწავლის, როგორც თქვენც ხედავთ, ამ ახლად მოყვანილ პატარძლებს, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან, კვირაში ორჯელ საღამოობით — ჭრა და კერვასაც". ჯანბადრუკიანის შეკითხვაზე „რატომ მარტო პატარძლებსო", ნიკო უპასუხებს: „სხვებმა ყველამ იციან წერა-კითხვა და ჭრა-კერვაც"[32].

„შემდეგ, — განაგრძობს იოსებ ჯანბადრუკიანი სოფლის აღწერას — ნიკომ გამიყვანა მეორე ოთახში, სადაც გამართული იყო ჩარხები, ქანდარები და სხვადასხვა სააბრეშუმო იარაღი და მითხრა: აქ, ბატონო, ჩვენ ვამზადებთ აბრეშუმს და ვასწავლით მის შემუშავებას გლეხის ქალებს". მესამე ოთახში მიჩვენა აფთიაქი. ამ ოთახის ერთს მხარეს, შირმის უკან, ორი სუფთად გაშლილი ლოგინი იყო. მე ამან ძლიერ გამაკვირვა. — „ეს საწოლები იმ შემთხვევისათვის გვაქს — მითხრა მოძღვარმა — თუ დიდ ოჯახში გადამდები ავადმყოფობით გახდება ვინმე, ჩვენი სახლი სოფელზე კარგა მოშორებით არის და ბევრჯელ ამ განცალკევებით სოფელი გადავარჩინეთ განსაცდელს. მეც და ჩემი ცოლიც ცოტაოდნად მიხვედრილი ვართ ექიმობას და, სანამ შეძლება ნებას მისცემს გლეხკაცობას თავისი საკუთარი ექიმი იყოლიონ, ჩვენ ვაძლევთ ცოტაოდენ შემწეობას". მერე მაჩვენა დიდი ქვითკირის ბეღელი, სადაც ინახებოდა საზოგადო პური, მერე მარანი, მშვენივრად მოწყობილი ყურძნის საწურავი მანქანით, საქაჩავით და სხვა.

„ყველა ეს აქაური გლეხებისა არის, — მიხსნიდა ნიკოლოზ მღვდელი, — საზოგადო ზვრიდან შემოსული ღვინო და საზოგადო მაღაზიის პური სრულიად ჰფარავს სასოფლო ხარჯს, სახელმწიფო გადასახადს, გზების შეკეთებას და კიდევ რჩება იმდენი, რომ ვინახოთ თანხის შესაგროვებლად, რომლის სარგებლითაც შეგვეძლება ვიყოლიოთ საკუთარი ექიმი, გავიჩინოთ რიგიანი საქონელი, შევიძინოთ ზოგიერთი სამეურნეო იარაღი და, თუ საჭიროდ დავინახავთ, მამულებსაც შევისყიდით მეზობელ თავადებისაგან". იასონ ჯანბადრუკიანის კითხვაზე: „საზოგადო ვენახი რას ქვიანო?", ნიკო უპასუხებს, რომ მისმა ცოლმა შვიდ-რვა წლის წინათ გადასცა გლეხკაცებს ოცდაათის დღის მიწა „იმ პირობით, რომ სოფელს შემოეღობნა და თავისი მუშით და შრომით გაეშენებინა

---

[32] იდეა ხალხის მასების წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა, ჩანს ხალხოსნებსაც უპირველეს და უსაჭიროეს მიზნად მიაჩნდათ.

ვენახი. რასაკვირველია, სოფელი დათანხმდა, აგერ ოთხი-ხუთი წელიწადია ჩინებული მოსავალი მოდის კიდეც“.

მაგრამ გამოირკვა, რომ ნიკოს ხელმძღვანელობით გლეხები ჩვეულებრივი მოსავლის მოყვანით აღარა კმაყოფილდებიან. მათი სურვილი და გულისყური წარმატებისაკენ, კულტურულ წინმსვლელობისაკენაა შიმართული.

„ვენახის გაშენების სასწავლებლად, — უხსნის ნიკო ჯანბადრუკიანს, —ჩვენ მხოლოდ მცოდნე მებაღე მოვიწვიეთ და იმის შემწეობით ის საზოგადო ვენახი დღეს ჩინებულის ვაზით არის სავსე და სამაგალითო მევენახეობის წესით ნაგები და შემუშავებული. აგრეთვე ღვინის დაყენება პირველში გვასწავლა იმავე მცოდნე მებაღემ და ახლა კი თვითონ გლეხებიდგან არჩეული და სწავლული. მებაღისაგან გაწვრთნილი მებაღეობს და აწარმოებს როგორც ვენახს, ისე ღვინის დაყენების საქმეს“.

„გარდა ამისა, — განაგრძო ნიკომ, — გლეხებს აქვთ საზოგადო მინდორიც სახნავად... მთელი სოფელი ხნავს იმას, ანოყივრებს და როგორც მარჯვენა თვალს ისე ულოლიაებს. წელს კერძო მამულებიდან დღიურზე საშუალო რიცხვით თორმეტი კოდი გამოვიდა და საზოგადო მინდვრიდან კი ოცდახუთს გადააჭარბა. ეს ბეღელი სავსეა ჭერამდის და მხოლოდ მაშინ გავყიდით, როდესაც მომავლის წლის მოსავლის პირს დავინახავთ“.

სოფ. ლილიფარიანის ცხოვრებისა და წინმსვლელობის სურათი რომ სრული იყოს, მოვიყვანთ ნიკო ბერიშვილის კიდევ ერთს განმარტებას.

იასონ ჯანბადრუკიანი, გაკვირვებული ასეთი დაწყობილებით, ეკითხება ბერიშვილს: „ვინ განაგებს ყველა მაგ საქმეს? ვინ ხელმძღვანელობს?“ „რასაკვირველია, — სრულის შეგნებითა და კმაყოფილებით უპასუხებს ნიკო, — ჯერ მე და ჩემი ცოლი და შემდეგისათვის კი ვამზადებთ თვით მცხოვრებთაგან გამგებელთ. ჩვენ ყოველ წელიწადს ვგზავნით ქალაქში უკეთესის ნიჭის ყმაწვილებს და შემდეგში ისინი დაიჭერენ ჩვენს ალაგს. აი მალე მოგვივლენ რამდენიმე ჩინებულად მომზადებული ხელოსნები, ამ სოფლის შვილნი და იმათი დახმარებით წავუმატებთ კიდევ ერთ საქმეს: დავაარსებთ სახელოსნოს, სადაც სოფლის სკოლაში დამთავრებულები გადავლენ სახელოსნოში ხელობის შესასწავლად“[33].

აი, ტიპიური მიზანი, გეგმა და მისწრაფება კულტურტრეგერი ხალხოსნების მოღვაწეობისა: შექმნა პატარა-პატარა ფურიესებური ასოციაციისა. ყველაზე საგულისხმიერო ისაა, რომ თვით მასებია ჩაბმული საერთო კეთილდღეობის შექმნის საქმეში, თვით მასები სჭედენ თავიანთ ბედს. და ისიც, რომ კულტურტრეგერი ხალხოსნები ნიკო ბერიშვილის და მისი მეუღლის ლიზა კოშკაძის ახალი მოღვაწეობა არ არღვევდა „სა-

[33] ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, გამარჯვებული ნიკო, ტ. I, გვ. 466—470.

ზოგადო მშვიდობიანობას“, მაგრამ საკმარისად საფუძვლიანად ძირს უთხრიდა არსებულ წყობილებას.

აქაა ეკატ. გაბაშვილის შემოქმედების უდავოდ დიდი პროგრესულობა. ის მომავლის მწერალი იყო თავის დროზე. მომავლისაკენ იყურებოდა და იქით უხმობდა მკითხველთა ფართო წრეებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მწერალი ქალი, როგორც წინამდებარე მიმოხილვიდანაც აშკარად დავინახეთ, სავსებით ვერ გათავისუფლდა ძველი გემოვნებისაგან და რომანტიული წერის მანერისაგან.

არისტოკრატიული ელფერი საგრძნობლად მჟღავნდება ეკ. გაბაშვილის შემოქმედების საერთო სტილურ დახვეწილობაში; მისი შემოქმედების ენა უბრალო, მარტივი, დაუხვეწავი, კორძიანი კი არ არის, როგორც ეს სხვა ხალხოსან მწერალთა შემოქმედებაში გვაქვს, არამედ დახვეწილი, სხარტი ენაა. ფეოდალურ-ბურჟუაზიული ესთეტიკის თვალსაზრისითაა მწერლის მიერ აღწერილი ე. წ. განათლებული ქართველი საზოგადოების ბინის მოწყობილობა, მისი დამამშვენებელი სამკაულები, შოქმედ პირთა ტანსაცმელი, დროის გატარება. ასეთივე გაგებითაა მოცემული პეიზაჟიც. მართალია, მწერლის გარკვეული გამკიცხავი უარმყოფელი დამოკიდებულებაა მოცემული თავადაზნაურთა მიმართ, მაგრამ მასთან ერთად რაღაც თბილი გრძნობაც გამოსჭვივის ძველი დარღვეული ფეოდალური ბუდეების აღწერაში. მწერლის დაკვირვება, სიყვარული, მეგობრობა, სიძულვილი, შურისძიებაც კი მოწმობს მის კავშირს თავადაზნაურობასთან.

მაგრამ, როგორც წინამდებარე მიმოხილვიდანაც შეიძლება დავინახოთ, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული თვისებები სრულიადაც არ განსაზღვრავს ეკატ. გაბაშვილის შემოქმედებითს მეთოდს. ეს თვისებები მწერლის შემოქმედებას საერთო ხალხოსნურ მიმართულების დენაში მხოლოდ თავისებურ ხასიათს აძლევს. ეკატ. გაბაშვილის პოეტური აპერცეპცია, მისი შემოქმედების თემა, მოქმედ პირთა ასპარეზის ჩვენება და შეფასება, მისი ძირითადი გულისყური და სიმპათიები, რასაკვირველია, „კულტურტრეგერული“ ხალხოსნურ მიმართულებას უფრო ენათესავება. ამიტომ მისი ადგილიც ხალხოსან მწერალთა რიგებშია.

ვაჟა-ფშაველა

შესავალი

ვაჟა-ფშაველა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში მზის სხივებით ანთებულ და მასთან ერთად მთის ჯანღითა და ნისლით დაბურულ მწვერვალსავით მოჩანს. მისი შემოქმედება უხვად ბრწყინავს ნაირ-ნაირი ბუნებრივი ფერებით, რაც მას მეტად თავისებურ, არაჩვეულებრივ მიმზიდველობასა და ადგილს აძლევს ქართულ ლიტერატურაში.

ძნელია დავასახელოთ ქართულ ლიტერატურაში მეორე დიდი მწერალი, რომლის მიმართ ისეთი მერყეევი და სხვადასხვა, ხშირად საწინააღმდეგო, დამოკიდებულება იყოს როგორც თანამედროვეთა, ისე შემდეგ თაობათა შორის, როგორც ეს ვაჟა-ფშაველას მიმართ გვაქვს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ქართველ მკითხველ საზოგადოებაში და კრიტიკაში პოეტის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე იწვევდა სხვადასხვაგვარ შეხედულებას, ხშირად სრულიად ერთიმეორის საწინააღმდეგოს. თუმცა, უნდა ითქვას, ვაჟა-ფშაველას ნიჭის სიდიადე, ორიგინალობა არასოდეს არ ყოფილა არც სადავო და არც საეჭვო. არაჩვეულებრივი, გიგანტური პოეტური ნიჭი მთის მგოსნისა მეტად თვალსაჩინო და მომხიბვლელი იყო თავიდანვე, რომ ვინმე მას ამ მხრივ შესდავებოდა. სადავო იყო მწერლის შემოქმედების ენა, ბუნება, მსოფლმხედველობა, მისი ლიტერატურული მიმართულების რაობა. ეს საკითხები ამ სამოცდაათი წლის მანძილზე აღელვებდა, აფიქრებდა და აბნევდა პოეტის მკითხველებს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სწორი გაგებისა და ანალიზის მიზნით საჭიროა გამოყენებულ იქნას ის გენიალური მიდგომა, რომლითაც ვ. ი. ლენინი სარგებლობს დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის შემოქმედების ახსნისათვის.

ვ. ი. ლენინი 1908 წელს, ლევ ტოლსტოის დაბადებიდან 80 წლის თავზე, აღნიშნავდა რა ტოლსტოის შეფასებაში კრიტიკოსთა ცალმხრიობას, წერდა, რომ ლ. ტოლსტოის შემოქმედების გაგება და დაფასება მის შემოქმედებაში აშკარად გამოვლინებულ წინააღმდეგო-

ბათა სწორი ახსნა-გაგების გარეშე შეუძლებელიაო: „წინააღმდეგურობა ტოლსტოის ნაწარმოებებში, შეხედულებებში, მოძღვრებებში, სკოლაში მართლაც ხმამაღლა მღაღადებელია“[1]. ვ. ი. ლენინი, აღნიშნავს რა ლევ ტოლსტოიში სხვადასხვა ხასიათის წინააღმდეგობას, სხვათა შორის, შემდეგსაც უსვამს ხაზს: „ერთი მხრივ, კაპიტალისტური ექსპლოატაციის ულმობელი კრიტიკა, მთავრობის ძალადობათა, სასამართლოს და სახელმწიფო მმართველობის კომედიის მხილება, სიმდიდრის ზრდისა, ცივილიზაციის მონაპოვრებისა და მუშათა მასების სიღატაკის, ველურობისა და ტანჯვა-წვალების ზრდის წინააღმდეგობათა მთელი სიღრმის გადაშლა; მეორე მხრივ, — სალოსის ქადაგება, რომ „ბოროტებას წინააღმდეგობა არ გაეწიოს“ ძალადობით. ერთი მხრივ, უაღრესად ფხიზელი რეალიზმი, ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოგლეჯა;—მეორე მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი რამის ქადაგება, რაც კი არის ქვეყნად, სახელდობრ: რელიგიისა, მისწრაფება, რომ სახაზინო სამსახურის ხუცების ადგილას ზნეობრივი რწმენის ხუცები დადგნენ, ე. ი. დაინერგოს უაღრესად გაქნილი და ამიტომ განსაკუთრებით საძაგელი ხუცობა“[2].

იქვე ვ. ი. ლენინი ლევ ტოლსტოის შემოქმედებაში არსებულს წინააღმდეგობათა შესახებ შემდეგ ახსნას იძლევა: „მაგრამ წინააღმდეგობანი, — წერს ლენინი, — ტოლსტოის შეხედულებებსა და მოძღვრებაში შემთხვევითი რამ კი არ არის, არამედ იმ წინააღმდეგური პირობების გამოხატულებაა, რომლებშიც ჩაყენებული იყო XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედის რუსეთის ცხოვრება. პატრიარქალური სოფელი, რომელიც მხოლოდ გუშინ განთავისუფლდა ბატონყმობისაგან, პირდაპირ წასალეკად და გასაცარცვავად ჰქონდა მიცემული კაპიტალსა და ხაზინას. გლეხური მეურნეობისა და გლეხის ცხოვრების ძველი ბურჯები, ის ბურჯები, რომლებიც მართლაც საუკუნეთა განმავლობაში იდგა, არაჩვეულებრივი სისწრაფით ინგრეოდა... ტოლსტოის შეხედულებათა წინააღმდეგურობა... ნამდვილი სარკეა იმ წინააღმდეგური პირობებისა, რომლებშიც ჩაყენებული იყო გლეხობის ისტორიული მოქმედება ჩვენს რევოლუციაში“[3].

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სახით ჩვენ გვაქვს ანალოგიური მოვლენა. წინააღმდეგობები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც შემთხვევითი როდია; ისინიც მკვეთრი და ცოცხალი გამომხატველნი არიან პოეტის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ლევ ტოლსტოი როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე, თხზ., ტ. 15, 1950 წ., გვ. 237.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 238.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 238—241.

დროის, XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედისა და XX საუკუნის პირველი ათეული წლის საქართველოს სინამდვილისა.

მწერლის შემოქმედების გაცნობისთანავე მკითხველი ადვილად ხვდება, რომ ვაჟა-ფშაველა დიდი დიალაზონის შემოქმედია. მკითხველი მის მრავალწახნაგოვან ქმედობაში გრძნობს და ხედავს არა მარტო მთისა და მთიელის ყოფისა და მდიდარი ბუნების ცოცხალ, მიმზიდველ სურათს თავისი უშუალობით, მრავალფეროვნებითა და სიმკვეთრით, თავისი მრისხანებით, სტიქიურობით, შურისძიებითა და სინაზით (ეს მთის მგოსნის შემოქმედებისა და ნიჭის გამოვლინების მხოლოდ ერთი მხარეა — ეთნოგრაფიული, დიდი პოეტური სიმკვეთრითა და ექსპრესიით ასახული), არამედ, მასთან ერთად, მკითხველს იტაცებს მგოსნის მრავალწახნაგოვანი განწყობილება, ღრმა მსოფლმხედველობა, რომელიც ლამობს თავისებურად, არაშაბლონურად, თუმცა ზოგჯერ არასწორად, გაიგოს გარემო სამყარო, შეიცნოს მისი მოძრაობის ძირითადი კანონი, განიცადოს ცხოვრება მთლიანობაში — ჰარმონიითა და დაულაგებლობა-შეუსაბამობით.

ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მეტად თავისებურადაა შეხვედრილი და შედუღებული დიდი ეპოქის მსოფლიო კულტურათა ცვლის პროცესში აღმოცენებული ნაირ-ნაირი მტკივნეული საკითხები და მისწრაფებანი, აზრები და გრძნობები, სახეები და ცნებები. მკითხველს განსაკუთრებით იზიდავს დიდი პოეტის სწორედ ეს მეორე მხარე, რომლითაც ის ჰქმნის საერთო-საკაცობრიო ხასიათისა და მნიშვნელობის ღირებულებას, რასაც მწერალი აჰყავს არაჩვეულებრივ სიმაღლეზე და აცილებს მას არა მარტო მთის, არამედ ეროვნულ ჩარჩოებსაც.

ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და პოეტური მოღვაწეობის ხანა დიდი სოციალური ძვრებისა და გარდატეხის ხანაა როგორც საქართველოში, ისე რუსეთსა და დასავლეთ ევროპაშიც. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ვითარება ამ პერიოდში მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთთან, რომლის ცხოვრებაც აჩქარებული ტემპით იშლება კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების საფუძველზე. კატასტროფიულად ირღვევა ფეოდალური ყოფა. რუსეთში ჯერ არ არის დამთავრებული გამძაფრებული ბრძოლა ფეოდალურსა და ბურჟუაზიულ კლასთა შორის, იწყება ჭიდილი, და საკმარისად მკაცრი ჭიდილიც, ახლად ფეხმომაგრებულ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. დასავლეთ ევროპაში ბურჟუაზიას უკვე გასწორებული ჰქონდა ფეოდალურ კლასთან ანგარიშები და მკაცრ ბრძოლაში იყო ჩაბმული პროლეტარიატთან.

ევროპის, განსაკუთრებით კი რუსეთის ისტორიული ცხოვრება დიდ გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიურ, პოლიტიკურ და საზოგადობრივ-კულტურულ ცხოვრებაზე. აღნიშნულ პერიოდში საქართვე-

ლოში თანდათანობითი ინტენსივობით განვითარდა კაპიტალიზმი. ჯერ არ იყო დამთავრებული (სათანადო სიმძაფრითაც-კი გაშლილი) ბრძოლა ფეოდალურსა და ბურჟუაზიულ კლასთა შორის, რომ საქართველოს სოციალური ცხოვრების წიაღში ჩნდება ახალი კლასი — მუშათა კლასი, რომელიც საგრძნობი სისწრაფით იწყებს ზრდას განსაკუთრებით 90-იანი წლებიდან.

1898 წელს რკინიგზის სახელოსნოში პირველად ეწყობა დიდი გაფიცვა; შემდეგ 1900 წლამდე თბილისის სხვადასხვა საწარმოში მოეწყო და ჩატარდა მთელი რიგი დიდი გაფიცვები, მაისობანი და დემონსტრაციები. ი. სტალინის, ლ. კეცხოველისა და მოწინავე მუშების მეცადინეობით ეწყობა არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვა და გავრცელება თბილისის მუშებს შორის, აგრეთვე ამიერკავკასიის ცალკეულ რაიონებში.

ასეთს მეტად რთულ ეპოქაში, — როდესაც ხდებოდა ისტორიული მოძრაობა აღმავალი კაპიტალიზმისა, ხდებოდა მძლავრი საზოგადოებრივი გადანაცვლება, როდესაც ეს „დევი" კაპიტალიზმი თავისი განვითარების კანონებითა და ზრდით იპყრობდა მთელ მსოფლიოს, კერძოდ, საქართველოსაც, არა მარტო მის ბარს, არამედ მთასაც, თანდათან შესამჩნევად ანგრევდა ამ უკანასკნელის კლდოვან ვიწროებსაც და მასაც ახალი ისტორიის ფერხულში აბამდა, — მოუხდა ვაჟა-ფშაველას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. 80-იანი წლებისათვის, როდესაც ვაჟა-ფშაველა სამწერლო ასპარეზზე გამოდის, მთაც ფერცვლილია, „აჭრელებულია". აქ ამ „აჭრელებულ" ქვეყანაში პოულობს ვაჟა-ფშაველა თავისი პოეტური შემოქმედების ასპარეზს.

ვაჟა-ფშაველა გვეხატება, როგორც ამ მძაფრად შეჭიდებულ მოვლენათა თუ სამყაროთა მიჯნაზე მიმზიდველი ორიგინალობითა და სიდიადით მდგარი ბუმბერაზი ფიგურა.

როგორც იმ დროს საქართველოს ცხოვრება ამ სხვადასხვა კულტურათა, მსოფლმხედველობათა ურთიერთჭიდილის გამო გარეგნულად, თითქოს, ქაოტიურია, მაგრამ, რა თქმა უნდა, შინაგანი მტკიცე კანონზომიერების მატარებელია, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაც, ერთი შეხედვით, უცნაური, სტიქიური, არსებითად კი მეტად ღრმა პოეტური ხედვით, ინტუიციით თავისი ეპოქის სინაშდვილის ამსახველია.

ვაჟა-ფშაველას თავისებურება და ორიგინალობა იმაში იხატება, რომ მან თავისი ეპოქის ათვისება და მისი პოეტური აღქმა და გამოვლინება შეძლო მის მძლავრ წინააღმდეგობათა მთლიანობაში.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ასახულ წინააღმდეგობათა ტრაგედია (ეს ლეიტმოტივი მისი შემოქმედებისა) იკვანძებოდა იმ კონფლიქტის საფუძველზე, რომელსაც გარემო ყოველდღიურობისა და მგოსნის თავისებური მსოფლმხედველობის შეჯახება ჰქმნიდა. მაგრამ ახალის,

უკეთესი მომავლის ძიების ნდომაც მის შეგნებაში ძალუმადაა შეპრილი და ანდამატივით მიეზიდება მგოსანს ახალი, ბრწყინვალე, თუმცა-კი მისთვის ჯერ მაინც გაურკვეველი ქვეყნისაკენ.

ვაჟა-ფშაველა ქართული ლიტერატურის ისტორიაში გოლიათივით დგას; იგი ხარბად სუნთქავს წარსულითაც და თანადროულობითაც. ის ჟამთა ვითარებით ან, როგორც მგოსანი იტყოდა, — „ცხოვრების უკუღმა ტრიალით“ უკმაყოფილო ხარბად იყურება წინ, ცდილობს ცხოვრების ახალი გაგება, ახალი მორალი გაარკვიოს და თავშეუკავებლივ იქით მიიწევს. ეს გარემოება ართულებს და აძნელებს მწერლის ისედაც მეტად რთულსა და თავისებური შემოქმედების გაგებას.

თუ სამართლიანია შეხედულება, რომ ყოველი ნიჭიერი პოეტი-მწერალი არსებითად ფილოსოფოსია, ხშირად მაშინაც-კი, როდესაც ის არც ერთს ფილოსოფიურ მოძღვრებას არ იცნობს, არც ერთი ფილოსოფიური წიგნიც-კი არ წაუკითხავს, — ეს, უდავოდ, ურყევად უნდა ითქვას ვაჟა-ფშაველას მიმართ.

ვაჟა-ფშაველა, როგორც თავისი პირადი განწყობით, ისე განათლებითაც (გორის საოსტატო სემინარიაში და შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში) ფილოსოფიურ მოძღვრებათაც უნდა გატაცებით დასწაფებოდა, და სინამდვილეში ეს ასეც იყო. ამის შესახებ საგულისხმო ცნობას იძლევა ვაჟა-ფშაველას სკოლის ამხანაგი გორის საოსტატო სემინარიიდან სვ. სალარიძე თავის მოგონებაში: „ლუკამ ადრე დააღწია თავი „კაზიონურ“ ატმოსფეროს და მთელ თავის ძალღონეს ანდომებდა ცოდნის შეძენას. მან შეისწავლა „ბნელი“ ჰერაკლიტი, პლატონის „რესპუბლიკა“, ეპიკური, გადაიკითხა ბეკონი, კონტი, ბოკლი, დრეპერი, ლებბოკი, სპენსერი, „Современный социализм“ ლაველისა, „მცენარეთა მეტამორფოზა“ გიოტესი და ბოლოს მიუბრუნდა ჰომეროსს, ვირგილიუსს, დანტეს, მილტონს, შექსპირს, ბაირონსა და ფოხტს. მოლეშოტისა და ბიუხნერის მატერიალიზმში იგი ეძებდა პასუხს ნივთისა და სულის რაობაზე“.

„ლუკა, — განაგრძობს სვ. სალარიძე, — ეკუთვნოდა იმ მძლავრ მოძრაობას, რომლის ლოზუნგად ერთ დროს იყო: „ცხოვრება თანახმად ბუნებისა“, იგი ვერ ეტეოდა პროგრამის განსაზღვრულ ჩარჩოებში, არ სწამდა პრაქტიციზმი, „პატარა საქმეები“, იგი სპობდა ქვეყნის ბოროტებას ერთი ხელის დაკვრით: „ყველაფერი, ან არაფერი“. ამ თვალსაზრისით ლუკა ანარქისტი — „Свободник“-ი იყო, რომლის ფეიერბახული ჰუმანიზმი აღწევდა კოსმიურ საზღვრამდე. ლუკა სტოიკი, ფიზკულტურის მოტრფიალე, პირველი ქართველ-ელინია, რომელიც შეედუღა ბუნებას... ლუკა — ეს ჩანასახშივე გენიალური ნიშნების გლეხი, ბუნების შეგრძნობასა და გაგებაში ორივე ფეხით იდგა სპინოზას პანთეის-

ტურ თვალსაზრისზე და ღმერთად მიაჩნდა სამყაროს გასულიერებული სუბსტანცია"[4].

სვ. სალარიძის „მოგონებიდან" მოყვანილი ცნობა მეტად საგულისხმოა. ის ადასტურებს ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიისადმი დიდ მიდრეკილებას, მით ფრიად დაინტერესებას, ამასთან ერთად, პოეტის სერიოზულ ნაკითხობასა და განათლებას. ვაჟა-ფშაველამ, რაც ვერ მოახერხა მიეღო ამ მიმართულებით გორის საოსტატო სემინარიაში, მოისურვა ხარვეზი შეევსო პეტერბურგის (ახლანდელი ლენინგრადის) უნივერსიტეტში, სადაც ის, როგორც თავისუფალი მსმენელი, ერთ წელზე მეტი გატაცებით ისმენდა ლექციებს ფილოსოფია — ისტორია — ლიტერატურაში.

პოეტს, მწერალს, რა თქმა უნდა, ვერ მოვთხოვთ პოეტურ შემოქმედებაში მთლიანი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გამოხატვას, მთლიანი ფილოსოფიური სისტემების ასახვას. პოეტს, მწერალს, ჩვეულებრივ, ახასიათებს ფილოსოფიური შეხედულებების მიმობნევა თავის შემოქმედებაში. ლიტერატურის მკვლევარისათვის სწორედ ეს შეხედულებებია არსებითი, მათი გამომჟღავნება, გაერთიანება, გამორკვევა, როგორაა ისინი განსაზღვრული მწერლის ფსიქოლოგიით, მისი მსოფლმხედველობით. ეს უნდა იყოს მკვლევარისათვის ძირითადი მწერლის პოეტური სამყაროსი და შემოქმედების პროცესის შესწავლისას. ასევე უნდა მოვიქცეთ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გარკვევის დროს.

ზემოთქმულთან დაკავშირებით არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ ზოგიერთი ლიტერატორის შეხედულება ვაჟა-ფშაველასა და მისი შემოქმედების შესახებ: „ვაჟა-ფშაველა, — წერს გ. ქიქოძე, — ჩამორჩენილი ადამიანი იყო. ვერც სემინარიის კურსმა, ვერც უნივერსიტეტის ლექციებმა თანამედროვე სული ვერ ჩაუდგეს. მისი მგრძნობიარობა პრიმიტიული დარჩა, მისი ფანტაზია — ველური, მისი მორალი — საშუალო საუკუნოებრივი. მას არაფერი გაეგებოდა არც ჩვენი უტილიტარიზმისა, არც ჩვენი რაციონალიზმისა... არ ჰგავდა არც ჰუგოს, არც ლამარტინს, არც ნოვალისს, არც ჰეინეს. არავის ჰგავდა ამ ქვეყანაზე. არავითარ სკოლას არ ეკუთვნოდა; თვით ჩვენ მწერლებთან არაფერი აკავშირებდა, გარდა მოკრძალებისა, ან წინააღმდეგობისა. ლიტერატურული ტრადიციების გარეშე იდგა: გაუტკეპნელი გზით დადიოდა და უცნაურ მხატვრულ ენას ხმარობდა, როგორიც ჯერ არავის უხმარია ქართულს ლიტერატურაში"[5].

ასეთი მრავალმხრივ მცდარი შეხედულება ვაჟა-ფშაველას პიროვ-

---

[4] სვ. სალარიძე, მოგონებანი, ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტ. I, 1935 წ., გვ. 96—97.

[5] გ. ქიქოძე, ვაჟა-ფშაველა, ტ. I, 1922 წ., გვ. XVIII—XIX.

ნებასა და შემოქმედებაზე შედეგია მგოსნის ზერელე შეფასებისა. ვაჟა-ფშაველას შინაგანი სამყარო, მისი პოეტური ალღო არაჩვეულებრივად მდიდარი, მძლავრი და მრავალნაირია. ვაჟა-ფშაველას კრიტიკოსებს უნდათ მისი ლიტერატურული მიმართულება ჩაჭედონ ამა თუ იმ ლიტერატურული დოქტრინის ცნობილ ჩარჩოებში, რომლებშიც შეუძლებელია ჩატეულ იქნას, მართლაც, უცნაური პოეტური ქმედების პროცესით, შინაარსით შესრულებული მთის მგოსნის ორიგინალური შემოქმედება.

ვაჟა-ფშაველას ცხოვრებას, პიროვნებას, მისი შემოქმედების ბუნებას თუ ყურადღებით ჩავუკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ის ღვიძლი და მასთან ერთად ნიჭიერი, გენიოსთა რიგებს რომ განეკუთვნება, შვილია თავისი ეპოქისა, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილისა; ის აგრეთვე ბუნებრივსა და დიდ მწვერვალს წარმოადგენს ქართული ლიტერატურის განვითარების გრეხილში.

ვაჟა-ფშაველამ მიიღო თავისი ეპოქის (საკმარისად რთულის) როგორც შინაური, ისე გარეშე ნაირ-ნაირი მიმართულება-განწყობილებანი, ნიჭიერად, თვითმყოფფურად შეაზარდა ისინი ერთიერთმანეთს და თავისი პოეტური ხილვის ორიგინალური ქვეყანა უცნაური გასხივოსნებითა და მიმზიდველობით დაგვიხატა.

წინამდებარე შრომის მიზანია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ბუნებისა და თავისებურებათა გარკვევა. გზადაგზა, მგოსნის შემოქმედების ანალიზის საშუალებით. კონკრეტული მასალის ჩვენებისა და შესწავლის საფუძველზე, შევეცდებით, შეძლებისდაგვარად, გამოვამჟღავნოთ მგოსნის როგორც მრავალწახნაგოვანი პიროვნება და ნიჭი, ისე მისი ორიგინალური მსოფლმხედველობა და მდიდარი პოეტური სამყარო თავისი ღირსებითა და ნაკლით. ამასთან ერთად, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ანალიზის დროს მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ის თავისი გიგანტური ნიჭით უპირველესად დიდი მხატვარია, რომ აქაა მისი შემოქმედების დომინანტა.

თავი I

ვაჟა-ფშაველა და ქართული კლასიკური ლიტერატურა

I

მდიდარი და მრავალფეროვანია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების წყაროები. მთის მგოსნის პოეტური ქმედება ძირითადში დადუღებულია ქართველი ხალხის მდიდარ ზეპირმეტყველებაზე[1]. მაგრამ მას აგრეთვე ნიჭიერად აქვს ათვისებული ქართული ლიტერატურის კლასიკოსების — შ. რუსთაველის, დ. გურამიშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვათა ლიტერატურული ტრადიციები, მათი მაღალი წამყვანი იდეები და შემოქმედების მდიდარი პოეტური ხერხები. ვაჟა-ფშაველას, როგორც მოწაფე-თანამოკალმის დამოკიდებულება დასახელებული მწერლებისადმი პოეტისათვის დამახასიათებელი თავაზიანი მადლიერებით, გულწრფელობითა და პირდაპირობითაა მოცემული მთელ რიგ მის ლექსებში („რუსთაველის ნეშტს," „დავით გურამიშვილის ხსოვნას", „ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს", „შენდამი" (ვუძღვნი ილ. ჭავჭავაძის ხსოვნას). „აკაკის საიუბილეოდ" და მრავალი სხვ.).

დასახელებულ მწერალთადმი ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულების ნათელსაყოფად ნიმუშისათვის მოვიყვანთ მცირე ნაწყვეტებს პოეტის ლირიკული ლექსებიდან.

ვაჟა-ფშაველა მეტად მკვეთრად გრძნობს მჭიდრო კავშირს ქართველი ხალხის მესაიდუმლე პოეტებთან, რომელთაც ნიჭიერად ამოიკითხეს ხალხის ცხოვრების გულნადები მისწრაფებანი და ნიჭიერად ჩააქსოვეს თავიანთ პოეტურ შემოქმედებას, რომელთაც გარკვეული კვალი დააჩნიეს მთის მგოსნის ნიჭსა და პოეზიას. ლექსში „ნიკოლოზ ბარათა-

---

[1] ამის შესახებ დაწვრილებით ი.ხ. ქვემოთ, თავი, „ვაჟა-ფშაველა და ქართული ხალხური ზეპირშემოქმედება".

შვილის ნეშტს“ მადლიერი ვაჟა-ფშაველა თავის წინამორბედს დიდი სასოებით მიმართავს:

დიდება შენს ჩანგს, რომ ბევრჯელ
თვალზე ცრემლები მომგვარე...

ჩანს ნ. ბარათაშვილის სევდა, საზოგადოებრივი მდგომარეობის დაკნინებით გამოწვეული და ძალუმად ასახული მის შემოქმედებაში, გულში ხვდებოდა ვაჟა-ფშაველასაც, ზრდიდა მას, თავისებურ კვალს ტოვებდა როგორც მის სულში, ისე მის შემოქმედებაში

ასეთივე მჭიდროა კავშირი ვაჟა-ფშაველასი XVIII საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ საუკეთესო წარმომადგენელთან, დ. გურამიშვილთან:

შენ ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო!..
შენის ცრემლებით მოვხარშე
ჩემის გრძნობების ფაფაო;
ამგვარი საქმლის კეთებას
დიდი სდომნია ჯაფაო... და სხვ.

აქ აშკარადაა მგოსნის მიერ გამოთქმული, რომ სათავე შის შემოქმედებას იქვე აქვს, სადაც დ. გურამიშვილის პოეზიას. ასეთსავე მჭიდრო ურთიერთობას აცხადებს ვაჟა-ფშაველა თავის თანამედროვე მწერლებთან ილიასა და აკაკისთან.

აი როგორ მიმართავს ილიას ვაჟა-ფშაველა ლექსში „შენდამი“.

დღესნამდე შენდამი ტრფობა, —
ახლა კი ვიტყვი კვეხითა, —
თუ მოვიტანე უვნებლად
გვემული ათას მეხითა,
დღეიდან ოხერ-მოხრები
მას ვერ გასთელენ ფეხითა,
ვერ ამომგლეჯენ გულიდან
ვერა რომელი ხერხითა... და სხვ.

ასეთივეა ვაჟა-ფშაველას პატივისცემით გამსჭვალული გრძნობა აკაკისადმი, რომლის ტკივილები მასაც სტკივა. ლექსში „აკაკის საიუბილეოდ“ ვაჟა-ფშაველა ღრმა, ნაზი თანაგრძნობითა და მადლიერი განწყობილებით მიმართავს აკაკის:

იმავ ჰირით ვარ სნეული,
რაც შენ გატყვია წყლულადა... და სხვ.

ცხადია, ქართული ლიტერატურისა და მისი კორიფეების უბეშია გამოშუშული ვაჟა-ფშაველას პოეტური ნიჭი. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ვაჟა-ფშაველა დავალებულია ქართული ფოლკლორისაგან. ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების სალაროდან მგოსანმა მრავალი ძვირფასი მარგალიტი ამოიღო (ამ საკითხს ქვევით შევეხებით), მაგრამ ხშირად ისიც ქართული ლიტერატურის საბუდარში გამოატარა, შემდეგ თავისი მდიდარი შემოქმედების ლაბორატორიაში „გარდაქმნა, გადაადნო, გადაადუღა“, ამ გზით ხელიხელს საგოგმანებელ მარგალიტად

გამოსჭედა და გადმოსცა ქართულ და (გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით) საკაცობრიო ლიტერატურის საგანძურს.

ცნობილია, ხალხური ზეპირსიტყვიერება, რა პერიოდსაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს ის, რეალური ცხოვრების, სინამდვილის ამოუშლელი ბეჭდის მატარებელია. ის ყოველთვის ეხმაურებოდა ხალხის ცხოვრების საჭირბოროტო, თუ სალხინო მოვლენებს; თავისებურად, მკვეთრად სვამდა ადამიანისათვის მუდამ მტკივნეულს „ყოფნა-არყოფნის" საკითხებსაც. სწორედ ბუნებრიობა, ცხოვრებასთან უშუალო მჭიდრო კავშირი, — ეს მეტად ძვირფასი მხარეები ხალხური შემოქმედებისა, ნიჭიერადაა შესისხლხორცებული და შექსოვილი ქართული ლიტერატურის კლასიკოსების შემოქმედებაში (შ. რუსთაველის, დავ. გურამიშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვათა). ქართულ ოფიციალურ ლიტერატურასა და მის საუკეთესო წარმომადგენელთ ვაჟა-ფშაველა ამ მიმართულებითაც უახლოვდება.

ვაჟა-ფშაველას გაგებით, მოვლენის „მშვენიერება მის ბუნებრიობაშია დამალული".. ერთ-ერთს თავის წერილში „სად არის პოეზია?" ვაჟა-ფშაველა ასე განმარტავს მწერლისა და მწერლობის ბუნებას: „მწერალს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ბუნებრივ კანონს არ უმტყუნოს, წესიერება ბუნებისა დაცვას, — ისე უნდა გადმოსცეს სურათი, რომ არა ვსთქვათ — ეს ყოვლად შეუძლებელია, ეს ბუნების წინააღმდეგია... ყველა გრძნობას თავისი ბუნება აქვს, თავისი აგებულება, საათი დაბადებისა. ხანა სიყრმისა, სიჭაბუკისა და სიკვდილისა, — ყველა ეს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ. ამიტომ არიან უკვდავნი ქმნილებანი უკვდავთა აღტორთა, რომ ამ წესს არ ჰღალატობენ იმ ნაწარმოებთა მთხზველნი"[2].

ცხადია, ძირითადში ვაჟა-ფშაველა რეალისტური მიმართულების საფუძველზე დგას — ცხოვრების სინამდვილის, მისი ტიპიური მოვლენებისა და ტიპიური გარემოს ასახვას ემსახურება. ამიტომაც ის ასე მახლობელია იდეურად ახალ ქართულ ლიტერატურაში რეალიზმის ფუძემდებლობისა — ილიასი და აკაკისა.

* * *

ვაჟა-ფშაველა, როგორც ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი, როგორც საერთოდ რუსი და ჩვენი სამოციანელები, რომელთა შემოქმედებამ და პრაქტიკულმა მოღვაწეობამ ვაჟა-ფშაველაზე საგრძნობი გავლენა იქონია, ხელოვნებასა და მწერლობას აფასებდა უტილიტარული თვალსაზრისით, ე. ი. ხელოვნებასა და მწერლობას აფასებდა მათი საზოგადოებრივი ღირებულების მიხედვით, რამდენადაც ისინი საზოგადოებისათვის

---

[2] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სად არის პოეზია?, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

სასარგებლონი იყვნენ. აქედან გამომდინარე, ქართველი და რუსი მესამოციანელები, კერძოდ, ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი მწერალს და საერთოდ ადამიანს უყურებენ და აფასებენ როგორც საზოგადოების მედგარ მოქმედ მოქალაქე-წევრს, რომლის მოღვაწეობა ხალხისათვის, მასებისათვის სასარგებლოა, გზის მაჩვენებელია, წასაბაძავი მაგალითია, რათა საზოგადოებრივი ცხოვრება საღ, სამართლიან საფუძველზე მოეწყოს და განმტკიცდეს. ეს შეხედულება, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ეპოქალურ მოთხოვნილებად გადაიქცა იმ სოციალური ძვრებითა და, ამის საფუძველზე იმ სოციალური გადანაცვლებით გამოწვეული, რუსეთსა და საქართველოში რომ ხდებოდა სამოციანიდან ცხრაასიან წლებამდე, როცა გლეხობისა და მუშების გამათავისუფლებელი მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა, ირაზმებოდა და თავის ხვედრს თხოულობდა.

ვაჟა-ფშაველა ამ მიმართულებით თავის ეპოქის ღვიძლი შვილია, ისიც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე თავის წინამორბედ-უფროს თანამოკალმეებსავით ხელოვნებას, მეცნიერებას, მწერალსა და ადამიანს ითვალისწინებს მათი საზოგადოებრივი სარგებლობის თვალსაზრისით.

ვაჟა-ფშაველას გაგებით, პოეტი ისეთი უხვად დაჯილდოებული პუნების ადამიანია, რომელიც ცხოვრებას კარგად იცნობს და მდიდარი და მახვილი ალღოთი სიმართლით აფასებს საზოგადოებრივ მოვლენებს. მისი გაგებით, პოეტი, უპირველესად, თავისი ქვეყნის შვილია, მისთვის თავდადებული მოღვაწე, ვაჟკაცი (ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით), რომელიც მედგრად ებრძვის სამშობლოს მტერს, ემოყვრება მის მოკეთეს და მით ამტკიცებს საზოგადოებრივ დასაბამს. ქვეყნის, მოძმეთა კეთილდღეობის საკითხი მგოსნისათვის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა:

გულს ნუ გაიტეხ, მგოსანო,
ხმალი აგელე ფხიანი,
მოკეთეს ემოკეთევე
და მტრებს მიეცი ზიანი;

გულს ჩაიყენე სისხლადა
ჩვენი ქვეყანა მთიანი, —
ეგებ ჩვენც გამოგვიდარდეს,
დღე დავინახოთ მზიანი!
(„მგოსანს“)

ამ „მზიან“ დღეს ეტრფოდნენ ჩვენი და რუსი მესამოციანელები, ვაჟა-ფშაველაც ამითვეა ამოძრავებული. პოეტი ამ საერთო განწყობილებას მესამოციანელებთან თვითონაც გარკვეულად აღნიშნავდა, როცა ამბობდა „იმავ ჭირით ვარ სნეული, რაც შენ გატყვია წყლულადა“[3],

[3] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, აკაკის საიუბილეოდ, თხზ., ტ. II, 1950, ა. აბაშელისა და ა. შანიძის რედ., გვ. 117.

რაც აჩნდათ თერგდალეულ მწერლებს, განსაკუთრებით მათ საუკეთესო წარმომადგენელთ — ილიასა და აკაკის.

ვაჟა-ფშაველაც, უყურებს რა პოეტს, როგორც ქვეყნის შვილს, ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეს, მოვალეობად უთვლის მას თავისი პოეტური ნიჭი გარემოს საყვირად გადააქციოს, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენის მიმართ ფხიზლად და სიმართლით აამუშაოს თავისი მახვილი კალამი. როგორც თერგდალეულ მწერალთათვის იყო დამახასიათებელი, ისიც ასეთი მოთხოვნით მიმართავს მგოსანს:

მსმენლის გულსა ჰკარ მალამოდ
სიტყვა მართალი, წყლიანი,
ადუღე გრძნობა, ადუღე,
ჰკვა იქმნას დავლათიანი!
რა ტურფა სანახავია
ქვეყანა ჰკვათა-მყოფელი,
ერთის ფიქრით და გრძნობითა
გამტკიცებული სოფელი.
მტერს რა ლამაზად დაჰხვდება
არსებით განუყოფელი!
(„მგოსანს“)

ვაჟა-ფშაველა მგოსნისადმი ასეთი მიმართვით ამჟღავნებს თერგდალეულებთან საერთო ტკივილს, გამოწვეულს მაშინდელი ქართველი საზოგადოების დაქსაქსულობით, ნიადაგდაკარგულობით. მთის მგოსანიც მტკივნეულად განიცდიდა ქართველი საზოგადოების ამ გარემოებას. ისიც კარგად ხედავდა, რომ საზოგადოებას გამოფხიზლება ესაჭიროება, რომ ქვეყნის წინმსვლელობისათვის, უკეთესი ცხოვრების პირობების მოსაპოვებლად და დასამყარებლად აუცილებელია დაქსაქსული ძალების გაერთიანება, ქვეყნის საერთო, სასარგებლო ფრონტის შექმნა და სიმტკიცით, გატაცებით და თავდადებით მუშაობა.

პოეტს, ვაჟა-ფშაველას გაგებითა და ღრმა რწმენით, როგორც ეს დამახასიათებელი იყო თერგდალეული მწერლებისათვისაც, პირადი ყოველთვის საზოგადოებრივი კეთილი დასაბამისადმი აქვს დამორჩილებული, მას ტანჯვა ვერ გატეხს, ის მრავალ უმადურობას გმირულად იტანს. მრავალ შევიწროება გამოვლილი პოეტი მაინც მუდამ მხნედ გაჰკივის:

არ ვუღალატებ სიცოცხლით
გზას ჩემს ეკლიანს სავალსა.
დაე, იცინოს ეშმაკმა,
თავზე მაყაროს ჭოჭოლა,
ჩემს რწმენას ვერ დაიმონებს
ბილწების გამგე ბობოლა.
(„სიმღერა“)

ვაჟა-ფშაველა კარგად გრძნობდა და დიდადაც აფასებდა პოეტის სიტყვის გავლენის ძალას მკითხველზე. მრავალ მის ლექსსა და სიმღერაში მისთვის დამახასიათებელი სიმძაფრითა და ინტიმურობითაა ასახული პოეტსა და მკითხველს შორის დიდი უშუალო ძალის მქონე მორალური ურთიერთობა:

გული სჯრის, გონება ზომავს,
ორნივ შენ გებარებიან,
ნეტავი შენა, თუ სხვათიც

გულნი შენს ეზავებიან,
ვისაც შენ ერჩი, მოძმენიც
იმასვე ედავებიან!

(იქვე)

ასეთსავე დანიშნულებას — საზოგადოებრივი ცხოვრების დულაბისას —ვაჟა-ფშაველა არა მარტო პოეტს უსახავს, არამედ ყოველ შეგნებულ მოქალაქეს, ადამიანს, ვისაც-კი უნდა ეს სახელი სრული კმაყოფილებითა და გაგებით ატაროს. მას ამით სურს პოეტის და ადამიანის-მოქალაქის ვალდებულება უფრო გაზარდოს. მუდმივი, მჭიდრო, განუყრელი კავშირის მოქალაქისა (მით უმეტეს პოეტისა-მწერლისა) ცხოვრებასთან, მის ყოველდღიურ მოვლენებთან ვაჟა-ფშაველას მიაჩნია ძირითად და ერთადერთ სწორ და აუცილებელ ნიადაგად კაცის (განსაკუთრებით კი პოეტის-მწერლის) ფიქრისა და მოქმედებისა.

აი რას გვიმტკიცებს ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთ თავის წერილში: „მგოსნისათვის უსათუოდ საჭიროა რაიმე მომხდარი ამბავი, ანუ ფაქტი, რომელმაც უნდა აღუძრას მას გულის სიმები, აალაპარაკოს იგი, გრძნობაზე მოიყვანოს, კალამი ააღებინოს ხელში, შემოქმედების ფრთა გააშლევინოს. შეიძლება ეს ამბავიც იყო და თვით ავტორი არ იყოს პირდაპირი მოწამე მომხდარის ფაქტისა, ვინაიდან ამბავიც იგივე ფაქტია. ხოლო ისიც უნდა ვსთქვა, ვისაც რომელიმე გრძნობა სიყვარულისა, თუ სიძულვილისა თვით არ უგვრძნია, არ გაბოუცდია პირადად, იმ გრძნობის მგოსნად ვერ ვიწამებთ, ვერც აღწერს იგი ამ გრძნობას ისე, რომ მსმენელთა ყური და სმენა დაიმონავოს და ათქმევინოს „რა მშვენიერებაა“... მგოსნის შემოქმედებასაც მასალა სჭირია, არარად მხოლოდ არარა იქნების. მასალა-კი თვით ცხოვრებაშია, გარეშე ცხოვრებისა და ბუნებისა-კი სრული არარაობაა“[4]. აქაც, სხვათა შორის, მეღავნდება ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობის რეალისტური მიმართულებაც და მისი თავის ეპოქასთან და მესამოციანელებთან მჭიდრო კავშირი. ნამდვილი მოქალაქის, მით უმეტეს პოეტის, მუდმივი სურვილი, ვაჟა-ფშაველას მძლავრი შინაგანი გაგებითა და მოთხოვნილებით, ასეთი უნდა იყოს:

გამზარდოს, მომცეს ძალ-ღონე,
ვეწამლო ქვეყნის კვნესასა;
გამზარდოს, ღრუბლად მაქციოს,
მძიმეთ დამტვირთოს წვიმითა.
რომ მოვრწყო გული ქვეყნისა

დაუშრობელი მილითა;
ავაჭიკჭიკო ბულბული
საღამოთი და დილითა,
და წავრსდგე ჩემს მეუფესთან
ხელთ ანთებულის ცვილითა.

(„მოლოდინი“)

---

[4] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მცირე რამ კიდევ „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

ასეთსავე აზრს ვაჟა-ფშაველა უფრო მეტი გარკვეულობითა და სიმძაფრით ავითარებს ლექსში „ნუგეში მგოსნისა“. აქაც მგოსნის ცხოვრების აზრი და დაკმაყოფილება მოძმისათვის კეთილდღეობის ზრუნვაშია. მოქალაქე (განსაკუთრებით იგულისხმება პოეტი-მწერალი) მაშინ არის კმაყოფილი, ბედნიერი, როდესაც ის მოძმის მტერს „კუპრითა და ლაფით შეჰმუსრავს“, როდესაც ის არამც თუ სხვას არ გასტაცებს ლუკმაპურს, არამედ ჯაფით ნაშოვნს სხვას გაუყოფს და „ნაღარითა და დაფით“ მედგრად აუწყებს სიყვარულს თანამოძმეებს.

ვაჟა-ფშაველას, აღტყინებულს საზოგადოებრივი კეთილდღეობით, თავის ამგვარი, კმაყოფილებისა და სიხარულის მიმცემი გრძნობა უნდა სხვათაც გადასცეს და გადამდები აღფრთოვანებით შთააგონებს მკითხველს: „ცოტა მაქვს, ცოტას ვჯერდები, ბეჩავთაც ვაუზიარებ, სიკეთისათვის სიკეთეს არავის დაუგვიანებ“. ვაჟა-ფშაველა ვაჟკაცადაც იმას თვლის, ვისაც მოძმის საკეთილდღეოდ აუმოქმედებია თავისი ძალა და ნიჭი.

ერთ-ერთს თავის „სიმღერში“ („ყველასაცა გვაქვს...“) ვაჟა-ფშაველა ასე გამოხატავს თავის დამოკიდებულებას კაცის-მოქალაქის (რა თქმა უნდა, მით უმეტეს პოეტის, მგოსნის) ღირებულებისადმი:

დიდებულს იმას ვეძახი,
ვინც ანგარიშის გარეთა
ქვეყნის პირსა და ვარამზე
ღაიქვითინებს მწარეთა.

ვაჟა-ფშაველამ კარგად იცოდა, ხედავდა და ხშირად, ძალიან ხშირად. თავისი პირადი ცხოვრების მაგალითითაც კარგად რწმუნდებოდა, რომ გზა მწერლისა ნარითა და ეკლითაა მოკირწყლული, მწერალს ცხოვრება მწარეს, ნაღველს უფრო მეტს ასმევს, „არცა კლავს, არც არჩენს, არც სულს ალევინებს“, როგორც მწარედ კვნესოდა ხოლმე აკ. წერეთელი. მაგრამ ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, როგორც მის წინამორბედთა ილიასა და აკაკის რწმენით, პოეტი მაინც ვალდებულია კალამი ხელიდან არ გააგდოს, შეუპოვრად, მტკიცედ იდგეს თავის საგუშაგოზე.

აი რასა წერს პოეტი ერთ-ერთს თავის მნიშვნელოვან წერილში „რამე-რუმე“: „წერაზე არა რომელიმე ჰკვათმყოფელი მწერალი ხელს არ აიღებს, რადგან დარწმუნებულია, რომ მწერლობა ძალაა, ერთ უმთავრეს იარაღთაგანია ერის წინსვლისა, მისი გონებისა და ცხოვრების გაუკეთესობისა... მწერლობა მაშინ ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას, როცა უკეთესად ემსახურება ქვეყანას. უკეთესი ქვეყნის სამსახური მწერლობისა კიდევ იმაში გამოიხატება, რომ ყოველი წვლი-

ლი, ავი თუ კარგი, თავის ქვეყნისა ესმოდეს, შეგნებული ჰქონდეს მისი საჭიროება და სხვებსაც შეაგნებინოს ესევე — ყველა ავადობას, ყველა წყლულს წამალი დასდვას. და მაშასადამე, კარგი მწერალიც ის არის, ვისაც უკეთ შეუგვნია ეს საჭიროება და უკეთესად ემსახურება ამ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეს"[5].

ვაჟა-ფშაველას ურყევი რწმენით, ის კაცი (მით უმეტეს პოეტი-მწერალი) ატარებს სანატრელ სახელს ქვეყნის შვილისას, ვინც „აზრის და სიმართლისათვის კვდება". ამ რწმენით აიხსნება მგოსნის გაუტეხელი გულით ძახილი:

> რაც უნდა ჭირი მომკერძო,
> ბილწთ არ შავეკვრი ზავითა;
> მცნებას ვერ შემაცვლევინებ
> მოზღვავებული ავითა!..[6]

ვაჟა-ფშაველა მწერლის დანიშნულებასა და მის მიერ თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულებით გამოწვეული სიხარულისა და კმაყოფილების მაღალ განცდას დიდი პოეტური სიძლიერით გამოხატავს ერთ-ერთ თავის „სიმღერაში" („როს ვუკვირდები თავის თავს..."). ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, პოეტის ქმედობის დასაბამი სიკეთეა — „მადლი". „მადლია" რომ ამოძრავებს, ამეტყველებს, ამგოსნებს კაცს, ზრდის, ამკვეთრებს მის გონებასაც, ნიჭსაც და ზნეობასაც.

ვაჟა-ფშაველას გაგებით, პოეტი მაშინ ადის თავის სიმაღლეზე, მაშინ პოულობს და ამქღავნებს კიდეც ის თავის ნიჭის ძალასა და მნიშვნელობას, როცა ის თავისში ჩაკვირვების შემდეგ „მადლს დასთვლის ათასობითა, ცოდვა სამ მრჩება კენტადა", — სწორედ მაშინ ივსება ის რაღაც უჩინარი, გრძნეულის შემოქმედებითი ძალით, აღფრთოვანებით. ამ მაღალ პოეტურ განწყობილებას ვაჟა-ფშაველა ასე გამოხატავს:

> მხრები მესხმება, ვიზრდები,
> ცად ვიწევ ასაფრენადა;
> გაჩნდება სითღაც ნათელი,
> გულს ჩამიდგება სვეტადა;
> ზღვავდება მწყობრი სიტყვები
> ქაღალდზე დასაბღერტადა;
> მიორთიან გულის სიმები
> სიამოვნების ღმერთადა.
> („სიმღერა")

ასეთი განცდის მომენტში პოეტს არ შეუძლია სდუმდეს, ის მონახდება თავისი ამგვარი აღფრთოვანებული განწყობილებისა—„ჩანგისა". მაშინ ის მღერის, არ იმღეროს არ შეუძლია, მის სიმღერას აღტაცებაში მოჰყავს მსმენელიც, თვითონაც მოსწონს თავისი ჩანგის მწყობრი სით-

---

[5] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, რამე-რუმე, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S. № 5317.

[6] მ ი ს ი ვ ე, სიმღერა („დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე").

ულერა. ამგვარი სიხარულისა და კმაყოფილების განცდას პოეტი ასე გვიხატავს:

ჰქუხს ჩანგი, აღარ ისვენებს,
მეც მხოლოდ მღერა მწადისა;
იშლება, მღერაში დნება
ბუდე ყველა სხვა დარდისა.
ჭღვად ვცურავ ნეტარებისა,
წვერი ხელთა მაქვს კალთისა,
კალთაში ვარღი მეშლება,
თაეზე მანანა დამდისა.
(იქვე)

პოეტი ამ მდგომარეობაში ბედნიერია. ის მადლობელია მშობლისა, თავის „გაჩენის-გაზრდისა". ის აღარ ემდურის ბედს. მაშინ მას ნაპოვნი აქვს თავისი საზოგადოებრივი ღირებულება, თავისი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაშინ ის ხედავს, რწმუნდება, რომ თავის დანიშნულებას, თავის სიცოცხლე-არსებობას ამართლებს.

ვაჟა-ფშაველა, პოეტისათვის „მადლის" — სიკეთის აუცილებელი მნიშვნელობა რომ გაამახვილოს და მკითხველთათვის ეს თვალსაჩინო გახადოს. პოეტის ცხოვრების საწინააღმდეგო მდგომარეობასაც გვისურათებს. მაგრამ, ამბობს ვაჟა-ფშაველა, თუ მგოსანს „ცოდვები მოსჭარბდა", მაშინ მისი ნიჭის მოქმედება სრულიად შეცვლილია; „სდუმს" მისი ჩანგი, მისი „გული ბნელია", ის სწავლობს „ლაღად" იმღეროს, სიტყვა სთქვას „ცხელი", მსმენელის-მკითხველის აღმაფრთოვანებელი. ამაოა მისი ცდა-ტანჯვა: „იგივე მარჯვენა და კაცი, იგივ კალამი მჭრელია", მაგრამ „დაჩლუნგებულა, დამდგარა". ასეთს პირობებში პოეტი, ვაჟა-ფშაველას თქმით, ჯოჯოხეთს განიცდის, იწვის, გაჩენის დღესა სწყევლის.

ასე ყოფილა მგოსანსა,
თუ მადლი გაპოელია, —

კატეგორიული რწმენის ტონით ასკვნის ვაჟა-ფშაველა.

ასე უყურებდა და აფასებდა მთის მგოსანი პოეტსა და მის დანიშნულებას. ასეთი შეხედულებით, თავისებური „ცხელი" სიტყვითა და მაღალხარისხოვანი ლექსითა და სიმღერით ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურაში ამტკიცებდა ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის მიერ შემოტანილ შეხედულებას მწერლისა და მწერლობის საზოგადოებრივი ძალისა, დანიშნულებისა და მნიშვნელობის შესახებ.

2

ვაჟა-ფშაველას ეპოქა (განსაკუთრებით 80-იანი წლები) საზოგადოებრივი ცხოვრების შევიწროებისა, რღვევისა და, არა იშვიათ შემთხვევაში, ადამიანის დაჩიავების ხანაა. გამეფებული რეაქცია მჭიდროდ და დაუნდობლად სჭიმავდა საზოგადოებრივი ცხოვრების სალტეებს. ყოველი საღად მოაზროვნე მტკივნეულად განიცდიდა ამ „უთავბოლო ცხოვრების“ მოწესრიგების აუცილებლობას. ლიბერალებისა და რევოლუციურ დემოკრატების ბრძოლის ძველი გზები ბატონყმობასა და თვითმპყრობელობასთან ამ დროისათვის უკვე ამოწურული იყო; ახალი გზები უკეთესი მომავლისა ახლად იკვალებოდა. ისინი მრავალთათვის, ხშირად საზოგადოების მოწინავე ნაწილისათვისაც-კი ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყო. ხშირად საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებსაც იპყრობდა იმ დროის მძიმე ნაღვლიანობა. ასეთი განწყობილება ხომ დამახასიათებელი იყო აკაკისათვის და სხვა მრავალთათვის. დროდადრო ასეთივე განწყობილებაა გამოვლინებული ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც. მუდმივი მჭიდრო, განუყრელი კავშირი ადამიანისა ცხოვრებასთან მის ყოველდღიურობასთან ვაჟა-ფშაველას, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მწერლის ფიქრისა და მოქმედების არსებით და აუცილებელ ნიადაგად მიაჩნდა.

ვაჟა-ფშაველა გამახვილებული გულისყურით უკვირდება გარემო საზოგადოებრივ ცხოვრებას, მძიმედ განიცდის „სოფლის უკუღმა ტრიალს“. ეს ტკივილი მასში უფრო ღრმავდება, როდესაც აღშფოთებული მგოსანი, ერთი მხრით, ითვალისწინებს ბუნების მრავალფეროვანი ცხოვრების კანონზომიერ დაწყობილებას, განიცდის მის მოვლენათა მოძრაობასა და სიხარულს, ხოლო, მეორე მხრით, რწმუნდება ადამიანთა ცხოვრების მოუწესრიგებლობაში. მაშინ ვარამი, მგოსნის გულში ჩამდგარი, მატულობს, „ცეცხლი ედება“ პოეტის გულსა. ბოღმიანი პოეტი თავის ტკივილს ასე ამცნობს მკითხველს; „ეს ჩემი გული ტიალი ისევ და ისევ სტირისო“. პოეტის ტკივილი უზომოა, მას არც კი ჰგონია, რომ სხვასაც „მასებრივ გული სტკიოდეს“. მგოსანი გამოტეხილი გვაცნობს, რომ მას ქვეყნად ვერ უპოვია ვერც მკურნალი და ვერც წამალი ამ მწუხარებისა, მისი მწვავე განცდითა და განცხადებებით, მისი ბოღმის განკურნვა შეუძლებელია „ქვეყნის მეფეთა ვერცხლითა“-ც კი. უკუღმართი ცხოვრების პირობებით, მტრის ჯავრითა და სატრფოს (სამშობლოს) უიმედო ტრფიალით გაწამებული მგოსანი აკაკისებურად შემოგვჩივის:

აღარცა ვრჩები, არც ვკვდები,
განკურნებისა მწყურვალი,
გულს ცალკერძა ჰკლავს მტრის ჯავრი,
მეორით — სატრფოს ტრფიალი.
ორითვე გაუმაძღარი
შევქმნილვარ ოხერ-ტიალი.

(„გულში მატულობს ვარამი...“)

პოეტს გული ერჯის სამოქმედოდ, მაგრამ ის შებოჭილია. უმოქმედო ცხოვრება კი ვაჟა-ფშაველას სევდას სევდაზე უმატებს. პოეტს ეშინიან უქმი ცხოვრებით გამოწვეული მწუხარებისა, ვინაიდან მისი გაგებით, ეს გაუნელებელი იქნება მარად ჟამს:

ვაი, რომ საიქიოსაც
გინება დამიხვდებაო!..
აქ ჩემი უქმად ცხოვრება
იქ თვალ-წინ დამიდგებაო, —

აშბობს მძიმედ გულდაკოდილი მწერალი თავის „სიმღერაში" („რას შემომღმუი მდინარევ...").

ვაჟა-ფშაველა, რა თქმა უნდა, თავის ამა და ამგვარ ლირიკულ ლექსებში გვაძლევს არა მარტო პირად, ინდივიდუალურ განწყობილებას, არამედ ამ განცდების საშუალებით საზოგადოების საერთო მდგომარეობას გვიხატავს; თავის განწყობილებაში პოეტი ანზოგადებს საზოგადოებრივ განცდებს, ატიპიურებს მათ და მხატვრულ სახეებში გვაძლევს.

ლირიკული ნაწარმოები მხოლოდ მაშინ ამდიდრებს ლიტერატურულ საგანძურს და რჩება მასში, როდესაც ნაწარმოებში ასახული გრძნობები, განწყობილებები, აზრი გამომხატველია, დამახასიათებელია საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფისათვის; მხოლოდ ამ შემთხვევაშია ლირიკული ნაწარმოები საზოგადოებრივი ღირებულებისა, მაშინაა ის მხატვრული. ვაჟა-ფშაველას ლირიკული ლექსები მითაა ძვირფასი, რომ მდიდარ ფორმალურ მხარეებთან ერთად, მათში ასახული განწყობილებანი — უმოქმედობა, უკმაყოფილება, სევდა, ხშირად უიალქნო ძიებით გამოწვეული — ვაჟა-ფშაველას ეპოქაში დამახასიათებელი იყო საზოგადოების დიდი ნაწილისათვის. მისი ლირიკა, კერძოდ სევდის გამოხატვაშიც, უდავოდ, ტიპიური სახეების შემცველია.

პოეტს ფრიად აღონებს „ჩვენი ყოფა". ის მასში თავის თავს „ობლად გრძნობს", თითქოს ის „უცხო თემშია". ის ვერსად ვერ ხედავს სანუგეშოს. ნიკ. ბარათაშვილსავით ის ებრძვის ბედს, უნდა მთაზე გადავიდეს (გაარღვიოს შემბორკავი რკალი) იმ იმედით, რომ „იქნება ვაკე დაუხვდეს", იპოვოს „სავალი გზა", ცოცხალი მივიდეს სახლში, იქ დაისვენოს, მხოლოდ იქ, და მით „წყლულს მოუპოვოს წამალი". მაგრამ მგოსანს ეს ოცნებით შექმნილი იმედიც სწრაფ მოეწამლება:

მაგრამ ან სახლში რა მინდა —
დედა არ დამიხვდებაო.
ვიჯავრებ, შორით ნაფიქრი
ფიქრები წამიხდებაო:
ლხინის მაგივრად სახლშია
ტირილი დამიხვდებაო...
(იქვე)

რა არის პოეტის ამ ტირილის მიზეზი? ვაჟა-ფშაველა, მის დროში არსებული სულისშემხუთავი პოლიტიკური და ცენზურული პირობე-

ბის გამო, ამ მიზეზთა პირდაპირ დასახელებას გაურბის. ის, როგორც ეს მაშინ დამახასიათებელი იყო ქართული ლიტერატურის წარმომადგენელთათვის, იძულებულია ნიღაბი მოიმარჯვოს და თავისი გულნადები მკითხველს გააგებინოს მკვეთრი, არაჩვეულებრივად ნიჭიერი პოეტური ქარაგმებისა და ალეგორიების საშუალებით. ამ ხერხს მთის მგოსანი მთელი პოეტური მოღვაწეობის მანძილზე ნიჭიერად იყენებს.

მგოსანი რომ ამბობს —„სახლშიო“, გულისხმობს სამშობლოს. სამშობლოს სავალალო მდგომარეობა, რომელშიც მძლავრად იგრძნობა „გაუტანლობა, მოყვარის გმობა“, მას გულს უწყლულებს. მგოსანი თავს ველარ იკავებს. ის ბოღმამორეული გვამცნობს, რომ მის მოძმეთ „ჭკვა და გონება“ დაუკარგავთ, რის შედეგადაც „ყვაე-ყორანის საბუდრად იქცა ჩვენი სახლი და კარია. მოვემწყვდით ორ წყალშუა, ალარსად ჩვენთვის ნავია... არ ვიცით ჟამ-კარ არეულთ, სად დავახწიოთ თავია“[7]. მგოსანი ვერ ურიგდება ამ მდგომარეობას. მისი „ყოფნის შვება“, მგოსნის აღიარებით, სიყრმიდანვე იყო მოძმეთა ცხოვრების გაუმჯობესება. მას, როგორც თვით პოეტი მისთვის დამახასიათებელი ზედმიწევნითი სიმკვეთრით გამოჰხატავს, „სიყმილი მკლავდა ძმათა რგებისა“. დღეს-კი, კვნესის პოეტი, „ისა მკლავს, გულს ის მიქენჯნის, ცუდივ ამბავი მესმის ძმებისა“. და პოეტი ასეთ მშვენიერ, დამაჯერებელ შედარებას გვაძლევს: „გუთნისდედისა ყოფნა იფიქრეთ, ნახოს ზაფხულში ხნულები მისა... გადალესილი ქვიშა-ლამითა...“ აი სწორედ ეს გარემოებაა ვაჟა-ფშაველას გულს რომ ღრღნის „ვით შგესლი გველი“, მის შეგნებას რომ ავსებს „ბედისა მდურვით, ნაღველ-შხამითა“.

შეშფოთებული, იმედგაქარწყლებული, მწარე ფიქრებში ნათენთი გულისა და გონების გამონაჟურია პოეტის შემდეგი სიტყვებიც:

ბედის ვარსკვლავსაც არ ვგლოვობ,
ჩამხდეს, თუ ჩამიხდებაო;
რისათვის ვცოცხლობ, თუ ფიქრი,
ნატვრა არ ამიხდებაო?![8]

ასეთმა განწყობილებამ, გამუდმებულმა წვამ არა მარტო პოეტის „გული და გონება“ დაღარა, არამედ მისი პოეტური ჩანგიც დააზიანა. დააჩლუნგა, უწყალოდ სიმები დააწყვიტა. როგორც პოეტი ჩივის: „განწყობა სასიმღერიო გულს ეკარება აღარა“. პოეტი თავს უბედურად გრძნობს, თავის თავში ის ველარ ჰხედავს „ჩალის ფასს“, „მკვდარზე მკვდრად გადაქცეულა“. ამ გარემოებაში მყოფი პოეტი, როგორც ეს აკ. წერეთლისათვისაც იყო დამახასიათებელი („თავო ჩემო“), სასო-

---

[7] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ქებათა-ქება, თხზ., ტ. I, გვ. 165.
[8] მ ი ს ი ვ ე, სიმღერა („რას შემომლმუი მდინარეე...“).

წარკვეთილებამდე მიდის: სწყევლის ბედის ვარსკვლავს, თავის დღეს, თავის შობასა, თითქოს გულზე რაღაც მძიმე ლოდი აწევსო და ასეთი სიმწარით მოსთქვამს თავის მწუხარებას:

ვგლოვობ დაკარგულს ნუგეშსა
და ღადუმებულს გრძნობასა.
ვაფურთხებ, ვწყევლი უქნარსა
ამ დაოჩნებულს ყოფასა,
იქნება ექმნას ნაყოფი
თავის წვრთნას, თავის გმობასა!
ჩემი სიცოცხლე სიჩლუნგის —
რა ვქნა — ვერ შესძლებს ყმობასა![9]

ვაჟა-ფშაველა დიდი უ'მუალობით, სიმძლავრით, დამაჯერებლობით გვაჩვენებს „ათასნაირი ნაღველი" მის გულს „ტუტასავით რომ ჩასდგომია", მაგრამ მისი გული მაინც ვერ ჩაუკლავს, მისი გულის სამართლიანი სიცოცხლის წყურვილი ვერ შეუჩერებია. ვაჟა-ფშაველას, როგორც აკ. წერეთელს („აღმართ-აღმართ..."), ყველაზე მეტად ის სტანჯავს, ის უკარგავს სასოებას, რომ ვისთვისაც მისი გული მოძრაობს, ვისთვისაც ის შრომობს, იღწვის, ვისთვისაც მან თავის სიცოცხლე ტანჯვითა და სიმწარით გაატარა, ვისთვისაც ის მზადაა თავისი სიცოცხლე დასწვას „ვით ჩალა," — ის მას ლანძღავს, შინიდან გარეთ აგდებს, პურს აღარ აჭმევს; ამ „გამცემელთა" პოეტს შხამი და ნაღველი „უსაგძლეს". ასეთი უმადურობით გაწამებული პოეტი შემოგვჩივის:

ამ ვერაგობის მიზეზსა
დავალ ღა ვკითხავ მთა-ველთა.
უმადურობის ისრებით
გამსჭვალული მაქვს სხეული.
საშინელია, ვინ იცის
უმადურობით სნეული:
ფ.ვალით არა სჩანს, რომ გული
ცრემლის ტბად არის ქცეული,
არ შაიძლება კაცისთვის
ჭირი იმაზე წყეული!..
უმადლო კაცმა რა იცის,
ჰკითხეთ ვინც არი წვნეული, —
ვისიცა მოყვარისათვის
შრომა არ დაფასებულა,
ღვაწლისთვის ვისიც სიცოცხლე
ძმათ-მიერ გათარსებულა[10].

ასეთია სულიერი ტრაგედია ვაჟა-ფშაველასი, გამოწვეული ქართველი საზოგადოების მორალური დაკნინებით, რასაც ასეთი ფართო და გამანადგურებელი ხასიათი მიეცა მთელი XIX საუკუნის მანძილზე მეფის რუსეთის ბიუროკრატიულ-კოლონიური პოლიტიკის ბატონობის ხანაში, 1917 წლის დიდ ოქტომბრის რევოლუციამდე, რამაც ქართველი საზოგადოება, ხშირად გზააბნეული, დამონებულ მდგომარეობაში ჩაგდო.

სევდის მოტივი, ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში ასე მკვეთრად რომაა გამოვლინებული, სრულიადაც არ არის მწერლის მორალურ-ფსიქოლოგიური დაცარიელების მაჩვენებელი, პირიქით. სევდის მოტივის

---

[9] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სიმღერა („ჩონგურს სიმები დამიწყდა"), 1950 წ., გვ. 22.

[10] მ ი ს ი ვ ე, სიმღერა („ათასნაირი ნაღველი...").

ასეთი სიმძლავრით ასახვა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მოწმობს სრულიად საწინააღმდეგო გარემოებას. ეს მოწმობს პოეტის მიერ ღრმა შეგნებას თავისი თანამედროვე ცხოვრების სინამდვილის ძირითად წინააღმდეგობათა, რომელნიც საზღვრავდნენ მთელი ეპოქის ცხოვრებას; ეს მოწმობს პოეტის მიერ თავისი ეპოქის სინამდვილის მტანჯველი და სამარცხვინო ბოროტებისა და ბიწიერების ღრმა და მტკივნეულ გაგებას. ვაჟა-ფშაველას ლირიკის სევდიანი მოტივის შეფასების დროს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ის ეპოქა, რომელშიც იშლებოდა და მტკიცდებოდა მგოსნის შემოქმედებითი ძალა და პიროვნება; არ უნდა დავივიწყოთ, რომ მგოსნის ეპოქა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთ-ერთი უმძიმესი და უბნელესი რეაქციის პერიოდი იყო.

3

XIX საუკუნის მანძილზე ნაციონალური მოძრაობა ფართო ხასიათს იღებს. ეს გარემოება დაკავშირებულია კაპიტალიზმის განვითარებასთან და ბურჟუაზიის თანდათანობით ზრდასთან. კაპიტალიზმის განვითარებასთანვეა დაკავშირებული ხალხის ერად ჩამოყალიბების პროცესი. საქართველოშიც ეს პროცესი კაპიტალიზმის განვითარების შედეგია.

ბურჟუაზიისათვის არსებითი და ძირითადი საკითხია ბაზარი — გასაღება თავის საქონლისა, როგორც შინაგანი, ისე გარეშე ბაზრის დაპყრობა. ეს კი იწვევს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, კონკურენციაში გამარჯვებას სხვა ეროვნებათა ბურჟუაზიასთან, სხვა სუსტი ერების ბურჟუაზიის მოქმედებისა და შესაძლებლობის დამორჩილებასა და ჩაკვლას. ამ ნიადაგზე ბურჟუაზიული კლასების თაოსნობით წარმოებს ბრძოლა ერებს შორის — ფაქტიურად კი ბრძოლა წარმოებს გაბატონებულ კლასთა ინტერესებისათვის.

მრავალრიცხოვანი, დიდი და ძლიერი ერის ბურჟუაზია ჩვეულებრივ ბრძოლაში იმარჯვებდა, ჩაგრავდა მცირე ერის ბურჟუაზიას, ხოლო მასთან ერთად ჩაგვრის სიმწვავე მცირე ერის სხვა სოციალურ ფენებსაც ხვდებოდა, რადგან გამარჯვებული ბურჟუაზია კონკურენციის საშუალებით ცდილობს მთლად დაიმონოს მცირე ერი — შთლად გადააქციოს ის გამოყენებისა და თავისი კეთილდღეობის შექმნის წყაროდ. დაჩაგრული ერის ბურჟუაზია, რომელიც გაბატონებული ერის — არსებითად მისი გაბატონებული კლასის — ბურჟუაზიის წინააღმდეგ ლამობს აწარმოოს ბრძოლა, იბრძვის მთლიანი ერის სახელით. ამ მიზნით ის მიმართავს ხოლმე „მშობლიურ ქვედა ფენებს“.

ასეთ ფრონტზე გაიშალა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ბრძოლა რუსეთის ბურჟუაზიულ თვითმპყრობელობასთან, რასაც ამწვავებდა მონარქიული რეჟიმი, გაბატონებული მთლად ყოფილ

რუსეთის იმპერიაში და, კერძოდ, უფრო მეტი სიმწვავით მასში შემავალ განაპირა ერების მმართველობაში.

ასეთი უხეში კოლონიური პოლიტიკის გატარებამ, მრავალმა რეპრესიამ „ძალაუფლების მპყრობელთა“ მხრივ, რომლებიც შურს იძიებდნენ განაპირა მხარეებზე მათი „თავისუფლების მოყვარეობისათვის“, — გამოიწვია ქვეშოდან საპასუხო ტალღა ნაციონალიზმისა — მძლავრი ნაციონალური მოძრაობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქართველი ხალხის ფართო ფენებმა.

ქართული ნაციონალური მოძრაობის პროცესში ახლადფეხადგმული ბურჟუაზიის იდეოლოგებთან ერთად მოქმედებენ ქართველი ხალხის სხვა სოციალური ფენებიც. ეს მოვლენა აიხსნება, ერთი მხრით, ქართველი ხალხის კლასობრივ წინააღმდეგობათა განვითარების დონით და, მეორე მხრით, ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიული თვითმპყრობელური მმართველობის მძიმე მარწუხებით, რომელიც ქართველი ხალხის ყველა ფენის განვითარებას აბრკოლებდა, ზღუდავდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმოშობასა და განვითარებას მეფის რუსეთში ვ. ი. ლენინი შემდეგი გარკვეული ობიექტური გარემოებით ხსნის: „პოლონეთის ნაციონალიზმთან ბრძოლით გატაცებულს, როზა ლუქსემბურგს დაავიწყდა ველიკოროსების ნაციონალიზმი, თუმცა სწორედ ეს ნაციონალიზმია ყველაზე საშიში ამჟამად, სწორედ ისაა ნაკლებ ბურჟუაზიული, მაგრამ უფრო ფეოდალური, სწორედ ისაა მთავარი მუხრუჭი დემოკრატიისა და პროლეტარული ბრძოლისა. ჩაგრული ერის ყოველ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში არის საერთო-დემოკრატიული შინაარსი ჩაგვრის წინააღმდეგ, და აი ამ შინაარსს ჩვენ უთუოდ ვუჭერთ მხარს, ამასთან მკაცრად გამოვყოფთ მისწრაფებას საკუთარი ეროვნული განსაკუთრებულობისაკენ, ვებრძვით პოლონელი ბურჟუას მისწრაფებას — ჩაგროს ებრაელი და სხვ. და სხვ.“[11]

აი ასეთი მდგომარეობის ნიადაგზე დიდი გასაქანი მიეცა ქართულ მწერლობაში და ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში იმ ნაციონალურ-რევოლუციურ განმათავისუფლებელ ბრძოლის ფრონტს, რომლის მებაირახტრედ შეიქმნენ XIX საუკუნის დიდი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი თავიანთი თანამოკალმეებით.

რა თქმა უნდა, გარემო ობიექტურმა მდგომარეობამ და ერის არსებობის ძირითადმა მოთხოვნილებებმა განსაზღვრეს ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში.

უნდა ითქვას, რომ ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი,

---

[11] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, თხზ., ტ. 20, გვ. 504.

ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი და ეროვნულ-გამათავისუფლებელი ფრონტის სხვა მოღვაწენი, ბრძოლას აწარმოებდნენ აღნიშნული ძირითადი ნიშნების მიხედვით, თავიანთი პროგრესული მსოფლმხედველობის თანახმად. ისინი აშკარად ხედავდნენ ქართველი საზოგადოების დაცემულობას, მისი ეროვნული სახის დაკარგვას, გადაგვარებას, დაკნინებას. ამიტომ ისინი მთელი შესაძლებლობით ცდილობდნენ კულტურულად და ეკონომიურად ერის დაცემული, გადაგვარებული მდგომარეობის აღდგენა-განმტკიცებას, ერის დარღვეული, გათიშული, დანაწილებული არსებობის გაერთიანება-განმტკიცებას. ამისათვის თვითმპყრობელობასთან ბრძოლისათვის მასების გამოფხიზლება-დარაზმვას, მეზობელ მცირე ერებთან მჭიდრო კავშირის შექმნას უწყობდნენ ხელს.

ასეთ მოღვაწეობაში იხატება აღნიშნულ პირთა პატრიოტული გრძნობა და პატრიოტის მოვალეობის აღსრულება, სამშობლოსადმი სამსახური.

ამავე ფრონტზე ურყევად დგას ვაჟა-ფშაველაც არა მარტო კალმითა და სიტყვით, არამედ პრაქტიკული საქმიანობითაც.

ვაჟა-ფშაველას „ბუკი და ნაღარა" აღჭურვილია ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლით, ქართველ ტომთა გაერთიანების იდეით, ამ ბრძოლის გაღვივებისა და სასურველად დამთავრების მიზნით, მხატვრული უშუალობითა და დამაჯერებელი ალეგორიებით მძლავრად მოითხოვდა ერის — „მთისა" და „ბარის" მთლიანობის აუცილებლობას:

საფუძვლად, მთაო, ბარი გაქვს,
იცოდე, ტალახიანი.
თუ ის ჩავარდა უფსკრულსა,
შენც თან ჩაჰყვები ნიადა;
არ გარგებს, თორო შენ იცი.
მთავ, ამაყობა ფრიადა.

(„მთა და ბარი")

პოეტმა თუმცა განვლო ცხოვრების ხანგრძლივი გზა. „თუმცა-ღა მოიმთაბარა", როგორც თვითონ იტყოდა, მაგრამ „გუნება გუნებად დარჩა". პოეტი არ მალავს, რომ მის გულს სიყმაწვილიდანვე აწვალებს იარა, რომელიც მას ჯერაც არ მორჩენია. მისი ჩონგურის „ჟღერაც ამ ტკივილის გამომხატველია. მაგრამ პოეტს ის უკოდავს გულს, რომ მისი ფანდურის ჟღერაც მხოლოდ სიტყვაა — „თქმა არი, საქმე კი არა" („ქებათა-ქება"). სიტყვით არ დაკმაყოფილება, საქმის ძებნა, როგორც ეს დამახასიათებელი და მტკივნეული იყო ეპოქისათვის, ვაჟა-ფშაველასაც ძალუმად აწვალებდა და იწვევდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტზე.

მაღალ პატრიოტულ გრძნობას ის მთელი თავისი დიდი ცეცხლიანი

ტემპერამენტით აცხოველებს და შეუბღალავი ლირიზმით სავსე ლექსებსა და პოემებში უხვად აბნევს:

ჩემის კაცობის გვირგვინო,
ჩემო სამშობლო მხარეო!
შენგან შობილი ოცნება
გულს შანთად გავიყარეო[12], —

შეჰღაღადებს პოეტი სამშობლოს.

რა ოცნებაა სამშობლოსაგან შობილი, რომელიც მგოსანს „გულს შანთად გაუყრია"?

ეს ოცნება დამონებული სამშობლოს განთავისუფლებაა. ერთ-ერთ თავის გამოქვეყნებულ წერილში „რას ჰქვიან თავისუფლება?" ვაჟა-ფშაველა თავისუფლების შესახებ შემდეგ შეხედულებას ავითარებს: „თავისუფლება მტარვალთაგან (უმცირესობაა) ხალხისათვის (უმრავლესობა) წართმეული ბედნიერებაა. თუ ერთს ადამიანს სტანჯავს, სჩაგრავს ტუსაღობა-თავისუფლების წართმევა, ფრინველს და ცხოველს ჰკლავს, რა თქმა უნდა, ხეირს არ დააყრის არც საზოგადოებას, რომელიც ადამინთა კრებულია"[13].

ვაჟა-ფშაველა ყველასა და ყველაფერს, კერძოდ ადამიანსაც, ითვისებს და სჭვრეტს ბუნების მთლიანი სიცოცხლის თვალსაზრისით. ერთ თავის დაუმთავრებელ გამოუქვეყნებელ წერილში „სად არის პოეზია?" იგი წერს: „არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დავასახელოთ, რომ მისი მსგავსი ბუნებაშიც არ მოიპოვებოდეს... ყველა ის, რაც ბუნებაშია— დამოკიდებულება ცხოველთა შორის, მცენარეთა, ცისა და დედამიწის შორის, წყალსა და ჰაერთან, ყველა ეს ჩვენ კაცთა შორის ხდება. როცა ცა იღრუბლება, მინამ ჭექა-ქუხილი ასტყდება, ყველა სულიერი ძალა უნებურად მწუხარებასა ჰგრძნობს... ვინც ბუნების ავი და კარგი შეიგნო იმას არ გაუძნელდება ცხოვრების ვითარების გაგება, მხოლოდ უნდა მწერალი უყურებდეს ცხოვრებას, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ბუნების თვალით"[14].

ბუნებასთან ახლო მდგომი და მისი უშუალო შემგრძნობი მგოსანი მახვილი თვალით აკვირდება ბუნებისა და ცხოვრების მტკიცე ბრუნვას და მის მოძრაობის კანონს — ყველაფერს აქვს თავისი დასაბამი, განვითარება, დაძაბუნება და ბოლო. ყველაფერი ბუნებაში კანონზომიერე-

---

[12] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სიმღერა („ჩემის კაცობის გვირგვინო..."), თხზ., ტ. II, გვ. 180.

[13] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, „რას ჰქვიან თავისუფლება?" ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

[14] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, „სად არის პოეზია?" ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S. № 5317.

ბაშია. ბუნებაში ეს ურყევია. ვაჟა-ფშაველას დაკვირვებით აბაშია სიცოცხლის ღრმა აზრი და სილამაზე. მაგრამ, როცა ამასთანავე უკვირდება თავისი ქვეყნის დაბეჩავებულს, შევიწროებულს მდგომარეობას, პოეტი საყვედურისა და უკმაყოფილების კილოთი ამბობს:

მითამ სუყველას ბოლო აქვს,
ზღვანიც კი დაშრებიანო;
მაშ ჩემის გულის დამჭრელნი
რატომ არ გასწყდებიანო?![15]

ვაჟა-ფშაველა, როგორც ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და XIX საუკუნის სხვა ქართველი მწერლები, ცენზურული პირობებით შეზღუდული, შევიწროებულია. ის იძულებული იყო მოვლილი გზით ევლო, რომ თავისი ნაწარმოები ხალხში გაეტანა ბეჭდვის საშუალებით. ამიტომ ის ხშირად მიმართავდა სხვადასხვა პოეტურ ფარულ ხერხს, რათა თავისი პატრიოტული გრძნობა, საქართველოს სავალალო დაჩაგრული მდგომარეობით გამოწვეული, გამოეხატა. ამით აიხსნება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ხშირი გამოყენება სიმბოლოების, ალეგორიების, ქარაგმების.

მგოსნის პოეტური აპერცეპცია ხარბადაა ძუძუნაწოვი, როგორც თვითონ პოეტი ამბობს, „დოვლათიანი" მთის ზნე-ჩვეულებას, მის პოეზიასა და დიალექტს. ამიტომ ის გაშუდმებით მთის ცხოვრებიდან იღებს რეალიებს, რომელთა საშუალებით მგოსანს ეხერხება თავის პოეტურ სახეებს მისცეს მკვეთრი კონკრეტულობა და შთამაგონებელი დამაჯერებლობა.

რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მთის ცხოვრების კონკრეტულობით განსახიერებული მისწრაფებანი სრულიადაც არ იფარგლებიან მთის ჩარჩოებით; ეს გარემოება მგოსანს ვერ აპრკოლებს თავისი განცდა, მისწრაფება და მათი გამომხატველი პოეტური სახეები ტიპიურობის მაღალ მხატვრულ საფეხურზე განავითაროს. დაკვირვებული მკითხველი მკაფიოდ გრძნობს ვაჟა-ფშაველას განცდების, მისწრაფებისა და პოეტური სახეების ტიპიურობას, რომელიც ერა მარტო მთის ჩარჩოებს სცილდება და პოეტის ეპოქის მთლიან ეროვნულ განწყობილებას გამოჰხატავს, არამედ ხშირად ეროვნულ ფარგლებსაც სცილდება და საერთო საკაცობრიო ღირებულების მხატვრულ შემოქმედებას ჰქმნის.

თუ აკ. წერეთელს სამშობლო ხშირად განსახიერებული აქვს ხან საოცნებო სატრფოს, ხან ნესტან-დარეჯანის, ხან ავადმყოფის, ხან სულიკოს და სხვათა სახით, ვაჟა-ფშაველა ამავე საგანს ანსახიერებს

[15] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სიმღერა („გაზაფხულს ია ამოდის..."), თხზ., ტ. I, გვ. 3.

ხან მწყემსი ქალის, ხან ბებერი ლომის, ხან დაჭრილი არწივის. ხან ხმელი წიფელის, ხან მიჯაჭვული ამირანის და სხვათა სახით.

მაგალითად, ლექსში „მწყემსი ქალი“ ვაჟა-ფშაველა სამშობლოს გვიხატავს მთიელი მწყემსი ქალის სახით, რომელსაც „ფეხთ ქალამანი აცვია, ტანთ ქობა გაცვეთილი“, „იმ დღიდან ამ დღემდისინ“, „ზურგზე-და გუდა ჰკიდია, თავით კომბალი უძევსო.“ მწყემსი ქალის ამ მდგომარეობით „ბედშავი“ პოეტი სასოებით მიმართავს ზენას: — „მა გოგოს კალთა აფაროს“ და „არიდოს ყველა ავი“.

თუ მის თეალები გაჰქრება
და სხივს არ მომაყრიანო,
გულის წყლულს არ მომირჩენენ,
ნისლებს არ გადმიყრიანო,
რაც ქვეყანაზე მიწაა,
სულამც მე მომაყრიანო.
თქვენც გეხვეწებით, ხეებო,
და შენც, მდინარეე ხმიანო,
ე გოგო — ჩემი სიცოცხლე
არაფრით დამიზიანო!

(„მწყემსი ქალი“)

ვაჟა-ფშაველა, როგორც აღვნიშნეთ, დამონებული, შევიწროებული, მაგრამ სიცოცხლეს ძალუმად მოწყურებული საქართველოს განსახიერებისათვის მრავალ სხვადასხვა სიმბოლოსა და ალეგორიას მიმართავს. ხშირად გამახვილების მიზნით მასალას შედარებისა, მეტაფორისა თუ სხვა პოეტური სახის შექმნისათვის მთის ბუნებიდან, მთიელთა ცხოვრებიდან, ან მთიელთა მდიდარი პოეზიიდან უხვადა ჰკრეფს.

დაცემული, დანაწილებული საქართველოს ბრძოლა დამმონავებელ პირობებთან, მისწრაფება, არ დამორჩილდეს შემლახველ პირობებს, აღდგეს, იცოცხლოს — აი როგორ დამაჯერებლობითა აქვს ვაჟა-ფშაველას მოცემული ლექსში „არწივი“:

არწივი ენახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა
მაგრამ ვეღარა დგებოდა.
ცალს მხარს მიწაზე მიითრევს,
გულის პირს სისხლი სცხებოდა.

სამშობლოს მდგომარეობით გამოწვეული „ათასფრიანი“ ვარამი მგოსანს გულში ბალღამსავით ჩასდგომია. სამშობლოზე ზრუნვას მისი „მრავალ ფრთიანი“ ფიქრი მრავალმხრივ აუნთია და აუმოძრავებია.

საქართველოს მუხთალ ხვედრს გაწამებული პოეტი მიჯაჭვული ამირანის მდგომარეობას ადარებს ლექსში „სიზმარი ამირანისა“. ამირანი ანაკადებულ მდინარეს წყურვილის მოსაკლავად დაეწაფა; შან „ხარივით“ გულხარბად დაუწყო სმა, გაძღომა ვეღარ გაიგო. ამირანი მოულოდნელად ტალღებმა გაიტაცა. ალ-ქაჯთა ხროვა მის სიკვდილს რომ ელოდა, ყიჟინით მისდევდა მას, არ ეშველებოდა. ამირანი მდინარემ უდაბურს ადგილას გარიყა. მასთან მოგროვდა „პირშავ, მყრალ, ტანბალნიან“ დევთა ხროვა. ისინი თავაზიანი, დაფარული მტრული სალმით მიმართავენ ამირანს, რომლისადმი თავის ბოროტ განზრახვას ვერა

ჰმალავენ — „კბილებს ულრეჭენ ნიშ-გებით, ჩუმად კუჭებსა ჰკალავ-დენ“. პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამირანი თვითონაც არა ჰმალავდა თავის მტრულ განწყობილებას მათდამი. ამირანი უიარაღო, უაბჯრო, რომელიც აშკარად ხედავს დევ-ქაჯთა უსაზღვრო მადას შეჭამონ ის „როგორც ქადა“, ბოღმა-ბრაზმორეული სინანულით შემდეგს წარმოსთქვამს:

უხარისთ, რაკი ხელთ მივდეს
მათი მოსისხლე მტერია.
უიარაღო, უაბჯრო,
რა ძნელი დასაჭერია!
(„სიზმარი ამირანისა“)

ამირანის სახით ვაჟა-ფშაველას დიდი მხატვრულობით, მძლავრი დამაჯერებელი სიმბოლოების საშუალებით განსახიერებული აქვს საქართველოს (ქართველი ხალხის) მდგომარეობა, მისი დიდი წყურვილი სიცოცხლისა, წინმსვლელობისა, ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, მისი შებოჭილი პოლიტიკური მდგომარეობა, ყოველი მხრიდან მოსეული მტერი (ლექსში დევ-ქაჯთა სახით განსახიერებული), მძიმე დაბრკოლებები, რომლებიც მას შეუნელებლად ეღობებოდა თავისუფლების შენარჩუნებისათვის თავგანწირულ ბრძოლაში.

ამირანის ვედრება თვით ვაჟა-ფშაველას (და ვიტყვით მთელი ქართველი ხალხისა თავისი ისტორიის მანძილზე) მძიმე-მტკივნეული განცდების ზუსტი გამოხატულებაა.

...ღმერთო მიშველე,
მომეც ხელთ ჩემი ხმალია,
მურდლად ნუ მომკლავ, ერთს მაინც
რომ არ მოვსთხარო თვალია —
მთელი ბედკრული ქვეყანა
დევთა სიკერპეშ დალია!
(იქვე)

ამაოა ამირანის მუდარა და ცდა განთავისუფლებისათვის. ის ბრძოლაში ყვავ-ყორნებისაგან (გარს შემოხვეული მტრებისაგან) გულდაფლეთილი ვაჟკაცია. ამირანი, სიმართლისათვის გამუდმებულ ბრძოლაში დაქანცული და დამარცხებული, რწმუნდება, რომ მისი ვედრება ხმაა მხოლოდ „მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ამირანს ცისადმი შემდეგი ჰამდურავი ამოხდება:

„სიმართლის მცველსა არ მშველი,
სხვას ვის უშველი?!“ — ვყვიროდი.
ცრემლს სად შეეძლო ის ეთქვა,
როგორც მე გულში ვტიროდი.
„არა ხარ საწამებელი“, —
ვამწარებული ვსჩიოდი.

ვაჟა-ფშაველას აქ წარმტაცი ოსტატობითა აქვს გამოხატული გაწამებული, ხორციელად დაქანცული, სულიერად დათენთილი ადამიანის გაცრუებული, სასოწარკვეთილებამდე მიყვანილი სულისკვეთება. ამირანის სახით მთელი გოლგოთაა განსახიერებული გატან-

ჯული ადამიანისა (ქართველი ხალხისა), რომელიც უნდობლობა-ურწმუნოებამდეც კი მიდის, რომლის უსასოობა, უიმედობა უმწვერვალეს წერტილს აღწევს.

ამირანის მდგომარეობაში მკითხველი დიდი სიმახვილით ხედავს ადამიანს (ხალხს) და თანაგრძნობით იმსჭვალება მისდამი, რომელიც დგას უფსკრულის ნაპრალზე — ტრაგიკული დილემის წინაშე — ან შთანთქმა უფსკრულში, სრული დაცემა-განადგურება, ან დაბრუნება საღ-სამართლიან ცხოვრებაში; ან მონობის უღელ ქვეშ, ან თავისუფლება. საშუალო მდგომარეობა მისთვის მიუღებელია და არც არის.

გაწამებული ამირანის ასეთი ურწმუნოება და ლტოლვა ნიადაგ დამახასიათებელი იყო ქართველი ხალხისათვის XIX საუკუნის მანძილზე შეფის რუსეთის უხეში დამჩაგვრელი კოლონიური პოლიტიკის ქვეშ.

ამ ჩაგვრის სისაძაგლეს, მიუღებლობას და მავნებლობას მთელი სიმძლავრით განიცდიდა რუსი საზოგადოების მოწინავე მოაზროვნე ნაწილიც, რომელთანაც ქართველი მოწინავე საზოგადოება მჭიდრო კავშირში იყო და რომლის მისწრაფებათა და განწყობილების გენიალური გამომხატველია მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი. ის წერს:

„უცხოა თუ არა ჩვენთვის, ველიკორუსი შეგნებული პროლეტარებისათვის, ეროვნული სიამაყის გრძნობა? რა თქმა უნდა, არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო, ჩვენ ყველაზე მეტად ვმუშაობთ იმისათვის, რომ მისი მშრომელი მასები (ე. ი. მისი მოსახლეობის 9/10) ავამაღლოთ დემოკრატებისა და სოციალისტების შეგნებულ ცხოვრებამდე. ჩვენთვის ყველაზე მეტად გულსატკენია ვხედავდეთ და ვგრძნობდეთ, თუ რა ძალადობას, ჩაგვრასა და აბუჩად აგდებას განიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის ჯალათების, თავადაზნაურობისა და კაპიტალისტების მხრივ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ეს ძალადობა წინააღმდეგობას ხვდებოდა ჩვენი წრიდან; ველიკორუსების წრიდან, რომ ამ წრემ წარმოშვა რადიშჩევი, დეკაბრისტები, 70-იანი წლების რევოლუციონერი რაზნოჩინელები, რომ ველიკორუსმა მუშათა კლასმა 1905 წელს შექმნა მასების ძლიერი რევოლუციური პარტია, რომ ამავე დროს ველიკორუსმა გლეხმა დაიწყო დემოკრატად გადაქცევა, დაიწყო ხუცესისა და მემამულის დამხობა“[13].

ვ. ი. ლენინი, როგორც XIX საუკუნის რევოლუციური პროლეტარიატის მასწავლებლები მარქსი და ენგელსი, შთაგონებით ასწავლის რუსეთის ამოძრავებულ პროლეტარიატს, რომ „არ შეიძლება თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც სხვა ხალხებს სჩაგრავს“.

ვ. ი. ლენინი წერდა: „სწორედ ველიკორუსი პროლეტარიატის ინტე-

---

[13] ვ. ი. ლენინი, ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ, თხზ., ტ. 21, გვ. 111—112.

რესთა თვალსაზრისით, საჭიროა მასების ხანგრძლივი აღზრდა იმ აზრით, რომ მათ უაღრესად გადაჭრით, თანმიმდევრულად, გაბედულად, რევოლუციურად დაიცვან ველიკორუსების მიერ დაჩაგრული ყველა ერის სრული თანასწორუფლებიანობა და თვითგამორკვევის უფლება... ჩვენს ნიმუშად დარჩება მარქსი, რომელიც, ათეული წლობით ინგლისში ცხოვრების გამო, ნახევრად ინგლისელი გახდა და მოითხოვდა ირლანდიის თავისუფლებასა და ნაციონალურ დამოუკიდებლობას ინგლისელი მუშების სოციალისტური მოძრაობის ინტერესებისათვის"[17].

ვაჟა-ფშაველა მისთვის დამახასიათებელი უშუალობითა და ძლიერებით აგიზგიზებს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის კერას ეროვნული ჩაგვრის, ეროვნული თვითშეგნების გადაგვარებისა და გაყალბების ხანაში. ისიც ილ. ჭავჭავაძესა და აკ. წერეთელსავით დამღერის და დასტრიალებს თავის დაბეჩავებულ სამშობლოს, როგორც თავდადებული გუშაგი-მეხრე:

გულიც შენია, ლეშიცა,
ულვაშიც შიღერებული.
ვერ გაგცვლი მაინც სხვაზედა
ბედისგან გახელებული.
შენს ყოფნას ვადნობ თვალებსა,
ესდარაჯობ გამგელებული[18]

ლექსში „ნუგეში მგოსნისა" ვაჟა-ფშაველა დიდი სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობით აღიარებს, რომ თავის მოღვაწეობის, პოეტური ქმედობის არსს, მნიშვნელობას საზღვრავს და აფასებს სამშობლოსადმი თავდადებული სასარგებლო სამსახურით. მგოსანი ბედნიერია და ნუგეშობს მით, რომ მას „ქვეყნის სარგოდა ფიქრით გამსჭვალულს, ავი არ ჩაუდენია". ის კმაყოფილებით გვეუბნება:

არ მიბობღნია დაბლა ქვემძრომად,
შაღლა დავფრინავ, როგორც გავაზი;
. . . . . .
არ დაუძველდა ჩემს გულს თვის
სატრფო,
როგორაც სხვისას, ვნუგეშობ მითა.
მე არ ვუთხარე მოძმესა ორმო,
მთხრელი შევმურე კუპრით და ლაფით;
არვის გავტაცე მე ლუკმა პური,
სხვასაც გავუყავ ნაშოვნი ჯაფით,
და სიყვარული ჩემს თანამოძმეთ
ვაუწყე მედგრად ნაღარით, დაფით.
(„ნუგეში მგოსნისა")

XIX საუკუნეში ქართველი პრივილეგიური კლასი, პოლიტიკური და ეკონომიური ძალა-უფლების დაკარგვის გამო გადაგვარების, დაკნინების გზას დაადგა. იგი, როგორც მას მძლავრი სარკაზმით ახასიათებს ილია ჭავჭავაძე თავის სატირაში „ბედნიერი ერი", — შეიქმნა: თვალაბმული, თავაკრული, პირს ლაგამი, ზომიერი; ყველა ყრუი, ყველა ცრუი, ჭკვადამჯდარი, გულხმიერი; მცირე, დიდი, ყველა ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერი... მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ

[17] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ, თხზ., ტ. 21, გვ. 115.
[18] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ქებათა-ქება, თხზ., ტ. I, გვ. 165.

ძლიერი; არ რის მქონე, არ რის მცოდნე, უზრუნველი და მშიერი". ქართველი საზოგადოების ამ ნაწილის უმეტესობა „გაჩინოვნიკების" გზას დაადგა და მისთვის საქართველო-სამშობლო სრულიად დაცარიელებულ ცნებად გადაიქცა. აკ. წერეთლის თქმისა არ იყოს, პირში მთქმელი არ უყვარდა, მართლისათვის ილანძღებოდა; თუ შიოდა, პატრიოტობდა, მოძმეთაც უწყრებოდა უმსგავსი საქციელისათვის. მაგრამ თუკი გაძღებოდა, ე. ი. მიიღებდა სახრავ ძვალსა, ჩინოვნიკის მცირე თუ დიდ ადგილს, მაშინ სულ საწინააღმდეგოდ იქცეოდა. „ქვეყანა" და „ქვეყნის საქმე", — როგორც ამბობს ილ. ჭავჭავაძე, — იმას ფეხებზე ეკიდა". აღარაფერს დაგიდევდა ეს ჩინოვნიკი და, როგორც აკაკი წერეთელი ამბობდა, მოურიდებლად გაჰკიოდა:

მომწონს კალინა, მალინა,
მძულს ვარდები და იაო,
სამშობლო რასა მიქვიან,
მეწყერსაც წაუღიაო[19].

ქართველი ხალხის საერთო ჩაგვრას ზედ ერთვოდა ამ გადაგვარებულთა მიერ ხალხისა და სამშობლოს დაწიხლვა, წეწვა, გაყიდვა ნაწილ-ნაწილად თუ ბითუმად.

ვაჟა-ფშაველაც ილია — აკაკისავით აღშფოთებულია ქართული საზოგადოების ამ გადაგვარებული ნაწილის განწყობილებითა და მოქმედებით. მგოსანს „მგესულ გველსავით" შემოჰხვევია, მოსვენებას არ აძლევს საქართველოს სავალალო მდგომარეობა, გამოწვეული ქართული საზოგადოების, განსაკუთრებით კი, მისი გადაგვარებული ნაწილის, დამოკიდებულებით, დაუდევრობით, ვინაიდან ის ადვილად მოემწყვდა მეფის რუსეთის მიერ დაგებულ მახეში. ეს ვაჟბატონები ხელსაყრელ იარაღად შეიქმნენ ბიუროკრატიული მთავრობის ხელში მისი ვერაგული ზრახვების ცხოვრებაში გატარებისას. „ციხე შიგნიდან გატყდებაო" და ბიუროკრატიულმა მეფის რუსეთმაც ამ საშუალებას მიმართა. ადგილობრივ მცხოვრებ მოხელეთა დახმარებით ქვეყანა ადვილად დაიპყრო, დაიმონა.

ქართულმა ლიტერატურამ სამოციან წლებიდან სასტიკად და გაბედულად დაგმო ეს სამარცხვინო მოვლენა ქართველთა ცხოვრებაში (მაგ., აკ. წერეთლის „ავადმყოფი", „აპელაციის მცოდნე", „ღამურა" და სხვ). ვაჟა-ფშაველაც ეხმაურება მას ამ მოვლენის გაკიცხვაში.

ბევრს ვერას გეტყვით, შეილებო,
მხოლოდ გაიგეთ: ვტირი მე,
ნუ მწირავთ უპატრონოდა,
მიშველეთ, თქვენი ჭირიმე!
ფეხ-შიშველს ძუძუს ნუ მომჭრით, — და არ ვიცოდი ძილი მე...

ღმერთს ნუ ჰგმობთ, თქვენი ჭირიმე!
თავზე ნუ მახევთ ლეჩაქსა,
დაფიქრდით, მრახეთ! ვტირი მე!
თქვენს ზრდაში ბევრჯერ მშიოდა

[19] აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ცხელ-ცხელი ამბები, გაზ. „დროება", 1880 წ., № 189.

. . . . . .
ვფიქრობდი, დაიზრდებოდით,
მეფონებოდა ჰირი მე.
დაიზარდენით და მწიხლავთ,
რად? რისთვის? თქვენი ჰირიმე!
. . . . . .
რისთვის მიყიდით ტანთსაცმელს?
რად მცარცვავთ, თქვენი ჰირიმე?
. .

თქვენს ძალას დედაზე იჩენთ.
სად თქმულა, თქვენი კვნესამე?
სცღილობთ ცოცხალი დამმარხოთ,
გულზე მაყაროთ მიწა მე.
ძუძუს ნუ მომჭრით, შვილებო,
თქვენი დედა ვარ, მიწამე!..
თქვენს იქით ვისღა ვედედო,
ძუძუ ვაწოვო ვისა მე?!
(„ღედის ტირილი")

ვაჟა-ფშაველას სურს ქართველი საზოგადოების ეს ნაწილიც გამოაფხიზლოს; სურს სამშობლოსადმი სიყვარული, მიზიდულობა და ვალდებულობა მასში გააღვიძოს, აამოძრაოს.

ვაჟა-ფშაველას სურვილია თავისი ჩანგის ჟღერა ამ მიზნისათვის გამოიყენოს, სამშობლოს მომხიბლავი მიმზიდველობა მკითხველთ დაანახვოს, მათი გული მისდამი პრინციპული სიყვარულით ააძგეროს.

ვაჟა-ფშაველა, თავისი სამშობლოს მდიდარი ბუნების სანახაობით აღფრთოვანებული, „ხელ'ს ჩანგით, პირში ენითა ლაღობს და ხარობს ფრიადა".

მგოსანი, როდესაც თავის ქვეყანას უმზერს ხილული თუ უხილავი ხედვით, ბედნიერია, ის ამ ქვეყანაში ხედავს „სამოთხეს ტურფასა სანახავადა". პოეტი ამ ნეტარების ხილვით „ცა-ხმელთა სწორი" შექმნილა. მგოსანი მკითხველს ასე გადაუშლის სამშობლოს ხილვით გამოწვეულ თავის აღტაცებას, რომელიც მას უნდა მკითხველსაც გადასდოს:

არც თავი უჩანს, არც ბოლო,
ასე ვის მოუჩმახია?!
მაგრამ ტურფაა, — გამოსჭვირს
შიგ სახე საქართველოსი:
მთა, ტყე, მდინარე, ყვავილი
მშობელი მიწის მდელოსი;
შიგ ჩაქსოვილა გმირთ სახე,
მამა-პაპათა ქველობა, —
სისხლი და ოფლი ერთურთში,
ხმლითა მამულის მცველობა
ღა ჩემის სატრფიალოსი
ღამთ იქით ძველის-ძველობა,
ვნეტარობ ნეტარებითა,
ვერ ვძღები იმის ცქერითა;
ეს კონა გულში ჩამერგო
თავ-მოწონებით, მღერითა[20].

* * *

სამშობლოს ბუნების მშვენიერი სანახაობით აღტყინებული პოეტის ფანტაზია, აწმყოთი უკმაყოფილო, ქართველი ხალხის ისტორიაში გადადის, როგორც ეს ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლისათვის იყო დამახასიათებელი; იქიდან იღებს სამშობლოს ერთგულებისა და თავგანწირული სიყვარულის ცოცხალ, წარმტაც სურათებს, ეპიზოდებსა და სახეებს.

---

[20] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სიმღერა („ვნახე სამოთხე ამ ქვეყნად"), თ.ხ., ტ. I, გვ. 182.

ვაჟა-ფშაველა, როგორც შოვიხსენიეთ, მასალას თავის შემოქმედებისათვის იღებდა მთიელთა ცხოვრებიდან, მათ ზეპირშემოქმედებიდან, როგორც მახლობელი გარემოდან, რაც მას უადვილებდა შემოქმედების სახეებისათვის დამაჯერებელი, შკვეთრი მხატვრული კონკრეტულობა მიეცა.

მთიელთა ხსოვნაში და მათ ზეპირშემოქმედებაში ქვეყნის დამცველ გმირად შემონახულია პატარა კახი. ვაჟა-ფშაველა, განიცდის რა ხალხური ზეპირშემოქმედების დიდ გავლენას, ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით, უკმაყოფილოა რა თანადროულ მონარქთა უსამართლო მმართველობით, აღფრთოვანებულია თავდადებული ვაჟკაცი მეფით, ერეკლეთი, რომელიც მდაბიო ხალხთანაა ჭირსაცა და ლხინშიც. მგოსანი ერეკლეს ხატავს დიდ პატრიოტად, რომელიც ქვეყნის კეთილდღეობით იხარის, იწვის, რომელსაც დიდი უნარი აქვს სხვებშიც, თანამებრძოლებშიც ასეთივე ცეცხლი დაანთოს.

ვაჟა-ფშაველას გაგებით, ერეკლე, თამარ მეფე ხალხს სათაყვანებელ გმირად მიუჩნევია, იმიტომ რომ ისინი ქვეყნის — ხალხის ინტერესებით მოძრაობდნენ. ხალხსა და მათ შორის მჭიდრო ურთიერთობა, ურთიერთ დაფასება და პატივისცემაა. ლექსში „მეფე ერეკლე“ პოეტისათვის დამახასიათებელი მაქსიმალური უშუალობითაა გადმოცემული სამას არაგველთა დუშეთით თბილისს ჩამოსვლა კრწანისის ბრძოლისათვის და მეფე ერეკლეს მათთან შეხვედრა. დიდია ხალხის დაბალი ფენების სამშობლოსათვის თავდადება. თვით ერეკლეც ხალხის მიერ იმდენადაა სათაყვანებელი, რამდენადაც ის ქვეყნის ღირსეული შვილია, რაინდი პატრიოტია. მკითხველს ხიბლავს ის ურთიერთობა, რომელიც ერეკლესა და მასთან ომებში გამოვლილ მთიელ თანამებრძოლთა შორის არსებობდა.

ის უცინოდა მისულთა,
როგორც ძმა თავის ძმათაო,
ჰკითხავს შინაურს ამბავსა
თავისთან შეზრდილთ ყმათაო,

რომელთაც სიყრმე აქციეს
სიბერედ მტრისა ლევაში
და წამოსულან ნებითა,
რომ მოკვდენ ქვეყნის წევნაში.

(„მეფე ერეკლე“)

ვაჟა-ფშაველა აღფრთოვანებულია არა მარტო მთიელთა (რა თქმა უნდა, მთიელში პოეტი გულისხმობს ქართველ მდაბიო ხალხს მთლიანად) მაღალი, კეთილშობილური პატრიოტული გრძნობითა და სამშობლოსათვის განვლილი თავდადებული შინაარსიანი სიცოცხლით, არამედ მათი გარეგნობითაც კი, როგორც შესაფერი შეხამებით მათ გმირულ მოქმედება-მისწრაფებასთან. მგოსანს უნდა მკითხველიც ისევე მოხიბლოს ამ, მართლაც, გმირი ადამიანებით და მათ გარეგნობასაც, მათ მაღალ სულიერ სამყაროს შესაბამს, ასე აგვიწერს:

თითო ისეთი მოსჩანდა,
როგორც ვეშაპი ცხენზედა,
ზავთი იმათი ზღვას ჰგავდა,
კლდე უყელყელებს მკერდზედა.
(იქვე).

ამგვარ ყმათა ხილვით ექსტაზში მოსული, ტურფა სამშობლოს ხილვით მოხიბლული პოეტი აღტაცებული წამოიძახებს:

სანამ ვცოცხლობ, გულში მაქვს, — საჯიჯგნად, დასაზიანად...
კეთილსა ვყვანდე ზიარად, ნუ გეგონებათ, დავლაჩრდი, —
ვერ მივსცემ მტერსა მამულსა ჯერ ისევა ვარ ფხიანად[21].

ეს ვაჟა-ფშველას მრწამსია, ეს თქმა პოეტის ანდერძის ხასიათს ატარებს, ეს აგრეთვე მოწოდებაა მკითხველისადმი. პოეტის გული სამშობლოს სიყვარულითა და მისი დაცვის ურყევი რწმენითაა აგიზგიზებული. მკითხველსაც ადვილად ანთებს სამშობლოსადმი სიყვარულითა და მისთვის თავდადებული მოქმედების წყურვილით. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ამ მოტივის განვითარება წითელი ზოლივით გასდევს.

პოემა-ლექსში „ერეკლეს სიზმარი“ ვაჟა-ფშაველა დიდი ხელოვნებით გვიხატავს იმ დიდ პატრიოტულ გრძნობასა და უნარს, რომლითაც ერეკლე ცნობილია ისტორიასა და ქართულ ხალხურ ზეპირგადმოცემაში. „ერეკლეს სიზმარში“ ვაჟა-ფშაველა გვიხატავს მის თანამედროვეთა, ფეოდალურ საქართველოში ქართველების გაუტანლობასა და გაურჯულოებას.

ერეკლე სწუხს, ვინაიდან მშველელს არავის ხედავდა, როს მამული იღუპებოდა (აქაც იგრძნობა ვაჟა-ფშაველას პოეზიის შეხვედრა ნ. ბარათაშვილის პოეზიასთან). ასეთი განწყობილება ერეკლეს სიზმარშიც არა სტოვებს, სიზმარშიც მძიმე ტანჯვას გააცდევინებს. შეშფოთებით გამოღვიძებულ მეფეს გარშემორტყმული თაყვანისმცემელი თანამებრძოლი ხევსურები სთხოვენ სიზმარი მათაც გაუზიაროს: „შენს ყმათაც გვინდა გულით ვიცოდეთ, რაც შეგვემთხვევა ტკბილი თუ მწარე; შენი სვებედი იგივ ჩვენია“ — მზრუნველობით მიმართავს ერეკლეს ხევსური ხიმიკაური. ერეკლეც თავის ერთგულ თანამებრძოლ ხევსურთ ეტყვის ამაღელვებელ სიზმარს: ვითომც „ტურფა ტაძარს“ (იგულისხმება საქართველო) თავით ბოლომდე ცეცხლი ეკიდა, მისი ლაშქარი აბჯარ-აყრილი იდგა უძრავად და არა სწუხდა, მიუხედავად იმისა, რომ ერეკლეს ხმა ჰქუხდა: „აბა, ბიჭებო, უჭირს ქვეყანას!“ ყველა გაქვავებული იდგა, თითქოს სტკბებოდა, „რომ საქართველო ცეცხლში სდუღდა“. ლაშქრის ასეთი საქციელით სიზმრადაც კი ხევსურნი მეტად დაღონდნენ და შეძრწუნებულ ერეკლეს ასე შესძახეს:

[21] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სიმღერა („დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე“), თხზ., ტ. I, გვ. 280.

თუ გაურჯელად იქ ვეყარენით,
რადღა გვინდანან წვერ-ულვაშ-თმანი?
მოგვისპოს ღმერთმა სამუდამოდა
სახევსურეთოს სავალნი გზანი!
როგორ შავუდგეთ არაგვის ჭალას,
როგორღა ვნახეთ ჩვენ ჩვენი მთანი?!
(„ერეკლეს სიზმარი“)

აი ასეთი ანთებული სიყვარულით უნდა იწვოდეს, ვაჟა-ფშაველას გაგებით, ნამდვილი მამულიშვილი თავის სამშობლოს დასაცავად, სამშობლოს დაცვისათვის თავდადება მისთვის სახელია, უმაღლესი ბედნიერებაა, იგი ულამაზესი შესაძლებლობაა მოქალაქის სიცოცხლის გამართლებისა.

ერეკლე ხევსურთ დაამშვიდებს, ეტყვის, რომ იმათგან არც ერთი იქ არ შეუნიშნია. ერეკლე გულახდილად გაუმჟღავნებს ხევსურთ, რომ ეს, ერის ასეთი გადაგვარებით გაკვირვებულს, ბრაზმორეულს ტირილით გამოეღვიძა. ერეკლემ სიზმრის თხრობა რომ დაამთავრა, ურჩმა ხევსურებმა ერთხმად შეჰყვირეს: „ეგ არ იქნების, ;რ შაიძლების, დაწვა ტაძრისა რა სათქმელია?!“

ხევსურთ ეს შემოძახილი თვით ვაჟა-ფშაველას მრწამსია; ეს ძახილი, მგოსნის გაგებით, მთელი ქართველი ხალხის მრწამსად უნდა გადაიქცეს, ყველა ამ წმინდა „ტაძრის“ (სამშობლოს) საგუშაგოზე ფხიზლად და თავგანწირვით უნდა დადგეს.

ცნობილ, ძლიერ გახმაურებულ ლექსში „მხედართა ძველი სიმღერა“ მგოსანი ცდილობს მკითხველს შთააგონოს, რომ სამშობლოს დაცვა მამულიშვილისათვის უწმინდესი და ულამაზესი მოვალეობაა. ერთ-ერთ თავის წერილში ვაჟა-ფშაველა წერდა: „უტერიტორიოდ ერი ვერაფერი ერია, მის სიცოცხლეს მუდამ საფრთხე მოელის, საეჭვოა მისი მომავალი. როგორც უწყლოდ თევზი ვერ გასძლებს, ისე უტერიტორიოდ ერი. ჩვენი ძლიერება სწორედ იმაშია, დღეს კიდევ იმით უნდა მოგვწონდეს თავი, რომ მიწა-წყალი შევინარჩუნეთ...“[22] ამიტომაც ეაჟა-ფშაველას რწმენით, დედა იმიტომ ზრდის შვილს, მისთვის ეუბნება ნანასა, რომ შვილმა ტანზე აბჯარი აისხას, მუდამ ლესავდეს დანასა, რომ შიშს უგდებდეს გულშია მეზობელს მეტიჩარას, არ აქელვინოს „სამშობლო მეტოქეს ათასგვარასა“. გამოსთქვამს რა მამულიშვილის ასეთს დანიშნულებას, პოეტი თავის მრწამსს ასე დაასკვნის:

ცოცხალის თავით ვერ მივცემთ
მტერს თავის მიწის ღალასა.
გაჰზრდის-ღა კიდევ მშობელი
ვაჟკაცებს ჩვენისთანასაჴ!
(„მხედართა ძველი სიმღერა“)

---

[22] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ცოტა რამ ჩვენი ცხოვრების ავ-კარგისა, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

ვაჟა-ფშაველა, გატაცებული სამშობლოს დაცვის წმინდა მოვალეობით, მხედართ რაღაც გმირული დაკმაყოფილების გრძნობითა და მკითხველზე გადამდები აღტყინებული თავგანწირვის კილოთი ათქმევინებს, რომ ღირსეული მამულიშვილი ისაა, ვინც სამშობლოსათვის სიცოცხლეს ისე სწვავს „როგორც ჩალასა“, ვინც გულდამშვიდებული კვდება სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე და თანაც გაუტეხელად მღერის: „მშობელი მოკვდეს, რა უშავ, შვილები ჰრჩება მამასა“; რადგანაც ის დარწმუნებულია, რომ „კარგის მამის შვილს, წესია, მტერიც უფრთხება კვალადა“ და ვერ გაბედავს „შინ შემოგვეჭრას ძალადა“.

მამულიშვილი, ვაჟა-ფშაველას რწმენით, ცოცხალი თავით არავის დაუთმობს „მშობელი მიწის ღალასა“. მგოსნის მოხდენილი თქმით, ისაა მამულიშვილი, ვინც „სიკვდილს აღუთქვა სიცოცხლე და პირი სისხლის ბანასა“.

იმ მძიმე უდროობის ხანაში, საზოგადოებრივი ცხოვრების საშინელი შეევიწროების პერიოდში, ვაჟა-ფშაველა კერპი — გაკაჟებული რწმენით მხედართ პირით შთააგონებს ფართო მკითხველთ დაიცვან სამშობლო:

სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შაგვეცილება,
თორემ ისეთს დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.
არ მიეცემთ სხვასა სამშობლოს
ჩვენის ცოცხალის თავითა;
უკან ვერ დაგვახვინებთ,
მისთვის ნაძღვნევის შხამითა.
მტრისაკე მივიზიდებით,
რომ გავწყდეთ, როგორც ლომები.
ჩვენს ზურგს ვერ ჰნახავს მეტოქე,
რომ გვნახო, მოგვწონები!

(იქვე)

ასეთი განწყობილება ვაჟა-ფშაველას ეპოქაში მებრძოლი იყო. ამიტომაც მადლის მთესავი მგოსანი თხოულობს დედამ შვილს დედისრძესთან ერთად სამშობლოს სიყვარული და მისი თავდადებით დაცვის აუცილებლობაც შეაწოვოს, შთაუნერგოს.

აქაც აშკარაა ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის იდეური და სტილიური გავლენა ვაჟა-ფშაველაზე. ამის მაჩვენებელია, გარდა საერთო განწყობილებისა, მოძახილისებური სტრიქონებიც.

ილ. ჭავჭავაძე — დედამ რომ შვილი გაზარდოს,
ემაგრე ჩვენისთანაო!
(„ქართველ სტუდენტების სიმღერა“)

ვაჟა-ფშაველა — აბა თუ გაჰზრდის მშობელი
ვაჟკაცებს ჩვენისთანასა...

ან: გაზრდის-ღა კიდევ მშობელი
ვაჟკაცებს ჩვენისთანასა?
(„მხედართა ძველი სიმღერა“)

საგრძნობლად არის ილ. ჭავჭავაძის სტილიური გავლენის კვალი ვაჟა-ფშაველას პოეზიაში. კიდევ ერთი ნიშანი: ლექსში „ერეკლეს სიზ-

მარი" ერეკლე რწმუნდება, რომ ყველა საშინელება, რაც იხილა, სიზმარი ყოფილა. და ამითაც დაკმაყოფილებული, ლირიზმით აღსავსე მოთქმისებურ ვედრებას სამშობლოსათვის წარმოსთქვამს:

მადლობელნი ვართ, ღმერთო ძლიერო,
რასაც მოგვივლენ ჭია-მღილთ დაბლა.
გებარებოდეს შენ საქართველო,
დაუსრულებლად მტრისგან გვემული;
მეტი ვერ შევსძელ, ვით ხორციელმა,
მტკიცედ დამეცვა ერი და რჯული.
შენ უპატრონე ტანჯულს ქვეყანას,
არ მოჰკლა მასში გმირული სული.
აზრი მიეცი მაღალი, მტკიცე,
სიცოცხლე მყუდრო, მოსვენებული!

ერეკლეს ეს ვედრება განწყობილებითაც და ფორმითაც ძალიან მოგვაგონებს ილ. ჭავჭავაძის „აჩრდილის" მოხუცის ვედრებას: „დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია"... და სხვ.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, როგორც ზევითაც დავინახეთ, აკ. წერეთლის იდეური და სტილიური გავლენის კვალიც საგრძნობლად ამჩნევია. ნიმუშისათვის აღვნიშნავთ „სიმღერას" („შინ ბრუნდებიან, ღვთის მადლით, ვინც დაგვირბოდნენ გარეთა..."), რომელიც მოგვაგონებს აკ. წერეთლის ლექსებს: „ღამურა", „ავადმყოფი".

ვაჟა-ფშაველას, როგორც აკ. წერეთელს, აღნიშნულ „სიმღერაში" ავადმყოფი დედის სახით გამოყვანილი ჰყავს დაუძლურებული საქართველო, რომელსაც ზოგიერთმა უპასუხისმგებლო, გადაგვარებულმა შვილმა ზურგი შეაქცია, ეგონათ რომ „კვდებაო". მაგრამ, როცა ეს გადაგვარებული — ორგული შვილები რწმუნდებიან, რომ ავადმყოფი დედა „არ მომკვდარა", რომ სამშობლო შესძლებს მათ უკეთესად აჭამოს პური, მოაწყოს თავის კალთაში, მაშინ კი უბრუნდებიან მას და ცბიერი ალერსით ასე მიმართავენ:

დედავ, მიგვიღე შვილები,
უნდა მოგიგდოთ ყურიო,
. . . . . .
ჩვენც დავტკბეთ, შენაც დაგიტკბოთ
მოხუცს სული და გულიო.
(„სიმღერა")

დედა მწუხარებით აღნიშნავს შვილების ცბიერ, ანგარებიან დამოკიდებულებას მისადმი, დაუფარავად, საყვედურით ამხელს ადვილად გადაბირებულ შვილებს, რომ მათი დაბრუნების მიზეზი დედისადმი სიყვარული, მოვალეობის გადახდა კი არ არის, არამედ ის გარემოება, რომ „დღეს მას უდგება აღდგომა" და შვილებისათვის ის კვლავ სასარგებლო იქნება. მიუხედავად ამისა, დედა შვილებს მაინც მიიღებს:

მე გაპატივებთ, მიგიღებთ,
თუ ღმერთმაც ასე განსაჯა...
და გაპატიათ, მშობლისა
ორგული აღარ დასაჯა.
(იქვე)

ვაჟა-ფშაველა დედის სახით მრავალ ლექსში („დედის სიზმარი", „დედის ტირილი" და სხვ.) გვიხატავს საქართველოს გაწბილებულ მდგომარეობას. ის, აკაკის მსგავსად, განუხრელად მოუწოდებს მკითხველთ, ზურგს ნუ შეაქცევენ სამშობლოს, დარჩნენ მის ერთგულ დამცველად.

ერთის თვალის გადარბენითაც კი რომ ვეცნობით ვაჟა-ფშაველას ლექსებს სამშობლოს დაცვის შესახებ, შთამაგონებელი ხდება პოეტის ანდერძი, როგორც მგოსნისადმი, ისე ყოველი მოქალაქე — მამაცი შვილისადმი: ვისაც კი სურს მოიხვეჭოს სახელი, მას უნდა „დიდიცა ჰქონდეს გულშია თავის სამშობლოს ტრფიალი". ვაჟა-ფშაველას ღრმა რწმენითა და გაგებით, „უამისოდ სახელის ძებნას ეცდება ოხერ-ტიალი"[23].

* * *

ნაციონალური, პატრიოტული გრძნობა ვაჟა-ფშაველას არა მარტო ლირიკულს, არამედ ეპიკურ ნაწარმოებებშიც (პოემებსა და მოთხრობებშიც) მძლავრად ჩანს.

ვაჟა-ფშაველას ესთეტიკური შეხედულებანი, ცნობილია, გამომუშავდნენ და განმტკიცდნენ ნაციონალური, გამათავისუფლებელი გმირული ბრძოლის უშუალო ზეგავლენის ქვეშ. ამ ბრძოლის ჟინს პოეტში აღვივებდა არა მარტო ახლო წარსულში (XIX საუკუნის პირველ ნახევარში) მომხდარი მთელი რიგი სახალხო აჯანყებები (1804 წ., 1812 წ., 1841 წ., 1856 წ. და სხვ.), რომელთა შესახებ მოგონებები ცოცხლად იყო ხალხის მეხსიერებაში შემონახული; არა მარტო ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლიტერატურაში გაშლილი გამათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი, არამედ მცირე ერთა საერთო ნაციონალურ-გამათავისუფლებელი ბრძოლები, XIX საუკუნის ისტორიულ ცხოვრებას რომ ახასიათებდა. ამის გარდა, თვით ქართველი ხალხის ისტორია მთელი საუკუნეების მანძილზე განა განუწყვეტელი მწვავე ბრძოლა არ იყო თავისუფლების — დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ყოველი მხრიდან მოსეული მტრების წინააღმდეგ, რაც ასე მკვეთრადაა ასახული ქართულ ხალხურ ზეპირშემოქმედებაში, რომელზედაც აღიზარდა ვაჟა-ფშაველა.

ვაჟა-ფშაველას კავშირი გარემო ამოძრავებულ ცხოვრებასთან და ლიტერატურასა და ხალხურ ზეპირშემოქმედებაში გაშლილ ბრძოლის ტრადიციებთან ღრმა შემოქმედებითი ხასიათისა იყო. ვაჟა-ფშაველას ესთეტიკურ ძიებათა საფუძველი იყო მისი აგზნებული სურვილი მკითხველში აღეძრა ცხოვრებისადმი მოქმედი დამოკიდებულება. მას საჭი-

---

[23] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, უკანასკნელი სალამი, თხზ., ტ. II, გვ. 268.

როდ მიაჩნდა გაბედული, გმირული მოქმედება. საჭირო იყო გმირული სახეები, გმირი, გმირული სიტყვა, რაც შეაშფოთებდა, ააღელვებდა მკითხველთა მასებს და წინ, უკეთესისაკენ გასწევდა.

ასეთი გმირული სახეების, მხნეობის, გაუტეხელობისა და იმედიანობის უხვი ამომწურავი წყარო ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, ხალხური ზეპირშემოქმედებაა, რასაც, მგოსნის შეფასებით, ღრმა, რეალური ცხოველმყოფელი საფუძველი აქვს.

პოემა „ბახტრიონის" გმირების (სანათასი, ლელასი, ლუხუმისა, ზეზვასი, კვირიასი და სხვათა) სამშობლოსადმი სიყვარულისა და მისთვის თავდადების ტკივილები თვით პოეტის გულის ტკივილია, ცეცხლია, რომლისაგანაც ის იწვოდა „ვით აბედი". სანათას გულისა და ტვინის შემზრავი შეკითხვა ნანგრევებისადმი, რომელთაც ის დასტირის, თვით ვაჟა-ფშაველას შეკითხვაა და ეს შეკითხვაა თვით პერსონიფიცირებული სამშობლოს — საქართველოსი, რომელიც სიცოცხლის პირობების შენარჩუნებისათვის მთელი თავისი არსებობის მანძილზე განუწყვეტელ სისხლის ღვარში იყო. ყოველი მხრიდან ცხოვრების უსამართლობით შევიწროებული სანათა ბოღმამორეული კვნესის:

სრულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში,
კვნესა რად ისმის ჩვენითა?
როდემდის უნდა ვსტიროდეთ,
მიწა ვასველოთ ცრემლითა?
ან მიწა რად არა ძღება
ღამდნარის გულის წვენითა?!
როდემდის უნდა ვიბანოთ
სისხლით პირი და ხელები?
შვილთა მაგივრად დედებსა
ძუძუს გვიწოვდეს გველები?
როდემდის უნდა ფეხითა
ვლახოთ ჩვენივე წელები
ცეცხლები გვერტყას ათასი,
გულის, გონების მწველები?![24]

აქ ვაჟა-ფშაველა გულისხმობს ქართველი ხალხის არა მარტო აურიცხავს მძიმე შევიწროებას მტრებისაგან მთელი ისტორიის მანძილზე, არამედ, აგრეთვე, ქართველი ხალხის იმ გადაგვარებას, რომელიც მოსდევდა საქართველოს უთანასწორო ბრძოლებში დამარცხებასა და ამ დამარცხების პერიოდში მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მორალურ გადაგვარებასა, დაკნინებასა, რაც აგრეთვე შედეგი იყო თვითმპყრობელობის უხეში კოლონიური პოლიტიკის გამანადგურებელი დაწოლისა, განსაკუთრებით ეგრეთწოდებული „ინოროდცების" მიმართ. როგორც ვ. ი. ლენინი წერს: „უცხოტომელების ჩაგვრა აქ (ე. ი. თვითმპყრობელურ რუსეთში. — მ. ზ.) ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე მეზობელ სახელმწიფოებში (და არა მარტო ევროპულ სახელმწიფოებში)"[25].

ვაჟა-ფშაველა, როგორც თერგდალეული მწერლები, ისტორიული წარსულის დახატვით, ისტორიული სიუჟეტების გამოყენებით თანა-

[24] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ბახტრიონი, თხზ., ტ. III. გვ. 167—168.

[25] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, თხზ., ტ. 20. გვ. 498.

დროულობის მდგომარეობას გვიხატავს, თანადროულობის საჭირბოროტო საკითხებსა და მოვლენებს ეხმაურება; მონარქიული, უხეში, მჩაგვრელი კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ იბრძვის და მკითხველსაც ამ მიმართულებით რაზმავს.

ეპოქა და თვით ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრება — ეროვნული გამათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი, იმ უბედურობის ხანაში ძლევამოსილად და დაჟინებით თხოულობდა გმირს, მებრძოლ პიროვნებას, საგმირო საქმეს. ამით აიხსნება, რომ 60-იანი წლებიდან ჩვენი ლიტერატურა (როგორც რუსეთისაც) გმირის ძიებასა და განსახიერებაშია. 60-იანი წლებიდანვე ქალთა ემანსიპაციის პრობლემაც წამოწეულია, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების აღორძინებისა და მისი გარდაქმნის ერთ-ერთი აქტიური საშუალება. ილ. ჭავჭავაძემ და აკ. წერეთელმა ამ მიმართულებითაც აამოქმედეს თავიანთი პოეტური ნიჭი. ვაჟა-ფშაველა მათი ამ სტილიური ნიშნისაც ნიჭიერი გამგრძელებელია.

პოემა „ბახტრიონი" მშვენიერი ცოცხალი ეპოპეაა ქართველი ხალხის, მისი მასის გმირული ხასიათისა, გმირული მოქმედებისა წარსულში. ვაჟა-ფშაველა მამაკაც ვაჟკაცთა შორის გმირ ქალთა (სანათასა და ლელას) სახეებსაც მიმზიდველობით ანსახიერებს. ᲛᲒᲝᲡᲜᲘᲡ გაგებითა და ასახვით, როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა სახეებს ტიპიური ხასიათი აქვთ. მართალია, პოემა „ბახტრიონის" გმირები მთიელთათვის დამახასიათებელი ნიშნებითაა მოცემული, რაც, რა თქმა უნდა, გამოყენებული მხატვრული მასალის თავისებურებით აიხსნება, არსებითად კი მათ შეგნებული მოქალაქე-ქართველის სულისკვეთების განსახიერების მიზანდასახულობა აქვთ: ისინი მწერლის გაგებით, ქართველის ტიპიური ისტორიული სახეები არიან.

ვაჟა-ფშაველას გაგებით, სანათას ბედი ჩვეულებრივი ბედია ქართველი დედისა ქართველი ხალხის ისტორიული არსებობის მანძილზე. ასეთმა დედებმა შემოინახეს სამშობლოს მიწა-წყალიცა და მისი კულტურული კერაც.

შვიდი გავზარდე ვაჟკაცი,
თითო ლომისა დარია.
შვიდივ გამოწყდა ერთს დღესა,
მამაც იმათთან მკვდარია...
ჩემს ქმარ-შვილებთან ბევრ სიკვდილა
გამოეჯარა კარია.

ეს სიტყვები რომ ესმის მკითხველს, მის წინაშე მკვეთრად, დიდი ოსტატის მარჯვენით გამოქანდაკებული სახით დგება ქართველი დედის გაუტეხელი, რკინის სახე, სამშობლოს გმირული დაცვისათვის ყველაფრის გამწირველი.

გაწყდა სამშობლოს დაცვის სამსხვერპლოზე მამაკაცობა. აღარავინ დარჩა არც ხატის მსახური, არც სანთლის ამნთები, არც საკმლის დამ-

კმევი. მაგრამ ცხოვრებას, მამა-პაპით მოცემულ ჩვეულებათ, მაინც შენახვა და გაგრძელება უნდა. და სანათაც ამ ვალდებულებას კისრულობს: „უკაცურთ კაცობა გვმართებს, მანამ სული გვჩრავ პირშია“, — მწუხარებით ეუბნება სანათა კვირიას.

სამშობლოს დაცვის საქმეში, მიუხედავად ასეთი დიდი მსხვერპლის გაწირვისა, მიუხედავად გამოუთქმელი ტკივილებისა, სანათა ყველაფერს პირადს ივიწყებს, როცა გაიგებს, რომ „დაჯარდენ თუშნი, რო ნახეს ქვეყანა ნაოხარია; პირი ქნეს, იმათ წინ უძღვის ზეზვაი საოცარია, სუყველამ ტანზე აისხა აბჯარი საომარია“, და რომ კვირია ამ მიზნითაა გამოგზავნილი ფშავ-ხევსურეთში „მზირადა“, რათა მან გადასცეს მათ თუშთა შემონათვალი: „ძმანი ვართ სისხლით, ხორცით და რჯულით“, მტერმა დაჩაგრა ისინი; თუშნი თხოვენ მიეშველონ მათ, რადგანაც ძალა ერთობაშია:

უბაროდ, განა არ იცით,
მთანიც რომ ვერა გვარობენ.
გვიშველეთ, ფშაველ-ხევსურნო,
ბარზე თათრები ხარობენ.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებით გამარჯვებისათვის დანაწილებული ქვეყნის გაერთიანების იდეა ხომ თერგდალეულმა მწერლებმა წამოაყენეს და მას მედგრად იცავდნენ. ამავე პოზიციაზე შეგნებულად დგას ვაჟა-ფშაველაც — ისიც გაერთიანებისაკენ მოუწოდებს მკითხველს. პოემა „ბახტრიონი“ დამაჯერებლად ამ იდეის გაშლასაც ემსახურება.

კვირია აუწყებს რა სანათას ფშავში თავის მოსვლის მიზანს, აუწერს ბარის მტრებისაგან განადგურებულ მდგომარეობას, მოაგონებს ვაჟკაცის ქვეყნისადმი მოვალეობას, ასე ანუგეშებს მას ამ, მართლაც, ქვეყნისათვის აუტანელ უბედურებაში:

როს ჩემი ბინა სხვას ჰრჩება,
ჩემი ცოლი და შვილები, —
თუ დუშმნის ხმალი არ მომკლავს,
მე თვითონ გავიგმირები.

დედა-შვილობას, ნუ სჩივი,
ღმერთმა აცხონოს გმირები,
რომ არ წაიღეს საფლავში
ლაფით მოსვრილი პირები.

სანათა და კვირია ერთი ბუდიდან ჰრიან, ერთმა დედამ აწოვა ორივეს ძუძუ, მათ ერთნაირად უცემთ გული, — ასე ესმის ავტორს, ასევე გვაგრძნობინებს ის ჩვენ — მკითხველთ.

სანათას თუშთა მოწოდება, კვირიას პირით გადმოცემული, აანთებს კეთილშობილი, პატრიოტული საქვეყნო გრძნობით, შურისძიებით ააღელვებს მას მოძალე მტრის წინააღმდეგ, თითქოს დაავიწყებს (დროებით მაინც), რაც მისთვის (ყოველი საღი ადამიანისათვის) დაუვიწყა-

რია, გამუდმებულად ღია, მწვავე იარაა, და, თითქოს, რაღაც ბედნიერების სხივი შთაესახაო, თავდავიწყებით წამოიძახებს:

ეგებ იხეროს ბატონმა,
გაგმარჯვებიყოსთ მტერზედა;
თუ ამას გავიგონებდი,
არ ვიტირებდი მკვდრებზედა;
ამავ დღეს, შვილო, დედილამ,
ჭრელს ჩავიცომდი კაბასა...

სანათა მზადაა ამიერიდან აღარ იგლოვოს ბრძოლებში გმირულად დაღუპული ქმარ-შვილი, რომელთაც იცოდნენ ვაჟკაცის მოვალეობა, რომელნიც „მეხად დაეცნენ მტრის ჯარსა, მასთიბდენ, როგორც ყანასა“, ბევრს ეცადნენ, როგორც ეს „კაი ყმას“ შეშვენის, დაეცვათ ქვეყანა. მაგრამ „ვინ დაპლევს თათრის ლაშქარსა, უთვალავს, გასაოცებსა?!“ — მწარე სინამდვილის მნაკელი სანათა აფრთხილებს კვირიას და დაუძლეველი შურისძიებით გამსჭვალული განცდის კილოთი, გამოხატავს თავის პასუხს კვირიას მოწოდებაზე. და ეს, ვაჟაფშაველას გაგებით, ფშავ-ხევსურთა (აგრეთვე იგულისხმება ქართველი ხალხის საღი ნაწილის) საერთო, კატეგორიული, ურყევი პასუხი და განცდაა და, თუ არაა, უნდა იყოს:

თუ ამომყრიდით მტრის ჯავრსა,
შვილთ არც-კი მოვიგონებდი,
რაღა მიჭირდა, თუ მტრისას
გაჟლეტას გავიგონებდი.

თვითონ სანათა მზადაა გზირად წავიდეს, შესტიროს ყველას, ამცნოს თავისი პირადი მწუხარება, შთააგონოს მათ, თუ იმან რვა სული შესწირა სამშობლოს დაცვას, თავისუფლების შენარჩუნებას, სხვა ნუთუ თითოს ვერ გაიმეტებს? მძლავრია, მშვენიერია, მიმზიდველია მაღალი განცდის აღქმის მიხედვით, სანათას გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ლოცვა-ნატვრა გატანჯული ხალხის — ქვეყნისათვის დამახასიათებელი. ეს ლოცვა-ნატვრა თვით ავტორის გულნადებია, წმიდათა წმიდაა, ეს თვით მთელი ეპოქის — ხალხის მძიმე კვნესაა, რაც ასე ძალუმად აჩაღებდა ბრძოლას გამათავისუფლებელი მოძრაობის მიმართულებით:

გვაკურე, ღმერთო, ზარალი,
გვეყო რაც სისხლი გვიღვრია,
გვეყო, რაც მტერთან ბრძოლაში
ვვალები გადაგვიყრია.
გვეყო ამდენი ცრმელის ღვრა,
დაუშრომელი ვაება;
. . . . .
გვიშველე, ლაშარის ჯვარო,
დაგვჭირდა შენი თავია;
შენის ფრანგულით აკურთხე
თუშ-ფშაველ-ხევსურთ ზავია;
ნუმც დაეღუპვისთ, შენს მადლსა,
ზღვაში შასული ნავია.
ჩაუძველ, ლაშარელაო,
ტანზე შაიბი ხპალია,
გეიპირს და გამოგვაყენე
შეუმუსრავი ძალია.

„ბახტრიონის“ ეს ადგილიც მოგვაგონებს ილ. ჭავჭავაძის „აჩრდილიდან“ ვედრებას „დედავ ღვთისაო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია...“ აგრეთვე აკ. წერეთლის პოემა „ნათელადან“ ნათელას სიმღერას — „ჩონგურს სიმები გაუბი...“ ნ. ბარათაშვილის პოემას „ბედი ქართლისა“ — ერეკლეს ლოცვას „მწყემსო კეთილო“... ეს და მრავალი ამგვარი ნაწილობრივ ზევითაც აღნიშნული, გვიმტკიცებს ვაჟა-ფშაველას თერგდალეულ მწერლებთან მრავალ საერთო იდეურ და სტილიურ, კერძოდ, პატრიოტულ საკითხში მსგავსებას.

ვაჟა-ფშაველა, მკითხველს რომ გაუმახვილოს ქვეყნის დაცვის პატრიოტული გრძნობის სიდიადე, დიდი მხატვრული სიმკვეთრით გვიხატავს გაერთიანებულ მთიელთა გმირული ბრძოლის მიმზიდველ პათოსს.

ივსება ლაშარის გორი
ქორ-შავარდნების ფარითა;
დროშები გზას უკურთხებენ
ელერით, აწვდილის ტარითა...
მგლური დააწყვეს ნაბიჯი,
მოკლედ გადმოელეს გზანია.
თითოს ხვეს არაგვისასა
თან მოსდევს ლამჭრის ღვარია.

ფშავლის შვილებიც მოიდენ,
სულთქმა თან მოჰყვა ჩქარია...
ბერი მაუძღვა ლუხუმი,
ლურჯამ მაიღო თქერანი.
პატრონის გულის მცოდნეა
თვალმოელვარე ჯერანი...
მოგროვდენ ყოველის მხრიდამ
ვაჟები ლომის ფერანი.

ვაჟა-ფშაველა, მკითხველს რომ მაღალი ვაჟკაცური პატრიოტიზმით აუძგეროს გული, შთააგონოს მას ამ გრძნობის დიდი გადამდები ძალა, ამ აღწერას მოხდენილად ჩაურთავს აღფრთოვანების გამომხატველ სიტყვებს: „კლდეთაც-კი ესმით, სალ კლდეთა, მათურელთ გულის ძგერანი“ და ასეთი სანახაობით აღტაცებული მღელვარებით წამოიძახებს:

რა საამური დრო არის,
რა საამური წამია!

ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთს თავის წერილში „რამე-რუმე“ წერდა: „პოეტის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანია ტიპების ხატვა — ისეთის ტიპების, რომელნიც უვარგისნია (отрицательные типы) და მეორე, რომელნიც საჭირონი არიან ცხოვრების გასაუკეთესებლად (положительные типы), ამიტომ დიდი ცოდვა და ნაკლია მწერლობისა და პოეტების, თუ იმათ შეუძლიანთ და ვერა ჰხატავენ ახალგაზრდობისათვის მისაბაძავ, ახალგაზრდობის აღმზრდელ ტიპებს“[26].

ჩვეულებრივ, ესთეტიკურ განცდას ადამიანში იწვევს ის, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებას ამტკიცებს, რასაც მისთვის ღირებულება აქვს, რაც მისთვის იდეალია, რაც ნორმად უნდა გახდეს საზოგადო-

[26] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, რამე-რუმე, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

ებრივი ყოფაქცევისათვის. მწერალი საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერების ათვისების შემდეგ მის იდეალებს ანსახიერებს ესთეტიკურ სახეებში — ადამიანის ქცევის კონკრეტულ ფორმებში — ცოცხალი ადამიანის მოცემის სახით, რომლის საშუალებით მწერალი აჩვენებს საჭირო ან უარყოფით საზოგადოებრივი ქცევის კონკრეტულ მაგალითს. ხელოვნება გვაძლევს ესთეტიკურ ნორმებს, რომლებიც ადამიანს საზოგადოებრივი მოქმედების გზებს უჩვენებს. მწერალი მაშინ აღწევს თავს რთულ ამოცანას, მაშინ ახდენს მკითხველზე ზეგავლენას, როცა ის მოვლენას თუ მოქმედ პირთ ისე ხატავს, რომ მკითხველს ექმნება ილუზია, თითქოს ის უშუალოდ ჰხედავს განსახიერებულ მოვლენებს, წარმოიდგენს მათ თავისებური ინდივიდუალობით, როგორც უშუალოდ ნაცნობს, კონკრეტულს.

ესევე ამოძრავებს ვაჟა-ფშაველას მთელი მისი შოღვაწეობის მანძილზე და კერძოდ პოემა „ბახტრიონის" გმირთა გალერეის შექმნისას.

„ბახტრიონში" დამატყვევებელი დინამიურობით იშლება მკითხველის წინაშე საომრად გამზადებული მოზღვავებული მთიელთა ჯარი თავისი დროშებით, ფარ-ხმლით, ომს შეჩვეულ ლურჯაზე ვაჟკაცურად და მოხდენილად მჯდომი. ომი მას კი არ აშინებს, არამედ მხნეობას, სილაღეს, სითამამეს, გამბედაობასა და ძალას მატებს, რადგანაც მას სწამს, რომ ის თავის წმინდა მოვალეობას იხდის სამშობლოს წინაშე — ის თავს იცავს, თავისუფლების შენარჩუნება უნდა, ქვეყანა — სამშობლო რბევისა და შევიწროებისაგან უნდა იხსნას; ის ბოროტებას, უსამართლობას, ძალმომრეობას ებრძვის, თრგუნავს. „ბახტრიონის" წამკითხველის თვალწინ ცოცხლად ირევიან ომში, ქვეყნის სამსახურში, ქვეყნისათვის ბრძოლაში თავდადებულნი; თითქოს მათ კეთილშობილური ბრძოლა-შეჯიბრი გაემართოთ — სამშობლოსათვის ვინ უფრო მეტ მსხვერპლს მეტი სარგებლობითა და მასთან ვაჟკაცურად გასწირავს თავს.

ამ გმირთა ზემოქმედება ისეთი ძლიერია, რომ დატყვევებულმა მკითხველმა აღარ იცის, რომელ ერთს მათგანს გაუღოს მათივე მოქმედებით გამთბარი და ტკბილად აძგერებული გული: იქნება ეს მრავალ ომში გამობრძმედილი ფშაველი ლუბუმი, თუ თუში ზეზვა, ან ობოლი კვირია, თუ ხოშარეული ან სუმელჯი, თუ რკინისებური სანათა ან ლელა, ცნობილ მებრძოლ შამშეს ქალი, მტერთან თავდადებულ მებრძოლთა რიგებში ჩადგომის დაუძლეველი სურვილით ავსებული; თუ მთლიანად საბრძოლველად გამზადებული ლაშქარი, რომელიც „ისრ შეენის ცხენზე, ვით ველზე გაზაფხულისა ყოილი", რომელსაც „ოღომც ეშველოს ჩვენს ჯარსა, ყველას სიკვდილი სწადიან". მთელი პოემა ცოცხალი გალერეაა ქვეყნისათვის ასეთი ყველაფრის გმირულად გამწირველთა ლომ-ვაჟკაცებისა.

პოემა „ბახტრიონში“ (როგორც ვაჟა-ფშაველას სხვა მრავალ ნაწარმოებში) ყოველი სიტყვა, ყოველი თემა, ყოველი სახე, ხშირად უცნობი და გაუმეორებელი, პოეტური აღმაფრენით, ალღოთი და დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობითაა გამოჭედილი. მკითხველს უჭირს რომელ სახეზე, რომელ თქმაზე, რომელ მძლავრ-ფრთოსან სიტყვაზე შეაჩეროს გულისყური; რომელი ადგილი, რომელი სახე, რომელი თქმა უფრო მიმზიდველია, უფრო მძლავრია, უფრო შინაარსიანია.

ლელას ლაშქარი ურჩევს დაბრუნდეს სახლში, დავრდომილ მამას ეოუაროს, მტერს ლაშქარი უიმისოდაც გაუძღვება, ჯავრს არ შეარჩენს. დამწუხრებული ლელა იძულებულია სახლისაკენ გაბრუნდეს. მას კვირია წამოეწევა და გაანდობს თავგანწირვის გეგმას, რომლის მიხედვითაც ქართველთ ლაშქარს უნდა გაუადვილონ ბახტრიონის ციხის აღება, სადაც მტრის მრავალი ჯარია დაბანაკებული. კვირიას გეგმით, მათ (კვირიამ და ლელამ) უნდა მოახერხონ ცბიერებით ციხეში შესვლა, რომ ქართველ ჯარს კარი შიგნიდან გაუღონ.

ციხკრის ხანს მოვა ლაშქარი,
ჩვენც იქ დავხვდებით მარჯვედა;
ვეცდები კარი ვავუღო,
თუნდ დამკლან ციხის კარზედა.

კვირიას შეკითხვაზე — გონიერია თუ არა ასეთი გზა და იქნება თუ არა ეს გზა ლელასათვის მისაღები, ლელა დაუბრკოლებლივ, ურყევად და სრული კმაყოფილებით დაეთანხმება მასთან ერთად ქვეყნისათვის თავი გასწიროს.

ეგრ იყოს, როგორც შენ ამბობ,
უარს არ ვიტყვი მაგაზე.
ოღონც დაბას ჩვენ ჯარმა
თათრები ვირის ბაგაზე.
იმოდენს როგორ არ შავძლებ,
რომ დამკლან დედის კალთაზე.

პოეტიც აღფრთოვანებულია, მოჯადოებულია არა მარტო კვირიათი და ლელათი, რომელთაც ქართველი ჯარის მდგომარეობის შემსუბუქებისათვის „სიკვდილი სწადიანთ“, არამედ მთლიანად საბრძოლველად ამოქმედებული ხალხით, ყოველი ცალკე, ფიცით შეკრული ლაშქრის ურთიერთდამოკიდებულებით. ეს გმირი ლაშქარი, პოეტის განცდითა და ჩვენებით, არა მარტო ხალხის, ქვეყნის თანაგრძნობით, სიყვარულითა და კეთილი სურვილებითაა აღჭურვილი და გაძლიერებული, არამედ მას „მაღლიდამ მაკურთხებელი თავზე ადგია ჯვარია“. ეს თანაგრძნობა „ჯვარისა“, ხალხისა და თვით პოეტის გაგებით, უზენაესი სიმართლის — ძალის თანაგრძნობისა და დასტურის სიმბოლოა, რადგანაც ეს ლაშქარი სამართლიან საქმეს — ქვეყნის დაცვას ემსახურება.

რაღაც არაჩვეულებრივი, ნაზი თანაგრძნობითა და მიმზიდველობ-

ითაა მოცემული პოემაში გამარჯვებულ მთიელთა ლაშქრის „ღრეობით, მხიარულადა, ჩაჩქნების კრიალით“ და „ლაშარის ჯვარის დროშის საამო წკრიალით“ სახლში დაბრუნება, სიამაყითა და პატივისცემით მოხსენება ქვეყნისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულთა სახელისა.

მოსახლეობის შეკითხვაზე: „ვის მოგილოცოთ სახელი, ვინა ხართ სახელიანი?“ ლაშქრობიდან დაბრუნებულნი ასე ახასიათებენ თავდადებულთა ღვაწლს:

პირველ — ობოლი კვირია,
სახე აქვს ნათელიანი;
მეორე — ლელა ბაჩელი,
ქალი ხელ-ფარტენიანი;
მესამე — ბერი ლუხუმი,
კურთხეულ გამდელიანი;
მეოთხე — ხოშარეული.
არწივი — მხარ-კვერიანი;
მეხუთე — გივი სუმელჯი,
მოგვყავის ნაპრევიანი.

ამათ ფშავ-ხევსურთა რიგებიდან ისახელეს თავი. თუშებში საარაკო ვაჟკაცობა გამოიჩინა ზეზვამ, რომელიც, თანამებრძოლთა დახასიათებით, „ლომია... სწრაფი ვით ელვა-ქარი“. ზეზვას გმირული ბრძოლით აღტაცებული თანამებრძოლნი სიამაყით ამბობენ — „თუ გაზრდის, ფურმა გაზარდოს აი მისთანა ხარია!“ ზეზვას ვაჟკაცობით განცვიფრებაში მოყვანილი თვით გმირი მთიელთ ლაშქარი ასე ასაბუთებს ზეზვას ვაჟკაცობის თავის მაღალ შეფასებას:

ვერ ვნახეთ რო დაეკვნესოს,
ან შაცვლილიყოს სახითა.

ასეთია ხალხის სიყვარული, პატივისცემა, დაფასება სამშობლოსათვის თავდადებულთა. ასეთი გმირები ზრდიან ახალგაზრდობას. მათი მოღვაწეობა შთამომავლობას რჩება, როგორც წმინდა, მისაბაძავი, აღმაფრთოვანებელი საგმირო საქმე.

სამაგიეროდ, სულ სხვანაირია, საწინააღმდეგოა ხალხის დამოკიდებულება ლაჩრისადმი: მოძმეთა მოღალატეს ლაშქარიცა და ხალხიც შეურიგებელი სიძულვილით ეპყრობა. ლაჩარი, მშიშარა თემისა და ქვეყნის შემარცხვენელია, თავს ლაფდამსხმელია. ასეთს ლაჩარს მოღალატედ თვლიან, ხალხის ჩვეულებით მას ახლო არავინ გაიკარებს, მას, როგორც პოეტიც აღნიშნავს, „ჩაქვავებენ დედანი“.

ცნობილია, ხელოვნება საზოგადოებრივი ცხოვრების საღ, ღირებულების შემცველ, სასარგებლო და საჭირო ნორმებს ამტკიცებს არა მარტო დადებითი სახეების დახატვით, არამედ აგრეთვე უარყოფითითაც. უარყოფითი მოვლენების თუ ადამიანთა ტიპების განსახიერებით მწერალი მკითხველში იწვევს უარყოფით დამოკიდებულებას ასეთი მოვლენებისადმი, რითაც ის მკითხველში ამახვილებს გაგებასა და განწყობილებას, როგორი უნდა იყოს სასურველი, საჭირო, საზოგადოებრივი ცხოვრების ძირის გამმაგრებელი მოვლენა თუ ადამიანთა ქცევა.

შემოქმედების ეს ხერხი ნიჭიერად აქვს გამოყენებული ვაჟა-ფშაველასაც პოემა „ბახტრიონში“. მდიდარ და მძლავრად მიმზიდველ გმირთა გალერეის პარალელურად ამ გმირთა ღვაწლი, ვაჟკაცობა და ხალხში სამართლიანად მოპოვებული სახელი რომ უფრო გაამახვილოს, მგოსანი პოემაში გვაძლევს უარყოფით, ლაჩრის სახესაც, ნიჭიერად შლის ამ უკანასკნელისადმი ხალხის სამართლიან უარყოფით დამოკიდებულებას, რასაც, რა თქმა უნდა, არანაკლები აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდობისათვის.

ასეთ უარყოფით, ლაჩარ კაცად ბახტრიონის აღებაში გამოდგა მთიელი წიწოლა. მან იქვე, ბრძოლის ველზე, როცა დაინახა, რომ ქართველთა ჯარი იმარჯვებს, იგრძნო თავისი დანაშაული ქვეყნის წინაშე, — სიკვდილი რომ არ ამჯობინა თათრების მონობას. მან გაითვალისწინა თავისი მდგომარეობა სახლში დაბრუნების შემდეგ, გაითვალისწინა ხალხის სამართლის რისხვა და შერცხვენილმა თავი მუხაზე ჩამოიხრჩო.

მიუხედავად წიწოლას ასეთი თვითდასჯისა, ხალხი მას მაინც არ ურიგდება. შერცხვენილი მშობელი დედაც კი წყევლის მას:

შვილო, სირცხვილი მაკმიე,
ძუძუ დასწყეველ დედისა!
თვითონ შენა ხარ მწამლავი
თავის უბედო ბედისა.
რად არ იქ მაჰკვდი, ბეჩავო,
რად ხარ ყელ-საბელიანი?!
რად არ მამიხვედ, წიწოლავ,
პირნათლი, სახელიანი?!
გასწირე თავის ხსენება,
საწყევარ-სარბეელიანი!

ასეთია ძალა სამშობლოსადმი პასუხისმგებლობის შეგნებისა და შესრულების ტრადიციის ძალა. ამაშია, პოეტის გაგებით, ძალა ხალხისა, კოლექტივისა, ერთობისა.

თემი, ხალხი, მშობელი, ნათესავ-მეზობლები — ყველა ყოველი წევრისაგან მოითხოვს ქვეყნისათვის — ყველასათვის საერთო ბედნიერების მოპოვება-დაცვის სადარაჯოზე ფხიზლად და თავგანწირულად იდგეს. ყველა მტკიცეა და მასთან ერთად სასტიკიც თავის ამ მოთხოვნაში; შეურიგებელია ბილწთან, მოღალატესთან, რომელიც ვერაფრით ვერ გამოისყიდის თავის ამ მძიმე დანაშაულს.

ვაჟა-ფშაველას თემის (იგულისხმება საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების) ასეთი დამოკიდებულება სავსებით სამართლიანად მიაჩნია და წიწოლასადმი თემის საერთო მოპყრობას პოეტი კმაყოფილებით, მთის ჩვეულების დაცვითაც, ასე აგვიწერს:

თასი დაღვარეს ხატშია:
ახლოს მიუდგეს არვინა,
წიწოლას დანაშაული
აწეულია ცამდინა.
დაამცრო ჩვენი სახელი,
მთელს ლაშქარს გული ატკინა.
არც ვინ სამარეს გაუთხრის,
არც ვინ შაუკრავს კუბოსა;
მარტომ იტიროს დედამ,
ცრემლი წინ დაიგუბოსა!

ასეთი მკაცრი და შეურიგებელია ხალხი — თემი მოღალატისადმი. ასეთი დამოკიდებულება უნდა იყოს მოღალატისადმი ყოველ საზოგადოებაში, თუ გვინდა მისი განმტკიცება, ესმის მკითხველს ავტორის აზრი.

ვაჟა-ფშაველამ რომ უფრო გამახვილებულად გამოაჩინოს წიწოლასებური წევრების მიუღებელი საქციელი, ხოლო ქვეყნის, საერთო საქმისათვის თავდადებული „კაი ყმის“ აღმაფრთოვანებელი შარავანდედით მოსილი მოქმედება, დამატყვევებლად გვიხატავს თემის, ჯარის დიდს ტკივილს, დიდს უკმაყოფილებას, ერთგვარ სინდისის ქენჯნას, რომ გმირი — დაჭრილი ლუხუმი ბრძოლის ველზე ვეღარ მონახეს, რომ ვაჟკაცს, სამაგალითოდ თავდადებულ მებრძოლს ქვეყნისათვის სათანადო, შესაფერი პატივი ვერ მიუზღეს.

ლუხუმის სახის დახატვით, ვაჟა-ფშაველას, რა თქმა უნდა, მიზნად აქვს მკითხველს შთააგონოს რა დიდი, ლამაზი, გამაფაქიზებელია ქვეყნის თავისუფლებისათვის, ერთობის განმტკიცებისათვის მტერთან უანგარო თავგანწირული ბრძოლა, რაც ასე წარმტაცადაა მოცემული ლუხუმში.

ლუხუმის მოქმედებისა და განწყობილების დიდი ღირებულება და გამაფაქიზებელი ძალა რომ უფრო გაამახვილოს, თვალსაჩინო გახადოს, ვაჟა-ფშაველა თავის პოემას დიდი პოეტური ხელოვნებით შემდეგნაირად ამთავრებს.

სამშობლოსათვის თავდადებული გმირი ლუხუმი არაჩვეულებრივ თანაგრძნობას, შიმზიდველობას იწვევს არა მარტო ადამიანთა შორის, არამედ მავნე, ავ ქვემძრომთა მხრითაც, როგორიც არის „ბევრის ცოდვის მოქმედი, პირზე დორბლების დაყრითა,“ ჯაგრით მოსილი გველი, რომლისკენ შორითაც-კი გახედვა ნადირთაც ათრთოლებდა. მაგრამ ლუხუმის დიდმა ვაჟკაცობამ, მაღალმა პატრიოტულმა გრძნობამ და მოქმედებამ ეს „ადამიანის მტერი“ — გველიც-კი დაატყვევა, მოინადირა.

როდესაც ჯაგრით მოსილმა გველმა სულთმობრძავი, ეული, სასომიხდილი, მძიმედ დაჭრილი ლუხუმი დაინახა, ისიც-კი მოიხიბლა მისი პიროვნებითა და მოღვაწეობითა, მასაც-კი შეჰბრალდა ლუხუმი:

დაფიქრდა გველი ძლიერად,
გული ეესება ბრალითა.
ბევრის ცოდვების მოქმედსა
გადაუბრუნდა გუნება:
რა სიბრალულით იმსჭვალვის
მისი გველური ბუნება!

ზედ გადააწვა მკერდზედა
წყლულსა ულოკდა ენითა.
თან მკერდს უსველებს მხედარსა
ცრემლების ჩამოდენითა.
აყრუებს ტყესა და ველსა
ოხერითა რამოდენითა!

. . .

ასეთია დიდი, მაღალი მისწრაფებითა და მოქმედებით აღსავსე ლუხუმისადმი თანაგრძნობა „გულჯავრიანი“ გველისაც-კი, რომელმაც,

ლუხუმის ზეგავლენით, „ბოროტების გზა გაუშვა“, „კეთილი დაიჭირა“, „სნეულს, სულის მაბრძოლ“ ლუხუმს ერთ თვეს უვლიდა:

საჭმელსაც თვითონ უზიდავს,
ასმევს წყალს ლაღის მთისასა;
ღამ-ღამ ზღაპარსაც უამბობს
ორის ობოლის ძმისასა.

ლეგენდა ლუხუმსა და „ადამიანის მტრის“ გველის ასეთი მტკიცე ურთიერთობისა თავდება ხალხში გავრცელებული ღრმა რწმენითა და იმედით, რომ გველის მოვლა ლუხუმს შეაძლებინებს ფეხზე დადგომას, რომ მას ეღირსება „ლაშარის გორზე შადგომა!“

ასეთია, ვაჟა-ფშაველას გაგებით, სამშობლოს ერთგულის, უანგარო დამცველის დამატყვევებელი სახე. ამიტომაა, რომ სამშობლოსადმი ასეთი საღი გრძნობა და მისი მატარებელი გმირები, „ბახტრიონში“ რომაა ასე ნიჭიერად ასახული, მაღალი განწყობილებით აღელვებენ, აღფრთოვანებენ, იმორჩილებენ და ზრდიან მრავალ მკითხველს, მზად ჰყოფენ მათ ყველაფერი გასწირონ სამშობლოს დასაცავად. გმირთა ასეთს მოქმედებაში მკითხველიც, ავტორთან ერთად, ხედავს და პოულობს კიდეც უმაღლესი კმაყოფილების განცდას.

ვაჟა-ფშაველას განცდითაც და ჩვენებითაც მთიელს (რა თქმა უნდა, საერთოდ ყოველ პატიოსან მოქალაქეს) მთელი მოღვაწეობის მანძილზე უნდა ამოძრავებდეს ღრმა შეგნება, რომ დედა შვილს იმიტომ აწოვებს ძუძუს, იმიტომ აქვს ვაჟკაცს ასხმული ფარ-ხმალი, იმიტომაა ის კაცი, რომ ქვეყნის — სამშობლოს სადარაჯოზე მუდამ ფხიზელ, ერთგულ და მედგარ გუშაგად იდგეს.

აღსანიშნავია, რომ პოემა „ბახტრიონში“ ვაჟა-ფშაველა გვიხატავს გაერთიანებული საქართველოს მოთხოვნილების აუცილებლობასა და მის შესაძლებლობას, ძალას გაერთიანებაში ხედავს. ეს მოტივიც დამახასიათებელი იყო თერგდალეულ მწერალთათვის, განსაკუთრებით ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლისათვის.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველა ამ მოტივს თავისებურად, განსხვავებულად ავითარებს.

თუ აკ. წერეთლის ზოგიერთი ისტორიული პოემა („ბაგრატ დიდი“, „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“) მცირე გამონაკლისით სამშობლოსათვის თავდადებულ, ყველაფრის გამწირავ პატრიოტებად გვიჩვენებს ქართველი პრივილეგიური კლასის წარმომადგენელთ, თუ ილ. ჭავჭავაძე წარმატებით ვერ მუშაობს პოემა „აჩრდილზე“, როგორც ის შესჩივის დავ. ერისთავს, და მზადაა თავიც-კი დაანებოს მას, რადგანაც საქართველოს ოფიციალურ ისტორიაში ის ხალხს ვერ ხედავდა და მას კი, პოემის სათანადო გაშლისათვის, სწორედ ხალხი ესაჭიროებოდა, ვაჟა-ფშაველა სამშობლოსათვის თავდადებულ, ყველაფრის გამწირავ დამ-

ცველად, საღ პატრიოტებად გვიხატავს ქართველი ხალხის დაბალი ფენების წარმომადგენელთ — ლუხუმს, ზეზვას, კვირიას, სანათას, ლელას და სხვათა.

ამ მიმართულებით პოეტზე, ეჭვგარეშეა, თავისი გავლენა იქონია ეპოქამ, რომლის კვალიც მძლავრად მოჩანს ვაჟა-ფშაველას, როგორც შემოქმედებაში, ისე მის პრაქტიკულ მოღვაწეობაში. ვაჟა-ფშაველას ეპოქაში, მოწინავე ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილის გაგებით, გლეხობა გამოცხადებული იყო სახელმწიფოს ბურჯად. თვით ილია ჭავჭავაძე ამ დროს წერს თავის „ცხოვრება და კანონს“, რომელშიც დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ გლეხი, მართლაც, დასაყრდენი, მასაზრდოვებელი ძალაა სახელმწიფოსი, რადგანაც არსებულ „უსწორ-მასწორო“ სახელმწიფოებრივ წყობილებაში, ილიას მტკიცებით, „მარტო გლეხი-ღა იხდის საზოგადოების სამსახურს, ეწევა ბეგარას, აკეთებს გზებს, ჰყარაულობს, იცავს საზოგადო მშვიდობიანობას“...[27]

ვაჟა-ფშაველაც ამგვარ იდეოლოგიურ საფუძველზე დგას. გლეხი — დაბალი ფენები მიაჩნია მას ისტორიულად ერის წამყვან ძალად, ერის მეობის დამცველად, ამიტომაც, მისი გაგებით, სამშობლოს ხალხი იცავს წარსულშიაც და აწმყოშიც. ამიტომაც, ვაჟა-ფშაველას რწმენით, დაწყებულმა გამათავისუფლებელმა მოძრაობამ პირველ რიგში უნდა მოაწესრიგოს გლეხის (ხალხის — ამ სიტყვის სრული გაგებით, როგორც ეს ვაჟა-ფშაველას ესმის) ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა.[28]

* * *

ეროვნული საკითხი და მისი გადამწყვეტი ბრძოლის პროცესი რთული, მრავალმხრივი იყო. ერი ადამიანთა მყარი ერთობაა და ასეთი „ერთობის“ შექმნასა და შენარჩუნებას სხვადასხვა „ნიშნის“ შენარჩუნება ესაჭიროება. ერთ-ერთი ასეთი ნიშანი არის ტერიტორიის ერთობა.

ვაჟა-ფშაველას ეპოქაში კი ქართველი ხალხის ტერიტორიის საკითხი საფრთხეში იყო. მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა მოურიდებლად ცდილობდა ქართველი ხალხის მთლიანი ტერიტორიის ისეთ დანაწილებას, რომელიც ხელს შეუწყობდა მის ეროვნულ გადაშენებას. ბიუროკრატიული ხელისუფლების წისქვილს წყალს უმატებდა, აგრეთვე, დარღვეული, ნიადაგ-გამოცლილი ქართველი პრივილეგიური კლასი, რომლის ხელში იყო ტერიტორიის უდიდესი ნაწილი — ტყისა და მინდორ-ველების სახით, რასაც ის ადვილად და უაზროდ ხელიდან უშვებდა: ჰყიდდა ნაწილობრივ, ჰყიდდა ბითუმად, რაც ერს — ხალხს, როგორც ასეთს, გადაგვარების საშიშროებას უქმნიდა. ამ გარემოებას

---

[27] ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. ცხოვრება და კანონი, თხზ.. ტ. VIII, გვ. 62.

[28] ვაჟა-ფშაველას დეკლარაციით გამოსვლა ხალხისანთა არალეგალურ კონფერენციაზე ს. უფლისციხეში 1882 წელს, იხ. „ლიტერ. მემკვ.“, ტ. I, გვ. 97.

მიაქციეს სხვა მხარეებთან ერთად ყურადღება ილ. ჭავჭავაძემ, აკ. წერეთელმა და 60-იანი წლების სხვა მოღვაწეებმა.

ამასვე მძლავრად ჩასჭიდა ხელი ვაჟა-ფშაველამაც. ეს საკითხი ქართველი ხალხის ცხოვრების ნიჭიერმა მწერალმა განავითარა როგორც ლექსებსა და პოემებში, ისე პროზაულ ნაწარმოებებში, მაგალითად „ხმელი წიფელი", „ია", „ფესვები" და სხვ. ვინაიდან ეროვნულ საკითხზე წერა მაშინდელ ცენზურულ პირობებში სასტიკად იყო აკრძალული და ოპოზიციური განწყობილების აშკარად გამოტანა მეტად სახიფათო იყო, ამიტომ ვაჟა-ფშაველა გამუდმებით მხატვრულ ქარაგმებს, სიმბოლოებსა და ალეგორიებს იყენებს.

ფესვების ჩივილი და დრტვინვა („ფესვები") — ჩივილი და დრტვინვაა თვით ვაჟა-ფშაველასი. „გუშინ და დღეს, — ჩივიან ფესვები, — ჩვენ ბევრი ვიტირეთ, გვენანება იმ ადგილის განშორება, საცა დავიბადენით, აღვიზარდენით, სადაც სიცოცხლე ვიგრძენით. ვინ იცის, რა მოგველის?! დღითი-დღე ჩვენი ბინა ინგრევა, იშლება, ფლატე კეთდება და ჩვენ უსახურავონი ვრჩებით, ტიტველნი და მშიერნი. ბოლოს მოვწყდებით და წავალთ თავქვე, ჩავეშვებით უღრანს ხევში. ვინ იცის იქ რა მოგველის? ვინ იცის, იქ რა ნიადაგი დაგვიხვდება? დავიხოცებით სრულიად, თუ კიდევ მიწა დაგვფარავს და გაგვიჩენს საზრდოს!? ვინ იცის, იქნება გიჟმაჟმა მდინარემ გაგვრიყოს სადმე უდაბურს ადგილას და მწვავე მზის სხივებმა დაგვაჭკნოს, გაგვახმოს, გაქროს ჩვენი ხსენება!.. სიცოცხლე და შრომა გვწყურია, გვინდა კიდევ ვიშრომოთ, ეგებ კიდევ გავზარდოთ ჩვენს ფესვებზე შვილი, ეგებ, კიდევ ვიგრძნოთ სიხარული. ბუნების ძალნო, შეიწყნარეთ საბრალო ფესვების მუდარა"[29].

„ფესვები" მთლიანად, და ეს ნაწყვეტი კერძოდ, ნიშანდობლივი განსახიერებაა მძლავრი მხატვრული ალეგორიის საშუალებით საქართველოს მდგომარეობისა XIX საუკუნეში, სამინელი რეაქციის ხანაში. მასში ნიშანდობლივაა მოცემული ქართველი ხალხის ღრმა გულისტკივილი, მას რომ აშორებენ თავის მიწა-წყალს, იმ ადგილს, სადაც ის დაიბადა, აღიზარდა; მისი გაუნელებელი მწუხარება, რომ მისი ბინა „დღითი-დღე ინგრევა, იშლება, უსახურავო რჩება". მაგრამ, მიუხედავად ასეთი სავალალო მდგომარეობისა, აურაცხელი დაბრკოლებისა, ქართველ ხალხს მაინც არ დაჰკარგვია გარდაუალი წყურვილი „სიცოცხლისა და შრომისა", ზრდისა და წინმსვლელობისა, რაშიც ის ნამდვილ სიხარულს, კმაყოფილებას განიცდის.

ვაჟა-ფშაველა ეკონომიურად, პოლიტიკურად, კულტურულად გათანგულს, XIX საუკუნის რეაქციის პირობებში დაკნინებულს და დაძაბუნებულ საქართველოს სხვა მოთხრობებშიც ნიჭიერად გვისურათებს ალეგორიების მეოხებით. ნიმუშისათვის მოვიყვანოთ ერთი ნაწ-

[29] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ფესვები, თხზ., ტ. V, გვ. 256.

ყველი მოთხრობიდან „ხმელი წიფელი“, სადაც წიფელაში განსახიერებულია საქართველო.

„საბრალო წიფელი! ერთი დრო იყო, რომ ესეც ამაყად გაბარჯღული იდგა, სხვა ხეებს ბევრით მაღლა ასცილებოდა და თავის დიდრონ ტოტებითა და ფოთლებით ქოხივით ეხურებოდა თავს მთელს ტყეს. მთიდამ ბარად მომდინარი არწივი მის კენწეროზე ისვენებდა, მოჰყვებოდა ამაყად ყეფას. ეხლა კი სულთამბრძოლს დაჰფერებია, წაქცევწამოქცევაზეა მიმზადული. ტანზე რამდენსამე ადგილს საცოდავს გამხმარი ქერქი ასძრობია და ტიტველი გვერდები უჩანს. ერთს ალაგს უფრო გრძლად აჰყრია ქერქი და დედამიწისკენ გრძლად გადმოშვერილა; გეგონებათ ხანჯალი დაუცია და ნაწლევები გადმოუყრევინებიათო. ჭიაც ბევრი თუ აქვს ამ წიფელს, რომ რამდენჯერაც მის ახლო გავლა მომიხდება, ზედ მუდამ კრდალასა ვხედავ. ეს დასაქცევი ერთთავად ზედა ზის და, რაც ძალა და ღონე აქვს, ურახუნებს იმ გასახმობს, გასავერანებელს ნისკარტს; თან კიდეც დასჭყივის, დაჰკივის, თითქოს ნიშნს უგებსო. აგერ რამდენს ადგილას ამოუღრუტნია წიფელი გულამდის. საცაა გულსაც ფქვას დაუწყებს. წიფელი დგას, დგას შეუშფოთრად, წარბშეუხრელად; არც ავს ამბობს, არც კარგსა“[30].

ვაჟა-ფშაველა, მწუხარებით გადაშლის რა წიფლის (საქართველოს) შევიწროებულ, უმოქმედო მდგომარეობას, მძიმე ეჭვისა და შიშის მწვავე განცდით დაიკვნესებს: „ვაჰ, რა ძნელია კვდებოდეს, იკარგებოდეს სახელი!“

მაგრამ მგოსანს არ უნდა შეურიგდეს საქართველოს უსახელოდ დაკარგვას. მწერალი მაქსიმალური ყურადღებით ჩაუფიქრდება, ჩაუღრმავდება თავისი ქვეყნის ცხოვრებას, მდგომარეობას და შემდეგნაირად გვიხატავს მისი ყოფის არსს: „ფიქრობს ხმელი წიფელი თავის თავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე; გულში თითქო ღრმად ჩასჭდეია მწუხარება. ხანდახან გადმოაცქერდება მის ერთს ფესვის ბოლოზე ამოსულს პატარა დასახულს ყლორტს, რომელიც მზეს და წვიმას უცდის, რომ გაიზარდოს. ეს-ღაა მისი ნუგეში...“[31]

ასეთია გაურკვეველი, შაგრამ არა სრულიად უიმედო ვაჟა-ფშაველას განწყობილება XIX საუკუნის 80—90-იან წლებში. ეს ხანა ალექსანდრე III და შემდეგ ნიკოლოზ II შავი რეაქციის მძვინვარების პერიოდია, როცა მოაზროვნე ადამიანს სუნთქვაც კი უჭირდა, როცა კაცს, რომელსაც სურვილი ჰქონდა ამ დამყაყებული ატმოსფეროდან თავი დაეღწია, უმზადებდნენ სატუსაღოს, ციმბირს, სარჩობელას. ეს ის ხანაა, როდესაც რუსეთში შეიქმნა უპოპულარესი ხალხური სიმღერა,

---

[30] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ხმელი წიფელი, თხზ.. ტ. V, გვ. 87.
[31] ი ქ ვ ე, გვ. 89.

რომელსაც სიცოცხლემოწყურებული ხალხი უკეთესის მოლოდინში შეუპოვრად ‹ღეროდა:

Солнце всходит, и заходит,
А в тюрьме моей темно!
Дни и ночи часовые
Стерегут мое окно!

Как хотите стерегите,
Я и так не убегу...
Мне и хочется на волю...
Цепь порвать я не могу!..

ეს იყო ხანა ბურჟუაზიასა და მშრომელთა მასებს შორის გამწვავებული ბრძოლის დასაწყისისა; ეპოქა იმპერიალიზმისა, კაპიტალიზმის ლპობისა და მშრომელთა კლასის ძლევამოსილი გამტკიცებისა. და ვაჟა-ფშაველაც ხომ ამ მოძრაობის უშუალო აქტიური მონაწილეა, რომელსაც სოციალ-ეკონომიური საკითხების გადაჭრასთან ერთად ეროვნული საკითხის სამართლიანი გადაჭრაც აინტერესებს.

აი რა საგულისხმიერო აზრს გამოთქვამს ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთს თავის დაუბეჭდავ წერილში „რა არის თავისუფლება?“ ის წერს: „თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი — ყველა წოდება იქნება თავისუფალი... თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია. ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, საცა ყველას, განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებობისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება“[32].

აი ეს საკითხები იყო ვაჟა-ფშაველას რომ აწუხებდა, აწვალებდა მთელი მოღვაწეობის მანძილზე და რომელთა სათანადო გამახვილების შესაძლებლობას არ აძლევდა წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგია, რომლის მატარებლად ის ბოლომდე დარჩა.

აღნიშნულით დაინტერესებით აიხსნება ვაჟა-ფშაველას თანაგრძნობა და აქტიური მონაწილეობა 1905 წლის რევოლუციაში, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ[33].

4

მიუხედავად ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების, ქართველი ხალხის პოლიტიკური არსებობის მძიმე ვითარებისა, რაც ქართველი საზოგადოების მოწინავე-მოაზროვნე ნაწილში და, კერძოდ, ვაჟა-ფშაველაშიც ხშირად მწუხარების მძიმე განცდებს იწვევდა, ვაჟა-ფშაველა, როგორც XIX საუკუნის ჩვენი მოწინავე მწერლობისა და საუკეთესო საზოგადო მოღვაწეთათვის იყო დამახასიათებელი, იმედს განკურნები-

[32] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, რა არის თავისუფლება, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

[33] იხ. თავი „ვაჟა-ფშაველა და 1905 წლის რევოლუცია“.

სას, მონობის უღლიდან განთავისუფლებას, უკეთესი მომავლისას არა ჰკარგავდა:

კიდევაც მიდუღს ვაჟასა
მთიური სისხლი მკერდშია.
რად-რა დავკარგავ იმედსა?
რად-რა ჩავიცვამ შავებსა?
რა მაქვს მე სამგლოვიარო,
ვენაცვლე შენსა თვალებსა?![34]

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მგოსანს თან სდევს ასეთი იმედის კილო. ის, როგორც დიდი ბუნებისა და ინტუიციის მქონე ადამიანი, მოვლენათა დაკვირვებისა, გაგებისა და დანახვის დიდი ალღოთია დაჯილდოებული. მას კარგად ესმის, რომ ცოცხალი ადამიანი მუდამ მოქმედებაშია, მოძრაობაშია. ცოცხალ ადამიანს უნდა ახასიათებდეს ცხოველი მისწრაფებები, ხოლო მისწრაფებათა სისრულეში მოყვანა-დაბრკოლებათა გადალახვას თხოულობს. ვისაც სწადია სურვილების განხორციელება, ის პირველ რიგში ჯერ თავის თავს უნდა დაეუფლოს, თავისში გამოიმუშაოს მყარი ნებისყოფა, მაღალი საზოგადოებრივი მორალით განმტკიცებული. ამით აიხსნება, რომ იმედის ძალასაც, მწერალს რომ აცხოველებს, მგოსანი თავის თავში, თავის უნარიანობასა და გამბედაობაში ეძებს და პოულობს კიდეც:

სანამ კი ვსუნთქავ ბედკრული,
შევყურებ მზეს და მთვარესა,
შენს სიბეჩავეს დავაცვეთ
ჩემს დაწყლულებულს მკლავებსა[35].

ვაჟა-ფშაველა დიდი კმაყოფილების განცდით გადმოგვცემს, რომ მას სევდა-ნაღველი დაუძლევია და, გაბედულად, მკითხველის გასამხნევებლად და აღსაზრდელად, რასაც ვაჟა-ფშაველა მწერალს ძირითად ამოცანადა და მოვალეობად უსახავს, მოურიდებლად ჰკიცხავს, ვინც ჯავრსა და ვარამს ემორჩილება, ვინც თავს აძლევს მათ: „რა კაცი ჰქვიან იმასა, — ერთგვარი დაცინვითა და ზიზღით ამბობს პოეტი, — ვინც ჯავრის ხდება ვირადა!“ ამიტომ პოეტი ეძალვის გარემო დაბრკოლებათა და თავის თავსაც და გამარჯვებული მტკიცედ წარმოსთქვამს:

რა-გინდა ბედმა მიმტყუენოს,
რა-გინდ ვარამმა მკბინოსა,
კიდევ შავმღერნებ ერთხელა,
რომ გულმა მაილხინოსა[36].

მართლაც, ვაჟა-ფშაველას ვარამი ვერ ერევა. მისთვის დამახასიათებელია მტკივნეული განცდა გარემო ცხოვრების შემავიწროებელი პი-

[31] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ფშავლის სიმღერა, თხზ., ტ. I, 1946 წ., გვ. 1.
[31] ი ქ ვ ე.
[31] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სიმღერა („რა ვინდა ბედმა მიმტყუენოს“), თხზ., ტ. I, 1946 წ., გვ. 78.

რობებით მწვავე სევდისა, მაგრამ მასთან ერთად მგოსანში იმედის სხივიც მძლავრად არის ანთებული, მწერალს სევდას უნელებს, ხშირად უქარწყლებს და ახალი, უკეთესი მომავლისაკენ გზას უშუქებს, იქით ძალუმად მიეზიდება.

ვაჟა-ფშაველას ასეთი განწყობილებით აიხსნება, რომ ტანჯვაში მყოფ ამირანს („ამირანის სიზმარი") გამოეცხადება „დარბაისელი თეთრწვერა მოხუცი"[37], რომელიც მას სასოწარკვეთილებისათვის გაკიცხავს, საყვედურითა და შთაგონებით ეუბნება, თუკი აქამდე მოითმინა, კიდევ ცოტა მოითმინოს; ნუთუ აქამდე იმისათვის იდგა ის „კეთილზე", დევებსა ჟლეტდა, მკლავს არ ზოგავდა, ბოროტებაზე შფოთავდა და კეთილი გაზარდა, რომ ახლა ყველაფერი ეს დაგმოს?! მიჯაჭვულ ამირანს „ამ სულის-მხუთავ დროში" პატრონად შერჩა მხოლოდ „ერთი საწყალი მშიერ-მწყურვალი, თვალცრემლიანი, მკვნესარე, სანახავად საბრალო გოშია", რომელიც ამირანის „ჯაჭვს უჯდა, ჩუმად ჰლოკავდა, უთხოვრად თავის თავადა" (ეს, რა თქმა უნდა, თვით მგოსანია — მიჯაჭვულ ამირანთან (სამშობლოსთან) ერთად ერთგული მკვნესარე, თვალცრემლიანი).

ამირანის შეკითხვაზე: „რა ხარ, რა სულიერი ხარ, ჩემთან რად მოხველ წყეულო?" — გოშია ასე უპასუხებს:

შენი ერთგული მარადის,
შენთან მოვკვდები მეცაო,
დაე, მეც ვიყო ტანჯვაში,
მანამ შენ გწყევლის ზეცაო.

ეგება ჯაჭვი გავწყვიტო,
უნდა გავცვითო ენითა,
დაგიხსნა ტყვეობიდანა,
გნახო, რომ იყო ლხენითა[38].

გოშიას განწყობილება, მისი ტანჯვა, ამირანის მდგომარეობით გამოწვეული, მისი ერთგულება ამირანისადმი, სურვილი მასთან დარჩეს, სანამდე მას „სწყევლის ზეცა", სანამდე ის ასეთს მძიმე პირობებშია და იმედი იქნება ჯაჭვი „გაცვითოს ენითა", „გაწყვიტოს" — ეს ნიჭიერი განსახიერებაა თვით ვაჟა-ფშაველას განწყობილებისა, მისი სამშობლოს დაჩაგრული მდგომარეობით გამოწვეული ტანჯვისა, და იმედის, რომ მიჯაჭვული ამირანი დაგლეჯს ჯაჭვს, გათავისუფლდება, იმ იმედის, რომ დაჭრილ ლუხუმს (მის სამშობლოს) ეღირსება „ლაშარის გორზე შადგომა" — ჭრილობებისაგან გათავისუფლება.

ვაჟა-ფშაველასაც იმედი გათავისუფლებისა, უკეთესი, სამართლიანი მომავლისა არასოდეს არ ტოვებს; ეს იმედია, რომ მას ამოქმედებს, ამეტყველებს. მისი ჩანგიც, ამ იმედით აღფრებული, ალექსანდრე III და ნიკოლოზ II მმართველობის რეაქციის ხანაში ცენზურული პი-

---

[37] აქაც გარკვეულადა ჩანს ილ. ჭავჭავაძის „აჩრდილის" სტილიური გავლენა.
[38] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სიზმარი ამირანისა, თხზ., ტ. I, 1946 წ., გვ. 153.

რობებით შეხუთული და შევიწროებული, მაინც ახერხებს დაგვიხატოს მომავალი ცხოვრების ბრწყინვალე დღეები. ამ იმედის—ეროვნული ცხოვრების გათავისუფლების აღორძინებისა და განახლების განსახიერებისათვის ვაჟა-ფშაველა მოხდენილ ალეგორიებსა და სიმბოლოებს ხშირად ეძებს და პოულობს კიდეც ბუნების ცხოვრების მოვლენებში.

მთის შვილი, ბუნების წიაღში დაბადებული, აღზრდილი და გამუდმებით მცხოვრები, ნიშანდობლივ იცნობს ყოველ მოვლენას და ზედმიწევნით მჭიდროდაა შეზრდილი, შესისხლხორცებული ბუნების ცხოვრებასთან, მაქსიმალურად ახლო განიცდის მას. „გარეშე ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრებისა, — წერს ვაჟა-ფშაველა, — არ არის პოეზია. ვისაც კარგად ესმის ბუნება და ცხოვრება (თუნდაც) ლექსებს, დრამებს, რომანებს არა სწერდეს, მაინც პოეტია. არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დავასახელოთ, რომ მისი მსგავსი თვით ბუნებაშიც არ მოიპოვებოდეს... ჩვენ ბუნებაში ვართ—იგი ჩვენშია; საით, როგორ შეგვიძლია იგი თავიდან ავიშოროთ, იმას გავექცნეთ, დავემალნეთ?! ცოცხალნიც მისნი ვართ, მკვდარნიც... თვით ბუნებაც... თვალხილულიც არის და ბრმაც ერთსა და იმავე დროს. ვხედავთ კარგად ბუნებას, რომ თვალები არა აქვს, არც თავი აბია და ტვინი სად ექნება? მაგრამ მისი წესი და რიგი, მისი სიმტკიცე აზრისა და მისწრაფებისა ჩვენ გვაოცებს, გვაკვირვებს — მისი გონიერი მოქმედება ადამიანის გონიერებას ბევრით აღემატება... ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავს ღირსებით და ნაკლით...“[39]

ამით აიხსნება, რომ ვაჟა-ფშაველას მიერ გამოყენებული, ბუნების ცხოვრებიდან აღებული პოეტური ალეგორიები და სიმბოლოები მკვეთრია, მძლავრია, დამაჯერებელია.

ასეთი გაგებიდან გამომდინარე ვაჟა-ფშაველა ბუნების მოვლენათა კანონზომიერ ცვალებადობაში ეძებს, ელის, პოულობს შესატყვისს და სანუკველ ცვალებადობას ქართველი ხალხის ცხოვრებისა:

ციდამ რომ ნისლი ჩამოვა,
დაეფარება მიწასა,
ეს დრო წაუვა ერთხელაც,
აღარა ფიქრობს იმასა.
და ჩვენც ხომ ვიცით, დარი სდევს
ქარიშხალსა და წვიმასა...
მალე მზეს ვნახავთ ცაზედა
წინანდლებრ სხივთა ფრქვევითა.

მალე მელიაც მოკვდება
ქათმის ძალებისა რწყევითა.
ვის მოვაწონებთ, ნეტავ, თავს
ჩვენ ჩვენის ბილწის რჩევითა,
ვერვინ მოიხვეჭს სახელსა
მართალთ მტრობით და კბენითა.
თუნდ ისეც წახდეს ქვეყანა,
არც კი ითქმოდეს ენითა[40].

---

[39] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა. „სად არის პოეზია?“. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

[40] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა. ქებათა-ქება თხზ., ტ. I, გვ. 165.

ლექსში „შავი ღრუბელი“ ვაჟა-ფშაველა ალეგორიულად გამოხატავს შავი ძალების ბრძოლას ხალხისათვის სასარგებლო იდეებთან (ე. ი. ვაჟა-ფშაველა ადამიანთა ცხოვრების ანალოგიას ჰხედავს ბუნებაში). შავი ღრუბლების განზრახვა მზეს, რომელსაც „სულიერი და უსულო ყველა შესტრფოდა“, — გადაეღობოს და დაუბნელოს თვალები თავისი შავი ფერითა, — ფუჭად ჩაივლის. მზეც იგრძნობს შავი ღრუბლების ასეთს ზრახვას, იწყენს, მისი სხივების შწვავე ნათელი ღრუბელს ცეცხლად მოედება. დაიწყება მათ შორის ჭიდილი:

იბრძვის ღრუბელი გულ-შმაგად,
თუმც არსითა ჰჩანს წამალი;
უფრო შავდება, რომ იმით
მზეს გზა ურიოს საეალი.
მაგრამ ამაოდ დაურჩა
ყველა სხივი და ღონია;
შავს ღრუბელს სინათლისათვის
ძალი ვერ შეუწონია.
დამწყდარი ნაწყვეტ-ნაწყვეტად
მიმოიფანტა ღრუბელი,
მზე კი შუა ცას დამდგარა,
ანათებს, როგორც ღუმელი;
სხივს აფრქვევს დედამიწასა
ბუნებას აძლევს შვებასა;
შეპხარის იმას ქვეყანა,
დაბლით მიუბღვნის ჭებასა,
ვინ არ უკურთხებს ჯუჯუსა
გამარჯვებულსა დედასა!..[41]

ვაჟა-ფშაველას სწამს მზის (ე. ი. კეთილი დასაბამის) გამარჯვება ადამიანთა ცხოვრებაშიც, ვინაიდან ასეა ბუნებაში. შავ ღრუბელსა და მზეს შორის ბრძოლა ეს კაცთა ცხოვრებაში ბოროტსა და კეთილ ძალებს, მჩაგვრელთა და ჩაგრულთა შორის ბრძოლის განსახიერებაა, სიმბოლოა.

„ცრემლებშიც“ ვაჟა-ფშაველა ალეგორიულად გამოხატავს კეთილსა, ადამიანთა სასარგებლო და ბოროტს, ადამიანთა მავნე ძალებს შორის ბრძოლას. ხალხის ცრემლებს, „ახალ მტკვრად აღელვებული“ „ზღვასავით“ რომ „დიოდა“, უნდა მიწა მოერწყო, აებიბინებინა ბაღი (ე. ი. ხალხთა ცხოვრება), მაგრამ უზარმაზარი ვეშაპი მათ წინ გადაეღობა, „ჰსვამდა და ხვრეპდა ცრემლის წყალს, ქვეით მდინარე შრებოდა“. ხალხთა გლოვა და ზარი „ღმერთთ ყურს აღარა ჰხვდებოდა“. პოეტის თქმით, „მთელი არსება ხალხისა ცრემლის მდინარედ დნებოდა“. მაგრამ არ იქნა, წყეული ვეშაპი არა კვდებოდა. ბოლოს ვეშაპი მაინც დაიძლია, კვდება; მძოვრი იმისი ლპება. ცრემლი ახლა ლაღად შოსჩქეფს, ვეშაპის ლეშს თელავს და მთა-ველს უხვადა რწყავს. ცრემლის მდინარეს ახლა მიეცა გზა დედამიწის გულისაკენ. ცრემლი, პოეტის გადმოცემით, ახლა:

უხვად მიწის გულს ცვიოდა,
დედამიწისა გულ-მკერდზე
ყვავილი ამოდიოდა;
ათასნაირი მცენარე
ათასნაირის ჯურისა.
შაექცეს, ისიამოვნოს,
ვისაც ჰშიან და სწყურისა.[42]

---

[41] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, შავი ღრუბლები, თხზ., ტ. I, გვ. 168.
[42] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა. ცრემლები, თხზ., ტ. I, გვ. 203.

პოეტს სწამს, რომ ვეშაპი—ეს ხალხის ცხოვრების შემბორკავი ბნელი, ბოროტი ძალა, — დაიძლევა: სიკეთე — ხალხის სამართლიანი მოთხოვნილება გაიმარჯვებს, რის შემდეგაც ბედნიერი — სასიამოვნო ცხოვრება ხალხისათვის, ყველასათვის, „ვისაც შიან და სწყურისა“, დამყარდება.

ვაჟა-ფშაველას არ უნდა „წუმპეში“ იმყოფებოდეს, ვერ ურიგდება, რომ „ლაღად გრძნობდეს“ თავს, მას არ უნდა გზააბნეულად და „შხამისა სასმელ ფიალად“ გადაიქცეს. მგოსნის ნატვრაა და მტკიცე გადაწყვეტილებაც ვაჟკაცად დარჩეს ბოლომდე. „სიმტკიცე მიჭირს დიადი; ახლა ასეთი დრო არი“, — გარემო ცხოვრების პირობებით შეძრწუნებული, პასუხისმგებლობის მტკივნეული გაგებით გაიძახის პოეტი. ის აღელვებით სწყევლის „სულით სიმდაბლეს“, ეზიზღება მას, თვალღია. შეუპოვრად უყურებს თავის „სავალს“, რომელზედაც „ეკალი ეყარა“, რომლისგანაც მას „გაკაწრულ, გაფხაჭნილები დღესაც სჭირს ბევრგანა“. ამიტომაც სრული შეგნებითა და სიმტკიცით სხვათა გასაგონად და ასამოძრავებლად მოუწოდებს სიმტკიცისა და ბრძოლისაკენ.

ვაჟა-ფშაველას სწამს, რომ არსებული გულსაკლავი მდგომარეობა შეიცვლება, ცხოვრების ძირითადი მდინარება (საღი ძალა) წალეკავს არსებულის სიმახინჯეს, უმსგავსოებას. მგოსანი იმ იმედითაა აღსავსე და აღფრთოვანებული (რაც მკითხველსაც უნდა გადასდოს), რომ ის ნახავს დროს, როს „ნაცარმტვრად იყვნენ ქცეულნი, ვინც გუშინ ზვაობდნენ“; შხამის და გესლის მთესველნი მოისპნენ, არარაობდნენ, „ჩვენი სიკვდილის მსურველნი ყორნები აღარ ჩხაოდენ“. პოეტს მტკიცედ სწამს, რომ ამ უკეთესმართ ცხოვრებას შესცვლის დრო, რომელშიც:

აღარვინ იტარჯებოდეს	მთაზე არწივი ჰყიოდეს;
და აღარც ვისა ჰშიოდეს:	მეც მას ბანს ვეუბნებოდე,
სიმართლის გამარჯვებასა	გული აღარა მტკიოდეს[43]

ცხადია, ვაჟა-ფშაველაზე უტოპიური სოციალისტების გავლენაც აშკარად მეღავნდებოდა ჩვენი და რუსი 60—70-იანი წლების მოღვაწეების მეშვეობით. ცხადია, ვაჟა-ფშაველას ჩაგრულთა, მშიერთა უმწეო მდგომარეობა შძლავრად აწუხებდა, ხოლო მათი დაკმაყოფილების — გამარჯვების იმედიც სწამდა. ამასთან ერთად, ის კარგად ხედავდა, რომ ამ მიზნის შიღწევა ბრძოლის გარეშე შეუძლებელია.

ვაჟა-ფშაველა არ არის უნიადაგო, მეოცნებე პოეტი, რომლის ფანტაზია ცხოვრების — სინამდვილის გარეშე სრიალებდეს, ცხოვრებაში შექმნილ წინააღმდეგობას, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ვერა ჰხედავდეს არა მარტო ეროვნულ ფრონტზე (რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველას ლექსების ძირითადი მოტივია ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა), არამედ კლასთა შორის ბრძოლის ფრონტზედაც.

[43] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა. სიმღერა („კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“). თხზ., ტ. II, გვ. 41.

მართალია, ვაჟა-ფშაველა კლასთა შორის ურთიერთობის გამწვავებისა და მისი ისტორიული როლის სათანადო გაგებამდე ვერ ავიდა, ამიტომაც მან ბედნიერი, სამართლიანი მომავლის სურათი გარკვეულად ვერც თვითონ დაინახა და ვერც მკითხველს დაანახვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მკითხველი მკაფიოდ გრძნობს, რომ პოეტი თავისი ბუნების მძლავრი სტიქიურობით ებრძვის არსებულს, ანგრევს მას — მისი შინაგანი ხედვა დაუძლეველი სურვილით მიისწრაფის ბრწყინვალე მომავლისაკენ, რომლის აშენებაც პოეტს უნდა სიმართლის საფუძველზე და მკითხველსაც ძალუმად აქეთკენ იტაცებს[44].

აწმყო პურია საჭმელი,
არ ვსთვლი ავად, არც კარგადა,
მომავალი-ღა ჰხურია
გულს და გონებას თაღადა![45]—

შთამაგონებლად მღერის მგოსანი და მოძმეთა — მკითხველთა გასამაგრებლად ასე ათავებს ამ „სიმღერას“

გაძლება გემართებს, ბუნება
რასაც დაგვადებს ხარკადა.

თანადროულობის ნახვითა და განცდით, მტრის ვერაგული მოქცევით ბოღმამორეულ პოეტ ბაჩანას შურისძიება შეიპყრობს. მტრის შოპყრობამ (მძიმე პოლიტიკურმა ჩაგვრამ) ბაჩანას „ცოფით აუვსო სულგული“, „ბნელეთის ზღვაში დაენთქა საკაცთმოყვარო კუნძული.“ პოეტს მოთმინების „ბეწვი უწყდება“, უიმედობის ბჭესთან მისული ბაჩანა გრძნობს, რომ ქვეყანა ბეწვის ხიდზეა შემდგარი. მოთმინება დაკარგული პოეტი ამჯობინებს, რაც შოსასვლელია, დეე მალე მოვიდეს, ვინაიდან დაყოვნება უკვე შეუძლებელია.

ყოფადი ნაადრევი ჰჯობს,
ქმნადი, რაც მალე იქნება.
თუ მოკლე ხანში, თორემა
მერე გვიანღა იქნება...[46]

ვაჟა-ფშაველამ ბაჩანას არ მიუწონა ეს ლექსი. მან მისთვის დამახასიათებელი ფილოსოფიური სიდინჯითა და სიღრმით ლექსში „მთამ სრულიად სხვა სთქვა“ ბაჩანას ერთგვარი ძმური საყვედურისა და გაკიცხვის ტონით ასე მიმართა: „შომთმენი, აუჩქარები, ამწონ-დამწონი

---

[44] ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ.

[45] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სიმღერა („გაეხედავ გამოელილ გზასა“), თხზ., ტ. II, გვ. 153.

[46] ბ ა ჩ ა ნ ა, „შთამა ჰთქვა“, ლექსები, პოემები, გვ. 96.

საქმისა, კი არ გამხადო მსხვერპლადა შენ შემთხვევითის წამისა?“ ამას, თან ერთად, ვაჟა-ფშაველა ბაჩანას უკიჟინებს სულსწრაფობასა და სულმოკლეობას: „სურვილი მალეობისა მოსაწონია თავისა?!“ ვაჟა-ფშაველა ფილოსოფიური, ფართო მზომავი თვალით გადახედავს წუთისოფელს და ასეთ აფორიზმს ესვრის თავის დაეჭვიანებულ ძმას: „ერთი წელი და ათასი ბარდაბარია ჟამისა!“ ამიტომაც ვაჟა-ფშაველა რაღაც დაფარული შინაგანი რწმენითა და დამშვიდებული კატეგორიული ტონით ეუბნება შეშფოთებულ პოეტ-ძმას: „მაშ ჩვენი ტანჯვაც ჩავთვალოთ სიბნელეთ ერთი ღამისა“. ვაჟა-ფშაველას უნდა თავის ძმას თავისი აზრის სიმართლე განუმარტოს, დააჯეროს და ასე ანვითარებს მას:

თუ სამერმისოს კარგს ვხედავ,
დღევანდლის დღისა მწველობა
სურდოდ მაჩნია, ჭლექისა
იმას არა აქვს ნიშანი —
ოღომც გვეჭდიოს გულში ღრმად
ყველას მომავლის მიზანი,
მოვრწყოთ ნაღვაწით, ოფლითა
ჩვენი სამშობლოს მიწანი!...[47]

და, ბოლოს, ვაჟა-ფშაველა თავის პასუხს ბაჩანასადმი მის და სხვათა შთასაგონებლად, უაპელაციო რწმენისა და იმედის ტონით ასე ათავებს;

აჰღელვებულხარ ძალიან,
თავის ძმა ვეღარ გიცანი!
რომ მომავალი ჩვენია,
ამას რად უნდა მისანი!?[48]

ვაჟა-ფშაველა, როგორც თერგდალეულთა მიერ გაშლილ ნაციონალურ-გამათავისუფლებელ ფრონტზე მტკიცედ მდგომი, თერგდალეულთა მსგავსად მომავლის იმედს მძლავრად აქსოვს ეროვნულ-კულტურულ გათავისუფლებას.

ლექსში „ჩვენება“ ვაჟა-ფშაველას, დაბორკილი სამშობლოს განთავისუფლებაზე ოცნების ბურანში მყოფს, თვალწინ დაუდგებიან პირმომღიმარნი „წარსულთა დროთა გმირები“, რომელნიც მტირალ მგოსანს ამხნევებენ:

„ნუ სტირი, ნუო“ — მეძახდნენ,
რა მნახეს, ანატირები;
„სრულდება, მალე იქნება,
ღვთისაგან დანაპირები!
აღსდგება საქართველოვ!“
გმირთა სათქმელი ეს არი.
ამ წარწერითვე ყველასა
ხელთ ეპყრა ოქროს ფიცარი[49].

პოეტური სახე „ჩვენება“ და რწმენაც საქართველოს უკეთესი მომავლისა ილ. ჭავჭავაძის „აჩრდილიდან“ მოდის, აგრეთვე „აღსდგება

[47] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მთავ სრულიად სხვა სთქვა, თხზ., ტ. II, გვ. 168.
[48] ი ქ ვ ე.
[49] ი ქ ვ ე, გვ. 199.

საქართველოვო...“ აკ. წერეთლის რწმენას—„არ მომკვდარა, მხოლოდ ხძინავს და ისევე გაიღვიძებს“ — მოგვაგონებს.

ამგვარად, სამი დიდი პოეტი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა, ერთი რწმენით გამსჭვალულნი, მკითხველშიც შეთანხმებულად დიდი შთაგონებით ნერგავდნენ იმედს — რწმენას და ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლის ფრონტს გაუნელებლად მძლავრად აგიზგიზებდნენ. ამ მიმართულებით მათ საერთო მისწრაფება და გზა აქვთ. ნათქვამიდან აშკარა ხდება, რომ ვაჟა-ფშაველას თავისთავადი, ორიგინალური პოეტური ნიჭი და მიმართულება ბუნებრივი რგოლია ქართული ლიტერატურის ისტორიული განვითარების გრეხილში; ქართული კლასიკური ლიტერატურის ბუდეშია ის წარმოშობილი, იქიდან უხვად ნასაზრდოვები და მასშივე დავაჟკაცებული.

თ ა ვ ი II

ვაჟა-ფშაველა და 1905 წლის რევოლუცია

ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთს თავის დაუბეჭდავ წერილში წერს: „ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძულოს მთელის თავის არსებით — გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალობა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლია მედგრად იბრძოლოს, არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოებლად... თავისუფლება ხალხისათვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა... გადაავლეთ თვალი მთელს რუსეთს და ჩვენს ქვეყანას. აშკარად დაინახავთ, რომ ეს ასეა"[1]. მგოსნის ასეთი განწყობილებით აიხსნება ზემოთ აღნიშნული იმედიანი მზერა მომავლისაკენ და აგრეთვე ის, რომ ვაჟა-ფშაველა 1905 წლის რევოლუციას დიდი თანაგრძნობით შეხვდა.

ვაჟა-ფშაველას რევოლუციურ-დემოკრატიული განწყობილების შესახებ გარკვეული ცნობა ჯერ კიდევ 80-იან წლების დასაწყისიდანვე არსებობს. ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველამ ჯერ კიდევ გორის საოსტატო სემინარიაში სწავლის დროს გორის ხალხოსნური ორგანიზაციისა და განსაკუთრებით მისი საუკეთესო წარმომადგენლის, ხალხოსანი მასწავლებლის მიხეილ ყიფიანის საგრძნობი გავლენა განიცადა.

ვაჟა-ფშაველა წარმოშობით, აღზრდით, განწყობილებით მდაბიო ხალხის, მთიელი გლეხობის ღვიძლი შვილია. ის გაჭირვებული მშრომელი ხალხის კალთაშია გაზრდილი, მან ბავშვობიდანვე მძლავრად შეითვისა და განიცადა უფლებააყრილი, ეკონომიურად გაწრიოკებული ხალხის მდგომარეობა. ამიტომაც ის დიდის ენთუზიაზმით შეხვდა სასწავლებელშივე ხალხოსნურ მიმართულებას. აი რა საგულისხმიერო ცნობას გვაძლევს ცნობილი მოღვაწე სვ. სალარიძე:

„1882 წ. სოფლიდან ჩამოსული პროპაგანდისტები შეიკრიბნენ სა-

---

[1] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, „რა არის თავისუფლება?" ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

თათბიროდ ს. უფლისციხეში შემდეგი საკითხების გასარჩევად: 1) ფეოდალური მიწის საკუთრების კონფისკაცია; 2) გლეხთა კავშირების მოწყობა და ორიენტაცია მათ გამოსვლაზე; 3) პატარა ერების განთავისუფლება რუსეთის გახრწნილ კაპიტალიზმისაგან, რომელიც ძარცვავს მათ ბუნებრივ სიმდიდრეს.

ყამთა ტრიალით მივიწყებულს, აფორიაქებულს ს. უფლისციხეში... ლუკა იღებს სიტყვას: კოკისპირულ წვიმასა და ქარბუქში მე გამოვიარე თითქმის მთელი ფშავ-ხევსურეთი და ყველგან ერთსა და იმასვე მეკითხებოდნენ, როგორ გადაწყდება მიწის განაწილების საკითხი. უკეთუ გლეხებს მივცემთ მიწას, ჩვენ შუშაობას ექნება დასაყრდენი სოფლად და წელში გაწყვეტილ გლეხობას გადმოვიყვანთ ჩვენ მხარეზე; მაშინ საფუძველი ეცლება მთავრობას და ჩვენთვის საშიში არ იქნება არც მემამულეების მუქარა, არც რუსეთის ხიშტიანი ლეგიონები. გამოსავალ გზას მე ვხედავ გლეხთა კავშირებში ინტელიგენციასთან და პატარა ერების ერთობაში.

შემდეგ, როდესაც ლუკამ მკაფიო სიტყვებით გადაგვიშალა სურათი სოფლის ცხოვრების სიდუხჭირისა და ბიუროკრატიული აპარატის გახრწნისა, მან ფაფარაყრილ ლომივით შეარხია თავისი ფალავნური ბეჭები და გულგაშმაგებით წამოიძახა; „ან თავისუფლება, ან სჯობს სიკვდილიო“[2].

ასეთი მებრძოლი, იდეურ-პროტესტული განწყობილება ვაჟა-ფშაველას გაჰყვა მთელი ცხოვრების მანძილზე, როგორც სოფლის მასწავლებლობის დროს, სადაც ის არა მარტო ბავშვების მასწავლებელი და აღმზრდელი იყო, არამედ მოზრდილთა ჭკუისა და ახალი გზის მასწავლებელიც, სადაც ის გამუდმებულ ბრძოლაში იყო სოფლის გლეხობის შემავიწროებელ მამასახლის-მოსამართლე-ბოქაულთან,[3] ისე საბოლოოდ მთაში დასახლების შემდეგაც.

900-იან წლებში, როცა კლასთა შორის ბრძოლა საკმარისი სიმძაფრით გაიშალა, გამათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობა არა მარტო ქალაქებს, არამედ სოფლებსაც მძლავრად მოედო. ამ ბრძოლამ 1904—1905 წლებში მძლავრი საერთო სახალხო ხასიათი მიიღო. 1905 წლის რევოლუცია ყოფილი რუსეთის იმპერიისა და, კერძოდ, საქართველოს მთლიან ცხოვრებაში დიდი სოციალური ძვრების და გამწვავებული ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის მოვლენა იყო.

აი როგორ ამოცანებსა და მიმართულებას უსახავდა ვ. ი. ლენინი 1905 წლის რევოლუციას მის დასაწყისში თავის ცნობილ წერილში

---

[2] სვ. სალარიძე, მოგონებანი, ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტ. I, გვ. 47.

[3] ს. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა, გვ. 160—162; 163—224.

„სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“: „რევოლუციური გზა არის სწრაფი, პროლეტარიატისათვის ყველაზე ნაკლებად მტკივნეული ოპერაციის გზა, ლპობადი ნაწილების პირდაპირი მოცილების გზა, მონარქიისადმი და მისი შესაბამისი საძაგელი და საზიზღარი, დამპალი და ლპობითი ჰაერის მომწამლავი დაწესებულებების მიმართ ყველაზე ნაკლები დათმობისა და სიფრთხილის გზა“[4].

ამ სახელმძღვანელო სტატიას ვ. ი. ლენინი ასეთი მოწოდებით ათავებს: „მთელი ხალხისა და განსაკუთრებით გლეხობის სათავეში — სრული თავისუფლებისათვის, თანამიმდევარი დემოკრატიული გადატრიალებისათვის, რესპუბლიკისათვის! ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა სათავეში — სოციალიზმისათვის! ასეთი უნდა იყოს სინამდვილეში რევოლუციური პროლეტარიატის პოლიტიკა, ასეთია კლასობრივი ლოზუნგი, რომელმაც უნდა გამსჭვალოს და განსაზღვროს ყოველი ტაქტიკური საკითხის გადაჭრა, მუშათა პარტიის ყოველი პრაქტიკული ნაბიჯი რევოლუციის დროს“[5].

თანდათან ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა რევოლუციური ძალები და ფართო მშრომელთა მასების მოძრაობა მეცნიერული სოციალიზმის საფუძველზე იშლებოდა. ამ მძლავრი რევოლუციური მოძრაობის ტალღები მივარდნილ და მიყრუებულ ცხოვრებასაც მისწვდა. მთაც ამოძრავდა.

ასეთს გარემოში ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც რევოლუციური ბრძოლის პათოსი ახალი იდეური შინაარსით ივსებოდა. მანაც 1905 წლის რევოლუციის ერთ-ერთ მძლავრ წამყვან ძალად გაიგო და მიიჩნია მშრომელი ხალხის, მძიმედ შევიწროებული, დაბეგრილი და გაძვალტყაევებული გლეხობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის მოწესრიგების მიზანი.

ამით აიხსნება, რომ რევოლუციის დასაწყისიდანავე ვაჟა-ფშაველა ამ სახალხო მოძრაობას თავის ხმასა და მოქმედებას უერთებს, ის არა მარტო პოეტური კალმით, არამედ პრაქტიკულადაც ებმება ამ დიდ მოძრაობაში, ხალხს გაბედულად რაზმავს. აი რა საგულისხმიერო ცნობას გვაძლევს მ. შამანაური თავის „მოგონებაში“: „1905 წელს, იაპონიასთან ომში დამარცხებასთან დაკავშირებით, რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო, რაც მთელ საქართველოსაც მოედო. ყველგან გაფიცვები, მიტინგები, ყველგან რევოლუციური მოძრაობა იყო. ფშავ-ხევსურეთში პირველი გამოსვლები ვაჟამ მოაწყო. ვაჟა ამბობდა, რომ საქართველოს განთავისუფლება ჩვენ აქედან — მთიდან უნდა დავიწყოთ, ჩვენ უნდა მუჯლუგუნი ვკრათ ბარს, რომელსაც სძინავს“...[6]

---

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9. გვ. 47.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 128.

[6] მ. შ ა მ ა ნ ა უ რ ი. დამოკიდებულება რევოლუციურ მოძრაობასთან, ს. ყუ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვაჟა-ფშაველა, გვ. 395—396.

ამ მიზნით ვაჟა-ფშაველას რამდენიმე ავტორიტეტიან ფშაველთან ერთად გადაუწყვეტია ხევსურეთის მოწვევაც. მოწოდება ვაჟა-ფშაველას შეუდგენია. „დანიშნულ დღეს, — განაგრძობს მ. შამანაური მოგონებას,—მოვიდნენ ხევსურეთის შვილები თავით-ფეხებამდე შეიარაღებული, მოგროვდნენ ბარისახოში და დასდეს ფიცი, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდნენ თავისუფლებისათვის. ეს ფიცის ფურცელიც ვაჟამ შეადგინა. „ვაჟა, — ეუბნებოდნენ ხევსურის შვილები, — ჩვენ დავხავსდით, ჩვენს იარაღს ობი და ჟანგი მოეკიდა, იარაღს გაპრიალება უნდა და სად უნდა გავაპრიალოთ ეს იარაღი, თუ არა თავისუფლებისათვის ბრძოლაშიო?“[7]

ვაჟა-ფშაველასათვის 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობისას უთხოვიათ რევოლუციური ჰიმნი, „მარსელიოზას“ მსგავსი დაეწერა. მასაც ექსპრომტად დაუწერია ასეთი ლექსი, გადაუცია და მას თურმე მღეროდნენ მთელი რევოლუციონერები. სამწუხაროდ, ეს ლექსი ვაჟა-ფშაველას იქვე სახელდახელოდ შეუთხზავს, იქვე გადაუცია, ასე, რომ მას ასლიც არ დარჩენია. ეს ლექსი თურმე ასე იწყებოდა:

> დღეს ხსნის დღე არის, ვით მოვითმინოთ,
> აიკლეს ჩვენი ცხოვრება, ბინა.
> გაიწით ძმანო, გაიწით წინა...[8]

რევოლუციურ ხანაში, მრავალთა დამოწმებით, ვაჟა-ფშაველა ხშირად იფარავდა თავის სახლში და ყოველგვარ დახმარებასაც უწევდა „ერთობის კაცებს“ — თავისუფლების მქადაგებლებს[9].

ვაჟა-ფშაველას 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობისადმი ასეთი თანაგრძნობა ორი მოტივით აიხსნება: ის რევოლუციურ მუშაობას აფასებდა, როგორც — 1) მცირე ერების მიერ თავისუფლების მოპოვების საშუალებას, და აგრეთვე 2) შევიწროებული, ეკონომიურადა და უფლებრივად დაბეგრილი გლეხობის მდგომარეობის სამართლიან საფუძველზე გარდაქმნის შესაძლებლობას.

ვაჟა-ფშაველას რევოლუციური მოღვაწეობა 1905 წლის რევოლუციაში საკმარისად ცნობილი იყო. ჟანდარმერია ვაჟა-ფშაველას თვალყურს ადევნებდა, მას საეჭვო, არაკეთილსაიმედო პიროვნებად თვლიდა. ამას გვიდასტურებს არა მარტო მრავალი მოგონება მგოსნის ნაცნობ-მეგობრებისა, არამედ ოფიციალური დოკუმენტებიც ჟანდარმთა არქივიდან.

სანიმუშოდ მოვიყვანთ ერთს საკმარისად საგულისხმიერო დოკუ-

---

[7] მ. შ ა მ ა ნ ა უ რ ი, დამოკიდებულება რევოლუციურ მოძრაობასთან, ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვაჟა-ფშაველა, გვ. 395—396.

[8] ი ქ ვ ე.

[9] ტ ლ ა შ ა ძ ე, მოგონება, ჟურნ. „კომ. განათლება“, 1935 წ., № 27.

შენტს — კაპიტან სამონოვის საიდუმლო მოხსენებას, პოლკოვნიკ ბაბუშკინისადმი მიწერილს.

კაპიტ. სამონოვი დავალებისამებრ გასცნობია მთის პოეტის ცხოვრებას და თავის მოხსენებაში ის მას (ვაჟა-ფშაველას) თვლის ფშავ-ხევსურეთში გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურად და სხვათა შორის, შემდეგს წერს: «Во главе революционного движения сего района стоит народный поэт «Важа-Пшавела» (прозвище), фамилия Лука Разикашвили... пшавец, имеет неограниченное влияние на пшавцев, считается народным вождем, я лично знаю его, это — умный, хитрый кляузник, который, главным образом, пишет всем прошения и ведёт путём печати грузинской агитацию, а в последнее время всё даёт неверные сведения о будтобы голоде в Хевсуретии и неурожае, проводя какую-то грузинскую политику, ввести правительство в заблуждение, путём петиции населения и ложных сообщений, находя поддержку сей идее в Тифлисском грузинском обществе, рассчитывая, что, когда правительство даст деньги на голодающих, их отобрать и пустить целиком на оружие и революцию. Одним словом поступить на манер ложного голода в Мингрелии. Ввиду крайней вредности, как человека умного и деятельного Важа-Пшавела в горах, необходимо обдумать ряд мер, дабы его обезвредить, ибо арест его может вызвать серьёзные последствия и брожение среди магароскарцев»[10]... და სხვა ამგვარი.

ასეთია ვაჟა-ფშაველას პრაქტიკული რევოლუციური მოღვაწეობის გზა.

* * *

რევოლუციურ-გამათავისუფლებელი მოძრაობისადმი თანაგრძნობა ვაჟა-ფშაველამ თავის პოეტურ და პუბლიცისტურ შემოქმედებაშიც სიძლიერითა და სიმკვეთრით აღბეჭდა. 1905 წლის რევოლუციის ქარიშხალმა მგოსნის „ბუკი და ნაღარა“ იმედიანობისა და ბრძოლის მოტივით გაჟღინთა და მეტად თავისებურად და ძალუმად აამღერა.

გულო, არ გასტყდე, გამაგრდი,	მეცა გუეივარ ავადა.
კლდერ, კლდედ იდეგ სალადა!	ცდა გავუქარწყლოთ საწუთროს,
რა ვქნათ, რომ ჯანღი გეეხვევა,	ნუ დაებერდებით შავადა[11].

მგოსანი ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაწერილ ლექსებში არ უტყდება ცხოვრების შავბნელ პირობებს, თუმცა მას მჭიდროდ შემოჰ-

[10] იხ. საქ. ცენტრ. არქივის ფონდი 3, საქმე № 192, ფ. 74; ს. უ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვაჟა-ფშაველა, გვ. 399—400.

[11] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სიმღერა („გულო, არ გასტყდე, გამაგრდი“), თხზ., ტ. II, გვ. 20.

ხვევია ის და უმოწყალოდ სტანჯავს. მას სურს მაჰა-პაპათა ანდერძი — „სხივი — მოძმეთა ნუგეში“ ფრთხილადა და მტკიცედ შეინარჩუნოს გულში. მიუხედავად გარშემორტყმული მრავალი ცდუნებისა და დამაკნინებელი პირობებისა, მწერლის გარდუვალი ნდომაა — დაზიანებული სიცოცხლე მეტად არ დაუზიანდეს, მას არ უნდა თავს გრძნობდეს ტიალად, უსულოდ გდებულ ლეშად, რომელსაც „სვავნი, ორბნი და კაჭკაჭნი“ — შინაური თუ გარეშე მტრები — გარს შემოხვევიან, ათრევენ და სჭამენ ზიარად. მგოსნის ღრმა რწმენით, თუ ასე გაგრძელდა ცხოვრება, ის „შხამის სასმელ ფიალად“ გადაიქცევა.

ვაჟა-ფშაველა ღრმად რწმუნდება, რომ დადგა ისეთი დრო, როცა დიდი სიმტკიცეა საჭირო; უნდა განიდევნოს სულით სიმდაბლე. მგოსანს ახლა აღარ აშინებს ეკლით მოკირწყლული მისი სავალი გზა. ის, გაკაჟებული, ტკბილი იმედით აღვსილი, ასე ამხნევებს თავის თავს:

გულო, გაკლდევდი, გამაგრდი,
ნისლი ნუ გადაგეფარა:
თუ აქამომდე გავძელით,
ღღეს მტერი გაგვტეხს ვეღარა[12].

900-იანი წლების კარებში, 1899 წელს, ვაჟა-ფშაველა დახავსებული მონარქიული რუსეთის რეაქციის პირობებში, აშკარად გრძნობს ქარიშხალის ამოვარდნის აუცილებლობას; გრძნობს, რომ მშრომელი მასების ძალა, მოძრავი, ენერგიული ბრძოლისა და განთავისუფლების განწყობილებით აღტყინებული, გამარჯვების დიდი რწმენით საბრძოლველად ირაზმება. ასეთს განწყობილებას ვაჟა-ფშაველა ალეგორიული ფორმით მკვეთრად გამოხატავს ლექსში „კლდე და მდინარე“ — კლდისა და მდინარის შორის ატეხილი ბრძოლის სახით:

კლდეს შეეზღუდა ხეობა,
რაზეც მდინარე დიოდა, —
სალსა, ასპიტსა, დიდრონსა
ფერფლიც-კი არა სცვიოდა.
მდინარე უყეფს: „გზა მომეც,
კლდეო, გამიშვი წინაო...
მინდა რომ ბარად ჩავიდე,
იქ მოვიპოვო ბინაო.
გამიშვი, შენი ჭირიმე,
აქ ყოფნა მომეწყინაო“[13].

კლდე (მონარქიული რეაქციული წყობილება) სასტიკად ეწინააღმდეგება მდინარეს (გამოღვიძებულ, საბრძოლველად დარაზმულ მასების ახალგაზრდა ძალას). „მე მოვკვდე, შენ კი იტლინკო, სად თქმულა, რომელ მხარესა?“ — მედიდურად დასძახის კლდე მდინარეს. მაგრამ მდინარე მაინც იმედს არ კარგავს, იკრებს ძალ-ღონეს, ელის უკეთეს გარემოებას.

დადგა თოვლიანი ზამთარი — „ორ ადლზე დათოვა“. გაზაფხულზე მდინარეს ზვავმა „უხვად სინესტე აწოვა“. ადიდდა მდინარე. ახლა კი

[12] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სიმღერა („გულო, არ გასტყდე, გამაგრდი“), თხზ., ტ. II, გვ. 21.

[13] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, კლდე და მდინარე, თხზ., ტ. I, 1946 წ., გვ. 234.

იგრძნო მან ბრძოლისათვის ძალა. შეუპოვრად მიიწევს კლდისაკენ, ვით ვეფხვი „თვის მსხვერპლს ტოტით“ უტევს, „აღადრის გულ-მკერდსა“. დაიწყო მათ შორის დაუზოგველი ჭიდილი. არც ერთი არ უთმობს. მდინარე უფრო და უფრო თამამი, გაბედული ხდება, კიჟინაჟ სცემს, თითო მისი დაკვრა „სჩანს კლდისა დამაზიანად“. ხუთი კვირა გრძელდებოდა მათ შორის ასეთი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ბოლოს „კლდისა მოისმა ქვითინი“. მდინარემ კლდე გარღვია, ლაღად „გაიჭრა ველზედა“. დაუბრკოლებლივ და უშიშრად წავიდა წინ, ანგრევდა ყველაფერს, რაც კი მას სვლას უშლიდა.

გამარჯვებული მდინარის ძლევამოსილ სვლას პოეტი ასეთი თანაგრძნობით გვისაბუთებს:

ვალაღებული ჭალაზე
მაიზლაზნება მღერითა:
საამო სანახავია
გამარჯვებულის ფერითა.
ხარობენ ის და ქვეყანა
ერთმანეთისა ცქერითა...
წავიდა, გაივაკვა,
ჰრწყავს და უმღერის ველებსა,
თან ატრიალებს ტალღებსა,
ვით მოთამაშე ხელებსა.

მდინარეში ვაჟა-ფშაველა, უნდა ვიფიქროთ, გულისხმობს როგორც ამხედრებულ დამონებულს, ეკონომიურად შევიწროებულს, გაწვალებულ მშრომელ ხალხს, ისე პოლიტიკურად შებორკილს, დაჩაგრულს, ამოძრავებულ ერსაც, რომლის განთავისუფლება პოეტისათვის მთელი ცხოვრების მანძილზე სანუკველ ოცნებად იყო გადაქცეული.

„კლდე და მდინარე“ ვაჟა-ფშაველას მხრივ ერთგვარი მძლავრი სწორი სიგნალი, წინასიტყვა იყო 1905 წლის რევოლუციაში გაშლილი მედგარი ბრძოლისა.

ამგვარი სიმბოლოებითა და ალეგორიებით უხვად სარგებლობს შთის მგოსანი, რომ თავისი ოპოზიციური და რევოლუციური განწყობილება მკვეთრ სახეებში გამოავლინოს, ცენზორის შემზღუდავი კლანჭების ჯიჯგნას ააცდინოს და მკითხველამდე დაიყვანოს.

ფანტასტიკური გმირობა, ალეგორიული და სიმბოლური პოეტური სახეები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა სრულიადაც არ იყენენ განყენებული ხასიათისა, ეს თავისებური რომანტიზმი იყო. გამოღვიძებული მშრომელი ხალხის აღორძინებასთან დაკავშირებული. ისინი გამოხატავდნენ უკეთესი — თავისუფალი ცხოვრებისადმი მისწრაფებას. ისინი მოწმობდნენ მშრომელი ხალხის გამოღვიძებას, მის დარაზმულ ბრძოლისათვის ენთუზიაზმით აღსავსე მზადებას. ეს ალეგორიული სახეები მწერლის შემოქმედებაში თანდათან კონკრეტული რეალური შინაარსით ივსებოდა მშრომელი მასების დარაზმული რევოლუციური მოძრაობის თანდათან გაფართოებასა და მისი სოციალისტური შეგნების განმტკიცებასთან დაკავშირებით.

ახალი სამართლიანი ცხოვრების მოლოდინში იმედგაცრუებული მგო-

სანი მიმართავს მთვარეს (მთვარე ახალი, უკეთესი ცხოვრების სიმბოლოა) გაფანტოს წყვდიადი, მას რომ არტყია: მას სწყურია ნახოს მთვარე „ბადრადა“ (ე. ი. სრულიად სავსე, გაშლილი), იხილოს მთაბარზე ამოელვარე მისი სხივები. სასოებით მომლოდინე პოეტი თავის მიმართვას მთვარისადმი ასე ამთავრებს:

გზა დაკარგულთა ნუგეშო,
შენს სხივებს. ვენაცვალეო![14]

ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთს თავის წერილში ასე აფასებს 1905 წლის რევოლუციის ხანას: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ამ სიტყვებით გაიჟღენთა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიც კი. არას დროს, ჩვენი ქვეყნის დაარსების შემდეგ, არა გვგონია ასე მძლავრად და საყოველთაოდ როდისმე ჰსმენოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა, როგორც ესმა მას ამ წარსულ 1904—1905 წლებში, დღესაც ესმის და მომავალ წლებშიც გაიგონებს... დღეს ხალხი იბრუნებს იმას, რაც წაართვეს და წართმეული გახლავთ, მოკლედ რომ ვსთქვათ, ბედნიერება: — წამრთმეველი დღეს ტირის, ხოლო გაძარცული მღერის, მხიარულობს, რადგან დაკარგულს პოულობს, წართმეულს იბრუნებს. თავისუფლების ქურდები ბოლო ჟამს მუდამ დასჯილან. როდისა დგება ეს ბოლო ჟამი? — სწორედ მაშინ, როცა ხალხი თვალებს ახელს, როცა თავის ყოფა-მდგომარეობას, აუტანლობას ჰგრძნობს და ჰხედავს, გაიცნობს იმ შავ ძალებს, რომელთაც წაართვეს ბედნიერება, — სძულს ისინი უსაზღვროდ, სწორედ მაშინ ცდილობს შემუსროს თავის დამმონებელნი“[15]. ცხადია, ვაჟა-ფშაველას დიდი თანაგრძნობა 1905 წლის რევოლუციისადმი.

1905 წლის რევოლუციით აღფრთოვანებული ვაჟა-ფშაველა „სიმღერაში“ („მათრია წუთისოფელმა...“) ბედნიერების განცდით გადასცემს მკითხველს თავის აღტყინებას, რომ „ნასვამი შხამი, ნაღველი“ დღეს მისთვის ტკბება; წინათ რომ მასში სუსტი იმედი „ბეუტავდა“, ახლა მზედ იქცა. რადგანაც „კვდება, სულსა ჰლევს ვეშაპი ქვეყნისთვის სისხლის მსუტავი“, მგოსანს ოცნება დღეს, რევოლუციის პიროებებში, სინამდვილედ გადაექცა. ის სიამოვნებით მღერის:

ამიერიდან ჰაღარაც
შავფერად გარდაიქმნება.
მირჩება გულის წყლულები,
რჩება სნეული ოცნება:
ტყდება მონობის ბორკილი,
დღესასწაულობს გონება[16]

მგოსანი გრძნობს, რომ ეს ბედნიერება მას და ბევრ სხვასაც მიანიჭა „კარგების“ შეერთებულმა და თავდადებულმა ბრძოლამ და მუშა-

[14] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სიმღერა („ყური დაგიჩნდა, სხივი კრთის“), თხზ., ტ. II, 1950 წ., გვ. 24.

[15] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, „რა არის თავისუფლება?“ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

[16] მ ი ს ი ვ ე, სიმღერა („მათრია წუთისოფელმა“...), თხზ., ტ. II, გვ. 31.

ობამ. ამ „კარგებისადმი“ პოეტი ღრმა, მადლიერი გრძნობითა და აღტაცებითაა გამსჭვალული: ასეთი განწყობილება მას უნდა მკითხველსაც გადასცეს, რათა მკითხველში აღძრას „კარგებისადმი“ მიბაძვის სწრაფვა.

ღმერთმა უშველოს იმათა,
ვინც მიექიმა, მიწამლა!
ჩემს სარგოდ სისხლი დაღვარა
იმათ მხნე გულის ფიცარმა.
. . . . . .

განა მარტო მე? ბევრ სხვასა —
ტანჯულს, დაჩაგრულს, მონასა:
. . . . . .
ღაადვეს წყლულზე მალამო, —
ეშველოს იმათ ბრძოლასა!

(იქვე)

ვაჟა-ფშაველა აძლევს რა ასეთს დადებით შეფასებას ქვეყნის მშველელ „კარგთა“ მოღვაწეობას, ის მკითხველზე გადამდები აღტაცებით შესძახებს:

ვაშა მათ მოღვაწეობას,
ვაშა მათ ამაყ დროშასა!
ნეტარხსენება ჩვენ მიერ
მათ სისხლით მორწყულ შრომასა!

(იქვე)

თავისუფლებისათვის ბრძოლის პრობლემას ვაჟა-ფშაველა მარტო პოეტურ შემოქმედებაში არ ანსახიერებს, არამედ ლამობს მისი მნიშვნელობა, ძალა, ბუნება, და მისი ცხოვრებაში განმტკიცების აუცილებლობა პუბლიცისტური წერილებითაც გაარკვიოს. „დიახ, — წერს ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთს თავის დაუმთავრებელ წერილში,—გამხმარია, ხმელია ის საზოგადოება, რომელთა წევრებიც მონურად, ყეყეჩ-ჩერჩეტად არიან აღზრდილნი და არ უყვარსთ თავისუფლება, ჰხდება თავისთავის მტერი, სთელავს ფეხით თავისივე ბედნიერებას. ამისთანა საზოგადოება თუ სახელმწიფო ბუდეა ყოველნაირის უსამართლობისა, ადვილად ჩნდებიან დაჩაგრულნი და მჩაგვრელნი, გაცარცული და მცარცველნი და იმართება მათ შორის ბრძოლა. დღეს ჩვენა ვართ მოწამე და მონაწილენი ამისთანა ბრძოლისა. ბედნიერება წართმეული ნაწილი საზოგადოებისა (კლასი) ებრძვის მეორეს, რომელმაც მისი ბედნიერება მიითვისა, მისი თავისუფლება და ქონება. მჩაგვრელნი დღევანდლამდის თავისუფლად იქცეოდენ: ფული, მიწა, ფაბრიკები, ქარხნები, სახლები იმათ ხელშია. ეს სულ მოტყუილებით, მტარვალობით, — სხვისთვის თავისუფლების ჩამორთმევით მოიპოვეს. დღეს დაჩაგრულმა ნაწილმა იგრძნო ეს უსამრთლობა, აახილა თვალები, გაიღვიძა მის გულში დაძინებულმა თავისუფლების სიყვარულმა, დღეს იგი ამბობს: „დამიბრუნეთ წართმეული ბედნიერებაო!“[17]

[17] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, „რას ჰქვიან თავისუფლება?“, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

ცხადია, ვაჟა-ფშაველა აშკარად და მწვავედ გრძნობს ქვეყნის მოუწესრიგებლობას, სოციალურ ფენათა ეკონომიური უთანასწორობის საფუძველზე გამწვავებულს. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, ვაჟა-ფშაველა მაინც ვერ ავიდა კლასთა შორის არსებული გამწვავებული ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობის სწორ გაგებამდე. მწერალი, უდავოდ, გლეხურმა წვრილბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ შეზღუდა.

ვაჟა-ფშაველა, რა თქმა უნდა, ეპოქას, მის მოთხოვნილებებს უფრო მკვეთრად ეხმაურება, ვიდრე მისი წინამორბედი მწერლები. ზემოაღნიშნული ნათლად გვიდასტურებს, რომ ვაჟა-ფშაველა ღრმად იყო დაინტერესებული 1905 წლის რევოლუციური პერიოდის ცხოვრების დუღილით, მისი აქტიური მონაწილე, როგორც პრაქტიკული მოღვაწეობით, ისე თავისი გავლენიანი მხატვრული კალმით.

* * *

1905 წლის რევოლუციას მალე მოჰყვა რეაქცია. შავმა ძალებმა მთელი ქვეყანა დაარბია, კვლავინდებურად ბატონობა მოინდომა და იყო კიდეც. რეაქციის ხანაში საზოგადოებაში, მის გარკვეულ ნაწილში, ხშირად პროგრესულ-რადიკალურ განწყობილ ნაწილშიც ჰქონდა ადგილი, ხოლო ვაჟა-ფშაველა კი რეაქციამ ვერ გატეხა, ვერ დაიმონა.

რეაქციის ხანაში ვაჟა-ფშაველა ასე აფასებს 1905 წლის რევოლუციის გამოვლინებას მათში: „ერთხანად, თითქოს შეჩოჩქოლდა ჩვენი ცხოვრება, მაგრამ ისევ თვალები მილულა: წინ გადადებული ნაბიჯი, ისევ უკან გადადგა და გაჩერდა ერთს წერტილზე. შარშან, ე. ი. 1905 წლის მარტში აქაც გაფიცვები დაიწყო, ხალხმა თავისი მოთხოვნილებანი წარმოსთქვა და ქაღალდზეც აღნიშნა: 1) ვისარგებლოთ ტყით ისე, როგორც მამა-პაპას უსარგებლია, თავისუფლად; 2) მივცეთ სალდათი მხოლოდ იმ პირობით, რომ ორ წელზე მეტი არ ამსახუროს მთავრობამ, აქვე ჩვენს ქვეყანაში — საქართველოში; 3) არავითარი გადასახადი არ გავიღოთ იმ დრომდის, ვიდრე არ გამოირკვევა კომლეულად წლიური შემოსავალი და ამის მიხედვით არ შემოგვეწერება ხარჯი; 4) ვუცხადებთ ძმობა-ერთობას ყველა კავკასიის ერთა და სხვადასხვა. ხალხმა გაფიცვის მოთხოვნილებანი შეინარჩუნა სამ თვემდე. ისე მადლიანი, სათნოინი გამოდგა ეს გაფიცვა-კი, რომ არავითარი ცუდი ამბავი არ გაიგებოდა, როგორც ფშავში, ისე ხევსურეთში... ბოლოს ნელ-ნელა ჩვენს ხეობაში შემოყვეს თავები ბოქაულმა და სტრაჟნიკებმა... მას შემდეგ შიგ და შიგ ხევსურეთიდან და ფშავიდანაც დაიწყეს სიარული მაზრის უფროსთან და ბოქაულთან. იმ დღიდან დაი-

წყო ავმა ქარმა ქროლვა, უცბად ამოვარდა და მთელი მონასტერი აირია“[18].

თავისი უკმაყოფილება იმ კუდშეკვეცილი, თვალამბმელი რეფორმებით, რომლებითაც დამთავრდა 1905 წლის რევოლუცია, ვაჟა-ფშაველამ ერთ-ერთ თავის „სიმღერაში“ („რად ამბობთ გაზაფხულდაო...“) შემდეგნაირად გამოხატა: გაზაფხულში პოეტი გულისხმობს ხალხის — ქვეყნის განთავისუფლებას ძველი თვითმპყრობელური წყობილებისაგან. მგოსანი მოხდენილი ალეგორიით, ღრმა და უშუალო მწუხარებით, წინააღმდეგ მრავალ გულუბრყვილო და ბეცთა შეხედულებისა, სიმბოლოებით, გვეუბნება, რომ ის გაზაფხულს ვერ ჰხედავს, ვერც მის დამამშვენებელ იას, ვარდს, გაზაფხულის ტკბილსა და თბილს მზიან დღეს, არც მერცხლებს „მალხაზფრთიანსა“. მათ სანაცვლოდ, სევდიანად განაგრძობს პოეტი, ის ხედავს ყორნებს, „სისხლით დათხუპნილთ, ბრჯღიანთა“.

სრულიად არ ვგრძნობ გაზაფხულს,
არ მოვტყუვდები აროდეს.
მკვდარს რომ ვუცქერი ბუნებას,
სული ძმარ-ნაღვლად ამოდის...
ყვავილებისა ნაცვლადა
გველი სოროდან გამოდის.
ჰშხამავს და ჰბილწავს ყველაფერს,
რასაც სიცოცხლე სწადიან...
გველს რო ჰხედავენ ბრიყვები,
„გაზაფხულს“ გაიძახიან...
არა, ვერ ვხედავ გაზაფხულს,
თუნდაც გამიწყრეთ ძალიან.
. . . . . .
„მცივაო, ცეცხლზე გამათბე“,
მესმის კარების რაკუნი
მგზავრის... ზაფხულის ლოდინით
გხიბლავთ ოცნება მაცდური.

მგოსანი ეძებს იმას, რაც გაზაფხულს ჩვეულებრივ ამშვენებს: ჭეჭა-ქუხილს, ელვას, შხაპუნა წვიმას (ყველა ეს, რა თქმა უნდა, სიმბოლოებია რევოლუციური ბრძოლისა). ის მათ ვეღარ ჰხედავს. პოეტს უამისოდ გაზაფხული (ე. ი. ხალხთა მოძრაობა-მღელვარება) არ მიუჩნევია სასარგებლოდ. ამიტომაც ვაჟა-ფშაველა კატეგორიულად აცხადებს: „ამგვარი გაზაფხულისათვის არა ჟღერს ჩემი ფანდური!“

ამიტომაც, როცა რევოლუციური აღმავლობა იძულებით შენელდა და დაიწყო რეაქცია, ვაჟა-ფშაველამ მძიმედ განიცადა ბნელი ძალების თარეში.

ლექსში „ხევსური ბერდია“ პოეტი ბერდიას პირით თავის დასუსხულ განცდებს, გულისწყრომას გამოსთქვამს რეაქციის მიმართ, ამასთანავე, იმათ მიმართაც, ვინც ლაჩრულად იქცევა მტერთან ბრძოლაში, მწარე დაცინვითა და შთაგონების სურვილით პოეტი მიმართავს მათ: „მტერი ვის გაუბრუნებავ მალულაობის ჩადენით?!“ ვაჟა-ფშაველა თა-

[18] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ფშავ-ხევსურეთის ავ-კარგი, ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფონდი S, № 5317.

ნამოძმეებს ურჩევს საომრად იყვნენ მზად, რადგანაც ისაა ვაჟკაცი, „ვინც გამწარებულს სიცოცხლეს დაამჯობინებს სიკვდილსა“.

რეაქციასთან შეურიგებელი პოეტი თავის მოძმეებს და ფართო მკითხველთ ანდერძსავით ასეთს რჩევას აძლევს:

ნუ იზამთ უგვან საქმესა:
მტერს დაჰხვდით, გაისარჯენიო!
წესია: მამულისადა
მოკვდით და დაიხარჯენით!

ვერ იტყვის მაშინ ურჯულო,
რომ შასდრკით, დაიმალენით.
გამარჯვებულნიმც იქნებით
თავის ხატით და გამჩენით.

(„ხევსური ბერდია“)

ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ რეაქციის პერიოდში, საზოგადოებაში რევოლუციური განწყობილება ერთგვარად განელდა, საზოგადოების ზოგიერთი მოწინავე წევრშიც კი ერთგვარმა იმედგაცრუებულობამ საგრძნობლად გაიდგა ფესვი, ვაჟა-ფშაველა მაინც არ გაჰყვა ამ უიმედობის გზას. ის შეუპოვრად გაუტეხელად მაინც გაჰკიოდა:

კიდევაც ვნახავ ცა სჭექდეს,
თოვლის წილ წვიმა ცვიოდეს,
ანოყივრებდეს მიწასა,
მდინარეები ხვიოდეს,
აღარვინ იტანჯებოდეს

და აღარც ვისა ჰშიოდეს;
სიმართლის გამარჯვებასა
მთაზე არწივი ჰყიოდეს;
მეც მას ბანს ვეუბნებოდე,
გული აღარა მტკიოდეს[19].

იქვე ასეთივე სიმახვილით:

კიდევაც ვნახავ, უხვადა
ვარდნი, იანი ჰყვაოდენ,
ნაცარ-მტვრად იყვნენ ქცეულნი,
ვინაც გუშინა ზვაობდენ;

შხამის და გესლის მთესველნი
მოისპნენ, არარაობდენ,
ჩვენის სიკვდილის მსურველნი
ყორნები ვეღარ ჩხაოდენ![20]

* * *

ვაჟა-ფშაველა რეაქციის ხანაშიც განაგრძობს 1905 წლის რევოლუციით დაინტერესებას. 1908 წელს, პოეტი, მისთვის დამახასიათებელი გულისხმიერებით ასწონ-დასწონის განვლილ შესანიშნავ ისტორიულ პერიოდს და, როგორც იტყოდა დიდი რუსი პოეტი ა. პუშკინი — „Ума холодных наблюдений и сердца горсстных замет“, გვაძლევს ასეთს დაკვირვებათა შედეგს 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის ძირითადი წამყვანი იდეებისა და მამოძრავებელი ძალების შესახებ, როგორც ეს მას, მგოსანს ესმოდა. უნდა ითქვას, რომ რეაქციის ხანაშიც, პოეტის სრული თანაგრძნობა მათდამი მკაფიოდა და ნათლადაა გამოთქმული.

---

[19] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სიმღერა („კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“), თხზ., ტ. II, 1950 წ., გვ. 41.

[20] ი ქ ვ ე.

ვაჟა-ფშაველას პოემა „მთათა ერთობა“ პოეტის ხსენებულ დაკვირვებათა მხატვრული განსახიერებაა მძლავრი პოეტური ალეგორიების, შედარებების, კონტრასტების, მეტაფორების, ეპითეტებისა და სხვა პოეტური სახეებისა და ხერხების საშუალებით. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში საზოგადოების შინაგანი ფენების ურთიერთ ბრძოლასა და მათ მისწრაფებას ვაჟა-ფშაველა ხსენებულ პოემაში ბუნების მოვლენათა ურთიერთ დამოკიდებულების სახით ხატავს.

1905 წლის რევოლუციური მოძრაობის ქარიშხლიან აღმავლობაში სინამდვილე ხელოვანისაგან და, კერძოდ, მწერლისაგანაც მოითხოვდა არა მარტო ძველის, დრომოჭმულის კრიტიკასა და უარყოფას, არამედ აგრეთვე, თუ უფრო გამძაფრებულად არა, ახალის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში რომ ისახებოდა, გამოაშკარავებას, განმტკიცებას. ეპოქის ამგვარ ძლევამოსილ მოთხოვნას ღრმად გრძნობდა ვაჟა-ფშაველაც. მკაცრი ცენზურული პირობების გამო, ის მის მიერ დაუფლებულ შემოქმედების ხერხს — ბუნების მოვლენათა ურთიერთობის ჩვენებით ადამიანთა ცხოვრების დახატვას — იმარჯვებდა.

ასეთია პოემა „მთათა ერთობა“.

მაშინ, როდესაც მთები ღრმა ფიქრში იყვნენ გართული, გადმოგვცემს მგოსანი დასახელებულ პოემაში, მათ (მთებს) ამცნეს ნება ბარისა — „ქვეიდან დანაბარი“ „ახალი მცნება დიდია“. ბარმა შიკრიკების საშუალებით მთებს გადასცა, რომ ბარში მდგომარეობა შეიცვალა— ერთმანეთს შორის გაიდვა „ერთობის ხიდი“, „ბარად სუსტსა და ძლიერსა ხელი-ხელს ჩაუკიდია“. ესაა საფუძველი ბედნიერი ყოფისა. ასე უყურებს ბარი, ასეთივეა გაგება მგოსნისაც. ამ საფუძველზე ბარში კეთილი, სამართლიანი ურთიერთობა დამყარდა:

მგელი ვერ ჰბედავს მგლობასა,
ეხლა კრავივით მშვიდია.
ცხვარი სძოვს ბალახს უშიშრად,
სწამს, ვერ უმტერებს ფლიდია,
და კატას — თაგვების მტერსა,—
ყელზე ეკვანი ჰკიდია.
ერთობის გზაზე ვიაროთ,
კერძოობის გზა ფინთია[21].

ცხადია, 1905 წლის რევოლუციის ერთ-ერთ მამოძრავებელ პრინციპად ვაჟა-ფშაველას მიაჩნია ადამიანთა ერთობა და თანასწორობა, რაც ვაჟა-ფშაველასათვისაც აუცილებელია და ძირითადი ბედნიერი ცხოვრების დასამყარებლად, რომლისკენაც თავგანწირული ბრძოლით მიისწრაფვის კაცობრიობა და განსაკუთრებით კი მშრომელი ხალხი. მგოსნის შეხედულებით, ერთობის ძალა ძირითადი მამოძრავებელია არა მარტო ადამიანთა ცხოვრებაში, არამედ ერთობის ძალაზე დამყარებულია მთელი სამყაროს ცხოვრება, მთლიანად ბუნება თავისი მრავალი

---

[21] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მთათა ერთობა, თხზ., ტ. IV, 1932 წ., გვ. 203—204.

გამოვლინებით, თავისი კანონზომიერებით. მგოსანი რომ უკვირდება ბუნებას, მის ყოველდღიურ ცხოვრებას, რწმუნდება ამ ძალის, კანონის საყოველთაო და გარდაუვალ ხასიათში.

მგოსანი ამ კანონზე აგებულს მთლიან სამყაროს რომ განიცდის, გადამდები აღტაცებით წამოიძახებს:

მე ვნახე ძმობა მათ შორის
უმწიკვლო, როგორც ლალია,
ერთს ვერ შევნიშნე სიძულე
და შურიანი თვალია...[22]

ვაჟა-ფშაველა სწორედ ბუნების მოვლენათა ამ თვისებაში ხედავს ცხოვრების — ბუნების, როგორც მთლიან სამყაროს, დედააზრს, სილამაზეს, მიმზიდველობას. ეს განცდა ავსებს მას მაღალი ესთეტიკური და ეთიკური განწყობილებით.

თვალით ნანახი სიწმინდე
ჰნათლავს ბოროტ ფიქრთ კრებასა.
სულს ესხურება იაზმა,
ჭირთაგან იცრძნობ შვებასა[23].

პოეტიც, ამ სანახაობით მოხიბლული, მაღალი სიამოვნებისა და ბედნიერების განცდით აღტაცებული, წამოიძახებს:

და მე როს ვუმზერ, მწყურვალი
ვსვამ უკვდავების წყაროსა...
უბე მევსება მადლითა,
ვცდილობ არ დამეღვაროსა[24].

პოეტს ეს „უმწიკლო ძმობა", ეს ბუნებრივი, უშუალო და კეთილი კავშირი, ბუნებაში რომ არის განმტკიცებული, სურს ადამიანთა ცხოვრებაშიც იხილოს განხორციელებული. ამ მიმართულებით ესმის მას რევოლუციის ძალაცა და მნიშვნელობაც, რომ რევოლუცია გაასწორებს კაცთა ცხოვრების მრუდე გზას, დაამყარებს სწორ, ბუნებრივ და სამართლიან ურთიერთგაგებას.

რა თქმა უნდა, გასაგებია, რომ ვაჟა-ფშაველა მთების — იალბუზის, მყინვარის, ბორბალას, სპეროზასა და სხვათა ერთობაში სხვადასხვა ტომთა (არა მარტო ქართველთა) და ეროვნებათა (შესაძლებელია პირველ რიგში ჯერ მთიელთა) გაერთიანების იდეას გულისხმობს, რის გაღვივებასაც 1905 წლის რევოლუციურმა მოძრაობამ ხელი შეუწყო.

---

[22] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მთათა ერთობა, თხზ., ტ. IV, გვ. 204.
[23] ი ქ ვ ე, გვ. 205.
[24] ი ქ ვ ე.

ერთობის დიადი ძალა, 1905 წლის რევოლუციის ძალა რომ მკითხველსაც აგრძნობინოს, შეაგნებინოს მისი აუცილებლობა, სარგებლობა, გადამდები ძალა და ბუნება, ვაჟა-ფშაველა, იალბუზთან თავმოყრილ მთათ, რომელთაც შეესმათ „ხმა ერთობისა... გამოგზავნილი ბარითა“, დამარწმუნებელი საბუთიანობით ასე აალაპარაკებს:

ბალახნი, ტყე და ლოდები
იმსჭვალვის ამა მჭვალითა.
ქორნი, არწივნი, ყორნები, —
ნეტავ ვაჩვენა თვალითა, —
ისინიც ერთობისათვის
თითქმის არიან ძალითა.

ჰაერიც ამას გასძახის
ვარსკვლავებს ნიავ-ქარითა,
მგლებიც ერთობას ღმუიან
ნებსითად, თავის ჯარითა.
მთელის ბუნების ღაღადმა
ჩვენც ჩაგვაფიქრა ყველანი[25].

იალბუზი, როგორც მოთავე, გამოცდილი, დარბაისელი, რომელმაც გაიგო, რასაც მოსთქვამს „ბარის საყვირი“, რომელმაც ბარის დანაბარი „ბევრი აიღ-დაიღო“ და ახლა სურს მის გარშემო შემოკრებილ მთათ თავისი ნააზრევი გაუზიაროს, — აუხსნის, რას ნიშნავს მათთან შემოგორებული „წითელი კვერცხი“, რომელიც „ქაცთა მოგონილია თავის ცხოვრების წამლადა“ (რა თქმა უნდა, „წითელი კვერცხი“ სიმბოლოა რევოლუციისა; ამით ვაჟა-ფშაველას სურს მკითხველი ადვილად მიახვედროს პოემის ნამდვილ შინაარსს — მთათა საუბარს, გააგებინოს, რომ პოემაში ასახული მათი ურთიერთობა და ამოძრავება პოეტური ალეგორიაა, რომლის მიხედვითაც ის მკითხველს უჩვენებს სანუკველი რევოლუციისა და მის მამოძრავებელ პრინციპებს).

იალბუზი ასე ხსნის ამ „წითელი კვერცხის“ აგორების მიზეზს, და ეს ახსნა, უდავოდ, თვით ავტორისაც არის:

ბევრია საწყლობაშია
გადაქცეული ნაცრადა,
სხვა ფუფუნებას ვანიცდის,
ტანჯვა-ვაების ნაცვლადა.
კიდეც ეს გარემოება

ჰბადებს შურსა და მტრობასა —
ერთი მგელია ქაცთ შორის,
მეორე უწევს ცხვრობასა.
ეხლა თქვენ გკითხავთ, მითხარით,
მგელი მოიშლის მგლობასა?[26]

ვაჟა-ფშაველას კარგადა აქვს გაგებული, იმ დროის სოციალური ცხოვრების მოუწესრიგებლობის ძირითადი მიზეზი—კლასობრივი უთანასწორობა, ერთის (მცირე ნაწილის) ბატონობა მეორეზე (უმრავლესობაზე), ერთის ექსპლოატაცია მეორისაგან; ესმის, რომ ამ ნიადაგზე აღმოცენებული ქაცთა ღელვა არის „ამრევდამრევი უსწოროსი და სწორისა“. ამით ვაჟა-ფშაველა ამყარებს 1905 წლის რევოლუციის ძირითადი გამომწვევი და მამოძრავებელი მიზეზის გაგებას.

---

[25] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მთათა ერთობა. ი.ხ., ტ. IV, გვ. 207—208.
[26] ი ქ ვ ე, გვ. 208.

იალბუზის პირით ვაჟა-ფშაველა თავის პირად სოციალურ მრწამსს ააშკარავებს. ვაჟა-ფშაველა ერთს თავის დაუმთავრებელ წერილში წერს: „სიმართლე მწერლობაში ორ-ნაირად ითქმის, ამ თქმას ორგვარი ფორმა აქვს: ერთი პოეტური, ბელეტრისტული და მეორე პუბლიცისტური. საგანი იმათი ერთი და იგივეა — ცხოვრება, მისი მოვლენანი ძველი თუ ახალი, მიზეზი ამ მოვლენათა და შედეგი. ორივენი, ვსთქვათ, ერთსა და იმავე ჭეშმარიტებას ამბობენ, ერთსა და იმავე გზას ადგანან, მაგრამ ერთის თქმა ძლიერია, ღონიერი, ხოლო მეორესი, თუმცა სიმართლეა, მაგრამ ვერ აღელვებს კაცის გულს და გრძნობას პირველივით"[27].

ამიტომაა, რომ მან თავისი დამოკიდებულება 1905 წლის რევოლუციისადმი პოეტური სტილით გამოხატა პოემაში „მთათა ერთობა". ეს გზა მას უფრო ძლიერად მიაჩნდა. მით უმეტეს, რომ პოეტური ნაწარმოებით, გარდა მაღალი ემოციების გამოწვევისა, რასაც მკითხველზე დიდი გავლენა აქვს, მწერალს შეეძლო მკაცრი ცენზურისათვის თვალი აეხვია. ამიტომაც მხატვრული შემოქმედება თავისი ალეგორიებით ხშირად მწერლებისათვის და კერძოდ ვაჟა-ფშაველასათვის ხელსაყრელი და აუცილებელი ნიღაბი იყო მკაცრ ცენზურულ პირობებში.

ვაჟა-ფშაველამ ბუნებასთან უშუალო ურთიერთობაში გამოიმუშავა ბუნების მოვლენათა ზედმიწევნითი კარგი ცოდნა და გაგება. ამ ნიადაგზე მან კარგად აითვისა ბუნების ცხოვრების კანონზომიერებაც. პოეტი დარწმუნდა, რომ ეს კანონზომიერება მიზანშეწონილია — მას სიკეთის, სილაღისა და თანასწორობის დასაბამი აქვს. ეს კანონზომიერება, მწერლის გაგებით, ადამიანთა ცხოვრებისათვის კანონზომიერი უნდა იქნეს. თუ ადამიანთა ცხოვრება დარღვეულია, დაკნინებულია, უსამართლოა, მანკიერია და მახინჯი, ეს იმიტომ, რომ ბუნების ძირითადი კანონი ადამიანის მიერ უგულებელყოფილია, ბუნების სამართლიანი, კეთილი დასაბამი ადამიანს დარღვეული აქვს.

აი როგორ შეხედულებას გამოსთქვამს ვაჟა-ფშაველა თავის წერილში „სად არის პოეზია?" „ჩვენი ცხოვრება სრული გამომხატველია ბუნებისა... კაცთა ცხოვრებაშიც არეულობა, რევოლუციები მწუხარებით დაწყებულა, როგორც ცაზე ჭექა-ქუხილი. ვინც ბუნების ავი და კარგი შეიგნო, იმას არ გაუძნელდება ცხოვრების ვითარების გაგება. მხოლოდ უნდა მწერალი უყურებდეს ცხოვრებას, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ბუნების თვალებით. მწერალს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ბუნების კანონს არ უმტყუნოს, წესიერება ბუნებისა დაიცვას..."[28] ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა მგოსანი თავის პოეტურ შემოქმედებაში.

---

[27] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, რამე-რუმე, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

[28] მ ი ს ი ვ ე, სად არის პოეზია?, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

იალბუზს ვაჟა-ფშაველა ასე გამოათქმევინებს თავის აზრს:

დიაღ, თუ ჰკვა გვაქვს ჩვენ, მთებსა,
ცოტა რამ ცოდნა თავისა,
ერთობის ფარგალში ვცხოვრობთ,
ჩვენშ › ერთობა ჰყვავისა—
დიდი ხნიდანვე, არა დღეს,
ეს კაცთ ვერ გაუგავისა[29]

რა არის ის, რაზედაც ჰყვავის ბუნების მოვლენათა ერთობა და რაც ადამიანს ვერ გაუგია? ეს, იალბუზის (თვით პოეტის) ახსნით, არის ბუნების მოვლენათა შორის მჭიდრო, უვნებელი, სასარგებლო ურთიერთობა. ასეთი კავშირი, პოეტის გაგებით, ადამიანთა შორის დაკარგულია, აღარ არის. იალბუზი ბუნების მოვლენათა შორის კეთილ. მიზანშეწონილ და კანონზომიერ ურთიერთობას შემდეგნაირად გამოთქვამს:

ჩემთ ღრუბელთ ნამი თქვენ გნამავს,
თქვენისა მე მესხურება,
როგორაც თქვენა, ეგრეე მე
ცა ქუდად დაგვეხურება.
მიაქვს ჩვენიდან, ვისც რა ჰსურს,
რად ვინმე დაგვემდურება?
ჩვენის ამაგით სარგებლობს
და არც ჩვენ მიეფეთ ვინებით,
მიეხედ-მოეხედეთ თქვენს გულ-მკერდს,
სულ სავსე არის ბინებით.
როგორც ღღესნამდე მადლს ვსთესდით,
დღეიდგეც ასე ვიქნებით.[30]

იალბუზის ასეთს აზრს სხვა მთანიც ეთანხმებიან; ნიშნად სოლიდარობისა ედამიწაც თანდათანობით გუგუნებს; მთელი სამყარო, ამბობს მწერალი, ამჟამად იწყებს სოლიდარობის გაერთიანებული სურვილით „ნძრევას და ჩუჩუნსა“.

იალბუზი (ეჭვს გარეშეა ყველგან თვით ავტორი იგულისხმება) შემოკრებილებთან თავისი აზრის განვითარებას — მთათ (ბუნების) ცხოვრების კანონთა უპირატესობის აღიარებას განაგრძობს და ამბობს, რომ კაცნი მთათ ერთობას „ვერაფრით დაიწუნებენ“, თუ ისინი დინჯად, პირდაპირობითა და „მიუმდგარად“ ასწონენ ბუნებას თავისი მოვლენებით — მოვლენათა ურთიერთობით. იალბუზი აღნიშნავს, რომ კაცთა შორის მათი დამღუპველი უკეღმართი ურთიერთობა არსებობს.

იალბუზის პირით ვაჟა-ფშაველა თავის უარყოფით შეხედულებას ადამიანთა ცხოვრების მიმართ ასე გამოთქვამს:

ღმერთმა გვაშოროს, მოვიქცნეთ
ჩვენც ადამიანთ გვარადა:
თუ ერთმა მეორე ერი
დაიპყრო, დაიმონავა,
გაანადგურებს, გაჰქელავს,
არ შაიბრალებს ოდნავა;
სულს აძრობს, ჰკვეთავს ენასა,
არ ათქმევინებს სათქმელსა
თავის ენაზე, თვის რჯულზე
არ ანთებინებს სანთელსა.
ვინ მოსთვლის, უსამართლობას
საწყალს დაჰმართებს რამდენსა![31]

---

[29] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მთათა ერთობა, თხზ., ტ. IV, გვ. 213.
[30] ი ქ ვ ე, გვ. 213—214.
[31] მ ი ს ი ვ ე, მთათა ერთობა, თხზ., ტ. IV, გვ. 216.

ადამიანთა და ეროვნებათა ცხოვრების ამ უარყოფით დახასიათებაში გარკვეულად, ნიშანდობლივადა და მკვეთრად იგრძნობა ვაჟა-ფშაველას თავისი ეპოქისადმი, თანადროულობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. მკითხველი ნიშანდობლივ გრძნობს მეფის რუსეთის მიერ ქართველი ხალხის პოლიტიკურ შევიწროებას, ჩაგვრას, სამშობლო ენის ძალმომრეობით წართმევის ცდას, რასაც პოეტი ენერგიულად ებრძოდა.

ამ გარემოებითაც აიხსნება, რომ ვაჟა-ფშაველა 1905 წლის რევოლუციას აფასებს როგორც ადამიანთა სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის მომწესრიგებელ ძალას, ისე პოლიტიკური-ეროვნული ჩაგვრის მომსპობ და მცირე ეროვნებათა განთავისუფლების მეჩირაღდნეს. მცირე ერთა გაერთიანებისა და განთავისუფლების საკითხი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ვაჟა-ფშაველამ მტკივნეულად წამოაყენა ჯერ კიდევ 1882 წელს ს. უფლისციხეში ხალხოსანთა არალეგალურ ყრილობაზე. ამით აიხსნება, რომ იალბუზს ავტორი თავის შეხედულებას ამ მიმართულებითაც გააშლევინებს.

იალბუზი აღნიშნავს, რომ „მთათა ბუნება არ სწყრება სხვადასხვა ენათ სმენითა". ის ამბობს:

ისევე ვსტკბებით ღმუილით,
როგორც შურთხების სტვენითა[32].

იალბუზი დადებით და მისაბაძავ თვისებად ბუნებას კიდევ იმ გარემოებას უთვლის, რომ ბუნებაში ყველანი თავისუფლად გრძნობენ თავს და თავისუფლად „ამბობენ, რაცა სწადიანთ თავის მშობელის ენითა". სწორედ ბუნების მოვლენათა ასეთ თვისებაში, მათ სხვადასხვაობაში, თავისთავადობაში ხედავს იალბუზი (ვაჟა-ფშაველა) ბუნების კანონის ქებისა და გონიერების საფუძველს. სწორედ ამ მრავალფეროვანებაში ხედავს იალბუზი მთლიანი ცხოვრების სილამაზეს, შნოს, აზრს (რაც ასე დამახასიათებელი იყო თვით ვაჟა-ფშაველასათვის მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე).

მთათ შეკრებულება, იალბუზის წინადადების თანახმად, ბარს შემდეგი შინაარსის თანხმობის დამყარებას ურჩევს:

ესწრაფოს თავისუფლებას,
ცხოვრება ჰქონდეს ხალბათი;
თუ ვინმე გაბატონდება, —
მოსპოს შნოება, ლაზათი, —
იმას ეურჩოს, შეჰმართოს
და გაუწიოს კამათი[33].

აქ მეღავნდება ვაჟა-ფშაველას არა მარტო მისწრაფება ქართველ ტომთა გაერთიანებისა, არამედ, აგრეთვე, მწერლის ინტერნაციონალური სულისკვეთება, მისი ინტერნაციონალური პოლიტიკური კრედო

[32] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მთათა ერთობა, თხზ., ტ. IV, გვ. 217.
[33] ი ქ ვ ე, გვ. 218.

(უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველას ინტერნაციონალური კრედო სუბიექტური განწყობილების საფუძველზეა აღმოცენებული და გაშლილი). ასე ჰქონდა მას წარმოდგენილი ხალხთა. ეროვნებათა მეგობრულ ურთიერთდამხმარე კავშირი მომავალში.

ცხადია, ვაჟა-ფშაველას ინტერნაციონალიზმის იდეა საყოველთაოდ ყველა ერისათვის საჭიროდ, სასარგებლოდ და სავალდებულოდ მიაჩნია. ასეთივე იდეაა განსახიერებული პოემაში „მთათა ერთობა“.

იალბუზის მსჯელობაც ამ მიმართულებით იშლება. მის წინადადებას მთები იღებენ და მყინვარის პირით კატეგორიულად შემდეგ აზრს ხაზგასმით აღნიშნავენ:

სწორია, ბატონობასა,
ერთის მეორის ჩაგვრასა
ვერ მოვიწონებთ ვერა დროს,—
აშკარად ვამბობ ამასა.
ერი ერისგან ჩაგრული,
თუ კაცი კაცის მიერა,
ულმერთობაა დიადი,
გულის საკლავი ძლიერა;
ერთი მეორის წყალობით,
რად უნდა იყოს მშიერა
სულით და ხორცით? ეს მეტად
კაცთ დამამცრობი წესი.[31].

ეს აზრი ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობაში ძირითადია და წამყვანი. მკვეთრადაა ხაზგასმული მწერლის თანადროულობაში გაბატონებული უსამართლოდ კაცის ჩაგვრა, მისი პიროვნების შეზღუდვა, გაბატონებული კლასობრივი და მასების განწყობილება ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, რის დამთრგუნველადაც თვით მწერალიც გამოდის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პოემა „მთათა ერთობის“ მიხეღვით ვაჟა-ფშაველა 1905 წლის რევოლუციის მნიშვნელობას იმაშიც ხედავს, რომ რევოლუციის მსვლელობამ მებრძოლ სოციალურ ფენებს (რა თქმა უნდა, ამბოხებულ, დამორჩილებულ მშრომელთა ფენებს) დაანახვა მათი ძალა, უნარი და მნიშვნელობა უკეთესი მომავლის დამყარების საქმეში. ამ გარემოებამ მათში განამტკიცა ახალი, რევოლუციური გზით სვლის გადაუდებლობისა და შესაძლებლობის რწმენა:

დღეს ვსცანით დაკვირვებითა
ჩვენი ძალი და ღონია,
სიავ-სიკეთე თავისა,
ერთობის შესაწონია.
მეტს არც რას ვეძებთ. არცა ვთხოვთ,
მთათა ერთობა კარგია.[33]

იალბუზი, აღნიშნავს რა ბარის გაჭირვებულ მდგომარეობას. რადგანაც იქ კაცის ცხოვრება გამხდარა სადავოდ, ძალმომრეობისა და „ტაციაობის“ საგნად, — მოუწოდებს მთათ დაეხმარონ ბარს, შეუსუბუქონ მას მდგომარეობა; ამცნონ მას თავისი თანაგრძნობა „მტირალს და მოხარხარესა“.

---

[34] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მთათა ერთობა, თხზ., ტ. IV, გვ. 218, 220.
[35] ი ქ ვ ე.

მთათ იალბუზის წინადადება მიიღეს, თავიანთი თანაგრძნობისა და დახმარების გადაწყვეტილების გადაცემა მათ მთათ ასულს ნიავს მიანდეს, რათა ის მოზრდილი და მაგარი მხრებით გადაიქცეს „მხვივან ქარადა“, ყოველ მხარეს იქროლოს და მათი დანაბარები ყველას გადასცეს.

ქარი აგიტატორის სიმბოლოა. ვაჟა-ფშაველას აუცილებლად მიაჩნია ფართო აგიტაცია ახალი, სასარგებლო იდეებისა, რაც ასე ფართოდ და ნაყოფიერებით გაიშალა 1905 წლის რევოლუციის მოძრაობაში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

თანაგრძნობის, ამოქმედების, დახმარების, გათავისუფლების განწყობილება, ნათქვამია პოემაში „მთათა ერთობა“, ქარმა კიდით-კიდემდე მოჰფინა. ასეთ განწყობილებას ყველა კმაყოფილებით შეხვდა.

ეს თანაგრძნობის ძალა უფრო რომ გაზარდოს და მკითხველსაც შთაუნერგოს, მგოსანი შემდეგ საშუალებას მიმართავს. თვით უდროოდ გადასულნიც კი, ნათქვამია პოემაში, სიამოვნებით იღებენ ამ ცნობას; ისინიც მთის თხემზე იკრიბებიან „ძაძით შემოსილები“, იწყებენ ტკბილ გალობას, შესთხოვენ უფალს მთა-ბარს „მოანიჭოს წყალობა“:

ნუგეშმცემელად ეყავი
დაჩაგრულებსა ყველათა.
თავისუფლების გვირგვინი
დაადგი კარვის მცველადა.
დათრგუნე უსამართლობა,
გამეფებული ქვეყნადა[31].

ცოცხლად და მიმზიდველადაა მოცემული პოემაში საერთო, გაღვიძებული, ანაკადებული მოძრაობა, მოქმედება თავისუფლების, სამართლიანი პირობების მოსაპოვებლად, უსამართლობის, ძალმომრეობის დასათრგუნავად. ვაჟა-ფშაველასაც, პოემის ლირიკული ადგილების მიხედვით. ბუნების ამოძრავების ეს სურათი მთელი არსებით იტაცებს (ისიც ხომ გატაცებით იყო ჩაბმული რევოლუციურ მოძრაობაში).

რევოლუციური განწყობილებისა და ბრძოლის სიდიადე უფრო რომ გაზარდოს, მკითხველზე რომ უფრო გადამდები გახადოს, მგოსანი საერთო ამოქმედებულ აღტყინებულ მოძრაობას მოხერხებულად ჩაურთავს ქართული ხალხური პოეზიის ლეგენდის გმირის მიჯაჭვული ამირანის თანაგრძნობას (მიჯაჭვული ამირანი ხალხურ პოეზიაში ხომ სიმბოლოა ხალხისათვის მიწაზე სიკეთის (ცეცხლის) მოტანისათვის დასჯილისა კავკასიონის ქედზე მიჯაჭვით, ხოლო XIX საუკუნის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში მიჯაჭვული ამირანი სიმბოლოა აგრეთვე დამონებული საქართველოსი).

ამირანიც, აღფრთოვანებული განთავისუფლების იმედით, შინაგანი რწმენით, კლდიდან ბობოქრობს, გაჰკივის, დაჟინებით ურჩევს მთასაც და ბარსაც სამართლიანი თავისუფალი ცხოვრების მოპოვებისა და დამ-

[31] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მთათა ერთობა, თხზ., ტ. IV, გვ. 237.

ყარებისათვის ძალა მოიკრიბონ, ვინაიდან მხოლოდ გაერთიანებული ძალით შეიძლება თავისუფლებისა, ერთობისა და სამართლიანობის დამყარება ქვეყნად.

ძალის შეძენა გვიშველის
მეც და სხვას, ვინაც ტანჯულა
მართლა, თუ უსამართლოდ.
სხვა არა გამონახულა
მის გარდა საშუალება,
როგორც მიცნია სოფელი.
ხომ მხედავთ, რა ყოფაში ვარ,
ქვეყნის კეთილის მყოფელი, —
ხალხისთვის თავდადებული,
როგორც შვილისთვის მშობელი?![37]

აშკარაა, ვაჟა-ფშაველასაც მისაღებად და აუცილებლად მიაჩნია თავისუფლებისა და სამართლიანობის მოპოვება მხოლოდ ძალით, რევოლუციური გზით.

ამირანისათვის, მწერლის ჩვენებით, ყველაზე მტანჯველია უქმი სიცოცხლე და მოუხმარები მისი დიდი ძალ-ღონე. მას მეტად აღონებს ქვეყნის მძიმე ბედიც, მტრის უსამართლობა-ძალმომრეობაც. და ეს მწუხარება მისი მით უფრო დიდია და მწარე, რომ ის მიჯაჭვულია და არა აქვს შესაძლებლობა უსამართლობასთან ბრძოლაში თავისი ძალა გამოიყენოს.

ამირანის შინაგან წვაში, ვფიქრობთ, ვაჟა-ფშაველა თავის პირად შინაგან წვასაც ანსახიერებს, იმავე საზოგადოებრივი ტკივილით გაძოწვეულს, რომ მისი ბუმბერაზი ნიჭი (რომლის შემეცნება, უდავოდ, მას ჰქონდა და ხანდახან არცა მალავდა) და ფიზიკური ძალაც ვერაფერს შველოდა ქვეყნისა და ხალხის განთავისუფლების საქმეს.

პოემა „მთათა ერთობა", როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, დაწერილია 1908 წელს, რეაქციის ხანაში, ამიტომ, ბუნებრივია, მკითხველი ელის გაიგოს ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება რეაქციის მიმართ ამ წლებში. მკითხველის ამ მოთხოვნილებას თვით მგოსანიც გრძნობს.

მოგვცა რა 1905 წლის რევოლუციის წამყვანი ძალებისა და საფუძვლების მხატვრული გაგება-შეფასება, მწერალი თვითონაც კარგადა გრძნობს, რომ აუცილებელია ამ დიდი მოვლენის საბოლოო დასკვნითი შეფასება. პოემის ეპილოგი შემდეგნაირად ამთავრებს სურათის გადმოცემას: დაიწყო შავფერა ნისლმა გროვა და გროვა მოდენა: თან მოაქვს ოხვრა და კვნესა, ხალხის ჟივილ-ხივილი, გულის ტკივილი:

გადაეხურა, ვით ძაძა,
მთებს ჯანღი პირით-პირამდე.
არც ავს ამბობენ, არც კარგსა,
სულ სდუმან კვირით-კვირამდე.
ბარსა უმალვენ სახესა
თხემებით დაბლა ძირამდე.
უნდა ვუცადოთ ამირანს
გამოუშვებენ მინამდე.
მაგრამ სადა და როდისა?
მისვლა გაჭირდა შინამდე[38]

ასე განიცდის და ასე გვიხატავს 1905 წლის რევოლუციას და მის შემდეგ დაწყებული რეაქციის მძვინვარებას ვაჟა-ფშაველა.

[37] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მთათა ერთობა, თხზ., ტ. IV, გვ. 237.
[38] ◦ ქ ვ ე, გვ. 233.

ამირანის გამოშვების მოლოდინი — ეს სიმბოლოა ახალი რევოლუციისა; ახალი, სამართლიანი ქვეყნის დამყარების მოლოდინია, რომელსაც მშრომელ მასებთან ერთად მგოსანიც ასეთი გატაცებით ელოდა და უმღეროდა. ვაჟა-ფშაველას ღრმად სწამს, რომ უსამართლობა, აწ ქვეყნად გამეფებული, მოისპობა, ადამიანთა ცხოვრება გაიშლება და მოწესრიგდება სიყვარულისა, თანასწორობისა და სამართლიანობის საფუძველზე. თავის ამ განწყობილებას ვაჟა-ფშაველა იალბუზს ასე გამოახატვინებს:

ადამიანნი თავის თავს
დღესა, ხვალე თუ გვიანა,
მოუძებნიან წამალსა,—
რამაც კი დააზიანა.
ყაცთა საერთო ცხოვრება
მათი ძმობა და ერთობა[39]

ვაჟა-ფშაველამ, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ტიპიური გამომხატველი იყო ამოძრავებული და აღმავლობის გზაზე შემდგარი გლეხობის ფსიქოიდეოლოგიისა, ვერ შეძლო სათანადოდ გაეგო კლასთა შორის ბრძოლის ნამდვილი ბუნება და მისი ისტორიული როლი და მნიშვნელობა ქვეყნის სამართლიანი მოწესრიგების, ახალი საზოგადოებრივი დამოკიდებულება-განმტკიცების საქმეში. მაგრამ რწმენა, რომ თავისუფალი, სამართლიანი — ძმობა-ერთობის ქვეყანა დამყარდება, ვაჟა-ფშაველას გოლიათურ ძალას უფრო აძლიერებდა.

პოეტი მძიმე საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების პირობებში გულს არ იტეხდა, წინ იმედიანად იცქირებოდა, თავის „ბუკსა და ნაღარას“ იმედიანი მოტივებით ძალუმად აჟღერებდა. პოეტი 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაშიც ამიტომ ჩაება გატაცებით; რეაქციამ ამიტომ ვერ გატეხა ის.

ამიტომაა ვაჟა-ფშაველა ჩვენთვის ასეთი მახლობელი. ამიტომ ის არა მარტო თანადროულობის, არამედ მომავლისაც დიდი პოეტი იყო.

---

[39] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, მთათა ერთობა, თხზ., ტ. IV, გვ. 210.

თავი III

გმირის (კაი ყმის) სახე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

ვაჟა-ფშაველას პოეტური მოღვაწეობის ეპოქა, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, დიდი სოციალური ძვრების ხანაა არა მარტო საქართველოს ცხოვრებაში, არამედ რუსეთსა და, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში. ხსენებულ პერიოდში, როგორც ზევითაც ითქვა, რუსეთსა და საქართველოში ჯერ საბოლოოდ არ არის დამთავრებული გამძაფრებული ბრძოლა ფეოდალურსა და ბურჟუაზიულ კლასთა შორის. ხდება ფეოდალური ყოფის სწრაფი, კატასტროფული რღვევა, თანდათანობითი ინტენსიობით იწყება ისტორიული მოძრაობა აღმავალი კაპიტალიზმისა, ამ ნიადაგზე ჩნდება მძლავრი სოციალური გადანაცვლება.

აქვე იწყება ჭიდილი ახლად მომაგრებულ (რუსეთში მომაგრებულ, ხოლო საქართველოში ახლად ფეხადგმულ) პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის.

ასეთს ეპოქაში, ჩვეულებრივ, ისმება საკითხი ცხოვრების ახალ საფუძველზე გარდაქმნისა, ახალი გზების ძიებისა; ჩნდება მოთხოვნილება ახალი ადამიანისა, რომელსაც შეუძლია თავისი გამჭრიახობით განსჭვრიტოს ცხოვრების განვითარების ჯერ კიდევ დაფარული გეზი, გამოარკვიოს, გაიგოს მისი არსი, საჭირო საფუძვლები და მასებიც ამ მიმართულებით წაიყვანოს.

ასეთს პერიოდში ისმება პრობლემა გმირისა — ახალი ადამიანის ან, როგორც თვით პოეტი იტყოდა, „კაი ყმისა“, რომელიც ამ მიმართებით საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზებას ხელს შეუწყობს.

აი როგორ გამოჰხატავს ამ ეპოქის მოთხოვნილებას ვაჟა-ფშაველას თანამედროვე დიდი რუსი მწერალი მ. გორკი: „Нужны подвиги, подвиги! Нужны такие слова, которые бы звучали, как колокол набата, тревожили все и, сотрясая, толкали вперед“[1].

ვაჟა-ფშაველაც, რა თქმა უნდა, ეპოქის ამ ძირითად საკითხს და მოთხოვნილებას ეხმაურება. მის წინაშეც, მთელი ცხოვრებისა და შე-

[1] М. Горький, Забытые рассказы.

მოქმედების მანძილზე, მთელი სიმძიმითა და სიმწვავით დგას საკითხი გმირის, ვაჟკაცის — „კაი ყმის“.

ვაჟა-ფშაველა მთის შვილია, იმ მთისა, რომელიც ჯერ კიდევ ცხოვრობდა დევ-გმირთა ზღაპრული ამბებით. მამაცობა, საქმე საგმირო-საარაკო — აი საზომი ადამინის ვაჟკაცობის შეფასებისა მთაში, რაც იქ საუკუნეებით იყო შემონახული მდიდარ ზეპირშემოქმედებაში და თავისებურ ყოფა-ცხოვრებაში.

თვითონ ვაჟა-ფშაველა ასე ხსნის ვაჟკაცის კულტს, შემონახულს მთაში: „რადგან ძველის-ძველი კაცობრიობის ცხოვრება მუშტზე და ძალაზე იყო დაფუძნებული, ერთი თემი მეორესა ჰლაშქრავდა ხშირად უსაფუძვლოდ, მხოლოდ მოწადინებისა და სურვილისამებრ; დამჩაგვრელი დაჩაგრულს არბევდა, ამონავებდა. ყველა თემისათვის იმ დროებაში, რასაკვირველია, პირველი ღირსება ვაჟკაცობა იყო. ვისაც გული და ჯანი უჭრიდა, იგი იყო მაშინ კაცი; ვაჟკაცი ხდებოდა საგნად მღერისა, ლექსისა, ამბისა, ზეპირ-გადმოცემისა“[2].

დაახლოებით ასეთსავე აზრს გამოსთქვამს ხალხური გმირების შესახებ ილია ჭავჭავაძეც: „ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელს, თავის ღონეს და შეძლებას, თავის ხატსა და მაგალითს“.

ვაჟა-ფშაველაც, აღზრდილი ხალხური ზეპირგადმოცემის ტრადიციებზე, ასევე უყურებდა და აფასებდა ვაჟკაცსა და მის საქმიანობას. ამით აიხსნება, რომ პოეტი ბარში ვერ თავსდებოდა, ბორგავდა, მისი პოეტური ხედვა ვერ იღებდა სათანადო საზრდოს ბარის დაკნინებულ, დაჩიავებულ ცხოვრებაში, როგორც მგოსანს ეს ეჩვენებოდა და იტყოდა, და მთელი თავისი დიადი დამოუკიდებელი ბუნებით მთისკენ გაშმაგებით მიიწევდა. სწორედ მთაში, მის ცხოვრებასა და პოეზიაში ეძებდა ვაჟა-ფშაველა სათანადო მასალას, საზრდოს; სწორედ აქ ჰქუხდა მისი ჩანგის პოეტური აღმაფრენა „ცად ასაწევად“. და ეს განწყობილება, შემოქმედების ეს გზა ვაჟა-ფშაველაში შეუცნობლად ან შემთხვევით კი არ ვითარდებოდა, არამედ სრულიად შეგნებულად, კანონზომიერად, ალბათ, დიდი აწონ-გაზომვის შედეგად, როგორც ეს მისთვის იყო დამახასიათებელი. ეს გარემოება აძლევდა მგოსნის შემოქმედების გმირებს მხატვრულ კონკრეტულობას.

აი რა საგულისხმიერო აზრს გამოთქვამს ვაჟა-ფშაველა: „ხალხი, ნათქვამია, კრებულად გენიოსია, დიდის ნიჭის და მოსაზრების მექონე. მართლაც, აზრი და შეხედულება ხალხისა რომელსამე საგანზე გაცილებით საყურადღებოა და უტყუარი, ვიდრე ცალკე პირსა, თუნდა იგიც გენიოსი იყოს... ხალხის შეხედულება უფრო ჭეშმარიტია იქ, სა-

---

[2] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, გმირის იდეალი ფშაველების წარმოდგენით, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

დაც რომელიმე ავტორიტეტი არა სჩრდილავს ხალხის გონებას და ზეიდამ არ აწვება, როგორც მაგალითად პრაქტიკული ცხოვრებაა და კაცთა ერთმანეერთთან დამოკიდებულება... ხალხის აზრი გამოხატება მის თქმულებებში: პოეზიაში, ზღაპრებში, ანდაზებში და სხვ.“[3]

აი აქ, მთაში, მთის ვაჟკაცურ ცხოვრებას, მთის ხალხურ ზეპირგადმოცემებს ხარბად დაეწაფა ვაჟა-ფშაველას პოეტური აპერცეპცია. აქ იპოვა მან ღირსეული მასალა ვაჟკაცის ნამდვილი სახის შესაქმნელად. მასალისა და გმირის სახის, ხალხური შემოქმედებისა და ჩვეულებათა ათვისების გზით გაცნობისა და გააზრების შემდეგ. სანამდე პოეტის შემოქმედებითი ლაბორატორია თვით თავისში გადაამუშავებდა ამ სახეს, ვაჟა-ფშაველა წერდა: „გმირი, ვაჟკაცი ფშაურს ლექსებში „კაი ყმად“ იხსენიება; იგი ეკუთვნის თემს და ემსახურება მას, იმის გულისათვის იბრძვის, მისი მაღალი ზნეობა და ხასიათი თემის წრის გარეთ არ მიდის. ფშაური გმირი თავის თემის წრეში მოქმედობს, გარეგნობით არ არის თვალ-გულმისასვლელი, არა ჰგავს მზესა და მთვარესა. სახიერებით, არამედ არის „სვილის ფერა“, „შავგვრემანა“; „ქალისპირა“ ვაჟკაცი გმირად არ გამოდგება, ფშავლის აზრით, იგი მხდალია“...[4] ასეთი აზრის დასამტკიცებლად პოეტს მოაქვს ნიმუშიც ფშაური პოეზიიდან:

დათვო, სოქვი შენსა რჯულზედა,
ვინ უფრო გეომებოდა?
— ვაჟაი სვილის-ფერაი
ტოტ და ტოტ მეომებოდა;
ვაჟაი ქ ა ლ ი ს-პ ი რ ა ი
გორის პირს ეფარებოდა[5].

ვაჟა-ფშაველამ დიდი სიყვარულითა და მზრუნველობით ამოკრიფა ხალხური შემოქმედების სალაროდან ეს მარგალიტები და დიდი ოსტატის მარჯვენით თავის შემოქმედებაში „კაი ყმის“ მეტად თავისებური, მიმზიდველი სახე გამოსჭედა.

ვაჟკაცი, ვაჟა-ფშაველას შეხედულებითაც, მტკიცე ხასიათის, უშიშარი, გულად რომ რკინა უძევს, მაღალი გრძნობისა და გამჭრიახი გონების კაცია. ის თავის ძალას, უნარს, ნიჭს ქვეყნის დაცვასა და მტერთან ბრძოლაში იყენებს. ვაჟკაცს მტერთან ომში ყოფნა ისე მიაჩნია, როგორც ლხინში, ტყვიის ხმა — დედის ნანად. ომის წინ ვაჟკაცისათვის ჩვეულებრივი, გმირული, შეუდრეკელობის გამომხატველი სიმღერაა:

. . . . . .

გული გავლესოთ გრძნობითა,
საცაა დაჰკრავს ნაღარა;
ერთი დავსძახოთ ქართულად?
ხვალ არ გვეცლება, აღარა;
დაე, იტირონ დედათა,
შვილთა ლაშქარში წასვლაზე:
ან ვისახელოთ, ან გაეწყდეთ
ომში პირველად ჩასვლაზე[6].

[3] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, გმირის იდეალი ფშავლების წარმოდგენით, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

[4] ი ქ ვ ე.

[5] ი ქ ვ ე.

[6] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ომის წინ ჯარის სიმღერა, თხზ., ტ. I, 1946 წ., გვ. 48.

მთიელი, მგოსნის დახატვით, ვაჟკაცობის ასეთს ტრადიციაშია აღზრდილი. ის ბავშვობიდანვე თავის გარშემო გამუდმებით ხედავს გმირობის, ვაჟკაცობის მაგალითს, ჭირსა და ომში საარაკო გამძლეობას. მთიელს ასაზრდოებს, ზრდის წინაპართა ანდერძი მამიდან შვილზე, როგორც წმიდათა წმიდა, გადმონაცემი:

ვაჟკაცს არ ჰშვენის ცრემლის ღვრა,
ქვითინი დიაცურადა.
მტერს ხმალი უნდა საფთხულად,
ყვალზე მიყოლა მგლურადა:
. . . . . .

ნუ დაისვენებ, ებრძოლე
მტერს, მინამ გიდგა სულიო.
შვილო, მეც ეგრე ვიყავი,
ეგ არის ჩვენი სჯულიო[7].

ამიტომ მთიელი იმას თვლის ნამდვილ ვაჟკაცად, მისი რწმენით, იმას „ჰშვენის თავზე გვირგვინი“, იმაზეა ალალი „ნანა და ძუძუ დედისა“, ვინც ქვეყნის დასაღუპავად მრავლად მოზღვავებულ ჭირსა და განსაცდელს მკერდს მიაპყრობს, ვინც „აზრისა და სიმართლისათვის“ ვაჟკაცურად კვდება.

ვაჟა-ფშაველას გაგებითაც ვაჟკაცი, ქვეყნის მტერთან და უბედურებასთან ბრძოლაში თუ სახელს არ იშოვნის, შინ დაბრუნებას სამარცხვინოდ უნდა თვლიდეს. სამაგიეროდ, „მშობელი ქვეყნის დარაჯი“, გმირულად ვალმოხდილი, ვაჟკაცი, მტერთან ბრძოლაში მოკლული, ხალხში მოწიწებული პატივისა და თაყვანისცემის საგნადაა გადაქცეული. მთიელი ხალხი ასეთს ვაჟკაცს დასტირის, ცდილობს გააპატიოსნოს ის, როგორც ამას ქვეყნის ადათი მოითხოვს.

ვაჟა-ფშაველა ცოცხალ ფერებსა და ხაზებში გვიხატავს სოფლის დამოკიდებულებას გმირულად მკვდარი ვაჟკაცისადმი ლექსში „სიკვდილი გმირისა“.

საერთო პატივისცემას იწვევს გმირი ბერიძის დანატოვები ანდერძი — ვის გადაეცეს მისი იარაღი და ცხენი. იმას, — ნათქვამია, — ვინც მას ღირსეულად, ვაჟკაცურად გამოიყენებს. მთელი თემი გარს შემორტყმია მტერთან ბრძოლაში მოკლულ ვაჟკაცს — ბერიძეს, რომელსაც „შავეთს“ მისდევს „საგძალი აქ მოხვეჭილი მადლისა“.

გმირის ეზოში საერთო გლოვის ზარი დგას:

შაჭირვებულა სოფელი,
ძებნა სჭირდება ბადლისა:
ვაი, რომ ცუდი ბევრია,
ჰოვნა ძნელია კარგისა![8]

---

[7] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, პაპიჩემის ანდერძი, თხზ., ტ. I, 1946 წ., გვ. 28.
[8] მ ი ს ი ვ ე. სიკვდილი გმირისა, თხზ., 1946 წ., გვ. 222.

ხალხმა გამოცდილებით იცის, რომ ჭირსაცა და ლხინსაც გაძლება და გაძღოლა უნდა. არც ერთსა და არც მეორე გარემოებაში კაცმა თავი არ უნდა დაკარგოს. თავი ისე უნდა დაიჭიროს, როგორც შეჰფერის ვაჟკაცსა. გმირის საქციელი მოძმეებს ცხოვრების ყოველ მდგომარეობაში უნდა ზრდიდეს, აკაქებდეს. კაცის ნამდვილი ბუნების გამოვლინება უფრო ჭირში, გაჭირვებაში ხდება თვალსაჩინო. მის გამძლეობას ყველაზე მკაფიოდ მწუხარება და განსაცდელი ამჟღავნებს. „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო“, ტყუილად კი არა თქვა ხალხის გენიამ. და ეს თქმა, ისედაც ხელიხელ საგოგმანებელი. უკვდავმა შოთამ გონივრულობის მწვერვალზე აიტანა და როგორც წმინდა, ურყევი მცნება დაუტოვა მკითხველს და პირველ რიგში, საერთოდ, ქართველ მკითხველს, რომელსაც მტერი საუკუნეების მანძილზე რკალივით ჰყავდა შემორტყმული.

ვაჟა-ფშაველაც, აკვირდება რა ქართველი ხალხის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების შევიწროებულ, მჩაგვრელ პირობებს, რწმუნდება, რომ იმ უდროობის ხანაში ქართველ ხალხს ესაჭიროება „ჭირსა შიგან სიმაგრე“. მგოსანი რწმუნდება, რომ ქვეყნის საერთო საზოგადოებრივი ცხოვრების აღორძინება, გაჯანსაღება თხოულობს ქვეყნის შვილებისაგან ხასიათის სიმტკიცეს, მსხვერპლს, გამძლეობას.

ასეთი შეხედულება ვაჟა-ფშაველას დიდი მიწვდომით აქვს განსახიერებული ლექსში „ჭირისუფალი“.

ჩალხიას ეზოში დგას გლოვა-ტირილი ხალხისა. მოსვლია მას „მთელი სოფელი, მოკეთეები შორითა“, ყველას ღვარი ჩამოსდის ცრემლისა: ჩალხიას დერეფანში სამი კუბო დგას, „სამი ცხედარის საწოლი. ერთი დედაა შვილების, — შვილები მასთან ნაყოლი“. აღარავინ დარჩა ჩალხიას, „აღარც ლაშქრობის ერთგული, აღარც საქმეზე გამყოლი“. მეზობელ-მოკეთეების ტირილითა და ზარით „დგანდგარებს მთელი დარბაზი, მკვიდრად ნაგები ყორითა“. მაგრამ ჩალხია, რომელსაც დიდი უბედურება დაატყდა თავზე და რომელიც აღზრდილია შეგნებაზე, რომ „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა“, არას ამბობს: ის გაშმაგებით „ჩიბუხსა ჰსუტავს მხოლოდა“, თითქოს თუთუნის წვაში უნდა დაწვას, დაფერფლოს თავისი გამოუთქმელი დარდი. მას, — ამბობს პოეტი, —

> როგორც ქვას ცრემლი არ ძოსდის,
> გული თუმც სტკივა მწარედა;
> გულშივე ჰხარშავს ნაღველსა,
> არ გაჰოაჩენს გარეთა.
> („ჭირისუფალი“)

ჩალხიას ასეთი ქცევა იქ მყოფთ არ უკვირთ. ისინი ჩალხიას იცნო-

ბენ, როგორც ვაჟკაცს, და კარგადაც იციან, რომ ვაჟკაცს არ შეშვენის თავისი მწუხარებით ხალხი „აცრემლ-ატიროს“ და გალაღებული მტერი გაახაროს.

ჩალხიას ეზოში მოზარეები გამრავლდნენ, ტირილიც გახშირდა, მაგრამ მისი გული ამ დროს „უფრო და უფრო გაქვავდა“. ჩალხიამ, როგორც ვაჟკაცმა, არა მარტო ფიზიკური ძალით დაჯილდოებულმა, არამედ აგრეთვე საღი გრძნობითა და გონებითაც, კარგად იცის, რომ ის „ვერ შესძლებს შეუძლებელსა“. ამიტომაც ის „ჯავრს ვერ დაიჩნევს გულზედა“.

ჩალხიას ასეთი ვაჟკაცობით აღფრთოვანებული პოეტი წყვეტს მისი მიმზიდველი ბუნების დახატვას და გკაძლევს, გვიხსნის მიზეზს, რომელიც ჩალხიას ამოძრავებს:

ჩალხიას ასეთი ქცევა
სხვებისთვის მაგალითია—
გააადვილოს სიკვდილი
ლაჩარის ხალხის თვალშია.
(იქვე)

ასეთია მორალური სახე და ძალა ვაჟკაცისა. ამიტომაა ის სათაყვანებელ საგნად გამხდარი, ამიტომ იქმნება მის შესახებ ლეგენდები, სიმღერები, რაც ზრდიდა ხალხს, რაც მის საზოგადოებრივ გრძნობას ამახვილებდა.

* * *

ვაჟკაცის სახეს, ახალი დროის შესაფერი მოქმედი კაცის — გმირის სახეს ვაჟა-ფშაველას პოეტური აპერცეპცია ხანგრძლივი დროის განმავლობაში და დიდი შინაგანი ტკივილებითაც ეძებდა. ეს გარემოება დაკავშირებული იყო მწერლის მსოფლმხედველობის თანდათანობით გარკვევასთან, მწერლის თანადროულობის მიერ წამოყენებულ რთულ სოციალურ და პოლიტიკური მოვლენებისადმი დამოკიდებულების გარკვევასთან.

ვაჟა-ფშაველა კარგად ხედავდა და მტკივნეულადაც განიცდიდა, როგორ იზრდებოდა და მწვავდებოდა მასების (რა თქმა უნდა, მისთვის უფრო გლეხობის) წინააღმდეგობა, როგორც სოციალური, ისე პოლიტიკური ჩაგვრით. ამიტომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გმირული სახეები გამოხატავენ რევოლუციურ იდეას, რომელიც ხალხის, განსაკუთრებით გლეხობის წიაღში მწიფდებოდა ბიუროკრატიული თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტური წყობილების გასანადგურებლად. ამაში იხატებოდა ვაჟა-ფშაველას წინათგრძნობა რევოლუციური ქარიშხლის მოახლოვებისა და მწერლის შინაგანი მოთხოვნილება მისკენ გზის გაჭრას ხელი შეუწყოს, მკითხველის განწყობილება გაამახვილოს, გაარკვიოს.

„კაი ყმის“ ვაჟკაცის სახე დომინანტაა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა. „კაი ყმა“ რაღაც დაუძლეველი სიდიადის განცდით, სიამაყით, კმაყოფილებით და სიხარულით ავსებს არა მარტო მთიელს, თემს, რომლის ბუდეშიც ეს „კაი ყმა“ აღიზარდა და მოქმედებს, არამედ ვაჟა-ფშაველასაც, რომელიც თავის ამგვარ განწყობილებასა და დამოკიდებულებას მკითხველსაც არაჩვეულებრივი სიძლიერით გადასდებს.

„კაი ყმა“, ვაჟა-ფშაველას ჩვენებით, მარტო გმირი კი არ არის, რომელიც გამომხატველია დიდი ფიზიკური ძალისა და ბრძოლაში მტერთან იჩენს განსაცვიფრებელ უშიშროებას, გულადობას, სითამამეს, სიმტკიცეს, წინდახედულებას, არამედ ის ამ თვისებებთან ერთად დიდი, მაღალი მორალური საზოგადოებრივი ძალისა და გრძნობის მატარებელიცაა. „კაი ყმის“ სახე ვაჟა-ფშაველას გამუდმებით იზიდავდა არა მარტო ცხოვრებაში, არამედ პოეტურ შემოქმედებაშიც. ვაჟკაცის, გმირის ძიება, ამ ძიების ტკივილები და ვაჟკაცთა ორიგინალური გალერეა მგოსანს მოცემული აქვს როგორც ლირიკულ ლექსებში, ისე ეპიკურ ნაწარმოებებში („გიგლია“, „სისხლის ძიება“, „დარეჯანი“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველის მჭამელი“, „კაი ყმა“ და მრავალი სხვ.).

ნიმუშისათვის გავარკვიოთ ზოგიერთი მათგანი.

ვაჟკაცი გიგლია გაიგებს თუ არა მტრის მოულოდნელ მოახლოვებას, საჭმლისათვისაც კი დროს არა კარგავს, დიდი პასუხისმგებლობის შეგნებითა და ვაჟკაცური სიმტკიცით საომრად ემზადება. მას ვერც ცოლის ავის მომასწავებელი სიზმარი, ვერც მისი ვედრება დარჩეს შინ, ვერ შეუცვლის განწყობილებას.

ვაჟა-ფშაველა გიგლიას ვაჟკაცურ შეხვედრას მტერთან ასეთი პოეტური სახით წარმოგვიდგენს:

როგორც ცით ელვა მოარდა
მოყმე რამ სვილის ფერია,
ხმალს აპრიალებს გორდასა,
მაზედ ნათელი ჰფენია...
ერთი შავარდნებრ დაჰკივლა:
„ახლა კი ჩემი ჯერია!“
შეაზედ გასჭრა ცხენ-კაცი,
შამბს ჰკოცნის ხმლისა წვერია;
შაიღებება სისხლითა
ოსმანას ყვითელ წვერია.
„აცათ, მაცალეთ, ძაღლებო,
გეყოთ ამდენი თარეში,
დიაც-ყმაწვილის ბოკერა
არაგვზედ, ფშავლის მხარეში;
ჯერ არ მამკვდარა გიგლია
კიდევ ჯანი აქვ მკლავებში“[9].

გიგლიასა და მისთანებს ასეთ ვაჟკაცად ზრდის თემის მთლიანი ყოფა-ცხოვრება, მასში შემონახული ვაჟკაცური ზნე-ჩვეულება, რომელიც აკაჟებს, შეუვალად ხდის ყოველი წევრის ბუნებას. განა ასეთივე გმირი არ არის გიგლიას დედა თალალი, რომელიც რძლის სიზმრის

[9] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, გიგლია, თხზ., ტ. III, 1930 წ., გვ. 23—24.

მოსმენისა და გაფრთხილების შემდეგ. — გიგლიას „მტერი მოგვიკლავს, ცა თავზე დაგვეხურება“, — მაინც მტკიცედ უპასუხებს:

„რა გაიგება. ჩვენ მაინც
ვერ დავაბრუნებთ სიზმრითა...
კაცს მიტომ კაცსა ვეძახით,
უნდა წელს ერტყას ხმალია“[10].

თალალი მოძმეთადმი მოვალეობის სრული პასუხისმგებლობის შეგნებით, გაკვირვებისა და თან დარიგების კილოთი რძალს ასე მიმართავს:

„მაშ რა უნდა ექნათ, ხომ ჰხედავ,
ფშავლები მტერმა დალია?!
ახადი ლეკებს აუკლავ,
იქით წაუსხამ ტყვეები...
სუ სისხლით გადაუბასრავ
უკვენა-ფშავის კლდეები“[11].

ასეთს პირობებსა და ტრადიციებში აღზრდილი დედა, ვაჟა-ფშაველას გაგებითა და ჩვენებით, თავის შვილებსაც დედის რძესთან ერთად აწოვებდა მოძმეთადმი დახმარების დიდ პასუხისმგებლობას. ამით აიხსნება, რომ გიგლიაც ვაჟკაცურად ხვდება მტერსა და ვაჟკაცურადაც კვდება. თემიც გიგლიას კაიყმობით კმაყოფილია და ამაყობს. ამიტომაა, რომ გიგლიას მთელი ფშაველი პატივსა სცემს. გიგლიას ყორნის მიერ გამოხრილ მკლავებს დასტირის არა მარტო დედა და ცოლი, არამედ ფშაველი კაცი და ქალი. პოეტის გადმოცემით, გიგლიას ცხედრის გარშემო შეკრებილი ქალისა და კაცის საერთო ჩივილი გაისმის:

„ეაჰმე რა გვეშველებაო:
კარგები იხოცებიან,
ბეჩავი ხელში გვრჩებაო!“

გიგლიას გმირული საქციელით აღფრთოვანებულია პოეტი და, რომ თავისი განცდა მკითხველს გამახვილებულად აგრძნობინოს, გიგლიასადმი ბუნების თანაგრძნობასაც გვიხატავს. „როცა გიგლია კვდებოდა, მთებ სატირალზედ სხდებოდა“ — გმირისადმი თანაგრძნობით გამსჭვალული პოეტი მკითხველს აღტაცებით შთააგონებს.

* * *

ვაჟა-ფშაველასათვის, როგორც გარკვეულ ეპოქაში მოქმედი მწერლისათვის, საგულისხმიერო ისაა, რომ მისი სიმღერის საგნად ხდება არა მარტო „კაი ყმის“ — გმირის ფიზიკური ძალა, ვაჟკაცობა, გაუტეხელობა, სიმტკიცე, თავდადება სამშობლოსათვის მტერთან შეუპოვარ ბრძოლაში, როგორც ეს დამახასიათებელი იყო ძველად თემურ პირო-

---

[10] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, გიგლია, თხზ., ტ. III, 1930 წ., გვ. 19.
[11] ი ქ ვ ე.

ბებში, არამედ „კაი ყმას“, მგოსნის გაგებით, აგრეთვე უნდა ახასიათებდეს სხვა დადებითი (დროისათვის შესაფერი) თვისებები: მედგარი ამხედრება და ბრძოლა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ; ჩაგრულთა გამოღვიძება, მათი დარაზმვა მჩაგვრელთა კლასის წინააღმდეგ.

გმირის ასეთი სახე ვაჟა-ფშაველას გამახვილებულად აქვს ნაჩვენები პოემაში „სისხლის ძიება“, რომელიც პოეტს დაწერილი აქვს 1897 წელს.

90-იან წლებიდან ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში რევოლუციური აღმავლობა თანდათან მტკიცდებოდა. ცხოვრება მოქალაქე-მწერლისაგან მოითხოვდა არ დაკმაყოფილებულიყო ძველის, დრომოჭმული მოვლენების უარყოფით, მას აგრეთვე უნდა ეჩვენებინა ახლის, ცხოვრებაში რომ ისახებოდა, განმტკიცება. გმირის — „კაი ყმის“ ძიება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც სწორედ ცხოვრების ამ მოთხოვნილებით აიხსნება. ვაჟა-ფშაველაც ცხოვრების ასეთ ძლევამოსილ მოთხოვნილებას მისდევს.

პოემის „სისხლის ძიება“ მთავარი გმირია ჩერქეზი ქიჩირი. ის დადის ერთი სოფლიდან მეორეში და ყველას არიგებს „სიტყვით ძმურით და მტკიცითა“:

რად ჰმონებთ ასლანს, ჩერქეზნო,	გამოადგება ვის რადა?!
ეღელს რად იდვამთ კისრადა,	უბატონობა რით არ სჯობ.
სხვისა ნაყმევი, ნალახი	ნეტავ, ბატონის ყოლასა?![12]

ასლანი ჩერქეზთ მთავარია. მის წინაშე ყველა ჩერქეზი შიშითა ძრწის, რადგან მან ბევრი სახლ-კარი აიკლო, „ბევრი ატირა ვიშითა“. ასლანს ქიჩირი არ ემორჩილება. ეს მას მეტად აბრაზებს. მას სურს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ქიჩირის ჯავრი იყაროს: უნდა ის შეიპყროს, მაგრამ არ იქნა, ვერ მოახერხა. მოთმინება დაკარგულმა ასლანმა მრავალს დაავალა ქიჩირის მოკვლა, ამისათვის მკვლელს დიდი „ქრთამიც აღეთქვა ფიცითა“.

ქიჩირის მოკვლა თავს იდვა დემურმა. მან იცის ქიჩირის ვაჟკაცობა, იცის, რომ მასთან პირისპირ შებმა სახიფათოა; ის ვაჟკაცია, რომელიც მტერს არ გაახარებს. დემური გადაწყვეტს ქიჩირი მუხანათობით, ღამით, ძილის დროს მიპარვით მოკლას. მაგრამ ამ გზითაც დემური ვერ ახერხებს ამ ბილწი მიზნის მიღწევას. დემურმა, ქიჩირის სახლში ბნელაში ღამით ქურდულად ჩამძვრალმა, ქიჩირის ნაცვლად შეცდომით მოკლა თავისი ცოლის ძმა ალხასტა, ქიჩირის ძმადნაფიცი, ვაჟკაცი „კარგი სამტროდ და საძმოდ, არსად სიცუდით ცნობილი“.

ქიჩირმა მალე აიღო სისხლი. მოკლა დემური და მისი გასისხლიანებული თავი ასლანის სახლის წინ ბოძზე ჩამოაცვა. ხალხი კმაყოფილია

---

[12] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სისხლის ძიება, თხზ.. ტ. III, 1930 წ., გვ. 314.

ქიჩირის ამგვარი საქციელით, როგორც „მტყუანისა და მართლის სამ-ზღვრის საქმის გამომცნობელისა“.

ვაჟა-ფშაველას უნდა ბოროტის მქნელთა დემურისა და ასლანის საქციელი მთელი სისაძაგლით, ზნედაცემულობით გამახვილებულად დახატოს, რათა გმირის, ხალხის მოკეთის — ქიჩირის სახე უფრო გაა-სხივოსნოს, მიმზიდველი გახადოს. ამიტომ ასლანის მავნე, უარყოფი-თი ხასიათის გამოვლინებას უფრო აღრმავებს. მაშინ, როდესაც ქიჩი-რის შურისძიებით ხალხი კმაყოფილია, ასლანი კი ჯავრით ივსება, ის „ვერცა რას ფარ-ხმალით გახდა, ვეღარც რას თავის მჯავრითა“.

ჯავრ და ბოროტება მორეული ასლანი ადგა და ბოლოს სიფლიდეს მიმართა. ასლანი ქიჩირს მიუგზავნის ენაწყლიან, გონებით განთქმულ მაჰმადას, რომელიც ურჩევს ქიჩირი დატოვოს „მუდამ ხმალამოღებუ-ლი ფეხზე შემდგარი თოფით, შინ ქურდულად“ ცხოვრება, შეურიგ-დეს ასლანს.

აქ ვაჟა-ფშაველას მიზნად აქვს მკითხველის ყურადღება გაამახვი-ლოს მის ეპოქაში გაშლილ კლასობრივ და პოლიტიკურ ჩაგვრაზე და ბრძოლაზე და მჩაგვრელების, გაბატონებულთა მიერ გამოყენებულ მზაკვრულ საშუალებებზე. ასლანის მიერ მიგზავნილს ქიჩირი შემდეგს უპასუხებს:

„სხვისა მონებას, მაჰმადო,
ეგრე მირჩევნის ტარება.
როდი მაშინებს სიცოცხლის
სიკვდილად გადაცვალება...
ნეტავი იმას, ვინაცა
მკვდარი გასწირავს სახელსა,
და ყველა იმის ხსოვნასა
გულს ინთებს, როგორც სანთელსა.
ცოცხალი ცოცხალსა ვევანდე
თავის გუნების პატრონად“[13].

ქიჩირის ეს პასუხი ეპოქალურია, შთამაგონებელია დამონებული, დაბეჩავებული ხალხისა, რომელსაც პოეტი მოუწოდებდა ბრძოლისა-თვის დამჩაგვრელების წინააღმდეგ. ვაჟა-ფშაველა აქ, უდავოდ, ეპოქის მოთხოვნილების კარნახს მისდევს.

ქიჩირის პასუხი, ჩაგრულთა და მჩაგვრელთა შეურიგებლობის გან-წყობილება ვაჟა-ფშაველამ მკითხველში რომ უფრო გაამახვილოს, მოხდენილად ჩაურთავს ლირიკული ზეაღსვლის სახით დამორჩილე-ბულთა გამოსაფხიზლებელ უკმაყოფილებას:

ვაჰ, კაცნო, ბევრჯელ ბრმანი ხართ
ხშირად ულირსთა ჰმონებთა!
ხშირად ქვას უენ-პიროსა
ქვეყნის შემქმნელად ჰგონებთა![14]

მაჰმადს უნდა ქიჩირი დაარწმუნოს, რომ ის ასლანის კარზე მონად კი არა, პირველ კაცად იქნება, რომ ამაში მას ასლანი ეფიცება, სთხოვს

[13] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა. სისხლის ძიება, თხზ., ტ. III, გვ. 331—332.
[14] ი ქ ვ ე, გვ. 330, 334.

„ოღონდ მივიდეს (ქიჩირი. — მ. ზ.) „ზავითა“ და კიდევაც დაასაჩუქრებს მას „საჩუქრით მრავალგვარითა“. ფლიდმა მაჰმადმა იცის ქიჩირის ვაჟკაცური ბუნება და ის რომ დაიყოლიოს, დასასრულს, როგორც შერიგების აუცილებლობის მთავარ არგუმენტს, დაუმატებს: დაზავება ქიჩირისა ასლანთან მით უფროა საჭირო, რომ ხმა დადის — ჩერქეზეთზე მოზღვავებულა ურიცხვი ჯარი, რომელიც ხვარიგლოს გამოჩენილა. ჩერქეზეთს ახლა სჭირდება „ვისაც გული აქვს გმირული“ და ამ დროს ასლანისათვის ქიჩირის მისვლა ზავითა და მის ლაშქარში მისი გარევა დაუფასებელია.

ამ უკანასკნელმა მდგომარეობამ ქიჩირზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა. მან მაჰმადს განუცხადა, რომ ის არც ვისგან საჩუქარს ელის და არც დამშვიდებულ ცხოვრებას ეძებს. ქიჩირი კარგად გრძნობს, რომ შესაძლებელია ის დაძრახონ კიდეც ასლანთან მისვლისათვის, მაგრამ ქვეყნის მძიმე მდგომარეობა, რომ ქვეყანა მტრის წინაშეა და შველას თხოულობს, ქიჩირს გადააწყვეტინებს ასლანთან მივიდეს:

თვალთ წინ დაუდგნენ მოძმენი,
ომი ფიცხელი მტერთანა,
აოხრებული ქვეყანა,
გასწორებული მტვერთანა[15].

აი სწორედ ამ განცდამ აიძულა ქიჩირი მივიდეს ასლანთან, თუმცა ქიჩირს არც დედა ურჩევს მიენდოს ასლანს, როგორც ცნობილს უკეღმართ კაცს.

ზავისა იმან რა იცის,
გველ-ბაყაყების ბუდემა,
ჩერქეზთა ქვეყნის გამცემმა
და ჯოჯოხეთის ზღუდემა?

და ეს დახასიათებაც ქიჩირის დედისა თვით ვაჟა-ფშაველას დახასიათება და დამოკიდებულებაა იმ დროის ძალაუფლების მქონეთადმი, რეაქციულ ძალებისადმი, რითაც მგოსანი საბრძოლველად მოუწოდებდა დაჩაგრულთა, დამონებულთა, სამართლიან, სწორუფლებიან ცხოვრებასა მოწყურებულთა და მძებნელთა.

დამახასიათებელია ქიჩირისათვის, როგორც კაი ყმისათვის, დედისადმი პასუხი, რომ მან ყველაფერი, რაც დედამ თქვა, კარგად იცის, მაგრამ მას ქვეყნის გაჭირვება აიძულებს ასეთი ნაბიჯი გადადგას ქვეყნის კრიტიკული მდგომარეობის მომენტში.

მტერი რო მოდის, მაშ რა ვქნა,
შინ დავიმალო, კარვია?..
სიკვდილი ბევრად სჯობია,
ჩავარდნას ქვეყნის ყბაშია...
დიაცებრ მანდილიანი,
დედავ, გინდივარ რაშია?[16]

[15] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, სისხლის ძიება. თხზ.. ტ. III. გვ. 330.
[16] ი ქ ვ ე, 334—335.

აღსრულდა ქიჩირის დედის წინათგრძნობა და სიტყვა. ქიჩირს ასლანთან მისვლისთანავე თავს დაესხნენ ასლანის ბიჭები. „ზოგნი თოფშემოყენებით, სხვანი ხელ-ხანჯრიანები“, სტაცეს მას ხელი. შებოჭეს.

ქიჩირი სდუმს, ხელს სამტროდ არ ანძრევს, „არც ილხენს, არცა მწუხარებს“. გამოჩნდება ასლანიც და ქედმაღლურად, გამარჯვებისა და დაცინვის ხმით შესძახებს ქიჩირს:

ჩემს ჯილაგს ემუქრებოდი
ამოუხვრას ფესვიანადა.
ვერ ამოგფხვერი?! იგემე,
მიცანი წესიანადა!
სხვა ყველა დავიმორჩილე:
მაღლა ცა მეხიანადა.
შენ არ მიხრიდი ბზოლოდ ქედს,
მოგექე ხერხიანადა?!
აგანთებ, აგაპრიალებ
ცამდე თავ-ფეხიანადა![17]

ასლანი მხოლოდ მდაბალი პირადი ინტერესებით ცხოვრობს და მოძრაობს. ის ვერ თუ არ აფასებს „კაი ყმას“, ვაჟკაცს, ქვეყნისათვის თავდადებულს გმირს, რომელიც პირადს საერთო ბედნიერების საქმეს სწირავს. ასლანი სასტიკად, დაუნდობლად, ველურად შურს იძიებს მისივე დაძახებით მასთან ზავით მისულ ვაჟკაცზე, ქვეყნისათვის თავის დასადებად გამზადებულზე. ასლანს უნდა საარაკოდ დასაჯოს „მარტო ღვთის ბატონად მცნობი, სხვა ყველას წინ მდგომელი“ ქიჩირი, რაც ასე აღელვებს მას. ასლანი მოატანინებს უამრავ შეშას, დაანთებინებს დიდ ცეცხლს, შიგ უნდა ჩაწვას ქიჩირი.

ასე დაუნდობლად, ვერაგულად იქცევა ძალაუფლების მქონე მედიდური პრივილეგიური კლასი. ამით ვაჟა-ფშაველას უნდა მკითხველს მიუთითოს, რომ გაბატონებულ კლასს, მის გაზვიადებულ წარმომადგენელს ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი არ უნდა დაენდოს, მასთან დამოკიდებულებაში ის განსაკუთრებულ სიფხიზლეს უნდა იჩენდეს.

ქიჩირი სდუმს. მან დაინახა, რომ მოტყუვდა ასლანთან მისვლით. ხედავს ის, რა მძიმე სატანჯველი მოელის, მაგრამ „წარბსაც არა ჰხრის, სდგას, ვით სალი კლდე ზვიადი“. პოეტიც აღტაცებულია ქიჩირის ასეთი სიმტკიცით, უშიშარი ხასიათითა და გულით.

ასლანი, „გამარჯვებით“ თავმოწონებული, ლამობს გული იჯეროს ქიჩირზე. ის დაცინვიოა და ნიშნმოგებით მიმართავს შებოჭილ ქიჩირს.

ასლანსა და ქიჩირს შორის იმართება ორივესათვის დამახასიათებელი დიალოგი, რომელსაც მთავარ მოქმედ პირთა ხასიათის გაშლისათვის და თვით ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობისა და პოემის მიზანდასახულობის გამომჟღავნებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს:

—„მოგეწონს, ქიჩირო, სასჯელი
ეს ჩემგან მოგონებული?...
—„მომწონს და არც შემაშინებს
ათასჯერ მეტიც იყოსა.
თუ გავტყდე, ღმერთი მრისხავდეს,
წყალმა და ღვარმა მრიყოსა.
—„არ გეშინიან? სწორედ თქვი.
მხოლოდ დაგიხსნის მუდარა“.
—„ძაღლებს არა სთხოვს ქიჩირი,
მოკვდეს, მით არა უნდა რა“[18].

[17] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სისხლის ძიება. თხზ., ტ. III, გვ. 336.
[18] ი ქ ვ ე, გვ. 338.

გათავხედებული ასლანი, შურისძიებით შებოჭილი, ბრაზმორეული, რომ ქიჩირი ვერ გატეხა, ვერ მოღუნა, დაცინვით ეტყვის მას: თუ ასეა მაშ ის იმღერებს კიდეც?! ქიჩირს არ ეშინია სიკვდილისა, ის თავის მტკიცე და მებრძოლ სახეს, ნებისყოფას, წონასწორობას ბოლომდე ინარჩუნებს. მას კარგადა აქვს შეგნებული თავის თავის, როგორც ვაჟკაცის, ვალდებულება. მან იცის, რომ ვაჟკაცი სიკვდილითაც ხალხისათვის მისაბაძი უნდა იყოს. მას უნდა თავის სიკვდილითაც გარს შემოხვეულ ხალხს აჩვენოს მაგალითი ვაჟკაცობისა და მას, როგორც ანდერძი, დაუტოვოს თავისი (ე. ი. ვაჟა-ფშაველასიც) უარყოფითი შეფასება არსებული ყოფისა, რომელსაც ქიჩირი ებრძოდა, ეურჩებოდა.

ასლანის ვერაგულ, უადამიანო დამცინავ მიმართვაზე ქიჩირი შეუპოვრად მოითხოვს ფანდურს. ასლანის ბრძანებით მოუტანენ ფანდურს და ქიჩირი დიდი გრძნობით ხალხის გასაგონად შემდეგს დაამღერებს:

ფლიდია ესე სოფელი,
ფლიდთა საყრელი ხელისა;
კარგებსა სჩაგრავს, უმსგავსთ კი
კალთას აფარებს, ჰშველისა;
მართალი წუთისოფელში
შვებას ამაოდ ელისა!

. . . . . .

საშშობლოსათვის მამაცი
არის მადლი და დიდება.

მალე დაჰღუპავს ქვეყანას
ლაჩართა გადაკიდება.

. . . . . .

სულდგმული დღესაც ვსულდგმულებ
მამა-პაპათა რჯულითა.
ნაგრძნობი ჩემის გულისა
არ მიშონია ფულითა.
მიყვარს ჩერქეზთა ქვეყანა
წმინდა ჩერქეზის გულითა,
მიყვარს მთები და ველები
გულ-მკერდით დაქარგულითა[19]...

ხასიათის ასეთი სიმტკიცით, გაუბზარავი, საღი გრძნობითა და გონებით კვდება ქიჩირი. ის, მართლაც, „კაი ყმაა“, ვაჟკაცია, მთიელთა და თვით ვაჟა-ფშაველას შეფასებით. ქიჩირი თავის სიკვდილსაც კი საზოგადოებრივი გრძნობის, უკეთესი, სამართლიანი ცხოვრების მოპოვების სურვილის აუცილებლობას აღვივებს მაყურებელთა, მოძმეთა შორის.

აი ასეთი ვაჟკაცები არიან, პოეტის ჩვენებით. ქვეყანასა და ხალხს რომ იცავენ, ინახავენ, ცხოვრებას რომ წმენდენ, წინ, უკეთესობისაკენ წევენ; ესენი არიან, რომ ახალგაზრდობას ზრდიან, საღ მიმართულებას აძლევენ, ცხოვრების დენას რომ არ აგუბებენ, არ აბრკოლებენ: ესენი არიან ამაყი და ლამაზი, ძლიერი და მთლიანი ნებისყოფის პიროვნებები, რომელნიც უარყოფენ დამცირებულ მონურ ყოფას და მასებს მიმზიდველი ძახილით იწვევენ ბრძოლისაკენ ლამაზი, ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრების დასამყარებლად. თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ ბედნიერი, სამართლიანი მომავლის სახე გარკვეულად არაა აქ ნაჩვენები.

---

[19] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სისხლის ძიება, თხზ., ტ. III, გვ. 339—340.

ამით აიხსნება, რომ ვაჟა-ფშაველა თავის გარდამავალ რთულ ეპოქაში, საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ პირობებში ახალი ადამიანის, გმირის რთულ სახეს, მართალია, ერთგვარი ბუნდოვანებით, მაგრამ მაინც მრავალ მხრივ ხედავს, სინჯავს, ხატავს და მკითხველსაც მიმზიდველობით აჩვენებს.

ასეთივეა სოფლის ყოფა-ცხოვრებაში „თავგზიანობითა“ და მეოჯახეობით განთქმული დარეჯანი, მოთხრობა „დარეჯანის“ გმირი.

დარეჯანი, მწერლის დახასიათებით, „სოფლის დარაჯად და პატრონად იყო სწორედ დაბადებული. იმაზე ადრე სოფელში არავინ გაიღვიძებდა; გაღვიძებისთანავე იმისი ხმა ჭექა-ქუხილივით გაისმოდა გაღმა-გამოღმა. აგერ ერთს გასძახის: „სად ვინა ხართ, დალია ხბუებმა ყანა, მწერელ-ჩვილებო?!“ ახლა მეორეს: „მიეშველე, თორო გადმოვარდება ბალღი. თეთრუავ! ჰაი, შე უკლოვ, შე უგერგილოვ, შენა!“ ლაპარაკობს სადმე სამი კაცი, დარეჯანიც იმათში ჩაერევა ურთ-ერთსაც იქნება „დაჰრიშხნავს“, შეუტევს; „შენ ამას არ ედავებოდე, ბეჩავო, მამულსა, გაისარჯო, თავად გააკეთო მამული, ის გირჩევნია. ღმერთმა იმით არ მოგვცაა ე ხელები, გაისარჯენითო, განა იმითა, რო მიწის საჭმელად გაასუქეთო“. დარეჯანი მაშინვე თავის თავს წაუყენებდა მაგალითად: „მე სოფელმა მამული არ მომეცით, აბა, გახედენით შაშუბსა, აის მამულები, საქერეები ვისი გატეხილია? ემისი არი, უყურეთ ჩემს ხელებსა! დღე და ღამ იქ მოვიკალ თავი და... ერთი ლუკმა პური არ მაკლია დღესა. თქვენ ერთმანერთს ებრძვით, არა მე მინდა მეჭიროს მეტი მამული, არა მეო. განა ჩხუბით კი მაემატება მამულებსა, ცოდვილნო!“[20].

დარეჯანი სოფლისათვის მაგალითი იყო შრომისა, დახმარებისა, სიკეთისა და სამართლიანობისა. სადაც გაჭირვება იყო, დარეჯანიც დაუზარებლივ იქ გაჩნდებოდა და თავისებურად, დაუფარავად ამხელდა წუწკს, უმზგავსს, გაუტანელს, მოძმის შემავიწროებელს, იქნებოდა ეს ჩარჩი არუთინა და მისთანეები, რომლებიც დარეჯანის გამოცდილებით და გაგებით, „რჯულძაღლებია“, „გვატყუებენ ბრმა-ყრუ ხალხსა“; იქნებოდა ქვრივი მზევინარი, რომელმაც ბავშვები დატოვა უპატრონოდ და მეორე ქმარს, გამახარეს გაპარვით გაყვა, თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულ ბეჟანას ბიძა-ბიძაშვილები, — ყველას თავისებურად „დაჰრიშხნავდა“, თავისებურად განსჯიდა, შევიწროებულთა მაგიერ შურს იძიებდა, გულს მოიფხანდა, უწესობას არავის შეარჩენდა.

გაჭირვებულთათვის დარეჯანი თავს დასდებდა, იმათ მაგიერ თითონ მოთხოვდა პასუხს უსამართლობის ჩამდენთ. სოფელში გახმაურდა დარეჯანის გამოქომაგება ლოგინად ჩავარდნილ ჯაბანასა და მის ქალი-

---

[20] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, დარეჯანი, თხზ., ტ. V, 1936 წ., გვ. 43.

შვილის ანუკასადმი, როცა არუთინამ მათ, მამასახლისის მოყიდვით, ვალში ორი კვებულა წაართვა და ისედაც დაბეჩავებულ ოჯახს უკანასკნელი საბადებელი უმართებულოდ გამოაცალა. იმ დროს, გვეუბნება მწერალი დარეჯანის დასახასიათებლად, დარეჯანი სახლში არ იყო. თორემ კვებულებს არუთინას არ დაანებებდა. სამაგიეროდ. დარეჯანამ შემდეგში არუთინას ჯავრი ამოიყარა: ძაღლებს კინაღამ არ შეაჭმევინა და ერბოც ბევრი დააღვრევინა. არუთინამ ზარალი უფრო მეტი ნახა, თავბედი იწყევლა.

ასეთივე თანაგრძნობით მოექცა დარეჯანი მეზობელი მზევინარის მიერ უპატრონოდ დატოვებულ ობლებს. მზევინარი გაპარვით გაჰყვა მეორე ქმარს და ბავშვები უპატრონოდ დაყარა ცარიელ სახლში. დარეჯანმა ობოლი ბავშვები წამოიყვანა თავისთან, დაუგურგურა და ბავშვების ბიძის მოსვლამდე შეინახა. იპოვა შემთხვევაც, მზევინარს შეხვდა და თავისებურად თავზე ლაფი დაასხა, ატირა. „თუმცა, კი მეორე ქმრისათვის თავი ვერ დაანებებინა“.

დარეჯანის ასეთივე სამართლის ძიების გარდაუვალი სურვილითაა გამოწვეული მის მიერ უპატრონოდ, უგზო-უკვლოდ დაკარგული ბეჟანას საარაკო ძებნა.

სოფელში რაღაც სიამოვნებისა და კმაყოფილების გრძნობით ლაპარაკობდნენ, დარეჯანმა „როგორ აკადრებინა ერთს მოხელეს უკან დაეწია“, როცა ეს მოხელე დარეჯანის შვილს გამახარეს მათრახით სცემდა და გამახარე ხელგაუნძრეველად იდგა, მარტო თავზე ხელებს იფარებდა. დარეჯანმა ეს რომ დაინახა, ათრთოლებული მივარდა მოხელეს ყვირილით: „ვინა ხარ შენა?.. რაზე მიკლავ შვილსა, შე ურჯულოვ?..“ მოხელეს დარეჯანისათვისაც უნდა დაერტყა მათრახი, მაგრამ დარეჯანმა ისეთი ხმითა და გამომეტყველებით შესძახა მოხელეს: „ხელი არ მახლო, ჩემის გამახარეს დღეგრძელობამა, თორო...“, რომ მოხელემ მართლა უკან დაიწია. გატრიზავებული მოხელე იძულებული იყო ეღიარებინა: „Но, подобной женщины еще не встречал“.

დარეჯანისათვის დამახასიათებელია შემდეგიც: როცა მან მოხელეს „აკადრებინა უკან დაეწია“, ის საყვედურით მოუბრუნდა შვილს: „შენ კი არა გსხიანა ხელნი, შე მწერელ-ჩვილო, შე უგერგილოვო... რას ეთრეინები?...“ შვილის პასუხზე: „დიდი კაცია, მაგას ხელი არ შაებრუნება“, — დარეჯანი გაჯავრებითა და ამოოხვრით უპასუხებს: „კარგი, სუ, სუ, ბეჩავო! შენი რა იმედი უნდა მქონდეს. რო დავვარდე, მთელი ქვეყანა გადამქელავს“[21].

ასეთი სამართლიანი ბრძოლის გზით დადის ცხოვრებაში საღი საზოგადოებრივი გრძნობით დაჯილდოებული დარეჯანი. მისი ცხოვრებაც კეთილის, მოძმისადმი დახმარების გზაზე მთავრდება. მწყემსი

[21] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, დარეჯანი, თხზ., ტ. V, გვ. 52.

ღვთისო მდინარეში წაღებულ ბატკანს წაეტანა, თავი ვერ შეიმაგრა, წყალმა ისიც წაიღო. შემთხვევით იქ დარეჯანი აღმოჩნდა. ის უმალ მიეშველა წყალწაღებულ ღვთისოს. მაგრამ ადიდებულმა მდინარემ დარეჯანი კლდეს მიახეთქა. დარეჯანს რეტი დაესხა. მიუხედავად ამისა, დარეჯანი განაგრძობდა ღვთისოს ძებნას. სადა ხარ, შვილო? მაინც რამდენჯერმე წამოიძახა და დაიღუპა.

ასე ათავებენ დარეჯანი და მისთანანი თავის ცხოვრებას. იღუპებიან, მაგრამ მათი დაღუპვაც კი ხალხისათვის, მასისათვის ჭკუის მასწავლებელია, კეთილი გზის მაჩვენებელია, მოძმისადმი სიკეთის შთამაგონებელია.

* * *

ხანგრძლივი და მტკივნეული ძიების შემდეგ ვაჟა-ფშაველამ თავისი დროისათვის საჭირო და შესაფერი ახალი ადამიანის, გმირის, ვაჟკაცის სრულყოფილი სახე, ჩამოაყალიბა ლექსში „კაი ყმა“ („ხევსურულ ჰანგზე“).

ეს ლექსი თუ სიმღერა ისეთი სიმკვეთრით, ვირტუოზულობითაა დაწერილი, როგორც შინაარსისა, ისე ფორმის მხრით, ყოველი სიტყვა აქ ისეთს მთლიანს, რთულსა და ძლიერ სახეს სჭედავს, მთლიანად ლექსი ისეთი დიდი ემოციურობით, რიტმიულობითაა შესრულებული, რომ არ შეიძლება მკითხველი არ მოიხიბლოს. შთაბეჭდილებისათვის საჭირო იქნებოდა მთლიანად ლექსის მოყვანა, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი უშუალო შთაბეჭდილებისთვის, რის გადმოცემაც სისრულით ძალიან ძნელია. მაგრამ მოცულობა მისი გვაბრკოლებს, ამიტომ აქ იძულებული ვართ ნაწყვეტებით განვისაზღვროთ.

„ვინა? ვინ არი კაი ყმა?“ — კითხულობს ვაჟკაცის სახის აღფრთოვანებული ძიებით აღსავსე პოეტი და თვითონვე უპასუხებს. ვაჟა-ფშაველას გაგებით „კაი ყმა“ მრავალწახნაგოვანი, მდიდარი და რთული პიროვნებაა.

პოეტის გაგებით კაი ყმისათვის პირველ რიგში საქებარია ვაჟკაცობა — მტერთან გმირული ბრძოლის სათანადო უნარი; „კაი ყმა“ პირველ რიგში ვაჟკაცია, „ვის ტანზე ხმალი ჰშვენოდეს“. „კაი ყმა“ თავის გამოცდას გმირულ ნათლობას ბრძოლის ასპარეზზე იღებს, იქ, სადაც—

ხალხი ხალხზედა ჰღელავდეს:
მტერი ჩვენ გვცემდეს, ჩვენ — მტერსა,
ხმლები, ხანჯრები ელავდეს.
სისხლის ტბა მუხლებს სწვდებოდეს,
ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს;
ფარების დადგეს ჯერდეები,
თვალები თვალებს სწყელავდეს.
მოციქულობდენ ტყვიანი,
შუბები შუბებს სწვერავდეს;
ჭიაფრად მუზარადებსა
სისხლის წვიმაი ჰფერავდეს;
დაგელაობდეს სიკვდილი
სუდარაებსა ჰკერავდეს.[22]

---

476 [22] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, „კაი ყმა. თხზ., ტ. II, 1950 წ., გვ. 133.

ვაჟკაცის გაბედულობა, თავგანწირვა, მამაცობა და აგრეთვე მის მიერ წარმოებული ბრძოლის პათოსი ამ ლექსში არაჩვეულებრივი სიღრმითაა გადმოცემული. უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველას ეხერხება ბატალური სურათების დახატვა.

ვაჟა-ფშაველას გაგებით და რწმენით, ისაა ვაჟკაცი, ისაა მოსაწონი „კაი ყმა“, —

ვინც მიეგებოს მტერს წინა,
წინ-წინ ვინც რისხვას ეტყოდეს,
ხახე-სისხლ-გადამდინარი
ტკივილს არ გამოიტყოდეს,

თავზარსა სცემდეს სიკვდილსა,
ზედ ქორებულად ფრინავდეს
სიცხეში სიდ დაჰბეროს,
დაათბოს, როცა ჰყინავდეს.

მაგრამ ეს არაა საკმარისი ვაჟკაცის ბუნებისათვის.

ვაჟა-ფშაველა, აღზრდილი, ერთი მხრით, ხალხურ შემოქმედებაში განსახიერებულ გმირთა ხასიათის თვისებებზე, ხოლო, მეორე მხრით, 60—90-იანი წლების მოღვაწეთა და მწერალთა მსოფლმხედველობაზე, რომლის მიხედვითაც კაცი ფასდებოდა მისი საზოგადოებრივი ღირებულების ხვედრითი წონით (კაცის მორალური ღირებულება პირველ რიგში წინ უნდა ყოფილიყო წამოწეული), — „კაი ყმას“, ახალ ადამიანს მრავალმხრივ სინჯავდა და აფასებდა. მწერლის რწმენით, მარტო ვაჟკაცობა — ფიზიკური ძალის გამოვლინება ვერ ამოწურავს ვაჟკაცის ღირებულებას, მისი მიმზიდველობის ძალას. ვაჟა-ფშაველა არ კმაყოფილდება „კაი ყმის“ მაგარი მკლავით, ძლიერი ღონით, გამბედაობით, უშიშრობით. პოეტის გაგებით, ვაჟკაცს აღნიშნულ თვისებებთან ერთად უნდა ახასიათებდეს გამჭრიახი გონიერება და ფაქიზი გრძნობაც; ვაჟკაცს უნდა ამოძრავებდეს საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველზე განმტკიცების წყურვილი. ამ მიმართულებით ის, „კაი ყმა“ მუდამ მზად უნდა იყოს მსხვერპლის შესაწირავად.

ამიტომ, მგოსნის გაგებით, „კაი ყმა“, — „პირველად ომის დამწყები“ უნდა „ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს“;

სხვანი იყოფდენ ნადავლსა,
ის ისევ მტრის წინ გრგვინავდეს.

მაგრამ არც ეს არის საკმარისი ახალი ადამიანის არსის სრულყოფისათვის. ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, „კაი ყმა“ ამასთანავე უნდა იყოს უანგარო, თავმდაბალი, გონიერი, მზრუნველი მოძმეთათვის.

მიძღვნილსა საუფროსოსა
ამხანაგებსვე სწირავდეს.
დარაჯად ედგას ლაშქარსა,
როს ის ღრმა ძილით ხვრინავდეს.
სწორ ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს,
ცდუნება არა სძირავდეს.

მტრის ჯავრის ედგას ლოგინი,
მტრის ჯავრი საბნად ჰფარავდეს.
იქ იდგეს ხმალ-ამოწვდილი,
საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს,
გაბეჩავებულს სიმართლეს
უსამართლობა სძალავდეს.

„კაი ყმის“ სრულ გასხივოსნებულ სახეს, ვაჟა-ფშაველას დახატვით, კიდევ ერთი თვისება, ერთი სხივი უნდა ავსებდეს და ამშვენებდეს. „კაი ყმა“, სხვა აღნიშნულ თვისებებთან ერთად, თავდაჭერილი და მორიდებულია.

სხვისა თუბნოს სახელი,
თ ა ვ ი ს გ ა რ ჯ ა ს ა ჰ მ ა ლ ა ვ დ ე ს...
სჯობ, მოკვდეს მშიერ-ტიტველი,
კვდებოდეს, არა გმინავდეს;
თავის სამარხად, სუდრადა,
მარტო სახელსა სწირავდეს.

ასეთი თვისებებით უნდა იყოს დაჯილდოებული ვაჟკაცი, რომელსაც შეიძლება „კაი ყმა“ ეწოდოს, რომლის სიცოცხლე ხალხის (და თვით ვაჟა-ფშაველას) თვალში გამართლებულია, რომელიც შეძლებს ხალხის გაჭირვებულ ცხოვრებას კეთილი, შინაარსიანი გზა და კვალი მისცეს. ასეთ კაცს, მგოსნის გაგებით, უნდა „ვადღეგრძელებდეთ ცოცხალსა, მკვდრისა ვსვათ შესანდობარი“.

ამ „კაი ყმის“ ღირებულება რომ უფრო შთააგონოს მკითხველს, მგოსანი „კაი ყმის“ სახელს ამ ქვეყნიერი ცხოვრებით არ დაამთავრებს. მისი გაგებით, კაი ყმა „სულეთშიც“ შედის „ხმლიანი, ლაღი, ლაღისა ცხენითა“. მას იქაც ქებას ასხამენ გმირები, „გადასულები ჩვენითა“. ხალხის თვალში „კაი ყმას“ იქაც პატივისცემის, განდიდებისა და სიყვარულის უდიდესი ჯილდო მოელის:

რეკლემ ხელი მაჰხვიოს,
დიისვას თავის გვერდითა,
გამაეგებოს თამარი,
მცინარი, თავის ფეხითა...
ანგელოზები ხარობდენ
ალ-ქაჯნი, იყვნენ წყენითა.
აი, ვინაა, კაი ყმა,
მოსაგონარი ქებითა!

ამით ვაჟა-ფშაველამ უნდა თქვას, რომ ასეთი საზოგადოებრივი გრძნობის მატარებელი, თავდადებული ვაჟკაცის სახელი უკვდავია, ვინაიდან მოძმეთა გზის გასაადვილებლად მისგან „გზა უვალი თელილი რჩება“.

ვაჟა-ფშაველამ მკითხველის შეგნებაში რომ უფრო გაამახვილოს, გაზარდოს მის მიერ დახატული „კაი ყმის“ საზოგადოებრივი ღირებულება, მისი დიდი მნიშვნელობა, რომ „კაი ყმის“ სახე მოგვცეს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალი, მას ის უპირისპირებს თანამედროვე დარღვეულ, ლაჩარ — „დაქალაჩუნებულ“ ადამიანებს, რომელნიც მხოლოდ კუჭზე, მხოლოდ პირად უზრუნველყოფაზე ფიქრობენ, რომელთაც საზოგადო საქმე, მოძმის კეთილდღეობა სრულებით არ აგონდებათ. მათ პოეტი „კაი ყმის“ პირით ასეთი წყრომით მიმართავს:

თავის ჯამს ჩასქ�ერთ, საქვეყნოდ
არც როს არ გამასდგებითა...
გაიგებთ კარგის გარჯასა,
გწყინსთ და შურითა ხდებითა;
უქმად ჩაჰმალევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა.
არ იცით დასჩნდით რისადა,
ან რის-ათვისა ჰკვდებითა!

რა დიდი ტკივილით, აღშფოთებითა და სიმკვეთრითაა გამოხატული თანამედროვე ცხოვრების დაკნინებით გამოწვეული ვაჟა-ფშაველას მწუხარება, რაოდენ სიმართლითაა გაკიცხული იმ დროის საზოგადოებრივი ცხოვრება. მწერლის მახვილი დახასიათებით დაჩიავებულ. დაკნინებულ თანამედროვეთა არც დაბადებას, არც სიკვდილს არა აქვს არც აზრი, არც გამართლება, ცხოვრება მათი გზა-კვალ არეულია, უიალქნო. ვაჟა-ფშაველას ეს ლექსი, შეიძლება ითქვას, სისხლსა და რკინაშია გამოწრთობილი.

პოეტმა ბაჩანამ ვაჟა-ფშაველას ამ შედევრის საპასუხოდ დაწერა ლექსი „ვაჟა-ფშაველას", რომელშიც, „კაი ყმით" აღფრთოვანების მაგიერ, გამოხატა მისი სრული გაუგებრობა. შეუფასებლობა და მწერლისადმი დაცინვაც-კი.

ბაჩანა გაკვირვებით აღნიშნავს, რომ, ვინც თავის „კაი ყმას" რთავს „სხივ-შარავანდედით", უნდა ითქვას, ის „მასთან დიდი დარდაკიც ყოფილა", „თორემ ჩვენს დროში კარგ ყმობას ვინ იზამს, ტუტუცის მეტი?" შესაძლებელია და, ვფიქრობთ, უფრო მართებულიცაა, არსებული საზოგადოებრივი ცხოვრებითა და თანამედროვეთა მოქმედებით უკმაყოფილო, დროდადრო მაინც გულგატეხილ ბაჩანას ვაჟა-ფშაველასადმი ამ მიმართვაში თავისი პირადი შეხედულება კი არა აქვს გამოთქმული „კაი ყმაზე", არამედ გამოყენებული აქვს ირონია. როგორც პოეტური ხერხი, რათა მკითხველში უფრო გაამახვილოს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება თანამედროვეთა უშინაარსო დაკნინებულ ცხოვრებისადმი და თანადროულობის შემხუთავ გამანადგურებელ პირობებისადმი, რომლისათვისაც ვაჟა-ფშაველას კაი ყმა მიუღებელი იყო თავისი მაღალი და არსებული საზოგადოების უმრავლესობის შეხედულებათა საწინააღმდეგო თვისებებით.

ვაჟა-ფშაველა სარგებლობს შემთხვევით და ბაჩანას მიმართ, „ურწმუნო თომათა" მიმართ, ასეთი დაცემულობის განწყობილებისათვის აღშფოთების ცეცხლსა ჰყრის ლექსში „პასუხი ბაჩანას":

რა ფრიად დავღონებულვარ!
ცრემლი მადგება თვალებში,
მუხლთ მეკვეთება, ვმუნჯდები,
სიდამბლე მომდის მკლავებში:
ყორნის ყრანტაღად ქცეულა
ბულბულის სტვენა ჭალებში;
გულსა და გონებას მირევს
ავად ბუნების თარეში,
კარგისა შეცვლა ავზედა
ამ ჩვენს საშობლო მხარეში!

ვაჟა-ფშაველა გაკვირვებულია ასეთი, მისი შეხედულებით, გაუგებრობითა და სირეგვნით, რომელიც ამბობს: „მზეს უმზეობა სჯობია": „კაი ყმა", ვინც უნდა იყოს, ბრიყვი და დასაგმობია!" პოეტი განსაკუთრებით გაკვირვებულია, რომ ამას გაჰკივის ბაჩანაც. ავტორი მშვენიერი ლექსისა — „მუხავ, მიყვარხარ, ტიალო!" პოეტი წუხს, რომ ბაჩანას „კაი ფანდური შუაზე გადამტვრეულა". ვაჟა-ფშაველა აღშფო-

თებული მდუღარეს ანთხევს, რომ ქვეყნად (კერძოდ, ქართველ საზოგადოებაში) „კეთილი ბოროტისაგან ძლეულა“ მაშინ, როდესაც მწერლის მსოფლგაგებით, საზოგადოებრივი დასაბამი ყოველის ცხოვრებაში მეტად დიდი უნდა იყოს.

ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება იმისი მუდამ მტკივნეული მღაღადებელია, რომ მისი სიტყვა და საქმე მიმართულია საზოგადოებრივი ცხოვრების გაჯანსაღებისაკენ. ვაჟა-ფშაველა არა მარტო მწერლის, როგორც ეს ზევითაც დავინახეთ, არამედ ყოველი ადამიანის, და მით უმეტეს „კარგი ყმის“, დანიშნულებას სწორედ ქვეყნისადმი უანგარო შრომაში ხედავს. დიდად მიმზიდველი პოეტურობითაა მოცემული საზოგადოებრივი ვალის მოხდის, გაღვიძებული სინდისის გამახვილებული ხედვა: „თვალები მთელის ქვეყნისა შემომცქერიან თხოვნითა, ეგებ როგორმე დავიხსნა სოფლის ამაგი გლოვითა“. სწორედ ეს განცდაა ვაჟა-ფშაველას რომ ასე აფიქრებს, აწუხებს, თანაც იტაცებს. პოეტის გულითადი წადილი და მისწრაფება მხოლოდ ერთია:

გამზარდოს, მომცეს ძალ-ღონე,	რომ მოვრწყო გული ქვეყნისა
ვეწამლო ქვეყნის კვნესასა:	დაუშრობელის მილითა;
გამზარდოს, ღრუბლად მაქციოს,	ავაკიკკიკო ბულბული
მძიმედ დამტვირთოს წვიმითა,	საღამოთი და დილითა[23].

ვაჟა-ფშაველას გაგებით და ჩვენებითაც, მხოლოდ ამ შემთხვევაში იგრძნობს ადამიანი თავის თავს ვალმოხდილად ამ ქვეყნის წინაშე და დამშვიდებული დატოვებს საქაოს.

საგულისხმიეროა ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი დაუმთავრებელი წერილი „საახალწლო ფიქრები“, სადაც ის სწორედ ამ საკითხს ეხება: „ჩვენ კაცთა ბუნების წესია მოლოდინი საუკეთესო მერმისისა: უსათუოდ ხვალინდელი დღისაგან მოველით რასმე კარგს. ეს გვასულდგმულებს, გვამხნევებს, ძალას გვიმატებს, ყოველ-დღიურ ვარამს გვინელებს გულში და სიცოცხლესაც გვაყვარებს. კაცი, რომელიც ხვალინდელი დღისაგან არაფერს მოელის, გადაუწყვეტია იმედი, ცოცხალმკვდარია, ის ცოცხლებში ჩასათვლელი არაა... საბრალოა ქვეყანა, საწყალია ის ერი, რომელსაც დაუკარგავს იმედი ხვალინდელი დღისა, საუკეთესო მერმისისა“[24] — წერს ვაჟა-ფშაველა ბაჩანასა და სხვა მასსავით მოაზროვნეს „კაი ყმის“ შესახებ.

ამ მიმართულებითაც ვაჟა-ფშაველა თავისი ქვეყნისა და ეპოქის შვილია, მისი პოეტური ნიჭი ეპოქის ძირითადი მტკივნეული საკითხების მძლავრი და მკვეთრი საყვირია, ხოლო მისი პოეტური შემოქმედება კი ეპოქის დამახასიათებელი განწყობილებისა და მოტივების შემცველი.

---

[23] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მოლოდინი, თხზ., ტ. I, 1946 წ., გვ. 99.

[24] მ ი ს ი ვ ე, საახალწლო ფიქრები, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

თავი IV

სიცოცხლე და მისი „ტრიალის“ კანონი

თუ შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მწერალი, რაც უნდა მცირე ნიჭისა და განათლებისა იყოს, ოდნავ მაინც ფილოსოფოსია, რადგანაც ძირითადში ის თავის შემოქმედებაში სიცოცხლის რაობასა და მასთან ადამიანის დამოკიდებულებას არკვევს, — ეს გარკვეულად და უყოყმანოდ უნდა ითქვას ვაჟა-ფშაველას მიმართ, რომლის აზროვნება და განცდა — ღრმა ფილოსოფიური, მეტად თავისებურად არის მის შემოქმედებაში აღბეჭდილი.

ვაჟა-ფშაველა ნამდვილი ფილოსოფოსია, თუმცა ის, რა თქმა უნდა, ძირითადში პოეტია, მხატვარია და ამიტომ მის შემოქმედებაში მთლიანი ფილოსოფიური სისტემების ძებნა არ იქნებოდა მართებული.

ვაჟა-ფშაველა — პოეტი ფილოსოფოსია, რომელსაც სიცოცხლე უყვარს, რომელსაც სიცოცხლე იზიდავს მთელი თავისი მრავალფეროვანებითა და წინააღმდეგობით, თავის „თეთრით და შავითა“, როგორც იტყოდა თვით მგოსანი.

ვაჟა-ფშაველას სიცოცხლე, ბუნება, სამყარო (ესენი სინონიმებია პოეტისათვის) წარმოდგენილი აქვს როგორც მრავალნაირ საგანთა თუ მოვლენათა მძლავრი, მჭიდრო შეერთებული მთლიანობა, რომელშიც ყოველ ცალკეულ მოვლენას თავისი შეუცვლელი და აუცილებელი ადგილი თუ მდგომარეობა აქვს. ამიტომ, ყოველი მოვლენა, რა თქმა უნდა ადამიანის ჩათვლით, თავისებური არეკვლაა სამყაროსი. ყოველი მოვლენა თითქოს გარკვეული პიროვნებაა, რადგანაც მას თავისი განკუთვნილი ადგილი და როლი აქვს ამ მთლიანობის სისტემაში. ამიტომ სიცოცხლეში, მის მთლიანობაში ვაჟა-ფშაველა ხედავს წყაროს ადამიანის მაღალი, სრულყოფილი ესთეტიკური განცდებისა და მისი გონების ძიებისას.

მაგრამ, ასეთი შეხედულებიდან გამომდინარე პოეტს, როდესაც ის გარემო ცხოვრებას აკვირდება, ბევრი რამ არ მოსწონს, ის მძიმე

გრძნობით რწმუნდება „სოფლის უკუღმა ტრიალში“. პოეტის დაკვირვებით, გარემო საზოგადოებრივ ცხოვრებაში „მოყვარის შებრალება“, რაც სამყაროს მთლიანობისათვის აუცილებელი უნდა იყოს, მივიწყებულია; მასში გაუტანლობა, მტრობა და შურია გამეფებული.

პოეტი ასე ამხელს თავის დაკვირვებას:

საწყალი საწყალადვე რჩება,
ისევ სდის ცრემლის ღვარია.
მგლები, აფთრები მრავლდება,
ხარობს იმათი გვარია![1]

მწერლის გაგებით, მხოლოდ აზრი, „აზრი მაღალი ჰგოდებს ბედგანამწარია!“ ეს აზრია ცხოვრებასა და კაცობრიობას რომ არ ტოვებს, სიკეთისაკენ რომ ეზიდება მათ. მაგრამ, პოეტს ცხოვრებაში დიდი დაბრკოლება ხვდება. იგი აღშფოთებით გვამცნობს: „ერთი იცინის, სხვა სტირის! ესეთი არის ქვეყანა“. ასეთი წინააღმდეგობაა ადამიანთა ცხოვრება-ურთიერთობაში. ასეთივეა „უკუღმა ტრიალი“ ბუნების მოვლენათა და ადამიანთა შორისაც მაშინ, როდესაც, ვაჟა-ფშაველას გაგებით, კაცთა ცხოვრებასა და ბუნებას შორის განუყრელი მჭიდრო კავშირია.

აი რასა წერს ვაჟა-ფშაველა: „ბუნებას თავისივე კანონი აქვს კაცთა ცხოვრებისათვის დამყარებული, რომელიც არის დამოკიდებული სხვადასხვა პირობაზე, მიზეზზე... ჩვენ ბუნებაში ვართ —იგი ჩვენშია. საით, როგორ შეგვიძლიან იგი თავიდან ავიშოროთ, დავემალნეთ?! ცოცხალნიც მისი ვართ, მკვდარნიც“[2].

ვაჟა-ფშაველას გაგებით, სამყაროს — ბუნების ყოველი ცალკეული ნაწილის თუ მოვლენის არსი ჰქმნის აუცილებელ და საჭირო კავშირს მთლიანობისას და ყოველი ცალკეული ნაწილის თუ მოვლენის თავისებური ორგანიზაციის საფუძველი არის ამ მთლიანობის ურყევ კანონში. ასეთი შეხედულებიდან გამომდინარე, ვაჟა-ფშაველა ხშირად ბუნების მოვლენათა ძლიერი ურთიერთობის დახატვით გვიხატავს ადამიანთა რეალურ ურთიერთობას, ან ადამიანისა და ბუნების მოვლენათა ასეთსავე ურთიერთობას[3].

მზეო, რა ცოტას ხანს გხედავთ,
რა მალევ დაგვემალები!
უცდი მზის ჩასვლას, სიბნელევ,
მოხვალ, თავს დაგვეფარები.
გვიან მოგვიხვალ, ზაფხულო,
მალე დგე დაგვთხოვები...
მიწად იქცევი, ვაქაცო,
წადილით ახირებული...
კეთილს თან დასდევს მოსისხლე.
ბოროტი აბირებული![4]

---

[1] ვაჟა-ფშაველა, საშობაო სიმღერა, თხზ., ტ. II, 1950 წ., გვ. 80.

[2] მისივე, სად არის პოეზია?, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

[3] ვაჟა-ფშაველამ ბუნების მოვლენათა გაგება, მათი ზუსტი ათვისება შეძლო არა მარტო უშუალოდ ბუნების მოვლენებზე ხანგრძლივი და ღრმა დაინტერესებული დაკვირვებითა და ათვისებით, არამედ, აგრეთვე, მათი მეცნიერული შესწავლის გზით.

[4] ვაჟა-ფშაველა, მთიულის სიმღერა, თხზ., ტ. I, 1946 წ., გვ. 45.

ასეთი წინააღმდეგობებით განიცდის ვაჟა-ფშაველა ბუნების, სამყაროს გაერთიანებულ სიცოცხლეს ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში, 1888 წელს დაწერილ ლექსში „მთიულის სიმღერა“.

აქ ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობაში, სხვათა შორის, წარმართობის მძლავრი ნალექიც მოჩანს, რაც მთიულური ზეპირგადმოცემისა და ყოფა-ცხოვრების გავლენით უნდა აიხსნას.

მაგრამ, ვაჟა-ფშაველასათვის არსებითი და დამახასიათებელი ის არის, რომ მას სიცოცხლე უყვარს, მოსწონს და იღებს ბუნებაში არსებული წინააღმდეგობით — კეთილისა და „აბირებული ბოროტის“ მოსისხლე მტრობით, ბრძოლით.

ლექსი „მოგონება“ დიდი უშუალობითა და დამაჯერებლობით აღბეჭდავს ვაჟა-ფშაველას ამგვარ დაუძლეველ მიზიდულობას სიცოცხლისადმი, რეალური ცხოვრებისადმი. პოეტს სიცოცხლის მთლიანობაში გაგება და მით დატკბობის სურვილი ადამიანის ბუნების განუყრელ არსად მიაჩნია.

ახალგაზრდა ჯან-ღონითა და სიცოცხლის ნდომით აღსავსე მთიელი ქალი თავდამავიწყებელი სიყვარულის მძლავრი განცდით თავის ქმარს — ვაჟკაცს ეუბნება:

თუ შენ არ გხედავ ცოცხალსა,
არც მე ვარ ცოცხლად დამჩომი!
ცოცხალი თან ჩამოგყევი,
საფლავში დაგეტანები...
მწადს, ერთად შაზელილიყოს
ჩემი და შენი ძვალები[5].

ნათქვამი გულწრფელია, სიყვარულიც უზადოა. მაგრამ „ორმა დღემ ჩამაიარა“, „ზარი აჩქამდა გლოვისა“, მთელი სოფელი დასტირის ახალგაზრდა მთიულს. დასტირის მას მისი ახალგაზრდა ცოლიც — „ცრემლი სდიოდა ღვარადა, გულ-დაბნედილსა დიაცსა აბრუნებდიან ძალადა“. მიცვალებული კუბოთი დიდი ზარით საფლავთან მიიტანეს, ჩაუშვეს კუბო საფლავში. „ცვივა ქვიშა და ლოდები“. მოზარეები მიცვალებულის ახალგაზრდა ცოლს მოაგონებენ ფიცს, რომელსაც ის ორი დღის წინ აძლევდა ქმარს. გოგონა უკან იხევს. მას სიცოცხლე სწყურიან, თუნდაც იგი ტანჯვითა და მწუხარებით იყოს სავსე. მოზარეების საპასუხოდ გოგონა დიდის უშუალობით, ყოველივე ცბიერების გარეშე წამოიძახებს:

„არა, მე სიცოცხლე მინდა,
უნდა ვიცოცხლო ჭირითა...
რომ მოვკვდე, მაშინ ვიქნები
დარდების მოფონებითა!
დაე ვიცოცხლო ტანჯვითა,
ნაღვლით დავიწვა გულია,
დავიწვა ვით კელაპტარი,
ხატის წინ ანთებულია...
ვიცოცხლო იმის მამგონეთ,
ვინც გულს მაჩნივა წყლულია!...“[6]

---

[5] ვაჟა-ფშაველა, მოგონება, თხზ., ტ. I, 1946 წ., გვ. 67.
[6] იქვე, გვ. 68.

დასმული პრობლემის გადაწყვეტას ვაჟა-ფშაველა დიდი დინამიურობითა და დამაჯერებლობით აწარმოებს. მკითხველის მობილიზებულ ყურადღებას არაჩვეულებრივად ჭიმავს. გოგონა ერთს წელს საყვარელი ქმრის საფლავზე იარებოდა, „უნთებდა წმინდა სანთელსა, შინავე ტრიალდებოდა“; მორთო საფლავი მიჯნურის „ყვავილით ტურფა ფერისა“; ვარდებსა რწყავდა „თვალთაგან მონაწურისა“ ცრემლითა. გავიდა ერთი წელი, გადმოგვცემს მგოსანი, გამოიცვალა დრო და ჟამი. შეიცვალა გოგოს განწყობილებაც. მას სურს იპოვნოს მეგობარი, პირველი მიჯნურის მსგავსი „თვალითა, ტანადობითა,“ რომელიც, ჩვეულების თანახმად, „მოკეთეს მოკეთეობდეს, მტერს ექმნას ჯალათობითა“.

გოგონას ასეთი განწყობილება, ასეთი სურვილი ვაჟა-ფშაველას კი არ აკვირვებს, ან კი არ აღაშფოთებს, მიუღებლად ან არაბუნებრივად კი არ მიაჩნია, არამედ ის ამ გარემოებას თვლის ჯანსაღად, აუცილებლად, ბუნების მთლიანი სიცოცხლის მდინარებასთან შეფარდებულად. გოგონას ასეთი განწყობილების მართებულობა, კანონზომიერება რომ მკითხველსაც შთააგონოს, მგოსანი ამ ლექსში შემდეგი, მეტად საგულისხმიერო, მოხდენილი ზეაღსვლით დაამთავრებს;

ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა,
და შენც სიკვდილო, ფასი გძე
სიცოცხლის ნაწყენობითა.
სიცოცხლე სიყვარულითა
და სიყვარული სიცოცხლით,
უერთურთისოდ ვერც ერთსა
ვერ ვიცნობთ, ვერც როს ვიცნობდით.
ერთურთი სწყურან ორთავე,
ერთურთთან დაილევიან;
ეერთურთისოდ ვერ სძლებენ
მალედვე დაილევიან![7]

აქ ნიჭიერადაა აღბეჭდილი ვაჟა-ფშაველას მსოფლშეგრძნება: ბუნება, მისი ცხოვრება, ყველა მისი მოვლენა დაინახოს, გაიგოს, შეაფასოს მის მთლიანობაში, განუწყვეტელ ურთიერთობაში.

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობისა თუ მსოფლგაგების ასეთი თვისება უფრო მკვეთრადაა გამოხატული მისი ღრმა ფილოსოფიური ხასიათის ლექსში „ღამე მთაში“. ამ ლექსში, როგორც მის მრავალ ნაწერში, წარმართი, ქრისტიანი, ათეისტი ვაჟა-ფშაველაში მეტად ორიგინალურად, მჭიდროდაა გადაკვანძული ერთმანეთში. ეს გარემოება მგოსანს ხელს უწყობს მთელი სამყარო დაინახოს, როგორც უნივერსალური მთლიანობა აურაცხელი მრავალფეროვნებით, მუდმივი ბუნებრივი განუწყვეტელი კავშირით, მოძრაობით, წინააღმდეგობითა და ჭიდილით. თვით ადამიანთა ცხოვრება მთელი მათი ტანჯვა-სიხარულით, სიცოცხლე-სიკვდილით, ამ მთლიანი უნივერსალური სიცოცხლის გარემოქცევის მომენტია. ვაჟა-ფშაველას გაგებით ყოველი მოვლენის

[7] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, მოგონება, თხზ., ტ. I, გვ. 69.

სიცოცხლე წარმოადგენს მუდმივ სწრაფვას, მოძრაობას, რაც გამოწვეულია ყოველი მოვლენის შინაგანი მისწრაფებით მოქმედებისადმი. რადგანაც ყოველ მოვლენაში ვლინდება სამყარო-ბუნება, ამიტომ ყველა მოვლენა ერთად არეკლავს სამყაროს მთლიანი პროცესის ჰარმონიას.

პოეტის წარმოდგენითა და გაგებით ეს უნივერსალური სამყარო სიყვარულით და გონიერებითაა აღსავსე. ამ მთლიანი ცხოვრების განცდა პოეტს დიდ ესთეტიკურ დაკმაყოფილებას აძლევს: „ამაზე ტურფა და კარგი მე სხვა აღარა მგონია!..“ — აღტაცებით წამოიძახებს ბუნების უშუალო ხილვითა და განცდით დაკმაყოფილებული პოეტი. აქ, ასეთს განცდაში, პოულობს ვაჟა-ფშაველა სულიერ სიმშვიდეს, სიხარულს, ტკივილებისაგან დაყუჩებას. ამაშია მისი ესთეტიკის წყარო.

ვაჟა-ფშაველას (როგორც მისი პოემების გმირებს) იზიდავს ამ უნივერსალური სიცოცხლის ძირითადი ბუნება: სიცოცხლე, მოძრაობა, აქტივობა, დაუსრულებლობა, ჰარმონიული მთლიანობა:

აქაც, იქ, იმას იქითაც,	მადლი შენ, ყველა ერთმანეთს,
საცი ფერცხალა გორია,	უფალო, დაუმონია;
ლამაზის მთების ასულთა	ამაზე ტურფა და კარგი
ხმა ხმისთვის შაუშონია.	მე სხვა აღარა მგონია!..[8]

ასეთია ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიური ძიება ბუნებისა და სიცოცხლის მოვლენათა ურთიერთობის გაგების შესახებ ჯერ კიდევ 1890 წელს დაწერილ ლექსში „ღამე მთაში“ და სხვ. ბუნებაში, მგოსნის გაგებით, უნივერსალური ბრძოლისა, შეთანხმებისა და განვითარების მთლიანი პროცესია, სადაც მარადიული კანონზომიერება არსებობს მოქმედ ძალთა შორის, ისინი ურთიერთისაგან დამოკიდებულნი არიან, ურთიერთობით ქმნიან მარადიულ მთლიან სილამაზეს — სიცოცხლეს.

ხევი მთას ჰმონებს, მთა — ხევსა,
წყალნი—ტყეს, ტყენი—მდინარეთ,
ყველანი—მიწას და მიწა—
თავის აღზრდილთა მცენარეთ[9].

ვაჟა-ფშაველას განცდით, ადამიანიც ამ მთლიანობის განუყოფელი ნაკვეთია, რომელიც ამ მთლიანობის აღქმაში პოულობს თავის დასაბამს, დანიშნულებას, შინაარსს, ადგილს, ღირებულებასა და დაკმაყოფილებას. ამიტომ მგოსანი ბუნების სამყაროს მოვლენათა მთლიანი ურთიერთობის განცდას ასე დაამთავრებს:

და მე ხომ ყველას მონა ვარ
პირზე ოფლ-გადამდინარედ![10]

---

[8] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ღამე მთაში, თხზ., ტ. I, 1946 წ., გვ. 71.
[9] ი ქ ვ ე.
[10] ი ქ ვ ე.

თავის ფილოსოფიურ შეხედულებას ვაჟა-ფშაველა უფრო აზუსტებს იქვე, იმავე ლექსში. ბუნების (სიცოცხლის, სამყაროს) მოვლენათა მოცემული ურთიერთობა თავისი მრავალფეროვნებით, წინააღმდეგობითა თუ ურთიერთდახმარებით ერთ მთლიან უნივერსალურ ცხოვრებაში ასე აქვს პოეტს წარმოდგენილი:

ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა.
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა;
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა...
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა!
(იქვე)

აქ ვაჟა-ფშაველა მოჩანს არა მარტო როგორც, მართლაც, უცნაური ოსტატი სიტყვისა, სახეებისა, არამედ როგორც მოაზროვნე-ფილოსოფოსიც, რომელსაც ცხოვრების დიალექტიკური განვითარების ურყევი კანონი, შეიძლება პრიმიტიულად, მაგრამ არაჩვეულებრივი უშუალობითა აქვს განცდილი და გაგებული: ვაჟა-ფშაველა აქ მეღავნდება, როგორც ბუმბერაზი პანთეისტ-ჰილოძოისტი ფილოსოფოსი, რომლის მხატვრული ინტუიცია, რაციონალური გაგება და უშუალო ცოდნა შეერთებულია ერთ ორგანულ მთლიან მსოფლმხედველობაში.

ლექსში „სიმღერა" („სოფლისა წესი ასეა...") ვაჟა-ფშაველა დიდი სიცხადით გამოხატავს ბუნების (სიცოცხლის) კანონზომიერი ცვალებადობის ურყევ კანონს — „ჩვენ წავალთ, სხვანი რჩებიან; მკვდრების მაგიერად მალედვე მეორეები ჩნდებიან". ვაჟა-ფშაველა სწორედ ამ მოვლენაში, თუ გარემოში ხედავს არა მარტო სიცოცხლის გარდუვალობას, არამედ მის ძალას, აზრს, სილამაზეს, მიმზიდველობას.

სიცოცხლეს სიცოცხლე უყვარს,
ეს მიტომ დადვა წესადა;
სიკვდილი გაუჩენია
მას თავის გასაკვებადა[11].

სიყვარული — მიზიდულობა სიცოცხლისადმი, პოეტის განცდითა და გაგებით, არა კვდება. ის, პოეტის მახვილი თქმით, „ისევ რჩება ცხოვლადა, დაფრინავს, როგორც ფარვანა, საამო, კარგი ყოვლადა". სიყვარულს, მგოსნის ფრთოსანი თქმით, —

გულის ძგერა აქვს სამეფოდ,
ვნებად ღელვა ჰყავს მშობლადა.
(იქვე)

ვაჟა-ფშაველას განცდით, გაგებითა და თქმითაც, სიყვარულია სწორედ ის ძალა, სამყაროს — ცხოვრებას რომ ამოძრავებს, სიცოცხლეს

[11] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სიმღერა („სოფლისა წესი ასეა"), თხზ., ტ. I, 1945 წ., გვ. 180.

რომ აძლევს ყველაფერს, რაც კი მასში არსებობს, ყველა მოვლენას ერთ მთლიან კანონზომიერ პროცესში რომ აერთიანებს:

იმისგან ჰყვირის ირემი,
ჩისთ დაფრინავს შველია;
მისგანა გალობს ბულბული,
მისგნითვე მწვანობს ველია;
იმისგან ხარობს ბუნება—
უკანასკნელი მწერია...

ზღვაში იღუპვის ჭაბუკი
თავის სატრფოსთვის ხელია,
დიდება ქვეყნის შემომქმედს,
რა კარგად დაუწერია!..
(იქვე)

ლექსში „სიმღერა" („გული გავგზავნე ქვეყნადა სალაღოდ, სანავარდოდა") ვაჟა-ფშაველა დიდი სისადავითა და შთაგონებით იძლევა ამ უნივერსალურ სიცოცხლისადმი სიყვარულის გრძნობის მოძრაობას. პოეტი დიდი უშუალობით გადმოგვცემს იმ განსხვავებას, რომელიც აღმოჩნდა სალაღოდ, სანავარდოდ გაგზავნილ „ნორჩ" გულში. დაბრუნებისას ეს გული პოეტმა ველარ იცნო:

ათიათასი წყლული სჭირს —
ტანჯვა-ვაების ნიშანი.
დამდნარა, ნალეგს მთვარეს ჰგავ,
სულს ჰლევდა, თითქოს
კვდებოდა...

ვაებად ქმნილსა მოლხენის
ა ღ ა რ ა ფ ე რ ი ს ც ხ ე ბ ო დ ა...
თვითეულს შეკითხვაზედა
ცრემლი ზღვად გადმოსკდებოდა[12].

პოეტი ცდილობს ანუგეშოს დაბრუნებული „ნორჩი გული", მაგრამ ის მას აღარ უსმენდა, ველარა მშვიდდებოდა. თითოეულ შეკითხვაზე გულს „ცრემლი ზღვად გადმოსკდებოდა". მგოსანი მიხვდა, რადა სტიროდა და რისთვისაც ბნდებოდა ველიდან დაბრუნებული „სულ უტიფარი და ნორჩი" გული:

ქვეყნის ავ-კარგის გაცნობას
თურმე თან ცრემლი ჰხლებოდა.
(იქვე)

ეს მგრძნობიარე დამოკიდებულება — სიყვარულია, რომელიც მგოსნის გაგებით, ცხოვრებაში ყველაფერს აძლევს დასაბამს. მგოსანი უკვირდება რა სამყაროს, აღტაცებაში მოდის, როცა ხედავს ბუნებაში — მის ცხოვრებაში არსებული წინააღმდეგობანი როგორ კანონზომიერად იხსნებიან: მგოსნის გაგებით, თუ გუშინ გული ეჭვობდა, მძიმედ იყო დაკოდილი, სწყევლიდა თავსაც, ბედსაც და მეტად მცირე იმედი ჰქონდა, დღეს მას ნავთსაყუდარი უპოვია; თუ ცხოვრება ადამიანს ხან ალაღებს, ტკბილს ასმევს, ხანაც მწარეს აწვდის, სამაგიეროდ, „დღეს მტირალს, ბედის მომდურავს, ხვალ ისევ გაახარებსა"; ღარიბს ამდიდრებს, მდიდრის სიმდიდრეს გამოლევს:

---

[12] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სიმღერა („გული გავგზავნე ქვეყნადა..."), თხზ., ტ. II, 1950 წ., გვ. 136.

დაბმულს აუშვებს და ახსნილს
დააბამს, გააკავებსა...
საწუთროს ქინი შეიგნო,
დღე-ღამეობა ქამისა;
ხვალ განთიადის მომლოდნეს
შიში არა აქვ ღამისა[13].

ვაჟა-ფშაველა აკვირდება თავის გარემო ცხოვრებას, თავის ეპოქას, მასში არსებულ სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ცვალებადობას. ის გარკვეულად რწმუნდება, რომ მასში ხდება ანალოგიური ცვალებადობა იმ ურყევი კანონის მიხედვით, რომელიც არსებობს ბუნების მოვლენათა შორის.

მოაზროვნე და მხატვარი ვაჟა-ფშაველა თავისი მოღვაწეობის დასაწყისიდან დამთავრებამდე გამომხატველია გლეხის — ქართველი გლეხის ცხოვრებისა და სულისკვეთებისა, მისი თანდათანობითი გამოფხიზლებისა. გარევოლუციონერებისა, მისთვის უკეთესი ცხოვრების პირობების შექმნის სურვილისა და უნარის გაღვიძებისა და გაღვივებისა.

გლეხობის განწყობილებას, განსაკუთრებით 900-იან წლებში, საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი ძვრების ხანაში, გლეხობის თანდათანობით რევოლუციური ენერგიის ზრდასთან დაკავშირებით, როგორც ზევითაც („ვაჟა-ფშაველა და 1905 წლის რევოლუცია") აღვნიშნეთ, ვაჟა-ფშაველაც ჰქმნის რევოლუციური განწყობილებით გაჟღენთილ პოეტურ სახეებს. მგოსანი თავისი (და გლეხთა მასების) განწყობილების მსგავს მოვლენებს ბუნების კანონზომიერ ცხოვრებაში, მის მოვლენათა ურთიერთობაშიც ხედავს. ამიტომ ბუნების ანალოგიურ მოვლენათა საშუალებით პოეტს სურს თავისი მისწრაფებანი, შეხედულებანი მკითხველთა მასებისათვის დამაჯერებელი გახადოს, დაიყვანოს ფართო მკითხველამდე. ის სიმართლე, სინამდვილე, რომელსაც ვაჟა-ფშაველა პოეტური ალეგორიებით თავის შემოქმედებაში იძლევა, მაგალითად, გაზაფხულზე მთელი ბუნების აღორძინების, სიცოცხლის სიკვდილზე, მოდუნებულ ცხოვრებაზე გამარჯვების ცოცხალი სურათის დახატვით, — გაჟღენთილია რევოლუციური ვნებიანობითა და გლეხთა გაღვიძებული მასების რევოლუციურ სწრაფვას შესატყვისად გამოხატავს.

გაზაფხულზე ყველას საშუალება ეძლევა განგების ძალა გამოიჩინოს „რისიც უნარი აქვს — აყვავდეს ქვა და ქვიშაცა". გაზაფხულზე აშიშინდა და ამოძრავდა გარემო, „სამოთხის ფერი დადგეს არე-მარეთა ტყიანთა", გაჩნდა საერთო დიდი ზეიმი:

ყინვისგან შეწუხებულმა
ვნახე, ზამთარი კვდებოდა;
ლელმა-ნაკრავი ყინული
მ დ ი ნ ა რ ე ე ბ ზ ე ტ ყ დ ე ბ ო დ ა ...
და გაზაფხული ზლაზვნითა
სამარიდანა დგებოდა,
ტანით სუდარას იხდიდა,
დიბ-ფარჩით იმოსებოდა.[14]

[13] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სიმღერა („კიდევ ხმა მესმა ციდამა"), თხზ., ტ. I, 1946 წ., გვ. 217.

[14] მ ი ს ი ვ ე, გაზაფხული, თხზ., ტ. II, 1950 წ., გვ. 207.

ზამთრის (ე. ი. ძველი წყობილების) სიკვდილთან და გაზაფხულის (ახალი, სამართლიანი ცხოვრების) დადგომასთან ერთად გაღვიძებული, აღორძინებული ხალხთა ცხოვრებაც ვაჟა-ფშაველას ეხატება გაზაფხულზე გაღვიძებული ბუნების ანალოგიურად.

სიცოცხლე სცხოვრობს ყოველგან,
სიკვდილი არ სჩანს, მომკვდარა,
ჟუჟუნა წვიმამ დაუშვა,
მთიდან ღვარები მომსკდარა.

გუნდი და გუნდი ყვავილთა
მიწის გულ-მკერდზე მომსხდარა;
ნაშენი ცხვრის და ძროხისა
ფარებად კარზე მომდგარა.

(იქვე)

ჟუჟუნა წვიმა, ღვარები, გუნდი და გუნდი ყვავილები, ცხვრისა და ძროხის ნაშენი ფარებად კარზე მომდგარი — ყველა ეს პოეტური სიმბოლოებია ახალი დროის — მოქმედი ძალების რევოლუციური მოძრაობისა.

მგოსანი აღტაცებულია ბუნების ასეთი ცვლილებებით, ნახტომით. ამგვარსავე ცვლილებას ის ხედავდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. ასეთი გზა, გარემოება მას მიაჩნია საერთო ცხოვრებისათვის მამოძრავებელ კანონად. თავის დამოკიდებულებას მთელი უნივერსალური სიცოცხლის კანონზომიერი და აუცილებელი ცვალებადობისადმი ვაჟა-ფშაველა ასე გამოხატავს:

დიდება უფლის სახელსა,
რა კაი საქმე მომხდარა!

(იქვე)

ვაჟა-ფშაველას ასეთი განწყობილებით აიხსნება, რომ ის არ კმაყოფილდება, ცხოვრება აიღოს თუ მიიღოს რომელიმე ცალკეული კუთხით, უბნით, ნაწილით. მგოსანი განსაკუთრებით შეზღუდულად გრძნობს თავს ყოველდღიური ცხოვრების ჩარჩოებში, როცა მისი ამოძრავება მხოლოდ პირადი ინტერესით არის შემოფარგლული. ვაჟა-ფშაველას სწამს სიცოცხლის დაუსრულებლობა. ის მას მთლიანობაში განიცდის; სიცოცხლის ამ მთლიანობაში ხედავს ის პირად მორალურ და ესთეტიკურ დაკმაყოფილებასაც. პოეტისათვის მუდმივ განუყრელ და აუცილებელ მთლიანობაშია პირადი და ზოგადი, ყოველდღიური და მარადიული, სათავისო და სასხვისო.

ვაჟა-ფშაველას ჩანგიც, თვით პოეტისავე აღიარებით, მხოლოდ ამ მიმართულებით ეღერს ლაღად, ამის გარეშე ის ვერა პოულობს შვებასა:

მოძმეთ გონების სიმაღლე მწადდა,
იმათ გრძნობათა და ფიქრთ დიდობა.
ვერაფერს გავხდი, ვერვის რა ვარგე,
გულს დავუკარგე რისთვის მშვიდობა?[18]

[18] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ქებათა-ქება, თხზ., ტ. I, გვ. 218.

მგოსანი ღრმა ლირიზმით აღსავსე, მომხიბვლელი ლექსით მკვეთრად გვაგებინებს, რაა მიზეზი მისი „გულის მშვიდობის“ დაკარგვისა. ის არც სწუხს, რომ მან „სიმშვიდე“ დაკარგა, რადგანაც, მისი ღრმა რწმენით, არსებულ ცხოვრების ვიწრო და მუხთალ პირობებში ის ვერ დამშვიდდება. ის ამ გარემოებაში ამას არც მოინდომებდა, ვინაიდან არსებულ მდგომარეობაში მისი გული, როგორც მუშაკისა, სავსეა „ბედის მდურვით, ნაღველ შხამითა“:

სიყმილი მკლავდა ძმათა რგებისა,
ეს იყო ჩემთვის ბედნიერება,
ეს იყო ჩემთვის ყოფნა შვებისა.
და დღეს ისა მკლავს, გულს ის მიქენჯნის,
ცუდივ ამბავი მესმის ძმებისა.
(იქვე).

ასეთი გარემოება მგოსნის გულს აღონებს, „ნაოხარ ბაღად“ გადაქცევს. ვაჟა-ფშაველა განიცდის რა ხალხის მასების გმირული რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას, ახალი სამართლიანი ქვეყნისაკენ გმირული ბრძოლითა და მსხვერპლით გზის გაჭრის წადილის პათოსს, თვითონაც ეძებს საგმირო ჰანგებს — „სიტყვას და აზრსა ციურსა“. არსებული გარემო სინამდვილე ან როგორც თვით პოეტი ამბობს, „ამბავი ყოველდღიური“ მის აღფრთოვანებას ფრთებს აკვეცავს. პოეტისდა სამწუხაროდ, მისი „გრძნობა და ფიქრი ღვთიური“ მის გულს „იქით ვერ მოდის“.

ბრძოლა განსაზღვრულისა, ყოველდღიურისა განუსაზღვრელთან, მარადიულთან; პირადულისა — მაღალ, საერთო სახალხოსთან; წვრილმანისა — დიდ იდეურ — პრინციპულთან ერთი უმძიმესი ტკივილთაგანი იყო როგორც ეპოქისა, ისე ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობისა, რაც ასე მკაფიოდაა გამოვლინებული მგოსნის შემოქმედებაშიცა და მის პრაქტიკულ მოღვაწეობაშიც. ეს მტანჯველი პრობლემა არაერთხელ ძაბავს ვაჟა-ფშაველას ყურადღებას, ენერგიას, მის პოეტურ ნიჭს. მინდიას („გველის მჭამელი“) ტრაგედია ამის აპოგეაა, ამ ტკივილზე აღმოცენებული და გაშლილი. მინდიას ყოველი განცდა და წინააღმდეგობა თემთან თუ ცოლთან აღშფოთებით კივის:

„ფრთებს მიკვეცს აღმაფრენისა
ამბავი ყოველდღიური...“
(იქვე).

* * *

ვაჟა-ფშაველას ცხოვრების „უკუღმა ტრიალი“ (პოეტს, რა თქმა უნდა, მხედველობაში აქვს თანადროულობის საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწესრიგებლობა) იმის შედეგად მიაჩნია, რომ ადამიანთა ცხოვრება ბუნების ცხოვრების საერთო კანონს დაშორდა. ვაჟა-ფშა-

ველა ერთს თავის დაუბეჭდავ წერილში „სად არის პოეზია?“ ურყევი ტონით შემდეგს გვეუბნება: „ჩვენი ცხოვრება სრული გამომხატველია ბუნებისა[16]... ვინც ბუნების ავი და კარგი შეიგნო, იმას არ გაუძნელდება ცხოვრების ვითარების გაგება. მხოლოდ უნდა მწერალი უყურებდეს ცხოვრებას, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ბუნების თვალებით“[17].

ვაჟა-ფშაველაც „ბუნების თვალით“ აკვირდება ბუნების ცხოვრებას, მასთან ადამიანის კავშირს, რათა მის მარადიულ ყოფასა და მოძრაობაში „ყამთა ტრიალის“ მყარი და სწორი სამართლიანი დასაყრდენი გამონახოს. ვაჟა-ფშაველა, პირველ რიგში, ცდილობს გაიგოს ცხოვრების ძირითადი მამოძრავებელი კანონების ბუნება. პოეტის შემოქმედებითი ალღო ლამობს მთელ სამყაროს შემოხვიოს თავისი გაგების სალტე, გააერთიანოს იგი და მის მთლიანობაში იპოვოს მისი მოძრაობის ღერძი და არსი და მასთან დაკავშირებით ადამიანთა სიცოცხლისა და ცხოვრების მოძრაობისა და განვითარების საფუძველიც.

ბუნების მოვლენებთან მჭიდრო კავშირმა და გულისხმიერებით მასზე დაკვირვებამ ვაჟა-ფშაველას ბუნების მოვლენათა შესახებ გარკვეული რწმენა გამოუმუშავა. აი როგორ გვიხსნის ვაჟა-ფშაველა თავის შეხედულებას: „ყველა გრძნობას თავისი ბუნება აქვს, თავისი აგებულება: საათი დაბადებისა, ხანა სიყრმისა, სიჭაბუკისა და სიკვდილისა. ყველა ეს უნდა მხედველობაში ვიქონიოთ“[18].

ამასთან ერთად ვაჟა-ფშაველას სამყაროს (ბუნების) ცხოვრების პროცესი წარმოდგენილი აქვს, როგორც გამუდმებული მოძრაობა და ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის (აქ ვაჟა-ფშაველაში იგრძნობა წარმართული მსოფლმხედველობის ნალექიც), პროგრესულსა და რეაქციულს, საზოგადოებრივსა და პირადულს შორის. ასეთი გაგებით ეძებს ვაჟა-ფშაველა ცხოვრების მყარ მამოძრავებელ კანონს.

ეს მწვავე საყოველთაო და კერძოდ ვაჟა-ფშაველასათვის მუდმივი მტანჯველი ტკივილი, განსახიერებულია მგოსნის მრავალ ნაწარმოებში („ია“, „მთის წყარო“, „მთანი მაღალნი“, „ქუჩი“ და სხვ.), ხოლო ყველაზე გამახვილებულად მოცემულია პოემაში „გველის მჭამელი“, მინდიას ტრაგედიის გაშლით.

აი, ვაჟა-ფშაველას გაგებით, როგორი ურთიერთდახმარება, ურთიერთ კავშირი და სიყვარული ამოძრავებს ბუნების ცხოვრებას, მის მოვლენებს:

„ულრანს ტყეში მოსული ვარ, — მოგვითხრობს ია, — მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკბობ ტყეს, ბალახს და იმ გაღმიდამ

---

[16] ვაჟა-ფშაველას ცნება ბუნება ესმის როგორც მთლიანი სამყარო—უნივერსალური სიცოცხლის პროცესით.

[17] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სად არის პოეზია?, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

[18] ი ქ ვ ე.

გამომცქერალს გულხავსიანს კლდესა, სუნელებას მივაფრქვევ არე-მარეს. ყველას ვუყვარვარ: აგერ იმ დამპალს ყუნჭს თვალი სულ ჩემსკენ უჭირავს, მიცინის ხოლმე, უნდა ჩემთან მოვიდეს, — მაკოცოს, მაგრამ არ შეუძლიან, მხოლოდ შორიდამ გამიცინებს, გაიღიმება საცოდავი, თუმცა უშნოდ, მაგრამ გულკეთილობა-კი დიდი გადაეფინება ხოლმე პირზედ"[19].

ან კიდევ:

„გუშინ ცამ იჭექა. ჭექა ქუხილი ჩვენ არ გვაშინებს: ქუხილი წვიმის მომასწავებელია და წვიმა ხომ ძუძუს გვაწოვებს დედამიწის გულზე. მზე მამაა, ზევიდამ დაგვყურებს და გვეალერსება, თვალ-ყურს გვადევნებს. წვიმის მოსვლა მცენარეთ უხარიანთ, — უხარიანთ, ყელამდის სიხარულით მოიყარნენ; ეხლა ისინი ახალს კაბებს და ქათიბებს ჩაიცმენ. აი ეს ორი დღეა, რაც ჩემი დობილი სასუტელაც ამოჩნდა; უხარიან, უხარიან საცოდავს, სულ თავს იქნევს დაბლა და მაღლა, უკრავს თავს დედამიწას, მზის სინათლეს, მეჩურჩულება, ზღაპრებს მიამბობს სიცოცხლეზე, სიყვარულზე; ხანდახან კიდეც გაიკასკასებს, გადმამეხვევა და მაკოცებს"[20].

ასეთია საღი, ლაღი, ერთიერთმანეთის გაგება და დახმარება, მთლიანი ცხოვრება ბუნების წიაღში. ბუნების ამ მთლიანი ცხოვრების პროცესს, იის (თვით ავტორის) დანახვითა და თქმით, არღვევს „შეუბრალებელი კაცი", რომელიც „რასაც კი დაინახავს, უნდა რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს". კაცი, იის გაგებით, ასე იმიტომ იქცევა, რომ ის „ვერ აფასებს ბუნების სილამაზეს"[20].

ასეთი გაგების დასამტკიცებლად ია შემდეგ მაგალითს მოიტანს: „ჩვენ წინ კაცმა გამოიარა, ცალს მხარზე ცული ედო, მეორეზედ თოფი ეკიდა. მიადგა ერთს მშვენიერ ტოტგადართხმულს წიფელს, დაუშინა ცული და წააქცია. საბრალო, როდესაც წაიქცა, დაიკვნესა... ცრემლები დასხმოდა ჩაღრმავებულს გულში".

იგივე კაცი არა კმაყოფილდება ამ ცოდვით. იის გადმოცემით, ხეზე ზის „დაღლილ-დაქანცული" ქედანი, ღუღუნებს, მასაც უხარიან გაზაფხულის მოსვლა. ტკბება სილამაზით — სიცოცხლით. „უცებ თოფი გავარდა, ქედანმა ხმა გაკმინდა, ჯერ ფეხით ჩამოეკიდა ტოტზე, მემრე ძირს ჩამოვარდა, ჩემს წინ დაეცა. სისხლი წამოუვიდა ნისკარტიდამ და თვალები დახუჭა; გადმონადენი სისხლი წვეთ-წვეთად დაეტყო ფოთლებზე"[20].

ასეთია კაცი. ის დასცილდა ბუნების კანონზომიერი განვითარების სიცოცხლის გზას, რითაც მან მისი გონიერებისა და სილამაზის გაგების საღი ალღო დაკარგა. ამიტომაც ადამიანთა ცხოვრება სავსეა უსამართლობით, ის მოუწესრიგებელია.

---

[19] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ია, თხზ., ტ. V, 1936 წ., გვ. 31.

[20] ი ქ ვ ე.

როგორ უნდა მოეწყოს საზოგადოებრივი ცხოვრება? რა პირობები უნდა შეიქმნას ადამიანთა ცხოვრების საღ საფუძველზე დაყენებისათვის? სად ან რაში უნდა ვეძიოთ ამ საფუძველის არსი? ამ მტანჯველ საკითხებს ვაჟა-ფშაველა თავის შემოქმედებაში არა ერთხელ უტრიალებს. ყველაზე მკვეთრად, თავისებური სიღრმითა და ორიგინალობით აღნიშნულ კითხვებით გამოწვეული ტანჯვის ასახვას და მათზე პასუხის გაცემას მგოსანი იძლევა პოემაში „გველის მჭამელი".

* * *

ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი" ფილოსოფიური პოემაა, რომელშიც მგოსანმა დიდი უშუალობით გამოხატა სხვადასხვა მსოფლმხედველობათა შეჯახებისა და ბრძოლის საფუძველზე ცხოვრების არსისა და ადამიანის დანიშნულების ტკივილები. „გველის მჭამელში" ვაჟა-ფშაველამ გაშალა ადამიანის ტრაგედია, აღმოცენებული ძლიერი პიროვნებისა (ფართო შემეცნებისა და მაღალი სიყვარულის მატარებლის, ახალი, მასებისათვის უკეთესი აზრიანი, სამართლიანი ცხოვრების მაძიებლისა) და საზოგადოების (არსებულით კმაყოფილის) ურთიერთობისა და შეჯახების ნიადაგზე.

ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი ხერხი კონტრასტებით აზროვნებაა. პოემაში „გველის მჭამელი" მთავარი გმირის — მინდიას რთული ტრაგედია დაპირისპირებითაა განვითარებული.

მინდიამ[21] მხოლოდ მაშინ იპოვა თავისი ნამდვილი სახე და განიცადა მაღალი შინაგანი დაკმაყოფილება, მხოლოდ მაშინ იგრძნო მან თავი ლაღად, როდესაც მთელი თავისი არსებით, განცდებითა და გაგებით შეუერთდა, შეეზარდა ბუნების უნივერსალურ ცხოვრებას.

ვაჟა-ფშაველას გაგებით, ცხოვრების — სიცოცხლის ძირითადი და ხელშეუვალი თვისებაა მოძრაობა, დინება, მოქმედება. ადამიანისათვისაც მოქმედება აუცილებელი და არსებითი მოთხოვნილებაა, უამისოდ ის ჰკარგავს თავის სახეს, დანიშნულებას, უამისოდ ის მკვდარია, არაფრის მქნელია, მას „ფრთებს უკვეცს აღმაფრენისა ამბავი ყოველდღიური" („ქებათა ქება").

ასეთივეა მინდიას განცდა და გაგებაც.

ქაჯეთში ტყვეობამ, უაზრო, უმოქმედო ცხოერებამ მინდიას თავის მოკვლა გადააწყვეტინა. თავის მოკვლის მიზნით მინდიამ შეჭამა გველის ხორცი, ქაჯთათვის რომ იხარშებოდა. სიკვდილის მაგიერ მინდია გარდაიქმნა: მის სხეულს, თვალს, ყურს, გულსა და გონებას ბადე აეხსნა, უცნაურად გამახვილდა მინდიას შეგრძნებისა და გაგების უნარი.

---

[21] მინდია თავისი ძიებით, შემეცნებით, სიყვარულითა და მწვავე ტკივილებით ჩვენი გაგებით, თვით ვაჟა-ფშაველაა.

მან თავი დააღწია ცხოვრების გაგების ვიწრო განსაზღვრულობის ჩარჩოებს.

აი როგორ გვიხატავს პოეტი მინდიას გარდაქმნილ ბუნებას:

ახალად სული ჩაედგა,
ახალი ხორცი აისხა.
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმას და ყრუვს, გაეხსნა.

ესმის დღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან მცენარენი, ცხოველნი,
როდის ილხენენ, წვალობენ.[22]

მინდიას ახალი მსოფლგაგება გამოუმუშავდა. ის რწმუნდებოდა, რომ „რაც კი რამ დაუბადია უფალს სულიერ-უსულო, ყველასაც თურმე ენა აქვს, არა ყოფილა ურჯულო". ვაჟა-ფშაველას ასეთს თქმებში გამოიხატება რეალური იდეა — ძმობა-ერთობის, თანასწორობისა და თავისუფლებისა დამონებულ, შევიწროებულ ხალხთა მასებში რომ მწიფდებოდა და თანდათან ფეხს რომ იკიდებდა აღმავალ რევოლუციურ მოძრაობაში, რაც 1901 წელს, როცა პოემა „გველის მჭამელი" დაიწერა, უკვე საგრძნობი ძლევამოსილებით მტკიცდებოდა „ხალხთა ბორკილის" დასამსხვრევადა და „ხალხთა ციხის" კედლების დასანგრევად.

ვაჟა-ფშაველას ამ პოემაში და მის ზოგიერთ სხვა ნაწარმოებში მოცემული ლეგენდარული და გმირული სახეები თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტური ყოფის რევოლუციური განადგურების რეალური იდეის გამომხატველია.

მინდიას ახალი მსოფლგაგების მიღებიდან იწყება მინდიას გაკაცება, სრულყოფა — მინდიას ნამდვილი სიცოცხლე. მინდიასა (ადამიანსა) და მთლიან ბუნებას შორის მყარდება მჭიდრო კავშირი, ურთიერთ გაგება. მწერლის გადმოცემით, ამიერიდან მინდიას მუსაიფი დაუწყო ცამ, დედამიწამ, ტყემ. მინდიამ გაიგო მათი ცხოვრება, შეივსო მისი ცოდნა. მან ქაჯური ყველა ხერხი ისწავლა, მხოლოდ ბოროტმა მის გულში, — ამბობს მგოსანი, ვერ მოიკიდა ფეხია".

მას შემდეგ, რაც მინდია შეუერთდა, გადაეჯაჭვა სამყაროს, გაიგო მისი უნივერსალური ცხოვრების დენა, ბუნება, დაიწყო მისი გონებრივი და მორალური ზრდაც; აქედან იწყებს მინდიას ბუნება გაღრმავებას, გაფართოებას, გამრავალწახნაგოვანებას. მინდია არაჩვეულებრივი ნიჭით აღჭურვილი შეიქმნა, ის გრძნეული გახდა. მინდიამ გაარღვია შემოფარგლული ცხოვრების გარსი: ის გადასცილდა ყოველდღიურობის, ჩვეულებრივი ადამიანის შეგრძნების საზღვრებს: მან იცის მტრის „დასამარცხები ფანდი", მძიმედ დაჭრილის უებრო მკურნალობა. ამიტომაა, რომ არ მცირდება ომებში ქართველთა ჯარი.

---

[22] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა. გველის მჭამელი, თხზ., ტ. IV, 1932 წ., გვ. 27, ასეთი პოეტური ხერხი ადამიანის ამგვარი გარდაქმნისა ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია, მაგალითად იხ. ა. ს. პ უ შ კ ი ნ ი ს ლექსი «Пророк».

მინდიას თავგადასავალი „შორს არის ამბად წასული“. ის ხალხის იმედი და ბურჯია. ხალხს სწამს (და ხალხის ეს რწმენა მგოსანმა რომ მძაფრად წარმოგვიდგინოს, ხალხში გავრცელებულ უზენაეს აუტორიტეტს — თამარ მეფის სახელსაც მოიშველიებს), რომ

მანამ მინდია ჰბელადობს,
ხევსურებს არა უშავთ რა,
ვეღარვინ ჰბედავს რჩოლასა,
მყუდროობაა ყველგანა...[23].

მინდია ისე მჭიდროდ ჩაექსოვა ბუნების მთლიან ცხოვრებას, რომ ის ახლო, უშუალოდ გრძნობს ყოველ მცენარესა და მღილსა, ყველას სიამოვნებით ჰხვდება. სანაგიეროდ, ისინიც მინდიას „ყიჟინით“ და „ვაშას“ ძახილით ეგებებიან და ტიტინით უმხელენ თავიანთ ბუნების საიდუმლოებას: „მე ვარო ამის წამალი“, სხვა გაიძახის. — „იმასა“. მინდიაც მათ აგროვებს, სახლში მოაქვს, ადამიანთა საკეთილდღეოდ იყენებს.

ვაჟა-ფშაველას გაგებით, ყოველი მოვლენა ბუნებაში მიილტვის ზნეობრივი გაუკეთესებისაკენ, ამაღლებისაკენ. ზნეობრივი გაუკეთესება ასპეტაკებს პიროვნებას; რამდენადაც პიროვნება მეტადაა გასპეტაკებული, იმდენად ის, რა თქმა უნდა, თავის კეთილდღეობაზე ფიქრობს; მაგრამ ამასთან ერთად ის სხვათა კეთილდღეობაზეც ზრუნვას თავისად მიიჩნევს, იმდენად დიდი აქვს მას სიკეთის დანახვის, გაგებისა და გაკეთების მოთხოვნილება. ასეთი შეგნების შედეგია სიყვარული, ამ სიტყვის ფართო გაგებით.

ასეთია მინდიას გაგებაც.

მინდიამ ბუნებასთან ურთიერთობაში დაინახა და გაიგო მთლიანი სამყაროს სიცოცხლის მაღალი, ფაქიზი მორალური დასაბამი, რამაც ის თავდავიწყებით გაიტაცა. ბუნების ამ კეთილ დასაბამს. რომელიც მინდიამ ამოიკითხა, ვაჟა-ფშაველა ასე გვიხატავს:

თურმე ზნედა სჭირთ ყვავილთა:
ოღონდ ეწამლოს სნეულთა,
სიცოცხლით გაფუფუნებულს
არად აგდებენ სხეულთა:
სალხინოდ ჰსახვენ, კაცთ სარგოდ,
ძვალ ხორცთა ჩამორღვეულთა.[24]

მარტო მინდიას ესმის მათი ზრახვა და ჩივილი. მინდია რწმუნდება. რომ ბუნების ყველა მოვლენას უყვარს სიცოცხლე, ყველა ენერგიულად იცავს თავს: ბალახიც, ხეც, მდინარეც, იაც, კურდღელიც და სხვ. („მთის წყარო“, „ქუჩი“, „ია“ და სხვ.). მაგრამ, ყოველი მათგანი, თუ ხედავს, რომ სხვისთვის სასარგებლოა, თავს არ იზოგავს. მინდიამ კარგად იცის, რომ ყანას სეტყვა აშინებს, იმიტომ რომ კაცი უსაზღვროდ

---

[23] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, გველის მჭამელი, თხზ., ტ. IV, გვ. 35.
[24] ი ქ ვ ე, გვ. 29.

დარჩება. ისიც სწორედ მისთვის ზიგავს თავს, თორემ განა ყანისათვის სეტყვას მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე ნამგალს? მაგრამ, მინდიას გაგებით თუ ამოკითხვით, მათ (პურეულ მცენარეთ) „სურთ პურად იქცნენ, საჭმელად, რომ მითი გაძღენ მშიერნი"-ო. ასე გარკვეულად განმარტავს მგოსანი მინდიას გაგებას.

უცნაურია, მაგრამ მიმზიდველი, შეთანხმებული უშუალო ურთიერთობა მინდიასა და ბუნების მოვლენათა შორის. მინდიას წინაშე, როდესაც მინდორ-ველად სამკურნალო მცენარეთა მოსაკრეფად გადის, მცენარე „ათი ათასი ყოველ მხრივ დაიქვითინებს ერთადა":

„არა მე მომჭერ, მინდიავ,
ნუ მტოვებ, შენი კვნესა მე!"
„არა მე, — სხვა გაიძახის,—
უფრო მაშინებს ზეცა მე".

ბუნების მოვლენათა შორის კეთილი ურთიერთობა, ვაჟა-ფშაველას დაკვირვებით, ფართოდაა გავრცელებული. მოთხრობაში „უ ძ ლ უ რ ი ვ ი რ ი" — მწერალი ნიჭიერად გვიხატავს აზრს, რომ ბუნებაში, მის მოვლენათა შორის სიკეთის ძალა ტრიალებს — მათთვის დამახასიათებელი და წამყვანია სხვის შებრალება, დახმარება, ამ მიმართულებით სხვისთვის მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნა.

ვირი ოცი წლის მძიმე შრომის შემდეგ დაუძლურდა, შრომა აღარ შეეძლო. პატრონმა ტყვია-წამალიც კი დაიშურა მის მოსაკლავად. წაიყვანა ვირი ცივ, ქარბუქიან ზამთარში მიუვალ მინდორში, დატოვა ის იქ, დეე, სიცივითა და უჭმელობით მოკვდესო. ვირს ასეთს უმწეო მდგომარეობაში დაინახავენ ირმები. მათ შეეცოდებათ გადაგდებული ვირი. ერთი მათგანი ლაღა დაუძლურებულ ვირს რქებით წაიყვანს ბუნაგში; იქ ვირს მოასულიერებენ, მოუტანენ ნეკერს, მაყვალს, ხავსს, ჩააბარებენ მას თვალშავას და თვითონ წავლენ.

თვალშავა ცდილობს, რითიც კი შეუძლია, დაეხმაროს სიკვდილის პირას მისულ ვირს; თვითონ უთმობს საწოლს, მოაქვს ნეკერი, ხავსი. მოსულიერდა ვირი. ადგილის დედამ თვალშავას მოუტანა ბალახი — გაახალგაზრდავებისა და ჯან-ღონის მომმატებელი. თვალშავა შეეხვეწა ადგილის დედას: „ცოტა მაგ ბალახიდამა, ჩემთვის რო მოგიტანია, ამ საბრალოსაც უზიარო. დაე, მე დამაკლდეს, ოღონდ ეს მოღონიერდეს"[25]. ადგილის დედამაც ორიეეს დაუყარა მოტანილი ბალახი და უთხრა: „ძალიან კარგი, აი, გაიყავით, ხვალ კიდეე განახავთ და ბალახსაც ბლომად მოგიტანთ; შევიბრალოთ ეგეც. დღეს ჩვენია ჩვენის ადგილის შვილად დაწერილი. ჩვენმა ადგილმა უნდა შეინახოს"[26].

---

[25] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, უძლური ვირი, თხზ., ტ. V, 1936 წ., გვ. 266.
[26] ი ქ ვ ე.

ნადირთა შორის, როგორც მცენარეთა შორის, მწერლის გაგებით, ცხოვრებაში მამოძრავებელია იდეა — „სხვასაც ვარგოთ“.

ასეთი დამოკიდებულების, ზრუნვის შედეგად ვირი მოღონიერდა. ბალანი გამოეცვალა, რაშს დაემსგავსა. კეთილმა მოპყრობამ, ნადირთა შორის რომაა დამყარებული, ვირი გააახალგაზრდავა, გააძლიერა, გალამაზა. ვირის ქებამ მეფემდე მიაღწია. მეფემ მისი დაჭერა ბრძანა. თავის რაშად აიყვანა. ვირს ძლიეს იმაგრებდნენ. გამოირკვა ვირის პატრონის ბოროტი დამოკიდებულება. მეფემ გადაწყვიტა დამნაშავე ამ რაშის კუდს მოაბან და ისე დააფლეთინონ მას. მოაბეს ვირის პატრონი ვირის კუდს, მაგრამ ვირმა უდიერი-ბოროტი ძველი პატრონი მაინც შეიბრალა. თუმცა მისგან ბევრი წყენა მოაგონდებოდა, სამაგიერო მაინც არ გადაუხადა, ის სიკვდილს გადაარჩინა. ამის შემდეგ ვირიც გაქრა.

ხალხი გაკვირდა. მეფემ „მოიწვია ყველა მწიგნობარნი, მოგვნი, ბრძენნი, რათა გამოეძიათ, ეს ამბავი რას მოასწავებდა“. ვაჟა-ფშაველა განაგრძობს ადამიანთა გაურკვეველი მდგომარეობის დახატვას და ამ ზღაპრის სახით თავის ფანტასტურ წარმოდგენას ასე ათავებს:

მეფის მოწოდებაზე, „შემოკრბენ ყოველი მხრიდამ კაცნი ბრძენნი და მეცნიერნი; იძიეს, იკვლიეს საქმე, მაგრამ ვერაფერი გამოიკვლიეს, ვერც თავი უპოვნეს და ვერც ბოლო, საიდამ მოხდა ასეთი საკვირველი საქმე. ბოლოს დაასკვნეს, რომ ეს ამბავი ქვეყნის დასასრულს მოასწავებსო, დღე-დღეზე წარღვნა მოვაო“[27]. ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოჰფინეს და დიდი გულისტკივილითაც მოელოდნენ წარღვნას, მაგრამ, როგორც ავტორი გვიდასტურებს, „არც არა წარღვნა მოხდა და არც არა გადარღვნა დღეს აქამომდე“[28].

ამით ვაჟა-ფშაველას უნდა თქვას, რომ ბუნების ეს მამოძრავებელი კანონი — სიკეთის, შებრალების, დახმარების ძალა, ბუნების საერთო ცხოვრების ჰარმონიას, კანონზომიერებას რომ ქმნის, ადამიანთათვის აქამდე უცნობი და მიუღწეველია. ამ ძალას, კანონს ადამიანი დაშორდა. ამისათვის მისი ცხოვრება მოუწესრიგებელი, უსამართლო შეიქმნა.

ასეთ განწყობილებას — შეხედულებას ვაჟა-ფშაველა უფრო მკვეთრად და სისრულით მინდიას სახით ანვითარებს.

მინდიას ესმის მცენარეთა სურვილი, ტკივილი. ის კარგად გრძნობს მათი მისწრაფების მაღალ მორალს — სიკეთეს ადამიანისათვის. მინდიაც ცდილობს შეასრულოს მათი წადილი, მაგრამ ვერ წვდება „ორის ხელით და თვალითა“, თავადაც ხდება „მოსაბრუნებელი წყალითა“.

ვაჟა-ფშაველას ამით უნდა უთხრას და მიუთითოს მკითხველს, რომ ცხოვრების, ახალი ცხოვრების სათანადო საფუძვლების გამონახვისა და განმტკიცებისათვის ადამიანთა შორის ძიებაა საჭირო; სამართ-

[27] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, უძლური ვირი, თხზ., ტ. V, გვ. 272.
[28] ი ქ ვ ე.

ლიან საფუძველზე ცხოვრების გარდაქმნისათვის საჭირო სათანადო ადამიანი ჯერ მეტად მცირეა. მინდიები ერთეულები არიან ბუნების ცხოვრების საიდუმლოების გაგებაში და მისი ბრუნვის საღი ღასაბამის — კანონის ადამიანთა ცხოვრებისათვის გაგებისა და გამოყენების საქმეში. ამ ერთეულებს არ ძალუძთ მისი დაძლევა. „ერთი კაცი ჭამაშიაც შესაბრალისიაო“, ამბობს ხალხი. და მინდიაც ამ ძიებაში ტრაგედიას განიცდის.

ბუნებასთან უშუალო ურთიერთობიდან მინდიამ გამოიტანა ურყევი შეგნება, რომ მაღალი, ეთიკური ცნება „არა ჰკლა“ (ე. ი. ნუ ვნებ სხვას, სიფრთხილითა და სიყვარულით მოეკიდე სუყველას) — ადამიანთა ცხოვრებისათვის საკალდებულო უნდა შეიქმნას. ვაჟა-ფშაველა თავის ამ შეხედულებას თუ რწმენას როგორც პოემაში „გველის მჭამელი“, ისე მრავალ სხვა თავის ნაწარმოებში ავითარებს მითიურ სახეებში, რომელთა გაგება, რა თქმა უნდა, პირდაპირი მნიშვნელობით კი არ შეიძლება, არამედ გადატანითი, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით.

მინდია როცა დააპირებს ხის მოჭრას და ხეს ცულს შემოჰკრავს, უმალ ხის კვნესა-მუდარა მოესმის: „ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავ, ნუ დამიბნელებ მზესაო“. ამ კვნესა მუდარასთან ერთად მინდიას საყვედურიც ესმის: „უიარაღო რომა ვარ, მიტომ მიბრიყვებ ხესაო?!“ (ე. ი. სუსტის დაჩაგვრა არამცთუ მოსაწონი არ არის, არამედ სასაყვედუროა, დასაგმობი). ამის გამგონს მინდიას „დაუდუნდება ხელები, შტერად გაჰხედნებს ზეცასა“.

მინდიას ესმის, რომ ხეთა ეს კვნესა, საყვედური სამართლიანია; გრძნობს, რომ მათაც უნდათ სიცოცხლე, მათთვისაც სიცოცხლის მოსპობა უაზროდ, აუცილებლობის გარეშე, უსამართლობაა, ბუნების სიცოცხლის ძირითადი კანონის დარღვევაა. ამიტომ მინდია ტყიდან ხელცარიელი ბრუნდება, ცეცხლისათვის მიიშველიებს „ჩალას, გამხმარ ჯოყრებს და წივასა“.

მინდია ამითაც კმაყოფილდება, სხვებსაც ურჩევს: „კაცებო მოდი ნუ შვრებით ცოდვასა, ნუ მოსჭრით ხესა, დავჯერდეთ ჯოყრებს, ხმელს წიწვრებს ცოტასა“.

რა თქმა უნდა, მინდიას (თვით ვაჟა-ფშაველას) ასეთი მოთხოვნა — ხეს ნუ მოჭრით — პირდაპირი მნიშვნელობით კი არ უნდა გავიგოთ, რომ მინდია უარს ამბობს ბუნების მოვლენათა გამოყენებაზე, როგორც ზოგიერთ ლიტერატორს ჰგონია[29]. მაშინ ხომ ადამიანი, მართლაც, ველარ იცოცხლებდა, ის მოკვდებოდა, კაცობრიობა მოისპობოდა (სიკვდილს კი ვაჟა-ფშაველა არაჩვეულებრივი აღშფოთებითა და სიძულვი-

---

[29] იხ. იპ. ვ ა რ თ ა გ ა ვ ა, სიმღერა მთის შვილის — ვაჟა-ფშაველასი, ჟურნ. „განათლება“, 1914 წ., №№ 2 და 4.

ლით ებრძვის — იხ. „ქუჩი“, „მთის წყარო“ და სხვ.). მაშინ მინდიას ტრაგედიაც (რაც, უდავოდ, თვით ვაჟა-ფშაველას ტრაგედიაც არის) ავადმყოფი, არასრულჭკუაზე მყოფი ადამიანის გამოვლინება იქნებოდა და თვით პოემაც ასეთი ადამიანის ბოდვა.

ვფიქრობთ, ასეთი შეხედულება არამართებულია, ასეთ აზრს უარყოფს არამც თუ ვაჟა-ფშაველას მთლიანი შემოქმედების გულისყურით გადაკითხვა, არამედ თვით ამ პოემის — „გველის მჭამელის“ და მისი მთავარი გმირის მინდიას ტრაგედიის საფუძვლიანი გაცნობაც.

მინდიას განცდისა და მოთხოვნილებათა ჩვენებით ვაჟა-ფშაველას უნდა მკითხველს შთააგონოს, რომ ადამიანთა ცხოვრებაში გამეფებული უსამართლობა, უსწორ-მასწორობა შედეგია სუსტის ძლიერისაგან დაჩაგვრისა, უაზრო ექსპლოატაციისა; არაა სამართლიანი საზოგადოებაში ღრმად ფესვგამდგარი დოვლათის მოხვეჭის დაუოკებელი გრძნობა-მისწრაფება, რათა ფუფუნებისათვის (რაც მწერლისათვის მიღებულია და პოემაშიც არა ერთხელ დიდი სიმკვეთრითაა გამოხატული) განსაკუთრებული პირობები შეიქმნას, რადაც არ უნდა დაუჯდეს, — ძლიერის მიერ სუსტი მოძმის შევიწროების, დაჩაგვრის განადგურების საშუალებით; სხვისი და სახელმწიფო ქონების უკანონოდ, ფარულად მითვისების გზით, რაც ასეთი ხშირი და დამახასიათებელი იყო და არის კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული ყოფისათვის.

ასეთი მისწრაფება და გზა, რაც გაბატონებულია კაცთა ცხოვრებაში, მწერლის გაგებით, ჰყინჭავს კაცს, მის ბუნებრიობას ასუსტებს, ვნებს: მის ნიჭს, უნარს, საზოგადოებრივ ალღოს აჩლუნგებს, საზოგადოებრივ ცხოვრებას არღვევს; თავისზე სუსტს სჩაგრავს, სუსტის ნიჭს გაშლის საშუალებას არ აძლევს, საზოგადოებრივი ცხოვრების წინმსვლელობას აბრკოლებს.

ურთიერთგაგება, დახმარება, სიკეთის დარგვა — მინდიას (ვაჟა-ფშაველას) გაგებით, უნდა აძლევდეს კაცთა ცხოვრებას ბუნებრივი განვითარების ძალას. რომ ეს ასე უნდა გავიგოთ, რომ ხის მოჭრაც და საერთოდ მცენარეებისაც არ არის ცოდვა და არ არის აკრძალული, თუკი ეს აუცილებელია ადამიანის ზომიერი და აუცილებელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ეს თვით პოემაშიც არამც თუ ნაჩვენებია სხვათა შორის, არამედ გახაზულია. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებაში ყოველი მოვლენა იცავს თავს, სიცოცხლე სწყურია, მინდიას თავთავნიც და ყვავილნიც ემუდარებიან „არა მე მომჭერ, არა — მე“, რათა მათ ამით კაცთ არგონ — „გაძღენ მშიერნი“. მინდიაც ამას ასრულებს.

მინდია, ავტორის გაგებით და დახატვით, ახალი ადამიანია, სულ ახალი მსოფლგაგებით, ცხოვრების ახალი ჰუმანური გზებისა და საფუძვლების ძიებით. მართლაც, სინამდვილეში, ვაჟა-ფშაველას ეპოქა, განსაკუთრებით იმ ხანაში, როცა იწერებოდა პოემა „გველის მჭამე-

ლი“, 900-იან წლების მიჯნაზე, დრო და მშრომელთა მასების აღმავალი რევოლუციური მოძრაობა თხოულობდა სწორედ სულ ახალ კაცს, ახალი მისწრაფებით, ახალი ეთიკით. ამ მოთხოვნილებას მტკივნეულად განიცდიდა ვაჟა-ფშაველაც. თავისი გენიალური ინტუიციით ის მკვეთრად გრძნობდა ცხოვრების გარდაქმნას სრულიად ახალ, არსებულის დიამეტრალურად საწინააღმდეგო, საფუძვლებზე.

მინდია ასეთი გამახვილებული ახალი განწყობილებითა და გაგებით უცხოა თემისათვის, რომელიც მჭიდროდაა შეკავშირებული საუკუნეობით შემონახულ, აწ უკვე დრომოჭმულ, ტრადიციებთან. მინდია (ვაჟა-ფშაველა) გარკვეულად გრძნობს ამ ტრადიციების შეუფერებლობას ახალ დროსთან. მინდიას რჩევა — ეს ახალი გზის გამონახვისა და ახალი გზით სიარულის რჩევაა.

მინდიას რჩევას თემი ბოდვად თვლის. თუ მინდია ცხოვრების ახალ გზებს, ახალ საფუძვლებს ეძებს, თემი, პირიქით, ძალუმად ებღაუჭება უკვე დამყაყებულ, დრომოჭმულ, შესისხლხორცებულ ზნე-ჩვეულებებს.

ამ ნიადაგზე მინდიასა და თემს შორის კონფლიქტი თანდათან ღრმავდება. თემს არ ძალუძს მინდიას ახალ სიბრძნეს, ცხოვრების ახალ გაგებას ჩასწვდეს. თემის გაგება ვერ იტევს მინდიას ახალ, სამართლიან გაგებას ცხოვრების შესახებ — თემი ყველაფერს განიცდის ვიწრო განსაზღვრულობაში, განზომილებაში, კონკრეტულობაში. ამიტომ ჩალხია, თემის მსოფლგაგების ტიპიური გამომხატველი, თემს ადვილად დაარწმუნებს, რომ მინდია „ცრუობს სწორედა“. თემი, მინდიას ახალი აზროვნებით შეშფოთებული, თავის უკმაყოფილებას ჩალხიას პირით ასე აცხადებს:

მაგ ფიქრს რომ მივყვეთ, შენს მტერსა.
როგორღა გვეცხოვრებისა?
ის რად ვიცოდვოთ, უფლისგან
რაიც არ გვეცოდებისა?!..
თემთ რო გვარიგებს, მაგაზე
ძალიან ცუდად შვრებისა.

თემი ადვილად ვერ გაარღვევს ცხოვრების დადებულ და მიღებულ კალაპოტს, ტრადიციებით რომაა ჩაკირული. „კაი ყმისაგან“ (თემს მინდია ასეთად მიაჩნია) თემი ელის და თხოულობს „შველასა და რგებასა“, მიღებული წყობილების შენახვასა და გამტკიცებას. თემი არავის არ აპატიებს, არც თვით „კაი ყმას“, თემის ყოფის დარღვევასა და შეშლას. ამიტომ, მინდიას სიტყვა და ქცევა თემს მით უფრო აღელვებს და აჩოჩქოლებს. მინდიასა და თემს შორის ჩნდება გარდაუვალი წინააღმდეგობა.

ვაჟა-ფშაველა მინდიასა და თემს შორის კონფლიქტს დიდი ოსტატობით შლის. დაეჭვებულ და ამხედრებულ თემს მინდიამ თვალსაჩინოდ კონკრეტულ მაგალითზე (ჩიტების მდგომარეობის წინასწარ ახსნა-განმარტებით) დაუმტკიცა, რომ მას (მინდიას) მართლაც ესმის ბუნე-

ბის მოვლენათა საიდუმლო ენა და ცხოვრება. ხევსურნი დარწმუნდნენ, „საქმე წინ ედვათ ყველასა“, რომ მინდიას ცოდნა ჩვეულებრივი კაცის ძალებს აღემატება. ხევსურნი თითქოს რწმუნდებიან კიდეც, რომ მინდიას პირით ჭეშმარიტება ღაღადებს —

მაგრამ ნაგრძნობსა გულითა,
გონებით შველენ ვერასა—

შენიშნავს ვაჟა-ფშაველა.

მგოსნის მიერ დიდი ჩაწვდომითა და პოეტური ხელოვნებითაა გაგებული და განსახიერებული თემის — მასის განზომილებაში გამომუშავებული ტრადიციების ზეგავლენით შექმნილი კონსერვატორული ფსიქოლოგიის უარყოფითი ძალა, რომელიც ადამიანს (ამ შემთხვევაში მასას — თემს) გონების კარს უხშობს ახალის, უცნობის, თუნდაც პედნიერების მიმნიჭებელი მოვლენების მისაღებად, რაც, ცნობილია, რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში ხშირად ერთი ურთულესი დაბრკოლებათაგანი იყო. ამიტომ, ვაჟა-ფშაველა აღრმავებს მინდიასა და თემს შორის კონფლიქტს: თემი აგრძელებს ძველ გზას, მამა-პაპით სწორად მიჩნეულსა, როელსაც მინდია ეურჩება, უარყოფს. „ბალახსაც სთიბენ, ნადირს კვლენ, შეშით ანთებენ კერასა“.

ვაჟა-ფშაველა, რომ თავისი დამოკიდებულება მინდიასადმი, მისი უპირატესობა მკითხველს დაანახოს, აგრძნობინოს, ისწრაფვის თავისი ლირიკული გარემოქცევა ჩაურთოს — „ქათმის ხორცს რა შეაძულებს, თქვენვე მითხარით მელასა?“

მინდიას ტრაგედიის მეტი გათვალსაჩინოებისა და გამახვილების მიზნით, ვაჟა-ფშაველა მინდიას გარემოსთან კონფლიქტს ოჯახურ პირობებშიც გვიხატავს.

მინდია მჭიდროდ გადაეჯაჭვა მთელ სამყაროს; მთელი თავისი დიდი ბუნების გულისყურით ჩაიხედა მისი ცხოვრების სიღრმეში და გაიგო მისი ძირითადი მამოძრავებელი დასაბამი „სხვას არგოს“ — მაღალი ჰუმანიური და, ვაჟა-ფშაველას გაგებით, საღი მოთხოვნილება ადამიანთა ცხოვრების სამართლიანად მოწესრიგებისათვის.

კაცთ სარგოდ თავსა ჰზოგავენ
თავთავნი ოჭროს ფერანი, —
არ სწადით ოხრად ლპებოდენ,
ჰკენკდენ ყვავნი და ძერანი.
მიტომ ჩქარობენ მომკასა
ერთად ყივიან ყველანი,
ჰსურთ პურად იქცენენ,
საჭმელად.
რომ მითი გაძღნენ
მშიერნი.[30]

აი, სწორედ მშიერთა მდგომარეობა, მათი გაძღომის, მათი ცხოვრების ადამიანურ პირობებში ჩაყენების საკითხია ვაჟა-ფშაველას ეპოქას (80 — 900-იანი წლები) რომ აწვალებდა, ცხოვრებამოწყურებულ

---

[30] დაყოფა ჩვენია.

მშრომელ მასებს რომ რაზმავდა, ამოძრავებდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის რომ ამზადებდა. თვით პოეტიც ამ ჭრილობითაა მძიმედ დაკოდილი. სწორედ ეს ტკივილია მინდიას ტრაგედიის მძიმე კვანძიც.

ასეთი ძირითადი ღრმა და ფართო სურვილითა და მისწრაფებით — „სხვას არგოს“ — შებოჭილ მინდიასათვის, რა თქმა უნდა, ოჯახის ფარგლები უფრო ვიწრო და შემბორკავი შეიქმნებოდა. ოჯახის ყოველდღიური მოთხოვნილებით გამოწვეული ფუსფუსი, რა თქმა უნდა, მინდიას და მინდიასებურ ადამიანებს ვერ დააკმაყოფილებდა. განსაკუთრებით თუ ეს მოთხოვნა ვერ გასცილდებოდა ჩვეულებრივ მეშჩანურ, ვიწრო ეგოისტურ ფარგლებს, რაც მუდამ დამახასიათებელია საზოგადოებისათვის დრომოჭმული ცხოვრების პირობებში. გამონაკლისს არ შეადგენდა მინდიას ოჯახის დიასახლისის — მზიას მოთხოვნა.

მინდიასაგან ოჯახი მოითხოვდა, თუ ხშირად არა, თუ ყოველ ნაბიჯზე არა, ყოველ შემთხვევაში, არა იშვიათად მაინც კომპრომისს, რწმენის წინააღმდეგ მოქმედებას. ეს, სამწუხაროდ, არა იშვიათი მოვლენა იყო ძველი, ბურჟუაზიული ცხოვრების პირობებში, როდესაც მეშჩანური ოჯახის — ფუფუნებაში რომ ხედავდა ცხოვრების მიზანს — მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებლობით ისე იყო საზოგადოების გონება დახავსებული, რომ ახალი ადამიანის, — რომელიც ვერ ეგუებოდა ასეთს შეხედულებას სამართლიან მისწრაფებებს ძირშივე ჰკლავდნენ და ამით ბევრს უკეთესი ცხოვრების მოტრფიალეს გზას უხშობდნენ, გასაქანს არ აძლევდნენ და ხშირად მორალურად ანადგურებდნენ.

ეს გარემოება, ძველი ცხოვრებისა, ნიჭიერად იყო გამოვლინებული რუსულ ლეგალურ ლიტერატურაშიაც კი, მაგ., დრამატიულ ნაწარმოებში ს. ა. გარინისა „Пески сыпучие“. ეპოქის ამგვარი დაავადების გამო დიდ ჰუმანურ წუხილს გამოხატავს ვაჟა-ფშაველა მინდიას ტრაგედიის ჩვენებით.

მინდიას ცოლი მზია თემის ჩვეულებით შემოფარგლული ცხოვრების საფუძველზეა აღზრდილი. მისი ინტერესი, თვალი და გონება თემში საუკუნეობით გამომუშავებულ ტრადიციებსა და ცხოვრების საზღვარს ვერა სცილდება. ამიტომ მზია მინდიას ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრებისა და ორდინალური ადამიანის საზომით უდგება და აფასებს. ის ქმრისაგან დაჟინებით მოითხოვს ოჯახის კეთილდღეობაზე განსაკუთრებულ ზრუნვას, როგორც ეს მიღებული იყო თემში.

მინდიას მზიასადმი საყვედურში აშკარა და მკაფიოდ მოჩანს მზიას სულისკვეთება, მის მოთხოვნილებათა ხასიათიც და მინდიასა და მზიას შორის ოჯახური უკმაყოფილებისა და უსიამოვნების მიზეზიც. მინდია საყვედურით მიმართავს მზიას:

„შენ ჯიხვის ხორცსა ჰნატრობდი,
თუ ვის მოკლული გსმენია,
რამდენჯერ ჩემი გულ-მკერდი
ამ ჩივილს გაუსენია:

„ყმაწვილნ უხორცოდ დაზდილნი,
რა ვაჟკაცობას იზამენ?
არსად არ გამიგონია
ასრე გაზდილი სხვისა მენ“.

ამგვარი ჩვეულებრივი, ყოველდღიური მეშჩანური მოთხოვნილებითა და ჩივილით გაწამებული და შევიწროებული მინდიას გული უფრო მტკივნეულად მძიმდებოდა. მინდიას ცოლისადმი საყვედურში: „სულ შენგან გავხდი, წყეულო, უგერგილოდ და ყროლადა... თქვენგან დავკარგე გონება, წმინდა გავყიდე რჯულია, თქვენგან მჭირს ჭირი უწამლო, უფალს თქვენგანა ვცოდია“, — მწვავედ იგრძნობა მინდიას წონასწორობის დაკარგვა, მისი ნერვიული აშლილობა, მისი დაუძლეველი, გაუნელებელი შინაგანი მტანჯველი ბრძოლა და წვა. და ამისი მიზეზი ის კი არ არის, რომ მინდია წინააღმდეგია ოჯახის, ცოლ-შვილის ყოლისა, ან მასზე ზრუნვას უნდა გაექცეს, როგორც მინდიას საყვედურობს მზია და აგრეთვე კრიტიკოსი იპ. ვართაგავა: „ცოლის საამართლიანმა სურვილმა, — წერს იპ. ვართაგავა, — გონიერმა მთაგონებამ და ცხოვრების მაგალითების დასახვამ... ოცნების ბურუსში გახვეული მინდია... მაინც საბოლოოდ ვერ გამოარკვია „გრძნეული“ მდგომარეობიდან: მისი გრძნობა-გონება მაინც ვერ ჩადგა საღ და რეალურ კალაპოტში. მან „მელაობად“, სინდისის გატეხად მიიჩნია ყოველივე ის, რაც ჩადინა ცოლშვილის არსებობისათვის და რაც წარმოადგენდა მისს უუწმინდეს ზნეობრივს მოვალეობას... ამ ადამიანებმა (მინდიებმა. —მ. ზ.), — ერთგვარი წყრომის კილოთი ამბობს იპ. ვართაგავა, — ორში ერთი უნდა აირჩიონ: ან უნდა გაიითავისუფლონ თავი თვისის „გრძნეულობისაგან“ და იცხოვრონ ისე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანის შვილები ცხოვრობენ: „ბალახი სთიბონ, ნადირნი ჰკლან, შეშით აანთონ კერა, პირუტყვნი ხოცონ“, ან და უნდა ამოწყდნენ, შიმშილწყურვილით დაიხოცნონ რამდენიმე დღის განმავლობაში“[31].

ასეთი ახსნა მინდიას ტკივილისა სრულიადაც არაა მაროებული. ის სრულ გაუგებრობაზეა აღმოცენებული.

მიზეზი მინდიასა და მზიას შორის კონფლიქტისა, უკმაყოფილებისა მათ მიერ ცხოვრების სხვადასხვანაირ გაგებაში მდგომარეობს. უფრო გულდასმით ჩავუკვირდეთ ამ საკითხს.

ცოლის გაკვირვებაზე, რატომ სახავს მინდია ოჯახს საფუძვლად „გუნების ცვლისადა“, მინდია მისდამი თავის უკმაყოფილებისა და სულიერი ტრაგედიის მიზეზებს შემდეგნაირად გადაშლის:

„სიცივე ბალღებს მილევსო“,
შვილ-შამკვდარივით ჰკიოდი:
„ბერდიას რამდენ შეშა აქვ,
როგორს ცეცხლს ანთებს, ჰნახოდი“,
ცხოვრების მაგალითადა
ბრიყვები დამისახოდი.

[31] იპ. ვ ა რ თ ა გ ა ვ ა, სიმღერა მთის შვილის — ვაჟა-ფშაველასი, ჟურნ. „განათლება“, 1914 წ., № IV, გვ. 250.

გულზე მოსაყვანს ქართულსა	გეწადა კაი ცხოვრება,
ჩემს გასაგონად ამბობდი,	მოწამლულს ქადას აცხობ-
	დი".

მინდიას უკმაყოფილებას, შინაგან აფორიაქებას, მის გაუნელებელ ტანჯვას სწორედ ის იწვევს, რომ მზიას, — მის ცოლს ვერ გაუგია მინდიას მაღალი, ახალი რწმენის არსი; მზია მას აიძულებს წავიდეს გატკეპნილი ძველი გზით, პირადი კეთილდღეობისთვის ზრუნვის გზით; მინდიას გაგებითა და დახასიათებით „ბრიყვთა" გზით; იმათი გზით, ვისაც ცხოვრების მიზნად მხოლოდ „კაი ცხოვრება", ფუფუნებაში ყოფნა დაუსახავს, ვინც ამის იქით არავისა და არაფერს ხედავს.

მინდიასათვის ყველაზე მტანჯველი ისაა, რომ ის ამ ბრძოლას ვერ გაუმაგრდა, შვილების სიყვარულმა და მათზე ზრუნვამ მას შეაცვლევინეს ფიქრი. ის გაიბზარა, გატყდა; „დღეს ხვალეობითა", „ცოტ-ცოტად", „ნელაობითა", როგორც თვითონ მინდიაც ღრმა გულისტკივილითა და საყვედურით, არამარტო ცოლისადმი, არამედ თავის თავისადმიც, ამბობს. დაიწყო „თავის რწმენასთან მოქცევა მელაობითა".

რაში გამოიხატა მინდიას „რწმენასთან მელაობით მოქცევა?" აი როგორ ხსნის თვით მინდია:

„დღეს მოვჭერ ერთი ჭანდარი,	მეც მივყევ — ვხოცე ნადირი,
თუმც მემუდარა ბევრია...	გასუქ-გალაღეთ ლეშითა,
ხვალ ორი მოვჭერ, და ასე	თავის ბალღებით ჰხარობ-
გული ჩავიდე ქვისაო...	დი,
	მე დავრჩი თავის ტეხითა.[32]

აი სწორედ ეს დათმობის გზაა დამღუპველი, ვამანადგურებელი, ასე მიუღებლად, მტანჯველად რომ მიაჩნია მაღალი მორალის მატარებელ მინდიას (თვით ავტორს).

მინდიას პირით ვაჟა-ფშაველა გამოხატავს წინააღმდეგობას, შეურიგებლობას ძველი და მოუწესრიგებელი, მდაბალი, უხეში პირადი ინტერესების მატარებელი ყოფისადმი, პოეტის ეპოქაში რომ იყო გამტკიცებული და რომელსაც გამოფხიზლებული მშრომელი მასების აღმავალი გამათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის გამო ნიადაგი ერყეოდა. ვაჟა-ფშაველა ებრძვის სწორედ ამ ყოფას, რომელიც ხშირად ამორალური მოქმედების გზაზე-დადგომას აიძულებდა ხოლმე პატიოსან ადამიანსაც, ხოლო ზოგჯერ გაღვიძებული სინდისის, საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელ ადამიანსაც კი.

მართლაც, რამდენი იყო ასეთი მსხვერპლი მაშინდელი ყოფისა, რამდენი, მართლაც, აფრქვევდა ასეთს, როგორც იტყოდა დიდი რუსი

[32] დაყოფა ჩვენია.

მწერალი გოგოლი, „გარემოსათვის უჩინარ ცრემლებს“ („незримые миру слезы“).

ცხოვრების ასეთ შემხუთავ, გამანადგურებელ პირობებს ვერ ურიგდებოდა ვაჟა-ფშაველა, ასეთ პირობებს ვერ ურიგდებოდა და ებრძოდა მწერლის ეპოქაში გარკვეული წრე, შეიძლება ვიწრო, მაგრამ მოაზროვნე საზოგადოების მებრძოლი, მოწინავე ნაწილი. სწორედ ეს გაუგებრობა ჰქმნიდა ტრაგედიას საზოგადოების მოწინავე ფენისას და თვით პოეტისასაც. ამ ტრაგედიას გამოხატავს ვაჟა-ფშაველა მინდიას სახით.

რომ ეს ასეა, საკმარისია გულისყურით ჩავუკვირდეთ მინდიას ძძიმე ფიქრთა სვლას.

დათმობის, კომპრომისის გზით წასვლის შემდეგ მინდიას თავისი ცხოვრება „ფუჭად“ მიაჩნია. მას შემდეგ, რაც მინდია იწყებს დათმობას, კომპრომისს, როცა ის დაუბრუნდება ჩვეულებრივი ცხოერების გზას, რომლის ფარგლებსაც კარგა შორს გასცილდა მისი თვალი, გული და გონება, იწყება მინდიას სასიკვდილო აგონია, მისი თანდათანობითი დაცარიელება, დაკნინება. სწორედ ამის შემდეგ, როგორც თვითონვე მინდია ქვითინებს, მას სჭირს „ჭირი უწამლო“, ახლა მას „შავის კლდის ლოდი“ სჯობია.

მინდია დათმობას იწყებს მარტო ცოლის ყვედრებისა და მოთხოვნის ზეგავლენით კი არა (ასეთს დაბრკოლებას მინდია ადვილად გადალახავდა), არამედ იმიტომ, რომ მინდიას ცოლს — მზიას გვერდში უდგა და ზურგს უმაგრებს თ ე მ ი — ადამიანთა საზოგადოების ვიწროდ შემოფარგლული განზომილებისა და განსაზღვრულობის ცხოვრება, რომელიც მჭიდრო რკინის სალტესავით გარს შემორტყმია მინდიას მისწრაფებათ, როგორც ახალს, უცხოს და რომელთანაც შეგუება და შეზრდა თემში გარდატეხისა და გარდაქმნის მწვავე ტკივილებს იწვევს. შეშფოთებული თემი (ჩვეულებრივ ადამიანთა საზოგადოება) ამიტომ მინდიას ახალ მსოფლგაგებას ვერ სწვდება, ცვლილებისადმი შიშს განიცდის, ამიტომაც მას უხეშ წინააღმდეგობას უწევს, დასაბამშივე ლამობს ჩაახრჩოს. აი ამ წინააღმდეგობის ნიადაგზე იქმნება მინდიას დიდი ტრაგედია.

ამგვარი ტრაგედიები ჩვეულებრივ ჩნდება და მწვავდება ისტორიული განვითარების მძაფრი მოქცევის პერიოდებში, მძაფრი სოციალური ძვრების ხანაში. ასეთი იყო, როგორც ზევითაც ხაზგასმით აღვნიშნეთ, ვაჟა-ფშაველას ეპოქა ქართველი ხალხის როგორც სოციალ-ეკონომიური, ისე პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების განვითარებაში. მთელი თავისი სიმწვავით, წინააღმდეგობით, მტკივნეულობით.

მინდიასათვის (მოწინავე-მოაზროვნე საზოგადოების რჩეულთათვის) არსებული ცხოვრების პირობები, მოთხოვნილებები ვიწრო და

შემხუთავი შეიქმნა; არსებული ვეღარ აკმაყოფილებს მის ახალ მოთხოვნილებებს, რომელიც ფართო სიყვარულისა და სამართლიანობის საფუძველზე იშლება. მინდიას უნდა ახალი მსოფლგაგების საფუძველზე ცხოვრების ძირითადი გარდაქმნა, ახალი ურთიერთობის დამყარება.

მინდიამ ვერ შეძლო არსებული ცხოვრების პირობებით მჭიდროდ აგებული ჯებირი გაერღვია; ვერ შეძლო ცხოვრება ახალი გაგების მიხედვით — თანაგრძნობის, ლმობიერების, სიყვარულისა და სიკეთის საფუძველზე გარდაექმნა. იმან თავის რწმენისაგან უკან დაიხია, დათმობაზე წავიდა, ძველი გზისკენ გადაუხვია, რამაც გაანიავა და გაანადგურა მისი ნიჭი და პიროვნება, „მიტომ, რომ წინანდებული ცნება აღარ მაქვს თავში“ — მწარედ ქვითინებს მინდია. ის გრძნობს, რომ მისი „მთელი არსება აღარ იქნება საღადა“, სულიერი ტანჯვა მინდიაში იმდენად დიდია, რომ ფიზიკურ ტკივილებსაც კი იწვევს მასში:

„ყველასთან შარცხვენილი ვარ—
ცოცხლებთანა და მკვდრებთანა.
რისთვის-ღა მინდა აბჯარი,
რისათვის მინდა ხმალია,
თუ კი ჩემს მტრისად დაკრულსა
აღარ ექნება ძალია?!“.

შინაგანი, მტკივნეული, მწვავე ბრძოლით გატანჯული, ნებისყოფამოდუნებული მინდია ლამობს თავის ცოლს გააგებინოს ის ჯოჯოხეთი, რომელსაც ის „მარად გულით ატარებს“ და ასეთი სიტყვებით გადაუხსნის თავის გაწამებულ გულს „წუთისოფლის თავის სასიამოვნოდ მცნობარე“ მზიას:

„არ უღირს, მკვდარმა იცოდეს
თავის სიკვდილი, — მკვდარია,
ფლოვოს თავისი თავი,
თვის ყოფნა შესაზარია?
სხვა ყოფნა, ამაზე მწარე,
მიპოვნე შესადარია!“

მართლაც, ვაჟა-ფშაველას მიერ არაჩვეულებრივი ოსტატობითაა განსახიერებული, რამდენად აუტანელია, მტანჯველია სიცოცხლე ადამიანისათვის, რომელიც თავისში გრძნობს ძალას, ნიჭს, შესაძლებლობას, მოქმედების დაუძლეველ ნდომას, რა ძნელია დარჩენა ცხოვრებაში, როცა ადამიანი ჰკარგავს თავის საზოგადოებრივ დანიშნულებასა და ღირებულებას არა მარტო საზოგადოების თვალში, არამედ, რაც უფრო მწვავე და გამანადგურებელია, თავისშიც; როცა ის თვითონ გრძნობს, რომ უშედეგოდ და სამარცხვინოდ თავისი რწმენის ღალატით გამოდის პატიოსანი, იდეურად მოქმედთა რიგებიდან. აი ასეთია განცდა-ტრაგედია მინდიასი. ადამიანის ასეთს გაწამებულ მდგომარეობას ვაჟა-ფშაველა ასე გამოათქმევინებს მინდიას:

„ამგვარი მკვდარი დღეს მე ვარ
სხვა მკვდრებს რა უჭირთ მკვდრობითა!
არიან მოსვენებულნი,
არაფერს გრძნობენ გრძნობითა“.

მინდიას ეს ტკივილები და მწარე განცდები გამოწვეულია ეპოქაში (90 — 900-იან წწ.) ამოძრავებულ მშრომელთა მასების მისწრაფებით — დაინგრეს უსამართლობის ქვეყანა, აშენებული ურთიერთ გაუგებრობის, ჩაგვრის, ექსპლოატაციის საფუძველზე და დამყარდეს ქვეყანა — ძმობა-ერთობისა, თანასწორობისა, სამართლიანობისა. ეს ცხოველმყოფელი იდეა იწვევდა მშრომელთა მასების რევოლუციურ, გმირულ ბრძოლას ცხოვრების გარდაქმნისათვის ახალ, გონიერ, სამართლიან საფუძვლებზე. ვაჟა-ფშაველა ამ მოძრაობის უდავოდ დიდ გავლენას განიცდის, თვითონაც ამოძრავებულია ამ მისწრაფებით, აქეთ მიილტვის მისი დიდი გული და გონება, აქეთ უძახის თავის აღტყინებულ მკითხველსაც. და თუ მინდია (ე. ი. თვით ვაჟა-ფშაველა) თავის მოქმედებით, პრაქტიკული ცხოვრებით მარცხდება, ეს იმიტომ, რომ ვაჟა-ფშაველა თავისი მოქმედებით, ცხოვრებით არ იყო მჭიდრო კავშირში ეპოქის რევოლუციურ მამოძრავებელ — წამყვან ძალასთან მუშათა კლასის მიერ წარმოებულ რევოლუციურ ბროლასთან. ვაჟა-ფშაველა გლეხთა რევოლუციურ მოძრაობასთანაა დაკავშირებული, ამიტომაც ის გამოხატავს თავის შემოქმედებაში გლეხურ სტიქიური ამბოხების განწყობილებას. აქაა ახსნა მინდიას, ალუდა ქეთელაურის და სხვათა ახალი სამართლიანი ქვეყნის მაძიებელთა მარცხის მიზეზისა. ეს მომავლის დადებითი გმირები მოწყვეტილნი იყვნენ მუშათა რევოლუციურ მოძრაობას.

ვაჟა-ფშაველაც ისე ცდება, როგორც რუსი და ქართველი ხალხოსნები რომელთა შეცდომას ზედმიწევნითი სიზუსტით განმარტავს ვ. ი. ლენინი: ხალხოსანი „გლეხობაში ხედავდა სოციალიზმისათვის პირდაპირ მებრძოლს, — მაგრამ მას აკლდა, ერთი მხრით, თეორიული დამუშავება, დამამტკიცებელი ფაქტები რუსეთის ცხოვრებიდან და, მეორე მხრით, გამოცდილება ისეთი პოლიტიკური პროგრამის გამოყენებაში, რომელიც გლეხის ამ ნავარაუდევ თვისებებს დაეყრდნობოდა... მუშაობამ ისეთი შედეგები გამოიწვია, რაც პირდაპირ საწინააღმდეგო იყო მისი გამოსავალი წერტილის მიმართ“[33].

ასეთს პირობებში კაცი ირიყება, ცხოვრების გარეშე რჩება, შინაარსეულად მჩატდება, იცლება, უიალქნოდ, უმიზნოდ, ინერციით აგრძელებს თავის მოდუნებულ და მოწყენილ სიცოცხლეს. ამისთანა პირობებში ადამიანი გრძნობს, რომ დროზე ადრე დამთავრდა მისი სიცოცხლე და მართლაც, მას სიკვდილი სანატრელი გაუხდება.

ამას ჩივის მინდიაც.

რაა მიზეზი მინდიას ამ ჯოჯოხეთური ტანჯვისა და ბრძოლისა არა მარტო გარემოსთან, არამედ თავის თავთან? რა იწვევს მინდიას ასეთს

---

[33] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?, თხზ., ტ. I, გვ. 323—325.

არაადამიანურ გაწამებას? ამას მინდია მეტად ჩამწვდომი დამაჯერებლობით აცნობს მკითხველს:

„რითი-ღა ვარგო ქვეყანას,
დავცარიელდი ცოდნითა...
მიტომ რომ წინანდებული
ცნება აღარ მაქვს თავშია“ [34].

აი ეს ტკივილი არის გამოსავალი და გამოსახსნელი კვანძი მინდიას ტრაგედიისა. აქ იხსნება პოემის კვანძიც. მინდია, როცა სხვის რგების უნარს ჰკარგავს, როცა ის ამ ნიჭისაგან დაცარიელდება, როცა მას, როგორც ვაჟა-ფშაველა პოეტის მიმართ ეუბნება, „მადლი გამოელევა“, — ის თავს ცხოვრებაში ზედმეტად თვლის, ის გრძნობს, რომ მის სიცოცხლეს აზრი ეკარგება, ფასი აღარა აქვს:

„ამ მიწის ამონაცენი
ჩემი სესხი და ვალია,
როგორ-ღა ანპური ვჭამო,
როგორ დავლიო წყალია?!“[34]

მინდიას ასეთ განცდებში ვხედავთ თვით ვაჟა-ფშაველას გაგებას; ღირსეული კაცის, მოქალაქის მიერ თავისი დანიშნულებისა, მოვალეობისა და პასუხისმგებლობისადმი სწორ და საღ კრიტიკულ დამოკიდებულების გამოვლინებას.

როგორც პოეტი თავის ერთ-ერთ „სიმღერაში“ („როს ვუკვირდები თავის თავს...“) გამოთქვამს, მაშინაა იგი კმაყოფილი თავის თავისა, მაშინ მღერის ის ლაღად და არც შეუძლიან არ იმღეროს, როცა ის გადახედავს რა თავის საქმიანობას, ათასობით მოსთვლის კეთილს, „მადლს“, ცოდვა კი „სამ რჩება კენტადა“. სწორედ ამ პირობებში ქუხს მისი ჩანგი, აღარ ისვენებს. ისიც მონაა ჩანგისა. ამგვარ მომენტში მგოსანი თავის განწყობილებას ახასიათებს:

ბოლება, მღერაში ღნება
ბუდე ყველა სხვა დარდისა...
კალთაში ვარდი მეშლება,
თავზე მანანა დამდისა.
მადლობელი ვარ მშობლისა
ჩემის გაჩენის, გაზრდისა.[35].

მაგრამ თუ ცოდვა მოსჭარბდა, მაშინაც ისევ ის კაცია, ის ჩანგი, მაგრამ ჩანგი სდუმს, ლაღად ვეღარ მღერის, კაციც ამაოდ სტანჯავს თავის თავს.

იგივ მარჯვენა და კაცი,
იგივ კალამი მჭრელია,

---

[34] დაყოფა ჩვენია.

[35] ვაჟა-ფშაველა, სიმღერა („როს ვუკვირდები თავის თავს...“), თხზ., ტ. II, 1950 წ., გვ. 72.

მაგრამ დაჩლუნგებულა, დამდგარა. მგოსანი ვეღარ მღერის, იტანჯება, ჯოჯოხეთია მისი ყოფა; „ასე ყოფილა, მგოსანსა თუ მადლი გამოელია“, — ამთავრებს ვაჟა-ფშაველა მგოსნის ტრაგედიის ახსნას.

ასევეა მინდიაც, როცა მასაც „მადლი“ გამოელია, მაშინ მისი ნიჭიც დაჩლუნგდა, დაკარგა უნარი „სხვას არგოს“, კეთილი სთესოს; ის აღარც ხალხის მარგებელია და აღარც ოჯახისა, არც შინ ვარგა — მოკეთესთან და არც გარეთ — მტერთან. აი ამას ჩივის ასეთი ტანჯვით:

„ან აქ რა პირით ვიცოცხლო?
თავს რით ვიმართლებ ღმერთთანა?
ყველასთან შარცხვენილი ვარ
ცოცხლებთანა და მკვდრებთანა?“[36]

ასეთმა ტანჯვამ მინდიას თავისი დაღი დაასვა. მინდია გამოიცვალა, მოიღრუბლა, უფრო გულდახურული შეიქმნა. სულ მოკლე ხანში, როგორც მზია შესჩივის სანდუას, წვერი და თმა გაუჭაღარავდა. ვერავინ მიუხვდა მინდიას გამოცვლის მიზეზს. ვერც მზია მიუხვდა. მზიას მხოლოდ ხშირად გაუგონია, რომ მინდია „თავსა და ხალხსა სტიროდა“, აგრეთვე ბევრჯელ უნახავს, მინდია „ჩუმად ბალღივით ტიროდის“, ბევრჯელ სმენია მინდიას გულიდან დაფარულად მწარე ამონაკვნესი: „დავკარგე ძვირი საუნჯე...“ „ვეღარას ვარგებ ქვეყანას...“

ახალი რწმენის ღალატმა, უკან დახევამ, ცხოვრების ძველი გზით წასვლამ მინდია თანდათან დააცარიელა ქვეყნის — თემის სასარგებლოდ ამოქმედებული ნიჭის — მადლისაგან.

მინდია, როდესაც დარწმუნდა, რომ ის ქვეყნისათვის უსარგებლო შეიქმნა, ღირსეულად ვეღარ უწინამძღვრა ხევსურთ მტრის წინააღმდეგ, თავს იკლავს.

მინდიას ტრაგედია ნიჭიერი გამოხატულებაა იმ კოლიზიისა, იმ შეურიგებელი ბრძოლისა, რომელიც ძლევამოსილად იშლება კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ორ მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობას შორის. ერთი მათგანი (მზია, ჩალხია და თემი) გამუდმებით იმის ცდაშია, როგორმე შეინარჩუნოს არსებული, არ გადასცდეს ცხოვრებაში მიღებულ, განსაზღვრულ, დროს უკვე ჩამორჩენილ, დაბალი ეთიკით მტკიცედ შემოფარგლულ ყოფას, რომლის დამრღვეველს თემი საშინელი დაუნდობელი სისასტიკით ეპყრობა: ხოლო მეორე, ახალი, უფრო მაღალი, ჰუმანური იდეების მატარებელი, რომელიც გამოხატავს შეუკავებელ, დაუშრეტელ სურვილს ახალი, უფრო სამართლიანი, კეთილი ფართო ურთიერთდახმარების, წინმსვლელობის გზების გამონახვას.

---

[36] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, გველის მჭამელი, თხზ., ტ. IV, 1932 წ., გვ. 41.

ამ ორი მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობის — მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი მიმართულების მძაფრი, მოურიგებელი ჭიდილი დამახასიათებელი და აქტუალური რეალური ამბავი იყო ვაჟა-ფშაველას გარდამავალ, დიდი სოციალური ძვრების ეპოქაში. რომ ეს ჭიდილი ვაჟა-ფშაველას მიერ, მართლაც, რეალური სინამდვილიდანაა ამოკინძული, რომ მართლა, საზოგადოების ერთი დიდი ნაწილი იმ ეპოქაში აბოროვნებდა როგორც მზია, ჩალხია და ებღაუჭებოდა არსებულს, უცნაურად, მიუღებლად და უნიადაგო ოცნებად მიაჩნდა მომავალი ცხოვრების ფართო ჰუმანიურ საფუძველზე — ძმობა-ერთობა-თანასწორობის, ფართო ურთიერთ-დახმარების, სიყვარულისა და სამართლიანობის საფუძველზე მოწყობა, რასაც თხოულობდა აღმავალი რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მშრომელთა მოძრაობა, და ეს ბრძოლა დამახასიათებელი იყო როგორც 900-იან წლების კარიბჭეში, ისე, და მეტადაც. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, ამას მშვენვრმეტყველურად ამტკიცებს იპ. ვართაგავას ზემოაღნიშნული კრიტიკული წერილი, სადაც სხვათა შორის შემდეგს ვკითხულობთ: „ჩალხიაში ჩვენმა მგოსანმა დაგვიხატა ტიპი ნამდვილის რაციონალისტისა, რომელიც ცხოვრებას და მის ვითარებას ზომავს და აფასებს საღი გონების ჩაგონებით და ანგარიშს უწევს ნამდვილს რეალურს ცხოვრებას და არა იმას, რაც სურს იყოს და რაც ეჩვენება მეოცნებე იდეალისტებს“[37]. აი სწორედ ამ ორი საზოგადოებრივი მტრული ბანაკის ჭიდილია დიდი სიღრმით მოცემული პოემაში „გველის მჭამელი“.

ბინდია მთელი თავისი აგზნებული ბუნებით მომავლის მაღალი ჰუმანური მიმართულების განხორციელებაა. ის სამართლიანი ცხოვრების დამყარების წინამორბედია.

ვაჟა-ფშაველას შეხედულებით (რაც პოემა „გველის მჭამელის“ დედააზრიც არის) მინდიას დამარცხება გამოწვეულია არა იმით, რომ მისი მაღალი მისწრაფება უსაფუძვლოა, უნიადაგო წარმოსახვის ფუჭი, ავადმყოფური ვარჯიშობის შედეგია, არამედ იმიტომ, რომ მინდიას ცხოვრების ახალი გაგება მასების და ინტელიგენციის დიდი უმრავლესობის შეგნებამდე ჯერ არ იყო დასული; მასა გონებით ჯერ ვერ ჩასწვდომოდა მინდიას „დიდ ცნებას“.

მგოსნის გაგებით, მინდია მხოლოდ რჩეულია, რომლის გონებამა და გულმა საგრძნობლად გაუსწრო თავის ეროს და თანამედროვეთ. მინდია, მგოსნის გაგებით, ნაადრევი მერცხალია ბედნიერი გაზაფხულისა (ცხოვრებისა) და თუ ნაადრევად მოფრენილ მერცხალს ზამთრის უკანასკნელმა სუსხმა არ მისცა გასაქანი, უდროოდ დაღუპა ის, ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ გაზაფხული არ შეიძლება დადგეს. არა! მგოსანს სწამს, რომ გაზაფხული მაინც დადგება. მერცხლის მოფრენა და თუნ-

---

[37] იპ. ვ ა რ თ ა გ ა ვ ა, სიმღერა მთის შვილის — ვაჟა-ფშაველასი, ჟურნ. „განათლება“, 1914, წ., № IV, გვ. 249.

დაც მისი ზამთრის უკანასკნელი სუსხით ნაადრევად დაღუპვა მაინც იმის მომასწავებელია, რომ გაზაფხული მაინც მოვა, მოიტანს სითბოს, ძალას, სიცოცხლისა, ზრდისა და გაფურჩქვნის შესაძლებლობას მისცემს გასაშლელად გამზადებულ მოვლენას.

ასეთივეა მინდიას გაგება ვაჟა-ფშაველას ჩვენებით.

მინდიას თვითმკვლელობა მხოლოდ დროებითი შეფერხებაა მინდიას მისწრაფებათა — სიკეთის თესვისა და ურთიერთ შორის თანასწორი, სამართლიანი საფუძვლის დანერგვის აუცილებლობისა საყოველთაო ცხოვრების წოწესრიგებისათვის. მინდიას შეუცველი მრწამსით ადამიანისა და მთლიანად საზოგადოებისათვის მამოძრავებელი უნდა იყოს ქვეყნისათვის სასარგებლო მოქმედება.

ვაჟა-ფშაველას გაგებით, მინდიას მიმართულების ცხოვრებაში გატანა და განმტკიცება მისაღებია ჯერ-ჯერობით მხოლოდ რჩეულთათვის, „ქაი ყმათათვის". პოეტის ლექსიკონი რომ ვიხმაროთ. მართალია, მინდიასი და მისთანების ასეთი მისწრაფება და მოქმედება ჩალხიას, მზიას და მრავალ მათთანებს უცნაურად, მიუღებლად მიაჩნიათ, ისინი მთელი უხეში, პირადი პრიმიტიული თვითდაცვის უშუალო ინსტინქტით ეპყრობიან არსებულს, მამა-პაპით გამომუშავებულ ყოფას, მაგრამ, ხშირად როგორც პოეტი შენიშნავს, „ნაგრძნობსა გულითა, გონებით შველენ ვერასა". საზოგადოების ამ ნაწილის განწყობილებას მშვენივრად გამოხატავს იპ. ვართაგავას დამოკიდებულება და შეფასება მინდიასი, გამოთქმული ზემოთ ნახსენებ წერილში: „მადლობა ღმერთს — დაწყნარებით წერს იპ. ვართაგავა, — კაცობრიობა ჩალხიასთანა ჭკუისა და გონების ადამიანებისაგან არის შემდგარი და არა მინდიასთანა გალუცინაციით და „გრძნეულობით" შეპყრობილ პირებისაგან, თორემ ადამიანთა ცხოვრება შეწყდებოდა, დედამიწა დაცარიელდებოდა ადამიანისაგან და გახდებოდა მხოლოდ ნადირთა და ფრინველთა სათარეშოდ!"[38]

იპოლიტე ვართაგავას ამ არამართებული შეხედულების საპასუხოდ გვინდა დავიმოწმოთ ვლ. ლენინის მიერ 1919 წლის 1 მაისს გამოთქმული გენიალური სიტყვები. „ჩვენს შვილიშვილებს, — მიმართავდა ლენინი მსმენელებს, — უცნაურ რამედ მოეჩვენებათ კაპიტალისტური წყობილების ეპოქის დოკუმენტები და ძეგლები. ისინი ძლივს წარმოიდგენენ, თუ როგორ შეიძლებოდა კერძო პირის ხელში ყოფილიყო პირველი საჭიროების საგნების ვაჭრობა, როგორ შეიძლებოდა ფაბრიკები და ქარხნები ცალკეულ პირებს ჰქონოდათ საკუთრებად. როგორ შეეძლო ერთ კაცს მეორის ექსპლოატირება, როგორ შეიძლებოდა არსებულიყვნენ ადამიანები, რომლებიც არ შრომობდნენ. დღემდე, როგორც ზღაპარზე, ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რასაც ჩვენი ბავშვები

[38] იპ. ვ ა რ თ ა გ ა ვ ა, სიმღერა მთის შვილის — ვაჟა-ფშაველასი, ჟურნ. „განათლება", 1914 წ., № IV, გვ. 250.

იხილავენ. მაგრამ ახლა, ამხანაგებო, თქვენ ნათლად ხედავთ, რომ სოციალისტური საზოგადოების შენობა, რომელსაც ჩვენ ჩავუყარეთ საძირკველი — უტოპია როდია. კიდევ უფრო გულმოდგინეთ შეუდგებიან ამ შენობის აგებას ჩვენი შვილები"[39].

ასევე უნდა იქნას გაგებული და შეფასებული ვაჟა-ფშაველას პოემა „გველის მჭამელის" იდეა, რომელიც, სამწუხაროდ, უცნაურ რამედ ეჩვენებოდა კაპიტალისტური წყობილების ეპოქის მრავალ მოქალაქეს.

ვაჟა-ფშაველა, ითვალისწინებს რა ცხოვრების ისტორიულ განვითარებას, ხედავს, რომ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება დროდადრო გუბდება, მისი მოძრაობა ნელდება, ძაბუნდება; ასეთ მდგომარეობაში, მგოსნის გაგებით, ადამიანთა ცხოვრება შმორდება, შემხუთავი ხდება, სიცოცხლე საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ძნელდება, ადამიანი იხრწნება, ჰკარგავს ნამდვილ სახეს, ნამდვილ მოწოდებას, ეგოისტური გრძნობები იპყრობს მას. ასე რომ დარჩეს, მგოსნის გაგებით, მართლაც, დედამიწა ნადირთა სათარეშოდ გადაიქცევა. საჭიროა ამ მომენტში ცხოვრების შერყევა, შეცვლა, გაჯანსაღება, გარდაქმნა.

მართლაც, რა იქნებოდა ცხოვრება, რომ დროდადრო ისტორიული ცხოვრების ასპარეზზე არ გაჩნდებოდნენ ხოლმე დიდბუნოვანი ადამიანები, რომელთაც შესწევთ ნიჭი და უნარი გაიგონ სიდუხჭირე არსებული ყოფისა, გაიგონ შევიწროებული, ჩაგრული მშრომელი მასების სამართლიანი ცხოვრების დამკვიდრების აუცილებლობა, გამონახონ თვით ცხოვრებაში მის მისაღწევად სათანადო გზა და საშუალებანი?! რა იქნებოდა, რომ წყვდიადით მოცულ პირად ინტერესებში ჩამხრჩვალ ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებას არ მოევლინებოდნენ ხოლმე, როგორც ახალი, სამართლიანი გზის მაჩვენებელი ნათელი ვარსკვლავი, — „ქაი ყმანი", სწორედ მასებისათვის უკეთესი, ბედნიერი ცხოვრების მომთხოვნი, რომელნიც თავდავიწყებით, პირადის შეგნებულად გაწირვით, თავისი პირადი მოქმედების მიმზიდველი მაგალითით არ იტაცებდნენ თანამგრძნობთ, თანაზიართ და მკერდით არ არღვევდნენ განზომილების, დრომოჭმული ცხოვრების სქლად შემოვლებულ ჯებირს!

გვაგონდება დიდი რუსი პოეტის ნ. ნეკრასოვის სიტყვები, ნიჭიერი რუსი კრიტიკოსის ნ. დობროლიუბოვის დასაფლავებაზე თქმული:

Природа-мать! когда б таких людей
Ты иногда не посылала миру,
Заглохла б нива жизни...[40]

ასევე ესმის რჩეულთა საზოგადოებრივი ღირებულება ვაჟა-ფშაველაც. ეს რჩეული ჩვეულებრივზე მეტად მგრძნობიარეა და შორს-

[39] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, „სამი სიტყვა წითელ მოედანზე 1919 წ. 1 მაისს", თხზ., ტ. 29. გვ. 381.

[40] Н. Некрасов, Памяти Добролюбова.

მჭვრეტელი. ის გაცილებით ადრე, ვიდრე ჩვეულებრივად მოაზროვნე, ალღოს უღებს ცხოვრებაში აღძრულ უფრო სამართლიან მოთხოვნილებებს, რომელთა შესაბამის ცხოვრების ახალ გზას, ახალ საფუძვლებს ეძებს, პოულობს და ლამობს სხვათაც გააგებინოს ახალი მიმართულების აუცილებლობაც და შესაძლებლობაც. ეს რჩეული ცხოვრების მიმდინარეობის ორგანიზებას და აჩქარებას უწყობს ხელს მხოლოდ.

ასეა ვაჟა-ფშაველაც. მისი ჩვენებით, მიუხედავად იმისა, რომ მასები „ნაგრძნობსა გულითა, გონებით შველენ ვერასა", მაინც მინდიასა და მისთანების (ალუდა ქეთელაური, ჯოყოლა, აღაზა და სხვ.) წინაშე შეუცნობლად პატივისცემით ქედს იხრიან, რადგანაც გრძნობენ მათი პიროვნების, მრწამსის სიდიადეს, ხალხისათვის სარგებლობას, აუცილებლობას, ძალას, თუმცა ამის ათვისება მასისათვის ჯერ დაუძლეველია, უცნაურია, მიუღებელია. მინდია ახალი, სამართლიანი ცხოვრების გრიგალია.

მინდია განსახიერებაა კაცობრიობის დაუძლეველი მისწრაფებისა, ცხოვრების მოძრაობისა განვითარებისა და სრულყოფისადმი, მაღალი ჰუმანური პრინციპის — სიკეთე-სიყვარულის, „სხვას ვარგო"-ს საფუძველზე გაშლილი.

* * *

ვაჟა-ფშაველას ცხოვრების, საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლიანი მოწესრიგების დუღაბად კეთილი დასაბამი „მადლი", როგორც თვით პოეტი იტყოდა, მიაჩნია. ინდივიდუალური, პირადი მასების, მოძმეთა ინტერესს უნდა უკავშირდებოდეს და ემორჩილებოდეს კიდეც. ასეთი განწყობილება და ცხოვრების ასეთი გაგება მგოსანს მთელი მოღვაწეობის შანძილზე აწვალებდა და ის დიდის გულისხმიერებით ავითარებდა არა მარტო ზემოთ აღნიშნულ ნაწარმოებებში, არამედ კიდევ მრავალ სხვაშიც, როგორებიცაა „უიღბლო ილბლიანი", „სული ობლისა", „სიტყვა", „ახუნდი", „კაცი მართალი", „დარეჯანი" და სხვ.

როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველას დაკვირვებით, ადამიანთა არსებული ცხოვრება დაცილებულია ბუნების მთლიანი ცხოვრების კანონზომიერ-გონიერ გზას; ის ანგარების, გაუტანლობისა და გაუგებრობის საფუძველზეა გაშლილი. იგი ანადგურებს როგორც უსულოს, ისე სულიერს. ცრემლი, კვნესა, ნაღველი და ჭირი — აი რაა განმტკიცებული ცხოვრების აწინდელ პირობებში. გამკითხავი არავინაა.

პოემაში „სული ობლისა" ობოლმა განვლო სხვადასხვა სახე ბუ-

ნებისა; ის ბუნების მოვლენათა ცხოვრებას კარგად ჩაუკვირდა, იცნო ყოველივე და ასეთი შეხედულება გამოიტანა:

თავით ბოლომდე სიცოცხლე
მათ გაეტარათ მწარედა,
ეცოცხლათ, თუმცა ამაოდ,
საწყალთ საწუთროს გარეთა[41]

ობოლს, უპატრონოს არა და არ მიეცა საშუალება სიცოცხლისა, ცხოვრებისა; ყველგან შეეიწროება ნახა, ყველგან მას „ჰმუსრავდა ხელი კაცისა მსახვრელი“, მიუხედავად იმისა, რომ საწყალი ობოლი კარდაკარ მოწყალებას თხოულობდა და, რასაც ნათხოვარს შოულობდა, ბეჩავთ უზიარებდა. და ეს იმიტომ, რომ ცხოვრება სავსეა „პირამდე ცოდვა-ბრალითა“.

მგოსანი გრძნობს, ხედავს ამას და იწვის კიდეც „ცეცხლის ალითა“. პოეტი გრძნობს და ხედავს, რომ კაცს ფართო ასპარეზი აქვს „კეთილის საქმის სარგავად“, ბევრია „ხრიოკი ალაგი“, ე. ი. სადაც მიშველება, დახმარება აუცილებელია, რომელთაც განაყოფიერება ესაჭიროება, ამისათვის საჭიროა მათი („ხრიოკი ალაგების“) „შრომითა და მადლით მორწყვა“, რაც, სამწუხაროდ, ცხოვრებაში არ სრულდება.

პოეტი კარგადა გრძნობს და არც მალავს, რომ ქვეყნის დატოვება არსებული ცხოვრების ამ მდგომარეობაში, ამ სახით აღარ შეიძლება. ის კარგად ხედავს და რწმუნდება კიდეც, რომ „დამწიფებული იარა“ (ე. ი. ცხოვრების დრომოჭმული პირობები — ყოფა) „ნესტარით გამოსარწყავია“.

უსამართლოდ „გულის საკლავი“ არსებულის განცდით გაწამებული, მძიმედ გულდასერილი და გონება ამღვრეული პოეტი აკვიატებული ნატვრით დადის და ამ თავის ნატვრას ვედრებითა და ჩივილით ასე გადმოგვცემს:

ნეტავი იმას, ვინაცა
პირნათლად სოფლად იარა:
თავის ნაღვაწის ნაყოფი
საწყლებსაც გაუზიარა;
არავის ვნება არ მისცა,
გული არ დაუზიანა, —
მოყვასთ ნათელის ფიქრითა
ბნელეთი გაუმზიანა...
ნეტავი იმას, ვინაცა

სულით ამაღლდა, გადიდდა,
დათრგუნა გრძნობა დაბალი,
ცის კიდურამდე ავიდა,
პირნათლად, გულ-დასვენებით
ცივს სამარეში ჩავიდა...
ნეტავი იმას, ვინაცა
მოძმისთვის თავი გასწირა —
მთელი თავისი სიცოცხლე
კეთილსა მსხვერპლად შასწირა[42].

ვაჟა-ფშაველას გაგებითა და განცდით, მხოლოდ ასეთს კაცს შეუძლია გაიგოს „ერის გლოვა და ტირილი,“ მხოლოდ ასეთს კაცს აქვს

[41] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სული ობლისა, თხზ., ტ. IV, 1932 წ., გვ. 139.
[42] ი ქ ვ ე, გვ. 132—133.

დაკმაყოფილებული სინდისი, ასეთს კაცს „ვერც სააქაო აშინებს, ვერც საიქიო დავითა“.

ვაჟა-ფშაველას დაკვირვებით, თუ ბოროტის მქნელი ცხოვრებაში ბევრია და ისინი არიან გაბატონებულნი, მართალი კაციც ბევრია, მაგრამ მათი ნახვა ცხოვრების ასპარეზზე ძნელია, ისინი განდგომილან და ჩრდილში რჩებიან. მგოსანი სამართლიანად და გულისტკივილითაც შენიშნავს, რომ ასეთი ქცევა არ ვარგა, გაუმართლებელია, რადგანაც

უსაქმოდ კაციც არ ვარგა,
მხოლოდ ფიქრების მჩმახავი![43].

პოემაში „სული ობლისა“ გარკვეულად და კატეგორიულად ისმის მგოსნის მოთხოვნა კაცისადმი: საჭიროა ბრძოლა ცხოვრების მოუწესრიგებლობასთან, საჭიროა კეთილის მთესველთა შეკავშირება, საჭიროა კეთილ ზრახვათა საქმედ ქცევა. ასეთი მოწოდება არა მარტო ვაჟა-ფშაველასათვის, არამედ მისი ეპოქისათვისაც აქტუალურად იყო დასმული. ეს იყო ცხოვრების არსისა და ადამიანის დამოკიდებულება-მოვალეობის ახალი გაგების საკითხი.

ესევე პრობლემა ვაჟა-ფშაველას განვითარებული აქვს პოემაში „უიღბლო იღბლიანი“. მგოსანი პოემის შესავალშივე გვამცნობს, რომ მისი „გულის სიმთ ამაჟღერელი მიზეზი“ ქვეყნის ცხოვრების ტრიალის საიდუმლოების გაგების დაუძლეველი სურვილია. ამ სურვილით გაწამებული მგოსანი ასე გვაცნობს თავის მტანჯველ ფიქრს, რომელიც მისთვის ჯალათადაა გადაქცეული:

უსამართლობა სიმართლეს
რისთვისა სჯაბნის ძალათი?
ზოგს ნიჭი მისცა უფალმა,
ყოფა-ცხოვრების დავლათი;
სხვას დაუწესა მკლავზედა
სამთხოვარაოდ კალათი;
ლხინის, ჭორწილის შემდგომა
გამწყარალი მოდის მაყარი
და, ერთ დროს მლოცველით სავსე,
დანგრეული სდგას საყდარი.
ზოგს ამოჰშხამდა თვის ლუკმა
ალალის ოფლით ნაღვარი.
სხვას შეჰრჩა, კიდეც შაერგო
სარჩო ნაქურდალ-ნაპარი.[44]

ეს ტკივილია ვაჟა-ფშაველას რომ მოსვენებას უკარგავს, აწვალებს, თავის გარშემო ატრიალებს მას ცხოვრებაშიცა და შემოქმედებაშიც. ამიტომაა, რომ პოეტი ამ საკითხს გამუდმებით უბრუნდება.

პოემაში „უიღბლო იღბლიანი“ გადმოცემულია სამი შეძლებული ძმის ცხოვრება. მათ დარბაზში გამუდმებული ლხინი და სტუმრობაა. მათთან მიდის მდიდარიც, ღარიბიც. ორი ძმა ღარიბებს ყურადღებას არ აქცევს, სამაგიეროდ მესამე — საბრალო სწორედ ღარიბებს მასპინძლობს. თანაც წასვლისას მათ გუდაში საგზალსაც უდებს. ძმებს

---

[43] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სული ობლისა, თხზ., ტ. IV, 1932 წ., გვ. 133.
[44] მ ი ს ი ვ ე, უიღბლო იღბლიანი, თხზ., ტ. IV, 1932 წ., გვ. 67.

მდგომარეობა შეეცვალათ. მოუსავლობა დაატყდათ თავს, საქონელი გაუწყდათ, ოჯახი გაუღარიბდათ. უმცროსმა ძმამ — საბრალომ შრომას მოჰკიდა ხელი: „სთლის ნიჩბებს, სჩორკნის კეხებსა“, მუდამ ჟამს ფიქრობს ოჯახის შემატებასა. სხვა, ისეთი სიმდიდრის მნახველი, ამბობს მგოსანი, არ იკადრებდა ასეთს საქმიანობასა. ძმები კი მას ორგულობენ, „ნაორგულობას“ მალავენ ცოლების სკივრში. საბრალო ამას ფიქრადაც არ გაივლებს. ის მხნეობას აორკეცებს, ზრუნავს „სახლის კეთილისყოფაზე“, თვითონ კი გლახაკად დადის, ძმების, რძლებისა და ძმისწულებისათვის ენატრება „თაფლი და შაქარი“, თვითონ კი „ნაფშრუკი ნაცრით“ კმაყოფილდება.

მიუხედავად ამისა, მართალმა საბრალომ მაინც ვერ მოიგო გული ძმებისა, ძმებმა მოითხოვეს გაყრილიყვნენ. გაიყვეს სამი დღის ფეტვი. მოვიდა სეტყვა. მართალი ძმის საბრალოს ნაწილი სულ განადგურდა, დარჩა იგი ცარიელზე, მან გადაწყვიტა დაეტოვებინა სახლი, „მიენდო ბედისწერასა“. საბრალოს სწამს, რომ კაი-კაცობა ფუჭად არ ჩაივლის და ფიქრობს სიმართლის გზას შემდეგშიაც არ უღალატოს.

რაც უნდა ავი შაემთხვას,
თუნდა გააკრან ჯვარზედა...
მიჰყვეს ბოლომდე კეთილსა,
იაროს კეთილს გზაზედა.[45]

მართალი კაცი — საბრალო თუ ვინმეს ნახავს საწყალს, მარტოხელა მუშას ყანაში, მიეშველება იმავ წამს, „დაეხმარება ჯაფაში“. გასამრჯელოს არაფერს თხოულობს, არ უნდა აიღოს. ეს მას წესად აქვს. ხოლო თუ გასამრჯელოს ძალით მისცემენ, იმასაც მაშინვე გლახებს ურიგებს. მართალმა კაცმა ასე ოცი წელი იარა, ბედს ეძებდა, „ბევრჯელ ხიდები აშენა, ბევრგან კოშკები მაღალი“, სხვას ცხვარი უმრავლა, ყანები უმკო მრავალი. ვისთანაც საქმის დაჭერა მოუხდა, არაჩვეულებრივი სიმართლითა და სიკეთით იმუშავა. დადებულ პირობას მართალი, არაჩვეულებრივი უნაკლო სიზუსტითა და კეთილსინდისიერებით ასრულებდა. ის არავითარ შეღავათს არავისგან არ იღებდა. დადებული პირობის ოდნავი შეუსრულებლობა, თუნდაც მისგან დამოუკიდებული მიზეზით, საკმარისი იყო, რომ თავისი თავი ცარიელზე დაერჩინა. ასეთი იყო მართალი ძმის საბრალოს მძიმე მგზავრობა სავსე ავითა, „უიღბლობითა“.

მართალ კაცს გაუტყდა ჯან-ღონე. დრომ, ჟამთა ტრიალმა, ნახულმა ვაებამ, გაუტანლობამ საბრალოს თავისი დაღი დაასვა. მაგრამ მართალ კაცში მაინც ვერ მოჰკლა სიკეთის სამსახურის ურყევი რწმენა; მასში მაინც უცვლელად ღვივის მადლი და ნუგეში. მგოსნის გაგებით, კაცი კაცადვე რჩება.

---

[45] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, უიღბლო იღბლიანი, თხზ., ტ. IV, გვ. 74.

ცხოვრების გზაზე დაქანცული, გაუტანლობით დავრდომილი, ფიზიკურად დაძაბული, მაგრამ სულიერად მაინც ისევე მყარი მართალი კაცი ბრუნდება ძმებთან, რომელთა ოჯახი „ქურდობით თუ ძალით“ კვლავ აყვავებულა. საბრალოს დაბრუნებით ძმები ფრიად უკმაყოფილონი შეიქმნენ, წყევლით იხსენიებენ მას; ძმებმა მას სალამიც კი არ აღირსეს. ძმებს ეშინიათ, რომ მათი შესანახი არ გახდეს დასუსტებული, დოვლათის არმქონე დაბრუნებული ძმა.

მათ სასიხარულოდ საბრალომ დიდხანს არ იცოცხლა. ძმებმა ის დაასაფლავეს „ერთს უწყლო, მწირ და ხრიოკ ადგილზე“. ასეთია ვერაგობა, გაუტანლობა ადამიანთა ცხოვრებაში, რაც ვაჟა-ფშაველას უმოწყალოდ სტანჯავს.

მაგრამ ვაჟა-ფშაველას სწამს, რომ ბოროტსა სძლევს კეთილი, რომ მართალი კაცის საქმიანობა, მის მიერ დათესილი კეთილი არ შეიძლება უკვალოდ გაქრეს; მას სწამს, რომ ცხოვრებაში უკვალოდ არაფერი იკარგება, ხოლო შესაძლებელია ფერი თუ სახე იცვალოს. მართალია, კეთილის მთესველნი, ნაადრევად გამოსულნი ცხოვრების სარბიელზე, იღუპებიან, ვერ ახერხებენ უკუღმართობით შეკრული ცხოვრების ჯებირი გაარღვიონ, ახალი სამართლიანი გზები დაკვალონ, მაგრამ ადამიანთა, მასების შეგნებაში შეუცნობლად მაინც იკრება ასეთებისადმი მიმზიდველობა, რწმენა მათი ბუნების სიდიადისა, მოქმედების სიკეთისა, სიფაქიზისა, რაც ხალხის ჭკუის სასწავლებლად და მის სინდისის გამაფაქიზებლად რჩება. ეს გარემოება ხალხს არსებული ცხოვრების დრომოჭმულ პირობებში აეჭვებს. ამით აიხსნება, რომ ასეთი პირების შესახებ ხალხი ქმნის თავის ასეთი დამოკიდებულების ამსახველ ლეგენდებს.

ასეთია ლეგენდა მართალი ადამიანის — საბრალოს შესახებ:

საკვირველს რასმე იტყვიან
ძველის ამბების მცოდნენი:
თურმე მის საფლავის თავით
ერთი წყაროა მომდენი:
და ხშირად საფლავის სტუმრად
ღამ-ღამ ცით მთვარის ოდენი
სხივი ჩამოდის და ადის,
ქვეყნად სინათლის მომფენი.
ვინაც კი დაჰლევს იმ წყალსა,
რაც უნდა ჭირით პყრობილი
იყოს, მორჩება იმ წამსვე,
წყარო ისეა ცნობილი.
რასაც საბრალოს საფლავი
ჰხედავს მთებსა და ჭალებსა,
ყველგან რომ მადლი ტრიალებს,
მადლით ჰრწყავს არე-მარესა...
საბრალოს სამარის მადლი
ცხოველ-მცენარეთ მცველია[46].

ასეთი სასწაული ხდება კაცთა მიერ ცხოვრებაში არ დაფასებული, კეთილის მთესველის, მართალი კაცის — საბრალოს საფლავზე. ხალხის შეგნებაში, შეიძლება შეუცნობლად, მაგრამ ერთგვარი ძალის შემცველობით იმარჯვებს საბრალოს საქმიანობის — სამართლიანობის

[46] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, უიღბლო იღბლიანი, თხზ., ტ. IV, გვ. 117—118.

რწმენა, ხალხის შეგნებაში სხივოსნდება ცხოვრებაში შევიწროებული საბრალოს სახე, რაც დიდ აღმზრდელობით გავლენას ახდენს მასზე.

ასეთია შეხედულება ვაჟა-ფშაველასი. ასეთია დიდი აღმზრდელობითი გავლენა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა საერთოდ და, კერძოდ, პოემისა „უიღბლო იღბლიანი“.

საბრალოს საქმიანობის მორალური ღირებულება და მისი გავლენის მიმზიდველი ძალა ხალხზე რომ გაზარდოს, ვაჟა-ფშაველა სულ სხვა სახითა და დამოკიდებულებით გვიხატავს საბრალოს ძმების საბასი და ოთარის საფლავებს: ძმების საფლავებზე ჭაობია დამდგარი; ოთხფეხნიც და ადამიანებიც, „ვით სიკვდილს ერიდებიან“. საბრალოს განწყობილებისა და მოქმედების ზნეობრივი სიმაღლე და სიფაქიზე მკითხველს რომ მკვეთრად შთააგონოს, ვაჟა-ფშაველას გამოყენებული აქვს ჩვეული და დამახასიათებელი პოეტური ხერხი — კონტრასტი, რითაც მგოსანი მიზანს დიდი წარმატებით აღწევს.

საბრალოს სამართლიანმა ცხოვრებამ შესამჩნევი კვალი დატოვა ხალხის შეგნებაში. ხალხმა მის შესახებ შექმნა სათაყვანებელი ლეგენდა. მგოსანი ამ ლეგენდას ასე გადმოგვცემს: დედა შვილებს საიდუმლოებრივ შთააგონებს ერიდნენ იმ ჭაობს, სადაც საბრალოს ძმების საფლავია, თუ თავი არ უნდათ „დასაზიანად“. ხოლო, ამასთან ერთად. შვილს „სანთელს ატანს“, აანთოს იქ, სადაც მარტოდ, „ოხერ-ტიალად“ საფლავი არის. ეს საბრალოს საფლავია. მოხუციც ყრმათა უამბობს მართალი კაცის ამბავსა, —

რომ ყველამ მისი სურათი	თუ ჰსურთ, რომ მათი ხსენება
გულს ჩაისახოს, ჩაისვას,	კიდით-კიდემდე გაისმას, —
და ტრფიალება კეთილის	კაცთა გამხმარმა ცხოვრებამ
თვალთა წამწამზე დაისვას,	ია და ვარდი დაისხას[47].

მოხუცის ეს განწყობილება თვით ვაჟა-ფშაველასიცაა, რომელიც ცხოვრების საშინლად მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში ცხოვრობდა, როდესაც მგოსნის მრავალრიცხოვან ოჯახს მთის სოფლის მეურნეობა ვერ აკმაყოფილებდა; მას ცოლ-შვილი გამუდმებით აუტანელ შევიწროებულ ეკონომიურ მდგომარეობაში ჰყავდა[48]; ეს გარემოება ცოლის ხშირ საყვედურს იწვევდა, რაც ვაჟა-ფშაველას დიდ მწუხარებას აყენებდა. თვით პოეტურ მოღვაწეობასაც ის მხოლოდ ცხოვრების წვრილმანობისაგან გათავისუფლების მომენტებში ეძლეოდა. და ვინაიდან მას ხშირად ნავთის ფულიც კი არა ჰქონდა, რომ სანათი აენთო, წერდა თავის უკვდავ ნაწარმოებს ცეცხლის შუქზე. მიუხედავად ამისა, პოეტი მაინც არ მოიღუნა, მისი ამაყი, დამოუკიდებელი ხა-

---

[47] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, უიღბლო იღბლიანი, თხზ., ტ. IV, გვ. 118—119.

[48] იხ. მისი კერძო წერილები ძმებთან, „ნაკადულის“ რედაქტორთან მ. დ ე მ უ ნ ი ა ს თ ა ნ, ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. გამგეობისადმი მიმართვები.

სიათი არ გატყდა, დათმობის გზით არ წავიდა. ცხოვრების წვრილმანებისაგან (რაც ვაჟა-ფშაველასათვის ყოველთვის მტანჯველი იყო) განთავისუფლებულ ბედნიერ მომენტებში მგოსანი მთელი თავისი დიდი ნიჭითა და შესაძლებლობით ეძლეოდა პოეტურ წვას, ქმნიდა თავის „ზეშთაგონებულ სიმღერებს", რომლებშიც უცნაურად აწნავდა მთისა და ბარის ცხოვრებას, ძველს ახალთან, წარსულს აწმყოსა და მომავალთან.

ვაჟა-ფშაველას მთელი ცხოვრება განუწყვეტელი ბრძოლა იყო დაბრკოლებებთან, უსამართლობასთან, ძალმომრეობასთან. მიუხედავად ამისა, „ბილწმა" მასთან კავშირი მაინც ვერ გამონახა.

ამით აიხსნება, რომ ვაჟა-ფშაველამ სიამაყე, სილაღე, პოეტური ალმაფრენის უნარი და ძალა სიკვდილამდე ხელშეუხლებლად შეინახა, ამით აიხსნება, რომ მისი „ბუკი და ნაღარა" გამუდმებით თავმომწონედ და ჩამწვდომი შთაგონებით გაჰკიოდა ყრმათა და მკითხველთა გასაგონადა და, „გულმკერდზე დასაწერადა", —

> რაც უნდა ჭირი მომკერძო,
> ბილწთ არ შავეკვრი ზავითა;
> მცნებას ვერ შემაცვლეინებ
> მოზღვავებულის ავითა!..[49]

---

[49] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სიმღერა („დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე..."), თხზ., ტ. I, 1946 წ., გვ. 280.

თავი V

თემი და პიროვნება

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში არა ერთგზისაა დასმული თემისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემა, რაც ეპოქის ტკივილებით დაკოდილ პოეტს ფართოდ ესმის, სახელდობრ, როგორც პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის გარკვევის პრობლემა. ამ საკითხის სათანადო ახსნა-განმარტებისათვის საჭიროა გაკვრით მაინც გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანის თავისებურებანი.

ქართველი მთის ხალხის ცხოვრების სინამდვილეში ამ ეპოქაში მეტად თავისებურად ერთმანეთში აირია და გადაიკვანძა სხვადასხვა საუკუნე — უძველესი, ძველი, ახალი; სხვადასხვა მსოფლმხედველობა — ფეოდალური, წვრილბურჟუაზიული, პროლეტარული; სხვადასხვა კულტურა — წარმართული, ქრისტიანული, ათეისტური. ეს გამოწვეულია ამ პერიოდში აღმავალი კაპიტალიზმის ისტორიული მოძრაობითა და ამის საფუძველზე მძლავრი სოციალური რღვევითა და გადანაცვლებით.

მართალია, მთის ცხოვრება თავისებური, ნაკლებად დიფერენცირებული კლასობრივი ურთიერთობით არ იძლეოდა შესაძლებლობას კაპიტალიზმის განვითარებით გამწვავებულ კლასობრივ წინააღმდეგობათა გამოვლინებისას, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: ამ პერიოდში, თუ ბარი ახალი მოვლენებით მიღებულ ჭრილობებს იშუშებდა და საკითხთა გარკვევაში იყო, მივარდნილი, ჯერ კიდევ კარჩაკეტილი მთა ცხოვრებას განაგრძობდა ძველი ტრადიციებითა და მისწრაფებებით—ძველი, წარმართული მსოფლგაგებით, სადევგმირო კულტით. მთა არა მარტო თანადროულობას გაურბოდა, არამედ ძლიერადაც ეწინააღმდეგებოდა მას. მაგრამ, მიუხედავად მისი ასეთი ურჩობისა, კარჩაკეტილობისა და ბარისაგან განდგომისა, ბარის ცხოვრების დამმორჩილებელმა — კაპი-

ტალიზმმა მთის სალ-კლდოვან უღელტეხილისაკენაც გაიწია და მისი ზღუდეების გადალახვაც შეძლო. ეს წინააღმდეგობა თანამედროვეებში ქმნიდა მწვავე განცდებს.

ამ ვითარებაში მთა იწყებს ბართან გაერთიანებას, იქმნება ძველსა და ახალს შორის კონფლიქტი. ამ ბრძოლის ღერძზე დგას ვაჟა-ფშაველა თავისი მტანჯველი განცდებით.

ვაჟა-ფშაველა ასახავს ამ ტკივილების ტრაგედიას, ამ მწვავე კონფლიქტს, რომელსაც ჰკვანძავდა გარემო ყოველდღიურობისა და მგოსნის დიდი ალღოს შეჯახება. ვაჟა-ფშაველას ეპოქა, როგორც გარდამავალი, ხასიათდებოდა რღვევითა და აღმავლობით: ძველი იშლებოდა, მიდიოდა, ახალი ფეხს იდგამდა, მოდიოდა. ამისთანა ეპოქაში ჩვეულებრივ საჭირო ხდება გმირი, რომელიც შეუპოვრად გაუწევს წინააღმდეგობას დაბრკოლებებს, გადალახავს მათ, დაიცავს, რაც საჭიროა საზოგადოებისათვის, მისთვის ახალ სასარგებლო გზის გაკვერვას დიდი გამჭრიახობით ხელს შეუწყობს.

ვაჟა-ფშაველა, თუ ერთი მხრით, თავის შემოქმედებაში გვიხატავს მთის, იდეალიზირებულ პატრიარქალურ ცხოვრებას თავის თემური წყობილებით, ზნე-ჩვეულებით, დევ-გმირული ვაჟკაცობით, მთელი თავისი ეთიკითა და ესთეტიკით, მეორე მხრით, ის მკითხველს აგრძნობინებს დიდ ისტორიულ ძვრებს, ახალი ეპოქის დასაწყისს, სიცოცხლის ახალ რიტმს, მის პათოსს, ახალი ადამიანის განცდებში განსახიერებულს.

არსებულით — ადამიანთა წვრილბურჟუაზიული, მეშჩანური წვრილმანი ბუნებით, მოთხოვნილებითა და ყოფით უკმაყოფილო ვაჟა-ფშაველა ხარბად იყურება წინ, სადაც ცხოვრების ახალ გაგებას, ახალ მორალს არკვევს, იქით მიიწევს თავშეუკავებელი და მკითხველსაც იქით მიეზიდება („ადამიანი", „გოგოთურ და აფშინა", „ალუდა ქეთელაური", „კაი ყმა", „სტუმარ-მასპინძელი", „გველის მჭამელი" და სხვ.).

ვაჟა-ფშაველას ბარი თავისი ყოველდღიური წვრილმანი ცხოვრებით უძარღვო, უფერულ ქვეყნად მიაჩნდა, სადაც ადამიანი დაჩიავებული, დაკნინებული, შინაარსეულად დაცარიელებულია. ამიტომ იყო, რომ ის ბარში დიდხანს ვერ ჩერდებოდა, გამუდმებით მთისკენ მიიწევდა, თუმცა მას იქაც თან სდევდა შავბედითი დაუკმაყოფილებლობა. მაგრამ, მისი „ბუკი და ნაღარა" მაინც იქ, მთაში, ლაღად ხმიანობდა, ხარბად უხმობდა დევებს და დევისებურ გმირებს, რომელნიც, მგოსნის განცდით, მთაში გამომუშავებული და შემონახული რაინდულ-დევგმირული მორალისა და მოქმედების ამსახველნი იყვნენ.

იშვიათი, მართლაც, უცნაური ინტენსიური შინაგანი ხედვის ნიჭითა და ალღოთი იყო ვაჟა-ფშაველა დაჯილდოებული. ის არა მარტო

ფანტაზიით, წარმოსახვით, არამედ ფიზიკურადაც, მთელი თავისი არსებით, თითქოს, უშუალოდ ეხებოდა იმ ზღაპრულ მოვლენებს, ავ თუ კეთილ სულებს, რაც ასე ცოცხლადაა ასახული ხალხურ ზეპირშემოქმედებაში და რომელიც ვაჟა-ფშაველას თავის პოეტურ აღქმაში ასე ჯადოსნურად აქვს მოცემული („ეთერი" და სხვ.).

მგოსანი, ამ ძველი ტრადიციული ვაჟკაცობისა და ეთიკა-ესთეტიკის ეშხით გატაცებული, ახალი დროით, ფერცვლილი ცხოვრებით უკმაყოფილო, „მოხუცის ნათქვამში" მოხუც მთიელს ასე ამეტყველებს:

ეს რა დროებას მოეესწარ?
გამოიცვალა ქვეყანა:
მამალიც ყიეის სხვაგვარად,
კაცსა სძულს მისვლა კაცთანა.

მოხუცი (თვით პოეტი) აღელვებულია ფერცვლილი, „აჭრელებული" ცხოვრებით (რომელსაც ის ცალმხრივ ხედავს მხოლოდ), ახალგაზრდობით, რომელიც ამ ახალს, მისთვის მიუღებელ, ფუქსავატ ცხოვრებას მისდევს, და თავის აღშფოთებას ასე გამოსთქვამს:

სცხვენოდეს ახალ-უხლებსა,
კაც იყოს, თუნდა ქალია,
რომ მთელი მათი არსება
ფუჭმა საგნებმა დალია![1]

მოხუცი კონკრეტულად აღნიშნავს — რატომ, რა მიზეზით არ მოსწონს მას ახალგაზრდები და მათი ყოფა-ქცევა:

ჩემს დროსა ქალი ვაჟკაცსა
შეიყვარებდა მაშინა,
როცა ჰხედავდა მებრძოლსა
შეუპოვარად მტრის წინა.

ჩემს დროს ლამაზი ვაჟკაცი
არ იყო ქალის პირისა,
არამედ შავი, მამაცი,
მუხლ-მგელი, გულით რკინისა[2]

მოხუცი აშკარად ხედავს და მწვავედაც განიცდის, რომ ძველი დრო, დრო ვაჟკაცობისა, რაინდობისა, თუ ჯერ სამუდამოდ არ წასულა, თუ უკვე ისტორიას, დავიწყებას არ მისცემია, ყოველ შემთხვევაში, სამწუხაროდ, მიდის და მიდის დაუბრუნებლად. ცხოვრება „ჭრელდება", მთლიანი, აქამდე ურყევი ცხოვრება და პიროვნება იბზარება, კნინდება. მოხუცის ეს განცდები ვაჟა-ფშაველასათვის გასაგებია, მახლობელი და მტკივნეულიც. მთიელი მოხუცი თავის ტკივილს ასე გამოთქვამს:

ქალი და კაციც გაფუჭდა —
ალარ სძევთ ძველი ფერია,
მათ გულში ქაჯი დაბუდდა,
კაცის ნამუსის მტერია.
აფსუსო, ძველო დროებავ!..
არ დაბრუნდები ნეტარა?[3]

---

[1] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მოხუცის ნათქვამი, თხზ., ტ. III, 1930 წ., გვ. 6.
[2] ი ქ ვ ე.
[3] ი ქ ვ ე.

მთიელი მოხუცი (რა თქმა უნდა თვით პოეტიც) აღფრთოვანდება ძველი დროის ვაჟკაცობის მოგონებით, სევდანარევი სიამოვნებით მოგვითხრობს ის ძველი დროის ამბავს, როცა ხალხს „ტყვიის ხმა დედის ნანად“ მიაჩნდა, როცა მას „ომი ქორწილი ეგონა“, მაშინ ის მტერს შეუპოვრად ეკვეთებოდა ხოლმე, თავდავიწყებით იბრძოდა, მაშინ ვაჟკაცი „თითო ოც-ოცის მკვლელი“ იყო.

აი როგორი პათოსით აგვიწერს მოხუცი ძველი დროის ცხოვრებისა და ვაჟკაცობის მიმზიდველობას:

როგორც ღრუბელი, მოვიდა
მრისხანედ თათრის ჯარია;
ისეთი ვსჩანდით იმასთან,
ვით ზღვასთან წვიმის ცვარია...
შემოკვალთულნი ჩოხებში
მტერს უცდის ქართველებიო
და გველის-პირულს ფრანგულებს
ადნება ქარქაშებიო.

რა ვნახეთ მტერი, მივცვივდით
ხმალ-მოწვდით, გამალულები
და დავინთქენით სპარსებში,
გარს მტრისგან შემორტყმულები.
ხმალთ სტვენას, ცხენთა ჭიხვინსა
ბანს აძლევს სისხლის ჩხრიალი
და თავმომწონე დროშებსა
ჰაერში გააქვს ფრიალი[4].

მკვეთრია ბრძოლის პათოსის გადმოცემა (რაც ვაჟა-ფშაველას პოეტური სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია). მთიელი მოხუცის გაგებით, ესაა ნამდვილი ცხოვრება, აქა სცემს სიცოცხლის ძარღვი მაგრად, მიმზიდველად. ვაჟკაცური ტრადიციის შენარჩუნება, მტერთან მედგარი ბრძოლა, გაუტეხელობა — აი რაც მთიელთათვის განუყრელი, შესისხლხორცებული იყო. ჩვეულებრივ ცხოვრებაში, თავისებური გაგებით, შემცოდებელი, სიმართლის მაძიებელი და დამცველი მთიელი, ვაჟა-ფშაველას ასახვით, როცა მისი სამშობლოსი და მორალის შელახვას ვინმე მოიწადინებს, — მყის მრისხანე, გააფთრებულ ვეფხვს დაემსგავსება. სამშობლოს მტერთან ბრძოლა ამ ტრადიციებში აღზრდილი მთიელისათვის წმინდა მოვალეობის სიამოვნებითა და კმაყოფილებით აღსრულებაა. მართლაც, იქ „ტყვიის ხმა დედის ნანაა“ და მტერთან „ომი — ქორწილი“.

ვაჟა-ფშაველაც, ამგვარსავე ტრადიციაში აღზრდილი, ხომ თვით ცოცხალი ნატეხია ამ „გოლიათი“ მთისა. ისიც ხომ ამ რაინდული ტრადიციებით იყო ნასაზრდოები, გატაცებული, და ოცნებითაც კი, ამ ჩვენამდე ზღაპრად მოსულ ქვეყანაში, ვით დევ-გმირი, დააბიჯებდა. აქ, მთაში, ვაჟა-ფშაველას აღგზნებული პოეტური შემოქმედება შესაფერ საზრდოს იღებდა. ეს სამყარო, ახლა ჩვენთვის ზღაპრული, ვაჟა-ფშაველასათვის რეალური და თითქოს მისაღებიც, ისეთი სიძლიერითაა მის მიერ განჭვრეტილი, ისეთი მძლავრი შინაგანი ხედვით შეგრძნებული და დიდი ოსტატის ხელით გამოჭედილი, რომ მისი ხილვით გან-

[4] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მოხუცის ნათქვამი, თხზ., ტ. III, გვ. 12—13.

ცვიფრებაში მოყვანილი აღფრთოვანებული მკითხველიც მოჯადოებულსავით მისდევს ავტორს.

* * *

ვაჟა-ფშაველა დიდი პოეტური უნარით, ალღოთი და მღელვარებით ანსახიერებს მთიელის თუმცა პრიმიტიულს, მაგრამ უშუალო, მიმზიდველ რკინის ბუნებას; ხაზს უსვამს მთისა და მთიელის ბუნებისა და ხასიათის უპირატესობას (უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველა განსაკუთრებით მთიელთა დადებით თვისებებს სწევს წინ, თვისებებს. რომელთა გამოყენება, მწერლის გაგებით, ახალ ცხოვრებაშიც სასარგებლო იქნება).

ვაჟა-ფშაველა ვაჟკაცს გოგოთურს მორიდებით, მაგრამ მასთან ერთად მთის უპირატესობის შეგნებით, მეფის თხოვნაზე დარჩეს ის „მეფის კარადა", შემდეგს ათქმევინებს:

„მეფევ, ვერ გავძლებ ბარადა,
თუ მთის ნიავი, არა მცემს,
გული ქალებურ ტირისა,
არ მინდა პური, არც წყალი,
აღარც გაღება პირისა!
მამეხიბლება გუნება,
ვერა ვარ გამძლე ჭირისა"[5].

იქ, მთაში, ვაჟა-ფშაველას მძლავრი ჩვენებით, იზრდებიან და მოქმედებენ ვაჟკაცნი, მთლიანი ბუნების ადამიანები, რომელნიც მომხიბლველნი არიან არა მარტო სამშობლოსათვის თავდადებულ ბრძოლაში, არამედ ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც; როგორც მამაკაცნი, ისე დედაკაცნიც, ბრძოლაში რომ ლომკაცდებიან, ჭირში გაუტეხელნი რომ რჩებიან, რომელთა მთელი ცოცხალი გალერეა მოცემულია ვაჟა-ფშაველას პოემებში — „ბახტრიონი", „გიგლია" და სხვ.

გოგოთური, პოეტის თქმით, ნამდვილი მთიელია. „გოგოთურს რკინის გული აქვს, ჯანი ხომ გადამეტია, რამდენჯერ მარტო შაბერტყის მტერი ქვიშაზე მეტია". ის ომის დროს ომობს:

ომში სიკვდილს ჰვავს გოგოთურ,
შეუბრალები, უკვდავი,
მტერსაც ზარსა სცემს უზომოს,
როგორაც სულთამხუთავი...[6]

მაგრამ არც მშვიდობიანობის დროს არის ის უქმად: სახლში ის მუშაობს, მიწის მუშაა, ის მშრომელია, გლეხია (უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველა გოგოთურის მოდგმის გმირების დახასიათებაში — ალუდა ქეთელაურის, ჯოყოლასი, მინდიასი, — რომელთა ტკივილებში თა-

[5] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, გოგოთურ და აფშინა, თხზ., ტ. III, 1930 წ., გვ. 44.
[6] ი ქ ვ ე, გვ. 43.

ვის პირად წვას ანსახიერებს, ხაზს უსვამს მათ გლეხურ სოციალურ მდგომარეობას).

გოგოთურის შეგნება და მორალი ძარცვით ცხოვრებას (მხედველობაშია ბარის ბურჟუაზიული „აჭრელებული“ ცხოვრება, რაც მთაშიაც იჭრებოდა, მგოსნის გაგებით) ვერ ეგუება. მისთვის არამი ცხოვრება მიუღებელია. ის თავის უპირატესობის შეგნებით ამაყად ამბობს:

„ნადაელით, ნაყაჩაღარით
კაცის დარჩომა ძნელია“.[7]

გოგოთურს არ უნდა „ლუკმასა სჭამდეს სხვისასა“. ის კაცის ღირსებას და მის ყოველ ნიჭს საზოგადოებრივი ცხოვრების სარგებლიანობისა და არა პირადი კეთილდღეობის თვალსაზრისით ზომავს. გოგოთურისათვის გაუგებარია და მწუხარების აღმძვრელი მისი ცოლის ბუზღუნი. ცოლის საყვედურზე, რომ გოგოთური „სახლისად არის ურგები“, და მის ანგარებიან წინადადებაზე —

„წადი, შენც ეინმე გაძარცეე,
არ გინდა საჩო ნეტარა?
ქისტებს თავები გაპბალთე,
ხევსურთ დაადევ ბეგარა.
ამბობენ, აფშინაის ცხენს
ტანი სრულ ვერცხლით ეფარა“[8],—

გოგოთურ, თავისი ქცევითა და ცხოვრების გაგებით კმაყოფილი, შთამაგონებლის ტონით ცოლს ასე ეტყვის:

„ხმლის ქნევას მადლი მაშინ აქვს,
როცა ხმალს ჰხედავ მტრისასა!
. . . . . .
ჩემი ფრანგული მტერსა ჰკლავს,
ძმაზედ არა აქვს ხელიო.
. . . . . .
ომში რვა ხმალი გავცვითე,
მეცხრე თეთრტარა ხანჯარი...
თუ ავი სული არა ხარ,
ეგ საყვედური რა არი!?“[9]

გოგოთურის ცოლთანა და შემდეგ აფშინასთან დაპირისპირებით პოეტი ამახვილებს გოგოთურის მაღალ მორალს, მის ვაჟკაცურ სახეს. გოგოთურის ადამიანური, რაინდული მოქცევა აფშინასადმი, უკანასკნელს, კეთილ გზას აცდენილს, დაანახვებს ნამდვილი ვაჟკაცის გზას, ნამდვილი კაცის ღირსეულ და შესაფერ მოვალეობას.

დამარცხებული და შერცხვენილი აფშინა გოგოთურს სთხოვს ძმად გაეფიცოს. გოგოთურიც თანხმდება. ძმადგაფიცვის რიტუალის პროცესში ის აფშინას ცხოვრების ასეთს გზას დაულოცავს:

„ღმერთმა გაშოროს ბოროტი,
ავ საქმე, ავი წადილი...
ნუ მოგვიშალოს უფალმა
ძმობა და ერთად ხადილი...“[10]

---

[7] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, გოგოთურ და აფშინა, თხზ., ტ. III, გვ. 44.
[8] ი ქ ვ ე. გვ. 45.
[9] ი ქ ვ ე, გვ. 46.
[10] ი ქ ვ ე, გვ. 53.

ამის შემდეგ ძმადგაფიცულნი გოგოთურ და აფშინა ძმანი არიან „ვით ერთი დედის შვილები," აფშინა დაუბრუნდება საზოგადოებას, როგორც სასარგებლო და მზრუნველი წევრი. თემი მას ხევისბერადაც კი ირჩევს.

ასეთი ჰუმანური დამოკიდებულება, რომელშიც არამც თუ უცხო არ არის მაღალი ზნეობრივი განცდა, საზოგადოებრივი საწყისი, არამედ ის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა, ვაჟა-ფშაველას გაგებით, იქმნება იქ, მათში, მთის ზნე-ჩვეულებებში. ამგვარი ჩვეულებები, პოეტის ნიჭიერი ჩვენებით, მთიელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ღებულობს რკინის ძალას, განსაკუთრებით კი თემური წყობილების ბუდეში.

თემი მთიელთათვის, ვაჟა-ფშაველას დახატვით, ის დუღაბია, რომელიც თავისი ტრადიციების ხელშეუხებლობას იცავს და ამ გზით თემის ცხოვრებას აერთიანებს, მას რკინის ღობეს ავლებს, იმორჩილებს. დიდი პოეტური ძალითა და ოსტატობითაა მოცემული აღაზას („სტუმარ-მასპინძელი") აფორიაქებული სულიერი განცდა, თემის ჩვეულებების დარღვევით გამოწვეული.

აღაზა მოწმე შეიქმნა ზვიადაურის („სტუმარ-მასპინძელი") მტერთან ვაჟკაცური (როგორც ეს მთას ესმის) დახვედრისა. ზვიადაურს ერთს მტრის მთელი თემი შემოეხვია, შეკონილს ხანჯალს ყელში ურჭობენ, მას სისხლი სდის, მისი სიცოცხლე ქრება, ის კვდება, მაგრამ ნაიენ არ იდრიკება, თვალსაც კი არ ახამხამებს, წარბსაც კი არ იხრის. „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა" — ამ შეტევით დაეცემა მტრებით გარშემორტყმული ზვიადაური. „გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა, გული გულადვე რჩებოდა", აღტაცებით აგვიწერს პოეტი.

ზვიადაურის ვაჟკაცური სიკვდილით მოხიბლული აღაზა ვეღარ იმორჩილებს გულის მოძრაობას, თავიდან ვერ იშორებს იმის მიმზიდველ ლანდს, „კაცის კაცურად სიკვდილი გულიდამ არა ჰქრებოდა".

აღაზამ იტირა გმირი ზვიადაური, კაცი, რომელსაც მისი და მისი ქმრის ჯოყოლას თემის სისხლი ემართა. ამას გარდა, მან, სხვისმა ცოლმა დაიტირა უცხო ვაჟკაცი. ვაჟა-ფშაველა არაჩვეულებრივი სიძლიერით ხატავს იმ დიდ შინაგან უხერხულობასა და ტკივილს, რომელთაც თემის ჩვეულებების დარღვევის გამო აღაზა ასე მწვავედ განიცდის. აღაზას ეჭათრება თავისი გრძნობისა. „ერთის მხრივ, — აგვიწერს ავტორი, — ხათრი აქვს თემისა, მეორით, — ღმერთი აშინებს, ქისტეთის მტრისა მოზარეს თავს რისხვას გადმოადინებს", მაგრამ, გულთამხილავი პოეტის სწორი გაგებით, ეს ფიქრი გონებისაა, გული აღაზას სხვას ეუბნებოდა. ნახულმა აღაზას „დაკლულის გლოვა კისრად" დაადვა. აღაზამ ვერ გაუძლო გულის ჭიდილს. დაარღვია თემის ჩვეულება.

ამოვლო კრძალვით საფლავთან,
მკვდარსა მუხლ-მოყრით დაეყრდნო,
ქვითინებს გულამოსკვნითა,
ცრემლსა სიპი ქვა დაედნო.
იხსნა დანა, მიჰმართა
ზვიადაურსა იმითა,
ააკრა ნიშნად, სახსოვრაღ
სამი ბალანი პირითა,
ჩიქილის ტოტში შეხვია
ბროლის თითებით თლილითა...[11]

თემის მორალური კოდექსის დარღვევამ აღაზა შეაკრთო, მთლად აღტანა, ააფორიაქა. მის ყურებში უცნაური, ადამიანის გამანადგურებელი ჟივილი და დგანდგარი გაისმა. აღაზას აშლილ შეგნებაში, მის მიერ თემის ჩვეულებათა დარღვევის გამო, მის წინააღმდეგ გაერთიანდა მთელი სამყარო — ხმელეთი, ზესკნელი და ქვესკნელი. ყველა მას ჰკიცხავს. გაირიყა აღაზა. მას ადგილი აღარსადა აქვს.

მგოსანი ასე აგვიწერს აღაზას აფორიაქებულ განწყობილებას:

საერთო წყრომის ხმა ისმის,
საერთო გულის ტკივილი:
„რას შვრები უნამუსოვო“,
გამწარებულნი ჩიოდენ, —
„მაღალი ღმერთი გრისხავდეს!“
სამარით შემოჰკიოდენ.
აჩქარებული ღრუბლები
ცის პირზე გადმოდიოდენ.
გაიქცა, მირბის, იხედავს, —
მკვდარნი მისდევენ, სწორია...
გარშემო დაყუდებული
განა ერთი და ორია.
„უნამუსოვო!“ მისძახდენ
ტან დაწკეპილნი დეკანი,
ბალახნი, ქვანი, ქვიშანი,
იმ არე-მარეს მდებარნი.
აგერ, საფლავით ამოდგა
მისი მკვდარი ძმა ებარი...
თან მოჰკიოდა თავის დას,
ს· ტყვა პირს მოსდის მკეხარი:
„ვაჰ, დაო, დაო, რა მიყავ?
რისხვა რად დამეც მედგარი?
მეორეს საფლავში ჩამდევ,
ერთს სამარეში მდებარი!
მაგით მიმტკიცებ დობასა,
შენი ქალობა ეგ არი?!“[12]

მართლაც, უცნაური პოეტური ძლიერებით, როგორც იშვიათად თუ რომელსამე სხვა მწერალს (ჩვენსას თუ უცხოს) გამოუჩენია, განსახიერებულია თემის ზნე-ჩვეულებათა გავლენის ძალა და მისი დარღვევით გამოწვეული სინდისის ჯოჯოხეთური ქენჯნა, შინაგანი ტანჯვა, ბრძოლა, მწვავე ტრაგედია.

* * *

თემი ჩვეულებას წმინდად ინახავს, დაურღვეველ და გარდაუვალ რწმენად იხდის; ყველა უყოყმანოდ, გაუბზარავად მისდევს თემის ერთხელ მიღებულ ცხოვრების მოთხოვნილებებს; ყველა ცდილობს „იყოს, როგორც სხვა“, ჰქონდეს ისა და ისე, „როგორც სხვას.“ თემის წევრთა შორის რამდენადაც ნაკლები განსხვავება იქნება, იმდენად უფრო მძლავრადა და მტკიცედ გამოიხატება თემის მთლიანობა-ერთიანობა. საკმარისია ჩვეულებრივი ტრაფარეტული მოქცევისათვის ერთი შეუ-

---

[11] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სტუმარ-მასპინძელი, თხზ., ტ. III, 1930 წ., გვ. 250.
[12] ი ქ ვ ე, გვ. 250—251.

ფერებელი ნაბიჯიც კი და თემი მთლიანად, როგორც ერთი, სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს ტრადიციის დამრღვევს. ყველა უმალ, როგორც ერთი, აღსდგება თემის მორალური კოდექსის დასაცავად, ასეთია ბუნება თემური ყოფისა.

განსაკუთრებით მწვავეა რეაქცია, როცა ახალი ცხოვრების მოწოლის გამო, სოციალური ძვრების პერიოდში, თემი საფრთხეს გრძნობს და ხედავს, რომ საუკუნეებით შესისხლხორცებული ჩვეულება დარღვევის წინაშე დგას და მის დარღვევას კი, თემის შეგნებით, შესაძლებელია მოჰყვეს თემის მთლიანობის შერყევა, დაღუპვა. ამგვარ პირობებში თემის სურვილი ტრადიციის დაცვისა უფრო მკაცრია.

ასეთია ახალი საწინააღმდეგო ძალა ვაჟა-ფშაველას მოღვაწეობის დროს, მთის ცხოვრების პირობებში ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყო გაერთიანებული. ასეთი ძალა იქ აღძრული იყო ცალკეულ რჩეულ პიროვნებებში.

ასეთია, ვაჟა-ფშაველას გაგებითა და ასახვით, მთიელთა თემის ცხოვრება და განწყობილება.

ჯოყოლამ („სტუმარ-მასპინძელი") ქისტთა მოსისხლე მტერი ხევსური ზვიადაური უნებლიეთ ისტუმრა. თემი ამის გამო ამხედრდა ჯოყოლას წინააღმდეგ; თემი მოითხოვს, ჯოყოლამ სტუმარი გასცეს. ჯოყოლა თემის ამ მოთხოვნას წინაღუდგა. აღშფოთებული ჯოყოლა თემს მოაგონებს, რომ ზვიადაური დღეს მისი სტუმარია, თემის ჩვეულებით კი სტუმრის ღალატი მიუღებელია. „ვის გაუყიდავს სტუმარი? ქისტეთს სად თქმულა ამბადა?" — აღელვებით შესძახებს ჯოყოლა თემს.

ამის გარდა, ჯოყოლას ისიც აღელვებს, რომ თემი არღვევს თავისსავე მეორე ადათსაც — ზვიადაურს თავს ესხმის, როცა ის უიარაღოა. ასეთი საქციელი, თემისავე გაგებით, სამარცხვინოა. თემს შთაგონებისათვის ჯოყოლა შესძახებს:

„თვის რჯული დავვიწყებიათ,
მიტომ იქცევით მცდარადა!...
. . . . . .
უიარაღოს აწვალებთ,
გული რასა ჰგრძნობს თავადა?"[13]

თემი აღშფოთებულია ჯოყოლას ასეთი „უგუნური ქცევით". მას აღშფოთებს, რომ ჯოყოლა თემის განკარგულებას, სიტყვას ტეხს. ამიტომ თემი ჯოყოლასადმი ულმობელია, სასტიკია. ჯოყოლას თემი მოიკვეთავს, გარიყავს.

თავის ასეთს მკაცრ, შეურიგებელ დამოკიდებულებას თემი ჯოყოლას ცოლზე აღაზაზეც განავრცობს.

---

[13] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სტუმარ-მასპინძელი, თხზ., ტ. III, გვ. 243.

„უცხოს კაცისა მოზარევ.
ხევსურთ მოგიკლეს ქმარია.
წადი, იტირე, აღაზავ,
სამარეს მიაბარია“[14]

თემს თავის გადაწყვეტილებას ის გარემოებაც კი არ შეაცვლევინებს, რომ ჯოყოლა შეაკვდება ხევსურთ ბრძოლაში, როცა ხევსურნი ქისტებს თავს დაესხმიან ზვიადაურის სისხლის ასაღებად. აღაზას თემიდან არავინ მიეკარება, მას უფლებას არ მისცემენ ჯოყოლა საერთო სასაფლაოზე დამარხოს. თვით აღაზაც თემის ტრადიციებითა და ავტორიტეტით ისეა შებოჭილი, რომ თემის ასეთ მკაცრ მოთხოვნას ის არ ებრძვის, არ ეწინააღმდეგება; ის თავის თავს და ქმარს დამნაშავედ თვლის; თემის გარეშე მას ცხოვრების შესაძლებლობა აღარა აქვს. აღაზა, განცდებით გატანჯული, გარიყულად იგრძნობს თავს და შემდეგი სიტყვებით თავს იკლავს:

„ორთავ შევცოდეთ ქისტებსა.
მათ შამიჩვენეს ქმარია...
მე უფრო დიდი ცოდვა მაქვს,
უცხოსთვის ცრემლი ვღვარია“[15].

ასეთივე შეურიგებელია და ულმობელი თემი ალუდა ქეთელაურისადმი („ალუდა ქეთელაური“). თემის უფროსს ბერდიას შეაძრწუნებს ალუდას თხოვნა მტრის — ქისტის მუცალის „ძოღან მოკლულის“ „სამხვეწრო“ მიიღოს, „როგორც უნდობლად მოკლულის თავის ლამაზის ძმისთვინა“. ალუდას მიერ დარღვევა თემის ჩვეულებისა ბერდიას წონასწორობას დააკარგვინებს. ბერდია, თითქოს ცა გასკდა, შეშინებული და განრისხებული მიმართავს ალუდას:

„გაურჯულებულს არჯულებ,
შენ ეგ არ შაგიხდებისა,
ქისტისად საკლავის დაკვლა
კარგად არ მოგიხდებისა.
მამით არ მოდის ანდერძი,
პაპის და პაპის-პაპითა.
. . . . . .
ეშმაკს ნუ მისდევ... ეგ სიტყვა,
როგორ ამოგცდა ბაგითა?!
. . . . . .
როგორ ვახვეწო უფალსა
ძაღლი, ძაღლების ჯიშისა,
მანამ სჯობს ცანი დამექცევ
ზურგი გამისკდეს მიწისა,
ან თუ ზღვამ დამნთქას უძირომ,
სადილი ვსჭამო ქვიშისა“[16]

მიუხედავად ალუდას მრავალგზის თხოვნისა და დასაბუთებისა, ბერდიას მისი „ზღვენი არ გაესუბუქებინა“, ბერდია მაინც მტკიცედ, ურყევად იცავს თემის ჩვეულებას — „გაურჯულებულს“ არ „არჯულებს“,

---

[14] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, სტუმარ-მასპინძელი, თხზ., ტ III, გვ. 260.
[15] ი ქ ვ ე, გვ. 262.
[16] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ალუდა ქეთელაური, თხზ., ტ. III, 1930 წ., გვ. 80—81.

„ქისტისად“ საკლავის დაკვლა მამა-პაპათა ანდერძის დარღვევად მიაჩნია, რაც, ბერდიას გაგებით, თემის დარღვევის მომასწავებელია.

ბერდიასაგან შეუწყნარებელი ალუდა ვერ ერევა თავის ახალ გრძნობას „უნდობლად მოკლული“ ქისტისადმი; თვითონ შეასრულებს მსხვერპლის შეწირვის რიტუალს. ალუდას მიერ თემის ჩვეულებათა ასეთი დარღვევით „ჯაგარ აშლილი“ ბერდია მოძმეთ მიმართავს, „დაჯარდენ დიდნი და მცირენი“ სამართლის დასამყარებლად. შეკრებილ თემს შეძრწუნებული ბერდია მოსთხოვს, არ დაინდოს ალუდა, „უტიროს ცოლშვილი“. ბერდიას სასწრაფოდ გამოაქვს უმაღლესი განაჩენი ალუდასათვის:

„მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის
ცა-ღრუბლის შანამზირები.
წადით, უმტვრიეთ შავ-ბნელსა
სახლსა, ციხის კარები.
ცეცხლი მიეცით საძნოვარს, —
ცასა სწვდებოდეს ალები,
სათემოდ გამოირეკეთ
ცხვარი, ძროხა და ხარები.
. . . . . .
ჰრისხამდეს ჩვენი ბატონი
არ არის შესაბრალები“.[17]

აქ თემის ყველა უფლებისა და შესაძლებლობის მობილიზაცია ჩანს. თემი არაფერს ზოგავს, არაფერს ერიდება, რომ ურჩი, წესის დამრღვევი წევრი, თუნდაც რჩეული და საამაყო, გაუგონრად დასაჯოს სხვის დასანახავად, რათა „რჯული“ შეინახოს, თემის ძალა და მთლიანობა დაიცვას.

* * *

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ეს ერთი ქვეყანაა — ძველი, პატრიარქალური, რომელსაც ჩვენი მგოსანი დიდი უშუალობით განიცდის და სიმკვეთრითაც გვიხატავს.

თემურ ყოფაში, ცხადია, პიროვნება არ მოჩანს. არსებობს თემის უფროსი — ხევისბერი, თემის მორალური და იურიდიული კოდექსის დამცველი და არიან თემის წევრნი, აღმსრულებელნი ამ კოდექსისა. ასეთია პატრიარქალური თემი.

მაგრამ ვაჟა-ფშაველას მხედველობას არ გამოეპარა, რომ ახალი ცხოვრების პირობებში, ძველი ყოფა რომ „აჭრელდა“, თემის მთლიან ყოფასაც ცვლილებების დაღი დააჩნდა, თემმაც ფერი იცვალა. ალუდა, ჯოყოლა, მინდია ახალ გრძნობებითა და გაგებით აღიჭურვნენ, თემის არსებულ ჩარჩოებში ვეღარ ეტევიან. ისინი, ახალი განცდებით დაისრულნი, ბედავენ თემის ადათის დარღვევას. იქმნება კონფლიქტი თემსა და ცალკეულ, რჩეულ პიროვნებათა შორის. ბრძოლა მათ შორის ხშირად მოურიგებელი და მწვავე ხდება. ამ ბრძოლაში თუმცა თემი

---

[17] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ალუდა ქეთელაური, თხზ., ტ III, 1930 წ., გვ. 82.

იმარჯვებს, მაგრამ ეს გამარჯვება მას ძვირად უჯდება. თემი გაბზარული, პირგატეხილი რჩება. ეს შედეგია ორი მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობის, — თემის — პატრიარქალურისა და ახალი ადამიანის — ჰუმანურის — შეჯახება-ჭიდილისა.

თემსა და პიროვნებას შორის კონფლიქტი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში დიდი სიმწვავითა და სირთულითაა დასმული და განვითარებული. აქაა ვაჟა-ფშაველას ნიჭის სინთეტიური ბუნების დიადი გამოვლინება.

თემსა და პიროვნებას შორის კონფლიქტს შემდეგი სოციალური საფუძველი აქვს.

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ჩვენში კაპიტალიზმის განვითარების გამო ზემოაღნიშნული სოციალური ძვრების საფუძველზე დაიწყო პროტესტი საზოგადოებრივი ცხოვრების დამჩაგვრელი ხასიათის წინააღმდეგ. დაიწყო უარყოფა მანამდე გამომუშავებული შაბლონისა და ტრაფარეტისა, ინდივიდუალურ ცხოვრებას რომ ასე ბოჭავდა. დაიწყო ბრძოლა პიროვნების განთავისუფლებისათვის. ამ ნიადაგზე მთელი XIX საუკუნის მანძილზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ლიტერატურაში, როგორც მის გამოვლინებაში, ჩნდება ბრძოლა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის.

საზოგადოების, პიროვნების განთავისუფლებისათვის ბრძოლა, ჩვეულებრივ, გამომხატველია ძველი ყოფის რღვევისა, მისი წყობილებით დაუკმაყოფილებლობისა, ახლის ძიებისა. ეს ბრძოლა ლიტერატურაშიაც ორი ძირითადი მიმართულებით მეღავნდებოდა. ამ ბრძოლის ერთი მიმართულება ცნობილია დეკადენტობის სახელწოდებით. დასავლეთ ევროპაში და რუსეთშიც XIX საუკუნის 90-იან წლებში ეს მიმართულება განვითარდა ბურჟუაზიის იმ ნაწილში, რომელსაც აღარ შეეძლო საზოგადოებრივი ცხოვრება ახალი კალაპოტით წაემართა, არ შეეძლო ადამიანის განვითარების შემაფერხებელი „მეშჩანობის“ წინააღმდეგ ცხოვრების ახალი გზები, ახალი ფორმები ეჩვენებინა.

დეკადენტობამ გამოხატა გემოვნება და საერთოდ სულიერი განწყობილება მდიდარი ფენების, რომლებიც შეძლების გამო განთავისუფლდნენ შრომისაგან, ჰქონდათ თავისუფალი დრო და, ცხოვრებით მოყირჭებულნი, ცდილობდნენ პირადი სურვილები, თავისი „მე“ ტრაფარეტისა და შაბლონის გარეშე გამოემეღავნებინათ. ამ მიმართულებამ თვითმიზნად გაიხადა უარყოფა და დანგრევა არსებული გაბატონებული ეთიკისა და ეტიკეტისა. მაგრამ მან დანგრეულის, თუ მის მიერ დასანგრევად გამზადებულის სამაგიერო კი ვერ შეძლო მიეცა. ეს კი მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ჯგუფს, რომლის ფსიქოლოგიის გამომხატველი იყო დეკადენტობა, ცხოველმყოფელი ძალა დაკარგული ჰქონდა. დეკადენტობამ ადამიანში დაინახა თავისთავადი დასაბამი. მისი შეხედულებით, ადამიანი არ არის დაკავშირებული საზოგადოე-

ბასთან, მის ტრადიციებთანა და მისწრაფებებთან. დეკადენტობამ საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტაში უარყო სოციალური დასაბამი, დაუპირისპირა ინდივიდუალობა საზოგადოებას და ამიტომაც ის თანდათან ცხოვრებიდან გაირიყა.

ამავე პერიოდში დეკადენტობის პარალელურად, იმავე რღვევისა და სოციალური ძვრების პროცესში ვითარდება მისი საწინააღმდეგო, ახალი საზოგადოებრივი ფენის — მშრომელი მასის — პროლეტარიატის იდეოლოგია. ეს ფენაც, უკმაყოფილო არსებული ცხოვრების ყოფით, უფრო მტკიცედ და ენერგიულად აყენებს პიროვნებისა და საზოგადოების განთავისუფლების პრობლემას. მაგრამ, ამ მიმართულების მიხედვით, თავისუფალი პიროვნება და საზოგადოება, არსებულს რომ უარყოფს, ეძებს და აყენებს მომავალი საზოგადოებრივი წყობილების, ყოფის ახალს, უფრო ჰუმანურ საფუძვლებს. ეს ფენაც ქმნის თავის „ახალ პოეზიას“, რომელშიც პიროვნების განთავისუფლება განუყრელადაა შეერთებული ახალი საზოგადოებრივი ყოფის შექმნასთან, სადაც უნდა დამყარდეს სამართლიანი ურთიერთობა ადამიანთა შორის, სადაც ცალკეული პიროვნების მოთხოვნილებათა და საზოგადოების ინტერესთა შორის წინააღმდეგობა მოხსნილია. პიროვნება, ამ მიმართულებით თავის „მე“-ს გამომჟღავნებით არა მარტო პირად დასაბამს ემსახურება, არამედ საზოგადოებრივ მოთხოვნილებას ასრულებს. აქ პიროვნება შეგნებულად ანგრევს არსებულს, უარყოფს დრომოჭმულ ტრადიციებს ახალი საზოგადოებრივი ყოფის დამყარების დაუძლეველი მისწრაფებითა და მიზნით.

ვაჟა-ფშაველა ამ მიმართულებათა შორის დგას თავისი ბუმბერაზი ბუნებით. მართალია, ვაჟა-ფშაველას, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მთა და მისი ჩვეულებანი ძლიერ იზიდავდნენ, — ის დიდი უშუალობით, ერთგვარი იდეალიზაციითაც კი, გვიხატავს კარჩაკეტილ მთაში შემონახულ ფანტასტიკურ ქვეყანას, რომელშიც პოეტის დროს ჯერ კიდევ ცოცხლად იყო დაცული წარმართული მსოფლმხედველობა — დევებით, ავი სულებით, ზღაპრული სამოქმედო ასპარეზით. ვაჟა-ფშაველა თვითონაც დევსავით დააბიჯებს ამ ფანტასტიკურ სამყაროში, ადვილად მისდევს თავის გმირებს არა მარტო ხილულ ქვეყანაში, არამედ ქვესკნელსა და ზესკნელშიც („ეთერი“), სადაც მკითხველსაც თან არაჩვეულებრივი სიძლიერით მიიზიდავს.

მაგრამ, ამასთან ერთად, ვაჟა-ფშაველას შეგნებაში (რაც მკვეთრადაა ასახული მის შემოქმედებაშიც) ახალიც ძლიერაა შეჭრილი, ახალი — ახალ ცხოვრებას რომ ჰქონოდა. ამ ახლის განხორციელების აუცილებლობას პოეტი დიდი სიმწვავით განიცდის, თუმცა ამ ახლის სახის გამორკვევა, მისი კონკრეტულად ჩვენება მას გამოუხსნელ კვანძად გადაექცა.

ეს გარემოება, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ვაჟა-ფშაველას გლეხური, წვრილბურჟუაზიული მსოფლგაგებით აიხსნება.

ვაჟა-ფშაველას ამ შინაგანი ტრაგედიის გაგების თვალსაჩინოებისათვის საკმარისია მოვიგონოთ იმავე ეპოქის, ამავე ტკივილების გენიალური ამსახველი რუსი მწერალი მ. გორკი, მ. გორკიმ ახალი სამართლიანი ქვეყნის ძიების ტკივილებით დაკოდილმა, შეძლო თავისი ახალი მისწრაფებების გარკვევა, ახალი ქვეყნის, რომლისაკენაც ის თავისი მდიდარი ბუნებითა და დიდი ტემპერამენტით მიისწრაფოდა, გარკვეული სახისა და შინაარსის მიცემა. და ეს იმიტომ, რომ მ. გორკი თავიდანვე დაუკავშირდა აღმავალ, მშრომელთა მასების რევოლუციურ მოძრაობას, რომლის ფსიქო-იდეოლოგიის გამომხატველადაც ის შეიქმნა — ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციამდელ მოთხრობებში: „Старуха Изергиль“, „Коновалов“, „Песня о Соколе“, „Песня о Буревестнике“ და სხვა.

ვაჟა-ფშაველა კი ბოლომდე დარჩა გლეხობის პროტესტანტული განწყობილების საფუძველზე, მოწყვეტილი მუშათა რევოლუციური ორგანიზაციების მოძრაობას. აქაა ტრაგედია ვაჟა-ფშაველასიც და არსებულით უკმაყოფილო, ახალი უკეთესის მაძიებელი მისი გმირებისაც.

ალუდა („ალუდა ქეთელაური“), ჯოყოლა, აღაზა („სტუმარ-მასპინძელი“), მინდია („გველის მჭამელი“) ახალის, მაღალი ჰუმანური ცხოვრების მაძიებელი პიროვნებები თუ გმირები არიან. ამ მხატვრული სახეების ძირითადი თვისებაა — დამოუკიდებლობა, უკმაყოფილება, პროტესტი, ამბოხება, ძიება. ტრაგიკული კოლიზიის განვითარება ახალი თესლის მატარებელ გმირს, ტიტანსა (ალუდა, ჯოყოლა, მინდია) და დაძაბუნებულ ქვეყანასა და მის ხელმძღვანელთა შორის (თემი, ბერდია, ჩალხია, მზია) მტკივნეულია და ძირითადი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ამ ხაზის გაშლა და გახსნა წარმოადგენს ურთულეს და მეტად საგულისხმიერო ამოცანას. ჩვენც შევეცდებით მის გარკვევას.

დავიწყოთ ალუდა ქეთელაურის გაცნობით:

ხევსურეთში განთქმული ვაჟკაცი ალუდა ქეთელაური გამოედევნება ხევსურთა მტერს ქისტს მუცალს, ხევსურთ საქონლის წამსხმელს. დაიწყება მათ შორის ბრძოლა. ორივე იბრძვის დაუზოგავად, გმირულად. დაიძლია ქისტი მუცალი. მაგრამ დაიძლია, როგორც გმირი, ვაჟკაცი.

„მკერდზე ნაკრავმა ტყვიამა
გაუნაძოძა გული.
ნატყვიარს ბრძამით იფეედა,
ისრე დალია სული.
სულს არ აცლიდა ამოსვლას,
კიდევ მიხსენა რჯული“[18]

[18] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ალუდა ქეთელაური, თხზ., ტ. III, გვ. 74—75.

ასე აგვიწერს ალუდა მუცალის გმირობას, მის გაუტეხელ ვაჟკაცობას. დაძლეულმა მუცალმა დაინახა რა, რომ ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარა აქვს, მოწინააღმდეგის ვაჟკაცობით აღტაცებულმა, თავისი თოფი ალუდას გადაუგდო და თან მიაძახა: „ეხლა შენ იყოს, რჯულ ძაღლო, ხელს არ ჩავარდეს სხვისასა“.

მკითხველიც დატყვევებულია მთიელის, თუმცა მეტად პრიმიტიული, მაგრამ მკვეთრი, მტკიცე, ლამაზი პიროვნებით. მუცალი ვაჟკაცია, როგორც ეს მთას ესმის. ის უშიშარია, მოუდრეკელია. ის სიკვდილის მომენტშიც არ იბნევა; ის ურყევი, უცვლელი, როგორც იტყვიან, წარბშეუხრელი რჩება. ასეთ „განკითხვის წუთშიც“ კი მუცალი არ ჰკარგავს თავის სახეს, თვით მოწინააღმდეგის ღირსებასაც პატივისცემით ეპყრობა და ამ განცდას თავისებურად ვაჟკაცურად ავლენს.

ალუდამაც, თვითონაც ვაჟკაცმა, „კაი ყმამ“, როგორც მთაში ამბობენ, მუცალში დაინახა შეუდრეკელი ხასიათის ვაჟკაცი, რომელსაც მოწინააღმდეგის გმირული დახვედრა შეუძლიან. ალუდას ასეთი ვაჟკაცის, თუნდაც მოწინააღმდეგის, გაფუჭება, უპატივცემლობა უმძიმს. ატირდა ალუდა მუცალის სიკვდილით. ასეთი ჰუმანური დამოკიდებულება მტრისადმი, რაც თემის მორალური კოდექსით აკრძალული იყო, ალუდას ისეთი სიმძლავრით გაუჯდა, რომ მთისა და თემის საუკუნეთა მანძილზე შეულახველ ჩვეულებათა დარღვევასაც კი გააბედინებს.

დამარცხებულ მუცალს ალუდა, წინააღმდეგ თემის ჩვეულებისა და სასტიკი მოთხოვნისა, არამც თუ იარაღს არ აჰყრის, არამედ ისე მოეპყრობა, როგორც ეს გმირს შეეფერება:

ალუდას თოფი არ უნდა,
ატირდა როგორც ქალიო;
არ აჰყრის იარაღებსა,
არ ეხარბება თვალიო,
თავით დაუდვა ხანჯარი,
ზედ ეკრა სპილოს ძვალიო,
გულზე ძეგლიგი დაადვა
მკლავზედ ფრანგული ხმალიო.
. . . . . .
სიგრძივ გაჰხურა ნაბადი,
ზედ გადაადვა ფარიო.[18]

მთიელთ რიტუალი ვაჟკაცის გაპატიოსნებისა სისრულითაა შესრულებული. მაგრამ ალუდაში ასე მძლავრად ამოძრავებული ახალი ჰუმანური გრძნობა ამით აღარ კმაყოფილდება. ალუდა მთლად ახალი გრძნობის ტყვეობაშია. ის თავს ვეღარ იკავებს; თემის სხვა ადათებსაც თანდათანობით არღვევს. მან მუცალს მარჯვენა არ მოსჭრა, არ წაუღო თემს ის, როგორც ნიშანი მტერზე გამარჯვებისა. ეს ჩვეულებაც თემისათვის წმინდათაწმინდა იყო. მაგრამ ახალი ჰუმანური განცდა ალუდაში იმდენად დიდია, მკვეთრი, დაუძლეველი, რომ თემის ამ რკინის ადათსაც გადაალახვინებს, დაარღვევინებს.

---

[18] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ალუდა ქეთელაური, თხზ., ტ. III, გვ. 71—72.

მუცალის გმირული სიკვდილით მოხიბლული ალუდა ასე მიმართავს მას:

»ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო,
მკლავზედაც გებას მარჯვენა,
შენზედ ალალი არიო,
შენ ხელ შენს გულზედ დამიწდეს,
ნურც ხარობს ქავის კარიო.
კარგი გყოლია გამდელი,
ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო«.[20]

ალუდაში ასეთი მტრისადმი — ვაჟკაცისადმი გაჭრა მტრობა, შურისძიება. ალუდას ეს ახალი, მაღალი ჰუმანური გრძნობა მარტო მუცალის მოკვლის მომენტში კი არ არის ამოქმედებული, არამედ ეს განცდა მასში თანდათან უფრო იზრდება, თანდათან უფრო მტკივნეულად იპყრობს მის შეგნებას როგორც ცხადლივ, ისე სიზმრადაც. გული შეეკრა ალუდას; მისი შუბლი დაიჩრდილა; ეჭვმა შეიპყრო მისი გული და გონება.

ალუდას მუცალისადმი დამოკიდებულება ისეთი უშუალო კილოთი და მასთან ერთად ისეთი ემოციონალობითაა გადმოცემული, რომ მკითხველს ჰგონია, რომ ალუდას აღფრთოვანება და ტკივილი ჩაუქროველ უცნაურ ვულკანსავით ბობოქრობს. მკითხველი მკვეთრად გრძნობს, რომ ტრადიციებით შებორკილი ალუდა თავს იკავებს, მასში მუცალის დანახვა-გაგებაში გული სჯაბნის თვალსაც, ყურსაც, ენასაც. ალუდა ქეთელაური, მუცალის ვაჟკაცობით აღტაცებაში მოსული, თავისი მისდამი დამოკიდებულებით გაბრუებული, თვით არანაკლები სილამაზისა და მიმზიდველობის მქონე, თანამოძმეებს ასე უმღერავნებს თავის აფორიაქებულსა და გაწამებულ განცდათ:

»ვერ გავიმეტე მუცალი
მარჯვენის მოსაჭრელადა,
გული გამიწყრა, არა ჰქნა,
რაც საქნელია ძნელადა:
„დაე, დაკლდეს სახელსა,
მე გირჩევნიავარ მრჩევლადა.«[21]

ალუდას ახალი გრძნობის აღგზნებით დასერილი სახე დიდი სიცხოველითა და ბუნებრიობითაა გაშლილი. მკითხველს არამც თუ არ ეუცხოება, რომ მთიელში ასეთი მაღალი, ნაზი, ფაქიზი ადამიანური გრძნობები თავსდება, არამედ სრულიად ბუნებრივადაც კი მიაჩნია. მკითხველში ისეთი წარმოდგენა მუშავდება, თითქოს, ასეთი მძლავრი ბუნების პიროვნებები მხოლოდ იქ, მთაში, იწიდნებიან. ამაშია ვაჟა-ფშაველას მხატვრული სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება.

ალუდას საქციელმა ხევსურნი მეტად შეაშფოთა. თემის წევრი, რამდენადაც ის ვაჟკაცია, „კაი ყმაა“, დიდბუნებოვანია, იმდენად თემისათვის სამწუხაროა ამ წევრის მიერ მიღებული ჩვეულების ან, როგორც თემში იტყვიან, „რჯულის“ დარღვევა. ხევსურთ ავად შეხედეს

[20] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ალუდა ქეთელაური, თხზ., ტ. III, გვ. 72.
[21] ი ქ ვ ე, გვ. 75.

ალუდას. თემისთვის გაუგებარი და მიუღებელია ალუდას განცდა. თემი დაჟინებით მოითხოვს თავის ადათის დაცვას: „მოჰკალ, მარჯვენა არ მოსჭერ, უკვენ მისდევდი მა რადა?“ — ასე შესძრავს აღშფოთებული თემი ალუდას „ქცევას“.

მაგრამ ალუდა ქეთელაურისათვის თემის ამხედრებაც კი აღარაფერია იმ შინაგან ტანჯვასთან, რომელსაც ის მუცალის გმირული სიკვდილის შემდეგ განიცდის: ალუდა ვეღარც სჭამს, ვეღარც მშვიდდება, თითქოს ვეღარც გარემო ცხოვრებაში ერკვევა. ის ცხადლივ, თუ სიზმრად ახალი შინაგანი სევდით ცხოვრობს. მუცალთან საბედისწერო წამს მიღებული დამატყვევებელი შთაბეჭდილება ალუდაში არ განელდა. ალუდას წინ გამუდმებით დგას სასიკვდილოდ დაჭრილი მუცალი, როგორც ბინდგადაკრული გაუტეხელი კლდე, რომელსაც „ცრემლ არ ჩამოსდის თვალისა“.

ალუდას ტკივილში მძლავრადაა არეული (და არაჩვეულებრივი მხატვრული ოსტატობითაც განსახიერებული) ხმა უკმაყოფილებისა, საყვედურისა, ეჭვისა, სინდისის ქენჯნისა, უსამართლობისა, ცხოვრების ახალი მორალის გამონახვის აუცილებლობისა. ამ განცდამ ააფორიაქა ალუდა, მასში გააერთიანა სიზმარი და სიცხადე, ოცნება და სინამდვილე, ტკივილი და სიამოვნება, ტანჯვა და სიხარული, კმაყოფილება და დაუკმაყოფილებლობა, მადლი და ბოროტება, სილამაზე და სიმახინჯე, გონება და გრძნობა, ყური და თვალი, გემოვნება და შეხება. ალუდაში მტკივნეულად აშლილი მტანჯველი განცდები ნიჭიერადაა გადმოცემული მის მიერ დედისადმი მოთხრობილ სიზმარში:

„მე პურ არ მინდა, დედაო,
გული შამეკრა რადამე.
წუხელ ცუდ სიზმრები ვსინჯე,
რიგში ვიყოდი სადამე.

. . . . . .

შავხედენ, მუცალი იყო,
ტანთ ეცვა ჯაჭვი რვალისა,
გულზე ემჩნივა ნიშანი
მე-დ იმის ბრძოლის წამისა.

. . . . . .

კლდედ იდგა გაუტეხლადა,
ცრემლ არ ჩამოსდის თვალისა.
„მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,
მამკალო, მითხრა ხვეწნითა.
თქვენ დაგრჩეს წუთისოფელი,
მე-კი წავიდე ქვეყნითა,
დაძეღით, ხევსურთ შვილებო,
ლაშქრობით, ხმლების ქნევითა“.
დავჯე, ჯამ ვინამ დამდგა,
კაცის ხორც იყო წვნიანი,
ვსჭამდი, მზარავდა თუმცა-ღა
კაცის ხელ-ფეხი ძვლიანი,
რასა ვსჩადიო, ვსჯავრობდი,
უმსგავსი, შაჩვენებული.
„ჭამეო, რამამ მიძახა.
ნუ ჰხდები გაშტერებული.
კიდევ მიმირთვით ალუდას
წვენ-ხორცი გაცხელებული“.
ზიმატეს კაცის ულვაშით
წვენ-ხორცი შანელებული...
სიზმართ დამტანჯეს, იმით ვარ
გუნებაა აღელვებული“.[22]

ასეთი შინაგანი კოშმარული სულიერი ტანჯვის მატარებელია ალუდა ქეთელაური. ასეა გამარჯვებული მისი შინაგანი „მე“. ალუდა

[22] ვაჟა-ფშაველა, ალუდა ქეთელაური, თხზ., ტ. III, გვ. 77—78.

ველარ ეტევა თემური ყოფით შექმნილ ჩარჩოებში. ის სცილდება მათ, არღვევს თემს, მის ტრადიციებს ურჩობას უწევს.

ხევსურ მინდიას („ალუდა ქეთელაური") უნდა ალუდასა და თემს შორის კონფლიქტი შეანელოს. მინდია წავა, ნახავს მოკლულ მუცალს, მოსჭრის მარჯვენას, მოიტანს, თემის თანდასწრებით გადასცემს ალუდას და კმაყოფილებით ეტყვის: „წაიღ. მიაკარ ქავადა".

ალუდა ვერ ერევა თავის ამბოხებულ გრძნობას, საყვედურითა და უკმაყოფილებით ასე მიმართავს მინდიას:

„თუ ხელის მოჭრა მდომიყო,
გან ვერ მოვსჭრიდი თავადა?
ვერ გიქნავ კარგად, მინდიავ
საქმე მოგირთავ ავადა"[23].

ალუდა, თავისი ახალი რწმენის სიმართლეში ღრმად დარწმუნებული, საყვედურითა და საბუთიანობით ცდილობს შთააგონოს თემს დრომოჭმული ადათის უსაფუძვლობა, უაზრობა და მავნებლობა. მუცალის მოჭრილი მარჯვენის შესახებ ასე მიმართავს მინდიას:

„რაად მინდარის, ვერ მიხმლობს,
არ გამოდგება ფარადა;
მთაში წავიღო, არ მითიბს,
არც მარგებს თივის კავადა".[24]

აშკარაა, ალუდა ქეთელაურს არა მხოლოდ ეპვი ებადება საუკუნეებით გამომუშავებულ თემის ურყევი ტრადიციების სიმართლეში, არამედ ის რწმუნდება თემის ბრავალ ჩვეულების მიუღებლობაში, უაზრობაში.

ალუდას შეგნებაში, რაკი ერთხელ გაიბზარა მთისა და თემის ჩვეულებათა სიმართლის მთლიანობა, ეპვი თანდათან გაღრმავდა და რწმენად გადაიქცა. ალუდა ამ განცდების ზეგავლენით, თუმცა ნიადაგშერყეული შეიქმნა, მაგრამ, სამაგიეროდ, ის მორალურად გაიზარდა, გაცილებით მაღალ ჰუმანურ საფეხურზე ავიდა, ვიდრე თემის ეთიკა. ალელვებული ალუდა ასე გამოხატავს თავის აღშფოთებულ განწყობილებას:

„რაად სწყრებიან ხევსურნი
რადა ტყვრებიან ჯავრითა?
მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი
მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!"[25]

ალუდა, მაღალ მორალურ სიმაღლეზე ასული, თითქოს, ზევიდან გადმოჰყურებს თემს, მის მსოფლგაგებას, რომელიც მას ველარ აკმა-

---

[23] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ალუდა ქეთელაური, თხზ., ტ. III, გვ. 77—78.
[24] ი ქ ვ ე.
[25] ი ქ ვ ე, გვ. 79.

ყოფილებს. ის, თავისი ახალი მსოფლგაგების ჭეშმარიტებაში ღრმად დარწმუნებული, სიბრალულით, სინანულით და საყვედურით ასე შეაფასებს თემის დრომოჭმულ ტრადიციებს:

„წესი არ არის მტრის მოკვლა
თუ ხელ არ მასჭერ დანითა“.
ვაი ეგეთას სამართალს,
მონათლულს ცოდვა-ბრალითა“.[26]

აქ აშკარადაა გამოვლინებული ალუდას ახალი, თემისაგან საგრძნობლად განსხვავებული მორალი, რომელიც მას აიძულებს დაარღვიოს თემის ადათები „კაი ყმის“ — ვაჟკაცისადმი, რა ტომისაც არ უნდა იყოს ის, ახალი ჰუმანური დამოკიდებულობა დაამყაროს. აქ ისმის ალუდას აშკარა პროტესტი თემის ძველი, დრომოჭმული ეთიკის წინააღმდეგ. ალუდას თქმა — „ვაი ეგეთას სამართალს, მონათლულს ცოდვა ბრალითა“ — არსებული ყოფის შეუფერებლობას, უარყოფას ღაღადებს. ეს ძველი კერპების აფეთქებაა ალუდას მხრით, ახლის ძიებაა. და ალუდას ეს პროტესტი, ძიება ასეთს მწვავე ტკივილებში, რა თქმა უნდა, ეპოქისაა და ამასთანავე თვით ავტორისაც — ვაჟა-ფშაველასიც.

უდავოდ, ახალი ქვეყნის, ადამიანის ახალი, უფრო ჰუმანური ურთიერთობის გაგებისა და დამოკიდებულების გამომხატველია ალუდას დაჟინებული მიმართვა ბერდიასადმი მიიღოს სამსხვერპლო მუცალისათვის, როგორც „უნდომლად მოკლულის ლამაზის ძმისთვინა“. ამ თხოვნას ალუდა ასაბუთებს ახალი, ჰუმანური მოსაზრებით: „მითომ ერთნი ვართ, ბერდიავ, მცხოვრებნი ერთი მთისაო“. ეს თქმაც, რა თქმა უნდა, თემის ვიწრო ჩარჩოების ნგრევის აუცილებლობითა და პოეტის მიერ ახალი, სამართლიანი ქვეყნის ხილვითა და ძიებითაა გამოწვეული.

თემის სულისკვეთებისა და მისი შეუბღალობის სასტიკი დამცველი ბერდია ალუდასადმი, როგორც ძველი ყოფის დამრღვეველისადმი, შეუბრალებლობას იჩენს, ის თემს ასე მიმართავს: „ცეცხლი მიეცით საძნოვარს, — ცასა სწვდებოდეს ალები. სათემოდ გამოირეკეთ: ცხვარი, ძროხა და ხარები“. მაგრამ ალუდაში სიმართლის შინაგანი განჭვრეტა ისეთი მძლავრია, ეჭვი თემის ზნე-ჩვეულებათა სამართლიანობაში იმდენადაა მასში გამჯდარი, რომ ის ამჯობინებს თემიდან გაიდევნოს, დატოვოს დედითა და ცოლ-შვილით მამა-პაპით შექმნილი და შენახული მიწა-წყალი, ვიდრე უღალატოს რწმენად გადაქცეულ ახალ განცდა-გაგებას. მძიმეა ეს მსხვერპლი ალუდასათვის. ამ სიმძიმეს პოეტი მკითხველსაც დიდი სიმკვეთრით აგრძნობინებს.

---

[26] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ალუდა ქეთელაური, თხზ., ტ III, გვ. 79; დაყოფა ჩვენია.

ალუდა ისეთი ჯიშის ადამიანთ მიეკუთვნება, პოეტის გაგებითა და ჩვენებით, რომელიც შეიძლება გატყდეს, მოკვდეს, მაგრამ ვერ და არ მოიღუნოს-კი. ალუდა ვაჟკაცურად შეხვდება მისთვის, როგორც მთელისათვის, უდიდეს უბედურებას — თემის რისხვასა და მოკვეთას. ძნელია ასეთი შინაგანი ჭიდილის დაუფლება, მაგრამ ალუდა მტკიცეა, მაგარია. ის უბედურობაში თავისიანებსაც ამაგრებს. ალუდას შინაგან ბრძოლას ვაჟა-ფშაველა მშვენივრად გვაძლევს პოემის დასასრულში. ალუდა ერთი კიდევ მოიხედავს დატოვებული ბუდისაკენ და მძიმე ამოკვნესასთან ერთად წამოიძახებს:

„მშვიდობით, საჯნხვეებო,
გამახარელნო თვალისა,
მშვიდობით, ჩემო სახლ-კარო,
გულში ამშლელო ბრალისა!
მშვიდობით, ჩვენო ბატონო,
ყმათად მომცემო ძალისა.“[27]

ახალმა განცდამ ალუდაში მაინც დასძლია. ალუდა უკან არ იხევს.

ალუდას კვნესაში ნიჭიერადაა ნაჩვენები, თუ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ ტრადიციებს როგორი სიმწვავით უპირისპირდება ახალი ძალა, რომელსაც თემურ ყოფაში, მის ზნე-ჩვეულებათა ჭეშმარიტებაში ეჭვი შეაქვს. ასეთ მძიმე ტკივილებში იბზარება თემის მთლიანობა, რაც შედეგია ახალი ცხოვრების მოწოლისა, შეხლისა ძველთან, მათი მოურიგებლობისა, მათი მსოფლგაგების წინააღმდეგობისა.

ალუდა ქეთელაურის სახით ვაჟა-ფშაველა ახალი ცხოვრების პირობებში ახალი ქვეყნის დამნახველს, მისი უპირატესობის ამღიარებელს გვაძლევს. მართალია, ალუდა ქეთელაურს ახალი ქვეყნის შინაარსი, ფორმა ჯერ ნათლად არა აქვს წარმოდგენილი (რაც ზემოაღნიშნული მიზეზების საფუძველზე გამომუშავებული ავტორის მსოფლმხედველობით აიხსნება), მაგრამ ძველი ქვეყნის ყოფის, ძველი ეთიკის მიუღებლობა კი მისთვის აშკარაა. ალუდა არღვევს ძველს, ეძებს ახალს, უფრო მაღალს, უფრო ადამიანურს.

* * *

ძველისა და ახლის ჭიდილის საფუძველზე ჩნდება ჯოყოლას („სტუმარ-მასპინძელი“) ამბოხებული განწყობილებაც.

ეს პრობლემა პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ გაშლილია თემის ორი ტრადიციის დაპირისპირებაზე. ერთია, შურისძიება, სისხლის აღება: თუ ვინიცობაა თემის რომელიმე წევრი შემოაკვდა სხვა თემის წევრს, მაშინ თემი მთლიანად, ვალდებულია შური იძიოს — სისხლი აი-

[27] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ალუდა ქეთელაური, თხზ., ტ. III, გვ. 85.

ღოს, მტერს სამაგიერო გადაუხადოს, რადაც არ უნდა დაუჯდეს. მეორე — სტუმარ-მასპინძლობა — რაკი სტუმარი მასპინძლის ზღურბლს გადასცილდება, მასპინძელი ვალდებულია სტუმრისათვის იზრუნოს, გაუფრთხილდეს, დაიცვას, როგორც თავისი ღვიძლი ძმა. შემთხვევით, მასპინძლის ჭერქვეშ თუ მისი პირადი მტერიც კი მოხვდა, იმაზედაც ისევე ვრცელდება მასპინძლის ვალდებულება.

აი რა საგულისხმიერო ცნობას გვაძლევს ვაჟა-ფშაველა სტუმარ-მასპინძლობის შესახებ თავის ეთნოგრაფიულ წერილებში: „სტუმარი ხევსურის სახლში ხელშეუხებელია. სტუმრის მოსისხლე მტერს, მასპინძლის მეზობელიც, თუნდა ძმაც რომ იყოს, არ შეუძლიან სტუმარს ხმა გასცეს; თუ ვინმე გაკადნიერდა, მაშინ თვითონ მასპინძელი გასცემს პასუხს სტუმრის მოდავეს, სისხლის დაქცევასაც არ დაერიდება, ოღონდ სტუმარი შეურაცხყოფისაგან დაიცვას“.[28]

ასეთს მდგომარეობაშია ქისტი ჯოყოლა ალხასტაისძე. ის გრძნობს, რომ უხერხულ, ყალბ მდგომარეობაში ჩავარდა ხევსური ზვიადაურის სტუმრობით. იწყება ჯოყოლას შინაგანი ბრძოლა — მტრის სისხლის აღება, თუ სტუმარ-მასპინძლობის ვალდებულება. ჯოყოლას გაგებით, თუ თემი ხელმძღვანელობს მიღებული ადათით — სისხლის აღებით, ისიც ამავე თემში მიღებული „საუფლო წესით“ — სტუმარ-მასპინძლობით ხელმძღვანელობს.

თემის უსამართლობით აღშფოთებული ჯოყოლა ასე მიმართავს მას:

„ვის გაუყიდავ სტუმარი?
ქისტეთს სად თქმულა ამბადა?
რა დავაშავე ისეთი,
რომ მომიხედით კარადა?

თვის რჯული დაგვიწყებიათ,
მიტომ იქცევით მცდარადა:
ჩემს ოჯახს პასუხს რით აძლევთ?
სახლში ხართ, განა შარადა!“[29]

სტუმარ-მასპინძლის ვალდებულება ჯოყოლაში გაძლიერებულია მისი ზვიადაურისადმი დამოკიდებულებით. ჯოყოლას ისიც აშფოთებს, რომ თემი ზვიადაურს უიარაღოს თავს ესხმის, რითაც თავისსავე ჩვეულებას არღვევს. ამიტომ განრისხებული ჯოყოლა თემს შესძახებს: „უიარაღოს აწვალებთ, გული რასა გრძნობს თავადა?“ ჯოყოლაში იმარჯვებს სტუმარ-მასპინძლობის წესი და უიარაღოზე თავდასხმის მიუღებლობა, როგორც უფრო ჰუმანური, უფრო მაღალი, საზოგადოებრივი გრძნობის გამამტკიცებელი ჩვეულება. ჯოყოლა მთელი არსებით თემის წინააღმდეგ მაშინაც კი ამხედრდება, როცა თემი ჯოყოლას, უკან რომ დაახევინოს, გაახსენებს, რომ ზვიადაურს ბევრი ქისტისა და პირადად მისი ძმის სისხლიც მართებს.

---

[28] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ეთნოგრაფიული წერილები, „ხევსურები“, გვ. 118.
[29] მ ი ს ი ვ ე, სტუმარ-მასპინძელი, თხზ., ტ. III, გვ. 243.

„ეგ მართალია, იქნება...
რა უნდა მითხრათ მაგითა,
მითც ვერ მიაბამთ ჩემს გულსა
თქვენს გულისთქმასთან ძაფითა.

დღეს სტუმარია ეგ ჩემი,
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა,
მითამც მე ვერ ვუღალატებ,
ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა.“[30]

აღშფოთებულ ჯოყოლას კადნიერადა და უსამართლოდ მიაჩნია თემის უფროსის მუქარაც: თუ ჯოყოლა ურჩობას განაგრძობს, თემის პირის გატეხისათვის მისი საქმეც დღეიდან „ცერად წავა“. თემის ამდენ ძალმომრეობას ჯოყოლა ვეღარ ითმენს, მასში მეამბოხე ძალა იმარჯვებს და თემს მკაცრად შესძახებს:

„ჩემის კაცობის დამქცევნო,
ლ ა ნ ძ ღ ვ ა ს ა ც მ ე მ ა რ თ ლ ე ბ ი თ ა?..
გრისხავდესთ ცა-ქვეყნის მადლი
უ ს ა მ ა რ თ ლ ო ბ ა ს შ ვ რ ე ბ ი თ ა.“[31]

აღელვებული ჯოყოლა ხმალ-ხანჯალ გაშიშვლებული დაერევა თავისიანებს. ეს ჯოყოლას მიერ თემის ყოფის, მისი მორალური და იურიდიული კოდექსის რღვევის შემდეგი ეტაპია, უფრო მძლავრი, უფრო გარკვეული. ვაჟა-ფშაველა დიდი სიმპატიით, ემოციონალობითა და ოსტატობით შლის ჯოყოლას ქცევასა და სახეს.

ხელებშეკონილი ზვიადაური ქისტების გროვას მიჰყავს სასაფლაოზე; იქ ის თავიანთ მკვდრებს უნდა შესწირონ. მაგრამ ზვიადაური გაუტეხელია. მან შიში არ იცის, თვით სიკვდილსაც კი უშიშრად, წარბშეუხრელად ხვდება, ამაყად, „ბეწვს იშლის ბრაზმორეული, როგორაც ვეფხი თმასაო“, მოუდრეკელია მისეულ მტრების წინაშე. გარშემორტყმულ ქისტთა თემს ზვიადაური შეუპოვრად შესძახებს: „ჩამიგდეთ ხელში, ძაღლებო, კარგი დაგიდგათ დარია“. ზვიადაურს ხმალს „ყელში აბჯენენ“, მაგრამ ზვიადაური თვალსაც არ ახამხამებს. „სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის, — ზვიადაური კვდებოდა“, „მაგრამ გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა, გული გულადვე რჩებოდა“, — აღტაცებით წყვეტს პოეტი ზვიადაურის ვაჟკაცური სიკვდილის აღწერას.

ზვიადაურს თავისი ახალი გაგებითა და განცდებით პოეტი გვაჩვენებს მთის ტიპიურ ეთნოგრაფიულ გარემოში.

საგულისხმიეროა ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული შენიშვნა სისხლის აღების ჩვეულების შესახებ. „სისხლის აღება, — გადმოგვცემს ვაჟა-ფშაველა, — მკვლელობისათვის მოკვლა, ყველა მთიელებსა აქვს წესად, მაგრამ საფლავზე დაკვლა და ამგვარად „შეწირვა“ მაჰმადიან

---

[30] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სტუმარ-მასპინძელი, თხზ., ტ. III, გვ. 242—243.
[31] ი ქ ვ ე, გვ. 244; დაყოფა ჩვენია.

მთიელების ადათია. ქრისტიანი მთიელები ამას ერიდებიან. თუ ვისაც სწირავენ და საფლავზე ჰკლავენ არ შედრკა, მკვდრისათვის „შეწირულად“ არ ჩაითვლება“[32].

მტრებიც კი მოხიბლა ზვიადაურის ვაჟკაცობამ. ზვიადაურის მოკვლის შემდეგ ქისტებს თავიანთ მოქმედებაში, კმაყოფილების მაგიერ, რაღაც შეუფერებელი საქციელის ჩადენის ეჭვი ეპარებათ. ქისტების ამ განცდას ვაჟა-ფშაველა მოხდენილად ასე გამოხატავს: „დაკლულმა დაჰკლა მათ გული და გაუცრუა ქადილი“. ზვიადაურის ვაჟკაცობით მოხიბლული ქისტები ერთმანეთს ეუბნებიან: „კარგი ვაჟკაცი ყოფილა... იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა, თავის მიწა-წყალს იცავდა“. აეტორის გადმოცემით, მტერიც კი რაღაც ტკივილით, რაღაც მოკრძალებული თანაგრძნობით ფიქრობს ზვიადაურის შესახებ — „ცოდვაა-ო“. ზვიადაურისადმი თვით ბუნებაც კი იმსჭვალება თანაგრძნობით. ესეც ვაჟა-ფშაველას პოეტური სტილის დამახასიათებელი ნიშანია. ამ ხერხს პოეტი მკითხველში გმირისადმი თანაგრძნობის გაძლიერების მიზნით ხმარობს.

ზვიადაურსა გლოვობდა
შფოთვა და ბორგვა წყლისაო,
ნიავად ჩამონადენი
ოხვრა მაღალის მთისაო,
ცრემლი ნისლების ჯარისა
ნაბძანებია ღვთისაო[33].

მაგრამ ყველაზე გამახვილებულად ზვიადაურისადმი თანაგრძნობა და გლოვა ჯოყოლას ცოლის აღაზასია, რაც აგრეთვე თემის შეუვალი ტრადიციების რღვევის აშკარა მაჩვენებელია.

მთიელი ქალი, აღზრდილი თემის ყოფის ეთიკაზე, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ვალდებულად თვლის თავს თემის მტერს მტრულად მოეპყრას; ამას გარდა, ქმრიანი ქალისათვის უცხო მამაკაცისადმი ტრფიალი, თანაგრძნობა და გლოვა შეურაცხმყოფელია, როგორც ქალის ქმრისათვის, ისე თემისათვის და, რა თქმა უნდა, თვითონ პირადად ქალისათვისაც. თემი სასტიკად მოითხოვს ქალისაგან ამ მიმართულებით თავის დაჭერას. ამით აიხსნება, რომ ზვიადაურის ვაჟკაცობის მოწმე აღაზა, თუმცა „ბნდებოდა“ თანაგრძნობითა და სიბრალულით ზვიადაურისადმი, მაგრამ ამის გამომჟღავნებას ვერა ბედავდა, „ცრემლებს მალავდა, ხალხზე უკანა დგებოდა“.

აღაზას განცდას ამ მომენტში პოეტი დიდი უშუალობით, მთიელი ქალის ხასიათის ბუნებრიობის ნიჭიერად დაცვით ასე გადაგვიშლის:

---

[32] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სტუმარ-მასპინძელი, თხზ., ტ. III, გვ. 246, შენიშვნა.

[33] ი ქ ვ ე. გვ. 249.

მიშველებასა ჰლაღობდა:
„ნუ ჰკლავთ!“ — ეძახის გულიო.
ფიქრობდა ბრაზმორეული:
ნეტავი მომცა ცულიო,
ნეტავი ნებას მაძლევდეს
დედაკაცობის რჯულიო
რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას
გავაფთხობინო სულიო.[34]

მძიმეა, მწვავე და მასთან ერთად ლამაზი თავის სიღრმით, სიძლიერითა და ქალური სინაზით აღსავსე აღაზას გლოვა. მკითხველი მკვეთრად განიცდის, რომ აღაზას გულში აშლილი გრძნობა დაძრულ ვულკანსავით მოიწევს; მკითხველი დიდი უშუალობით გრძნობს, რომ, როგორც მთა ვერ დაიჭერს ვულკანის მოძრაობას და ამოხეთქს, ისე აღაზაც ვერ გაუმაგრდება მოწოლილ აშლილ განცდებს და საშინელ კატასტროფამდე მივა. ასეც მოხდა. მოზღვავებულმა ახალმა გრძნობამ აღაზას თემის ჩვეულებანი დაარღვევინა. აღაზამ იცის, მას სწამს, რომ ეს გრძნობა მისთვის აკრძალულია, დანაშაულებაა, საბედისწეროა, რომ ამით ის ჩირქს სცხებს, შეურაცხყოფას აყენებს თავის თავსაც, თემსაც. მაგრამ მან ყველაფერი ეს გადალახა... გმირს — ზვიადაურს ცრემლი დაადინა.

პოეტმა აღაზას „დანაშაული“ რომ გაამართლოს, თემისათვის მიუღებელი აღაზას ჰუმანური გრძნობის კანონიერება რომ დაგვანახვოს, აღაზა და მისი ახალი გრძნობა მაღალი და მიმზიდველი რომ გახადოს, ჯოყოლას შემდეგნაირად შეაფასებინებს აღაზას საქციელს.

მთელი დღის განმავლობაში მძიმე სანახაობითა და განცდებით გატანჯული აღაზა ბინდისას ღა დაბრუნდება სახლში და ზღურბლზე გულშეწუხებული დაეცემა. ჯოყოლაც შეშფოთდება. მიზეზის გაგებას ცდილობს. ცოლი ეკრძალვის. შეშფოთების ნამდვილი მიზეზი უნდა დაუმალოს. შეთხზავს მშვენიერ პოეტურ ლეგენდას „შავ-ნაბდიანი“ დევების დადევნების შესახებ, რომელიც არაჩვეულებრივი ნიჭიერებით ასახავს აღაზას აშლილ შინაგან სამყაროს. მაგრამ ჯოყოლაში უშუალობა, ინტუიცია, დაკვირვებისა და გაგების უნარი დიდია, აღაზას სიცრუეს მიუხვდება. აღაზა რწმუნდება, რომ ჯოყოლას სიმართლეს ვერ დაუმალავს და ქმარს ერთგვარი ქალური მღელვარებითა და კრძალვით ასე გაუმხელს თავის შეშფოთების მიზეზს:

„რა დაგიმალო, ჯოყოლავ,
ან რად შემრისხავ თქმისადა?...
ცრემლები შემიწირია
იმ შენის მეგობრისადა“.[35]

აღაზამ იცის, რომ ეს „შეწირული ცრემლები“ მისთვის აკრძალულია, ცოდვაა. ამიტომ ის ჩქარობს ახსნას, რამ გამოიწვია მასში ეს ცრემლი—

---

[34] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სტუმარ-მასპინძელი, თხზ., ტ. III, გვ. 247.
[35] ი ქ ვ ე, გვ. 254.

მისი დანაშაული. ის შემდეგს გაუმჟღავნებს თავის ქმარს: მას „ძლიერ შებრალდა ბეჩავი“ ზვიადაური, „უცხოეთში რომ კვდებოდა“. ზვიადაურს ამ მდგომარეობაში მახლობლად არც ნათესავი, არც მოძმე არ ჰყავდა, რომ „ვისმე შეჰბრალებოდა“. მაგრამ, მიუხედავად ამ არაჩვეულებრივი მძიმე მდგომარეობისა, როს მას „ჰკლავდენ ხანჯრითა“, ზვიადაური „ოდნავაც არა ჰკრთებოდა!“:

„იქნებ შენც გცოდე, ღმერთსაცა,
მაგრამ ვიტირე, რა ვქნაო!“ —

ათავებს თავისი „შეცოდების“ მხილებას აღაზა.

არამც თუ კარჩაკეტილი მთის შვილი, არამედ „კულტურული“ ბარის მცხოვრებიც კი, შესაძლებელია, ცოლის ასეთი საქციელით მეტად განრისხდებოდა, წონასწორობას დაჰკარგავდა, ამიტომ მკითხველის ყურადღება არაჩვეულებრივი სიმძაფრით იჭიმება, აქაა სიუჟეტის განვითარების უმაღლესი მწვერვალიც. მკითხველი მოელის ჯოყოლას სასტიკ მსჯავრს ცოლის მიმართ. მაგრამ მოლოდინის წინააღმდეგ ჯოყოლამ ცოლის საქციელი და განცდა კანონიერად მიიჩნია, მოუწონა კიდეც. ჯოყოლა სრულიად შეგნებულად ასე დაამშვიდებს ცოლს:

„მაგისთვის როგორ შეგრისხავ? მე რა გამგევარ მაგისა?
ტყუილს სჯობს სიმართლის თქმაო, დიაცს მუდამაც უხდება
ი ტ ი რ ე? მ ა დ ლ ი გ ი ქ ნ ი ა, გ ლ ო ვ ა ვ ა ქ კ ა ც ი ს კ ა რ გ ი ს ა“.[36]

აქაა სწორედ ნაწარმოების და თვით ვაჟა-ფშაველას სიდიადეც, ორიგინალობაც, გენიალობაც, მაღალი ჰუმანურობაც. ჯოყოლას (თვით პოეტის) გაგება უფლების, ეთიკისა და ესთეტიკის კოდექსისა, რა თქმაუნდა, ახალია, ფართოა, მაღალია და ფაქიზი, ვიდრე თემისა და ბარში გაბატონებული ბურჟუაზიული ყოფისა. ჯოყოლა, მგოსნის ჩვენებით და დამაჯერებელი ჩვენებითაც, არამც თუ თემის ტრადიციების ფარგლებში ვეღარ ეტევა, არამედ მისი გაგება მოწინავე ქვეყნების ბურჟუაზიულ ყოფაზეც კარგა შორსაც მიდის. ამაშია ვაჟა-ფშაველას პროტესტანტი — მეამბოხე გმირების (ალუდა ქეთელაურის, ჯოყოლასი, აღაზასი, მინდიასი და სხვ.) სიდიადე და მიმზიდველობა.

* * *

პატრიარქალური თემის ზნე-ჩვეულებათა რღვევა, რჩეული პიროვნებების ქცევაში ასე მკვეთრად ასახული, შეუმჩნევლად იზიდავს თემის მასას, შეუმჩნევლად გადადის მის შეგნებაშიც. იბზარება თემის ჩვეულებათა შეუვალი ქერქი და მცხოვრებთა შეგნებაში მათდა უნებ-

---

[36] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სტუმარ-მასპინძელი, თხზ., ტ. III, გვ. 254. დაყოფა ჩვენია.

ლიედ მაგრად იპყრობა განწირულ რჩეულთადმი განცვიფრება, სიმპათია და პატივისცემა.

ვაჟა-ფშაველას გაგებითა და ნიჭიერი ჩვენებით, ის დიდი ზნეობრივი ძალა, რომელიც გამოიჩინეს ჯოყოლამ, აღაზამ, ზვიადაურმა (ასევე სხვა მეამბოხეთაც — მინდიამ, ალუდა ქეთელაურმა, გოგოთურმა და სხვათა), შეუძლებელია მასისათვის შეუმჩნეველად და უშედეგოდ გაქრეს. ამგვარი გმირების ხასიათისა და პიროვნების ძალა, თემის — მასის განცდითაც, მძლავრი კვალის დამტოვებელია, მარადიულად მიმზიდველია.

ასეთი გმირების შესახებ იქმნება ლეგენდა, რომელიც ფართოდ ვრცელდება თემის მოსახლეობაში, როგორც მასის გამაფაქიზებელი ძალა. ასეთია ლეგენდა, რომლითაც მთავრდება პოემა „სტუმარ-მასპინძელი". ხალხის რწმენით, ჩვეულებრივ, როცა დაბინდდება, კლდის ნაპრალიდან ჯოყოლა ადგება, გასძახებს ძმობილ ზვიადაურს, ამ ძახილზე საფლავიდან წამოვა ზვიადაურის „ფარხმალიანი" აჩრდილი, „მიეა და მიესალმება თავის ძმობილსა მდუმარედ". იქვე ამოდის აღაზაც „სახე მოწყენით მწუხარედ".

ენთება ცეცხლი მათს გვერდით,
მკრთალადა ბჟუტავს მთაზედა;
ომათ ჰმასპინძლობს აღაზა,
ჯიხვის მწვადს უწვავს ალზედა.

ვაჟკაცობისას ამბობენ,
ერთ-ურთის დანდობასა,
სტუმარ-მასპინძლის წესზედა
ცნობის და და-ძმობისასა.[37]

ასეთი სურათის ხილვით აღფრთოვანებული მასის განცდის გადმოცემას პოეტი ასე ამთავრებს: „როცა მათ ჰხედავს ერთადა, კაცი ვერ ძღება ცქერითა". და ეს მარტო მაღალი, სრული ესთეტიკური განცდა კი არ არის, არამედ ამასთან ეთიკურიც. და ეს განცდა მარტო თემის, თემის მასისა კი არ არის, არამედ თვით ავტორის — ვაჟა-ფშაველასაც. ასეთივე მაღალი, მიმზიდველი განცდით იმსჭვალება მათდამი მკითხველიც.

ასეთს უცილობელ გავლენას ტოვებს მასის შეგნებაში მაღალი ჰუმანური მისწრაფების საფუძველზე დამარცხებულ (მხოლოდ არა მოღუნულ) „კაი ყმათა" ვაჟკაცური სიკვდილი. ამ „კაი ყმათა" სიმტკიცეში და მაღალ მორალშია მათი გავლენის დიადი ძალა — მაღალი ზნეობრივი, სამართლიანი, არა კარჩაკეტილი, არამედ ფართო საზოგადოებრივი ურთიერთობა, — აი საითკენ გვეძახიან და გვეწევიან ვაჟა-ფშაველას მეამბოხენი — ალუდა, ჯოყოლა, მინდია და სხვანი.

---

[37] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სტუმარ-მასპინძელი, თხზ., ტ. III, გვ. 262; დაყოფა ჩვენია.

ვაჟა-ფშაველას მეამბოხეთათვის ვიწროა არამც თუ თემური ცხოვრების პატრიარქალური ჩარჩოები, არამედ პოეტის თანამედროვე კულტურული ყოფის საზღვრებიც. ამიტომაა, რომ ვაჟა-ფშაველა მკითხველთ ეხატება, როგორც არსებულით დაუკმაყოფილებელი, როგორც სამართლიანი მომავლის მაძიებელი პოეტი. ის ხარბად იყურება ბრწყინვალე, სამართლიანი მომავლისაკენ; აქითკენვე მძლავრად მიეზიდება თავის მრავალრიცხოვან მკითხველსაც.

ამ შეხედულების დასტურს გვაძლევს ვაჟა-ფშაველას მეტად საგულისხმიერო პასუხი იპ. ვართაგავასადმი: „როგორ გგონიათ? — წერს თავის პოზიციის სიმართლეში დარწმუნებული პოეტი, — არა მაქვს მე წარმოდგენილი მომავალი ჩემის ქვეყნისა ბრწყინვალედ? ნუთუ ეს არა სჩანს ჩემი ნაწერებიდან? რომ ეს არ მწამდეს, თქვენ გგონიათ მე კალამს ავიღებდი ხელში?.. ურწმუნოთა შრომა ამაოა, შეუძლებელიც. მგონია, იმ ხიდს, რომლის გადებაც მუშამ შეუძლებლად იცნო, თავისიდღეში გასადებლად არ შეუდგება. ნუთუ ჩემი ნაწერები ამ მომავალს ჩვენს ყოფაცხოვრებაზე, ჩვენს ბედზე არას ამბობენ? ვერაფერი პოეტი ვყოფილვარ, თუ ეს მომავალი არა სჩანს იქ, არა სჩანს ის, რაც „დროთა სვლამ“ უნდა განახორციელოს... თუ მე ნიჭი მაქვს ჭეშმარიტი შემოქმედებისა, უეჭველად წარსულის თუ აწმყოს აღწერით უნდა რამეს ვამბობდე მომავალზე, თუ არა და ჩემი ნიჭიერება ცარიელი მცნება, უშინაარსო სიტყვებია“[38].

იმის დასადასტურებლად, რომ მისი შემოქმედება მომავალზე ლაპარაკობს, ვაჟა-ფშაველა ამ წერილს მეტად მოხდენილად ურთავს ერთი გაუნათლებელი მკითხველის შთაბეჭდილებას, მისი ნაწერებით მიღებულს. „ერთმა უსწავლელმა ფშაველმა მითხრა, — გადმოგვცემს ვაჟა-ფშაველა, — რომელსაც „ბახტრიონი“ წაეკითხა, მოსწონებოდა ძალიან და ყელგადაგდებით... მეხვეწებოდა, მეკითხებოდა: „ვაჟავ, თუ ღმერთი გწამ, ნუ დამიმალავ, სწორედა თქვი, საქართველოს თავისუფლებას არა გულისხმობ „ბახტრიონში“ რომ ამბობ: „ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომაო“?

— იქნება ვგულისხმობდე, — ვუპასუხე.

„სწორედ საქართველოს თავისუფლებაზეა ნათქვამი“, დაინიჟა ფშაველმა და ხუთმეტი ათასი მჭევრმეტყველი პროფესორი რომ მოგეყვანათ, იმას რწმენას, აზრს ვერ გამოუცვლიდნენ.

თუ ჩემს მკითხველებს ამისთანა რამეს აგრძნობინებს ჩემი ნაწერები, საკმარისია. მაშასადამე, საკმარისად წარმოდგენილი მქონია საქართველოს მომავალი სვე-ბედი...“[39]

---

[38] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი, თხზ., ტ. III, 1930 წ., გვ. 457.

[39] ი ქ ვ ე.

ვაჟა-ფშაველა, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებულია თავისი შემოქმედების ღირსება-ღირებულებაში, მასში, რომ ის, ბრწყინვალე და სამართლიანი, შინაარსიანი მომავლისაკენ უძახის მკითხველს, იპ. ვართაგავას წერილით გამოწვეული, იძულებულია განმარტება მისცეს მას და თავის საპასუხო წერილს ასე ამთავრებს:

„თქვენ ნუთუ დარწმუნებული არა ხართ, რომ მომავალს აწმყო ჰბადებს!.. ჩვენც, პოეტნი, მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც ეროვნულ რეალურ თუ გონებრივ ღირებულებას ჰქმნიან, უნდა იყვნენ გამსჭვალულნი იმ აზრით, რომ დღევანდელი დღე უკეთესი იყოს ქვეყნისათვის. დღევანდელი ხალხი, ცალ-ცალკე და საერთოდ, საჭირო აზრით და გრძნობით აღიჭურვოს. მოქმედებაც თვითეული ჩვენგანისა იყოს აზრშეწონილი. დღევანდელს თვითეული ჩვენგანის მოქმედებას უნდა იქ მივყავდეთ, საცა საჭიროა ჩვენი მისვლა. თვითეულის ჩვენგანის მოქმედება, მაშასადამე, ის გზა უნდა იყოს, რომელმაც უნდა რომში მიგვიყვანოს. ეს რომი ჩვენი მომავალია და თუ რომში მიმავალი გზით არ წავედით, სწორე გზით, რომს ავსცდებით. სწორე გზა აწმყოა. ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულს მომავალსა ჰქმნის... მომავალიც იმისია, ვინც აწმყოს მიზანშეწონილად ემსახურება“[40].

ეს პასუხი მგოსნისა იპ. ვართაგავასადმი, ყოველ ეჭვს გარეშე, გულწრფელია, სწორია, სამართლიანია, მისი მრწამსია. ვაჟა-ფშაველა, უდავოდ, მომავლის, ბრწყინვალე მომავლის მგოსანიცაა.

ვაჟა-ფშაველას ასეთი განწყობილება, რა თქმა უნდა, ეპოქის სოციალური ძვრებით, სოციალური რთული გადაჯგუფებით, ახალი ცხოვრების აუცილებლობითაა გამოწვეული. ახალი, სამართლიანი, ბედნიერი ცხოვრების მოახლოების აუცილებლობა მძლავრად იგრძნო მგოსანმა. მაგრამ მან, წვრილბურჟუაზიული, მერყეევი, გლეხური იდეოლოგიის მატარებელმა, ვერ შეძლო ძველი ცხოვრების ჯებირის გარღვევა, ძველის სრულიად დატოვება. ვაჟა-ფშაველაც თავის გმირებსავით გულდასერილი, დაუკმაყოფილებელი, მძიმე ტკივილებით ტრიალებდა ძველსა და ახალს, მთასა და ბარს შორის. ვაჟა-ფშაველა რაღაც მითიურ დევსავით ერთის თვალით მძლავრად იყურება ძველი, პირქუში მთისაკენ, თავისი უცნაური მხატვრული შემოქმედებით მკითხველში მისადმი თანაგრძნობას იწვევს; ხოლო, მეორე თვალით, — ახალი, მაღალი ჰუმანური ურთიერთობის, მომავალი ბრწყინვალე ქვეყნისაკენ გაშმაგებით იყურება — ძველს ანგრევს, ახალი სამართლიანი ცხოვრების საწყისებს ეძებს და მათ დანერგვას ლამობს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ფართო მკითხველებშიც ადამიანისა და სიცოცხლისადმი სიყვარულის, ცხოვრების პირობების გაჯანსაღებისა

---

[40] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი, თხზ. ტ. III, გვ. 458.

და განახლებისადმი ცხოველ მიმზიდველობას ანთებს. ამითაა ვაჟა-ფშაველა ჩვენთან ახლო. ამაშია მისი და მისი შემოქმედების ისტორიული მნიშვნელობა. ამ გაგებაზე აქვს მგოსანს პიროვნებასა და თემს შორის წინააღმდეგობა — კონფლიქტი გაშლილი. ამავე გაგებაზეა გაშლილი ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები, რომლებიც ჩვენი სოფლისა და საერთო ცხოვრების მოუწესრიგებლობის ცოცხალ და უტყუარ სურათს გვიხატავენ, რის გარკვევასაც შემდეგ თავებში შევეცდებით.

თავი VI

ვაჟა-ფშაველას თანამედროვე სოფელი და მისი მოსახლეობა

ვაჟა-ფშაველა სოფლის, ხალხის ღვიძლი შვილია, მის წიაღში და მის ჭირ-ვარამში აღზრდილი. ამით აიხსნება, რომ სოფელი და მისი მცხოვრებნი თავისი შრომით, ზრუნვით, ტანჯვითა თუ სიხარულით გამუდმებით იზიდავდნენ მწერლის ყურადღებას მთელი მოღვაწეობის მანძილზე.

მეტად ბუნებრივია და ამასთანავე დამახასიათებელი, რომ ვაჟა-ფშაველას პირველი პროზაული ნაწარმოები „სურათი ფშაველის ცხოვრებიდან“ სოფლის გაჭირვებული, უფლებააყრილი გლეხობის მდგომარეობის ამსახველია. „ჩვენსავით თავდანებებული, — მწარე გამოცდილების შედეგად ათქმევინებს ავტორი გლეხ ბეჟანს, — ჯიანჭველაც არ არი. ყველა თავს ეშველება, მაგრამ გლეხკაცი ვერსა წავა. ყველა ქვას გვესვრის, ძირშიით დედამიწა გვაქვავებს და ზეითაით ცა. მაგათ ყმანი ვართ. მე კი სუ შიშის ქვეშა ვარ, სუ რადმე მეშინიან, სუ იმას ვფიქრობ, — ვაი თუ გამითავდეს, რით გავუძღვე ან ხელმწიფეს, ან მტერს, ან მოკეთესაო. რაღა ვქნა, ვინ მამცემს, რო გამითავდესო“[1]. ეს განცდა ბეჟანისა, უდავოდ, ტიპობრივი განცდა იყო გლეხისა ვაჟა-ფშაველას ეპოქაში. ამას მეტად მწვავედ განიცდიდა თვითონ ავტორიც და ამით აიხსნება, რომ გლეხთა უმწეო მდგომარეობის ასახვა, მისი ცხოვრების გაუმჯობესებაზე ფიქრი და ზრუნვა თავიდანვე ერთ-ერთ მწვავე და აქტიურ თემად გადაიქცა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისათვის.

სოფლისა და მის მცხოვრებთა (გლეხთა) მძიმე მდგომარეობის მრავალმხრივ გარკვევა-შეფასებას მწერალი არა ერთხელ გვაძლევს თავის შემოქმედებაში. განსაკუთრებით კი 1892-1893 წლებში ვაჟა-ფშაველას დაწერილი აქვს მოთხრობათა მთელი სერია „სოფლის სუ-

---

[1] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სურათი ფშაველის ცხოვრებიდან, თხზ., ტ. V, 1936 წ., გვ. 6—7.

რათების“ სათაურით, სადაც მწერალი, მისთვის დამახასიათებელი სიმკვეთრითა და სისწორით, გვიხატავს — სოფელს რა აწუხებს, რა სჭირდება, რა არის მიზეზი მისი ჩამორჩენილობისა. ამ ჯგუფის ნაწარმოებებში ყველაზე მეტად მოჩანს ვაჟა-ფშაველას ხალხოსნური მიმართულებით გატაცების კვალი. მაგრამ, ამასთან ერთად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის, გლეხობის ასახვა ვაჟა-ფშაველას მიერ არ არის იდეალიზირებული, როგორც ეს ხალხოსნებს სჩვეოდათ. მწერალი საკმარისი ფხიზელი თვალით უყურებს მათ და რეალურ ფერებში გვაძლევს სოფლის ცხოვრების ნამდვილ სურათს.

ვაჟა-ფშაველას თანადროული სოფელი ახალი ცხოვრების პირობებში — ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ — კაპიტალიზმის განვითარების ეპოქაში მძიმე ეკონომიურსა და კულტურულ მდგომარეობაში იყო. სოფლის ნატურალური მეურნეობა, მიუხედავად მთის ეკონომიური ცენტრებიდან დაშორებისა, მაინც ემორჩილებოდა კაპიტალისტური განვითარების ძალას, გზას და კატასტროფიულად ირღვეოდა. „საზოგადოებრივ-ეკონომიური ვითარება, — გვასწავლის ვლ. ლენინი, — რომელშიც მოქცეულია თანამედროვე რუსი გლეხობა, არის სასაქონლო მეურნეობა. ცენტრალური სამიწათმოქმედო ზოლის ფარგლებშიც კი (რომელიც ამ მხრივ ყველაზე უფრო ჩამორჩენილია სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირა მხარეებთან ანდა სამრეწველო გუბერნიებთან შედარებით) გლეხი სავსებით ექვემდებარება ბაზარს, რომლისგანაც ის დამოკიდებულია, როგორც თავისი პირადი მოხმარების, ისე მეურნეობის მხრით, გამოსაღებზედაც კი რომ არ ვილაპარაკოთ“[2]. ასევეა მთის გლეხობაც საქართველოში.

მაგრამ ცნობილია, ამ პერიოდში სოფლის ცხოვრება, განსაკუთრებით მთის სოფლისა, დიდად ჩამორჩა ქვეყნის ამოძრავებულ ცხოვრებას თავისი დრომოჭმული ტრადიციების გამო. „მიწათმოქმედება საზოგადოდ და გლეხობა განსაკუთრებით, — წერს ვლ. ლენინი, — ყველაზე მეტად განიცდიან ძველი ტრადიციების, პატრიარქალური ყოფაცხოვრების ტრადიციების ზეგავლენას და ამის გამო გარდამქმნელი მოქმედება კაპიტალიზმისა (საწარმოო ძალათა განვითარება, მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობის შეცვლა და სხვ.) აქ მეტისმეტად ნელა და თანდათანობით მჟღავნდება“[3].

მიუხედავად მთის სოფლის პატრიარქალური თვისებებისა, 70—90-იანი წლებისათვის კაპიტალიზმის ძალამ ისიც საგრძნობლად დაარღვია. მის მოსახლეობაშიც შეიქმნა დამახასიათებელი დიფერენციაცია. საშუალო გლეხის ანგარიშზე იქაც გაჩნდა გლეხთა უკიდურესი ჯგუფები — სოფლის „თავი კაცები“ (სოფლის ბურჟუაზია ანუ შეძლებული

---

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ., ტ. 3, გვ. 185.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 186.

გლეხები) და სოფლის ბოგანო (სოფლის პროლეტარიატი მოჯამაგირისა და დღიური მუშის სახით).

ვაჟა-ფშაველა თავის შემოქმედებაში გვაძლევს ცოცხალ სურათს მთის დარღვეული სოფლისა, რომელიც შევიწროებულია, განადგურებამდეა მიყვანილი არა მარტო ეკონომიურად როგორც სოფლის ბურჟუაზიის მიერ, ისე ჩამორჩენილი, დრომოჭმული პატრიარქალური ტრადიციების ზეგავლენით, არამედ, აგრეთვე, უფლებრივადაც, განსაკუთრებით უსამართლო და შეუფერებელი სახელმწიფო აპარატში მომუშავე მოხელეების მიერ, როგორიცაა — მამასახლისი, გზირი, ბოქაული და სხვ.

ერთ-ერთ თავის მოთხრობაში ვაჟა-ფშაველა დაპირებისამებრ მკითხველს აუწერს სოფლის ცხოვრებას. მწერალს, როგორც თვითონ ხაზგასმით ამბობს, მხედველობაში აქვს ის სოფლები, რომლებიც ქალაქს გარს ახვევია, სადაც „სძინავს ფიქრს კაცისას ტკბილის ძილით, სადაც მყუდროებაა, სადაც აზრი მძლევრადაც არ გაიჭაჭანებს და თუნდა იგი, როგორც გაზაფხულზედ მერცხალი, შეფრინდეს საიდგანმე, უეჭველად კაკლის ფუღურო უნდა მოსძებნოს ბინად, კაცის ტვინის მაგივრად, და იქ მოიკალათოს, სადაც ცხოვრობენ ნინიკა-პეტრიკეები, ბერუეები, მუშაკნი მიწისა, ხელ-თოხ-ნიჩაბ-ბარიანები, მკერდოფლიანნი, გულით მართალნი, აზრით ჩამქრალნი, სწავლის მონატურნი მზა-მზარეულად და ცოდნის მოსახვეჭად ხელ-გაუნძრეველნი...“[4]

მეორე მოთხრობაში, ასეთივე სათაურით, ვაჟა-ფშაველა უფრო მკაცრ-მუქ ფერებში აგვიწერს ქართული სოფლის ჩვეულებრივ მძიმე და საცალალო მდგომარეობას. „ერთი საზოგადო თვისება სოფლებს ისა აქვს, რომ აქა ჰბუდობს უმეცრება, დათარეშობს ცრუმორწმუნეობის გუნდი, აქა მეფობს უზრუნველობა... უნივერსიტეტად სოფელს ქადაგ მკითხავების ქოხმახობა დაუფუძნებია, სადაც გონიერებისა და ზნეობის გაკვეთილებს მცხოვრებთ უვიცნი, უმეცარნი, და ბრიყვნი მამანი და დედანი უკითხავენ... უმთავრესი სოფლის მოთხოვნილება, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ერთადერთი, გაძღომაა. როცა ჰშიან სოფელს, მარტო მაშინ ამუშავებს გონებას სიცოცხლის სახსრის მოსაპოვებლად, და როცა გაიძღობს კუჭს, მაშინ გონებას დააძინებს, აღარა სწადიან ფიქრი, სჯა, მოსაზრება... მოკლედ რომ ვსთქვა, მოსანათლავია ხელ-ახლად სოფლის გონება და მონათვლით კი მაშინ მოინათლება, როცა სოფელს აზრი ესტუმრება, სხვა აზრი, გარდა გაძღომისა, და ისიც ისეთ პატივისცემას მოიპოვებს, ისეთს ეხტიბარს გაიკეთებს, როგორც პირველს აქვს გაკეთებული“...[5]

ცხადია, ვაჟა-ფშაველა მეტად მტკივნეულად განიცდის სოფლის ასეთს უმოქმედო, უაზრო, სათანადო შინაარსს მოკლებულ ცხოვრებას.

[4] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სოფლის სურათები, თხზ., ტ. V, 1936 წ., გვ. 222.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 197.

ვაჟა-ფშაველა ფხიზლად სინჯავს სოფლის მდგომარეობას და როგორც მისი შეგნებული კეთილის მსურველი, თავის მოთხრობებში არა ერთგზის მეტად დამაჯერებლად, რეალურ ფერებში გვაძლევს სოფლის ცხოვრებისა და მდგომარეობის სავალალო მდგომარეობას.

ერთ-ერთი ასეთი მიზეზი სოფლის უნუგეშო მდგომარეობისა, მისი გაწრიოკებისა და გაჩანაგებისა, მწერლის გაგებითა და ჩვენებით, არის სოფლის ჩამორჩენილობა, უცოდინარობა, მისი სიჯიუტე დაიცვას დროისათვის უკვე შეუფერებელი ჩვეულებანი; მწერლის მოხდენილი ჩვენებით, ეს ჩვეულებები სოფლის გაუნათლებელ მოსახლეობის გონებას კოშმარივით აწვება და მძიმედ ბოჭავს.

სოფლის ცხოვრების სინამდვილით აღშფოთებული ვაჟა-ფშაველა ასე გვიხასიათებს მას: „ერთი ნაკლი სოფლისა ის არის, რომ ოუმცა ეჭვს შეიტანს ზოგს საქმეში, მაგრამ ამ ეჭვს თავს ვერ მოაბამს, ვერ შეიგნებს, ვერ დარწმუნდება“[6]. ამის დასამტკიცებლად მწერალი აღნიშნავს მეტად გავრცელებულსა და დამახასიათებელ მოვლენას სოფლის ცხოვრებიდან, ხოლო მკითხველისათვისაც დამაჯერებლად: „სოფელს — გადმოგვცემს მწერალი, — ეჭვი აქვს, მკითხავი ალალბედზე მკითხაობს და წინასწარმეტყველობს, რადგან ხშირად თავის თავისა, მის თავზე მომავლის უბედურებისა არა გაუგია-რაო. მაგრამ, როცა გაუჭირდება, ისევ მკითხავთან გარბის...“[7]

ამისა და ამგვარი ბევრი სხვა უარყოფითი მოვლენის მთავარი მიზეზი, მწერლის გაგებით, შემდეგია: „დღეს სოფელს რომ სანთელი სინათლისა, სწავლისა თვალებთან მიუტანო, თვალებზე ხელს იფარებს: ნათელი არ დავინახოვო. ნუთუ ეს უარესი აჯამობა არ არის? ნუთუ აჯამობა არ არის, ხატი და ღმერთი გაცვეთილ, ღლეტურა პოლიციელად რომ მიაჩნია?.. ნუთუ ამგვარი შეხედულობის მიზეზი იგივე აჯამობა და უცოდინარობა არ არის?!. — არა, სოფელს თუმცა ჭკვიანობაზე თავი მოაქვს... დღეს რომ იმას ბევრი ნაკლი აქვს, ეს თვითონაც კარგად იცის, თვითონაც აღიარებს“[8], — ნაღვლიანად ასკვნის მწერალი.

ვაჟა-ფშაველა ამ სერიის მოთხრობებში („სოფლის სურათები“) სოფლის მდგომარეობას გვიხატავს როგორც მკვლევარი-სოციოლოგი, რაც ასე დამახასიათებელი იყო ხალხოსანი მწერლებისათვისაც. ის ამ მოთხრობებში გვევლინება როგორც სოფლის გულშემატკივარი, სოფლის „მოკეთე“, სოფლის უკეთესი მდგომარეობის მოპოვების მისწრაფებით აღსავსე, დატყვევებული. ამით აიხსნება, რომ ვაჟა-ფშაველა თავისი პრაქტიკული მოღვაწეობითაც, დაწყებული 1882 წ. უფლისციხეში ხალხოსანთა არალეგალურ კონფერენციაზე გამოსვლით და 1905

---

[6] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სოფლის სურათები, თხზ., ტ. V, გვ. 232.
[7] ი ბ ი ვ ე.
[8] ი ბ ი ვ ე.

წლის რევოლუციისა და შემდეგი ხანის ჩათვლით, გლეხთა მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო[9]. ამითვე აიხსნება, რომ ვაჟა-ფშაველა სოფლის უარყოფითი ცხოვრების სხვადასხვა მიზეზებს დაუფარავად და გამახვილებულად გვიჩვენებს.

მწერლის ნიჭიერი ჩვენებით, სოფელი, გარდა უვიცობისა და ჩამორჩენილობისა, შევიწროებულია ეკონომიურადაც. მწერალი მშვენივრად გვიხატავს როგორ თანდათან ღარიბდება სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა. კაპიტალიზმის თანდათანობით განვითარებასთან დაკავშირებით დაირღვა სოფლის ნატურალური ჩამორჩენილი მეურნეობა. გლეხობაში თავი იჩინა სოციალურმა დიფერენციაციამ. ვაჟა-ფშაველა კარგად ამჩნევს, რომ გლეხობაში გაჩნდნენ მდიდარი (თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ — ბობოლა), საშუალო შეძლებისა და ღარიბ-ღატაკი გლეხები, რომელთაც, გარდა თავისი ჯანისა და ხელ ფეხისა, აღარაფერი აქვთ. უკანასკნელნი იძულებული არიან დაუდგნენ მოჯამაგირედ მდიდარ გლეხს, იქცნენ მისი მძიმე ექსპლოატაციის საგნად.

სოფლის ასეთი მდგომარეობა ვაჟა-ფშაველას მშვენივრად აქვს მოცემული თავის მოთხრობაში „პატარა მწყემსის ფიქრები". აი როგორი გულისტკივილით ალაპარაკებს მწერალი პატარა მწყემს-მოჯამაგირეს: „ბეჩაობით გაზრდილი ვარ, ძმისავ. მას აქეთ, რაც ფეხზე სიარული შევიძელ, სულ სხვის შვილად (მოჯამაგირედ. — მ. ზ.) ვარ. შვიდის წლისა მამაჩემმა დიდყურაანთ დამიყენა მოჯამაგირედ და ამ ხუთის წლის განმავლობაში მამაჩემი ჩემის ჯამაგირით იხდის მახტას[10]. წლისა და წლის თავზე მოდის ხოლმე ჩემის ჯამაგირის ასაღებად. მე კი ერთი ფრჩხილის საკვეთი დანაც არ მიყიდა. ჰე, ნეტავი მშობლები ცოცხლები მყვანდენ და რა ვუყოთ!.."[11]

ასეთია ჩვეულებრივი ტანჯვის ფიქრები სოფლის ღარიბი მოსახლეობისა. ასეთია ყველაფერს დანატრებული ჯან-ღონით, სიცოცხლის დაუშრეტელი წყურვილით აღსავსე, მაგრამ ქონებრივად ნიადაგგამოცლილი ღარიბი გლეხი.

ვაჟა-ფშაველა მწვავედ განიცდის სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის ასეთი ცხოვრების ჯოჯოხეთურ პირობებს და მკითხველსაც რომ გადასდოს თავისი განწყობილება-თანაგრძნობა გლეხობის ამ ფენისადმი, პატარა მწყემსის — დიდყურაანთ მოჯამაგირის ცხოვრების სურათს ასე გადაშლის: „ამ ხუთს წელიწადში, — განაგრძობს პატარა მწყემსი-მოჯამაგირე თავისი ცხოვრების ოდისეას, — ერთხელ ძლივს-

---

[9] იხ. თავი „ვაჟა-ფშაველა და 1905 წლის რევოლუცია".

[10] ქომლზე წლიური გადასახადი.

[11] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, პატარა მწყემსის ფიქრები, თხზ., ტ. V, 1936 წ., გვ. 27.

ძლიერ ბით დამითხოვეს დიდყურაანთ შინა. დედას ჩემი დანახვა ძლიერ გაეხარდა, დიდხანა მკოცნა: „ენაცვალოს დედა ჩემს ბეჩავსაო“, — იტყოდა ხოლმე რამდენჯერაც მაკოცებდა... ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა: — „როგორ გექცევიან დიდყურაანიო, ხომ არ გცემენ, ან ხომ არ გამშეენო? დიდიხანია, შვილო, რაც ეს ტყავანი გაცვიანო?“ ბარემლაც დიდყურაანი ცუდად მექცევიან, მაგრამ იმათზე ცუდს როგორ ვეტყოდი დედას. როდესაც დედამ ჩემი ტანისამოსი ნახა, დაგლეჯილი ტყავ-ნაბადი, დაუწყო ჩხუბი მამაჩემს: „შე დამეხილო, რაზე ჩაუგდე სხვათ ეს ბალღი ხელში, რად აკვლევინებ ქვეყანასაო?!“ — ამბობდა რა ამას, თან თხილის სიმსხო ცრემლები ჩამოსდიოდა თვალებიდამა და კალთა ევსებოდა. მეც დამენანა, შამებრალა თავისი თავი და ტირილი დავიწყე... რადა ვყევარ, მიკვირს, მამას სხვის შვილად? დიდყურაანი ერთხელ არ გამგზავნიან ქორწილში, არც ხატში... შენი ქორწილი ცხვარიაო, მეტყვიან. მომაგონდება წითელკაბიანი ქალების თამაშობა, ჩემი სწორების ლხინი, სიმღერა და გული მომიკვდება...“[12] სურათი უტყუარია, გლეხთა ყოველდღიური ცხოვრების სინამდვილიდან აღებული.

ასე აბეჩავებს, ასე ავიწროებს, ყველაფერს აკლებს და ანატრულებს სიღარიბე სიცოცხლის წყურვილით აღსავსე გლეხს.

მაგრამ, მწერლის დაკვირვებით, სოფელი თავს ვერ აღწევს ამ საშინელ პირობებს, ის ქედმოხრილი ეწევა ცხოვრების მძიმე უღელს. ვაჟა-ფშაველა სევდიანად შენიშნავს და მკითხველსაც ნიჭიერად აჩვენებს, რომ სოფელი თავისი უვიცობისა, ჩამორჩენილობისა და სიჯიქისა გამო ვერ ერკვევა ვინაა მისი მეგობარი და ვინ მტერი, რაა მისთვის საზიანო და რა სასარგებლო, არ შეუძლია ავი და კარგი ღირსეულად შეაფასოს და ეს იმიტომ, რომ, გარდა ზემოაღნიშნული ნაკლისა, სოფელს არა აქვს ერთი პირი, ვერ აფასებს თავის ძალას. ყველა ეს, ვაჟა-ფშაველას გაგებით, სოფელს ასნეულებს, აკნინებს. ამ სნეულებას, მწერლის რწმენით, ცოდნა მოაშორებს, ცოდნა განკურნავს. სოფელი კი განურჩევლობას, გულგრილობას, დაუდევრობას იჩენს სწავლისადმი, ცოდნის მიღებისადმი.

სოფელი მწერლის სწორი შეფასებით, — „ჰფიქრობს რაღაცას, სიზმრებსაც კარგს ჰხედავს, მაგრამ გამორკვევით კი ვერაფერს გეტყვით, ბურანშია ჯერ და იმიტომ“[13].

ასეთს შეფასებას აძლევს ვაჟა-ფშაველა ჩვენ სოფელს 1891 წელსაც კი, მაგრამ მწერალი აქ არა ჩერდება. მას უნდა მკითხველს და განსაკუთრებით თვით მკითხველ ღარიბ გლეხობასაც დაანახოს, როგორც მიზეზები, ისე შედეგები სოფლის ასეთი მდგომარეობისა. მთელ რიგ

---

[12] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სოფლის სურათები, თხზ., ტ. V, გვ. 27—28.
[13] ი ქ ვ ე, გვ. 214.

მოთხრობებში, რომელთაც ნარკვევების ხასიათი აქვთ, მწერალი სოფლის ცოცხალ რეალურ სურათს ხატავს, შევიწროებულთა და შემავიწროებელთა ცოცხალსა და მდიდარ გალერეას იძლევა.

სოფელი, მწერლის ჩვენებით, ადვილად ხდება ასპარეზად გაყოლეფისა, ჩაგვრისა და აღვირახსნილ თარეშისა სხვადასხვა თანამდებობის პირებისა — მამასახლისისა, გზირისა, „ნაჩალნიკისა", „პრისტავისა", „ურიადნიკისა", მედუქნისა, კნიაზ ფშატაძისა და სხვათა.

ვაჟა-ფშაველა ცოცხალ და შეუფერავ სურათს იძლევა გლეხისას, რომელსაც ყოველი მხრიდან მისევია სოფლის წურბელა — იქნება ეს მისი მოძმე გლეხი, თუ მოსული მოხელე: „როდესაც სოფელს გავიხსენებ, — სევდიანად გადმოგვცემს მწერალი, — მაშინვე თვალწინ წარმომიდგება ტყე, მინდვრები, მდინარე, მთები, მიწური და ჩალური გაბეჩავებული ქოხები და გაჭიმული გუთანი, ცელი და ნამგალი, მკითხავი და ქადაგი, მღვდელ-დიაკვანი, მნათე და გონების სიჩლუნგე, ქუდმომრუდებული მჭადაზნაურა, სუდია-მამასახლისი, იღლიაში ჯოხ-ამოჩრილი გზირი... უნებლიედ მომაგონდება „კანცელია", ცხრაგან ჩამონგრეული, და დუქანი. რომელშიც მეტად ავი სუნი ტრიალებს. დიაღ, დუქანი მისი განათლებულის დახლიდრითურთ, რომელიც „სვოლოჩო!" ეუბნება გლეხებს და ლოქოსავით პირი დაუღია ყველას და ყველაფრის ჩასაყლაპავად. დუქანი სოფლის „კანცელიის" განყოფილებაა, განსამართლება იქიდან იწყება ხოლმე და თვით სამართალიც ღვინის რუმბში ჩაუმწყვდევიათ სოფლის მოხელეებსა. საბრალო სამართალი რუმბში ზის მობუზული და თვალთაგან ცრემლი ჩამოსდის ღაპაღუპით"[14]. უდავოდ ჩვენი წარსულის სოფლის ცოცხალი სურათია!

სწორედ ამ „კანცელიას" გადაუქცევია სოფელი „ტანჯვის ბუდედ". „კანცელიას", რომლის თანამდებობის პირები — მამასახლისი, გზირი, სოფლის მწერალი ხშირად თვით სოფლის მიერ იყვნენ ხოლმე არჩეულნი, გუშინდელი მოძმე, გუშინ რომ ერთს ტყავში იყვნენ, თანამდებობის პირი რომ ხდებოდა, ჩვეულებრივ, უმალ იცვლებოდა, სუქდებოდა, განცხრომას ეძლეოდა, დიდკაცად ხდებოდა, სოფლის წურბელად გადაიქცეოდა ხოლმე.

ვაჟა-ფშაველა ნიჭიერად და დამაჯერებლად გვიხატავს, რა გზით ხდება გლეხობაში დიფერენციაცია, როგორ გამოეყოფა გლეხობის მასას მისივე მოძმე და გადაიქცევა მის მყვლეფავად, ე. ი. როგორ იქმნება გლეხობაში კულაკი, სოფლის ბურჟუა და იქმნება მასში სამკვდროსასიცოცხლო წინააღმდეგობა.

სოფლის ასეთი მდგომარეობა აღელვებდა და აშფოთებდა ვაჟა-ფშაველას მთელი ცხოვრების მანძილზე როგორც მასწავლებლობის დროს (დიდ-თონეთში და ერწო-თიანეთში), ისე საბოლოოდ მთაში და-

---

[14] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ჩვენი სოფელი, თხზ., ტ. V, 1936 წ., გვ. 77.

ბინავების შემდეგაც. პოეტს არა ერთხელ ჰქონდა გლეხობის მტრებთან, ექსპლოატატორებთან მწვავე შეტაკება. პოეტს ხშირად ცხოვრებისათვის აუცილებელი მატერიალური მდგომარეობის დაკარგვაც კი არ აჩერებდა და არც სოფლის მტერ-მოხელეებთან ბრძოლას ანელებინებდა.

ვაჟა-ფშაველა სოფლის „კანცელიისა“ და მისი მოხელეების მოღვაწეობაზე ასე მოგვითხრობს: „ზამთარი რა-კი დადგა, „კანცელიამაც“ გაიღვიძა; თუ ზაფხულში კვირაში ერთხელ, და ისიც რის ვაივაგლახით, შესდგება ყრილობა, ეხლა სამჯერ შესდგება ხოლმე. იმართება ყაყანი, ისმის მამასახლისის ძახილი; „დაამწყვდიეთ ეგ ასეთ-ისეთიო“. მამასახლისი მაშინათვე, რამ წამს ამ ხელობას ჩაიბარებს, ისწავლის ხოლმე ამ ვითომ დიდკაცობის სანიშნავ სიტყვა-პასუხს. უფროსი იმას ამ გინებით მოიხსენიებს ხოლმე, მაშასადამე იმასაც ნება აქვს, თავისზე უმცროსი ამგვარისავე გინებით მოიხსენიოს! უხდება კიდეც, სხვას რომ ლანძღავს მამასახლისი“[15], — გესლიანად ამთავრებს ვაჟა-ფშაველა ამ სურათის აღწერას.

მოხელეების მგლური ჩვევები სოფლის მიმართ, სიმართლით გაკრიტიკებული, არა ერთხელ აქვს დახატული ვაჟა-ფშაველას თავის მოთხრობებში.

ცნობილია, სოფლის მამასახლისი, როგორც უშუალო მმართველი და მბრძანებელი სოფლისა, როგორ ითბობდა ხელს სოფლის დაბეჩავებული მდგომარეობით. „ეხლანდელი მამასახლისი, — აღელვებული გადმოგვცემს მწერალი, — რომ ამ ორი თვის წინათ, ე. ი. სანამ მამასახლისად დააყენებდნენ, გენახათ, შეგეცოდებოდათ, რადგან დონ-კიხოტის ცხენივით გამხდარი და გაბეჩავებული იყო. ეხლა რომ ნახოთ, გაჰკვირდებით: ფაშვი გაუსუქებია, ღაბები დაჰსახვია ნიკაპის ძირში, თვალებზედ ქონი და სიწითლე გადაჰკვრია“[16]. ვაჟა-ფშაველა სინამდვილის კარგი ცოდნით მრავალგზის გვიჩვენებს, გადიდკაცების გარემოება-შესაძლებლობა როგორ ადვილად აცვლევინებს გლეხს შეგნებასაც და ქცევასაც (შესაძლებელია იმიტომაც, რომ ის გამუდმებული ჩაგვრის გამო მოწყურებულია დამოუკიდებელ ცხოვრებას).

სოფელს, მწერლის ჩვენებით, მამასახლისი მრავალმხრივ არ მოსწონს: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მანამ მამასახლისად ამოირჩევდნენ, ჰკვიანი, „ცხვარივით ბიჭი“ იყო, და სოფელმაც ის ამისთვის ამოირჩია. „როდესაც ამოირჩიეს და ჯაჭვი დაჰკიდეს ყელზე, მაშინ კი სრულიად გამოიცვალა: შედგა მაღალქუსლიან „აპოიკის“ ჩექმებზე, დაიკერა ბუზმენტები ჩოხა-ახალუხზე, დაუჭერია ხელში მათრახი და, ვინც ქუდს არ მოუხდის, როგორც ყეინს, სალამს არ მიართმევს, გადუხტება და

---

[15] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სურათები სოფლის ცხოვრებიდან, თხზ., ტ. V, გვ. 39.
[16] ი ქ ვ ე.

მათრახით „ააჭრელებს“. უსწავლია რუსულად ლანძღვა. დაავიწყდა დღეს, გუშინ ვინ იყო და ხვალ ვინ იქნება“[17].

მწერალს სურს სოფლის ამ მართველის სახე სისრულით დაანახვოს მკითხველს, ზემოაღნიშნულით არა კმაყოფილდება და აგრძელებს თავის გარკვევას, კიდევ რად არ მოსწონს სოფელს მამასახლისი: „იმიტომ, —აღელვებული განაგრძობს მწერალი, — რომ სოფლის ფულებსა სჭამს და, როცა სოფელი უჩივის, მაშინ მეუფროსეს შემწეობასა სთხოვს. გამარჯვებული რომ დაბრუნდება, მამლაყინწასავით გაბერილი წაუდგება სოფელს და შესძახებს: „ჰაი, თქვე „ბუნტოჩიკებო“, ჰაი, თქვე „მაშენიკებო“, ჰაი, თქვე „რაზბონიკებო“, დამაცადეთ, მე გიჩვენებთ თქვენ სეირს! თუ ჩემი ნაჩალნიკი ცოცხალი მეყოლება, გაგიხარიან, მე თქვენ ზურგზე ბოლი აგადინოთ-ყე...“[18]

მწერლის სამართლიანი დახასიათებით, მამასახლისი უპირო კაცია, მხოლოდ თავის ჯიბეზე და მუცელზე ფიქრობს. ადვილად და იაფად გადაუდგება და გაჰყიდის სოფელს.

მამასახლისის ანგარებიანი, მგლური ხასიათის გამოაშკარავებაში ვაჟა-ფშაველა ამით არა კმაყოფილდება. მწერალი კარგადა გრძნობს, რომ მთლიანად სახელმწიფოებრივი აპარატია ასე უსამართლოდ და უმსგავსად მოწყობილი. მამასახლისი მარტო არ არის გლეხკაცის ზურგზე თარეშში. მამასახლისს ზურგს უმაგრებენ მასზე მაღლა მდგომნი, ბრიყვნი და ანგარებიანი თანამდებობის პირნი.

ვაჟა-ფშაველა მოხდენილად სარგებლობს თავისი შემოქმედებით, რომ მამასახლისის ამგვარი საქციელის ნამდვილი მიზეზებიც გამოააშკარაოს. „მაინც და მაინც რას აკეთებს მამასახლისი? — კითხულობს მწერალი და თვითონვე, როგორც ეს მისი მხატვრული სტილისათვისაა დამახასიათებელი, იძლევა პასუხს, — იგი ასრულებს მაზრის უფროსის და ბოქაულის ბრძანებას, სოფელს აწიოკებს, სად „სწრაფს“ ახდევინებს, რის გამოც გააქვთ გირაოდ გატანილს ქვაბებს, წალდუნებს, ნაჯახებს და სხვ. საბრალო ჩხარა-ჩხური, — აზიდვინებს გზირს დუქანში დასაგირავებლად, — თითონაც უკან მისდევს, — მიდის და თანაც მისდევს სოფლის წყევლა და გინება“[19].

სოფლის მოუწყობელი ცხოვრებით აღშფოთებული მწერალიც თავის უღრმეს გულისწყრომას უერთებს სოფლის ამ წყევლა-გინებას.

აღელვებული მწერლის გამახვილებული თვალი და ყური გულმოდგინებითა და თანაგრძნობით ჩაჰკირკიტებს სოფლის გაჭირვებულ ცხოვრებას. სოფლის მცოდნე მწერალი კარგად ხედავს, რომ მარტო მამასახლისი არ არის სოფლის ზურგზე ხორცმეტი, მარტო მამასახლი-

---

[17] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სოფლის სურათები, თხზ., ტ. V, გვ. 203—204.
[18] ი ქ ვ ე. გვ. 204.
[19] ი ქ ვ ე. გვ. 300.

სი არ ისქელებს მუცელსა, კისერსა და ჯიბეს უპატრონო, უუფლებო სოფლის ანგარიშზე; სხვაც ბევრი ჰყავს სოფელს გასაძღომ-გამოსაკვები. თუნდაც სოფლის მოსამართლე მწერლით და სოფლის კანცელარია მთელი თავისი შემადგენლობით.

აი როგორი ცოცხალი ხაზებით ავსებს სოფლის სურათს სოფლის ბედით გამწარებული და ბოღმამორეული მწერალი: „სოფლის „სუდიებს", ცოტა არ არის, ჰშურთ მამასახლისისათვის კეთილი ცხოვრება, მაგრამ თავის თავმოყვარეობას სხვა გზით ასიამოვნებენ ისინიცა"[20], მწერლის ნიჭიერი ჩვენებით, ამათაც უნდათ სოფელს თავისი ძალა აჩვენონ, ეჯიბრებიან მამასახლისს უფლებებში, სოფლის დაჩაგვრაში, გლეხკაცის დამწყვდევაში, მის დარბევაში. ეს შ ე ჯ ი ბ რ ი ჩვეულებრივ, რასაკვირველია, თავდება გლეხის ზედმეტად შევიწროებით, „უკეთესად" გაყვლეფით.

მოსამართლეთა უსამართლო მოღვაწეობით აღშფოთებული ვაჟა-ფშაველა, სინამდვილის კარგი მცოდნე, დაუნდობლად ჰგლეჯს მათ ნიღაბს, აშიშვლებს მათ სახესა და ბუნებას, და ამ გზით, რა თქმა უნდა, დაუნდობლად ჰკიცხავს, ძირს უთხრის იმ სახელმწიფოებრივ წყობას, რომელიც არამც თუ ითმენს ასეთს მოვლენებს, არამედ ხალხის საზიანოდ ხელს უწყობს, ამტკიცებს.

მოვუსმინოთ თვით ვაჟა-ფშაველას: „მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ „კანცელიობა" მუდამ კვირა-უქმე დღეს არის... დაბარებულია „პოვესკით" მოჩივარი და მოპასუხე. „სუდიანი" მამლაყინწებივით „კანცელიის" სტოლს უსხედან გარშემო და უცდიან... რას უცდიან, ის უნდა იცოდეთ, და!.. ვიდრე „ლაზბორი" დაიწყება, ესენი „ზაკუშკას" მოელიან, რომელიც თავის თავად უნდა სადილად იქცეს და ბოლოს სამხრად „შეიქნას" უსათუოდ. ეს ორთავე მხარემ უწყის და ერთმანეთის „მემჯობიას" მოარბენინებენ სასმელს და საჭმელს, რომელიც მეტს შნოსა და უნარს გამოიჩენს ამ დროს, ღმერთიც და სამართალიც იმისკენ არის. ასე რომ „კანცელია" ერთსა და იმავე დროს სასამართლოც არის და სამიკიტნოც, სალაყბოც, სამზარეულოც და სხვ. და სხვ. (მოხდება ხოლმე, რომ მწვადებიც იქვე შიშხინობენ ბუხარში). მამასახლისიც მოიზიდება, სასმელ-საჭმელის სუნს რომ გაიგებს... თუ თავგზიანი მამასახლისია, ისიც გაიკრავს რასმე მშვიდობიანად, თუ არა და უნდა გაჩუმდეს და ჩამი-ჩუმად იმაზე დაიწყოს „კლეუზნობა", ვინც ლუკმას ართმევს და ნადავლს არ უყოფს შუაზე ძმურად. სიმართლით რომ ვსთქვათ, არც-კი დაიკლებს რასმე... არც არას გზირი იკლებს, ისიც მონაწილეა სამართლიანობისა. გაიმართება ერთი ქიეფი და ყაყანი. პატრონი ძაღლს ვეღარა სცნობს, ძაღლი — პატრონს. სდგას „შტოლზე" ჩამწკრივებული „ბოთლიკები" და იქვე „კნიღაა" გაშლილი და

[20] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სურათები, თხზ., ტ. V, გვ. 39.

„პისერი“ სწერს გარდაწყვეტილებას. თითონ სუდიებმა არც-კი იციან, დღეს რომ კითხოთ, გუშინ რა გადასწყვიტეს: ვინ გაამართლეს, ვინ გაამტყუნეს — ეს „პისერს“ უნდა ეკითხოს, რადგან წერა-კითხვა იმან იცის და განჩინებასაც, როცა სუდიებს ის მსხვილ-მსხვილი გოგრები უფრო დაუმსხვილდებათ და ვეღარ ერევიან, — განაჩენს ის ადგენს, ხან ერთს მხარეს უშვრება თვალს, ხან მეორეს. სუდიანიც ამასვე სჩადიან, რა თქმა უნდა. მომჩივან-მოპასუხეთაც არა სძინავთ, ისინიც თვალებს ამუშავებენ ხან ერთის, ხან მეორეს მიმართ. თანა სმენ, თანა ბჭობენ, თანაც ილანძღებიან. ახლა სუდიანი ერთმანერთსაც ეჯიბრებიან, ახლა მამასახლისიც იმათ კბილსა სცემს, „იურისდიქცია“ მე უნდა მეკუთვნოდესო, — უწყის იმანაც, რომ ეს სახეირო საქმეა. სუდიანი არ უთმობენ ჯერ ერთმანერთს, მერე მამასახლისს. ამასობაში დაიბრუჟებიან, დაიბრუჟებიან და დაერევიან ერთმანეთს, ჰა, დაკა, დაკა, ბიჭო!...“[21]

აი ცოცხალი და უტყუარი, შეუფერავი სურათი სოფლის მმართველთა „სამართლიანი“ მოღვაწეობისა, მათ მიერ სიმართლისა და წესიერების დაცვისა და განმტკიცებისა!.. გრძნობს სოფელიც მოსამართლეთა და ყველა მოხელეთა უმსგავსობას, აღელვებულია, უილაჯო ნატრობს ეს სეირი „ღუბერნატორს“ თავისი თვალით ენახა. უკმაყოფილების ხმა აქეთ-იქიდან სოფელში ხშირად ისმის. მაგრამ სოფელი ეშვსა და შიშშია, მწერლის მკვეთრი ჩვენებით, გაურკვეველია, უილაჯოა, რადგანაც ისეა მოწყობილი, რომ უკმაყოფილების მთქმელი „დაყენე სოფლის სუდიად და ის უარესობას ჩაიდენს“[22].

ასეა სოფლის ცხოვრება მოწყობილი და სოფლის მოხელეების სულისკვეთებაც ასეა მიმართული: დეე „ჩკუას ნუ ისწავლის სოფელიო, ბრიყვად დარჩესო, რომ უფრო ადვილად მოვატყუოთ, ტყავი ადვილად გავაძროთ. მგელსა და ქურდს ბნელი ღამე უყვარს“[23], — დაასკვნის სოფლის ცხოვრების მოუწყობლობით გულდასერილი ვაჟა-ფშაველა, კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ნიჭიერი გამომხატველი ქართულ ლიტერატურაში.

ასეთმა პირობებმა წარმოშვეს ბაგრატ ზახარიჩი („ბაგრატ ზახარიჩის სიკვდილი“) და მისთანა მოხელეები, რომელთაც ოცისა და მეტი წლის მანძილზე უფროსისათვის, მხოლოდ იმიტომ რომ ის უფროსი იყო, სიტყვა არ შეუბრუნებიათ, პირდაპირ ცქერასაც კი ვერ უბედავდნენ, სამაგიეროდ მხოლოდ ამ „დამსახურებისათვის“ სამსახურში წინ წაიწიეს, მთავრობისაგან დაფასება მიიღეს. აი ვაჟა-ფშაველას დროში ცხოვრებისა და დაწინაურების ერთადერთი გზა, რაც მწერლისათვის მიუღებელია, ხალხისა და ცხოვრებისათვის დამღუპველი.

---

[21] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სოფლის სურათები, თხზ., ტ. V, გვ. 298—299.

[22] ი ქ ვ ე გვ. 210.

[23] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა. ავტობიოგრაფია „ურიადნიკისა“, თხზ., ტ. V, 1936 წ., გვ. 140.

სოფლის ცხოვრების ასეთივე პირობები ქმნიდა ბიჭიელა გაფრინდიას („ავტობიოგრაფია „ურიადნიკისა“) და მისთანეებს, რომელნიც უფროსებისათვის საჭირო და სასარგებლო იარაღად იყვნენ გადაქცეულნი.

მეტად დამახასიათებელია ბიჭიელა გაფრინდიას თავმომწონე აღიარება, როგორი გულმოდგინებით ასრულებდა ის უფროსის დავალებას: „საქმე სჭირდა სადმე, — გადმოგვცემს თავის „დამსახურების“ შესახებ ბიჭიელა, — და მაშინვე ნაჩალნიკი მომიკითხავდა: ნუ, პაზავი ბიჭიელა გაფრინდიაო. ნედოიმკა იყო სადმე ასაღები ხალხიდამ, ზეკუცია, მისთანად ერთგულად შევასრულებდი, რომ ერთი ქათამიც-კი აღარ დარჩებოდა სოფელში, სულ ბდღვირს ავადენდი... მალადეც და მალადეც, მალადეც ბიჭიელას! — მომაძახებდა ნაჩალნიკი“[24] აი რით იქებს თავს ბიჭიელა გაფრინდია! აი როგორ აფასებს ის უფროსის „მალადეცს“. ბიჭიელა გაფრინდია, რა თქმა უნდა, ტიპიური სახეა იმ შავბნელი ცხოვრებისა, ვაჟა-ფშაველას რომ ასე აწუხებდა, სტანჯავდა. აშკარაა, მწერალი გაბედულად ხდის ნიღაბს თვით სახელმწიფოში გამტკიცებულ სოფლის დარბევისა და აწიოკებისათვის მოხელეთა დაგეშის მიუღებელ სისტემას.

ვაჟა-ფშაველამ რომ უფრო მკვეთრად დაგვანახვოს ბიჭიელასა და მისთანების უარყოფითი სახე და მახინჯი ბუნება, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს ვაჟბატონები, სოფლის ამომგდებნი, არამც თუ სრულიად არა გრძნობენ სინდისის ქენჯნას, არამედ დიდ თვითკმაყოფილებასაც განიცდიან. აი რას ამბობს, უდავოდ, თვითდაკმაყოფილების გრძნობით თავბრუდასხმული ბიჭიელა: „მარა, განა მარტო ნაჩალნიკი მომძახოდა, ჩემი თავიც სულ მალადეც და მალადეცს მეუბნებოდა“[25].

ასეთია სოფლის ცხოვრების პირობები. ასეთს ადამიანებს აძლევს დარღვეული სოფელი სარბიელს.

ვაჟა-ფშაველა კარგად იცნობს სოფელს. ის მას ხატავს შეუფერავად, არ მალავს და მუქ ფერებში იძლევა მის ბნელ მხარეებს. ამასთან ერთად მწერალი სოფელში, მის მცხოვრებ გლეხობაში კარგად ხედავს საღ ბუნებას, სიცოცხლის ჯანსაღ წყურვილს. მწერლის დაკვირვებითა და გაგებით, სოფელი ბურანშია, გამოურკვეველია, მაგრამ ხშირად არჩევს რაა და ვინაა მისთვის კარგი, სასარგებლო.

მერყეევი, წვრილბურჟუაზიული ბუნება გლეხისა მკვეთრადა აქვს გაგებული მწერალს, ერთი მხრით, დრომოჭმულს რომ ებღაუჭება,

---

[24] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ავტობიოგრაფია „ურიადნიკისა“, თხზ., ტ. V, გვ. 140.

[25] ი ქ ვ ე.

წარსულსა თუ წარმავალისაკენ რომ იყურება, მეორე მხრით, ძველი აღარ მოსწონს, ახალს, უკეთესს, სასარგებლოს ეძებს, მომავლისაკენ, უკეთესისაკენ გაშმაგებით იცქირება და ამ ორი მებრძოლის სულისკვეთებისათვის მას თავი ვერ დაუღწევია.

აი როგორ ახასიათებს სოფლის (გლეხობის) ამგვარ ბუნებასა და განწყობილებას ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთ თავის მოთხრობაში — „სოფლის სურათები“: „რა არის სოფელი, რასა ჰგავს სახითა და იერით?!“ — კითხულობს მწერალი. ის კარგადა გრძნობს, რომ ამ საკითხზე პასუხის გაცემა არც ისეთი ადვილია, სოფლის გარკვევით დახასიათება რთული საქმეა. ამიტომ თვითონ, როგორც ახლო მცნობი სოფლის ვითარებისა, იძლევა ამის პასუხს და, უნდა ითქვას, იმ დროისათვის (ეს მოთხრობა დაწერილია 1892 წელს) საკმარის მკვეთრ და სწორ პასუხსაც: „სოფელი თქვენთვის არ ვიცი რაა, და ჩემთვის სწორედ ზღვაა, ისეთი ზღვაა, რომელსაც რომაელთ ღმერთს იანუსსავით ორი თავი აქვს. როგორც მოგეხსენებათ, რომაელების ღმერთი იანუსი ქანდაკებული ორთავიანი იყო: ერთის თავით იცქირებოდა წარსულისაკენ დაღვრემილის, დაფიქრებულის სახით, თითქოს თვალებით ეუბნებაო წარსულს... წადი, მშვიდობითო, მაგრამ თანაც ენანება მისი განშორებაო, მეორე სახით, მხიარულად შესცქეროდა მომავალს“.

„დიაღ, სოფელიც ის ორთავიანი, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, იანუსიანი ზღვაა, მაგრამ განსხვავებული. როგორ? ერთის თავით თუმც ღმერთ იანუსსავით მჭმუნვარედ გაჰხედავს წარსულს, ხოლო მეორე თავი, იმის მაგივრად, რომ მომავლისაკენ მოიბრუნოს, შავი მიწისკენ დაუხრია, თითქოს, იქ არის დამარხული იმისი მომავალი, თითქოს იქ უნდა ამოიკითხოს თავისი მომავალი ბედ-იღბალიო“[26].

ვაჟა-ფშაველა, სოფლის გლეხობის ცხოვრების კარგი მცოდნე, აღნიშნავს, რომ სოფელს, გლეხობას უყვარს წარსული, აწმყო დროება — გარემოება აწუხებს მას. მწერალი გულისტკივილით შენიშნავს, რომ გლეხობა რატომღაც უწყრება მომავალს. ვაჟა-ფშაველამ კარგად იცის, რომ „სოფელმა თუმცა იცის ეს ნაკლი ძველისა, მაგრამ სულ იქით გაიყურება და მომავალს არ უცქერის“[27].

სოფლის ასეთი განწყობილება მწერალს არ მოსწონს; ის თავის დამოკიდებულებას ამ გარემოებისადმი ასე გვიხსნის: „ამისათვის-კი (სოფელი რომ ძველისაკენ გაიყურება და მომავალს არ უცქერის. — მ. ზ.) ძალიანაც რომ დამემდუროს, ვერ ვაქებ სოფელსა, თუმცა არ შემიძლიან, ბრალი არ ავხადო: რა ქნას, არ იცის, რას მოიტანს დღევანდელი დროება შემდეგში; მომავლისაკენ მის თვალებს შუა გზაში

[26] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სოფლის სურათები, თხზ., ტ. V, გვ. 222—223.
[27] ი ქ ვ ე, გვ. 230.

დიდი ჯანღი უწევს და უშლის ნამყო დროისაკენ ცქერას"[28]. აქ სოფლის (გლეხთა) მერყეევი წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობა აშკარადაა გამომჟღავნებული.

მწერალი მშვენივრად განიცდის და მშვენივრადვე, გარკვეულად აღნიშნავს, რომ სოფელს არც ძველი ანდერძი დარჩა ისე, რომ ეჭვი არ შეეტანა, მაგრამ მაინც მომავლისაკენ არ იცქირება.

ვაჟა-ფშაველა ამის ახსნას იქვე იძლევა: „იმიტომ, რომ არა აქვს პოლიტიკური იდეალი. უიდეალო ცალკე აღებული ადამიანიც ხომ ასეთიაო!" — სამართლიანად ასკვნის მწერალი.

ვაჟა-ფშაველა კარგად გრძნობს, მან კარგად იცის, რომ სოფელი — ხალხი საღი, დიდი კინეტიკური ძალის შემცველია, დიდი შესაძლებლობის მქონეა, მაგრამ ერთი პირი არა აქვს და ეს ღუპავს მას, ეს აძლევს მის მტრებს შესაძლებლობას ყვლიფოს, კრიჭოს, შეავიწროვოს, დაიმორჩილოს, დააბეჩავოს.

თავის მძლავრ კინეტიკურ ძალას სოფელი, მწერლის სწორი ჩვენებით, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში ავლენს; ამ მომენტებში მას სწამს თავისი ძალა, შესაძლებლობა და სხვასაც აჩვენებს ხოლმე.

სოფლის გლეხობის ამ თვისებას ის მხატვრულად შემდეგნაირად აგვიწერს: „ეს ზღვა როდის ჰღელავს?" — კითხულობს პოეტი და უმალ თვითონვე აძლევს სწორე პასუხს, — „მაშინ, როცა სოფლის სიცოცხლე, მისი არსებობა ფათერაკში ვარდება; სოფელი მაშინ აიცქვეტს ყურებს, მაშინ დაიწყებს ტორტმანს, ფიქრს, პირველად მაშინ წამოიძახებს ძალაუნებურად: „რათა, რისთვინაო, ჩემო ძმაო?! მაშ სოფელი უნდა დაიღუპოს? ვაჰ, დედას ჩემის მტრისასა!.. აბა, სოსიკო, აბა, პეტრიკო, აბა, ნინიკო, ვიფიქროთ, ჩვენს თავს მოვუაროთ, თორემ ცუდად არის საქმე, ვიღუპებით, კაცებო!.."[29]

აი ასეთს მდგომარეობაში იღვიძებს, თითქოს, მთვლემავი დევი და განრისხებული თავის ხვედრს თხოულობს.

ამისთანა მომენტებში, ვაჟა-ფშაველას გადმოცემით, სოფელი თავის უკმაყოფილებას აღარა ჰფარავს. აღელვებულ ზღვასავით მზადაა წალეკოს შემზღუდავი, დამაბრკოლებელი მოვლენები. ამ დროს სოფელი, მართალია, ძველი დროების დაბრუნებას ნატრობს, მაგრამ მწერლის გარკვევით, ძველ დროს ნატრობს გარეშე ბატონებისა, „კანცელიისა", სუდია-მამასახლისისა, გზირისა და ჩაფრისა, „ნაჩალიკისა" და ბოქაულისა, დიამბეგისა. სოფელი, მართალია, ბურანშია, მაგრამ, მწერლის შენიშვნით, მას მაინც კაცად ის მოსწონს, ვინც იმას პატივსა სცემს, ვინც იმას არ აწუხებს, არა ძარცვავს. ვაჟა-ფშაველა სოფელში

---

[28] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სოფლის სურათები, თხზ., ტ. V, გვ. 230—231.
[29] ი ქ ვ ე, გვ. 223.

(გლეხობაში) ხედავს დიდ კინეტიკურ, მეამბოხე ძალას, რასაც მხოლოდ საღი ორგანიზაცია სჭირდება.

მწერლის გადმოცემით, სოფელს მღვდელი, დიაკვანი. „ტარასტა“, ჩვეულებრივ, არ მოსწონს, რადგანაც ისინი „გაურჯულებული, მსუნაგები“ არიან, „გაკვრაზე და გამოცინცვლაზე უჭირავთ თვალი და ხატებს სანთლებსა ჰპარავენ“[30].

სამაგიეროდ მათე მღვდელია დიდი სიმპატიით დახატული. იგი ქადაგებით ხალხს გონებაზე აყენებს, სოფლის ფიქრი მოძრაობაში მოჰყავს, შებრალება იცის, „ბეჩავს ჯვარს მუქთადა სწერს, კვდება და მუქთად ჰმარხავს“, ბეჩავის ობლებს იცავს, ნუგეშს სცემს; თვითონაც მუშა კაცია, „გუთანი თვითონ უჭირავს, ურმის თავზედ თვითონ უჯდება, ეზიდება თივას, ძნას თუ შეშას, ჰბარავს და სხლავს ვენახს, სთოხნის სიმინდსა, ერთ წამს არ დადგება, არ დაისვენებს... მკაში ერთიც ვერა სჯობია, ოფლში გასწურავს მუშებს, გვერდში ამომდგარი და თავზე ხელსახოცწაკრული „ჰოპუნას“ „ძახილით“[31]. ამასთან ერთად მათე მღვდელი „პურადია, გულუხვი“.

სოფელი მათე მღვდელში ხედავს თავის მოძმეს, სასარგებლო კაცს. მათე მღვდლის აღნიშნულ თვისებას სოფელი აფასებს, ამიტომ ის სოფელს მოსწონს და მას მისდევს კიდეც.

ვაჟა-ფშაველა აქაც თავისი ეპოქის საზოგადოების მოწინავე ნაწილის პოზიციებზე დგას. ახალი ადამიანის, ქვეყნისა და ხალხის სასარგებლო ადამიანის — მოქალაქის სახეს დიდი გულისყურით არკვევს.

ვაჟა-ფშაველას სურს სოფლის დასაწუნი და მოსაწონი პიროვნებების დახასიათება-ჩვენებით გამოააშკარაოს სოფლის, მდაბიო ხალხის ნამდვილი ბუნება, რა, ან ვინ ესაჭიროება მას, ვის სთვლის ის თავის კაცად და ვის შეუძლია გააღვიძოს, აამოძრაოს ეს „ბურანში“ მყოფი დევი. ამიტომ მწერალი ამ საკითხის ჩვენებას, მისთვის დამახასიათებელი ყურადღებითა და თანაგრძნობით აღრმავებს და აფართოებს.

მწერლის გადმოცემით, სოფელი ასეთსავე ყურადღებითა და პატივისცემით — ნდობით ეკიდება მასწავლებელსაც, მიუხედავად იმისა, რომ სკოლა სოფელს ვერ აკმაყოფილებდა და ამიტომ მასწავლებლისადმი სოფელი უკმაყოფილოდ იყო განწყობილი. სოსო მასწავლებელი, მწერლის ჩვენებითა და გადმოცემით, სოფელს მოსწონს იმიტომ, რომ ის „ხათრიანობს, ხალხის სიყვარული აქვს, ყველას ძმობით ესაუბრება, ყველას თავმდაბლად ეპყრობა. ატყობენ, რომ მასწავლებელს გული შესტკივა სოფლისათვის; თუკი რამ ღონე აქვს, სცდილობს ყვე-

---

[30] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სოფლის სურათები, თხზ., ტ. V, გვ. 199—200.

[31] ი ქ ვ ე, მათე მღვდლის სახით ვაჟა-ფშაველა გვიხატავს თავის მამას პავლე რაზიკაშვილს.

ლას უშველოს, უსმელად მთვრალია, საქმეზე თავდადებულია. ხალხს ესაუბრება სკოლის აშენების თაობაზე და, რომ ვერაფერი გააწყო... ერთს ფანჩატურში გამართა სკოლა და იქ ასწავლის ბალღებს... თუმცა სოფლის მხრივ ეს დაბრკოლება ჰნახა, — განაგრძობს მწერალი, — მაგრამ სოსომ მაინც თავისი არ დაიშალა და ამიტომ მოსწონს იგი სოფელს"[32].

სოსოს იდეური და სასარგებლო მოღვაწეობა რომ უფრო დასაჯერებელი შექმნას, ვაჟა-ფშაველა ზემონათქვამს დაურთავს: „მე თვითონ ვნახე იმისი სკოლა, ფანჩატურში გამართული; თვით სოსო მშიერ-ტიტველია, როგორც მისი შეგირდები, მაგრამ მხნედ მყოფი, გაუტეხელად მშრომელი... მაგრამ ასწავლა, სკოლის საქმე კარგად წაიყვანა..."[33].

ამისათვის და ამას გარდა კიდევ, სოფელი სოსოს ნდობით იმიტომაც ეპყრობა, რომ ის სოფელს „კარგებს ელაპარაკება". „ჩვენ ძმანი ვართო, ძმურად ვიცხოვროთ, ძმურად ხელი მივაწოდოთ ერთმანერთს გაჭირების დროს, ერთმანერთის შებრალება გვქონდესო, ერთმანერთს ნუ დავჩაგრავთ, უსამართლოდ ნუ მოვეპყრობითო. ერთმანერთი შეიწყალეთ, რომ სოფლის საქმე კარგად წავიდეს, ერთმანერთში პირი გქონდეთ. საქმე ჯერ გასინჯეთ, ყველამ თავისი სათქმელი სთქვით და რომელიც უკეთესს იტყვის, იმას დაუჯერეთ, იმის სიტყვაზე დადექითო; ნუ აიხირებთ, ნუ გეწყინებათ, ან-კი რა საწყენია, ვინც ჭკვიანია და გონიერი, მას რომ მიჰყვეთ კვალზეო..."[34]

სოსოს ეს სურვილები, რა თქმა უნდა, ავტორის სურვილებია სოფლის მიმართ და ეს სურვილები ტიპიური, დამახასიათებელი იყო ეპოქის მოწინავე საზოგადოებისათვის, ვაჟა-ფშაველასათვის ხალხის, გლეხობის გაღვიძებისა და უკეთესი მომავლის მოსაპოვებლად დარაზმვისათვის რომ იღვწოდა.

ვაჟა-ფშაველა სოსოს სახით აღრმავებს მოწინავე საზოგადოების სოფლისადმი დამოკიდებულების ჩვენებას. ის მოხერხებულად აღნიშნავს, რომ ყველა ზემოაღნიშნულ სიკეთესთან ერთად სოფელს სოსო მასწავლებელი მოსწონს კიდევ იმიტომ, რომ „მისი სახლის კარი მუდამ ღიაა. ვისაც რა უნდა, ყველას შეუძლიან შევიდეს, დასაწერი ექნება — დააწერინოს უფასოდ, საკითხავი ექნება — ჰკითხოს. რასაც ამბობს, ასრულებს; შებრალებას ჰქადაგებს და თვითონაც შემბრალეა. ბოქაულთან და მამასახლისთან უთანხმოება მოსდის ხალხის გულისათვის. ეუბნება: ხალხს ნუ აწუხებთ, ხალხს ნუ სცემთ... სოფელს თავმოყვარეობას, სიამაყეს ნუ უთრგუნავთ, ნუ უკლავთ გულშიო, სისხლს ნუ

---

[32] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სოფლის სურათები, თხზ., ტ. V, გვ. 201—202.
[33] ი ქ ვ ე.
[34] ი ქ ვ ე, გვ. 202.

უწყალებთ ძარღვებში, გულზე სარქველს ნუ ჰხურავთ, პატივისცემით მოეპყარით, რომ ისწავლოს სოფელმა ერთმანერთის პატივისცემაო"[35].

ესეც ხომ ეპოქისათვის და თვით მწერლისათვის დამახასიათებელი იყო — დაეხმარე „უნცროს ძმას" — დაჩაგრულს, შევიწროებულს, წაქცეულს; წამოაყენე, გამოესარჩლე, გზაზე დააყენე, დარაზმე, შეაგნებინე, რომ ქვეყნის ძალა მასშია და წაიყვანე ქვეყნის სამართლიან საფუძველზე გარდაქმნის გზით.

მწერლის იმედიანი ჩვენებით, მასწავლებელ სოსოში სოფელმა დაინახა თავისი მოძმე, სასარგებლო კაცი და მისდამი ნდობითა და სიყვარულით აღიჭურვა, ის მას მიჰყვება. სოფელში ასეთი ხალხია საჭირო. ასეთი ადამიანები, მართლაც, შეძლებენ სოფლის გამოფხიზლებას, გაღვიძებას, ნდობის დამსახურებას; შეაგნებინებენ მას თავის ძალას, უნარს, შესაძლებლობას. მაშინ ამ გაღვიძებული დევის ძალა მის მტერს უკან დაახევინებს, შიშის ზარს დასცემს.

მაგრამ, როგორც ვაჟა-ფშაველა შენიშნავს, ასეთი გამოფხიზლების მომენტები სოფლის — გლეხობის ცხოვრებაში არ იყო ხშირი და ხანგრძლივი. მწერალი სევდითა და უკმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამ გარემოებას თვითონ სოფელი ვერ უწევს სათანადო ანგარიშს. „ამ „რათა", „რისთვინას", — წერს ვაჟა-ფშაველა, — დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინც იცის, მაგრამ სოფელი, საუბედუროდ, მანამ არ გაუჭირდება, როდი ხმარობს ამ სიტყვებს. ეს „რათა" და „რისთვინა", — განმარტავს ვაჟა-ფშაველა, — მიზეზის ძებნას მოასწავებს და ვინც ამ სიტყვას ხშირად იგონებს თავის მდგომარეობის შესახებ და კარგად შეიგნებს, კაცია თუ სოფელი, იგი არ იღუპება, იმის საქმე კარგად მიდის ამ წუთისოფელში"[36].

ვაჟა-ფშაველაც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე პრაქტიკული საქმიანობით, თუ თავისი მაღალმხატვრული კალმით ემსახურებოდა ხალხის გაღვიძების, გამოფხიზლების საქმეს. მან, როგორც სოფლის ხალხის ცხოვრების ნიჭიერმა მესაიდუმლემ, კარგად იცოდა, რომ გაღვიძებული დევი — სოფელი ნადირივით თავისუფლად ნავარდობას კი არ ეძებს — „უუფროსოდ, უხარჯოდ, არამედ ისწრაფის მოაწყოს თავისი ცხოვრება სწორუფლებიან საფუძველზე". „არა, შენი ჭირიმე, — აალაპარაკებს მწერალი გლეხს, — უფროსიც მინდა, ეგეთი კი არა, როგორიც მოგახსენე (ე. ი. მამასახლისი, სუდია, „ნაჩალიკი", ბოქაული, „კანცელია", გზირი, ჩაფარი, დიამბეგი. — მ. ზ.), და ხარჯსაც ვიკისრებ, რაც ჩემ საწყლობას შაეფერება, რაც შამიძლიან"[37].

---

[35] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სოფლის სურათები, თხზ., ტ. V, გვ. 203.
[36] ი ქ ვ ე, გვ. 223—224.
[37] ი ქ ვ ე, გვ. 225—226.

სწავლის საჭიროების შესახებაც ასევე გონივრულად მსჯელობს ვაჟა-ფშაველას გლეხი: „სწავლაც მინდა, მაგრამ ეგეთი კი არა, ჩვენმა „ატუკანტმა“ „ნიკორამ“ რომ იცის: სხვისა ღლეტა-ცვეთისა. ეგეთი სწავლა ხელს არ მომცემს“[38].

ასეთია ვაჟა-ფშაველას გაგებით სოფლის სულისკვეთება თავის ავითა და კარგით. ასეთია აუცილებელი ძირითადი მოთხოვნილებანი, რომელთა შესრულებას სოფელი დაჟინებით და პირველ რიგში მოითხოვს. დრომ და გარემოებამ ბევრი მძიმე ნიშანი დაასვა სოფლის ხალხის გულსა და ტვინს, მაგრამ, მწერლის სწორი გაგებითა და ღრმა რწმენით, ძირში მისი ბუნება მაინც საღია, სწორად მსჯელობს. ამით ამ საგულისხმიერო მოძრაობას ვაჟა-ფშაველა ბევრის მთქმელი და დამაფიქრებელი დახასიათებით ათავებს: „ბევრს რასმე ითხოვდა სოფელი, მაგრამ ზოგს სათხოვარზედ უნდა სდუმდენ ბაგენი ჩვენნი და სოფლისანიცა“[39].

მკითხველთათვის ადვილი მისახვედრი ხდება, რომ მწერლის მიერ გლეხთა პირით წარმოდგენილი მოთხოვნილებანი აუცილებელი მინიმუმი იყო, რომ ისინი ისეთები არიან, რომლის შესახებაც შეიძლებოდა ხმის ამოღება ცარიზმის შემხუთავ პირობებში. მკითხველი კარგად ხვდებოდა, რომ ეს მოთხოვნები საკმარისი არ იყო სოფლის სათანადოდ გაჯანსაღებისათვის. კიდევ მრავალ სხვა პირობას თვლიდა ის საჭიროდ, მაგრამ ამ გარემოებაზე ლაპარაკიც კი ვერ გაბედა, რადგანაც აკრძალული, საშიში, სახიფათო იყო, ამიტომ „სდუმდენ ბაგენი“ სოფლისაცა და მწერლისაც.

ამასთანავე ერთად მკითხველი კარგად ხვდებოდა, რომ ვაჟა-ფშაველას პრაქტიკული მოქმედებაც და მისი პოეტური კალამიც დაუღალავად და შეუდრეკლად ებრძოდა იმ პირობებს, რომლებიც მძლავრად ბორკავდნენ სოფელსაც და მის მოკეთეებსაც.

მკითხველი ცხადად გრძნობს, რომ ვაჟა-ფშაველა ცხოვრების უკეთესი — სამართლიანი პირობების მისაღებადა და დასანერგავად ამზადებდა როგორც სოფლის მოსახლეობას, ისე საერთოდ თავის მკითხველსაც.

---

[38] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სოფლის სურათები, თხზ., ტ. V, გვ. 225—226.
[39] ი ქ ვ ე, გვ. 226.

თავი VII

საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძვლები აწმყოსა და მომავალში

XIX საუკუნის მეორე ნახევრის, განსაკუთრებით მისი დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრება მძლავრი გარდატეხისა და გარდაქმნის პროცესია.

ეს ხანაა მსოფლიოში კაპიტალიზმის იმპერიალიზმში გადაზრდისა, კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი სტადიისა. ამ ხანის საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათის გენიალურ შეფასებას იძლევა ვ. ი. ლენინი თავის ისტორიულ გამოკვლევაში — „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია".

ვ. ი. ლენინი, ახდენს რა აღებული საკითხის ფართო და ღრმა ანალიზს, წერს: „ერთი მხრივ, გიგანტური ფარგლები ფინანსური კაპიტალისა, რაც თავმოყრილია მცირეოდენთა ხელში და ქმნის კავშირურთიერთობის არაჩვეულებრივად ფართოდ გაშლილ და ხშირ ქსელს, რომელიც უმორჩილებს მას არა მარტო მრავალ საშუალო და წვრილ, არამედ აგრეთვე უწვრილეს კაპიტალისტებსა და მეპატრონეებს, ხოლო, მეორე მხრივ, გამწვავებული ბრძოლა ფინანსისტთა სხვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ჯგუფებთან მსოფლიოს განაწილებისა და სხვა ქვეყნებზე ბატონობისათვის, — ყოველივე ეს იწვევს ყველა მქონებელი კლასის პირწმინდად გადასვლას იმპერიალიზმის მხარეზე. „საყოველთაო" გატაცება მისი პერსპექტივებით, იმპერიალიზმის გააფთრებული დაცვა, მისი ყოველნაირად შელამაზება — ასეთია დროების ნიშანი"[1].

ასეთი მდგომარეობაა რუსეთშიც და საქართველოშიც. შეძლებულთა და ღარიბთა შორის ბრძოლა გამწვავებულია. ცხოვრების უსა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, ტ. 22, გვ. 360.

მართლო საფუძვლების წინააღმდეგ ბრძოლა გააფთრებულ ხასიათს იღებს. ამ ატმოსფეროში სუნთქავს და მოღვაწეობს ვაჟა-ფშაველაც.

საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწესრიგებლობით გამოწვეული უკმაყოფილება, სევდა, ნაღველი და ზრუნვა, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ვაჟა-ფშაველასათვის, როგორც ეს დამახასიათებელი იყო მისი თაობის მოწინავე მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთათვის, ფრიად მტანჯველი იყო მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე. განსაკუთრებით ეს გამახვილდა XIX საუკუნის მიწურულში და XX საუკ. დასაწყისში.

არსებული ცხოვრების პირობებისა და რაობის მიუღებლობით აიხსნება, რომ ვაჟა-ფშაველა გამუდმებით და ენერგიულად ოპოზიციაში ედგა არსებულ ბიუროკრატიულ რეჟიმს, რომელშიც, მწერლის დაკვირვებითა და ღრმა რწმენით, გამეფებულია უსამართლობა, ძალმომრეობა, ჩაგვრა და ამ ნიადაგზე გავრცელებული — ცბიერება, გაუტანლობა, მავნებლობა, მტრობა და შური.

ვაჟა-ფშაველას, როგორც რეალისტ მწერალს, თავისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიაჩნია მკითხველს გარკვევით აჩვენოს და აგრძნობინოს, ერთი მხრით, არსებული ცხოვრების ყალბი მიუღებელი საფუძვლები, ხოლო, მეორე მხრით, რა უნდა დაედვას საზოგადოებრივ ცხოვრებას საფუძვლად, რომ ადამიანის სიცოცხლე და მოქმედება წარიმართოს სალი, ბუნებრივი, სამართლიანი გზით, რომ ადამიანისათვის ცხოვრება სიამოვნებისა და დაკმაყოფილების ასპარეზად გადაიქცეს. ამ ამოცანის შესრულება კი მოითხოვდა არსებული მდგომარეობის მკაცრ კრიტიკას, განქიქებასა და უკეთესი, ჯანსაღი, სამართლიანი ცხოვრების ჭეშმარიტი საფუძვლების ჩვენებას. ეს კი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მწერლის ეპოქის პოლიტიკურ პირობებში მეტად სახიფათო და ხშირად შეუძლებელიც ხდებოდა.

სწორედ ამ გარემოებითაა გამოწვეული XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში, როგორც დამახასიათებელი სტილიური ნიშანი, ფართოდ გამოყენება ქარაგმებისა, ალეგორიებისა, სიმბოლოებისა. აგრეთვე გამოყენება ჟანრების — იგავ-არაკებისა, ზღაპრებისა, ძველი ამბებისა ან თქმულებებისა (ეს ტრადიცია ქართულ ლიტერატურაში განამტკიცეს ილ. ჭავჭავაძემ, აკ. წერეთელმა და მათმა მიმდევრებმა). თავის ღროზე ეს სტილიური ნიშანი მკითხველს კარგად ესმოდა, იგი მკითხველის გრძნობასა და წარმოსახვას უფრო ინტენსიურად ამოქმედებდა. მკითხველი მწერლის მიზანდასახულობას, ნაწარმოების დედა-აზრს კარგად ხვდებოდა.

ვაჟა-ფშაველამაც თავისი მხატვრული შემოქმედებისათვის ამავე ტრადიციას მიმართა. აღნიშნული პოეტური ხერხებიც ფართოდ გამო-

იყენა საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების საფუძვლების ძიება-ჩვენებისათვის. საზოგადოებრივი ცხოვრების მძიმე პირობებითაა გამოწვეული ვაჟა-ფშაველას მრავალი ნიჭიერი ლექსი, პოემა და პროზაული ნაწარმოებიც. მთის მგოსანი საზოგადოებრივ მოვლენათა თვალსაჩინო გაშლისათვის ხშირად მოხერხებულად იყენებს ბუნების მოვლენათა რეალური ურთიერთობის დახატვას. ბუნების მოვლენები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ხშირად მხოლოდ ნიჭიერი და დამაჯერებელი ალეგორიისა ან სიმბოლოს როლს ასრულებს.

ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთ თავის წერილში „რამე-რუმე", როგორც ფხიზელი გუშაგი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მისი ცვლილებებით მძლავრად დაკოდილი, წერს: „რანი ვართ, რას ველტვით, რა ძალი და ღონე გვაქვს გულისა და ტვინისა, მაინც კი საჭიროა ვიცოდეთ, — უნდა აწონილი, შეგნებული გვქონდეს საით, რაზე მივაპყროთ ჩვენი ძალ-ღონე ამ შემთხვევაში ხელოვნება უნდა მოგვეშველოს"[2].

ვაჟა-ფშაველასათვის მიუღებელია არსებული საზოგადოებრივი წყობა, მასში განმტკიცებული კაცთა შორის ურთიერთობა.

ასეთი შეხედულების თანახმად ის თავის შემოქმედებაში ფართო სურათს იძლევა არსებული ცხოვრების მახინჯი, მიუღებელი. ადამიანისათვის მავნებელი მოვლენებისა და აგრეთვე მიგვითითებს იმ მოვლენებზე, ცხოვრების იმ საფუძვლებზე, რომელთა განმტკიცებისაკენ უნდა მივისწრაფოდეთ, თუ გვინდა შეიქმნეს ადამიანისათვის დამაკმაყოფილებელი, აზრიანი, ბედნიერი ცხოვრება.

ვაჟა-ფშაველას მიერ ამის გაგება და ახსნა-ჩვენება არის ამ თავის ძირითადი ამოცანა.

ავიღოთ მოთხრობა „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა". მუდამ მდუმარედ კაცთა ცხოვრების თვალყურისმგდებელი შავი კლდე, კაცს იძულებითი გამოწვევით, ასე ახასიათებს კაცთა უმსგავს, ცბიერ ცხოვრებას: „რას ეძახით კაცნი ბოდიშს? — ერთგვარი მწარე და უკმაყოფილო განცდით ეკითხება კლდე მოკიჟინე კაცს და თვითონვე ასეთს შეკასებას იძლევა, — „ვიცი, ვიცი... ერთმანეთს სულ მუდამ-დღე გამარჯვებას ეუბნებით ენით, ხოლო საქმით ერთურთის დაღუპვაზე სდგეხართ. კლდე იმით არის კლდე, რომ ენას არ ალაკლაკებს წაღმა-უკუღმა. როგორ გაგეხარდებოდა, როგორ მადლობელი იქნებოდი... შენს „გამარჯვებაზე" გაგიმარჯოს, შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე, თავს შემოგევლეო, რომ მეთქვა, არა?.. არ გესმის, გამოუცდელი ხარ, ჯერ ბევრი რამ გაკლია"[3].

---

[2] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, რამე-რუმე, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

[3] მ ი ს ი ვ ე, კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა, თხზ., ტ. VI, 1939 წ., გვ. 21.

ცხადია, კლდის სახით ვაჟა-ფშაველა ხატავს დაკვირვებითა და გამოცდილებით გამობრძმედილს კაცს, რომელსაც გონებისა და გულის თვალით ბრძნულად, გულისყურით აუწონ-დაუწონია ცხოვრების ორომტრიალი ან, როგორც თვით პოეტი იტყოდა, „სოფლის უკუღმა ტრიალი“, და კაცთა მუხთალი ცხოვრების შესახებ ასეთი, თუმცა ჭეშმარიტი, მაგრამ სამწუხარო, მძიმე დასკვნა გამოუტანია.

ვაჟა-ფშაველა ილ. ჭავჭავაძის სკოლის მწერალია. მასაც ილ. ჭავჭავაძესავით უყვარს საკითხის გაშიშვლება, საკითხის გახსნის ბოლომდე დაყვანა, რომ ნაწარმოების, მისი თემის აზრი, იდეა ყოველ მკითხველამდე დავიდეს. ასეთია ვაჟა-ფშაველა კერძოდ ამ მოთხრობაშიც.

კლდის მიერ ადამიანთა აღნიშნული საქციელის დახასიათებით გაკვირვებული კაცი შეეპასუხება მას. კაცთა ბოდიშს ის ხსნის ზრდილობის მოთხოვნილებით, რაზედაც კლდე მწარე ღიმილით შემდეგ მკაცრს, მაგრამ უდავოდ სამართლიან განმარტებას აძლევს კაცთა ზრდილობას (კლდის პირით, ეჭვს გარეშეა, თვითონ ვაჟა-ფშაველა ლაპარაკობს):

„უზრდელთ ვინ მოგცათ ზრდილობა?! — აღელვებით ამბობს კლდე, — ერთმანერთს სჭამთ, ერთმანერთსა ჰყლეტთ. ვითომ კლდე ბრიყვია, არ იცისო, გგონიათ? ვიცი, ყრმაო, ვიცი! დიდი ხანია აქედან დავყურებ ქვეყანას.. რაც იქ სისხლი და ცრემლი დაღვრილა და იღვრება, აქ ჩემს გულში გუბდება, აქა გროვდება... უნდა გაიცნოთ ჩემი გული, უნდა ჩაიხედოთ შიგ, იქნება მაშინ აღარ... შემიჯავროთ“[4].

ვაჟა-ფშაველას სურს ცხოვრებაში არსებული ბოროტება, ადამიანთა ურთიერთობის სიყალბეზე აღმოცენებული, გააშიშვლოს. ამისათვის დიალოგს კლდესა და კაცს შორის მოხერხებულად შემდეგნაირად აგრძელებს.

კლდეს უნდა მოსაუბრე კაცს გააგებინოს, რამ აიძულა ის ასეთ უსიტყვო პირქუშად გადაქცეულიყო. კლდე უამბობს მას, თუ რამდენი უბედურებისა და უსამართლობის მნახველი და მოწმეა. მისი ჩვეულებრივი ხვედრია იყოს უბედურთა თანამგრძნობი და თანაზიარი. მოვუსმინოთ თვითონ კლდეს: „თუ ვინმე სასოებამიხდილი, თავმობეზრებული დამადგება თავს და ამბობს: აქედან უნდა გადავვარდე, რომ მოვრჩე ტანჯვას, მოვისპო სიცოცხლეო, — თვალებსწინ საზარელს სურათს დავუყენებ სიკვდილისას, ვაგრძნობინებ — ნუო; დაიშლის — ხომ კარგი, არა და ჩემს კალთაზე სიკვდილს ჰპოვებს. იმის სულის დალევის წამი გულში ჩამეწვეთება და ტანჯვად მექცევა. დიდი ტანჯვის მტვირთველი ვარ, იმიტომ მუდამ მუნჯი, მუდამ პირქუში ვდგევარ, არ არის ჩემთვის მოსვენება, არ ვიცი, ლხინი რასა ჰქვიან“[5].

---

[4] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა, თხზ., ტ. VI, გვ. 21.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 21—22.

ახალგაზრდა კაცზე კლდის სიტყვები გავლენას ახდენს, ის თხოვს — კლდემ აიდგას ფეხი, ჩადგეს კაცთა შორის, ამცნოს მათ თავისი ასეთი შთამაგონებელი სიტყვა, რაც ხალხს გამოაფხიზლებს, გამოასწორებს, გარდაქმნის, საღი ცხოვრების გზაზე დააყენებს. ეს კი, ახალგაზრდის განცხადებით, დიდად საჭირო და კარგი საქმე იქნება. ამახე სკეპტიციზმით შებოჭილი კლდე (ეს სკეპტიციზმი რეაქციის ხანაში, 90-იან წლებში, დამახასიათებელი იყო რუსი და აგრეთვე ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილისათვის — დამახასიათებელი იყო ამ პერიოდში თვით ვაჟა-ფშაველასათვისაც) ასე უპასუხებს: „კიდევ არ იცი, გამოუცდელი ხარ... ძალიან ცოტა ხნის გამარჯვება მექნებოდა, ბოლოს, ისევ ცილისწამება. მეძავობა, შური იჩენს თავს... ეგრე რომ არ იყოს, ეგ ზნე რომ არ ვიცოდე კაცისა, დღესვე მთელი ქვეყნის თვალწინ გავფენდი, რაც კაცობრიობას ცოდვა ჩაუდენია, რაც შეცდომა მოჰსვლია, რაც საცოდაობა დატრიალებულა დედამიწის ზურგზე, მაგრამ ამაო შრომა იქნება“[6].

ასეთია რეაქციის ხანაში ვაჟა-ფშაველას სკეპტიკური დამოკიდებულება ადამიანისადმი, რომელსაც ვერ გაუგია, აღარც უნდა გაიგოს ცხოვრების „უკეღმა ტრიალის“ ბუნება, როცა ცხოვრების სათანადოდ გარდაქმნის ნდომა თითქოს შენელებული აქვს.

ადამიანთა ცხოვრების მოუწესრიგებლობისა, ადამიანთა შორის ცბიერებისა და დაუნდობლობის შესახებ ვაჟა-ფშაველას შეხედულება მკვეთრადაა ასახული აგრეთვე მოთხრობაში „ირემი“. აქაც ადამიანი დახასიათებულია როგორც ცბიერი, ანგარებიანი არსება, რაც ცხოვრებას ამახინჯებს, უსამართლოდ და აუტანლად ხდის. „ასეა ადამიანის ბუნება, — აღელვებული დასევდიანებული კილოთი გვეუბნება მწერალი, — ბევრჯელ ისეთს რასმე ამბობს, რის წინააღმდეგი არ შეიძლება იყოს; მაინც ამბობს სათვალთმაქცოდ, რათა ერთიმეორეს ეჩვენოს კეთილმოწყალე და ქველ ადამიანად“[7].

ვაჟა-ფშაველა ადამიანების და მათ შორის ურთიერთობის ასეთი დახასიათებით არ კმაყოფილდება. მას სურს მკითხველს ცოცხალი სურათი აჩვენოს ცხოვრებაში გაბატონებული უსამართლობისა, ცბიერებისა, ანგარებიანობისა. მოთხრობაში „ირემი“ ასახულია ადამიანთა ჩოჩქოლი, უკმაყოფილება. თვით ადამიანები წუხან, რომ „აღარ არის სიმართლე“ კაცთა შორის. აი, თითქოს, კაცთა ამ კანონიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოჩნდება მქადაგებელი, რომელიც ხალხში დადის და ჩასჩიჩინებს მას: „აღვადგინოთ, ხალხო, სიმართლე! უსამართლობა დაგვღუპავს, ქვეყანა წახდება: სიცოცხლეს, ცხოვრებას

---

[6] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა, თხზ., ტ. VI, გვ. 22.

[7] მ ი ს ი ვ ე, ირემი, თხზ., ტ. VI, 1939წ., გვ. 125.

ლაზათი დაეკარგა, ცოდვა გამრავლდა... აღვადგინოთ სიმართლე"[8]... ხალხიც ერთბაშად მაღალი ხმით აგუგუნდა მქადაგებლის ხმაზედ. „ყველა, — სარკასტული ტონით გადმოგვცემს მწერალი, — დიდი და პატარა, ჭკვიანი და უჭკუო სიტყვით თანხმობას აცხადებდა სიმართლის აღსადგენად, წინააღმდეგი არავინ იყო, არავინ"[9]. აქ ვაჟა-ფშაველას, რა თქმა უნდა, მხედველობაში აქვს 1905 წლის რევოლუციის პერიოდში გამოვლინებული საერთო აღმავლობა, რომელსაც მალე მოჰყვა რეაქცია, რომლის გავლენითაც საზოგადოების საგრძნობი ნაწილი ადვილად მოიღუნა და ძველ გზას მიუბრუნდა.

ვაჟა-ფშაველა კარგად იცნობს ცხოვრების სინამდვილეს, მას დიდი უშუალობით განიცდის. ის კარგად გრძნობს, თუ კაცთა, ძალაუფლების მქონეთა ასეთ თანხმობაში რამდენი სიყალბეა, ფარისევლობა.

ასეთი გარემოებით აღშფოთებულ მწერალს სურს ამ ცხოვრებასა და ადამიანის თვალთმაქცობის ნიღაბი ჩამოგლიჯოს და ასე ახასიათებს კაცთა ამ თანხმობას სიმართლის აღსადგენად: „აღდგენა სიმართლისა ყველას თავისებურად ესმოდა: ღარიბს და მშიერს თუ იმიტომ უნდოდა სიმართლის აღდგენა, რომ გამძღარიყო, გამთბარიყო, კარგად მოეწყო თავისი ცხოვრება, არც მდიდარი ბრძანდებოდა თავის დაცვის და შენახვის ფიქრთან უკაცრავად. მდიდარიც ფიქრობდა: აღდგეს სიმართლე, ხოლო ჩემს სიმდიდრეს მოემატოს და ნურაფერი დააკლდება"[10].

აქ ვაჟა-ფშაველა, მართალია, სათანადოდ ვერ ამახვილებს არსებულ წინააღმდეგობას ღარიბსა და მდიდარს, მშიერსა და მაძღარს შორის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის აშკარადა ხედავს, რომ კაცთა ცხოვრების მოუწესრიგებლობის ღერძეული მიზეზი სწორედ ღარიბთა და მდიდართა (ე. ი. კლასთა) საწინააღმდეგო თვალსაზრისი და საწინააღმდეგო ინტერესია. რა თქმა უნდა, მწერალიც თავისი სიმპათიებითა და გულისყურით ღარიბთა, ჩაგრულთა, უფლებააყრილთა მხარეზეა. მწერლის აზრით ამ ნიადაგზეა აღმოცენებული და გაშლილი ცხოვრებაში გაუგებრობა და შეუწყნარებლობა.

მეტად მახვილად ესმის მწერლის გულსა და ყურს ცხოვრებამოწყურებულის, დაჩაგრულის კვნესა და მას მკითხველსაც მახვილად აგებინებს: „უფალო, შეისმინე ეს ჩემი ვედრება, მომეცი წუთისოფელში მეც, ამ საწყალ ცხოველს, მყუდრო ბინა... თუ ეს არ იქნება, ჩემი სიცოცხლე ტყუილია, არარაობაა, ტანჯვაა, ჯოჯოხეთია"[11] — და ეს ხომ, აშკარად, კვნესაა შეკიწროებულ კაცთა, რომელთაც სიცოცხლე სწყუ-

---

[8] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ირემი, თხზ., ტ. VI, გვ. 126.
[9] ი ქ ვ ე.
[10] ი ქ ვ ე.
[11] ი ქ ვ ე, გვ. 127.

რიათ, რომელნიც ადამიანური ცხოვრების სულ მცირე პირობების მოპოვებისათვის იღწვიან, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებული უსამართლობა, ძალაუფლების მქონეთა უადამიანო ძალმომრეობა მათ გასაქანს არ აძლევს, ეს ხომ მათი კანონიერი მოთხოვნილებაა. ასეთია მწერლის გაგება, ასეთი აზრი უნდა მას გაუღვიძოს მკითხველს და, ვფიქრობთ, ის მიზანსაც წარმატებით აღწევს.

ვაჟა-ფშაველა წუხს ცხოვრების ასეთი ჯოჯოხეთური მოწყობილობით. მიუხედავად სკეპტიციზმისა, მას მაინც უნდა გამონახოს ამ მოუწყობლობის მიზეზი, და აგრეთვე უნდა გამონახოს ის საფუძველი, რაც კაცთა ცხოვრებას იხსნის ასეთი მიუღებელი, გამანადგურებელი მდგომარეობისაგან. ამიტომ დაუბრუნდეთ მოთხრობას „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა". კლდის პირით ვაჟა-ფშაველას უნდა ახალგაზრდა კაცს (მკითხველს) მტკიცედ შთააგონოს, რომ სიმართლის თქმა, კაცთა ბიწიერი ცხოვრების მხილება მისი გამოსწორების, გაჯანსაღების მიზნით, ყველას შეუძლიან, ამისათვის მხოლოდ საჭიროა კაცმა, ქვეყანამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, რწმენად გაიხადოს ძველიდანვე თქმული სახელმძღვანელო ცნება: „გიყვარდეთ კაცნო, ერთმანერთი!..." შინა და კარში ეს ხმა უნდა ისმოდეს. პირველი მცნება ეს უნდა იყოს. „დედა, — შთამაგონებლად ამბობს კლდე (რა თქმა უნდა თვით პოეტი), — ამას უნდა ჩასჩიჩინებდეს შვილს აკვანში — ისე გამუდმებით, რომ ეს ჩაძახილი ველარა გზით ვერ ამოიშალოს ადამიანის გულიდან... ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ის პატარა ბუშტი ლეშისა, რომელსაც თქვენ გულს ეძახით, იქცეს ერთ, მხოლოდ ერთ სიტყვად — გიყვარდეს"[12].

აი ეს მაღალი ჰუმანიზმი — „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანერთი!" ვაჟა-ფშაველას ღრმა რწმენით, ის საფუძველია, ის დუღაბია, რომელზედაც აუცილებლად უნდა აღმოცენდეს და განმტკიცდეს ჭეშმარიტი საღი საზოგადოებრივი ცხოვრება. ეს ჰუმანიზმი ავსებს ვაჟა-ფშაველას მთელ შემოქმედებას. ვაჟა-ფშაველა ამ საფუძველს — მოძმისადმი სიყვარულის აუცილებლობას — დიდის დამაჯერებლობითა და შთამაგონებელი ძალით ანვითარებს როგორც პოემებში და ლირიკულ ლექსებში[13], ისე მთელ რიგ მოთხრობებში: „დარეჯანი", „უძმოს ძმა", „უსურვაზის დასჯა", „სათაგური", „გასამართლებული ჩიბუხი" და სხვა. ყველა ამ მოთხრობაში მიმზიდველადაა ნაჩვენები, რომ ურთიერთდახმარებასა და ერთობაში, ბეჩავთა, შეევიწროებულთა შველაშია ადამიანის უდიდესი დაკმაყოფილების ძალა, მისი დანიშნულების ძირითადი მიზანი და გამართლება.

---

[12] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა, თხზ., ტ. VI, გვ. 23.

[13] იხ. ზევით I, II, III და IV თავები.

ნიმუშისათვის ავიღოთ მოთხრობა „უძმოს ძმა“. მოთხრობის მთავარი გმირია ჩალხო. მას სოფელმა მეტსახელად დაარქვა უძმოს-ძმა, რადგანაც ჩალხო დაბეჩავებულს, საწყალს, დაბრიყვებულს, ვინც არ უნდა ყოფილიყო, სრულიად უანგაროდ, ხშირად, ძალიან ხშირად, თავის თავის სავნოდაც კი, თავგამოდებით ეხმარებოდა. „ჩალხო, — გადმოგვცემს ვაჟა-ფშაველა, — ეს უძმოს ძმა, პირადად თავის შეურაცხმყოფელთ ხომ არ ეჩხუბებოდა, — ეს ძალიან იშვიათად მომხდარა, — არა, უძმოს-ძმა სხვის გულისათვის ჩხუბობდა, სხვას ეშველებოდა. როცა კი დაინახავდა, რომ ერთს ორი ან სამი სცემდა, იგი მოსვენებას ჰკარგავდა და, როგორც თვითონ იტყოდა, მაშინ „ეკლებზე იჯდა“. არ მოუთმენდა გული და პირდაპირ გადაირეოდა: დაჩაგრულის ნაცნობობა მისთვის როდი იყო საჭირო. საკმარისი იყო, დაჩაგრული ვინმე ენახა უსამართლოდ, ძალმეტობით, კაცმრავლობით, რომ ჩალხოს თავი გადაედო სასიკვდილოდ[14]...

ვაჟა-ფშაველას, როგორც ცხოვრების სინამდვილის კარგ მცოდნეს, მის რეალურ ფერებში ნიჭიერ ამსახველს, არ უნდა მკითხველს დაუმალოს, რომ ასეთი კეთილი საქმის ჩამდენს საზოგადოება — კაცთა დიდი უმრავლესობა არ იღებს, არ ითვისებს, ვერ აფასებს. ასეთი ადამიანების გაგებამდე, მათ ეთიკამდე საზოგადოება ერთიანად, სამწუხაროდ, ჯერ ვერ ასულა. „ბევრნი, — გადმოგვცემს ვაჟა-ფშაველა, — ამისათვის ჰგმობდნენ (ჩალხიას. — მ. ზ.) და ამბობდენ „უკეთურია, უჭკუოა, ბეჩავია, ეჩრება, საცა არავინ რასა ჰკითხავს; ძალად ჭირსა და ხათაბალას იცვამს თავზეო“[15].

მართალია, ასეთმა ხასიათმა — „უძმოს-ძმობამ“ ჩალხიას ბევრი უსიამოვნება და ზარალიც მიაყენა; ბევრჯელ მისი დედა ცხარე ცრემლით ატირა. ჩალხიას დედა ბევრს არიგებდა. ეხვეწებოდა ასე ნუ იქცევიო: ხშირად აშინებდა — თავს მოვიკლავ, წავალ მამის სახლშიო. მაგრამ ჩალხო, სანამ მუხლი მოსდევდა და მკლავი უჭრიდა, ხელს მაინც არ იღებდა ბეჩავისა და შევიწროებულისადმი ასეთს დახმარებაზე. „რა ვქნა, გული არ იშლის ოხერი-და! — ამბობდა იგი. — ბევრჯელ მინდა თავი მოვარიდო, მაგრამ დაჩაგრულს რომ ვნახავ, ჩემი გული იწვერნებს, მეზიდება, მიმათრევს, აღარა მახსოვს მაშინ აღარც თავი, აღარც სახლი, აღარც დედა, არც ცხოვრება. აი ეგა ვარ... დამშალეთ და მეორედ ამაგეთ!“[16]

ვაჟა-ფშაველას კარგად ესმის, რომ ჩალხოსებრ კაცებს მხოლოდ ასეთი მოქმედება მისცემს სრულ დაკმაყოფილებას. ასეთი მოქმედების

---

[14] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, უძმოს ძმა, თხზ., ტ. VI, 1939 წ., გვ. 111—112.
[15] ი ქ ვ ე, გვ. 112.
[16] ი ქ ვ ე, გვ. 116.

გარეშე ჩალხოსათვის სიცოცხლეს აზრი და მიზანი ეკარგება. ვაჟა-ფშაველამ ისიც კარგად იცის, რომ ჩალხოსებრი კაცები არსებულ, კლასობრივ მოუწყობელ, უსამართლო ცხოვრებაში იშვიათი მოვლენანი არიან; ისიც კარგად იცის, რომ არსებული კაპიტალისტური ცხოვრების პირობებში ჩალხო და მისთანები გაუგებარნი, უცნაურნი, „უკეთურნი", „უჭკუონი", „ბეჩავნი" არიან. მაგრამ, ჩვენი მგოსნის გაგებითა და რწმენით, ნამდვილი კაცის სახელი სწორეთ ასეთს უცნაურთ უფრო ეკუთვნით, ვინაიდან ისინი თავიანთ ხელით ჰკირწყლავენ ეკლიან გზას უკეთესი, ბედნიერი მომავლისაკენ არა პირადად თავისთვის, არამედ საზოგადოებისათვის, დაჩაგრულთა, დაბეჩავებულთა და უფლებააყრილთათვის.

ჩალხოსებური პიროვნებები იმ დუხჭირ ცხოვრებაში პირველი მერცხლები იყვნენ, რომელნიც ხალხს — მასებს გაზაფხულის დადგომის აუცილებლობის იმედს აძლევდნენ, ხალხს აღვიძებდნენ და ანდამატივით იზიდავდნენ ბედნიერი მომავლისაკენ. აქეთკენ იყო ვაჟა-ფშაველას ყურადღება და ინტერესი მიმართული. ამაშია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების თავისებურება, ძალა და მიმზიდველობა. ამითაა ის თავისი დროისათვის დიდი ჰუმანისტი, ამით აიხსნება ის დიდი მიმზიდველი ზეგავლენის ძალა და ცხოველი ინტერესი ფართო მკითხველთა მასებისა, რომლითაც სარგებლობდა და დღესაც სარგებლობს ვაჟა-ფშაველა.

მეტად საგულისხმიეროა ვაჟა-ფშაველას დაუმთავრებელი წერილი „სად არის პოეზია?", რომელშიც, სხვათა შორის, აი რასა წერს ის: „აბა კარგად დაუკვირდით ლამანჩელ აზნაურს დონკიხოტს. შეადარეთ თვით ბუნებასთან, რამდენს მსგავსებას ჰნახავთ მათ შორის. რა არის თვით ბუნება, თუ არა იგივე დონკიხოტი, რომელიც თავ-დაუზოგავად ჰღელავს, იბრძვის, მიისწრაფის ერთხელ არჩეულ, აჩემებულ გზაზე? აზრიგ მაღალი აქვს, ფიქრი კეთილი, მაგრამ შეცდომაც ბევრში მოსდის, უნაკლო არც იგია. რამდენადაც ნიჭიერია მწერალი, რამდენადაც მაღალი და დიდებულია მისი გრძნობა-გონება, იმდენად საკვლებით ჰხატავს იგი ბუნებას არჩეულ ტიპის მეოხებით"[17].

ასეთი სახეა ჩალხო და მრავალი სხვა ვაჟა-ფშაველას მიერ ასახული. ასეთი თავდაუზოგველი იყო ჩალხო, სანამ მუხლი მოსდევდა, მკლავი უჭრიდა. დაბერდა ჩალხო, მაგრამ მას გული ძველებურად სიმართლისათვის, სხვის — ბეჩავის დახმარებისათვის ერჩოდა. ჩალხო სიბერეშიაც იგივე უძმოს-ძმად დარჩა. მართალია, გაჭირვებულს მუშტით ვეღარ ეშველებოდა, სამაგიეროდ, რითაც შეეძლო, ძველებურად

---

[17] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სად არის პოეზია?, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, № 5317.

ეხმარებოდა. გააკეთა საზიარო წისქვილი და ბეჩავთ, დაჩაგრულთ არასოდეს მინდს არ არ'თმევდა, თუმცა მას მოზიარე ამისათვის მუდამ უწყრებოდა. „თუმცა, — გადმოგვცემს ვაჟა-ფშაველა, — ჩალხო დღეს ემღურებოდა წუთისოფელს, სიბერეს, — აღარც თავს ვარგივარ, აღარც ქვეყანასაო, მაგრამ დღეს უკეთესი უძმოს-ძმა იყო. სადაც რამე სარიდი ჭირით მიცვალებული გაჩნდებოდა, ის იყო პირველი მოზარე მკვდრისა და მანუგეშებელი ოჯახისა... დღეს უძმოს-ძმა, თუმცა სამოც წელს გადაცილებულია, მაგრამ კიდევაც არავინ გაიცინებს, რომ ეთქვათ: „შენი ჭირიმე პირშია, — კარგი ხარ გასაჭირშია“[18].

აშკარაა ვაჟა-ფშაველას ამ და ამგვარი სხვა სახეებით უნდა მკითხველს გააგებინოს, შთააგონოს, რომ ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა სხვისადმი დახმარება, სარგებლობის მოტანა, საზოგადოებრივ-კოლექტიური დასაბამის განმტკიცება. ამ საკითხს მტკივნეულად აყენებდა მწერლის თანადროულობა და მწერლის შემოქმედებაშიც ამ ტკივილის მძლავრი გამოძახილი გვესმის.

ვაჟა-ფშაველა ფხიზლად აკვირ'დებოდა ცხოვრებას. ის აშკარად ხედავდა, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ინდივიდუალური დასაბამი ძლიერდებოდა, რომ ცხოვრებაში პირადი ინტერესი და მისი დაცვა ყველაფრის შემწირველ და წამყვან ძალად გადაიქცა. დაირღვა საზოგადოებრივი, კოლექტიური დასაბამი, რაც, მართალია პრიმიტიული, უხეში სახით, მაგრამ მაინც არსებობდა თემურ წყობილებაში. „ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის“, რაც თემს ამოძრავებდა და აწესრიგებდა, ვაჟა-ფშაველასათვის დადებითია, მიმზიდველია, საღია. თემი სწორედ ამ კოლექტიურ'ი დასაბამით იზიდავდა ვაჟა-ფშაველას. რა თქმა უნდა, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, თემური ყოფის მთლიანი ძველი შინაარსით შენახვა დაცვა ვაჟა-ფშაველასათვის უკვე განვლილი ეტაპია („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველის მჭამელი“ და სხვ.).

მკითხველისათვის ცხადია, რომ, ვაჟა-ფშაველას რწმენითა და დახატვით, კაცს სიცოცხლე იმდენად უღირს, რ'ამდენადაც ის საზოგადოებისათვის — კოლექტივისათვის სარგებლობის მომტანია; უამისოდ სიცოცხლე ცარიელია, უაზროა, მეტი ბარგია.

ასეთი შეხედულება ვაჟა-ფშაველას მრავალ ნაწარმოებში აქვს ასახული და, კერძოდ, ალეგორიულ მოთხრობაში „ვერხვი“.

ვერხვი უკმაყოფილოა თავისი განმარტოებული მდგომარეობით. „რასა ჰგავს ჩემი უმადლო სიცოცხლე, რ'ას ვაკეთებ ამ ფრიალო მთაზე მარტოდ მარტო? თუ ვერაფერს გავიგონებ, ვერავის გავაგებინებ,

---

[18] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, უძმოს-ძმა, თხზ., ტ. VI, გვ. 119—120.

ვერავის გავახარებ და თვითონაც ვერ გავიხარებ, ეს ხომ მკვდარი სიცოცხლეა?"[19]

ვერხვი (თვით მწერალი და, მისი გაგებით, ყოველი გონიერი ადამიანი) განდგომილ, უმოქმედო, მშვიდ ცხოვრებას ვერ ეგუება. ის ამჯობინებს სხვებთან ერთად, თავისიანებთან თუნდაც ვაი-ვაგლახში, შეიწროებაში ყოფნას. „ამომფხვერი აქედან, — ეუბნება ვერხვი გამჩენს, — და გადამაგდე იმ ჩემ ძმებთან, ტყეში, დეე, იქ მოვკვდე, იქ დავლპე, დავმიწდე იმათ კალთაზე; თუ ცრემლს არ მაღირსებენ, ქოქოლას ხომ დამაყრიან და დამწყევლიანო"[20].

ვერხვი, ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, კაცთა იმ კატეგორიას გამოხატავს, რომელიც თავის დანიშნულებას მოძმისადმი სიკეთის მოტანაში ხედავს, რომელიც საზოგადოებას უანგაროდ უნდა ემსახურებოდეს, რომელიც წუხდება, იტანჯება, როცა ამ დანიშნულებას ღირსეულად ვერ ასრულებს, რომელიც კვდება და თავის სიკვდილითაც მოაქვს სხვებისათვის სარგებლობა.

ვაჟა-ფშაველასათვის, როგორც ილ. ჭავჭავაძისათვის („განდეგილი", „მგზავრის წერილები"), მიუღებელია განდგომილი, განმარტოებული ცხოვრება. ასეთს ცხოვრებაში, ამ მწერლების აზრით, კაცი დაკმაყოფილებას, სრულ სულიერ სიმშვიდეს ვერ მიიღებს, ვინაიდან სიცოცხლის არსი და დასაბამი — მოქმედება, სიკეთე, სიყვარული, დახმარებაა.

დაჩაგრულის, დაცემულისა და დაზარალებულისადმი დახმარების იდეა მოცემულია ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში „გასამართლებული ჩიბუხი".

ღარიბი გლეხი ღვთისუნელი ძალიან ეტანება ჩიბუხს, პირიდან გამოუღებელი აქვს.

მეზობელმა ბუთლიამ მისული სტუმარი ღვთისუნელი აღარ გაუშვა, დაიპატიჟა, დაალევინა, ღამეც აღარ გაუშვა, დატოვა, რადგანაც გვიანი იყო. ღვთისუნელი, მისი სურვილისამებრ, საბძელში დააწვინეს. ღვთისუნელმა ჩვეულებისამებრ ჩიბუხის მოწევა არ დაიშალა. ჩაეძინა, ჩიბუხი გადაუვარდა, საბძელში ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა საბძელი, ბზე, გოდორი ცხრა-ათი კოდი ქერით.

ღვთისუნელიცა და ბუთლიაც სასოფლო სამსჯავროს წინაშე ფაქტს სიმართლით აღნიშნავენ, ბრალს ერთიმეორეს მთლიანად არა სდებენ. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება; ბუთლია მძიმედაა დაზარალებული. სასოფლო სასამართლოს, მეზობელ ზურაბას პირით, სამართლიანი განაჩენი გამოაქვს: „კაცებო, — გამოაქვს მსჯავრი ზურაბს, — რო შაძლება და ღონე ჰქონდეს, თუ მთელი ზარალი არა, იმის ნახევარი მაინც

[19] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ვერხვი, თხზ.. ტ. VI, 1939 წ., გვ. 37.

[20] ი ქ ვ ე, გვ. 38.

უნდა ღვთისუნელისათვის გვეზღვევინა, რადგან იმის გაუფრთხილებლობის ბრალია ამ კაცის ზარალი. მაგრამ რადგან ღვთისუნელიც საწყალი კაცია, ჩვენი ვალია ყველასი დავეხმარნეთ ჩვენს ძმას, ჩვენს მეზობელს... რითაც ვის შეგვიძლიან, იმით შევეწივნეთ, გავიყვანოთ ეს კაცი იოლად... ამისთანა საქმე დღეს ამის თავს არი, ხვალ ჩვენს თავზე იქნება. მიჩუქებია ერთი თივა და ერთი ტვირთი ჩალა; როცა გინდა, მოდი, ძმაო, და წამაიღე". — „გიშველა ღმერთმა! — გაისმა ხალხში ხმა: — მეც მიჩუქებია ერთი თივა... მეც, მეც, მეც... ამ სიტყვებმა, — კმაყოფილებით გადმოგვცემს მწერალი, — როგორც მილით გაყვანილმა წყალმა, მორწყო მთელი გუნდი ხალხისა"[21].

ასეთი ადამიანური თანაგრძნობის გზით ყველა დაკმაყოფილებულია, ბუთლიაც მადლობელია — დაზარალებული ოჯახი აღდგენილია. ამაშია სოფლის, თემის ტრადიციის ჯანსაღი, სამართლიანი დასაბამი, რასაც ვაჟა-ფშაველა ასე მძლავრად ებღაუჭებოდა, რომლის გავლენისაგანაც ის ვერ განთავისუფლდა, რომლის მაღალ საფეხურამდე განვითარებაზე ოცნებობდა და ამის გამო ხშირად ვერ ხედავდა სოფლის — თემის ტრადიციების დრომოჭმულობას.

ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, ადამიანის სიცოცხლეს ძალას, შნოს და მიმზიდველობას შრომა და სიყვარული აძლევს. „იშრომე, იშრომე! ეგ არის ჩემი ანდერძი: ეგ იქნება მხოლოდ წამალი შენი დარდისა და ვარამისა"[22], — ანდერძსავით შთააგონებს თავის მკითხველთა ფართო წრეს ვაჟა-ფშაველა მოთხრობით „ოცნება".

მწერლის შეგნებით, სიყვარული და შრომა მოძმისადმი დახმარებაში, საქმით უნდა გამოვლინდეს.

ვაჟა-ფშაველასათვის სიყვარულისა და დახმარების იდეა იმდენად არსებითია, იმდენად ფართოა, რომ მას დახმარების, სიყვარულისა და თანაგრძნობის გაწევა საჭიროდ, აუცილებლად მიაჩნია ყველასადმი, განურჩევლად ეროვნებისა. „კაცი სულ კაცია, რა რჯულისაც არ უნდა იყოს," — გამოსთქვამს ვაჟა-ფშაველა თავის შეხედულებას პაპას პირით მოთხრობაში „პაპას მსოფლიო ფიქრები". კაცთმოყვარეობის ასე ფართოდ გაგება და მკითხველის მისდამი მოწოდება, რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველას უფრო მიმზიდველი შარავანდედით მოსავს.

* * *

ვაჟა-ფშაველას სიყვარული ადამიანისადმი, მისდამი დახმარების აუცილებლობა და ამ დახმარების სათანადო შედეგებისათვის ხშირად

---

[21] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, გასამართლებული ჩიბუხი, თხზ., ტ. VI, 1939 წ., გვ. 283.

[22] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ოცნება, თხზ., ტ. VI, 1939 წ., გვ. 78.

გაერთიანებული ბრძოლის აუცილებლობაც მის შემოქმედებაში 1905 წლის რევოლუციის პერიოდში და მის შემდეგ დაწერილ ნაწარმოებებში უფრო მკვეთრადაა გამოვლინებული.

1905 წლის რევოლუციის აღმავლობამ, მუშათა და გლეხთა დარაზმულმა მზადებამ და გამოსვლამ რევოლუციაში, უდავოდ, საგრძნობლად გაამახვილა მთის მგოსნის რევოლუციურ-დემოკრატიული განწყობილება. ვაჟა-ფშაველას აღნიშნული პერიოდის ნაწარმოებებში ცხადად გასდევს ავტორის ღრმა რწმენა — მხოლოდ გაერთიანებული ძალითა და ბრძოლით შეიძლება იქმნას მიღწეული თავისუფლება და ბედნიერი ცხოვრება.

მოთხრობაში „უსურვაზის დასჯა“ (ალეგორიული ჟანრის) უსურვაზის სახით ბიუროკრატიული ძალა და მმართველობაა განსახიერებული, ხოლო ხეები — გამოღვიძებული ხალხის ფენებია — უსურვაზი უხეშად ავიწროებს ნორჩ ხეებს, მათ ზრდის შესაძლებლობას არ აძლევს. ტყე ზიანდება. ხეები თათბირობენ, როგორ ამოფხვრან უსურვაზი, რომ მისი თესლი და ხსენებაც კი სამუდამოდ მოსპონ და, ყოველი მოსალოდნელი ხიფათის თავიდან აცდენის მიზნით, თავიანთი გადაწყვეტილება იმავე ღამეს სისრულეში მოიყვანონ. ხეებმა ბრძოლის შემდეგი გადაწყვეტილება გამოიტანეს: „წიფელმა, ვერხვმა და მუხამ დაჰხარონ ტოტები, ჩაავლონ ხელი, ასწიონ და ამოჰგლიჯონ ძირიან-ფესვიანად, რადა მის შემდეგ აღარავინ ჰნახოს ტყის შემაძრწუნებელი პარაზიტი. ასეც მოიქცნენ, — განაგრძობს მწერალი, — დასწვდენ სამივენი ტოტებით, ზოგმა სად ჩაავლო ხელი, ზოგმა სად, და ასწიეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ“[23].

მოთხრობა „უსურვაზის დასჯა“ ვაჟა-ფშაველას დაწერილი აქვს 1907 წელს. აქედან, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, აშკარაა, რომ ვაჟა-ფშაველას 1905 წლის რევოლუციის შემდგომ რეაქციის ხანაშიც შერჩა მეამბოხე, ოპოზიციური განწყობილება. მწერლის რწმენა, რომ გაერთიანებული რევოლუციური მოძრაობა ხალხის გათავისუფლებისათვის აუცილებელი მოთხოვნილებაა, — შემდეგაც ამოძრავებდა და მისთვის, როგორც პრაქტიკულ მოქმედებაში, ისე მხატვრულ შემოქმედებაში წამყვანი დარჩა.

უსურვაზის სახით ვაჟა-ფშაველა, ცხადია, ხატავს საზოგადოებრივი ცხოვრების პარაზიტს — „ცარიზმს“, პრივილეგიურ კლასს, რომელსაც რევოლუციამ სასტიკი ბრძოლა და წინააღმდეგობა გაუწია. უსურვაზის უკმაყოფილებაზე ტყის მიმართ — „გაგიჟირდათ ამოდენა ტყეს საწყალი უსურვაზის შენახვა? უმადლონო, უსამართლონო!“ — ტყის (ხალხის) სახელით ვერხვი აი რას უპასუხებს: „როგორ თუ უსამართ-

---

[23] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, უსურვაზის დასჯა, თხზ., ტ. VI, 1939 წ. გვ. 142.

ლონო და უმადლონო? გვლანძღავ კიდეც? მაშ მადლი და სამართალი ის არის, ჰამო ჩვენი ძმები, ჩვენი შვილები: დღეს ერთი, ხვალ სხვა, ხვალზეით კიდევ სხვა? საიდან მობრძანებულხარ მაგ სამართლის პატრონი?! თუ კი ჩვენ ასიათასი ვცხოვრობთ ჩვენი ოფლით და შრომით, ვჯერვართ იმას, რასაც დედამიწა გვაძლევს, შენც უნდა დასჯერდე; თუ არა და უნდა აღიგავო პირისაგან ქვეყნისა, როგორც მავნე წევრი ტყისა, სადაც სთესია მხოლოდ მადლი და სიწმინდე"[24].

ცხადია, ეს დამახასიათებელი და ჭეშმარიტი პასუხი იყო შეერთებული, ამბოხებული ხალხისა რეაქციისა და რეაქციონერების წინააღმდეგ, რასაც, რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველა არამც თუ თანაუგრძნობდა, არამედ აქტიურად იზიარებდა, აქტიურად აღვიევებდა თავისი კალმითა თუ პრაქტიკული მოღვაწეობით.

ვაჟა-ფშაველას ამ პერიოდის შემოქმედება ხაზგასმით უტრიალებს გაბედული და მოქმედი პიროვნების განსახიერებას. როგორც რევოლუციის აღმავლობის ეპოქისათვის, ისე ვაჟა-ფშაველასათვის დამახასიათებელია ლოზუნგი — „გაბედული, კაცნიერი აღწევს მიზანს". მართლაც, განსაკუთრებით გარდამავალ ხანებში კაცი, რაც უნდა ნიჭიერი, განათლებული იყოს, თუ ის გაბედული, კაცნიერი არ არის, სათანადოდ ვერ გამოადგება ქვეყანასა და ხალხს წინმსვლელობის საქმეში; ის შემბორკავ ჯებირს, დრომოჭმულ ტრადიციებით განმტკიცებულს, ვერ გაარღვევს, ცხოვრების ახალ გზას ვერ გაკვალავს. ამიტომაა, რომ გაბედული, კაცნიერი, შეუპოვარი იწვევს ხალხის სიმპათიას, მიმზიდველობას. გაბედულს და შეუპოვარს უჩნდებიან მიმდევარნი.

ასეთი შეხედულება ვაჟა-ფშაველას დიდი სიცხადითა აქვს მოცემული თავის შემოქმედებაში. ნიმუშისათვის ავიღოთ მისი ალეგორიული მოთხრობა „სათაგური" (თაგვებში, რა თქმა უნდა, იგულისხმებიან ადამიანები).

ფიცხელა გაბედული, ნიჭიერი, ინიციატივის მქონე და კაცნიერი თაგვია. ის ტყვეობაშიც (ხაფანგში) არა კარგავს გაბედულის, შეუპოვრის სულისკვეთებას. ფიცხელას ასეთი განწყობილება სხვა თაგვებშიც იწვევს შესაფერ გაბედულებასა და ინიციატივას (კუდა, ცქმუნა, ფხორა და სხვ.). თაგვების (ცქმუნასი, ფხორასი, კუდასი, ნემსასი) დიფერენცირებული დამოკიდებულება ფიცხელასადმი, გამოვლინებული მათ ბჭობაში, ნიჭიერსა და დამახასიათებელ ხაზებში გვიხატავს რეაქციის ხანაში საზოგადოების სხვადასხვა ფენის ფსიქოიდეოლოგიას და დამოკიდებულებას რევოლუციური მოძრაობისადმი.

ფიცხელას შეუპოვრობით გამხნევებული თაგვები, კუდას წინადადების თანახმად, გადაწყვეტენ გაერთიანებული ძალით გაათავისუფ-

---

[24] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, უსერვაზის დასჯა. თხზ., ტ. VI, გვ. 141.

ლონ ფიცხელა, რისთვისაც მათ განიზრახეს სათაგურის გადაკარგვა. მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ეს შეუძლებელი იყო, მაინც შეეცადნენ. მართლაც, მიზანს მიაღწიეს. ფიცხელა გათავისუფლდა, რადგანაც თაგვების გაერთიანებულმა ამგვარმა ცდამ, შებრალებამა და თანაგრძნობამ ესტატეს გული მოიგო. „ეგ თაგვიც, — ამბობს ესტატე, — ალბათ, რითიმე შესანიშნავია, რომ თავის თანამოძმეთა თანაგრძნობა მოუპოვებია. ხომ ნახეთ, როგორ ეშველებოდნენ თაგვები და უნდოდათ მისი განთავისუფლება, უნდა გავანთავისუფლოთ"[25], — მოითხოვს ესტატე და ეფემიაც (ცოლი ესტატესი) იძულებული შეიქმნა ფიცხელა გაეთავისუფლებინა.

ასეთი იყო ტიპიური განწყობილება რევოლუციური მოწინავე საზოგადოებისა, მშრომელი მასებისა და მკაფიო კარნახიც 1905 წლის რევოლუციის ხანისა. ეს ის ხანაა, როდესაც ძველი ქვეყნის, მეფის რუსეთის ამღვრეულ, აბობოქრებულ ცხოვრებაში ძალმომრეობის, შრომისა და პიროვნების ძარცვისა და ტყვეობის წინააღმდეგ ატეხილი ბრძოლის განსამტკიცებლად რუსეთის რევოლუციის გრიგალამ — გორკიმ, ვაჟა-ფშაველას თანამედროვემ გაღვიძებული და ბედნიერი მომავლისათვის გამზადებული მშრომელი ხალხის გულის სიღრმიდან აღტყინებული ამოძახილი გამოხატა ეპოქისათვის დამახასიათებელი გმირული სიტყვებით — „Безумству храбрых поём мы славу!".

მაქსიმ გორკისა და ვაჟა-ფშაველას განწყობილებები ანალოგიურია, მსგავსია, მათი ტკივილებისა და აღტყინების წყარო საერთოა — ძველი ქვეყნის, მეფის რუსეთის საზოგადოებრივი ურთიერთობის მოუწესრიგებლობა, მიუღებლობა და მისი გარდაქმნის აუცილებელი და გადაუდებელი მოთხოვნილება. საგულისხმიეროა, რომ ვაჟა ფშაველას ეს განწყობილება რჩება რეაქციის ხანშიც, როცა დაწერილია მოთხრობა „სათაგური" და სხვები. და თუ ვაჟა-ფშაველას არ ახასიათებს ისეთი რევოლუციური სიმკვეთრე, სიმტკიცე, ის გარკვეული პერსპექტივა რევოლუციონური ბრძოლისა, როგორც მაქსიმ გორკის, ეს იმიტომ, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, რომ მაქსიმ გორკიმ შეძლო თავის მოქმედება მჭიდროდ, ორგანიზაციულად დაეკავშირებინა მებრძოლ რევოლუციონერ მუშათა კლასთან, მას დაყრდნობოდა, გამოეხატა მუშათა — პროლეტართა იდეოლოგია. განსაკუთრებით რომანში „Мать" მ. გორკიმ დიდი გარკვეულობით გამოხატა მუშათა კლასის ფსიქოიდეოლოგია და ნათელი გახადა მისი განვითარების გზა, მახლობელიც და შორეულიც. ამიტომ მ. გორკის ამ რომანს მაღალი შეფასება მისცა დიდმა ლ ე ნ ი ნ მ ა: „Книга нужная. Много рабочих участвовало в революционном движении несознательно, стихийно, и теперь они гро-

[25] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სათაგური, თხზ., ტ. VI, 1939 წ., გვ. 174.

читают „Мать“ с большой пользой для себя. Очень своевременная книга“.

ვაჟა-ფშაველა კი თითქოს ვერ ამჩნევდა მუშათა კლასს, მის ორგანიზებულ ბრძოლას, მის ისტორიულ მნიშვნელობას, მჭიდროდ იყო დაკავშირებული პატრიარქალურ, თუმცა ამბოხებულ, გლეხობასთან და მის წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიას გამოჰხატავდა. აი სწორედ აქაა ვაჟა-ფშაველას იდეოლოგიური სისუსტის დასაბამი, ამაშია მიზეზი მისი მსოფლმხედველობის შეზღუდვისა და წინააღმდეგობისა.

* * *

1905 წლის რევოლუციის შემდეგ გაბატონებული რეაქციის ხანაში ვაჟა-ფშაველა, როგორც ჩანს, ძველსა და ახალს შორის ბრძოლის ჭრილობებით კვლავ საგრძნობლადაა დაკოდილი. მწვავე პოლიტიკური და მკაცრი ცენზურული პირობების გამო, როგორც არაერთხელ გვქონდა აღნიშნული, ჩვენი XIX საუკუნის მწერლები და კერძოდ ვაჟა-ფშაველა თავიანთი შეხედულებების გამოსატანად, გამუდმებით მიმართავდნენ ხოლმე ალეგორიებს, სიმბოლოებს, ქარაგმებს, გარდათქმებს; აგრეთვე ხშირად იყენებდნენ დაპირისპირების ხერხს. ეს პოეტური საშუალებები განსაკუთრებით აუცილებელი შეიქმნა 1905 წლის რევოლუციის შემდეგ რეაქციის ხანაში. ამავე პირობების სისასტიკითაა გამოწვეული ვაჟა-ფშაველას (და სხვათა) მიერ ბიბლიური სიუჟეტების გამოყენებაც. ასეთი ხასიათისაა, სხვათა შორის, ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „ეშმაკი“.

ვაჟა-ფშაველა მოთხრობაში „ეშმაკი“ ბიბლიური სიუჟეტის გამოყენებით საკმარისი სიცხადით ახერხებს ძველის, მის თანადროულობის, დრომოჭმულის, უკვე მახინჯის დაპირისპირებას ახალთან, მომავალთან, სამართლიანთან, სასურველთან, აუცილებელთან, რასაც კაცობრიობის ბედნიერება, წინმსვლელობა მოითხოვს და ამით მას ფართო მკითხველთა მასებში გააქვს ახალი ჰუმანური პროგრესული იდეები.

ამ მოთხრობაში ეშმაკი გარკვეული სიმბოლოა ძველის, ბოროტის, შემფერხებელისა და უსამართლობის დასაბამი ძალისა (რეაქციული ძალებისა), ხოლო იესო ნაზარეველი — ახლის, სიმართლის, კაცთმოყვარეობის, სიკეთისა და წინმსვლელობის დასაბამი ძალისა (რევოლუციური ძალებისა).

იესოს მოძღვრება — „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო!“ ეშმაკს აღელვებს და ამხედრებს. ამ მაღალი კაცთმოყვარე მოძღვრებით შეძრწუნებულ ეშმაკს მწერალი ასე აალაპარაკებს: „ღმერთმა დაიფაროს! მართლა რომ დაიჯეროს ეს მოძღვრება ქვეყანამ და ამ გზას დაადგეს, ხომ დავიღუპე მე, მე — ეშმაკი. არა, არ შეიძლება... სიყვარული მოყვასისა?! ეს ხომ შხამი და ბალღამია, ეს ხომ წაწყმე-

დაა სიცოცხლისა?! ამიტომ მე ამთავითვე ვწყევლი ამ მოძღვრებას და ვამბობ: — არ იქმნას აღსრულება შენი კაცთა შორის არაოდეს... იესო ნაზარეველო!.. მე მუდამ მზად ვიქნები გადავეღობო წინ შენს მოძღვრებას. ვაკვეცო მას ფრთები...“[26]

ამხედრებული ეშმაკი — ეს ბოროტი, რეაქციული ძალის სიმბოლო არა მალავს, რომ ის მუდამ იმის ცდაში იქნება, რომ ადამიანის გულიდან ამოფხვრას „ის ჭუჭყი, რომელიც მიეკვრის მას (იესოს. — მ. ზ.) მოძღვრების წყალობით“[27].

ვაჟა-ფშაველა ამ მოთხრობაში მკვეთრად, დიდი დამაჯერებლობით ხატავს ამ ორ მოწინააღმდეგე ძალთა შორის მოურიგებელ მოცილეობასა და ბრძოლას. თუ ეშმაკი ასეთი წინასწარი უარყოფითი განწყობილებითაა გამსჭვალული იესოს სამართლიანი, კაცთმოყვარე მცნების მიმართ, ეს განწყობილება ეშმაკში, ვაჟა-ფშაველას სწორი გაგებითა და ჩვენებით, უფრო ღრმავდება და მტკიცდება იესოს დავაჟკაცებიდან, ე. ი. როცა ახალი, სამართლიანი, კაცთა ფართო მასებისათვის ბედნიერი, თავისუფალი ცხოვრების დამყარების მოთხოვნილება და დამყარების შესაძლებლობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფეხს იკიდებს; როცა ხალხთა შორის მძლავრად გაისმა სამართლიანი, დამაჯერებელი ხმა იესოსი — ახალი რევოლუციური მოძღვრებისა — „ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყურიოდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განსძღენ!“

ეშმაკი, შეძრწუნებული იესოს ამგვარი მოძღვრებით, გააფთრებით მიმართავს მას: „ნაზარეველო, მოვკლავ მე შენს სიმართლეს! რათ არ ძალმიძს შეგახო შენ ხელი, მოგისპო სრულიად სიცოცხლე? ვინ დამიშლის შევცვალო სიმართლე უსამართლობით? დავამკვიდრო იქ ტაცება და ჩაგვრა, შეუბრალებლობა, სასტიკობა, საცა შენ გინდა დარგო რაღაც სიმართლე, სათაყვანებელი მხოლოდ ბრიყვთა, უბირთა გონებით?! არ მწამს მე და ვეცდები არ ვაწამებინო იგი კაცობრიობას!“[28]

ეშმაკისა და იესოს დაპირისპირებაში დიდი სიმკვეთრითა და ძალითაა გამოვლინებული გამწვავებული, შეურიგებელი მუდმივი ბრძოლა ორ მოწინააღმდეგე კლასს — გაბატონებულსა და დაჩაგრულს, კმაყოფილსა და უკმაყოფილოს შორის, არსებულს სოციალურ ცხოვრებაში, არა მარტო მწერლის თანამედროვე ეპოქაში, არამედ კაცობრიობის მთლიან ისტორიაში. ვაჟა-ფშაველა მწვავედ გრძნობს ამ სოციალური მოვლენის ბოროტებას, მავნებლობას კაცობრიობის წინმსვლელობისათვის და მასთან ბრძოლის აუცილებლობასაც გადაუდებელ მოთხოვნილებად აყენებს. ამიტომ ის აქ არ ჩერდება; ამ წინააღმდეგობას დიდი სიცხადით აღრმავებს.

---

[26] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ეშმაკი, თხზ., ტ. VI, 1939 წ., გვ. 187.
[27] ი ქ ვ ე.
[28] ი ქ ვ ე, გვ. 188.

ეშმაკის ამ ბოროტი, ბნელი ზრახვების საპასუხოდ გაისმის იესოს ნათელი, სიმართლის მძლავრი რწმენით აღსავსე ხმა: „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა!.. ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ!"[29]

კვლავ შფოთავს ეშმაკი. მას არა სწამს, არც უნდა იწამოს, რომ შეიძლება ცხოვრებაში სიმშვიდე იყოს, ეს მის ბუნებას ეწინააღმდეგება. მისი აზრით, მშვიდობიანობის ქადაგება მტკნარი სიცრუეა. ამიტომ ნიღაბჩამოგლეჯილი ეშმაკი გაცოფებული გაჰკივის: „არ დავამშვიდებ არავის... შევქმნი ცხოვრების ისეთ პირობებს, არ იყოს არსად სიმშვიდე. — სტაცებდეს, არბევდეს ერთი მეორეს, იყვნენ გლახაკნი და მდიდარნი, მაძღარნი და მშიერნი ხორციელად და სად იქნება მაშინ სიმშვიდე? არსად. ვინ დაიმკვიდრებს მაშინ ქვეყანას? არავინ. მხოლოდ მე. მაშინ დამკვიდრდება ქვეყანაზე ჩემი მეუფება"[30].

უნდა ითქვას, არაჩვეულებრივი ნიჭიერებითაა განჭვრეტილი დღევანდელი დაუნდობელი მსოფლიო ჭიდილიც ორი ქვეყნისა — ძველისა და ახლის შორის, აქაა, სხვათა შორის, ვაჟა-ფშაველას გენიალური ინტუიციის გამოვლინებაც. მაგრამ მივყვეთ მწერალს ამ დაპირისპირების ნიჭიერ გამოვლინებაში, ვინაიდან ამ დაპირისპირებაში საკმარისი სიმკვეთრითაა გამოვლინებული ვაჟა-ფშაველას რადიკალური მსოფლმხედველობა, მისი მრწამსი. თუმცა აქაც უნდა აღინიშნოს, რომ მწერალი, თავისი წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის გამო, თავის მრწამსს იძლევა არა კონკრეტულ ფორმებში, არამედ ზოგადი სახით.

ეშმაკს აგრეთვე მიუღებლად მიაჩნია ისიც, რომ მოწყალებამ უკმაყოფილო დაამშვიდოს სიყვარულითა და შებრალებით. „მაშ მე სადღა ვარ? — კივის პირსისხლიანი ეშმაკი. — ჩავუდებ ადამიანს გულს ქვისას, არ იცოდეს მან შეწყალება, არ მიეკაროს გრძნობა სიბრალულისა, გავამხეცებ მის ბუნებას, რომ არც იწყალებდნენ კაცნი ერთმანეთს, ძლიერი თავის ძალას მეტის ნაყოფიერებით ავარჯიშებდეს უძლურთა ქედსა და ზურგზე, რათა განმტკიცდეს მეუფება ჩემი!"[31]

ეშმაკის ველური, მხეცური, ბნელი ზრახვების საპასუხოდ კვლავ მედგრადა და დინჯად გაისმის მტკიცე რწმენის ხმა იესოსი: „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა"[32]...

ამის საპასუხოდ ეშმაკი კვლავ შეუპოვრად, კადნიერად, უსირცხვილოდ განაგრძობს იესოს მოძღვრების — კეთილი დასაბამის —

---

[29] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ეშმაკი, თხზ. ტ. VI, გვ 188
[30] ი ქ ვ ე.
[31] ი ქ ვ ე. გვ. 189.
[32] ი ქ ვ ე.

წინააღმდეგ მდაბალ ბრძოლას. ვაჟა-ფშაველას სურს ეშმაკს — ამ ბოროტ ძალას, ნიღაბი სრულიად ჩამოგლიჯოს, მისი ბუნება და საქციელი მთლიანად გააშიშვლოს.

ეშმაკი განაგრძობს ურცხვად სასტიკ მუქარას: „არა, მე შევამცირებ რიცხვს დევნულთა სიმართლისათვის, რათა დაკარგონ მათ სასუფეველი ცათა, ჩაირიცხენ ჩემს ლაშქარში და ემსახურონ უსამართლობას, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ სასუფეველი ცისა და ქვეყნისა. მივცემ დიდ პალატთა საცხოვრებლად, შევმოსავ ძვირფასი სამოსლით, მივუჩენ კეკლუცთა ბანოვანთა, დავატკბობ ყოვლის ქვეყნიერის სიკეთით და ვნახოთ მაშინ, იქნებიან-ღა ისინი დევნულნი სიმართლისათვის?! ჰნახეთ მაშინ, უკმევდენ რა გუნდრუკს უსამართლობას, სცემდენ მას თაყვანს. ეძიე, ნაზარეველო, მაშინ დევნული სიმართლისათვის და უკეთუ ჰპოვო, დაუთმე სასუფეველი ცათა!“[33]

რა მშვენიერი, ზუსტი და სამართლიანი გაგება და შეფასებაა მოცემული გაბატონებული კლასის მიერ საშუალებების გამოყენებისა, რათა თავის მხარეზე გადაიბიროს და გამოიყენოს არა მარტო მდაბალი გრძნობით გამსჭვალულნი, არამედ აგრეთვე სუსტნი, და უკაცური გზით აამოქმედონ თავისი მოძმის — სიმართლის მატარებლისა და მღაღადებლის, კაცთმოყვარის წინააღმდეგ. არაჩვეულებრივი სიმკაცრითა, სიმტკიცითა და სიძლიერითაა ვაჟა-ფშაველას მიერ ჩამოგლეჯილი გაბატონებული ფენების ნიღაბი.

გათავხედებული ეშმაკი არა მალავს თავის ბნელ ზრახვებს. ის მოურიდებლივ განაგრძობს თავის ურცხვ მუქარას სიმართლის წინააღმდეგ. ის შემდეგი სიტყვებით მიმართავს კაცთა შორის სიყვარულისა და სათნოების დამყარების მომხრე კეთილ ძალას — იესოს: „ვერ შესძლებ განახორციელო ვერც ერთი მუხლი შენის მოძღვრებისა. რადგანაც... მოვმართავ ქვეყნის გონების ჩარხს ისე, რომ ყველა ამბობდეს: „რაც სთქვა იესომ, სათქმელია ადვილად, ხოლო საქმნელად ძნელიაო“. ვათქმევინებ და ვაფიქრებინებ ამას ადამიანთა; ურწმუნოებით, იმ ფიქრით, რომ ყოველი შენი რჩევა მიუწდომელია ადამიანისაგან, — გავეღენთავ მთელ ქვეყანას... ასე უნდა იქმნას, ამას ვეცდები მე და მივაღწევ კიდევაც ჩემს მიზანს“[34].

მწერალი დიდი სიცხადით აგრძნობინებს და შეთანხმებს მკითხველს, რომ ახალსა — სამართლიანსა და ძველს — ბოროტს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წარმოებს. ვინ ვის დასძლევს, ასე დგას საკითხი, რაც ასეთი სიცხადითაა გაშლილი ჩვენი თანამედროვე ცხოვრების სინამდვილეში. ორივე ძალა თავისთავად გამოხატავს გამარჯვე-

---

[33] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ეშმაკი, თხზ., ტ. VI, გვ. 189.
[34] ი ქ ვ ე.

ბის ცდასა და რწმენას. მწერალი თვითონ ახალის — სამართლიანის მხარეზეა მთლიანად და შემდეგნაირად აგრძელებს საკითხის გაშუქებას.

ეშმაკის მუქარის გამგონი იესო, დარწმუნებული თავისი კეთილი დასაბამის საბოლოოდ გამარჯვებაში, აღშფოთებული, მაგრამ დინჯად და მტკიცედ შესძახებს ბოროტს ძალას — ეშმაკს: „განვედ, მაცდურო სატანავ, ჩემგან! ბნელეთის ქურუმო, განვედ! სიცოცხლე ჩემი არს დაუსრულებელი, ხოლო შენი — წუთიერი... ნუთუ არ იცი, რომ სახლს, რომელსაც აშენებს ღმერთი (კაცთა სიყვარულისა, თანაგრძნობისა და დახმარების კეთილი ძალა. — მ. ზ.), შენ ვერ დაანგრევ? იცი, კარგად იცი, მაგრამ... სიკერპე გონებისა და სირეგვნე გიშლის შეიგნო სიმართლე, მიჰხვდე, რომ პირველად ყოვლისა ხარ თავისთავის მტერი! მტრობა შენი ადამიანთადმი მოგიძღვნის მხოლოდ წყევლას და შეჩვენებას, თვით იმათგანაც-კი, ვინც შენს გზაზე დადის, ვინც შენს რჩევას უგდებს ყურს, — ვისაც მოეწამლა ფიქრი და გრძნობა შენის გესლით, თვით ისინიც კი მოგაფურთხებენ, როდესაც დაუკვირდებიან თავიანთ საქმეთა და ხმა ჩემი, შთანათესი იმათ გულში, დაუდგებათ თვალწინ“[35]...

ამასთანავე, მეტად საგულისხმიეროა, რომ ვაჟა-ფშაველა დაჭიმული გულისყურით, მახვილი გონების თვალითა და კაცისადმი დიდი სიყვარულით ამოძრავებული, ბოროტსა და კეთილს შორის ბრძოლის დამთავრებას ოპტიმისტურად გამსჭვალული თვალით უყურებს. მით უფროა საგულისხმიერო, რომ ვაჟა-ფშაველას ასეთი ოპტიმისტური განწყობილება — კეთილი დასაბამის, ახალი სამართლიანი ურთიერთობის დამყარების გამარჯვება — რეაქციის ხანაშიც ახასიათებდა. ეს განწყობილება მწერლისათვის რეაქციის ხანაშიც წამყვანი შეიქმნა.

მწერალი დიდი კმაყოფილებით, თვითონაც სიმართლის გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებული, გადმოგვცემს, რომ ეშმაკი, იესოს წინააღმდეგობის გამო, სიბრაზისაგან თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა, უნდოდა მოესპო სიცოცხლე იესოსათვის, მაგრამ „წინ წადგმული ფეხი უკან უვარდებოდა, გაშლილი ფრთა უდუნდებოდა, აწეული ხელი თავში ჰხვდებოდა... იწყევლებოდა, ემდურებოდა იმ ძალას, რომელიც უბორკავდა ხელებს ბოროტ განზრახვის ასასრულებლად“[36].

ვაჟა-ფშაველა ღია, გამჭრიახი თვალით უყურებს ცხოვრებას. ის კარგად იცნობს სინამდვილეს, კარგად გრძნობს, რომ ბოროტი, ბნელი ძალები თავის ნებით არ დათმობენ თავის „კეთილ მდგომარეობას“, არაფერს არ დაზოგავენ, რომ მომავალშიც შეინარჩუნონ ბატონობა. ამიტომ, გადმოგვცემს ვაჟა-ფშაველა: ეშმაკი „უტატანებდა ბეთლემის

---

[35] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ეშმაკი, თხზ., ტ. VI, გვ. 189—190.
[36] ი ქ ვ ე, გვ. 190.

ვარსკვლავს (ბედნიერი მომავლის იმედს-რწმენას. — მ. ზ.), საუცხოოდ ცაზე მოკაშკაშეს, რათა ჩამქრალიყო იგი და ჩაექრო ადამიანთა გულში სასოება ქრისტეს (ჭეშმარიტი ცხოვრების. — მ. ზ.) დაბადებისა"[37].

ამ სანახაობით შეძრწუნებული და შეწუხებული ეშმაკი (ბოროტი ძალა) იძულებული ხდება უფსკრულში ჩაიჭრას, თავის მოძმეებს ამცნოს საშინელი განკითხვის მოახლოვება. იქ თავმოყრილი ბოროტი სულები ბოროტების მეუფის ბელზებელის თაოსნობით საშინლად გაჰკივიან: „წყეულიმცაა სიმართლე ქვეყანათა ზედა და გაუმარჯოს ბოროტებას!"[38] ჯოჯოხეთი საზარელი ხმით გრიალებდა და მთელი დედამიწა ზანზარებდა.

ხოლო სიმართლის დამყარების ღრმა მისწრაფებით გატაცებული და მისი გამარჯვების დიადი რწმენის მატარებელი მწერალი, ასეთი სურათის ხილვით აღშფოთებული, იესოს პირით მტკიცედ შესძახებს ეშმაკს — ბოროტ ძალას: „განვედი, სატანავ, ჩვენგან!"[39]

მოთხრობაში „ეშმაკი", ვიმეორებთ, ვაჟა-ფშაველას მიერ გასაოცარი სიცხადითაა განჭვრეტილი ჩვენი თანადროულობის მსოფლიო მდგომარეობაც, როცა მთელი მსოფლიო, თითქმის გამოუკლებლივ, ორ მოპირდაპირე მებრძოლ ბანაკადაა გაყოფილი: საბჭოთა და დემოკრატიული ქვეყნები და კაპიტალისტური სამყარო. ამ მოთხრობიდანაც მკითხველისათვის ადვილი გასაგები ხდება, რომ ვაჟა-ფშაველას მთელი სიმპათიები, უდავოდ, სამართლიანი, კეთილი, კაცთმოყვარე დასაბამის გამარჯვებისაკენაა. მწერლის რწმენა, რომ მშრომელი მასები ბედნიერსა და თავისუფალ ცხოვრებას დაამყარებენ, — ურყევია.

მკითხველი, როდესაც ეცნობა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა დაწერის თარიღებს, ადვილად და ურყევად რწმუნდება, რომ რეაქციის ხანაში, 1905 წლის რევოლუციის შემდეგაც, როდესაც დაიწერა მოთხრობა „ეშმაკი" და სხვ. ვაჟა-ფშაველა თავის მისწრაფებას კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობის საფუძველზე მოწყობილ ქვეყნისადმი, ხოლო შეურიგებელ დამოკიდებულებას ბოროტი, ბნელი ძალებისადმი, რეაქციისადმი აშკარად გამოხატავს. ცხადია, რეაქციას, როგორც ზევითაც დავინახეთ, მთის მგოსანში არამც თუ ვერ ჩაუკლავს გამათავისუფლებელი პროგრესული იდეებისადმი ცხოველი მისწრაფება, არამედ თითქოს ვერც კი შეუნელებია; რეაქციას ვერ ჩაუკლავს მასში რევოლუციური იდეების გამარჯვების რწმენა და ამ რწმენის მკითხველთა მასებში გატანის აუცილებლობა თავისი შემოქმედების საშუალებით.

---

[37] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ეშმაკი, თხზ., ტ. VI, გვ. 190.
[38] ი ქ ვ ე.
[39] ი ქ ვ ე.

* * *

ანალოგიური განწყობილება და თემაა ასახული ვაჟა-ფშაველას მიერ რეაქციისავე ხანაში (1909 წელს) დაწერილ იგავისებურ მოთხრობაში „დათვი“.

ამ მოთხრობაში ვაჟა-ფშაველა გვიჩვენებს უსამართლო, ძალმომრეობის საფუძველზე აშენებული საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეებს.

დათვმა დაურაზმავ, უიარაღო გლეხობაზე გაიმარჯვა. გამარჯვებამ დათვს თავი მოაწონებინა, სამერმისოდ იგი გაათამამა და გაამხნევა. გაბატონდა, გამედიდურდა, გათავხედდა დათვი: „როცა იციან მაგ ბრიყვებმა, — ქედმაღლობითა და კმაყოფილებით ამბობდა დათვი, — რომ ვერაფერს ჩამომრჩებიან, რატომ თავისთვის არა ყრიან?!. ჩვენი შრომაო, ჩვენი ოფლი დათვს მოუნდაო, — გაიძახიან. მომინდა? ალბათ, შამერგება კიდეც. თუ არ შამერგება, წაიღონ! ეცადონ; ვის, ან რაღას ელიან?... გაგიხარიან, კარგად მოვტორე ყველანი, ვგონებ, რომ ვეღარ გაბედონ კრინტის დაძვრა“[40]...

მოთხრობა „დათვი“, რა თქმა უნდა, ალეგორიაა. როგორც დათვისა, ისე სხვა მხეცთა სახით ვაჟა-ფშაველა მასში გვიხატავს ადამიანთა ფსიქოლოგიასა და მათ შორის ურთიერთობას. და გადაჭრით უნდა ითქვას კიდეც, რომ მწერალი მაქსიმალურად რეალურ სურათსაც იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ დათვი მოულოდნელად, სრულიად შემთხვევით და დაუმსახურებლადაც სოფლის მბრძანებელი გახდა, გარემოებამ მისი ფსიქოლოგია უმალ შესცვალა. იგი დაუნდობელი, დაუოკებელი შეიქმნა. მისი სურვილები უგნურ თავხედობამდე მიდის, ჭეშმარიტად სურათი ცხოველია, ნამდვილია, დამაჯერებელია და, დიაღაც, მკითხველის თვალის ამხილველი.

დათვმა ბობოქრობით გული როცა მოიჯერა, დაფიქრდა და მედიდურად წარმოსთქვა: „ვიდრე ერთი ურჩია ქვეყანაზე, ჩემი ბედნიერად ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. სრულს ბედნიერებას მხოლოდ მაშინ მოვიპოვებ, როცა ურჩნი მთლად გასწყდებიან, აღიფხვრებიან პირისაგან ქვეყნისა, ამიტომ საჭიროა ყველას გონების ჩარხი ასე მოიმართოს, ასე ფიქრობდეს და სხვანაირად არა: დ ა ე მ ო რ ჩ ი ლ ე ნ ი თ უ ძ ლ უ რ ნ ი ძ ლ ი ე რ თ ა, რ ა მ ე თ უ მ ა თ ხ ე ლ თ ა რ ი ს ს ი ც ო ც ხ ლ ე თ ქ ვ ე ნ ი, ე. ი. ჩ ვ ე ნ ი ო“[41].

ასეთია, ჩვეულებრივ, სინამდვილეში ტიპიური ფსიქოლოგია და განწყობილება გაბატონებული ელემენტებისა საზოგადოებრივ ცხოვ-

---

[40] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, დათვი, თხზ., ტ. VI, 1939 წ., გვ. 249.

[41] ი ქ ვ ე, ხაზი ვაჟა-ფშაველასია.

რებაში, განსაკუთრებით, როცა გაბატონებული ელემენტები დაუმსახურებლად, უღირსად, შეუფერებლადაა გაბატონებული მმართველ პოზიციებზე. ასეთი ფსიქოლოგია, ვაჟა-ფშაველას გაგებითა და მკვეთრი ჩვენებით, უსამართლოა, მავნებელი და გაბატონებულთა გონების სიბეცისა და გაწრიოკების მაჩვენებელი. სწორედ ესაა, რომ ხელს უშლის საზოგადოებრივი ცხოვრების საღ მიმდინარეობასაც და ხელს უწყობს თვით ამგვარი გაბატონებული ელემენტების დაღუპვასა და მათ სამარცხვინო მოხსნას ისტორიის ასპარეზიდან.

ასეთი შეხედულება რომ თვალსაჩინო და მკითხველისათვისაც დამაჯერებელი გახადოს, ვაჟა-ფშაველა ამის პარალელურად მოთხრობაში ნიჭიერად ავლინებს კლასობრივ საზოგადოებაში დამორჩილებული ფენების „ობივატელურ“ სულისკვეთებას, გაბატონებულის — ძლიერის წინაშე ადვილად ქედის მოხრას, ხანდახან მოთხოვნილების გარეშეც კი. ასე იქცევიან დათვის წინაშე მხეცნი: მგლები, მელები, ტურები, მაჩვები, კურდღლები და სხვანი. ყველა ცდილობს მლიქვნელობით მეორეს აჯობოს ერთგულებისა და უქვეშევრდომილესი გრძნობების გამოხატვაში მბრძანებელი დათვისადმი, რათა მის გული მოიგოს, თავისი პირადი მდგომარეობა გაიუმჯობესოს. რა დამახასიათებელი — ტიპიური ხაზებია მოცემული ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ყოფისა!

ესოპეს ენით აი როგორ გვისურათებს ვაჟა-ფშაველა ასეთს საზოგადოებრივ მდგომარეობას: „გავიდა ცოტაოდენი ხანი და დათვის სრასახლის კარებზე ჯაშუშების გუნდი გაჩნდა. ვინ გინდა, რომ არ ჯაშუშობდა: მაჩვებიც კი, რომელთა ათი ნახტომი ერთი ადლი არ გამოვა; და ყველა დათვისაგან რაღაც გამოუთქმელს და დიდს წყალობას მოელოდა... ყოველი ჯაშუში იმას ცდილობდა, საუკეთესო რამ ცნობა მოეტანა ბატონისათვის“[42].

დამახასიათებელ ხაზებშია მოცემული ცოცხალი სურათი კლასობრივი ქვეყნების ცხოვრებისა, მონური, უიდეო ქცევისა, რასაც ვაჟა-ფშაველას ბუნება და გაგება ვერ ეგუებოდა და მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგებოდა.

მწერალი მახვილი თვალით ხედავს ამ ქვეყნის ზნეობრივად გახრწნილ ცხოვრებას. ის აღშფოთებით, თუმცა კი თავშეკავებული ობიექტურობით აგვიწერს, როგორ მიდიან სათითაოდ მხეცები მბრძანებელ დათვთან, მიაქვთ სხვადასხვა ცნობა, ყოველი მათგანი როგორ ცდილობს დათვი აამხედროს პირადი ინტერესების მიხედვით პირადი მტრების წინააღმდეგ: მელია — კურდღლების, მგელი — ციყვების, კვერნების, შვლების, ირმების, არჩვების, გარეული ღორების და ა. შ.

ერთს მშვენიერ დღეს მგელი დათვს მოახსენებს, რომ შვლები,

---

[42] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, დათვი, თხზ., ტ. VI, გვ. 253.

ირმები, არჩვები და ღორები თათბირობდნენ, ის მათ ჩუმად მიეპარა და ყური დაუგდო. „ერთხმად იძახოდნენ, — მოახსენებს მგელი დათვს, — უსათუოდ უნდა დათვი განვდევნოთ, დავამხოთო, მთელი ტყე, ტყისა და დედამიწის მოსავალი მაგას მოუნდაო“[43].

ქვეშევრდომთა ასეთი განზრახვით განრისხებული დათვი ეკითხება მგელს, ვინ უპირებს მას დამხობას და, გაკვირვებული მხეცთა ასეთი კადნიერებით, დაცინვით შესძახებს: „შვლები? ირმები? არჩვები? ჰმ, ჰმ!“

მგელი ერთგულებისა და მორჩილების გრძნობით მოახსენებს დათვს, რომ ამ ამოცანის შესასრულებლად მხეცებმა აირჩიეს ტახები, რომელთაც „თითოს ოროლი მტკაველი კბილი აქვს... თქვენთან საბრძოლველად, — განაგრძობს მოხსენებას მგელი, — ისინი ამოირჩიეს ერთხმად, და ტახებმაც თანხმობა გამოუცხადეს, დაიწყეს ეშვების ლესა და ისეთი ხმაურობა გამოსცა იმათმა კბილებმა, თითქოს ცა სჭექდა“[44]. აქ, რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველას მხედველობაში აქვს კარგად ცნობილი რევოლუციონერთა არალეგალური მუშაობა, როცა რეაქციის ძალმომრეობას არალეგალურმა ორგანიზაციებმა დაუპირისპირეს ძალა, გაერთიანებული შეიარაღებული ძალა, რაც ასე შესამჩნევი შეიქმნა 1905 წლის რევოლუციის ხანაში.

მართალია, დათვი ერთგვარი ქედმაღლური, გაბერილი ამაყი ტონით ეტყვის მგელს — „მობრძანდენ, იმათ მე გავსცემ პასუხსო“, მაგრამ ეს ამბავი კი მას ძალიან არ ესიამოვნება. საკმარისად დააფიქრებს დათვს და შიშსაც აგრძნობინებს. დათვთან მალე გაჩნდება მაჩვიც. ის დათვს მოახსენებს, რომ მის წინააღმდეგ სოფელიც აწყობს შეთქმულებას და მასზე თავდასხმას აპირებს. მაჩვიც მორჩილებისა და ერთგულების კილოთი ურჩევს დათვს სიფრთხილით მოიქცეს. დათვს მაინც არ უნდა იხტიბარი გაიტეხოს და მაჩვს ხელოვნური რიხიანი ხმით ეუბნება: „ძალას სიფრთხილე არ ესაჭიროება... ამ ტოტებს უყურებ?.. ამათი პატრონი და სიფრთხილე?! სასაცილოც არის!“[45]

აქაც მაქსიმალური სიზუსტითაა ასახული გაბატონებულის ქედმაღლური ფსიქოლოგია, ერთის მხრით, ხოლო, მეორეს მხრით, დამორჩილებულის, სუსტის მონური ბუნება. ნიჭიერად აქვს ვაჟა-ფშაველას განჭვრეტილი და ნაჩვენები არა მარტო მისი თანადროული საზოგადოებრივი მდგომარეობა და ურთიერთობა, არამედ კლასობრივ საზოგადოებაში არსებული მთელი კაცობრიობის ისტორიის მანძილი.

მაგრამ, მივყვეთ მწერალს ცხოვრების სურათის ჩვენებაში. მიუხედავად დათვის ასეთი მოჩვენებითი სიმტკიცისა, ის მაინც შეფიქრიანდა,

---

[43] ვ ა ჟ ა-ფშაველა. დათვი, თხზ., ტ. VI, გვ. 255.

[44] ი ქ ვ ე.

[45] ი ქ ვ ე, გვ. 256—257.

სათანადო ზომების მიღებაზე დაიწყო ზრუნვა. მან მგელსაც, მაჩვსაც და სხვა ქვეშევრდომთაც უბრძანა ტყეს ხელი უშვან, რადგანაც „აქაური ცხოველი და ფრინველი არსად გაგექცევათ“[46], და თვალყური ადევნონ სოფელს, იქ ინადირონ, რათა სოფელს უჩვენონ მისი ძალა. თვითონ დათვი კი შევიდა სოროში და იქიდან შიშით აღარ გამოდიოდა.

„ჩვეულებისამებრ, — გადმოგვცემს მწერალი, — ყოველ-დღე დათვს ამორჩეული ჯაშუშები ატყობინებდნენ, ვინც რა ამბავსაც გაიგონებდა“. მგლები, ტურები, მელები, მაჩვები და სხვანი მუშაობდნენ სოფლად დათვის მიერ მიცემული გეგმის თანახმად. „ააოხრეს, — ბოღმიანად აგვიწერს მწერალი, — დააწიოკეს სოფლები ქურდობით, ტაცობით, სხვადასხვა ავაზაკობით“. ისე შეავიწროვეს სოფელი დათვის კაცებმა, რომ სოფლელებმა დათვის ავკაცობა დაივიწყეს: ღათვს თითქმის კიდეც ემადლიერებოდნენ, ამბობდნენ: „დათვს იმის მეორედი ზარალიც არ მოუცია ჩვენთვის, რაც ამ მგლებმა და მელა-ტურებმა მოგვცესო“. დათვი კი, გადმოგვცემს მწერალი, კმაყოფილი იყო ამით და „ჩუმ-ჩუმად გუნებაში იცინოდა“[47].

შეწუხდნენ ტყის „ალალი ლუკმის მჭამელი ცხოველები“, მათ არ ესიამოვნებოდათ დათვის მეზობლად ცხოვრება; ისინი აშკარად ხედავდნენ, რომ მათი დარბევის, შევიწროების მთავარი მიზეზი დათვია.

მალე დათვს ორი ამორჩეული ტახი თავს დაესხა. შეშინებული დათვი სოროდან ვერ გამოიყვანეს. მოთმინებადაკარგულმა ტახებმა დათვის საბრძანებელს ძირი გამოუთხარეს და დათვიც დაგლიჯეს, მოკლეს.

„დათვის დამარცხებით, — გადმოგვცემს მწერალი, — ყველა მტაცებელი ცხოველები აღელდნენ: — როგორ გაბედეს ღორებმა ჩვენის ბატონის მოკვლაო, გაიძახოდენ. სწყინდათ დათვის უდროოდ სიკვდილი, რადგანაც იმისაგან დიდსა და მდიდარს წყალობას მოელოდენ, ხოლო წმინდა, ალალის ლუკმის მჭამელი ცხოველები სიხარულით ცას დაეწივნენ“[48].

ვაჟა-ფშაველას უნდა აქაც საბოლოოდ ნიღაბი ჩამოგლიჯოს არსებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას და, კერძოდ, საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც გაბატონებულის, მბრძანებლის მახლობლად ტრიალებს, მას ერთგულებას უცხადებს, გამუდმებულ ფუსფუსშია. ვითომც-და მბრძანებლისადმი უანგარო, ერთგული სამსახურით აღვსებული, სინამდვილეში კი უაღრესად ანგარიანი, ცბიერი, პირმოთნე და ვერაგულია. ის ძლიერის ერთგულია მხოლოდ მანამდე, სანამ ძლიერს

---

[46] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, დათვი, თხზ., ტ. VI, გვ. 260.
[47] ი ქ ვ ე.
[48] ი ქ ვ ე, გვ. 259.

ძალა აქვს. კარგად ცნობილია თქმა „Лишь право сильного раб свято почитает“.

აი როგორ ცხოველსა და ნამდვილ სურათს იძლევა ვაჟა-ფშაველა ამ ცბიერ ქვეშევრდომთა დამოკიდებულებისას დამარცხებული, განადგურებული მბრძანებლისადმი: „მელა წამოსულიყო დათვთან რაღაც ამბის მოსატანად. რა ნახა ტახებისა და დათვის ომი, იქვე შორი-ახლოს დაიმალა, ხოლო თვალ-ყურს ადევნებდა ბრძოლას: დათვის სიკვდილი კიდევაც ესიამოვნა გუნებაში. ტახების თვალი რომ იცდინა, ჩუმად მივიდა დათვთან და მთელი ჩალაღაჯი მოაღრღნა, თუმცა ცხოველების წინაშე სწყევლიდა ტახებს, ჰგმობდა, კისრად ძრახვას ადებდა: „ბატონი დათვი ღალატით მოკლეს იმ უღმერთოებმაო“ — ამბობდა... „მელას მოჰყვა ტურა, ნახა ნაომარი ადგილი — სისხლი, მიეყუდა მკვდარს დათვს, ახლოს მისვლას ვერ ჰბედავდა, მაგრამ რაკი დარწმუნდა, რომ მკვდარი იყო და თანაც ლეშიც რაღაცას ეჭამა, ტურამაც არ იუკადრისა პირი გაესველებინა... კარგად რომ გამოძღა დათვის ლეშით, გაიპარა და ტყეში ჩხავილს მოჰყვა გლოვისა და ტირილის ხმაზე. როგორც მელამ და ტურამ დაიტირეს დათვი, იმავე წესით მგელმა, აფთარმა და სხვებმა. ასე რომ მეორე დღეს, როცა მთელი ცხოველების კრება მივიდა დათვის დასატირებლად, თავიანთ ბატონისა ნახევარ ლეში-ღა დაუხვდათ, ისიც ნაჯიჯგნი, ნაჭამ-ნუჭამი“[49].

ქვეშევრდომთა ამგვარი ვერაგული მოქმედება თავის მბრძანებლისადმი, ვაჟა-ფშაველას სწორი შეხედულებითა და ნიჭიერი ჩვენებით, ბუნებრივი შედეგი და გამოვლინებაა არსებული უსამართლო, მანკიერი ცხოვრების წესწყობილებისა. მწერლის გაგებით, სწორედ ეს ფლიდი და არაჯანსაღი გარემოება, ცბიერებასა და მლიქვნელობაზე შექმნილი ურთიერთობა ძირს უთხრის არსებულ ყოფას. მწერალი ამ უსამართლო ცხოვრების ცოცხალი სურათის გადმოცემაში ასეთს აზრს ჩააქსოვს: დათვის მომხრე ნადირები „მართლა სწყრებოდნენ თუ არა, ეს ღმერთმა უწყის, ხოლო ერთი მეორეს ისე აჩვენებდნენ, ვითომ ძალიან გვწყინსო, უფრო დიდსა და ბევრს ოხრავდნენ, ცხელს ცრემლებს ისინი ღვრიდნენ, რომელთაც მკვდარი დათვი არ დაინდეს და იმის ლეშს გიახლენ; დათვის სხეულის გაჯულურებაც ღორებს დააბრალეს“[50]. ასეთია ვერაგი და დაუნდობელი ბუნება მონობის ქვეყნის მცხოვრებთა უმრავლესობისა, შთააგონებს მწერალი ამ სურათით თავის მკითხველს.

ვაჟა-ფშაველა არც ამით კმაყოფილდება, არც აქ სვამს წერტილს. ის განაგრძობს არსებული დაძაბუნებული, სადაც მხოლოდ პირადი ინტერესი მძვინვარებს, ცხოვრების ყალბი ბუნების გაშიშვლებას, ჩვენე-

[49] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, დათვი, თხზ., ტ. VI, გვ. 259—260.
[50] ი ქ ვ ე, გვ. 260.

ბას ამ საზოგადოების ადამიანთა აგრეთვე სხვა დამახასიათებელი თვისებებისა...

მიუხედავად დათვისადმი ასეთი დამოკიდებულებისა, მტაცებელმა მხეცებმა (ამათში მწერალი, რა თქმა უნდა, გულისხმობს პრივილეგიურ ფენებს) გაითვალისწინეს, რომ ამას შესაძლებელია მოჰყვეს მათი პირადი ინტერესების შელახვა, ამიტომ საჭიროა „თავხედთ“ სუსხი და შიში აგრძნობინონ. ამ მიზნით მათ ერთხმად გადაწყვიტეს ესარგებლათ შემთხვევით და დათვის მოღალატე მხეცები სასტიკად დაესაჯათ. ამისათვის მათ „თავხედი“ ეშვიანი ღორების გზაზე ორმოები ამოთხარეს, რათა ბნელ ღამეში ისინი ჩაცვენილიყვნენ შიგ და დამხრჩვალიყვნენ. მტაცებელმა მხეცებმა, რა თქმა უნდა, პირადი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, „უზარმაზარი ნადირის ჯოგი მოაქუჩეს ერთად, დაიჩოქეს ყველა და აბღავლეს: „ცხონება დათვსა, ხოლო მის ერთგულ და პატივისმცემელთ დღეგრძელობა და გამარჯვება!“[51]

მართლაც, რა მძლავრი, მიუდგომელი და ნამდვილი სურათია ძველი ყოფის საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებული ყალბი და ანგარებიანი ურთიერთობისა!

მტაცებელთა ამდენი სიყალბით, ანგარებითა და ძალმომრეობით აღელვებული მწერალი ნადირთა ჯოგის — დამორჩილებულთა ფენების ბღავილს ადარებს „ჯოჯოხეთის ცეცხლში ტანჯულთა გოდებას“.

მაგრამ მტაცებლებმა, მწერლის გადმოცემით, უპატრონო ცხოველებს ეს როდი აკმარეს, „დასცეს კიჟინა... დაერივნენ და დაუწყეს ქლეტა... მტაცებელნი ნადირნი დღესასწაულობდნენ. დაჩაგრულნი, უმწეონი, ბეჩავნი, წიოდენ, კიოდენ. იმათ გოდებას ვთა და ბარი ზეცას აჰქონდა... გოდება ისმოდა ყოველ მხრით, ხოლო შებრალება არსაიდან“[52].

ამ მოთხრობით ვაჟა-ფშაველა, ცხადია, გვაძლევს მძლავრ ალეგორიულ სურათს 1905 წლის რევოლუციის შემდეგი დროისა, გამძვინვარებული რეაქციისას, რომლისადმი უარყოფითი, მიუღებელი დამოკიდებულება მწერლისა, უდავოდ, აშკარაა. ეს მოთხრობაც მჭევრმეტყველურად გვიდასტურებს, რომ რეაქციამ ამ წლებშიც ვაჟა-ფშაველა ვერ გატეხა, ვერ მოღუნა, რეაქციის ხანაშიც ვაჟა-ფშაველა ენერგიულად განაგრძობს ძველი ყოფის, ბიუროკრატიული წყობილების მიუღებელი საფუძვლების, საზოგადოებრივი ურთიერთობის მკაცრ განქიქებას.

* * *

ვაჟა-ფშაველას მსგავსი განწყობილება აქვს გამოხატული 1913 წელს დაწერილ მოთხრობაში „დროშა“.

---

[51] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, დათვი, თხზ., ტ. VI, გვ.-260.

[52] ი ქ ვ ე, 261.

ვაჟა-ფშაველას ჩვენებით, დროშა სიმბოლოა ხალხის სიმართლისა, მისი ერთობლივი, კოლექტიური ცხოვრების სიმტკიცისა, ერთი პირისა. თემს, მწერლის ჩვენებით, ძველიდგანვე სწამს ძალა და სიწმინდე დროშისა. მას ხალხი პატივს სცემს, საიდუმლოებრივ იცავს, როგორც წმინდათა წმინდას ბიუროკრატიული ხელისუფლებისაგან. დროშას პასუხისმგებელ მცველად მიყენებული ჰყავს ხევის ბერი ბეკი. ბეკი, ვინაიდან თემის მიერაა არჩეული, უფრო პატივცემულია თემისაგან, ვიდრე ხელისუფლებისაგან დანიშნული მღვდელი.

ხელისუფლება სასტიკად ებრძვის თემის მოსახლეობის ასეთს, მწერლის გაგებით, სამართლიან, სასარგებლო სიმტკიცეს ადათების შენახვის საფუძველზე. ხელისუფლება ებრძვის ხალხის ასეთ განწყობილებას; ვერაგული გზით, მის მიერ გადაბირებული ანგარებიანი მღვდლის საშუალებით, გაიგებს, სადა აქვს თემს გადამალული დროშა. თემს ხელისუფლება წაართმევს დროშას. მძიმე ტკივილებით დაუთმო ხალხმა ბოქაულს დროშა. რა ქნას თემმა, „ძალა აღმართსა ჰხნავს!“ და თემიც იძულებით უთმობს დროშას.

ხევისბერი ბეკი დარწმუნებულია, რომ ხალხს დროშა კვლავ დაუბრუნდება. ბეკს სწამს დროშის, როგორც წმინდა საგნის, სასწაულებრივი მოქმედება. ასეთივე რწმენითაა დროშისადმი გამსჭვალული ხალხიც.

მართლაც, თემი მალე იბრუნებს თავის სათაყვანებელ დროშას. ხელისუფლება იძულებულია თვითონვე, თავისი ნებით წართმეული დროშა ხალხს დაუბრუნოს.

მოთხრობაში „დროშა“ ვაჟა-ფშაველა გამოხატავს რწმენას, რომ რეაქცია უძლურია ხალხთან ბრძოლაში. ხელისუფლება იძულებული გახდება დაუბრუნოს ხალხს დროშა, ე. ი. მისცეს ხალხს უფლება, საშუალება თავისუფალი, სამართლიანი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობისა, ხალხის სურვილისა და მოთხოვნილების თანახმად.

მიუხედავად ვაჟა-ფშაველას ღრმა რწმენისა, რომ რეაქცია უძლურია ხალხის მასებთან ბრძოლაში, რომ ის იძულებული შეიქმნება ხალხს მისცეს წართმეული თავისუფლება, რათა ხალხმა მოაწყოს თავისი ცხოვრება თავისი სურვილების მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ მწერალი თავის ამ განწყობილებას ვერ ანვითარებს რევოლუციური ბრძოლის გზით, სათანადოდ ვერ ამახვილებს გამწვავებულ ბრძოლას ხალხსა და ბიუროკრატიულ აპარატს — ხელისუფლებას შორის.

მოთხრობაში შემდეგნაირადაა განვითარებული თემის მიერ დროშის დაბრუნების ცდა. ხევისბერი ბეკისა და დასტურების შუამდგომლობით მაზრის უფროსის, ბოქაულისა და სხვა მოხელეების წინაშე თემს სურს დროშა დაიბრუნოს. მაგრამ ამ გზამ არ გასჭრა. ხელისუფლება ხალხთან ბრძოლაში შეუდრეკელია, ულმობელია.

მხოლოდ თამარისეული დროშის სასწაულებრივმა მოქმედებამ გაიმარჯვა. მალე სწორედ იმ სტრაჟნიკს, რომელმაც ხევისბერ ბეკს დროშა გამოგლიჯა და „ჩიხაურში“ მოათავსა, გაუგიჟდა ცხენი: ცხენმა ცხედარი გადმოაგდო და თავი მიახლეკინა სწორედ იმ ადგილას, საცა „ჩიხაური“ იყო. თავგაჩეხილმა დარაჯმა იმწამსვე სული განუტევა. ეს გარემოება ყველამ, ხალხმაც და მთავრობის მოხელეებმაც. ახსნა თამარისეული დროშის სასწაულებრივი მოქმედებით.

ამიტომ მაზრის უფროსიც შეშინდა და, ავტორის გადმოცემით, თვითონვე ეხვეწებოდა ხალხს: „წაიღეთ, თქვე მამაძაღლებო, და მომაშორეთ ეს თქვენი დროშა აქედან, თორემ, ლამის არი, სტრაჟნიკების ცხენები კი არა მარტო, ლამის სტრაჟნიკებიც დაცოფდენ, და ეს ცოტაა კიდევ, — იქნება მთელი „ჩიხაურიც“ გაგიჟდეს, — თოფებმა თავის-თავად სროლა დაიწყონო. მომაშორეთ ჩქარა, მომაშორეთ თავიდანაო“[53].

მოთხრობაში „დროშა“, თუ ერთის მხრით, ვაჟა-ფშაველა ააშკარავებს მაზრის უფროსისა და სხვა მოხელეთა განუვითარებლობას, ცრუმორწმუნოებას, ჩამორჩენილობასა და უხეშობას, მეორეს მხრით, ხალხსაც ხომ ის ამავე მდგომარეობაში გვიხატავს? ხალხსაც ხომ სწამს თამარისეული დროშის სასწაულებრივი ძალა! საბოლოოდ ხალხის ძველი რწმენა — „დროშის მადლი“ იმარჯვებს და არა ეპოქისათვის დამახასიათებელი „ბრძოლის გზა“, მისი აუცილებლობის შეგნება.

აქაც მეღავნდება ვაჟა-ფშაველას წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობა. მწერალი, როგორც ეს მისთვის დამახასიათებელია, არ ამახვილებს კლასობრივ წინააღმდეგობას. ბრძოლა ხალხსა და ბიუროკრატიულ აპარატს შორის მწერალს ამავე მიზეზის გამო შერბილებული აქვს ამ ბრძოლის ბეკის სიზმარში გადატანით.

მოთხრობა „დროშა“ ვაჟა-ფშაველას დაწერილი აქვს რეაქციის ხანაში, 1913 წელს. ამ წლიდან მწერალს ავადმყოფობამაც მოკიდა ხელი. აქედან რეაქციისა და ავადმყოფობის გაელენით ვაჟა-ფშაველას პოეტური ალღო ერთგვარ მოდუნებას იწყებს და მისი მერყეევი წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობაც უფრო აშკარავდება.

ამრიგად, ვაჟა-ფშაველა მთელი მოღვაწეობის მანძილზე თანადროულობის საზოგადოებრივ ურთიერთობის საფუძვლებს უარყოფითად აფასებს, დაუნდობლად ააშკარავებს მათ დრომოჭმულ, მიუღებელ, უსამართლო, დამღუპველს და ადამიანთათვის შეუფერებელ ხასიათსა და ძალას. ამასთან ის ენერგიულად ავითარებს და მკითხველს აჩვენებს ახალი, მომავალი საზოგადოებრივი ცხოვრების — კაცთა ურთიერთობის შესაფერ, სამართლიან წინწამწევ საფუძვლებს. თუმცა ეს საფუძ-

---

[53] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, დროშა, თხზ., ტ. VI, 1939 წ., გვ. 377—378.

ვლები კონკრეტულ სახეებში არაა მოცემული (მწერლის იდეოლოგიური შეხედულების გამო), მაგრამ, რომ ცხოვრება აუცილებლივ უნდა გარდაიქმნას გაერთიანებული კოლექტიური საზოგადოების სიყვარულისა და მოძმისადმი დახმარების საფუძველზე (რაც მრავალ შემთხვევაში მსხვერპლსაც მოითხოვს) — დაჟინებით და, შეიძლება ითქვას, განუხრელად მძაფრად იგრძნობა. ამასთან იგრძნობა დაუოკებელი სურვილი ვაჟა-ფშაველასი, ყველაფერი ეს მკითხველსაც შთააგონოს.

თავი VIII

ვაჟა-ფშაველა და ქართული ხალხური ზეპირშემოქმედება

ვაჟა-ფშაველას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე როგორც მკითხველი საზოგადოება, ისე ლიტერატურული კრიტიკა დაინებით და ხაზგასმით აღნიშნავდა პოეტის შემოქმედების ხალხურ ხასიათს. ქართული კრიტიკა თავიდანვე დაინტერესდა გაერკვია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ურთიერთობა ქართულ ხალხურ ზეპირთქმულებებთან.

მართლაც, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ზერელე გაცნობაც კი აშკარადა ხდის, რომ იშვიათად თუ სხვა რომელიმე მწერალი ისე მჭიდროდ იყოს ხალხურ შემოქმედებასა და მეტყველებასთან დაკავშირებული და ისე უხვად, მოხდენილად და თავისებურად სარგებლობდეს ხალხის მდიდარ ზნე-ჩვეულებათა და სულიერი მემკვიდრეობის სალაროს მასალით, როგორც ვაჟა-ფშაველა.

ამიტომაც ბუნებრივია ამ საკითხით ქართული კრიტიკისა და ფართო მკითხველთა დაინტერესება. ეს საკითხი ამასთან ერთად რთულია და მრავალმხრივი. ამ მოვლენის სათანადო გარკვევა საგულისხმიერია არა მარტო ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გაგება-შესწავლისათვის, არამედ ქართული ლიტერატურისა და ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მართებული გაგებისათვისაც, ვინაიდან ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სიახლოვეს ქართულ ფოლკლორთან მრავალი და მასთან ერთად მძლავრი ფესვი აქვს ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებასთანაც.

ეს სიახლოვე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა ხალხურ პოეზიასთან აიხსნება, რა ოქმა უნდა, ჯერ იმით, რომ პოეტი წარმოშობით ხალხის დაბალი ფენის, ეთიელთა წრიდანაა; იმ მთის ღვიძლი შვილია. ის გლეხია.

ვაჟა-ფშაველა მთაში არა მარტო დაიბადა, არამედ მთაშივე, გაპირვებულ, შევიწროებულ, ბარსა და კულტურულ ცენტრს დაშორე-

ბულს, მაგრამ თავისებურებისა, სილაღისა და ძველი რაინდული ყოფის შემნახველი მთიელი ხალხის ყოფაშივე აღიზარდა და ცხოვრობდა. მისი მშობლები ორივენი მდაბიო ხალხის ღვიძლი შვილები იყვნენ თავიანთი აღზრდით, გაგებით, მისწრაფებითა და ზნე-ჩვეულებით.

ვაჟა-ფშაველას მამამ, პავლე რაზიკაშვილმა, დიდი ბრძოლითა და ვაი-ვაგლახით გაიკვლია თავისი ცხოვრების გზა; დიდი წვალებით შეისწავლა წერა-კითხვა და მღვდელმსახურება, რის შემდეგაც ის ჯერ დიაკვნად იყო და შემდეგ მღვდლად ხევსურეთსა და ფშავში. პავლე, როგორც მღვდელი, მუდამ მქადაგებელი იყო კაცთმოყვარეობისა და სადა, სამართლიანი ცხოვრებისა. მოსახლეობას გადასახადებს არ ართმევდა.

პავლე და მისი ცოლი გულქანი იშვიათი გამრჯელნი იყვნენ. შრომობდნენ და ცხოვრობდნენ, როგორც ჩვეულებრივი მთიელი გლეხები და შვილებსაც ასეთივე შრომისა და სადა ცხოვრების საფუძველზე ზრდიდნენ. აი რა საგულისხმიერო ცნობას გვაძლევს თავის „ავტობიოგრაფიაში" თედო რაზიკაშვილი, ძმა ვაჟა-ფშაველასი: „სანამ მკასა და თიბვას შევიძლებდი, საქონელში დავდიოდი, მერე კი ყველა გლეხურ საქმეს ვაკეთებდი... ისე გავიზარდე, რო წითელი კიტაიას ახალუხი მენატრებოდა და ვერ ვეღირსე"[1]. ასევე იზრდებოდნენ პავლეს სხვა შვილებიც და მათ შორის ვაჟა-ფშაველაც. არდადეგებზე ძმები სახლში რომ ბრუნდებოდნენ, მაშინაც მამა შვილებისაგან სასტიკად თხოულობდა შრომას. ეს გარემოება ძმათა რაზიკაშვილებს მჭიდროდ აკავშირებდა მთის მოსახლეობასთან, მის ყოფა-ცხოვრებასთან, მის გაგება-შემოქმედებასთან.

ამას გარდა, პოეტის მშობლებს ხალხთან დაახლოების მხრივ დიდი გავლენა ჰქონდათ ვაჟა-ფშაველაზე და მის ძმებზე სხვა მიმართულებითაც. მათი მშობლები დაჯილდოვებულნი იყვნენ პოეტური ნიჭით, ორივე კარგად იცნობდა ხალხურ შემოქმედებას, ორივემ იცოდა მრავალი ნიმუში ხალხური შემოქმედებისა და მათი ნიჭიერი გადმოცემაც მღერით, ღიღინით თუ ფანდურის დაკვრით.

ამასთან ერთად, პოეტის მამა პავლე ქართული წიგნის დიდი მოყვარულიც იყო. რაზიკაშვილების ოჯახში ჩვეულებრივი იყო შემდეგნაირი გონივრული აღმზრდელობითი გართობა: დღიური მუშაობის შემდეგ, საღამოთი, ოჯახის წევრები, ხშირად მეზობლებიც, მოუსხდებოდნენ ბუხარს ან დერეფნის დირეს, დაიწყებდნენ ამა თუ იმ თქმულების ან ზღაპრის გადმოცემას, ან გამოცანებში შეჯიბრებას, ანდაზების მოსწრებულად თქმას, ან ხალხურ სიმღერებს და ფანდურის დაკვრას. იმარ-

---

[1] თედო რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, „ავტობიოგრაფია", ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, გვ. 243.

თებოდა გულისხმიერი სჯა-ბაასი, შეფასება ნათქვამისა თუ სიმღერა დაკვრის ირგვლივ. ამგვარ გართობას ხშირად ერთოდა ხოლმე ქართული წიგნის კითხვა, ან მისი შინაარსის პავლეს მიერ ნიჭიერად გადმოცემა.

აი როგორ ახასიათებს მამას ვაჟა-ფშაველა: „იშვიათი ნიჭის პატრონი, ორატორი, ცნობისმოყვარე და მწიგნობარი... ქართულ ენაზე წიგნი არ მოიპოვებოდა, იმას არ შეეძინა, არ წაეკითხა... დანაშაულობისათვის სიტყვით სასტიკად შვილების დამსჯელი, უმისოდ ჩვენი ტოლი და ამხანაგი იყო, გვებაასებოდა ათას საგანზე, საბაასო საგანს თავადვე გამოსძებნიდა. უყვარდა დიდებულ, გამოჩენილ ისტორიულ პირებზე ლაპარაკი. დავით აღმაშენებელი უყვარდა ყველაზე მეტად ჩვენს მეფეებში“[2].

ამგვარივე თვისებით აღჭურვილად ახასიათებს თავის მამას თედო რაზიკაშვილიც: „უკვე მეცამეტე წელში ვიყავი... მთელი ღამეები წიგნების კითხვას ვუნდებოდი. წინადაც ბევრი მქონდა წაკითხული ქართული წიგნები, რადგან მამაჩემი გამოსულ წიგნს უეჭველად იყიდდა და დიდი დღესასწაული იყო იმისათვის ქართული წიგნის გამოსვლა. ახირებული მოყვარული იყო სამშობლო ქვეყნისა და მისი მწიგნობრობისა. ვინც იმის მსჯელობას გაიგონებდა, იფიქრებდა, ყოველმხრივ განათლებულ და ღრმად განსწავლულ მეცნიერთანა მაქვს საქმე და არა უბრალო მღვდელთანა“[3].

არანაკლები ნიჭისა და უნარის პატრონი იყო ვაჟა-ფშაველას დედა — გულქანი, ძმები რაზიკაშვილები ყველა ერთხმად, არაჩვეულებრივი ნაზი გრძნობითა და ღრმა სიყვარულით მოგვითხრობენ მასზე. აი როგორ გვიხასიათებს დედას თედო რაზიკაშვილი: „დედაჩემი მდიდარი ფანტაზიის პატრონი იყო. უბრალო რამე ამბავს ისეთი ამბით, ისეთი ფერადებით შეზავებულს გადმოგვცემდა, რომ იხიბლებოდა მსმენელი. ის რომ დევებზედ ან ეშმაკებზედ, მოჯალაფეებზედ დაიწყებდა ლაპარაკს, მე სადღაც მოჯადოებულს, არა არსათა სამეფოში გადამიტაცებდა ოცნება და ჩემი თავი მნახველ-გამგონედ მეჩვენებოდა. იცოდა აუარებელი ლექსი და ზღაპარი. ცალკე კაცთა და ქალთა ცხოვრება, ლეგენდები და ამბები ჩვენს მეფეებზედ, უფრო თამარზედ და ერეკლეზედ. წაკითხულ-გაგონილსაც თავის გემოვნებაზედ გადააკეთებდა და თავისი დაბალი სასიამოვნო ხმით გვიზუზუნებდა. როცა გვიამბობდა რამე სამწუხარო ამბავს, თანა ტიროდა ხოლმე. თვითონ წერა-კითხვა არ იცოდა. იყო ბუნებით პოეტი“[4]. დედის ასეთსავე დახასიათებას იძლევა ვაჟა-ფშაველა თავის მოგონებაში „ჩემი წუთისოფელი“.

---

[2] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ჩემი წუთისოფელი, თხზ., ტ. V, 1936 წ., გვ. 511.

[3] თედო რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, „ავტობიოგრაფია“, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, გვ. 245.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 247.

როდესაც ვაჟა-ფშაველას ქართულ ხალხურ ზეპირშემოქმედებასთან დამოკიდებულების საკითხს ვარკვევთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას დედის ბიძა — პარასკევა, რომელიც დიდად დაჯილდოებული იყო პოეტური ნიჭით. პარასკევა „პირველი მელექსე იყო ფშავში, — გადმოგვცემს ვაჟა-ფშაველა. — იმან შექმნა სატირული ლექსები და დღესაც ყველა ფშაველი იმის ჰანგზე „ლექსობს"; საუბედუროდ, წერა-კითხვა სრულიად არ სცოდნია, რომ ქაღალდის წყალობით შენახულიყო მისი ნაწარმოებები, თუმცა მისი ლექსები... ღრმა იუმორით არიან სავსენი"[5]. პარასკევას რაზიკაშვილებზე დიდი გავლენა ჰქონდა.

რაზიკაშვილის პოეტურ მიმართულებაზე საკუთარ ოჯახს რომ დიდი გავლენა ჰქონია, ამას თვითონ პოეტი-ძმები — რაზიკაშვილები — ვაჟა-ფშაველაც („ჩემი წუთისოფელი"), ბაჩანაცა და თედოც თავიანთ მოგონებებში ხაზგასმით ადასტურებენ.

აი როგორ იგონებს ამ გარემოებას თედო რაზიკაშვილი: ჩვენზე „გავლენა ჰქონია თვით ოჯახსაც. მამაჩემი დიდი თაყვანის მცემელი იყო ჩვენი პოეტ-მწერლებისა, აღმერთებდა საქართველოს, იმისი სამსახური ყველაზე უდიდეს მოვალეობად მიაჩნდა. გვიამბობდა მთების პიროფლიანებზედ (ე. ი. მთის გმირებზედ), აგვიწერდა პოეტურად იმათ ღვაწლს და გვანატრებდა სამშობლოსათვის თავდადებას. „ვეფხვის ტყაოსანი", გურამიშვილის ლექსები, ი. ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებული" ზეპირად იცოდა. ზეპირად იცოდნენ ჩვენმა ბიძა-ბიძაშვილებმაც, რომლებიც მუდამ კვირა იყრიდნენ ჩვენსა თავს, კითხულობდნენ და ზოგიც ფანდურზე დაჰმღეროდა. ეს ფანდურის ხმა ჰხიბლავს კაცს, აჯადოვებს და ატყვევებს, აღვიძებს გულში გრძნობათა ცეცხლს, თუ კი სულ გაპირუტყვებული არ არის კაცი. და როცა ისმენ დიდებული კაცის სიტყვებს ისეთი აღტაცებით და მოწიწებით ფანდურზედ დანამღერს, შენც წაგძლევს ოცნება და იმ დიდებულებთან სახელის განაწილებას განატრებს"[6].

მოყვანილი ცნობებიდან აშკარაა, რომ ოჯახმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ვაჟა-ფშაველას პოეტური ნიჭის ამოძრავება-გამახვილებამიმართულებაზე. ოჯახი ვაჟა-ფშაველასა და მისი პოეტი-ძმებისათვის, ეჭვს გარეშეა, პირველი და ნაყოფიერი აკვანი შეიქმნა მათი პოეტური ნიჭის გაშლისა და მიმართულების მიცემისა, განსაკუთრებით კი ხალხურ ზეპირშემოქმედებასთან მათი დამოკიდებულების საქმეში.

მთის გარემო, მის მოსახლეთა, მახლობელთა წრე ვაჟა-ფშაველასათვის რომ შემდეგშიც მისი პოეტური ნიჭის მიმზიდველი და მასაზრ-

---

[5] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ჩემი წუთისოფელი, თხზ., ტ. V, გვ. 509.

[6] თედო რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, „ავტობიოგრაფია", ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და მოღვაწეობის მატიანე შედგენილი ს. უუბანეიშვილის მიერ. გვ. 217.

დოებელი წყარო იყო, ამას ვაჟა-ფშაველა თვითონაც ხშირად აღნიშნავდა. აი რა საგულისხმიერო ცნობას — ვაჟა-ფშაველას ნათქვამს — გვაძლევენ მ. და ნ. შამანაურები: „ქორწილში, ხატობაში თუ სხვა ლხინის დროს, შემომისხდებიან ფშავლები, მეტყვიან: „ვაჟავ, შენ თუ მართლა პოეტი ხარ, აბა ჩვენ გველექსეო“ და დამიწყებენ ლექსობას. მეც ძალაუნებურად უნდა ავუვე და ბევრჯელ ისინი მაჯობებენო. უაღრესად ნიჭიერი ხალხია ეს ჩვენი ფშაველები და ხევსურები. მე ეგრე ლექსს ვერ ვიტყვი: მე უნდა დავჯდე ჩემთვის მარტოდ, მყუდროდ მაგიდასთან, სრული სიწყნარე და სიჩუმე უნდა სუფევდეს და გაფრენილ ბუზის მყუდროება არაფრით არ უნდა ირღვეოდეს“[7].

ნაწილობრივ მაინც, შესაძლებელია, ამით აიხსნება ის, რომ ვაჟა-ფშაველას წერა მთაში უფრო ეხერხებოდა. მას თავისი ლექსების, მოთხრობების, პოემებისა და სხვა წერილების დიდი უმეტესობა დაწერილი ჰქონდა მთაში და დამზადებულ მასალას ან თვითონ ჩამოიტანდა ხოლმე თბილისში, ან იქიდან გზავნიდა რედაქციებისათვის გასაცემად. იქ, მთაში, უხვად პოულობდა და ჰკრეფდა საზრდოს მისი პოეტური ხმა.

თვით ვაჟა-ფშაველა ყველაზე უკეთ გრძნობდა, რაოდენად იყო ის დავალებული მთის ცხოვრებით, ზნე-ჩვეულებითა და პოეზიით. მას თავის შემოქმედებაშიც არა ერთხელ აღუნიშნავს მთისადმი თავისი მადლიერი გრძნობა. ნიმუშისათვის მოვიყვანთ ნაწყვეტს პოემიდან „ბახტრიონი“:

მოგესალმებით, ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი,
ჩემსამც სამარეს ამკობენ
თქვენი დეკა და ღვიანი!
თქვენგანა გულობს ეს გული,
შიგ გრძნობა უდუღს ღვთიანი.
თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ,
ლალიან-ბარაქიანი,
ნუმც გაჯავრდება პირიმზე,
ნუმც დამწყეველიან ია,
რომ იმათ დედის ძუძუთა
ვსუქდები ცოდვილიანი.
მეც მიგემეგავ იგი რძე,
რითაც თქვენ დაიზარდენით:
თქვენანავე გარგებსთ, დობილნო,
თუ უხვად დაიხარჯენით![8]

თუ რაოდენ დიდი გავლენა ჰქონდა ვაჟა-ფშაველას პოეტურ ნიჭზე ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას. ამას მთის მგოსანი არა მარტო თავის მხატვრულ შემოქმედებაში გამოხატავდა ხოლმე, არამედ თავის კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებშიც. აი როგორი გულწრფელობით წერს ის ამის შესახებ: „თქვენს უმორჩილეს მონაზედ — ვაჟა-ფშაველაზედაც, უნდა მოგახსენოთ, დიდი ზემოქმედება აქვს ხალხურ თქმულებათა. უმეტესი ჩემი პოემები ხალხში გაგონილ ორ-სამ სიტყვაზეა

[7] ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვაჟა-ფშაველა, დოკუმენტები და მასალები, გვ. 274.
[8] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ბახტრიონი, თხზ., ტ. III, 1930 წ., გვ. 165.

აშენებული. იქნება ეს ჭირიც იყოს? რა ვქნათ, ასე კია და... ნათქვამია: კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო"[9].

ვაჟა-ფშაველა სრულიად სამართლიანად თვლის მცდარად იმ გარემოებას, რომ ჩვენში ძალიან სათაკილოდა და ნიჭის დამამცირებლად მიაჩნიათ მწერალზე სხვისი გავლენა. მისი შეხედულებით, ასეთი გავლენა წესიერი, საღი, ნორმალური და აუცილებელი მოვლენაა „იმ კანონის ძალით, — ამბობს ვაჟა-ფშაველა, — რომელსაც ჰქვიან კანონი თანდათანობისა".

ვაჟა-ფშაველას სამართლიანი გაგებით, ამგვარი გავლენა დიდი მწერლებისათვისაც დამახასიათებელია, ბუნებრივი და არა დასაძრახი. ასეთი შეხედულების დასამტკიცებლად მას მოჰყავს მაგალითი რუსი დიდი მწერლების ლ. ტოლსტოისა და ა. პუშკინის შემოქმედების ისტორიიდან და ასკვნის: „დიაღ, პუშკინის შემოქმედობაზე საერო (იგულისხმება ხალხური ზეპირშემოქმედება. — მ. ზ.) ნაწარმოებთა, ვინც-კი იცნობს რუსეთის საერო ლიტერატურას, დამეთანხმება, რომ დიდი ზედმოქმედება ჰქონდა. იმან შეისისხლხორცა ერის სულიერი სალარო და ამაშია კიდეც მისი დიდებულება, ამას ნაკლად-კი არა, ღირსებად უთვლიან ჭკვათამყოფელნი[10].

* * *

მარტო მთისა და მშობელთა ოჯახის გავლენით არ შეიძლება აიხსნას ვაჟა-ფშაველას ასე ახლო და მჭიდროდ მისვლა ქართულ ფოლკლორთან და ასე უხვად მისი მასალით სარგებლობა. ამას კიდევ სხვა საზოგადოებრივი ხასიათის ღრმა მიზეზებიცა აქვს. ამისი ახსნა უნდა ვეძიოთ ვაჟა-ფშაველას საზოგადოებრივ პოზიციაში, მის საზოგადოებრივ სიმპათიებში, მის მიერ ლიტერატურისა და საზოგადოებრივი განვითარების ამოცანის გაგებაში, ე. ი. ვაჟა-ფშაველას საზოგადოებრივ მსოფლმხედველობაში, რაც მასში საკმარისად მკვეთრად გამომუშავდა გორის საოსტატო სემინარიაში სწავლის დროიდანვე[11].

60-იან წლებში, მძლავრი სოციალური ძვრების პერიოდში, თერგდალეულებმა სამწერლო და სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გამახვილებულად წამოაყენეს საკითხი ხალხისა, საკითხი, — რა გზით უნდა წარიმართოს ამიერიდან ქართველი ხალხის ისტორიული განვითარება!

---

[9] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, Pro domo sua, თხზ., ტ. V, 1936 წ., გვ. 508.

[10] ი ქ ვ ე, გვ. 507—508.

[11] იხ. სვ. ს ა ლ ა რ ი ძ ე, „მოგონებანი", ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1935 წ., ტ. I. ალ. გ ა რ ს ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, „ვაჟა-ფშაველა მოწაფეობის ხანაში (1881—1883)". იხ. ს. ყუბანეიშვილის „ვაჟა-ფშაველა".

ესევე საკითხი იმავე 60-იან წლებში მტკივნეულად იდგა რუსეთის საზოგადოების წინაშეც.

ილია ჭავჭავაძე — ეს თერგდალეულთა იდეური ბელადი, გარკვეულად და მტკიცედ გამოსთქვამს ჟურნ. „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო წერილში არა მარტო თავის პირადს, არამედ თერგდალეულთა მთელი ჯგუფის მიმართულებას: „ჩვენი საქმე, — მტკიცე შეგნებით წერს ილია ჭავჭავაძე, — საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“. ამიტომ ისინი (ე. ი. თერგდალეულები) ცდილობენ საქმე „დაიჭირონ, თუ არა სრულიად ხალხთან, მომეტებულ ნაწილთან მაინც“[12].

ქართველი ხალხის ცხოვრების სინამდვილესთან ახლო მისვლამ ილია ჭავჭავაძესა და თერგდალეულებს, აღზრდილთ რუსეთის 60-იანი წლების რადიკალურ-დემოკრატიულ იდეებზე, აშკარად დაანახვა, რომ საჭიროა დაითრგუნოს ძველი და გაიჭრას ახალი ცხოვრების გზა, ახალი მიმართულებითა და შინაარსით. ამ მეტად რთული და საჭირო პრობლემის სათანადოდ გადაჭრა ილ. ჭავჭავაძემ მეტად სწორად, ძარღვიანად და მიმზიდველად გამოთქვა თავის ლექსში „ქართვლის დედას“:

მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს.
ჩ ვ ე ნ უ ნ დ ა ჩ ვ ე ნ ი ვ შ ვ ა თ
მ ყ ო ო ბ ა დ ი,
ჩ ვ ე ნ უ ნ დ ა მ ი ვ ს ც ე თ მ ო მ ა-
ვ ა ლ ი ხ ა ლ ხ ს ...[13]

აი სწორედ ახალი ვარსკვლავის, ახალი, საჭირო და შესაფერი გზის გამონახვა, „მომავლის შვა“ და მისი ხალხისათვის მიცემა, რაც იმ დროის ცხოვრების პირობებში აუცილებელი და გადაუდებელი იყო, თერგდალეულთა და აგრეთვე შემდეგ 70—80 წლებში ხალხოსანთა წინაშეც, 60-იანი წლებიდანვე მეტად მწვავედ სვამდა ხალხის პრობლემას. თერგდალეულნიც და ხალხოსნებიც, რა თქმა უნდა, არამცთუ ყრუდ არა რჩებოდნენ, არამედ, თავთავიანთი სპეციფიკური გაგებით, ხალხის პრობლემას თავიანთი მოღვაწეობის ძირეულ საკითხად აყენებდნენ.

თერგდალეულნი თავიანთ შემოქმედებაში ცოცხლად, ხაზგასმით გვიხატავენ თუ რაოდენი მორალური ძალაა ხალხში, მაგრამ ამ ძალას რომ არავითარი გასაქანი არ ეძლეოდა, რომ ცხოვრების პირობები —

---

[12] ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, საქართველოს მოამბეზედ. „საქართველოს მოამბე“, № 1, 1863 წ.

[13] დაყოფა ჩვენია.

ყმის, გლეხის დაჩაგრული, უფლებააყრილი მდგომარეობა მას ბორკავდა, აკნინებდა, ჰკლავდა. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ქვეყნის — ერის შემნახველი ძალა. ქვეყნის ბურჯი, ილ. ჭავჭავაძის (და სხვათა თერგდალეულთა) გაგებით, მაინც ხალხია[14]. ამიტომაც, ილ. ჭავჭავაძემა და მთლად თერგდალეულებმა უკუაგდეს ფეოდალური დარბაზების ენა და ლიტერატურულ ენას საფუძვლად ხალხის ენა დაუდვეს. ისინი უხვად სარგებლობდნენ ხალხის მეტყველებით — ენით, გამოთქმებით, ანდაზებით, სიტყვათა შემადგენლობით და სხვ.

ამასთან დაკავშირებით, ილ. ჭავჭავაძემ ერთმა პირველთაგანმა აღნიშნა ქართული ხალხური ზეპირშემოქმედების ღირსება და მნიშვნელობა, და დიდი ყურადღება მიაქცია მის შეკრება-შესწავლას, როგორც ხალხის ისტორიული და ეთნოგრაფიული ცხოვრებისა და ხასიათის თავისებურების გამოხატულების დადასტურებას.

ილ. ჭავჭავაძის ასეთი მიმართულებით აიხსნება. რომ ის ღიდი გულისყურით ეკიდება გლეხობის — ხალხის ზნე-ჩვეულებას, ზეპირსიტყვიერებას. მას კარგად ესმოდა, რომ ხალხური პოეზიის მხატვრულ სახეებში აშკარად მეღავნდება მისი გამომწვევი და წარმომშობი ხალხის ყოფა. ამიტომაც, ილია და აკაკი თვითონაც აგროვებდნენ და სხვათაც ურჩევდნენ მიექციათ სათანადო ყურადღება ხალხური ზეპირშემოქმედებისათვის, რომელშიც, როგორც სარკეში, ვლინდებოდა ხალხის ბუნება, ძალა, ნიჭი, იდეალები და მთელი მისი ყოფა.

60-იანი წლებიდან შეიქმნა მთელი პლეადა ქართველი მწერლებისა, რომელიც ღიდის ინტერესითა და გატაცებით ჩაება ქართული ხალხური ზეპირმეტყველების შეკრება-შესწავლის საქმეში: აკ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ხიზანიშვილი, რაფ. ერისთავი და სხვანი.

მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აკ. წერეთელს. მან ღიდი გატაცებით მოჰკიდა ხელი ქართული ფოლკლორის მასალების შეკრებას, ჩაწერა-შეგროვებას. სხვებსაც დაბეჯითებით მოუწოდებდა ხელი მოეკიდათ ამ მეტად საჭირო და გადაუდებელი საქმისათვის. მან არა ერთი და ორი წერილი დასტამბა ქართულ პერიოდულ გამოცემებში ხალხური შემოქმედების ღირსება-მნიშვნელობაზე. არა ერთი და ორი მეთოდური ხასიათის წერილი მოათავსა, რომელშიც მკითხველთ სახელმძღვანელო მითითებებს აძლევდა, როგორ უნდა ჩაეწერათ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.

აკ. წერეთლის აზრით, ქართველ მოწინავე საზოგადოებას ბევრი საჭირო და გადაუდებელი საქმე აქვს, მაგრამ ყველაზე გადაუდებელია ზეპირგადმოცემის ჩაწერა და შეგროვება-შესწავლა. „შედარებით ამ

---

[14] ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. „ცხოვრება და კანონი“ და სხვ.

დიდ საქმესთან, — დაბეჯითებით მოუწოდებდა ფართო საზოგადოებას აკაკი, — სხვები ყველა თითქოს ჩხირკედელაობად უნდა ჩაითვალოს"[15]. და ეს არა მარტო აკ. წერეთლის აზრი და მოთხოვნილებაა, არამედ მთელი ეპოქისა, რასაც რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაშიაც გარკვეულად ადგილი ჰქონდა.

აკ. წერეთლის ინიციატივითა და ჟურნალ „კვალის" რედაქციის დახმარებით 90-იანი წლების დასაწყისიდანვე დაარსდა კიდეც კომიტეტი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრება-შესწავლის სახელმძღვანელოდ. აღნიშნული მიზნისათვის ფონდის დასაარსებლად ქართველ საზოგადოებაში დაიწყო ფულის შეგროვებაც. შემდეგ, როცა 1897 წელს აკ. წერეთელს ნება დართეს ჟურნ. „კრებული" გამოეცა, აკაკიმ თავის ამ ჟურნალში ხალხური პოეზიის ნიმუშების გამოქვეყნებას განსაკუთრებული განყოფილება დაუთმო.

აკ. წერეთელი ქართული ხალხური შემოქმედების შესწავლის საქმის წარმატებით ისე იყო დაინტერესებული, რომ ამ საქმის წარმოების ფონდის გასაძლიერებლად თავისი ქონების უდიდესი ნაწილი (თავისი მამული სოფ. სხვიტორში) ანდერძით ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას დაუტოვა. „ვენახს და დანარჩენს ჩემს უძრავ ქონებას სრულ საკუთრებაში ვუტოვებ ქართულ ეთნოგრაფიულ საზოგადოებას, რათა მან შეჰკრიბოს და გამოსცეს ქართული ზღაპრები, ლექსები და საზოგადოდ ზეპირი თქმულებანი"...[16]

დიდებული ჩვენი მგოსანი ამ საქმის საფუძვლიანად მიმართვით ისე იყო გატაცებული, რომ თავის „ანდერძში" შესაძლებლადა და საჭიროდაც დაინახა აღენიშნა: „თუ ვინიცობაა ვინმე მოისურვებს ჩემს ხსოვნას პატივი სცეს გვირგვინით, მე ვთხოვ მას გვირგვინის საფასური შეიტანოს ხსენებულ ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში ზემოაღნიშნული მიზნისათვის"[17].

აკ. წერეთელმა თავის პოეტურ შემოქმედებაშიც უხვადა და მოხდენილად გამოიყენა ქართული ხალხური შემოქმედების მასალა. როგორც ხალხური ენა, ისე ჟანრები — სიმღერა, ლექსი, ზღაპარი, ლეგენდა, თქმულება, იგავი და აგრეთვე ხალხური პოეზიის ლექსთაწყობა და ეთნოგრაფიული მასალა („საიდუმლო ბარათი", „ნაცარქექია". „გოგია მეჩონგურე", „ბაში-აჩუკი" და მრავალი სხვ.).

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მწერლობისათვის ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ასეთი გამოყენება საგრძნობლად დამახასიათებელია.

---

[15] აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ხალხური ზეპირსიტყვიერება და მისი მნიშვნელობა, „თემი", 1913 წ., № 118.

[16] მ ი ს ი ვ ე, ანდერძი, ჟურნ. „განათლება", 1915 წ., № 11.

[17] ი ქ ვ ე.

უნდა აღინიშნოს, რომ ხალხური ზეპირსიტყვიერებით გატაცებას ჩვენში ხელს უწყობდა აგრეთვე ამავე საკითხით დიდი დაინტერესება და აქტიური ნაყოფიერი მუშაობა მთელი XIX საუკუნის მანძილზე რუსული ფოლკლორის მკვლევართა და რუს მწერალთა მიერ (ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ნ. გოგოლის, ნ. ნეკრასოვის და მრავალ სხვათა) ნიჭიერად გამოყენება რუსული ფოლკლორული მასალისა, რაც ჩვენს საზოგადოებაზე და მწერალთა შემოქმედებაზე, უდავოდ, დიდ გავლენას ახდენდა.

ქართველი ხალხის — გლეხობის ცხოვრებით, მისი ზეპირშემოქმედებით დაინტერესება ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში და მწერლობაში ღრმავდება ხალხოსნების გამოსვლით სამოღვაწეო ასპარეზზე 70-იანი წლებიდან. ხალხოსნები ჩვენშიც და რუსეთშიც კულტად აყენებდნენ ხალხის ცხოვრების შესწავლას, მისი ძალისა და მნიშვნელობის გამოაშკარავებას. ამ მიზნით ისინი უხვად სარგებლობდნენ ხალხური ზეპირსიტყვიერების ბარაქიანი მასალით.

ნ. ხიზანაშვილი, ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ქართველი ხალხოსნებისა, გარდა ფრიად საგულისხმიერო წერილებისა, რომელთაც ის ბეჭდავდა ჟურნ. „იმედში“ და ქართულ სხვა პერიოდულ გამოცემებში ქართველი ხალხის, გლეხობის ისტორიული ცხოვრების შესახებ, აგრეთვე საგულისხმიერო წერილებს ათავსებდა ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულების შესახებაც. „ჩვეულებასაც, — წერს ნ. ხიზანაშვილი, — თავისი აზრი და მნიშვნელობა აქვს. და თუ იგი ხალხის ვინაობის გამომხატველია და ამასთანავე ზნეობითს კანონს არ ეწინააღმდეგება, მისი დაცვა ყოვლად საჭიროა. სხვათა შორის, სწორედ ასეთი ჩვეულება აძლევს ხალხს განსაკუთრებითს ფერს, პიროვნულს ხასიათს. როგორც ცალკე პირისათვის საჭიროა მისი პიროვნული თავისებურება, ისე ხალხისათვის საჭიროა გონივრული ხალხოსნური ჩვეულება. სადაც ასე არ არის, იქ არც ცხოვრებაა, იქ არც პროგრესია შესაძლო... ჩვეულებას აქ (ფშავ-ხევსურეთში. — მ. ზ.) ღრმად ძირი გაუდგამს მთელს ცხოვრებაში. ხალხის აზრით, მისი საზოგადო შეხედულება მხოლოდ ამ ჩვეულებით მოძრაობს, მოქმედობს, თვით კანონიც აქ ჩვეულებაა და სხვა არაფერი“[18].

ასეთი ინტერესი ხალხური შემოქმედებისადმი საქართველოში განსაკუთრებით გაცხოველებულია 80—90-იან წლებში. მიუხედავად მრავალ არახელსაყრელ პირობათა, ქართული ფოლკლორული მასალის შეკრება-შესწავლა ქართველ მკვლევართა და მწერალთა შორის მაინც დიდ ინტერესს იწვევდა. ქართველი მწერლები იმ მძიმე

---

[18] ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, „ფშავ-ხევსურეთი“, ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 3—4.

ცენზურულ პირობებში თანადროულობის მოწინავე იდეების, ირიბი გადატანითი გზით გამოსახატავად ხალხური ზეპირშემოქმედებით სარგებლობდნენ. ისინი ხშირად ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში პოულობდნენ თემასაც და მასალასაც (ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, რაფ. ერისთავი, ალ. ყაზბეგი და მრავალი სხვ.) და ამ გზით გაჰქონდათ ახალი იდეები მკითხველთა მასებში.

* * *

ვაჟა-ფშაველაც სრულიად შეგნებულად არ ასცდა შემოქმედების ამ გზას. ის არა მარტო ქრონოლოგიურად იყო თანამედროვე ზემოთ დასახელებული მწერლებისა და პოეტებისა, არამედ თანაზიარი და თანამოკალმე მრავალ ზრახვათა და განწყობილებათა იმ ჯგუფისა, რომელიც 60-იანი წლებიდან ცხოვრების ახალ გზას ეძებდა, ჰკაფავდა ნარ-ეკლიან სარბიელს, თავგამოდებით იბრძოდა საზოგადოებრივი ცხოვრების იდეურ-ლიტერატურულ ფრონტზე და ამ მოღვაწეობაში ხალხის ცხოვრების სალაროში შენახულ გონებრივ-იდეურ და მორალურ განძს იყენებდა. ვაჟა-ფშაველაზე, რა თქმა უნდა, ამ მწერლების შემოქმედებაც ახდენდა გავლენას.

აი რა საგულისხმიერო ცნობას გვაძლევს თვითონ ვაჟა-ფშაველა: „ჩემზე უნდა მოგახსენოთ, ყველაფერს, რაც კარგი და ხელოვნური რამ დაწერილა, ზემოქმედება, ძალა ჰქონია, აღტაცებაში მოუყვანივარ, მომწონებია. რა თქმა უნდა, თ. რაფიელის ლექსებმა. როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებურ მთის კილოთი, სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული, სხვაგვარად შესძრა იგი... უნდა გატეხილი მოგახსენოთ, რომ თუმცა არავითარი მსგავსება არ არსებობს, და იქნება ვერცა ვის შეენიშნოს „მოხუცის ნათქვამსა“ და თ. ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულს“ შორის, მაგრამ ამ პოემის წერის დროს „დიმიტრი თავდადებულს“ ჰქონდა ჩემზე გავლენა, ვიდრე სხვა რომელიმე მშობელ ლიტერატურის ნაწარმოებს, უფრო კი მის ფორმას“[19]...

ასეთი ოჯახური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული განწყობილების ატმოსფეროში იზრდებოდა ვაჟა-ფშაველა. სრულიად ბუნებრივია, რომ მის მდიდარ შემოქმედებაში უხვადაა ჩაქსოვილი მასალა ხალხური შემოქმედებისა და ხალხის ზნე-ჩვეულებათა მდიდარი სალაროდან. ვაჟა-ფშაველაც, როგორც ქართველი საზოგადოების სხვა მოწინავე იდეური მოღვაწენიც, ხალხს აფასებს, როგორც ერის ბურჯს, რომელმაც უფრო წმინდად შემოინახა როგორც ფიზიკური, ისე კულტურული და მორალური ეროვნული ძალა.

---

[19] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, Pro domo sua, თხზ., ტ. V, გვ. 506—507.

ვაჟა-ფშაველა მთელი თავისი დიადი უშუალობით კარგადა გრძნობდა რაოდენი სიმდიდრე, ძალა და სილამაზე იყო ჩაქსოვილი ხალხურ შემოქმედებაში; მას, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ბავშვობიდანვე კარგადა ჰქონდა ხალხის ეს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა შესისხლხორცებული. აი რა საგულისხმიერო ცნობას გვაძლევს ვაჟა-ფშაველას ხალხურ ზეპირშემოქმედებასთან დამოკიდებულების შესახებ ცნობილი საზოგადო მოღვაწე აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი: „ვაჟა-ფშაველა მე პირველად გავიცანი პეტერბურგში, როდესაც უნივერსიტეტში შევედი, ის მოვიდა თავისუფალ მსმენელად უნივერსიტეტში და ესწრებოდა ქართველი სტუდენტების სხდომას სათვისტომო საკითხების შესახებ. ფშავ-ხევსურეთის სახალხო პოეზიიდან აუარებელი ლექსები იცოდა ზეპირად. არავითარი რვეული, ან წერილობითი საბუთები ხელში არა ჰქონია და ყველანი განცვიფრებულნი ვიყავით, როგორ შეეძლო ამდენი ლექსების ზეპირად დამახსოვრება. ლექსები, რასაკვირველია, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზე“[20].

ვაჟა-ფშაველა შემდეგაც, მომწიფების ხანაშიც, როცა ის სამწერლო ასპარეზზე, როგორც პოეტი, უკვე ბრწყინავდა და სახელს იხვეჭავდა, მაინც არ წყვეტდა ზეპირშემოქმედებასთან მჭიდრო კავშირს, განაგრძობდა როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალით სარგებლობას, ისე მის შესწავლა-შეკრებას. ვაჟა-ფშაველამ, როგორც ხალხური ზეპირშემოქმედების შემკრებმა, საგრძნობი სამსახური გაუწია ქართულ ფოლკლორის შესწავლის საქმეს.

აი როგორ აფასებს ვაჟა-ფშაველა ფშაურ ხალხურ პოეზიას: „ფშავლები პოეტური ხალხია და მათი პოეზია წარმოადგენს უძირო ზღვას. რასაც ფშავლის თვალი და გონება მისწდომია, იმას ყველაფერზე უთქვამს ლექსი, მოყოლებული სიცოცხლიდან სიკვდილამდე და საიქიომდე. ფშავლების პოეზია გაიყოფა ორ ნაწილად — ძველისა და ახლის დროისა. ძველს ლექსებში არის გამოხატული ვაჟკაცობა, გმირობა და ზნეობრივი სიმაღლე. ძველს ლექსებში უფრო იდეალურობა გამოსჭვივის. ახალი ლექსები რეალურ გზას ადგანან და მათში ჰკენესის სატირული ნაღველი; რეალური მიმართულება ახლის დროის ლექსებისა უწმაწურობამდე, ცინიკობამდე გადის... მაგრამ რა ქნას ახლის დროის ფშაველმა. საგმირო საქმე აღარა აქვს და გულს იფხანს სხვადასხვა საგნებზე შაირობით“[21].

ვაჟა-ფშაველა ღვიძლი შვილია და ნიჭიერი გამომხატველი ჩვენი ცხოვრების გარდამავალი ეპოქისა, როცა ხდებოდა დიდი სოციალური

---

[20] ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, „მოგონებანი ქართველ მწერლებზე“, ლიტერატურული მატიანე, 1952 წ., № 6, გვ. 58.

[21] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ეთნოგრაფიული წერილები, 1956 წ., გვ. 100.

ძვრები, როცა არსებული ირღვეოდა, კნინდებოდა, ცხოვრების ახალი გზის გამონახვის აუცილებლობა სტანჯავდა საზოგადოების ყოველ მოაზროვნე წევრს, როცა ყოველი საღად მოაზროვნე გრძნობდა ცხოვრების გარდაქმნის აუცილებლობასა და ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭიროებას ძლიერი პიროვნებისა, რომელიც შესძლებდა ბურუსიანი ცხოვრების გარსის გარღვევას და ხალხის მასებისათვის ახალი გზის ჩვენებას.

ვაჟა-ფშაველა ახალი დროითა და ყოფით უკმაყოფილო, ეძებს დამაკმაყოფილებელ სამყაროსა და მასალას ფშაველთა და საერთოდ მთიელთა ძველ პოეზიაში, რომელსაც, მისივე სიტყვით, „მშვენიერი და მაღალი კილო აქვს“[22]. მართლაც, ხალხი თავის პოეზიაში ხატავდა როგორც სიხარულს, კმაყოფილებას, იმედს, იდეალებს, ისეც ჭირს, განსაცდელს, უკმაყოფილებას, ეჭვს. ცნობილია, მთიელთა ზეპირსიტყვიერებაში მკვეთრადაა აღბეჭდილი ხალხის, მისი გმირების შეუპოვარი, მამაცი, გაბედული, ფიზიკურადაცა და მორალურადაც ამტანი, ძლიერი ბუნება. მთიელთა სიმღერა-თქმულებაში მძლავრად ისმის ხმა ლაღი, შეუპოვარი ვაჟკაცისა, რომელიც დაჯილდოებულია სამაგალითო გონიერებით, სულგრძელობით, თავდაჭერილობით, თავმდაბლობითა და თანაგრძნობით მოძმისადმი; ამ ვაჟკაცის სიტყვა და საქმე ერთია; ის არა მარტო თავის თავზე ზრუნავს, არამედ უფრო მეტად მოძმესა და სამშობლოზე.

აი სწორედ აქ, ხალხურ მდიდარ პოეზიაში ვაჟა-ფშაველას მეზამ იპოვა მაღალი და შესაფერი მასალაცა და ფორმაც თავისი შემოქმედებისათვის. ვაჟა-ფშაველამ თავის შემოქმედებაში ხალხური პოეზია მრავალმხრივ გამოიყენა: მან ისარგებლა ზეპირსიტყვიერების თემათა ნაირ-ნაირობით: 1) ვაჟკაცობა, 2) ქვეყნისა და პირადი ღირსების დაცვა, 3) შემოსეულ მტერთან თავდადებული და შეუპოვარი ბრძოლა, 4) კულტი ერეკლე მეფისა, როგორც ქვეყნისათვის თავდადებული, ნიჭიერი გმირისა, 5) კულტი თამარ მეფისა, როგორც გონიერი, თავმდაბალი, შემბრალებელი, მზრუნველი მმართველისა და სხვა, რაც ზევით თავის ადგილზე გვაქვს აღნიშნული.

ვაჟა-ფშაველა თავის შემოქმედებაში ცოცხლადა და მკვეთრად გვიხატავს მთიელის, განსაკუთრებით კი მთიელი ვაჟკაცის — „კაი ყმის“ მსოფლმხედველობასა და მოქმედებას, რომელშიც მთელი მორალური და იდეური შინაარსი ზედმიწევნით განსახიერებულია და განჭვრეტილი არა მარტო პირადი, არამედ ხალხური ათვისების პრიზმითაც. ამიტომაც, როდესაც ვაჟა-ფშაველა ამგვარ ნაწარმოებებს ქმნის, იქნება ეს ლექსი, პოემა თუ პროზაული, ის არა მარტო მოქმედ პირთა

[22] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ეთნოგრაფიული წერილები, 1956 წ., გვ. 100.

სახეებით სარგებლობს, არამედ ამომწურავად იყენებს ფოლკლორულ სიმდიდრეს, იქნება ეს ხალხის ზნე-ჩვეულება, ხალხური პოეზიის სახეები, მოტივები, პოეტური ხერხები, თუ მისი პოეტური ენა. თავის პოემებში ვაჟა-ფშაველა ცდილობს გამოავლინოს ისტორიული სინამდვილე, შესაძლებელია არა ზუსტი ობიექტურობით, მაგრამ, სამაგიეროდ, ენთოგრაფიულად სისწორით გადმოცემული. და ეს იმიტომ, რომ მთის მგოსნისათვის არსებითი იყო მოეცა ისტორიული სინამდვილე თანადროულობის პოზიციებიდან — განსახიერებულ ისტორიულ სახეებს პოეტის თანადროულობის სინამდვილე უნდა დაემოწმებინა, უნდა აღედგინა ისტორიული წარსული და მხატვრული სისწორით ეპოქის სული მიეცა.

ქართულ ფოლკლორსა და საქართველოს წარსულს ამავე მიზნით მიმართავდნენ ხოლმე ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, რაფ. ერისთავი და სხვანი ეროვნული გამათავისუფლებელი ბრძოლის იდეის ფართო მკითხველთა მასებში გატანის მიზნით. ასეთივე მიზანდასახულობა ამოძრავებდა ვაჟა-ფშაველასაც. ეს ამოცანაც, როგორც დავინახეთ, მრავალგზის და ნიჭიერად შეასრულა მან თავისი შემოქმედებით.

ისტორიზმი და ფოლკლორიზმი ვაჟა-ფშაველას პოეტურ შემოქმედებაში ერთ მთლიანობაშია მოცემული. მაგალ., მისი „მოხუცის ნათქვამი", „ბახტრიონი", „ეთერი" და მრავალი სხვა ხალხური მეტყველების, ხალხური ზნე-ჩვეულების ზედმიწევნითი დაცვით მთლიანად გაჟღენთილია ფოლკლორიზმით. ფოლკლორული ელემენტები, როგორც დასახელებულ, ისე ვაჟა-ფშაველას მთლიან შემოქმედებაში მხოლოდ მასალის გამოყენებასთან ესთეტიკური მიდგომა კი არ არის, არამედ უფრო ხშირად გარკვეული პოლიტიკური კონცეფციის პოეტური გამოვლინების ხერხია.

ვაჟა-ფშაველას მიერ ფოლკლორული მასალის ასეთი გამოყენება მხატვრულ შემოქმედებაში ამჟღავნებს ქართველ საზოგადოებაში ახალი სოციალურ-პოლიტიკური ტენდენციების გამოვლინებას. ვაჟა-ფშაველა, როგორც ჩვენი ამ პერიოდის ლიტერატურისა და საზოგადოების ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი, ხალხში ხედავდა ქართველი ერის ისტორიული პროგრესიის ძირითად წამყვან ძალას. მას სწამდა, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების გამოსწორება და გამოჯანსაღება მხოლოდ ხალხის, მისი ნიჭისა და უნარის საღ და ორგანიზებულ გამოვლინებას შეუძლია. ამით აიხსნება მთის მგოსნის გატაცებით მუშაობა როგორც სახალხო სკოლის მასწავლებლისა, როდესაც ის არა მხოლოდ მასწავლებელი იყო, არამედ კეთილი აღმზრდელიც, როგორც ბავშვებისა, ისე მთლად მოსახლეობისა, რომელთანაც გამუდმებით ატარებდა სასარგებლო საუბრებს, კითხვას გამომაფხიზლებელ თემებზე. ასეთი კავშირი ჩვენს პოეტს ხალხთან მთელი

ცხოვრების მანძილზე არ დაუკარგავს და არც შეუნელებია. აი გზა, რომლითაც ვაჟა-ფშაველა შედის როგორც პრაქტიკულ მოღვაწეობაში, ისე პოეტურ ქმედობაში.

* * *

ვაჟა-ფშაველამ, აღნიშნულ პირობათა გამო, განიცადა რა დიდი გავლენა ხალხური, განსაკუთრებით ფშაურ-მთიულური პოეზიისა, რომლიდანაც მან გამოიყენა როგორც ჟანრები, თემები, პოეტური სახეები და ხერხები, რა თქმა უნდა თავისი თანადროულობის თვალსაზრისით გააზრებული, აგრეთვე უხვად, ძალიან ხშირად დიდი გადაჭარბებითაც, გამოიყენა ფშაურ-ხევსურული დიალექტიც. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ამ მიმართულებით დაფასებაში შემდეგი გვინდა აღვნიშნოთ.

ვაჟა-ფშაველას მოღვაწეობისა და პოეტური შემოქმედების ეპოქაში, 80—900-იან წლებში, ქართველი მოწინავე საზოგადოებისათვის ერთ-ერთი მეტად დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი საბრძოლო-ეროვნული საკითხი იყო ცხოვრების ახალ მოთხოვნილებათა მიხედვით ახალი ქართული სალიტერატურო ეროვნული ენის დადგენა და განმტკიცება. ახალი სალიტერატურო ენისათვის ბრძოლა ილ. ჭავჭავაძემ და აკ. წერეთელმა 60-იანი წლების დასაწყისიდანვე მათთვის დამახასიათებელი დიდი სიმკვეთრითა და რადიკალიზმით დაიწყეს, და, შეიძლება ითქვას, გადაწყვიტეს კიდეც. საჭირო იყო ახალი სალიტერატურო ენის განმტკიცება მწერლობაში, მისი ფართო მასებში გატანა.

ილ. ჭავჭავაძემ, სრულიად ბუნებრივია, რომ 60-იანი წლებიდან, როდესაც კაპიტალიზმის განვითარების ნიადაგზე გაერთიანდნენ ქართველი ტომები ერთ მთლიან ერად, საჭიროება იგრძნო ერისათვის მთლიანი საერთო სახმარებელი ენის განმტკიცებისათვის მკაცრი და გაბედული ბრძოლა ეწარმოებინა, რაც მან დაიწყო თავისი პირველივე კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილით „ორიოდე სიტყა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“.

ილ. ჭავჭავაძესთან ერთად ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილმა, ე. წ. თერგდალეულებმა 60-იანი წლებიდანვე ენერგიულად მოსჭიდეს ხელი ამ საპასუხისმგებლო საქმეს, მალე გაიმარჯვეს კიდეც ამ ეროვნული საქმის სათანადო გადაწყვეტაში. ახალმა სახალხო ენამ სავსებით განდევნა დრომოჭმული არქაული ენა, რომელსაც ხელოვნურად იცავდნენ ფეოდალური არისტოკრატიის ლიტერატორები. საქართველოს ყველა კუთხეში ახალი სალიტერატურო ენის გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის შემოქმედებას, განსაკუთრებით მათ პროზას, იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს, „დედა-ენასა“ და

„ბუნების კარს“, რომელზედაც ქართველი ხალხის თაობები აღიზარდნენ.

ახალ ქართულ სალიტერატურო ეროვნულ ენას — ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის სწორ ხაზს ამ მიმართულებით, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შემდეგი თაობა ენერგიულად განაგრძობდა, რითაც ხელს უწყობდა ქართული სალიტერატურო ენის განუწყვეტლივ განვითარებას და განმტკიცებას.

ვაჟა-ფშაველამ ამ დიდ ნაციონალურ-კულტურულ საქმეში ვერ გამოიჩინა სათანადო სიფხიზლე. სალიტერატურო ენის დადგენის და დამკვიდრების საკითხის გადაჭრაში მან არასწორი პოზიცია დაიჭირა: ვაჟა-ფშაველას მიერ ფშაური დიალექტის გადაჭარბებულად გამოყენება, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგებოდა, აბრკოლებდა ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებას.

ვაჟა-ფშაველას პოეტური ენა ამ განხრით ჩვენს მწერლობაში თავიდანვე იწვევდა დავას, რაც ხანდახან მის თხზულებათა დაბეჭდვასაც კი აგვიანებდა. მაგალითად, ისეთი დიდი და კარგი მცოდნე ქართული ენისა და პოეტური ქმედობის დიდი ოსტატი, როგორიც იყო აკაკი წერეთელი, 90-იან წლებში, როგორც ჟურნ. „კვალის“ რედაქციის წევრი, ვაჟა-ფშაველას ლექსებს უწუნებდა და მათ დაბეჭდვას აბრკოლებდა.

ამგვარი დამოკიდებულება მთის მგოსნისადმი პრესაშიც იჩენდა ხოლმე თავს. ილ. ჭავჭავაძეს ვაჟა-ფშაველას შემოქმედება თავიდანვე მოსწონდა, დიდი წარმოდგენისაც იყო მის პოეტურ ნიჭზე და თავის ვიწრო წრეში, როგორც ამას ადასტურებენ მისი თანამედროვენი, — მახლობელი თანამშრომელნი „ივერიისა“ — გ. ყიფშიძე, ა. ახნაზაროვი და სხვანი, არაერთხელ უთქვამს: „გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ამიერიდან ძველმა პოეტებმა ხელიდან კალამი უნდა გავაგდოთ. ვაჟას ამ საუცხოო ლექსების შემდეგ სირცხვილიცაა კალამს ხელი მოვკიდოთ და ლექსების წერა განვაგრძოთ“-ო[23]. ილ. ჭავჭავაძის მიერ ვაჟა-ფშაველას პოეტური ნიჭის მაღალ შეფასებას გვიდასტურებს აგრეთვე აკადემიკოსი ექვთ. თაყაიშვილი: „ყველაზე უფრო მისი (ვაჟა-ფშაველას. — მ. ზ.) ნიჭის დამფასებელი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამბობდა: „რუსთაველის შემდეგ ჩვენ ასეთი ნიჭიერი პოეტი არ'ა გვყოლიაო“[24]. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ილ. ჭავჭავაძე თავის გაზეთის „ივერიის“ ფურცლებზე ვაჟა-ფშაველას ენის კრიტიკას აწარმოებდა.

---

[23] სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვაჟა-ფშაველა, გვ. 309.

[24] ეკ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი ქართველ მწერლებზე, ლიტერატურის მატიანე, 1952, წ., № 6, გვ. 59.

ჯერ კიდევ 1888 წელს გაზ. „ივერიაში“ პ. მირიანაშვილმა მოთავსა წერილი — „საერთო ენა და სათემო კილო“, რომელშიც ავტორი ვაჟა-ფშაველას ენას უწუნებდა. ის აღნიშნავდა, რომ პროვინციალური კილოების ხმარება ლიტერატურულ ენას შებღალავსო. „დღეს ჩვენს მწერლობაში — წერდა პ. მირიანაშვილი, — ენა მეტად აპრელდა და ქიზიყურის პროზისა და ფშაურის პოეზიის მოვლინებამ ხომ მთლად არია ენის ტაძარი... რამდენად ბ-ნ მაჩხანელის ქიზიყურმა პროზამ ბევრი მეტბარგად ჩასარიცხი სიტყვები შესძღვნა ქართულ საერო პროზას, იმდენად ბ. ვაჟა-ფშაველას ფშაურმა პოეზიამ დღევანდელ ქართულთან შედარებით უკან ჩამორჩენილი გრამატიკული ფორმები შემოიტანა და ამასთანავე ზოგიერთი მეტხორცი სიტყვებიც. ჩვენი მწერლობა მოვალეა, რომ სამწერლო ხელოვნება უმნიშვნელო და მეტხორცის პროვინციალებით არ გაახორკლიანოს გასუფთავების მაგიერ“[25].

ამგვარი შეხედულებითვე იყო გამოწვეული საკმარისად გახმაურებული ცნობილი მნიშვნელოვანი ლიტერატურული პოლემიკა აკ. წერეთელსა და ვაჟა-ფშაველას შორის.

აკ. წერეთელმა 1913 წელს („თემში“, № 111) დაბეჭდა ლექსი „ვაჟა-ფშაველას“, რომელშიც ჩვენმა დიდმა მგოსანმა სწორად და ღირსეულად შეაფასა მთის მგოსნის პოეტური ნიჭი:

ჯერ არ ვყოფილვარ ფშავეთში,
მაგრამ კი ვიცნობ ცნობითა;
შენ დამიხატე ის მხარე
ფშაურის ჭკუა-გრძნობითა.

და რაც არ გადმოგიცია
მისს შვენებაზე ენითა,
მე თვითონ მივხვდი ყოვლიფერს
შენთანვე აღმაფრენითა.

მიუხედავად ვაჟა-ფშაველას პოეტური ნიჭის ასეთი მაღალი შეფასებისა, მიუხედავად იმისა, რომ აკ. წერეთელმა ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედების მეოხებით ცოცხლადა და მკვეთრად, დამაჯერებლად განიცდიდა „მაღალი მთა“, მთიელი და მისი „ენა მეტყველი სიმართლის, გულმკერდი ფოლადისა“, — ენა მთის მგოსანს მაინც დაუწუნა:

ენას გიწუნებ, ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო.
თუმც კი გვითესავ მარგალიტს!...
მკითხველიც იმას მკისაო!..

რა თქმა უნდა, აკ. წერეთელი, როგორც კარგი მცოდნე ქართული სალიტერატურო ენისა, როგორც შეგნებულად მებრძოლი ქართველი ხალხის საერთო ეროვნული სალიტერატურო ენის დამკვიდრების საქ-

[25] პ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, გაზ. „ივერია“, 1888 წ., № 166.

მეში, რასაც დაჟინებით თხოულობდა აკ. წერეთლისა და მოწინავე ქართველი საზოგადოების ცხოველი მისწრაფება, დანაწილებული ქართველი ერის გაერთიანებისა და განმტკიცების სურვილით ამოძრავებული, — სამართლიანად არ უთმობდა ფშაურ კილოს სალიტერატურო ენის ადგილსა და უფლებას. სწორედ ამ პოზიციიდან უსაყვედურებდა აკ. წერეთელი მთის დიდ მგოსანს.

ვაჟა-ფშაველამ აკ. წერეთლის ეს მიმართვა სათანადოდ ვერ შეაფასა. მან აკ. წერეთელს პასუხი გასცა მხოლოდ როგორც პოეტმა, როგორც „მარგალიტების მთესველმა“ და არა როგორც ეპოქის აქტუალური, ერისათვის საჭირო საკითხის სათანადოდ გადაწყვეტისათვის მებრძოლმა:

უვარგისობის მიზეზი
ფშავლობა არის სწორედა.

. . . . . .

რატომ არ ჰგუობს, არ ვიცი,
ამ ჰანგს ბუნება ბარისა?!
აქაც ხომ ქართველები ვართ,
ყვავილი აქაც ჰყვავისა.
ხატად ჰყავ, სალოცავ ხატად,
მთიელთ სამშობლო თავისა.
და ენა მთისა სიმტკიცით
მსგავსია კლდისა სალისა;
იქნებ, აკლია, არ ვიცი,
ამ ლომს სინაზე ქალისა?!
ამისთვის დასაგმობია
და წასაღები წყალისა?!

. . . . . .

მაინც წინ მივალ, მაინცა,
არ მეშინიან შარისა,
გულს მისვენია ხატადა
ენა მთისა და ბარისა.

. . . . . .

ნუ შეგაშინებსთ, არ გავნებსთ
მთიდან ყვირილი ხარისა[26].

მაგრამ ვაჟა-ფშაველა თავის მცდარ პოზიციას მთელი სიცხადით ამჟღავნებს იმავე პასუხის შემდეგ სიტყვებში:

მე არც ერთს კილოს არ ვწუნობ,
თუა ქართველის გვარისა.
მოთაყვანე ვარ ყოვლისა
იმათ ტკბილის და მწარისა[27]

აქ ვაჟა-ფშაველა, თითქოს, ძალაში ტოვებს ძველი, უკვე დრომოჭმული ფეოდალური ყოფის ძლიერ ნაშთს — ყოველ კუთხეს თავისი ენა, როგორც თავისი განსხვავებული ყოფის ამსახველი. ვაჟა-ფშაველას ასეთი პოზიცია არაა სწორი და არც მისი ეპოქისათვის შესაფერი.

რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველას იმას არავინ ედავება, რატომ სარგებლობდა ფშაური კილოთი, არა. ცნობილია, ცოცხალი სალაპარაკო ენა ლიტერატურული ენის გამდიდრების დაუშრეტელი წყაროა. ამიტომ ფშაურ-ხევსურული კილოს გამოყენებაც ლიტერატურუ-

---

[26] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, დაგვიანებული პასუხი აკაკის, თხზ, ტ. II, 1950 წ.. გვ. 237.

[27] ი ქ ვ ე, გვ. 239.

ლი ენის დადგენისა და შევსებისათვის შესაძლებელია და საჭიროც არის. მხოლოდ მთავარი ისაა, რომ ეს გამოყენება უნდა ხდებოდეს შერჩევით. საჭიროა ფხიზლად ვადევნოთ თვალი ახალ ენობრივ მოვლენებს, ახალი სიტყვებიდან და გამოთქმებიდან შევარჩიოთ მხოლოდ ისეთები, რომლებიც მართლა საჭიროა ლიტერატურული ენისათვის და ისინი საყოველთაო კუთვნილებად გავხადოთ. ჩვენ, ენათმეცნიერების მყარი მოთხოვნილებითა და დებულებებით აღჭურვილნი, ვალდებულნი ვართ ვაწარმოოთ მტკიცე ბრძოლა ენის სიწმინდისათვის.

* * *

ზემონათქვამი იმას კი არ ნიშნავს, რომ მხატვრულ შემოქმედებაში სრულიად მიუღებელია დიალექტის გამოყენება. არა. როდესაც მწერალი თავისი ეპოქის მოთხოვნილებათა თანახმად იყენებს მდიდარ ფოლკლორს, რათა მისი საშუალებით დაიცვას ხალხის ცხოვრების კოლორიტი — მკვეთრადა და სისრულით დაგვიხატოს ხალხის მდიდარი სულიერი სამყარო, მისი ძლიერი, მტკიცე ხასიათი და გრძნობები, ადგილობრივი კოლორიტის დაცვის მიზნით (რასაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში გარკვეულად ვამჩნევთ), მაშინ ზეპირსიტყვიერებისა და ხალხური დიალექტის მოხდენილი, ზომიერი გამოყენება მნიშვნელოვანი პოეტური ხერხია, რაც ნაწარმოებს, მოქმედ პირთ ადგილობრივ კოლორიტს უნარჩუნებს და მით მეტ დამაჯერებლობას აძლევს. ამ მიმართულებით ვაჟა-ფშაველას შემოქმედება წარმოადგენს უცნაურ მდიდარ პოეტურ სამყაროს და თვით ვაჟა-ფშაველა გვევლინება, როგორც დიდი ვირტუოზი-შემოქმედი, რომლის პოეტური ძალა დაუშრეტელია, ამოუწურავია.

ნიმუშისათვის ავიღოთ მწერლის პოემა „მოხუცის ნათქვამი“ და ზოგადად მაინც გავსინჯოთ, რა მდიდარი ფოლკლორული მასალითაა ის აკინძული. ამ პოემაში ვაჟა-ფშაველას ნიჭიერადა აქვს განსახიერებული ხალხური ზეპირგადმოცემაში შემონახული მათქვამის სახე. მათქვამის ეპიკური ტონი ზედმიწევნით დამახასიათებელი, ტიპიური სტილითაა დაცული მოხუცში, რომელიც ახალგაზრდებს მოუთხრობს ძველ ამბავს ქვეყნის — სამშობლოს თავდადებული დაცვის ისტორიიდან, რათა მსმენელნი გაამხნევოს, ვაჟკაცურად აღზარდოს, პატრიოტული გრძნობა, სამშობლოს დაცვის ვალდებულება მათში გააცხოველოს, მაღალ საფეხურზე აიყვანოს.

მოხუცი წუხს თავის სიბერეს, ფიზიკურად დაუძლურებას — „ათრევას — ზეზე ადგომას მთელი დღე-ღამე“ უნდება. მიუხედავად ამისა, მოხუცის „ტიალი გული წინანდებურად ცხელია“, როცა თოფის გრი-

ალი ესმის, მას ხელი აღარ ასვენებს. აქაა ამ უკანასკნელში მისი ტრაგედიის საფუძველი: დარღვეულია მთლიანობა მის ბუნებაში; მისი ჯანღონე ვეღარ ესიტყვება მის სულიერ მოთხოვნილებას; სიბერემ ის „რკალად მოხარა წელშია". ეს გარემოებაა მას რომ ასე აღონებს, ტანჯავს:

რომ საქართველო თათარმა	ხმალს ვერ შევირტყამ წელზედა,
აიკლოს, ჩაწვას ცეცხლშია,	ჩვენის რჯულის მტერს, ბუხანათს
ვერ მოვახტები ლურჯასა,	ზიანს ვერ დავდებ მკერდზედა[28].

ამას და ასე ჩივის მოხუცი. აი ეს უწყლავს მას მძიმედ გულს.

მოხუცს (რა თქმა უნდა, მასში იგულისხმება თვით ვაჟა-ფშაველა) არ მოსწონს ახალგაზრდობის დაჩიავება; მას აღელვებს მათი უიდეალო, უმიზნო ყოფა, მათი მოდუნებული ცხოვრება, „გალაჩრებული ბიჭები მთელ ცისმარე დღეს ერთპირად" რომ სხედან დუქნის წინ ერთადა; მათი სასიმღერო ლექსები „ღვინო და ქალია". ქალებიც ასეთს ვაჟებს თან სდევენ, „ვით ყანას კალია". მოხუცი აღშფოთებულია, რომ ახალგაზრდების—ქალისა თუ კაცის „არსება ფუჭმა საგნებმა ღალია".

მოხუცის განუშორებელი სურვილია ახალგაზრდობის ცხოვრება გამოასწოროს. ამ მიზნით ის მოთქვამს ძველ დროებაზე, როცა ვაჟკაცისათვის სასახელო იყო მტერთან შეუპოვარი ბრძოლა, სამშობლოს თავდადებული დაცვა, როცა დიაციც „ქმრის სიმამაცით" ამაყობდა, თავი მოჰქონდა. ამით ვაჟა-ფშაველა ეუბნებოდა მკითხველს, რომ ასეთი ვაჟკაცობა დღესაც ისევე საჭიროა, როგორც ძველად. და რომ ასეთი შთაგონება მკითხველისადმი უფრო მძლავრი და დამაჯერებელი შექმნილიყო, მწერალი მოხუცის „ახალ-უხლებისადმი" ძველი დროის მძლავრი და მიმზიდველი მაჯისცემის გადმოცემას იძლევა ხალხური კილოს ზედმიწევნითი დაცვით, როგორც ეს მათქვამისათვის იყო დამახასიათებელი.

ამ პოეტური ხერხით აიხსნება, რომ მკითხველის წინაშე მთელი სიცხადით იშლება ძველი, მართალია, თანამედროვე თვალსაზრისით ჩამორჩენილი, პრიმიტიული ცხოვრება, მაგრამ სავსე უშუალობით, ვაჟკაცობით, დიადი პატრიოტული თავგანწირვის გრძნობით, რამაც მოხუცის (თვით ვაჟა-ფშაველას) გაგებით, გადაარჩინა სამშობლო აუარებელ განსაცდელს, რამაც სამშობლოს ჩაუქრობელი კერა დღემდე მოიტანა.

თვით კილო გადმოცემისა ზედმიწევნით მოგვაგონებს მათქვამის ეპიკურ ტონს:

---

[28] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მოხუცის ნათქვამი, თხზ., ტ. III, 1930 წ. გვ. 5.

ერთს ამბავს გეტყვით, შვილებო,
ჩემის თვალითა ნანახსა,
მაშინდელს, როცა ტყვიის ხმას
ვეძახდით დედის ნანასა.
ერთხელ გავარდა ამბავი,
მოდის თათრების ჯარიო,
ჯარს მოთავეობს მაჰმადი,
ქრისტიანების მსრავიო...
მაშინ მეფობდა ერეკლე,
ჩვენი პატარა კახია:
ქვა-კირით არის ნაგები,
გულთაფლი, სახით მკვახია...[29]

არაჩვეულებრივი სიზუსტითა აქვს ვაჟა-ფშაველას გამოყენებული ზეპირსიტყვიერებაში შემონახული ერეკლე მეორის სახე, რომელიც ხალხს უყვარს, რომელსაც უმღერს, არა როგორც მეფეს, არამედ როგორც სიმბოლოს ქვეყნის თავდადებული დაცვისა, ვაჟკაცობისა, „ჭირსა შიგან“ სიმტკიცისა; რომელსაც ხალხი პატივსა სცემს, როგორც ხალხთან ერთად და მასთან უშუალო კავშირში ქვეყნის ჭირ-ვარამისა და სიხარულის გულწრფელ გამზიარებელს, როგორც მედგარ, შეუპოვარ, უტეხ ჯარისკაცს, ნიჭიერ სტრატეგ-სარდალს, თავმდაბალსა და მზრუნველ ხელმძღვანელს.

ამ შემთხვევაშიც ვაჟა-ფშაველა განსაცვიფრებელი სიზუსტით იცავს ხალხურ შემოქმედებაში მძლავრადა და მრავლად შემონახულს ერეკლესა და ხალხს შორის მჭიდრო, უშუალო ურთიერთობის ეპიზოდებს. ხალხი აღფრთოვანებულია ერეკლეს პიროვნებით; ის გამსჭვალულია მისდამი სიყვარულით, პატივისცემით, ერთგულებით იმიტომ, რომ ესეც ხალხს ისე ეჭცევა, როგორც თანასწორი; ის, ბუნებით უხვად დაჯილდოებული, მხოლოდ პირველია თანასწორთა შორის. ის ხალხის შეგნებაში სამშობლოს ფარის სიმბოლოა. ვაჟა-ფშაველა აქ, უდავოდ, ერეკლე II-ის ერთგვარ იდეალიზაციას ახდენს, და ეს აიხსნება იმით, რომ ეს იდეალიზაცია დამახასიათებელია ხალხისათვის, რომელმაც ასეთი შეხედულება ძალუმად ასახა თავის ზეპირშემოქმედებაში.

ვაჟა-ფშაველა ხალხური პოეზიის საფუძველზე აი როგორ აღბეჭდავს ერეკლესა და ჯარს — ხალხს შორის თანამშრომლობას:

ის (ე. ი. ერეკლე.—მ. ზ.) უცინოდა მოსულთა,
როგორც ძმა თავის ძმათაო...
რომელთაც სიყრმე აქცევს
სიბერედ მტრისა ლევაში,
და წამოსულან ნებითა,
რომ გასწყდენ ქვეყნის წევაში[30].

როგორც ჯარია მხნე, უტეხი, ჯანიანი, ლამაზი, რომლის „ზაუთი ზღვას ჰგავდა, კლდე უყელყელებსთ მკერდზედა“, ისევეა ერეკლეც, რომელიც „ცხენზედ ჰშვენოდა, მამაცად მოცქერალია, უხდება ბებერს

[29] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მოხუცის ნათქვამი, თხზ., ტ. III, გვ. 6—7.
[30] ი ქ ვ ე, გვ. 10.

არწივსა შეჭმუხვნით სახე მკრთალია. მთელი სიტურფე ქართლისა იმას ესვენა მხრებზედა". აღტაცებაში მოსული ერეკლეს ასეთი მხნე სახით, მოხუცი სასოებით ამთავრებს მისი მომხიბლველობის აღწერას:

ზედ აკვდებოდა საცმელი
წმინდად ნალესი ხმალია,
მე თვითონ ვიყავ მნახველი,
ვისაც ჰკრა, — სული დალია[31].

ერეკლეს სახის განსახიერებაში ვაჟა-ფშაველა სარგებლობს არა მარტო ხალხურ პოეზიაში შემონახული ერეკლესადმი ხალხის განწყობილებით, არამედ იმავე ხალხის მიერ შექმნილი და ხალხურ პოეზიაში ჩაქსოვილი ეპითეტებით — შედარებებით: „ჩვენი ერეკლე", „მამაცი", „პატარა კახი", „კახი ბატონი", „ბებერი არწივი", „თეთრცხენიანი", „შავარდენი ვით მერანი", „ლომგული" და მრავალი სხვ. როგორც ჩანს, ერეკლე როგორც გმირი, ნიჭიერი და თავდადებული მმართველი, ვაჟა-ფშაველასაც ძალიან იტაცებდა, მისი სახე პოეტს განსახიერებული აქვს მრავალ ნაწარმოებში. მაგალ., „მეფე ერეკლე", „ერეკლეს სიზმარი", „ივანე კოტორაშვილის ამბავი", „ირაკლი ბრძოლის წინ", „კაი-ყმა"...

ხალხური ზეპირშემოქმედების უდავო დიდი გავლენითვე, ასეთივე თვისებებითა და განწყობილებითაა განსახიერებული თამარ მეფის სახეც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში.

ერეკლესი და თამარ მეფის დახატვა ვაჟა-ფშაველას აინტერესებს არა მარტო იმიტომ, რომ მათი სახით მოცემულია გმირული პერიოდები ქართველი ხალხის ისტორიისა, არა მარტო იმიტომ, რომ „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა", არამედ იმიტომ უფრო, რომ მკითხველს შთააგონოს, რომ ერეკლესა და თამარის დიდი ავტორიტეტი, სიყვარული, პატივისცემა, დაფასება შეიქმნა არა ხალხის მონური დამოკიდებულებით მათდამი, არამედ სამშობლოს დაცვისა და აყვავების, მათი დადებითი გონივრული, ვაჟკაცური და თავდადებული მოღვაწეობით. ვაჟა-ფშაველას ამით უნდა გაამახვილოს ხელმძღვანელის — მმართველის ყურადღება ასეთი თვისებებით აღჭურვის აუცილებლობისადმი, რასაც ასეთი დაჟინებით თხოულობდა მწერლის ეპოქაც.

ვაჟა-ფშაველამ, რომ გამოავლინოს თავისი უარყოფითი შეხედულება და დამოკიდებულება თავისი დროის ბიუროკრატიული მმართველობისადმი, რომელნიც არამც თუ ხალხთან, მასებთან ახლო არ იყვნენ და სათანადო მზრუნველობას მისდამი არ იჩენდნენ, არამედ მისგან სრულიად მოწყვეტილნი მის ჯალათად იყვნენ მოვლინებულნი, — ამ ციკლის ნაწარმოებები მოხერხებულად გამოიყენა, რათა ეჩვენებინა,

[31] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა. მოხეცის ნათქვამი, თხზ., ტ. III, გვ. 11.

რომ ერეკლესა და თამარისებურ ხალხის ინტერესებით გამსჭვალულთ, ხალხთან მჭიდრო თანასწორუფლებიან კავშირში მყოფთ თავდადებულ მმართველთ ხალხი მისდევს, ენდობა, მათთვის თავს არ ზოგავს.

ამ შეხედულების ნათელსაყოფად შემდეგ ეპიზოდს გვიხატავს პოეტი: მტრის შემოსევას ერეკლე ხალხს აცნობებს. მთაშიც მიდის ერეკლეს მოწოდება აჩქარდნენ, თათრების ჯავრს ნუ აჭმევენ, თათრები თუ თბილისს აიღებენ, ქართველებმა „სჯობს დაითხარონ თვალები". ამ მოწოდებამ ააღელვა მთა, „ფხიზლადა მყოფნი გუშაგნი მთიდამ ამცნობენ სოფელსა". მთა დაუყოვნებლივ ვაჟკაცურად ირაზმება. მოხუცი ასე აგვიწერს ამას:

„ყმაწვილად ვიყავ მაშინა,
ახლად წვერ-შემოძდინარი,
ომი ქორწილი მეგონა,
სისხლის რუ — წყარო მდინარი.

ბკლავთა დამიწყეს თამაში,
და მირბენს ჟრუანტელია;
ხირიმე მიძე კალთაში,
ხმალზედ მიჭიდავს ხელია"[32]

აწ მოხუცი, ძალა დალეული, მაშინ ახალგაზრდა გულის ფრიალით ელოდა, როდის დაიწყებდა ჯარი თქრიალსა და ისიც კმაყოფილებით შეუერთდებოდა მას ქვეყნის დაცვის დიად საქმეში. ასეთი განწყობილება საერთო, საქვეყნო იყო მაშინ. მოხუცი, როგორც ყველა, ამგვარ ქცევას .თავის წმინდა მოვალეობად თვლიდა.

„მეც მერგოს წილად ომს ყოფნა,
მფარველად მამულისაო, —
ისე ჰგონია მაშინ კაცს, —
ნათლული არის ღვთისაო"[33].

ასეთი განცდა და მოხუცის სახეც ტიპიურია. ხალხის სწორედ ასეთმა განწყობილებამ, მისმა დიდმა პატრიოტიზმმა შეინახა ჩვენი ქვეყანა, გადაარჩინა ერი გადაგვარებას, კულტურა განადგურებას. ასეთი განწყობილებით მიდიოდნენ ომში — ქვეყნის მტერთან ბრძოლაში ვაჟკაცნი — „დინჯმოუბარნი, გულტკბილნი, გაჭირვების დროს მაგარნი". ისინი რკინას იცვამდნენ ტანზედა, თავზედ მუზარადს იდგამდნენ, და თუ საქმე ხმალზედ მიდგებოდა, „შენ მტერს, რომ საქმეს იზამდნენ". ლაღად, სიმღერა-ყიჟინით მიდიან ისინი ომში, გამზადებულნი, რომ სიცოცხლე სამშობლოსათვის ჩალად დასწვან.

მოგონებებითაც კი აღტაცებაში მოსული მოხუცი ასე გადმოგვცემს ამ ვაჟკაცთა ბრძოლის პათოსს და დინამიკას:

„რაც უნდა მტერი მოვიდეს,
არვინ შეიმჩნევს ჭირადა,
ხმალს აშველებენ ფარებსა,
მტრისას დაიკვრენ ძვირადა".[34]

---

[32] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მოხუცის ნათქვამი, თხზ., ტ. III, გვ. 7.
[33] ი ქ ვ ე, გვ. 8.
[34] ი ქ ვ ე.

ვაჟა-ფშაველას მიერ დავიწყებული არ არის „თეთრწვერა“ ხევისბერი, რომელიც ჯარს წინ მიუძღოდა დროშითა. არც ქართველი ქალის გამჭრიახობა და როლია უგულვებელყოფილი.

მოხუცის თქმით, ძველად ქალები ასეთივე რკინა-გულით იყვნენ, ისინიც მამაკაცებთან ერთად მამულისათვის ანთებულ ჩალასავით იწეოდნენ. მაღალი პატრიოტიზმი მათაც ეუფლებოდა.

მწერალმა მკითხველზე შთაბეჭდილებისა და გავლენის მოხდენის მიზნით რომ გააძლიეროს ძველ მთიელთა ეს ვაჟკაცური პატრიოტული სულისკვეთება, მათი მიმზიდველობა, დაიცვას ხალხური ზეპირსიტყვიერების კოლორიტი, ნიჭიერად ჩააქსოვს თავის აღფრთოვანებულ ნათქვამს მთიელ ქალთა სიმღერას, ქართულ კილოზევე შექმნილს.

მთიელი ქალები ომში ისტუმრებენ, ვინ ქმარს, ვინ შვილს, ვინ ძმას, ვინ მახლობელს. ყველას თავი მოსწონს თავისიანის ვაჟკაცობით, სიმხნით. ისინი ამით კეთილშობილურ თავმოყვარეობას განიცდიან. ისინი ამ დროს ტირილსა და მწუხარებას კი არ ეძლევიან, არამედ, ვაჟკაცთა უშიშარი, შეუპოვარი განწყობილებითა და ქცევით გამხნევებულნი, ფერხულში ჩაებმიან და თან მდინარე არაგვს, ამ „მრავალ დროების მოწამეს“, შეუპოვრადვე გასძახიან:

„არაგვო, უყარაულე
ომში მიმდინარს ლაშქარსა.
თუ ვინმე გამოქცეული
ურცხვად მოადგეს შენს კიდეს,
ლამი აჭამე შერცხვენილს,
რომ სახლში ვეღარ მოვიდეს!“[35]

ვაჟა-ფშაველას „მოხუცის ნათქვამი“ არაა გამომხატველი გარკვეული ცნობილი ფოლკლორული სიუჟეტისა. ის ნიჭიერი სინთეზური პოემაა, რომელშიც მაღალი ხელოვნებითა და მომხიბვლელი მხატვრული ალღოთი და გემოვნებითაა შეკრებილი და შეკინძული ნაირ-ნაირი ფოლკლორული ელემენტი — აქაა თქმულებაც, საომარი სიმღერაც, ბრძოლისათვის მხნე ხალისიანი მზადებაც, ბრძოლის სურათიც, ერეკლეს — გაუტეხელი მებრძოლის, ნიჭიერი და საყვარელი წინამძღოლის სახეც და მრავალი სხვა ელემენტი ქართული ხალხური პოეზიისა. და ყველაფერი ეს თითქოს ეპოქის მოთხოვნილების თანახმადაა ერთს მთლიან მიზანდასახულობაში ჩამოყალიბებული, თანამედროვე მკითხველშიც რომ აღძრას მაღალი პატრიოტული გრძნობა და შესაფერი ვაჟკაცობა.

* * *

ასეთივე სინთეზური ხასიათისაა ვაჟა-ფშაველას ცნობილი პოემა „ბახტრიონი“. რა სიუხვითა და დიდი ხელოვნის ვირტუოზობითაა ჩაქ-

---

[35] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მოხუცის ნათქვამი, თხზ., ტ. III, გვ. 9.

სოვილი ამ პოემაში ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ელემენტები, ასე ნიჭიერადა და მძლავრად რომ სჭიმავს ქართული ხალხის მთელი ისტორიული ცხოვრების მხატვრულ ტილოს და მკვეთრად ააშკარავებს მის ნიჭს, უნარსა და გამძლეობასაც.

პოემაში „ბახტრიონი" დიდი რელიეფითაა ნაჩვენები მთიელთა სხვადასხვა ზნე-ჩვეულებანი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში — ერთი მთავარი თემის — სამშობლოსათვის თავდადების გარშემო თავმოყრილი. აქ მკითხველი თვალსაჩინოდ ეცნობა: ჯარის საომრად შეკრებისა და მტერთან საბრძოლველად გამგზავრების მიმზიდველ დინამიკას, ჯარის ფიცით შეკვრას, ხატის, სალოცავების დიდების ჩვეულებას, ქადაგის, ხევისბერის მოქმედებისა და მონაწილეობის ჩართვით; სიზმრის, როგორც წინათმომასწავებლის, რწმენას, მთიელთ ვედრება-სიმღერას, რომელშიც იხატება საქართველოს მძიმე ისტორია და ხალხის დაუძლეველი წყურვილი სამშობლოს დაცვისა და დამშვიდებული შემოქმედებითი ცხოვრებისა. აქვეა მოცემული სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირთა მდიდარი ცხოველი გალერეა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთაგან შემდგარი.

თუ რამდენად ნიჭიერად იყენებს ვაჟა-ფშაველა ხალხურ ზეპირსიტყვიერების მასალას ამ მიმართულებით, აღვნიშნავთ ზოგიერთ ადგილებს.

კვირიას მიერ გადაცემული მოწოდება მთიელთ ელვასავით მოედვა. ყველა იარაღის მზადებას შეუდგა და დაუყოვნებლივ დანიშნულ ადგილას მიაშურა. აი როგორი სიმძლავრით გადმოგვცემს პოეტი მხედართ ომში გამგზავრების პათოსს და დინამიკას:

ივსება ლაშარის გორი
ქორ-შავარდნების ფარითა;
დროშები გზას უკურთხებენ
ქლერით, აწვდილის ტარითა...
მგლური დააწყვეს ნაბიჯი,
მოკლედ გადმოვლეს გზანია
თითოს ხევს არაგვისასა
თან მოსდევს ლაშქრის ღუარია.
ფშავლის შვილებიც მოიდენ,
სულთქმა თან მოჰყვა ჩქარია[36].

მგოსანი აღწერს რა ჯარის ერთობლივ ხალისით, გაბედულებით, მამაცობით ომში მისწრაფებას, თვითონაც, ასეთი სანახაობით აღტაცებაში მოსული, გადამდები სიხარულითა და კმაყოფილებით დასძენს:

რა საამური დრო არის,
რა საამური წამია!
. . . . . .
კლდეთაც კი ესმისთ, სალს კლდეთა,
მათურელთ გულის ძგერანი...
მოგროვდნენ ყოველის მხრიდამ
ვაჟები ლომის ფერანი.
დიაცთ-ლა დაპრჩათ მარტოთა
მატყლის სართავად კერანი[37].

---

[36] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ბახტრიონი, თხზ., ტ. III, გვ. 177.
[37] ი ქ ვ ე, გვ. 177—178.

გაერთიანდნენ ქართველთა ტომები, გაერთიანდა მათი ჯარი, დარწმუნებული თავისი მოქმედების — მტრის წინააღმდეგ საომრად გამზადების — სიმართლეში. ხალხის რწმენით, კარზე მომხდარ მტერს დაზოგვა არ უნდა, რადგანაც მტერი მას ძალაუნებურად საომრად აღებინებს იარაღს. „ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შავიბრალოთ რისაღა?“ — ხალხის საერთო აზრს სრული შეგნებით გამოსთქვამს ზეზვა, თუშთა ბელადი.

ასეთი განწყობილებით შეკრებილი ჯარი ერთ-ერთი მისალმების შემდეგ „ფიცით შეიკრა“. მგოსანმა მკითხველთათვის დამაჯერებელი რომ გახადოს შეკრებილი ჯარის რწმენა, რომ მისი ბრძოლა თავდაცვითი ხასიათისაა და ამიტომ სამართლიანი, არ ეწინააღმდეგება კაცის მაღალ მორალს, ფიცით შეკრულს ჯარს, პოეტის გადმოცემით „მაღლიდან მაკურთხებელი თავზე დაადგა ჯვარია“ — ეს, ხალხის ღრმა რწმენით, მაღალი ზნეობრივი ძალაა.

აქაც, უდავოდ, დიდი ხელოვნებითა და გაგებითაა დაცული და გამოყენებული ყოველი დეტალიც კი ფშავ-ხევსურული ფოლკლორისა, რათა, შეპარვით, ვითომ ძველი თქმულების გადმოცემით, ადგილის კოლორიტის დაცვით, სინამდვილეში, კი, „თავისი ეპოქის საკითხები ჩააქსოვოს და მკითხველსაც დამაჯერებლად აჩვენოს, რომ ხალხთა გაერთიანებულ ძალას ღირსეულად შეუძლიან მტრის დაძლევაც, თავისუფლების მოპოვებაც და მოქალაქის წმინდა ვალის მოხდაც ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ასევე ბევრის მთქმელია და მთის ეთნოგრაფიული ელემენტების ნიჭიერი შემცველი ქმრისა და შვიდი ვაჟიშვილის მტერთან ბრძოლაში დამკარგავის მთიელი ქალის სანათას კოლორიტული სახე და მისი ღრმა ლირიზმით აღსავსე ვედრება მთიელთა ხატებისადმი გაამარჯვებინონ სამშობლოს დახსნისათვის ამოძრავებულ ჯარს. სანათას ამ ვედრებაში ცხოვლად იგრძნობა არა მარტო საქართველოს მძიმე ისტორია, რომელიც ძვირად უღირდა და უჯდებოდა ქართველ ხალხს, არამედ აგრეთვე მთიელთა (იგულისხმება საერთოდ ქართველი ხალხის) დიდი მოვალეობის შეგნება სამშობლოს წინაშე, დიდი პატრიოტული გრძნობა და გაუტეხელი ხასიათი, რაც ასე აკლდა და ესაჭიროებოდა ვაჟა-ფშაველას და ქართველი მოწინავე საზოგადოების გაგებით, XIX საუკუნის ქართველობას:

„ღმერთო და ჩვენო გამჩენო,
ხატებო ფშავეთისაო!
აავსეთ თათრის სისხლითა
ველები კახეთისაო...
შენ გაუმარჯვე ჩვენს ჯარსა,
დავლათო ახმეტისაო!

გვაკმარე, ღმერთო, ზარალი,
გვეყო, რაც სისხლი, გვიღვრია,
ეყოფ, რაც მტერთან ბრძოლაში
ძვალები გადაგვიყრია.
გვეყო ამდენი ცრემლის ღვრა,
დაუშრომელი ვაება;

არ თუ ვებრალვით საყმონი,
რო აღარ გვწყალობს ღვთაება?!
გვიშველე, ლაშარის ჯვარო,
დაგვჭირდა შენი თავია;
შენის ფრანგულით აკურთხე
თეშ-ფშაველ-ხევსურთ
ზავია...
გვიჭირს და გამოგვაყენე
შეუმუსრავი ძალია"[38]

მთიელთა საერთო ცხოვრების ეპოპეის გადმოცემაში ვაჟა-ფშაველას ნიჭიერადა აქვს ჩაქსოვილი სიზმარი, როგორც მათი ზნე-ჩვეულების დამახასიათებელი დეტალი, სიზმრის, როგორც წინათმომასწავებლის რწმენა.

კვირიამ ნახა ავის მომასწავებელი სიზმარი, რამაც ის ძალიან ჩააფიქრა. ჯარი დაფიქრების მიზეზს მიუხვდა და სთხოვს კვირიას უამბოს სიზმარი. კვირიას სიზმარი ჯარსაც და მის წინამძღოლს ლუხუმსაც ავად ენიშნათ[39]. ასეთივეა ლელას სიზმარიც.

მიუხედავად ცუდის მომასწავებელი სიზმრისა, ვაჟა-ფშაველას გაგებითა და ჩვენებით, კვირიაც, ლელაც და მთლად მთიელთა ჯარი შეუპოვარია, შავს ბედს არ უშინდება, ის ბოლომდის მებრძოლი, გაუტეხელი სულის მატარებელია. ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში შენახული ამ დამახასიათებელი ნიშნის ჩვენებითაც, ვაჟა-ფშაველა ერთი ხაზის მოსმით დიდი ხელოვნებით ახერხებს გამოავლინოს მთიელის გმირული გაუტეხელი სახე. კვირიამ ცუდის მომასწავებელი სიზმრის მბობა რომ დაამთავრა, მაინც შეუპოვრად „ჩაიკასკასა ტკბილადა". ლუხუმსაც ასევე ეწყინა კვირიას სიზმარი, მას „ცრემლები მოსდის წყვილადა", მაგრამ მაინც გაუტეხელად ამბობს — „კეთილად ახდეს", და ომისათვის სამზადისს არ ანელებს, რაც ასე დამახასიათებელია ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებისათვისა და მწერალიც ზუსტად, თუმცა თავისებურად, სარგებლობს როგორც აქ, ისე სხვაგანაც ამ და ამგვარი ნიშნებით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველა ძველ დროს, მთიელთა ყოველ ჩვეულებას, ვაჟკაცთა თუ ქალთა გმირულსა თუ უარყოფით ქცევას, დადებით თუ უარყოფით სახეებს რომ გვიხატავს თავის შემოქმედებაში, ყველასი და ყველაფრის მნიშვნელობას ჭვრეტს და აფასებს თავისი თანადროულობისა და მომავალი, პოეტისათვის სანუკველი ცხოვრების პოზიციებიდან. მთის მგოსანი ხომ „იმავ ჭირითაა სნეული", რაც ბარის დიდ მწერლებსა და მოღვაწეებს აწუხებდა. ვაჟა-ფშაველაც, როგორც ზევითაც გვქონდა აღნიშნული, უკმაყოფილოა თანადროულობით; მთელი თავისი დიდი ბუნებითა და მისწრაფებით, უკეთესი, აზრიანი ცხოვრების გზას ეძებს. ამისათვის მისი „ბუკი

---

[38] ვაჟა-ფშაველა, ბახტრიონი, თხზ., ტ. III, გვ. 174—175.
[39] იქვე, გვ. 182—183.

და ნაღარა“ მაღალი საზოგადოებრივი მისწრაფებითა და მისი განხორციელების დიდი უნარით დაჯილდოებულ ვაჟკაცთ უკივის. მთის მგოსანს სწამს, რომ ასეთი გმირების საშუალებით ხალხი განთავისუფლდება მონობის უღლიდან; ახლა დანაწილებული, დაქუცმაცებული ქვეყანა გაერთიანდება, შეიკრიბება „ძმობა-ერთობა-თავისუფლების“ რწმენის საფუძველზე. პოეტსა სწამს, რომ ეს ძალა თვით ხალხში, მდაბიო ხალხში და პირველ რიგში მთის მოსახლეობაშია.

ყველა და ყველაფერი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში და, კერძოდ, პოემაში „ბახტრიონი“ უმთავრესად ამ იდეის გარშემოა გაერთიანებული. „ბახტრიონშიც“ ფოლკლორული მასალა ამ მიმართულებითაა ზედმიწევნითი სიზუსტით გამოყენებული. ქადაგიც კი, ამ პოემაში ასე მხატვრულად განსახიერებული, იმავე რწმენითაა გამსჭვალული და მთიელთ ხატის სადიდებლის აზრსაც ამგვარივე გაგებით ამოიკითხავს. საომრად გამზადებული ჯარი „თავმოხდით სდგას თავის ბატონის (ე. ი. ხატის. — მ. ზ.) კარზედა“, გამოჩნდება ქადაგი „განაცრებულის სახითა“. ისიც შემკრთალია, მაგრამ მბრძანებლური ხმით ლაშქარს ხატის სახელით შემდეგს შესძახებს:

„უამს ჩვენს ლაშარის ჯვარსა,
მის კარს რომ შავიყარენით,
ქვეყნის წამწყმედთან საომრად
მალევ რო ავიყარენით“.[40]

ქადაგი, ხალხის, ჯარის ასეთი განწყობილების გამოვლინებით კმაყოფილი, დარწმუნებულია, რომ ლაშარის ჯვარიც ასევეა ამით კმაყოფილი, ამიტომ ის ჯარსაც ბუნებრივი დამაჯერებელი ტონით არწმუნებს, რომ ბატონი — ხატიც კმაყოფილებით მათთან დგას და ომშიაც მათ წინ წაუძღვება, თვითონ ჯარიც დაინახავს ლურჯს ცხენზე მჯდომს მხედარს (ლაშარს წმ. გიორგის სიმბოლოს). ქადაგის სიტყვები ჯარს უფრო გაამხნევებს. ქადაგი თავის წინასწარმეტყველებას ასე ათავებს: ლაშარის ხატს — მთიელთ სადიდებელს „უყვარან, ფშაველ-ხევსურნი, დამდგარნი ერთსა პირზედა.“ და ეს ერთ პირზე დადგომა ხომ სანატრელი მისწრაფება იყო, როგორც თვით ვაჟა-ფშაველასათვის, ისე იმ დროის ქართველი მოწინავე საზოგადოებისათვის, ეროვნულ-გამათავისუფლებელ ფრონტზე რომ იბრძოდა.

პოემის VI თავში ვაჟა-ფშაველას მიერ დიდი ხელოვნებითაა მოცემული ომში წასასვლელად გამზადებული ჯარის განწყობილებისა და მოქმედების სურათი, რომელშიც ჩაქსოვილია ეპოქის მაღალი განცდებიც. ამასთანავე ეს მშვენიერი, მკითხველისათვის დაუვიწყარი, ცხო-

---

[40] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ბახტრიონი, თხზ., ტ. III, გვ. 179.

ველი ეთნოგრაფიული სურათია, რომელშიც ხალხის ყოფა, ტრადიცია ნიშანდობლივი რეალური ფერებითაა აღბეჭდილი:

სამღთო ქნეს ფშაველ-ხევსურთა,
დაკლეს ხარი და ცხვარია.
ჩამოსხდენ, ბეღელს საჯარეს
გარს შემოერ‹ ‹ ‹

კაცთა და ნადირთ შორის გაგებას ვაჟა-ფშაველა სხვა ნაწარმოებშიც იძლევა. მაგ., პოემაში „დაჭრილი ვეფხვი". სანადიროდ გასული მონადირე თვარელი ტყეში ჰხედავს დაჭრილს, მკვნესარე ვეფხვს, რომლის „სისხლი, ნადენი ტოტითა", მდინარეს შერეოდა. თვარელს შეებრალება დაკოდილი ნადირი, აღარ ჰკლავს მას. თვარელი დაჭრილ ვეფხვში ჰხედავს თავისავით მონადირეს, რომელსაც „ნადირობაში მთა-ბარი დაუკეცია". ვეფხვი იგრძნობს მონადირის ამ განწყობილებას. მივა მასთან კოპლობით, „ტოტი დაადვა ფეხზედა". თვარელმა გაუსინჯა ვეფხვს ფეხი და კლანჭიდან ამოუღო „სიპი მომსხო და სრულია, ნაშალი კლდისა სალისა".

თვარელმა წყლული შეუკრა
ვეფხვსა ნაკუწით ჭრელითა
და ჩირქიც ამოუფხიკა
წყლულიდამ დანით მჭრელითა.[43]

მადლიერმა ვეფხვმა გადაირბინა მთა-ბარი. მალე მონადირესთან მოვარდა ჯერ ხარ-ირემი, შემდეგ ჯიხვი, თვარელმა გაიხედა და ამ ნადირთა ნადგომში დაინახა ნაცნობი ვეფხვი, რომელიც მკერდში ტოტს იცემდა. თვარელი მიხვდა, რომ ვეფხვმა მას სიკეთისათვის სამაგიერო გადაუხადა.

ასეთი დამოკიდებულება ადამიანსა და ნადირს შორის ერთ-ერთი დამახასიათებელი სტილიური ნიშანია ხალხური ზეპირსიტყვიერებისა, განსაკუთრებით ზღაპრებისა. დიდაქტიკურ ზღაპრებში ეს სტილიური ნიშანი მსმენელთა სამოძღვროდ იყო ხოლმე ხშირად ჩაქსოვილი.

ხალხი კაცთათვის საჩვენებლადა და აღსაზრდელად ქმნიდა ისეთს ზღაპარს, არაკს, რომელშიც პირუტყვიც კი გამოჰყავდა სიკეთის დამნახველად, სიკეთისათვის სიკეთის გადამხდელად, მაშინ როდესაც ადამიანი სიკეთისათვის ადამიანს ბოროტს მიუძღვნიდა ხოლმე. ხალხმა რომ ცხოვრების მოუწესრიგებელ პირობებში ხანგრძლივი დაკვირვების საფუძველზე გამოიტანა დასკვნა — „სიკეთისათვის სიკეთე არავის უქმნიაო". თავისი ზღაპრებითა და სხვა ჟანრის შემოქმედებით ხალხი ცდილობდა საზოგადოების ამ მიმართულებით გაჯანსაღებას. ვაჟა-ფშაველაც ხალხური შემოქმედების ამ სტილიური ნიშნის გამოყენებით თანადროულობის პოზიციებიდან იყურება, დაკნინებული საზოგადოების გამოფხიზლებას, მის მორალურ ამაღლებას ემსახურება.

როცა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, განსაკუთრებით მის პოემებს კითხულობთ, აშკარად გრძნობთ, რომ თანადროული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებით უკმაყოფილო მგოსანი ხალხის (გლეხო-

---

[43] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, დაჭრილი ვეფხვი, თხზ., ტ. III, 1930 წ., გვ. 148.

ბის) ცხოვრებაში, მის ისტორიულ წარსულში ეძებს საზოგადოებრივი ურთიერთობის საღსა და სასურველ დასაბამს. მკითხველი აშკარად გრძნობს, რომ ვაჟა-ფშაველამ ზედმიწევნით გაიგო ხალხის (გლეხობის) მაჯისცემის მოძრაობა, გაიმსჭვალა მისი აშკარა თუ იდუმალი, უღრმესი თუ უმწვავესი კმაყოფილებისა თუ უკმაყოფილების განცდებით; აითვისა მისი მეტყველების წყობა, კილო, მის ზნე-ჩვეულებათა სადა, გულუბრყვილო სიმკაცრე, გონების ძალა და გრძნობის მძლავრი გაქანება; დაგვანახვა მისი უხეში, ჩამორჩენილი ცხოვრების პირობები ყოველი დამახასიათებელი დადებითი თუ უარყოფითი წვრილმანებით და შექმნა თავისებური მდიდარი პოეტური სამყარო, რომელშიც არაჩვეულებრივი სინამდვილითა და სიმკვეთრითაა ჩაქსოვილი ხალხის ცხოვრებისა და მისწრაფებათა წარსული, აწმყო და მომავალი. და ყველაფერი ეს ისეთი დიდი ორიგინალობით, დიდი ოსტატობითაა განსახიერებული, რომ ძნელი ხდება გარკვევა და გარჩევა, რა ეკუთვნის ხალხსა და რა თვით პოეტს — ვაჟა-ფშაველას; სად თავდება ხალხის შემოქმედებითი გენია და სად იწყება ვაჟა-ფშაველასი.

ნიმუშისათვის შეიძლება ავიღოთ პოემა „ეთერი“, რომელიც სიუჟეტურად ხალხურ „ეთერიანზეა“ გაშლილი.

ნიშანდობლივი სიზუსტითაა დაცული პოემაში „ეთერი“ ხალხური მეტყველების კილო, ხალხური ზეპირშემოქმედების ეპიური სტილი და ცრუმორწმუნეობის საფუძველზე შექმნილი მდიდარი ფანტასტიკური სამყარო, რაც, მდაბიო ხალხის რწმენით, ისეთივე რეალური სამყარო იყო, როგორც გარემო.

აი როგორ ზღაპრულ კილოზე ავითარებს ვაჟა-ფშაველა სამყოფსა და სახეს კუდიანი ბებრისას, რომელთანაც შერე გაემგზავრება:

ცხრას ზღვასა, ცხრას მთას იქითა,
უდაბურს ადგილს მთიანსა,
სცხოვრობდა ერთი ბებერი
გამოქვაბულსა კლდიანსა,
გველი, შხამი და ბოროტი
ყველას ის აძლევს ზიანსა.
ქაჯთათვის სული მიეცა,
ქაჯებში იყო გართული,
დევთა და ალთა შორისა
ზემოთა თავში ჩართული.
ქარს ის აჩენდა და ღვარსა,
სეტყვას და დელგმას მეხითა,
თუ კი ერთს დაიწივლებდა,
ან მიწას სცემდა ფეხითა,
ხმელს მოხრილს ზურგზე დადგმული
ეშმაკთ-ცხენის კეხითა.
შავია, როგორც ნახშირი,
როგორც ფისი და კუპრია,
სუყველა იმაში ბუდობს:
ანგარება და შურია[44].

ამ ავი სულის, კუდიანი ბებრის გარეგნული აღწერაც სრულიად შეეფერება მის შემზარავ, არაბუნებრივ სულიერ თვისებებს, შეეფერება ხალხის ფანტასტიკურ წარმოდგენას, ხალხურ შემოქმედებაში რომაა ასახული. აი რა ნიშნებითა და ფერებითაა თავისთავად, დამოუ-

[44] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ეთერი, თხზ., ტ. III, 1930 წ., გვ. 124.

კიდებლად დახატული ბებრის გარეგნობა ვაჟა-ფშაველას მიერ, შექმნილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ელემენტების გამოყენების საფუძველზე:

თვალები ცეცხლისა უსხდა,
კბილები ჰქონდა მინისა,
ცალიერს ძვლებზე ზედ ეკრა
ტყავად ფურცელი რკინისა;
ფეხები ჰქონდა კაცისა,
ხელებად ბჯღლები ციცისა,
და, თმის მაგივრად, სულძაღლსა.
მოკლე ფაფარი კვიცისა[45].

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ბუნებრიობა და დიდი ოსტატობა აქ, მართლაც, ისეთს სიმაღლეზე ადის, რომ ზღვარი ინდივიდუალურსა და ხალხურ-კოლექტიურ შემოქმედებას შორის თითქოს სრულიად იშლება.

ასეთს შთაბეჭდილებას იძლევა მთის მგოსნის შემოქმედება მთლიანად. ჩავუღრმავდეთ „ეთერის“ ანალიზს, რა ზედმიწევნილ მსგავსებას ეამჩნევთ ხალხურ შემოქმედებასთან.

ეს კუდიანი დედაბერი, რომელიც „ერთხელ არ იტყვის სხვას ვარგო“, რომელსაც „მუდამ სხვის ვნება სწყურია“, სუყველაფრის მცოდნეა და უცდის დროს, რომ კარგი საქმე ჩაშალოს, გააცუდოს. მას ამის ძალაც შესწევს, ვინაიდან ხელთ უკავია მთელი სამყაროს „ძაფები სახათაბალო“.

პოემაში „ერთი“ კუდიანი ბებრის სახის — მისი გარეგნობის, თვისებების, სამყოფისა და მოქმედების დახატვაში ჯადოსნურადაა გაერთიანებული მდაბიო ხალხის რთული სულიერი სამყარო; მისი სარწმუნოების სხვადასხვა ნალექები ერთს თავისებურ კოლორიტულ მსოფლმხედველობაშია გამთლიანებული; აქვეა ასეთივე თავისებური შეერთება ქვის, რკინის, მინის ეპოქებისა. ასეთი შემოქმედებით მოჯადოებული მკითხველიც დიდი ცნობისმოყვარეობით მისდევს მგოსანს ამ ფანტასტიკურ ქვეყანაში.

აი ამ უცნაურ ქვეყანაში მყოფ დედაბერთან, ამ ავ ქმნილებასთან, როცა ის „ჩაჰკირკიტებდა ჯადოსა ორად მოხრილი წელშია“, მიდის ავი განწყობილებით აღსავსე შერე.

ნამდვილი ხალხური სტილითაა „ეთერში“ გაშლილი საუბარი „გულდაკოდილი“ შერესა და ამ ავ-გრძნეულ ბებერს შორის: ავი ბებრის რჩევა, როგორ უნდა მოიქცეს შერე, რომ მან საწადელს მიაღწიოს, ნამდვილი ხალხური ზღაპრული ნიშნებითაა მოცემული.

ბებერი შერეს საჭირო პირობას რომ ჩამოართმევს, შემდეგს გაანდობს:

„ნუ ჰკრთები, შერევ, ნუ სწუხარ,
ყური დამიგდე ბებერსა.
მალედვე მიგწევ საწადელს,
ხელში ჩაგიგდებ ეთერსა.
რაც მე გასწავლო წამალი,
აწამლე იდუმალადა:

[45] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ეთერი, თხზ., ტ. III, გვ. 124.

ფეტვს მოგცემ, დევთა ნათესსა,
მოსულსა დევთა ჭალადა;
ის ურწყავს სისხლსა კაცთასა,
დევთაგან ნახმარს წყალადა;
შოგვე დედის რძე ურევავ
ქაჯთი, მაცილთი კვალადა.
შოგვეა ფერფლი იმ სულთა,
ჩვენ რომელიც გვხვდა წილადა,
ვინც თავის მეუფესთანა
გამოჩნდა განაწბილადა;
შოგვე ლაფია იუდის,
ქრისტეს გამცემის სულისა
და ანაფხეკი სასყიდლად
მ ი ს მ ი ღ ე ბ უ ლ ი ს ფ უ ლ ი ს ა...
დაგიწნავ ქაჯის ქალმანსა,
შოგ ჩავყრი, ჩავაწკრიალებ,
შოგ ჩავლეს გრძნეულთ სიტყვასა,
რა ენას დავატრიალებ,
საქმეს გავჩარხავ, გოდერძის
დაეწოვ და ავაპრიალებ"[46]...

მკითხველი თითქოს შეუმჩნეველად, თავისით შედის ხალხის ფანტასტიკურ სამყაროში. ის თითქოს უშუალოდ. ცოცხლად ხედავს არა მარტო ამ კუდიანს, „ავის მთესელს" ბებერს, არამედ მთლიანად ხალხის მიერ შექმნილს ირეალურ ქვეყანას, რომელიც მკითხველისთვისაც, როგორც ხალხისათვის, რეალურზე ძლიერი და ეჭვმიუტანელი ხდება.

ცხადია ამ მიმართულებითაც მეღავნდება ვაჟა-ფშაველას დიდი პოეტური გაგება და აღქმა. ის, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ზედმიწევნით, ნიშანდობლივ გვიხატავს მთის ცხოვრებასა და მთიელის ბუნებას, ზნე-ჩვეულებას; მოხდენილად იყენებს როგორც ხალხის ენას, ისე მის შემოქმედებას, მაგრამ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მგოსანი ხალხის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან მივიდა არა როგორც ბრმა მიმბაძველი, არა როგორც მონა, თუ გნებავთ, არა როგორც ეთნოგრაფიული მასალის ზუსტად შეტანისა ან მთიულური კოლორიტის ზუსტად დაცვის მისწრაფებით აღფურვილი. არა. ვაჟა-ფშაველამ შეძლო ხალხური გავლენის გარეშე დამდგარიყო, რათა ამ გავლენას არ დაეფარა მისგან თვით ჭეშმარიტი გაგება ხალხის ცხოვრებისა და მისი ნამდვილი სიცოცხლის მაჯის ცემისა.

ვაჟა-ფშაველა ქართულ ხალხურ ზეპირშემოქმედებასთან მივიდა, როგორც დამოუკიდებელი ძალით მორჭმული გიგანტი-შემოქმედი. ვაჟა-ფშაველამ ხალხის ზნე-ჩვეულება, მისი კოლორიტული ენა უხვად მიიღო, როგორც მასალა და თავის მდიდარ შემოქმედებით ლაბორატორიაში გადაადუღა, გადაადნო, გადაამუშავა და მთიულურ კოლორიტში მძლავრად დაფერადებულ-დასევადებული თავისი, ვაჟასებური უცნაური სამყარო დაგვიხატა. ვაჟა-ფშაველას პოეტური ენა, რა თქმა უნდა, მთიულურია, მთიულური კილოს მატარებელია, მაგრამ ის ვაჟა-ფშაველას უცნაური ნიჭითაა ზეშთაგონებული, ამიტომ ის ვაჟა-ფშაველას საკუთარი სტილია.

---

[46] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ეთერი, თსზ., ტ. III, გვ. 127—128.

* * *

ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედების ხალხური ხასიათი, პოეტის ინდივიდუალობისა და ხალხურ შემოქმედებას შორის ზღვარს თითქმის რომ სპობს, ზოგიერთ მკითხველს, ხანდახან კვალიფიციურ მკითხველსაც კი, არა სწორ შთაბეჭდილებას და წარმოდგენას უქმნიდა მთის მგოსნის პოეტურ შემოქმედებაზე. მათ ეგონათ, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, განსაკუთრებით მისი პოემები, ძირითადში ხალხური პოეზიის ნიმუშების გამოყენებაა, ცოტა უხეშად რომ გამოვთქვათ ეს აზრი, — ვაჟა-ფშაველას პოეზია ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ერთგვარი გადამღერებაა.

აი რასა წერდა ცნობილი ლიტერატორი იპ. ვართაგავა 1914 წელს ჟურნ. „განათლების“ IV №-ში: „დედააზრი ამ პოემისა („გველის მჭამელი“-სა და „სტუმარ-მასპინძელი“-სა — მ. ზ.) (უნდა ვიფიქროთ), ხალხის საერთო სულიერი ძალითაა გამოჭედილი. მათში გატარებული იდეა ვაჟას გონების სინტეზის ნაყოფს ან ინტუიტურად მის სულიერ ძალთა ქმნილებას არ წარმოადგენს. ვაჟამ ხალხის მიერ შეზავებულ იდეას მხოლოდ შედარებით შესაფერი სამოსელი შეუკერა, მხოლოდ კოხტად მორთო და ლამაზი მხატვრულ ქმნილებად აქცია“.

იქვე, ცოტა ქვემოთ იპ. ვართაგავა უფრო აღრმავებს თავის შეხედულებასა და თითქმის ურყევად წერს: „ეჭვს გარეშეა, ვიმეორებთ, რომ ვაჟაც უხვად და ხშირად სარგებლობს ხალხში შექმნილ-შენახულ ეპიკურ მასალით: საგმირო სიმღერებით და თქმულებებით. ეს მასალა თავისთავად ისეთი აზრიანი და მხატვრულია, რომ მათი შეუმუშავებლადაც გაცნობა ასიამოვნებს და ჩააფიქრებს მკითხველს“[47].

ამიტომ იპ. ვართაგავას სურს თავისი მკაცრი კრიტიკა შეანელოს და მთის მგოსნის მიერ ხალხური პოეზიის ნიმუშების ასეთი გამოყენებაც სასარგებლო საქმედ მიიჩნიოს და ასეთი სესხი ვაჟა-ფშაველას შეუნდოს. ის წერდა: „ვაჟას სახელს და დიდებასაც ბევრი არაფერი დააკლდება მაშინაც, თუ რომ ყველა პოემების ფაბულას და სიუჟეტს დედანი მოუძებნეთ ხალხურ თქმულება-გადმოცემაში“[48].

მაგრამ იპ. ვართაგავა ამით არა კმაყოფილდება; ის აქაც არა სვამს წერტილს. ის თავისი აზრის მთლიან გაშლას განაგრძობს: „ვაჟამ კი თავს იდო მათი შემუშავება, ხელოვნურ ფორმაში ჩამოსხმა, მთლიან ნაწარმოებად გარდაჰქმნა. კარგი, ლამაზი და მხატვრულია ეს ცდა მგოსნისა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ჩვენის აზრით, მაინც ვერ მოახერხა, — ვერ ვიტყვით, — ვერ შეძლოო — მათი რთული, ღრმა და ფართე მხატვრულ ნაწარმოებებად გადაჰქმნა-გადადუღება. ჩვენმა პოეტმა

---

[47] იპ. ვ ა რ თ ა გ ა ვ ა, სიმღერა მთის შვილის — ვაჟა-ფშაველასი, ჟურნ. „განათლება“, 1914 წ., № IV, გვ. 241—242.

[48] ბ ე ქ ვ ე, გვ. 242.

არამც თუ ვერ გაართულა ეს ქმნილება ხალხის ფანტაზიისა, არამედ მას თავიც ვერ ღაუღწევია მისი ზეგავლენისათვის როგორც იდეის, ისე მომეტებულად ფორმის მხრით. როდესაც კითხულობთ ვაჟას პოემებს, თქვენ გგონიათ, რომ ვიღაცას უცვლელად ჩაუწერია ხალხში დარჩენილი ლამაზი თქმულება და თქვენდა დასატკბობად დაუბეჭდიაო: იგივე ხალხური ენა, იგივე რითმა, იგივე ხალხური შედარებები, ეპიტეტები, ტროპები, იგივე ხალხის შეხედულების, რწმენის მოხაზულობა და ხასიათი, იგივე ხალხური საგმირო ჰანგები, იგივე ხალხური იდეალები"[49].

მთის მგოსნისადმი ასეთი მწვავე განაჩენი რომ შეანელოს, იპ. ვართაგავა ასე ამთავრებს თავის შეფასებას: „ამას ჩვენ, რასაკვირველია, პრობლემატიურად ვამბობთ, მხოლოდ აპრიორულად უთითებ აღნიშნულ მზგავსებაზე. ისე კი, სანამ ის „ძველი ამბები", რომლებიც არაკად აუღია ვაჟას თვისის პოემებისათვის, შეუცვლელად არ ჩაწერება და არ გამოქვეყნდება, მანამდის ძნელია გადაჭრით თქმა, თუ რა ეკუთვნის პოემაში ხალხის გენიოსობას და თუ რა შეუტანია თვით მგოსანს"[50].

მართალია, პატივცემული კრიტიკოსი ბრძანებს, რომ მისი ეს შეხედულობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ „პრობლემატიურია", ის მას „აპრიორულად" მიუთითებს აღნიშნულ მსგავსებაზე, მაგრამ პრობლემატიურსა და აპრიორულ შეხედულებასაც ხომ აქვს რაიმე არსებითი საფუძველი?

რა საბუთი აქვს იპ. ვართაგავას ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედების შესახებ ასეთი შეხედულების გამოთქმისათვის?

სამწუხაროდ, მეტად მცირე და ისიც მეტად გულუბრყვილო და სუსტი. მაგრამ ჯერ ბოლომდე მოვისმინოთ იპ. ვართაგავას გამოთქმული აზრი ვაჟა-ფშაველასა და ქართული ხალხური ზეპირმოქმედების ურთიერთობის შესახებ.

აი ამ მიმართულებით კიდევ რასა წერს იპ. ვართაგავა ზემოაღნიშნულ წერილში: „რომ ვაჟასი თითქმის ყველა პოემას საფუძვლად უდევს ხალხის თქმულება, გადმოცემა, ზღაპარ-ლეგენდა, — ეს ეჭვს გარეშეა; ამას თვით მგოსანიც არ მალავს, როდესაც პოემის სათაურის ქვეშ ფრჩხილებში შენიშნავს ხოლმე: „ძველი ამბავიო"[51].

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ იპ. ვართაგავას ეს საბუთი არაფერს ამტკიცებს. იპ. ვართაგავას მოყვანილი აზრი მხოლოდ მეტვრმეტყველურად ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ დებულებას, რომ ვაჟა-ფშაველამ ისე მძლავრად და ნიჭიერად შეისისხლხორცა ხალხური, ფშავ-ხევსურული დიალექტიც, ზეპირსიტყვიერებაც, როგორც შინა-

---

[49] იპ. ვ ა რ თ ა გ ა ვ ა, სიმღერა მთის შვილის — ვაჟა-ფშაველასი, ჟურნ. „განათლება", 1914 წ., № IV, გვ. 242—243.

[50] ი ქ ვ ე, გვ. 243.

[51] ი ქ ვ ე, გვ. 242.

არსის, ისე ფორმის მხრივ, რომ მის შემოქმედებაში მკითხველისათვის იკარგება ზღვარი პირად-ინდივიდუალურ შემოქმედებასა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებას შორის.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თითქოს, ხალხურ ზეპირსიტყვიერების ელემენტებზეა აკინძული, ასეთს შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე (და, როგორც ჩანს, ისეთს მაღალკვალიფიციურ მკითხველზედაც კი, როგორიც არის იპ. ვართაგავა), მაგრამ, ვიმეორებთ, ის ხალხის გენიის ნამოქმედარი კი არ არის, არამედ თვით პოეტის ნიჭის ნაჟურია, ის მთლად ვაჟასებურია.

მაგრამ გავერკვიოთ უფრო მეტის გულისყურით იპ. ვართაგავას ამ შეხედულებაში.

მხატვრული ნაწარმოებისადმი ასეთი შენიშვნები — „ძველი ამბავი", „მონადირის ნაამბობი" და ა. შ. — ჩვეულებრივი და დამახასიათებელი სტილიური ნიშანი, თუ პოეტური ხერხი იყო ჩვენი მწერლებისათვის XIX საუკუნის მანძილზე, რათა ამ ნაწარმოებთა პროგრესული თუ ოპოზიციური იდეის, მათში აღძრული მწვავე აქტუალური საკითხის მკითხველთა ფართო მასებში გატანა არ დაბრკოლებულიყო მეფის რეაქციონური ცენზურის მიერ.

ასევე იქცეოდა ვაჟა-ფშაველაც: „ძველი ამბავი" და სხვა ამგვარ შენიშვნებს ის სწორედ ისეთს პოემებს ან მოთხრობებს მიუწერდა ხოლმე, რომელნიც უფრო მეტად იყვნენ დაცილებულნი ხალხური შემოქმედების სიუჟეტს და რომლებშიც უფრო მკვეთრად ჩანდა პოეტის ინდივიდუალური ბუნებაც, ფანტაზიაც, იდეაცა და შემოქმედების ხერხებიც. მაგ., „გველის მჭამელი", „ბრძენი ვირი", „გოგოთურ და აფშინა", „სტუმარ-მასპინძელი", „ილო", „ახუნდი", „სული ობლისა" და სხვა.

მოვუსმინოთ თვითონ ვაჟა-ფშაველას, რას გვიდასტურებს ამ საკითხის შესახებ იპ. ვართაგავასადმი თავის ცნობილ პასუხში: „ბევრი ამბავი და ზღაპარი მე შევქმენ და იოტის ოდენი იმათში ხალხის თქმულებისა არაფერი ურევია, თუმცა ფრჩხილებში ვსვამდი: „ძველის-ძველი ამბავიო", „ზღაპარიო", „თქმულებაო", იმ მოსაზრებით — დაბეჭდვის დროს დაბრკოლება არა ჰქონიყო. ეს, რა თქმა უნდა, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს იმდენადვე, რამდენადაც ხალხური თქმულების შითვისება. როგორც ამის უფლება არა აქვს არავის, ისე — თავის ფანტაზიის ნაცოდვილარის ხალხისათვის მისაკუთრება, ხალხურ ამბად გასაღება. ამ ნაკლს გავასწორებ მხოლოდ მაშინ, როცა დაიწყება ჩემის ნაწერების ცალკე წიგნებად გამოცემა, — მაშინ აღვნიშნავ, რომელია მართლა ძველი ამბავი და რომელი მთლად ჩვენგან დაძველებული, ძველ ამბად მონათლული"[52].

[52] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი, თხზ., ტ. III, გვ. 451.

ცხადია, იპ. ვართაგავას წარმოდგენილი საბუთიანობა არ გამოდგება მისი მოსაზრების გასამართლებლად. აგრეთვე ყოველ ეჭვს გარეშე ცხადია ისიც, რომ იპ. ვართაგავა ღრმად არ აფასებს ვაჟა-ფშაველას მეტად რთულსა და საგულისხმიერო ლიტერატურულ შემოქმედებას.

იპ. ვართაგავას მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რა ეკუთვნის ვაჟა-ფშაველას პოემებში ხალხის გენიას, თვით მგოსანი გვაძლევს გულწრფელს, კონკრეტულსა და თავისი ძალების, დიახაც, შემგნებს შემდეგს პასუხს: „ბ. ვართაგავას ძალიან გულით უნდა გაიგოს, ამ პოემებში („სტუმარ-მასპინძელსა“ და „გველის მჭამელში“.—მ. ზ.), რა ეკუთვნის ხალხს და რა მე, როგორც ავტორს. სურვილი საფუძვლიანია და ღირსი დაკმაყოფილებისა. ამ სურვილს კრიტიკოსისას მე დავაკმაყოფილებ. თუმცა ეს მეტ შრომად მიმაჩნია და თანაც მწყინს: ბ. ვართაგავამ, თუ მას კარგი კრიტიკული ალღო აქვს, უნდა ჩემ დაუხმარებლად გაიგოს, რაა ამ ნაწარმოებებში ხალხური და რა ინდივიდუალური. უნდა ყველამ კარგად იცოდეს — ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყო, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადუღა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვნის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება“[53].

ვაჟა-ფშაველა თავისი ამ აზრის დასაბუთებას განაგრძობს რუსი და უცხო მწერლების პუშკინის, ლ. ტოლსტოისა და გოეთეს შემოქმედების მაგალითის აღნიშვნით. სახელდობრ, რა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მათ შემოქმედებაზე ფოლკლორმა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ლიტერატურის ისტორიაში განუმეორებელ შემოქმედებად დარჩნენ. ბოლოს ვაჟა-ფშაველა თავისი შემოქმედების შესახებაც შემდეგს გვეუბნება: „ჩემი პოემები, თითქმის ყველა, სულ ხალხურ თქმულებებზე, ძველ ამბებზე არიან დაფუძნებულნი, თვითეული მათგანი სხვადასხვანაირად, ზოგი ცოტად თუ ბევრად უახლოვდება დედანს. სხვა სრულიად დაშორებულია მათზე, ე. ი. ზოგი ნაწარმოების არაკი ძალიან თავისებურად არის შემუშავებული და ზოგი ნაკლებად შემუშავებული, ნაკლებად თავისებურია, და, წარმოიდგინეთ, ნაკლებად სახელოვანიც. დიდი სახელი მხოლოდ მეტად თავისებურად შემუშავებულმა ამბებმა მოიპოვეს საზოგადოებაში. ამ პოემების ჯგუფს ეკუთვნიან „სტუმარ-მასპინძელი“ და „გველის მჭამელი“[54].

ამ შეხედულებას ვაჟა-ფშაველა უფრო აღრმავებს მეორე სტატი-

---

[53] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი, თხზ., ტ. III, გვ. 451.
[54] ი ქ ვ ე.

ში — „ფიქრები „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ“, რომელიც ის აგრეთვე განზოგადებულ შეხედულებას იძლევა პოეტის მიერ ფოლკლორული მასალის მხატვრული გამოყენების შესახებ: „საზოგადოდ, — წერს ვაჟა-ფშაველა, — უნდა ვსთქვა, რომელ ლეგენდას თუ ზღაპარს გაუვლია ჩემის ფანტაზიის მანგანაში, რომელიც თავისებურად შემიმუშავებია, კვალი დაუმჩნევია მკითხველების გულ-გონებაში და რომელიც პირდაპირ გამილექსია, როგორც, მაგ., „ნახევარ წიწილა“ — არც ერთს შეგნებულ მკითხველს ჩემთვის სახელად არ მოულოცია. აქედამ, ცხადია, რომ პოეტმა, თუ ყოველივე თავისთავად არ შეიმუშავა, თავის გრძნობა-გონების საკუთრებად არ გადააქცია, ამაოდ დაშვრება, მის ნაწარმოებს არავინ ჭკვათა-მყოფელი ხელოვნურს არ უწოდებს. ეს ჭეშმარიტება დღესავით, მზესავით აშკარაა“[55].

ვაჟა-ფშაველას თავის შეხედულების დამადასტურებელ მაგალითად მოაქვს „ფაუსტის“ ლეგენდა, რომელსაც, მგოსნის სამართლიანი მტკიცებით, „ათასი ჰყავდა ავტორი“, მაგრამ, გარდა გოეთეს „ფაუსტისა“, ყველანი „შთაინთქენ უფსკრულში“. ასეთი მაგალითის ჩვენების შემდეგ ვაჟა-ფშაველა, ამაყად კითხულობს: „რა უფლება გაქვთ არ დამეთანხმოთ, რომ უგიოტეოდ „ფაუსტი“ არ ექნებოდა კაცობრიობას? მაშასადამე, თავი და თავი ავტორი ყოფილა და არა ლეგენდა. ეს ლეგენდაც რომ არ ყოფილიყო, ის აზრი, რაც „ფაუსტშია“ გამოთქმული, მაინც გამოითქმოდა გიოტეს პირით და ფაუსტსაც შეიძლება სხვა რამ სახელი ჰრქმეოდა“[56]. რა ღრმა, ფართო და სწორია ვაჟა-ფშაველას მხატვრული ხედვის ალღო და გასაქანი!

ვაჟა-ფშაველას მკითხველი მკვეთრადა გრძნობს პოეტის შემოქმედების სიდიადეს, თავისუფლებას, თავისებურებასა და ამასთანავე მისი შემოქმედების სიახლოვეს, ნათესაობას ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან, რომელიც არამც თუ არა ჩრდილავს მთის მგოსნის შემოქმედების დიდ შინაარსეულ ორიგინალობასა და ესთეტიკურ მომხიბვლელობას, არამედ უფრო ამახვილებს, აძლიერებს კიდეც.

მაგრამ როდესაც საკითხი კონკრეტულობით ისმის, აუცილებელია, რაც თვითონ პოეტმაც აშკარად იგრძნო, გაირკვას, კონკრეტულად იქნას განცხადებული და ნაჩვენებიც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი პოემებში, რა ეკუთვნის მათში ვაჟა-ფშაველას და რა ხალხს.

ამის გაგება და განსაზღვრა, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ხსენებული პოემების სიუჟეტსა და თემაზე ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შესწავლისა და მათი მგოსნის პოემებთან შედარების საფუძველზე გამოკვლეულიყო. მაგრამ ამ მუშაობას, ასეთს კვლევა-ძიების

[55] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ჩემი პოემების შესახებ, ჟურნ. „მნათობი“, 1934 წ., № 11—12, გვ. 201.

[56] ი ქ ვ ე. გვ. 200.

გზას, როგორც წერს ვაჟა-ფშაველა, თვითონვე მგოსანი როგორც თავისი პასუხით იპ. ვართაგავასადმი, ისე სტატიით „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ გვიადვილებს და თვითონვე ნიშანდობლივ აღნუსხავს რა ეკუთვნის მის პოემებში ხალხურ ზეპირშემოქმედებასა და რა — მას.

მოუსმინოთ ვაჟა-ფშაველას, რას გვეუბნება ის იმ პოემების შესახებ, რომლებსაც იპ. ვართაგავა შეეხო თავის კრიტიკულ წერილში.

პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ შესახებ ვაჟა-ფშაველა წერს: „ზეპირგადმოცემამ მომცა მხოლოდ ერთი ადამიანის, ზვიადაურის, სახელი და ერთი ეპიზოდი, სახელდობრ ის, როცა მას ქისტები თავიანთ მკვდრის, დარლას, საფლავზე ჰკლავენ, ხანჯარს ურჭობენ ნელ-ნელა ყელში და ცდილობენ როგორმე შეაშინონ, მოდრიკონ, რომ მსხვერპლი მსხვერპლად გამოდგეს, მაგრამ ზვიადაური ქვავდება და გაიძახის: „ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა!“ დანარჩენი პოემაში საკუთარი ფანტაზიის ნაჩმახი გახლავთ“[57].

პოემა „გველის მჭამელი“-ს შესახებ მგოსანი შემდეგს გვეუბნება: „ამ პოემისათვის ხალხის თქმულებამ მომცა მხოლოდ შემდეგი მასალა: მინდია ქაჯეთს იყო ტყვედ; დამტყვეებელთ მოუხარშეს გველი და აჭამეს, რომ მოეწამლათ. მაგრამ საწამლავმა, ქაჯების მიერ შემზადებულმა, ზიანის მაგივრად არგო მინდიას: ხევსური შეიქნა ბრძენი, იმას ესმოდა ყველა მცენარეთა-ყვავილების ენა. ამის წყალობით იმან შეისწავლა ექიმობა და პირველი ჯანაოზი დადგა: ყველა მცენარე შესძახოდა: მე ამა და ამ სნეულების წამალი ვარ, ამგვარად სახმარიო და ისიც ამ ყვავილებს აგროვებდა და ყოველგვარ სნეულს არჩენდა. ამის მეტს ხალხური თქმულება მინდიაზე არაფერს არ გვეუბნება“[58].

ამგვარსავე განმარტებას იძლევა ვაჟა-ფშაველა სხვა პოემების — „გოგოთურ და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“ და სხვათა შესახებ მაგრამ საკითხის გარკვევისათვის ამ ორი პოემის მაგალითიც რომ გავაანალიზოთ, საკმარისი და დამაჯერებელი იქნება.

ვაჟა-ფშაველას მიერ მოცემული განმარტებები სრულიად ნათელსა და გასაგებს ხდის, რა დიდი და არსებითი განსხვავებაა, როგორც იდეური, ისე ფაქტიური მგოსნის პოემებსა და იმავე თემაზე შექმნილ ხალხურ ზეპირშემოქმედების ნიმუშთა შორის. ხსენებული პოემები — — „სტუმარ-მასპინძელი“ და „გველის მჭამელი“ გავსინჯოთ ამ მიმართულებით.

რა ეკუთვნის პოემა „სტუმარ-მასპინძელში“ ხალხს, ეს ვაჟა-ფშაველამ თვითონვე გარკვევითა და სიმართლით გვითხრა. ახლა ვნახოთ, რა ეკუთვნის ამ პოემაში მგოსნის გენიას.

---

[57] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ჩემი პოემების შესახებ, ჟურნ. „მნათობი“, 1934 წ., № 11—12, გვ. 200.

[58] ი ქ ვ ე, 200—201.

„სტუმარ-მასპინძელში“ ვაჟა-ფშაველას ფანტაზიის ნაყოფია პოემის ფაქტიური მხარის უდიდესი ნაწილი და მისი გამთლიანება, შეკვრა, პოემის განვითარების თვალსაზრისით: ჯოყოლას ნადირობა, მისი ზვიადაურთან შეხვედრა-გაცნობა, მათი ურთიერთმოწონება, ზვიადაურის სტუმრად მიწვევა, ჯოყოლას ოჯახობა, მოხუცი ქისტი, მოყურიადე, სოფლის აღელვება და ზვიადაურზე თავდასხმა, ჯოყოლას თემთან დაპირისპირება, ზვიადაურის შეპყრობა, აღაზას გლოვა, მისი აკრძალული მძიმე განცდები და საქციელი, ჯოყოლას პასუხი, ხევსურთა გალაშქრება ქისტებზე ზვიადაურის ნეშტის „გადმოსასვენებლად“, აღაზას სიკვდილი, პოემის ეპილოგი და პროლოგი. აი მგოსნის ფანტაზიით შექმნილი ნაწილები და ეპიზოდები, რომელთა საფუძველზე არსებითად გაშლილია პოემა „სტუმარ-მასპინძელი“.

პოემის აღნიშნული ეპიზოდები პოეტის ფანტაზიას, რა თქმა უნდა, ხალხის ეთნოგრაფიული ცხოვრების ზედმიწევნითი ცოდნის საფუძველზე აქვს მიღებული, გააზრებული და გაშლილი. მაგრამ, გარდა ამისა, მათი მხატვრული გაფორმება, რეალური ცხოვრების სხვადასხვა დამახასიათებელი მხარის მთლიანობაში მოცემა, მათი თავისებურად ორიგინალურად გააზრება ავტორის ნიჭისა და უნარის ნაყოფია. ამაში ვაჟა-ფშაველა დამოუკიდებელია, თავისთავადია, დიდია, ჯადოქარი შემოქმედია. პოეტი აქ არა მარტო მთიელთა ცხოვრების ფართო და ცოცხალ სურათს იძლევა, არამედ მახვილი განჭვრეტის უნარით ხედავს და ხატავს ახალსაც, რაც მწერლის გარემო სინამდვილეში მხოლოდ ისახებოდა და, მწერლის გაგებით, თანდათან უნდა განვითარებულიყო (სოციალური ცხოვრებისა და მისი დასაყრდენი საფუძვლების რღვევა, ამ ნიადაგზე მცხოვრებთა დიფერენციაცია და მათ შორის წინააღმდეგობის შექმნა).

ეს ახალი იყო უკეთესი, მომავალი, ჰუმანურ საფუძველზე განვითარებული, რაც იწვევდა არსებულის დარღვევას, სამართლიანი ცხოვრების გზის გაკვლევას. ასეთი შეხედულების, მართალია, არა სათანადო სიმკვეთრით, მაგრამ მაინც დამადასტურებელია პოემის შემდეგი ადგილები: ჯოყოლას პასუხი ცოლისადმი: — „იტირე! კარგი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა“... პოემის ეპილოგში მოცემული კულტი ძმობისა, ერთობისა, დანდობისა, და-ძმობისა არა მარტო ერთი თემის ან ტომის მცხოვრებთა შორის, არამედ სხვადასხვა ტომთა წარმომადგენლებს შორისაც.

აი ეს ახალი, რომელიც ცხოვრების ახალ გზებს ჰკვერავდა, ადამიანთა შორის ახალი, სამართლიანი, ჰუმანური ურთიერთობის დამყარებისათვის ხალხის ცხოვრების დუღილში შეუმჩნეველი იყო ჩვეულებრივი თვალისა და გონებისათვის.

ვაჟა-ფშაველამ, რომლისთვისაც მახლობელი იყო თემური ყოფა, მაინც სწორედ ამ ახლისადმი გაამახვილა თავისი გულისყური და ნიჭიც, ამ ახალი ცხოვრების გზების ძიებამ მიიზიდა მთის მგოსნის გრძნობა და გონება. მომავალი ცხოვრების საფუძვლად მან იწამა იდეა თავისუფლებისა, ძმობისა, ერთობისა, ჰუმანურობისა. ამ ახალი ქვეყნის სახე მწერლისათვის, მართალია, ბუნდოვანია, მაგრამ ის მაინც არაჩვეულებრივი სითბოთი და მიმზიდველობით განიცდის თვითონაც და მკითხველსაც გააცდევინებს. სწორედ ამ მდგომარეობით აიხსნება მკითხველთა დიდი თანაგრძნობა, სიმპათია, მიმზიდველობა ვაჟა-ფშაველას გმირებისადმი: ზვიადაურისა და ჯოყოლა-აღაზასადმი. ეს სიმპათია ამ გმირებისადმი ავტორისაცაა. ეს ამ პოემებში ახალია, ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის, ეს მას ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან არ აუღია. აქაა ვაჟა-ფშაველას ნიჭის სიახლე და ძალა.

გავსინჯოთ ახლა პოემა „გველის მჭამელი". ამ პოემაშიც არსებითი და მრავალი ეპიზოდი ეთნოგრაფიული ხასიათისა თუ მოქმედ პირთა ურთიერთობის მაჩვენებელი ავტორის — ვაჟა-ფშაველას პოეტური ფანტაზიის ნაყურია. აღვნიშნოთ ძირითადი: მინდიას დაპირისპირება თემსა და ჩალხიასთან; მინდია ოჯახურ გარემოში; მინდიასა და მზიას განსხვავებული შეხედულება ცხოვრებაზე; მინდიას დამოკიდებულება ცოლ-შვილთან; მინდიას ტრაგიკული განცდები; მზიას ჩივილი; მზიას სიზმარი; მთიელ ქალთა საუბარი; მინდიას მიერ თემის წინამძღოლობა მტერთან ბრძოლაში და მისი სიცოცხლის ბოლო.

გარდა აღნიშნულისა, ვაჟა-ფშაველას ინდივიდუალური ნიჭისა და გაგების ნაყოფია შემდეგიც: მინდიასა და ბუნების მოვლენათა ურთიერთობა გაცილებულია ხალხურ ანიმიზმს; მაღალ საფეხურზეა აყვანილი მინდიას რწმენა სოციალური ცხოვრების გარდაქმნისა, მაღალ ეთიურ ურთიერთ სიყვარულისა, დახმარებისა და გაგების საფუძველზე. ამაშია, როგორც ზევითაც გვქონდა აღნიშნული, სიახლე, სიღრმე და ძალა ვაჟა-ფშაველას ამ ფილოსოფიური პოემისა, წინააღმდეგ იპ. ვართაგავას გაგებისა, რომ „მინდია და მისი მსოფლ-მხედველობა არაფერს ისეთს განსაკუთრებულს არ წარმოადგენს, როგორც ეს ზოგიერთ ჩვენს პანეგირისტებს ჰგონიათ... მინდიას იდეალი, — წერს ვართაგავა, — ცხოვრების რეალურს ვითარებაზე არ არის დამყარებული, ასე წარმოიდგინეთ, თითქმის ზღაპრულის ხასიათისაა"[59].

იპ. ვართაგავას მიერ მინდიას არასწორი გაგების გასაბათილებლად საკმარისი ითქვა ზევით, როდესაც პოემა „გველის მჭამელის" ანალიზს ვიძლეოდით. აქ კიდევ ვიტყვით: ვინ იცის იქნება ჩვენი წინა თაობე-

---

[59] იპ. ვ ა რ თ ა გ ა ვ ა, სიმღერა მთის შვილის — ვაჟა-ფშაველასი, ჟურნ. „განათლება", 1914 წ., № IV, გვ. 249.

ბის, არა შორეულისაც კი, დიდ უმრავლესობას დღევანდელი ჩვენი მისწრაფებანი, ჩვენი მიღწევანი, ჩვენი წყობილება და ჩვენი ტექნიკა არამც თუ ზღაპრად, არამედ გრძნეულთა საქციელადაც კი მიაჩნდებოდათ, მაგრამ ეს დღეს სინამდვილეა. ასეთია ცხოვრების ვითარება, ასეთია მისი მოძრაობის გარდაუვალი კანონი. ეს კარგად, მკვეთრად, მტკივნეულად იგრძნო მინდიას ავტორმა, მისკენ მიუთითებს თავის მკითხველთაც. ნეტარება და დიდება მას, ვინც ცხოვრების მოძრაობის ამ აუცილებელსა და საჭირო მოვლენას დროზე, შთასახვაშივე მიჰხვდება, მიიღებს და შეეცდება სხვასაც გაუშუქოს, შთააგონოს მისი აუცილებლობა და სარგებლობა. სწორედ ასეთებს, უდავოდ, მიეკუთვნება ვაჟა-ფშაველა.

თუ როგორ იქმნებოდა ცალკეული ეპიზოდებისაგან თუ ელემენტებისაგან ვაჟა-ფშაველას პოეტურ „მანგანაში" მისი პოემები, ამის გასაღებსაც თვით პოეტი გულწრფელად გვაძლევს თავის პასუხში იპ. ვართაგავასადმი და აგრეთვე სტატიაში „ფიქრები „ვეფხის-ტყაოსნის" შესახებ", როდესაც, ის გვაცნობს პოემა „ბახტრიონის" გამომწვევ ელემენტებს. მგოსნის ეს ჩვენება, უდავოდ, მეტად საგულისხმიეროა და ბევრის მთქმელი არა მარტო ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი პროცესის, არამედ საერთოდ პოეტური ქმედობის შესახებ.

აი რას გვეუბნება ვაჟა-ფშაველა: „ბახტრიონი", მაგალითად, რამ დამაწერინა? რა მასალა მქონდა ხელთა? საიდან წარმოიშვნენ პოემის გმირები? აი, რაზე უნდა გესაუბროთ სიმართლით, უნაკლოდ, გადაუჭარბებლად. ხალხური თქმულება დაწვრილებით მასალას არაფერს იძლევა ბახტრიონის აღებისას. იმ დროის მებრძოლთა სახელებიც-კი დაკარგულია, გარდა ზეზვასი (თუშია). ზეპირგადმოცემა ჰღალადებს, რომ ფშაველებისათვის ამ ღვაწლისათვის ნაჩუქარი აქვთ პანკისი, ალვანი და სხვ. ეს ერთი. მეორე — სახალხო ლექსები:

ბიჭი ვარ გოგოლაური
რად მწუნობ ტალავარზედა,
წინ-წინ ბე გადავფრინდები
ბახტრიონს გალავანზედა.
მე მოვკლავ თარაქამასა,
ზედ მივალ ფალავანზედა.

კიდევ:

პანკისს იყრება ლაშქარი
ბელადსა ლონდებიანო.
ზეზვავ, შე გაფრინდაულო,
ლურჯას შენ გიქებდიანო...
წინ თუშნი, უკვენ ხევსურნი,
ფშაველნ ნელ-ნელა დიანო.
ჯავრობენ თუში შვილები:
„ხევსურნი არ გინდიანო!"
—
— მაგას რად იტყვით, თუშებო,
ომი ჩვენც ქვე გვწადიანო.
ფშაველნი, უკვენ ხევსურნი
ბახტრიონს გადადიანო".
—
დალიეს თათრის ლაშქარი,
თავებს უკვენა ჰყრიანო.
მეორე დილა გათენდა,
თუშებიც ჩამოდიანო.

„სად ეყარენით, თუშებო,
სადიაცენო, თმიანნო?!“

ზეზვა რა სანახავია (თათრებო)
მოკლული თქვენის ხელითა,

მაშინ კარგ იყო ზეზვაი,
როცა მოგდევდათ ცხენითა,
მოგდევდათ მოგაწუხებდათ.
მოგჩხვლეკდათ შუბის წვერითა!

„ყველაზე მეტი გამბედაობა, — განაგრძობს ვაჟა-ფშაველა, — „ბახტრიონის“ დაწერისა მომცა იმ შემთხვევამ, თუმც მაშინვე ეს ზემორე მოყვანილი ლექსებიც ვიცოდი და ხალხური მშრალი თქმულებაც ბახტრიონის აღებისა, რომ ხელში ჩამივარდა „კალმასობა“ (იხ. გვ. 406 — 407 —408). წავიკითხე ის ადგილი, სადაც ბერი იოანე ხელაშვილი შეჰხვდება ლალისყურისკენ მიმავალ ორ ფშაველს და გაუბამს მათ საუბარს. ამან მუჯლუგუნი წაჰკრა ჩემს ფანტაზიას, გაათამაშა, როგორც უტყუარმა დოკუმენტმა მოიელთა გმირობისამ და გაბედულად ამაღებინა ხელში კალამი“[60].

საკითხში გარკვევისათვის საჭიროა ჩვენც მოვიყვანოთ „კალმასობიდან“ ის ადგილი, რომელმაც გადამწყვეტი ბიძგი მისცა ვაჟა-ფშაველას ფანტაზიას; მით უმეტეს, რომ თვითონ მგოსანსაც მოყავს თაკის სტატიაში ეს საგულისხმიერო ადგილი: „მიმავლობასა შინა იხილა ორნი ფშაველნი მიმავალნი ბახტრიონისაკენ და მათ იცნეს იოანე, რომელიც ენახათ ალავერდს, და მოვიდნენ იოანესთან, და შენდობა მოითხოეს. მაშინ ერთმა მათგანმა უთხრა იოანეს, უცხოდ აამე გულსა ჩემსა და ჩვენი დედოფალი კარგად აქეო, მე ასე არ ვიცოდი. თუ ამდენის სატანჯველით იმ წყეულმან შაჰაბასმან ჰსტანჯა ჩვენი დედოფალიო. ის დედოფალი ლაშქრის ჯვრის მოსავიც იყო, თუ არაო. გვითხარიო. იოანე — ლაშქრის ჯვრის მოსავი იქნებოდა, რასაკვირველია, რომ ლაშა გიორგის ქალობა ეთქმოდაო — და იმან მოგაქცივათ თქვენ, რომელიც იქ ფშავში მარხია და თავის უნჯ ყმად გამოგელოდათ. ეს დედოფალიც ქეთევან თქვენის გულისათვინ ეწამა და სისხლი დააქცია წყეულმან შაბასმა რომ კახეთი მოაოხრა, მერეთ თქვენზე გამოგზავნა ჯარი. პირველად ბაჩალზედ წამოვიდნენ და თქვენ იმ ფშავის გადასავალში დაჰხვდით და გამოაბრუნეთო და მერე გაჯავრებულმან კიდევ ფშავის არაგვის წყალზედ ასიათასი კაცი გამოაგზავნა თქვენ წასახდენად და ის ჯარი მოვიდა შუაფხოს ქვევით რომ წყალის პირზედ დიდი ყლდის ქვაბია, იქამდის მოაწივა იმათმა მხედრობამ და თქვენ წმინდის ლაშქრის ჯვრის და წმინდის ქეთევან დედოფლის ძალლით ჰსძლიეთ და გააქციეთ იქიდამ ის მტერი და ესეოდენი მტერი გასწყვიტეთ, რომელ მთლაღ ის წყალი სულ სისხლმან ასე შეღება, რომ აღარ დაილეოდა და სულ ხო-

---

[60] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ჩემი პოემების შესახებ, ჟურნ. „მნათობი“, 1934 წ. № 11—12, გვ. 197—198.

ცით მოჰყევით ჟინვალის ხიდამდისინა და აქეთ თქვენთვის ვეღარავის შემოუბედნიაო, ეს სულ იმათის მადლით არის და უნდა ძლიერ გიყვარდეთ ბაგრატიონები, რომ თქვენთვინ ასე თავდადებით ყოფილანო და თქვენ ჰყვარებიხართო“ და სხვ. „ასეთსავე ქება-დიდებას ასხამს ბერი ხელაშვილი თუშებს“, მიაწერს ვაჟა-ფშაველა მოყვანილ ციტატას, — აი ყველა ის მასალა, რომლითაც მე ვხელმძღვანელობდი „ბახტრიონის“ წერის დროს“[61], — დაასკვნის მგოსანი.

„ბახტრიონში“, ამ მეტად საგულისხმიერო და მდიდარი შინაარსის შემცველ პოემაში, დანარჩენი დიდი და რთული ნაწილი ეკუთვნის ვაჟა-ფშაველას. თვით მოქმედი პირების სახელებიც კი არ მოსჩანან ბახტრიონის ბრძოლაში მონაწილედ, „თუმცა კი, — როგორც თვით ვაჟა-ფშაველა გვიმოწმებს, — გმირებად იხსენიებიან ხალხურ ლექსებში სრულიად სხვა ბრძოლაში, სხვა დროს — ასეთები არიან ლუხუმი, ხოშარეული. ხოლო სუმელჯი და სანათა ეკუთვნიან იმ შავსა და ბნელს დროს, როცა ფშაველები და თუშები ერთი მეორესა ჰლაშქრავდნენ, არ იყო მათ შორის ძმობა და თანხმობა... ეს ორივე გმირი — სუმელჯი და სანათა მე შეურიე „ბახტრიონის“ გმირებში; სანათა როგორც ენით, სიტყვით გამამხნევებელი დიაცი და სუმელჯი-კი როგორც თავის ქვეყნისათვის მებრძოლი ვაჟკაცი. კვირია და ლელა არიან საკუთარი ფანტაზიის ნაყოფნი. იმათი ხსენება არც ხალხურ ლექსში და არც ზეპირგადმოცემაში არსად არ მოიპოვება: დედაკაცს რომ რაიმე როლი ეთამაშნოს ბახტრიონის აღებაში, ამაზე არც ლექსები, არც ზეპირ-გადმოცემა არავითარ ცნობას არ იძლევა“[62].

გარდა იმ დამოუკიდებლობისა და ორიგინალობისა, რომელიც აღნიშნული აქვს თვითონ ვაჟა-ფშაველას დასახელებულს წერილებში, პოემა „ბახტრიონში“ კიდევ მრავალი მომენტია შეტანილი, მგოსნის ფანტაზიის ნიჭიერი ნაყოფი, ან როგორც დიდი თავმდაბლობით ამბობს თვითონ პოეტი, მისი „ფანტაზიის ნაცოდვილარი“.

ვაჟა-ფშაველას მიერ აღნიშნულ აღიარებიდანაც აშკარა ხდება რა დიდი ალღო და უნარი ჰქონდა მას დაქსაქსული ელემენტებისაგან დამოუკიდებლად შეექმნა არა მარტო დამაჯერებელი ცოცხალი ეთნოგრაფიული სურათი, არამედ დროსა და გარემოსთან შესატყვისი მძლავრი ტიპიური ხასიათები.

ჩვენის მხრით კიდევ აღვნიშნავთ ზოგიერთს ძირითად მომენტს „ბახტრიონის“ კომპოზიციიდან, რაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით ნიჭს ეკუთვნის: პოემა „ბახტრიონის“ კომპოზიციური გამთლიანება

---

[61] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ჩემი პოემების შესახებ, ჟურნ. „მნათობი“, 1934 წ., № 11—12, გვ. 198—199.

[62] ი ქ ვ ე. გვ. 199—200.

— პოემის ყველა პერსონაჟის მოქმედება ერთი ძირითადი თემის — ბახტრიონის ციხიდან (საქართველოდან) მტრის განდევნის, ციხის (საქართველოს) განთავისუფლების გარშემოა გაშლილი.

გარდა ამისა, პოემის შემდეგი შემადგენელი ელემენტები: კვირიას საუბარი სანათასთან, სანათას გლოვა, მისი გაუტეხელი ხასიათი და ძირითადი ტკივილი; ფშავ-ხევსურთა საომრად, ქვეყნის დასაცავად სწრაფი ვაჟკაცური შეკრება და ხალისიანი — გმირული გალაშქრება. თუშ-ფშავ-ხევსურთა ლაშქრის გაერთიანება, მათი მხნე განწყობილება. აგრეთვე დაჭრილი ლუხუმისადმი „გულჯავრიანი" გველის დამოკიდებულება. ყველა ეს ეპიზოდიც პოემაში გაშლილია ფოლკლორის კარგი ცოდნისა და ათვისების საფუძველზე და ტიპიურობამდეა აყვანილი.

ამასთან ერთად ყველა ეს მგოსნის მიერ გააზრებულია და მჭიდროდ შემოკრებილი საქართველოსა და ქართველი ხალხის თანადროულობისა და მისი სანუკველი მომავლის მდგომარეობასთან შეფარდებით.

სანათასა და კვირიას უკიდურესად შევიწროებული და დაჩაგრული მდგომარეობის ჩვენებით ვაჟა-ფშაველა ქართველი ხალხის დაჩაგრულ, დაკნინებულ მდგომარეობას ხატავდა, ხოლო ქართველ ტომთა შეერთებული ძალით ბახტრიონის განთავისუფლებაში ავტორი გულისხმობდა ქართველი ხალხის მეფის რუსეთის მონარქიული ბორკილებიდან განთავისუფლებას, თუშ-ფშავ-ხევსურთა გაერთიანებულ, ანაკადებულ, მტრის დამძლევ ძალაში კი ქართველ ხალხში არსებულ დიდ შემოქმედ კინეტიკურ ძალასა და შესაძლებლობას. აქედან პოემის დედაარსიც ცხადია — ქართველი ხალხის ცხოვრება შეიძლება წავიდეს თავისუფალი, სამართლიანი, სასარგებლო აღორძინებული კულტურული გზით ქართველი ტომების გაერთიანებისა და სოლიდარობის საშუალებით.

პოემა „ბახტრიონის" ასეთი გაგება რომ მართებულია, ამას მეტად დამაჯერებლად ადასტურებს ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედების დაფიქრებული გაცნობა და აგრეთვე ის მშვენიერი მაგალითი, რომელიც თვით მგოსანს თავის პასუხში იპ. ვართაგავასადმი აქვს აღნიშნული, როდესაც უსწავლელმა ფშაველმა, რომელსაც „ბახტრიონი" წაეკითხა და ურყევი რწმენა გამოეტანა, რომ ავტორის სიტყვები პოემაში — „ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა", — „სწორედ საქართველოს თავისუფლებაზეა ნათქვამიო"[63].

და რომ ეს ფშაველი „ბახტრიონის" გაგებაში მართალი იყო და ავტორსაც სწორედ ასე ესმოდა ამ პოემის საზოგადოებრივი და იდეური მნიშვნელობა, ეს მგოსნის შემდეგი სიტყვებიდანაც ჩანს: „თუ

---

[63] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, კრიტიკა იპ. ვართაგავასი, თხზ., ტ. III, გვ. 457.

ჩემს მკითხველებს ამისთანა რამეს აგრძნობინებს ჩემი ნაწერები, საკმარისია. მაშასადამე, საკმარისად წარმოდგენილი მქონია საქართველოს მომავალი სვე-ბედი"[64].

* * *

ვაჟა-ფშაველას პოეტურ შემოქმედებასა და მის მიერ შექმნილ პოეტურ სამყაროს რომ ეცნობა მკითხველი, აშკარად გრძნობს, რომ მგოსანი მძლავრად განიცდის ხალხის მიერ ზეპირსიტყვიერებაში განსახიერებულ საყოფაცხოვრებო გარემოსა და მასში განსახიერებულს სამყაროს არა როგორც მასთან მისული უცხო, რომელიც დაინტერესებულია გაიცნოს ის და შეძლებისა და საჭიროებისამებრ გამოიყენოს, როგორც ამას იპ. ვართაგავა ფიქრობს და აფასებს. „როდესაც კითხულობთ ვაჟას პოემებს, — წერს იპ. ვართაგავა, — თქვენ გგონიათ, რომ ვიღაცას უცვლელად ჩაუწერია ხალხში დარჩენილი ლამაზი თქმულება და თქვენდა დასატკბობად დაუბეჭდიაო: იგივე ხალხური ენა, იგივე რითმა, იგივე ხალხური შედარებები, ეპიტეტები, ტროპები"[65]. არა. მთის მგოსნის ასეთი შეფასება არ იქნებოდა მართებული.

ვაჟა-ფშაველა თავისი შემოქმედებით გვევლინება, როგორც ხალხური, ფოლკლორული მასალის სრულმპყრობელი, რომელსაც შეუსისხლხორცებია მისი სული, განწყობილება, არსი, რომელიც მისი შენადულია და რომელმაც თავის შემოქმედებაში ნიჭიერად აღბეჭდა მხოლოდ მისი ზედმიწევნითი გაგება, მასთან ახლო ნათესაობა და არავითარ შემთხვევაში იგივეობა.

თვით შემოქმედების პროცესში ვაჟა-ფშაველა ხალხის ყოფასა და მის სულიერ საუნჯეს სჭვრეტდა მხოლოდ როგორც საგანს, მასალას და აქედან ის თავის სურვილისამებრ სულ სხვა, ახალ, თავის სამყაროს ქმნიდა. სწორედ ამაშია ვაჟა-ფშაველას ორიგინალობა, თავისთავადობა, ძალა, სიახლე ძიებისა, სიახლე ქვეყნისა, საითკენაც ფვითონაც ძალუმად მიიწევდა და მკითხველსაც ასევე მიიზიდავდა, რის შესახებაც ზევით, თავის ადგილზე ფართოდა გვაქვს აღნიშნული.

* * *

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება მკითხველის დიდ მიმზიდველობასა, ინტერესსა და ესთეტიკურ განცდას აძლიერებს პოეტური შემოქმედების მრავალი საშუალებით, რომელთაც ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში აქვთ ძირი.

---

[64] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, კრიტიკა იპ. ვართაგავ-სი, თხზ., ტ III, გვ. 457

[65] იპ. ვ ა რ თ ა გ ა ვ ა, სიმღერა მთის შვილის — ვაჟა-ფშაველასი, ჟურნ, „განათლება", 1914 წ., № IV, გვ. 243.

დავას არ იწვევს, რომ ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედების ლაბორატორია დადუღებულია ქართული ხალხური მდიდარი პოეტიკის დვრიტაზე, ხოლო მთის მგოსნის მძლავრი მრავალფეროვანი ნიჭითაა გამახვილებული და მაღალი პოეტური ოსტატობის სიმაღლეზეა აყვანილი.

ამასთან ერთად ვაჟა-ფშაველა თვით ჩვეულებრივ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული პოეტური ხერხებითაც სარგებლობს არა როგორც უბრალო მიმბაძველი, არამედ როგორც დიდი თავისთავადი შემოქმედი. ამა თუ იმ მოვლენის მრავალმხრივ ჩვენებას ის გვაძლევს სხვადასხვა პოეტურ საშუალებათა თავისებური პოეტური კომპლექსების შექმნით. ხშირად ერთი პოეტური სახის მოცემაში გაერთიანებულია ეპითეტი, მეტაფორა, ჰიპერბოლა, კონტრასტი და მრავალი სხვა, რაც მგოსნის შემოქმედებას, მის პოეტურ მეტყველებას ამკვეთრებს, ამძლავრებს, ასხივოსნებს.

აღვნიშნავთ ვაჟა-ფშაველას პოეტიკიდან ზოგიერთ დამახასიათებელ მოვლენას, რომლებიც მას ხალხური შემოქმედების პოეტიკასთან აახლოვებს, ანათესავებს და მის შემოქმედებასაც ხალხურ ხასიათს აძლევს.

1. ვაჟა-ფშაველა თავის შემოქმედებაში, როგორც ლირიკულ ლექსებში და პოემებში, ისე მოთხრობებშიც ხშირად სარგებლობს მთიულური კილოსათვის დამახასიათებელი მრავალგზითი ფორმით. რომელიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აღარ იხმარება, ახლა ის არქაული ფორმაა; მაგრამ ეს ფორმა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, განსაკუთრებით მის პოემებს, ისტორიულ ხასიათს, კოლორიტს უნარჩუნებს, მეტ დამაჯერებლობას აძლევს:

ა) ა.ხსნა იარაღები,
 გ ა ა ფ ხ ა ვ ა დ ი ს ხმალი,
 გ ა უ შ ი ნ ჯ ი დ ი ს ვადანი,
 ხმალს არ მ ა უ ტ ყ დ ი ს ტარი.
 („ალუდა ქეთელაური“)

ბ) სთვლობით გულ-გაცოფებულმა
 ირემმა დ ა ი ღ რ ი ა ლ ი ს;
 ან მ ო ს ქ დ ი ს ზოვი მთიდამ,
 დ ა ი ძ რ ი ს, დ ა ი ხ რ ი ა ლ ი ს;
 ა ხ ა ვ ლ დ ი ს შველი დამთხვარი,
 ყოდალამ დ ა ი კ რ ი ა ლ ი ს;
 ჭალას ა ძ რ ა ხ დ ი ს ხოხობი,
 ზარივით დ ა ი ზ რ ი ა ლ ი ს;
 ზღაპარს უამბობს ნიავი,
 ფოთლებმა დ ა ი შ რ ი ა ლ ი ს.
 („ეთერი“)

და მრავალი სხვა.

2. ვაჟა-ფშაველას მიერ აგრეთვე ხშირია ხმარება მთიულური კილოსთვის ზმნების დამახასიათებელი ფორმის — „მა“-„შა“ — პრეფიქსით ლიტერატურული „მო“-სა, „შე“-სა და „მე“-ს მაგიერ. მაგალ., მაჰკალ, მასჭერ, შაჰხედნეს, შაუძახიან, მაუნდა და მრავალი სხვა.

3. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სახელები მრავლობით რიცხვში, მართალია, ები-ანი დაბოლოებითაც გვხვდება, მაგრამ უფრო ხში-

რად იხმარება ნ-არიანი და თ-ანიანი დაბოლოებით, რაც დამახასიათებელია ხალხური ზეპირსიტყვიერებისათვის, ხოლო თანამედროვე სალიტერატურო ენაში კი შედარებით იშვიათია. მაგალ.:

ა) კლდეთაც კი ესმით, სალს კლდეთა, მათურელთ გულის ძგერანი" („ბახტრიონი").

ბ) „მოგროვდენ ყოველს მხრიდამა ვაჟები ლომის ფერანი,
დიაცთღა დარჩათ მარტოთა მატყლის სართავად კერანი" (იქვე).

გ) „უყვარან ფშაველ-ხევსურნი, დამდგარნი ერთსა პირზედა" (იქვე).

დ) „თვალნ დამრჩნენ გაღმა გორზედა ვნახენ ხავსიან ყორენი" („მონადირე") და ა. შ.

4. წინადადებაში (ხშირად უფრო ლექსში) გამოყენებულია ბოლოკვეცილი, როგორც სახელები, ისე ზმნებიცა და კავშირებიც. ეს ლექსის ზომის გაჩალხვის აუცილებლობით არ არის გამოწვეული, იგი ფშავ-ხევსურული კილოსათვისაა დამახასიათებელი, ხშირად ჩვეულებრივ სასაუბრო ენაშიც. მაგალ.:

ა) „მა მიგქონ ჩემნ იარაღნი, კიდევ არ შაირცხვენია!" („გოგოთურ და აფშინა"); ბ) „მე შენ იარაღ რად მინდან" (იქვე); გ) „მე პურ არ მინდა, დედაო" („ალუდა ქეთელაური") დ) „მე და იმან უნდა ვიომოთ, ნაქებ რომ არი მკლავითა" („ბახტრიონი") ე) „თავი გაგორდა მიწაზე, ტუჩებმ დაიწყო კაპუნი" (იქვე); ვ) „ბრალია გიგის სიკვდილი, ფშაველნ ნუმც გაიგონებენ" („გიგი"); ზ) „სრულ აიკრიბა თოვლები, ბილიკებ დაჩნდა მთებისა" („გალაშქრება ლაშარის ჯვრის დროშით") და მრავალი სხვა.

5. აგრეთვე ხშირია და დამახასიათებელი ფშავიზმების ხმარება ვაჟა-ფშაველას მიერ, როგორც ცალკეული ტერმინებისა, ისე ფონეტიკურ-მორფოლოგიური ფორმებისა, რასაც პოეტი იყენებს ადგილობრივი კოლორიტის დაცვის მიზნით:

ა) „მყისვე ჩახმახი დავღრიჯე, გულზედ დავადევ ლიშანი" (მიზანი. — მ. ზ.); „კორაში (თოფის გასახედში. — მ. ზ.) ვნახე დაემხო, წვერნ გადიქნივა რქისანი" („მონადირე");

ბ) „ვაჟკაცის ილეთი (შნო. — მ. ზ.) ჰქონდა..." (იქვე);

გ) „მზირმა (ჯაშუშმა, ჩასაფრებულმა. — მ. ზ.) მზირობა არ გვიყოს... დუშმანი (მტერი. — მ. ზ.) არ გაგვიფრთხილოს, საქმე ქნას ნახლართანია" (გაფუჭებული. — მ. ზ) — („ბახტრიონი");

დ) „რომ გაუბანდოს (დაუკეროს. — მ. ზ.) ჯღანია" (დაგლეჯილი ფეხსაცმელი ან ტანსაცმელი. — მ. ზ.) — („სტუმარ-მასპინძელი");

ე) „ჩოღროს (უსწო-მასწორო. — მ. ზ.) გზას მოუნათებდენ"... („ეთერი");

ვ) „და ჩვენც დოსტოღრივ“... (ტყვიასავით პირდაპირ, შეუპოვრად. — მ. ზ.) — („მოხუცის ნათქვამი“) და მრავალი სხვა.

ამ მიმართულებით ვაჟა-ფშაველას მთის კილოს სალაროდან ზოგიერთი მოხდენილი სიტყვაც მოაქვს ქართული სალიტერატურო ენის საგანძურში: მაგალ., მზირი (ჯაშუში, ჩასაფრებული), მზირობა (ჯაშუშობა, მალულად თვალყურის დევნება), კორა (გასახედი თოფისა), დოსტოღრივ (ტყვიასავით შეუპოვრად წინ სვლა) და სხვა, რომელთა გამოყენება და ლიტერატურულ ენაში შეტანა, შესაძლებელია ურიგო არ ყოფილიყო. ამ მხრივ სპეციალური შესწავლა ვაჟა-ფშაველასი, როგორც ფშავ-ხევსურულ დიალექტის კარგი მცოდნისა, უსარგებლო არ იქნებოდა.

* * *

ვაჟა-ფშაველას პოემები კომპოზიციურადაც უახლოვდება ხალხურ თქმულებებს. მათაც, ხალხური თქმულების მსგავსად, აქვთ თავისი დასაწყისი (зачин), რომლითაც მათქვამი ცდილობს დაიპყროს თავისი მსმენელები და მათი ყურადღება თავიდანვე გაამახვილოს შინაარსის გადმოცემაზე, რათა მსმენელი უფრო ბუნებრივად, ძალდაუტანებლად შეიყვანოს თქმულების (ვაჟა-ფშაველამ — პოემის) პოეტურ სამყაროში.

ხალხური თქმულების დასაწყისში, ჩვეულებრივ, მოცემულია გარემო, რომელის საფუძველზედაც განვითარებულია შინაარსის მთავარი ხაზები; მაგრამ არის შემთხვევებიც, როცა მოუმზადებლად, უცბად იწყებს თქმულებას.

აღვნიშნოთ ვაჟა-ფშაველას პოემების დასაწყისის რამდენიმე სახე, რომლითაც ისინი ენათესავებიან ხალხურ თქმულებებს:

ა) ვაჟა-ფშაველა პოემას ხშირად იწყებს ex abrupto — უცბად, მოუმზადებლად; მკითხველი პირდაპირ შეჰყავს შინაარსის მამოძრავებელ არსში. მაგალითად, პოემა „მთათა ერთობა“:

ბარს შაეთვალა მთებისთვის
უცხო რამ ერთი ქართული,
მაშინ როს მთების ანდაფი
ღრმა ფიქრში იყო გართული.
რასა ფიქრობდენ, ვინ იცის
ჰსურთ დაებრუნათ წართმული,
თუ ცაში ასასვლელადა
სურდათ გაებათ მავთული?!
ორმა გორაკამ ითავა
ამცნონ მთებს ნება ბარისა,
იმათ აუწყეს ყოველი
ქვეიდან დანაბარისა.
მთების შიკრიკებს გადასცეს
ახალი მცნება დიდია,
ორბსა და არწიეს წერილი
გულ-მკერდზე გადუკიდია.
ბარს შაეთვალა მთებისთვის:
„მთაო, ერთობას სცვიდია,
ჩვენ კი ერთმანეთს შორისა
გავსდეთ ერთობის ხიდია;
უწყოდეთ, ბედნიერ-ყოფა
ამ მოძღვრებაზე ჰკიდია;
ბარად სუსტსა და ძლიერსა
ხელი-ხელს ჩაუკიდია.
მგელი ვერ ჰბედავს მგლობასა,
ეხლა კრავივით შშვიდია.
ცხვარი სძოვს ბალახს უშიშრად,
სწამს, ვერ უმტერებს ფლიდია,

და კატას — თაგვების მტერსა —
ყელზე ეკვანი ჰკიდია.

ერთობის გზაზე ვიაროთ,
კერძოობის გზა ფინთია“[66].

აი ეს „ერთობის ხიდის“ გადება, „ერთობის გზაზე“ სიარული, რაც ახალია, საჭირო და ფრიად საგულისხმიერო, ამაზე ჰპირდება ავტორი მსმენელებს — მკითხველთ განავითაროს პოემის შინაარსი და მკითხველის ყურადღებაც სათანადოდ დაპყრობილია.

ბ) ვაჟა-ფშაველა, სანამ ძირითადი ამბის გაშლას შეუდგებოდეს, პოემის დასაწყისში იძლევა დიადი გარემოს სურათის აღწერას, რომელშიც გმირთა მოქმედება უნდა განვითარდეს. გარემოს ასეთი აღწერით მსმენელის თუ მკითხველის ყურადღება დასაწყისიდანვე დაძაბული ხდება. მას ეს არაჩვეულებრივი სურათი იტაცებს, ის იხიბლება, ივიწყებს გარემო სინამდვილეს და გატაცებით მისდევს ავტორს, თითქოს ისიც მონაწილედ ხდება მოქმედი პირების საქმიანობისა, მათი ურთიერთობისა.

მაგალითად, პოემა „სტუმარ-მასპინძელი“:

ღამის წყვდიადში ჩაფლული,
გამტკნარებულის სახითა,
მოსჩანს ქისტეთის მიდამო
სალის კლდეების ტახტითა.
ბნელს ხევზე მოჰყეფს მდინარე,
გულამღვრეული ჯავრითა.
გადმოხრილიყვნენ მთანიცა,
ხელ-პირს იბანდენ წყალზედა;
ბევრი მომკვდარა მათს მკერდზე,
სისხლს ვერ იხდენენ ტანზედა;
ძმის მკვლელის სისხლი სწყურია,
კაცი რამ მოდის გზაზედა.
გზას ვამბობ, თორემ რა გზაა,
ვიწრო ბილიკი კლდეზედა?
სავალად მეტად ძნელია,
ფეხს ძლივს აცილებს ფეხზედა,
გაღმა სჩანს ქისტის სოფელი
არწივის ბუდესავითა...[67]

ასეა მთელ I თავში ვაჟა-ფშაველას მიერ დახატული მთის ატეხილი სტიქიური ბუნება. მასში მოხერხებულად არის შექსოვილი ხალხური ზნე-ჩვეულებების მოტივები, პოემაში რომ უნდა გაიხსნას და გაიშალოს და რაც მოცემულია ჩვეულებრივი მკითხველისათვის მიმზიდველ, უჩვეულო ხაზებში. აი ამ გარემოში ავტორი გამოაჩენს პოემის მთავარ მოქმედ პირთ: ჯოყოლასა და ზვიადაურს მათი გარეგნული ვაჟკაცური მიმზიდველობით.

გ) შევჩერდებით აგრეთვე ვაჟა-ფშაველას პოემის დასაწყისის კიდევ ერთს სახეობაზე, რომლითაც ვაჟა-ფშაველას პოემები ემსგავსებიან ხალხურ თქმულებას. მათქვამი (მთავარი მოქმედი პირი პოემისა) გამოსთქვამს თანადროულობით უკმაყოფილებას; ის ამ უკმაყოფილების მიზეზსაც ხსნის. თანადროულობით უკმაყოფილებას ის განსაკუთ-

---

[66] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, მთათა ერთობა, თხზ., ტ. IV, 1932 წ., გვ. 203—204.
[67] მ ი ს ი ვ ე, სტუმარ-მასპინძელი, თხზ., ტ. III, 1930 წ., გვ. 233.

რებით იმით ამახვილებს, რომ ის ძველის შინაარსიანი, იდეური ცხოვრებისა და დროის მოწამეა, მოზიარეა. ამის შემდეგ ავტორი გადადის ძველი დროის დამახასიათებელი მოვლენების გადმოცემაზე.

ნიმუშისათვის მოვიყვანთ პოემა „მოხუცის ნათქვამს“:

„ერთს ამბავს გეტყვით, შვილებო,
ჩემის თვალითა ნანახსა,
მაშინდელს, როცა ტყვიის ხმას
ვეძახდით დედის ნანასა.
ერთხელ გავარდა ამბავი,
მოდის თათრების ჯარიო,
ჯარს მოთავეობს მაჰმადი,
ქრისტიანების მსრავიო...
მაშინ მეფობდა ერეკლე,
ჩვენი პატარა კახია:
ქვა-კირით არის ნაგები,
გულთაფლი, სახით მკვახია.

ქინვანს მოვიდა ქაღალდი,
მოწერილობა მეფისა:
„აბა, არაგვო, აჩქარეო,
შენი ერეკლე გელისა.
ნუ მაკმეევთ თათრების ჯავრსა,
თქვენს მკლავებს ვენაცვალები,
თუ აიკლებენ ტფილისსა,
სჯობს დავითხაროთ თვალები“.
ეს ხმა გავარდა სოფელში,
აღელვდენ ვაჟ-ცებია,
სოფლიდამ სოფელს გასძახის
ბუკის, ნაღარის ხმებია“[68]... და სხვა.

ამას მისდევს ძველთა ვაჟკაცობის გამოვლინება, იწყება ქვეყნისა და თავისუფლების გმირული დაცვის ეპოპეა — ხალისიანი, გაბედული მზადება მამაცთა, საომარი იარაღის — თოფის, ხმლისა და ხანჯლის წმენდა და დაპირვა; ცხენების კაზმვა; ერთმანეთის ხმის მიწვდენა „ბუკითა და ნაღარითა“; სრული მზადყოფნა „ქუდზე კაცისა“; ყველა ყიჟინითა და სიმღერით მწყობრად მიდის ომში, როგორც ქორწილში, ქვეყნისათვის უანგაროდ თავის დასადებად.

ასეთი იყო, მათქვამის (ავტორის) გაგებითა და განცდით, ძველად ქართველი, სავსე სიცოცხლით, მამულიშვილური სიყვარულითა და ვაჟკაცობით. ახლა კი ის დაჩიავდა, დალაჩრდა, შეიქმნა „ქალის პირისა“. ეს იწვევს მძიმე ტკივილებს მათქვამში. ასეთი ჩივილით იწყება პოემა „მოხუცის ნათქვამი“ და ასეთივე ჩივილით ბოლოვდება:

„არაგვის პირით წასული
მე დავრჩი ვარმაღ ცალია,
მიპოვნა ერთმა მეცხვარემ
დაპრილი, ცოცხალმკვდარია.
გადავრჩი, მაგრამ სიცოცხლე,
შვილებო, ჩემთვის მწარეა:
ქართველთ ქვის სეტყვა გვეწია,
სპარსთ-კი დაუდგათ დარია.

ამ ჭირთა ჭირმა, სიბერემ
შეკამა გული, ტვინია.
არ მომდევს ღონე, არც მუხლი,
რომ მით მოვიკლა ჟინია...
ეს სთქვა თეთრწვერა მოხუცმა
და გადმოსყარა ცრემლები,
ოან ჩამოისო წვერზედა
დამჭკნარი, წმინდა ხელები.“[69]

ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველას კარგადა აქვს შეთვისებული და თავის შემოქმედებაში მტკიცედ ჩაქსოვილი ქართულ ხალხურ ისტორიულ და საგმირო თქმულებებში გატარე-

---

[68] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, მოხუცის ნათქვამი, თხზ., ტ. III, 1930 წ., გვ. 6-7.
[69] ი ქ ვ ე, გვ. 13.

ბული იდეა — ქვეყნის ხმა დიდ ისტორიულ მოვლენად ხდებოდა, როცა მთა და ბარი, მთისა და ბარის ქართველი ტომები ერთიანდებოდნენ გარეშე თუ შინაური მტრის წინააღმდეგ. ვაჟა-ფშაველას ზოგიერთ პოემაში („ალუდა ქეთელაური", „სტუმარ-მასპინძელი", „მთათა ერთობა"), როგორც ზევით თავის ალაგზე დავინახეთ, იდეა გაერთიანებისა უფრო მაღალ ჰუმანურ საფეხურზე — მეზობელ ერთა გაერთიანების პრინციპამდეც კი აქვს აყვანილი.

* * *

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას მკითხველი რომ ეცნობა, კარგად გრძნობს, რომ ხალხური ზეპირსიტყვიერება მასში მრავალგზის არის გამოყენებული, მაგრამ აქაც ხაზი გვინდა გაუსვათ, რომ მთის მგოსანი ყველგან და ყოველთვის დამოუკიდებლობასა და თავისთავადობას იჩენს. ვაჟა-ფშაველა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს უცელელად, გადაუმუშავებლად კი არ ურთავს თავის ნაწარმოებს, არამედ ამჯობინებს ხალხურის მსგავსად, ცალკეული მასალის თუ ელემენტების გამოყენებით, შექმნას თავისი პოემა, ლექსი, სიმღერა თუ მოთხრობა.

ასეა, როგორც ზევითაც დავინახეთ, შექმნილი ვაჟა-ფშაველას პოემები, ასევეა მისი შემოქმედების ცალკეული ნაწილებიც. მაგალითისათვის:

პოემაში „მოხუცის ნათქვამი" ქალები ვაჟკაცთ ომში მხიარულად „ფერხულის გაბმით" ისტუმრებენ და თან არაგვს სიმღერას გასძახიან:

„არაგვო, უყარაულე
ომში მიმდინარს ლაშქარსა.
თუ ვინმე გამოქცეული
ურცხვად მოადგეს შენს კიდეს,
ლამი აკამე შერცხვენილს,
რომ სახლში ველარ მოვიდეს!"[70]

ეს სიმღერა ვაჟა-ფშაველას ინდივიდუალური შემოქმედებაა, თუმცა წმინდა ხალხურობის მძლავრი ელფერის მატარებელია. ასეთივეა ამავე პოემაში ფიცი, როდესაც მტერთან საბრძოლველად გამზადებული ქართველთა სხვადასხვა კუთხის ჯარი შეერთდა და შეჰკრეს ძმური პირობა:

„ქუდი ნუ ჰხურავ თავზედა,
ვინც არ იჩინოს გმირობა;
ვინაც ცოცხალი მტერს დაჰრჩეს
საყმედ და სასაცილოდა,
ღვთისაგან წყეული იყოს
გვარით საშვილიშვილოდა!
თუ ვერ შევიძლოთ საცადი,
გაგვწირონ სასიკვდილოდა,
მოვკვდეთ — გვეხუროს მიწისა
ნაბადი, გასათბილოდა".[71]

ასევეა გადამუშავებული ვაჟა-ფშაველას მიერ, მეტად თავისებურად, მთელი რიგი ხალხური ლექსებისა მათი რეალიების გამოყენებით,

[70] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, მოხუცის ნათქვამი, თხზ., ტ. III, გვ. 9.
[71] ი ქ ვ ე, გვ. 11—12.

მაგრამ არსებითად დაშორებული იმ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს, დროს და პიროვნებებსაც, რომელთაც ლექსის შექმნა გამოიწვიეს. გარდაქმნილი სახით გამოყენებული მასალა ვაჟა-ფშაველას მიერ ბუნებრივადაა შერწყმული თავის დამოუკიდებელ ნაწარმოებში სხვა გარემოსა და თემასთან დაკავშირებით.

ნიმუშისათვის ავიღოთ ხალხური ლექსი „როშკს ჯარის მოსვლა“.

ერთსა მეც ვიტყვი სიტყვასა, ძმათაც რომ მამჭრან თავიო,
საძელეს გარმოდიოდა თავუჩინარი ჯარიო.
ჩამოდის როშკის ხორხშია ქუჩუმიანი ფარიო,
დეეცნეს ქმოსატს როშკასა უდროოს დროში ცანიო.
ციხეთ როშკის გორ ნადგომთა ჩაიცვეს გორის ტყავიო,
შიგ ჯოყოლიკა შეუდა, შეიღო საომარიო,
წინ-წინ მოსულსა ლურჯასა არ მისცა რბოლის ხანიო,
ზედა ნაჯდომსა მხედარსა წითლად ულება ტანიო.
როშკის გორ შუშპრობს ღილველი: ხევსურებს შევსდევ ზარიო,
კვამლად მოვსთხოვე ბეგარი თითო შიშაგი ცხვარიო.
აბობენ ხევსურთ შვილები: რად უნდა საუბარიო,
წინ წინ მოვიდეს ღულითა ჭრელაისშვილნი ძმანიო,
ბრალია ჭრელაისშვილო, არ გექნას ომის ხანიო,
ფარს ქვეთით შემოგაპარეს ტყვია მაერისა ჩქარიო.
გუნდი ლიქოკით გარმოხდა ქორის შავარდნის ჯარიო.
მოუძღვა ლოხაურაი ყვირილობისა ხარიო,
მეშველათ ხათუთისძემა თოფს ახალ მისცა ტალიო,
თინიბექს გაულესავის ღერენას შვილსა ხმალიო,
წამოხკრა საკაისშვილსა, გალოს მოვიდეს ჭკვანიო,
ჯარიამ ჯინჭარაულმა ხელით მოიღა ხმალიო.
გიკვეხნავ, საკაისშვილო, ხევსურნი მინდან რვანიო,
ეხლად კი ვერ ღნახენია ფარს ქვეშ ნაწურთნი ყმანიო?[72]

ეს ლექსი რომ შევადაროთ ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში“ ფშავ-ხევსურთა სპარსელების წინააღმდეგ ბახტრიონის განთავისუფლებისათვის გალაშქრების გადმოცემას, მსგავსება თუ ხალხური შემოქმედების რეალებისა და სტილიური ნიშნების გამოყენება აშკარა იქნება, მაგრამ ვაჟა-ფშაველა ყველა ამას თავისებურად დამოუკიდებლად გარდაქმნის, ვაჟასებურ სახეს, ფორმას აძლევს.

აი ფშავ-ხევსურთა ლაშქრის შეკრებას როგორ ხატავს ვაჟა „ბახტრიონში“:

ივსება ლაშარის გორი
ქორ-შავარდნების ფარითა;
დროშები გზას უკურთხებენ
ქღერით, აწვდილის ტარითა:

როშკით მოდენ ხევსურნი,
სუმელჯაურნი ცხრანი,
ამღიოა — ბაბაკა-ძენი,
ჭინჭარაულნი ფშანი;

[72] პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1937 წ., გვ. 36—37.

გუდანელთ ჩამასძღოლია
ხოშარეული ხარია;
ხევსურთ, რო ზვავმა მთისამა,
წინ მაიმძღვარეს ქარია;
ჭორმეშელთ, ჭიელთ ბიჭებსა
ღულელებიცა სტანია.
ხახმატელთ ცხენთა ფეხის ხმამ
შეაზრიალა მთანია;
მგლური დააწყვეს ნაბიჯი,
მოკლედ გადმოვლეს გზანია...

და ასე მთელი ეს თავი გამოხატავს ფშავ-ხევსურთა ბრძოლის უნარს, განწყობას და წარმოებას.

ვაჟა-ფშაველასათვის ეს სტილიური ნიშანი მეტად დამახასიათებელია, ის ხშირად სარგებლობს ხალხური პოეზიის ნიმუშებით, მათი დედააზრით, მაგრამ თავისებურად იცის მათი გარდაქმნა და მათი მოხდენილად ჩაქსოვა თავის შემოქმედებაში. ნიმუშისათვის:

ხ ა ლ ხ უ რ ი:

ერეკლემ ცხენი გაქუსლა
ცხენსაც ხო გაჰდა ჩქაფანი.

აივსო ხევი, ხევ-ხევი,
ცხენს ესველდება ფაფარი
უკრავად კაცსა ვოჭკლავდა
იმისი ცხენის ქაქანი [73]

ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა

ერეკლე ცხენზედ ჰშვენოდა,
მამაცად მოცქერალია;

უხდება ბებერს არწივსა
შეემუხვნით სახე მკრთალია.
მთელი სიტურფე ქართლისა
იმას ესვენა მხრებზედა,
როგორაც შუქი მთვარისა
იალბუზისა ქედზედა.
ზედ აკვდებოდა საცმელი,
წმინდად ნალესი ხმალისა,
მე თვითონ ვიყავ მნახველი,
ვისაც ჰკრა, — სული დალია.[75]

ქიდევ:

ერეკლე ჩვენი ბატონი,
ერთი პატარა კახია.
ჩაიცვა ჯაჭვის პერანგი
გაჰკრა ხელი და გაჰხია[74].

გადი-გამოდი, გუთანო,
ღირღიტავ ბანი უთხარო,
სახნის საკვეთო, გაუსვი,
რომ კაპაეს ძირი უთხარო.

მაშინ მეფობდა ერეკლე,
ჩვენი პატარა კახია:
ქვა-კირით არის ნაგები,
გულთაფლი, სახით მკვახია...[76]

გადი-გამოდი, კალამო,
გრძნობავ, შენ ბანი უთხარი!
რით დავაჩუმო, არ ვიცი
გულის ტკივილი მდულარი?[77]

მეტად დამახასიათებელია და მასთან ერთად საინტერესო ის, თუ ვაჟა-ფშაველა ბრძნულ აზრს, აფორიზმის სახით გავრცელებულს

---

[73] ხალხური სიტყვიერება, ნ. I, საისტ. და საეთნოგრ. საზ. გამოცემა, გვ. 178.
[74] ი ქ ვ ე, გვ. 180.
[75] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, მოხუცის ნათქვამი, თხზ., ტ. III, გვ. 10—11.
[76] ი ქ ვ ე, გვ. 6—7.
[77] მ ი ს ი ვ ე, ქებათა-ქება, თხზ., ტ. I, გვ. 165.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, როგორ გარდაქმნის დედააზრის შენახვით და როგორ აქსოვს თავის ნაწარმოებებს. ნიმუშისათვის:

ხალხში გავრცელებული
რუსთველის აფორიზმი:

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი.

ვაჟა-ფშაველა:

ა) ერთხელ სჯობია სიკვდილი
შავს ყოფნას ქვეყანაზეღა.
(„ხევსურეთიდან")

ბ) სიკვდილი ბევრად სჯობია
ჩავარდნას ქვეყნის ყბაშია.
(„სისხლის ძიება")

გ) მაგრამ ვაჟკაცი, თუ ვერ იმარჯვებს
თავს არ შეირცხვენს, მტერს რჩება
მკვდარი.

ღ) აზრის და სიმართლისათვის
მხოლოდ ვაჟკაცი კვდებისა.
(„სიმღერა", ტ. I, გვ. 85).

შესაძლებელია კიდევ ბევრი შესატყვისი მოგვენახა მოყვანილი ხალხური თქმისა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, მაგრამ ესეც საკმარისად დამაჯერებლად გვაჩვენებს ჩვენ მიერ გამოთქმული აზრის სიმართლეს.

ვაჟა-ფშაველასათვის აგრეთვე დამახასიათებელია ხალხური ლექსის, ანდაზის, გამოთქმის ხანდახან შეუცვლელადაც შეტანა თავის შემოქმედებაში, რასაც, ის უდავოდ, თავის ადგილზე ნიჭიერადაც აქსოვს.

ნიმუშისათვის:

პოემაში „სულა და კურდღელა" მოცემულია ორი ლომგული ძმა — სულა და კურდღელა, რომელთაც „სოფლისათვის შრომა, სოფლისათვის ბრძოლა" „სიყრმიდანვე თანდაყოლილი" ჰქონდათ და რომელნიც „ხალხის შველისთვის გულდამშეულნი საჭირო ადგილს მიიჭრებოდნენ" ხოლმე. ძმები მხოლოდ მაშინ ჩააგებდნენ ხმალს ქარქაშში, მხოლოდ მაშინ ტოვებდნენ ბრძოლის ველს და სისხლში მოსვრილნი, დაქანცულნი ბრუნდებოდნენ სახლში, როცა მტრები დამარცხებულნი გარბოდნენ. ომიდან დაბრუნებულ ძმებს, ფიზიკურადა და მორალურად დაქანცულთ, საუბარიც კი აღარ შეეძლოთ. აი ამ დროს მათი დედა ამ გმირების გასართობად „მაღალის ხმით ვაჟკაცურად დამღერის" და შვილებიც სიამოვნებით ყურს უგდებენ:

ომ-უჩვეველსა ვაჟკაცსა
ომი ქორწილი ეგონა;
ხმლის ქნევა, ფარის ფარება
ფარიკაობა ეგონა;
ჯარად მოდენა ისრისა
ცთო ხორხოშელა ეგონა;

გულზედ დაჩნევა წყლულისა
კოცნა დედისა ეგონა;
დადება საკაცეზედა
თავის ლურჯი ეგონა;
მიტანა სამარის კარსა
თავის სახლკარი ეგონა;

ჩადება სამარეშია
თავის ლოგინი ეგონა;
ზედ შავის ლოდის დადება
თავის ნაბადი ეგონა;
ქალისა, რძლისა ტირილი
იმათ სიმღერა ეგონა.[78]

ეს სიმღერა ხალხურია, ქართველი ხალხის ცხოვრებაში, მის ჭირსა და ვარამში მისი გაუტეხელი ხასიათით გამოჭედილი და შემდეგ თაობათა აღსაზრდელად, გასამტკიცებლად, როგორც ანდერძი, გადმოცემული. ვაჟა-ფშაველას ამ სიმღერის ასეთი ხასიათი და მიზანდასახულობა კარგად აქვს გაგებული და ამიტომაც მას ნიშანდობლივ შესაფერ ადგილას ბუნებრივად ურთავს თავის პოემაში, რითაც მგოსანი პოემის იდეასაც ამკვეთრებს და მის გავლენასა და შთაბეჭდილებასაც მკითხველზე, უდავოდ, აძლიერებს.

ასევეა მოხდენილად ჩაქსოვილი ვაჟა-ფშაველას მიერ პროზაულ ნაწარმოებებში ცხოვრების სინამდვილეზე დაკვირვებით ხალხის გენიის შემოქმედება. ნიმუშისათვის მოვიყვანთ მოთხრობას „ჩვენი სოფელი“.

სოფელმა (მშრომელმა ხალხმა — გლეხკაცობამ) შემოდგომაზე თავის მარჯვენით მოყვანილი ჭირნახული აიღო. წლიური ნაოფლარი მოსავლით დაკმაყოფილებული გლეხი მხიარულებას ეძლევა. მას ამ პირობებშიც არ ავიწყდება, რომ კაცი „ეჩო არ არის, რომ სულ თავისკენ მიითლიდეს“, ის თავისსა და სხვათა მუდმივ საყურადღებოდ ასე დამღერის:

წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება;
კარგი ვსოთ და კარგი ვქამოთ,
ამის მეტი რა შეგვრჩება!
ჰარუნანო, თარუნანო, ჰა ბიჭო, ჰეო!
მე სოფლის თავსა ვესახლე,
არა სოფელი ჩემს თავსა, —
რაც მე სოფლისთვის მინდოდა,
წინ-წინ მოვიდა ჩემს თავსა! აა-ო.[79]

ვაჟა-ფშაველა დაკვირვებული, ღრმად მოაზროვნე და ცხოვრების მოვლენათა თავისებური შემფასებელია. მკითხველთათვის ცხოვრების მოვლენათა დამაჯერებლად ჩვენებისა და, თავისი შეხედულების მიხედვით, ღირსეული შეფასების მიზნით, ის მოხდენილად და გონივრულად იყენებს ხალხურ ანდაზებს, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ხალხის დაკვირვების შედეგს.

---

[78] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, სულა და კურდღელა, თხზ., ტ. III, გვ. 61—62.

[79] მ ი ს ი ვ ე, ჩვენი სოფელი, თხზ., ტ. V, გვ. 80.

სამაგიეროდ ესევე ხალხური ლექსი ვაჟა-ფშაველას გამოყენებული აქვს ერთ-ერთს თავის „ს ი მ ღ ე რ ა შ ი“ („სოფლისა წესი ასეა“. .), მაგრამ აქ საგრძნობლად გადაუკეთებია, როგორც ეს მას ხშირად სჩვევია.

სოფლისა წესი ასეა:
ჩვენ წავალთ, სხვანი რჩებიან;

ავიღოთ მოთხრობა „პაპას მსოფლიო ფიქრები“, რომელშიც ვაჟა-ფშაველა პაპას ფიქრების სახით თავის პირად შეხედულებას გამოჰხატავს ცხოვრების სხვადასხვა მოვლენების შესახებ.

პაპა გადაჰხედავს თავის ცხოვრებას და კმაყოფილია, ვინაიდან, ვინც მას ჰყავს ოჯახის წევრები, ყველა კარგადაა; დოვლათიც საკმარისი აქვს და ეს იმიტომ, რომ ყველა მისიანი მშრომელია, გონიერია. სამი ვაჟიშვილი ჰყავს, სამივე დაქორწინებული და ოჯახური ცხოვრებით მადლიერი. და ეს იმიტომ, რომ ისინი ცოლის შერთვისას ხელმძღვანელობდნენ პაპის გონიერი რჩევით, ე. ი. ხალხური ანდაზით: „ქალს ნუ ჰკვლეე ხატობაშია: ტანთ ნათხოვარი აცვია; ქალი თუ გინდა ლამაზი, დაჰკვლიე ქერის მკაშია“[80].

მართლაც, პაპას რჩევა შვილებს კარგად დაუჯდათ. ამ ხალხური სიბრძნით ხელმძღვანელობის სისწორეში მკითხველი რომ დაარწმუნოს, გაარკვიოს და თავისი შეხედულებაც სიზუსტით გამოამჟღავნოს, ვაჟა-ფშაველა პაპას კმაყოფილებას შემდეგით ხსნის: „რძლებიც კარგები გამოადგა, არც სილამაზე აკლიათ და სხვაფრივაც შემკობილები არიან. ცისმარე დღეს ჯარასავითა ტრიალებენ. ქმრებიც უყვართ, მაზლებიც, ერთმანერთიც, დედამთილ-მამამთილსაც დიდად პატივსა სცემენ. მუშაობა იმათი ხელობაა“[81].

პაპასვე პირით ვაჟა-ფშაველა სხვათა შორის თავის შეხედულებას ყმაწვილების აღზრდის შესახებაც გვაცნობს. პაპას აღზრდის მეთოდიც ხალხის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებაზეა დაფუძნებული. ამიტომაც ამ მეთოდის ჭეშმარიტებაში დარწმუნებული პაპა, საცა კი შემთხვევა მიეცემოდა, შინ თუ გარეთ, ყველგან ამას ქადაგებდა: „შვი-

---

მკვდრების მაგივრად მალედვე
მეორეები ჩნდებიან.
სიცოცხლეს სიცოცხლე უყვარს,
ეს მიტომ დადვა წესადა;
სიკვდილი გაუჩენია
მას თავის გასაკვებადა.
იმიტომა სძულს უძლური,
ვით ტანსაცმელი ძველია;
რომ უყვარს ნორჩი, ახალი —
მით დაიმშვენოს წელია.
დავიხოცებით, სიყვარულს
საკუთარს ნადებს გულადა,
ვკარგავთ პირადად და ვფიქრობთ
საქვეყნოდ დაკარგულადა.

მკვდარნი ვეკარგვით სიყვარულს,
ის ისევ რჩება ცხოვლადა,
დაფრინავს, როგორც ფარვანა
ს ა ა მ ო, კ ა რ გ ი ყ ო ვ ლ ა დ ა.
იმისგან ყვირის ირემი,
მისით დაფრინავს შველია;
მისგანა გალობს ბულბული,
მისგნითვე მწვანობს ველია;
იმისგან ხარობს ბუნება —
უკანასკნელი მწერია...
ზღვაში იღუპვის ჭაბუკი
თავის სატრფოსთვის ხელია.
დიდება ქვეყნის შემოქმედს,
რა კარგად დაუწერია!...

[80] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, პაპას მსოფლიო ფიქრები, თხზ., ტ. VI, 1939 წ., გვ. 71—72.

[81] ი ქ ვ ე.

ლი გაზარდე მტრულად, მოყვარედ გამოგადგებაო". და ამ სხარტ, ბრძნულ გამოთქმაში მკითხველი რომ გაარკვიოს, ცნებამ „გაზარდე მტრულად" არ დააშინოს მკითხველი, ვაჟა-ფშაველა ასეთს განმარტებას იძლევა პაპას პირით: — „შვილს ნუ მოამშევ, ნუ შეაციებ, უსამართლოდ ნუ მოექცევი; კარგი მოუწონე, ავი დაუგმე, და, თუ საჭიროა, დაკა კიდეც; კარგს, სასარგებლო ყოფაქცევას სიყრმითვე შეაჩვიეთ; უსაქმურობას ნუ დასჩვევთ; დილით ადრე ააყენეთ, უფროსის ხათრი ასწავლეთ, ყბედობას ნუ დასჩვევთ; რაც გკითხოს, თუ იცით, ასწავლეთ, ცუდს მაგალითს ნუ აჩვენებთ, იმასთან ცუდს ქართულს ნუ დაჰხარჯავთ: ბალღი რასაც ჰხედავს და რაც ესმის, იმასა სწავლობს. ბევრს ჭამას ნუ დააჩვევთ... რიგზე აჭამეთ — „მუცელს აქორებ — ქორია, აღორებ — ღორიაო"[82].

თქვენ შეგიძლიათ დაეთანხმოთ ან არ დაეთანხმოთ მწერლის შეხედულებას, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ხალხური მკვეთრი თქმები რომ ნიჭიერადაა ჩაქსოვილი მწერლის ინდივიდუალურ ნაწარმოებში, ეს კი ფაქტია.

ასეა მოხდენილად, ადგილზე ვაჟა-ფშაველას ბევრ ნაწარმოებში გამოყენებული მრავალი ხალხური ანდაზა, არაკი და სხვა ბრძნული თქმა, რაც დიდ დამაჯერებლობასა და მხატვრულ სიმკვეთრეს აძლევს მწერლის შეხედულებებს.

აღნიშნული ნიმუშები, როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეუცვლელად გამოყენება, ისე მათი მეტად თავისებური, ორიგინალური გარდაქმნის სახით ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში შექსოვა, შეიძლებოდა დიდად გაგვემრავლებინა, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია, რომ მკითხველმა არამც თუ იგრძნოს, არამედ ნათლად დაინახოს და გაიგოს კიდეც, რომ მთის მგოსნის შემოქმედებაში ხალხური პოეტური არა მარტო თქმულებები, თქმები, არამედ ხერხები, სიუჟეტი მრავალნაირადაა გამოყენებული. ამასთან ერთად, თუ მკითხველი ოდნავ სერიოზულად ჩაუკვირდება მგოსნის პოეზიას, აგრეთვე აშკარად დარწმუნდება, რომ ხალხური ზეპირსიტყვიერების ელემენტები ისეთი ორგანულობითა და ორიგინალობითაა შექსოვილი მის ინდივიდუალურ შემოქმედებასთან, რომ ძალიან ხშირად, როგორც აღნიშნულიც გვქონდა, ხალხური ელემენტების კვალიც კი დაკარგულია.

ეს აიხსნება იმით, რომ მგოსნის, როგორც ლექსებსა და პოემებში, ისე მოთხრობებში, ხალხური პოეტური ენისა და სტილის განხორციელების მთელმა სისტემამ ჰპოვა ადგილი და არა მხოლოდ მისმა ცალკეულმა ელემენტებმა. და ეს იმიტომ, რომ ვაჟა-ფშაველა ფოლკლორს — ხალხურ ზეპირშემოქმედებას კი არ ბაძავდა, არამედ თავის ნაწარმო-

---

[82] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, პაპას მსოფლიო ფიქრები, თხზ., ტ. VI, გვ. 74.

ებთ ქმნიდა ხალხური პოეტური შემოქმედების ორგანულად ათვისების საფუძველზე, თავისი ლექსებისა და პოემების მხატვრული განსახიერება ვაჟა-ფშაველამ დასძლია ძალდაუტანებელი დაძაბულობისა და წვრილმანების გულისხმიერი შემონახვის გარეშე[83], ფოლკლორიდან მან შეითვისა გაცილებით მეტი, ვიდრე პოეტური ფორმა, ან ხალხური მეტყველებისა და შემოქმედების ელემენტები.

ვაჟა-ფშაველამ მშვენივრად და თავისებურად აითვისა შემოქმედი სახალხო მათქვამის, თუ მთქმელის თვით მსოფლგაგება, მისი დამოკიდებულება თავის მასალასთან. ამიტომ, როგორც გარკვეულად დავინახეთ, ვაჟა-ფშაველას თავის შემოქმედებაში ხალხური პოეზიის უკვე გამზადებული ნაწარმოები ან გამზადებული დამთავრებული ნაწყვეტები კი არ შეაქვს, არამედ თვითონ ჰქმნის თავის ნაწარმოების როგორც მთლიან სიუჟეტს, ისე იმ ნაწილებსაც კი, რომელთა გაფორმებისათვის შეიძლებოდა გამოეყენებინა მზა ნაწარმოები ან მზა ნაწილები.

გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველა ხალხური პოეზიის იმიტაციას კი არ აკეთებს, ან უბრალო კომპილაციას, არამედ ის თვით თავისთავადი შემოქმედია, მის ნაწარმოებთა მეტყველებაც მისია, თავისებურია — ვაჟასებური, თუმცა, რა თქმა უნდა, მთის კილოსი და იქაური ფოლკლორის, უდავოდ, საერთო სტილის მატარებელია.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ამ მიმართულებით განხილვისა თუ შეფასების დროს არ უნდა დავივიწყოთ თვით მგოსნის გულწრფელი და სამართლიანი შემდეგი განცხადება: „უნდა ყველამ კარგად იცოდეს, — ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადუღა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება“[84].

თუ როგორ გარდაქმნიდა ხოლმე ვაჟა-ფშაველა თავის შემოქმედებით „მანგანაში“ ხალხური შემოქმედებიდან ამოკრეფილ მასალას და როგორ იძლეოდა მოქმედ პირთა თუ მოვლენათა დასახელებულ სახეს, სიუჟეტის გამთლიანებასა და თავისებურ პოეტურ ენას მთიულური დიალექტის თავისთავადი გამოყენებით, ამას საკმარისი სიცხადით თვით პოეტი გვეუბნება თავის პასუხში იპ. ვართაგავასადმი. ეს საკითხი

---

[83] უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველა ფოლკლორული მასალის წვრილმანების შეკრებასაც გულმოდგინეობით, დიდი სალისითა და პასუხისმგებლობით აწარმოებდა, როგორც ხალხის ცხოვრების, ბუნებისა და შემოქმედებითი ძალების გაგების, შეცნობის ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს, როგორც ეს დამახასიათებელი იყო მისი ეპოქის მოწინავე მოაზროვნეთათვის, როგორც საქართველოში, ისე რუსეთშიც.

[84] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი, თხზ., ტ. III, გვ. 459.

ჩვენც ზევით, როდესაც ამ მიმართულებით ვიხილავდით ვაჟა-ფშაველას პოემებს, ხოლო კერძოდ პოემას „ბახტრიონი“, შეეეცადეთ შეძლებისდაგვარად გაგვერკვია და, ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც ნათელი და დასაჯერებელიც შეიქმნა.

დასმული საკითხის და ჩვენ მიერ გამოთქმული აზრის მეტად ნათელსაყოფად, გარდა ზემოთ აღნიშნული საბუთიანობისა, ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად გამოგვადგება ვაჟა-ფშაველას ლექსი „კაი ყმა“.

ვაჟა-ფშაველას ეს ლექსი რომ ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში „კაი ყმაზე“ შექმნილ ლექსებს და მათ ვარიანტებს შევადაროთ, გარეგნული შთაბეჭდილებაც კი ცხადყოფს მათ შორის დიდს არსებითსა და თავისებურ განსხვავებას.

მოვიყვანოთ ხალხური ვარიანტები „კაი ყმისა“[85].

კაი ყმა, მგელი, არწივი. — არც ერთ არ გაიწურთნება.
მგელი არ მაშლის მგლობასა, კაი ყმა მამაცობასა.
არწივი არწივობასა, მთის ყურეს ნადირობასა.
მგელი გაიკლის მთაზედა, ნამ დაბერტყილი დარჩება.
არწივი დაიხულება, მთით ბარად ჩამოვარდება,
დაიჭერს შუნის თიკანსა, ჯორცი ძვალადაე დაშჩება.

კიდევ: მაში კარგია კაი ყმა, დილა რომ ბინდი დგებოდეს,
იცვემდეს ჯაჭვის პერანგსა, „ომს ვიქამ“, ემზადებოდეს,
ცხენი რომ ხრავდეს ლაგამსა, წალმა-უკულმა ხტებოდეს.

კიდევ: კას ყმას ნუ შურობთ, სოფლელნო, — კაი ყმა სოფლის ფასია,
კაის ყმის ცხენი, აბჯარი თავ-და-თავ ცუდის ფასია.

კიდევ: კარგს ყმას არ იპატიჯებენ, — ჯარს არ აყენებს წარზედა.
იმას კი აღარ ფიქრობენ. მტერს დაგვიყენებს კარზედა.

კიდევ: კაის ვაჟისა ცოლობა, ნუ გიხარიან, ქალაო;
კაი ყმა მალედ მაკვდება, დამრჩები ცარიელაო.

ან კიდევ ხევსურული სხვა ლექსები — ვაჟკაცობაზე შექმნილი:

ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი უნდა ხისაო.
თვალნი ქორებულ მხედავნი, გულ-მკერდი შავარდნისაო.

კიდევ: ვაჟკაცს რას გამოადგების სოფელთ შვენება ტანისა,
ბანებზე მოდგომ-მოდგომა, გამჩვენეობა ქალისა?
ჭმალს უნდა აჭრევინებდეს, იმედი ხქონდეს მკლავისა.

კიდევ: ოშკაცნო, მშვილდნო რქისანო, გოზა-წითელნო, ფალთონო,
არც მაშინ შაშინდებითა, ომში რო შახოლთ მარტონო.

კიდევ: დაიგრეზება არწივი, მთით ბარად ჩამავარდება.
მზას უნდა იყოს ოშკაცი, ჭმა რამე შამაღვარდება.

---

[85] ხალხური „კაი ყმა“ ვარიანტებით აღებული გვაქვს აკად. აკ. შანიძის „ქართული ხალხური პოეზია“-დან, ნაწ. I, ხევსურული, 1931 წ., გვ. 122—124. ვფიქრობთ, ვაჟა-ფშაველა სწორედ ამ ხევსურული ვარიანტებით სარგებლობდა თავის „კაი ყმის“ შექმნისას.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში „კაი ყმის“ შესახებ ლექსების (რომლებითაც შეეძლო ვაჟა-ფშაველას ესარგებლა) სისრულით მოყვანის მიზნით, მოვიყვანთ აგრეთვე ხალხურ-ხევსურულ ლექსებს, სადაც ხალხი, „კაი ყმის“ დადებითი თვისებების გამახვილების მიზნით, მათ უპირისპირებს ცუდს:

ატირდა კაი ყმის ცოლი: „აღარ მამივა შინაო“.
იცინის ცუდაის ცოლი: „გამოიქცევა წინაო“.
გამაქცეულის მასვლასა არ-მასვლაი სჯობს შინაო.

კიდეე: კას ყმას აქმიე, დედაო, დილა ადრიან სადილი:
ან ჯმა რა შამაღვარდების, ან მთას გაუვას ნაღირი.
ცუდას რად უნდა, დედაო, მზის დაცხომამდე საღილი?
არც რა ჯმა შამაღვარდების, არც მთას გაუოს ნაღირი[86].

ხალხური შემოქმედების ამ და ამგვარი მცირეოდენი განსხვავებული მასალის საფუძველზე ვაჟა-ფშაველამ შექმნა თავისი ხელი-ხელ საგოგმანები ლექსი „კაი ყმა“ („ხევსურულ ჰანგზე“), რომლის შესახებ ზევითაც გვქონდა საუბარი.

ვაჟა-ფშაველას „კაი ყმის“ ხალხური ამგვარი ლექსებისაგან განსხვავების, თვალსაჩინოებისა, სიმკვეთრისა და მთლიანი შთაბეჭდილების მიღების მიზნით მოვიყვანთ ამ ლექსს მთლიანად:

კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვაჟებო,
ნათქვამი არა გვცხვენოდეს,
ბსმენლის გულს აბორგოვებდეს,
არავის არა სწყენოდეს?
ვინა, ვინ არი კაი ყმა,
ვის ტანზე ხმალი შვენოდეს?
მიდით, იქ მიდით, სადაცა
ხალხი ხალხზედა ჰღელავდეს:
მტერი ჩვენ გვცემდეს, ჩვენ— მტერსა,
ხმლები, ხანჯრები ელავდეს.
სისხლის ტბა მუხლებს სწვდებოდეს,
ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს;
ფარების დადგეს ჯღრდეები,
თვალები• თვალებს სწველავდეს;
მოციქულობდენ ტყვიანი,
შუბები შუბებს სწვერავდეს;
ჭიფრად მუზარადებსა
სისხლის წვიმაი ჰფერავდეს;
დაგელაობდეს სიკვდილი,
სუდარაებსა ჰკერავდეს.
ვინც მიეგებოს მტერს წინა,
წინ-წინ ვინც რისხვას ეტყოდეს,
სახე-სისხლ-გადამდინარი
ტკივილს არ გამოიტყოდეს,
თავზარსა სცემდეს სიკვდილსა,
ზედ ქორებულად ფრინავდეს;
სიცხეში სიოდ დაჰბეროს,
დაათბოს, როცა ჰყინავდეს.
პირველად ომის დამწყები,
ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს;
სხვანი იყოფდენ ნადაელსა,
ის ისევ მტრის წინ გრჯვინავდეს;
მიძღვნილსა საუფროსოსა
ამხანაგებსვე სწირავდეს.
დარაჯად ედგას ლაშქარსა,
როს ის ღრმა ძილით ხვრინავდეს,
სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს,
ცდუნება არა სძირავდეს.
მტრის ჯავრის ედგას ლოგინი,
მტრის ჯავრი საბნად ჰფარავდეს.
იქ იდგეს ხმალ-ამოწვდილი,
საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს.

[86] აკ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, ნაწ. I, ხევსურული, 1931 წ., გვ. 123—124.

გაბეჩავებულს სიმართლეს
უსამართლობა სძალავდეს.
სხვისა იუბნოს სახელი,
თავის გარჯასა ჰმალავდეს.
მზედ იდგეს ხევსურეთისა,
უხვად შუქს ჩამოჰლალავდეს.
სჯობს, მოკვდეს მშიერ-ტიტველი,
კვდებოდეს, არა გმინავდეს;
თავის სამარხად, სუდრადა
მარტო სახელსა სწირავდეს.
ვადღეგრძელებდეთ ცოცხალსა.
მკვდრისა ვსვათ შესანდობარი.
წყლული სცნას დედის კოცნადა,
თავის ლოგინად — სამარი,
საკაცე — თავის ლურჯადა,
ქვა-ლოდი — ნაბდად საფარი,
ქალისა, რძლისა ქვითინი
ეგონოს სიცილ-ხარხარი,
დენა ცრემლისა — ხორხოშა,
ღრუბელთა გადმონაყარი.
სულეთს შავიდეს ხმლიანი
ლაღი, ლაღისა ცხენითა,
წინ მიუძღოდეს არწივი
ხმით მოყაშყაშე, ფრენითა.
ქება უყივლონ გმირებმა,
გადასრულებმა ჩვენითა.
ერეკლემ ხელი მაჰხვიოს,
დაისვას თავის გვერდითა,
გამაეგებოს თამარი
მცინარი, თავის ფეხითა.
გახარებული უფალი
კარგს ყმას ჯვარს სწერდეს ზენითა,
ანგელოზები ხარობდენ,
ალ-ჭაჯნი იყვნენ წყენითა.
აი ვინაა კაი ყმა,
მოსაგონარი ქებითა!
არა თქვენ, სადიაცენო,
რომ ძროხებივით სძღებითა,
ღამე მაძღრები დასწვებით,
დილით მშივრები სდგებითა,
თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ
არც როს არ გამასდგებითა.
თავისად სცოცხლობთ, მცონარედ,
ლეში ალაღოთ, ჰკვებდითა,
გაიგებთ კარგის გარჯასა
გწყინსთ და შურითა ხდებითა;
უქმად ჩამაჰლევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა.
დაჰკარგავთ საქაოსა,
ვერც საიქიოს სწვდებითა,
არ იცით, დასჩნდით რისადა
ან რისათვისა ჰკვდებითა!...[87]

ამონაწერი მეტად დიდი მოგვივიდა, მაგრამ, ვფიქრობთ, საჭირო იყო მთლიანად ლექსის მოყვანა, რათა მისი მთლიანობით მიღებული მხატვრული შთაბეჭდილებით მკითხველის მიერ მკაფიოდ იქნას განცდილი და გაგებული, როგორი განსხვავებული სრული სახე, შინაარსი მიიღო ხალხში დაბუდებულმა წარმოდგენამ და მის ზეპირსიტყვიერებაში განსახიერებულმა „კაი ყმამ“ ვაჟა-ფშაველას შეგნებასა და პოეტურ გაფორმებაში.

ვაჟა-ფშაველას ლექსის „კაი ყმის“ წაკითხვისთანავე მკითხველი აშკარად ხედავს, რომ ეს ლექსი პოეტს ხალხურ შემოქმედებაში ცნობილ თემაზე აუგია. მასში არა მარტო ხალხური შემოქმედების პოეტური რეალიებია დაცული, არამედ აგრეთვე ხალხის მიერ ვაჟკაცურ, მოქმედ ცხოვრებაში გამომუშავებული გაგება „კაი ყმის“ მაღალი ეთიკისა, მისი სიცოცხლის მიმზიდველობისა, ღირებულებისა; აგრეთვე აშკარად იგრძნობა, რომ პოეტის მიერ მთიულური დიალექტიც ფართოდაა მასში გამოყენებული. მაგრამ ამასთან ერთად ამ ლექსის ზერე-

[87] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, კაი ყმა, თხზ., ტ. II, გვ. 133.

ლე შედარებაც კი იმავე თემაზე ხალხურ პოეზიაში შექმნილ ნიმუშებთან აშკარად ხდის, რომ ვაჟა-ფშაველას „კაი ყმა“ პოეტის უაღრესად არაჩვეულებრივი ინდივიდუალობის მატარებელია. ვაჟა-ფშაველას „კაი ყმის“ ფორმაცა, შინაარსიცა და ენაც ავტორის ორიგინალური ნიჭის თავისთავადობისა და ქმედების თავისებურების მკვეთრი გამოვლინებაა.

ვაჟა-ფშაველას ლექსში კაი ყმის დიდი ფიზიკური და მორალური ძალა არაჩვეულებრივ რთულ პოეტურ სახეშია დახვეწილი და მაღალ-მორალურ-საზოგადოებრივ სიმაღლეზეა აყვანილი. ვაჟა-ფშაველას კაი ყმა არა მარტო გაბედულია, მტკიცე და გაუტეხელი, ბრძოლაში რომ იღებს თავის მოქალაქეობრივ ნათლობას, არამედ ის, ამასთან ერთად, დიდი მორალური და საზოგადოებრივი ძალაცაა; ის უანგაროა, ქვეყნისა და მოძმეთათვის თავდადებული, მოძმეთა მდგომარეობის შემმსუბუქებელი თავის პირად ანგარიშზე, ის თავმდაბალია, თავდაჭერილი, მორიდებული, გონიერი, წინდახედული. ის თავის სიცოცხლეს ქვეყნის საკეთილდღეოდ „ისე სწვავს, როგორც ჩალასა“. მას თავისი მოქმედებით არა მარტო ცოცხლები მოჰყავს აღტაცებაში, არამედ გარდასულნიც უზომოდ ხარობენ მისი სიკეთით. ხალხურ ზეპირშემოქმედებაში ასეთი სისრულითა და მთლიანი სახით კაი ყმის განსახიერებას არ ვხვდებით. კაი ყმის ასეთს განსახიერებაში ვაჟა-ფშაველა, უდავოდ, ორიგინალურია, თავისთავადია; ის დამოუკიდებელი შემოქმედია.

ასევე თავისთავადი და დამოუკიდებელია ვაჟა-ფშაველას „კაი ყმის“ პოეტური ენაც. მართალია, მკითხველი აქაც ადვილადა და ნათლად გრძნობს, რომ „კაი ყმის“ ენასაც ძირი და, შეიძლება ითქვას, მტკიცე ძირიც ხალხის (მთიელთა) ენაში აქვს, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი იმასაც კარგად გრძნობს, რომ ამ ლექსის ენა, როგორც საერთოდ ვაჟა-ფშაველას პოეტური ენა, რადიკალურად განსხვავდება ხალხური (მთიულური) ენისაგან თავისი მდიდარი პალიტრით, მდიდარი ფერებით, მკითხველს არაჩვეულებრივად ხიბლავს ამ ლექსში (როგორც საერთოდ მის პოეზიაში) ვაჟა-ფშაველას მიერ გამოყენებული უხმარი მეტაფორები, ეპითეტები, შედარებები, ჰიპერბოლები და სხვ. ნიმუშისათვის მოვიყვანთ „კაი ყმის“ ერთს პატარა ნაწყვეტს:

ვინა, ვინ არი კაი ყმა,
ვის ტანზე ხმალი შეენოდეს?
მიდით, იქ მიდით, სადაცა
ხალხი ხალხზედა ჰღელავდეს:
მტერი ჩვენ გვცემდეს, ჩვენ — მტერსა,
ხმლები, ხანჯლები ელავდეს.
სისხლის ტბა მუხლებს სწვდებოდეს,
ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს;
ფარების დადგეს ჯღრდეები,
თვალები თვალებს სწველავდეს;
მოციქულობდენ ტყვიანი,
შუბები შუბებს სწვერავდეს;
ჭიაფრად მეზარადებსა,
სისხლის წვიმაი ჰფერავდეს;
დაგელაობდეს სიკვდილი,
სუდარაებსა ჰკერავდეს.
ვინც მიეგებოს მტერს წინა,
წინ-წინ ვინც რისხვას ეტყოდეს და ა. შ.

ეს ვაჟა-ფშაველას პოეტური გენიის უდავო კუთვნილებაა. ვაჟა-ფშაველას პოეტური ენა და მისი შემოქმედების ბუნება თხოულობს სპეციალურ შესწავლას. ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედების ლაბორატორია, ან როგორც თვითონ მგონსანი იტყოდა, — „პოეტის საკუთარი სულიერი ქურა“, მეტად მდიდარია; ის მდიდარია არა მარტო მასში შექმნილი სახეებით, პოეტური ენითა და ხერხებითა, არამედ ის მდიდარია აგრეთვე ჯადოსნური ქმნის თუ შემოქმედების პროცესითაც, ან თვით ვაჟა-ფშაველას თქმით, — „გარდაქმნისა, გადადნობისა, გადადუღებისა, ახალის შექმნის“ პროცესით.

ვაჟა-ფშაველას პოეტური მემკვიდრეობა ამ მიმართულებით თავის სპეციალურ მკვლევარს დაჟინებით ელის და ეს მკვლევარი უხვსა და საგულისხმიერო მასალას პოვებს მასში. ჩვენ კი წინამდებარე შრომის შემდეგ თავში დავკმაყოფილდებით ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედების ზოგიერთი საკითხის გარკვევით.

თავი IX

ვაჟა-ფშაველას პოეტიკის ზოგიერთი საკითხი

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა ანალიზის დროს გზა და გზა გამოვავლინეთ მისი შემოქმედების სტილის დამახასიათებელი ნიშნები. საჭიროდ მიგვაჩნია დამატებით შევჩერდეთ მგოსნის შემოქმედების სტილის კიდევ ზოგიერთ დამახასიათებელ ნიშანზე, რომელთა შესახებ ზევით შემთხვევა არ მოგვეცა შევჩერებულიყავიო

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება მთლიანად ლირიკულ-ეპიკური ხასიათისაა. ყოველი მისი ნაწარმოები, გარდა იმისა, რომ მკითხველზე დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენს, ამასთანავე მას დიდი ხალისით აცნობს, მოწმედ და მონაწილედ ხდის იმ პოეტური სამყაროსი, რომელიც პოეტის შემოქმედებაში დიდი ორიგინალობითაა გაშლილი და რომელშიც თვით ავტორი დიდი უშუალობითაა გამოვლინებული.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ეპოსისა და ლირიკის შერწყმა ხდება ორგვარად: ა) ეპიკურს სურათს ნაწარმოების განვითარებაში სცვლის ლირიკული განცდის მკვეთრი გამოვლინება; ბ) ეპიკური მოვლენის განსახიერება ღრმა ლირიზმითაა ნაჯერი. ორივე ეს საშუალება მთის მგოსნის შემოქმედებაში მკაფიოდა და სისრულითაა გამოყენებული.

ამრიგად, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, როგორც ლირიკულ-ეპიკურში, გაერთიანებულია ლირიკისა და ეპოსის დამახასიათებელი სტილიური ნიშნები. ცნობილია, ეპოსისათვის დამახასიათებელია მოვლენისა და მოქმედ პირთა დახატვა მათ გარემოში. ამიტომ, ეპიკურ ნაწარმოებში მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შინაარსსა და გადმოცემის თვალსაჩინოებას: მწერალი ცდილობს ესა თუ ის პერსონაჟი გადმოგვცეს ენის, მისი მეტყველების საშუალებით და აგრეთვე გვაჩვენოს გარემო, რომელშიც პერსონაჟი მოქმედებს და ურთიერთობას ამყარებს ნაწარმოების სხვა პერსონაჟებთან. პერსონაჟთა ეს ურთიერთობა გამოვლინებულია მათ ქცევა-მოქმედებაში, მათ ურ-

თიერთობაში, რომელსაც ისინი აწარმოებენ. ამისათვის, მწერლის მოვალეობას შეადგენს ცხოვრების მოვლენებში, რომელთაც ის ჰკრეფს გარემო სინამდვილიდან, გამონახოს უფრო დამახასიათებელი, განაზოგადოს ისინი, გამოჰყოს უფრო ტიპიური. მწერალმა ეს რამდენიმე კონკრეტულ მაგალითზე უნდა აჩვენოს — მან უნდა აჩვენოს ტიპიური გარემო, რომელშიც ეს ტიპიური სახე (პერსონაჟი თუ მოვლენა) ჩნდება და ვითარდება.

ცნობილია, მწერალი, განსაკუთრებით რეალისტი მწერალი, გვიხატავს არა მხოლოდ იმას, რაც იყო და არის, არამედ უფრო იმას, რაც შესაძლებელია ყოფილიყო, ან რაც შესაძლებელია და უნდა კიდეც შეიქმნეს სინამდვილეში, როგორც ტიპიური.

ასეთი ამოცანა მწერლისაგან თხოულობს არა მარტო ნანახის, გაგონილის გადმოცემას, არამედ მის ღრმა განცდას, გადამუშავებას. მწერალი თავის პერსონაჟებს აყენებს გამოგონილ პირობებში და ამგვარ მიზანს ის აღწევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოგონილი პირობები ან ამბები ხელს უწყობს გააძლიერონ, გაათვალსაჩინონ, მართლაც სინამდვილეში არსებული მოვლენა. ასეთს პირობებში წარმოსახვა, რა თქმა უნდა, თხოულობს დიდ ოსტატობას, დიდ პოეტურ ალღოსა და ზომიერებას. ამასთან ერთად მწერალი ვალდებულია ყველაფერი გადმოგვცეს ცხოვლად, მთელი თავისი სიცხადითა და სიცოცხლით. ამას კი მწერალი აღწევს ლირიკული სტილის დახმარებით.

ლირიკული გრძნობებით მწერალი აცხოველებს, ათბობს მთლიანად ნაწარმოებს, ქმნის განწყობილებას. ეს განწყობილება, ჩვეულებრივ, გამოვლინებულია როგორც გადმოცემის ტონში, ისე სტილის წვრილმანებშიც, რომლებშიც იხატება ავტორის მიერ მოვლენისა თუ პერსონაჟის განდიდებისა თუ დაკნინების სურვილი. ამიტომ, ნაწარმოებში შეიძლება იყოს და ჩვეულებრივ არის კიდეც მწერლის გულწრფელი, თბილი, თანაგრძნობითი, ან, პირიქით, დამცინავი, გამკიცხავი, ამაღელვებელი დამოკიდებულება. მწერლის ასეთი დამოკიდებულების გამოხატვა შესაძლებელია ერთსა და იმავე ნაწარმოებში სხვადასხვანაირი იყოს იმისდა მიხედვით, თუ როგორ საგანს ან მოვლენას გვიჩვენებს მწერალი.

ამ მიმართულებითაც, როგორც ზევითაც დავინახეთ, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, მართლაც, მდიდარია; უხვი და დიდი ხელოვანის ოსტატობითაა ის შესრულებული. აღფრთოვანება, თანაგრძნობა, აღელვება, გაკიცხვა, სიყვარული, პატივისცემა, სიძულვილი და სხვა ნიუანსის მდიდარი განწყობა-დამოკიდებულება ამა თუ იმ პერსონაჟისა თუ მოვლენის მიმართ სისრულითა და მკვეთრადაა აღბეჭდილი და ნიჭიერადაა შექსოვილი ნაწარმოების მთლიან სიუჟეტში. ნიმუშისა-

თვის მოვიგონოთ გაკვრით პოემა „მოხუცის ნათქვამი“. მოხუცის ნაღველი, აჭრელებული დროთი, მისი სიბერითაა გამოწვეული. ის აღფრთოვანდება, თანაგრძნობით აღელდება ძველი, გმირული დროის მოგონებით — ძველ გმირთა ვაჟკაცური, საქვეყნო საქმიანობით, ერეკლე მეფის ხალხისადმი, დაბალი ფენებისადმი, მეგობრული, თანასწორი დამოკიდებულებით, ჯარის მამაცი, ხალისიანი შეკრებითა და ომში, როგორც ქორწილში გამგზავრებით, ბრძოლის ჟინით, ყიჟინით, პათოსით, მთიელ ქალთა დიდი პატრიოტული, ქვეყნის თავისუფლებისათვის ყველაფრის გამწირავი, გრძნობით და სხვა.

ასევეა, როგორც შესაძლებლობა გვქონდა გვეჩვენებინა, პოემებში „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“ და სხვა, აგრეთვე მის მოთხრობებშიც — „დარეჯანი“, „უძმოს ძმა“ და სხვა.

ასეთი განწყობილების მოცემას ვაჟა-ფშაველა აღწევს ლირიკული სტილის სხვადასხვა პოეტური ემოციური საშუალებებით, როგორიცაა — ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, განპიროვნება, ჰიპერბოლა, დაპირისპირება, პარალელიზმი, გამეორება და სხვა მრავალი, რაც განსაკუთრებით მომარჯვებული აქვს მას და რაც საგანს თუ მოვლენას აძლევს ემოციურ სიმკვეთრესა და თვალსაჩინოებას.

ვაჟა-ფშაველა, მართალია, ძირითადში ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გამომუშავებულ პოეტურ საშუალებებს იყენებს, მაგრამ მთის მგოსანი ხალხური შემოქმედების სადა ხერხებს პირდაპირ, უცვლელად კი არ იმეორებს, არამედ ის მათ ართულებს, ამდიდრებს, ხვეწავს, ამკვეთრებს, უდავოდ აყავს მაღალი პოეტური შემოქმედების საფუძველზე, რაც პოეტის შემოქმედებას აძლევს მეტ ძალას, სიახლეს, ორიგინალობასა და მნიშვნელობას.

ვაჟა-ფშაველას პოეტიკა, ძირითადში, ხალხური შემოქმედების პოეტიკის შემდგომი განვითარებაა პოეტის თანადროულობის პირობებში. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, ზეპირსიტყვიერებასთან შედარებით, ხასიათდება მეტი ემოციონალობით, დახვეწილობით, გაღრმავებაგაფართოებით, გაშინაარსებით, გამკვეთრებით.

ამჟამად, წინამდებარე შრომაში, ჩვენს მიზანს არ შეადგენს ვაჟა-ფშაველას პოეტიკის მთელი სისტემა წარმოვადგინოთ. ჩვენ მიზნად ვისახავთ მგოსნის პოეტიკიდან მხოლოდ ზოგიერთი, მისთვის უფრო დამახასიათებელი საშუალებების ჩვენებითა და განმარტებით დავკმაყოფილდეთ.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გაცნობა მკითხველს აძლევს პოეტის მდიდარი, შეიძლება ითქვას, ამოუწურავი სურათოვანი და ემოციური მეტყველების ახალს, მაღალს დამატყვევებელ ესთეტიკურ განცდას. ამ რთულ და ძნელ ამოცანას მგოსანი აღწევს სხვადასხვა სახის

პოეტური საშუალებების გამოყენებით, ხშირად რამდენიმე პოეტური ხერხის ბუნებრივ შერწყმა-გაერთიანებითაც.

* * *

ვაჟა-ფშაველას პოეტური მეტყველების ერთ-ერთი ასეთი მოქმედი საშუალებაა ეპითეტი. ჩვეულებრივ საგანი თუ მოვლენა სინამდვილეში მრავალმხრივია. მწერალიც და მკითხველიც საგანს თუ მოვლენას ითვისებს გარკვეულ კონკრეტულ გარემოცვაში, სხვა საგნებთან თუ მოვლენებთან ურთიერთობაში. ამიტომ საგნისა თუ მოვლენის უკეთესი, მკვეთრი დანახვისა თუ გაგებისათვის მწერალი ხშირად მიმართავს ეპითეტს, ე. ი. ისეთი სიტყვის თუ თქმის ხმარებას, რომლის საშუალებითაც იგი მოხდენილად ახერხებს მკითხველის ყურადღების გამახვილებას საგნისა თუ მოვლენის სწორედ იმ მხარის მიმართ, რომლის წინ წამოწევას, როგორც არსებითისას, აღებულ მდგომარეობაში მწერალი ცდილობს, რათა მკითხველსაც აღებული საგანი თუ მოვლენა სწორედ იმ მხრით, ისე დაანახვოს და აათვისებინოს, როგორც მას იმ მომენტში თვით მწერალი განიცდის.

ეპითეტების ხმარება ამგვარი მიზნით ძველიდგანვე გავრცელებული საშუალება იყო ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. მაგალ., ვაჟკაცი —მამაცი, მუხლმგელი, გულით რკინისა, გულმაგარი; გველისპირული ფრანგული, გაბოროტებული გული, კეთილი თვალი, ოფოფი სავარცხლიანი, ლურჯა ცხენი და სხვა მრავალი.

ხალხური პოეტური შემოქმედებიდან ეპითეტები გადმოდის მწერლობაში, მაგრამ მათ დროთა განმავლობაში დაკარგეს სურათოვნობაცა და ემოციონალობაც; ისინი თანდათან ყამთა ვითარებაში გაბუნდოვანდნენ; ხშირად მათ ჩვეულებრივი განმარტების ხასიათი მიიღეს. ამიტომ საჭირო ხდება ფერდაკარგული სიტყვისა თუ ცნების გაახლება, გაცხოველება, გადახალისება ახალი სიტყვებით, ახალი ფერადებით. აი ამ დანიშნულებას მწერლობაში ასრულებს სხვათა შორის, ეპითეტებიც.

ამასთან ერთად, მწერლის უნარისა და ნიჭის მიხედვით, ეპითეტმა შეიძლება მიიღოს დახასიათების მნიშვნელობა, საგნის შინაგანი არსის გარკვევა. „Автор, — წერს ა. შალიგინი, — может вложить в него (в эпитет. — მ. ზ.) много ума, наблюдательности, остроумия и чувства".[1] სწორედ ასეთი შინაარსის ეპითეტებითაა მდიდარი ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედება.

ნიმუშისათვის მოვიყვანთ:

1. მინდა შავეთში ბომღერალს
სტუმრად მწვევიყვნენ მთანია,
თან კლდენი შავ,ვერმანანი,
მთების მამშვენნი ძვანია;

[1] А. Шалыгин, Теория словесности, стр. 38.

ანიც მინდან მტირალნი
ძველკაბიანნი დანია.
მორცხვთა, უმზაკვროთ, უგესლოთ
მხრებს უმშვენებენ თმანია,
გულს ნალახვრს, ჩამოდაგულსა
დაჰყრიათ ცრემლთა ცვარნია.
(„წადილი").

2. არ დაივიწყა სამშობლომ
შენი მის ბედზე ტირილი,
მედგარი სულის კვეთება,
შავბედობაზე ჩივილი,
დაუშრეტელი ნაღველი,
წყრომა და გულის ტკივილი,
მადლი შენს თანამოძმეთა,—
მიწა გახილეს მშობელი.
შენი სატრფო და სადარო,
გულს ლახვარ-დამასობელი.
(„ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს")

3. ვინ ანდო ცხენსა აბჯარი,
ფრანგული მელანქრიანი?!
ან ეგ სამეფო გვირგვინი,
ზერმუხტ-ალმასის თვლიანი?
წყლის პირს მხედარიც გამოჩნდა,
მოხუცი ცხვრის ტყავიანი.
(„დანაბარები")

4. რა მოსდრეკს წარბ-დაღრუბლულსა,
ქედ-ჩაკანგებულ მთასაო,
(„სტუმარ-მასპინძელი")

5. ჭულიც შენია, ღუმიცა,
ულვაშიც შეღერებული.
ვერ გავცვლი მაინც სხვაზედა
ბედისგან გახელებული.
შენს ყოფნას ვანდობ თვალებსა,
ვდარაჯობ გამგელებული!
(„ქებათა-ქება")

და სხვა ამგვარი აურაცხელი ემოციური, სურათოვანი ღრმა ლირიზმის გამომხატველი ეპითეტია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სხვა პოეტურ თქმებთან ნიჭიერადა და ორიგინალურად შეერთებული, რაც მკითხველს თავისი სიახლით, სილრმითა და სიფართოვით, სიმკვეთრითა და მიმზიდველობით აძლევს მაღალსა და სრულ ესთეტიკურ განცდას.[2] ნიმუშთა რიცხვი ადვილი იყო საგრძნობლად გაგვედიდებინა, მაგრამ მოყვანილიც, ვფიქრობთ, საკმარისია.

* * *

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, აგრეთვე, მდიდარია თავისებური, ორიგინალური მეტაფორებითაც. მეტაფორაც ხომ ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა, როგორც პოეტური ენის გამდიდრებისათვის, ისე, და განსაკუთრებით, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო პოეტური ხერხი მეტყველების სურათოვნებისა და ემოციურობის გამახვილებისათვის.

ცნობილია, რომ ყოველი ენის არსებული მარაგი მეტად ღარიბია მოვლენათა თუ საგანთა სხვადასხვა ნიუანსთა ზუსტ გამოსახატავად. ხშირად ჩვეულებრივი განცდების გამოთქმაშიც კაცი მტკივნეულად განიცდის „სიტყვის ტანჯვას" („муки слов"), როცა მას თავისი გრძნობის თუ აზრის სისრულის გამოსახატავად სიტყვის მარაგი შემოაკლდე-

[2] ერთგვარი გულისტკივილით გვინდა აღვნიშნოთ, რომ შრომის მოცულობის გადიდების შიშით, ვაჟა-ფშაველას ამ და სხვა ქვევით ნაჩვენები მხატვრული თვისებების დამადასტურებელი ნიმუშების რიცხვი ძალიან შევამცირეთ.

ბა ხოლმე. ამგვარი ტანჯვა მით უფრო მძიმეა და მწვავე პოეტისათვის, განსაკუთრებით პოეტური ქმედების პროცესში.

ამ ტკივილს საკმარისად ანელებს მეტაფორა, ე. ი. სიტყვის გამოყენება არა მარტო მისი პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ აგრეთვე გადატანითაც — მსგავსების საფუძველზე. მაგალითად: მახვილი, ე. ი. მჭრელი, აქედან სხვადასხვა მნიშვნელობით მისი გამოყენება: მახვილი ხმალი, მახვილი ენა, მახვილი თვალი, მახვილი ყური, მახვილი ნიჭი, მახვილი კალამი და ა. შ.

რაც არაჩვეულებრივ სწრაფი, უშუალო და მკვეთრია მსგავსების შეგრძნების შესაძლებლობა საგანთა თუ მოვლენათა შორის და რამდენადაც ეს მსგავსება ადამიანს აოცებს, იმდენად მეტაფორაც მკვეთრი, სურათოვანი და ემოციურია, იმდენად ის ძლიერი, დამაჯერებელი და გამართლებულია, იმდენად ის მძლავრი ესთეტიკური შთაბეჭდილების მომხდენია.

მეტაფორების მოთხოვნილებაც ძველთაგანვე მწვავედ იგრძნობოდა. ძველთაგანვე ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ხშირია მეტაფორის გამოყენების შემთხვევები. დროთა განმავლობაში მეტაფორებიც, ცნობილია, კარგავენ სურათოვნებას, ემოციონალობას, ისინიც ცვდებიან. ისინი მხოლოდ გონებისათვის რჩებიან პირობით ნიშნად, გრძნობაზე მოქმედების ძალას კარგავენ, წარმოსახვას აღარ ამოქმედებენ. მაგალითად: წყარო — დასალევი, ისტორიული წყარო, შემოსავლის წყარო, კვლევის შესწავლის წყარო, ან თუნდაც რკინის გული და ა. შ.

მწერლის ღირსებას წარმოადგენს არა გაცვეთილი, მობეზრებული მეტაფორების გამეორება; ან თუნდაც გაცვეთილი მეტაფორების გადახალისება ახალი სიტყვების მიმატება-გადასხმით ან გრამატიკული ფორმების შეცვლით, რათა მეტაფორა დაუახლოვდეს თავის დაკარგულ მნიშვნელობას, არამედ ამა თუ იმ ცნების გამომხატველი გაცვეთილი მეტაფორის მაგიერ ახალ მოვლენათა შორის მსგავსების საფუძველზე ახალი შესატყვისი-მეტაფორის შექმნა, რომელიც მანამდე პოეტურ ენაში არ იყო შემოსული. სწორედ ასეთი მეტაფორა აცხოველებს ემოციას, საგანს თუ მოვლენას აძლევს სახეობას, სურათოვნებას, სიახლეს, მიმზიდველობას. ამიტომაც, მეტაფორის განახლება, გადახალისება და, განსაკუთრებით კი, ახალის შექმნა, უდავოდ, პოეტური ენისა და თვით პოეტის ძალისა და სიმდიდრის მაჩვენებელია.

ასეთი მეტაფორის, ახალის გარდაქმნის გზით მიდის ვაჟა-ფშაველას პოეტური ნიჭის გაშლა. ვაჟა-ფშაველა არაჩვეულებრივი ნიჭიერებით ეუფლება მეტაფორასაც. მრავალფეროვანი, გავრცელებული და მოკლე მეტაფორა მთელ მის შემოქმედებას დიდი სიუხვითა და მიმზიდველობით ავსებს; მკითხველიც განცვიფრებაში მოდის, როცა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ამ თვალსაზრისით იხილავს, გიძნელდებათ თქვათ,

რომელი მეტაფორა რომელზე უფრო მძლავრია, რომელი რომელსა სჯობს.

ნიმუშისათვის მოვიყვანოთ რამდენიმე:

1. გალესეს ჭირის შუბები,
ზედ მე დამაგეს ტარადა.
(„ქებათა-ქება“)

2. მშორდება, თუ რამ კკეაზედა
ან გულზე ჟანგი მდებოდა...
გული აძგერდა სხვა რიგად:
ვნახე ზამთარი კვდებოდა.
(„გაზაფხული“)

3. ვეფხვსა დააცვდა კლანჭები:
ბაკურმა დაიძინაო...
(„ბაკური“)

4. შენის ცრემლებით მოვხარშე
ჩემის გრძნობების ფაფაო,
ამგვარ საჭმელის კეთებას
დიდი სდომნია ჯაფაო.
(„დავით გურამიშვილის ხსოვნას“)

5. ზღვა ბობოქრობდა, ტალღები
ვით მთები მთებზე სხდებოდა,
ფაფარსა სცემდა ცის სივრცეს,
ძირს დედამიწა სჭდებოდა.
ვინ გააჯავრა, არ ვიცი,
არ ვიცი, რაზე სწყრებოდა.
(„დამიანი“)

6. ნისლი ფიქრია მთებისა,
იმათ კაცობის გვირგვინი...
(„ბახტრიონი“)

მოყვანილი და სხვა მრავალი ამგვარი ორიგინალური, გაბედული, ახალი დამატყვევებელი მეტაფორა ალამაზებს, ამდიდრებს, აძლიერებს ვაჟა-ფშაველას ისედაც მდიდარ, მიმზიდველ შემოქმედებას და პოეტის დახვეწილ აზრსა და გრძნობას მკითხველის შეგნებაში დიდი მიმზიდველობით, თანაგრძნობითა და ენერგიულობით სჭედავს.

■ ● ●

ვაჟა-ფშაველას მიერ აგრეთვე ნიჭიერადაა გამოყენებული ხალხური პოეზიისათვის მეტად დამახასიათებელი პოეტური ხერხი — განპიროვნება ანუ პერსონიფიკაცია, რომელიც მის შემოქმედებაში მაღალ პოეტურ მწვერვალზეა აყვანილი.

განპიროვნება ანუ პერსონიფიკაცია თავისებური სახეობაა მეტაფორისა, ვინაიდან განპიროვნებაც იქმნება მოვლენათა თუ საგანთა მსგავსების საფუძველზე, ხოლო ერთი არსებითი შეზღუდვით — ცოცხალი არსების (ხშირად ადამიანის) თვისებები მიეწერება ბუნების მოვლენებს.

განპიროვნების მოთხოვნილებასა და გავრცელებას ღრმა საფუძველი აქვს ადამიანის მიდრეკილებაში ანიმიზმისადმი, ე. ი. არაორგანული და ორგანული ბუნების მოვლენების განპიროვნებისადმი. ამგვარ მოთხოვნილებას განსაკუთრებით ნოყიერი ნიადაგი აქვს ხალხთა ცხოვრების დაბალ საფეხურზე. ამიტომაც ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში დაბალ საფეხურზე მცხოვრებ ხალხის ყოფა-ცხოვრებაში ფართო ადგილი აქვს განპიროვნების განვითარებას, არსებობას.

მართლაც, ნაკლებ განვითარებული ფანტაზიაც კი ადვილად განიცდის ილუზიას ბუნების უსიცოცხლო საგნებში, მათ მექანიკურ პროცესში დაინახოს სიცოცხლე და აზრი.

პოეტური განპიროვნება იქმნება ბუნების მოვლენათა მოძრაობის, ფორმის, ხმის, ფერების და სხვათა მკვეთრი მსგავსების საფუძველზე. ბუნების მოვლენათა მოძრაობა, ხმა და ა. შ. იწვევს სიცოცხლის ილუზიას, გვევლინება როგორც თვითნებური, შეგნებული მოქმედება, რომელშიც მონაწილეობას იღებს ნებისყოფა, სურვილი, მიზანდასახულობა.

ბუნების მოვლენათა განპიროვნებული განსახიერება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, გარდა ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და მისი ყოფაცხოვრების გავლენისა, უდავოდ, მგოსნის პანთეისტური მსოფლგაგებით უნდა აიხსნას. ვაჟა-ფშაველას შეგნებაში ეს ორი გავლენა — ხალხური ანიმიზმისა და ფილოსოფიური პანთეიზმისა თავისებურად გადაიკვანძა და მის პოეტურ შემოქმედებაში ორიგინალურად განსახიერდა.

განპიროვნება, გასულიერება არაორგანული და ორგანული ბუნების არასულიერი მოვლენებისა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მრავალფეროვნადაა განსახიერებული:

1) ბუნების მოვლენებზე გადატანილია ცოცხალი არსების გარეგნული იერი, ფორმა; მათი მდგომარეობა გამოხატულია, როგორც თვითნებური მოძრაობის, დაბადების, სიკვდილის, ურთიერთობის პროცესი. ნიმუშისათვის:

1. ხევებში ჩაწვა ნისლები,
   განზედ დაყრილან მთანია,
   ერთ-ურთზე მიქადლებულნი,
   როგორც ერთგულნი ძმანია.
   („მთათ ძილი")
2. მთებს ჩაუცვიათ შავები,
   ქმუნვით დასცქერენ ხევებსა:
   ციეს ნიავს შესთავაზობენ
   უფსკრულს მოარულს დევებსა;
   ტყისთვისაც ძაძა ჩაუცვამს
   სიბნელეს დანატევებსა!
   („ღამე მთაში")
3. გორით-გორს ბუკი გასძახის,
   თრთიან ყვავილნი მთებისა,
   ქოჩორს უვარცხნის ნიავი,
   დარაჯად დაადგებისა.
   მითამ იციან ღავღუკი,
   რად არ ჰყეფს ჯოგი მგლებისა?!
   (იქვე)
4. ჯაკვად გადაბმულთ, მხარ-ბეჭ
   მიყრდნობილთ
   ერთი სიზმარი ეზმანათ მთათა;
   ერთი ნაღველი და ერთი ფიქრი
   ამ მოჩვენებამ აღუძრა მათა.
   („მთების სიზმარი")
5. ჩამოიწყვიტეს მთებმა საკინძი,
   ჩამოიგლიჯეს ჩოხების კალთა.
   რა დაესიზმრათ, ნეტავ, ისეთი,
   რომ ასე გაწყრენ, ასე აშფოთდენ?
   (იქვე)

და მრავალი სხვა ამგვარი ნიმუშითაა შეფერადებული ვაჟა-ფშაველას პოეტური მეტყველება.

2) განპიროვნებით მცენარეებსა და არაორგანული ბუნების საგნებს ვაჟა-ფშაველა მიაწერს სულიერი საგნის რთულ ცხოვრებას: სხვადასხვა გრძნობას, სიყვარულს, აზრს, მისწრაფებას, მორალს და სხვ.

პოეტი მცენარეთა და არაორგანული ბუნების საგნებს აგრეთვე აღჭურავს ადამიანის სულიერი ცხოვრებისა და მისი მეტყველების გაგების ნიჭითაც, რაც შესაძლებლად ხდის ადამიანსა და ბუნების მოვლენათა შორის დამყარდეს მრავალმხრივი ურთიერთობა.

ნიმუშისათვის:

1. ხევებზე მოჰყეფს ღვარია;
   აქით არაკვი აყვირდა,
   იქით ბანს აძლევს მტკვარია,
   არ მოეწყინა ამათა
   ჯ ა ვ რ ო ბ ა შ ე ს ა ზ ა რ ი ა.
   იმ ალაზანსაც შაესმის
   ძმათ ბრძოლა მცხეთის კარითა,
   ისიც წინ მოეგებება,
   წვერ-ბასრის შუბის ტარითა.
   ამძიმებს იმათ სიფიცხეს
   თავის ტალღების ღვარითა.
   მთას იქით მოსთქვამს რიონი
   გაშიშვლებულის ხმალითა...
   რა ძლიერ მოსწყურებია
   თქვენი დანახვა თვალითა!...
   იკურთხოს თქვენი ერთობა
   სამის სამების ძალითა!
   („გაზაფხული“)

2. იბრძვის ღრუბელი გულ-შმაგად,
   თუმც არსითა ჰჩანს წამალი;
   უფრო შავდება, რომ იმით
   მზეს გზა ურიოს სავალი.
   („შავი ღრუბელი“)

3. ის, ბნელს ხევში მოსულსა,
   დიდი ჭანდრები ჰფარავდა,
   ეწადა დიდხანს სიცოცხლე,
   წადილს აღარა ჰმალავდა:
   ინაბებოდა, ჰკრთებოდა,
   მზის სხივს ელოდა მაღლითა;
   შეჰფოფინებდა სამყაროს
   გაშტერებულის თვალითა.
   („უნუგეშო ყოფნა“)

4. ქარი ქვითინებს... ღრუბელთა
   ზარი თქვეს შესაზარები.
   გული ვერ მოუფხანიათ,
   ცრემლი სდით ალაზნიანი;
   ჩარეცხეს, ჩაალამაზეს
   მთების გულ-მკერდი კლდიანი.
   გაცოცხლდა, ცას ემუქრება
   ღრმა ღელე, წყარო-ფშიანი.
   გადაიკრიფნენ ღრუბელნი
   ქუჩი გაწირეს ცვრიანი.
   („ბახტრიონი“)

აღნიშნული და სხვა ამგვარი ნიმუში მრავლადაა მიმობნეული ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. უნდა აღინიშნოს, რომ განპიროვნებული სახეები პოეტს მრავალ შემთხვევაში გამოყენებული აქვს როგორც პოეტური ალეგორიები და სიმბოლოები თავისი დროის საზოგადოებრივი მოვლენებისა, რომელთა შესახებ პირდაპირ ლაპარაკი სახიფათო იყო პოლიტიკური მდგომარეობის გამო და პოეტიც სარგებლობდა ნიჭიერი ზემოქმედი ალეგორიებითა და სიმბოლოებით.

3) ვაჟა-ფშაველას უყვარს და ის ხშირად ნიჭიერად ახერხებს კიდეც ბუნების განსახიერებული — განპიროვნებული მოვლენით თუ საგნით მკითხველს ცოცხლად გააცდევინოს სტიქიური მსოფლიო, კოსმიური ძალა.

1. ცაზე ჰყვავიან ღრუბელნი,
ბზის სხივებს ჰსვამენ დილითა.
მთებს აუხსნიათ პირბადე
შვილებით, შვილი-შვილითა;
გულგრილად იცქირებიან
გაუმაძღარნი ძილითა;
ქათიბს უღეჭავს ნიავი
ბროლ-მინანქარის კბილითა.
ერთმანეთს გადაჰხვევიან
შალშავ, ირონჯა წბილითა.
უკვდავებასა სთესავენ
ირგვლივ ყვავილნი პირითა.
(„სისხლის ძიება“)

2. ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა;
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ანათრებს,
იქვე მთხრელია ზვავისა...
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ყვავისა!
(„ღამე მთაში“)

3. იფიერიბინდა, ცისკარი
სულს ჰლევს, თანდათან ჰქრებოდა,
ნეტავი ყველა ლამაზსა
ესრე სიკვდილი ჰხვდებოდა.
(„ბახტრიონი“)

4. დაბნელდა, წყალნი ტირიან,
კალთა გვეხურვის ღამისა;
დროა ვარსკვლავთა ქივ-ქივის,
მცვრევა ბალახზე ნამისა,
მკვდართ სულთ საფლავით გამოსვლის,
დრო მათ სიმღერის წყნარისა.
(„ალუდა ქეთელაური“)

და კიდევ სხვა მრავალი ამგვარი ნიმუშია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, რასაც პოეტის განცდა და აზრი ფილოსოფიურ სიმაღლემდე აჰყავს.

4) მაგრამ, ვაჟა-ფშაველა აღნიშნული მდიდრად დართული პოეტური განპიროვნებითაც არა კმაყოფილდება. ის მოვლენათა შორის შენიშნულ მსგავსებათა საფუძველზე მიღებულ შთაბეჭდილებას პოეტური ფანტაზიის მეოხებით ავითარებს და ბუნების მოვლენებს თუ საგნებს გაამთლიანებს ბუნების მთლიან უნივერსალურ ცხოვრებაში, ამ მოვლენებს აღჭურავს აზროვნების, განცდის, საუბარ-მეტყველების ნიჭითა თუ უნარით, როგორც ეს ადამიანისათვისაა დამახასიათებელი.

ვაჟა-ფშაველა ბუნების ამა თუ იმ მოვლენას აღნიშნული თვალთახედვით რომ განსჭვრეტს, მრავალფეროვან და მრავალშინაარსიან განცდას რომ მიაწერს, მას ამ განცდებს წარმოათქმევინებს მთელი ღრმა ფილოსოფიური ტირადის საშუალებით. ასეთს განპიროვნებას, როგორც ცნობილია, ეწოდება სრული განპიროვნება.

ვაჟა-ფშაველამ სრული განპიროვნების გამოყენების საფუძველზე ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა ახალი ჟანრი, ე. წ. განწყობილების მოთხრობა თუ ნოველა („მთის წყარო,“ „ბუნების მგოსნები“, „ხმელი წიფელი“, „ქუჩი“, „ფესვები“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ია“ და სხვ.).

შემოქმედების ასეთი ხერხი იძლევა ბუნების მთლიანი სიცოცხლის განცდის ილუზიას, რაც მკითხველში დიდ ემოციონალობას იწვევს. განწყობილების მოთხრობა თუ ნოველა მკითხველში ამახვილებს

სიყვარულის, თანაგრძნობის, სიხარულის, შებრალების გრძნობას. სრული განპიროვნების ჟანრის ნაწარმოები საერთოდ მწერალს და კერძოდ ვაჟა-ფშაველას საშუალებას აძლევს განსახიერებული საგანი თუ მოვლენა წარმოგვიდგინოს, როგორც ინდივიდუალური პიროვნება, როგორც მთის წყარო, ქუჩი, ფესვები, ია და სხვ. ამგვარი სრული განპირობებით ვაჟა-ფშაველა უფრო მკვეთრად აგრძნობინებს მკითხველს ბუნების მოვლენაში რაღაც უნივერსალურს, კოსმიურს.

ნიმუშისათვის კარგი იყო მოგვეყვანა მთლიანად ერთი მაინც რომელიმე განწყობილების მოთხრობა, მაგრამ, ვფიქრობთ, ნაწყვეტიც საკმარისად აგრძნობინებს მკითხველს ამ პოეტური საშუალებით გამოწვეულ დიდ ემოციონალობასა და განცდის დიდ სილრმე-სიგანეს.

მოვიყვანთ ნაწყვეტს მოთხრობიდან „მთის წყარო“:

„არაფერი ცოდვა არ მიქნია ჩემს სიცოცხლეში. ვერც ერთი სულიერი, თუნდ უსულო, ჩემს ცოდვას, ჩემს სიავეს ვერ იტყვის. ღმერთს ესე დაუწესებივარ: უნდა ვიდინო, ვიდინო; ყველამ ჩემით უნდა მოიკლას წყურვილი. გახურებულს ზაფხულის დღეში რამდენი ნადირი მოდის, სვამს ჩემს წყალსა, რამდენი დაღალულ-დაქანცული ბუშა მოვა, მოიტანს ცელს, ნამგალს გასალესად. კაცნი მსმენ და ათასში ერთი თუ იტყვის: „დაილოცე, ცივო მთის წყაროვ, რომელი ღვინო შეგედრებაო?!“ უმრავლესობა ზედ მაფურთხებს. რა ვქნა, მე ვერავის მივაფურთხებ. დეე, ისევ მე მაფურთხონ! რა ბედნიერადა ვგრძნობ ჩემს თავსა, ღმერთო! რა კარგი მეგობრები მყვანან გვერდსა! აი ჯერ ეს ლოდები, სქლად მწვავე ხავსი რომ გადაჰკვრია; აი კიდევ ჩემს თავზედ პირყვითელი კლდე რომ დაყუდებულა და დამცქერის, მეხურება თავზე მუზარადივით. ეს დევებივით ქორაფები როგორ აწვდილან ზეცად და მზის სხივსაც არ უშვებენ ჩემამდის! სქელი, გველებივით დაკლაკნილი ფესვები ჩემს უბე-კალათაში ჩაუწყვიათ. ორისა თუ სამის ვერსის სიგრძეზე ვარ მხოლოდ ბედნიერი და უცოდველი, მერე დამლევს, ჩამნთქავს უზარმაზარი მდინარე, დაიკარგება ჩემი სახელი, ჩემი ვინაობა. როგორც უნდა, ისე მათამაშებს. თითონ ხომ ღრიალებს, ბორგავს, აწყდება აქეთ-იქით, ანგრევს დედამიწას, გლეჯავს ხეებსა და მიათრევს, მეც იმასვე ჩამადენინებს. მაგრამ მაშინ მე ის აღარა ვარ, რაც ეხლა, ამ წამში, როდესაც პირველად კლდიდამ ვიბადები. ოჰ, ამ მდინარისაგან გული მაქვს გახეთქილი! რამდენჯერ აქ მესმის ხოლმე ხალხის ჟივილ-ხივილი: „დაარჩო წყალმა კაცი, უშველეთ, ღმერთი არავის გწამსთო!“ ცოტა არ არის, მეც ბრალი მედება. ვაჰ, ჩემო თავო! ნეტავი დამბადებელს ესე არ დავეწესებინე და სულ დაუსრულებლად მედინა, მერწყო მცენარენი, დედამიწის ლამაზი გული, მომეკლა კაცთა და ცხოველთათვის წყურვილი“ და სხვ.

აქ მკვეთრად, სრულადაა მოცემული ბუნებრივი ილუზია. მთის წყარო მოცემულია, როგორც ცოცხალი არსება, როგორც პიროვნება — ადამიანი თავისი შინაგანი მდიდარი ჰუმანური განცდებისა და მისწრაფებების სამყაროთი. ასევეა „ქუჩი", „ფესვები", „მთანი მაღალნი" და სხვ.

მოყვანილი ნაწყვეტიც იმდენად ტიპიურია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ამ ჟანრის ნაწარმოებთათვის და, ვფიქრობთ მკითხველისთვისაც დამაჯერებელია, რომ ზემოაღნიშნული ჩვენი დებულებებისათვის დასამოწმებელ სხვა ნიმუშებს აღარ მოვიყვანთ.

გვინდა მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ თუ ხალხურ შემოქმედებაში განპიროვნება ხშირად გამოყენებულია მარტივი სახით, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, როგორც მოყვანილი ნიმუშებიდანაც შეიძლება დავრწმუნდეთ, განპიროვნებაც შეუდარებლად გართულებულია, დახვეწილია, მრავალმხრივი მთლიანი შთაბეჭდილებისა და განცდის მომცემია, ხშირად განპიროვნების აღნიშნული სხვადასხვა საშუალებები კომბინირებულადაა გამოყენებული, რაც ვაჟა-ფშაველას პოეტურ სტილს დიდ თავისებურებასა და ორიგინალობას აძლევს.

* * *

ვაჟა-ფშაველასათვის, აგრეთვე, დამახასიათებელია ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული პოეტური შედარების გამოყენებაც. რაც მან თავის შემოქმედებაში აგრეთვე განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანა.

შედარებაც ძირითადში აღმოცენებულია და განვითარებული იმავე ფსიქოლოგიურ საფუძველზე, რომელზედაც მეტაფორა და განპიროვნება — ორი საგნისა თუ მოვლენის მსგავსების საფუძველზე. მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაც არის. თუ როგორც მეტაფორაში, ისე განპიროვნებაში მოცემული გვაქვს ილუზიური გაერთიანება ერთს სახეში ორი მსგავსი საგნისა ან მოვლენისა, — შედარებაში ასეთს გაერთიანებას, შერწყმას ადგილი არა აქვს. პირიქით, შედარებაში ორ საგანს გამუდმებით ვაცალკევებთ, ერთმანეთს კი არ ვუერთებთ, არამედ ვუპირისპირებთ, ვადარებთ. მათ ჩვენ ვჭვრეტთ, თუმცა ერთდროულად, მაგრამ აუცილებლივ განცალკევებულად. „В метафоре, — წერს ა. შალიგინი, — больше пылкости воображения, в сравнении больше обдуманности, вдумчивости, отчётливости, созерцательности"[3]. მართლაც, შედარება, გარდა მეტი ჩაფიქრებისა და სიცხადისა, მეტ ცოდნას და თუნდაც გარკვეულ ზუსტ ცოდნასაც თხოულობს, ვიდრე მეტაფორა, ან თუნდაც განპიროვნება.

[3] А. Шалыгин, Теория словесности, зз. 71.

შედარებაში, ჩვეულებრივ, ორი ნაწილია, ორივე სათანადოდ გამოკვეთილი: რ ა არის შედარებული და რ ა ს ვადარებთ მას. შედარება გულისხმობს უცნობი, ახალი, ძნელად გასაგები განცდა თუ წარმოდგენა საგნისა ან მოვლენისა დააძლევინოს ნაცნობი მოვლენის ან საგნის საშუალებით მათი შედარების გზით. შედარების ზემოქმედება იმაში მდგომარეობს, რომ საგანს (უცნობს), შედარებულს მეორესთან (ნაცნობთან), ნათელი ეფინება მეორე საგნის საშუალებით; თითქოს, მეორე საგნის (ნაცნობის) თვისებები გადადის პირველზე.

მაგალითად:

> რამ გაგაჩინა, ქალაო,
> ლერწმად აპრილო წელშია.
> („სიმღერა")

მკითხველს თვალსაჩინოდ, კონკრეტულად რომ აგრძნობინოს ქალის მოხდენილობა, მისი სხეულის სისუბუქე, გრაცია, სინაზე, ვაჟა-ფშაველა მას ადარებს ყველასათვის კარგად ნაცნობს მცენარეს — ლერწამს.

ერთი საგნიდან მეორეზე შეიძლება გადატანილ იქნას არა ერთი თვისება ან ნიშანი, არამედ რამდენიმეც, რაც შედარების გაღრმავებაგაფართოების შესაძლებლობას იძლევა.

მაგალითად:

> თითო ისეთი მოჩანდა,
> როგორც ვეშაპი ცხენზედა,
> ზავთი იმათი ზღვას ჰგვანდა,
> კლდე უყელყელებს მკერდზედა.
> („მეფე ერეკლე")

ვაჟა-ფშაველა ამ მოკლე შედარებით მკითხველს აგრძნობინებს ერეკლე II დროის ქართველ მეომართა ფიზიკურ ძალასაც, სილამაზესაც, სიმტკიცესაც, სიდიადესაც. აქ, ამ შედარებაში, მოხდენილადაა შერწყმული ჰიპერბოლაც — გაზვიადების ელემენტი, რაც ვაჟა-ფშაველას პოეტიკისათვის მეტად დამახასიათებელია და რაც მთლიან მხატვრულ და ზუსტ შთაბეჭდილებას კი არ ანელებს, ან კი არ ბღალავს, არამედ უფრო აძლიერებს, ამახვილებს, მეტი ზემოქმედების ძალას აძლევს.

ამასთან ერთად, შედარება, როცა ერთი საგნის თვისება მეორეზე გადაგვაქვს, მკითხველში თუ მსმენელში იწვევს მოთხოვნილებას შედარებას გულისყურით ჩაუფიქრდეს, რადგანაც შედარებაში, გარდა გარეგნულ თვისებათა მსგავსებისა, გადატანილია მსგავსება აზრისა, იდეისა.

მაგალითად:

მსმენლის გულსა ჰკარ მალამოდ
სიტყვა მართალი, წყლიანი.
ადუღე გრძნობა, ადუღე,
ჭკვა იქნას დავლათიანი.
(„მგოსანს“)

აქ მარტო სიტყვის ძალა, გავლენა, მნიშვნელობა კი არაა შედარებული მალამოს ამგვარვე თვისებებთან, არამედ ამ შედარებაში აგრეთვე გვესმის მძლავრი მოწოდება ადამიანისადმი (განსაკუთრებით მწერლისადმი) აუცილებლივ ძლიერად დახვეწოს გრძნობა და გონება, რათა კაცმა აზრიანი, სასარგებლო, საჭირო მუშაობა აწარმოოს, რითაც ის შეძლებს თავის დანიშნულების გამართლების და დაკმაყოფილების გრძნობის განცდას.

შედარება არა მარტო აცხოველებს ენის სურათოვნებას, არამედ აგრეთვე, როგორც სხვა პოეტური საშუალებებიც, მკითხველში დიდ ემოციასაც იწვევს. შედარება მაშინაა გამართლებული, როდესაც საგანი თუ მოვლენა, რომელსაც მწერალი უცნობს, ახალს საგანსა თუ მოვლენას ადარებს, მკითხველისათვის კარგადაა ნაცნობი, წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველი ადვილად ვერ გაიგებს ახალი საგნის თუ მოვლენის არსს; სათანადოდ ვერ გაიგებს, ვერ იგრძნობს შედარების პოეტურ მარილს.

მოხდენილი შედარებები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში უხვადაა მიმობნეული. ნიმუშისათვის მოვიყვანოთ რამდენიმე:

1. ცა ვაიბურვის ნისლებით,
როგორც მურით და ლაფითა.
(„დაუსრულებელი კვნესა“)

2. მთელი სიტურფე ქართლისა
იმას ესვენა მხრებზედა,
როგორაც შუქი მთვარისა
ალბუზისა ქედზედა.
(„მეფე ერეკლე“)

3. როგორც ქვას, ცრემლი არ მოსდის,
გული თუმც სტკივა მწარედა,
გულშივე ჰხარშავს ნაღველსა,
არ გამოაჩენს გარეთა.
(„ჭირისუფალი“)

4. გამოჩნდა ქალი ლამაზი,
შავის ტანსაცმლით მოსილი,
როგორაც ალყა ტანადა,
ვარსკვლავი ციდამ მოცლილი.
(„სტუმარ-მასპინძელი“)

5. ბეწვს იშლის ბრაზმორეული,
როგორაც ვეფხვი — თმასაო,
საკირის ცეცხლი ედება
სამსხვერპლოს ვულის-თქმასაო.
(იქვე)

6. ლომია, უფალსა ვფიცავთ,
სწრაფი, ვით ელვა-ქარია,
ჰშვენოდა, ძმობამ, ვაჟკაცსა
დაზარნიშული ფარია.
(„ბახტრიონი“)

7. ისრ შვენის ცხენზე, ვით ველზე
გაზაფხულისა ყოილი.
(იქვე)

და კიდევ მრავალი სხვა ამგვარი შედარებითაა ვაჟა-ფშაველას ლაღი პოეზია შემკობილი.

* * *

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში აგრეთვე ნიჭიერადაა გამოყენებული ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოეტური ხერხი — ჰიპერბოლა. ჰიპერბოლას, როგორც ცნობილია, მწერალი მიმართავს მაშინ, როცა მას სურს მკითხველში შთაბეჭდილება გააძლიეროს, რათა საგანზე თუ მოვლენაზე მკითხველს უფრო მკვეთრი შთაბეჭდილება და მკვეთრი და სწორი წარმოდგენა შეუქმნას.

ჰიპერბოლის საშუალებით მწერალი დროსა და სივრცეში საგანსა თუ მოვლენას ხატავს არაჩვეულებრივი გაზვიადებული, გრანდიოზული (გადიდებული თუ შემცირებული) თვისებებით, განსაკუთრებული ზომისა და ძალის შემცველად. ჰიპერბოლის საშუალებით მწერალი მკითხველის შთაბეჭდილებას აქტუალურად ჭიმავს, მიღებულ ემოციას მძლავრად აცხოველებს, ამძაფრებს.

ჰიპერბოლა მაშინაა გამართლებული, როცა ის მკითხველს სინამდვილეს კი არ აშორებს, არამედ ხელს უწყობს სინამდვილე ინტენსივობით, სიმკვეთრით ახლო და ზუსტად განიცადოს და გაიგოს: როცა საგნისა თუ მოვლენის ხილვითა თუ განცდით ზომაზე მეტად აღტაცებული, განცვიფრებული თუ აღშფოთებული მწერალი ჰიპერბოლის საშუალებით ახერხებს მკითხველშიც გადაიტანოს თავისი განწყობილება და მასშიც სწორღირებულებიანი განცდა და გაგება გამოიწვიოს.

ჰიპერბოლა საგნისა თუ მოვლენის ძალისა თუ თვისების გრანდიოზულობას სამი სახით გამოხატავს — განფენილობისა, რიცხვისა და ინტენსივობის მიხედვით. ყველა სახის ჰიპერბოლას მიზნადა აქვს ავტორის პირადი აღფრთოვანება თუ აღელვება, თანაგრძნობა თუ უარყოფა, სიყვარული თუ სიძულვილი და ა. შ., გამოხატოს, გადასდოს მკითხველსაც.

ამ გაგებითა და მიმართულებით ხმარობს ვაჟა-ფშაველაც ჰიპერბოლას, როგორც პოეტურ ხერხს.

ვაჟა-ფშაველამ, რა თქმა უნდა, ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ჰიპერბოლა კარგად აითვისა და თავის შემოქმედებაში გამოიყენა კიდეც. მაგრამ მან ეს ხალხური შემოქმედების პოეტური ხერხიც უცვლელად, გადაუმუშავებლად კი არ მიიღო, არამედ ხალხურ შემოქმედებასთან შედარებით მან ეს სტილიური ნიშანიც თავის შემოქმედებით ქურაში გადაადუღა, გააინდივიდუალურა, განავითარა და რთული პოეტური შემოქმედების მწვერვალზე აიყვანა. ჩვეულებრივ ჰიპერბოლა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში გამოყენებულია არა მარტივი სახით, არამედ ის გაერთიანებულია სხვა სტილიურ ნიშნებთან (შედარება, მეტაფორა და სხვ.), რაც ქმნის მეტად რთულ, მკვეთრად შთამბეჭდავსა და მიმზიდველს სურათს.

ნიმუშისათვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

1. ხუზაურ გოგოლაური
შავარდენივით ჩქარია,
იანვარ ელისბარის-ძე
გორის მდრეკელი არია,
სუმელჯი სუმელჯიშვილი —
ამომავალი მთვარია.
(„გალაშქრება ლაშარის-ჯვრის დროშებით“)

2. იმატებს ტანჯვა? უწყიდე,
ტრფობაც აიწევს მეტადა.
აიშლის ფაფარს მრისხანედ,
სდგეს იალბუზის ქედადა;
ის მუხლს გიყრიდეს და შენ კი
თავს დასცქეროდე ღმერთადა.
(„შენდამი“)

3. მაგრამ ამაოდ: ქვეითა,
სადაც თვალი ძლივსა სწვდებოდა,
ზღვასაებ უზარმაზარი
შავი ვეშაპი დგებოდა;
ჰსვამდა და ჰხვრეპდა ცრემლის წყალს,
ქვეით მდინარე შრებოდა...
მთელი არსება ხალხისა
ცრემლის მდინარედ დნებოდა.
(„ცრემლები“)

4. ქვითინებს გულ-ამოსკვნითა,
ცრემლსა სიპი ქვა დაედნო!
(„სტუმარ-მასპინძელი“)

5. შენმა სურვილმა დამლია,
შენზე ფიქრმა და სევდამ;
შორს წასვლამ, ხშირად გაყრამა,
გულის თვალებით ხედვამ..
კარგი ხარ, აღარც კარგი ხარ,
მე გულს მაწევ ხარ ნისლადა,
მინდა, რომ მძულდე, მოგშორდე,
გულზე მობმულო ღვიძლადა.
(„სიყვარული“)

და ამგვარი მრავალი სხვა. როგორც მოყვანილი ნიმუშებიდანაც ჩანს, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ჰიპერბოლა ხშირად — განფენილობის, რიცხვისა და ინტენსივობის ერთდროულად მოხდენილადა და ბუნებრივად შემცველი სახეა.

* * *

ვაჟა-ფშაველას პოეტიკის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება, მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით გამოყენებული, — არის კონტრასტი ანუ ანტითეზა. კონტრასტი უკიდურესი საწინააღმდეგო თვისებების, მატარებელი საგნების თუ მოვლენების შეპირისპირებაა. კონტრასტი მიზნად ისახავს ამგვარ საგანთა თუ მოვლენათა დაპირისპირებით მკითხველში უფრო მძლავრი, გამახვილებული შთაბეჭდილება, ემოცია გამოიწვიოს, მით მწერლის აზრი უფრო გაამკვეთროს და მკითხველამდე ადვილად დაიყვანოს. ამიტომ კონტრასტში მთავარია ემოციის, განწყობილების პროცესი. მკითხველის წარმოსახვა და მასთან დაკავშირებით მისი ემოცია მაშინ ცხოველდება, როდესაც კონტრასტის ორივე მოწინააღმდეგე ნაწილი მკვეთრადაა მოცემული.

კონტრასტი ხელსაყრელი პოეტური საშუალებაა მრავალწახნაგოვანი საგნისა თუ მოვლენისადმი დამოკიდებულების გამოსახატავად. კონტრასტი მკითხველს აძლევს დიდ ემოციონალურ ეფექტს, ვინაიდან ჩვეულებრივ მოვლენებს შორისაც შესაძლებელია გამონახული იქნას

საკმარისი მძლავრი კონტრასტი. კონტრასტი მრავალფეროვანია: კონტრასტი მოცემული სივრცეში, დროში; კონტრასტი ფორმის, სმენის, ემოციისა და სხვ.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში კონტრასტი მრავალი სახითაა გამოყენებული, მაგრამ, მისთვის მომეტებულად დამახასიათებელია ემოციონალური კონტრასტი, რომელშიც სხვა ელემენტებიცაა შერწყმული.

ნიმუშისათვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

1. დღეს მტირალს, ბედის მომდურავს.
ხვალ ისევ გაახარებსა.
ღარიბს ამდიდრებს, მდიდრისას
სიმდიდრეს გაათავებსა.
დაბმულს აუშვებს და ახსნილს
დაბამს, გააკავებსა...
(„სიმღერა")

2. მოძმეთ გონების სიმაღლე მწადდა.
იმათ გრძნობათა და ფიქრთ დიდობა.
ვერაფერს გავხდით, ვერვის რა ვარგე,
გულს დაეუკარგე რისთვის მშვიდობა?
რისთვის მეწადა ასეთი ქცევა,
სიყმილი მკლავდა ძმათა რგებისა;
ეს იყო ჩემთვის ბედნიერება,
ეს იყო ჩემთვის ყოფნა შვებისა.
და დღეს ისა მკლავს, გულს ის მიქენჯნის:
ცუდი ამბავი მესმის ძმებისა.
(„ქებათა-ქება")

3. ვერაფერს ვიტყვი. ენა სდუმს,
თავზე დაგვჩხავის ყორანი;
გაღმა გასვლისა მსურველთა
უკუღმა მიგვყავს ბორანი.
(„ილია ჭავჭავაძის სახსოვრად")

4. სტიროდა, მაგრამ ტირილი
არ იყო, ეხათრებოდა:
ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა,
მეორით— ღმერთი აშინებს;
ქისტეთის მტრისა მოზარეს
თავს რისხვას გადმოადინებს.
ეს ფიქრი გონებისაა,
გული თავისას შერებოდა,
კაცის კაცური სიკვდილი
გულიდამ არა ჰქრებოდა.
(„სტუმარ-მასპინძელი")

5. დაბლა ჭალა და ხევები,
გუშინ სავსენი ზვავითა,
დღეთ სიცოცხლითა ხარობენ,
გაბადრულნია მწვანითა.
(„გველის მჭამელი")

და ამგვარი სხვა მრავალი.

მაგრამ, ვაჟა-ფშაველა ხშირად არ კმაყოფილდება მოვლენათა თუ საგანთა წინადადებისა თუ სიტყვების საშუალებით შედარების მოცემით მოკლედ, თუნდაც მეტად ნიჭიერად გამომხატველი კონტრასტით. მისთვის, აგრეთვე, დამახასიათებელია მთელი ნაწარმოების ძირითად ხაზში, ნაწარმოების სიუჟეტის კომპოზიციური კონტრასტის საშუალებით განვითარება. მაგალითად, „გოგოთურ და აფშინა", „ალუდა ქეთელაური", „სტუმარ-მასპინძელი", „გველის მჭამელი" და სხვა.

აღნიშნულ პოემაში იდეა ვაჟა-ფშაველას გაშლილი აქვს გმირთა მორალურსა და მსოფლგაგების თვალსაზრისით შეპირისპირებაზე: გოგოთური უპირისპირდება აფშინას, ცოლს; ალუდა ქეთელაური — ბერდიას, თემს; ჯოყოლა, აღაზა — თემს, მუსას; მინდია — თემს, ბერ-

დიას, მზიას. ეს პოეტური ხერხი ვაჟა-ფშაველამდე ნიჭიერად განავითარა ქართულ ლიტერატურაში მთელ რიგ ნაწარმოებში ილია ჭავჭავაძემ — „გლახის ნაამბობში“, „კაკო ყაჩაღში“, „განდეგილში“, „ოთარაანთ ქვრივში“ და სხვ.

* * *

ვაჟა-ფშაველას პოეტიკა მდიდარია, აგრეთვე, პარალელიზმების არაჩვეულებრივი მოხდენილი ხმარებით. ცნობილია, რომ მხატვრული მეტყველება მკითხველის გრძნობისა და წარმოსახვის ამოქმედებას უფრო უმიზნებს, ვიდრე გონებისას. ამიტომაც პოეტი გამუდმებით იმის ცდაშია, რომ პირველ რიგში მკითხველი თუ მსმენელი ააღელვოს, შეუქმნას მას განწყობილება მწერლის განცდისა და გაგების სათანადოდ ასათვისებლად. ეს გარემოება კი თხოულობს, რომ მხატვრული მეტყველება მიემსგავსოს აღელვებული, აგზნებული კაცის მეტყველებას. ამ ამოცანას, სხვათა შორის, ემსახურება პოეტური პარალელიზმიც.

პარალელიზმი აძლიერებს და ამდიდრებს მხატვრული სტილის სურათოვნობასაც და აგრეთვე მძლავრად მოქმედებს მკითხველის გრძნობასა და ყურადღებაზეც. პარალელიზმის ზეგავლენით მკითხველის ყურადღება თანდათან იზრდება, იჭიმება და მკითხველში იწვევს ძლიერ ემოციურ შთაბეჭდილებას.

ვაჟა-ფშაველა სარგებლობს მრავალი სხვადასხვა სახის პარალელიზმით. შევჩერდებით პარალელიზმების სამს მთავარ და მდიდარ ჯგუფზე, რომელთაც ვაჟა-ფშაველა იყენებს თავის შემოქმედებაში.

1. განმეორება, როდესაც ერთი და იგივე სიტყვა, ერთსა და იმავე წინადადებაში, ან შემდეგი ფრაზის დასაწყისში მეორდება. უკანასკნელი სახის პარალელიზმს პოეტიკაში ჩვეულებრივ ეწოდება ანაფორა. ამ პოეტური ხერხის დანიშნულებაა წინ წამოსწიოს რომელიმე საგანი ან მოვლენა, ან საგნისა თუ მოვლენის რომელიმე თვისება და განმეორების საშუალებით გაამახვილოს და გაზარდოს მკითხველის ყურადღება. ეს გარემოება მკითხველში იწვევს საგნის თუ მოვლენის ამა თუ იმ თვისების ზემოქმედების გაძლიერებას.

განმეორება პოეტური სტილის ერთ-ერთი საუკეთესო ემოციონალურ საშუალებათაგანია; ის მეტყველებას, გარდა მხატვრულობისა, აძლევს მღელვარე, მგზნებარე ხასიათს.

ნიმუშისათვის მოვიყვანთ რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს:

1. აქ გამითხარონ ციცი სამარე,
აქვე დამმარხონ, ამ მაღალ მთაზე.
(„ნიბლიას ანდერძი“)

2. ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ,
ნუ გადიქცევით ცეტათა!
(„ალუდა ქეთელაური“)

3. ნეტავ, ან სახე მახსოვდეს,
ან ხმა მახსოვდეს ღედისა!
ნეტავ, ტირილი შამეძლოს
შეცვლა ამ შავის ბედისა!
(„ეთერი“)

4. მშვიდობით, საჯიხვეებო,
გამხარებელნო თვალისა!
მშვიდობით, ჩემო სახ-კარო,
გულში ამშლელო ბრალისა!
მშვიდობით, ჩვენო ბატონო,
ყმათად მიმცემო ძალისა!
(„ალუდა ქეთელაური“)

5. არ დაივიწყო, თუ გწამს უფალი,
არ ღაივიწყო, შენი კვნესა მე!
(„ნიბლიას ანდერძი“)

2. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში აგრეთვე ხშირია ბგერითი სახის განმეორებანიც, რასაც მრავლად ვხვდებით ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, საიდანაც პირველ რიგში ათვისებული აქვს მგოსანს ეს საშუალება.

მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუში:

1. მილეწ-მოლეწა კლდეები,
მტკვარს გაადინა ჯახანი.
(„გაზაფხული“)

2. არაგვის პირ-პირ აჩქამებს
გიგლიას ცხენი ნალებსა;
აქა-იქ ავლებს ლომივით
იმ ცეცხლ-მოდებულ თვალებსა.
(„გიგლია“)

3. ხშირად მოდიან ღრუბელნი,
ლაღად მიდგიან-მოდგიან.
(„კოპალა“)

4. მიყრილ-მოყრილან კლდეები
პირ-ქუშნი, სახე მწირითა.
არც დადნენ, არც გაიშალ-ნენ
დაუდეღარი კირითა.
(„სისხლის ძიება“)

5. სოფლებში სმაურობაა,
ძახილ-ძუხილი დიდია.
(იქვე)

ეს პოეტური ხერხი თავისებურ, ადგილობრივ კოლორიტს უნარჩუნებს საგანს თუ მოვლენას და მკითხველშიც, რა თქმა უნდა, იწვევს სათანადო განცდასა და წარმოსახვას.

3. პარალელიზმის ჯგუფის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს განმეორება, როდესაც ლექსის შემდეგ სტრიქონში ან შემდეგ ფრაზაში მეორდება ერთი და იგივე სიტყვა, ფრაზა, ან ერთგვარი გრამატიკული ფორმა. ამ პოეტური ხერხის დანიშნულებაა მკითხველში მხატვრული შთაბეჭდილება გააღრმაოს, გაახანგრძლივოს და გამოწვეული ემოციონალური განცდა თანდათანობით გააძლიეროს — გაზარდოს.

ნიმუშისათვის:

1. სანამ იცოცხლე, გოგოთურ,
სანამ ცასა სდის ნამია,
სანამ მზე ათბობს ქვეყანას,
დილა-საღამოს ჟამია;
სანამ ტყეს ესხმის ფოთოლი,
მიწა ამცენებს მწვანილსა,
სანამ ჯინკველა ქალაქით
ზურგით მაიტანს მარილსა...
(„გოგოთურ და აფშინა“)

2. მე არც არავინ დავარჩევ,
არცვინ წყალს წავალებინე,
ჩემს ცოდვა-დანაშაულში

არცვის-რა გავალებინე.
ჩემს გულსა მხოლოდ საწილო
თავისი ავალებინე.
ჩემს მშობლებს გულის წადილი
უკანვე ჩავაგებინე.
იმით რა წავაგებინე,
რომ ცოლი ისე შავირთე
მშობლებს არ გავაგებინე...
(„ეთერი")

3. რა გითხრა უცხომ უცხოსა,
ეგ სადაური ძალია?
რა შნოებაა ვაჟკაცის,
ქალზე იხმაროს ხმალია!
რა დავაშავე ისეთი,
რა მაქვს ისეთი ბრალია?
(იქვე)

4. ოღონდ მე ჩემი წადილი
და მღელვარება გულისა
ვასრულო, აზრს ვემსახურო,
ერთგული ვიყო რჯულისა:
ვაკეთო, რაცა მწადიან,
რაც მიყვარს, რაცა მწყურისა!
(„სიმღერა")

5. მე ჩემთვის ჩუმად ვიცინი,
მისი კეთილის-მყოფელი.
ვიცინი... იმას, ქვეყანას,
ან რა საქმე აქვს ჩემთანა?
მიხარის, ჩემმა გაზდილმა,
რომ ბინა ჰპოვა ერთანა, —
ერთმა საწყალმა სიტყვამ,
ბოროტ კაცთაგან წყეულმა,
ბეჩავმა, ცრემლით ნაბანმა,
თავს მანდილ-ჩამოხეულმა...
(„სიტყვა ეული")

და მრავალი სხვა ამგვარი მაგალითი ამშვენებს ვაჟა-ფშაველას პოეტურ სტილს. ეს სტილური ნიშანიც მძლავრად ახასიათებს ხალხურ ზეპირშემოქმედებას, საიდანაც, რა თქმა უნდა, ჰკრეფს ვაჟა-ფშაველა მასალას, მაგრამ თავისებურად ხვეწავს, აშალაშინებს და უფრო მიმზიდველს ხდის.

4. პარალელიზმის შემდეგი განვითარებისა და გართულების საფეხურია მთლიანი წინადადებებისა და ხან მთლიანი ტაეპების განმეორების შემცველი — გაშლილი პარალელიზმი, რომელშიც მეორდება წინადადების ან ტაეპის აზრი სინონიმური გამოთქმებით. გაშლილი პარალელიზმი უმაღლეს მხატვრულ ვითარებას აღწევს, როდესაც ის შეერთებულია პარალელურ მსგავსებასთან ან შედარებასთან.

მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუში:

1. ცაზე იარე, მთვარეო,
მზეო, აბძანდი-დაბძანდი!...
მთებო, იშიშვლეთ გულ-მკერდი,
ხან მოიხვიეთ ნაბადი...
დაწვიმე, შავო ღრუბელო,
დაალბე მკერდი მიწისა;
გაუცინოდი ლამაზო,
ახარე გული ბიჭისა!
(„სიმღერა")

2. ხან ხომ ცა მოიღრუბლება,
ჩაბნელდებიან ხევები,
გაჩნდება მეხთა ტკრციალი,
ათრთოლდებიან ხეები,
კლდეებზე დაიკეცება
სვავთა და არწივთ ფრთეები.
(„ღამე მთაში")

3. მრავალმა ხმალი აგელა,
მრავალმა — ჭკუა-გონება,
სხვამ — თავ-მომწონედ იარა,
რომ დიდი ჰქონდა ქონება.
(„სიმღერა")

4. სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარს ძმას — ტირილი დისაო,

ტყესა — ხარ-ირმის ნაფრენი,
ზოგ დროს — ყმუილი მგლისაო.
ვაჟკაცსა — ომში სიკვდილი,
ხელში — ნატეხი ხმლისაო,
ომს — ლხინი გამარჯვებულთა
და დამარცხება მტრისაო.
(„სტუმარ-მასპინძელი")

5. ხომ იცი უდარდელადა
ცრემლი არ დაიდინების,
ვით კაცი უმიზეზოდა
სხვისგან არ შაოინების?
(„სისხლის ძიება")

ეს და სხვა მრავალი ამგვარი ნიმუში გაშლილი პარალელიზმისა სავსე მაღალი, დახვეწილი მხატვრულობით, ემოციით ასხივოსნებს ვაჟა-ფშაველას პოეტურ მეტყველებას. ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ეს პოეტური ხერხი ვაჟა-ფშაველას შემდეგი მაღალი განვითარების საფეხურზე აჰყავს მთელი თავისი მრავალფეროვანებით.

* * *

მეტყველების ემოციონალობას, ცნობილია, ფრიად ეხმარება დიალოგის ფორმა, რომელსაც ვაჟა-ფშაველა დიდი მხატვრული ოსტატობით ეუფლება. დიალოგი მეტყველებას საშუალებას აძლევს მღელვარე, უშუალო მოქმედებისა და ზემოქმედების ხასიათი მიიღოს.

მოვიგონოთ ალუდასა და მუცალს შორის დიალოგი, როცა ისინი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შეხვდნენ ერთმანეთს:

გამასტყვრა მუცალის თოფი, —
კლდის პირი დაიშლებოდა,
ნაძოძი ტყვიის ალუდას
კალთაში ჩაეშლებოდა.
— არა გჭირსაა, რჯულ-ძაღლო?!—
მუცალი ეუბნებოდა.
— ნუ გგონავ, მჭირდეს, რჯულ-ძაღლო
ყმასა გუდანის ჯვრისასა.
ხმა ალუდაის თოფისა
ჭეხასა ჰგვანდა ცისასა.
— არ მოგვხდაუა, რჯულ-ძაღლო? —
ისევ ეძახის იმასა.
— მუცალს არა სჭირს, რჯულ-ძაღლო, —
ნამტვრევს მაშლიდა კლდისასა....
— ოჰო, ქუდ გაუხვრეტია,
წვერებსა სტუსავს თმისასა.
— მაღლა დაიცდა. ბეჩავო.
კენჩხას არა სჭირს ძვლისასა... და სხვ.

აქ, ამ დიალოგში მკითხველი არა მარტო მოქმედებასა და მღელვარებას გრძნობს, არამედ ის მთელი დაჭიმული ყურადღებით განიცდის, რომ ალუდასი და მუცალის ბრძოლის ძალა გარემოსაც აქოქმედებს, მასაც ახმაურებს, თითქოს მიწაც კი ზანზარებს. მკითხველი არაჩვეულებრივი სიცხოველით გრძნობს ამ, მართლაც, კლდეადამიანების შეუპოვარ ბრძოლას და მიუხედავად იმისა, რომ ის, რა თქმა უნდა, არ იზიარებს ასეთი საშუალებით ურთიერთობის საკითხის გადაჭრას. მაინც ზემოქმედება ისეთი დიდია, რომ ძალა-უნებურად იმსჭვალება ამ კლდეადამიანებისადმი უცილო სიმპათიით.

მხატვრული მეტყველების ამგვარ ემოციის გამოწვევას ემსახურება პოეტური მიმართვაც. მწერალი საგანს თუ მოვლენას მიმართავს,

თითქოს, მას ესაუბრებოდეს და გამოხატავს აღტაცებას, გაკვირვებას, მისალმებას, თხოვნას, სამდურავს და ა. შ. მიმართვა, ჩვეულებრივ, მოზღვავებული გრძნობითაა გამოწვეული, სწორედ ამიტომაც მეტყველების ამ თვისების გამო მას მღელვარე ემოციონალური ელფერი ენიჭება. პოეტის მიმართვა შეიძლება იყოს ადამიანისადმი, ხალხისადმი, სამშობლოსადმი, ბუნების მოვლენებისადმი, თავისთავისადმი და ა. შ. ესევეა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც.

მიმართვის ხერხი გავრცელებული პოეტური საშუალებაა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც. ვაჟა-ფშაველას, აღზრდილს ქართულ ხალხურ ზეპირშემოქმედებაზე და ხალხის ყოფაში, ეს მისი პოეტური ხერხიც ნიჭიერადა აქვს ათვისებული; ხოლო მან ეს პოეტური ხერხიც თავის შემოქმედებაში დახვეწა და მაღალ საფეხურზე აიყვანა. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მიმართვა დიდი სიღრმით ამჟღავნებს პოეტის ემოციას, მის მისწრაფებას. ვაჟა-ფშაველას მიმართვები ხშირად შერწყმულია ალეგორიას და სხვა სტილიურ ნიშანს.

მოვიყვანთ მიმართვის რამდენიმე ნიმუშს:

1. ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
   სიცოცხლე შენობს შენითა,
   და შენც, სიკვდილო, ფასი გძე,
   სიცოცხლის ნაწყენობითა.
   („მოგონება")

2. მშვიდობა შენს ნეშტს, მგოსანო,
   ქართლისა წყლულთა მოზარე,
   მშვიდობა, სულო ძლიერო,
   თავის სამშობლოს მოყვარე...
   („ნიკოლოზ ბრათაშვილის ნეშტს")

3. გულო, არ გასტყდე, გამაგრდი,
   კლდეო, კლდეთ იდეგ სალადა!
   რა ვქნათ, რომ ჯანღი ვეხვევა,
   მეცა გყევივარ ავადა.
   ცდა გავუქარწყლოთ საწუთროს,
   ნუ დავბერდებით შავადა.
   („სიმღერა")

4. ჩემის კაცობის გვირგვინო,
   ჩემო სამშობლო მხარეო!
   შენგან შობილი ოცნება
   გულს შანთად გავიყარეო...
   („სიმღერა")

5. მუხავ, უთხარი შენს მგოსანს,
   ასწიე მკლავი გმირისა!
   შენ უპასუხე, მუხავ, შენ,
   მე მეტს ვერ ვიტყვი ვერასა...
   („პასუხი ბაჩანას")

და სხვა მრავალი ამგვარი ნიმუში ამშვენებს მგოსნის სტილს.

ემოციის გაღრმავების ამოცანას აგრეთვე ემსახურება შეკითხვა. რიტორიული შეკითხვა ხშირად მწერლის პირად მტკიცებას შეიცავს. კითხვითი ინტონაცია გამოყენებულია მხოლოდ იმისათვის, რომ მკითხველის ემოციური ყურადღება გაამახვილოს, გაზარდოს, გაადიდოს.

შეკითხვას მწერლის მეტყველებაში უფრო მეტი, ვიდრე მიმართვა, სიცოცხლე და მღელვარება შეაქვს. შეკითხვა მკითხველზეც უფრო მკვეთრ და ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, მკითხველში ის ემოციასა და მკვეთრ განწყობილებას იწვევს, განსაკუთრებით, როდესაც მწერალი მოვლენის გადმოცემას თუ აღწერას შეკითხვა-პასუხის სახით ავი-

თარებს, რაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ხშირად თავისებური დიალოგის ხასიათს იღებს.

ვაჟა-ფშაველა ლირიკულ ლექსებში, ხოლო უფრო პოემებსა და მოთხრობებშიც ხშირად და მოხდენილად იყენებს შემოქმედების ამ საშუალებასაც.

მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

1. მაშ არცვინ გიყვარს,
  შე კარგო, შენა?...
  მაშ რასა ჰნიშნავს
  ეგ მძლავრი ქშენა?!
  („არწივი")

2. — „გვიამბე. ელიზბარაო,
  რა ამბავ მოხდა ეღოსა?
  როგორ დაეცნენ ლეკები
  ბაკურის ციხე-ეზოსა?"
  —„არ მინდა ძველი დარდები,
  რომ გულში აიწეწოსა.
  მე რა ვსთქვა? უნდა კაცობა
  ბაკურმა დაიკვეხოსა..."
  („ბაკური")

3. „ვის მოგილოცოთ სახელი,
  ვინა ხართ სახელიანი?"
  —„პირველ—ობოლი კვირია,
  სახე აქვს ნათელიანი"...
  —„თუშჩი ვინ ვარგდა, მითხარით,
  კაცად ვინ უფრო არია?"
  — „ზეზვაი, ძმაო, ზეზვაი,
  მთელის თუშების დარია..."
  —„ახლა ისა სთქვით, მოყმენო,
  ვინ დარჩა სირცხვილიანი?"
  —„წიწოლამ ლაფით გაგვთხიფა,
  გაგვექცა სირბილიანი!
  ნეტარ სად დაიმალება
  სიცოცხლით სიკვდილიანი?"
  („ბახტრიონი")

4. „სკოლა თუ არ მოსწონს სოფელს, მასწავლებელი რადღა მოსწონს? იმიტომ რომ ახალგაზრდა კაცია,... ხათრიანობს, ხალხის სიყვარული აქვს, ყველას ძმობას ესაუბრება, ყველას თავმდაბლად ეპყრობა. ატყობენ, რომ მასწავლებელს გული შესტკივა სოფლისათვის; თუ კი რამ ღონე აქვს, ცდილობს ყველას უშველოს... საქმეზედ თავდადებულია" („სოფლის სურათები").

5. „რატომ არ მოსწონს სოფელს მამასახლისი?" „იმიტომ, რომ მანამ მამასახლისად ამოირჩევდენ, ჭკვიანი, ცხვარივით ბიჭი იყო და ამისათვისაც ამოირჩია სოფელმა. როდესაც ამოირჩიეს, ეს ჯაჭვი დაჰკიდეს ყელზე, მაშინ კი სრულიად გამოიცვალა: შედგა მაღალქუსლიანს „აპოიკის" ჩექმებზე, დაიკერა ბუზმენტები ჩოხა-ახალუხზე, დაუჭერია ხელში მათრახი და, ვინც ქუდს არ მოუხდის, როგორც ჩინს, სალამს არ მიართმევს, გადაუხტება და მათრახით „ააჭრელებს" (იქვე).

ბევრ შემთხვევაში ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების მთლიანობას ქმნის პერიოდულად განმეორებული შეკითხვა-პასუხი, რომელთა თანამიმდევრობა თავისებურ რიტმსაც ქმნის და ნაწარმოებსაც გარკვეულ ხასიათს აძლევს — მაგალ.: „სოფლის სურათები", ერეკლეს სიზმარი", „სიმღერა" („შინ ბრუნდებიან"), „ბაკური", „არწივი", „ნიბლიას ანდერძი", „ჩივილი ხმლისა", „გიგი", „ბახტრიონი" და სხვ.

ჩვენ აქ ვაჟა-ფშაველას მდიდარი შემოქმედებიდან მხოლოდ რამ-

დენიმე მისთვის დამახასიათებელი ხერხი აღვნიშნეთ. ამასთან ერთად, ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ მგოსნის მიერ ზემოაღნიშნული ყოველი პოეტური ნიმუში მარტო ერთი რომელიმე პოეტური საშუალების გამომხატველი კი არ არის, არამედ ყოველ მათგანში ძირითადად წამყვან პოეტურ საშუალებასთან ერთად ბუნებრივად შერწყმულია სხვადასხვა საშუალებებიც. ვაჟა-ფშაველას ყოველი პოეტური თქმა, შეიძლება ითქვას, პოეტურ საშუალებათა კომპლექსია მოვლენის თუ საგნის მრავალმხრივი პოეტური გამოვლინებისა. სწორედ ესაა მიზეზი, რომ მკითხველში ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედება იწვევს მაღალსა და რთულ ესთეტიკურ განცდას. ამაშიცაა მისი შემოქმედების დამატყვევებელი ძალა.

* * *

ვაჟა-ფშაველას პოეტური სტილისათვის აგრეთვე დამახასიათებელია აფორიზმების უხვად ხმარება. ავტორი აფორიზმში, ჩვეულებრივ, შეკუმშული და ამომწურავი სახით მკითხველს აძლევს თავისი ხანგრძლივი წლების მანძილზე ცხოვრების დაკვირვების შედეგს. აფორიზმში, როგორც სხვა მის მსგავს ლიტერატურულ სახეში, ნათლად და მკაფიოდ იგრძნობა „საუკუნეთა სიბრძნე". აფორიზმში, თუმცა არ არის არც ეპიგრამის პოლემიკური მიმართულება, არც ლოზუნგის სააგიტაციო მოქმედი ელემენტი, არც მეცნიერული ბრძნული ნათქვამის აზრი, რომელიც მთელი ისტორიული ფორმაციის სოციალური გამოხატულებაა, ლოგიკური მტკიცების ხასიათს რომ ატარებს, არც ანდაზის მახვილი გამოთქმის ბუნებაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათსა და აფორიზმს შორის საზღვრის დადება ხშირად ძნელი ხდება. მიუხედავად არსებითი განსხვავებისა, აფორიზმში აღნიშნული სახეების ელემენტები საგრძნობლადაა ბუნებრივად ჩაქსოვილი. აფორიზმს აღნიშნულ სახეებთან მაინც საერთო ბევრი რამ აქვს; განსაკუთრებით კი მათში საერთოა დიდაქტიკური ელემენტი და ლაპიდარული გამოთქმის ფორმა. ამით აიხსნება, რომ აფორიზმი ხშირად იღებს ბრძნული თქმის, ანდაზის, ეპიგრამის, ლოზუნგის თუ მნიშვნელობას არა, ხასიათს ან იერს მაინც. ამასთან ერთად, აღნიშნული ჟანრებისაგან აფორიზმის არსებითი განმასხვავებელი ნიშანია — დამთავრებული აზრის გამოხატვა და უაღრესად ინდივიდუალური ხასიათი. მაშინ, როდესაც ბრძნული ნათქვამი, ანდაზა, ეპიგრამა უფრო ანონიმური ხასიათისაა. აფორიზმი მხატვრული სტილის საშუალებით სწრაფად და ძალდაუტანებლად ახერხებს ნათქვამს დამაჯერებლობა მისცეს.

ვაჟა-ფშაველასათვის დამახასიათებელია ნიჭიერი, მახვილი გამოყენება, როგორც ჩართული აფორიზმისა, როდესაც აფორიზმი შექ-

სოვილია ნაწარმოების არა აფორისტულ კონტექსტში, ისე მთლიანი აფორისტული ლირიკული ნაწარმოებისაც.

ნიმუშები ჩართული აფორიზმებისა:

1. ერთი იცინის, სხვა სტირის:
ესეთი არის ქვეყანა.
(„სიმღერა“)

2. შაჭირვებელა სოფელი,
ძებნა სჭირდება ბადლისა:
ვაი რომ ცუდი ბევრია,
პოვნა ძნელია კარგისა!
(„სიკვდილი გმირისა“)

3. მამულის სხივი აქარვებს
გმირის ოხვრას და გმინვასა.
(„სიმღერა“)

4. ცოტა მაქვს, ცოტას ეჯერდები,
ბეჩავთაც გავუზიარებ.
სიკეთისათვის სიკეთეს
არავის დავუგვიანებ.
(„სიმღერა“)

5. სიკვდილისათვის ერთია
მდიდრის და საწყლის ცხოვრება,
სიკვდილის დათრგუნვას ვცდილობთ,
როს გვწადს სახელის პოება.
(„სიმღერა“)

6. ნეტავი იმას, ვინაცა
მკვდარი გასწირავს სახელსა,
და ყველა იმის ხსოვნასა
გულს ინთებს როგორც სანთელსა.
(„სისხლის ძიება“)

7. რაც ციხე აქამღის ვაგე,
ახლა დავშალო კარგია?
სხვას ყველას ვპოვებთ სახელს ვერ,
თუ ერთხელ დაგვიკარგია.
(იქვე)

8. ფლიდია ესე სოფელი,
ფლიდთა საყრელი ხელისა;
კარგებსა სჩაგრავს, უმსგავსთ კი
კალთას აფარებს, ჰშველისა;
მართალი წუთისოფელში
შვებას ამოდ ელისა.
(იქვე)

9. თავის მარცხს კაცნი ვერ ვიტყვით,
ჩქარა ვიუბნევთ სხვისისა.
(„გველის მჭამელი“)

10. ყველაც არ ნატრობს იმასა,
რომ მოკვდეს დაუძრახავი? —
უსაქმოდ კაცი არ ვარგა,
მხოლოდ ფიქრების მჩმახავი!...
(„სული ობლისა“).

აფორიზმის მრავალი სხვა ამგვარი ნიმუშის მოყვანა შეიძლებოდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან, მაგრამ, ვფიქრობთ, მოყვანილიც საკმარისი სიმკვეთრით აგრძნობინებს მკითხველს მისი შემოქმედების ამ თვისების ძალასაცა და ხასიათსაც.

ვაჟა-ფშაველას ბუნებისა და მსოფლმხედველობის ფილოსოფიური და საზოგადოებრივი მიმართულება აფორიზმის გამოყენებაშიც, უდავოდ, თავისებურებით და მკვეთრადაა გამოვლინებული. მგოსნის ცალკეულ ნაწარმოებთ ჩართული აფორიზმი ხშირად ისე მრავალფეროვნად, უხვადა და მჭიდროდა აქვთ შექსოვილი და მასთან ერთად ისეთი ბუნებრიობით, რომ მკითხველს დაფიქრება სჭირდება გაარკვიოს, სად იწყება აფორიზმი და სად თავდება ნაწარმოების არააფორისტული კონტექსტი. ვაჟა-ფშაველას მრავალი ნაწარმოები ნიჭიერადაა აფერადებული ჩართული აფორიზმებით. მაგალ.: „სისხლის ძიება“, „სული ობლისა“, „გველის მჭამელი“ და მრავალი სხვა.

ვაჟა-ფშაველას, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ახასიათებს, გარდა ჩართული აფორიზმების გამოყენებისა, აგრეთვე მთლიანი აფორისტული ნაწარმოების შექმნაც. მაგალითად: „სიმღერა“ („როგორც იქნება მოვკვდები“...), „ქეიფი“, „ომის წინ ჯარის სიმღერა“, „სიმღერა“ („რა გინდა ბედმა მიმტყუნოს“), „სიმღერა“ („ყელასაცა გვაქვს, ნუ გიკვირთ“), „სიმღერა“ („მრწამს, მარად მიწამებია“...), „პაპიჩემის ანდერძი“, „მთანი მაღალნი“, „მთის წყარო“, „ქუჩი“ და სხვა.

ნიმუშისათვის მოვიყვანოთ აღნიშნულთა შორის ყველაზე პატარა მოცულობის ნაწარმოები — ლექსი „ქეიფი“.

დამისხი, დამალევინე,
ე ღვინო, ოხერ-ტიალი,
ეგება წალმა ვიფიქრო
სოფლის უკუღმა ტრიალი!
ეგება გულის ეარამი
ჩავკლა მა ჯიხვის რქაშია:
თვალთ წინ დამიდგეს ლამაზი,
ერეოლა მომკიდოს ტანშია,
დეზი ვკრა ჩემსა ლურჯასა,
გადავერიო ზღვაშია.
თქვენთან ძაღლურად სიცოცხლეს,
სიკვდილი მიჯობს ცაშია,
ვერ მააწონებ კარგ ყმასა
რაც არ უჯდება ჭკვაშია!

ამგვარად, როგორც მოყვანილი ნიმუშებიდანაც ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, ვაჟა-ფშაველას აფორიზმებს ინდივიდუალური ხასიათი აქვთ. ისინი მშვენივრად ამახვილებენ და ამჟღავნებენ მთის მგოსნის თავისებურ ორიგინალურ ბუნებას, განწყობილებას, მსოფლმხედველობას.

ძირითადი თემა ვაჟა-ფშაველას აფორიზმებისა, როგორც აღნიშნულიდანაც შეიძლება დავინახოთ, არის პოეტის მიერ ცხოვრების არსის გაგების დაუძლეველი სურვილი, ვაჟკაცის მიერ ქვეყნისა და მოძმისათვის თავდადება, სიკეთისა, სიმართლისა და სიყვარულის საფუძველზე ცხოვრების მოწესრიგება, არსებული ცხოვრების სიმუხთლის გამოაშკარავება. სწორედ ამ მტკივნეული საკითხების გარშემოა აკვესებული ვაჟა-ფშაველას დიდი პოეტური ნიჭიც.

* * *

ვაჟა-ფშაველას პოეტური მეტყველება ძლიერია და მიმზიდველი არა მხოლოდ თავისი სურათოვნობით და ემოციონალობით, რითაც ის მკითხველის გრძნობასა და წარმოსახვას მეტად თავისებურად, ინტენსიურად აღელვებს და ატყვევებს, არამედ აგრეთვე იმითაც, რომ ის მკითხველის გონებასაც ისეთივე ინტენსივობით ამოქმედებს. ვაჟა-ფშაველა მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე მგოსნისაგან დაჟინებით მოითხოვდა საზოგადოებრივ-სასარგებლო, გამოფხიზლებულ მოღვაწეობას. მგოსანი, ვაჟა-ფშაველას გაგებით, ხომ პირველ რიგში

მოქალაქეა, საზოგადოების ცხოვრების ფხიზელი გუშაგია. ის მგოსანს თხოვს:

სმენლის გულსა ჰკარ მალამოდ
სიტყვა მართალი, წყლიანი,
ადუღე გრძნობა, ადუღე,
ქვა იქმნას დავლათიანი!
რა ტურფა სანახავია
ქვეყანა ქვათა-მყოფელი,
ერთის ფიქრით და გრძნობითა
გამტკიცებული სოფელი.
მტერს რა ლამაზად დაჰხვდება
არსებით განუყოფელი.

(„მგოსანს“)

და მთის მგოსანიც ხომ თვითონვე ამ ამოცანის განხორციელებას ემსახურებოდა მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე. ვაჟა-ფშაველა, პირველ რიგში, ცდილობს გამოთქვას „აზრი წმინდა“, „სიტყვა მართალი“, რათა ეს მსმენელის გულს მალამოდ მოსცხოს და მისი გულიც აადუღოს.

თუ მერიმეს შეეძლო ეთქვა, რომ პუშკინი აზრს ეძებს და არა ლამაზ სიტყვებსო, ესევე შეიძლება ურყევად ითქვას ვაჟა-ფშაველას მიმართაც; მიუხედავად მისი მეტყველების დიდი სურათოვნობისა და ემოციონალობისა, თუ მთის მგოსანს სიტყვა მოსდის „წყლიანი“ და მასთან ერთად აზრისაც მკვეთრი, ზუსტი გამომხატველია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვაჟა-ფშაველას სიტყვის მარაგი მდიდარია და მასთან ერთად მაქსიმალურად ზუსტი და ნათელი.

აზრის ზღვრულ სიზუსტეს ვაჟა-ფშაველა აღწევს მით, რომ მას დიდი და საღი ალღოთი ემარჯვება შეარჩიოს საგნის თუ მოვლენის ძირითადი დამახასიათებელი თვისებები, დეტალები და მათი ორიგინალური და ორგანული შერწყმა, შეხამება. ვაჟა-ფშაველა ადვილად ეუფლება აზრის ზუსტი გამოხატვისათვის შესაფერი სიტყვის მონახვას. გარდა ამისა, ვაჟა-ფშაველას სტილისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია სიტყვის მეტად ეკონომიური გამოყენება. ის, ჩვეულებრივ, სასტიკად გაურბის საგნის თუ მოვლენის დეტალების აღწერას, იძლევა მხოლოდ ძირითად დამახასიათებელ ხაზებს, ნიშნებს. ხაზგასმით უნდა ითქვას, ყველაფერს, რასაც კი შეუძლია აზრის სიზუსტეს ავნოს, მკითხველის წარმოსახვა და მთლიანი ესთეტიკური შთაბეჭდილება ზედმეტად დატვირთოს, რაც კი მოცემული განუმეორებელი შეხამების შთაბეჭდილებას მკითხველში შეანელებს, შეასუსტებს — მგოსანი, უდავოდ, გაურბის.

მაგალითად, ვაჟა-ფშაველა, შეიძლება ითქვას, ერთის კალმის მოსმით, მცირე მაგრამ დამახასიათებელი შედარება-ეპითეტის გამოყენებით ახერხებს აღაზას წარმტაცი სახე მკითხველს გააცნოს, მძლავრად შთაუბეჭდოს და ღრმად დააინტერესოს:

გამოჩნდა ქალი ლამაზი,
შავის ტანსაცმლით მოსილი,
როგორაც ალყა ტანადა,
ვარსკვლავი ციდამ მოცლილი.

(„სტუმარ-მასპინძელი“)

ან ავიღოთ მეორე შემთხვევა ამავე პოემიდან: ზვიადაურის ვაჟკაცობა, მისი გაუტეხელი, მტკიცე ხასიათი, მის მიერ მთის ტრადიციის შედგარი დაცვა, ზვიადაური როგორც „კაი ყმა“, რომ მკითხველს სისრულით გააცდევინოს, გააგებინოს, ვაჟა-ფშაველა კმაყოფილდება უიარაღო ზვიადაურის მიერ გარს შემორტყმულ შეიარაღებულ ქისტთა თემის წინააღმდეგ რამდენჯერმე არაჩვეულებრივი შეუპოვრობით გამეორებული თქმით — „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა“. და მკითხველიც დაკმაყოფილებულია — ზვიადაური ვაჟკაცია, მდიდარი არა მარტო ფიზიკური ძალით, არამედ აგრეთვე მდიდარი სულიერი სამყაროთიც. ამიტომაც მგოსნის აღტაცება, ზვიადაურის ქცევით გამოწვეული, ლირიკულ განდგომაში გამოვლინებული —

> სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის, —
> ზვიადაური კვდებოდა,
> გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,
> გული გულადვე რჩებოდა.
> („სტუმარ-მასპინძელი“)

მკითხველზედაც ადვილად გადადის. მკითხველიც ზვიადაურისადმი ავტორის გრძნობითა და გაგებით იმსჭვალება.

ამ დამახასიათებელი სტილიური ნიშნის გამოვლინებაში ვაჟა-ფშაველას, უდავოდ, დიდად ეხმარება ხალხური სიტყვიერების ზედმიწევნით კარგი ცოდნა და მისი ნიჭიერი გამოყენება. მართალია, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ფშაური დიალექტის გამოყენებაში ვაჟა-ფშაველა აჭარბებს, რითაც ის ხელს არ უწყობდა ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ი. გოგებაშვილის და სხვათა მიერ ქართული სალიტერატურო ენის სწრაფი განმტკიცების საქმეს, მაგრამ, მეორე მხრით, ახლო და კარგი ცოდნა და თავისუფალი გამოყენება ხალხური მდიდარი მეტყველებისა, რომელიც ხასიათდება სისადავით, სურათოვნობით და წმინდა ხალხური ელფერით, რაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ითქვას მრავალი უცხო ენებიდან შემოტანილი სიტყვებისა და ნეოლოგიზმების შესახებ, უდავოდ, მგოსანს საგრძნობ სამსახურს უწევდა.

ვფიქრობთ, ამ გარემოებით (ნაწილობრივ მაინც) უნდა აიხსნებოდეს, ის, რომ ვაჟა-ფშაველას პოეტურ მეტყველებაში სრულიად განდევნილია ევროპული და საერთოდ უცხო სიტყვები.

ცნობილია, რომ ხალხურ მეტყველებაში სიტყვის ძირი არ არის დაჩრდილული. მასში ადვილად იგრძნობა სიტყვის პირვანდელი აზრი. ამას მშვენივრად გრძნობდნენ როგორც უცხო, ისე ქართველი ცნობილი დიდი შემოქმედი მწერლები და უხვად სარგებლობდნენ ხალხური მეტყველების სალაროთი თავიანთ შემოქმედებაში — ა. პუშკინი, ა. გრიბოედოვი, ი. კრილოვი, მ. გორკი, შ. რუსთაველი, სულხან-საბა

ორბელიანი, დავ. გურამიშვილი, ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და მრავალი სხვა. ეჭვს გარეშეა ამ მიმართულებით მათ შორის ვაჟა-ფშაველასაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

* * *

ვაჟა-ფშაველას პოეტური მეტყველების სიზუსტეს, ნიშანდობლიობას, ძალას, ზემოაღნიშნულს გარდა, მნიშვნელოვნად ხელს უწყობს მგოსნის დიდი უნარი და აზრი გამოთქვას თუ გამოხატოს მარტივი, ხშირად მოკლე, სხარტი დამოუკიდებელი წინადადებებით.

ნიმუშისათვის:

გულში მატულობს ვარამი,
გარს მოდებული ცეცხლითა,
მას ვერ გაჰკურნავთ, ეცადოთ
ქვეყნის მეფეთა ვერცხლითა.

არა აქვს ჩემს წყლულს წამალი,
ქვეყნად ვერ ვპოვე მკურნალი,
აღარცა ვრჩები, არც ვკვდები,
განკურნებისა მწყურვალი.

(„გულში მატულობს ვარამი")

ვაჟა-ფშაველა აზრის მკვეთრს, ზუსტსა და დამაჯერებელ გამოთქმას ხშირად იძლევა მოკლე, მარტივი წინადადებებით, სურათოვან საშუალებათა გარეშე ან უკანასკნელთა მინიმუმამდე დაყვანით.

ნიმუშისათვის:

აგერ ამოდგა აჩრდილი.
აკლდამის კარი გაიღო;
რა ფრიად შეწუხებულა,
ხელში ფრანგული აიღო...
მოჰგვარეს ლურჯი ტაიჭი.
ნალმა ძგრიალი გაიღო,

თვალთაგან ცრემლ-დანადენსა.
სისხლი უცინის მკვლავზედა.
მაინც არ სტყდება მოხუცი,
ხელი უელია ხმალზედა;
გასცქერის ტფილისისაკენ,
აღშფოთებული ძალზედა.

(„1795 წ. სახსოვრად")

აქ ყველა წინადადება დამოუკიდებელია, ყოველი მათგანი, თითქოს, დამოუკიდებელი აზრის გამომხატველია. მათ შორის არ არის დამოკიდებულების ან შეერთების კავშირიც კი. სამაგიეროდ, ამ წინადადებებს შორის, ავტორის მიერ გამოთქმული ერთი მთლიანი აზრის ფარგლებში, არსებობს და მძლავრადაც იგრძნობა ენობრივი ფორმალური კავშირი.

ასევეა ვაჟა-ფშაველას პროზაშიაც: „ერთხელ ძლიერ დაცხა. დედაჩემი საწოლიდან ადგა და მითხრა, წყალზე წავიდეთო. წავედით, დავუყევით წვრილიანს სერს, ჩავიარეთ შამბაზე, ჩავედით ხევში. ხევი ღრმა იყო, მზის სხივები ვერ ჩასწვდომოდა. აქეთ-იქით ნაპირებზე ხეები ერთმანეთზე გადაკვანძულიყო წვერებით. ხის ძირებზე, იქვე ხევის პირად, ჟოლის ფესვები იყო ამოსული, წითლად თავი დაეხარათ და გადმოჰყურებდენ წყლის დენას. ცივი ანკარა ხევი მოჩუხჩუხებდა.

დედაჩემი მივიდა და ჩადგა შიგ გუბეში. მე ძლივს დავდიოდი ქვებზე, — ჩლიქები მტკიოდა“ („შვლის ნუკრის ნაამბობი“).

მოვიყვანოთ კიდევ ერთი ნიმუში: „მთელი ღამე დავდიოდით ველზე. აღარ გვეშინოდა. გავედით სვილში და ტკბილად შევცქეროდით, თენება დაიწყო. მივიქეცით ტყეში. წყეული იყოს იმ დღის გათენება! ველზედ სქლად იწვა ბალახი. ველში იდგა ორი-სამი ძირი ბალი; ჯგუფ-ჯგუფად ეხვეოდნენ ჩიტები, შაშვები; ყივილ-ხივილი ისმოდა; ზოგნი მოდიოდენ და ზოგნი მიდიოდენ: მიეზიდებოდენ შვილებისთვის საზრდოს. დედამ გამაფრთხილა და მითხრა: საშიშია ამ დროს სიარული, ჩვენი მტერი ნაწვიმზე დაგვეძებს, აქეთ-იქით თვალი გვეჭიროსო“... (იქვე) და მრავალი სხვა ამგვარი.

ვაჟა-ფშაველა გაურბის რა გრძელ წინადადებებს, წინადადებათა რთულ კონსტრუქციებს, ამით ახერხებს მეტყველებას მეტი დინამიურობა მისცეს და აზრის ლოგიკური განვითარებაც მეტი რელიეფურობით გამოხატოს, ამიტომ ვაჟა-ფშაველას ფრაზა ჩვეულებრივ მოკლეა. მის მეტყველებაში მოცემულია შერწყმა მარტივ მოკლე წინადადებათა, რომელთა შორის მკაფიოდ იგრძნობა პაუზა. ვაჟა-ფშაველა ენერგიულად გაურბის დაქვემდებარებულ წინადადებებს და დამაკავშირებელ სიტყვებს:

სიცოცხლემ შხამი მასმია,
მე კახურ ღვინოდ შავირგე;
შავსვი და არც მოვერიდე,
თუმც მის სიმწარე გავიგე.
ვიცოდი, ეს იქნებოდა:
ეკლის ლოგინიც დავიგე,
ეწევარ და მძინავ ტკბილადა,
აი ბიჭობაც ეს არი!
მაღლიდან შავი ღრუბელი
თავს დამწოლია მჭეხარი.

(„სიმღერა“)

ასეთივე სტილიური ნიშანი ახასიათებს ვაჟა-ფშაველას პროზასაც: „იდგნენ და ელოდენ. უსაზღვროა მთების მოლოდინი; უსაზღვრო ზღვადა სდგას იმათ გულში. წითლად, სისხლისფრად შედედებული უთიმთიმებთ გულ-მკერდში. გარეთ, სახეზე-კი არაფერი ეტყობათ, გარდა მტრობისა. ეს არის კიდეც ნიშანი მოლოდინისა („მთანი მაღალნი).

მართალია, ვაჟა-ფშაველა ხმარობს დამაკავშირებელ სიტყვებს, მაგრამ ძალიან იშვიათად, განსაკუთრებით კი პოეზიაში, და იმათაც მარტივს — დ ა, თ უ; აგრეთვე იშვიათად გვხვდება რთული წინადადება და ისიც არა უმეტესი ორი წინადადებისაგან შემდგარი და მარტივი კავშირით — რომ, რა, თუმცა, მაინც, მაგრამ-ით შეერთებული:

მოვმართავ მჭვარტლიანს ჩონგურს,
სიმნი იწყებენ ჟღერასა,
და მეც ძმობილის სახსოვრად
ასე დავიწყებ მღერასა.

(„რუს-იმერელს“)

იმავ ჭირით ვარ სნეული,
რაც შენ გატყვია წყლულადა.
რა ვუყოთ?! ბედი, შავბედი
თუმცა გვექცევა მგლურადა,

მაინც ვაჟღერებ ჩონგურსა
ტარვალთა შესამუსრადა, —
შენს სამახსოვროდ, მოხეცო,
თავს ჩაჩქნად დასახურადა...
(„აკაკის საიუბილეოდ“)

ასევეა ვაჟა-ფშაველა პროზაშიც:

„გოჩს რამდენის ჩიტის ხმა გაუგონია, მაგრამ ყური არ უგდია. სიყვარულის მღერაზე-კი დაჰკიდა დიდრონი, გაწეწილი თავი, თვალები მოუწყლიანდა, გაეღიმა პირველად თავის სიცოცხლეში. საუცხოო ძალა იგრძნო გოჩმა. მოინდომა სიყვარულთან ახლო მისვლა, მაგრამ მანამ ის ადგებოდა, სიყვარული თვითონ მიფრინდა და დაუჯდა წინ. სიყვარულმა ნახა ძვლები კაცისა, გასისხლული კარის-პირი და შაეზარა“ („გოჩი“).

კიდევ: „არუთინა თაგვივით წვრილს თვალებს აციმციმებს და თხელს, მოკლე წარბებს შეათამაშებს. ვაჭრობის დროს დარბაისლობს, არ გაიცინებს, თუმცა იოხუნჯებს-კი, მაგრამ გამჭრიახი, გამოცდილი თვალი მალე შეატყობს, რომ არუთინა თავიდამ ფეხებამდე სიცრუისაგან, სიფლიდისაგან და ეშმაკობისაგან არის მოქსოვილი“... („დარეჯანი“).

უნდა ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველა როგორც პოეზიაში, ისე პროზაშიც გარკვეულად მარტივი მოკლე წინადადებებით აზროვნებს.

ვაჟა-ფშაველას წინადადებაში სიმძიმის ცენტრი გადატანილია არსებით სახელზე და ზმნაზე.

ნიმუშისათვის:

თოვლი სთოვს, ქარი ბობოქრობს,
ყელებ შაკრულა მთებისა;
ჩამოდის ხევად ზოვები,
ჩამონასხლეტნი კლდებისა.

გაუბამს ყინულს ლურჯადა
უბე კალთების წყლებისა,
მიუნაქრია ერთიან
ვიწრო სავალი გზებისა.
(„ალუდა ქეთელაური“)

ასევეა ვაჟა-ფშაველას პროზაშიც:

„ახალწლის წინა ღამეა. სოსიკა და მისი გუგული კერაზე სხედან. გუგული კალთაში უჯდა თავის პაპას და მოუსვენრად ფეხებს უსვამდა დაბლა კერის პირზე“ („მელია-კუდაგრძელია“).

აღნიშნული სტილიური ნიშნებიც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისათვის იმდენად დამახასიათებელია, რომ მაგალითების კიდევ მოტანა აღარ მიგვაჩნია საჭიროდ.

* * *

ვაჟა-ფშაველა მკითხველზე შთაბეჭდილების გაღრმავებისა და გამახვილების მიზნით, საგნისა თუ მოვლენის ძირითადი დამახასიათებელი თვისებების შერჩევაში იყენებს აგრეთვე გრადაციას. გრადაცია

საგნის თუ მოვლენის თვისებების თანამიმდევრობითი განლაგებაა, რაც მისგან მიღებულ შთაბეჭდილებას მკითხველში თანდათან ამკვეთრებს, ზრდის, აძლიერებს.

როცა გიგლია კვდებოდა,
მთებ სატირელზედ სხდებოდა;
ერთი ბებერი არწივი
ზეით ჰიუხში წყრებოდა,
საყორნის თავი მაღალი
ზედ შუა გულზედ ტყვრებოდა,
მაღლით მომფრენი მთის წყარო
სიბრალულისგან შრებოდა.
ბეჩავი იმის ლურჯაი
გიგლიას თავით ბნდებოდა,
ტოტ დასცის, დაიჭიხვინის,
თვალებში ცრემლი ჰხლებოდა,
სამყარომ შავი ჩაიცვა...
მყვირალი რაღას შვრებოდა?
(„გიგლია“)

კიდევ:

ჩემს ტურფა მხარეს მკერდს დავაკერე
სიტყვა საგმირო, სიტყვა ლამაზი,
და ამ ჩემს მღერას ყურს რომ უგდებენ
ქართლელ-კახელი, იმერ-აფხაზი.
მამა-პაპათა აკლდამებიდან
გამოვიწვიე გმირთა აჩრდილი
და დავუკოცნე იმათ მკლავები,
სახე შუბის წვრით და ხმლით აჩრჩნილი;
მე გავაცოცხლე ხელის შეხებით
ლეში მდუმარე, ლეში გახრწნილი.
თავზე დავადგი დაფნის გვირგვინი,
წელი შევუმკე ისევაც ხმლითა,
ნოყიერად ექმენ ამგვალი მიწა,
როგორაც წვიმამ, მოსულმა ცითა.
(„ნუგეში მგოსნისა“)

ასევეა ვაჟა-ფშაველა პროზაშიც:

„საბრალო წიფელი! ერთი დრო იყო, რომ ესეც ამაყად გაბარჯღული იდგა, სხვა ხეებს ბევრით მაღლა ასცილებოდა და თავის დიდრონ ტოტებითა და ფოთლებით ქოხივით ეხურებოდა თავს მთელს ტყეს“ („ხმელი წიფელი“).

კიდევ: „სდგან და ელიან. წვიმა წვიმს იმათ თავზედ, ელვა უტუსავს ოქროს ქოჩორს, მეხი ეთამაშება იმათ თვალებს და ხშირადაც ერჭობა ისარივით გულ-მკერდში. არაფერია. ინგრევა ხშირად ნახევარი მთა და ზვავად მიდის ხევში“ („მთანი მაღალნი“) და მრავალი სხვა.

ეს სტილიური ნიშანიც დამახასიათებელია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისათვის. ისე სადად, მკვეთრად, დამაჯერებლად რომ დახატოს საგანი თუ მოვლენა, როგორც ეს ჩვენ მოცემული გვაქვს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, საჭიროა: მძლავრად, თავისუფლად ფლობდეს კაცი ენას; ღრმად, ფართოდ იცნობდეს და ითვალისწინებდეს ცხოვრების მოვლენებს; ეს მოვლენები ბოლომდე გაიგოს, გამოარკვიოს და გამოავლინოს იმათი ძირითადი თვისებები; დააჯგუფოს ისინი ისე, რომ მათ შეერთებაში გამოაშკარავდეს საგნისა თუ მოვლენის არსი და ავტორის იდეა, რომლებიც მათგან წარმოიშობა. ყველა ამ თვისებით ვაჟა-ფშაველა უხვად იყო დაჯილდოებული. სწორედ ამითაც აიხსნება, რომ მის შემოქმედებაში არამც თუ ყოველ წინადადებასა და სიტყვას აქვს თავისი შესატყვისი რეზონანსი მკითხველის შეგნებაში, არამედ ყოველ ბგერასაც კი.

* * *

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისათვის, აგრეთვე, დამახასიათებელია ცხოვრების მოვლენების მოკლედ, შეკუმშულად, ეკონომიურად მოცემა. ამაში მას ეხმარება მარტივი სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც ხალხური ჩვეულებრივი მეტყველების სინტაქსს ეყრდნობა, ყოველ შემთხვევაში მას რომ უახლოვდება.

„მემღერება და ვიმღერი;
გულზე მჭირს სამი იარა:
წარსულზე ფიქრი მაწუხებს,
აწმყოში არა ყრია-რა
და მომავალის ფიქრებიც
არავინ გამიზიარა!“

(„სიმღერა“)

აქ ყოველი წინადადება მარტივია, მოკლე, სხარტი, აზრის ზუსტად და ზედმიწევნით შეკუმშულად გამომთქმელი.

ვაჟა-ფშაველას სინტაქსთანაა მჭიდროდ დაკავშირებული მისი პოეზიისა და პროზის რიტმიული წყობაც — საგნისა თუ მოვლენის მარტივ, მოკლე წინადადებათა საშუალებით ლაპიდარული გამოცემა, რაც იწვევს მეტყველების სისწრაფეს, დინამიკას, აჩქარებულ რიტმს, რაც უმაღლეს წერტილამდეა მისული.

ნიმუშისათვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„რა ვნახეთ მტერი, მივცვივდით
ხმალ-მოწვდით, გამალულები
და დავინთქენით სპარსებში,
გარს მტრისგან შემორტყმულები.
ხმალთ სტვენას, ცხენთა ჭიხვინსა
ბანს აძლევს სისხლის ჩხრიალი,
და თავმომწონე დროშებსა
ჰაერში გააქვს ფრიალი.

(„მოხუცის ნათქვამი“)

კიდევ:

ძმებმა ხმალს ჰკითხეს, ფარი იფარეს,
ცხენების ბორგვნას მისციან ნება;
კარი გაიღო თათრის ჯარისა,
გუბე და გუბე სისხლისა დგება.
სისხლი ხმლის წვერმა ზეცას აწვიმა,
მერე მიწაზედ დაიწყო დენა,
როგორაც წყალმა, ნადენმა კოკით.

(„სულა და კურდღელა“)

ასეთივეა ვაჟა-ფშაველას პროზის ბუნებაც:

„სდებს თოვლს. ჰყინავს. ცივა. ქვა ტყვრება. მთებს სუდარი ჩაუცვამთო ტანზე, თითქოს მკვდრები იყვნენ. დაგვმარხეთ, დაგვმარხეთო — გვეძახიან“ („მთანი მაღალნი“).

კიდევ:

„რას ჰხედავდა ზაფხული? რა აღონებდა იმას? რა აშფოთებდა? იცით რას? ზაფხული ჰხედავდა, რომ მთელი მისი სიმდიდრე, მისი ქონება იღუპებოდა; შნო და ლაზათი ეკარგებოდა; რჩებოდა ტიალ-ოხრად. მოვარდა საშინელი მდინარე: წალეკა მთა-ბარი, გაატიალა მინდვრები; ურიცხვი კონა მისი საამაყო ყვავილებისა იტურტლებოდა ლამ-

ში და ლაფში; მთები ინგრეოდა, ხეები ტყდებოდა; მდინარეები, ზღვები, ტბები დამშრალიყვნენ“ („ზაფხულის სიზმრები“).

ამ მოტანილ ნაწყვეტებში, როგორც სხვა მრავალშიც, ვაჟა-ფშაველას საზოგადოებრივი განწყობილება გადაკვრით, ალეგორიულადაა მოცემული, რაც აგრეთვე აძლიერებს, სჭიმავს მკითხველის ყურადღებას.

მოცემულ ნიმუშებში და სხვა მრავალ ამგვარში ვაჟა-ფშაველას მეტყველების დინამიურობა შეიძლება აიხსნას აგრეთვე იმითაც, რომ ის ხატავს აქტიურ მოვლენებს, რომელნიც მაქსიმალურად არიან გაჟღენთილი მოქმედებით, ინტენსივობით. ამასთან ერთად ვაჟა-ფშაველა, მართალია, ცდილობს სინამდვილე ობიექტურად ასახოს, მაგრამ, ვინაიდან ის ამ მოვლენებთან მჭიდროდაა დაკავშირებული, მათდამი სიახლოვესა და დაინტერესებას დიდად განიცდის და ამას ვერც მალავს. ვაჟა-ფშაველას გადმოცემაში მკითხველს გამუდმებით ესმის მის მიერ აღწერილი მოვლენისადმი თუ მოცემული მოქმედი პირისადმი ავტორის აღელვებული ხმა, მისი თანაგრძნობა თუ უკმაყოფილება. მწერლის ასეთი დამოკიდებულება საკმარისი გამჭვირვალებით (რომელიც მხატვრულობას არამცთუ არა ვნებს, არამედ ამახვილებს) ვლინდება ეპითეტის, ჰიპერბოლის, მეტაფორის, ანტითეზის, შედარებისა და სხვათა საშუალებებით.

* * *

აღნიშნულ პოეტურ საშუალებათა გარდა, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ნიჭიერადაა გამოყენებული ლირიკულ წიაღსვლათა ხერხიც. მგოსანი „ობიექტურ“ გადმოცემისას მოვლენის და მოქმედი პირის ხასიათის გაშლაში მოხდენილად და ბუნებრივად აქსოვს თავის შენიშვნებს. გადმოცემაში ვაჟა-ფშაველა, თითქოს, შემთხვევით, უნებლიეთ იჭრება და სხვათა შორის ამჟღავნებს თავის პირად დამოკიდებულებასაც, რაც გამოწვეულია პერსონაჟის სიმამაცით, გამბედაობით, ვაჟკაცობით, მაღალი საზოგადოებრივი განწყობილებით, ან სიმხდალით, ეერაგობით თუ მოვლენის სასურველი ან გასაკიცხი განვითარებით. ავტორის ამგვარი წიაღსვლა ნათელს ჰფენს საგანს თუ მოვლენას, მის განწყობილებას მეტი სიმკვეთრით ააშკარავებს და მკითხველის გაგებასაც სწორ მიმართულებას აძლევს, გარკვეულ ჩარჩოებში აყენებს.

ნიმუშისათვის ავიღოთ პოემა „სტუმარ-მასპინძელი“.

ვაჟა-ფშაველაში დიდ თანაგრძნობას იწვევს ზვიადაურის ვაჟკაცობა-შეუპოვრობა. ის ზვიადაურისა და ჯოყოლას შორის მეგობრულ ურთიერთობაში საზოგადოებრივი ცხოვრების განმტკიცების საღ დასაბამს ხედავს. ამიტომ ის პოემის შინაარსს, — ჯოყოლასა და ზვიადა-

ურის ურთიერთობას, — ავითარებს რა „ობიექტურად“ რთული კოლიზიების საფუძველზე, გზა და გზა ურთავს თავის შენიშვნებსაც, რათა მკითხველის ყურადღებას სათანადო მიმართულება მისცეს. სახელდობრ: ჯერ დასაწყისშივე, ჯოყოლას შეკითხვაზე — „რა გქვიან? სახელი მითხარ, ხევსური სჩანხარ იერით?“ — ზვიადაური თავის სახელს დამალავს და ასე უპასუხებს: „ნუნუა მქვიან, ძმისაო, გადმოხვეწილი ჭიელით!“

ვაჟა-ფშაველამ კარგად იცის, რომ კაი ყმას, როგორათაც მას უნდა მკითხველს ზვიადაური აჩვენოს, არ შეშვენის სიცრუე. ამიტომ მწერალი ცდილობს ეს დანაშაული თუ სისუსტე ზვიადაურს შეუმსუბუქოს და გადმოცემას ასეთს შენიშვნას ჩაურთავს:

იცრუა ზვიადაურმა,
თავის სახელი დამალა
რა ქნას? მის სახელს იცნობენ,
ქისტებს ბევრს სისხლი ავალა.
(„სტუმარ-მასპინძელი“)

ქისტ ჯოყოლას მოეწონა ხევსური ვაჟკაცი ზვიადაური. მას ის სახლში მიჰყავს სტუმრად, „როგორც ძმა ძმასთანა“. მწერალს სურს აგრძნობინოს მკითხველს, რომ ზვიადაურს მთელი თავისი პიროვნებით შეუძლიან ადამიანზე დიდი შთაბეჭდილება ადვილად მოახდინოს და სიუჟეტის განვითარებაში ასეთი შენიშვნა შეაქვს:

ეტყობა თავმოწონება
მასპინძელს საუბარშია.
(იქვე)

ასეთი წიაღსვლით ვაჟა-ფშაველა აადვილებს თავის განწყობილება-დამოკიდებულება ზვიადაურისადმი გადასდოს მკითხველსაც.

ქისტებმა შეიტყვეს, რომ ჯოყოლამ შეცდომით ისტუმრა ზვიადაური, მათი თემის „ამომგდებელი“. თემმა ჯოყოლასთან გაგზავნა მოყურიადე, გაიგოს, ზვიადაურს სად მოათავსებენ. მოყურიადე ფარული განზრახვით მიდის ჯოყოლასთან, „ლაქანდრიანის ენით ლაღობს, არ არის წყენითა, ხალბათობს, ამბობს ამბებსა, ენას აკვერებს კვესითა“. მწერალმა მკითხველი საშინელი ტრაგიკული ამბებისათვის რომ შეამზადოს, მისი ყურადღება რომ დაჭიმოს და თანაც გააფრთხილოს, რომ მოყურიადე აქ თავის ლაღ ქცევაში ბოროტ განზრახვას მალავს, გადმოცემას უცებ შეწყვეტს და ასეთს შენიშვნას ჩაურთავს:

ვინ იცის გული სავსე აქვს
გველის შხამით და გესლითა.
(იქვე)

მოყურიადემ გაიგო, სად დაიძინებს ზვიადაური. გახარებული მიდის, რათა თემს შეატყობინოს. მწერალი მკითხველის გაფრთხილებისა და ყურადღების დაჭიმვის მიზნით, რომ მოყურიადის სიხარული აუცილებლივ ავის მომასწავებელია, გადმოცემაში კვლავ შეიჭრება და შემდეგს ჩააკვესებს:

მამლის საჯდომი თუ იცის,
მეტი რა უნდა მელასა?!
(იქვე)

ვაჟა-ფშაველა, აღტაცებული ზვიადაურის ვაჟკაცობით, წარმტაცი დინამიურობითა და მიმზიდველობით გადმოგვცემს ზვიადაურზე, ერთზე, ისიც უიარაღოზე, ქისტების მთლიანი თემის თავდასხმას, მის შებოჭვას. გარშემორტყმული ქისტები ზვიადაურს ხანჯლის წვერს ყელში ურჭობენ, უნდათ შეაშინონ; ვინაიდან მხოლოდ ამ პირობებში შეეწირება ზვიადაური მათ მკვდრებს; მაგრამ ზვიადაური წარბს არ იხრის, სიცოცხლის უკანასკნელ წუთშიც კი გაუტეხელი, შეუპოვრად შესძახებს ქისტებს: „ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა!“ მწერალი ველარ იმაგრებს მოზღვავებულ აღტაცებულ გრძნობებს და გადმოცემას წყვეტს შემდეგი სიტყვებით:

სიცოცხლე ჭქრება, სისხლი დის, —
ზვიადაური კვდებოდა,
გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,
გული გულადვე რჩებოდა!
(იქვე)

და ასეა ლირიკული წიაღსვლა დიდი ხელოვანის ოსტატობით გამოყენებული როგორც ამ პოემაში, ისე სხვებშიც. შემოქმედების ამ ხერხითაც ვაჟა-ფშაველა, უდავოდ, საგრძნობლად ამახვილებს მკითხველის შთაბეჭდილებას, მის ემოციას. ნაწარმოებთა სიუჟეტების განვითარებასაც ამით, რა თქმა უნდა, დინამიკას მატებს.

* * *

მწერალი, ჩვეულებრივ, თავის შემოქმედებაში მხატვრული კონკრეტული სახეების საშუალებით გვაძლევს ცხოვრების მოვლენებს და ხშირად მეტად რთულ მოვლენებსაც. მასთან ერთად ამ მოვლენებს მწერალი გვაძლევს არა განცალკევებულად, არა ერთიერთმანეთისაგან იზოლირებულად, არამედ ბუნებრივ მჭიდრო ურთიერთობაში, მათ ბუნებრივ მთლიანობაში, როგორც ეს სინამდვილეში იგრძნობა, სინამდვილეში არსებობს.

მწერალი, რამდენადაც ის მდიდარი ბუნების მატარებელია, რამდენადაც ის მრავალწახნაგოვანია, იმდენად მისი შემოქმედებაც მრა-

ვალფეროვანია და რთული, მდიდარი შინაარსისაა, იმდენად მის შემოქმედებაში მოცემული საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი მხატვრული ტილო ფართოა. ამიტომ, მწერალი რამდენადაც ახლო და ღრმად იცნობს საზოგადოებრივ ცხოვრებას, იმდენად საზოგადოებრივი მოვლენები მის მიერ უფრო მკვეთრადა და სისწორითაა გაგებული.

მწერალი თავის შემოქმედებაში რთულ და მრავალფეროვან საზოგადოებრივ ურთიერთობასა და თავის პირად დამოკიდებულებასაც მათდამი, ჩვეულებრივ, კინძავს ნაწარმოების ძირითადი მოქმედი პირის გარშემო. ყველა რთულ და წამყვან მოტივს, ნაწარმოებში ჩაქსოვილს, მწერალი პირველ რიგში ადამიანში ანსახიერებს. ნაწარმოების ყურადღების ცენტრში ადამიანია, ადამიანი ხომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა (კ. მარქსი). ამიტომაც ადამიანის საშუალებით მწერალს ეხერხება ცხოვრების უკუფენა. ასევეა ვაჟა-ფშაველაც.

მწერალი და კერძოდ ვაჟა-ფშაველა მხატვრულ სახეებს, ამა თუ იმ პერსონაჟის სხვადასხვა თვისებებს ქმნის არა მათი მექანიკური გადმოცემებით, არამედ ყურადღებიანი, იმ დეტალებისა, იმ ნიშნების დაკვირვებული შერჩევით, რომლებიც მისთვის სინამდვილეში, მართლაც, სპეციფიკურია, დამახასიათებელია, რომელთა საშუალებითაც პერსონაჟის ან მოვლენის ცოცხალი, მკვეთრი წარმოდგენა მკითხველისათვის ადვილი შესაძლებელი გახდება. ასეთი შემოქმედების გზაა ვაჟა-ფშაველასათვის დამახასიათებელი, რაც მას საშუალებას აძლევს პერსონაჟი თუ ცხოვრების მოვლენა მკითხველს ცოცხლად დაანახვოს, გააცდევინოს, როგორც მკვეთრი კონკრეტული ფიგურა.

ამასთან დაკავშირებით ვაჟა-ფშაველასათვის, აგრეთვე, დამახასიათებელია შემოქმედების პროცესის შემდეგი საშუალებაც.

ცნობილია, რომ მწერალი თავისი ნაწარმოების პერსონაჟებს კი არ გამოიგონებს, არამედ უშუალოდ ცხოვრებიდან ჰკრეფს მათ დამახასიათებელ შემადგენელ ელემენტებს. ტიპიური სახის შექმნისათვის ვაჟა-ფშაველაც ხშირად სარგებლობს კერძო, კონკრეტული შემთხვევებით, კერძო პიროვნებით, ინდივიდუალური მოვლენით, რომლებიც მას თავისი პოეტური გამონაგონის (вымысел) საშუალებით ტიპიურობამდე აყავს.

შემოქმედების პროცესში მწერალი საგანს თუ მოვლენას ჩამოაცლის, მოაშორებს ზოგს კერძო თვისებას, წმინდა ინდივიდუალურს, სამაგიეროდ დაურთავს სხვას, ახალს, ამოკრეფილს ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებიდან; ხშირად ამატებს პირადი თვისებებიდანაც, ვინაიდან მწერალი თვითონაც ხომ ტიპიური წარმომადგენელია თავის ეპოქისა, და მისი ტიპიური თვისებების მატარებელიც. მეტად საგულისხმიეროა დიდი რუსი მწერლის ნ. ვ. გოგოლის მახვილი განცხადება ამის შესახებ: „შევკრიბე რუსეთში არსებული ყველა საძაგლობა, მას და-

ვუმატე ჩემი პირადი საძაგლობა და აქედან შეიქმნენ ჩემი ნაწარმოებების მოქმედი პირებიო". ცხადია, მხატვრულ შემოქმედებაში როლი ასეთი მეთოდისა დიდია. დაახლოებით ასეთს შეხედულებას გამოსთქვამს მეორე დიდი რუსი მწერალი მ. გორკი: „ლიტერატორმა უნდა ისწავლოს, დაამყნოს, მიაწეროს ერთეულს თავისი კლასის განსაკუთრებულად დამახასიათებელი თვისებები".

ასევე იქცევა ვაჟა-ფშაველაც. ის ხშირად, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, გამომდინარეობს კერძო ინდივიდუალური პირიდან თუ მოვლენებიდან, ან მათ კერძო ელემენტებიდან, ხოლო პოეტური გამონაგონის საშუალებით მათ ავსებს, აერთებს, გადაამუშავებს, გარდაქმნის, „გადაადუღებს" თუ „გადაადნობს", როგორც თვითონ პოეტი იტყოდა, და ტიპიურობამდე აჰყავს.

თუ რა დიდი ინტენსიურობისაა ვაჟა-ფშაველას პოეტური გამონაგონის ძალა, მშვენივრად ჩანს მის პასუხში იპ. ვართაგავასადმი — „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი" და წერილში „ფიქრები „ვეფხის-ტყაოსნის" შესახებ", რაც ზევით (თავში „ვაჟა-ფშაველა და ხალხური ზეპირსიტყვიერება") შევეცადეთ მკითხველისათვის დაგვენახვებინა.

აი, სხვათა შორის, დასმული საკითხის შესახებ, რასა წერს ვაჟა-ფშაველა:

„ალუდა ქეთელაური", რომელიც აგრე ძალიან მოსწონს ბ. ვართაგავას, არის აშენებული სრულიად უბრალო მარტივს ამბავზე, უბრალო შემთხვევაზე. ალუდა ქეთელაურს ქისტებმა ცხენი მოჰპარეს. ქურდებს მდევრად გამოუდგება, ერთს მათგანს თოფით მოჰკლავს — ხოლო მოკლულის ამხანაგი ვაჟკაცურად დაუხვდება, თუმცა ესეც მსხვერპლი ხდება ალუდასი, მაგრამ მოჰხიბლავს მას თავის ვაჟკაცობით და როცა ჩამოვარდება საუბარი მუცალის მოკვლაზე, ხანდახან შესანდობარს დაჰლევს ალუდა ქისტისას, — ლუდს ან არაყს. მარჯვენის მოჭრა-მოუჭრელობაზე ზეპირგადმოცემა არაფერს გვეუბნება. ხალხური თქმულებისა მთელი თავი და ბოლო ეს არის"[4].

მეტი დამაჯერებლობისათვის მოვიყვანთ ვაჟა-ფშაველას კიდევ ერთს ჩვენებას პოემა „გოგოთურ და აფშინას" შესახებ. „ეს პოემა, — წერს ვაჟა-ფშაველა, — საკუთარმა ინციდენტმა დამაწერინა, გოგოთურად ვგუობდი თავის თავს. ხედავთ საქმე სანამდის მიდის, მხოლოდ სახეში მყვანდა ის გოგოთური, რომელიც მართლა სცხოვრობდა ამ მეცხრამეტე საუკუნეში, იყო მცხოვრები სოფელ ყოფჩისა, როგორც პოემაშია მოხსენებული, იყო ძალიან ღონიერი, მძლავრი და მშრომელი ადამიანი. იმისი მოტანილი ბრტყელი სიპი ქვა დღესაც გდია კოპალის სამლოცველოსთან და ორ კაცს გაუჭირდება ასაწევად. იყო წყნარი და სათნოიანი ადამიანი, როგორც გამიგონია. იმის ვაჟკაცობისა

[4] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი, თხზ., ტ. III, გვ. 453.

მხოლოდ ის მსმენია და, რომ ერთხელ ქურდ-ბაცაცობისათვის შაეპ-ყრო ორი ხევსური, მოეყვანა სახლში შეკონილები. ცოლისათვის ეთ-ქვა,სალაფავი გააკეთე, ამ ძაღლებს უნდა ვაჭამოვო... მართლაც, ძაღლის საჭმელ გეჯაში ჩაესხა ქურდ ხევსურებისათვის და დაედგა წინ: „ეს ჭამეთ, ქურდი და სხვის სარჩოს მტაცებელი ამის ღირსიაო!“ ხევსუ-რები თურმე შაეხვეწნენ: ოღონდაც, გოგოთურის ჭირიმე, ძაღლის სალაფავს ნუ გვაჭმევ და ჩვენს სიცოცხლეში აღარ ვიქურდებთო. გოგოთურმა შეიწყნარა მათი თხოვნა, ჩამოართვა ფიცი და გაანთავი-სუფლა. ეს ხევსურები ორი ერთკაცად — აფშინად გარდაქმენ და ამგვარად პოემა დაიწერა“[5].

აი ასეთმა კერძო კონკრეტულმა შემთხვევებმა, ინდივიდუალურმა მოვლენებმა ბიძგი მისცეს ვაჟა-ფშაველას თავისი პოეტური გამონაგო-ნის საშუალებით შეექმნა მთლიანი პოემები, დახვეწილი სიუჟეტით, ტიპიური სახეებით გოგოთურისა, აფშინასი, ალუდასი, მუცალისა და სხვათა. ცხადია, ვაჟა-ფშაველას პოეტურ ფანტაზიას დიდი შემოქმე-დებითი მუშაობა აქვს ჩატარებული ხსენებული მოვლენების საფუძ-ველზე მთლიანი სიუჟეტების შექმნისა და მოქმედი პირების ტიპიუ-რობამდე აყვანისათვის. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების პროცესის ასეთ თავისებურებაშია მისი პოეტური ქმედების ერთ-ერთი ძალა, სიღრმე და სიმკვეთრე.

ნათქვამიდან, რა თქმა უნდა, ისეთი დასკვნა არ უნდა გამოვიტა-ნოთ, რომ მწერალი უნდა ცდილობდეს გინდა თუ არა აუცილებლივ გამოიგონოს, ასცდეს სინამდვილეს. არა. გამოგონება მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როცა მისი ამოქმედების საფუძველი სინამდვილეა და ამასთან ერთად, როცა მწერლის წარმოსახვის საშუალებით შექმნი-ლი სახე მწერალს ეხმარება თავისი დამოკიდებულება ცხოვრების მოვლენისადმი ცხოვლად მოგვცეს, როგორც ამას მშვენივრად ახერ-ხებს ვაჟა-ფშაველა თავის შემოქმედებაში, იქნება ეს მისი ლირი-კული ლექსები, პოემები, თუ მოთხრობები.

კერძოდ, ინდივიდუალური მოვლენა-პროტოტიპი ხშირად მხო-ლოდ ბიძგის როლს თამაშობს მწერლისათვის, რომელიც ნახულის, ნაცნობის ფოტოგრაფიულ სურათს კი არ იძლევა, არამედ გადაამუშა-ვებს: ნახულს, ნაცნობს ავსებს ზოგიერთი ახალი, არსებითი თვისებით, სამაგიეროდ ზოგს ინდივიდუალურს, შემთხვევითს თვისებას აცილებს, ასეთი თვისებების რიცხვს ამცირებს, ისე კი, რომ ზომიერ ფარგლებს არ გადასცეს, კონკრეტული სახე შეუნარჩუნოს.

ამ მიმართულებით მწერალი მხატვრული წარმოსახვის საშუალე-ბით ქმნის ახალ სახეს, ახალ ხასიათს, რომელშიც ის ჰკრებს, აერთებს

---

[5] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ჩემი პოემების შესახებ, ჟურნ. „მნათობი“, 1934 წ., № 11—12.

საზოგადოების ამა თუ იმ კლასის, ჯგუფის თვისებებს, რომლებიც მან ცხოვრების სინამდვილეში ნახა, გაიცნო, შეისწავლა. ამ გზით მწერალი ინდივიდუალურ, კერძო სახეს ტიპიურ ხასიათად აქცევს.

როგორც ზემომოყვანილი მასალებიდან შეგვიძლიან დავინახოთ, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გზაც სწორედ ასეთია.

ვაჟა-ფშაველა თავისი შემოქმედების პერსონაჟების მთლიან ხასიათს ისეთი სასიცოცხლო ნიშნებით ქმნის, რომ ყველა მისი საქციელი ერთი-მეორის შემვსებელი, ერთიმეორის გამმახვილებელი, როგორც შემქმნელი ერთი მთლიანი მოქმედი არსებისა.

მაგალითად: ალუდას ყოველი საქციელი — მისი მტერთან — მუცალთან შეხვედრა, მასთან გამეტებული ბრძოლა, შინაგანი ტანჯვა, მუცალის მოკვლით გამოწვეული, ძველ ტრადიციებში ეჭვის შეტანა, თემთან წინააღმდეგობა, თემისაგან განდევნილი ალუდას დამოკიდებულება თემისადმი და სხვა.

ალუდას აღნიშნული ყველა ნიშანი თუ თვისება ერთიმეორეს ავსებს, ქმნის მთლიან, მჭიდროდ დაწნულ ხასიათს, პიროვნებას; ყველა აღნიშნულ თვისებათა საფუძველია ალუდას ვაჟკაცობა, მისი წარმოდგენა „კაი ყმაზე", რაც მას შესისხლხორცებული აქვს მთელი თავისი არსებით. ასევეა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მოცემული სხვა მოქმედი პირების ხასიათი: გოგოთურ, ჯოყოლა, მინდია, აღაზა და მრავალი სხვა.

ვაჟა-ფშაველას კარგად ესმის, რომ ტიპიური პერსონაჟისა თუ მოვლენის განსახიერების საიდუმლოებას შეადგენს განსახიერებულის ცხოველმოსილობა. მან კარგად იცის, რომ მხოლოდ ასეთი პირობის დაცვით შეუძლიან მკითხველს ადვილად, მეტის სისრულითა და უშუალობით განიცადოს მწერლის მიერ დახატული სამყარო, გაიგოს პერსონაჟთა სულისკვეთება, გახდეს მათი ცხოვრების არა მარტო მოწმე, არამედ მონაწილეც.

აი რას გვეუბნება ამის შესახებ დიდი რუსი მწერალი მ. გორკი: «Писатель должен смотреть на своих героев именно как на живых людей, а живыми они у него окажутся, когда он в любом из них найдет, отметит и подчеркнет характерную, оригинальную особенность речи, жеста, фигуры, лица, улыбки, игры глаз и т. д.

Отмечая все это, литератор помогает читателю лучше видеть и слышать то, что им, литератором, изображено. Людей совершенно одинаковых нет, в каждом имеется нечто свое и внешнее и внутреннее»[6].

---

[6] М. Горький, Письма начинающим литераторам, сборник «О литературе», стр. 255.

სწორედ ასეთია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების პროცესი პერსონაჟების დახატვაში. ის მშვენივრად იცნობს ცხოვრებას, მოსახლეობას, მის საქმიანობას, გარემოს. მოქმედი პირის განსახიერებისას მასალის გამოყენებაში ვაჟა-ფშველას არაჩვეულებრივი ზომიერება ახასიათებს, ზედმეტს სიტყვას არ ხმარობს, მხოლოდ არსებითს, დამახასიათებელ მკვეთრ ნიშნებს იძლევა, ყოველ მათგანს შესაფერ მომენტში, თავის ადგილზე იყენებს და დიდი დამაჯერებლობით და ხაზგასმით სჭედს. ვაჟა-ფშაველა ტიპიური სახის მკვეთრსა და დამაჯერებელ სახეს ხშირად იძლევა შემთხვევითი ქცევის მოცემით, მაგრამ ისე კი, რომ ეს შემთხვევითი მოქმედი პირის ბუნების, ხასიათის არსს ნიშანდობლივი სიზუსტითა და სიმკვეთრით აქანდაკებს.

ნიმუშისათვის: ხევსური ზვიადაურის ვაჟკაცობა, გაუტეხლობა, მისი მთლიანი ფიზიკური და მორალური სახე რომ მკითხველს მძლავრად დაანახვოს, ვაჟა-ფშაველა მას მეტად რთულ და მძიმე მომენტებში გვიხატავს. ზვიადაურს, ქისტების სისხლი რომ მართებს, ქისტები სისხლის აღების მიზნით, მოუნდომებენ დაკვლას თავის მიცვალებულთა საფლავზე, ზვიადაურს შეკრავენ, უნდათ ჯერ შეაშინონ წესის თანახმად, შემდეგ დააკლან მკვდართ. მაგრამ ზვიადაური არ შედრკა, წარბიც არ შეიხარა, თვალიც კი არ აახამხამა.

განცდა ზვიადაურისა დიდია. მისი გადმოცემა, რომ მკითხველმა სრული, მხატვრული შთაბეჭდილება მიიღოს, ძნელია. ვაჟა-ფშაველაც ამას მშვენივრად გრძნობს. მწერლის მხრივ შეცდომა იქნებოდა დაეწყო აქ ზვიადაურის მღელვარე განცდების აღწერა — ეს, უდავოდ, გადმოცემის პროცესს გააჭიანურებდა, სიუჟეტის განვითარების დინამიკასაც შეანელებდა, რაც ადვილი შესაძლებელია, მკითხველის მძლავრად დაჭიმულ ყურადღებას შეასუსტებდა და, შესაძლებელია, მოწყენილობაც გამოეწვია.

ვაჟა-ფშაველა, როგორც მხატვრული ზომიერების დიდი ალღოთი დაჯილდოვებული, სხვა საშუალებას—ლაკონიურს, შეკუმშულს, ხერხს, შემთხვევით გამოვლინებულ, მაგრამ ტიპიური ქცევის ხაზგასმას, მიმართავს. მწერალი ერთი კალმის მოსმით, ერთი ფრაზის საშუალებით მკითხველს ზვიადაურის — ვაჟკაცის დაუვიწყარსა და დამაჯერებელს სახეს სისრულით უქანდაკებს, როცა ის სიკვდილის პირზე მყოფ ზვიადაურს ქისტებისადმი შეუპოვრად შეაძახებინებს; „ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა!“

ასეთივე ხასიათისაა ვაჟა-ფშაველას მიერ გამოყენება შემფასებელი ეპითეტებისა და შეხედულებებისა, რომელთაც წიაღსვლის ხასიათი თუ მნიშვნელობაც აქვთ.

მაგალითად, იმავე ზვიადაურის შესახებ:

საკრის ცეცხლი ედება
სამსხვერპლოს გულის თქმასაო.
რა მოსდრეკს წარბ-დაღრუბლულსა,
ქედ ჩაკანგებულ მთასაო!

ვაჟა-ფშაველა ასეთივე ზომიერებით იყენებს პერსონაჟთა შორის ურთიერთდამოკიდებულებას, განსაკუთრებით მთავარი გმირისადმი დამოკიდებულებას, რაც აგრეთვე ხელს უწყობს ნაწარმოებში დახატულ პერსონაჟთა და მოვლენათა ტიპიურობას.

ნიმუშისათვის: ქისტებმა ზვიადაური დააკლეს მიცვალებულთ. მაგრამ ზვიადაურის ვაჟკაცურმა დახვედრამ მტრის გულიც კი დაიპყრო. ვაჟა-ფშაველა სხარტადა და მოხდენილადაც გვეუბნება — „დაკლულმა დაჰკლა მათ გული და გაუცრუვა ქადილი". სასაფლაოდან დაბრუნებული ქისტები ზვიადაურზე ერთგვარი გაუბედაობით ფიქრობენო, ამბობს პოეტი:

„ცოდვაა!"... ყველა ჰფიქრობდა...
ხომ მაგას არ მოვუკლავდით
მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდენ?
კარგი ვაჟკაცი ყოფილა,
ყველა ალლახსა ჰფიცავდა,
იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა,
თავის მიწა-წყალს იცავდა.

ამით, რა თქმა უნდა, გამახვილებულია ზვიადაურის — ვაჟკაცის სახე. ამითვეა გამახვილებული პოემის დედა-აზრიც — სისხლის აღება უკვე დრომოჭმული, უვარგისი, მიუღებელი ჩვეულებაა და ყველა ამას მგოსანი ახერხებს განსაცვიფრებელი ეკონომიური ხერხით: რამდენიმე სიტყვით, მაგრამ ბევრის მთქმელი თუ შემცველი სიტყვით. ყოველ შემთხვევაში ვაჟა-ფშაველა დაჟინებით ინარჩუნებს მხატვრული შემოქმედების ძირითად მოთხოვნილებას დაიჭიროს მოვლენის თუ პერსონაჟის ტიპიური, დამახასიათებელი, სპეციფიკური; აჩვენოს ის ცხოველმყოფელი და ინდივიდუალური სახით.

ეს გარემოება სხვა პოეტურ საშუალებებთან ერთად ხელს უწყობს ვაჟა-ფშაველას მოცემული პერსონაჟი თუ მოვლენა ტიპიურ სიმაღლეზე აიყვანოს. მკითხველსაც გააცდევინოს ის, როგორც ტიპიური მოვლენა. აი ამაშიცაა ვაჟა-ფშაველას პოეტური ნიჭის ერთ-ერთი ძალა.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების აღნიშნულ თვისებათა კომპლექსს მთელი სიმკვეთრით შეჰყავს მკითხველი მწერლის მიერ შექმნილ პოეტურ სამყაროში. ამაშია დასაბამი იმ დიდი პოეტური ილუზიისა, რომელიც ასე მძლავრად ახასიათებს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მხატვრული ძალა მკითხველზე იმდენად ძლიერია, რომ მკითხველს უჭირს მისი გავლენისაგან განთავისუფლება; ის ხშირად იძულებულია თავს ძალა დაატანოს, რომ ნაწარმოებში მოცემული სამყაროს სფეროდან გამოვიდეს და თავის რეალურ სამყაროს დაუბრუნდეს.

სამართლიანია ა. შალიგინის აზრი მკითხველზე პოეტური ილუზიის გავლენის შესახებ: «Настроение, которое вложил в свое произведение поэт, вытесняет из души читателя его собственное настроение и властно становится на его место, заставляя его среди самой обыкновенной обстановки пережить восторг, умиление, волнение страсти, отвагу и пр.

Под влиянием поэтического произведения читатель иногда открывает в себе такие стороны души, о которых он раньше не знал, часто живет теми ее сторонами, которые не находят в себе применения в действительности»[7].

ასეთი პოეტური შთაგონება მკითხველზე იმდენადაა ძლიერი, რამდენადაც ნაწარმოების პოეტური ილუზია სრულია. ნაწარმოების პოეტური შთაგონების ძალა, მისი პოეტური ილუზია განსაზღვრულია ნაწარმოების პოეტური ღირებულებით, მასში მოცემული სახეების სისრულით, დამთავრებულობით, რაც, უსათუოდ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ახასიათებს.

სრულიადაც არ არის საჭირო, რომ მწერალმა პერსონაჟის შესახებ ყველაფერი თქვას — არსებითიცა და მეორეხარისხოვანიც. ასეთი გზა ხშირად ნაწარმოებს ტვირთავს ზედმეტი მასალით და მკითხველსაც ინტერესს თუ არ უკარგავს, უნელებს მაინც. უფრო სწორი და მიზანშეწონილია რამდენიმე დამახასიათებელი ხაზი იქნას მკვეთრად მოცემული, რომელთა განცდა გააღვივებს, აამოქმედებს მკითხველის ფანტაზიას და ნაწარმოებში მოცემული სახის თუ მოვლენის შევსებას თვით მკითხველი აქტიურად და ძალდაუტანებლად შეძლებს.

ვაჟა-ფშაველასათვის შემოქმედების ეს მეორე გზა უფრო დამახასიათებელია, როგორც პოეზიაში, ისე პროზაში, რასაც ზემონათქვამი და მოყვანილი ნიმუშებიც აშკარად ადასტურებს. სწორედ შემოქმედების ამ მეორე გზით იქმნებოდა მგოსნის მიერ თითქმის ყველა მისი მეამბოხე გმირი — ალუდა ქეთელაური, ზვიადაური, ჯოყოლა, აღაზა, მინდია, გოგოთური, დარეჯანი და მრავალი სხვა. ესევე ახასიათებს მგოსნის ლირიკასაც, მის ქარაგმებით ნათქვამებსაც.

ნაწარმოების პოეტური ილუზიისა და ნაწარმოების პოეტური შთაგონების ძალა, გარდა თვით პოეტურ ნაწარმოებთა ღირებულები-

---

[7] А. Шалыгин, Теория словесности, стр. 124—125.

სა, დამოკიდებულია აგრეთვე მკითხველის ამთვისებლობაზე, განსაზღვრულია მკითხველის ბუნებით: რამდენადაც მდიდარია მკითხველის ცოდნა და პირადი გამოცდილება, რამდენადაც ფართოა და ღრმა მისი ბუნება და შინაგანი სამყარო, რამდენადაც დიდია და დახვეწილი მისი ესთეტიკური ალღო, იმდენადაც მკითხველის დამოკიდებულებაც მწერლისადმი, განსაკუთრებით დიდი დიაპაზონის მქონე მწერლისადმი, როგორიცაა ვაჟა-ფშაველა, — ღრმაა, მდიდარი, მრავალწახნაგოვანი, თავისებური.

მწერლისა და მკითხველის ურთიერთობას მშვენივრად ახასიათებს მაქსიმ გორკი: «Произведение литератора лишь тогда более или менее сильно действует на читателя, когда читатель видит все то, что показывает ему литератор, когда литератор дает ему возможность тоже «вообразить» — дополнить, добавить —картины, образы, фигуры, характеры, данные литератором из своего читательского, личного опыта, из запаса его, читателя, впечатлений, знаний. От слияния, совпадения опыта литературы с опытом читателя и получается художественная правда, — та особенная убедительность словесного искусства, которой и объясняется сила влияния литературы на людей»[8].

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მასალის, შინაარსის, განწყობისა და ფორმის თავისებურება, მრავალფეროვნება, განსაკუთრებით ფორმისა, ერთ-ერთი მიზეზია იმ მრავალი სხვადასხვა, ხშირად დიამეტრულად საწინააღმდეგო შეხედულებისა, რომელიც ჩვენს მწერლობაში იმის შესახებ არსებობს.

* * *

ვაჟა-ფშაველა კარგად იცნობს გარემო ცხოვრებას. ის იქიდან ადვილად კრებს შესაფერ მოვლენებს, პირობებს, პერსონაჟებს. დიდი ალღოთი და თავისებური გაგებით გამოჰყოფს მათში დამახასიათებელს, ტიპიურსა და არსებითს ნიშნებს; მათ ის ანზოგადოებს და მძლავრ ჩამოყალიბებულ, ტიპიურ სახეებში აძლევს მკითხველს განსაზღვრულ დროსა და სივრცეში; ის გვიხატავს ტიპიურ მოვლენებს ტიპიურ გარემოში.

ვაჟა-ფშაველა, როგორც ეს დამახასიათებელია ნიჭიერი მწერლისათვის, თავის შემოქმედებაში გვიჩვენებს არა მარტო იმას, რაც იყო მის დროში დამახასიათებელი, გავრცელებული, არამედ მეტის გატაცებით უფრო იმას, რა უნდა ყოფილიყო ან რა უნდა იყოს, რაც სინამდვილეში უნდა განვითარდეს და შეიქმნეს ტიპიურ მოვლენად. ამას მწერალი ახერხებს პირადი შემოქმედებითი უნარითა და პოეტური ალღოთი. ამ მიმართულებით მწერალი ნაწარმოების მასალის ცალკეული

[8] М. Горький, Письма начинающим литераторам, сборник «О литературе», стр. 254.

შემადგენელი ელემენტებისაგან ქმნის ორგანიზებულ მთელს, ქმნის ნაწარმოების ყველა ელემენტის თანაზომიერადა და თანამიმდევრულად, მიზეზობრივი კავშირით განლაგებულს, თანაფარდობას.

ნაწარმოებში ასახულ მოვლენათა მიზეზობრივი გამთლიანება და მისი ნათელი, ხალისიანი და მიმზიდველი გადმოცემა, რაც საჭიროა, რომ მკითხველი მასში არ დაიბნეს და სისწორით გაერკვეს, როგორც ცნობილია, შეადგენს ნაწარმოების კომპოზიციის საკითხს, რაც ვაჟა-ფშაველას მხატვრულ შემოქმედებაში ერთ პირველხარისხოვან საკითხთაგანია. კომპოზიციის მხატვრული გაშლა ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა ნაწარმოების მხატვრული ზემოქმედებისა მკითხველზე.

ვაჟა-ფშაველას კარგად ესმის, რომ მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციის შექმნისათვის, გარდა იმისა, რომ საჭიროა მწერალს შესწევდეს უნარი გარემოცხოვრებაში გამონახოს მოვლენების დამახასიათებული, არსებითი ნიშნები, ამასთანავე აუცილებელია გამონახოს და გაიგოს ამ მოვლენათა საზოგადოებრივი მნიშვნელობა, შეძლოს მათი განზოგადება, კანონზომიერად გამოხატოს მათი ტიპიური ნიშნები, რომელიმე კონკრეტულ მოვლენასა თუ სახეში შეკრებილი. ამასთანავე ერთად ვაჟა-ფშაველამ ისიც კარგად იცის, რომ საჭიროა ნაწარმოების შემადგენელი ყველა ელემენტი განალაგოს ისეთი თანაზომიერებითა და თანმიმდევრობით, რომ მკითხველის შეგნებაში ნაწარმოებებში მოცემული სახეები კონკრეტულად, ცოცხლად, დამაჯერებლად იშლებოდეს და იბეჭდებოდეს, როგორც ეს დამახასიათებელია საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის — წინააღმდეგობების საშუალებით განვითარება, წინააღმდეგობათა მოხსნა და სხვა. მწერლის პოეტურ ნაწარმოებში ხომ მოცემულია ცოცხალი ცხოვრების — სინამდვილის ნატეხი, რომელშიც არამც თუ იგრძნობა, არამედ გაიგება კიდეც თვით ცხოვრების სინამდვილე თავისი კანონზომიერი, დიალექტიკური განვითარებით, კანონზომიერი სიცოცხლით.

ვაჟა-ფშაველა ნაწარმოების სიუჟეტს, როგორც ეს დამახასიათებელია მხატვრული შემოქმედებისათვის, ჩვეულებრივ, ავითარებს ცხოვრების რომელიმე წინააღმდეგობის საფუძველზე. გვიჩვენებს ამ წინააღმდეგობაში მყოფ ადამიანთა შორის ბრძოლას, ამ ბრძოლის ცალკეულ პერიპეტიებს, მებრძოლ მხარეთა წარმატებასა თუ დაბრკოლებასა და ამ ბრძოლის პროცესის საბოლოო შედეგს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას როგორც პოეტურს, ისე პროზაულს კომპოზიციურადაც უაღრესი შეკუმშულობა ახასიათებს. მის კომპოზიციაში მკითხველი, შეიძლება ითქვას, ვერ იპოვის ვერც ერთს ზედმეტს ხაზს გმირისა თუ მოვლენის განსახიერებისას, ყოველი სახე იქ მკვეთრი, ნათელი, დამაჯერებლია და თავის ადგილზეა მიზეზობრივ კავშირ-

ში მოთავსებული. ასეთია ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ეშმაკი“, „დათვი“, „დარეჯანი“ და მრავალი სხვა.

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების კომპოზიციის განვითარებაში მწერლისათვის დამახასიათებელი ოსტატობით გამოკვეთილია ნაწარმოების ყველა შემადგენელი ნაწილი თუ მომენტი: ექსპოზიცია, კვანძი, კულმინაცია, გახსნა და დასასრული მოქმედების განვითარების პერიპეტიებითა და მათი მატებით. ყველა ამ მომენტს ვაჟა-ფშაველა ისეთი განსაცვიფრებელი კანონზომიერებითა, თანამიმდევრობითა და დინამიურობით ავითარებს, რომ მკითხველი მთლიან, დამთავრებულ ესთეტიკურ შთაბეჭდილებას იღებს. ნიმუშისათვის ავიღოთ პოემა „ალუდა ქეთელაური“.

პოემა „ალუდა ქეთელაურის“ მიზანდასახულობაა: აჩვენოს მკითხველს, რომ თემური ცხოვრების პირობები თანამედროვე ადამიანს ვეღარ აკმაყოფილებს (ჯერ-ჯერობით რჩეულთ — ალუდა ქეთელაურის სახით). ამ ნიადაგზე იქმნება წინააღმდეგობა ალუდა ქეთელაურსა და თემს შორის.

პოემის ექსპოზიციაში ვაჟა-ფშაველა გვაძლევს მოქმედ პირთა — ხევსურს ალუდა ქეთელაურსა და ქისტს მუცალის შორის შეუპოვარ ბრძოლას, ორივეს სურვილს მოწინააღმდეგეზე გაიმარჯვოს. მტერმა მუცალმა დააფასა ღირსეული მოწინააღმდეგე — ალუდა ქეთელაური; მიუხედავად მტრობისა, ის მისდამი პატივისცემით გაიმსჭვალა. ამიტომ დაძლეულმა მომაკვდავმა მუცალმა თოფი ალუდას გადაუგდო, როგორც მისი იარაღის ღირსეულ მატარებელ ვაჟკაცს:

ეხლა შენ იყოს, რჯულ ძაღლო,
ხელს არ ჩავარდეს სხვისასა.

აბის თქმისთანავე მუცალს „სიტყვა გაუშრა პირზედა, დაბლა გაერთხა მიწასა“.

ასეთი ექსპოზიციით ვაჟა-ფშაველა მშვენივრად ამზადებს მკითხველს პოემის ძირითადი ხაზის გასაგებად და იქვე, სრულიად ბუნებრივად ქმნის პოემის კვანძს.

ვაჟკაცს ალუდა ქეთელაურშიც მუცალის შეუპოვარი ბრძოლა და გაუტეხელი ხასიათი ბუნებრივად გამოიწვევს მოწინააღმდეგისადმი პატივისცემას. აქ იწყება კვანძი პოემისა. პატივისცემა და დაფასება ვაჟკაცი მუცალისა ალუდა ქეთელაურში იმდენად ძლიერია, იმდენად მომხიბვლელი, რომ მას აიძულებს თემის ჩვეულება, — რკინის ხასიათი რომ აქვს თემის წევრთათვის, — დაარღვიოს. მან მოკლული მტერი — მუცალი, გააპატიოსნა, როგორც იტყვიან მთაში, იარაღი არ აჰყარა. მარჯვენაც არ მოსჭრა, შეეცოდა.

აქ კვანძი სრულიად გამართულია. აქედან იწყება ახალი გრძნობის გავლენით ალუდა ქეთელაურის მიერ თემის ჩვეულებათა ერთიმეორეზე რღვევა და თემთან — ბერდიასთან წინააღმდეგობა, ბრძოლა მდიდარი პერიპეტიებით.

თანდათან ღრმავდება და ფართოვდება ალუდაში ახალი ჰუმანური გრძნობა, ამ ნიადაგზე მისი დაეჭვება თემის დრომოჭმულ, უხეშ ტრადიციებში. ყოველ ახალ მომენტს შემოაქვს ახალი ნიუანსი ალუდას გრძნობის გამახვილებისათვის; მეორე მხრივ, ალუდასადმი თემის წინააღმდეგობაც ალუდას წინააღმდეგობის შესატყვისად თანდათან ძლიერდება.

წინააღმდეგობა მათ შორის აღწევს უმაღლეს წერტილს — კულმინაციას მაშინ, როცა ხევისბერ ბერდიასაგან შეუწყნარებელი ალუდა თვითონ ასრულებს მისთვის აკრძალულ წესს — მოზვერს ხატის წინაშე თვითონ დაჰკლავს.

აქაა თემისაგან აკრძალული საზღვარს აცილებული ალუდას პროტესტანტული განწყობილება. აქვეა თემის დაუნდობელი წინააღმდეგობაც ალუდასადმი, მისი თემისათვის დაუშვებელი საქციელით გამოწვეული. წინააღმდეგობა ალუდასა და თემს შორის უზენაეს საზღვარს აღწევს — მკითხველს მკაფიოდ, ნათლად ესმის, რომ თემსა და ალუდას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო საბოლოო შეტაკება აუცილებელია. განრისხებული ხევისბერი ბერდია მოუხმობს თემს, თემის წესის დამრღვეველის მიმართ უმაღლეს სასჯელს მოითხოვს თემის კოდექსის თანახმად:

სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ
ალუდას სახლის დირენი;
ნუ დაინანებთ, ექმნენით
ცოლ-შვილის ამატირენი.
მოკვეთილ იყოს სხვა ქვეყნის
ცა-ღრუბლის შანამზირები.
წადით, უმტვრიეთ შავ-ბნელსა
სახლისა, ციხის კარები.

ცეცხლი მიეცით საძნოვარს —
ცასა სწვდებოდეს ალები,
სათემოდ გამორეკეთ
ცხვარი, ძროხა და ხარები.
შატილს ცოლ-შვილი უტირეთ,
გუდანს — შინშნი და ქალები;
ჰრისხამდეს ჩვენი ბატონი,
არ არის შასაბრალები.

ხევისბერ ბერდიას წინააღმდეგობა და მოთხოვნა თემისათვის კანონია, კანონი თემისათვის გარდაუვალი. ალუდას მიმართ განაჩენი გამოტანილია. აქაა კვანძის ბუნებრივი გახსნა.

პოემის უკანასკნელი VI თავი გვიხატავს განდევნილი ალუდასი და მისი ოჯახის წევრების მძიმე მტანჯველ განცდებს, მათი თემისაგან დარბევითა და განდევნით გამოწვეულს.

ვაჟა-ფშაველა რამდენიმე მცირე, მაგრამ მკვეთრი ხაზის მოცემით მკითხველს მძლავრად აგრძნობინებს განდევნილ-მოკვეთილთა სიტყვით გამოუთქმელ მწუხარებას. ამასთანავე ერთად, მწერალი შეკუმშულად,

სიმკვეთრითა და თანაგრძნობის გამომწვევი მიმზიდველობით მკითხველს შთააგონებს, რომ ალუდა ქეთელაურში, მიუხედავად ასეთი მძიმე სასჯელისა, სინანულის გრძნობა მაინც არ არის; მასში საბოლოოდ გამარჯვებულია ახალი, ჰუმანური გრძნობა სიყვარულისა, სამართლიანობისა, თანაგრძნობისა. მკითხველი აშკარად გრძნობს, რომ ალუდა დამარცხებული არ არის. ალუდა დაეჭვიანდა თემის ზოგიერთი ტრადიციის ჭეშმარიტებაში. ამიტომ ის თემს უხეშ მოთხოვნილებაში აღარ უთმობს. დათმობას მან ოჯახობით თემიდან განდევნა, მოკვეთა ამჯობინა.

გადვიდნენ, ქედი გადავლეს,
თხრილი აღარ ჩანს კვალისა —

გვეუბნება დასასრულს ავტორი. აქ არის მოქმედების განვითარების დასასრული.

მიუხედავად საშინელი ტრაგედიის განცდისა, პოემიდან მკითხველს მაინც ნათელი განწყობილება რჩება. მკითხველი ალუდაში აშკარად გრძნობს დიდ მორალურ ძალას და მის გამარჯვებას. ამიტომ მკითხველი და თვით ავტორიც მთელი თანაგრძნობით, სიმპათიით ალუდას მისდევენ. ამაშია ამ პოემის პოეტური შთაგონების ძალა, ამაშია მისი კომპოზიციის დიდი ოსტატობა და დიდი ზემოქმედების გავლენა.

ამგვარივე კომპოზიციური ოსტატობით ხასიათდება ვაჟა-ფშაველას მრავალი ნაწარმოები: „სტუმარ-მასპინძელი", „გველის მჭამელი", „გოგოთურ და აფშინა", „უიღბლო იღბლიანი", „სული ობლისა", „ივანე კოტორაშვილის ამბავი" და სხვა.

* * *

მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციის გაშლისათვის ვაჟა-ფშაველას, როგორც ერთ-ერთი ელემენტი, ხშირად და მოხერხებულად გამოყენებული აქვს სიზმარი. ამ კომპოზიციური ელემენტით სარგებლობა, უსათუოდ, გამოწვეულია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მასალის ეთნოგრაფიული ხასიათით. ზევითაც აღვნიშნეთ, რომ მთიელი სიზმარსა და წინათგრძნობას დიდ ყურადღებას აქცევდა და მნიშვნელობასაც დიდს აძლევდა; ის მათი დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ხშირად ის მათი ზეგავლენითა ცხოვრობდა და ხელმძღვანელობდა.

ძველად მთიელს, ვაჟა-ფშაველას დროის მთიელსაც კი, სჯეროდა, რომ ბუნების იდუმალი ძალები, რომლებთანაც ის იდუმალი კავშირითაა შეერთებული, სიზმრისა და წინათგრძნობის სახით წინადვე აჩვენებს მას მომავალ უბედურებასა თუ ბედნიერებას. ამით აიხსნება, რომ ხალხურ ზეპირშემოქმედებაში, როგორც ეპოსში, ისე სიუჟეტიან ლირიკულ ლექსებში სიზმარს, როგორც ხალხის სულიერი განწყობილე-

ბის გამოვლინების ერთ-ერთს მხარეს, დიდი ადგილი უჭირავს. სიზმარი, ხალხის რწმენით, სიმბოლურად წარმოადგენს მომავლის ჩვენებას. ამის მაგალითია ხალხური „სიზმარი“ („წუხელის სიზმარი ვნახე“...).

ამიტომაც სიზმარი, როგორც შემოქმედების სტილიური ნიშანი, ვაჟა-ფშაველას მრავალგზის აქვს გამოყენებული.

სიზმარს ვაჟა-ფშაველა იყენებს, როგორც საშუალებას, ნიღაბს დამალოს თავისი პირადი განწყობილება, საზოგადოებრივი სავალალო მდგომარეობით გამოწვეული, რათა თავის ნაწარმოებს ააცდინოს ცენზორის ბრჭყალი და თავისი აზრები ფარულად მაინც გაიტანოს ფართო მკითხველთა წრეში.

მაგალითად, „სიზმარი“ („სიზმარი ვნახე, თუმც ბევრად უნახველობა მერჩივნა“...). მგოსანს ესიზმრება, რომ ის „სისხლის მორევში“ ცურავს. ეძებს ფონს, სურს გაიქცეს, თავის სახლის კარები მოხუროს, მაგრამ მის სახლში „სისხლის მორევი“ შეიჭრა. მგოსანი სისხლის მორევში ცურავს; ხედავს „ჭერიდან წვიმა წითელი კოკის-პირულად დიოდა“; გარედან კივილი ესმის: „ეს შენთა მოძმეთ სისხლია!“ მგოსანი იტანჯება, გამოუვალ მდგომარეობაშია, გაქცევას ვერ ახერხებს. ყოველი მხრიდან ესმის „წივილ-კივილი, გოდება“ — გარემოშიც „შავი იკვროდა ღრუბელი, დაბლა წვებოდა ციდანა“. ამ დროს გაისმა მთიდან კივილი კაცისა: „ხალხო, მოვიდა ვეშაპი!“

პოეტი ხედავს, რომ მოძრაობს „უზარ-მაზარი ცხოველი“ — ვეშაპი, რომელმაც „რაც კი წინ შეჰხვდა, ერთს წუთში შთანთქა ყოველი“. ხედავს, რომ ამ საზარელ ცხოველს ვერაფერს თხოვ, ის უდიერია, ის გველეშაპია — „სისხლის გუდა“ — „თხოვნით ვინ შეუწყალია სიკვდილს და სულთამხუთავსა?“ — ფიქრობს სიზმარში.

ამ საშინელი სანახაობის აღწერას შეძრწუნებული ვაჟა-ფშაველა ასე ათავებს: „ნუღარ მაჩვენოს უფალმა გულის საკლავი ძირ-მწარი“[9].

ვაჟა-ფშაველა აღნიშნულ „სიზმარში“ არაჩვეულებრივი სიცხადითა და სიმკვეთრით გვიხატავს 1905 წლის რევოლუციის შემდეგ გამძვინვარებულ რეაქციას, მართლაცდა „სისხლის წვიმებს“ — ხალხის ტანჯვას, მის მძიმე მდგომარეობას, გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მიერ ქართლისა და გურია-იმერეთის დარბევითა და სოფლებში ეგზეკუციების ჩაყენებით გამოწვეულს; ამასთან ერთად, მგოსანი უარყოფით დამოკიდებულებასაც ამჟღავნებს რეაქციისადმი და ლამობს მკითხველსაც გადასცეს, გადასდოს თავისი ასეთი განწყობილება, რასაც სინამდვილეში, უდავოდ, კარგად აღწევდა.

ასეთივე ხასიათისაა ვაჟა-ფშაველას ცნობილი ლექსი-პოემა „ერეკლეს სიზმარი“. აქაც ვაჟა-ფშაველას სიზმარი გამოყენებული აქვს,

---

[9] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, სიზმარი თხზ., ტ. II, 1950 წ., გვ. 88—89.

როგორც ნიღაბი იმავე ცენზურული პირობების გამო და იმავე საზოგადოებრივი სურვილით მკითხველს აჩვენოს საქართველოს პოლიტიკური და კულტურული შევიწროება ბიუროკრატიული ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკის მწვავე და უხეში გატარებით.

შემოკრებილ ხევსურთა თხოვნით შემაშფოთებელ სიზმარს ერეკლე ასე გადმოსცემს:

„მე ის მესიზმრა, რომ საქართველოს
თავით ბოლომდე ცეცხლი ეკიდა,
თვით ჩემს სრა სახლსა, სამეფო ტახტსაც...
მტერი სთელავდა ხალხსა ფეხითა.
ჩემი ლაშქარი აბჯარ-აყრილი
იდგა უძრავად და არა სწუხდა,
თუმცა ვიძახდი: „აბა, ბიჭებო,
უჭირს ქვეყანას!“ ხმა ჩემი ჰქუხდა.
გაქვავებულან, თითქოს სტკბებიან,
რომ საქართველო ცეცხლშია სდუღდა“.[10]

თანადროულობისა, ქართული საზოგადოების მდგომარეობისა და მათდამი პოეტის დამოკიდებულების ასახვის საშუალებადაა გამოყენებული სიზმარი შემდეგ ლექსებშიც: „სიზმარი ამირანისა“, „მთების სიზმარი“, „დედის სიზმარი“, „სიზმარი“ („ვიჯექი ოქროს ტახტზედა“) და სხვ.

ვაჟა-ფშაველას სიზმარი, როგორც შემოქმედების ხერხი, გამოყენებული აქვს ეპიურ ნაწარმოებებშიც. აქ მგოსნისოვის სიზმარი სიუჟეტის განვითარების საშუალებაცაა და გმირის დახასიათებისაც. სიზმრის შემწეობით მწერალი ეპიურ ნაწარმოებებში მშვენივრად ახერხებს პერსონაჟის განცდების გამახვილებულად გადმოცემასაც და მისი ადგილობრივი მთიულური კოლორიტის დაცვასაც. მაგალითად: „ბახტრიონი“, „გველის მჭამელი“, „ალუდა ქეთელაური“, „მთის წყარო“ და სხვა.

ნიმუშისათვის ავიღოთ პოემა „ალუდა ქეთელაური“.

ალუდას დაეჭვებასა და შინაგან მტანჯველ განცდებს, მუცალის მოკვლით გამოწვეულს, ვაჟა-ფშაველა პოეტური დინამიური მატებით ავითარებს. ალუდას მთლიანი არსება შეიპყრო მუცალის მოკვლისა და თემის მკაცრი მოთხოვნის, — დამარცხებულ მტერს უეჭველად მაჯა უნდა მოეჭრას, — უსამართლობის შეგნებამ. დიდია და მწვავე ეს განცდა თემის პირობებში აღზრდილი ალუდასათვის. რთულია ამ განცდების გადმოცემა — აქ აშლილია ალუდას ცნობიერიცა და არაცნობიერი სამყაროც. მკითხველს რომ განაცდევინოს ალუდას შინაგანი ტანჯვის მთელი სიმწვავე, ვაჟა-ფშაველა ნიჭიერად იშველიებს სიზმარს, რომლითაც მკითხველი მკვეთრად გრძნობს, რომ ეს შინაგანი წვა-ტანჯვა ალუდას არამც თუ ცხადლივ, არამედ სიზმრადაც კი არ ასვენებს, რომ ტანჯვა ალუდასი დაუძლეველია.

---

[10] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ერეკლეს სიზმარი, თხზ., ტ. II, 1950 წ. გვ. 158.

ახალი განცდით გაბრუებული ალუდა ჭამის მადასაც კი ჰკარგავს (ფსიქო-ფიზიოლოგიურადაც გამართლებულია განცდა). დედის რჩევაზე — პური ჭამოს, დასევდიანებული, გატანჯული ალუდა გადაშლის თავის მძიმე მწუხარებას სიზმრის სახით — „მე პურ არ მინდა დედაო“... და სხვა.

ამ სიზმრის პოემაში ჩართვით ვაჟა-ფშაველა არაჩვეულებრივი სიმკვეთრითა და სისრულით აგრძნობინებს მკითხველს ალუდა ქეთელაურის შინაგან ტრაგედიასაც, მის გამომწვევ მიზეზებსაც და ამ ტრაგედიის ალუდაში კატასტროფული მატების ბუნებრიობასაც.

სიზმრის ჩართვით, უდავოდ, პოემა „ალუდა ქეთელაურის“ კომპოზიციის გაშლაც მხატვრულობის თვალსაზრისით ფრიად იგებს და ალუდას მორალური სახეც მკვეთრად, მძლავრად და სისრულით გამოიყურება. ასეთივეა სიზმრის როლი ვაჟა-ფშაველას სხვა ნაწარმოებებშიც.

* * *

ვაჟა-ფშაველას პოეტურ შემოქმედებაში, როგორც ზევითაც არა ერთხელ გვქონდა შემთხვევა აგვენიშნა, დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბუნების მოვლენათა დახატვასა და მათდამი პოეტისა და მისი ნაწარმოების მოქმედ პირთა დამოკიდებულებას. ვაჟა-ფშაველას ბუნებისადმი დამოკიდებულება თავისებურია და მრავალფეროვანი, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული მწერლის ფილოსოფიურ შეხედულებასთან ბუნებაზე.

ა) ბუნებას ვაჟა-ფშაველა, როგორც შემთხვევა გვქონდა დაგვენახა, აწერს არა მარტო ელემენტური განცდების თვისებას, არამედ აგრეთვე სურვილს, ნებისყოფას, მაღალ მორალს. მწერლის გაგებით, ბუნებასა და ადამიანს შორის განუწყვეტელი ურთიერთკავშირია. ასეთი შეხედულებით აიხსნება, რომ ბუნება, პეიზაჟი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კომპოზიციის ერთ-ერთი ქმედითი კომპონენტია („გველის მჭამელი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ქუჩი“, „ტრედები“, „მთანი მაღალნი“ და მრავალი სხვა).

ნიმუშისათვის:

ბუნებას, მის მოვლენას, ვაჟა-ფშაველას დახატვით, არა მარტო განცდა, არამედ სურვილი, მოქმედება, აქტიურობა ახასიათებს.

დილაზე ფრთა-დაკეცილთა,
ნამტირალევთა ღამითა,
მთებზე ეძინა ნისლებსა
მიტკლით შაკრულის თავითა;

ზოგჯერ რო გაგვახარებენ
მაცოცხლებელის ცვარითა,
სხვა დროს ბედს გვაწყევლინებენ
ჩანადინარის ავითა.

(„გველის მჭამელი“)

ასევეა ვაჟა-ფშაველას პროზაშიაც:

„კლდე ღამ-ღამობით სტირის, რომ არავინა ნახოს და არ დაჰგმოს. ცის ტირილზე მეტია იმის ტირილი. კიდევაც იმდენს ცრემლს არა ჰღვრის, რამდენიც შეუძლიან, შიშობს, ბარი არ წალეკოს. ეს არავინ იცის და ამიტომ იტყვიან ხოლმე: „კლდეა, მაგარია, მაგან ტირილისა რა იცის, რა ჯავრი მოერევაო". კლდის ტირილს თავდაკიდებით ყურს უგდებენ მთანი და შავს ნისლს შავის ფიქრებისას მუზარადად იხურავენ"... („კლდე მტირალი").

ვაჟა-ფშაველას გაგებით, ბუნების მოვლენათ მაღალი მორალური განწყობილებაც ამოძრავებთ.

ყანასა სეტყვა აშინებს —
კაცთ უსაზრდოოთ დარჩენა,
თორემ ვით ნამგალს, სეტყვასა
სით შაუძლიან წახდენა?!
კაცთ სარგოდ თავსა ჰზოგავენ
თავთავნი ოქროს ფერანი, —
არ სწადით ოხრად ლპებოდენ,
ჰკენკდენ ყვავნი და ძერანი.
მიტომ ჩქარობენ მომკასა,
ერთად ყივიან ყველანი,
ჰსურთ პურად იქცნენ, საჭმელად,
რომ მათი გაძღნენ მშიერნი.

(„გველის მჭამელი")

ასევეა ვაჟა-ფშაველას პროზაშიც:

„ნეტავ ვიცოდე, სად მიდიან ზამთრობით ყვავილნი? ვგონებ, ამას სიკვდილი ჰქვიან. ვინ მასწავლა მე სიტყვა სიკვდილი? აი ამ ლოდმა, ჩემს გვერდზე რომ ცხვირი წამოუშვერია და მრისხანედ დასჩერებია ქვეყანას. ამან და იმ ორასის წლის ბებერმა არწივმა. არა. სიკვდილი კარგი არ უნდა იყოს. გუშინ რომ მაგ დაუსვენარმა ბებერმა ერთი როჭო შეყლაპა ჩემს თავზე, რამდენსა ჰკვნესოდა საბრალო და ის კი შეუბრალებლად სწიწკნიდა, ჰგლეჯდა თავისის ალმასის ნისკარტით" („ქუჩი").

ასეთია ფართო განსულიერება ბუნების მოვლენათა ვაჟა-ფშაველას მიერ; ასეთია ბუნების მოვლენათა მაღალი თვისებებითაც კი გაადამიანება მის შემოქმედებაში.

ვაჟა-ფშაველას თავის შემოქმედებაში ბუნება სხვადასხვა სახითა და პოეტური დანიშნულებით აქვს გამოყენებული.

ა) ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ხშირია პეიზაჟის გამოყენება, როგორც ექსპოზიციისა, რასაც ნაწარმოების შინაარსის განვითარებაში მკითხველი ადვილად და ბუნებრივად შეჰყავს.

ნიმუშისათვის ავიღოთ პოემა „სტუმარ-მასპინძელი".

ღამის წყვდიადში ჩაფლული,
გამტკნარებულის სახითა,
მოსჩანს ქისტეთის მიდამო
სალის კლდეების ტახტითა.
ბნელს სევზე მოჰყეფს მდინარე,
ბულბულ-ღვრეული ჯავრითა.
გადმოხრილიყვნენ მთანიცა,
ხელ-პირს იბანდენ წყალზედა;
ბევრი მომკვდარა მათს მკერდზე,
სისხლს ვერ იხდენენ ტანზედ;
ცმის მკვლელის სისხლი სწყურია,
კაცი რომ მოდის გზაზედა...

(„სტუმარ-მასპინძელი")

ასევეა ვაჟა-ფშაველას პროზაშიც:

„გაზაფხულდა. ჯეჯილები გაბზინდა, თოვლის წყლებმა დაიწყეს ცელქად დენა მინდვრად და ხევებში. ზღვამაც ფერი იცვალა, გაისქელა ქედი. მისნი კიდენი, ხშირჩალიანნი და ზამთრისაგან გაყვითლებულნი, ამწვანდენ. ღამდებოდა. ის-ის იყო, რომ ზღვის იქიდამ დაღლილ-დაქანცული ორი ტრედი მოფრინდა და ზღვის პირად დაჯდა. დედა-შვილსა ჰგვანდნენ. ნისკარტი-ნისკარტს გადაადვეს, საკმაო ხანს ჩუმად ისაუბრეს და მერე ორთავეს დასთვლიმა... დედა ტრედს გამოეღვიძა და ამოიკვნესა...“ („ტრედები“).

ბ) პეიზაჟი კომპოზიციის გაშლაში გამოხატავს ვაჟა-ფშაველას თანაგრძნობას პერსონაჟისა ან მოვლენისადმი. ბუნება, თითქოს, ეხმაურება მოქმედ პირს, მის შესაფერისადაა ამოქმედებული; პეიზაჟი გმირის ემოციურ განცდასთანაა დაკავშირებული, მას ეხამება, მას თანაუგრძნობს.

ნიმუშისათვის მოვიყვანთ მაგალითებს:

ქისტებმა ვაჟკაცი ხევსური ზვიადაური, სტუმრად მისული, ვერაგულად მოჰკლეს, უიარაღო, მძინარე შეკონეს და თავიანთ მკვდრებს დააკლეს. ზვიადაური არ შეშინდა, წარბიც არ შეიხარა, მოკვდა ისე, რომ თვალიც კი არ დაახამხამა. ზვიადაურის ასეთმა ვაჟკაცობამ ყველა დამსწრე განცვიფრებაში მოიყვანა. თვით ავტორიც აღტაცებულია ზვიადაურით. და ეს საერთო აღფრთოვანება ვაჟა-ფშაველამ რომ უფრო გააძლიეროს და მკითხველსაც ადვილად გადასდოს, მოიშველიებს ბუნების თანაგრძნობასაც ზვიადაურისადმი. ზვიადაურს ბუნებაც კი ეტყვის:

ჩამოდგა საღამოს ჟამი,
მთიდამ მზის სხივი ჩამოხდა,
სიბნელე მოიპარება,
სინათლეს სული ამოჰხდა.
დადგნენ, სულ დადგნენ მზის სხივნი,
აღარ ელავდა ქვეშაო;
აღარსადა სჩანს, გამქრალა
თეთრი თმა შავის მთისაო;
ნაღვლით ნაქარგი, ნაქსოვი
სახე იმ სალის კლდისაო,
რომ მუდამ მგლოვიარეა,
ცრემლი ანკარა სდისაო...
(„სტუმარ-მასპინძელი“)

ასევეა ამავე პოემაში ბუნების მოძრაობა შეხამებული აღაზას განცდებთან, როგორც ზვიადაურის გლოვის მომენტში, ისე თემიდან გარიყული, მარტოდ დარჩენილი, შინაგანი დაუკმაყოფილებლობით გატანჯული აღაზა დახრჩობასაც კი გადაწყვეტს.

ასევეა ვაჟა-ფშაველას პროზაში. ნიმუშისათვის ავიღოთ „დარეჯანი“.

დარეჯანი წყალწაღებულ მწყემსს ღვთისოს მიეშველა; უნდოდა მისი გადარჩენა. მოუფიქრებლად შევარდა წყალში; წაავლო ღვთისოს ხელი: მამაცურად ებრძოდა ტალღებს; წყალი თანდათან მატულობდა. წყალმა დარეჯანი ღვთისოსთან ერთად მიიტანა მორევში და კლდეზე მიაწყვიტა. დარეჯანს, თითქოს, გონება წაერთვა, რამდენჯერმე კიდევ წამოიწია ასადგომად, მაგრამ უშედეგოდ. დარეჯანი და ღვთისო ორივენი იღუპებიან. დარეჯანი საუკუნოდ გამოეთხოვა წუთისოფელს. ვაჟა-ფშაველას განცდითა და დახატვით, ბუნებაც ამ მდგომარეობის შესაფერისად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას: „ზეცაც დაბნელდა, — გადმოგვცემს ავტორი, — მთებმა შავი ნაბადი წამოისხეს და მაღლიდამ ამაყად გადმოსცქირეს არაგვის ხეობას“... („დარეჯანი“).

გ) ვაჟა-ფშაველას კომპოზიციისათვის აგრეთვე დამახასიათებელია პეიზაჟის გამოყენება, როგორც კონტრასტისა ადამიანის განცდასთან, რათა ადამიანის განცდები და მისი ხასიათი უფრო გამახვილებულად იქნას გამოჩენილი და სისწორით გაგებული.

ნიმუშისათვის:

ალუდა ქეთელაურმა ბრძოლაში მოჰკლა მუცალი. მუცალის ვაჟკაცობამ ალუდა მოხიბლა (რა თქმა უნდა, თვით ავტორიც); ალუდას ის ენანება. იგი თავის საქციელის სიმართლეში დაეჭვიანდა. ის მძიმე განცდით ბრუნდება სახლში.

ბუნებაში კი ამ მოვლენისადმი საწინააღმდეგო დამოკიდებულებაა:

„აშლილან სანადიროდა
ქორებ, ფრინველთა მლეველები;
სოვნი არწივებს მასდევენ,
მუქთად ჭამისთვის მხლებლები.
ჯიხვნი მაებნენ მყინვარსა,
მადლი რქათ ადგა ღვთისაო.
ხევი-ხევ შამოყრანტალებს
ყორანი ავის ხმისაო:
„მომკვდარა ქისტი მუცალი,
თვალნ უნდა ესჭამნე ყმისაო.
გულ-ღვიძლი ამოვარიდო,
კალთა დავხურო მხრისაო“.
(„ალუდა ქეთელაური“)

ასევე ახასიათებს ეს სტილიური ნიშანი ვაჟა-ფშაველას პროზასაც.

ნიმუშისათვის ავიღოთ მოთხრობა „ჩვენი სოფელი“. „დადგა შემოდგომა. კაცის მარჯვენამ მთა-ბარს, მინდვრებს ნაღები მოჰხადა; დარჩა გახრიოკებული დედამიწა; რაც რამ სარჩო-საბადებელი ჰქონდა დედამიწას, კაცს უძღვნა და თითონ კი დარჩა ცალიერი.

მინდვრებზე აღარაფერი ჩანს; მარტო პატრონისაგან მოძულებული, სიბერისაგან გადახრწნეული კუდა-ცხენები-ღა თუ დახეტიალობენ და ჰხოხნიან ხმელს დედამიწას; სოფელი კი მხიარულობს, თვრება, „ჰარუნანო-თარუნანო“ გაისმის. სოფელი შემოსძახებს სუფრულს“... („ჩვენი სოფელი“).

ვაჟა-ფშაველას მთლიან შემოქმედებაში ახასიათებს პეიზაჟის სხვა საშუალებების გამოყენებაც. ჩვენ ჩამოთვლილი საშუალებების ჩვენებით დავკმაყოფილდებით, ვინაიდან, ჩვენი ფიქრით, აღნიშნულიც საკმარისად ნათლად გვიდასტურებს, რომ პეიზაჟი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ასეთია ზოგადად ვაჟა-ფშაველას შემოქმედების პოეტიკის თავისებური, მდიდარი, მიმზიდველი და დამახასიათებელი სტილიური ნიშნები.

თავი X

ვაჟა-ფშაველას ლექსი

წინამდებარე შრომაში ზედმეტი არ იქნება ორიოდე სიტყვით მაინც აღინიშნოს ვაჟა-ფშაველას ლექსის ბუნებაც. მგოსნის პოეტური შემოქმედების ეს მხარე, შეიძლება ითქვას, ჯერ-ჯერობით. სრულიად ხელუხლებელია, იგიც სპეციფიკური კვლევის საგანია. ჩვენც მხოლოდ ცდისა თუ საკითხის დასმის სახით მის შესახებ მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ვიტყვით.

ვაჟა-ფშაველას ლექსის ძირიც, უდავოდ, ქართული ხალხური ლექსის ბუნებაშია. მრავალ შემთხვევაში და უმთავრესად იქიდან საზრდოობს არა მარტო მისი ლექსის მეტრი, არამედ მისი ლექსის რიტმიც და რითმაც.

ვაჟა-ფშაველას ლექსი ძირითადად დაწერილია ხალხური შაირის ზომით, რომელიც ქართულ მწერლობაში ადრიდანვე დამკვიდრდა და ჩვენი კლასიკოსი მწერლების — შ. რუსთაველის, ჩახრუხაძის, თეიმურაზ I, გურამიშვილისა და სხვათა შემოქმედებაში დაიხვეწა.

ცნობილია, რომ ქართული ხალხური და საშუალო საუკუნეების პოეზია, ე. წ. შაირის თექვსმეტმარცვლოვანი ლექსის ზომით იწერებოდა. შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ თექვსმეტმარცვლოვანი შაირი მთავარი ცეზურით მერვე მარცვლის შემდეგ ძირითად და მთავარ ზომად გადაიქცა როგორც ხალხურ ზეპირ პოეზიაში, ისე მწერლობაში. სამართლიანია ს. გორგაძის აზრი: „ამ უმაგალითო ფაქტის ახსნა, რასაკვირველია, მარტო რუსთაველის პირადი გენიით არ შეიძლება ავხსნათ, არც მარტო მისი რომანის ძირითადი ფაბულის ღირსებებით („ვით მარგალიტი ობოლი ხელი-ხელ საგოგმანები — ვპოვე“); არამედ, ვფიქრობთ, სინამდვილესთან უფრო ახლოს ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ რუსთაველის გენიოსობა აქ სწორედ იმაში გამოიხატა, რომ ხალხში „ობოლმარგალიტად“ მიჩნეულსა და „ხელიხელსაგოგმანებელ“ ფაბულას მან სალექსო ფორმაც, მეტრიც ხალხური შეურჩია, ე. ი. ის

მეტრი, რომელიც რუსთაველზე ბევრად ადრე ხალხურ პოეზიაში იყო მიღებული და გავრცელებული, ხოლო მწერლობის კარები რუსთველამდე მას, როგორც „მდაბიო-ხალხურს“, „ვულგარულ“ მეტრს (რომელსაც ხალხი ნახევრად წარმართულ დღეობებში და სიმღერებში ხმარობდა), ისე მაგრად ჰქონდა დახშული, რომ იქ შესვლა მხოლოდ იშვიათი სტუმრის სახით შეეძლო“[1].

ვაჟა-ფშაველამაც თავის მდიდარ, ორიგინალურ შემოქმედებას შეურჩია სალექსო მეტრი, რომელიც განმტკიცებული იყო როგორც მწერლობაში, ისე, და განსაკუთრებითაც, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში.

ლექსის ზომის თვალსაზრისით, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, შეიძლება ითქვას, არ არის არც ორიგინალური და არც მრავალფეროვანი. ის უფრო ერთგვაროვანია მცირეოდენი განსხვავებით. ძირითადი და წამყვანი ზომა მის შემოქმედებაში 16 მარცვლოვანი გატეხილი შაირია, რომლის ძირითადი მეტრია ლოგაედურ-დაქტილური დიმეტრი —53 ან 35.

სქემა ვაჟა-ფშაველას ლექსის ლოგაედურ-დაქტილური დიმეტრისა ასეთია:

ა) — ა — აა | — აა = ანტიადონისური ლოგაედი + დაქტილი:

მკვდარი ნურავის | გგონივართ |
გრძნობა მიხდილი ლეშია...

ან: — აა | — ა — აა = დაქტილი + ანტიადონისური ლოგაედი:

კიდევაც | მიდუღ ვაჟასა |
მთიური | სისხლი მკერდშია.

როგორც ვთქვით, ძირითადი ზომა ვაჟა-ფშაველას ლექსისა არის აღნიშნული — ლოგაედურ-დაქტილური დიმეტრი. მაგრამ გვხვდება, თუმცა შედარებით ნაკლებ, მისი მონაცვლე ზომებიც. მაგალითად, ანტიბაქე + ქორე + დაქტილი, რომლის სქემა შემდეგია:

— — ა — ა | — აა
ნუ მიწყენ, ქალო, | ვისი ხარ ||

ტყე ველთ რას დაი | არები?
(„ეთერი“)

თუმც კი არ არის | ურიგო, |

თუ კი უნარი | გვექნება.

[1] სერ. გ ო რ გ ა ძ ე. ქართული ლექსი, გვ. 27.

ამას გარდა გვხვდება ლოგაედური დიმეტრები სრული სახით (55):

ა) წმინდა ადონისური, რომლის სქემა ასეთი იქნება:

— ́ ––ა — ́ ––ა I — ́ ––ა — ́ ––ا I
წამოველ, მერმე | სულ და ვიარე ||
თუ სადმე სწყალთ | სადგური იყო („დაჩაგრული მესტვირე").

ბ) ანტიადონისური, რომლის სქემაც ასეთი იქნება:

— ́ ––ა — ́ ––ა | — ́ ––ა — ́ ––ა ||
ყველა დაჩაგრულს | ბაეი მრვხადე ||
ფართლაც ამ გუდამ | გუდობა მიყო.
(იქვე)

გ) ადონისურ-ანტიადონისური, რომლის სქემაც ასეთი იქნება:

— ́ ––ა — ́ ––ა | — ́ ––ა — ́ ––ა |
ნემსი და ძაფიც | ღარიბთ მრვთხოვე, ||
მდიდრის მრცემულს | ვუთხარ უარი.
(იქვე)

ვაჟა-ფშაველას პოეზიაში სრული სახით ლოგაედურ დიმეტრებიდან შედარებით ხშირად გვხვდება უკანასკნელი სახის ადონისურ-ანტიადონისური მეტრი.

* * *

ვაჟა-ფშაველას ლექსის დამახასიათებელი ტაეპია ორი ლოგაედურ-დაქტილური დიმეტრის შეერთება. ამ ტაეპის სქემა შემდეგი სახისაა:

ა) 53 || 53 | : — ––ა — ––ა — ––ა | — ––ა || — ––ა — ––ა | — ––ა | —
ჩრნგურს სიმები | დამიწყდა || | მღერა მწადიან | ალარა.. („სიმღერა")

ესაა შაირის ლოგაედური ტაეპი, რომელიც მეორე მონომეტრის შემდეგ მთავარ ცეზურას ატარებს, ხოლო დანარჩენთა შორის მცირე პაუზას. ეს ტაეპი თანაბარრიტმიანია; ორივე ნახევარში აღმავალი რიტმისაა — 233 || 233 — ქორე + დაქტილი + დაქტილი || ქორე + დაქტილი + დაქტილი.

ვაჟა-ფშაველა მეტრების გადანაცვლებით აღნიშნული სქემის ტაეპის სხვადასხვა ვარიაციებს იყენებს, რითაც საგრძნობლად ამრავალფეროვანებს ლექსის მეტრსაცა და რიტმსაც.

მაგალითად:

ბ) 35/35 = — ́ ––ა | — ́ ––ა — ́ ––ა | — ́ ––ა | — ́ ––ა — ́ ––ა:
დაბერდა | ლომი, დაბერდა ·ალანეებსა—ხმარობს ვეღარა ... („ბებერი ლომი").

ეს ტაეპიც თანაბარრიტმიანია, ორივე ნახევარში რიტმი გარდამავალია — 323/323 =

დაქტილი + ქორე + დაქტილი || დაქტილი + ქორე + დაქტილი.

მაგრამ ვაჟა-ფშაველა არც ამით კმაყოფილდება, უფრო ხშირად ის მიმართავს შაირის კომბინირებულ ტაეპს, რომლის ერთს ნახევარში რიტმი აღმავალია, ხოლო მეორეში გარდამავალი, ან პირიქით: ერთში გარდამავალია, ხოლო მეორეში აღმავალი.

გ) კომბინირებული ანუ აღმავალ-გარდამავალი რიტმიანი ტაეპის სქემა:

— ə — əə | — əə || — əə | — ə — əə =

ქორე + დაქტილი + დაქტილი || დაქტილი + ქორე + დაქტილი:

გლეხის მარჯვენის | ნაღვაწო || და ეღეხის | ოფლით | მორწყულო („ჯეჯილი“).

დ) კომბინირებული გარდამავალ-აღმავალი რიტმიანი ტაეპის სქემა:

— əə | — ə — əə | — ə — əə | — əə =

დაქტილი + ქორე + დაქტილი || ქორე + დაქტილი + დაქტილი:

რა გინდა | ბედმა | მიმტყუნოს || რა გინდ ვარამმა | მაბინოსა... („სიმღერა“).

ნიმუშების რიცხვის გადიდება ზედმეტად მიგვაჩნია, რადგანაც, ვიმეორებთ, ამ ზომის ტაეპი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მეტად დამახასიათებელია. ერთფეროვნება რომ თავიდან აიცილოს, მგოსანი მიმართავს ამ ზომის სხვადასხვა ვარიაციას, რითაც ის, უდავოდ, მიზანს აღწევს. ამის შესაძლებლობას მას აძლევს შაირის მეტრის ბუნება. ქართულ ხალხურ პოეზიაში და შემდეგ მწერლობაშიც შაირის გავრცელების მიზეზი, უდავოდ, შაირის მეტის მრავალფეროვნებასა და მის რიტმის მოქნილობაშია ჩამარხული.

ს. გორგაძე სამართლიანად წერს, რომ „არც ერთი სხვა მეტრი ისე თავისუფლად ვერ უდგება და ვერ იტევს, ისეთის ბუნებრივობით ვერ იწყნარებს რიტმოვნად აჩქარებულს ქართულ მეტყველებას, როგორც ამას ქართული „შაირი“ ახერხებს. ამაშივეა ქართული „შაირის“ სასიცოცხლო ძალა და მისი გამძლეობის საიდუმლო“[2].

ვაჟა-ფშაველას პოეზიაში, გარდა შაირის ლოგაედური ტაეპებისა, მართალია, არა ისე გავრცელებულად, გვხვდება თანაბარი რიტმიანი შავთელური ტაეპი, რომლის სქემა არსებითად წარმოადგენს ლოგაედური მონომეტრებისა და ლოგაედური დიმეტრების შეერთებას — 55||55.

ვაჟა-ფშაველას პოეზიის ამგვარი ტაეპი შედგება: 1) ან ოთხი სრული ლოგაედური მონომეტრისაგან (5), რომელთა შორისაც სამი სა-

---

[2] ს. გ ო რ გ ა ძ ე, ქართული ლექსი, გვ. 69.

ვალდებულო პაუზა ანუ ცეზურაა, რომელთაგან ერთი მთავარს წარმოადგენს, სახელდობრ ისა, რომელიც მეორე და მესამე მონომეტრის საზღვარზეა. ნიმუშისათვის:

ბბა მრამბე,
მკრთხავდი რასა, ||
რაზე ოღალავ |
ენას და ყბასა?
(„არწივი")

2) ან ორი სრული ლოგაედური დიმეტრისაგან (55), რომელთა შორისაც ასევეა სავალდებულო სამი ცეზურა; მთავარი ცეზურა ამ შემთხვევაშიც მოთავსდება ლოგაედურ დიმეტრებს შორის:

თან დაყოლილი | ტანჯვა-ვებება ||
არ ჩამრმეხსნა | მიქენჯნის მკერდსა.
(„მესტვირის ანდერძი")

რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას შავთელური ტაეპის შინაგან რიტმით შემადგენლობას, ამ მხრივ ის დიდ მრავალსახეობას წარმოადგენს. ჩვენ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ძირითადს, ხშირად რომ გვხვდება ვაჟა-ფშაველას პოეზიაში და დამახასიათებელი რომაა მისთვის.

ა) ლოგაედური მონომეტრი — წმინდა ა დ ო ნ ი ს უ რ ი:

— áá — á (5)
ჩავიდა გულში, I
ჩაუძვრა სულში, II
მოქლს მის არსებას I
ჩაავლო ბრჯღალი.
(„სვინიდისი")

ბ) ლოგაედური მონომეტრი — ა ნ ტ ი ა დ ო ნ ი ს უ რ ი:

— á — áá (5)
ოხ, რა ცუდია,
რცით დაბლობა
ქვე მძრომელობა
და სულმდაბლობა...
(„მთას")

გ) ვაჟა-ფშაველას მიერ უფრო ხშირად იხმარება მესამე ვარიანტი ამ ზომისა — ა დ ო ნ ი ს უ რ-ა ნ ტ ი ა დ ო ნ ი ს უ რ ი:

— aa ´— a | ´— a ´—aa = შენაცვლებით

უდაბნოდ რქცა |

ჩემი პრსება, ||

უოპზისო,—

ტრალი რჩება.

(„სიმღერა“)

შენაცვლებით:

ვითომ იქ ნახო |

ხეები დიდი ? ||

მწვანე კორდები

და წყალზე ხიდი! ...

(იქვე)

ვაჟა-ფშაველას ლექსში ლოგაედური დიმეტრი (55) სხვადასხვა სახით გვხვდება:

ა) წ მ ი ნ დ ა ა დ ო ნ ი ს უ რ ი:

´— aa ´—a | ´— aa ´— a | :

წამოველ მერმე | სულ დავიარე, ||

თუ სადმე სწყალთ | სადგური იყო.

(„დაჩაგრული მესტვირე“)

ბ) ა ნ ტ ი ა დ ო ნ ი ს უ რ ი:

´— a ´— aa | ´— a ´— aa | :

ყველა დაჩაგრულს | ბაეი მრვხადე, ||

გ) ა დ ო ნ ი ს უ რ-ა ნ ტ ი ა დ ო ნ ი ს უ რ ი:

´— aa ´— a | ´— aa ´—a || ან შეცვლით;

´— aa ´— a | ´— a ´— aa:

ის მამის ქრხიც | ჩამომეშალა ||

ოჯახიც გახდა | გაოხრებული.

(იქვე)

ან კიდევ პირიქით:

´— a — aa | ´— aa ´— a ||

´— aa ´— a | ´— a ´— aa;

დავრჩი რბოლი | არავინ მყვანდა ||
რომ შევენახე | დაობლებული.

(იქვე)

შეიძლებოდა ვაჟა-ფშაველას ლექსის ზომის სხვა სახეებიც მოგვეცა, მაგრამ იმ კონკრეტული საკითხის ზოგადი დახასიათებისათვის, როგორსაც ჩვენ წინამდებარე შრომაში ვისახავთ, ვაჟა-ფშაველას ლექსის აღნიშნულ ძირითად ხასიათზე, ვფიქრობთ, მკითხველს გარკვეულ შთაბეჭდილებასა და წარმოდგენასაც მისცემს. ამ საკითხს კვლავ სპეციალური კვლევა ესაჭიროება, რაც შემდეგისათვის ვეცდებით შევასრულოთ.

* * *

ვაჟა-ფშაველას ლექსის დინამიკას, მის რიტმს, გარდა მეტრის მრავალფეროვანებისა, ხელს უწყობს აგრეთვე მისი ტაეპის ბუნებრიობა, ვაჟა-ფშაველას ლექსის ტაეპის სქემაში სიტყვები თავისი ბუნებრივი აქცენტუაციითა და სწორი გრამატიკული ფორმებით თავსდებიან.

ნიმუშისათვის:

დამიწყდა ჩონგურს სიმები,
აღარ აესხმის, აღარა;
სხვისამ იაღეროს ჩონგურმა,
სხვამ ააქუხოს ნაღარა.
აღარ სჭრის ჩემი იღბალი,
გაცუდდა ჩემი ჭაღარა!

სხვა დასტკბეს ტკბილის ჰანგითა,
ტკბილის ლექსების მღერითა,
სხვას ესაუბროს უფალი
ტკბილის ღვთიურის ენითა;
სხვა დასტკბეს, სხვამ იქეიფოს
განწყობით ამაზრზენითა.

(„სიმღერა")

აქ ყოველი სიტყვა ბუნებრივ მდგომარეობაშია, გრამატიკულად სწორია: არც შეკვეცა, არც შევსება, ისეა როგორც ჩვეულებრივ მეტყველებაში იხმარება. ამას გარდა, რიტმითი მახვილებიც ჩვეულებრივი მეტყველებისას ხვდება. ცეზურაც ბუნებრივია, ყოველი მათგანის სიტყვების ბუნებრივ ზღვარზე ზის.

ვაჟა-ფშაველა იშვიათად მიმართავს სიტყვის ხელოვნურ შეკვეცასა და შევსებას. სადაც კი ასეთს მოვლენასა აქვს ადგილი, მგოსანი ხალხური (მთიულური) მეტყველების ბუნებრიობიდან გამომდინარეობს.

ნიმუშისათვის:

იქნებ ცხოვრებამ დამღალა,
მოჰხედოს კიდევ უფალმა,
იქნება არ შერცხვეს ჭაღარა?!

(„სიმღერა")

ნიმუში შევსებისა:

შთვარეო, ბევრმა გიმღერა,
ბევრმა გაშტერა თვალები,
შენს სადიდებლად მომართა
ბევრმა ჩონგურის ძალები,
მაგრამ წავიდენ ამ სოფლით
უკმაყოფილო, მწყრალები.
(„სიმღერა“)

ვაჟა-ფშაველას ლექსის რიტმს კიდევ ის აძლიერებს, რომ მისი მეტყველება, როგორც ზევითაც გვქონდა აღნიშნული, მარტივ წინადადებებს შეიცავს. მის შემოქმედებაში, კერძოდ მის ლექსში ხშირია შემთხვევა, როცა ერთი ტაეპი შედგება ორი, ხანაც მეტი მარტივი წინადადებისაგან. ვაჟა-ფშაველას ლექსში გავრცელებული წინადადებაც ფრიად მოკლეა. ხოლო რთულ წინადადებას მგოსანი ენერგიულად გაურბის.

ნიმუშისათვის:

შთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ.
თვალწინ მეფინა ქვეყანა.
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.
საკეთილ-ღღეო ქვეყნისა
მედვა სულად და გულადა;
სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი
მქონდა მეორე რჯულადა...
(„სიმღერა“)

სინტაქსური დამთავრებულობისადმი ეს ტენდენცია კიდევ უფრო შეტს ბუნებრიობას, მეტს ანაკადებულობასა და რიტმულობას სძენს ვაჟა-ფშაველას ლექსს, მის ტაეპს.

* * *

ვაჟა-ფშაველას ლექსის რიტმს აგრეთვე აძლიერებს რითმა. ცნობილია, რომ რითმა ლექსის ბგერითი ელემენტების ერთი უდიდესი მომწესრიგებელი ძალაა. ამასთან ერთად, რითმა ამტკიცებს იმ შინაგან (ლოგიკურ-სინტაქსურ) კავშირს, რომელიც ლექსის მეტრულ ელემენტთა შორის არსებობს.

ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და მწერლობასაც თუ გადავხედავთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ რითმა, თითქოს, „ორგანიული კუთვნილებაა“ ქართული ლექსისა. ურითმო ლექსი, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ს. გორგაძეც თავის გამოკვლევაში — „ქართული ლექსი“, — ქართველს ლექსად არ მიაჩნია. ქართული ხალხური პოეზიაც არაჩვეულებრივად მდიდარია რითმით. ქართველი ხალხი, განსაკუთრებით მთაში, უფრო კი სწორედ ფშავში, ჩვეულებრივი მომაკვდავიც კი რითმებით საუბრობს. ხატობასა თუ ქეიფში მთიულები, განსაკუთრებით ფშაველები, შეჯიბრს მართავენ, ვინ უფრო მოხდენილად გაეკამათება თუ გაესაუბრება მოწინააღმდეგეს. კითხვა-პასუხის ლექსად წარმოება, რასაც კაფია ჰქვია, გავრცელებული ჩვეულებაა ძველიდანვე ქართველ ხალხში.

ამ პირობებში აღზრდილმა, დიდი პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ-მა ვაჟა-ფშაველამ ბავშვობიდანვე, როგორც იტყვიან, დედის რძესთან ერთად, შეითვისა და შეისისხლხორცა ქართული ხალხური მეტყველე-ბისა და მისი მხატვრული პოეზიის რითმის მუსიკალობა, ძალა და შემ-დეგში იშვიათი ნიჭიერებითა და ოსტატობით გამოსჭედა თავის ლექს-ში.

ვაჟა-ფშაველას ლექსი მდიდარია გარეგანი რითმებით. მას ახასია-თებს ქართული ლექსის ძირითადი რითმები: დაქტილური, ქალური და ვაჟური.

ვაჟა-ფშაველას ლექსისათვის ყველაზე ტიპიური და დამახასიათე-ბელია დაქტილური (—აა) რითმა. დაქტილური რითმა ახასიათებს მგოსნის ტაეპს, შესრულებულს ლოგაედური შაირით, მისი სხვადასხვა ვარიაციებით, როდესაც ტაეპში უკანასკნელი ტერფი დაქტილურია. ვაჟა-ფშაველას ლექსი, შეიძლება ითქვას, უმეტეს წილად დაქტილური რითმითაა შესრულებული.

ა) დ ა ქ ტ ი ლ უ რ ი რ ი თ მ ი ს ნიმუში.

აბა, შეეხედოთ ქვეყანას: ძირს ვაკე, მაღლა მ თ ე ბ ი ა;
ზოგან ხევები, სხვაგან ტყე, კლდედ მიუვალი გ ზ ე ბ ი ა.
რამდენჯერ დავფიქრებულვარ, გულშიაც ცეცხლი მ ნ თ ე ბ ი ა;
სხვაზედ ვერაზედ დავმდგარვარ, მარტო ეს მ ი ფ ი ქ რ ე ბ ი ა...
(„გლეხის სიმღერა“)

ბ) ვაჟა-ფშაველას ლექსში მრავალი შემთხვევაა ჰიპერდაქტილური რითმებისა. ეს სახეც შაირის ლოგაედურ ტაეპში გვხვდება.

ნიმუშისათვის:

მცირე რამ ნისლის ნაწყვეტი მთას ეკრა ბ უ მ ბ უ ლ ი ვ ი თ ა,
ჰშვენოდა ფიქრებში გართვა, მინდორზე ს უ მ ბ უ ლ ი ვ ი თ ა;
მთის წვერებს მოსდევს ნიავი ნადირის ს უ ნ ს უ ლ ი ვ ი თ ა.
ბუნება ნანობს ცოდვასა, იუდა ს უ ლ-კ რ უ ლ ი ვ ი თ ა.
(„მოლოდინი“).

გ) ქ ა ლ უ რ ი რ ი თ მ ა (—́ა) ახასიათებს ვაჟა-ფშაველას სრულ ლოგაედურ ტეტრამეტრს.

ნიმუშისათვის:

დარაზმდა ჯარი, ალმებს ასწიეს, ბაირახტრები დაუდგნენ წ ი ნ ა.
უხარის ყველას: კმაყოფილია, გამარჯვებული ბრუნდება შ ი ნ ა.
(„ერეკლეს სიზმარი“)

დ) ვ ა ჟ უ რ ი რ ́ ი თ მ ა (—́) ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში გვხვდება სრულ ლოგაედურ ტეტრამეტრში:

რა ვუთხრა ამ მთებს, რა ვუთხრა ამ კლდეს?
იგრძნობენ, კი, რომ გული მომიკლეს?!
(„სიმღერა“)

ვაჟა-ფშაველას ლექსისათვის როგორც ქალური რითმა, ისე (და უფრო მეტადაც) ვაჟური რითმა, შედარებით დაქტილურ რითმასთან ნაკლებადაა დამახასიათებელი; ისევე როგორც ვაჟა-ფშაველა სრული ლოგაედური ტეტრამეტრით შედარებით ნაკლებ სარგებლობს, ვიდრე ლოგაედური შაირით.

იმისდა მიხედვით, თუ ერთსა და იმავე სტროფში ან მეზობელ სტროფში რამდენჯერ მეორდება რითმები, ვაჟა-ფშაველას ლექსში ვხვდებით ორჯერადს, სამჯერადს, ოთხჯერადსა და მრავალჯერადს რითმებს.

ვაჟა-ფშაველას ლექსის ტენდენცია უფრო სამ, ოთხ და მრავალჯერადი რითმისკენაა მიმართული.

ნიმუშისათვის:

> სხვა დასტკბეს ტკბილის ჰანგითა, ტკბილის ლექსების მ ღ ე რ ი თ ა,
> სხვას ესაუბროს უფალი ტკბილის ღვთიურის ე ნ ი თ ა;
> სხვა დასტკბეს, სხვამ იქეიფოს განწყობით ა მ ა ზ რ ზ ე ნ ი თ ა
> მე ვინუგეშებ დღეს თავსა წინად ნამღერის სმ ე ნ ი თ ა,
> შავიმსუბუქებ კაეშანს ცხელის ცრემლისა დ ე ნ ი თ ა.
>
> („სიმღერა")

ამ „სიმღერაში", მის თითქმის ყველა ტაეპში მეორდება ერთგვარი რითმა. ასეთი მოვლენა — სიუხვე ერთგვარი რითმებისა, თუმცა ვაჟა-ფშაველას ლექსის ყოველი ჟანრისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ეს განსაკუთრებით ახასიათებს მის „სიმღერებს".

ვაჟა-ფშაველას ლექსის რითმების ნიშნების აღნუსხვა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მისი ლექსისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ზუსტი რითმები, ე. ი. მას ახასიათებს: ა) სარითმო კლაუზულების იგივეობა; ბ) იგივეობა მახვილიანი ხმოვნებისა ამ კლაუზულებში; გ) იგივეობა და ერთიანი თანამიმდევრობა უმახვილო ხმოვნებისა და დ) იგივეობა და ერთიანი დალაგება თანხმოვნებისა.

აღნიშნულის დადასტურებას ზემოთ ჩამოთვლილი ნიმუშებიც იძლევა, მაგრამ მეტი თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ კიდევ ნიმუშებს:

დ ა ქ ტ ი ლ უ რ ი კ ლ ა უ ზ უ ლ ე ბ ი დ ა დ ა ქ ტ ი ლ უ რ ი რ ი თ მ ა:

> დამიწყდა ჩონგურს სიმები, აღარ აესხმის ა ღ ა რ ა;
> სხვისამ იყღეროს ჩონგურმა, სხვამ ააქუხოს ნ ა ღ ა რ ა...
> მომხედოს კიდევ უფალმა, იქნებ არ შერცხვეს ჭ ა ღ ა რ ა.
> რა ბედნიერი ვიქნები, მაშინ ვიგლოვებ ა ღ ა რ ა.
>
> („სიმღერა")

როგორც ვხედავთ, ყველა ტაეპში მოცემულია დაქტილური რითმა და დაქტილური კლაუზაცია — ა ღ ა რ ა, რასაც ახასიათებს იგივეობა: მახვილიანი ხმოვნებისა — ა; სრული იგივეობა და ერთნაირი თანამიმდევრობა უმახვილო ხმოვნებისა — ა — ა; იგივეობა და ერთნაირი გან-

ლაგება თანხმოვნებისა — ღ — რ. ამ თვისებებით მჟღავნდება ზუსტი რითმა.

ამგვარი მოვლენის სხვა ვარიაციებიც გვხვდება ვაჟა-ფშაველას ლექსში:

ა) როდესაც დაქტილურ რითმაში თანხმოვნები მონათესავენი და არა აბსოლუტურად იგივენი არიან.

ნიმუშისათვის:

> დაბერდა ლომი, დაბერდა, კლანჭებსა ხმარობს ვ ე ღ ა რ ა:
> დაედვა შეუდრეკს ძალას ჟამთ ვითარების ბ ე გ ა რ ა.
> („ბებერი ლომი")

კიდევ:

> მამა ამკაცრებს როსტია, გული წაჰსვლია დ ე დ ა ს ა,
> ეურჩა შვილი მოხუცსა, მამას არ აძლევს ნ ე ბ ა ს ა:
> ვერ იტანს ვაჟკაცის ფიქრი გულზე ხელების კ რ ე ფ ა ს ა...
> („სიკვდილი გმირისა")

აქაც ყოველ ტაეპში მოცემულია დაქტილური კლაუზულა და დაქტილური რითმა, რომელსაც ახასიათებს: იგივეობა მახვილიანი ხმოვნისა — ე; სრული იგივეობა და ერთიანი თანამიმდევრობა უმახვილო ხმოვნებისა — ა —ა; ერთნაირი განლაგება თანხმოვნებისა, ხოლო პირველნი მათგანნი მონათესავენი (ღ — გ; დ — ბ — ფ) და არა აბსოლუტურად იგივენი არიან. ამგვარი დაქტილური რითმის ვარიაციები ნაირ-ნაირი სახითაა წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველას ლექსში.

ბ) ვაჟა-ფშაველას ასევე მომარჯვებული აქვს ქ ა ლ უ რ ი რ ი თ-მ ე ბ ი ც. ნიმუშისათვის:

> მე არ ვუთხარე მოძმესა ორმო, ბეთხრელი შევმურე კუპრით და ლ ა ფ ი თ;
> არვის გავტაცე მე ლუკმა-პური, სხვასაც გავუყავ ნაშოვნი ჯ ა ფ ი თ,
> და სიყვარული ჩემს თანამოძმეთ ვაუწყე მედგრად ნაღარით, დ ა ფ ი თ.
> („ნუგეში მგოსნისა")

როგორც ვხედავთ, აქაც ნიმუშის ანალოგიური მოვლენაა: კლაუ-ზულა — ა ფ ი თ, რასაც ახასიათებს: მახვილიანი ხმოვნების ა-ს იგივეობა; იგივეობა თანამიმდევარი უმახვილო ხმოვნის — ი; იგივეობა და ერთნაირი განლაგება თანხმოვნებისა — ფ —თ.

გ) ქალური რითმის სხვა ვარიაციებიცაა გამოყენებული ვაჟა-ფშაველას ლექსში. მაგალითად: როდესაც ქალურ რითმაში თანხმოვნები მონათესავენი და არა აბსოლუტურად იგივენი არიან.

ნიმუშისათვის:

> ალარსად არჩვის სიფრთხის განგაში, სიტურფით სავსე ჯიხვების მ ზ ე რ ა
> ებრძვიან სულსა, იხოცებიან, არ შეუძლიანთ ცოცხლად დარჩენა.

აქაც კლაუზულა — ე ნ ა — ე რ ა, რასაც ახასიათებს იგივეობა მახვილოვანი ხმოვნებისა —ე; იგივეობა თანამიმდევარი უმახვილო ხმოვ-

ნისა — ა; თანხმოვნები მონათესავენი (რ — ნ) და არა აბსოლუტურად იგივენი. ამ მიმართულებითაც ვაჟა-ფშაველას ლექსს მრავალფეროვნება ახასიათებს, მაგრამ ჩვენ მოტანილით დავკმაყოფილდებით.

მაგრამ, ვაჟა-ფშაველა ლექსის დახვეწისა, მისი ელერადობის გამახვილების მიზნით ლექსის რითმის აღნიშნული თვისებებითაც არა კმაყოფილდება. ის მდიდარი ქართული ენის პოეტური რესურსებით მაქსიმალურად სარგებლობს და უფრო მაღალი ხარისხის რითმებსაც იძლევა. ვაჟა-ფშაველას ლექსის რითმის ყოველი სახის წარმოდგენა სპეციალური გამოკვლევის საგანი იქნება. ჩვენი შრომის ამოცანის გარკვევისათვის საკმარისი იქნება აღვნიშნოთ კიდევ ორგვარი სახის რითმა: მდიდარი რითმა და ღრმა რითმა.

ცნობილია, რომ მდიდარი რითმა ჩნდება მაშინ, როდესაც სრულ სიზუსტესთან ერთად საყრდნობი თანხმოვანიც, ე. ი. ის ბგერა, რომელიც რითმის მახვილიან ხმოვანს წინ უზის და რომელსაც მთელი რითმა თითქოს ეყრდნობა — იგივეა.

ნიმუშისათვის:

> მითამ სუყველას ბოლო აქვს, ზღვანიც-კი დაშრე ბ ი ა ნ ო;
> მაშ ჩემის გულის დამკრელნი რატომ არ გასწყდე ბ ი ა ნ ო?!
>
> („სიმღერა")

კიდევ:

> მოგვიკვდა ქიტოხელაი, ბოსელშია წევს მ კ ვ დ ა რ ი ა,
> ძროხა, რა ძროხა, ვაიმე, მთელის ხმელეთის დ ა რ ი ა.
>
> („პაპას ცოლშვილის გლოვა")

ვაჟა-ფშაველას ლექსში ასეთი ზუსტი მდიდარი რითმის პარალელურად ხშირია ამ მოვლენის ვარიაციებიც, როდესაც მახვილის წინ მდგომი თანხმოვნები — საყრდნობი თანხმოვნები მონათესავენი და არა აბსოლუტურად იგივენი არიან.

ნიმუშისათვის:

> თმებს უკუიყრის ნაკადი, ცისაკ დაიწყებს ც ქ ე რ ა ს ა,
> შაჰყურებს გაოცებული შავის ღრუბლების მ ღ ე რ ა ს ა.
> რა ყურმა უნდა გაუძლოს იმ მთების გულის ძ გ ე რ ა ს ა.
>
> („არაგვს")

კიდევ:

> ლურჯავ შენც გრძნობა გქონია, როგორც კაცს, ა დ ა მ ი ა ნ ს ა:
> ბარით რო მთაში წამავალ, შენ დროს ახანებ გ ვ ი ა ნ ს ა,
> მუხლში ქარს ჩამაიყენებ, დაემსგავსები ნ ი ა ვ ს ა.
> არ აბედენებ კლდე-ღრეებს, მკერდს იქნევ ყალამ ქ რ ი ა ნ ს ა,
> შენც გული გიგებს, ტიალო, მივალთ სამშობლოს მ თ ი ა ნ ს ა,
> კლდეზედაც კარგა მიჰფრინავ, უგზოს გზასა ჰქმნი გ ზ ი ა ნ ს ა.
>
> („ლურჯას")

მოტანილ ნიმუშებშიც ყოველ ტაეპში მოცემულია დაქტილური რიითმა, ხოლო საყრდნობი თანხმოვნები მონათესავენი არიან (ქ — ღ — გ; და მ — ნ — რ — ვ — ზ — თ) და არა აბსოლუტურად იგივენი. ასეთი რითმებიც, რა თქმა უნდა, მდიდარს რითმებს მიეკუთვნებიან. ამ მიმართულებითაც ვაჟა-ფშაველას ლექსში მრავალი სხვადასხვა ვარიაციაა გამოყენებული.

ვაჟა-ფშაველა აგრეთვე ხშირად მიმართავს ღრმა რითმასაც, რომელსაც სიზუსტესთან ერთად, მახვილიანი ხმოვნის წარმავალი ხმოვნებიც ერთი და იგივე აქვს.

ნიმუშებისათვის:

> დაწყნარებულმა, არაგვო, რო გნახე, გ ა ვ ი ხ ა რ ე ო,
> სრულიად გამოიცვალე, წელშიაც ა ვ ი ხ ა რ ე ო.
>
> („არაგვს")

კიდევ:

> გულით ხომ გხედავ, თუ თვალით, ვაჟო, ვერ დ ა გ ი ნ ა ხ ე ო:
> გენაცვლე, მთანი და კლდენი შაგნებით შ ა მ ი ნ ა ხ ე ო.
>
> („გაზაფხული")

აქაც იგივეობაა რითმისა; იგივეობაა საყრდნობი თანხმოვნებისა; იგივეობაა რ'ოგორც მახვილიანი ხმოვნებისა, ისე მახვილიანი ხმოვნის წინამავალი ხმოვნებისაც — ა—ი. ამგვარი რითმების გამოყენებაც ვაჟა-ფშაველას ლექსს აძლევს სიღრმესაც, სიმდიდრესაც და აგრ'ეთვე მუსიკალობასაც.

სამაგიეროდ ვაჟა-ფშაველა არაზუსტი რითმების გამოყენებას გაურბის. უფრო მკაცრადაც, გამონაკლისის სახითაც კი, ვაჟა-ფშაველა გაურბის კონსონანსისა და არათანაბარმახვილიანი რითმების ხმარებასაც. კონსონანსებიდანაც ვაჟა-ფშაველას ლექსში მხოლოდ ერთ სახეს ვხვდებით: შინათანხმოვნების ნაკლებობას რითმის ერთ-ერთს თანაწევრში.

ნიმუშისათვის:

> ხან რომ ცა მაიღრუბლება, ჩაბნელდებიან ხ ე ვ ე ბ ი,
> გაჩნდება მეხთა ტკრციალი, ათრთოლდებიან ხ ე ე ბ ი,
> კლდეებზედ დაიკეცება, სვავთა და არწივთ ფ რ თ ე ე ბ ი.
>
> („არაგვს")

კიდევ:

> ბედშავ სამშობლოს პატრონსა სხვა ვერა გამომ ე გ ო ნ ა,
> რა მექნა გულდათუთქულსა, შველა არვისთვის მ ე თ ხ ო ვ ნ ა?!
>
> („სიმღერა")

ასეთი დისონანსები ვაჟა-ფშაველას ლექსში ცოტაა, უმნიშვნელო და სრულიადაც ვერ ბღალავს მგოსნის მთლიან მდიდარსა, ღრმასა და მუსიკალურად მჟღერ რითმას.

* * *

ვაჟა-ფშაველას ლექსის რითმასა და რიტმს აგრეთვე ამახვილებს, აძლიერებს და მუსიკალობას მატებს ალიტერაცია, როგორც რიტმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტი.

ალიტერაცია ძველთაგანვე გავრცელებული პოეტური ხერხია, როგორც ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, ისე ქართულ მხატვრულ მწერლობაშიც. ცნობილია, რომ ჩახრუხაძემ თავის „თამარიანში" განსაკუთრებით კი შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ მ ა თავის „ვეფხისტყაოსანში" ალიტერაცია მხატვრულობის უმაღლეს მწვერვალებზე აიყვანეს, ხოლო მათ შემდეგ ალიტერაცია ქართულ მხატვრულ მწერლობაში საკმარისად გავრცელებული შეიქნა — თეიმურაზ I, დავ. გურამიშვილის, ბესიკისა და სხვათა შემოქმედებაში.

ვაჟა-ფშაველა ამ მიმართულებითაც ნიჭიერად სარგებლობს, როგორც ქართული ხალხური ზეპირშემოქმედების მონაპოვრებით, ისე ქართველი მწერლების მიღწევებით.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ამ მიმართულებითაც საგრძნობლად მდიდარია, როგორც ხმოვანი, ისე თანხმოვანი ბგერების გამოყენებით.

ნიმუშისათვის:

ა) არვის მიეცი პასუხი და მეც ამასვე მოველი;
მე შენ იმიტომ არ გიმღერ, რისამე ვიყო მთხოვნელი.
(„სიმღერა")

ამ ორ ტაეპში თანხმოვანი ბგერა — მ გამეორებულია ათჯერ; თანხმოვანი ბგერა — ვ— ხუთჯერ; თანხმოვანი — ს — ოთხჯერ. უფრო საგრძნობია ხმოვანი ბგერების გამოყენება: ამავე ორ ტაეპში ხმოვანი — ი მეორდება თორმეტჯერ, ხმოვანი ე — ცხრაჯერ; ხმოვანი — ა — ექვსჯერ და ა. შ.

ბ) ნეტარ რატუ არ ვიმღერი, სტვირთან რა მაქვის საწყრომი,
რატომ არა ვსწშენდ გულს ჟანგსა, არ ვიტყვი რაც მაქვს სათქმელი...
(„წადილი")

ალიტერაციით სარგებლობა ვაჟა-ფშაველას მიერ აქაც თვალსაჩინოა: ხმოვანი — ა მეორდება თექვსმეტჯერ, ხმოვანი — ი — რვაჯერ; თანხმოვანი — რ — თერთმეტჯერ; თანხმოვანი — ს — რვაჯერ; თანხმოვანი — ვ — ხუთჯერ; თანხმოვანი — ტ — ხუთჯერ და ა. შ.

გ) მთვარეო, ბევრმა ვიმღერა, ბევრმა გაშტერა თვალები,
შენს სადიდებლად მომართა ბევრმა ჩონგურის ძალები.
(„სიმღერა")

ამ შემთხვევაშიც ალიტერაცია ძალუმად იგრძნობა: ხმოვანი —ა გამეორებულია ცამეტჯერ; ხმოვანი — ე — ათჯერ; ხმოვანი — ი —

ხუთჯერ; ასევე — თანხმოვანი —მ— გამეორებულია შვიდჯერ; თანხმოვანი — რ— რვაჯერ; თანხმოვანი — ვ — ოთხჯერ და ა. შ.

ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედების საშუალებებიდან წინამდებარე შრომაში ჩვენ მიერ აღნიშნულიც კი, ჩვენის გაგებით, სრულიად საკმარისია იმის დასამტკიცებლად, თუ რა არაჩვეულებრივი ნიჭიერებით გამოყო ენა ვაჟა-ფშაველამ, როგორც ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების, ისე ქართული მხატვრული ლიტერატურის პოეტიკის მდიდარი მემკვიდრეობა, მეტად თავისებურად, ორიგინალურად გარდაქმნა თავის შემოქმედებით „მანგანაში“, თუ „ქურაში“, როგორც თვით პოეტი იტყოდა, და ამით ქართულ ლიტერატურის გრეხილი ხელოვნების მაღალ მწვერვალზე აიტანა.

ბოლოსიტყვა

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ძირითადი ხაზების განხილვა დავამთავრეთ.

ვაჟა-ფშაველას მდიდარ პოეტურ მემკვიდრეობაზე ხანგრძლივი და შეძლებისდაგვარად დაკვირვებული მუშაობის დასასრულს ასეთი განცდა გვრჩება: ვაჟა-ფშაველას შემოქმედება და მოღვაწეობა, მისი შემოქმედების პოეტური ხერხები და პროცესი, მისი პიროვნების ბუნება რთულ და მეტად საგულისხმიერო ძიებისა და კვლევის უშრეტი წყაროა. ჩვენ კარგად ვგრძნობთ, რომ კიდევ ბევრი რამ შეიძლებოდა გვეთქვა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ღირსება-თავისებურების შესახებ, მაგრამ რა დალევს მასში ჩაქსოვილ ზღვა აზრებსა, განცდებსა და პოეტური ქმედების თავისებურ წარმტაცს, მდიდარს ხერხებს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ძირითადი ხაზების ახლო გაცნობაც კი მკითხველში გარკვეულ შეფასებას იწვევს: ვაჟა-ფშაველა მიეკუთვნება სწორედ დიდბუნებოვანთა იმ მცირე ოჯახს, რომელნიც კაცობრიობის ცხოვრების დიდი ისტორიული განვითარების მაგისტრალზე დგანან, როგორც რთული საზოგადოებრივი კომპლექსების სიმბოლოები, როგორც კაცობრიობის განვითარების არა მარტო მახლობელი, არამედ აგრეთვე შორეული გზის მაჩვენებელნი.

ტკივილებით სავსე კაცობრიობის ისტორიაში, მისი შემოქმედებითი ძალების გამუდმებული დაჭიმვის ისტორიაში, მცირეა რიცხვი ისეთ შემოქმედთა, რომელნიც ისე მწვავედ, გულწრფელი უშუალობით ანსახიერებდნენ თავის დიდსა და რთულ ეპოქას მისი მტკივნეული საჭირბოროტო საკითხებით და ჟამთა ვითარებაში არ იფერფლებოდნენ, ცოცხლობდნენ, შემდეგი ეპოქებისათვისაც თანამედროვენი იყვნენ. როგორც ვაჟა-ფშაველაა.

ახლაც, ჩვენ დროშიც, როდესაც ქართველმა ხალხმა შეძლო საუკუნეების მანძილზე შეენახა თავისი მდიდარი ენა, თავისი ძველი მრავალფეროვანი კულტურა, თავის მძლავრი მისწრაფება გამარჯვებისა და თავისუფლებისადმი, ვაჟა-ფშაველას ხმა, მაღალი ჰუმანური ტკივილე-

ბით სავსე, ისმის როგორც კაცობრიობის შემდეგი განვითარებისათვის ბრძოლის ენერგიული მოწოდება.

ამაშია ვაჟა-ფშაველას გასხივოსნებული შემოქმედების უჭკნობი ძალა და მიმზიდველობა. ამიტომაა ვაჟა-ფშაველა ჩვენთვის დღესაც მახლობელი, აღმაფრთოვანებელი. ამიტომაა, რომ ვაჟა-ფშაველას მკითხველთა წრე კი არ მცირდება, არამედ უფრო და უფრო ფართოვდება.

პირთა საძიებელი[1]

აბაშელი ა. 389
აბაშიძე გრ. 7
აბდუშელიშვილი დ. 28, 29, 40, 193, 226, 227
აივაზოვი 264
ალექსანდრე II 39, 51, 184, 248
ალექსანდრე III 39, 48, 184, 249, 432
ალიხანოვ-ავარსკი 709
ამბარდანოვები 321
არაგვისპირელი შიო 204
არადელი (იხ. სტ. ჭრელაშვილი)
არდაზიანი ლ. 6, 29
ასათიანი იოსებ 66
ასათიანი მიხ. 6, 20, 21, 37, 45, 46, 59, 60, 65—95, 98, 225, 235
ასათიანისა ეკატერინე 35, 66, 67, 79—82
აღმაშენებელი დავით 599
ახნაზაროვი ა. 612

ბაბუშკინი 443
ბაგრატ დიდი 426
ბაგრატიონ-დავითაშვილი ვახტანგ 320
ბაგრატიონ-დავითაშვილი სოფიო 320
ბაირონი 265, 383
ბარათაშვილი ნ. 386, 387, 396, 411, 420, 665, 682
ბარბარე (ეკ. გაბაშვილის დედა) 321
ბარბიე 265
ბაჩანა 436, 437, 479, 480, 600, 682
ბეკონი 383
ბელინსკი ბ. 179, 271, 321
ბენაშვილი ანდრო 82
ბერანჟე 265
ბესიკი 729
ბიუხნერი 383
ბოკლი 18, 180, 383
გაბაევი გიგო 23
გაბაშვილი ალ. 82 322
გაბაშვილი ეკ. 59, 60, 140, 225, 309, 320—375
გაბიჩვაძე ვარლამ 24
გაბრიელი (ეპისკოპოსი) 79
გაბუნია კესო 23
გაბუნია ნატო 23
გადაღმელი 225—227
გამბეტა 18
გარიბალდი ჯუზეპე 287
გარინი ს. ა. 502
გარსევანიშვილი ალ. 602
გედევანიშვილი ბარბარე 263
გერცენი ა. 51, 308
გიზო 18
გოგებაშვილი ი. 322, 400, 604, 611, 688
გოგოლი ნ. 179, 505, 606, 697
გოეთე 383, 633, 634
გორგაძე ს. 716, 717, 719, 723
გორკი მ. 461, 533, 581, 688, 698, 700
გრიბოედოვი ა. 688
გროზდოვი 80
გულისაშვილი ერ. 158
გულისაშვილი ზ. (შაქრო) 6, 20, 37, 40, 43, 46, 57, 59 —62, 90, 94, 152—190, 225, 235
გულისაშვილი მიხეილ 153
გულქანი (ვაჟა-ფშაველას დედა) 598, 599
გურამიშვილი დ. 386—388, 600, 667, 689, 716, 729
გურგენიძე მ. 19, 20, 38, 39, 55, 68, 69, 78—80, 82, 111, 225
გურიელი მამია 7, 168

1 შეადგინა ჯ. ქ ი რ ი ა მ.

დავითაშვილი გიგო (გიორგი) 236
დავითაშვილი იოსებ 60, 235—249
დავითაშვილი კეკელა 236
დავითაშვილი სვიმონ 235
დავითაშვილი (დავიდოვი) შიო 23, 24, 36, 37, 153, 192
დანტესი 383
დარვინი 18
დედაბრიშვილი ნიკო 322
დეკანოზოვი ვასო 23, 24
დეკარტე 154
დემურია მ. 518
დისტერვეგი 154, 185
დიტეხი 185
დიურინგი 154, 183
დობროლუბოვი ნ. 51, 52, 70, 72, 179, 267, 271, 311, 321, 512
დრეპერი 383

ევდოშვილი (ხოსიტაშვილი) ი. 252
ეკალაძე 22
ელისაბედი (ანტ. ფურცელაძის ბიძის ცოლი) 263
ენგელსი 406
ეპიკური 383
ერეკლე II 146, 147, 410—414, 420, 478, 599, 609, 617—620, 647, 658, 663, 673, 674, 683, 709, 710, 724
ერისთავი გ. 6, 61, 358
ერისთავი დ. 7, 426
ერისთავი თორნიკე 426
ერისთავი ლუარსაბ 23
ერისთავი მიხეილ 23
ერისთავი რაფ. 6, 168, 604, 607, 610
ერისთავი რევაზ 611
ესოპე 589

ვართაგავა იპ. 498, 503, 510, 511, 630—633, 635, 637, 638, 641, 642, 655, 698
ვირგილიუსი 383
ვოსტორგოვი 206

ზირაქიშვილი სიდონია 66
ზლატოვრატსკი 58, 59

თამარ მეფე 410, 478, 495, 599, 609, 618, 619, 625, 658
თარხან-მოურავი გრ. 12
თარხნიშვილი რევაზ 320, 321
თაყაიშვილი ექვთიმე 608, 612
თეიმურაზ I 287, 716, 729
თულაშვილი ვ. 6
თუმანიშვილი მ. 6

ი. ა-ძე 43, 44
ივანოვი კ. 264
იმედაშვილი მ. (იხ. მ. ასათიანი)
ინაშვილი ნიკო 6, 15, 16, 87, 322
იოსელიანი ეგნატე 24

კაზლოვი 611
კალანდაძე არსენ 24
კანტი 154
კარაკოზოვი 51
კვიცარიძე პოლიევქტ 24, 153
კეზელი დ. 71
კერესელიძე მათე 23
კეცხოველი ლ. 382
კლდიაშვილი დ. 294
კომენსკი ამოს 154, 185
კონტი 383
კორინთელი ბაბო 23
კრილოვი ი. 265, 688
კუვშინსკი ი. 153

ლაველი 383
ლავროვი პ. 271
ლამარტინი 384
ლასალი 154
ლაშა გიორგი 639
ლებბოკი 383
ლენინი ვ. ი. 10, 11, 25—28, 31, 41, 49, 60, 63, 64, 86, 164, 183, 379, 380, 400, 406, 407, 416, 440, 441, 507, 511, 512, 550, 567, 581
ლეონიძე გ. 190
ლეოპარდი 265
ლერმონტოვი მ. 606
ლიხაჩევი 173
ლომოური ნ. 6, 37, 40, 46—48, 56, 57, 59—62, 71, 72, 90, 94, 96—151, 195, 203, 225, 235, 247
ლუარსაბ II 287
ლუიბლანი 18
ლუქსემბურგი როზა 400

მაიაშვილი გ. 12, 13, 16—18, 21, 27, 55, 56

მამაცაშვილი ქ. 263, 266
მარქსი კ. 154, 183, 271, 406, 407, 697
მატარაძე ს. 82
მაჩხანელი დ. (იხ. დ. ნადირაძე)
მაშავარიანი ი. 23
მგალობლიშვილი ზაქარია 191, 192
მგალობლიშვილი ს. 6, 23, 24, 31, 32, 37, 40, 45, 46, 57, 59—61, 71, 72, 90, 94, 178, 181—235, 247
მდივანი 264
მერიმე 687
მესხი ს. 6, 12—14, 87, 286, 401
მექანაროვი 76
მთვარელიშვილი ნ. 237, 243, 245, 246
მილი 271
მილტონი 383
მირზაშვილი დ. 263
მირიანაშვილი პ. 613
მიქელაძე ა. 154
მიხაილოვსკი ნ. 271
მოენიძე ზურ. (იხ. ა. ფურცელაძე)
მოლეშოტი 383
მოსულიშვილი ნ. 252

ნადირაძე დ. 154, 251—261, 613
ნადირაძე ვ. 251
ნეკრასოვი ნ. 51, 52, 265, 512, 606
ნიკოლაძე ნ. 6, 12, 263, 270, 401
ნიკოლოზ II 429, 432
ნ-ო ხ-ი (იხ. ნიკო ხიზანაშვილი)
ნოვალისი 384

ორბელიანი ალ. 7
ორბელიანი გრ. 167, 245, 247
ორბელიანი ვახტანგ 7, 168, 247
ორბელიანი სულხან-საბა 688, 689
ოუენი რობერტ 154, 271

პაიჭაძე გ. 264
პარასკევა (ვ. ფშაველას დედის ბიძა) 600
პესტალოცი 154, 185
პეტრიაშვილი მ. 82
პისარევი დ. 51, 72, 179, 267, 269, 271, 321
პლატონი 383
პლეხანოვი გ. 48, 49
პომიალოვსკი ნ. 177, 178
პუშკინი ა. 450, 494, 602, 606, 633, 687, 688

ჭორდანია თედო 80, 98

რადიშჩევი 406
რაზიკაშვილი თედო 598—600
რაზიკაშვილი პაველ 563, 598, 599
რობესპიერი 183
როინიშვილი ა. 251, 257
როშფორი 18
რუბლოვი პ. 237
რუსთაველი შ. 386, 388, 465, 688, 716, 717, 729
რესო 154, 185

საკაძე გ. 287—290
სალარიძე სვ. 51, 52, 383, 384, 439, 440, 602
სალტიკოვ-შჩედრინი 51, 52
სამადოვი ვ. 23, 24
სარქისოვი 264
სემიონოვი 443
სკანდელი ნ. (იხ. ნ. ნიკოლაძე)
სოფიო (ა. ფურცელაძის ბიძის ცოლი) 263
სპენსერი 154, 180, 185, 271, 383
სპინოზა 154, 383
სტალინი ი. 382
სტრუვე 64, 164

ტატალა (იხ. სტ. ჭრელაშვილი)
ტატიევი ნ. 76
ტეტიკაშვილი მ. (იხ. მ. ასათიანი)
ტიერი 18
ტლაშაძე 442
ტოლსტოი ლ. 39, 40, 379, 380, 602, 633
ტურაშვილი (გულისაშვილი) ანასტასია 153
ტურაშვილი მ. 153
ტურგენევი ი. 308, 310

უმიკაშვილი პ. 12, 264, 604, 649
უსპენსკი გლ. 58, 59

ფაბრი 321, 322
ფაველნიშვილი კოლია 23
ფაველნიშვილი რომან 23, 24
ფეიერბახი 383

ფლეროვსკი 154
ფოხტი 383
ფურიე 372, 374
ფურცელაძე ა. 6, 15, 23, 46, 57, 59, 60, 262—319, 358, 372
ფურცელაძე დ. 23, 24
ფურცელაძე ნ. 262
ფშაველა ვაჟა 7, 28, 379—732

ქეთევან (წამებული) 639
ქერელი ბექა (იხ. ა. ფურცელაძე)
ქიქოძე გ. 15, 384

ღაზწელი თამარ 290
ღვინიაშვილი ე. 80, 87

უაზბეგი 7, 28, 607
უოფიანი დავითი 6
უოფიანი დიმიტრი 263, 264
უოფიანი მიხეილ 24, 439
უოფიანი ნიკო 264
უოფშიძე გრ. 20, 27, 225, 612
უუბანეიშვილი ს. 440—443, 598—602, 612

შალიგინი ა. 664, 672, 703
შამანაური მ. 441, 442, 601
შამანაური ნ. 601
შანიძე ა. 389, 656, 657
შაქრო (იხ. ზ. გულისაშვილი)
შაჰ-აბასი 639
შელინგი 154
შექსპირი 383
შილერი ფ. 298

ჩახრუხაძე 716, 729
ჩერნიშევსკი ნ. 51, 52, 70, 72, 87, 267, 313, 315—317, 372
ჩიმაკაძე დ. 82

ცაგარელი ა. 322
ციციშვილი ა. 235
ცხვედაძე ა. 154
წერეთელი ა. 6, 12, 18, 19, 52, 54, 72, 97, 168, 247—249, 286, 293, 386—390, 392, 394, 395, 397, 398, 400, 403, 407—409, 413—415, 417, 420, 426, 427, 438, 568, 604, 605, 607, 610—614, 688, 689, 691
წერეთელი გ. 6, 12, 270, 286, 604

ჭავჭავაძე ა. 167
ჭავჭავაძე ი. 6, 12, 14, 52—54, 85, 121, 135, 136, 168, 245, 247—249, 264, 270, 286, 293, 298, 320, 349, 386 — 390, 392, 394, 400, 403, 407—409, 413, 414, 417, 420, 426, 427, 432, 437, 462, 568, 570, 577, 600, 603, 604, 607, 610—612, 677, 678, 688, 689
ჭალადიდელი გ. 6
ჭეიშვილი 76
ჭიჭინაძე ზ. 123, 265, 269
ჭონქაძე დ. 6, 235, 267, 272, 277, 278
ჭრელაშვილი გიორგი 20, 45, 46
ჭრელაშვილი თედორე 66
ჭრელაშვილი სტ. 6, 18, 20—22, 26, 29, 30, 32—41, 55, 66, 71, 82, 208. 209

ხერხეულიძეები (ძმები) 290, 291
ხიზანაშვილი ნ. 6, 20, 21, 30, 31, 34, 35, 37, 42, 44, 71, 168, 225, 226, 604, 606
ხიმშიაშვილი ი. 23, 24
ხუდადოვი ალექსი 98
ხუდადოვი ნიკო 98
ხუდადოვი სოფიო 98
ხუთურგაული 82

ჯავახიშვილი დ. 15
ჯანაშვილი მ. 153
ჯორჯაძე ბ. 168

ჰაინე 265, 384
ჰეგელი 154
ჰერაკლიტი 383
ჰომეროსი 383
ჰუგო 384

შ ი ნ ა ა რ ს ი

I

ხალხოსნური მიმართულება ქართულ ლიტერატურაში

წინასიტყვაობა პირველი გამოცემისათვის 5

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ხალხოსნური მიმართულება ქართულ ლიტერატურაში

ხალხოსნები და მათი მისწრაფებანი . 8
ხალხოსნების მხატვრული შემოქმედება 51

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

ხალხოსანი მწერლები და მათი შემოქმედება

მიხეილ იოსების ძე ასათიანი 65
ნიკოლოზ იოსების ძე ლომოური 96
ზაქარია მიხეილის ძე გულისაშვილი (შაქრო) . 152
სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი . 191
იოსებ სიმონის ძე დავითაშვილი 235
დმიტრი მიხეილის ძე ნადირაძე (დ. მაჩხანელი) . 251
ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე . 262
ეკატერინე რევაზის ასული გაბაშვილი . 320

II

ვაჟა-ფშაველა

შესავალი . 379
თ ა ვ ი I. ვაჟა-ფშაველა და ქართული კლასიკური ლიტერატურა . . 386
თ ა ვ ი II. ვაჟა-ფშაველა და 1905 წლის რევოლუცია . 439
თ ა ვ ი III. გმირის (კაი ყმის) სახე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში . 461
თ ა ვ ი IV. სიცოცხლე და მისი „ტრიალის“ კანონი . 481
47. მ. ზანდუკელი 737

თ ა ვ ი V. თემი და პიროვნება . 520

თ ა ვ ი VI. ვაჟა-ფშაველას თანამედროვე სოფელი და მისი მოსახლეობა . . 549

თ ა ვ ი VII. საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძვლები აწმყოსა და მომავალში 567

თ ა ვ ი VIII. ვაჟა-ფშაველა და ქართული ხალხური ზეპირშემოქმედება . 597

თ ა ვ ი IX. ვაჟა-ფშაველას პოეტიკის ზოგიერთი საკითხი . 661

თ ა ვ ი X. ვაჟა-ფშაველას ლექსი . 716

ბიბლიოგრაფია . 731

ბირთა საძიებელი . 733

გამომცემლობის რედაქტორი ჯ. ქირია
ტექრედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი დ. მანჯგალაძე

გადაეცა წარმოებას 30/XI-76
ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/II-78
ქაღალდის ფორმატი 60×90 1/16
ნაბეჭდი თაბახი 48,15
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 43,9
სბ 129

შეკვეთა 3855 ტირაჟი 4000

ფასი 8 მან. 41 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14

Издательство Тбилисского университета,
Тбилиси 380028, пр. И. Чавчавадзе, 14

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა,
თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН ГССР, 380060,
Тбилиси, ул. Кутузова, 19